ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/312176386

Phonosemantic Vocabulary in Kartvelian Languages

Data · January 2017

CITATIONS
0

READS
104

1 author:

Zaal Kikvidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
3 PUBLICATIONS **0** CITATIONS

SEE PROFILE

Some of the authors of this publication are also working on these related projects:

Phonosemantic Vocabulary in Kartvelian Languages View project

All content following this page was uploaded by Zaal Kikvidze on 10 January 2017.

The user has requested enhancement of the downloaded file.

ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში

რუსუდან გერსამია
ზაალ კიკვიძე
მაია ლომია
ნონა მამისეიშვილი
მედეა სალღლიანი

თბილისი 2016

Rusudan Gersamia Zaal Kikvidze
Maia Lomia Nona Mamiseishvili Medea Sagliani

PHONOSEMANTIC VOCABULARY IN KARTVELIAN LANGUAGES

Tbilisi
2016

რუსუდან გერსამია ზაალ კიკვიძე

მაია ლომია ნონა მამისეიშვილი მედეა საღლიანი

ფ ო ნ ო ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი

ლექსიკა

ქართველურ ენებში

თბილისი

2016

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

Shota Rustaveli National Science Foundation

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ilia State University

სამეცნიერო პროექტი ,,ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში" (31/20) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The resarch project *Phonosemantic Vocabulary in Kartvelian Langiages* (31/20) has been made possibole by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტი განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

რედაქტორი: **რუსუდან გერსამია**

ინგლისური ტექსტის მთარგმნელი და რედაქტორი: **ზაალ კიკვიძე**

© რუსუდან გერსამია, ზაალ კიკვიძე,
მაია ლომია, ნონა მამისეიშვილი, მედეა საღლიანი

ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში

ISBN 978-9941-0-9438-5
(უაკ)811/353/378 ფ-81

www. Rustaveli.org.ge უფასო გამოცემა

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა----------8
FOREWORD----------10
შესავალი
საკითხის კვლევა უცხოურ ლინგვისტიკაში (ზ. კიკვიძე)----------13
ფონოსემანტიკასთან დაკავშირებული ტერმინები და ცნებები (ზ. კიკვიძე)----------18
ტერმინები და ცნებები ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში (რ. გერსამია)----------29
ბგერწერა ქართველურ ენებში (ლინგვისტური ლიტერატურის ანალიზი) (რ. გერსამია)----------33
ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველური ენების ლექსიკონებში
(რ. გერსამია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი)----------46
ფონოსემანტიკა (ანალიზის მეთოდები, ფონოსემანტიკური უნივერსალიები) (რ. გერსამია)-----63

ნაწილი პირველი
ფონოსემანტიკურ ფუძეთა სტრუქტურა ----------69

თავი პირველი - ფონოსემანტიკური მოდელების ფონემატური სტრუქტურა
ქართველურ ენებში (რ. გერსამია)----------71

კონსონანტური ბგერწერა (რ. გერსამია)----------73
კონსონანტური ბგერწერა ქართულში (რ. გერსამია)----------78
კონსონანტური ბგერწერა მეგრულში (რ. გერსამია)----------85
კონსონანტური ბგერწერა ლაზურში (რ. გერსამია)----------104
კონსონანტური ბგერწერა სვანურში (მ. საღლიანი)----------121
კონსონანტური ბგერწერა ქართველურ ენებში (რ. გერსამია)----------128
ვოკალური ბგერწერა (რ. გერსამია)----------132
ვოკალური ბგერწერა ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში (რ. გერსამია)----------133
ვოკალური ბგერწერა სვანურში (მ. საღლიანი)----------139

თავი მეორე
ბგერწერის პრინციპები ქართველურ ენებში----------145

ფონოლოგიური პრინციპები

ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა ქართულ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში
(ნ. მამისეიშვილი)----------145
ბგერათა ალტერნაცია და ფონოსემანტიკა მეგრულსა და ლაზურში (რ. გერსამია)----------152
ფონოლოგიური ხმოვანთმონაცვლეობა მეგრულში (რ. გერსამია)----------156
სონორის განვითარება----------163
სპირანტიზება---------- 167
მეტათეზისი---------- 168
კონვერსია----------168

მორფონოლოგიური პრინციპები----------172

რედუპლიკაცია

ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია ქართველურ ენებში (რ. გერსამია)----------172
ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია ქართულში (ნ. მამისეიშვილი)----------175
ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია მეგრულსა და ლაზურში (რ. გერსამია)----------181
ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია სვანურში (მ. საღლიანი)----------191
მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია (რ. გერსამია)----------207
მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია სვანურში (მ. საღლიანი)----------209
მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია ქართველურ ენებში (რ. გერსამია)----------215
მაერთმარცვლიანი რედუპლიკაცია სვანურში (მ. საღლიანი)----------223

აფიქსაცია

ფონოსემანტიკურ ფუძეთა აფიქსაცია ქართველურ ენებში (რ. გერსამია)----------229
ფონოსემანტიკურ სიტყვათა სუფიქსური წარმოება ქართულში
(ნ. მამისეიშვილი, რ. გერსამია)----------230
-მან სუფიქსიანი ფონოსემანტიკური მასდარები (ნ. მამისეიშვილი)----------236
ფონოსემანტიკურ სიტყვათა სუფიქსური წარმოება მეგრულსა და
ლაზურში (რ. გერსამია)----------238
-ი-ალ დაბოლოებიანი ფონოსემანტიკური ფუძეები ქართველურ ენებში
(რ. გერსამია, ნ. მამისეიშვილი)----------244
ფონოსემანტიკური ლექსიკის ძირეული ფორმით გამოყენება ქართულში
(ნ. მამისეიშვილი)----------249
ფონოსემანტიკურ სიტყვათა სუფიქსური წარმოება სვანურში (მ. საღლიანი)----------250
ფონოსემანტიკური მოდელები მეგრულში (რ. გერსამია)----------266

თავი მესამე - ფონოსემანტიკურ ფუძეთა მორფოლოგიური თავისებურებანი--------273

ზოგადი მორფოლოგიური დახასიათება (მ. ლომია)----------273
-ებ /-ობ თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობა ქართულ ფონოსემანტიკურ
ფუძეებში (ნ. მამისეიშვილი)----------274
ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა აწმყო მეგრულსა და ლაზურში (მ. ლომია)----------280
ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა აწმყო სვანურში (მ. საღლიანი)----------284
ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მასდარი მეგრულსა და ლაზურში (მ. ლომია)----------295
ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მასდარი სვანურში (მ. საღლიანი)----------300
ფონოსემანტიკური ზმნის ასპექტი და მისი სახეები (მ.ლომია)----------205
ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის - აწმყო მყოფადის წარმოება ქართულში (მ. ლომია)----------310
ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის- აწმყო მყოფადის წარმოება მეგრულში (რ. გერსამია)-------313
ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა გვარისა და ქცევის საკითხები (მ. ლომია)----------321
ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა უღლების თავისებურებები ქართულსა და
ზანური ჯგუფის ენებში (მ. ლომია)----------327
ფონოსემანტიკური ზმნების უღლების თავისებურებები სვანურში (მ. საღლიანი)----------330

ნაწილი მეორე

ფონოსემანტიკურ ფუძეთა სემანტიკური ასპექტები----------335

\ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია
(ნ. მამისეიშვილი, რ. გერსამია)----------337
ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები ქართულში (ნ. მამისეიშვილი)---------338

ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები მეგრულში (რ. გერსამია)----------344
ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები ლაზურში (რ. გერსამია)----------361
ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები სვანურში (მ. საღლიანი)----------366
ზმნისწინით წარმოქმნილი მოძრაობის ლექსიკა ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში
(მ. ლომია)----------383
ზმნისწინით წარმოქმნილი მოძრაობის ლექსიკა სვანურში (მ. საღლიანი)----------388
„ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში (ნ. მამისეიშვილი)---------398
ნასესხებ ფუძეთა საკითხი ფონოსემანტიკურ ლექსიკაში (ნ. მამისეიშვილი)----------403
ფონოსემანტიკური ლექსიკის გენდერლინგვისტური ასპექტები ქართველურ ენებში
(რ. გერსამია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი)----------407
სვანურ და მეგრულ ფონოსემანტიკურ ფუძეთა

ფორმობრივი და სემანტიკური შესაბამისობის ცხრილი (რ. გერსამია, მ . საღლიანი)----------414

გამოყენებული ლიტერატურა----------421

ელექტრონული კორპუსები---------- 441

სტანდარტული აბრევიატურის გლოსარიუმი----------441

Phonosemantic Vocabulary in Kartvelian Languages (Z. Kikvidze)----------443

წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფიული ნაშრომი შექმნილია შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013-2016 წლებში დაფინანსებული პროექტის - „ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურა, სემანტიკა, პრაგმატიკა)“ ფარგლებში (#31/20); პროექტი განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის, კერძოდ, ქართველურ ენათა კვლევის ჯგუფის, ბაზაზე.

საპროექტო წინადადების წარმატება არაერთმა ფაქტორმა განაპირობა:

1. ქართველური ენებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ლინგვისტური მოვლენა, როგორიც ბგერწერა და ხმაბაძვაა, მეცნიერთა მიერ სისტემურად დღემდე არ იყო აღწერილი და დამუშავებული, მეტიც - სვანურსა და ლაზურში შეუსწავლელიც კი იყო იგი; არადა სამეცნიერო ინტერესს მუდმივად იწვევდა, რასაც ადასტურებს დროდადრო გამოცემული არაერთი პუბლიკაცია.

2. მიუხედავად იმისა, რომ ბგერწერითი და ხმაბაძვითი ლექსიკა ენის ფაქტია, დიდი ხნის მანძილზე მათი დიდი ნაწილი არ თვლებოდა ლექსიკონების „სრულუფლებიან წევრებად“, მათი ლექსიკონებში შეტანის საკითხი სადავო და საკამათო თემა იყო. ბოლო პერიოდში გამოცემულმა ლექსიკონემა, რომლებშიც ამ ტიპის ლექსიკაც ზედმიწევნით აღინუსხა (სვანური - ა. ლიპარტელიანის ჩოლურულის ლექსიკონი, მეგრული - ო. ქაჯაიას, ა. ქობალიას ლექსიკონები, ლაზური - ა. თანდილავას ლექსიკონი, ქართული ენის დიალექტოლოგიური კორპუსი და დიალექტოლოგიური ლექსიკონები: http://corpora.co), ერთი მხრივ, დასვა საკითხი ამ ტიპის ლექსიკის მეცნიერული ანალიზის საჭიროებისა და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო სრულფასოვანი გამოკვლევის განხორციელებას.

წინამდებარე მონოგრაფია, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, სრულად აანალიზებს ფონოსემანატიკასთან (როგორც ენობრივ პროცესთან) და ფონოსემანტიკურ ლექსიკასთან (როგორც ამ პროცესის შედეგთან) დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან ლინგვისტურ პრობლემას:

1) ქართველური ფონოსემანტიკური ლექსიკა ენის ფაქტია. აქ წარმოდგენილია როგორც ქართველური ენების საერთო მახასიათებლები, ასევე ცალკეული ქართველური ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

2) წინამდებარე მონოგრაფიაში სიღრმისეულადაა შესწავლილი ფონოსემანტიკური ფუძეების (უმეტესწილად ზმნების, მასდარებისა და მიმღეობების) სტრუქტურა და სემანტიკა ყველა ქართველური ენისათვის;

3) გაანალიზებულია ქართველური ენების ფონოსემანტიკური ფუძეების ფონეტიკურ-ფონოლოგიური სტრუქტურა, ფონოტაქტიკური კანონზომიერებები; ფონოსემატიკური ფუძის „თხზვის“ პრინციპები: ვოკალური, კონსონანტური, კომპლექსური ალტერნაცია, რედუპლიკაცია, აფიქსაცია; სემანტიკური ხასიათ-ის დერივაცია, მორფოლოგიური ასპექტები.

4) ქართველური ენების ფონოსემანტიკური ფუძეების მნიშვნელობათა ანალიზი მოიცავს დინამიკური და სტატიკური ზმნების ყველა ტიპს: მოძრაობის, მოძრაობა-გადაადგილების, მოქმედების, ხმა/ხმიანობის, ფიზიონომია-ანატომიის, გრძნობა-აღქმის და ამ მნიშვნელობათა გადამკვეთი მნიშვნელობების სემანტიკურ ანალიზს; ანალიზისას გამოყენებულია სემანტიკურ კომპონენტებად დაშლის მეთოდი.

5) უხვადაა წარმოდგენილი ფონოსემანტიკური მასალა ყველა ენისა და მათი დიალექტებისთვის, აღნიშნული განსაკუთრებით ეხება სვანურისა და ლაზურის ფონოსემანტიკურ ფუძეებს, რომელთა დიდი ნაწილი მეცნიერული თვალსაზრისით პირველად აღიწერა და გაანალიზდა წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში.

6) მასალის მოსაპოვებლად გამოყენებულია ყველა არსებული წყარო: დღემდე გამოცემული ყველა ლექსიკონი, ტექსტი, ინტერნეტრესურსები; მასალა ასევე მოპოვებულია პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ლინგვისტურ ექსპედიციებში, მათ შორის - თურქეთის ლაზეთში.

პროექტისფარგლებშიგანხორციელებულმაკვლევითმასამუშაოებმადალინგისტურმაექსპედიციებმა აჩვენა, რომ სვანური ენა ფონოსემანტიკურ ნიშანთა მრავალფეროვან სისტემას წარმოადგენს, ხოლო ლაზური, პირიქით, იგი გაცილებით მწირია სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თუმცა ბგერწერის იმავე პრინციპებსა და წესებს ეყრდნობა, რომელსაც ყველა დანარჩენი ქართველური ენა.

საგულისხმოა, რომ მონოგრაფიის დიდი ნაწილი პროექტის მიმდინარეობის მანძილზე ეტაპობრივად წარედგინებოდა ლინგვისტურ საზოგადოებას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავდა კვლევის ზოგიერთ ასპექტს და პოზიტიური გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მოხსენებასა და პუბლიკაციას:

1. რ. გერსამია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკის გენდერლინგვისტური ასპექტები ქართველურ ენებში, კავკასიოლოგიური ძიებანი, V, თსუ, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, 2013.
2. Kikvidze, Z. Multiple Metalanguages of Linguistics? Terminology of Sound Symbolism through Time and Space. Language in the Professional Dimension: Communicative and Cultural Aspects. Kharkiv, 2014.
3. Gersamia, R., Lomia, M. Sound Symbolism in Kartvelian Languages. Paper presented at the International Conference Towards a History of Sound Symbolic Theories. University Burgundy, Dijon, France, 2014.
4. Kikvidze, Z., Gersamia, R., Lomia, M. Onomatope-based Reduplication and Grammaticalization/ Phonotactics Interface in Kartvelian Languages. Paper presented at the 3rd International Workshop on Phonotactics and Phonotactic Modeling. University of Vienna, Austria, 2015.
5. მ. საღლიანი, მაერთმარცვლიანი რედუპლიკაცია სვანურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXVIII, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, 2015.
6. რ. გერსამია, ინტერვოკალური რედუპლიკაცია ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2015.
7. ნ. მამისეიშვილი, -ებ/-ობ სუფიქსთა მონაცვლეობა ქართულ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და ძირის სტრუქტურის საკითხები“, თსუ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2015.
8. Kikvidze, Z., Gersamia, R., Lomia, M. Patterns of Phonosemantic Reduplication in Kartvelian (South Caucasian) Languages. Linguistics Beyond and Within, Newcastle-upon-Tyne: Cambridge Scholars Publishing, 2016.
9. Kikvidze, Z., Phonemic iconicity in a 19th century trilingual dictionary: the Dictionnaire géorgien-russe-français by David Chubinashvili, Towards a History of Sound Symbolic Theories. Amsterdam/Philadelphia: Benjamins, 2016.
10. Gersamia, R., Kikvidze, Z., Lomia, M. Echo Constructions in Kartvelian (South Caucasian) Languages. paper presented at the Workshop Non-prototypical Reduplication. University of Bremen, Germany, 2016.

იმედი გვაქვს მონოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართველოლოგიისათვის, ქართველური ენების სპეციალისტებისთვის, ამ ენათა სტრუქტურისა და სემანტიკის, ასევე ტიპოლოგიური კვლევებით დაინტერესებული მეცნიერებისა და სტუდენტებისთვის, ფართო საზოგადოებისათვის.

რუსუდან გერსამია, ზაალ კიკვიძე
რედაქტორები

FOREWORD

The present monograph was written within the framework of the project Phonosemantic Vocabulary in Kartvelian Languages (Structure, Semantics, Pragmatics) (No 31/20) funded by Shota Rustaveli National Science Foundation in 2013-2016; the project was implemented at the Institute of Linguistic Research (specifically, Research Group of Kartvelian Languages), Ilia State University.

Success of the project proposal was due to a number of factors:

1. Phonetic symbolism and onomatopoeia, as rather significant linguistic phenomena in Kartvelian languages, was not systematically described and analyzed by scholars; moreover, it was not studied at all in Svan and Laz; however, these phenomena always attracted scholarly interest, and this is well attested with occasionally published papers.

2. Notwithstanding the fact that phonosymbolic and onomatopoeic items are parts of actual language, most of them were not considered "full-fledged members" of the lexicon. Their inclusion in dictionaries were a disputable issue. Recently published dictionaries (Svan – A. Liparteliani's dictionary, Megrelian – O. Kajaia's and A. Kobalia's dictionaries, Laz – A. Tandilava's dictionary, Georgian Dialect Corpus and dialect dictionaries: http://www.corpora.co), providing a more comprehensive description of the items in point, stated the necessity of the scholarly study of the phenomenon in question, on the one hand, and facilitated its complete research.

The present book Phonosemantic Vocabulary in Kartvelian Languages provides analyses of a number of significant linguistic problems associated with phonosemantics (as a linguistic process) and phonosemantic vocabulary (as outcome of the process)

1) Kartvelian phonosemantic vocabulary items are part of actual language. They demonstrate both systemic commonalities with respect to the Kartvelian languages, at large, and peculiarities characteristic of individual Kartvelian languages.

2) The present book provides a profound analysis of the structure and semantics of phonosemantic stems (predominantly, verbs, masdars, and participles) in all Kartvelian languages.

3) The present book provides a profound analysis of phonetic and phonemic structures and phonotactic regularities of Kartvelian phonosemantic stems; principles of structuring of a phonosemantic stem: vowel, consonant, and cluster alternations, reduplication, affixation; semantic derivation, morphological aspects.

4) Analyses of meanings of Kartvelian phonosemantic stems comprise all types of dynamic and synchronic verbs: motion, movement, action, emission of voice/noise, appearance and anatomy, sensations, including the semantic analysis of overlapping meaning; the method of componential analysis has been applied.

5) There are abounding phonosemantic data for all the Kartvelian languages and their dialects; this is particularly significant with respect Svan and Laz phonosemantic stems which were described and analyzed for the first time in the present brook.

6) All the existing sources were applied in order to collect appropriate data: all published dictionaries, texts, web resources; data were also collected during linguistuic expeditions within the framework of the project in Turkey's Lazistan, among them.

Both the linguistic expeditions and the investigation of the collected data demonstrated that Svan presents a rather diverse system of phonosemantic items, while Laz is much more scarce; however, it is based on the same principle and rules of phonosemantics as the rest of the Kartvelian languages.

It is noteworthy that most of the parts of this book were regularly presented to linguistic audience both in Georgia and internationally, somehow determining some aspects of research and positively influencing the final outcome.

We will cite some papers as an illustration of the aforementioned:

1. Gersamia, R., Mamiseishvili, N., Sagliani, M. Gender Aspects of Phionosemantic Vocabulary in Kartvelian Language. Caucasologic Papers, 5, 2013.
2. Kikvidze, Z. Multiple Metalanguages of Linguistics? Terminology of Sound Symbolism through Time and Space. Language in the Professional Dimension: Communicative and Cultural Aspects. Kharkiv, 2014.
3. Gersamia, R., Lomia, M. Sound Symbolism in Kartvelian Languages. Paper presented at the International Conference Towards a History of Sound Symbolic Theories. University Burgundy, Dijon, France, 2014.
4. Kikvidze, Z., Gersamia, R., Lomia, M. Onomatope-based Reduplication and Grammaticalization/ Phonotactics Interface in Kartvelian Languages. Paper presented at the 3rd International Workshop on Phonotactics and Phonotactic Modeling. University of Vienna, Austria, 2015.
5. Sagliani, M. Reduplication with an interfixal syllable in Svan. Linguistic Papers, XXXVIII, 2015.
6. Gersamia, R. Inter-vocalic reduplication in Kartvelian languages. Issues in Linguistics. 2015.
7. Mamiseishvili, N. Alternation of the suffixes of -eb/-ob in Georgian phonosemantic vocabulary. Paper presented at the 4th International Symposium Issues of the Structure of Stem and Root of Ibero-Caucasian Languages. Arnold Chikobava Institute of Linguistics, TSU, Tbilisi, Georgia, 2015.
8. Kikvidze, Z., Gersamia, R., Lomia, M. Patterns of Phonosemantic Reduplication in Kartvelian (South Caucasian) Languages. Linguistics Beyond and Within, Newcastle-upon-Tyne: Cambridge Scholars Publishing, 2016.
9. Kikvidze, Z., Phonemic iconicity in a 19th century trilingual dictionary: the Dictionnaire géorgien-russe-français by David Chubinashvili, Towards a History of Sound Symbolic Theories. Amsterdam/Philadelphia: Benjamins, 2016.
10. Gersamia, R., Kikvidze, Z., Lomia, M. Echo Constructions in Kartvelian (South Caucasian) Languages. paper presented at the Workshop Non-prototypical Reduplication. University of Bremen, Germany, 2016.

We hope that the book will serve as a significant contribution to for Kartvelian Studies, specialists of Kartvelian languages, for scholars and students concerned with structure and semantics of the languages in point and with typological studies, and for wider public.

RUSUDAN GERSAMIA, ZAAL KIKVIDZE
EDITORS

შესავალი

საკითხის კვლევა უცხოურ ლინგვისტიკაში

უძველესი დროიდანვე, როდესაც ადამიანმა დაიწყო ფიქრი ენის რაობისა და წარმოშობის შესახებ, მან თავისი აზრთასვლა მაშინვე მიმართა ენის ბგერითი მხარისა და სიტყვის მნიშვნელობის კავშირისაკენ.

ამგვარი ურთიერთობების თაობაზე ნააზრევი გვხვდება უძველეს ტექსტებში; მათ შორის ყველაზე ადრეულია ძველებრაული კაბალის სიბრძნე და „უპანიშადები“ — ძველინდური რელიგიურ-ფილოსოფიური ტრაქტატები, რომელთაგან ყველაზე ძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნით თარიღდება. ტრადიციულად ამავე საკითხებზე მსჯელობის შემცველ უძველეს ტექსტებს შორის აგრეთვე სახელდება ნაგ–ჰამადის კოდექსების კრებული, უელსური „ტალიესინის წიგნი“ და სხვები. თავისთავად ცხადია, რომ ამ მხრივ ანტიკური ხანის ბერძნულ ფილოსოფიაზე ლომის წილი მოდის. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ძველ საბერნეთში წამოჭრილი და განვითარებული ფილოსოფიური დისკუსია სიტყვის ფორმობრივი (ანუ გარეგანი) და სემანტიკური (ანუ შინაგანი) მხარეების ურთიერთმიმართების შესახებ საკუთრივ ფილოლოგიურ პრობლემებსაც მოიცავდა. ღირსსაცნობია, რომ დაპირისპირებული მხარეების პოზიციების საფუძველზე ცნობილი თეორიები — ფიუსეი და თესეი ჩამოყალიბდა. პირველი მათგანის მიხედვით, საგანთა სახელები მათს ბუნებას ემყარება (ამ მიდგომის მომხრე გახლდათ ჰერაკლიტე ეფესელი); მისი საპირწონე პოზიციის მიხედვით კი ადამიანები პირობითობის პრინციპის დაცვით არქმევდნენ სახელებს სხვადასხვა საგანს (ამ მიდგომის მომხრე გახლდათ დემოკრიტე). საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ამ თემებზე დისკუსიის პირობებში შეიქმნა ენის წარმოშობის ისეთი თეორიები, როგორებიცაა „ხმაბაძვითი თეორია“ და „შორისდებულების თეორია.“ ამ ხანგრძლივი და საინტერესო პოლემიკის ერთგვარი ასახვა, გაგრძელება და შეჯამებაცაა პლატონის ცნობილი დიალოგი „კრატილოსი,“ რომელიც აღნიშნულ საკითხზე არსებულ ყველაზე ადრეულ (ჩვენამდე მოღწეულთა შორის) სამეცნიერო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს. ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილში სოკრატე ეკამათება ჰერმოგენეს (როგორც კონვენციონალისტს) და კრატილოსს (როგორც ნატურალისტს) და ცდილობს დააცხროს მათი რადიკალიზმი მსჯელობისა და ემპირიული მასალის მოხმობის გზით (ვრცელი განხილვა იხ. წიგნში: დოლიძე 1989). სწორედ ეს ფაქტია გადამწყვეტი ზემოხსენებული ნაწარმოების მიხედვით სოკრატეს პოზიციის ინტერპრეტირების თვალსაზრისით; მისი პოზიცია საკმაოდ აწონილ–დაწონილია: მისი აზრით, არც ისაა მართალი, რომ ფონეტიკას არანაირი გავლენა არ აქვს სიტყვის მნიშვნელობაზე, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს იგი მთლიანად განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას. მისი პოზიცია სამაგალითო და ფასეულია არა მარტო იმ პერიოდისათვის, როდესაც აღნიშნული ნაწარმოები დაიწერა, არამედ შემდეგი თაობების მოაზროვნეებისათვისაც, რომლებიც ენაში ნიშნის ნებისმიერობის საკითხს იხილავდნენ.

და მაინც, მიუხედავად ამ და სხვა, მეტ–ნაკლები მოცულობისა თუ მნიშვნელობის ფილოსოფიური ნაშრომებისა, ისინი ენობრივ (მათ შორის, ფონოსემანტიკურ მოვლენებს) მხოლოდ თვალსაჩინო მასალად წარმოგვიდგენდნენ სხვადასხვა ფილოსოფიური

საკითხის შესახებ მსჯელობისას. ამიტომაც, ამ ეტაპზე მათს განხილვას მეტ სივრცეს აღარ დავუთმობთ და ყურადღებას საკუთრივ საენათმეცნიერო ნააზრევზე გავამახვილებთ.

სწორედ ამგვარი არჩევანის გამო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XVIII-XIX საუკუნეების ფრანგული მემკვიდრეობა. ამ პლეადაში გამორჩეული ადგილი უჭირავს შარლ დე ბროსს (Charles de Brosses), რომლის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ტრაქტატი ენათა მექანიკური ჩამოყალიბების

შესახებ“ (Traité de la formation mécanique des languages), სადაც იგი ამტკიცებდა, რომ უძველეს ხანაში არსებობდა ერთგვარი აბსოლუტური ენა, რომელიც გახლდათ შეზღუდული, მატერიალური და მოტივირებული; ამ პირველყოფილ უნივერსალურ ენაში ბგერა სრულად შეესატყვისებოდა სიტყვათა მნიშვნელობას; დროთა განმავლობაში ეს პრინციპი მრავალჯერ დაირღვა სხვადასხვა საშუალებით, რის შედეგადაც მოხდა ენათა დივერგენცია. აღსანიშნავია, რომ შ. დე ბროსმა არაერთი ფონოსემანტიკური ხასიათის მაგალითი დაიმოწმა თავისი ვარაუდის დასამტკიცებლად (ბროსი 1765). მისი თანამედროვე ანტუან კურ დე ჟებლენი (An-toine Court de Gébelin) თავის წიგნში „ენისა და დამწერლობის წარმოშობა“ (Origin du language et de l’écriture) ერთგვარ სილოგისტურ ჯაჭვს გვთავაზობს: რადგანაც მეტყველება იდეების გამოხატულებას წარმოადგენს, ხოლო იდეები – ობიექტთა გამოსახულებას, უნდა არსებობდეს ბუნებრივი კავშირი სიტყვებსა და იმ იდეებს შორის, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, როგორც ეს გვაქვს იდეებსა და ობიექტებს შორის (ჟებლენი 1775). აქვე უნდა ვახსენოთ შარლ ნოდიე (Charles Nodier), ვინაც დე ბროსის მსგავსად სრულყოფილ ენაზე ოცნებობდა, რომელიც გამსჭვალული იქნებოდა ბგერისა და მნიშვნელობის „სრულყოფილი“ კორელაციით, თუმცა, თავისი უფროსი კოლეგისაგან განსხვავებით, იგი ასეთ ენას არა წარსულში, არამედ მომავალში მოიაზრებდა (ნოდიე 1808).

1836 წელს დაიბეჭდა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „ადამიანური ენების აგებულების სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონითს განვითარებაზე მისი გავლენის შესახებ“ (Über die Verschiedenheit des menschlichen Sprach-baues und ihren EinfluÜ auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts). თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰუმბოლდტისთვის ცხადი იყო, რომ სიტყვის ბგერით მხარესა და მის მნიშვნელობას შორის უშუალო კავშირია. ნიშანდობლივია, რომ მასთან ეს კავშირი იმ სახით არ არის წარმოდგენილი, როგორც ეს მის წინამორბედებთან გვაქვს. ჰუმბოლდტის მიდგომები დღესაც ფასეულია. მდიდარ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, მან გამოყო ენაში ბგერისა და მნიშვნელობის კავშირურთიერთობების სამი სახე. პირველ რიგში მან ერთმანეთისაგან გამიჯნა ონომატოპეა და ბგერითი სიმბოლიზმი. აღნიშნული სამ სახეთაგან პირველში მან სწორედ ხვაბაძვითობა მოათავსა, რომელიც თავისი არსით აკუსტიკურია და არა არტიკულაციური და მხოლოდ ისეთ რეფერენტებთანაა პოვნიერი, რომლებიც ბგერებს გამოსცემენ: 1. „ისინი უშუალოდ ემსგავსებიან იმ ბგერას, რომელიც მოდის ამ ბგერის გამომცემი საგნისაგან, რაც აისახება სიტყვაში...“ (ჰუმბოლდტი 1999: 73).

მის მიერ გამოყოფილი მეორე სახე ძალიან ჰგავს სოკრატესეულ ფონოსემანტიკურ იმიტაციას ანუ სემანტიკური „არსის“ მიმსგავსებას მოცემული ფონემის რეალური არტიკულაციის მეშვეობით: 2. „აღნიშვნა ხდება იმიტირებით, არა პირდაპირ, არამედ როგორ ბგერის, ასევე ობიექტისათვის საერთო, მესამე ფაქტორის მეშვეობით. ამგვარად შეირჩევა აღსანიშნი ობიექტები, ასევე ბგერები, რომლებიც, ნაწილობრივ თავისთავად

და ნაწილობრივ სხვებთან შედარებით, ადამიანის ყურს უქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, რომელიც წააგავს მავან ობიექტს“ (იქვე).

ჰუმბოლდტმა გამოყო მესამე კლასიც, რომელიც საკმაოდ გავრცელებული ენობრივი პროცესია. ამ მოვლენას თანამედროვე ლინგვისტიკაში „ფონოსემანტიკური ასოცირება“ ეწოდება. 3. „აღნიშვნა ბგერითი შედგენილობის მსგავსების მიხედვით, კერძოდ, იგულისხმება ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები და ბგერითი შედგენილობა ერთმანეთთან ახლოს დგას, ოღონდ, წინამავალი შემთხვევისაგან განსხვავებით, აქ მხედველობაში არ მიიღება ამ ბგერათა დამახასიათებელი ნიშნები“ (ჰუმბოლდტი 1999: 74).

მთლიანობაშივილჰელმფონჰუმბოლდტმაშემდეგნაირადგანმარტაფონოსემანტიკური პროცესი: „მაგრამ, რადგანაც ენა იქმნება ინტელექტთან ერთად, იგი აქვე ივითარებს, და საკმაოდ თვალსაჩინოდაც, კიდევ ერთ მაღალ პრინციპს, კერძოდ, დანაწევრების სუფთა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, კვაზიშიშველ არსს. ისევე, როგორც მნიშვნელობის გამოხატვის ბგერისთვის დაკისრება წარმოაჩენს დანაწევრებული ბგერის ბუნებას, რომლის არსიც მაინცდამაინც ამ მიზანდასახულობაში მდგომარეობს, იგივე ხორციელდება აქ განსაზღვრული მნიშვნელობის მიმართ. ეს განსაზღვრულობა კიდევ უფრო იზრდება, თუკი აღსანიშნის ველი კვლავაც გონებაში გვიტრიალებს, რადგანაც ეს ველი წარმოადგენს სულის ნაყოფს, თუმცა მას, როგორც მთელს, ყოველთვის არ წვდება ცნობიერების შუქი. ენის ქმნადობა, ამგვარად, უფრო აშკარად შეიძლება იმართებოდეს იმ ძალისხმევით, რომ გაირჩეს მსგავსი და განსხვავებული ცნებები მათი მეტი დაკონკრეტების გზით და ბგერათა შერჩევისა და მათი ნიუანსების გამოკვეთის საშუალებით. რაც უფრო ცხადი და აშკარაა აღსანიშნის ინტელექტუალური ხედვა, უფრო მეტ ადგილს დაიჭერს ეს პრინციპი ენის ქმნადობის პროცესში; მისი საბოლოო გამარჯვება კი მისი მოქმედების ამ ნაწილში იქნება ამ პრინციპის სრული და ხილული გაბატონება... საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბგერა ნამდვილად უნდა იყოს გაჯერებული ღირებულებით, რომ მნიშვნელობის მსგავსად მასში არაფერი უნდა წარმოჩნდეს ერთბაშად და დაუზიანებლად იმ ყურისთვის, რომლიც აღიქვამს მას, და, რომ, ამ მნიშვნელობით დაწყებული, ეს ბგერა უნდა იქნეს განკუთვნილი მხოლოდ და მხოლოდ მისთვის. ბუნებრივია, რომ ეს გულისხმობს დიდ სიზუსტეს განსაზღვრულ ურთიერთობებში, ჩვენ კი სწორედ მსგავსი კონკრეტულობა გვაინტერებს ბგერასთან მიმართებით. რაც უფრო დაკონკრეტებული და არაფიზიკურია ეს უკანასკნელი, მით უფრო მკვეთრად გაირჩევა ისინი ერთმანეთისაგან. დანაწევრების არსის გაბატონების წყალობით, ენის ქმნადობის ძალის რეცეპტორული და სპონტანური თავისებურებები არა მხოლოდ ძლიერდება, არამედ სწორ გზაზეც აგრძელებს დგომას“ (ჰუმბოლდტი 1999: 75).

როდესაც XIX საუკუნის ფონოსემანტიკურ მემკვიდრეობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მორის ბლუმფილდი (Maurice Bloomfield), რომელმაც რამდენიმე სერიოზული სტატია მიუძღვნა ჩვენთვის საინტერესო საკითხს (ბლუმფილდი 1891; 1893; 1895).

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისა და მორის ბლუფილდის მოსაზრებებში უფრო მეტი ინტუიციური ხედვა ჩანს ფონოსემანტიკის ცნებისა, ვიდრე XX საუკუნეში შექმნილი სპეციალური ლიტერატურის დიდ ნაწილში; და მაინც, მათ ნაშრომებში სათანადო

მოცულობით არ არის წარმოდგენილი ემპირიული მასალა, რომელიც საკმარისი გახდებოდა საიმისოდ, რათა დაემტკიცებინათ ან უარეყოთ მოსაზრება მოცემული ფონემის არტიკულაციასა და მის მნიშვნელობას შორის არსებობული რეგულარული სინქრონიული კორელაციის შესახებ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნეში ფონოსემანტიკური კვლევებისათვის სოლიდური ემპირიული ბაზის შესაქმნელად მართლაც ბევრი რამ გაკეთდა.

ემპირიული ბაზის შექმნაში ლომის წილი უდევთ ამერიკული ეთნოლინგვისტიკური სკოლის წარმომადგენლებს, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მათ ასევე დაამკვიდრეს ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება ფონოსემანტიკის საკითხების კვლევაში. ამ მხრივ გამორჩეული როლი ითამაშა ედუარდ სეპირმა (Eduard Sapir). მან შემდეგნაირად განმარტა თავისი კვლევის მიზანი: „ჩვენ კანონზომიერად შეიძლება დავსვათ შეკითხვა იმის შესახებ, მოიპოვება თუ არა სათანადო რაოდენობის ნორმალური პიროვნებების მეტყველებაში რაიმე სახის ტენდენცია, როდესაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ ექსპრესიულ სიმბოლიზმს არა მხოლოდ სამეტყველო დინამიკის სფეროში (მახვილი, ტონი და სხვადასხვა რაოდენობრივი მონაცემი), არამედ ასევე ფონეტიკური მასალის სფეროში... ჩემი კვლევის მთავარი მიზანია იმის გარკვევა, არსებობს თუ არა აღქმა ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის განსხვავებების სიმბოლური სიდიდისა, მიუხედავად გარკვეული ასოციაციებისა, რაც გამოწვეულია ამ ხმოვნებისა და თანხმოვნების პოვნიერებით სრულმნიშვნელოვან სიტყვებში“ (სეპირი 1929: 62). რაც შეეხება ექსპერიმენტს, სეპირმა გამოკითხა ყველა ასაკობრივი ჯგუფის ხუთასამდე რესპონდენტი, რომელთაც შემდეგი ტიპის კითხვები დაუსვა: „სიტყვები ‘mal’ და ‘mil’ ორივე აღნიშნავს ‘მაგიდას’ მავან ენაში. რომელი მაგიდა უფრო დიდია: ‘mal’ თუ ‘mil’? ბავშვების 83%-მა და ზრდასრულების 96%-მა უპასუხეს, რომ ‘mal’ უფრო დიდი იყო, ხოლო ‘mil’ -- უფრო პატარა.“ ე. სეპირის მტკიცებით „ბგერეთა კომპლექსი a-თი ასიმბოლიზირებს უფრო „დიდს,“ ვიდრე ბგერათა კომპლექსი i-თი; გარდა ამისა, იმ ბგერებს, რომლებიც ვოკალურ შკალაზე a-ს მახლობლად მდებარეობენ, აქვთ ტენდენცია, აღნიშნავდნენ „დიდს,“ ხოლო i-ს მახლობლად მყოფნი კი – „პატარას“ (იქვე: 63). თავისი ექსპერიმენტების კვალად მან ივარაუდა, რომ შესაძლოა ჩვენ არაცნობიერად ვგრძნობთ, რომ ეს გარემოება ენის (როგორც ორგანოს) პოზიციასთან არის დაკავშირებული: i-ს შემთხვევაში ენა მაღლაა სასასთან და ჰაერის ნაკადი გადის ვიწრო სარეზონანსო არეში, a-ს შემთხვევაში კი პირიქით – ენა ძლიერ დაბლაა და უკანაა გადაწეული, რის გამოც ჰაერნაკადი გადის უფრო ფართო სარეზონანსო არეში“ (იქვე: 65).

ამ ვარაუდზე დაყრდნობით ფონეტიკური სიმბოლიზმის ობიექტური ფაქტორები განიხილა ე. სეპირის ყოფილმა ასისტენტმა ს. ნიუმენმა, რომელმაც მოგვცა ხმოვანთა შკალა: i>e>E>æ>a (მნიშვნელობების გრადაცია: პატარადან დიდისაკენ, ბნელიდან ნათელისაკენ) (ნიუმენი 1933). ამ მხრივ საინტერესოა მ. ებერჰარდტის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი. იგი ე. სეპირისა და ს. ნიუმენის მეთოდით ატარებდა ცდებს ინგლისურად მკითხველ ყრუ ბავშვებზე. ყრუ ცდისპირები ინგლისური ენის ხმოვან ბგერებს ანაწილებდნენ ძირითადად იმავე წესით, როგორც სმენის მქონე ინგლისელები. იმ განსხვავებით, რომ u-ს ადგილი გადაანაცვლეს მასზე მსჯელობდნენ, როგორც „ძალიან პატარაზე“ (ებერჰარდტი 1940).

ფონეტიკურ სიმბოლიზმს თითოეული მეცნიერი თავისებური ლექსიკური მიმართებით იკვლევდა; ე. სეპირი –- დიდ-პატარას მიმართებით (1929), ს. ნიუმენი –- დიდ-პატარასა და ნათელისა და ბნელის მიმართებით (1940), მ. ბენტლიმ და ე. ვარონმა ამ მიზნით 10 წყვილი

კონტრასტული კატეგორია გამოიყენეს (სიდიდე, კუთხოვნება, სისულელე, გამძლეობა, თხევადობა, სიყვარული, მოძრაობა, ხმაური, სიმყარე, ძალა) (1933).

კლასიკური სტრუქტურალიზმის ხანაში ყველაფერი გადაფარული იყო ენის ნებისმიერობის პოსტულატით. ამ პოსტულატს დიდი გასაქანი ჰქონდა არა მარტო ევროპაში და არა მარტო ფერდინანდ დე სოსიურის წიგნის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ (1916) გამოსვლის შემდეგ. ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1874 ამერიკის ფილოლოგიური საზოგადოების წინაშე წაკითხულ ლექციაში ცნობილი ამერიკელი ინდოევროპეისტი უილიამ დუაიტ უიტნი მხარს უჭერდა ყველა ენობრივი ნიშნის ნებისმიერობას (უიტნი 1875). ორი საუკუნით ადრე კი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი თავის ნაშრომში „ნარკვევი ადამიანის ინტელექტის შესახებ“ (1690) წერდა, რომ სიტყვები ცნებათა ნიშნებია „არა რაიმე ბუნებრივი კავშირის წყალობით, რომელიც არსებობს კონკრეტულ დანაწევრებულ ბგერებსა და გარკვეულ ცნებებს შორის, რადგან მაშინ ყველა ადამიანს ერთი ენა ექნებოდა” (III.2.1) (ლოკი 1999: 146).

ზემოხსენებული არაშემწყნარებლური მიდგომის წყალობით ფართო სამეცნიერო საზოგადოებისაკენ გზა დაეხშო არაერთ მნიშვნელოვან ნაშრომს. აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ინგლისელი გრამატიკოსის ჯონ უოლისის (John Wallis) ჯერ კიდევ 1653 წელს ლათინურ ენაზე დაწერილი ნაშრომი „Grammatica linguae anglicanae“. XX საუკუნეში, კერძოდ, 1972 წელს, გამოვიდა უოლისის ნაშრომის ინგლისური თარგმანი; ღირსსაცნობია, რომ მასში ამოღებული იყო დედნისეული მე-14 და მე-15 თავები, რომლებშიც ავტორი იხილავდა ონომატოპეას და წარმოადგენდა ფონეტიკური სიმბოლიზმის კრატილოსისეულ თეორიას (კემპი 1972). ენის ნებისმიერობის თეზისისაგან განდგომა ზოგიერთ მეცნიერს აკადემიური წრეებიდან მოკვეთად დაუჯდა. XX საუკუნის 30-იან წლებში ფინელმა ლინგვისტმა აჰტი რიტკონენმა (Ahti Rytkönen) დასაცავად წარადგინა თავისი ნაშრომი ფინური ენის სუფიქსების ბგერითი სიმბოლიზმის შესახებ. ადგილობრივმა ფინოლოგებმა მისი ნაშრომი არ ცნეს დისერტაბელურად, რადგანაც, მათი აზრით, ხმაბაძვითი და ფონოსიმბოლური ლექსიკა ეტიმოლოგიზებას არ ექვემდებარებოდა. 1940 წელს რიტკონენმა მხოლოდ კერძო გამოცემის სახით მოახერხა თავისი ნაშრომის გამოქვეყნება, თუმცა იგი მაინც სიცოცხლის ბოლომდე აკადემიური წრეების მიღმა დარჩა (ანტილა 1975: 19).

მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა, სწორედ XX საუკუნეში (განსაკუთრებით კი, მის მეორე ნახევარში) განხორციელდა უმნიშვნელოვანესი და ძალიან წარმატებული კვლევები ფონოსემანტიკის აქტუალური პრობლემების წარმოსაჩენად და მათ გადასაჭრელად. და მაინც, ჯერჯერობით უფრო მეტია გასაკეთებელი, ვიდრე გაკეთებული.

გასულ ასწლეულში შექმნილი ფონოსემანტიკური ლიტერატურის განხილვისას შეგნებულად ვუვლით გვერდს ისეთ ავტორებს, რომლებიც ამ მოვლენის პოეტიკური ასპექტების წარმოჩენასა და განხილვას ანიჭებდნენ უპირატესობას (მაგალითად, მორის გრამონი, ველიმირ ხლებნიკოვი, ივან ფონაგი და სხვები), რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი სამიზნე პრობლემატიკისათვის. ამასთანავე, ამ პარაგრაფში აღარ მიმოვიხილეთ XX საუკუნის ფონოსემანტიკური კვლევების მრავალი ღირებული ნიშანსვეტი, რათა თავიდან აგვერიდებინა განმეორება; მათ შესახებ ტერმინისა და ცნების საკითხებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში იქნება მსჯელობა.

ფონოსემანტიკასთან დაკავშირებული ტერმინები და ცნებები

ფონოსემანტიკის მეტაენა, მასთან დაკავშირებული ცნებები და ტერმინები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მათს მრავალფეროვანებას, ერთი მხრივ, განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამ საკითხებზე მსჯელობდნენ არა მხოლოდ ლინგვისტები და, ამდენად, ბუნებრივია, რომ ყველას (განსაკუთრებით, ფილოსოფოსებს) თავისი, სხვებისაგან მეტნაკლებად განსხვავებული ცნებითი აპარატი ჰქონდა, ხოლო, მეორე მხრივ, ფონოსემანტიკური ხასიათის მოვლენები ენათმეცნიერების სხვა (ფონეტიკა-ფონოლოგიისა და სემანტიკის გარდა) დარგების ინტერესების საგანიც ყოფილა. აღნიშნულ თემატიკაზე მსჯელობისას არც სხვადასხვა საენათმეცნიერო (და არა მარტო საენათმეცნიერო) სკოლის ტრადიციის პრეფერენციები უნდა იქნეს დავიწყებული. ასეთ ვითარებაში არსებობს ცნებათა აღრევისა და, შესაბამისად, გაურკვევლობა-გაუგებრობის წარმოშობის საფრთხე. ზემოთქმული გვაიძულებს, თავიდანვე გამოვკვეთოთ სათანადო ცნებები და ტერმინები და განვიხილოთ თითოეული მათგანის მეტაენობრივი ხვედრითი წილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ზემოთქმულს გარკვეულწილად ეხმაურებიან ჩვენი კოლეგა ენათმეცნიერები: „ყველა კონტინენტის ენებში დასტურდება ისეთი გამონათქვამების უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევიან გამოხატულებასა და მნიშვნელობას შორის არანებისმიერი ურთიერთობის მაჩვენებლად [...]. სხვადასხვა სამეცნიერო ტრადიაციაში განსხვავებული ტერმინები გამოიყენება, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია „იდეოფონები“ აფრიკანისტულ ლიტერატურაში (ჩაილდსი 1994), „ექსპრესივები“ ავსტროაზიური ენებისათვის (დიფლოთი 1976; სვანტესონი 1983) და „მიმეტიკები“ იაპონურისა და კორეულისათვის (ჰამანო 1998; სონი 1999; ივანოვა 2006). ამგვარი ტერმინოლოგიური სიჭარბე დამაბნეველია, რადგანაც, როგორც ჩანს, ისინი ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ“ (ალნერი & ზლატევი 2010: 309). თუ ავტორების მიერ ჩამოთვლილი სამიოდე ტერმინი სიჭარბეა და დაბნეულობას იწვევს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ვითარება იქნება სინამდვილეში, როცა სპეციალურ ლიტერატურაში ბგერწერასთან დაკავშირებული უამრავი ტერმინი ფიქსირდება.

ჩვენ გადავწყვიტეთ, საგანგებოდ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ერთ–ერთი საყურადღებო ერთეულია ო ნ ო მ ა ტ ო პ ე ა (ბერძნ. ὀνοματοποιία < Ὄνομα ‘სახელი’ + ποιέω ‘ვქმნი’). ღირსსაცნობია, რომ იგი ყველაზე ძველია და დღემდე გამოიყენება ხმაბაძვის მნიშვნელობით. თავდაპირველად „ონომატოპეა“ (onomatopoeia) ნიშნავდა სიტყვათქმნადობას ან სახელდებას; ხმაბაძვის აღსანიშნავად კი არსებობდა სხვა ტერმინი „ექომიმეტიკა“ (ბერძნ. ηχομιμητικό < ηχώ ‘ექო’ + μιμητικό ‘მიბაძვა’). მე–18 საუკუნისათვის მისი (ონომატოპეის) მნიშვნელობა დავიწროვდა და აღნიშნა ბუნებრივი ბგერების ხმაბაძვის გზით განხორციელებული სიტყვაწარმოება. ამ ცვლილებას თავისი გამართლებაც ჰქონდა, რადგან სიტყვათქმნადობის მნიშვნელობით არისტოტელე იყენებდა ტერმინს πεποιήμηνον (pepoiême-non) და არა ονοματοποιία (onomatopoeia). აქვე აუცილებლად უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ზოგიერთ ქართულ (და არა მარტო ქართულ) საენათმეცნიერო (და არა მარტო საენათმეცნიერო) ტექსტში გვხვდება ფორმა „ონომატოპოეტური“ (<ლათ. onomatos+poie-in/poet); მაგალითები საკმაოდაა: „ხმაბაძვითი (ონომატოპოეტური)“ (ჩიქობავა 2008: 66); „სტოელთა სკოლამ ძვ. საბერძნეთში სათავე დაუდო ენის წარმოშობის ონომატოპოეტურ (ხმაბაძვით) თეორიას“ (ნებიერიძე 1991: 48); „ონომატოპოეტურია (ხმაბაძვითია) სიტყვები, რომელთა ჟღერადობაც მათი მნიშვნელობის ანალოგიურია“ (ცაგარელი 2012: 27); „ბევრი

ქართული ზმნა, განსაკუთრებით, ონომატოპოეტური, ანუ ხმაბაძვითი სიტყვები“ (რეიფილდი 2006: 3). აღნიშნული ფორმა უმართებულოა; უნდა იყოს „ონომატოპეური.“ ონომატოპეის, როგორც ტერმინისა და ცნების, კვალიფიციური დეფინიციაა წარმოდგენილი ენციკოპედიაში „ქართული ენა“: „ხმაბაძვა, ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის (ყვირილის, სტვენის...) მიახლოებითი გადმოცემა სამეტყველო ბგერით და ხმის საფუძველზე სიტყვების შექმნა. ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს: ა) საკუთრივ ხმაბაძვა -- ფორმაუცვლელი (არაბრუნებადი და არაუღლებადი) ბგერათკომპლექსით ხმიანობის მიახლოებითი გადმოცემა: ყიყლიყო! გუ-გუ! ტკაც!..; ბ) ხმაბაძვის საფუძველზე ამა თუ იმ ხმიანობის აღნიშვნა ფორმაცვალებადი სიტყვებით: შრილია, ტკაცუნი, ხარხარი...; გ) ხმაბაძვის საფუძველზე ამა თუ იმ ხმიანობის გამოცემი მოვლენებისა და არსებების აღნიშვნა ფორმაცვალებადი სიტყვებით: გუგული, ჭრიჭინა, ტკაცუნა. ქართ. სიტყვებში ხმაბაძვითი ბგერათკომპლექსი გაორმაგებითა და ზოგი ბგერის შეცვლით გამოიყენება: შდრ. *ჭახ-ჭახანი -- ჭახჭახი, ტკაც-ტკაცუნი -- ტკაცატკუცი,* თუმცა ამ რიგის ლექსიკურიო ერთეულები ყოველთვის არა გვაქვს. ერთი და იგივე ხმიანობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ფასდება და გადმოიცემა, რაც დამოკიდებულია ამ ენათა ფონემურ წყობასა და შესაბამისი ფონემების სმენით აღქმაზე (შდრ. ქართ. ყიყლიყო -- რუს. кукареку)“ (ჯაფარიძე 2008: 320).

ღირსსაცნობია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ონომატოპეის ცნების გაფართოებული გაგება. ვგულისხმობთ, მაგალითად, მ. მეინარდის ნაშრომს (2015), რომლის სათაურიც საყურადღებოა ამ მხრივ: „ონომატოპეის ორი სახეობის შესახებ.“ ავტორი ერთმანეთისაგან განარჩევს „იმიტაციურ ონომატოპეასა“ და „ექოსებრ ონომატოპეას.“ პირველში შედის ისეთი სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანისა თუ სხვა ცოცხალი არსებების ხმიანობის მიბაძვას, ხოლო მეორეში (ანუ „ექოსებრ ონომატოპეაში“) ყველაფერი დანაჩენისა. თავის ნაშრომში ავტორი ვრცლად საუბრობს მის მიერ შემოთავაზებული დაყოფის სემანტიკურ, სემიოტიკურ, ფონეტიკურ, აკუსტიკურ და ნევროლოგიურ განზომილებებზე. ონომატოპეისა და მასთან დაკავშირებული ტერმინების ამგვარი ცნებითი „გავრცობა“ ერთეულ შემთხვევას არ წარმოადგენს ფონოსემანტიკურ ლიტერატურაში, რისი მაგალითებიც ქვემოთ იქნება მოწოდებული.

ბგერითი სიმბოლიზმი

საუბარი ბგერითი სიმბოლიზმის შესახებ ერთი ციტატით უნდა დავიწყოთ: „ხშირად საენათმეცნიერო თემების განხილვისას ენის ნებისმიერ ბუნებას „სიმბოლიზმს“ უწოდებენ და მას უპირისპირებენ არანებისმიერ იკონიზმს ანუ ბგერით სიმბოლიზმს. ამგვარად, ზოგადი ტერმინი „ბგერითი სიმბოლიზმი“ ოდნავ შეუსაბამოა, მაგრამ ფართოდ გამოიყენება და აღიარებულია ლინგვისტების მიერ ენის არანებისმიერი თვისების გამოსახატავად“ (რეი 2006: 531). მიუხედავად მისი ამგვარი პარადოქსულობისა, იგი ყველაზე გავრცელებული და მისაღები ტერმინია სიტყვის ბგერითი შედგენილობისა და მისი მნიშვნელობის ურთიერთკავშირის შემსწავლელ სფეროში.

1891 წელს, თავის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გერმანელმა მეცნიერმა გეორგ კონონ ფონ დერ გაბელენცმა (Georg Conon von der Gabelentz) გამოაქვეყნა უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „ბგერითი სიმბოლიზმი“ (Lautsymbolik). თავისი წინამორბედების მსგავსად იგი ბევრს საუბრობს, ერთი მხრივ, ბგერითი სიმბოლიზმისა და, მეორე მხრივ, ეტიმოლოგიისა

და ენის წარმოშობის ურთიერთმიმართების შესახებ. ავტორი წერს, რომ როგორც ბგერითი, ასევე მნიშვნელობის თვალსაზრისით დაკავშირებული სიტყვები წარმოადგენენ „შერჩევით სიახლოვეს“ (Wahlverwandtschaften). როდესაც თანდათან ვითვისებთ დედაენას, ბგერებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ეტიმოლოგიზდება ისტორიული ენათმეცნიერების გაუთვალისწინებლად. ეს ტენდენცია, მისი აზრით, საგრძნობლად ახდენს გავლენას ენის ევოლუციაზე. პირველი, ვინც გაბელენცს გამოეხმაურა, გახლდათ ჰუგო შუხარდტი (1897: 217- 223), რომელმაც შემოგვთავაზა ცნება Lautgebärde „ბგერითი ჟესტი.“[1]

გაბელენცის ზემოხსენებული გამოკვლევის სამეცნიერო წონისა და გამოქვეყნების თარიღის გამო იგი ხშირად აღიქმება პირველ ნაშრომად, სადაც ეს ტერმინი გვხვდება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან იგი გაცილებით უფრო ადრეულ პუბლიკაციებშიც ფიქსირდება, როგორიცაა, მაგალითად, ა. ფ. პოტის ნაშრომები (1862; 1884; 1885).

ფონოსემანტიკის ტერმინოლოგიის (და არა მხოლოდ ტერმინოლოგიის) ჩამოყალიბების თვალსაზრისით საგულისხმოა ედუარდ სეპირის (Eduard Sapir) მიერ 1929 წელს გამოქვეყნებული სტატია, რომლის სათაურში ჩნდება აღნიშვნა „ფონეტიკური სიმბოლიზმი“ (Phonetic Symbolism) (სეპირი 1929). ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამერიკული ეთნოლინგვისტიკის წიაღში სულ უფრო და უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ეს ტერმინი. 1938 წლით დათარიღებულ ხელნაწერში ბენჯამინ ლი უორფი (Benjamin Lee Whorf) იყენებს ტერმინს „ფონემური სიმბოლიზმი“ (phonemic symbolism)2 და აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს შესაბამისობას ბგერასა და მნიშვნელობას შორის, ერთი და იმავე ფონემის შემცველ მორფემათა ჯგუფის განმეორებადი კავშირი მნიშვნელობის რომელიმე ტიპთან, ფონემათა აშკარა გამოყენება სემანტიკური და აფექტური მიზნებით (უორფი 1956: 133). იუჯინ ნაიდა (Euegene Nida) მიუთითებს: „ფონეტიკური სიმბოლიზმი გამოიყენება იმავე მოვლენებთან კავშირში, რომლებიც განიმარტება სიტყვით სიმბოლური“ (ნაიდა 1949: 61). სწორედ ასეთი ძლიერი და ნაყოფიერი ტრადიციის წყალობითაა, რომ ინგლისურენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურაში „ფონოსემანტიკას“ (phonosemantics) ჭარბობს ტერმინი “ფონეტიკური/ბგერითი სიმბოლიზმი” (phonetic/sound symbolism). იაკოვ მალკილი (Yakov Malkiel) უპირატესობას ანიჭებს ვარიანტს „ფონოსიმბოლიზმი“ (phonosymbolism). უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უკანასკნელი მოსახერხებელი ერთეულია იმისათვის, რათა თავი ავარიდოთ განსხვავებას ფონეტიკურ და ფონოლოგიურ სიმბოლიზმს შორის. ამასთანავე, გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ ი. მალკილი იყენებს ტერმინს „პირველადი ფონოსიმბოლიზმი“ (primary phonosymbolism) ონომატოპეის, ხოლო ტერმინს „მეორეული ფონოსიმბოლიზმი“ (secondary phonosymbolism) ბგერწერის ყველა დანარჩენი სახეების აღსანიშნავად (მალკილი 1990: 43). ამ მიდგომას გარკვეულწილად ეხმაურება ს. ულმანის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „პირველადი ონომატოპეა“ (primary onomatopoeia) საკუთრივ ხმაბაძვას წარმოადგენს, ხოლო „მეორეული ონომატოპეა“ (secondary onomatopoeia) ბგერწერის ყველა დანარჩენი გამოვლინებაა (ულმანი 1966: 178). მიუხედავად

[1] უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულენოვან ლინგვისტიკურ ლიტერატურაში საკმაოდ მრავალრიცხოვანია ბგერწერასთან დაკავშირებული ტერმინები: Onomatopoie, Lautmalerei, Klangmalerei, Tonmalerei, Lautgebärde, Lautsymbolik, Lautmetapher, Lautbild, Lautabbildung, Lautnachahmung, Lautbedeutsamkeit, Wortklang, Ausdruckssprache, Sprachphysiognomik.

[2] არსებობს ნაშრომები, რომლებშიც ერთმანეთისაგან გამიჯნულია “ფონეტიკური სიმბოლიზმი“ და „ფონემური (ფონოლოგიურ) სიმბოლიზმი“ (იხ. მაგ., ჰაიზე 1966).

იმისა, რომელი ავტორი მიიჩნევს პირველადად თუ მეორეულად ონომატოპეას, ცხადია, რომ მისი და ფონეტიკური სიმბოლიზმის მიმართება ცნებით დონეზეა აყვანილი. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი თვალსაზრისი: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბგერით სიმბოლიზმს თავდაპირველად საფუძვლად ედო ხმაბაძვა“ (სერებრენიკოვი 1988: 142). ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ჰიუ ბრედინის (1996) მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფა სამი ტიპის ონომატოპეა; პირველსა და ყველაზე აშკარა ტიპს ეწოდება „პირდაპირი ონომატოპეა“, რომელიც აკმაყოფილებს ორ კრიტერიუმს: 1) სიტყვის დენოტაცია წარმოადგენს ბგერათა კლასს; 2) სიტყვის ჟღერადობა წააგავს მის მიერ აღნიშნული მოქმედებისას გამოცემულს. ამგვარად დასახელებულია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა hiss ‘შიშინი’, moan ‘კრუსუნი’, cluck ‘კრიახი’, whirr ‘ზზუილი’, buzz ‘ზუზუნი’. გაირჩევა ხმაბაძვითი მსგავსების მაღალი და დაბალი ხარისხები (ბრედინი 1996: 558). ონომატოპეის მეორე სახე გვხვდება მაშინ, როდესაც მოცემულ სიტყვაში შემავალი ბგერები ასოცირდება იმასთან, რასაც აღნიშნავს მოცემული სიტყვა. ამ სახესთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი ისტორიული მაგალითი „ბარბაროსი“; როგორც ცნობილია, ბერძნული სიტყვა βάρβαρος ხმაბაძვითი წარმოშობისაა და უცხოელთა, ე.ი. არაბერძნულად მოსაუბრეთა (შესაბამისად, ბერძენთათვის გაუგებარ) მეტყველებას აღნიშნავდა (‘ბარ-ბარ’ ‘ლუღლუღი’ > „ბარბაროსი“ – „ლუღლუღა“). თუკი პირველ ტიპს აღვნიშნავთ, როგორც პირდაპირ ონომატოპეას, მეორეს შეიძლება ასოციაციური ვუწოდოთ (იქვე: 560). რაც შეეხება მესამე ტიპს, მას ავტორი უწოდებს „თვალსაჩინო ონომატოპეას“. იგი ემყარება იმ ძალისხმევის მოცულობასა და ხასიათს, რასაც მთქმელი გასწევს მოცემული სიტყვის წარმოთქმისას. „ისეთი სიტყვების წარმოთქმა, როგორებიცაა nimble ‘მკვირცხლი’ და dart ‘ხელშუბი’, კუნთებისა და ფილტვების ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ეს ხდება ისეთი სიტყვების შემთხვევაში, როგორებიცაა sluggish ‘ზოზინა’ და slothful ‘ზანტი’. ამასთანავე, მათი ხშული თანხმოვნების შემხედვარე მთქმელი გამოთქვამს მათ მკვეთრად და სწრაფად, მაშინ როცა ეს ორი უკანასკნელი სიტყვა ნელა და ძალდაუტანებლად წარმოითქმის. ამ სიტყვების რელევანტური ნიშნები -- ნიშნები, რომლებიც წარმოადგენენ მათს აკუსტიკურ ხასიათს, შესაბამისი ტერმინებით აღინიშნება: მჟღერობა-სიყრუე, ხშულობა, ნაპრალოვნობა, მახვილი, სიგრძე, ფაკულტატიური პაუზა; მაგრამ, მიუხედავად იმისა, ვიცით თუ არა ჩვენ ეს სახელწოდებები, სწორედ ეს ნიშან-თვისებებია პასუხისმგებელი ჩვენი ყოველდღიური ენობრივი გამოცდილებების ცნობილ ასპექტებზე“ (იქვე: 563).

როჯერ უესკოტთან (Roger W. Wescott) გვხვდება ტერმინი „ფონოსემიკა“ (phonosemics) (უესკოტი 1971).

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად „ფონეტიკური/ბგერითი სიმბოლიზმის“, როგორც ტერმინის დომინანტობისა, იგი ვერ ასცდა მკვეთრ კრიტიკას. ასე, მაგალითად, „ბგერითი სიმბოლიზმი არ წარმოადგენს ძალიან დამაკმაყოფილებელ ტერმინს, მაგრამ იგი ცნობილია როგორც იმ მოვლენის აღმნიშვნელი, რომელიც გულისხმობს მრავალი სიტყვის ბგერითი სტრუქტურის აშკარა შესაბამისობას მათს მნიშვნელობასთან. ალბათ, „ბუნებრივი ექსპრესიულობა“, უკეთესად აღწერს მას. „ბგერითი სიმბოლიზმი“ არადამაკმაყოფილებელია იმ თვალსაზრისით, რომ მასში გამოყენებულია რადიკალური წინააღმდეგობების შემცველი ცნება „სიმბოლო“. იგი ერთ-ერთი სიტყვაა, რომელიც ფართოდ და გაბედულად გამოიყენება ბევრ სხვადასხვა დისციპლინაში, თუმცა ნაკლებადაა შეტანილი სიცხადე სიმბოლოს რაობაში.

ხშირად სრული წინააღმდეგობა გვაქვს იმაში, თუ რა მნიშვნელობით გვხვდება „სიმბოლო“ სხვადასხვა ავტორთან“ (ალოტი 1995: 15). აღნიშნულის თვალსაჩინო დასადასტურებლად შეიძლება ერთმანეთს შევუდაროთ ორი ავტორიტეტული ენათმეცნიერის თვალსაზრისები: ერთი მხრივ, ამერიკელი დუაიტ ბოლინჯერი აცხადებს, რომ იმ მნიშვნელობებს, რომლებშიც ბუნება იმიტირებულია ფორმით, ეწოდება იკონური, ხოლო იმ მნიშვნელობებს, რომლებიც არიან ნებისმიერი და კონვენციური, ეწოდება სიმბოლური (ბოლინჯერი 1963); მეორე მხრივ, ჟან-მიშელ პერტერფალვი ამბობს, რომ თანამედროვე გაგებით ტერმინი „სიმბოლო“ ყოველთვის გულისხმობს ბუნებრივ და არა კონვენციურ, ანალოგიურ შესაბამისობას კონკრეტულ ფორმასა და მის მიერ სიმბოლიზებულ ფორმას შორის (პეტერფალვი 1965: 444).

რადგან „ბგერითი/ფონეტიკური სიმბოლიზმი“ ყველაზე გავრცელებულ ტერმინად ჩამოყალიბდა ჩვენთვის საინტერესო მოვლენის აღსანიშნავად, ამ ფაქტმა განაპირობა ისიც, რომ მისი მნიშვნელობა მეტისმეტად მოცულობითი გახდა; ვგულისხმობთ იმას, რომ დღესდღეობით ხსენებული ტერმინით ენობრივ მოვლენათა საკმაოდ ფართო წრე აღინიშნება. 1994 წელს გამოცემული კრებულის „ბგერითი სიმბოლიზმის“ რედაქტორები ცდილობენ, წარმოადგინონ ბგერითი სიმბოლიზმის ერთგვარი ტიპოლოგია. პირველ რიგში ისინი გამოყოფენ „სხეულებრივ ბგერით სიმბოლიზმს“: „ეს არის გარკვეული ბგერების ან ინტონაციური მოდელების გამოყენება მთქმელის შინაგანი, იქნება ეს ემოციური თუ ფიზიკური, მდგომარეობის გამოსახატავად. ამ კატეგორიაში შედის უნებლიე, „სიმპტომატური“ ბგერები, როგორებიცაა ხველება ან სლოკინი, და მოიცავს ექსპრესიულ ინტონაციას, ბგერის ექსპრესიულ ხარისხსა და შორისდებულებს. შეიძლება გამოითქვას არგუმენტი, რომ ეს არ არის საკუთრივ ბგერითი სიმბოლიზმი, რადგანაც ამ შემთხვევაში ბგერა წარმოადგენს არა ჭეშმარიტ სიმბოლოს, არამედ ნიშანს ან სიმპტომს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვუთმობთ მას ადგილს ამ ტიპოლოგიაში [...], რადგანაც იგი ბინადრობს ბგერითი სიმბოლიზმის მიმდებარედ და დაკავშირებულია ბგერითი სიმბოლიზმის (და საერთოდ ენის) ბიოლოგიურ ძირებთან“ (ჰინტონი და სხვ. 1994: 2). გარდა ავტორების მიერ მოყვანილი არგუმენტისა, აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიაში შეყვანილი ერთეულების უმრავლესობა (ყველა, გარდა შორისდებულებისა) არ წარმოადგენს საკუთრივ ენობრივ მოვლენას; ისინი არ შედგებიან სამეტყველო ბგერებისაგან. ამიტომაც, საკმაოდ გაჭირდება მათი დაყენება ბგერითი სიმბოლიზმის სხვა ტიპების გვერდით. მეორე ტიპს წარმოადგენს „იმიტაციური ბგერითი სიმბოლიზმი“, რაშიც ავტორები ონომატოპეას გულისხმობენ. მომდევნო ტიპს ეწოდება „სინესთეზური ბგერითი სიმბოლიზმი“. იგი წარმოადგენს „არააკუსტიკური მოვლენების აკუსტიკურ სიმბოლიზაციას. სინესთეზური ბგერითი სიმბოლიზმი წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ხმოვნები, თანხმოვნები და სუპრასეგმენტური ერთეულები თანამიმდევრულად შეირჩევიან საიმისოდ, რომ გამოხატონ საგანთა ვიზუალური (მხედველობითი), ტაქტიკური (შეხებითი) ან პროპრიოცეპტული (მოძრაობა-მდგომარეობის შეგრძნებებთან დაკავშირებული) ნიშან-თვისებები, როგორიცაა ზომა ან მოყვანილობა. ნიშანდობლივია, რომ ამ ტიპზე საუბრისას ავტორები არ ახსენებენ ფონოსემანტიკას, რომლის არსიც ზუსტად შეესაბამება ამ ტიპს. ამის შემდეგ განხილულ ტიპს ავტორებმა „კონვენციური ბგერითი სიმბოლიზმი“ უწოდეს: „ეს არის გარკვეული ფონემები და ფონემათკომპლექსების ანალოგიური ასოცირება გარკვეულ მნიშვნელობებთან“ (ჰინტონი და სხვ. 1994: 5). გამოდის, რომ ამ კატეგორიაში ისინი განიხილავენ მოვლენას, რომელიც უფრო ფართოდ ფონესთეზიის სახელითაა ცნობილი. დაბოლოს, ზემოაღნიშნული

ტიპების სხვადასხვა სტრუქტურული ნიშან-თვისების გათვალისწინებით გამოყოფილია ე.წ. „მეტალინგვისტური ბგერითი სიმბოლიზმი“. აქ ნაგულისხმევია ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ენაში ფონოსემანტიკურ ერთეულებს ახასიათებთ რეგულარული, სიტყვათა სხვა ჯგუფებისაგან განმსხვავებული სტრუქტურული მახასიათებლები. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფად ისინი ექსპრესივებსაც ასახელებენ (ჰინტონი და სხვ. 1994: 7). რადგანაც ჩვენ ექსპრესივის, როგორც ტერმინისა და ცნების, შესახებ ცალკე უნდა ვისაუბრებთ, ამჯერად აღარ განვავრცობთ მსჯელობას.

ფონესთეზია

1930 წელს ბრიტანელმა ენათმეცნიერმა ჯონ რ. ფერთმა (John R. Firth) შემოგვთავაზა ტერმინი “ფონესთემა” (phonaestheme <ბერძნ. φωνή ‘ბგერა,’ და αἴσθημα ‘აღქმა’). მიუხედავად იმისა, რომ მის წიგნში არ არის წარმოდგენილი ამ ცნების განმარტება, მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ ამ ტერმინით იგი აღნიშნავს ბგერათკომპლექსებს, რომლებიც რეგულარულად შეესატყვისებიან მსგავს მნიშვნელობებს (მისი მაგალითებია sl-: slack, slouch, slush, sludge, slime, slosh, slash, sloppy, slug, sluggard, slattern, slut, slang, sly და ა.შ.). ფერთი ფიქრობს, რომ sl- ბგერათკომპლექსით დაწყებული სიტყვები კნინობითი მნიშვნელობისაა, თუმცა საკუთრივ ბგერებში ვერაფერი იქნება კნინობითი. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ფრედ ჰაუსჰოულდერი (Fred Householder) ასე განმარტავს ფონესთემას: „ფონემა ან ფონემათა კომპლექსი, რომელიც საზიაროა სიტყვათა ჯგუფისათვის, რომელთაც მოეპოვებათ მნიშვნელობის საზიარო ელემენტი ან ფუნქცია.“ აღსანიშნავია, რომ ფონესთემების არსებობა დაასაბუთეს ამერიკელებმა ლეონარდ ბლუმფილდმა (Leonard Bloomfield) და ბენჯამინ ლი უორფმა (Benjamin Lee Whorf), თუმცა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ინგლისელი ჯონ უოლისი (John Wallis) გამოყოფდა ინგლისურ ფონესთემებს, XVIII საუკუნეში შარლ დე ბროსი (Charles de Brosses) -- ფრანგულ ფონესთემებს. ფონესთემის ბადლად სპეციალურ ლიტერატურაში ასევე გვხვდება შემდეგი ტერმინები: „ფსიქომორფები,“ „სუბმორფემული დიფერენციალი“ და ა. შ. ტერმინ „ფონესთემას“ გამოყენების კვალად ფონოსემანტიკის ბადლად ზოგჯერ გვხვდება „ფონესთეზია.“

ღირსსაცნობია, რომ ქართულენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურაში „ფონესთემას“ ეკვივალენტად შემოთავაზებულია ტერმინი „სუპრაფონემა“: იგი „შესაბამის სიტყვებში ბგერათსიმბოლური კომპონენტის მატარებელია და რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც მყარი ბგერითი შესიტყვება, სტრუქტურულად შემდგარი, როგორ წესი რამდენიმე ფონემისაგან, სიტყვის ფონეტიკური ჟღერადობისა და საგნების თვისებების ობიექტური ასოციაციების გამომწვევი. თავისი სტრუქტურის მიხედვით, ის, როგორც წესი, შედგება 2-4 ფონემისაგან, რომელთა შერჩევა სულაც არ არის ნებისმიერი და ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული ენის ფონეტიკურ სტრუქტურაზე“ (ლომიძე 2009: 78).

ექსპრესივები

საყურადღებოა, რას წერს ექსპრესივების სისტემური კვლევის ერთ-ერთი პიონერი ამ ტერმინისა და ცნების შესახებ; იგი უთითებს თავის ადრინდელ მოხსენებას (დიფლოთი 1972) და ამბობს: „მე ვუწოდე ამ სიტყვებს „ექსპრესივები“, დავესესხე რ. იაკობსონს

[(1966)], რომელიც ეყრდნობოდა პირსს, ვინც ექსპრესიულ მნიშვნელობას იკონურობას უთანაბრებდა“ (დიფლოთი 1979: 49). აქ აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ ორი საკითხი: 1) როგორც ნაშრომის ტექსტში, ისე დამოწმებული ლიტერატურის ჩამონათვალში ჟერარ დიფლოთი უთითებს რ. იაკობსონის 1966 წლის სტატიას. სინამდვილეში იგი დაიბეჭდა 1965 წელს (იხ. იაკობსონი 1965); 2) ხსენებულ სტატიაში იაკობსონი ვრცლად საუბრობს აღნიშნული საკითხის შესახებ, თუმცა არსად ახსენებს ტერმინს „ექსპრესივი,“ თუნდაც ჩარლზ პირსთან მიმართებაში. უფრო მეტიც, სტატიაში ერთადერთხელ გვხვდება სიტყვა expressive „გამომხატველობითი“ და ისიც სტივენ ულმანთან დაკავშირებით დამოწმების გარეშე: „ჩვეულებრივ მეტყველებაშიც კი შესაბამის ფონოლოგიურ გარემოცვას, როგორც ამას სემანტიკოსი სტივენ ულმანი შენიშნავდა, შეუძლია გააძლიეროს სიტყვის გამომხატველობითი ხარისხი“ (იაკობსონი 1965: 34).

ექსპრესივებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ კლასიკურ ნაშრომში ჟ. დიფლოთი გვაძლევს სამი ურთიერთდაკავშირებული ცნებისა და ტერმინის საყურადღებო განმარტებებს: „ონომატოპეური ფორმები წარმოაჩენენ აკუსტიკურ სიმბოლიზმს და აქვთ ისეთი სინტაქსური და მორფოლოგიური თავისებურებები, რომლებიც სრულიად განსხვავდება ზმნებისა და სახელებისაგან. იდეოფონები წარმოადგენენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც წარმოაჩენენ ნებისმიერი სახის (აკუსტიკური, არტიკულაციური, სტრუქტურული) ფონოლოგიურ სიმბოლიზმს და აქვთ განსხვავებული მორფოსინტაქსური თავისებურებები; იდეოფონები მოიცავენ ონომატოპეურ სიტყვებს, როგორც ქვეკლასს. ექსპრესივებს აქვთ იგივე მორფო-სინტაქსური თავისებურებები, რაც იდეოფონებს, მაგრამ მათი სიმბოლიზმი, თუკი ასეთი არსებობს, არ არის მაინცდამაინც ფონოლოგიური; ექსპრესივები მოიცავენ იდეოფონებს, როგორც ქვეკლასს“ (დიფლოთი 1976: 263-264, სქ. 2).[1]

აღსანიშნავია, რომ ექსპრესივების შესახებ ქართველურ ენებში მნიშვნელოვანი კვლევა განახორციელა ამერიკელმა ენათმეცნიერმა დი ენ ჰოლისკიმ (Dee Ann Holisky). იგი წერს: „ექსპრესივები შეადგენენ სპეციალურ ფორმობრივ კლასს (ან მეტყველების ნაწილს), რომელიც მრავალმხრივ განსხვავდება სხვა, უფრო ცნობილი ფორმობრივი კლასებისაგან, როგორებიცაა არსებითი სახელები, ზმნები ან ზედსართავები” (ჰოლისკი 1988: 53). ღირსსაცნობია, რომ ამავე ნაშრომში ავტორი გვაწვდის ექსპრესივთა ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და სტილისტური თავისებურებების საკმაოდ გრძელ ჩამონათვალს: ა) მათ ხშირად წინ უძღვის პაუზა ან იზოლირებული არიან ინტონაციურად; ბ) მათში ყოველთვის არ ფიქსირდება ის ფონოტაქტიკური ყალიბები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლექსიკის დანარჩენი ნაწილისათვის; ექსპრესივებს ხშირად აქვთ საკუთარი ფონოტაქტიკური წესები; გ) ენაში არსებული ზოგიერთ ფონოლოგიური წესი შესაძლოა არ მუშაობდეს ამ კლასისათვის; ამ კლასში შემავალ სიტყვებს შესაძლოა ჰქონდეთ სპეციალური ფონოლოგიური წესები; დ) ხშირად მათ არ აქვთ ლექსიკური დისკრეტულობა; ე) მათ არ აქვთ (რეგულარული) ფლექსიური აფიქსები ან შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი სპეციალური აფიქსები; მათში შესაძლოა დაფიქსირდეს ისეთი მორფოლოგიური პროცესები, რომლებიც არ დასტურდება ლექსიკის დანარჩენ ნაწილში; ვ) მათ ძალიან შეზღუდული

[1] ამ უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იმავე სტატიის დასაწყისში ავტორი მათ ტერმინოლოგიურ სინონიმებად წარმოგვიდგენს: „ეს კლასი შედგენა ექსპრესივების ანუ იდეოფონებისაგან“ (იქვე: 249). ასეა სხვა ავტორებთანაც; მაგალითად, რ. ბლენჩთან (2013: 53) ასეა: „იდეოფონები (ანუ ‘ექსპრესივები’ აზიური ტერმინოლოგიით).“

სინტაქსური პოზიციები აქვთ და ხშირად იზოლირებული სახით გვხვდებიან; ზ) ისინი არ გვხვდებიან კითხვით და უარყოფით წინადადებებში; ისინი არ იწარმოებენ მრავლობითს არ ექვემდებარებიან სახეცვლილებას; თ) ისინი ხშირად აღწერენ სიტუაციას მთლიანობაში და სემანტიკურად უფრო ახლოს არიან პროპოზიციასთან, ვიდრე პრედიკატთან და მის ფარდ სახელებთან; ი) ისინი გადმოგვცემენ პერცეფციულ ნიშან-თვისებებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა დეტალურია, იდიოსინკრაზულია და ძნელად ექვემდებარება თარგმნას და პერიფრაზირებასაც კი; კ) ხშირად მათში გამოხატულია მოსაუბრის გრძნობები ვითარების მიმართ; ამგვარად, მათი მნიშვნელობები არის არა დესკრიფციული, არამედ ექსპრესიული; ლ) მათში ხშირად წარმოჩენილია სტილისტური შეზღუდვები; მაგალითად, ისინი განეკუთვნება მხოლოდ ბავშვის მეტყველებას ან მიიჩნევა არასტანდარტულ ფორმად ან კიდევ გამოიყენება მხოლოდ ზეპირმეტყველებაში და ა.შ. (იქვე: 54).

როგორც უკვე დავინახეთ, ძალიან ბევრ ავტორთან „ექსპრესივები“ და „იდეოფონები“ ტერმინოლოგიურ სინონიმებად არის გამოყვანილი; არც ის ფაქტი უნდა დავტოვოთ ყურადღების მიღმა, რომ მათ ბადლად სპეციალურ ლიტერატურაში სხვა ტერმინებიც გვხვდება; ასე, მაგალითად, impressifs „იმპრესივები“ (დიურანი 1961), phonaesthetic words „ფონესთეტური სიტყვები“ (ჰენდერსონი 1965), palabras afectivas „აფექტური სიტყვები“ (ინგლენდი 2006), mimetics „მიმეტური სიტყვები“ (კიტა 1997).

როგორც ზემოთ წარმოჩნდა, კვლევის ადრეულ ეტაპზე ტერმინები „ექსპრესივი“ და „იდეოფონი“ (< ბერძნ. ἰδέα ‘ცნება, აზრი’ + φωνή ‘ხმა, ბგერა’) სინონიმებად კი მიიჩნეოდნენ, მაგრამ ერთგვარი არეალურ-გენეტიკური მიკუთვნებულობით გამოირჩეოდნენ: „ექსპრესივი“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენებისათვის, ხოლო „იდეოფონი“ აფრიკული ენებისათვის. ასე, მაგალითად, იდეოფონი წარმოადგენს „გამონათქვანის ელემენტს, ხშირად ხმაბაძვითს, რომელიც ბანტუ ენებში [! -- ზ.კ.] ემსახურება წინადადების წევრის აღნიშვნას მის ფიზიკურ იერთან მიმართებაში“ (მარუზო 1961: 114). ამჟამად ხსენებული არეალურ-გენეტიკური დაყოფა აღარ არის ძალაში. ამის კარგი თვალსაჩინოებაა კრებული „იდეოფონები“ (ფოლცი & კილიან-ჰატცი 2001), რომელშიც შესული სტატიები ეხება იდეოფონებს აფრიკის, ამერიკის, აზიის, ავსტრალიისა და ევროპის ენებში.

რა არის იდეოფონი? „იდეოფონები წარმოადგენენ [ფონეტიკურად -- ზ.კ.] მარკირებულ სიტყვებს, რომლებიც აშკარად გამოხატავენ სენსორულ მოვლენებს“ (დინგემანსე 2009: 83). იდეოფონის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტების ავტორი გახლავთ კლემენტ დოუკი, რომელიც ამბობს, რომ იდეოფონი არის „ცნების აშკარა რეპრეზენტაცია ბგერაში; სიტყვა, ხშირად ხმაბაძვითი, რომელიც აღწერს პრედიკატს, ნიშან-თვისების გამომხატველ ერთეულს ან ზმნიზედას ვითარებასთან, ფერთან, ბგერასთან, სუნთან, მოქმედებასთან, მდგომარეობასთან ან ინტენსივობასთან მიმართებაში“ (დოუკი 1935: 188).

ზოგიერთ ნაშრომში მიჩნეულია, რომ ტერმინი „იდეოფონი“ სწორედ ზემოხსენებულმა კ. დოუკმა (1935) შექმნა და შემოიღო (იხ., მაგ., ანდერსონი 1998: 90). სინამდვილეში იგი ჯერ კიდევ 1881 წელს ჩნდება ბრიტანელ ალეგზანდერ ელისთან (Alexander J. Ellis); როგორც აღმოჩნდა, ეს ტერმინი დაფიქსირებულია ლონდონის დიალექტური საზოგადოების მიერ დაბეჭდილ მოსაწვევზე, რომელიც 1881 წლის ნოემბერში ჩასატარებელი შეკრებების შესახებ იუწყებოდა. ეს ბარათი გაუგზავნა ა. ელისმა თავის მეგობარს, რომელმაც მოგვიანებით გადასცა იგი ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის არქივს (იხ. შრაივერი 2009: 35). და

მაინც, სპეციალურ ლიტერატურაში მისი დამკვირდება და სათანადო (დღესაც მიღებული და ხშირად ციტირებული) განმარტების შემოთავაზება სამხრეთაფრიკელი კლემენტ დოუკის (Clement M. Doke) სახელს უკავშირდება.

ფონოსემანტიკის ბადლად ფრანგულ საენათმეცნიერო ტრადიციაში გვხვდება ტერმინი „მიმოლოგია“ (mimologique), რაც, უპირველეს ყოვლისა, ჟერარ ჟენეტის (Gérard Genette) სახელთანაა დაკავშირდებული. მის კალამს უკუთვნის წიგნი „მიმოლოგია: მოგზაურობა კრატილეთში“ (ჟენეტი 1976), რომელიც უფრო ინტერდისციპლინური ნაშრომია, ვიდრე საკუთრივ ენათმეცნიერული.

ფონოსემანტიკა

„ფონოსემანტიკა“ (< ბერძნ. φωνή ‘ხმა, ბგერა’ + σημαντικός ‘მნიშვნელობის მქონე’) უმნიშვნელოვანესი ცნებითი და ტერმინოლოგიური ნიშანსვეტია ჩვენ მიერ განსახილველ საკითხებთან მიმართებაში. საკმაოდ მოიპოვება ისეთი ნაშრომები, რომლებშიც ამ ტერმინის შემქმნელად რუსი ენათმეცნიერი სტანისლავ ვორონინია (Станислав Васильевич Воронин) დასახელებული. მან 1982 წელს თავისი სადოქტორო დისერტაციის მიხედვით გამოაქვეყნა მონოგრაფია სახელწოდებით „ფონოსემანტიკის საფუძვლები“ (ვორონინი 1982), სადაც მდიდარი ენობრივი მასალის განხილვის კვალად მან ფონოსემანტიკაში გააერთიანა ხმაბაძვისა და ბგერითი სიმბოლიზმი ცნებები. ხსენებულმა ნაშრომმა მართლაც გამორჩეული წვლილი შეიტანა ბგერწერითი ლექსიკის კვლევაში, მაგრამ ტერმინის „ფონოსემანტიკა“ შექმნა და შემოღება ნადვილად არ ყოფილა მისი პრეროგატივა.

აღნიშნულის დასტურად გამოდგება ამ ტერმინის უფრო ადრინდელი პოვნიერება ფრანგულ-, იტალიურ-, ინგლისურ-, პორტუგალიურენოვან საენათმეცნიერო ტრადიციებში; ასე, მაგალითად, ზემოხსენებული წიგნის გამოსვლამდე ოთხი წლით ადრე იგი ჩანს ფილიპ მარტენის სტატიის სათაურშიც კი „ფონოსინტაქსისა და ფონოსემანტიკის საკითხები ფრანგულში“ (1978: 93). გაცილებით უფრო ადრეც ჩანს იგი სხვა სტატიის სათაურში „შენიშვნები სინქრონიული გრამატიკის შესახებ: (ii) ფონოსემანტიკური პარალელი“ (ბაზელი 1937: 204). იგი არაერთჯერ გვხვდება ჟან კოენის ცნობილ ნაშრომში „პოეზიის ენის სტრუქტურა“ (1966: 10, 54, 71). საინტერესოა, რომ მისგან ნაწარმოები სხვა ტერმინოლოგიურ ერთეულებსაც კი გვთავაზობს ზოგიერთი ავტორი; ასეთია, მაგალითად, „ფონოსემა“: „ცალკეული დაკვირვებების ჯაჭვიდან თანდათან გამოიკვეთა ელემენტების სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, განვმარტოთ მეტყველება, როგორც რთული წარმონაქმნი ფონოსემანტიკური ერთეულებისა, რომელთაც აქ ფონოსემებს ანუ მნიშვნელობის მატარებელ ბგერებს ვუწოდებთ“ (ბრანდენშტაინი 1970: 88). და მაინც, ამ მხრივ პიონერად ითვლება ფრანგი სინოლოგი პოლ პეიო, რომელთანაც ტერმინი „ფონოსემანტიკა“ 1936 წელს დაბეჭდილ სტატიაში გვხვდება (პეიო 1936: 163).

ფონეტიკური იკონიზმი

ფონეტიკური იკონიზმის, როგორც ცნებისა და ტერმინის, არსებობა იმის მანიშნებელია, რომ ფონოსემანტიკისსფეროშიჯერკიდევარარისმიღწეულიტერმინოლოგიურიკონსენსუსი. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში ვერანაირად ვერ გამოვრიცხავთ სემიოტიკის გავლენას, მაგრამ

სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად ადვილად დავრწმუნდებით, რომ სემიოტიკის გარდა ამ საქმეში ფაქტორის როლს ასრულებს ერთგვარი ცნებითი და ტერმინოლოგიური „არამდგრადობა.“ აღნიშნულის საილუსტრაციოდ ვიმოწმებთ რამდენიმე ციტატას ფონეტიკური იკონიზმის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევრის ნაშრომიდან: „ფონეტიკური იკონიზმი წარმოადგენს ფონეტიკური სიმბოლიზმის ერთ-ერთ ყველაზე დამაინტრიგებელ სფეროს. იგი ახდენს გარეენობრივი სინამდვილის არააკუსტიკური მოვლენების იკონიზებას“ (კორტველიესი 2011: 137). იმავე ნაშრომში, ორიოდე გვერდის შემდეგ ავტორი აცხადებს: „საერთოდ გაირჩევა ფონეტიკური იკონიზმის ხუთი ტიპი: ონომატოპეა, კინესთეზია, სინესთეზია, ქრომესთეზია და ფონესთეზია“ (იქვე: 139). აქ პრინციპულ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: ერთი მხრივ, ავტორისათვის ფონეტიკური სიმბოლიზმის „მექნიზმებში“ გაივლის „გარეენობრივი სინამდვილის არააკუსტიკური მოვლენები,“ ხოლო, მეორე მხრივ, მის ტიპებს შორის ხვდება ონომატოპეა, რომელიც ოდენ აკუსტიკურ მოვლენებს გულისხმობს, და ფონესთეზია, რომელიც შიდაენობრივ და აკუსტიკურ მოვლენებსაც მოიცავს.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობრივი გამონათქვამების არსებობა სწორედ იმის შედეგია, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ცნებითი და ტერმინოლოგიური კონსენსუსის მიღწევა; როგორც უკვე გამოჩნდა, სპეციალურ ლიტერატურაში ამ მხრივ განსაკუთრებული სიჭრელეა. ამგვარ ვითარებაში „ფონეტიკური იკონიზმისათვის“ უპირატესობის მინიჭება გარკვეული ნეიტრალიტეტის გამოვლენის მცდელობას წარმოადგენს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ, თუკი მისთვის უპირატესობის მიმნიჭებელთა ავტორთა ტექსტებში ხაზგასმით არ არის წარმოდგენილი სემიოტიკური პარადიგმა, ეს მცდელობა მეტნაკლებად წარმატებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა უდიდესი ნაწილი ფონეტიკური იკონიზმის უნივერსალურ თვისებას აღიარებს (ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს დაამტკიცოს იგი), სწორედ მისი უნიკალურობაა (ვგულისხმობთ იმას, რომ ამ მხრივ თითოეულ ენას ერთმანეთისაგან გამორჩეული თავისებურებები ახასიათებს) ის ფაქტორი, რაც აიძულებს მეცნიერებს განსხვავებული ცნებითი ოდენობები ეძებონ ენობრივად სპეციფიკური ფონოსემანტიკური ხასიათის მოვლენების აღსაწერად. ნათქვამის თვალსაჩინოებისათვის გამოდგება რუსული, იაპონური და ქართული მაგალითები.

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული თავისებურების საილუსტრაციოდ შემდეგი ციტატა უნდა დავიმოწმოთ: „Для звукоизобразительных слов характерна прямая связь между звуковой формой и значением. Поскольку их значение может быт «звуковым», данный класс слов подразделяется соответственно на подклассы звукоподражательных и звукосимволических (образоподражательных) слов... С семиотической точки зрения звукоизобразительные слова относятся к иконическим, неарбитрарным знакам языка, с точки зрения типа мотивированности к фонетически мотивированных словам“ (კოლევა-ზლატევა 2008: 33). ისეთი ერთეულები, როგორებიცაა „звукоизобразительные слова“ და „образоподражательные слова“, ოდენ რუსულენოვანი საენათმეცნიერო ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი; ციტატის ტექსტშიც ნათლად ჩანს, რომ ისინი არსებული და ფართოდ გავრცელებული ტერმინების სინონიმებადაა შემოთავაზებული.

იაპონურის ვითარება უფრო საინტერესოა, რადგან აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ტერმინოლოგიურ, არამედ ცნებით მრავალფეროვნებასთან, რაც ამ ენაში არსებული ფაქტობრივი მასალის თავისებურებითაცაა ნაკარნახევი, და არსებულისაგან პრინციპულად

განსხვავებულ საკლასიფიკაციო სისტემას წარმოადგენს. ეს ცნებებია: 擬声語 „გისეიგო“ -- სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ ცოცხალი არსებების მიერ გამოცემული ბგერების მიბაძვას; მისი საერთაშორისო შესატყვისია „სულიერი ფონომიმი“ (animate phono-mime). 擬音語 „გიონგო“ -- სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ უსულო საგნების მიერ გამოცემული ბგერების მიბაძვას; მისი საერთაშორისო შესატყვისია „უსულო ფონომიმი“ (inanimate phonomime). 擬態語 „გიტაიგო“ -- სიტყვები, რომლებიც დაგმოგვცემენ გარე სამყაროსათვის დამახასიათებელ არასმენით მდგომარეობას, პირობებს, თავისებურებას; მისი საერთაშორისო შესატყვისია „ფენომიმი“ (phenomime).擬情語 „გიჯოგო“ -- სიტყვები, რომლებიც გადმოგვცემენ ფსიქოლოგიურ დასხეულებრივ შეგრძნებებს; მისი საერთაშორისო შესატყვისია „ფსიქომიმი“ (psychomime) (ჰამანო 1998). როგორც ვხედავთ, ეს კლასიფიკაცია სწორედ კონცეპტუალურად განსხვავდება დანარჩენ მსოფლიოში გავრცელებულისაგან.

როდესაც ფონოსემანტიკის ტერმინოლოგიის ქართულ რეალობაზე ვსაუბრობთ, ერთგვარ თვალსაჩინოებას წარმოადგენს ის, თუ როგორ განვიხილეთ ეს საკითხი წინამავალ გვერდებზე. ქართულმა კარგად შეითვისა უცხოური ტერმინოლოგიური ერთეულები, ჩასვა ისინი საკუთარ მორფოლოგიურ ყალიბში. ამ ფაქტს არ გამოუწვევია საკუთრივ ქართული ტერმინების განდევნა. უფრო მეტიც, მათ შორის გამორჩეულია ტოგო გუდავასეული „ბგერწერა“ (1958). მიუხედავად იმისა, რომ გუდავას ნაშრომი მხოლოდ თეზისების სახითაა ხელმისაწვდომი, ავტორის პოზიცია მაინც ხელშესახებადაა წარმოჩენილი: „მეგრულში არის ხმაბაძვითი სიტყვების ერთი რიგი, რომელიც გარდა ძირითადი მნიშვნელობისა გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს მჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას „ბგერწერა“ შეიძლება ვუწოდოთ“ (იქვე: 15). ერთი შეხედვით აქ ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: თუკი სიტყვათა ეს რიგი „გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ.“, მაშინ ისინი ხმაბაძვითები არ ყოფილან; და მაინც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში „ხმაბაძვითი“ საზედაო მნიშვნელობითაა ნახმარი, რათა მოიცვას ყველა ის შემთხვევა, რასაც ფონოსემანტიკა გულისხმობს, მაშინ გასაგები ხდება „ხმაბაძვითის“ ხსენება სწორედ ადეკვატური ტერმინოლოგიური ერთეულის არარსებობითაა განპირობებული. ამგვარ ადეკვატურ ტერმინად კი ტ. გუდავას „ბგერწერა“ მიაჩნია. მართლაც, იგი შესანიშნავად მოერგო არსებულ ცნებითს სისტემას[1] და მყარად დამკვიდრდა სამეცნიერო ტექსტებში. იგი არის ბადალი ისეთი ტერმინების, როგორებიცაა „ფონოსემანტიკა“ და „ფონეტიკური (ბგერითი) სიმბოლიზმი.“[2]

---

[1]ნიშანდობლივია, რომ ტერმინი „ბგერწერა“ ფართოდ გამოიყენება ლიტერატურათმცოდნეობით და მუსიკისმცოდნეობით სამეცნიერო ტექსტებში; ასე, მაგალითად: „ბგერწერა-მხატვრული ენის ბგერითი ორგანიზაცია, ენის ბგერითი ფონდის სტილისტიკური გამოყენება; ფონეტიკურად განსხვავებული ბგერების, ბგერათა კომპლექსების, სიტყვების, ფრაზების მომართვა შინაარსის, აზრობრივი მხარის გამოსაკვეთად“ (ჭილაია & ჭილაია 1984: 45); „მეტყველება, მოტორული მოქმედებები, სიმღერა-კანტილენა, სიგნალები და ბგერწერა“ (ტოროშელიძე 2012: 34).1

[2] სავარაუდო პარალელების ძიებისას მავანმა შესაძლოა შენიშნოს რუსულში არსებული ტერმინი „звукопись“; ასეთი ტერმინი მართლაც გვხვდება, მაგრამ ძირითადად პოეტიკურ ლიტერატურაში (იხ. მაგ., კლუშინა 2011). ქართულ საენათმეცნიერო ტერმინს „ბგერწერა“ არსებითი კავშირი უნდა ჰქონდეს ზემოხსენებულ გერმანულ „Lautmalerei“-სთან; რუსულში კი მას შეესატყვისება „звукоизобразительность.“

ტერმინები და ცნებები ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინთა სიჭრელეა, რასაც თავად საკვლევი საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა და კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები აპირობებს. ფართოდ გავრცელებული კომპოზიტური ტერმინი „ხმაბაძვა“ ეტიმოლოგიურად გამჭვირვალეა და ბერძნული „ონომატოპეას“ აზრობრივი შესატყვისი და კალკირებული თარგმანი ჩანს. განმარტების თანახმად,

„ხმაბაძვა არის სამეტყველო ბგერებით ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის (ყვირილის, სტვენის და სხვ.) მიახლოებითი გადმოცემა. ამის საფუძველზე შექმნილი სიტყვების რამდენიმე სახეობა განირჩევა მათი ფორმებისა და ფუნქციების მიხედვით:

1. *საკუთრივ ხმაბაძვა,* ანუ ფორმაუცვლელი ბგერათკომპლექსით ხმიანობის მიახლოებითი გადმოცემა (და არა აღნიშვნა): მაგ., *ყიყლიყო, გუგუ, ტკაც-.*
2. ხმაბაძვის საფუძველზე ამა თუ იმ ხმიანობის აღნიშვნა ფორმაცვალებადი სიტყვებით: მაგ., *შრიალი, ტკაცუნი, ხარხარი.*
3. ხმაბაძვის საფუძველზე მოვლენებისა და არსებების (და არა მათი ხმიანობის) აღნიშვნა ფორმაცვალებადი სიტყვებით: მაგ., გუგული, ჭრიჭინა, ტკაცუნა“.

(ქსე 1981: 536)

ადრინდელ წყაროებს თუ გადავავლებთ თვალს, სულხან-საბა საკუთრივ ხმის მიბაძვით წარმოქმნილი სიტყვებისათვის იყენებს ტერმინს „ხმიანობა“, აკაკი შანიძეც „ხმიანობის აღმნიშვნელ სიტყვებს“ უწოდებს (შანიძე 1973: 564-565). საგულისხმოა, რომ შემდგომ პერიოდში ამ ტერმინის მნიშვნელობა დავიწროვდა და იგი ოდენ ხმის გამომხატველი (მოძრაობის გარეშე) ფორმის აღსანიშნავად დამკვიდრდა, ამით ტერმინოლოგიურად გაიმიჯნა სხვა ტიპის ლექსიკისგან, რომელიც ხმასთან ერთად სხვა სემანტიკურ მახასიათებლებსაც მოიცავდა; ამავე მნიშვნელობით ხმიანობის პარალელურად გვხვდება ტერმინი *„საკუთრივ ხმაბაძვა“,* სწორედ ამის დასტურია ენციკლოპედიური განმარტებაც.

ამ ტერმინთაგან ვერცერთს არ შევხვდებით გიორგი ახვლედიანის შრომებში, თუმცა იგი თავის მონოგრაფიაში აანალიზებს ორ ლექსიკონში *(სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონა“ და დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“)* მოძიებულ ფონოსემანტიკურ მასალას, რომელთა ფონემატური სტრუქტურაა CS+VVC- (11 ერთეული: *ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-, წრიალ-, გრიალ-, კრიალ-, ღრიალ-, ხრიალ-, ყრიალ-),* $C_1V_1C_1V_1$+C- (სადაც $C_{1=}C_{1;}$ $V_{1=}V_1$) (15 ერთეული სხვადასხვა ხმოვნითი ვარიანტით: *ზიზინ-, სისინ-, ჟიჟინ-, შიშინ-, ღიღინ-/ღუღუნ-, ხიხინ-, ყიყინ-/ყუყუნ-, წიწინ-, ჭიჭინ- / ჭაჭან- , კაკან- /კიკინ-, ყაყან-),* CVC+VC (6 ერთეული: *კივილ-, წივილ-, სივილ-, ყივილ-, წივილ-, ხივილ-)* და ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს შორის კავშირის აღნიშნავად იყენებს ფრაზას *„უტოლფუნქციო სახესხვაობების სემანტიზაცია“* (ახვლედიანი 1949: 245). გიორგი ახვლედიანი ამოსავალი ვარიანტების დაძებნას ცდილობს *„ბგერადობის სახესხვაობებისათვის“,* ვინაიდან ეს ერთეულები მას ერთმანეთისაგან მომდინარედ მიაჩნია; დასაშვებად თვლის, რომ ისინი მარტივ ხშულთა აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის გზით იყოს მიღებული. მისი აზრით: *კრიალი* ორგვარი გზით რეალიზდა: 1. სისინათა რიგი: *კრიალი > წრიალი > სრიალი > ზრიალი;* 2. შიშინათა: *კრიალი*

>ჭრიალი > სრიალი > ჟრიალი[1]. ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ზემოდასახელებულ ფუძეებში „ბგერათმონაცვლეობა არაა პოზიციურად წარმოქმნილი... აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის „კარნახით“ უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია... წმინდა მექანიკური ფონეტიკური პროცესი ენას გამოუყენებია აზრობრივად. ამ შემთხვევაში წამყვანია აზრი და არა ფიზიოლოგია“ (ახვლედიანი 1949: 297). გ. ახვლედიანის აზრით, ბგერათმონაცვლეობას აქვს სემანტიკური და არა ფონეტიკური საფუძველი; ბგერათმონაცვლეობა სემანტიკით არის შეპირობებული; ამგვარი მონაცვლეობით წარმოიქმნება არა ფონეტიკური ვარიანტები, არამედ ახალი მნიშვნელობის ფუძეები. ვფიქრობთ, რომ მკვლევრის დასკვნაში, მის მიერ მასალის კლასიფიკაციაში, ნათლად ჩანს ფონოსემანტიკის არსი, ფონემური და სემანტიკური დიფერენციალური ნიშნების კავშირი.

ხმაბაძვითი ლექსიკაში ცალკე სახეობად გამოყოფს ალი დავითიანი ე.წ. *„გარეგანი სახეობის“* ანუ *„სახეობრივ“* ლექსიკას, რომელშიც თავს უყრის სვანური ენისათვის დამახასიათებელ იმგვარ ფუძეებს, რომლებიც მნიშვნელობის თვალსაზრისით ფიზიონომიურ მახასიათებლებს შეიცავენ. როგორც ავტორი აღნიშნავს: „ხმაბაძვითი სიტყვები ერთ შემთხვევაში ობიექტის მოძრაობა-მოქმედებას უკავშირდება, მეორე შემთხვევაში (იგივე ხმაბაძვითები) გარკვეულ ვითარებაში საგნისა თუ მოვლენის გარეგან სახეობასაც გამოხატავენ“, თან იქვე დასძენს, რომ „ხმაბაძვითების სამეტყველო კანონზომიერება სახოვან სიტყვებზე ვრცელდება“ (დავითიანი 1949/ 2008: 315). სავარაუდოდ, ავტორი მიანიშნებს, რომ ხმაბაძვით და „სახოვან“ ფუძეებს ერთი და იგივე მორფოლოლოგიური ყალიბები აქვთ.

ტოგო გუდავა გვთავაზობს ტერმინს *„ბგერწერა“* და მას ვიწრო მნიშვნელობით იყენებს: „მეგრულში არის ხმაბაძვითი სიტყვების ერთი რიგი, რომელიც, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს მჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას *„ბგერწერა“* შეიძლება ვუწოდოთ“ (გუდავა 1958: 15). თეზისში ტერმინი „ხმაბაძვითი“ ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი, რათა მოიცვას ყველა ის შემთხვევა, რომელსაც ფონოსემანტიკა გულისხმობს. როგორც უკვე შევნიშნეთ, „ბგერწერა“ ბადალია ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა „ფონოსემანტიკა“ და „ფონეტიკური (ბგერითი) სიმბოლიზმი“, თუმცა კარგად არის გამიჯნული ხმაბაძვისაგან, როგორც ამის შესახებ ქართული ენის ენციკლოპედიის განმარტება გვაუწყებს: „ხმაბაძვისაგან განსხვავებით *ბგერწერა* არის *სინესთეზიის ისეთი ფორმა,* რომელიც ასახავს საგნის არაბგერით თვისებებს - ფორმის, სიდიდის, სიმაგრის, მოძრაობის, ადამიანისა თუ ცხოველის ფიზიოლოგიური მდგომარეობის... თავისებურებებს“ (ქე 2008: 78)

„საკუთრივ ხმაბაძვა“ ხმიანობის აღმნიშვნელად ჩანს შემოღებული, „ჩვეულებრივ, ასეთი სიტყვების სემანტიკა, პირველ ყოვლისა, საკუთრივ ხმაბაძვითია, ე. ი. მათი საშუალებით გადმოცემული (იქნება ეს ცოცხალ არსებათა მიერ გამოცემული ან მოქმედების თანმხლები ხმები, ბუნების მოვლენით გამოწვეული ხმაური თუ სხვა)“ (ქობალავა 1979: 107), მაგრამ იგი განსხვავდება მოქმედებისა და მდგომარეობის გამომხატველი იმ სიტყვებისაგან, რომლებიც ძირითად მნიშვნელობასთან ერთად სხვა სემანტიკურ მახასიათებლებსაც

[1]თანამედროვე ქართულში ზოგი ამ სიტყვათაგან ხმაბაძვითად აღარ აღიქმება და სხვა ბგერწერით შინაარსს გამოხატავს: კერძოდ, *წრიალი* - მოძრაობის ერთი ტიპია, *კრიალი* - სინათლის ეფექტის ერთი სახეობა.

შეიცავს. „ამ ტიპის სიტყვები გამოხატავენ აგრეთვე მოქმედებისა და მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას, მოქმედი საგნის გარეგნობას, მის სულიერ განწყობილებას, ბუნების მოვლენებს და მისთ.“ (ქობალავა 1979: 107).

მაშასადამე, ავტორთა რიგი (ტ. გუდავა, ა. დავითიანი, ი. ქობალავა, ნ. კიზირია) *ხმაბაძვასა* და *ბგერწერას* ცალსახად მიჯნავს ერთმანეთისაგან გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით: *„ხმაბაძვა* დასტურდება სიტყვებში, სადაც რომელიმე ბგერა ან ბგერათკომპლექსი მიმსგავსებულია რაიმე ხმაურთან და მოცემული ენის ფორმალური მხარის გათვალისწინებით არის გაფორმებული. ხმაბაძვითი სიტყვების გვერდით ყოველ ენაში არსებობს *ბგერწერითი* სიტყვებიც, სადაც ერთი ან რამდენიმე ბგერა თავისი არაბგერითი თვისებით შეესაბამება მოცემულ საგანს ან მოვლენას“ (კიზირია 2003, 27)

სამეცნიერო ლიტერატურაში „ბ გ ე რ წ ე რ ა “ სხვა ტერმინების გვერდით თანაარსებობს, ჩამოვთვლით ზოგ მათგანს: „ხ მ ა ბ ა ძ ვ ა“ / „ხ მ ა ბ ა ძ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი“ (ა. შანიძე, ბ. ფოჩხუა, ი. ქობალავა, ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე, შ. აფრიდონიძე, ო. გაჩეჩილაძე, ლ. ნადარეიშვილი...), „ბ გ ე რ ი თ ი ს ი მ ბ ო ლ ი ზ მ ი “ (რ. ასათიანი), „ე ქ ს პ რ ე ს ი ვ ე ბ ი“ (დი ენ ჰოლისკი), ფ ო ნ ო ს ე მ ა ნ ტ ი კ ა (ი. მელიქიშვილი, ც. ახვლედიანი, მ. კინწურაშვილი), „პ ი რ ვ ე ლ ა დ ი მ ა ს დ ა რ ე ბ ი“ (ა. ჩიქობავა), „ი ნ ტ ე ს ი ვ ე ბ ი “ (შ. აფრიდონიძე)[1].

დი ენ ჰოლისკი სვამს *ექსპრესიული ზმნებისა და ბგერათსიმბოლიზმის ურთიერთმიმართების* საკითხს. ვინაიდან, ფონემასიმბოლოების დადგენა უფრო მოსახერხებლად მიიჩნევა ექსპრესივებში (მარჩანდი 1958, დიფლოთი 1973, ჯონსონი 1976), ამიტომ მკვლევარი ბგერით სიმბოლიზმზე მსჯელობს ფონოსემანტიკური მოდელების ფარგლებში.

ბგერით სიმბოლიზმში ის არ გულისხმობს *ბგერწერას, ე.ი. სამეტყველო ბგერების გარეგანი მოვლენების მიმსგავსებას,* არამედ მას აინტერესებს *ფონოლოგიური ნიშნების სისტემური ხმარება გარკვეული სემანტიკური მოვლენების გამოსახტავად.* მისი ყურადღების ცენტრშია თვით ბგერების სიმბოლური ღირებულება ექტრალინგვისტური მიმართებების გარეშე. როგორც ის აღნიშნავს, ამგვარი სისტემების შიგნით ფონოლოგიური მახასიათებლები ნებისმიერნი კი არ არიან, არამედ კანონზომიერად გადმოსცემენ გარკვეულ სემანტიკურ ინფორმაციას (ჰოლისკი 1981).

შეჯამებისათვის მეტად საყურადღებოა ი. მელიქიშვილის დასკვნა, რომელსაც ის აყალიბებს ამ ტერმინებისა და მათთან დაკავშირებული ენობრივი ცნებების მიმართ.

მუხედავად იმისა, რომ ბ გ ე რ წ ე რ ა, ბ გ ე რ ი თ ი ს ი მ ბ ო ლ ი ზ მ ი „სამეტყველო ბგერების გარეგანი მოვლენების მიმსგავსებას“ (ჰოლისკი 1981) წარმოადგენს, ხოლო ხ მ ა ბ ა ძ ვ ა - „საგანთა შინაგანი თვისებების ასახვას“ (ვ. ჰუმბოლტი), „მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციონალური თვალსაზრისით“ (მელიქიშვილი 1999: 79), რადგან

1. „ხმაბაძვითი ლექსიკის ბგერწერითი ხასიათი უფრო თვალსაჩინოა“ (მელიქიშვილი 1999: 78);
2. ხმაბაძვითი სიტყვები და ბგერითი სიმბოლიკისადმი მიკუთვნებული ლექსიკა ერთსა და იმავე ფონემათა სტრუქტურულ მოდელებს ქმნიან;
3. ხმაბაძვითი სიტყვები ხშირად ერთდროულად იმ მოძრაობასაც ასახავენ, რომლის შედეგსაც წარმოადგენენ. მოძრაობის მიბაძვის გარჩევა ხმის მიბაძვისაგან რთულია. ხმაბაძვითი ლექსიკა იმ ემოციასაც ასახავს, რომელიც ამ ხმის გამოცემასაც ახლავს თან (მელიქიშვილი 1999: 78);

1იხ. აფრიდონიძე 1993: 93 სქ.

არნოლდ ჩიქობავას მიერ დამკვიდრებული ტერმინი *„პირველად მასდარები“* ეფუძნება ხმაბაძვით სიტყვათა გრამატიკულ თავისებურებას, კერძოდ, მასდარისა და ზმნური ფუძის ურთიერთმიმართების საკითხს. ამგვარი სახელები თავად ედება საფუძვლად ზმნის წარმოებას და არა პირიქით, როგორც ეს ჩვეულებრივ შემთხვევაშია, როცა ზმნისგან იწარმოება მასდარი. „ამიტომ მასდარი და ის სახელი, რომელიც ზმნისგან იწარმოება, ერთი და იგივე აღმოჩნდა“: *გრიალი - გრიალებს -გრიალი, ჭიხვინი - ჭიხვინებს -ჭიხვინი...* „ეს ხდება იმიტომ, რომ პირველადს სახელებს უკვე აქვთ ის მნიშვნელობა, რომელთა გამოსახატავადაც მასდარი იწარმოება: *გრიალ-ი, გუგუნ-ი, ტიტინ-ი, კანკალ-ი* და მსგავსი სახელები მდგომარეობა-მოქმედების აღმნიშვნელი *პირველადი სახელებია“* (ჩიქობავა 1942: 219).

ტერმინი *ფონოსემანტიკა* ქართულ ლინგვისტურ სინამდვილეში შედარებით ახალია, ი. მელიქიშვილი თავის პუბლიკაციაში, რომელშიც აღნიშნული ტერმინი პირველად გვხვდება, წერს: „ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთკავშირს ჩვენ სემანტიკურ კავშირებს ვუწოდებთ“ (მელიქიშვილი 1999:80); უფრო მოგვიანებით კი ბგერათა ფონოსემანტიკას ბგერწერის ფარდ ტერმინად იყენებს (იხ. მელიქიშვილი 2014: 32); მკვლევარი *ბგერწერის* ნაცვლად *ფონოსემანტიკის* შემოღებას ხსნის უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული ტენდენციით, რომელიც ლინგვისტთა მიერ ამ ტერმინის ხშირ გამოყენებას უკავშირდება; მითითებულია ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული მონოგრაფია ვ. ვორონინის ავტორობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი „ფონოსემანტიკა“ პირველად ფრანგი სინოლოგის პოლ პეიოს მიერ 1936 წელს დაბეჭდილ სტატიაში გვხვდება (პეიო 1936: 163). თუმცა ის, როგორც მიმართულება, შედარებით ახალია, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩნდება სტატიები, რომლებიც ამ საკითხს უკავშირდება. „ენის ბგერათგამომსახველი *(ბგერათბაძვითი* და *ბგერათსიმბოლური)* სისტემა ფლობს აუცილებელ, არსებით და ფონეტიკურად მოტივირებულ კავშირს სიტყვის ფონემებსა და აზრს შორის; სწორედ *ენობრივ ერთეულთა პირველად მოტივირებულობას შეისწავლის ფონოსემანტიკა“* (ახვლედიანი, კინწურაშვილი 2007: 23).

საკუთრივ ტერმინი, *სინესთეზია*, რომელიც ქართულ ლინგვისტიკაში იშვიათად გამოიყენება, უფრო ასახავს ბგერათსიმბოლიზმის ერთ კონკრეტულ ასპექტს - ფერთა და ბგერათა შესატყვისობას, რომელთაც აქვთ სინთეტიკური საფუძველი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნ. კიზირიას ნაშრომები (2003). ამ ტერმინის ნაცვლად იხმარება *ბგერათსიმბოლიზმი.*

ამდენად, ქართული ენათმეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ქართველური ენებისათვის ბგერათა სიმბოლიზმის ანალიზი და სათანადო დასკვნები ემყარება *ხმაბაძვითი* და *ბგერწერითი ხასიათის ექსპრესივების შესწავლას, პოეტური შემოქმედების ანალიზსა, ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებს* და ეყრდნობა ტერმინთა და ცნებათა სამი ტიპს, ესენია:

ა) უცხოური ტერმინები, რომლებიც ქართულმა კარგად შეითვისა და ჩასვა საკუთარ მორფოლოგიურ ყალიბში *(ხმაბაძვა, ბგერათა სიმბოლიზმი);*

ბ) ქართული ტერმინები და ცნებები *(ბგერწერა, გარეგანი სახეობის ლექსიკა, ბგერათა უტოლფუნქციო სახესხვაობათა სემანტიზაცია, პირველადი მასდარები);*

გ) უცხოური ტერმინები *(ფონოსემანტიკა, სინესთეზია, ინტენსივები, ექსპრესივები).*

ბგერწერა ქართველურ ენებში (ლინგვისტური ლიტერატურის ანალიზი)

1. *კვლევის სათავეებთან*

საკითხის კვლევის ისტორია ფაქტობრივად იწყება მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართული ფონოლოგიური სკოლის ფუძემდებლის *გიორგი ახვლედიანის სალექციო ჩანაწერებით.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ,

1. მან თავის სალექციო ჩანაწერებში დასვა საკითხი, რომელიც ეხებოდა ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს შორის კავშირს.
2. ქართულ ლექსიკონებში მოძიებული ხმაბაძვითი მასალის გამოყენებით ააგო სამი ტიპის მორფონოლოგიური მოდელი: 1. როცა ფუძეები მხოლოდ ანლაუტის თანხმოვნებით სხვაობდნენ *(სრიალი, გრიალი... კივილი, ჟივილი...)*, 2. ან ერთი და იმავე მოდელებში „ურთიერთმონაცვლეობდნენ“ *(გუგუნი - ღუღუნი - ყუყუნი...)*. გ. ახვლედიანი ცდილობდა დაედგინა, იყო თუ არა ეს მოდელები ტოლფუნქციური, თუ არა, როგორი იყო მათ შორის მიმართება და რა აპირობებდა ფონოლოგიურ ცვლილებას, რადგან ამის ფონეტიკური საფუძველი არ ჩანდა.
3. სწორედ ამგვარ სხვაობათა მიმართება მან აღწერა ფრაზით: „ბგერათა უტოლფუნქციო სახესხვაობების სემანტიზაცია“ (ახვლედიანი 1949: 245).
4. დაასკვნა, რომ ფუძეებში „ბგერათმონაცვლეობა არაა პოზიციურად წარმოქმნილი... აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის „კარნახით“ უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია... წმინდა მექანიკური ფონეტიკური პროცესი ენას გამოუყენებია აზროვრივად. ამ შემთხვევაში წამყვანია აზრი და არა ფიზიოლოგია“ (ახვლედიანი 1949: 297).

აღნიშნული მსჯელობა და მის საფუძველზე მიღებული დაკვნა, ფაქტობრივად, არის ქართველურ ენათმეცნიერებაში ბგერასა და მნიშვნელობას შორის არსებულ კავშირზე პირველი მინიშნება.

დანარჩენი ქართველური ენებისათვის ფონოსემანტიკური ლექსიკის შესწავლის სათავეებთან შეიძლება მოვიაზროთ ორი ავტორი მნიშვნელოვანი პუბლიკაციებით: *ალი დავითიანი „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“* (ხელნაწერი - 1949 წ., ბეჭდურად გამოცემული -2008 წ.)[1] *ტოგო გუდავა „ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში“ (1958),* რომელიც მხოლოდ მოხსენების თეზისადაა დაბეჭდილი (იხ. გუდავა 1958).

1.1. *ალი დავითიანის „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ (1949)[2].*

ალი დავითიანის მიერ 1949 წელს შექმნილი სამეცნიერო სტატიის ხელნაწერი პირველი და ერთადერთი ნაშრომია, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება სვანური ენის ფონოსემანტიკის პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი პერიოდის კვლევებზე ამ ნაშრომს გავლენა არ მოუხდენია, ქართველურ ენებში ფონოსემანტიკის ისტორიის კვლევის ერთიანი კონტექსტის წარმოდგენისას აუცილებელია მისი გათვალისწინება; მით უმეტეს, გასათვალისწინებელია იმ ფონზე, როცა სვანური ენის მასალაზე ამ მიმართულებით კვლევა შემდგომ არ გაგრძელებულა.

ა. დავითიანის სტატია, ფაქტობრივად, წარმოადგენს ფონოსემანტიკური ლექსიკის ერთი ტიპის, ფიზიონომიის ანუ, ავტორისავე ტერმინით, „გარეგანი სახეობის“ აღმნიშვნელი ექსპრესივების აღწერასა და შესაძლებელ ლინგვისტურ ანალიზს.

ნაშრომში მოცემულია:

1. საკითხის ზოგადთეორიული მიმოხილვა და ლექსემათა კლასიფიკაციის ცდა,
2. ბგერწერითი მოდელების სემანტიკური სისტემატიზების ცდა,
3. ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა შორის არსებული კავშირების ანალიზი,
4. ფონოტაქტიკა ანუ ფონემათა სინტაგმატიკა, განლაგება ბგერწერით მოდელებში,
5. „სახოვანი სიტყვების“ გრამატიკული ანალიზი - უღლების პარადიგმების განხილვა,
6. „სახოვანი სიტყვების“ დერივაციული პოტენციალის ჩვენება;
7. ნაშრომს ახლავს დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ა. დავითიანი აღნიშნავს, რომ სვანურის ლექსიკაში სისტემურად არსებობს ფორმები, რომლებიც 1. უკავშირდებიან ობიექტის მოძრაობა-მოქმედებას, 2. გამოხატავენ საგნისა თუ მოვლენის გარეგან სახეობასაც. ა. დავითიანი ერთმანეთისაგან მიჯნავს ონომატოპეასა და ბგერწერას, როცა ასკვნის, რომ სვანურში „ხმაბაძვითების სამეტყველო კანონზომიერება სახოვან სიტყვებზეც ვრცელდება“ (დავითიანი 2008: 315).

მეტად საყურადღებოა ა. დავითიანის შენიშვნა, რომ ამ ტიპის ლექსიკის „შემადგენელი ბგერების თანაშეფარდება მათ მნიშვნელობას შეესაბამება. მაგ. მჟღერი კომპლექსები თითქოს უკავშირდება მოცულობით უფრო დიდ ობიექტს, ყრუ კომპლექსები კი - პატარას...

სიდიდისათვის - სიმცირისათვის:

ბ-პ: ბიდღ- --------- პიტყ-
გ-კ: გლიგ- --------- კლიკ-
გ-დ: გვრიდ- --------- კვრიტ-
ღ-ყ: ღვიღვ- --------- ყვიყვ-
დ-ტ: დვირ- ------- ტვირ-“[1] (დავითიანი 2008: 319-320)

ა. დავითიანი ამჩნევს ფონოსტრუქტურების აგების ფონოლოგიურ კანონზომიერებებს და მათ კავშირს სემანტიკასთან, როცა წერს: „შინარსობრივ თავისებურებაში გადამწყვეტი ჩანს თავკიდური თანხმოვნის ბოლოკიდურთან ურთიერთობა:

[1]სიტყვები სახელებია და ამდენად ბრუნებადია.

1. მგბიდღ ჟინა „დიდი ბუმბულის მქონე ძერა“
   მგპიტყ მწრე „პატარა მსუბუქი ტანის, ჩქარი მოძრაობის კაცი“
2. გვრიდწ ბეფშ „მსუქანი ჭარბხორციანი ბავშვი“
   კვრიტწ ბეფშ „პატარა ტანსავსე ბავშვი“
3. მგგლიგ „გადამეტებული სიმაღლის (კაცი)“
   მგკლიკ დინა „პატარა, გონებამახვილი გოგო“ (დავითიანი 2008: 319-320)

ა. დავითიანმა ერთმანეთს დაუპირისპირა CVC- და CSVC- სტრუქტურის ძირები; სონორები განიხილა ინფიქსებად და მათ სემანტიკურ ფუნქციად განსაზღვრა ინტენსივობა. მისი თქმით, ვარიანტები, რომლებიც სონორის გარეშე არიან წარმოდგენილნი, მიუთითებენ სიმცირეზე, სონორიანი ვარიანტები კი გადმოსცემენ „დასრულებულობას“:

გიდ- > გლიდ- „უშნოდ აღმართულია“
კიკ- > კლიკ- „ გონებამახვილად დგას“
ბიგ- > ბრიგ- „ფეხმაგრად დგას“
ბიღ- >ბრიღ- „გაბეღილი ჩანს“... (დავითიანი 2008: 326).

ნაშრომში შენიშნულია ფონოსტრუქტურებში ხმოვანთა ფუნქციებიც, სვანური ხმაბაძვითი ძირის სტრუქტურები /ა/, /ი/ და /უ/ ხმოვნებით არის წარმოდგენილი და მათგან /ა/-ხმოვნიანი ვარიანტები მრავალგზისობის სემანტიკას ავლენენ (დავითიანი 2008: 325).

ა. დავითიანი ცდილობს დაადგინოს ლექსემათა ლინეალურ სტრუქტურაში კონსონანტთა მიმდევრობის შესაძლებელი სიგრძე და ფონემათა დისტრიბუციის საკითხი; მისი დასკვნით: „სახოვან სიტყვათა ძირი ჩვეულებრივ ორთანხმოვნიანია, მაგრამ არაა გამორიცხული სამთანხმოვნიანი და ოთხთანხმოვნიანიც [იყოს]: *ჩხვირ, ჭყვირ, ჯღვირ*“ (გვ. 326); ავტორი, ფაქტობრივად, წარმოაჩენს მონოფონემურ, ბიფონემურ და პოლიფონემურ მიმდევრობებს, მათ შორის ჰარმონიულ კომპლექსებსა და ფონესთემებს; შენიშნულია, რომ მიმდევრობის დაგრძელებას იწვევს სტრუქტურაში [ლ] და [რ] სონორების ჩართვა. მასალის ამგვარი სისტემატიზება წარმოაჩენს სვანურ ენაში მარტივიდან რთული ფონოსემანტიკური სტრუქტურების აგების შესაძლებლობას:

CVC: *ბიღ-, ბიყ-*
CVCC: *ბიღვ-, ბიდღ-, ბიტვ-, ბიყვ-, ბიჩხ-, ბიჭყ-*
CSVC: *ბლიბ-, ბლიტ-, ბლიყ-, ბლიშ-, ბლიჰ-,*
CCVS: *ბღილ-*
CSVCC: *ბლიყვ-*

ა. დავითიანი სვანურში ბგერწერის ხერხად თვლის *ბგერათა სუბსტიტუციასა* და *მეტათეზისს:* „სახოვან სიტყვათა ფუძეს ახასიათებს საკმაოდ მძლავრი სუბსტიტუცია, რასაც შინაარსობრივი სხვაობის ნიუანსი შეაქვს“ (გვ.325)...

CVC : *ღიბ* > *ბიღ* „მუცელგაბეღილია“
გით > *თიგ* „კისერაწეულია“

ასეთი ფორმების პარალელურად მოყვანილია „უშუალო გადასმის“ ანუ *მეტათეზისის* მაგალითებიც და მიზეზად დასახელებულია „ანლაუტის აქტიური მონაწილეობა“:

CSVC > CVSC: *ბლიშწ* > *ბილშწ* „მკერდგაღეღილი“
ყლიშწ > *ყილშწ* „ყელთეთრა (შავ ფერზე)“

ავტორი არ საუბრობს წყვილად წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების სემანტიკაზე, არის თუ რა რაიმე ტიპის ნიუანსობრივი სხვაობა მათ შორის.

ა. დავითიანის შენიშვნით, „სახოვანი სიტყვების“ ძირები საკმაოდ პროდუქტიული სიტყვაწარმოებით გამოირჩევა. „შინაარსის ამოსავალია სიტყვა-საგნის ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც სახეობით დერივაციას ქმნის... *ხიჩქ, ხიჩქჳ, მჳხიჩქ, ხანჩქალ, ლიხინჩქანჭლ, ლიხჩქე, ნჳხჩქი, ნავხიჩქი, ხანჩქვჳრ, ხანჩქუ* და სხვ. წარმოდგენილი სიტყვები ერთსა და იმავე შინაარსის ძირს სხვადასხვაგვარად გაფორმებაში ავლენს“ (გვ. 330). ავტორს შემჩნეული აქვს, რომ ერთი ძირისგან ნაწარმოები დერივაციული მოდელები კონოტაციურ მნიშვნელობებს ინარჩუნებენ ამოსავალი მნიშვნელობების შეცვლის მიუხედავად.

ა. დავითიანი ფონოსემატიკურ ლექსიკას მორფოლოგიური ასპექტითაც აკვირდება.

ალი დავითიანის ნაშრომმა „სახოვანი ლექსკისათვის სვანურში“ წარმოაჩინა სვანურის ენის ფონოსემანტიკური ლექსიკის თავისებურებებთან დაკავშირებული არაერთი საკითხის კვლევის პერსპექტივა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

1. ფონოსემანტიკური მოდელების აგება და მათი სემანტიკურად სისტემატიზება;
2. ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა შორის არსებული კავშირების დადგენა;
3. ფონემათა სინტაგმატიკის, ბგერწერით მოდელებში ფონემათა ლინეალური განლაგების, ფონემათმიმდევრობების ანალიზი; სვანური ენის ფონოტაქტიკის წესების შესაბამისად დაშვებებისა და აკრძალვების განხილვა ფონოსემანტიკურ მოდელებში.
4. ბგერწერითი ლექსიკის დერივაციული პოტენციალის სრულად წარმოჩენა, დერივაციული მოდელების აგება, ბგერწერის ხერხებისა და პრინციპების დადგენა.

აღნიშნულ ნაშრომში დასმული ლინგვისტური პრობლემის ანალიზი არ ემყარება სვანური ენის ემპირიული მასალის სისტემურ აღწერასა და ანალიზს, ნაკლულია საკლასიფიკაციოდ შერჩეული სემანტიკური და ფონოლოგიური ნიშნებიც, მაგრამ კვლევა საკმაოდ ფასეულია და თავისი დროისათვის პროგრესულიც;

4.1. *ტოგო გუდავა „ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში“ (1958)*

კიდევ ერთი ქართველური ენის, მეგრულის, მასალაზე დაყრდნობით 1958 წელს სამეცნიერო საზოგადოებას წინასწარი მოხსენება წარუდგინა ტოგო გუდავამ. გამოქვეყნდა მხოლოდ ორგვერდიანი თეზისი სათაურით: „ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში“ (იხ. გუდავა 1958: 15-16), რომელიც ქართველურ ენათმეცნიერებაში ფონოსემანტიკის მეცნიერული კვლევის დასაწყისად ითვლება.

ძირითად კონცეფციას, რომელიც ტ. გუდავას თეზისით ყალიბდება და ქმნის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს შემდგომი დროის კვლევებისათვის, აქვს შემდეგი შინაარსი: მეგრულში ხმაბაძვით სიტყვათა ერთი ჯგუფი, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გამოხატავს მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს... ამ სემანტიკის გამოსახატავად გამოყენებულია მჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება. ერთი ძირითადი მნიშვნელობის ფარგლებში ნიუანსობრივი მნიშვნელობები ვლინდება სამეულებში ან წყვილეულებში შემავალ თანხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობით. მჟღერები გადმოსცემენ დიდის, მსხვილის, მძიმის ელფერს, ყრუ თანხმოვნები - პატარას, მსუბუქს, წვრილს. ხოლო ფშვინვიერები სამსაფეხურიანი დაპირისპირებისას (მჟღერი - ფშვინვიერი - მკვეთრი) შულედურ ადგილს იჭერენ მათ შორის.

ამ და კიდევ არაერთი ასპექტის გამო, რომელთაც ქვემოთ ჩამოვთვლით, ტ. გუდავას თეზისი სავსებით სამართლიანად ითვლება ფონოსემანტიკის კვლევის დასაწყისად:

1. ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კავშირის აღსანიშნავად ტ. გუდავას მიერ შემოღებულია ქართული ტერმინი „ბ გ ე რ წ ე რ ა“, რომელიც დღემდე აქტიურად გამოიყენება ქართველი ლინგვისტების მიერ;
2. ბგერწერა მიჩნეულია ხმაბაძვის კერძო გამოვლენად;
3. მკვეთრად არის გახაზული მეგრულში ბგერწერის სისტემური ხასიათი;
4. სისტემის ფარგლებში დადგენილია გარკვეული კანონზომერებები ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს შორის;
5. აგებულია ფონოსემანტიკურად დაპირისპირებული ორწევრა და სამწევრა სისტემები;
6. ანალოგიის საჩვენებლად მოყვანილია ქართული ენის რამდენიმე მონაცემიც;
7. ერთმანეთთან შეპირისპირებულია ქართული და მეგრული ენების ბგერწერითი მოდელები და ჩამოყალიბებულია ფონეტიკური კანონზომიერება, რომლის თანახმადაც, მეგრულს, ქართულისაგან განსხვავებით, ახასიათებს ანლაუტში კომპლექსის ასიმილაციური განმეორება (გვ. 16).

1. კვლევის ახალი ეტაპი

ბგერითი სიმბოლიზმის ლინგვისტურ თუ ფსიქოლინგვისტური კვლევა უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან. დასკვნები ემყარება *ხმაბაძვითი* და *ბგერწერითი ხასიათის ექსპრესივების შესწავლას, პოეტური შემოქმედების ანალიზსა* და *ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებს*. თუმცა კვლევა მოიცავს მხოლოდ ქართული და მეგრული ენების ლექსიკურ მონაცემებს.

ქართულ ხმაბაძვით სიტყვებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი ჩართულია *ბიძინა ფოჩხუას* მონოგრაფიაში *ქართული ენის ლექსიკოლოგია* (1974). ავტორი ცდილობს,

1. იპოვოს კავშირი „ბგერადობასა და მნიშვნელობას შორის“ (გვ.76), არ გამორიცხავს, რომ „ბგერადობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს სემანტიკური ერთგვაროვნებაც ახასიათებდეთ“ (გვ.78);
2. მიანიშნებს ამ ტიპის ნიშანთა მოტივირებულ ხასიათზე: „ბგერადობაზე თითქოს სიტყვის მნიშვნელობა უნდა ბატონობდეს“ (გვ. 79);
3. იხილავს ხმაბაძვით სიტყვათა ფონოსტრუქტურას, მიანიშნებს, რომ ამ ტიპის ფუძეთა აგებისას „გამოყენებულია ქართული ენის ფონოლოგიური სისტემა... და მოქმედებს ქართულისათვის დამახასიათებელი კომბინატორული წესები“; „ხმაბაძვა ენის ფონოლოგიურ მოდელში თავსდება“ (გვ. 79);
4. სვამს მსგავსი სტრუქტურის ხმაბაძვითი და არახმაბაძვითი ერთეულების სემანტიკურად გამიჯვნის საკითხს;
5. ცდილობს სემანტიკურად დააჯგუფოს ქართული ენის „ისეთი ფუძეები, რომელთაგან ხმაბაძვითი სიტყვებია ნაწარმოები“ (გვ.75), დაძებნოს საკლასიფიკაციო ნიშნები;
6. საუბრობს ამ ტიპის ფუძეთა ექსპრესიულ ხასიათზე.
7. შემოაქვს ტერმინი „*ხმამიბაძვითი*“, რომლის საშუალებით ცდილობს ბგერწერის

მოვლენის გარჩევას ხმიანობის აღმნიშვნელი ფუძეებისგან; მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით მიმართავს სხვა ტერმინსაც: „პირველადი მასდარები/ საწყისები“;

8. ამ ტიპის ლექსიკას იხილავს პრაგმატულ ჭრილშიც.

ბ. ფოჩხუას მონოგრაფიაში ხმაბაძვის ენობრივ ფენომენთან დაკავშირებით დასმულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, თუმცა მკვლევარი დასკვნისას გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს. აღნიშნული საკითხები შემდგომი პერიოდის ლინგვისტურ ლიტერატურაში უკვე გადაწყვეტილი ჩანს.

ერთ-ერთი პირველი უნდა დასახელდეს *რუსუდან ასათიანის* პუბლიკაცია *ფონეტიკური სიმბოლიზმისათვის* (1979: 15-20) და *იზაბელა ქობალავას* ნაშრომები *მეგრული სიტყვაწარმოებიდან* (1979: 107-114) და *ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში (*1980: 67-76), რომლებიც ახალ ეტაპს ქმნის ფონოსემანტიკურ ლექსემათა შესწავლის თვალსაზრისით.

რ. ასათიანის ნაშრომში საანალიზოდ შერჩეულია პირთა, ქალთა და მამაკაცთა, საკუთარი სახელები, რომლებიც მოტივირებულია და ანალიზის შედეგად მიღებულია დასკვნები:

1. მოტივირებული სახელები წარმოადგენენ „ჰორიზონტალური“ კავშირების თავისებურ ასახვას და არა „ვერტიკალურისას“, რადგან ეს უკანასკნელი არ გულისხმობს რაიმე მოტივაციას;
2. სახელად ქცევის შემდეგ იკარგება პირველადი მნიშვნელობა, იშლება მოტივაცია;
3. პირთა საკუთარი სახელების სტატისტიკური დამუშავების შედეგად დადგენილია სიხშირეები ყოველი ფონემისათვის პოზიციების მიხედვით: თავკიდურში, ბოლოკიდურში და მთლიანად. ყალიბდება მნიშვნელოვანი კანონზომიერება: *ქალთა საკუთარი სახელებისათვის დამახასიათებელია დენტალური რიგი, ხოლო მამაკაცთათვის - ველარული*
4. ამასთან, მამაკაცთა სახელებისათვის დამახასიათებელია: *მჟღერი, ხშული* სიმბოლური მნიშვნელობით *„დიდი“, „მძიმე“, მსხვილი“;* გლოტალიზებული - *„მკვეთრი“; სპირანტი - „უარყოფითი ემოცია“, „უხეში“; სონორები - „მკვეთრი, ინტენსიური დინამიკა“.*
5. ქალთა სახელებისათვის დამახასიათებელია: *სონორები - „დინამიკა“, ფშვინვიერები - „შერბილებული“, „მცირე“.*

სტატიაში ასევე საუბარია $C_1V_1C_2V_2$ სტრუქტურის ზმნურ ფუძეებზე და დადგენილია ფონემათა სიმბოლური მნიშვნელობები; სპირანტებისა და სონორების მნიშვნელობები ფონომიმდევრობაში მათი დამატების შემთხვევაში.

იზაბელა ქობალავას ნაშრომი *მეგრული სიტყვაწარმოებიდან* (1979: 107-114) ერთ-ერთია იმ უმცირესთაგან, რომელიც მეგრული ენის ბგერწერითი მოდელების კვლევას ეხება. ნაშრომში კონკრეტულად განხილულია სიტყვაწარმოებითი მოდელები გარკვეული სემანტიკის მქონე ხმაბაძვითი სიტყვებისათვის მეგრულში. აღნიშნულია, რომ მათი პრაქტიკულად აღნუსხვა შეუძლებელია, ვინაიდან მათ რიცხვში შედის ოკაზიური ლექსიკაც, რომლებიც იწარმოებიან ad hoc და არ შედიან საყოველთაო ხმარების ლექსიკაში. პუბლიკაცია უკავშირდება მეგრულში ფონოსემანტიკური მოდელების წარმოქმნის მექანიზმს და მოიცავს არაერთ რელევანტურ საკითხს, კერძოდ:

1. დერივაციული მოდელების, მასდარებისა და ზმნური ფორმების მორფოსტრუქტურულ და სემანტიკურ ანალიზს;
2. წარმოაჩენს მორფოსტრუქტურების და მათი ცალკეული ელემენტების კავშირს სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებთან;
3. რედუპლიკაციისა და სუფიქსაციის საკითხებს;
4. ძირისა და სუფიქსის გახმოვანების, ამ ხმოვანთა ურთიერთგანპირობებულობის საკითხს;
5. ფონოსემანტიკური მოდელების ცვლას სუფიქსაციისა და ალტერნაციის გზით, რომელიც აპირობებს სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა წარმოქმნას;
6. ერთ-ერთ მექანიზმად დასახელებულია სიტყვაწარმოებით მოდელებში სუფიქსისეული ხმოვნის ცვლა, რომელიც აპირობებს არა კონკრეტული სემის, არამედ მთლიანი მნიშვნელობის ცვლას. ამ მოვლენისათვის მკვლევარს შემოაქვს ტერმინი *„სემანტიკური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა“.*

მეორე ნაშრომი *ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში* (1980: 67-76) ასევე ეხება სიტყვაწარმოებით საკითხებს, მხოლოდ ქართულში.

1. მკვლევარი არა მხოლოდ სინქრონიულად აღწერს ქართულ ხმაბაძვით მოდელებს, არამედ გვთავაზობს მათ ანალიზს დიაქრონიულ დონეზე; ეხება არა მხოლოდ სტრუქტურის, არამედ სემანტიკის საკითხებსაც;
2. მიიჩნევს, რომ ხმაბაძვითმა ერთეულებმა, რომელთა შორის დამოკიდებულება თავდაპირველად მხოლოდ ვარიანტული იყო, შეიძინეს განსხვავებული სემანტიკა და ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად;
3. ნაშრომში ქართული ენის ხმაბაძვითი ლექსიკის სისტემაში გამოყოფილია ორი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი: 1. *სახელები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებას სპეციფიური ხმის თანხლებით* და 2. *სხვადასხვა არსებათა მიერ გამოცემული ხმა;*
4. განხილულია ამ ორ სემატიკურ ჯგუფში შემავალ ლექსემათა მორფონოლოგიური მოდელები და ნაჩვენებია ამგვარ მოდელთა წარმოქმნის გზები, დეტალურად ანალიზდება სუფიქსაციისა და რედუპლიკაციის განსხვავებული საშუალებები;
5. ახსნილია, თუ როგორია დამოკიდებულება მოდელში შემავალ სუფიქსებსა და ძირეულ ხმოვნებს შორის, როგორ არის ამ ენობრივ მექანიზმთან მიბმული ძირითადი სემანტიკის თუ სემანტიკური ელფერის ცვლა;
6. ნაშრომში საუბარია სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოებ ფუძეთა მორფოლოგიურ თავისებურებებზეც;
7. გაანალიზებულია ხმაბაძვითი მოდელების ფონოსტრუქტურა, ხმაბაძვით ფუძეთა ფონემური შედგენილობა, დადგენილია თანხმოვანთკომპლექსები ძირის ანლაუტისა და აუსლაუტისათვის.

ქართულის ფონოსიმბოლიზმი ინტერესის საგანი ხდება ამერიკელი ქართველოლოგის *დი ენ ჰოლისკისათვის,* მისი მონოგრაფია *„ასპექტი და მედიალური ზმნები“* (1981)[1] წარმოადგენს

[1] ქართული თარგმანი, 2003 წ. თარგმნა რ. ამირეჯიბმა. ჩვენს ნაშრომშიც აღნიშნული მონოგრაფია ქართულენოვანი ვერიის მიხედვით არის დამოწმებული.

მნიშვნელოვან პუბლიკაციას როგორც ქართული მედიალური ზმნის თავისებურებების, ასევე თეორიული ლინგვისტიკის თვალსაზრისით [1]. საანალიზო მასალად შერჩეულია თბილისის მკვიდრთა მეტყველება, რომელიც საინტერესოა იმით, რომ, როგორც დედაქალაქის მეტყველება, სალიტერატურო ენასთან ერთად სხვადასხვა დიალექტური ფორმითაც არის წარმოდგენილი. სტანდარტიზაციისათვის *დი ენ ჰოლისკი* იყენებს ქეგლ-ს და კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანულ ლექსიკონს, ასევე, დამატებით სამი მუდმივი ინფორმანტისაგან მიღებულ ზმნურ ფორმათა მონაცემებს. მონოგრაფიაში ტერმინოლოგია და სტრუქტურა ეფუძნება ა. შანიძის გრამატიკულ მოძღვრებას, ასევე ლინგვისტურ კონცეფციას, რომელიც სტრუქტურალისტურ ტრადიციაშია დამკვიდრებული, კონკრეტულად, პრივატული ოპოზიციების სისტემას. ამავე დროს დ. დოუტის და ჰ. გრაისის თეორიებს ლექსიკური კომპინენტს და სამეტყველო კოოპერაციის პრინციპის შესახებ. ნაშრომში განხილულია ლექსიკურ-სემანტიკური ცვლილებები მედიალური ზმნებისათვის, მათ შორისაა ფონოსემანტიკური ლექსიკაც, ვინაიდან მათი უმრავლესობა მორფოლოგიურად გვარის სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება.

დი ენ ჰოლისკი სვამს ექსპრესიული ზმნებისა და ბგერათსიმბოლიზმის ურთიერთმიმართების საკითხს. ბგერით სიმბოლიზმში ის არ *გულისხმობს ბგერწერას, ე.ი. სამეტყველო ბგერების გარეგანი მოვლენების მიმსგავსებას,* არამედ მას აინტერესებს ფ ო ნ ო ლ ო გ ი ურ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ს ი ს ტ ე მ ურ ი ხ მ ა რ ე ბ ა გ ა რ კ ვ ე ულ ი ს ე მ ან ტ ი კ ურ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ს ა ხ ტ ა ვ ა დ. მისი ყურადღების ცენტრშია თვით ბგერების სიმბოლური ღირებულება ექტრალინგვისტური მიმართებების გარეშე. როგორც ის აღნიშნავს, ამგვარი სისტემების შიგნით ფონოლოგიური მახაიათებლები ნებისმიერნი კი არ არიან, არამედ კანონზომიერად გადმოსცემენ გარკვეულ სემანტიკურ ინფორმაციას.

მკვლევარი კლასებად აჯგუფებს მედიალურ ზმნას და გამოყოფს მათ საერთო მახასიათებლებს[2]. ცალკე ჯგუფს ქმნის *ექსპრესიული ზმნები* შემდეგი ქვეკლასებით: *„სისინებ კლასი“* - ხმაურისა და ხმის გამომცემი ზმნები, *„გიზგიზებ კლასი“* - ნათება, ბრწყინვა და სინათლის გამომწვევი სხვა ფორმაბი, *„კანკალებ კლასი“* - ადგილზე მოძრაობის გამომხატველი ზმნები. ბგერათსიმბოლიზმთან დაკავშირებული ზმნური ფორმები: *„გორავს კლასი“, „ქუხს კლასი“* - ბუნების მოვლენათა გამომხატველი ზმნური ფორმები, რომლებიც მედიალურია.

მონოგრაფიაში საუბარია ქართული მედიალური ზმნების არსებით მახასიათებლებზე და წარმოდგენილია ავტორის ზოგადგრამატიკული კონცეფცია. მკვლევარი ამ ჯგუფს ახასიათებს როგორც *აგენტურ ატელიკურ* ფორმებს. ორივე ნიშანს ცალ-ცალკე განიხილავს და განმარტავს. „აზრი ვითარდება ზოგადთეორიული, კატეგორიალური განმარტებებიდან ქართული ენის კონკრეტული მასალისაკენ. ვინაიდან ყოველი ცალკეული ზმნა ემპირიულად წინასწარ არის დახასიათებული, საბოლოოდ მნიშვნელოვან შედეგს ვღებულობთ; ნაშრომი იძენს არა მხოლოდ ემპირიულ, არამედ თეორიულ ხასიათს“ (მაჭავარიანი 1989: 321).

---

[1] ნაშრომზე რეცენზია იხ. მაჭავარიანი 1989: 315-325

[2] დი ენ ჰოლისკის კვლევის შედეგები წინამდებარე მონოგრაფიაში ჩართულია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის დროს კონკრეტულ პარაგრაფებში

მოგვიანებით გამოიცა დი ენ ჰოლისკის კიდევ ერთი პუბლიკაცია ნ. კახაძესთან თანაავტორობით: *„საუბრის მანერის ზმნები ქართულში“* (ჰოლისკი, კახაძე 1988:184-207), რომელიც წარმოადგენს ბგერათსიმბოლიზმის საკითხების ანალიზს საუბრის აღმნიშვნელ ზმნურ ექსპრესივებში. კ. ჩხენკელის ლექსიკონზე დაყრდნობით აღწერილია 230 ფორმა, რომელთაგან 107 ადამიანის მეტყველებას უკავშირდება. სულ გამოყოფილია 11 სემანტიკური ჯგუფი: ხმამაღლა საუბრის, ყვირილის, სიცილის, ტირილის და ა. შ. ამ ტიპის ფონოსტრუქტურებისათვის ცალ-ცალკეა დახასიათებული ხმოვნები და თანხმოვნები „ფონაციის ტიპისა“ და „არტიკულაციის ადგილის“ მიხედვით. საუბრის მანერის აღმნიშვნელი ყველა ფორმისათვის დადგენილია სემები ფონემურ დიფერენციალურ ნიშნებთან კავშირში[1].

ქართულ ლინგვისტიკაში ამავე პერიოდში ჩნდება ხმაბაძვით ლექსიკაში აღქმით და ემოციურ მოვლენათა ურთიერთკავშირის დადგენის ანუ ს ი ნ ე ს თ ე ზ ი ი ს მოვლენის კვლევის ინტერესი.

ცნობილია, რომ „სინესთეზიის კანონების თანახმად, ბგერითმა დაპირისპირებებმა შეიძლება ასახონ მიმართებები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკალურ, ფერით, ყნოსვით, შეხებით და ა. შ. აღქმებთან. მაგალითად, მაღალ და დაბალ ფონემათა დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს ასოციაცია ნათელი - ბნელი, წვეტიანი - მომრგვალებული, წვრილი - სქელი, მსუბუქი - მძიმე და ა. შ.“ (იაკობსონი 1985: 87-91).

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია *ნანა კიზირიას* ნაშრომები: *სამეტყველო ბგერის ასოციაცია ფერთან (1981), ფონემატურ ერთეულთა ბგერითი და არაბგერითი ასოციაციები ქართულში (*1982), *ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში (*2003).

ნ. კიზირიას მიერ შემოთავაზებული დასკვნები ეყრდნობა ექსპერიმენტულ მონაცემებს. ხმოვნებისათვის დგინდება, რომ

1. /უ/ მუქი ფერების ასოციაციას იწვევს,
2. /ო/ უფრო ღია ფერისას, ვიდრე /უ/, თუმცა /ა/, /ე/, /ი/-ზე მუქს,
3. /ა/ , /ე/, /ი/ - ღია ფერებისას.

ფერების მიხედვით შეფასების დროს ცდისპირები ახერხებენ ერთმანეთს დაუპირისპირონ ბაგისმიერი და არაბაგისმიერი ხმოვნები (კიზირია 1981: 124).

თანხმოვნების შემთხვევაში საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია მჟღეროვნება-სიყრუე. „მჟღერი ბგერების დახასიათების დროს ცდისპირებს, ძრითადად, მუქი ფერების ასოციაცია უჩნდებათ, ფშვინვიერების დახასიათებისას კი - ღია ფერებისა. აბრუბტივებს, შეიძლება ითქვას, მჟღერებსა და ფშვინვიერებს შორის უჭირავთ ადგილი“ (კიზირია 1981: 124). რაც შეეხება სონორებს, მათთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული კანონზომიერების დადგენა ჭირს, რასაც მკვლევარი ხსნის იმით, რომ ისინი არიან ცალეულები და დაპირისპირების, შედარების შესაძლებლობა არ არსებობს. დასკვნის თანახმად, „ქართული ხმოვნებიც და თანხმოვნებიც ცდისპირებში ქრომატული ფერების ასოციაციებს იწვევენ“. ქართულ მასალაზე ჩატარებული ცდის შედეგები უპირისპირდება რ. იაკობსონისა და ა. ჟურავლიოვის დასკვნებს, რომ ხმოვნები იწვევენ ქრომატული ფერების ასოციაციას, თანხოვნები კი

[1] იხ. აგეთვე ჰოლისკი 1988

აქრომატული ფერებისას (იაკობსონი 1962; ჟურავლიოვი 1974). საგულისხმოა, რომ „ქართულ ბგერათა დაპირისპირება ფერების მიხედვით გარკვეულად უკავშირდება ამ ბგერათა ფონეტიკურ საკლასიფიკაციო ნიშნებს“ (კიზირია 1981: 125).

ნ. კიზირიას მიერ სხვა ბგერით ასოციაციებთან დაკავშირებული დასკვნებიც ემყარება ექსპერიმენტს, რომელიც ამერიკაში გასული საუკუნის 50-იან წლებში მოღვაწე ფსიქოლოგის, *ჩარლ ოსგუდის „სემანტიკური დიფერენციალის მეთოდის“* გამოყენებით მიიღება. საკლასიფიკაციო ნიშნად ამჯერად შერჩეულია ოპოზიციური სემანტიკის თოთხმეტი ნიშანი: *ცივი - თბილი, მაღალი - დაბალი, ლამაზი - უშნო, სწრაფი - ნელი, ნაზი - უხეში, კარგი - ცუდი, დიდი - პატარა, ძლიერი - სუსტი...* (კიზირია 1982: 3; 2003: 27). სტატიაში სალექსიკონო თუ ზეპირი გამოკითხვით მიღებული მონაცემების, კონკრეტულ ლექსემათა ახსნის, განმარტების საფუძველზე დგინდება ცალკეულ ფონემათა სემანტიკური დიფერენციალური ნიშნები:

მჟღერი – დაბალი, მსხვილი, დიდი, ნელი, ძლიერი, მაგარი, უშნო, უხეში, მჭრელი:

გლოტალიზებულები - მაღალი, წვრილი, მკვეთრი, პატარა, მაგარი (კ-პატარა და მაგარი: კაკუნი), კუთხოვანი;

ფშვინვიერები –პატარა, ჩუმი, ნაზი, მაგრამ თუკი არის რამდენიმე ფშვინვიერი ერთად, ანუ კომბინაციაში, მათ შეუძლიათ ძლიერი ხმიანობის გამოცემა: *ფშუილი, ქშუილი (შდრ. ფუილი-ფშუილი, ან შუილი - ქშუილი).*

ჯგუფისთვის საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია ფონემათმიმდევრობით მსგავსი სტრუქტურები, როგორც თავად ავტორი წერს, „ერთი ბგერით ანდა ორი და სამი ბგერისაგან შემდგარი უშუალო მიმდევრობები. სიტყვის მნიშვნელობის ცვლაც ამ ბგერებზეა დამოკიდებული“ (კიზირია 2003: 27).

შენიშნულია, რომ მორფონოსტრუქტურებში ძირისეული ან აფიქსისეული ხმოვნის ცვლა მნიშვნელობის ცვლას აპირობებს: *ფხაკანი - ფხაკუნი, ჩხაკანი - ჩხაკუნი... ჯაჯღანი - ჯუჯღუნი, ტიტინი - ტუტუნი...* (კიზირია 2003: 38). საყურადღებოა ისიც, რომ იგი ცდილობს დაადგინოს ფონოსტრუქტურების აგების წესი ქართულში და მიმდევრობაში ეძებს სემანტიკურად დომინანტ ბგერას. ამ კრიტერიმზე დაყრდნობით გამოყოფს განსხვავებულ ჯგუფებს:

1. როცა ასეთი ბგერა ან ბგერათკომპლექსი ფონოსტრუქტურის ანლაუტშია *(კივილი, წივილი, შუილი... ჭრიალი, რიალი, ჟღრიალი, ჯღავილი)*;
2. ანლაუტი ცალთანხმოვნიანია, ინლაუტი კომპლექსითაა წარმოდგენილი: ტიტყინი, ჯიჯღინი...
3. როცა ძირის სტრუქტურაში ფონემათგანლაგება ჰომოგენურია (ავტორის სიტყვებით, „აკუსტიკურად მიმდევრობის შესაფერისი“): *თქაფუნი, წკაპუნი...*
4. ფუძეგაორკეცებული ერთეულები, რომლებშიც „თითოეულ ფუძეში შემავალი თანხმოვნები დომინირებენ“: *ჭიკჭიკი, ჩუხჩუხი, ჩახაჩუხი, ბაგაბუგი...*

შენიშნულია, რომ ქართულ ხმაბაძვით სიტყვაწარმოებაში ყველაზე მეტად ჩართულია აბრუბტივები (კიზირია 2003: 38).

ნ. კიზირიას ანალიზი ნათლად წაროაჩენს ხმაბაძვით სიტყვათა მოტივირებულ ხასიათს, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის გამჭვირვალობას. როგორც მკვლევარი წერს: „ამ კავშირზე მიუთითებს სიტყვაში არსებული ერთი ბგერის ან ბგერათა მიმდევრობის

გარკვეული თვისებები. როგორც ჩანს, ხმაბაძვით სიტყვებში დომინირებს ერთი ბგერა ან ბგერათა მიმდევრობა და შინაარსიც მასზეა დამოკიდებული“ (კიზირია 2003: 38).

ახალი ქართული ენის ბგერათა სემანტიკური შეფერილობა სრულად არის აღწერილი და გაანალიზებული ნანი ჭანიშვილის ნაშრომში: Zur semantischen Farbung der Laute im Neugeorgischen (About the Semantic Coloring of Sounds in the New Georgian Language) (1988: 167-179).

ვრცელი თეორიული შესავლის შემდეგ ავტორი აანალიზებს ქართული ენის ბგერათსისტემას, გამოყოფს ფონემურ დიფერენციალურ ნიშნებს და მათთან დაკავშირებულ სემანტიკას იკვლევს არა ცალკეული ბგერებისათვის, არამედ ბგერწერით ფონოტრუქტურებში - რედუპლიცირებულ თუ სუფიქსაციით მიღებულ ფორმებში. საგულისხმოა, რომ ნ. ჭანიშვილს აინტერესებს ერთი და იმავე ფონემა ავლენს თუ არა იდენტურ სემანტიკას სხვადასხვა სტრუქტურებში, რაც კვლევისთვის ძალზედ საინტერესო მეთოდოლოგია ჩანს. მაგალითისათვის, ის იღებს -იალ სუფიქსიან ფონოსტრუქტურებს და CV-CV ტიპის რედუპლიკაციებს მოდელებში ერთი და იმავე კონსონანტით და ასკვნის, რომ მორფონოლოგიური მოდელის ცვლილების მიუხედავად, ცალკეულ ფონემათა „სემანტიკური შეფერილობა“ უცვლელია.

ლექსემები დალაგებულია სინონიმურ ჯგუფებად და გამოყოფილია საერთო სემანტიკური მახასიათებლები. დგინდება კავშირები ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს შორის, ანალიზს საფუძვლად უდევს ტ. გუდავას მიერ დადგენილი კანონზომიერებები.

მეტად საინტერესოა ფონოსემანტიკურ ლექსიკაში ხმოვანთა განდასების საკითხიც, რომლის შესახებ მკვლევარი არაერთ კითხვას სვამს და ფრიად საინტერესო დასკვნებს იძლევა (CV)^2+ენ+ებ და (FV)^2+ნ+ებ სტრუქტურებისათვის. ზოგადად, ხმოვანთა სიმბოლიკის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტატიაში. გარკვეული ადგილი ეთმობა ხმოვანთა მნიშვნელობის კვლევას შორისდებულებში.

ხმოვანთა რიგის სემანტიკურ შეფერილობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ პირის კომუტატიური კატეგორიის მორფოლოგიური მაჩვენებლები არის ა, ე, ი ხმოვნები, მათი შემცველი ნაცვალსახელები სხვადასხვა პირთან მყოფობას გამოხატავენ. კეთდება დასკვნა, რომ „მოტივაციის ცვალებადი კავშირი არა მარტო ფონეტიკურ, არამედ მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებშია შეღწეული“. ავტორი მსჯელობას აგრძელებს ქცევის აღმნიშვნელ ხმოვან პრეფიქსებზე და მათ კავშირზე ხმოვნის, როგორც ერთეული ფონემის, სემანტიკიდან გამომდინარეობაზე (ჭანიშვილი 1988: 176). ასკვნის, რომ ქართული ენა ხმოვანთა ემოციურ დატვირთვას ანაწილებს არტიკულაციის ადგილის და არა აწეულობის ხარისხის მიხედვით, რაც უნივერსალური პრინციპია.

ქართველურ ენათა ფონოსემანტიკური ლექსიკას საგანგებოდ ნაკვლევია ირინე მელიქიშვილის მიერ, რომელმაც არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა ამ ენობრივ პრობლემას[1]

ირინე მელიქიშვილის პუბლიკაცია *ბგერწერთი ლექსიკისათვის ქართულში (1999: 78-89)* წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს ქართული ფონოსემატიკის შესასწავლად და საყურადღებოა არაერთი ასპექტით:

[1] ი. მელიქიშვილის შრომების ბიბლიოგრაფიისათვის იხ. „ენათმეცნიერების საკითხები“, 2014, გვ. 5-14

1. ბგერწერა განიხილება ენობრივ ნიშანთან კავშირში და დასმულია უმცირესი ენობრივი ნიშნის საკითხი;
2. ბგერწერა მიჩნეულია ისეთივე პროდუქტიულად, როგორც დერივაციული მოდელები, ვინაიდან ენაში მზა ყალიბებზე დაყრდნობით ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის მუდმივი შესაძლებლობა არსებობს;
3. განსაზღვრულია ტერმინთა - ბგერწერა, ხმაბაძვა, ბგერითი სიმბოლიზმი -მიმართებების საკითხები. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად შემოდის ახალი ტერმინები: „ფონოსემანტიკა“, „ფონოსემანტიკური კავშირები“; „სინესთეზიური კონები“;
4. ქართული ბგერწერითი ლექსიკა დალაგებულია სემანტიკური ჯგუფების მიხედვით; ჯგუფებში მაგალითებად დასახელებულია მსგავსი ყალიბების მქონე ლექსემები;
5. ლექსემათა ბგერწერითობის დასადგენ კრიტერიუმად შერჩეულია თავად ბგერწერითი რიგების არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, დიფერენციალურ ნიშანთა მონაცვლეობას ემყარება;
6. გაანალიზებულია ბგერწერის ორივე ტიპი: *ხმოვნითი* და *თანხმოვნითი. დადგენილია, რომ ქართულში გამოვლენილი ფონოსემანტიკური კავშირები უნივერსალური მიმართებების გამოვლენას წარმოადგენს;*
7. საინტერესოა საკითხი, რომელიც ეხება ბგერწერის კავშირს *კინემიკასთან,* კერძოდ, ბგერწერა კინემიკის მეშვეობით მოძრაობის მიბაძვასაც ახორციელებს;
8. საუბარია ფონოსტრუქტურაში შემავალ არა მხოლოდ ცალკეულ ფონემათა სემანტიკაზე, არამედ მორფონოლოგიური მოდელების - რედუპლიცირებული ძირების შემადგენელ კომპონენტებთან დაკავშირებულ სემანტიკაზე. იგულისხმება, თუ როგორ აპირობებს მარცვლის სტრუქტურული ტიპის - ღია და დახურული მარცვლების - რედუპლიკაცია (იდენტური ან განსხვავებული ხმოვნური შედგენილობით) სემანტიკური დიფერენციალური ნიშნების ცვლას.

ნაშრომში ქართული ბგერწერისათვის ჩამოყალიბებულია რამდენიმე წესი, რომელიც თავისი ხასიათით უნივერსალურია.

ი. მელიქიშვილი იკვლევდა ბგერწერის პრინციპებს გალაკტიონის ენაში; სამეცნიერო პუბლიკაცია *ბგერითი სიმბოლიზმი გალაკტიონთან* (მელიქიშვილი 1914: 31-46) ენათმეცნიერულ თეორიებსა და ენობრივ კანონზომიერებებზე დაყრდნობით ხდის ფარდას გალაკტიონის ენის ბგერწერას, „ბგერათა თამაშს“ თუ „ჰარმონიათა ალგებრას“, „პოეტური ხელოვნების მათემატიკურ სიმწყობრეს“.

ქართულ ენათმეცნიერებაში ფონოსემანტიკის ენობრივ ფენომენზე საუბარია არაერთ პუბლიკაციაში, სტატიასა თუ მონოგრაფიაში, რომლებიც ზოგადად ეხება *ძირისა და აფიქსის სტრუქტურებს ქართველურ ენებში* (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; მაჭავარიანი 1965; ქობალავა 1967, 1972; მელიქიშვილი 1980, 2009), *რედუპლიკაციას,* ვინაიდან ქართველურ ენებში აღნიშნული ენობრივი ფენომენი, ძირითადად, ბგერწერით ფუძეებს უკავშირდება. ამ მხრივ უნდა გამოირჩეს *ვარლამ თოფურიასა* (1958: 281-307; 1979: 103-131) და *ლატავრა სანიკიძის* (1976: 35-79; 1977: 22-80;) პუბლიკაციები ქართველური ენების მასალაზე. ასევე, *ქეთევან დათუკიშვილის* სადისერტაციო ნაშრომი *რედუპლიკაცია ქართულში* 1991), რომელიც სისტემურად აღწერს რედუპლიკაციის ენობრივ მოვლენას ქართულში და არაერთ საკითხს ახლებური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს.

ფარნაოზ ერთელიშვილი საგანგებოდ იკვლევს *ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს ქართულში* ამავე სახელწოდების მონოგრაფიაში (1970), რომელშიც მრავალრიცხოვან ფუძეთა შორის, ცხადია, მოქცეულია ფუძის ფონოსემანტიკური ტიპიც. ავტორი სუფიქსაციისა და რედუპლიკაციის პრობლემებს იხილავს როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ჭრილში.

*შუქია აფრიდონიძის ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში (*1993: 92-103) განსხვავებული კუთხით წარმოადგენს ხმაბაძვით ლექსიკას, უფრო ზუსტად, „პირველად მასდარებს“. მკვლევარს აინტერესებს არარედუპლიცირებული ერთეულები, რომლებიც რედუპლიცირებულს ემსგავსება ფუძის ბოლოკიდური სონორების შემცველი კომპლექსებით: *ბრაგუნი, ყიყინი, კურკური...* ძირისა და აფიქსის ხმოვანი ელემენტების მიმართების დადგენა აქტუალურია სტატიისათვის, თუმცა იგი გაცილებით მეტ ღირებულებას იძენს პირველად მასდარებთან დაკავშირებული მორფოლოგიური თავისებურებების გამო, კერძოდ:

1. ახსნილია იმ პირველად მასდართა უკუმშველობის მიზეზი, რომელთა აუსლაუტში გვაქვს *-ან, -ალ, -ალ* კომპლექსები; უკუმშველობის მიზეზად დასახელებულია ამ ტიპის ფუძეთა შემოფარგლული სემანტიკური ველი და სპეციფიკური მორფოლოგიური და ფონემატური სტრუქტურა;
2. პირველად მასდართა უმრავლესობას შეიძლება დაერთოს მაადიექტივებელი ან მაპარტიციპირებელი *-ა* სუფიქსი, რომელიც სტრუქტურას კვეცისგან იცავს. მკვლევარი აღნიშნული სუფიქსის სხვა ფუნქციებზეც მიუთითებს;
3. პირველადი მასდარებისგან წარმოქმნილ მიმღეობებისათვის გამოყოფს სემანტიკურ მახასიათებლებს;
4. ერთმანეთთან აკავშირებს სახელთა კნინობით-ალერსობით ფორმას დართულ სუფიქსურ კომპლექსებს და *-ა*დართულ პირველად მასდარებს. შემოთავაზებული მსჯელობა ეყრდნობა ფაუნის აღმნიშვნელ სახელებსა და ხმაბაძვაზე აგებულ რედუპლიცირებულ ძირებს ქართულში;
5. პირველადი მასდარები განხილულია მხატვრულ ტექსტთან მიმართებითაც;
6. საუბარია ენობრივ ნორმაზე, რომელიც შეეხება *-ებ* და *-ობ* თემის ნიშანთა დისტრიბუციის საკითხს, გამოვლენილი კანონზომიერებები უკავშირდება ზმნის სტრუქტურას.

ფონოსემანტიკის საკითხები აქტუალურობას არც ახალი საუკუნის დასაწყისში კარგავს, არაერთი ავტორის პუბლიკაცია ქვეყნდება ცალკეულ საკითხებზე, მათ შორის მნიშვნელოვანია ზოგადთეორიული თვალსაზრისით *ც. ახვლედიანისა* და *მ. კინწურაშვილის* პუბლიკაცია *ფონოსემანტიკისა და ქვეცნობიერის უხილავი კავშირი* (2007: 23-30), რომელიც ფონოსემანტიკის ზოგი პრაგმატიკული ასპექტის კვლევას უკავშირდება.

ფონოსემანტიკა კვლევის ობიექტი ხდება არაერთი ახალგაზრდა მკვლევრისთვის, რომელთა საკვალიფიკაციო ნაშრომებში აღნიშნული ენობრივი ფენომენი სისტემის დონეზეა აღწერილი და გაანალიზებული:

მედეა საღლიანი, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში (1995);

ნონა მამისეიშვილი, ხმაბაძვით სიტყვათა სტრუქტურა, სემანტიკა და პრაგმატიკა (ქართული ენის მასალის მიხედვით) (2001);

რუსუდან გერსამია, ლექსიკური სინონიმია მეგრულში (2003);

ლელა გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში (2006).

დისერტაციებში ასახული კვლევის შედეგები სხვადასხვა დროს გამოცემულია ცალკეული პუბლიკაციის სახით;

ყველა ზემოჩამოთვლილი და ჩვენ მიერ მიმოხილული ნაშრომი საფუძვლად ედება წინამდებარე მონოგრაფიას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და შინაარსს.

ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველური ენების ლექსიკონებში

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების“ რვატომეულში ფონოსემანტიკურ სიტყვათა ის ნაწილია წარმოდგენილი, რომელიც დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა. ამავე ენის დიალექტურ ლექსიკაში კი უამრავი ასეთი ფუძეა, მათი დიდი რაოდენობა ასახულია დიალექტურ ლექსიკონებში და კონკრეტული კილოს კუთვნილებაა. ფონოსემანტიკური ლექსიკის სიუხვით გამოირჩევა მეგრული და სვანური ენებიც, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე.

თავისებური სირთულე ახლავს ფონოსემანტიკური ლექსიკის როგორც განმარტებას, ასევე თარგმნას როგორც ლექსიკონებში, ისე ტექსტებში. სხვა ენაზე მათი ზუსტი მნიშვნელობით გადატანა ყოველთვის ვერ ხერხდება. ქართველური ჯგუფის ენებში მეტი შესაძლებლობა არსებობს დაიძებნოს შესაბამისი ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტი არა მხოლოდ სალიტერატურო ენის, არამედ მისი დიალექტების ფარგლებში, თუმცა არა ყოველთვის. კიდევ უფრო რთულია ამგვარი ლექსიკის უცხო ენებზე გადატანა, რის გამოც მათი დიდი ნაწილი ლექსიკონებისა თუ ტექსტების მიღმა რჩება;

საკითხის ანალიზს გთავაზობთ ორი ასპექტით:

ა) სალექსიკონო ერთეული და მისი განმარტების საკითხი ქართველურ ენათა ლექსიკონებში;

ბ) თარგმანის საკითხი ქართველურ ენათა ლექსიკონებში.

1. *ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ლექსიკონები*

ქართულში ფონოსემანტიკურ სიტყვათა სიმრავლე ჯერ კიდევ *სულხან-საბამ* შენიშნა; ლექსიკოგრაფს *„სიტყვის-კონაში”* შეტანილი აქვს 200-ზე მეტი ფონოსემანტიკური ერთეული, დამოწმებული და განმარტებული აქვს უკვე ხმარებიდან გასული ზოგიერთი მოძველებული სიტყვა, რომელთა პოვნა ძნელია ქართულ დიალექტურ და, მით უმეტეს, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. საბა განმარტავს არა მარტო საკუთრივ ხმაბაძვით ანუ ხმიანობის აღმნიშვნელ სიტყვებს, არამედ, ზოგადად, ტირილთან, სიცილთან, მოძრაობის, საუბრის მანერასთან დაკავშირებულ ლექსიკას. ლექსიკოგრაფი მათ სემანტიკურ ბუდეებში განიხილავს: „ღაღადება - ესე ითქმის ყო(ვ)ელივე ჴმამაღლობით ჴმა-ყოფა, ხოლო ღაღადებაცა ესრეთ განიყოფების: შორით ერთისა კაცისა მაღალსა უკაფიოსა ჴმასა ეწოდების *კივილი,* ხოლო ჴმიანითა სიტყვითა ღაღადისსა – *ყივილი;* დიაცთა კივილსა ეწოდების

კრჩხიალი; მრავალთა ერთა უსმინართა ლაპარაკთა – *ყაყანი*; დიაცთა ყაყანსა – *ძიძგინი* და *ჯიჯგინი*; ომთა შინა ღაღადებასა – *კიჟინა*; მტერთა განრომილთა კაცთაგან სასიხარულო ჴმაყოფით ღაღადებასა – *ზრინვა;* შეწუხებულთ(ა) საგლოელს ღაღადისსა – *ზრიალი;* უგვანსა მაღალსა ჴმიანობასა – *ყვირილი*; ქათმისა და მისთანათა ზახილსაცა *ყივილად* იტყვიან“ (ორბელიანი 1993). საგულისხმოა, რომ ის ხშირად განასხვავებს არა მარტო ადამიანისა და ცხოველის ხმას თუ შესრულებულ მოქმედებას, არამედ მამაკაცთა და „დიაცთა” ქმედებას, „უგვანსა” თუ „სასიხარულო” ხმიანობას..., რაც ძალიან საინტერესო მასალას გვაწვდის ფონოსემანტიკურ სიტყვათა როგორც სტრუქტურული, ასევე სემანტიკურ-პრაგმატული შესწავლის თვალსაზრისით.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ფონოსემანტიკური ლექსიკა შესაბამისი მაგალითების დამოწმებით მოცემულია *ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1973)*[1]*:*

> *ჟივილი* - ტირილი: „ყრმანი ჩჩჳილნი ჟ ი ო დ ე ს და ეძიებდეს მშობელთა თჳისთა“ H-341, 643.
> *ჟღავილი* - „შფოთი“, მღელვარება.
> *რიჟურაჟუ* - „მსთუად“, ბნელი, დღისა და ღამის გაყრის დრო.
> *კრჩხიალება* - შეკივილი „სმა, მეყსეულად იკრჩხიალა და თქუა“ (ქ. ცხ. 94, 7).
> *რორინება* - „მისვლა“, „ლმობა“
> *ჩქუეფა* - „ღელვა, ხეთქება წყდომა“.

ძველი ქართული ენის მონაცემები საკმაოდ მნიშვნელოვანია ფონოსემანტიკური ლექსიკის დიაქრონიული შესწავლას თვალსაზრისით, საინტერესოა ენის განვითარების კონკრეტული ეტაპისათვის როგორ იცვლებოდა ამგვარი სიტყვების სტრუქტურა თუ მნიშვნელობა.

ფონოსემანტიკურ სიტყვათა შესწავლის თვალაზრისით ძალზე მნშვნელოვანია *დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ (1840).* ლექსიკონის 35000 სიტყვას შორის საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკა. თავად ლექსიკონს მოკლე მიმოხილვითი გრამატიკა უძღვის, მაგრამ იგი ფონოსემანტიკურ საკითხებზე მსჯელობას არ მოიცავს. მიუხედავად ამისა, ლექსიკოგრაფი გვერდს არ უვლის და განმარტავს, თარგმნის ამ ტიპის ლექსიკას:

> *ბუდბუდი* „ропотъ, роптаніе, murmure“
> *ზუზუნი* „жужжаніе, ворчаніе, bourdonnement, gronderie“
> *კავკავი* „тявканье, aboiement des jeaunes chiens. тявкать, aboyer, clabauder (se dit d’un petit chien) “
> *კრჩიალი* „шумъ, произведенный перепуганными птицами, bruit fait par les oiseaux effrayés“
> *ჟღავილი* „крикъ смятеніе от испуга, cri, alarme de frayeur“
> *ღიღინი* „пріятное пѣніе, chant agreeable“
> *შიშინი* „шумъ кипѣн’я, bruit de ce qui bout. тихо кипѣть, bouillir á petit bruit“

ლექსიკონში უხვად შევხვდებით სრული და აბლაუტური რედუპლიკაციის მაგალითებსაც:

ბუდბუდი „ропотъ, роптаніе, murmure“
კაწკაწი „скрежетать зубами, grencer des dents“
ჟივჟივი „чириканіе, gazouillement“
ღავღავი „ропотъ, шумъ, murmure, bruit“
ბაკაბუკი „топотъ, trepignement“
კირწიკორწი „кувырокъ, кувырканіе, culbute“
რახირუხი „стукъ, стукотня, bruit de celui qui frappe“

ვიპოვით პარალელური ექსპრესიული ფორმებს, ომლებიც მხოლოდ ერთი ხმოვნით ან თანხმოვნით განსხვავებული შესაბამისი განმარტებითა და თარგმანით:

ბაბანი „вздрагиваніе, подираніе, по кожѣ, frissonement“
ბუბუნი „жужжать, брюзжать, bourdonner“
კრუსუნი „стонать, вздыхать, gémire, pousser des gémissements“
კრუხუნი „клохтать, glousser (des poules)“
ლაპლაპი „пылать горѣть ясно, brúler d’un flamme claire“
ლასლასი „едва ходить, летать, avoir de la peine à marcher, à voler“
ლაქლაქი „болтать, bavarder“

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დაფიქსირებული ფონოსემანტიკური ლექსიკის ანალიზიდან ჩანს, რომ დავით ჩუბინაშვილი, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი-ლინგვისტი, დიდი სიფაქიზით ეკიდებოდა და საკმაოდ ადეკვატურადაც აღიქვამდა ფონოსემანტიკური ლექსიკის თარგმნისა და განმარტების საკითხს (კიკვიძე 2014)

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში (1950-1964) ფონოსემანტიკური ლექსიკის მდიდარი მასალაა წარმოდგენილი, ისინი ხშირად განიმარტება სემანტიკური დიფერენციალური ნიშნებიდან ამოსვლით, კერძოდ, მითითებულია

მოძრაობის რაგვარობა, ხარისხი, სუბიექტისა და იბიექტის რაგვარობა, ტემპი, ინტენსივობა და სხვ.

ციცქნა1	ციცქნა (ციცქნისა) სახელი ციცქნის ზმნის მოქმედებისა, _ კიკნა, წიწკნა. საჭმლის ციცქნა. _ პურის ციცქნა.
წიწკნა	წიწკნა (წიწკნისა) სახელი წ ი წ კ ნ ი ს ზმნის მოქმედებისა; 1. გლეჯა (ბალახისა, თმისა...). 2. დაქუცმაცება (ფრჩხილით, კბილებით), დაწიწკნა.
ძიძგნა	ძიძგნა (ძიძგნისა) სახელი ძ ი ძ გ ნ ი ს ზმნის მოქმედებისა, _
ჯიჯგნა	ჯიჯგნა (ჯიჯგნისა) სახელი ჯიჯგნის ზმნის მოქმედებისა, _ ულაზათოდ გლეჯა (შდრ. წიწკნა).
ჩიჩქნა	ჩიჩქნა (ჩიჩქნისა) 1. სახელი ჩ ი ჩ ქ ნ ი ს ზმნის მოქმედებისა, _ აქა-იქ თხრა; 2. სახელი ი ჩ ი ჩ ქ ნ ი ს ზმნის მოქმედებისა, _ წმენდა, ჩხრეკა (ყურისა, ცხვირისა და მისთ.).

მასდართა პარალელურად შეტანილია აწმყოს მე-3 პირის ფორმები:

ჯიჯგნის ჯიჯგნი-ს (ჯიჯგნა, უჯიჯგნია) გრდმ. ულაზათოდ გლეჯს (კბილ[1]ებით). შდრ. წიწკნის. [ნადირი]. || უპატივც. გლეჯს და ისე ჭამს.

ჩიჩქნის ჩიჩქნი-ს გრდმ. 1. (ჩიჩქნა, უჩიჩქნია) აქა-იქ, ზერელედ, არაღრმად თხრის. || ჭექს, ჩხრეკს. 2. ს-ჩიჩქნი-ს ([ამო]სჩიჩქნა, [ამო]უჩიჩქნია [მისთვის]) სთხრის, [ამო]აცლის (თვალებს), _ ამოსჩიჩქნის.

პოლისემანტიკურობის შემთხვევაში მითითებულია ყველა მნიშვნელობა:

ლიცლიცი ლიცლიც-ი (ლიცლიცისა)
1. სითხით პირამდე სავსე, – გალიცლიცებული. ლიცლიცი გააქვს პირამდე სავსეა, – ლიცლიცებს.
2. წყლის ზედაპირის ნელი მოძრაობა, რხევა.
3. ციმციმი. (ქეგლ VI)

ქეგლში შეტანილია დიალექტური ლექსიკის ნაწილიც და მითითებულია მათი კუთხური წარმომავლობა. ზოგიერთ შემთხვევაში ორივე ფორმის მოძიებაა შესაძლებელი - სალიტერატუროსი და დიალექტურისა, ან სალიტერატურო ქართულში პარალელურად არსებული დუბლეტებისა, როგორებიცაა: *დაწანწალებს / დაწანწალობს, კრიახებს / კრიახობს, ფარფაშებს / ფარფაშობს…* ხშირად მითითებულია, რომ ლექსემა კუთხურია, ფიგურალური, ან გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული და მითითებულია მორფოლოგიური თავისებურებანი: *ფხაჭუნობ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში)* კუთხ. (იმერ.) გრდუვ. სტატ. იხ. აფხაჭუნებს (ქეგლ VII). *ღრიალებს* გადატ. ხმამაღლა ტირის, - ბღავის (ქეგლ). ზოგჯერ მითითება ლექსემის კუთხურობის შესახებ, ერთი სიტყვის მხოლოდ რომელიმე მნიშვნელობას ახლავს. მაგ.

პიპინი - პიპინ-ი (პიპინისა) ზურნის, დუდუკისა და მისთ. ხმა.

პიპინი - პიპინ-ი (პიპინისა) კუთხ. (გურ.) ძალიან გავსება რისამე (ქეგლი VI).

მართებული სალიტერატურო ფორმისა და დიალექტური ფორმის ერთმანეთისგან გამიჯვნა გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება, რასაც აშკარად განაპირობებს ფონოსემანტიკურ სიტყვათა სიმრავლე და სპეციფიკურობა.

ამავე ლექსიკონში საკმაოდ ხშირად შევხვდებით ძველი ქართულის ლექსიკის განმარტებას, როგორც სულხან-საბას ლექსიკონის, ასევე დილექტური მაგალითებისა და ანდაზების დამოწმებით, რაც აადვილებს საძიებო სიტყვის განმარტებას:

წრიალ-ი[1] (წრიალისა) მოუსვენრად მოძრაობა (სიარული, მიბრუნ-მობრუნება...), მოუსვენრად ყოფნა, - შფოთვა.

წრიალი[2] (წრიალისა) 1. ძვ. მოქნეულისაგან ჰაერის გაპობის ხმა, - წუილი, შხუილი. აქეთ ესენიცა აიყარნენ და შეიქნა ცხენთა ხვივილი, მათრახთა წრიალი («რუსუდ.»). 2. ძვ. «მახვილის ხელზე წასმის ხმა» (საბა). 2. კუთხ. (ხევს.) ძალიან წვრილად ჩამომდინარე სითხის ხმა. შამავდგენ საარაყენი, წრიალით ჩამადისაო (ხალხ.). (ქეგლი VIII).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი საკმაოდ უხვ სამწერლობო მასალაზე დაყრდნობით ამომწურავად წარმოაჩენს ფონოსემანტიკური სიტყვების სემანტიკურ სპეციფიკას, განმარტავს მათ ყველა ნიშნის მიხედვით. თუმცა იშვიათად ეთითება ამ ტიპის ლექსიკის ხმაბაძვა-ბგერწერითობის თუ ექსპრესიულობის შესახებ.

ფონოსემანტიკური ლექსიკის უამრავი მაგალითია დამოწმებული *ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში"*, რომელიც ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტის ლექსიკურ თავისებურებებს აღნუსხავს. თავს უყრის ლექსიკურ და სემანტიკურ დიალექტიზმებს – საერთო ქართული ლექსიკის იმ ნაწილს, რომელიც სპეციფიკურია დიალექტური მეტყველებისათვის. „დიალექტური მეტყველების ნაირფეროვანი სიტყვარი" (ღლონტი 1984: 3) ძალიან ხშირად ამ ლექსემებს განმარტავს მაგალითებით, „ყველა ლექსიკურ ერთეულს ახლავს მოწმობა წყაროს შესახებ. უწყაროოდ... არცერთი სიტყვა არ არის დამოწმებული" (ღლონტი 1984: 6), რაც მდიდარ მასალას გვაწვდის ფონოსემანტიკური ლექსიკის კვლევისთვის არაერთი თვალსაზრისით:

გვანგვალ-ი (ლეჩხ.) „კარგად, ლამაზად, მოკლე ნაბიჯებით სიარული დაბალი, ჩამრგვალებული ადამიანისა. «ხვალ გეყოლება იმისთანა გ ვ ა ნ გ ვ ა ლ ა რძალი» (მ. ალავ., 1); ქალის შნოიანი სიარული, მოკლე ნაბიჯით სვლა. ნ. ქვანქვალი (მ. ჩიქ.)."

ქვირქვილ-ი (იმერ.) ტირილი, ქვითინი, მოქვირქვილე ქალებიზარში დაქირავებული ქალები, რომლებიც ხმადაბლა ტირიან, ქვირქვილობენ, რომ გამოიყოლიონ ისინიც, ვისაც ტირილი არ ეხერხებათ (ვ.ბერ.).

ზოგჯერ იმდენად განსხვავებულია ფონოსემანტიკური სიტყვის დიალექტური და სალიტერატურო ენაში დადასტურებული მნიშვნელობა, რომ მისი დაზუსტება კონტექსტისა ან შესაბამისი განმარტების, ახსნის გარეშე შეუძლებელია. დიალექტურ ფორმათა ფონოსემანტიკურობა ადვილი მისახვედრია „ამ ენაზე მოლაპარაკეთა ლინგვისტურ კომპეტენციაში არსებული ნაცნობი ბგერწერითი ყალიბების" (მელიქიშვილი 1999: 78) გამო, რასაც ვერ ვიტყვით მათ მნიშვნელობაზე, თუ რას გამოხატავს ის - ლაპარაკის მანერას, სინათლის მოქმედებას თუ უბრალოდ ხმიანობას.

შდრ.: ჭყვიალი (თუშ.)- ფეხის ხმა თოვლზე სიარულის დროს,

ქორქოლი (ლეჩხ.) - კანკალი, თრთოლვა, აქორქოლება, აკანკალება (ღლონტი 1984), მაგრამ კონტექსტი გასაგებს ხდის დიალექტურ ლექსემებს ნაცნობი ყალიბების ძალით. მაგ.: ლეჩხ. *ქორქოლი* გასაგები გახდებოდა განმარტების გარეშე წინადადებაში: ყურდღელივით მშიშარაა, უცებ *აქორქოლებს* (მ. ალავიძე) (ღლონტი 1984).

როგორ ზევით აღვნიშნეთ, საკმაოდ რთული ჩანს ფონოსემანტიკური ლექსიკის სალიტერატურო და დიალექტური ვარიანტების გამიჯვნა; არის ფორმები, რომლებიც მხოლოდ მეზობელ დიალექტებში დასტურდება; ზოგჯერ კი კუთხური ლექსიკური ერთეულის გამოყენება ცალკე კუთხის ფარგლებს სცილდება და გვხვდება არამეზობელ დიალექტებშიც, რის საფუძველსაც წარმოადგენს „საერთო ქართულის დიალექტური ფილიაცია" (ფოჩხუა 1974: 188). კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ძირი სხვადასხვა დიალექტში განსხვავებული აფიქსაციით ან რედუპლიცირებული ფორმით გვხვდება ხან იდენტური, ან განსხვავებული მნიშვნელობით:

ბლადუნი (იმერ)“ უხეირო სიარული“

ბლადაბლუდი (ქართლ.) „უაზრო ლაპარაკი“

ბლადაბლუდი/ბადაბუდი (მთიულ.) „ძლივს დადის“

ბადბადობს (მთიულ.) „უაზროდ, დაუკვირვებლად ლაპარაკობს“ (კაიშაური 1967)

ფონოსტრუქტურა იდენტური, სხვადასხვა მნიშვნელობა დიალექტების მიხედვით:

კოწიწი (ფშ.) „ცოდვილობა“

კოწიწი (იმერ.) „მობღაუჭება“

კირკილი (იმერ. გურ.) „წყაროს წყლის დენა, ხმაური, რაკრაკი“

კირკილი (ზ. იმერ.) „სიცილი“

თუ რამდენად უცხო შეიძლება იყოს „არქაული“ ან „თანამედროვე“ ფორმები, ამას ნათელს გახდის ქვემოთ წარმოდგენილი დიალექტური ლექსიკა, რომელსაც სჭირდება „თარგმნა“. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ მარგინალური დიალექტები მეტ სხვაობას ამჟღავნებენ:

ქიზიყური ლექსიკონი (მენთეშაშვილი 1943):

დარაკრაკება „დაკრიალება, ლაკლაკი „აქა-იქ უხეიროდ სიარული“, *ტყაპტყაპი* - კვეხნა, ბაქი-ბუქი“, *ტყარტყარი* „სინათლის ელვარება, ფერის კაშკაში“, *ქათქათი* „1. ყბედობა“; *ყვინტყვინტი* „ბურტყუნი, ხმადაბლა ჯავრობა, უკმაყოფილების გამოცხადება“, *ყუყუნი* „1. საყვირის ხმა“, 2. „კვნესა, ტირილი“; ჭიხჭიხი „ცხენის მაღალი ხმიანობა“

ქართული ენის ინგილოური ლექსიკონი (ღამბაშიძე 1988):

ბოღრიალი „ღრიალი, ღმუილი, ყვირილი“; *თანყთუნყ* „ცულის, ჩაქუჩის დარტყმის ხმა“; *ლუხალუხ* „თუხთუხის ხმა დუღილის დროს“, *ტრაყტრუყ* „რახარუხი, ბრახაბრუხი

მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა (ფეიქრიშვილი 1992):

აბულბულებს 1. „სწავლობს, კითხულობს“; 2. „სინათლე უნთია არასაჭიროებისამებრ“;

ბაბანი „კანკალი, ცახცახი“; დადანობს „დაუკვირვებლად ლაპარაკობს“;

შტრიალი „საქონლის წრიალი“.

„ქართული კილოები მთაში“ (შანიძე 1984) და სხვა ლექსიკონები:

ჟღავჟღუვი „ლაყბობა, ხმაურობით საუბარი, ყვირილი“; *რაცრაცი* „უთავბოლო ლაპარაკი“, *ფრაშფრაში* „არწივისა და სხვა დიდრონი ფრინველების ფრთების ქნევა“, *ყუილი* „ტკივილი (უფრო კბილის)“, *ხახანი* „ხრჭიალი, ღრჭიალი“, *ქასქასი* „ქაქანი სიცხისა და დაღლილობისაგან (თ. რაზიკ., ივერია N 140, 1900, ი. ჭყონ.) (ღლონტი 1984: 563), *ქვერქვეტი* „ფანდალით სიარული“ (ლ. ნოზაძე) (ღლონტი 1984: 669), *ფშრუკუნი* (მოხ.) „აცრემლებული ლაპარაკი“ (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.) (ღლონტი 1984: 555), *ფხვრიალი* (ხევს., თუშ.) ცხენის ხმადაბალი ხმიანობა (ღლონტი 1984: 557), *ფხლაკვნა* (ფშ.) „ხტომა, განძრევა, შეთამაშება (ი.ჭყონ) (ღლონტი 1984: 557), *ქიტქიტი* (მოხ.) „უსაფუძვლო, უადგილო სიცილ-ხარხარი“(ო. ქაჯ.) (ღლონტი 1984: 571)

თუშური კილო, ლექსიკა (ხუბუტია 1969):

ქავქავი „ცხენის იორღად ტარება“; ზივზივი „სინაზე, კოხტაობა ქალისა“; *რიკრიკი* (თუშ.) „კისკისი, გულიანი სიცილი“, *ფუფუნი* (თუშ.) „ჭიების მოძრაობა სითხეში“.

თუშური კილო (უთურგაიძე 1960):

ჯრასტუნი „ხველება"; *ჯნაშხნიში* „ხვნეშა"; გახანცუცურაყება-ჲ „გაუბარაქოება"; *ფსრიტი* „სულწასული, მოუთმენელი".

მთიულურის დარგობლივი ლექსიკა (კაიშაური 1967):

ახარხარებს „ანიავებს ხვავს"; *ბუჭბუჭებს* „ფუსფუსებს"; *კრიხიალი* „კრიახი"; *რუტრუტებს* „ბუტბუტებს"; *ჩანჩახებს* „ზანზარებს"; *ჭუჭუნებს* „ცხვირში ლაპარაკობს"; *წიპანი* „წიოკი, ხმაურობა".

გურული კილო (ღლონტი 1984):

გაჟინჟღილებული / გაჟირჟღილებული „წითლად გასუქებული ადამიანი (გ.შარაშ.)" (ღლონტი 1984: 132), *გატეტკილი* „ფერიხდილი, ჩატეტკილი (საბა, გ. შარაშ.)" (ღლონტი 1984: 137), *ღერღეცი* „კაცი, რომელსაც ერთი მხარი მაღლა აქვს და მეორე დაბლა. (ქეგლ.) (ღლონტი 1984: 586), *ქვანქრუში* „უთავბოლოდ წრიალი, აქეთ-იქეთ ხეტიალი(ვანი, თ. თავაძე) (ჟღენტი 1984, 565); *ქირქილი* „ქარის, ნიავის, გინდ სიოს ნელი ქროლა (ი. ჭყონ.) (ღლონტი 1984: 571).

სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (ბერიძე 1986):

ბათქა-ბუთქი „თოფის სროლის ხმაურობა"; *დღუზვა* „შერჭობა, დარტყმევა"; ზლუქუნი „ხმამაღლა გულამოსკვნით ტირილი"; *კვინკვილი* „გადა-კვინკვილება, მოსპობა, ძირიან-ბუდიანად ამოვარდნა"; *წიწყინი* „ა-წიწყინება, დალპობა, დახრწნა". *სვინტალი, წვინტალი* „ოხერი, ეშმაკი, გაუტანელი; უზრდელი, ტუტუცი", *მოდგვეფილი* „უშნო, ტლანქი, მოუხეშავი", *ქვირქვილი* „ტირილი, ქვითინი"

აჭარული დიალექტი

პუწკუნტურია-ი „ეპითეტი კოხტა, ტურფა, კეკლუცი ქალიშვილისა (შ. ნიჟარ.)" (ღლონტი 1984: 443), *ჟღართი* „დიდი, მაღლი, ბრგე, მოქნილი ტანის ადამიანი (შ. ნიჟარ.,)" (ღლონტი 198: 449), *ხენხვი* „ტანწვრილი და უშნოდ მაღალი ადამიანი (შ. ნიჟარ.) (ღლონტი 1974: 747); *ღერღეში* „უმიზნოდ, უსაქმოდ სიარული, ხეტიალი" (შ. ნიჟარ.) (ღლონტი 1984: 586).

ფონოსემანტიკური ლექსიკა თუ ერთ დენოტატს უკავშირდება, მაგრამ განსხვავებულია კონოტატიური ნიშნების მიხედვით, განიხილება ლექსიკურ სინონიმებად. ამ ნიშნით მათი დიდი რაოდენობა აღნუსხულია *ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში" (1961).* ლექსიკურ ერთეულებს განმარტება არ ახლავს, მხოლოდ გადამისამართებულია სინონიმურ ლექსემასთან ან ნეიტრალური სემანტიკის მქონე სიტყვის ბუდეშია თავმოყრილი: *სიარული, ბაჯბაჯი, ჩანჩალი, ღინღილი, ხინხილი, ფრატუნი, ცუცუნი, ძუნძული, ხუსხუსი, ცუნცული, ტუსტუსი* და ა. შ. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ფორმა სალიტერატუროა თუ დიალექტური, ძველი თუ ახალი ქართულის კუთვნილება.

1. *მეგრული ენის ლექსიკონები*

მეგრული ენის ლექსიკონებში დიდი რაოდენობით არის შეტანილი ბგერწერითი ლექსიკა, თუმცა მათი სრულად ამოწურვა შეუძლებელია, რადგან ბგერწერითი ყალიბები დღესაც საკმაოდ პროდუქტიულია და მუდმივად არსებობს ახალი ლექსიკური ერთეულის

გაჩენის შესაძლებლობა უკვე არსებულ ყალიბებზე დაყრდნობით. ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულების აღწერა და განმარტება-თარგმანი იოსებ ყიფშიძის მეგრულ-რუსული ლექსიკონიდან იღებს სათავეს და დღემდე არსებული თითქმის ყველა ლექსიკონის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

იოსებ ყიფშიძის ,,мингрельско-русский словарь'' 233-გვერდიანია. იგი ერთვის მის მონოგრაფიას (Грамматика мингрельского (иверского) языка) და *მეგრულ ტექსტებს* - ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს (სულ 188 გვ.). წიგნი გამოცემულია 1914 წელს სანკტ-პეტერბურგში. ეს არის ქართველოლოგიის ისტორიაში თარგმნითი ლექსიკონის შექმნის პირველი ცდა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში სხვადასხვა ავტორის ოთხი ლექსიკონი გამოიცა მეგრულისათვის, იგი არ კარგავს აქტუალობას მასალის სიზუსტის, სალექსიკონო ერთეულთა სწორი და ხშირად გამოწვლილვითი, დეტალური ანალიზისა თუ საილუსტრაციო მაგალითების სიუხვისა და სანდოობის გამო (გერსამია, ლომია 2010).

ვინაიდან ლექსიკონი მეგრულ-რუსულია, ერთდროულად არის განმარტებითი და თარგმნითიც, აქვს გრამატიკული ცნობარის ფუნქციაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ლექსემების, ზმნური მორფემებისა და მოდალური ელემენტების ახსნის, მათი მრავალფეროვნებისა და სემანტიკური თავისებურებების წარმოჩენით, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ავტორისათვის არამშობლიურ, უცხო რუსულ ენაზე მათი გადატანის, თარგმნის სპეციფიკის თვალსაზრისით, რასაც მკვლევარი წარმატებით ართმევს თავს (გერსამია, კიკვიძე, ლომია 2014: 116). ამის დასტურად მეგრულის ენობრივი სისტემისათვის ყველაზე სპეციფიური ნიშნების - *ბგერწერით ფუძეთა* - განმარტებისა და თარგმნის რამდენიმე მაგალითის მოხმობაც კმარა, ი. ყიფშიძე ამგვარ ფორმებს გვერდს არ უვლის და მაქსიმალური სიზუსტით განმარტავს და თარგმნის:

ღაფალი „говорить громко" *(ყიფშიძე1914, 349),*

ქვაქვალი, გილა-ქვაქვალი „ходить легко праворно" (გვ. 343),

ქვაცალი, მე-ქვაცალი „ходить (говорится о маленькихъ, маленкихъ животнихъ как лиса, шакалъ" (გვ.343),

ღვარღვალი „сильное течение, поток, кипение" (გვ.350);

ღვარღვინი, ჩქე იბღვარღვუთ „мы ходимь массами, мы мешаемся между собою" (გვ.350);

წკაპულუა, წკაპული „изрезать на мелкие куски " (გვ. 380);

ხარკალი „стукание, звукъ ударяемых другъ о друга деревянных предметовъ" (გვ.398).

ი. ყიფშიძის ლექსიკონი მისსავე გრამატიკასა და ტექსტებში ფიქსირებული ლექსიკური მარაგის განმარტებასა და თარგმანს გულისხმობს, ამიტომ მას სისრულის პრეტენზია არ აქვს.

ამ თვალსაზრისით ყველაზე სრულია *ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონი"* (ტ.1 - 2001; ტ.2 – 2002; ტ.3 - 2002; ტ. 4 - 2009) და *ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონი"* (2010). ლექსიკონებში ფონოსემანტიკურ სიტყვათა დიდი ნაწილი ანბანთრიგზეა შეტანილი, განმარტებულია და თარგმნილია; ო. ქაჯაია შესაბამის ილუსტრაციებს ურთავს გამოცემული ტექსტებიდან თუ მის მიერ მოპოვებული მასალიდან, აქვე აანალიზებს ფორმებს გრამატიკულად, წარმოაჩენს ლექსემათა მორფოლოგიურ თავისებურებებს; როგორც თვად ლექსიკოგრაფი წერს, „თარგმნისას გამოყენებულია იმავე მნიშვნელობის ქართული სიტყვები და დაახლოებით იმგვარივე მნიშვნელობის სინონიმები. ზოგჯერ

საპირისპირო სიტყვები ფრჩხილებშია მითითებული, როცა ზუსტი თარგმანი ვერ ხერხდება, მნიშვნელობა აღწერითაა გადმოცემული“ (ქაჯაია 2001: 20)

შემთხვევითი არ არის, რომ ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მესამე ტომს ბოლოში ერთვის მასდართა ათი სემანტიკური ჯგუფი, ლექსემათა გაერთიანების საფუძველია საერთო დენოტატიური მნიშვნელობა, რიგში შემავალ ერთეულებს განსხვავებული კონოტაცია აქვთ, ამიტომ ლექსიკოგრაფი მათ *სინონიმურ რიგებს* უწოდებს (ქაჯაია 2002: 633 - 657). რიგში შემავალ ლექსემათა აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენს ექსპრესიულ ფუძეებს, რომლებშიც კავშირი ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს შორის საკმაოდ გამჭვირვალეა. ფონოსემანტიკურ ერთეულთა მხოლოდ ჩამოთვლა, ერთი მხრივ, ამ ტიპის მასდარული თუ ზმნური ფორმების სიმრავლეს, მეორე მხრივ კი, მათ განმარტებასა და თარგმანთან დაკავშირებულ სირთულეებს უკავშირდება. თარგმანს ართულებს ბგერწერითი ყალიბების მიხედვით დალაგებული სამწევრა და ორწევრა სისტემების არსებობა, რომლებიც მჟღერობა-სიყრუით არიან დაპირისპირებულნი და წამოაჩენენ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებთან დაკავშირებულ ნიუანსებს. მათი აღქმა მოლაპარაკისათვის ადვილად გასაგები და მისახვედრია, თუმცა სალექსიკონო ერთეულად განხილვა - აღწერა-დახასიათება, თარგმნა - ძალიან რთული პროცესი. საინტერესო ფაქტია, რომ ა. ქობალიას მათი უმრავლესობა შეტანილი აქვს ანბანთრიგზე. ლექსიკოგრაფები ცდილობენ განმარტონ, ახსნან, გასაგები გახადონ ის კონოტაცია, რომლებიც კონკრეტულ ლექსემას უკავშირდება, ამიტომ ლექსიკონებში ხშირად ვიპოვით კონკრეტული დენოტატების, რეფერენციის ობიექტების დასახელებას.

ლექსემათა განმარტებისას მნიშვნელობის ზედმიწევნითი სიზუსტით ასახსნელად ქართულ სინონიმებს იყენებს ა. ქობალიაც (გერსამია 2013), იგი მნიშვნელობით ახლომდგომ სიტყვებს თარგმნისას მძიმეებით გამოყოფს, ხოლო განსხვავებული ნიუანსების მატარებელი მნიშვნელობების მიჯნაზე წერტილ-მძიმეს სვამს: *გერგილი* „დაფლეთილი, განგმირული; დატკვერილი, დაღრღნილი“ [95]; *გილაჯერღუა* „მძლავრად ხტუნვა, ხტომა; ჩამოხტომა“ [147]; *ოფაჩალაია* „შრიალა, ფაჩუნა; მშვიდი, წყნარი“ [547]; პრაქტიკულად განმარტების მიმდევრობაში ახსნილია ლექსემათა პოლისემიური ხასიათი.

ლექსიკონებში განსამარტავ ერთეულად გატანილია მასდარი: *ბიტინი* „უაზრო, უბირი გამოხედვა” (ქობ. 63); ,,უდარდელი, უნაღვლო ყურება“ (ქაჯ. I, 246); *გვიჯინი* „ქოჩრიანობა“ (ქობ. 116); ,,ბრგედ და კოხტად გამო[ი]ყურება (ქაჯ. I, 324) *პირჭინი* „ფართოდ გახელა, პრაწვა თვალებისა; ჭიმვა, წინტვა (გულისა)“ (ქობ.563); ,,პრაწვა, ჭყეტა (თვალისა)” (ქაჯ. II, 486); მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელობის დასაზუსტებლად ფრჩხილში ზმნური ფორმაცაა მითითებული: *რიგვინი/ რინგვინი* „(ორინგვინანს) დიდია, დიდთავაა, ხისთავიანია“ (ქობ. 572); ,,გამოყეყეჩებული ყურება“, *ირიგვინანს* ,,იტყვიან დიდთავას გამოყეყეჩებულ ყურებაზე“ (ქაჯ. II, 526); *ფიჟვინი* (ოფიჟვინანს) „გაფუყულია, მოწყენილია“ (ქობ.626); ,,გაბერვა, შეშუპება; ადამიანის სხეულის ნაწილის წყლით გაჟღენთვა, გასივება (უმთავრესად სახისა)“ (ქაჯ.III, 100).

ზოგჯერ ასახსნელად მთელი სინტაგმაა მოხმობილი, რათა წარმოჩნდეს დენოტატი, რომელსაც მიემართება აღნიშნული ლექსემა: *სვირთინი* „სიგრძე, ჩამოგრძელებულობა *(ჩხვინდ უსვირთანს* ცხვირი ჩამოგრძელებული აქვს)“ [591], *სიტინი* „აშვერილობა,

აპრეხილობა; ტანმაღლობა (*ოსიტინანს* ტანმაღალია; *კუდელ უსიტანს* კუდი აპრეხილი, აშვერილი აქვს)“ [594]; *წვირთინი* „წვეტიანობა, სიმაღლე (*ოწვირთინანს* „აწოწილია“, *ჩხვინდ უწვირთანს* „ცხვირწვეტიანია“) [696];

დასახელებული ლექსიკონები სრულად განმარტავენ ლექსემის მნიშვნელობას, ვინაიდან ისინი ეყრდნობიან სემანტიკურად დიფერენცირებულ ნიშნებს; იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მისდევს და ავსებს ამ ორ ლექსიკონში ამოსავალი ზმნური ფუძეების განმარტება და თარგმანი ერთმანეთს, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს პარალელურად:

ტვინგალი /ტვენგერე / ტვენგერია /ტვენგე
“უტვინო, განტვინული” (ქობ.602); ჩლუნგი, ბოთე (ქობ.601);
,,გამოშტერებული,მოსულელო” (ქაჯ. III, 24)
ქვინჯალი/ ქვენჯერე / ქვენჯერია
„დაგვაჯული” (ქობ.635);
,,დაბალი და ჩაფსკვნილი, ჯმუხი” (ქაჯ.III, 139)
ჩვეჩვერე / ჩვეჩვერია / ჩვიჩვალი / ჩვიჩვა
“ჩვიჩვილი, ქორფა, რბილი, ჩასუქებული, ფუში, მოშვებული” (ქობ.673);
,,ბუსავით რომ არის პიროვნება (დიდ თავი და დიდრონი თვალები აქვს);
მოდუნებული, მოფამფალებული” (ქაჯ. III, 306)
ჩვეგერია / ჩვეგერე/ ჩვეგი / ჩვიგალი / ჩვიგა
“ჩლუნგი; გამოფშეკილი, გამომშრალი, ფლეგმატური” (ქობ. 673);
,,ჩერჩეტი; ჩურჩუტი, გამოთაყვანებული” (ქაჯ.III, 305)

მეგრულის ლექსიკონებში შეტანილია ფონოსემანტიკური ლექსიკა:

1. განსხვავებული სუფიქსებით (რაც მეგრულში განსხვავებული მნიშვნელობის წარმოქმნის საფუძველია და საკმაოდ პროდუქტიულია სიტყვაწარმოების თვალსაზრისით):

დგადგაფა „ზათქით გადაგდება ლირწისა, ბლანტი მასისა“
დგადგაფი„ დარტყმის ხმა; ცემა ბეთქვა; ლეღვისა და მისდართა დაცემა-დასკდომა“
დგადგილი „ნაცემი, მობეთქილი“
დგადგინი „გდება დიდისა, მსუქანია“
დგედგილი „მოთეთქვილი, მიბეგვილი; (ტყვიის) ნაკრავი“
დგედგუა „ცემა-ტყეპა, ტყაპუნი, კვრა (ტყვიისა)“ (ქობ. 239)

2. *ფონეტიკური ვარიანტებით* (როცა ხმოვანთმონაცვლეობა მნიშვნელობის ცვლილებას ვერ აპირობებს)

დგადგუა / დგედგუა / დგვადგუა „ბრეგვა, ბრიგვა, მაგრად ცემა; გაშოლტვა; ტყლაშუნი მათრახისა" (ქაჯაია I. 451). „ცემა-ტყეპა, ტყაპუნი, კვრა (ტყვიისა)“ (ქობ. 239); *ჯგვაჯგუა /ჯგვეჯგუა* „უმოწყალოდ ცემა“ (ქაჯ.III, 602);

3. *მორფოლოგიური ვარიანტები* (როცა სუფიქსთა გრძელი სტრუქტურა შემოკლებულია, გამარტივებულია)

ფიშქ[ვ]ალი / > ფიშქ[ვ]ა „აფუებული, ფუნთუშა, გაფურჩქნული“ (ქობ. 627)
ფეშქ[ვ]ერია / ფეშქ[ვ]ერე / ფეშქ[ვ]ე „ფუნთუშა, აფუებული“ (ქობ. 625)
ჩინგალი / ჩინგა „ახმახი, ტლანქი, გამოჩორკნილი; დიდფეხა“ (ქობ. 674)
ჩენგერია / ჩენგერე / ჩენგე „მაღალი და გამოჩორკნილი, ტლანქი” (ქობ.671);

4. *პოლისემიური ერთეულები,* ლექსემათა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები: *ფიფინი* „ფოფინი; ფრიალი (თმისა), თრთოლვა (ბუმბულისა); ფხორვა, ფოფრვა, სიჩალხე, ცუდმედიდობა“ (ქობ.627); *ჩენგერე / ჩენგერია* „მაღალი და გამოჩორკნილი, ტლანქი“ (ქობ.671); უშნოდ მაღალი //გადატ. ჩლუნგი (ქაჯ.III,300); *წკვიპა, წკვიპალი (წკვიპა[ლ]-ს)* „წვრილი სახის (ცხვირ-პირის) მქონე პიროვნება (ქალი, კაცი). გადატ. ამპარტავანი; ხეპრე“ (ქაჯ. III, 430)*;* დგადგაფი „დარტყმის ხმა; ცემა ბეთქვა; ლეღვისა და მისდართა დაცემა-დასკდომა“.

მეგრული ენის ლექსიკონებზე დაყრდნობით ნამდვილად არის შესაძლებელი ფონოსემანტიკური ლექსიკის სხვადასხვა ენობრივი ასპექტით კვლევა: ფონესთეზიის მოვლენა და ფონესთემების ანალიზი ფუძის ანლაუტსა და აუსლაუტში; ზოგადად, მორფონოლოგიური მოდელების აგება და სისტემატიზება სტრუქტურული და სემანტიკური ნიშნების მიხედვით, რედუპლიკაციის ფენომენის, სემანტიკური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობისა და სხვა ენობრივი საკითხების კვლევა.

2. *ლაზური ენის ლექსიკონები*

ნიკო მარის „чанско--русский словарь” 115-გვერდიანია და ერთვის მის მონოგრაფიას *Грамматика чанскаго (лазскаго) языка* (1910) და ტექსტებს, ამიტომ ლექსიკონს აქვს განმარტებითი და თარგმნითი ხასიათი. ვინაიდან ლექსიკონის დანიშნულებაა ტექსტებში ასახული ძირითადი ლექსიკის ახსნა და თარგმნა, მასში ძალზე მწირადაა წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკა. საგულისხმოა, რომ ნ. მარი ერთგან ყურადღებას ამახვილებს ისეთი სიტყვის განმარტებაზე, რომელიც თავისი ბუნებით ბგერწერითია და რომლის ახსნა თვით ამ ენაზე მოლაპარაკე ინფორმატორისათვისაც სირთულეს წარმოადგენს; იგი წერს: „ცუნცულერი Х. Резвый (про детей). Слово было истолкновано не совсем ясно. И тогда мне его объяснили другим хопским же выражением: *ელა-მ-წკვერი.*“ (მარი 1910: 216); ლექსიკონიდანვე ირკვევა, რომ ელა-მწკვერი ვიწური დიალექტური ვარიანტია ხოფური *ელა-მ-ცქვერ-ი* ფორმისა და ნიშნავს: „чвапяіщйся, нежашійся” (გვ. 220).

ირინე ასათიანის „ლაზური ლექსიკონში“ (2012) შესული 6000 სიტყვიდან 860 ზმნური ძირია; ლექსიკონი აგების თავისებურ პრინციპს ეყრდნობა - ანბანთრიგზე გატანილია ზმნური ფუძეები მეთაურ სიტყვად და შემდგომ ჩამოთვლილია შესაბამისი განმარტებითა და თარგმანით. ბუდეში მასდარი, ხშირად კი, ზმნური ფორმაცაა მოყვანილი. მასალა ილუსტრირებულია ლაზური მაგალითებით ქართული შესატყვისის გარეშე. ლექსიკოგრაფი ცდილობს დაძებნოსა ზუსტი ქართული ეკვივალენტი და შეუსაბამოს ლაზურ ლექსიკას; პოლისემიურობის შემთხვევაში განმარტების ველში მითითებულია განსხვავებული მნიშვნელობები:

-ბაზ-

ო-ბაზ-უ „მიბერტყვა, მიბეთქვა“

-ბანგალ-

ბანგალ-ი „(გულის) ცემა; ბაგუნი, ბაგაბუგი“; *უ-ბანგალ-ს* „უცემს (გული); უბაგუნებს, ბაგაბუგი გააქვს.

-ფათქალ-

ფათქალ-უ „ფეთქვა, ცემა (გულის) // აფართხალდა

უ-ფათქალ-ს „ფეთქვა, ცემა (გულის), *იფათქალ-უ* „იფრთხიალა“, *ფათქალერი* „ფრთხიალა“, *გო-ფათქალ-უ* „გაფართხალდა“; *გო-ჲ-ფათქალუ* „გაფართხალდა“.

-ძანძალ-

ო-ძანძალ-უ „აჯაყჯაყა“

-ფათ-ფათ-, -ფოთ-ფოთ-

ფათფათ-უ, ფოთფოთ-უ „აქოთქოთდა“

-ტ[კ]ვაც-[ინ] (>) -ტკვაწ-, -ტვას-, ტაც-

ტკვაც-უ-ნ „ტკაცანი გააქვს, სკდება“

უ-ტ[კ]ვაც-უ-ნ, უ-ტვას-უ-ნ „უსკდება“ (იხ. აგრ. *იტკვაცენ, ატკვაცენ, ოტკვაცინუ, უტკვაცინუ, ტკვაცინერი, დოტკვაცუ, დოტკვაცინუ, გოტკვაცუნ, გოტკვაცუ, გიატკვაცენ, ნატკვაცე, ნოტკვაწინუ, მატკვაცენ* და ა.შ. - თითოეული გატანილია *ტკვაც-* ზმნური ძირის სვეტში) (ასათიანი 2012: 213-105).

ლექსიკონში ასახული მასალის განმარტება არ ეყრდნობა სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს, ამიტომ განმარტებები ნაკლებად იძლევა ინფორმაციას ფონოსემანტიკის შესწავლის თვალსაზრისით; თუმცა იგი კარგი საშუალებაა ჩვენთვის საინტერესო ლექსემების მორფოლოგიური სტრუქტურირების, ფონეტიკური ვარიანტულობის, სიტყვაწარმოების შესასწავლად.

ალი თანდილავას „ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა)“ (2013) ყველაზე სრულია ლაზური ენის ქართულ ენაზე დღემდე გამოცემულ ლექსიკონთა შორის. მასში „თავს იყრის გამოქვეყნებული ლაზური ტექსტებისათვის დამახასიათებელი მასალა, მაგრამ ავტორი ნაბეჭდი ტექსტებით არ კმაყოფილდება და ცდილობს მაქსიმალურად ამოწუროს ლაზური ლექსიკური ფონდი, ამიტომ მეტად ხშირია საილუსტრაციო წინადადებები თუ ფრაზები საკუთარი (ხოფური) მეტყველებიდან, რასაც ემატება მრავალფეროვანი მასალა ლაზურის სხვადასხვა კილო-თქმებიდან“ (მ. ჩუხუა: თანდილავა 2013: 6). არაერთი ფაქტორის გამო, ა. თანდილავა გვერდს არ უვლის ლაზურის ფონოსემანტიკურ ლექსიკას, ვფიქრობთ, სრულადაც ასახავს მას ლექსიკონში[1], განმარტავს და ხსნის დეტალურად, აზუსტებს კონოტაციებს:

> *ცინცონუ* „ხილის მხოლოდ გარსის შემოჭმა, გარშემოჭმული“ (თანდ. 845)
> *ოგანგუ* „ბლაგვი კბილების ღეჭვა“ (თანდ. 593)
> *ბეჯღაფა* „ხმამაღლა ტირილი, ყვირილი, ხმამაღლა ტირის/ყვირის, ხმამაღლა ტირილ-ტირილით“ (თანდ. 60)
> *ობეჯღუ* „ხმამაღალი ყვირილი“ (თანდ. 590)
> *პეჯღელი* „ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით“ (თანდ. 712)
> *გოლანჟვარაფა* „მაღალი ბლაგვი საგნის ბალახ-ბულახით დაჟეჟვა, დაჟეჟილი“ (თანდ. 148)
> *გოტკვაცინაფა* „გარტყმა, შემოტყლაშუნებული, შემორტყმული“,

[1] საგულისხმოა, რომ ლაზური ფონოსემანტიკური ლექსიკის იმგვარი სიუხვითა და სისტემურობით არ გამოირჩევა, როგორც დანარჩენი ქართველური ენების ლექსიკური ფონდი. აღნიშნული ჩვენ მიერ ლაზეთში ჩატარებულმა ლინგვისტურმა ექსპედიციებმაც დაადასტურა.

გოტკვაცინუ „შემოტყლაშუნება, შემორტყმა“ (თანდ. 165, 166))

ფონეტიკური ვარიანტები:

ოლონტკუ/ოლონტუ „დიდხანს ხმაურიანი ჭამა,წკლაპუნით“ (თანდ. 625)

ბრაწელი/ ბრიწელი „დაფრეწილი; გლეჯს, ფხრეწს“ (თანდ. 67)

წომპა/წუმპა „თავიდან ბოლომდე დასველება დიდ წვიმაში“ (თანდ. 855)

ობიწუ/ ობრიწუ „ხევა, ფხრეწა“ (თანდ. 591-592)

რანწკ-/რანწ-, ორანწკუ „რეკვა“ (თანდ. 720)

ჭონჭყოპი/ ჭოჭყოფი „ჭაობიანი ადგილი “ (თანდ. 865)

ოჩახუ /ონჩახუ „თქვეფა; რეკვა“ (თანდ. 681)

ოძგიმოჭუ/ოზგიმოჭუ „დაგრეხა“ (თანდ. 686)

მორფოლოგიური ვარიანტები (მასდარის განსხვავებული წარმოება):

გოცენცქუ/ გოცინცქოლუ „ფანტელ-ფანტელ თოვა, მარცვალ-მარცვალ წვიმა“ (თანდ. 174)

ოღუმინუ/ ღუმინი „ცეცხლის გრგვინვა“ (თანდ. 673)

ოპუწინუ/ ოპუწუ „ამრეზა, პრუწვა“ (თანდ. 648)

ოხურტინუ /ოხუტინუ „ხვრინვა, ხრუტუნი“ (თანდ. 704)

ოპუწინუ/ ოპუწუ „ამრეზა, პრუწვა“ (თანდ. 648)

ლექსიკონში შეტანილია ფონოსემანტიკური მასდარები, მიმღეობები, ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ ძალზე იშვიათად შევხვდებით მეთაურ სიტყვად ზმნას.

3. *სვანური ენის ლექსიკონები*

რაც შეეხება სვანური ენის ლექსიკონებსა და ამ ლექსიკონებში ასახულ მასალას:

ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის 900-გვერდიან (16000-მდე ლექსიკური ერთეულით) *“სვანურ ლექსიკონში”*, რომელიც მოცულობით ყველაზე სრულია სვანური ენისადმი მიძღვნილ ლექსიკონებს შორის და რომელიც, ძირითადად, *„სვანური ენის ქრესტომათიისა”* და *“სვანური პროზაული ტექსტების”* მონაცემებს ეყრდნობა, აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულთა სიმცირე აშკარად თვალშისაცემია. ასევე მწირადაა ბგერწერითი ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილი *კ. დონდუას “სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონსა”* (2001 წ.) და *ბ. ნიჟარაძის “ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონშიც”* (2007 წ.). შედარებით სრულად არის აღწერილი ფონოსემანტიკური მასალა *ა. ლიპარტელიანის* ჩოლურული მეტყველების მიხედვით შედგენილ *“სვანურ-ქართულ ლექსიკონში”* (1994 წ.), თუმცა არც ამ ლექსიკონს აქვს სისრულის პრეტენზია.

აღნიშნულ ლექსიკონებში ბგერწერითი ლექსიკის თარგმნის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი სურათია. აქვე შევნიშნავთ, რომ სვანურს, მეგრულის მსგავსად, ბგერწერითი ყალიბები (ანუ სამწევრა და ორწევრა სისტემები) თითოოროლა გამონაკლისის გარდა არ ახასიათებს (მგ.: *ძგუიბ — ცქუიფ — წკუიპ* „⌜გა⌝წყვეტა“, *დგურბუნ — თქურფუნ* „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“...), თარგმნას, ცხადია, ესეც ამარტივებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ქართულად გადმოტანისას აუცილებელი ხდება აღწერითი წარმოება. განსაკუთრებით მაშინ რთულდება თარგმნის საკითხი, როდესაც ლექსემა სუბიექტის ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას და ა. შ. აღწერს (შდრ.

ლიწკჳირანალ (ბქ.) „წვრილთვალება ადამიანის ყურება; *ლიკანკუნალ"* (ბქ.) „კაკ-კუკი (წვრილქუსლიანი, კაკუნა ფეხსაცმლით სიარული)"; *ლიშიჳანალ* (ბქ.) „შავთვალწარბა ადამიანის გაბრაზებული ყურება"; *ლიზიტყანალ* (ბქ.) „მსუქანი, უშნო აღნაგობის ქალის გაბრაზებული სიარული", შდრ. *ზიტყ ხარ* „გაბრაზებულია, გაბუტულია", *ზიტყ-ზატყ* „გაბრაზება, გაბუტვა"; *ლიფილფვალ* (ჩოლ.) „დიდი ტანის მოზრდილი კაცის არაჭკვიანური სიარული"; *ლიპიტპიტი* (ლშხ.) „ცანცარით სიარული, რატრატი", *ლიჩრითჩრითი* „ფეხების თრევით, ულაზათოდ სიარული" და მრავ. სხვ.). აღნიშნული ლექსიკური ერთეულები დასტურდება ა. ლიპარტელიანის მიერ ჩოლურული მეტყველების მიხედვით შედგენილ „სვანურ-ქართულ ლექსიკონში" და მ. საღლიანის სადიპლომო ნაშრომში „სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში" (1995 წ.), რომელშიც გაანალიზებულია 329 ლექსიკური ერთეული.

ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონშიც ქართულ ენაზე თარგმნის თვალსაზრისით კარგი ვითარებაა, თუმცა ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ მწირადაა წარმოდგენილი.

საანალიზო ლექსიკური ერთეულები ძირითადად აღნიშნავენ ხმას (შესაბამისად ამ ხმის გამომწვევი მოქმედების დიურატიულობას, განგრძობითობას), ეს ხმა კი ახლავს ამა თუ იმ სახის მოქმედებას (*ცემას, დარტყმას, მტვრევას, მსხვრევას, სროლას, სიარულს, ჭამას* და სხვ.) გარკვეული ხმის თანხლებით. მათი ქართული თარგმანები თითოოროლა გამონაკლისის გარდა თითქმის ზედმიწევნით ასახავენ ორიგინალში ფიქსირებული სიტყვის სემანტიკას. საილუსტრაციო მასალის ნაწილი ამოღებულია „სვანური ენის ქრესტომათიიდან" და „სვანური პროზაული ტექსტებიდან", ნაწილი კი ავტორთა მიერ არის ზეპირად მიწერილი.

აღნიშნულ ლექსიკონში შეტანილია ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები:

1. *უსუფიქსოდ — მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით: ბრიგ//ბრიგჳ* „ბრაგვანი, ბრეგვა; ტყაპანი", რიჭ 1. „გაუთავებელი ლაპარაკი", 2. „აყალმაყალი", *ჭ̄/ი*ხ „ჭახანი, ჭახაჭუხი", *ყჳისგ* „ჭახანი, ჭახაჭუხი", *ბჷლ* 1. „მონოტონური ხმაური (ფრინველთა გუნდისა)", 2. მძიმე რამის დარტყმის ხმა, ბრაგვანი, ბრახვანი, *ხჷლ/ხჷლ* „ხრიალი, ღრიალი; გაბმული ხმაური (წვიმისა...); ხარხარი", *შყიბ* „ბრაგვანი, თხლაშანი", შჷლ/შჷლ „შხუილი", შხჳლ/*შულ/შხჷლ* „შხაპუნი, შხუილი", *წჷლ/წჷლ* „წივილი", *ჭ̄ხ/ჭიხ* „ჭახანი, ჭექა; ტკაცანი; სილის გაწვნა", *ჭყჷლ/ჭყჷლ* „ჭყივილი"..., რომელთა მეტი წილი გარკვეულ ხმნებთან კომბინაციაში ექსპრესიული შინაარსის მოქმედებას გამოხატავს (მაგ.: *ჭიხ ახღანე* „ისროლა (ზედმიწ. — ჭახანი გაადინა)", *ყჳისგ ენკიდ* „ხმა გამოსცა (ზედმიწ. — ხმა აიღო)", *ბრიგ//ბრიგჳ ახკიდნე* „ბრაგვანი გაადენინა"...).

2.-*ულ/-ჳნ* და *-ჷნ/-ჷნ* სუფიქსიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები (*ჭჷრხჷნ/ ჭჷრხჷნ* „ჭახანი, ჭახჭახი", *სჷრტჷნ/სჷრტჷნ* „ჭახანი, ჭახჭახი, ლაწა-ლუწი", *ბჷრთქჷნ/ ბჷრთქჷნ* „ბრაგუნი, ბაკუნი, ბათქუნი, ბათქა-ბუთქი", ბჷრბჷნ/ბჷრბჷნ „ბათქაბუთქი", ხურხჳნ/ხურხულ „კრუტუნი", *ხურგჳნ/ხურგულ* 1. „ხრიგინი", 2. „ხრამუნი", *ხჷრტჷნ/ ხჷრტჷნ* „ხროტინი"...), რომელთაც შესაბამისი კორელატები მოეპოვებათ ქართულში, თუმცა სავსებით შესაძლებელია მათი უფრო დაკონკრეტება ქართულად გადმოტანისას: მაგალითად, *სჷრტჷნ/სჷრტჷნ* სვანურის ყველა დიალექტში ქალის გამკივანი ხმით ჩხუბს გამოხატავს და არავითარ შემთხვევაში მამაკაცის ჩხუბს, რაზეც თვითონ სიტყვის

ჟღერადობაც მიგვანიშნებს. ბალსქვემოურსა და ჩოლურულში კი *ბგრბგნ* ენაბრგვილი მამაკაცის უხეშ საუბარს, ბურდღუნს, როშვას აღნიშნავს (შდრ. ასევე, ქართ. (ფშ., ხევს.) *ბუბუნი* „ხარის ხმიანობა“) და არამხოლოდ ბათქაბუთქს.

3. ლი- — -ი/ე მოდელით ნაწარმოები მასდარები (*ლი-ჭგრხგნ-ი* „ჭახანი, ჭახაჭუხი“, *ლი-შკფ-ი/ლი-შკუ̆ფ-ი* „დახეთქება, დარტყმა, ჩაკაკუნება“, *ლი-ხგრტგნ-ი* „ხროტინი“, *ლი-ცხურკუ̄ნ-ე* „ხრუკვა“, *ლი-შუ̄ნშხუ̄-ე* „ხრუტტუნი“, ლი-ჭკ̄უ̄ნ-ე „ციმციმი“, *ლი-კგ̄უ̄-ე/ლი-კგრ-ე* „ბრწყინვა“, *ლი-შხგ̄ლ-ი/ლი-შხგლ-ი/ლი-შგრშხგნ-ი* 1. „შიშხინი (ცხიმისა...)“, 2. „შხუილი (წყლისა)“, *ლი-ჩხკგნ-ე* „ჩხაკუნი, რეკვა“, ლი-წგრპგნ-ი „წრიპინი“, *ლი-ჭგრჭგნ-ი/ლი-ჭგრეჭ-ი* „ჭრიჭინი; ჭიკჭიკი“...), რომლებიც ნაკლებ პრობლემატურნი არიან ქართულად გადმოტანის შემთხვევაში.

და, ასევე, რედუპლიკაციის სხვადასხვა გზით მიღებული ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები: *გუ̄ლმაგუ̄ლ/გგლმაგულ* „გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური“, *ბჟგლმაბჟგლ/ბჟგლმაბჟგლ* „ზუზუნი, ბზუილი, ჟიჟინი“, *სგლმასგლ/სგ̄ლმასგ̄ლ* „სისინი“, *ხგ̄ლმახგ̄ლ/ხგლმახგლ* „რახარუხი, დიდი ხმაური“; *შგ̄ლ-ბგ̄ლ/შგლ-ბგლ* „დიდი ხმაურით რამის კეთება, გაბმული ხმაური, შრიალი“, *ხგ̄ლ-ბგ̄ლ/ხგლ-ბგლ* 1. „დიდი ხმაური“, 2. „შეხლა-შემოხლა“; *შყუ̄ბ-შყუ̆ბ/შყიბ-შყაბ* „ბრახაბრუხი, ჯახაჯუხი“; *რიჭი-რაჭა* „მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა“; *რიყი-რუ̆ყა* „რახარუხი“; *ტურშუ̄ნ-ბურგუ̄ნ/ტურშუნ-ბურგუნ* „რახარუხი, ხმაური“; *ხგრმგ̄ნ-ტურმუ̄ნ/ხგრმგნ-ტურმუნ* „მტვრევა-ლეწვა“, რომელთა რაოდენობა ამ ლექსიკონში დიდი მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, თუმცა ისინი ხშირად გვხვდება სხვა სიტყვებთან კავშირში.

სულ სხვა სურათი იხატება ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლურული კილო)“, სადაც ისეთი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულებია შეტანილი, რომლებიც ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ შედგენილ აკადემიურ „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ არ ფიქსირდება. მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩოლურული მეტყველება ფონოსემანტიკურ ფუძეთა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა; გვაქვს როგორც *სვლისა და სიარულის,* ისე *ფრენისა და ცურვის* აღმნიშვნელი ლექსიკაც.

სვლისა და სიარულის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *იკგ̄კანა̄ლ* (ჩოლ.) „პატარა და გამხდარი გამართულად დაიარება“ (იგულისხმება პატარა ასაკის, გამხდარი გოგოს სიარული); *იპრ̄ნჭყალ* „პატარა გოგო დაიარება“; *იპრ̄ნტყა̄ლ* „პატარა გოგო დაიარება“; *იპრგ̄ტანა̄ლ* „თავხედურად დაიარება გოგო“; *იპგრტანიელ* „დაბანცალებს სიმთვრალის გამო“; *იპგყანა̄ლ* „პატარა, ყოყლოჩინა კაცი ფართე-ფართედ დაიარება; ორსული პატარა ქალი დაიარება“; *იჟგ̄თხანა̄ლ* „დიდი ტანის კაცი ცუდად ჩაცმული დაიარება“; *ისუ̄ე̄ტალ* „აქეთ-იქით დაიარება“; *იტილკია̄ლ* „მსუქანი გოგო დახტუნაობს, დაიარება ფეხშიშველი“; *იტრინკოლა̄ლ* „დიდი მოზრდილი ურცხვი ქალიშვილი ფეხშიშველა დაიარება“; *იტგრტანჟელ* „ბარბაცობს“; *იფილჟა̄ლ* „ხნიერი კაცი უაზროდ, უმიზნოდ დაიარება“; *იფიმფოლა̄ლ* „დიდი და მაღალი სინათლეზე ჩრდილის ცემით დაიარება“; *იფრ̄ნფა̄ლ* „მოხუცი ძლივს დაიარება“; *იფრ̄ნქიელ* „გულგაღეღილი დაიარება“; *იფრ̄ნცა̄ლ* „გამხდარი, ნაავადმყოფარი ძლივს დაიარება ფანცალით“; *იფგ̄ჩქანა̄ლ* „პატარა ბავშვი დაიარება, პატარა კაცი მცირე ფეხებზე დაიარება“...

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თითოეული ლექსიკური ერთეულის დეტალურ განმარტებას იძლევა, ბევრი მათგანის ქართული განმარტება სალიტერატურო

ქართულისათვის მიუღებელია. აღნიშნული ლექსემების თითო სიტყვით გადმოტანა ქართულში თითქმის შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელი ხდება მათი აღწერითად თარგმნა.

ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ დადასტურდა რამდენიმე ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული, მაგ.: *ლიჭგრჭგნი*, რომელიც განმარტებულია ქართულად როგორც „ჭაჭი-ჭუჭი“ ნაცვლად ქართული „ჭრიჭინისა“, *ლიჩხფგნე* — „წანწკარი“ ნაცვლად ქართული „წყლის ძლიერი ჩუხჩუხისა“, *სიტილ* — „წივილი“ ნაცვლად ქართული „სივილისა“, *ლიწგნწკალი//ლიყურყუნი* ლექსემის ქართულ თარგმანში წერია „წანწკარი“, რომელიც სვანური *ლიწგნწკალი*-ს ეკვივალენტად გამოდგება, თუმცა *ლიყურყუნი* ფორმასთან რატომ არის მითითებული, გაუგებარია. ასევე *ლიბღული* ლექსემის ქართულ თარგმანში წერია „ბრდღვინვა“, ნაცვლად „ბღუილი“ ფორმისა და ა. შ., თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ლექსიკონი, რომელიც დათარიღებული აღმოჩნდა 1888 წლით, ბუნებრივია, ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად საკმაოდ საინტერესო ბევრ ისეთ ბგერწერით ლექსიკურ ერთეულს (ზოგჯერ ფონეტიკურ ვარიანტს) წარმოგვიდგენს, რაც სვანური ენის არც ერთ სხვა ლექსიკონში არ ფიქსირდება.

კ. დონდუას სამენოვან თარგმნით ლექსიკონში „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი)“, რომელშიც ავტორის მიერ მოპოვებული მასალის გვერდით თითქმის ამომწურავად არის დაფიქსირებული არსენა ონიანის ჯერ კიდევ 1917 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ლაშხური ტექსტების მასალა (ლუშნუ ამბარ ლგლაშხუ შუმი ნიშნ), ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები ნაკლებად არის წარმოდგენილი და თარგმნის თვალსაზრისითაც რაიმე უზუსტობა არ შეგვიმჩნევია. თუმცა ზოგიერთ მათგანთან, კერძოდ, ცემის/დარტყმის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებთან (მაგ., *ლიჩრეთი* „ცემა, დარტყმა“, *ლიტკჩი* „ცემა ჯოხით“...) შეიძლებოდა უფრო დაკონკრეტება, რადგანაც მნიშვნელობის სემებად დაშლისას შეიძლება გამოიყოს მოქმედების რაგვარობა, გზისობა, ინტენსივობა, ტემპი, სიჩქარე და ა. შ. ცემის მნიშვნელობით სვანურში რამდენიმე (სინონიმი) ლექსიკური ერთეული დასტურდება *(ტკიჩ, დრიზ, სიტ, ბიჩხ, გლიჯ, რისტ...)* და ქართულად გადმოტანის დროს ძირითადად ცნება „ცემით“ გადმოაქვთ, სინამდვილეში თითოეულ ამ ლექსიკურ ერთეულს სემანტიკური ნიუანსირება ახასიათებს.

ლექსიკონის განმარტებით: *ლიტკჩი* განიმარტება როგორც „ჯოხით ცემა“, სინამდვილეში კი ხელით ძლიერ გარტყმასაც ნიშნავს, და საერთოდ ნებისმიერი ბლაგვი საგნით ცემას; *ლისხპი* ლექსემაც ცემის აღმნიშვნელია და ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად „დარტყმა, გაჭირება (წნელისა)“, დაკავშირებულია ისეთ მოქმედებასთან, რომელიც ხმას გამოსცემს; *ლიჩრეთი*-ც „ცემას, დარტყმას“ ნიშნავს, მაგრამ სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, „დაცემის, დავარდნის“ ხმის თანხლებით.

ვფიქრობთ, ზოგი ლექსიკური ერთეული ქართულ ენაზე გადმოტანისას ზუსტად ვერ ასახავს ორიგინალში ფიქსირებული ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკას და საჭიროებს მეტ განზოგადებას, თუმცა სვანური ენის ლექსიკონებში თარგმნის თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, ბევრი უზუსტობა არ დაგვიფიქსირებია. გამონაკლისია ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო)“, რომელიც მართალია სხვა ლექსიკონებისაგან ფონოსემანტიკურ ერთეულთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ესა თუ ის ლექსემა სწორედ სუბიექტის ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას სწორად აღწერს, მაგრამ ბევრი რამ მაინც დასაზუსტებელია.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართველურ ენათა ჯგუფში შემავალი არასამწერლობო ენების ბგერწერითი ლექსიკის ქართულ ენაზე განმარტებისას ლექსიკონებში ორი განსხვავებული ვითარება გვაქვს:

1) როცა ქართულში ლექსემის ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური ეკვივალენტი მოგვეპოვება, ასეთ შემთხვევაში თარგმანის საკითხიც მარტივად წყდება, შესაბამისი ქართული ეკვივალენტი მიეწერება:

სვან. ჰგრჰყგ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჰურჰყუნ (ლშხ.), ჰგრჰყგნ (ბქ., ლნტ.)
მეგრ. ჰყირჰყინი / ჰყგრჰყგნი
ქართ. ჰიჰყინი

სვან. ჰგრქგ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჰგრქგნ (ბქ., ლნტ.)
მეგრ. ჰირხინი / ჰგრხგნი
ქართ. ჰიხვინი

სვან. ხგრტგ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ხგრტგნ (ბქ., ლნტ.)
მეგრ. ხირტინი/ ხგრტგნი
ქართ. ხროტინი

მეგრ.	ცქიცქონუნს	წკიწკონუნს	ძგიძგონუნს	ჯგიჯგონუნს
ქართ.	ციცქნის	წიწკნის	ძიძგნის	ჯიჯგნის

2) როცა ქართულში ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისი არ არსებობს, თარგმანის საკითხი უფრო რთულდება და მას უფრო ახსნითი ხასიათი აქვს. ამგვარი ლექსიკის ქართულ ენაზე თარგმნისას გათვალისწინებულია ის კონოტაცია, რომელიც მოცემულ ენაში აქვს კონკრეტულ ლექსემას:

სვანური: *ძგუიბ* „დიდი, მძიმე საგნის „ ̆გა ̆წყვეტა“ ხმის თანხლებით;
ცქუიფ „შედარებით წვრილი საგნის „ ̆გა ̆წყვეტა“, ასევე ხმის თანხლებით;
წკუიპ კი იგივეა, რაც ქართული „წკაპანი“ (ანუ წვრილი საგნის „ ̆გა ̆წყვეტა“);

მეგრული: *ძგაბუა* „გდება, ჯდომა პატივაყრილისა“ (ქობ.)
ცქაფუა „უმადოდ ჭამა, ციცქნა“(ქობ. 686)
წკაპუა „ერთგვარი ჭამა, წკაპა-წკუპი, ჩქამის გაღება; ჩამწკრივება, ჩაწიკწიკება“ (ქობ. 689)

ლაზური: *ოწურწუ* „გამოწოვა, გამოწურვა, სითხისაგან; წვეთა“ (თანდ. 692)
დარდალა „უმიზნო მოლაპარაკე, უაზრო, უმიზნო ლაპარაკი“ (თანდ. 189)
ოციცხილუ „ხმაურის სახეობა: გაციცხინება ზედმეტი გახურებისას“ (თანდ. 684)
ობზუტოლუ „მატლის ხმიანობა ფოთლის ჭამისას“ (თანდ. 591)
ხრიჩოლი „მძიმე ტვირთის თრევისას ღრჭიალა ხმის გამოცემა“ (თანდ. 888) და ა.შ.

ქართული, მეგრული და ლაზური ენების ლექსიკონებში გათვალისწინებულია ფონოსემანტიკურ ერთეულთა პოლისემიურობა, რაც ასევე მნიშვნელოვან სურათს იძლევა ფონოსემანტიკური ლექსიკის სრულად დასახასიათებლად. კარგი იქნება, თუ ანალოგიურად იქნება ის გათვალისწინებული სვანური ენის ლექსიკონებში ფონოსემანტიკური ლექსიკისათვის, მაგ.:

დგურბუნ 1. „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“, 2. „ბაგაბუგი (გულისა)“; *ღურღუნ* 1. „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“, 2. „ჩუხჩუხი (წყლისა)“; *წურწკუნ* 1. „წკმუტუნი“, 2. „წუწუნი“ და სხვ.

სვანურში მნიშვნელობის ნიუანსირება გამოწვეულია დიალექტ-კილოკავთა მრავალფეროვნებით, თუმცა მსგავს შემთხვევებს ერთი დიალექტის ფარგლებში, კილოკავთა დონეზეც შევხვდებით.

ქართველური ენების ლექსიკონებში ფონოსემანტიკური ლექსიკის განმარტების სპეციფიური ხასიათი, დეტალური აღწერა-დახასიათება, საკმაო მასალას იძლევა ამ ტიპის ფუძეთა სემანტიკურ დიფერენცილურ ნიშნებზე მსჯელობისათვის. სემათა რიგი ხშირად არასრულია, თუმცა სემანტიკურად რელევანტური ინფორმაციის შემცველი.

მაგალითისათვის საანალიზოდ რომ ავიღოთ „ცემის“ / „დარტყმის“ აღმნიშვნელი ლექსიკა, დასაშვებია გამოვყოთ შემდეგი დიფერენციალური სემანტიკური ნიშნები:

მოქმედების რაგვაროვბა (სუსტი – ძლიერი);

მოქმედების გზისობა (ერთგზისობა – მრავალგზისობა);

დასარტყამი ინსტრუმენტის ხასიათი (რბილი – მაგარი; მსხვილი – წვრილი, სქელი – თხელი მოქნილი და ა.შ.);

- *მოქმედების ინტენსივობა, ტემპი – სიჩქარე* (სწრაფი – ნელი);
- *მოქმედების თანმხლები ხმა* (ახლავს – არ ახლავს);
- *მოქმედების ლოკალიზება* (ცემის ადგილის განსაზღვრა) და ამგვარი ანალიზის საფუძველს ქმნის ქართველური ენების ლექსიკონში ასახული ფონოსემანტიკური ერთეულების სალექსიკონო განმარტებების ანალიზი.

ფონოსემანტიკა
(ანალიზის მეთოდები, ფონოსემანტიკური უნივერსალიები)[1]

პრობლემა, რომელიც უკავშირდება ბგერისა და მნიშვნელობის მიმართების საკითხს, სათავეს ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა ნააზრევიდან იღებს. სწორედ ამ პრობლემას ეხება პლატონის „კრატილი“, რომელიც ერთგვარ კომპრომისულ გადაწყვეტილებას შეიცავს „ფიუსეისა“ და „თესეის“ საპირისპირო თეზებისათვის, რომელთაგან პირველი საგანსა და სახელს შორის მიმართების საკითხს მისი ბუნებიდან გამომდინარედ ხსნიდა, ხოლო მეორე ამ კავშირს პირობითად მიიჩნევდა. საანალიზო ენობრივი საკითხი პირდაპირ უკავშირდება ფ. დე სოსიურის „ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის“ თეორიას, რომლის მიხედვითაც კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია, მეორე მხრივ, ენობრივ სისტემაში არსებობს ნიშანთა არც თუ ისე მცირე რაოდენობა, რომელშიც კავშირი ამ ორ მხარეს შორის აშკარა და გამჭვირვალეა. ფაქტობრივ, „ენა, როგორც ნიშანთა სისტემა“ მოიცავს არამოტივირებულ (ნებისმიერ, კონვენციურ) და მოტ ვორონისისნიივირებულ (პირობით, იკონურ) ნიშნებს, რომელთაგან მეორე *ფონოსემატიკის* შესწავლის საგანია.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის გააზრებას ჯერ ფილოსოფიაში და მერე კონკრეტულად ლინგვისტიკაში ორიათასწლოვანი ისტორია აქვს, პრობლემა ენების

[1] იხ. აღნიშნული პარაგრაფი ძირითადად ეყრდნობა ვ. ვორონინის მონოგრაფიულ ნაშრომს, ვორონინი 1982

განვითარების თანამედროვე დონეზე კვლავ აქტუალურია და მასთან დაკავშირებული ლინგვისტური საკითხები სხვა მეცნიერულ სიმაღლეზე განიხილება.

ჩარლზ პირსის მიერ შემოთავაზებული იკონური ნიშნების კლასიფიცირება *ინდექსებად, იკონებად* და *სიმბოლოებად* აღმოჩნდა მართებული ისეთი რთული სემიოტიკური სისტემისთვის, როგორიც არის ენა. იკონური ნიშანი, ფართო გაგებით, ეს არის ნიშანი, რომელშიც აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი არ არის ნებისმიერი, არამედ შეპირობებულია. ამ თეორიამ მისცა ბიძგი ლექსიკური იკონურობის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაშრომების შექმნას, რომლებიც მოიცავს თეორიული ენათმეცნიერების, ფსიქოლინგვისტიკის დარგებს, ეხება ცალკეულ ენებში ონომატოპეის პრობლემას, სხვადასხვა ჯგუფისა და ოჯახის ენების იკონური ლექსიკის ტიპოლოგიურ შედარებას.

მოტივირებული ლექსიკა იყო ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის, ჰერმან პაულის, რომან იაკობსონის, ლეონარდ ბლუმფილდის, იაკობ მალკიელის და სხვა ცნობილ ლინგვისტთა კვლევის ინტერესის სფერო.

ფ ო ნ ო ს ე მ ა ნ ტ ი კ ა არის ინტეგრალური ლინგვისტური დარგი, რომლის წარმოშობა ერთდროულად უკავშირდება რამდენიმე ლინგვისტურ თეორია; ბგერათსიმბოლიკას საფუძვლად უდევს ფიზიკური (აკუსტიკური და არტიკულაციური) თვისებები, *შეგრძნებათა ერთი სახეობის მეორე სახეობაში ტრანსპოზიცია* (ფ. კაინცი) ანუ *სინესთეზია* - აღქმით და ემოციურ მოვლენათა ურთიერთკავშირი (რ. იაკობსონი) (ახვლედიანი, კინწურაშვილი 2007: 25); აღნიშნული ტერმინი თანამედროვე ლინგვისტიკაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება.

ფონოსემანტიკის ძირითადი თეორიული პოსტულატები და ანალიზის მეთოდები მოგვიანებით რუსი მეცნიერის ს. ვორონინის მონოგრაფიულ ნაშრომში (1982) შეჯამდა.

ს. ვორონინი *ფონოსემანტიკას* დამოუკიდებელ ენათმეცნიერულ დისციპლინად მიიჩნევდა და განმარტავდა, როგორც „ფონეტიკის (გამოხატულების დონე), სემანტიკის (შინაარსის დონე) და ლექსიკოლოგიის (ამ დონეების ერთობლიობა)“ საზღვარზე წარმოქმნილ დარგს, რომელიც უკავშირდება ეტიმოლოგიას, ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასა და ტიპოლოგიას;

ფონოსემანტიკის ობიექტს წარმოადგენს ენობრივი სისტემის მოტივირებული ნიშნები, რომლებიც ორ დიდ კლასში ერთიანდება: ხ მ ა ბ ა ძ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი (აკუსტიკური იმიტაცია) და ბ გ ე რ ი თ ი ს ი მ ბ ო ლ ი ზ მ ი (არტიკულატორული და აკუსტიკურ-არტიკულატორული) (ვორონინი 1982: 21).

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ხ მ ა ბ ა ძ ვ ა გაგებულია, როგორც ბუნებაში არსებული რეალური ხმების აკუსტიკური ასახვა იმ ფონემების (სამეტყველო ბგერების), საშუალებით, რომლებიც ხასიათდებიან მსგავსი აკუსტიკური ეფექტით. ხმაბაძვითი სიტყვა შედგება მნიშვნელობის მქონე ელემენტებისაგან, ვინაიდან მისი ძირი შეიცავს სეგმენტებს, რომელთაგან თითოეული გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია (მარჩანდი 1959: 148); პრაქტიკულად დენოტატის ფსიქოაკუსტიკური სისტემის ყველა ელემენტი აისახება შესაბამისი ონომატოპეური ფუძის ფონეტიკურ სტრუქტურაში.

თუკი ხმაბაძვის შემთხვევაში მოტივაცია გამჭვირვალეა, ამას ვერ ვიტყვით ბგერითი სიმბოლიზმის შემთხვევაზე, ამ უკანასკნელში მოტივირების სფერო მნიშვნელოვნად ფართოა; ფუძეში შეიძლება იყოს „ჩადებული“ ობიექტის თვისებები, რომელიც წარმოქმნილია ნებისმიერი სენსორული მოდალობით, ბგერადობის გარდა. ეს არის მოძრაობა (დიურატიული / მომენტობრივი, ჩქარი/ნელი და სხვა) და სტატიკა (დიდი/

პატარა, მომრგვალებული / მოგრძო და სხვ). ასეთი მოძრაობების აღსანიშნავად ს. ვორონინს შემოაქვს კ ი ნ ე მ ი ს ცნება. ეს ცნება აღნიშნავს განსხვავებული ჟესტური, პირველ რიგში, მიმიკურის მოძრაობას, რომელიც გამოხატავს სენსორულ, ემოციურ, ვალუნტატიურ მენტალურ პროცესებს ადამიანის ცნობიერების სფეროში და არააკუსტიკური ობიექტების შინაგან მოძრაობას, რყევას (ვორონინი 1982).

ხმაბაძვის უნივერსალურობა ვლინდება ს. ვორონინის მიერ დადგენილ სიტყვათა *ჰიპერკლასების* დონეზე, რომელთა გამოყოფას, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ფონემური და სემანტიკური დიფერენციალური ნიშნების შესაბამისობის საკითხი. დენოტატის კ ვ ა ლ ი ტ ა ტ ი უ რ ი (თვისებრივი) ელემენტები (ხმაური, დარტყმა და ა. შ) გადმოცემულია ადამიანის სამეტყველო ფონემების შესაბამისი თვისებრივი ელემენტებით (ხშულ-მსკდომი თანხმოვნები, ფრიკატივები და ა. შ.), ფონემის ტიპის აღსანიშნავად ს. ვორონინს შემოაქვს ფონოტიპის ცნება (ვორონინი 1982: 25); დენოტატის აკუსტიკური სტრუქტურის კ ვ ა ნ ტ ი ტ ა ტ ი უ რ ი (რაოდენობრივი) ელემენტები (სიმაღლე, ჟღერადობა, ხანგრძლივობა) ძირითადად გადმოცემულია იმავე თვისებრივი ელემენტებით. ამ მონაცემთა შეჯერებით გამოიყოფა ხმაბაძვის სამი *ჰიპერკლასი: ინსტანტები, კონტინუანტები, ფრეკვენტატივები;* ასევე კომბინირებული კლასები, ხმაბაძვის *კ ა ნ ო ნ ი კ უ რ ი (ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ი) მ ო დ ე ლ ე ბ ი* [1].

ცალკეული ენების დიდი მოცულობის მასალა საშუალებას იძლევა ჰიპერკლასის ფარგლებში გამოიყოს განსაზღვრული *ტიპოლოგიურ-კანონიკური მოდელები.* ამ მოდელების ხასიათი, თავისებურებები, რაოდენობა ენებში განსხვავებულია, ვინაიდან ენები განსხვავდებიან ფონოსემანტიკურ მოდელებში ფონემათა ტიპებით და მათი სინტაგმატიკის წესებით; მაშასადამე, ამგვარი მოდელები განისაზღვრება როგორც კონკრეტული ენის ფონოტაქტიკური ნორმებით ნაკარნახევი ფონოსტრუქტურები.

კონკრეტული ენის ხმაბაძვითი სიტყვების სტრუქტურული, კანონიკური მოდელების თავისებურებები იმპლიციტურად ასახავს იმას, თუ რომელ ხმოვანთა და თანხმოვანთა შეკავშირება არის დასაშვები მოცემულ ენაში. პრაქტიკულად ის დამოკიდებულია ორ ფაქტორზე - ენის ფონემურ ინვენტარზე და ფონოტაქტიკურ დაშვებებზე. ასე რომ, უბრალო, ელემენტარული, ბაძვა ბგერისა *(შშშ.., სსს.. ბრრ... ფრრ..)* რომ გახდეს ენის ლექსიკური სისტემის სრულფასოვანი წევრი, უნდა გაიაროს ორი გზა: „მოირგოს“ ენის ფონემური ინვენტარი და „გაითვალისწინოს“ ფონოტაქტიკური წესები, აკრძალვები მოხსნას ამ ენაში დასაშვები წესების შესაბამისად.

ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ახალი ხმაბაძვითი მოდელის სტრუქტურირებისას უნივერსალურობა შენარჩუნებულია *ჰიპერკლასების* დონეზე, ხოლო ვიწრო კანონიკური მოდელების ფარგლებში თავს იჩენს სხვაობები. სხვაგვარად: ფონემათა აკუსტიკური მახასიათებლების შესაბამისობა იმ აკუსტიკურ მახასიათებლებთან, რომლებიც გადმოცემულია ბგერადობის ცალკეული სეგმენტით, იქნება უნივერსალური, ხოლო ხმის ბაძვა ამ ორი სეგმენტის გათვალისწინებით შევა ტიპოლოგიის ჰიპერკლასში. მაშასადამე, კონკრეტულ ენაზე იქნება დამოკიდებული 1) ფონემათა ერთობლიობა და რაოდენობა, რომელთანაც დაკავშირებულია აკუსტიკური ხასიათი, რომელიც ხდება ხმაბაძვითი

---

[1]ქართული ენის მასალის კვლევა ადასტურებს, რომ ამ ენაში ხმაბაძვითი სიტყვები შეიძლება დაიყოს და მოერგოს ს. ვორონინის კლასიფიკაციას, მხოლოდ შიდა სტრუქტურული მოდელები იქნება განსხვავებული, ვინაიდან მას განაპირობებს კონკრეტული ენის ფონეტიკური და ინვენტარული თავისებურებები.

სიტყვის სეგმენტი და 2) ამ კონკრეტულ ფონემათა შეერთების წესები, რომელთაც შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ ან არ შეეწინააღმდეგონ ამ კონკრეტული ფონემების სინტაქტიკა კონკრეტულ ხმაბაძვით ფუძეში.

მეორე დიდი ტიპია *ბგერწერითი ანუ ბგერათსიმბოლური ლექსიკა*. ამ შემთხვევაში ამოსავალია ფონემის არტიკულატორული ხასიათის შესაბამისობა დენოტატის რაიმე არააკუსტიკურ ბაზისურ მახასიათებლებთან (ფორმა, ზომა, მოძრაობა). ამ შემთხვევაში ფონაცია მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ასევე არსებობს აკუსტიკურ-არტიკულატორული ბგერათსიმბოლიზმი, რომელიც გარდამავალ სახეს აჩვენებს; ამ ტიპის ფუძეთა მნიშვნელობაში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის ფიზიოლოგიური მოძრაობა თანმხლები ხმით, რომელთა რიცხვი ქართველურ ენებში, და განსაკუთრებით მეგრულში, საკმაოდ დიდია.

მესამე ტიპი - ფ ო ნ ე ს თ ე მ უ რ ი ბ გ ე რ ი თ ი ს ი მ ბ ო ლ ი ზ მ ი - პირველი ორისგან განსხვავებით არ წარმოადგენს უნივერსალიებს. ფონესთემური ბგერითი სიმბოლიზმი არის განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე მყარი ასოციაციური კავშირი ფონესთემებთან / ფონემათა კლასტერებთან (ფონემათკომპლექსებთან), ანუ ორი და მეტი ფონემა, რომელიც დასტურება მხოლოდ კონკრეტული ენის ბაზაზე სიტყვათა ჯგუფის ფონეტიკურ ფორმაში და აყალიბებს მყარ ასოციაციურ კავშირს მნიშვნელობასთან. ფონემათა ამგვარ შეერთებას უწოდებენ ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ს. ფონესთემების არსებობა შეპირობებულია კონკრეტული ენის ფონოსისტემით და ფონოტაქტიკის წესებით.

ტერმინი პირველად გამოიყენა ჯ. ფერთმა [ფერთი 1930]. ფონესთემური ბგერითი სიმბოლიზმი იყო ჰ. მარჩარდის, დ. ბოლინჯერის, ე. ნაიდას, ფ. ჰაუსჰოლდერის კვლევის საგანი.

დ. ბოლინჯერი [ბოლინჯერი 1950] ფონესთემას განსაკუთრებულ მორფემად თვლის, მას მორფემათა სახეობად აღიარებს. მ. ბლუმფილდი [ბლუმფილდი 1968] კი „ძირის მაწარმოებელ მორფემას“ უწოდებს. თუმცა თანამედროვე თვალსაზრისით ფონესთემა არ არის მორფემა. *ფონესთემა* - ეს არის ფუძის/ძირის ნაწილი (ხშირად ინიციალური), რომელსაც ფონოსტრუქტურაში უკავშირდება სემანტიკური კომპონენტი. ენის სინქრონიული მონაცემი, რომელიც შეიცავს ფონესთემას, უკავშირდება მთელი ბგერათკომპლექსის მნიშვნელობას მისი წარმოშობისგან განყენებლად. საგულისხმოა, რომ ყველა სიტყვა, რომელიც შეიცავს ბგერათკომპლექსს, არ განეკუთვნება ფონესთემურ ჯგუფს, თუ ეს სემანტიკა სიტყვათა რიგში არ დასტურდება, ანუ კონკრეტული სიტყვის ბგერწერითი გარეგანი სახე განისაზღვრება მხოლოდ მისი რომელიმე ჯგუფისთვის მიკუთვნებით.

ს. ვორონინმა სიტყვის ხმაბაძვითი თუ ბგერწერითი ხასიათის დასადგენად შეიმუშავა ფონოსემანტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც მოიცავს ეტიმოლოგიური და ტიპოლოგიური კვლევის კომბინაციას; იგი, ერთი მხრივ, ემყარება ბგერწერითი და ხმაბაძვითი ფუძეების სტრუქტურული თავისებურებების გამოვლენას კონკრეტულ ენებში და, მეორე მხრივ, უნივერსალიებს.

ფონოსემანტიკური ანალიზის მეთოდში გაერთიანებულია ექვსი მიმდევრული და ერთმანეთზე დამოკიდებული, ურთიერთშეპირობებული ოპერაცია და მიმართულია მისი ბგერწერითი ხასიათის გამოვლენისკენ:

ოპერაცია I. „ს ე მ ა ნ ტ ი კ ა“ - სიტყვის სემანტიკის დადგენა, მისი ბგერწერითი და არაბგერწერითი ხასიათის გარკვევა. ამ ოპერაციის განსახორციელებლად აუცილებელია ენის თანამედროვე ლექსიკონებში სიტყვის მნიშვნელობების გადახედვა, თუკი თუნდაც

სიტყვის ერთი სემა უკავშირდება ხმას, მაშინ ის ბგერწერითია წარმოშობით.

ოპერაცია II. ბგერათსიმბოლური სიტყვების გარჩევა ი დ ე ნ ტ ი ფ ი ც ი რ ე ბ ი ს კ რ ი ტ ე რ ი უ მ ე ბ ი თ, რაც გულისხმობს ბგერწერითი ლექსიკის უნივერსალური მახასიათებლების ძიებას როგორც ხმაბაძვის, ისე ბგერწერის შემთხვევაში. ბგერწერითი ლექსიკა, როგორც წესი, საკმაოდ ექსპრესიულია, მას შეიძლება ჰქონდეს როგორც საკმაოდ ფართო მნიშვნელობა, ასევე ვიწროც, აღნიშნავდეს ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური უნივერსუმის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ხველება, ცემინება...

სემანტიკური კრიტერიუმები 1) ემოციურობა და ექსპრესიულობა, 2) სემანტიკის სახე, 3) სემანტიკის კონკრეტულობა, 4) ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური უნივერსუმის უბრალო ელემენტების მნიშვნელობა; *გრამატიკული კრიტერიუმები: 5*) მორფოლოგიური ჰიპერანომალიურობა; *სიტყვათმაწარმოებელი კრიტერიუმი:* 6) რედუპლიკაცია[1]; *სტრუქტურულ-ფონეტიკური კრიტერიუმები:* 7) ფონეტიკური ჰიპერანომალიურობა, 8) მონათესავე ფორმები, 9) ფონეტიკური ჰიპერვარიანტულობა (ხმოვანთმონაცვლეობა, თანხმოვანთმონაცვლეობა არტიკულაციისა (წარმოთქმის ადგილი) და მჟღერობა-სიყრუის მიხედვით, მეტათეზისი, სონორულობა); *ფუნქციონალური კრიტერიუმი: 1*0) სტილისტური შემოფარგლულობა; *ინტერლინგვისტური კრიტერიუმები:* 11) სხვადასხვა ენის ბგერათსიმბოლისტური სიტყვების ტიპოლოგიური მსგავსება (იზომორფიზმი).

ოპერაცია III: „ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა“ - გულისხმობს სიტყვის საკუთრივ ეტიმოლოგიურ ანალიზს; სიტყვის ეტა იმოლოგიის დადგენა მაქსიმალურად შესაძლებელ სიღრმეში, მონათესავე ენების სიღრმიდან მისი კორელატების ზედაპირზე ამოტანა. ეს არის ფონოსემანტიკური ანალიზის ცენტრალური ოპერაცია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო სიტყვა ახალია, დიალექტურია ან არასამწერლობო ენის კუთვნილებაა, ბგერწერის განსასაზღვრად უკეთესია ვიხელმძღვანელოთ ტიპოლოგიური მონაცემებით *(ოპერაციაV)* სხვა ოპერაციებთან კომბინირებულად.

ოპერაცია IV: „ე ქ ს ტ რ ა ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა“ - სახელდების მოტივების დადგენა ბგერის არტიკულაციურ-აკუსტიკური მახასიათებლების დენოტატის სენსორულ მახასიათებლებთან კავშირში. სიტყვის აკუსტიკური (აკუსტიკურ-არტიკულაციურ) ჟღერადობის შესაბამისობას დენოტატის აკუსტიკურ მახასიათებლებთან შეუძლია დადგინოს ფაქტი, რომელიც უკავშირდება საწყის იმიტაციებს ე. ი. სიტყვის ბგერწერით სტატუსს.

ოპერაციაV: „ტ ი პ ო ლ ო გ ი ა“ - მსგავსი ჟღერადობის სიტყვების გამოვლენა არამონათესავე ენის სემანტიკაშიც. ტიპოლოგია ავლენს არამონათესავე ენებში მსგავს ფონოსტრუქტურებს, აღნიშნული ოპერაცია მთავარია არსებული სიტყვების ბგერწერითი წარმომავლობის დამადასტურებლად.

ოპერაციაVI: „S u m m a s u m m a r u m” - იმ მონაცემთა ანალიზი, რომლებიც მიღებულია ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი ოპერაციის შედეგად და გაკეთებულია დასკვნები სიტყვაში პრიმარული მოტივირებულობის არსებობა-არარსებობის შესახებ. ეს არის „ტაქსონომიური“ ოპერაცია, რომელშიც ხუთივე ოპერაციის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება კომბინირებულად.

[1] ქართველური ენებისათვის დასაშვებია სუფიქსაციის დამატებაც

ამგვარად, საზოგადოდ, ფონოსემანტიკური ანალიზის მეთოდი წარმოადგენს სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზის გაფართოებულ ვარიანტს ტიპოლოგიის, ასევე სტრუქტურული, სემანტიკური და ფუნქციონალური თავისებურებების გათვალისწინებით.

ფონოსემანტიკურ ფუძეებს არაფონოსემანტიკურებისაგან განასხვავებს შემდეგი უნივერსალური ხასიათის ნიშნები:

1. სემანტიკური მოტივირებულობა: კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის გამჭვირვალეა;

2. *თავისებური ფონეტიკური გარსი:* თანხმოვანთკომპლექსები, ბგერწერითი სიტყვების ატიპური ფონემატური და მორფონემატური სტრუქტურა.

3. *სიტყვათცვლილება:* ექსპრესიული ხასაითის თანხმოვანთ- და ხმოვანთამონაცვლეობა, რომელიც არის მნიშვნელობის მოდიფიკაციის უნივერსალური საშუალება [მარჩანდი 1959, უესკოტი 1980; 1983; 1986]; რედუპლიკაცია (სრული და ნაწილობრივი) არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მექანიზმი:

ა. ახალი ბგერწერითი სიტყვის წარმოსაქმნელად;

ბ. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად (არ ეხება ქართველურ ენებს);

გ. ბგერწერითი სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურაში ინტენსივობისა და განმეორებადობის გამოსახატავად.

4. წინადადებაში ფუნქციონირება: თავისებური, არაკანონიკური მორფოსემანტიკა, რის გამოც ფონოსემანტიკური ფუძეები ერთიანდებიან ე. წ. „გამონაკლისთა“ გრამატიკულ კლასებში.

5. *სტილისტური მახასიათებლები, სემანტიკური ელფერები, დენოტატიური და კონოტატიური მნიშვნელობები, დერივაციულ რიგებში გადამკვეთი სემები.*

ნაწილი პირველი

ფონოსემანტიკურ ფუძეთა სტრუქტურა

თავი პირველი

ფონოსემანტიკური მოდელების ფონემატური სტრუქტურა ქართველურ ენებში

თავი მეორე

ბგერწერის პრინციპები ქართველურ ენებში

თავი მესამე

ფონოსემანტიკურ ფუძეთა მორფოლოგიური თავისებურებანი

თავი პირველი

ფონოსემანტიკური მოდელების ფონემატური სტრუქტურა ქართველურ ენებში

ქართველური ენების - ქართულის, სვანურის, მეგრულისა და ლაზურის - ლექსიკური სისტემები საკმაო რაოდენობით მოიცავს მოტივირებულ ნიშნებს, რომლებშიც კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არის არა ნებისმიერი და პირობითი, არამედ არანებისმიერი და შეპირობებული[1]. ეს არის ფუძეთა ფონოსემანტიკური ტიპი, რომელიც გულისხმობს არა სამეტყველო ბგერების გარეგანი მოვლენებისადმი მიმსგავსებას, არამედ ფონოლოგიური ნიშნების სისტემურ გამოყენებას გარკვეული სემანტიკური მოვლენების გამოსახატავად. ამგვარი სისტემების შიგნით ფონოლოგიური მახასიათებლები ნებისმიერნი კი არ არიან, არამედ კანონზომიერად გადმოსცემენ გარკვეულ სემატიკურ ინფორმაციას. ქართველურ ენების ვითარება ერთ დროს არსებული პროდუქტიული ყალიბების ნაშთს წარმოადგენს (ჰოლისკი 1981; ჰოლისკი 1988).

ქართველურ ენებს ფონოსემანტიკურ ფუძეთა განსხვავებული მოდელები აქვთ[2], რაც კარგად ჩანს თუნდაც რამდენიმე ფუძის ზედაპირული შედარებისას.

წარმოვადგენთ ყველა შესაძლო ვარიანტს დახურული მარცვლის შემთხვევაში:

ქართული:

ტყაპ-უნ-ი ტყაპ-ან-ი ტყაპ-ტყაპ-ი ტყაპ-ა-ტყუპ-ი
ლაწ-უნ-ი ლაწ-ან-ი ლაწ-ლაწ-ი ლაწ-ა-ლუწ-ი
ჩხარ-უნ-ი ---------- ---------- ჩხარ-ა-ჩხური ჩხერ-ა ჩხერ-ებ-ა

მეგრული:

ჯგიჯგონი - ჯიჯონი - ჯირჯონი - ჯირჯინი
ჯგაჯგინი - ---------- - ჯარჯინი - ჯვიჯვინი - ჯვარჯვინი - ჯვირჯვინი - ჯღირჯღინი
ჯგაჯგალი - ---------- ---------- ---------- ჯვარჯვალი - ჯვირჯვალი - ჯღარჯღალი

სვანური:

ჯიჯკ ჯიჯკ-ჯიჯკ ჯიჯკ-ჯაჯკ ჯიჯკ-იჯაჯკა ჯგრჯკგნ
შკტიფ შკტიფ-შკტიფ შკტიფ-შკტაფ შკტიფ-ი-შკტაფ-ა შკურფუნ შკრფგნ
ჭყგლ ჭყგლ -ჭყგლ ჭყგლ-მა-ჭყგლ ჭყგრმგნ

ლაზური:

ო-ხირხინ-უ ო-ხირხილ-უ ო-ხარხალ-უ ო-ხორხოლ-უ ო-ხურხულ-უ
ღარღალ-ი ო-ღირღოლ-უ ო-ღარღალ-უ ღორღორ-ი ო-ღერღ-უ
ო-წურწოლ-უ ო-წერწელ-უ
ო-შირშოლ-უ ო-შირშილ-უ

[1] ამიტომ ბუნებრივია მკვლევართა ის ინტერესი, რომელიც მუდამ არსებობდა ამ ტიპის ნიშანთა სტრუქტურებისა და სემანტიკების დასადგენად. თუმცა ეს კვლევები არასდროს ყოფილა სისტემური ხასიათისა და ფარო მასშტაბისა, ვგულისხმობს სისტემურ ანალიზს ყველა ქართველური ენისათვის.

[2] ამ განსხვავებისათვის ქართულსა და მეგრულში იხ. მელიქიშვილი 1980.

ფონოსემანტიკურ მოდელებზე მსჯელობისას უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც ცალკეული ფონემებისაგან (resp. მონოფონემებისაგან), ისე ფონესთემებისაგან თუ ნებისმიერი ბგერათკომპლექსისაგან შემდგარი სტრუქტურები; ანალიზი მოიცავს არა მხოლოდ ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, არამედ მორფონოლოგიურ დონესაც, ვინაიდან ბგერწერითი ღირებულება აქვს არა მხოლოდ ცალკეულ ფონემებს ან მათგან აგებულ კომპლექსებს, არამედ მორფოსტრუქტურებსაც; იგულისხმება ძირის სტრუქტურა, რომელიც ქართველურ ენებში მარცვლის სტრუქტურას უკავშირდება.

მაშასადამე, ფონოსემანტიკური მოდელები ქართველურ ენებში არსებობენ ფონო-მორფოლოგიური ყალიბების სახით, რომლებშიც ფონემათა საშუალებით აღიწერება ძალიან დეტალური სემანტიკური ინფორმაცია, თუმცა თავად მოდელები სემანტიკურად აღიქმება როგორც ერთიანი, მთლიანი ოდენობა; მაშასადამე, დიფერენცირება მხოლოდ ანალიზს ემსახურება; აქედან გამომდინარე, მოდელების აგების პრინციპები ეყრდნობა ზოგად ფ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ და მ ო რ ფ ონ ო ლ ო გ ი უ რ პრინციპებსა და წესებს; ფონოსემანტიკური მოდელების სემანტიკასთან კავშირი განიხილება ფონოლოგიურად და სემანტიკურად დიფერენცირებულ ნიშნებზე დაყრდნობით, მათი მიმართებების დადგენით.

ფონოსემანტიკური ფუძე წარმოადგენს როგორც ფონოსტრუქტურას, ასევე მორფოსტრუქტურას, ამიტომ მისი ანალიზი ორივე აპექტით არის დასაშვები: ფონოსემანტიკურ ნიშანთა სისტემა შეიძლება აღიწეროს და გაანალიზდეს ფ ო ნ ო ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი და მ ო რ ფ ო ნ ო ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი ინტეგრალური ენობრივი დონეებისთვის; პირველი აღიწერება ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნებითა და შესაბამისი ტერმინებით (*ხმოვანი-თანხმოვანი, მჟღერი-ყრუ, ფშვინვიერი-გლოტალოზებული, სისინა-შიშინა... არტიკულაციური ნიშნები), ხოლო მეორე მორფონოლოგიური და მორფოლოგიური ცნებებით (ძირი, ფუძე, აფიქსი).* ამასთან, ფონოსემანტიკური ნიშნები ავლენენ მთელ რიგ მორფოლოგიურ თავისებურებებს, რის გამოც ისინი გრამატიკული სისტემების გარეთ რჩებიან და ამდენად, წარმოადგენენ გამონაკლისებს.

ხ მ ო ვ ნ ი თ ი (*ვოკალური)* და თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი თ ი *(კონსონანტური)* ბგერწერა ფონოსემანტიკური ნიშანათა სისტემის ყველაზე მსხვილი კლასიფიკაციაა. ქართველურ ენებში ამგვარი მოდელები წარმოადგენენ:

1. *მონოფონემების* სტრუქტურას ან

2. *ბგერათკომპლექსების* (ფონესთემების თუ, ზოგადად, ჰარმონიული კომპლექსების) რიგს, რომელიც კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით მიიღება და უკავშირდება განსხვავებულ მნიშვნელობებს.

კონსონანტური ბგერწერა

ქართველურ ენებში თანხმოვნები ხასიათდებიან *არტიკულაციის ადგილისა* და *რიგის (ფონაციის ტიპის) მიხედვით* (resp. ლოკალური რიგისა და სერიის). წარმოვადგენთ თანხმოვანთა სისტემის ტაბულას ქართულისათვის, რომელშიც მოცემულია დაპირისპირებულ ბგერათა ჯგუფები ლარინგალური არტიკულაციისა (სამეულეები: მჟღერი - ფშვინვიერი - ყრუ; წყვილეულები: მჟღერი - ყრუ, ცალეულები: სონორები) და წარმოების ადგილის მიხედვით.

ტაბულა:

სამეულები/ხშულები	მჟღერი	ყრუ ფშვინვიერი	გლოტალიზებული
ლაბიოდენტალი	ვ	-----	-----
ბილაბიალი	ბ	ფ	პ
დენტალი	დ	თ	ტ
პრეალვეოლარი	ძ	ც	წ
პოსტალვეოლარი	ჯ	ჩ	ჭ
ველარი	გ	ქ	კ
უვულარული	----	----	ყ

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი

წყვილეულები/ნაპრალოვნები	მჟღერი	ყრუ
პრეალველარი	ზ	ს
პოსტალვეოლარი	ჟ	შ
ველარი	ღ	ხ
ლარინგალი	----	ჰ

ცალეულები	მჟღერი [ს ო ნ ო რ ე ბ ი]
ნაზალური	მ, ნ
პრეალვეოლარი (ლატერალი)	ლ
პოსტალვეოლარი (ვიბრანტი)	რ

თანხმოვანთა ცხრილს სხვა ქართველური ენებისათვის შეიძლება დაემატოს რამდენიმე კონსონანტი: ლაზურში ლაბიალური /ჶ/ და პალატალური /ჷ/, უვულარული /ჴ/ მეგრულსა და ლაზურში, ხოლო ლაზურსა და სვანურში ფარინგალური მჟღერი - /ჳ/, რომელიც ქართული ენის მთის დიალექტების ფონოსისტემაშიც შედის.

ქართული ენის ფონოსემანტიკური მოდელების აგებაში მონაწილეობს ყველა კონსონანტი; დასაშვებია, ფონოსემანტიკური მოდელები ფონოლოგიურად დაპირისპირებული აღმოჩნდეს როგორც ფონემათა სერიების, ასევე რიგების მიხედვით; კერძოდ, ფონოსემანტიკურ სტრუქტურებში ფონემები უპირისპირდებიან რაგვარობისა *(მჟღეროვა-სიყრუის, ხშულობა-ნაპრალოვნების...)* და არტიკულაციის მიხედვით, რამაც შეიძლება შექმნას შესაბამისი სემანტიკური ოპოზიციები როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად:

ქართული:

	მჟღერი	*ყრუ/ფშვინვიერი*	*გლოტალიზებული*
ბილაბიალები	*ბი-ბი-ნ-ი*	*ფი-ფი-ნ-ი*	*პი-პი-ნ-ი*
დენტალები	*დუ-დუ-ნ-ი*	----------	*ტი-ტი-ნ-ი*
პრეალვეოლარი [+ველარი]	*ძიძგ-ნ-ა*	*ციცქ-ნ-ა*	*წიწკ-ნ-ი*
	ზი-ზი-ნ-ი	*სი-სი-ნ-ი*	
პოსტალვეოლარი [+ველარი]	*ჯიჯგ-ნ-ა*	*ჩიჩქ-ნ-ა*	*ჭიჭკ-ნა*
	ჟი-ჟი-ნ-ი	*ში-ში-ნ-ი*	
ველარი	*გა-გა-ნ-ი*	*ქა-ქა-ნ-ი*	*კა-კა-ნ-ი*
	ღი-ღი-ნ-ი	*ხი-ხი-ნ-ი*	
უვულარული			*ყი-ყი-ნ-ი*

ქართველურ ენებში მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული, სისინა და შიშინა თანხმოვნების მონაცვლეობა ქმნის ბ გ ე რ წ ე რ ი თ კ ო ნ ე ბ ს. ერთადერთი თანხმოვანი, რომელიც ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში ბგერწერაში საერთოდ არ მონაწილეობს, არის /ჰ/[1], ხოლო სონორები მხოლოდ კომპლექსებს ადგენენ თანხმოვნ(ებ)ის წინ თუ მომდევნოდ (CS, SC). ზოგადად, სონორებს ბგერწერაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, შეიძლება ითქვას, ისინი მოდელების აგებაში აქტიურად მონაწილეობენ და სპეციფიკური სემანტიკური ფუნქციაც აქვთ[2].

ლაზურის ბგერწერაში არ მონაწილეობს ლაბიალურ /ჭ/, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ ენის ფონემატური სისტემის დამოუკიდებელ ერთეულად მიიჩნევა (კარტოზია 2005: 21), თუმცა, როგორც წესი, ნასესხებ სიტყვებშია რეალიზებული; იმავეს თქმა შეიძლება მეგრულისა და ლაზურის /ჲ/ და /ჳ/ ბგერებზე, პირველი ქმნის დიფთონგს მომდევნო

[1] შდრ. ქობალავა 1972: 152, სქ: „/ჰ/... ძირეულ თანხმოვანთა კომბინაციაში არ შედის“.

[2] მსჯელობისათვის იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ.163-167.

ან წინამავალ ხმოვანთან ერთად (კარტოზია 2005:18), ხოლო მეორე /ვ/-ს მონაცვლე ფაკულტატური ვარიანტია; ბგერწერით ფუძეებში მათი რეალიზებაც ფაკულტატური ჩანს, ამიტომ ერთმანეთის მიმართ ფონოსემანტიკურ ოპოზიციებს ვერ ქმნიან. უვულარული /ღ/, რომელიც მეგრული და ლაზური ენების ფონემატური სისტემის კუთვნილებაა (კარტოზია 2005; ქუთელია 2005), ლაზურის ბგერწერითი მოდელების აგებაში არ მონაწილეობს, მაშინ, როცა ის მეგრულში შესაბამისის შინაარსების გადმოცემისას სტაბილურად ვლინდება. მაგ. „ხმის გამოცემა“ - *ყიაფი / ღიაფი „ყივილი, კნავილი“, ღურაფი „ყმუილი“, ღიონი „ყივილი“...* „ცქერა, გამოხედვა, ყურება“ - *ღვირინი, ღვინგინი, ღვიბინი...*

საგულისხმოა, რომ სვანური ენის ფონოსემანტიკური მოდელების აგებაში მონაწილეობს ყველა სერიისა და რიგის კონსონანტი (მათ შორის ფარინგალური ჴ და ლარინგალური ჰ-ც). სვანურშიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული, ასევე სისინა და შიშინა თანხმოვნების მონაცვლეობა ქმნის ბგერწერით კონებს.

თანხმოვანთა ტაბულაში ფონემები წარმოდგენილია რიგისა (ფონაციის ტიპის) და არტიკულაციის ანუ წარმოთქმის ადგილის მიხედვით. ფონოსემანტიკურ მოდელებში კონსონანტთა „შერჩევა“ თანხმოვანთა განდასების ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ ო ბ ი ს და ჰ ო მ ო რ გ ა ნ უ ლ ო ბ ი ს პრინციპს ეყრდნობა. ოპოზიციური მნიშვნელობის ფონოსტრუქტურების ასაგებად „გამოყენებულია“ (იხ.ტაბულები) ერთმანეთის მიმართ როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური რიგებისა და მწკრივების ფონემები. აქედან გამომდინარე, *ბგერწერითი კონები* შეიძლება დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ *სერიის, რიგისა* და *რაგვარობის* (ხშულობა- ნაპრალოვნობის) მიხედვით. თუმცა პარადიგმები არ არის უნაკლო.

ქართული

ბ	დ	ძ	ჯ	გ	ღ	ზ	ჟ
ბიბინ-	დიდინ-	-	-	-	ღიღინ-	ზიზინ-	-
ფ	თ	ც	ჩ	ქ	ხ	ს	შ
ფიფინ-	თითინ-	ციცინ-	ჩიჩინ-	-	ხიხინ-	სისინ-	შიშინ-
პ	ტ	წ	ჭ	კ	ყ		
პიპინ-	ტიტინ-	წიწინ-	ჭიჭინ-	კიკინ-	ყიყინ-		

აღნიშნული ტაბულა ნათლად წარმოაჩენს ფონოსემანტიკურ მოდელებში კონსონანტთა უცვლელობას; კონსონანტური „კარკასი“ სტაბილურია ყველა ფორმაში, ბგერები ერთმანეთს უპირისპირდებიან რიგისა და რაგვარობის მიხედვით.

მეგრული

ბ	დ	ძ	ჯ	გ	ღ	ზ	ჟ
ბირბინ-	დირდინ-	ძირძინ-	ჯირჯინ-	გირგინ-	ღირღინ-	ზირზინ-	ჟირჟინ-
ფ	თ	ც	ჩ	ქ	ხ	ს	შ
-	თირთინ-	ცირცინ-	ჩირჩინ-	ქირქინ-	ხირხინ-	სირსინ-	შირშინ-
პ	ტ	წ	ჭ	კ	ყ		
-	ტირტინ-	წირწინ-	ჭირჭინ-	კირკინ-	ყირყინ-		

ლაზური[1]

ბ	დ	ძ	ჯ	გ	ღ	ზ	ჟ
ბარბალ-	დარდალ-	-	ჯიჯილ-	-	ღარღალ-	-	ჟირჟოლ-
ფ	თ	ც	ჩ	ქ	ხ	ს	შ
ფარფალ-	თართალ-	ცირცოლ-	-	ქირქინ-	ხირხინ-	-	შირშილ-
პ	ტ	წ	ჭ	კ	ყ		
პარპალ-	ტარტალ-	წირწოლ	ჭირჭილ-	კირკინ-	-		

სვანური

ბ	დ	ძ	ჯ	გ	ღ	ზ	ჟ
ბგრბგნ	დგრდგნ	-	-	გურგუნ	ღურღუნ	ზგრზგნ	ჟგრჟგნ
ფ	თ	ც	ჩ	ქ	ხ	ს	შ
ფგრფგნ	თგრტგნ	ცურცხუნ	-	ქგრკგნ	ხურხუნ	-	შგრშგნ
პ	ტ	წ	ჭ	კ	ყ		
-	ტგრტგნ	წგრწგნ	ჭგრჭგნ	კურკუნ	ყურყუნ	-	-

პარადიგმებში წარმოდგენილია მონოფონემების პოტენციალი წარმოქმნან ფონოსემანტიკურად გამჭვირვალე მნიშვნელობები, მაგალითებში დადასტურებული *სონორი + კონსონანტი* ძირეულ მორფემათა თუ მარცვალთა,[2] კერძოდ, დახურულ მარცვალთა, მიჯნაზე იყრის თავს; CVS სტრუქტურის გაორკეცების შემთხვევაში ვიღებთ

[1] ლაზურის პარადიგმებში თანმიმდევრულობა არ არის დაცული, ვინაიდან ლაზური ენის მასალა არ იძლევა საშუალებას ერთი მორფონოსტრუქტურის ფარგლებში აღიწეროს ფონოსემანტიკური დაპირისპირებები.
[2] ქართველურ ენებში ძირისა და მარცვლის სტრუქტურა ემთხვევა ერთმანეთს (მელიქიშვილი 1999)

CV*S*-CVS პაუზით გახლეჩილ მარცვალთა მიმდევრობას, ასეთი ფუძეების წარმოთქმისას რედუპლიცირებული ძირის აღქმა წაშლილი არ არის; ამასთან ამ ტიპის ფონომიმდევრობა მეგრულსა და ლაზურში კანონიკურია და ამიტომაც არ წარმოიშობა კომპლექსის დაძლევის (გამარტივების, გარდაქმნის) აუცილებლობა.

ფონოლოგიის დონეზე სიტყვა წარმოადგენს სინტაგმატურად ანუ ლინეალურად ერთმანეთის თანმიმდევრობით განლაგებულ ნიშანთა, ამ შემთხვევაში ბგერათა, კომპლექსს. ცხადია, ბგერწერით მოდელებში ფონემათა კომპლექსების განდასება ნებიმიერი კი არ არის, არამედ ემყარება კონკრეტული ენის ფონოტაქტიკის წესებს, ჰომოგენურობისა და ჰომორგანულობის პრინციპებს, და ეს წესები ყველა ქართველური ენისათვის მეტ-ნაკლებად განხვავებულია.

ზოგადად, კომპლექსი განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე კლასის ფონემათა სინტაგმატური გაერთიანება, ერთი და იმავე კლასის ფონემათა შეერთება მიმდევრობაში (გუდავა, გამყრელიძე 1981 ან 2000:151], ეს შეერთება კი ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით ხდება. ფონემათა კომბინაციები შეპირობებულია სტრუქტურით, ანუ ფონემათა დისტრიბუციის წესებით ფონემურ კლასებში (ფოგტი 1961), თუმცა ყველა არ არის რეალიზებული არც ზოგადად ენაში და არც ფონოსემანტიკურ ფუძეებში.

ფონემებისგან არის აგებული მორფემებიც.

ფონემათა კომბინაციები როგორც მინიმალურ ორწევრა კომპლექსებში, ისე ოთხწევრა და მეტ მიმდევრობაში ეყრდნობა სონორების განაწილების წესებს, რომლებიც ქართველური ენებისათვის განსხვავებულია. თუმცა, ქართველურ ენათა სტაბილურ ორწევრა მიმდევრობებში უგამონაკლისოდ მოქმედებს ზ. ჯაფარიძის მიერ სალიტერატურო ქართულის კონსონანტური ჯგუფებისათვის დადგენილი წესი: *„თავკიდურ კონსონანტურ ჯგუფში არასონორს არ შეიძლება მოსდევდეს იმავე აქტიური ორგანოთი ნაწარმოები, მისივე ან მომდევნო ლოკალური რიგის (რიგების) სხვა არასონორი“* (ჯაფარიძე 1967: 147). აღნიშნული წესი ფორმულირებულია ანლაუტური კონსონანტური ჯგუფებისათვის, თუმცა იგი ერთი მორფემის ფარგლებში ყოველგვარ კონსონანტურ ჯგუფს ეხება.

ზოგადად, ქართულისათვის დადგენილ CVC ძირის ფონემური სტრუქტურაში თანხმოვანთა განდასების პრინციპები იგივე რჩება ფონოსემანტიკური ფუძეების შემთხვევაშიც.[2]

ქართული (CVC)	მეგრული	ლაზური
a. I: *ძ რ* a. II: *ბ ფ პ* b: *დ თ ტ ძ ც წ ჯ ჭ ჩ ჟ შ ზ ს* c: *გ კ ქ ღ ხ ყ* d. I: *ვ* d. II: *მ ნ რ ლ*	a: *რ ნ* b: *დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ ზ ს ჟ შ* c: *გ ქ კ ღ ხ ყ* d: *ვ*	a: *მ ნ* b: *[ბ ფ პ] დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ ზ ს ჟ შ* c: *გ კ ქ ღ ხ ყ* d: *ვ*
ჯაფარიძე 1967:147, ქობალავა 1972: 162	გუდავა, გამყრელიძე 1981: 152	ქუთელია 2005: 287

[1] ქართული ენის კონსონანტთა დისტრიბუციული ანალიზისათვის იხ. ჟღენტი 1960; ფოგტი 1961; უთურგაიძე 1976.

[2] მეგრულში a რიგის სონორთან მომდევნო პოზიციაში ბილაბიალურ სამეულები არ რეალიზდება, იშვიათობაა იგი ლაზურშიც.

კონსონანტური ბგერწერა

ბგერწერით მოდელებში სემანტიკის ცვლას აპირობებს ფონემათა „არტიკულაციური თამაში“ (ნაისერი 1953: § 5) ანუ ფონემათა დასაშვები ვარიაციები, კომბინაციები, რომლებიც ფონოტაქტიკის ზემოთ მითითებულ წესებს ემყარება და სემანტიკური ცვლის საფუძველს წარმოადგენს. ამ მოდელებში თანხმოვანთა კომბინირება რამდენად პროდუქტიულია ახალი სემანტიკის წარმოსაქმნელად ამას ნათელყოფს ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითები, რომლებიც *-იალ* სუფიქსიან მოდელებში[1] რეალიზდება[2]:

ფუძის მოდელი	ბ	ფ	პ
CF[3]	ბრიალი	ფრიალი	პრიალი
CR	ბზიალი	-	-
CFR	ბზრიალი	-	-
CFR	ბღრიალი	-	-
CCF	ბდღიალი	ფთხიალი	-
CCFF	ბდღვიალი	-	-
CRCFF	ბრდღვიალი	-	-

ამავე სტრუქტურულ მოდელში დასაშვებია ფონემათა ცვლა არტიკულაციური ნიშნების მიხედვითაც, რაც ახალი ფონოსემანტიკური ფუძეების წარმოქმნის საფუძველია; რიგებს შიგნით სხვა ფონოლოგიური ნიშნის (*მჟღერობა-სიყრუის*) მიხედვით დაპირისპირებაც რელევანტური ჩანს, ამავე დროს ფონემებს დაკავშირებული ბგერწერითი შინაარსები იცვლება წინაწარმოებიდან უკანაწარმოებისკენ:

დენტალური ექსპლოზივები - CCR:	*დგრიალი - ტრიალი -ტკრიალი*
პრეალვეოლარული აფრიკატები - CCR:	*ძგრიალი - ცქრიალი - წკრიალი*
პოსტალვეოლარული აფრიკატები - CCR:	*ჯგრიალი - ჩქრიალი - *ჭკრიალი*
ველარული - CR:	*გრიალი - ქრიალი - კრიალი*
პოსტველარული - C:	*ყიალი*
დენტალური სპირალები - FR:	*ზრიალი - სრიალი*

[1] ამგავრი ფორმები ბრუნებისა და უღვლილების თვალსაზრისით პარადიგმებში დაუშლელად არის წარმოდგენილი.

[2] სრული პარადიგმებისათვის იხ. ჭანიშვილი 1988: 169-170.

[3] R - ვიბრანტი /რ/, C - კონსონანტი, F - ფრიკატივი.

ალვეოლარული სპირანტები - FR: *ჟრიალი - შრიალი,*

FFR: *ჟღრიალი - შხრიალი*

ველარული სპირანტი - FR: *ღრიალი - ხრიალი*

ქართულში *ჰარმონიული კომპლექსები* რეალიზებულია ფონოსემანტიკური ფუძის როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტში;

თანხმოვანთა კომბინაციებში გამოყოფილია ორი კლასი: ჩქამიერებისა (ხშულები და ნაპრალოვნები) და სონორებისა; პირველები ერთმანეთს უერთდებიან გარკვეული შეზღუდვებით, ხოლო მეორეებთან, ანუ სონორებთან, შეზღუდვის გარეშე კომბინირებენ; ამ რიგშია S= /ნ/, /ლ/, /რ/, /მ/, C=/ვ/ (ქობალავა 1972: 151);

ფონოსემანტიკური ძირების ორწევრა კომპლექსები შეიცავს შემდეგ დიფერენციალურ ნიშანთა კომბინაციებს: *ხშული + ნაპრალოვანი, ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი, ხშული + ხშული, ფშვინვიერი + ფშვინვიერი, მკვეთრი + მკვეთრი* - დაცულია ჰომოგენურობა. ქართულში ფუძის ფარგლებში, ორი ჰარმონიული კომპლექსი ერთდროულად ანლაუტსა და ინლაუტში, დაუშვებელია. თუმცა კომპლექსთმონაცვლეობის ცალკეული შემთხვევები სპორადულად დასტურდება დიალექტებში: *ჩინჩხილი // ჩხინჩხილი, ჭინჭყილი // ჭყინჭყილი, დონდგოლი // დგონდგოლი, ჭანჭყარი // ჭანჭყარი* (ქიზიყ.); *წკვარწკვალი* (იმერ.) (ჟღენტი 1960:87-88), *დგანდგარი* (ქეგლ), *ცქანცქალი*[1] (კახ.), *წყანწყარა // წანწყარა*[2] (ფშ.)

ორწევრა კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი:

ბღ: *ბღარტანი, ბღეჟელი, ბღუილი, ბღოჭინი*[3]*, ბღოტვა*[4]*,*

დღ: *დღაბნი-ს (დღაბნა), დუდღუნი,*

ძღ: *ძღინკი*

ზღ: *ზღართანი*[5]*, ზღიპინი*[6]

ჯღ: *ჯღავილი*[7]*, ჯღაბნა*[8]*, ჯაჯღანი*[9]*, ჯიჯღინი, ჯღორინი*[10]

---

[1] „*ამიცქანცქალდა* ობოლი გული, ამიცქანცქალდა ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და ისე აღარ ამცქანცქალებია“ (ი. ჭავჭავაძე): ქართული ენის ეროვნული კორპუსი (http://clarino.uib.no/gnc/page?page-id=gnc-main-page)

[2] ჩიტის სახელია

[3] (გურ.) უსიამოვნო მაღალი ყვირილი ხარისა

[4] ბღოტვით, ბობღვით სვლა (ქეგლ)

[5] მკვრივი და რბილი მძიმე, დიდი სხეულის მოსხლეტით დაცემა (ქეგლ);

[6] (გურ.) ჟივჟივი, წიწილების ან ჩიტების შეწუხებული ხმა

[7] ხმამაღლა, უგვანი ტირილი, - ღნავილი, ჩხავილი (ქეგლ)

[8] უხეიროდ, გაურკვეველი ხელით წერა, - ბღაჯნა.

[9] (საუბ.) ხმამაღლა უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი, - ჭაჭყანი. (ქეგლ)

[10](გურ.) უხეშად ხმამაღლა ტირილი, ღრიალი

ჟღ: *ჟღურტული, ჟღავილი*[1], *ჟღუილი, კვაჟღუნი*[2]
ფხ: *ფხაკანი, ფხუკუნი, ფხარკალი*[3]
თხ: *თათხანი, თხუპნა,*
ცხ: *ცხინკილი*[4], *ცხაკუნი*[5]
ჩხ: *ჩხიკვინებს*[6], *ჩხაბვა*[7], *ჩხავილი, ჩხაკუნი, ჩიჩხინი,*
შხ: *შხაპუნი, შიშხინი*
ტყ: *ტყარპალი*[8], *ტატყანი, ტიტყნა, ტყაპნა, გატყეპა*
ტკ: *ტკარცალი*[9], *ტკაცუნი*
წყ: ---
ჭყ: *ჭყარტალი*[10], *ჭიჭყინი, ჭყუტუნი, ჭყამპალი*[11]
ბგ: ---
დგ: *დგაფუნი, დგანდგარი*[12], *დგარადგური*[13]
ძგ: *ძიძგნა*
ჯგ: *ჯაჯგური, ჯიჯგნა*
თქ: *ხათქუნი, თათქუნი, თქარუნი, ბათქუნი*
ცქ: *ცქაფანი, ციცქნა*
წკ: *წიწკნა, წკმუილი // წკავილი*[14], *წკავწკავი*[15], *წკაპანი*[16], *წკაპაწკუპი*[17],
ჩქ: *ჩქამაჩქუმი*[18], *ჩაჩქუნი*[19]

---

[1] ძვ. ჩხავილი, ყვირილი (ქეგლ)

[2] „კორძიან ხეზე ცულის ცემა“, ძირი შეიძლება იყოს ნასახელარი: კვაჟღი (ერთელიშვილი 1970, 64)

[3] ფართხალი (ბერ.)

[4] (ლეჩხ.) საჭმლის ნამცეცის გადაცდენა სასულეში

[5] მოკლე, ჩქარი ნაბიჯით სიარული (ბერ.)

[6] ჩხიი, ჩხი-ს იძახის (ჩხიკვი) (ქეგლ)

[7] იგივე ჯღაბნა (ქეგლ)

[8] (იმერ.) უშნო ლაპარაკი, ბევრი, უშინაარსო, უადგილო

[9] მაღალი, მკვეთრი ხმით სიცილი, კისკისი, ტკრციალი (ქეგლ)

[10] (იმერ.) შეუჩერებლივ ლაპარაკი, ტიტინი (ქეგლ)

[11] 1. იგივეა, რაც ჭყუმპალაობს. 2. ტიტინებს, ყბედობს, ჩერჩეტობს, მიედ-მოედება (ქეგლ)

[12] დიდი ხმაურობა (მიწისძვრისა და სხვ.), - გრიალი; ზანზარი. (ქეგლ)

[13] რკინის მძიმე საგნების ერთმანეთზე ცემის ხმა.

[14] გაბმით წვრილ ხმაზე ყეფა,- წკმუილი. (ქეგლ)

[15] წვრილად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმიანობა (ძაღლისა...).

[16] პატარა, მკვრივი სხეულის (კენჭის, წკეპლის...) ან წვეთის მაგარ საგანზე დაცემის (დარტყმის) ხმა (ქეგლ).

[17] რიტმული წკაპანი.(ქეგლ)

[18] (საუბ.) იგივეა რაც ჩ ქ ა მ ი ... 1. ხმაური, გახმაურება.2. მცირე გახმაურება, - ფაჩუნი, ჩუჩუნი. (ქეგლ)

[19] რტყმა, ჩაკუნი, ცემა; ჩეჩქვის ხმა.(ქეგლ)

სხვა კომბინაციებიდან დასტურდება: *ბზ, ბჟ, ფშ, გზ, ქს, ქშ* (ქობალავა 1972: 154), რომელთა გასონორებაც ადვილი მოსალოდნელია: ქს: *ქსიტინი*[1] ქშ: *ქშუტუნი, ქშენა,* ფს: *ფსუტუნი,* ბზ: *ბზაკუნი*[2]*, ბზრიალი,* ბჟ: *ბჟუილი, ბჟუტვა,* ფშ: *ფშვინვა, ფშუტუნი, ფშუილი,.*

ორწევრა კომპლექსთაგან ერთ-ერთი /მ/, /ნ/, /რ/, /ლ/ სონორი ან /ვ/ თანხმოვანი, შეიძლება იყოს: C+S*: ბრიალი, გრიალი, ტრიალი, კრიალი, ჟრიალი, ზრიალი, პრიალი, ფრიალი.... ბრანდვა*[3]*, ბრახუნი, გრუხუნი, ტრინჯვა*[4]*, მოყრინტვა*[5]*, ყრანტალი, ყროყინი, ცმაცური*[6]*, ცმუცნა*[7]*, ჟმენტა*[8]*,* ღმანჭება, *კვანწვა*[9]*, წკმუილი, წიწკნა, გვანძვა*[10]*,* ღლაკნა[11]*, ბლაყნა*[12]*, ფლაფნა*[13]*, ჩლართაჲ*[14]*, ყლურწვა... /*ნ/ - ძირითადად ფუძის აუსლაუტში ფიქსირდება, ვინაიდან ის ისტორიულად დერივაციული ელემენტია[15]: *ჯღაბნა, გრაგნა, ტკეპნა, ქლაქნა*[16]*, ფხაჭნა, ლოღნა...*

სამწევრა კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი:

კომპლექსთა რიგში ფონემათმიმდევრობა, ძირითადად, იზრდება /ვ/ კონსონანტის ან /მ/, /ნ/, /რ/, /ლ/ სონორების დამატებით; ისინი შეიძლება კომპლექსს თავში ემატებოდეს ან ბოლოში; სამ და მეტწევრიან *ჯგუფებში სონორთა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრულია;* სონორის შემცველი კომბინაციებისთვის ქართულში ჩამოყალიბებულია წესები:

1. არასონორს შეიძლება მოსდევდეს ნებისმიერი სონორი (გამონაკლისია ანლაუტში ბ/ფ/პ + მ)
2. სონორს შეიძლება მოსდევდეს არასონორი (გამონაკლისია ბ/ფ/პ + მ ან ვ თანხმოვანი)
3. დასაშვებია სონორი + სონორი შემდეგი შეზღუდვით: ა) ერთ კომბინაციაში დაუშვებელია ვ თანხმოვანი + მ; ბ) დასაშვებია რ + ნ, რ + ლ კომპლექსები, შებრუნებული თანმიმდევრობა არ გვხვდება (ქობალავა 1972:162)

---

[1] (იმერ.) ხმაურით სუნთქვა ცხვირში

[2] სკუპ-სკუპით სვლა (ქეგლ)

[3] გურ. ცუდად კერვა, ბანდვა; მიქარვა, მიდებ-მოდებით ლაპარაკი

[4] (მესხ.) ჩაშტერებით სინჯვა-ყურება, დაწვრილებით თვალიერება რამისა პატრონის გასაღიზიანებლად და დასაზრახად

[5] იმერ. კისრის მოღრეცა

[6] ოდნავი მოძრაობა (ტუჩებისა, ულვაშისა)

[7] ოდნავი შეხებით ჭამა (ქეგლ)

[8] ქიზიყ. ჟლეტა, ამოწყვეტა

[9] ქალების ცეკვაში (ხელების, ტანის) მოხდენილი მოძრაობა (საბა). || კუთხ. (ქართლ. იმერ.) ხელების ლამაზი შეთამაშება ცეკვის დროს; კეკლუცობა, კოხტაობა

[10] იმერ. რაიმე სახვევში გამოხვევა

[11] იმერ.უშნოდ ღეჭვა რისიმე

[12] ლეჩხ. უშნოდ ჭამა, ლუკმვა

[13] უკბილოს ლაპარაკი (საბა)

[14] ინგილ. გახლართვა, გაწეწვა (თმისა, ძაფისა)

[15] იხ. შესაბამისი პარაგრაფი

[16] იმერული

CC+S: *ცქმუტვა, ცქრიალი, ატკვაფშული*[1], *წკვერტვა*[2], *ძგვამბა (ჩაძგვამბა)*[3], *ტყლარჭვა, ტყლარწვა, ჩხლართვა, ჩქლერთვა*[4], *ცქლეფა*[5], *ცქლაფუნი*[6], *წკლუმპვა*[7], *და-ცხვინკება*[8], *და-ჯღმენთა*[9], *შხლართვა, გა-ჟღვართვა*[10], *ჟგლერთა*[11], *დღლოშნა*[12], *ფხრეწა, დგლაფუნი, თქლაფუნი, ტყლაპუნი, ბღლამუნი, დღლაზუნი*[13], *თხლიფინი*[14], *ფხლაკანი*[15], *თხრიშინი*[16], *ღვრიჭინა*[17]... *ჩიჩქნა, დიდღნა, ტიტყნა, თითხნა, ჭიჭყნა* - აუსლაუტში დადასტურებული სონორი დერივაციული სუფიქსია.

ფონესთემებად ვერ ჩაითვლება ინლაუტში მარცვალთა მიჯნაზე წარმოქმნილი თანხმოვანთკომპლექსები, ჰომოგენური კომპლექსი სონორით ან მის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ფონოტაქტიკის იმავე წესებს ეფუძნება, რომლებიც ერთი მარცვლის შემთხვევისათვის არის რელევანტური; მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმდევრობები ენის განვითარების სინქრონიული ეტაპისათვის ერთი ფუძის შემადგენელ მთლიანობად გაიაზრება და მაგალითების მთელ პარადიგმას მოიცავს; გადამწყვეტია ის, რომ ამგვარი ფონომიმდევრობები CVC სტრუქტურის მარცვალთა საზღვარზეა ჩამოყალიბებული და პროსოდიულად ხლეჩადია; აღნიშნული მიმდევრობა მხოლოდ ინლაუტურია: CC - პყ: *ყაპ-ყაპა*[18], ფქ: *ქაფ-ქაფი*, პკ: *კაპ-კაპი*, წკ: *კაწ-კაწი*... სონორი წინა მარცვლის კუთვნილებაა: S-CC - *ყრან-ტალი, გვან-ძვა, ტან-ტყალი, დონ-დგოლი, ჩან-ჩქარი, ჩან-ჩხალი, ფარ-თქალი // ფარ-თხალი, ჯან-ჯღარი, ბარ-დღალი, კირ-ჩხინი, ბირ-ძღინი, ჟან-ჟღალი, ლურ-სხუნი*...

ოთხწევრა კომპლექსები // ფონესთემები:

ბღვრიალი, ბჭყვიალი (< ბრჭყვიალი), პჭყვიალი[19], *ბდღვიალი (< ბღვრიალი),*

---

[1] (გურ.) ატკრეცილი, ასივებული, აბებრებული

[2] (იმერ. გურ.) მოსხლეტით და უხმაუროდ გადახტომა დიდ მანძილზე

[3] საჭმლის ერთიანად ჩაყრა (ბერ.)

[4] (ქიზიყ.) გლეჯა, ფლეთა

[5] (ფშ.) ძაღლის წყლის სმა, სალაფავის ჭამა

[6] (ქიზიყ.) ჩქარა და ენის დაბმით ლაპარაკი, რომ ვერ გაიგებ ნათქვამს

[7] მცირედ დასველება

[8] (რაჭ.) ცხვირის დაცემინება

[9] (მოხ.) დაჭყანვა

[10] (გურ.) გაშხვართვა

[11] (იმერ.) ძლიერი წვიმა ქარიშხლით, თქეში

[12] მთიულური

[13] (ლეჩხ.) მოშვებული, უშნო სიარული

[14] (იმერ.) ენაბრგვნილად ლაპარაკი, ჩქარი

[15] (მთიულ.) ფხაკუნი

[16] (გურ.) ერთბაშად გადმოსული წყლის ხმა

[17] (ქართლ.) ძალიან დაბანილი, დაკრიალებული, გაწკრიალებული (ქეგლ)

[18] ხის პატარა, მწვანე ბაყაყი (ქეგლ)

[19] (იმერ.) ბრჭყვიალი

ფრთხიალი, ბთხრიალი[1]*, ტკრციალი, ჭყრტიალი*[2]*, ჭკრთიალი*[3]*, ტყრშიალი*[4]*, კრჩხიალი*[5]*, ბღვრიალი*[6]*, ფრთქიალი*[7]*...*

ხუთწევრა კომპლექსები:

მძგვლევა[8]*, მთქვლევა*[9]*, მსხვრევა, მშხვრევა*[10]*, მცქვრევა* (ჩამცქვრევა[11]), *მზღვლევა* (მოამზღვლევს[12]), *მდღვლევა*[13]*, მწყვრ-ევა* (მოუმწყვრევია)[14], *ბრდღვიალი //ბდღვრიალი, ბჟღვრიალი, ბრჭყვიალი...*

ექვსწევრა კომპლექსები:

მასდარში ექვსივე წევრი დაცულია, მაშინ, როცა ზმნური ფორმის წარმოების დროს სუფიქსი უკვე გახმოვანებული სახით გვხვდება და ფონემათმიმდევრობა 5-მდე მცირდება:

ფრთხვნ-ა (ფრთხვინავს) // *ფრთქვნ-ა* (ფრთქვენს[15]), *ბრდღვნ-ა* (ბრდღვნის), *ფრცქვნ-ა* (ფრცქვნის), *ფრჭკვნ-ა* (დაიფრჭკუნების[16])

პირველი სუბიექტური ან პირველი და მეორე ობიექტური პირის აღმნიშვნელი პრეფიქსების დართვისას მხოლობითსა და მრავლობითში კონსონანტთა სიგრძე 7-8-მდე შეიძლება გაიზარდოს: *გვბრდღვნ-ის, გვფრცქვნ-ის...* კომპლექსის წარმოთქმას სონორები აადვილებს.

ხუთი ელემენტის შემდეგ ფონემათმიმდევრობა იზრდება კონსონანტური სტრუქტურის ფუნქციური ელემენტების ხარჯზე. „ქართულში თავკიდურ მარცვალთა აგება წარმოებს მზარდი ბგეროვნების მიხედვით და მარცვლის მწვერვალი სათანადო ხმოვან ფონემაზეა“ (ჟღენტი 1960: 108);

ქართული ენის ფონოსემანტიკური ფუძეების დიალექტური მონაცემების ფონოტაქტიკური ანალიზი რიგი დასკვნების საშუალებას იძლევა:

- ბიფონემური სტრუქტურების აგება ჰარმონიული კომპლექსის აგების დეცესიის პრინციპს ემყარება და განეკუთვნება A ან B რიგს;

---

[1] ფშ. ფრთხიალი

[2]ბრწყინვა, ელვარება

[3]აღრჭიალებს (ქეგლ)

[4]მოხ, ჟრიალი, ძლიერი ხმა

[5] დიაცთ კივილი (საბა)

[6]ბრიყვული ტირილი (საბა)

[7]იგივეა, რაც ფრთხიალი (ქეგლ)

[8]იმერული

[9]იმერული

[10]ქართლური

[11] კუთხ. (ერწ.) ჩაყრა (შინამრეწვ.) (ქეგლ)

[12] მოანგრევს, ჩამოაქცევს (მიწას, თოვლს...) (ქეგლ)

[13] ერთმანეთში აირევა, –აითქვიფება, აილინთება (წვნიანი რამ)

[14]ქართლური

[15]იგივეა, რაც ფრუტუნებს

[16]დ. ჩუბინაშვილი

- სამწევრა სტრუქტურებში დაცულია ორი წესი:
  1. S+CC *(სონორი + ჰარმონიული კომპლექსი);*
  2. CC + S *(ჰარმონიული კომპლექსი + სონორი);*

  ორივე შემთხვევაში S = /ლ/, /რ/, /ნ/. აღნიშნული მიმდევრობა ქართულში დახურული მარცვლის სტრუქტურას ემთხვევა;

- ოთხწევრა ფონემების რიგისათვის უნდა გამოიყოს სამი მოდელი:

I - C+CC *(ჰარმონიული)*+S:

[ბ-თხ-რ]- < ფშავური დიალექტური ვარიანტია ქართული [ფრ-თხ] მიმდევრობისა (ბთხრიალი < ფრთხიალი)

[ბ-ჭყ-ვ]- / [პ-ჭყ-ვ]- (< ბრ-ჭყ-ვ-)

[ბ-დღ-ვ]- (< ბრ-დღ-ვ-)

[ფ-ცქ-ვ]-[1]

ეს უკანასკნელი კიდევ ორი მოდიფიკაციით აღმოჩნდა დასაშვები:

[ბღ-ვ]-რ-

[ბ-დღ-ვ]-რ-

II - CS+CC *(ჰარმონიული)*

[ფრ-თხ]-

[ფრ-თქ]-

III - CC+S+C - როცა ანლაუტში A ან B რიგის ჰარმონიული კომპლექსია, ხოლო სონორს მათი მომდევნო პოზიცია უჭირავს; მომდევნოდ კი რეალიზდება კონსონანტი, რომელიც აშკარაა, რომ არ ეფუძნება ჰომორგანულობისა და ჰომოგენურობის პრინციპებს:

[ტკ-რ-ც]-	[ჭყ-რ-ტ]-
[ტყ-რ-შ]-	[ჭკ-რ-თ]-

ხუთწევრა კომპლექსებში ორი მოდელი გამოიყო:

I - განმსაზღვრელი აღმოჩნდა პრინციპი, რომელიც მეგრულისა და ლაზურისათვის არის რელევანტური (იგულისხმება გუდავა-გამყრელიძის მიერ მეგრულისათვის დადგენილი ფონემათა განდასების წესი, ქართულში ასეთი ფონომოდელები ფაქტობრივად *abcd+S(რ/ლ)* სტრუქტურას წარმოადგენს, სადაც a=/მ/ (შდრ. ლაზური), bc - წარმოადგენს ჰარმონიული დეცესიური კომპლექსს, რომელიც რთულდება სონორით: S=/რ/,/ლ/:

[მ-სხ-ვ]-რ-	[მ-ძგ-ვ]-ლ-
[მ-შხ-ვ]-რ-	[მ-თქ-ვ]-ლ-
[მ-ცქ-ვ]-რ-	[მ-ზღ-ვ]-ლ-
[მ-წყ-ვ]-რ-	[მ-დღ-ვ]-ლ-

მხოლოდ ჰარმონიული კომპლექსი იცვლება, სხვა ფონემებიკი ქმნიან ერთგვარ მყარ კარკასს.

II - ანლაუტში *ბილაბიალური ხშული + სონორი* კანონიკური კომპლექსია ქართულისათვის. თუმცა სონორიზებული ხშული შეიძლება გამარტივდეს, ამ შემთხვევაში ნარჩუნდება პირველი მოდელი იმ განსხვავებით, რომ a რიგში /მ/-ს ნაცვლად ჩნდება

[1] აღნიშნული არის ერთადერთი ტიპი, სადაც შეიძლება სამი ჩქამიერის თავმოყრა (ქობალავა 1972: 156)

/ბ/ ლაბიალი, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს მათი არტიკულაციური სიახლოვის გათვალისწინებით.
შდრ.

[ბრ-დღ-ვ]-	[ბ-დღ-ვ]+რ-
[ბრ-ჭყ-ვ]-	[ბ-ჟღ-ვ]+რ-

ექვსწევრა და მეტი (შვიდ-რვაწევრიანი) ფონემათმიმდევრობები მიიღება ხუთწევრა ფონომოდელებზე C ან CC სტრუქტურის ფუნქციური პრეფიქსებისა და დერივაციული ოდენკონსონანტური სუფიქსების დამატებით:

[CS-CC-S]-Suf:
[ფრ-თქ-ვ]-ნ- შდრ. [ფრ-თქ-ვ]-ენ-ს
[ფრ-ჭკ-ვ]-ნ- შდრ. დაი-[ფრ-ჭკ-*ვ]-უნ-ების

Prf(S1.Sg)-[CS-CC-CS]-Suf:	Prf(1/2.Sg)-[CS-CC-S]-suf:	Prf(1O.Pl)-[CS-CC-S]-suf
ვ-[ფრ-ცქ-ვ]-ნ-	მ/გ-[ფრ-ცქ-ვ]-ნ-	გვ-[ფრ-ცქ-ვ]-ნ-
ვ-[ფრ-თხ-ვ]-ნ-	მ/გ-[ფრ-თხ-ვ]-ნ-	გვ-[ფრ-თხ-ვ]-ნ-
ვ-[ბრ-დღ-ვ]-ნ-	მ/გ-[ბრ-დღ-ვ]-ნ-	გვ-[ბრ-დღ-ვ]-ნ-

საბოლოოდ, ფონოსემანტიკური შინაარსები დაკავშირებულია არა ფუნქციურ ელემენტებთან ან დერივანტებთან, რომელთა გამოყოფა ჯერ კიდევ შესაძლებელია სინქრონიულ ან დიაქრონიულ დონეზე, არამედ დაუშლელ *ფონესთემებთან*, იმ ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთწევრა ფონოსტრუქტურებთან, რომლებიც საანალიზო ენის ფონოინვენტარის გამოყენებით და ფონოტაქტიკის წესების შესაბამისად არიან კომბინირებული; ადგენენ პარადიგმას (ჩვეულებრივ ამგვარი პარადიგმები უხვი მაგალითებით არ გამოირჩევა ენებში), არ არიან წარმოქმნილი მარცვალთა ან მორფემათა საზღვარზე და უკავშირდებიან დიფერენციალურ სემანტიკურ ნიშან(ებ)ს.

სემანტიკურად ამგვარ მიმდევრობათა ანალიზი *კინემიკის* საკითხსაც უკავშირდება: „ბგერწერით სიტყვებში შეიძლება ყოველ ფონემას თავისი დატვირთვა ჰქონდეს. მაგ. *ჩქმეტა, ბწკენა* - მოქმედების მიმდევრობის კინემიკურ ასახვას წარმოადგენს და ჩ-ქ-მ, ბ-წ-კ თანხმოვანთმიმდევრობები *ჩავლების - გამოწევის - გაშვების* ბგერით მიბაძვას იძლევიან“ (მელიქიშვილი 1999: 84).

კონსონანტური ბგერწერა მეგრულში

მეგრულის ფონოტაქტიკა თანხმოვანთკომპლექსების მიმდევრობაში მაქსიმალურ ოთხ ელემენტს უშვებს; ფონემათა განდასება ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის მიერ მეგრულში თანხმოვანთკომპლექსებისათვის დადგენილ კანონზომიერებას ეყრდნობა[1]. ოთხთანხმოვნიან კომპლექსში თითოეული თანხმოვნის ადგილი მარცხნიდან მარჯვნივ შესაბამისი პოზიციების მიხედვით განისაზღვრება. a - პირველი პოზიცია, b - მეორე და ა. შ

[1]გუდავა, გამყრელიძე 1981

a: *რ, ნ*
b: *დთტ, ძცწ, ჯჩჭ, ზს, ჟშ*
c: *გქკ, ღხყ*
d: *ვ*

ფონოტაქტიკის წესების თანახმად, დასაშვებია მიმდევრობაში თანხმოვანთა შერჩევა სხვადასხვა რიგიდან და მხოლოდ ერთმანეთის მიყოლებით; შესაძლებელია იყოს გამოტოვებული რომელიმე მიმდევრობა ვერტიკალიდან: abcd, acd, bc და ა. შ., მაგრამ დაუშვებელია თუნდაც ორი ფონემის შერჩევა ერთი რიგიდან: abbc, abcc, bb cc და ა. შ. ერთადერთი შეზღუდვა მიმდევრობაში არის უკიდურესი მოდელისათვის ad (რვ, ნვ) (გუდავა, გამყრელიძე 2000: 152). მეგრულში თნხმოვანთკომპლექსი შეიძლება იყოს ორწევრა, სამწევრა და ოთხწევრა.

კანონზომიერება ზოგადია, იგი ყველა ტიპის ენობრივი ნიშნის მიმართ არის დადგენილი და ვრცელდება მოტივირებულ ნიშანთა სისტემაზეც. ამის ნათელი მაგალითია ფონოსემანტიკური მოდელების აგების ჰომოგენურობისა და ჰომორგანულობის მხედვით დაპირისპირებული კონები მეგრულში, რომლებშიც თანხმოვანთა სინტაგმატური განდასება არა მხოლოდ კომპლექსისათვის, არამედ მთელი ლინეალისათვის ჰომოგენურობის პრინციპს ეყრნობა:

მჟღერი + მჟღერი,
ყრუ-ფშვინვიერი + ყრუ-ფშვინვიერი,
ყრუ-მკვეთრი + ყრუ-მკვეთრი.

მოდელში /რ/ სონორი და /ვ/ თნხმოვანი ნაწილდება მეგრულის ფონოტაქტიკის კანონის გათვალისწინებით:

რ	რ	რ
თ	ტ	დ
ქ [ვ] ა ფ-უა	კ [ვ] ა პ-უა	გ [ვ] ა ბ-უა „ჭამის მანერა“

ჰომოგენურობის ამ პრინციპიდან გამონაკლისად ჩათვლილია ხ რიგის ყრუ სპირანტთა შეერთების შესაძლებლობა ც რიგის მკვეთრ ფონემასთან: -სკ-, -შკ-. „ყველა ასეთ შემთხვევაში ეს კომპლექსები წარმოადგენს თავისუფლად მონაცვლე ვარიანტს კომპლექსებთან -სქ-, -შქ- (გუდავა, გამყრელიძე 2000: 154). საგულისხმოა, რომ მეგრულის ბგერწერაში ძალზე იშვიათად გვხვდება *სპირანტი + მკვეთრი,* ძირითადად დაცულია ჰომოგენურობის პრინციპი: *შქიშქონი, შქიშქილი, შქირთონი, შქიორი... გო-ფაშქ-უ/ გო-ფაშკ-უ „სკდომა“, შდრ. გო-პაშკ-უ,* რომელიც სემანტიკური ნიუანსით განსხვავდება *შქ-/შკ კომპლექსიანი მოდელებისაგან.*

წარმოვადგენთ ორწევრა, სამწევრა და ოთხწევრა თნხმოვანთკომპლექსებს მეგრულის ფონოსემანტიკური ძირების ფარგლებში, რომლებიც ამავე დროს უნდა ჩაითვალოს ფონესთემებად - სემური მნიშვნელობის კლასტერებად.

სამეულთა პირველი სისტემის ჰარმონიული კომპლექსი - ბგ, ფქ, პკ - ბგერწერისას მეგრულსა და ლაზურში არცერთი პოზიციისათვის არ არის გამოყენებული. ორწევრა კომპლექსი კომბინირებულია ხ და ც რიგის კონსონანტების კომბინირებით, ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით:

b + c

b= დთტ ძცწ ჯჩჭ ჟშ ზ ს

c= გქკ ღხყ

კომპლექსთა A და B რიგი თანაბრად დასაშვები ჩანს.

ორწევრა კომპლექსები // ფონესთემები:

CC

დგ: *დგადგაფა[1], დგუმორი[2], დგაბურუა[3], დგირდგინი[4], დგირდგონი[5], დგუდგუა[6], დგურდგინი[7]*

თქ: *თქათქუა, თქართქალი[8], თქარშალი[9], თქაფური[10], თქითქინი[11] თქუთქუა[12], თქუმორუა[13], თქულიში[14], თქუმორუა / თხუმრუა[15], თქურშინი / თქურშინი[16]*

ტკ: *ტკატკუა[17], ტკუმორი[18], ტკაცუა[19], ტკაჩუა[20], ტკებერია[21], ტკირატკუა[22], ტკურტკინი[23], ტკუტკარი[24], ტკუტკუა[25]*

---

[1] დარტყმის ხმა; ცემა, ბეთქვა... (ქობ. 239)

[2] დღაბნა (ქობ. 264)

[3] თითხნა (ქობ. 239)

[4] დგრიალი, დგანდგარი (ქობ. 240)

[5] თოთხნა (ქობ. 240)

[6] დაბუგვა, დაგვა (ქობ. 240)

[7] დგრიალი, რემის, მრავალთა ფეხის ხმა, გუგუნი; (ხალხისა); მდუღრის დგაფუნი (ქობ. 240)

[8] თქართქარი, წურწური ბლანტი სითხისა (ქობ. 321)

[9] თქეში, ძლიერი წვიმის ხმა (ქობ. 321)

[10] თითხნა, ულაზათოდ გაკეთება (ქობ. 321)

[11] თიმთიმი, უშნო სიმსუქნე (ქობ. 322)

[12] თუთქვა (ქობ. 322)

[13] ხმაური (ქობ. 322)

[14] შლიგინი(ქობ. 322)

[15] ხრამუნი (ქობ. 322; 323)

[16] წყლის თქრიალი, ჩხრიალი; მრავალთა სვლა, ტკარცალი; ფრინველთა ფრთხიალი (ქობ. 22)

[17] უმტკივნეულო ცემა, წათაქება, წამორტყმა (ქობ. 602)

[18] ტკვერვა, კვნეტა, ხვრა (ქობ. 603)

[19] ტკაცანი, ტკეცა, გაპობა (ქობ. 602)

[20] შოლტის ხელის შემოკვრა; ტკეცა, ტკაცანის გაღება (ქობ. 602)

[21] მკვრივი, ჩაფსკვნილი; მშრალი, კარგი (ხორცი) (ქობ. 602)

[22] გაცრეცა; მიხრწნა; გასკდომა, დალპობა გადამწიფებისაგან (ქობ. 603)

[23] ბევრის გაფრენის ხმა (ქობ. 603)

[24] მრავლობა, სიხშირე (ქობ. 603)

[25] დახრუკვა, დანახშირება (ქობ. 603)

დღ: *დღირდღინი*[1], *დღაბური*[2], *დღაბუზი*[3], *დღებერე*[4], *დღიდღალი*[5], *დღილიზუა*[6], *დღირინი*[7], *დღუმინი*[8], *დღურაფი*[9]
თხ: *თხართხალი*[10], *თხირთხონი*[11], *თხვასუა*[12], *თხირთხინი*[13], *თხორთხოში*[14], *თხუმინი*[15], *თხურთხინი*[16], *თხაპურუა*[17], *თხვასილი*[18], *თხიფუა*[19], *თხუმინი*[20], *თხუპორუა*[21]
ტყ: *ტყარტყალი*[22], *ტყირტყინი*[23], *ტყაპაფი*[24], *ტყაპური*[25], *ტყატყუა*[26], *ტყირაცუა*[27]
ძგ: *ძგაბუა*[28], *ძგანძგუა*[29], *ძგაძგალი*[30], *ძგიძგალი*[31], *ძგიძგონი*[32]

---

[1] დუდღუნი(ქობ. 265)
[2] დღაბნა (ქობ. 264)
[3] ჯღაბნა (ქობ. 264)
[4] უსახური, უფერული (ქობ. 265)
[5] უშნოდ მსუქანი (ქობ. 265)
[6] დღლეზა, ფხრეწა, გლეჯა (ქობ. 265)
[7] ღრენა (ქობ. 265)
[8] დუდღუნი (ქობ. 265)
[9] ღრუტუნი(ქობ. 522)
[10] უსუფთაო, თხიერის დენა (ქობ. 322)
[11] თხიპინი, თუხთუხი (ქობ. 322)
[12] გამოყრა (ქობ. 322)
[13] თხიპინი, თუხთუხი (ქობ. 322)
[14] მღვრიე, ტალახიანი წყალი, წუმპე (ქობ. 322)
[15] თხიპნი, ცხვირში ლაპარაკი (ქობ. 322)
[16] დუდღუნი, ცხვირში ლაპარაკი (ქობ. 322)
[17] თხუპნა (ქობ. 322)
[18] გამონაყარი, მსხვილ-მსხვილი მუწუკი (ქობ. 322)
[19] დასვრა (ქობ. 322)
[20] თხიპნა; ცხვირში ლაპარაკი (ქობ. 323)
[21] თხუპნა (ქობ. 325)
[22] ტიტყინი (ქობ. 606)
[23] ტატყანი, დუდღუნი (ქობ. 606)
[24] ტყაპანი (ქობ. 605)
[25] თითხნა, ტიტყნა (ქობ. 605)
[26] დალტობა, გაჟიება (ქობ. 606)
[27] გადამწიფება, დასკდომა, დატრეტა გადამწიფებისაგან (ქობ. 606)
[28] ღმურძვლა, უმადო ჭამა (ხმელა პურისა) (ქობ. 689)
[29] ძიძგნა, ხვრა წინა კბილებით (ქობ. 689)
[30] მაძღანი (ქობ. 689)
[31] კბილებდაკრეჭილი, მეჩხერკბილებიანი (ქობ. 690)
[32] ძიძგნა, ძიძგილი, ნისკარტის ცემით წაკიდება (ქობ. 690)

ცქ: ცქაფუა[1], ცქაცქუა[2], [3], ცქილატა[4], ცქინცქი[5], ცქირატუა[6], ცქიცქინი[7], ცქიცქონი[8], ცქუმორი[9], ცქუნცქუა[10], ცქურცქუტი[11]

წკ: წკანწკუა[12], წკაპუა[13], წკაპულუა[14], წკარწკანტუა[15], წკაფალი[16], წკაწკალი[17], წკაწკუა[18], წკიპატუა[19], წკიპუა[20], წკიროწკი[21], წკიწკინი[22], წკიწკონი[23], წკურწკული[24], წკუფაფი[25], წკუპურია[26]

ძღ: ძღიძღონუა[27], ძღირძღინი[28], ძღოკორია[29], ძღუნძღა[30], ძღუმინი[31], ძღინკალი[32], ძღილუა[33]

---

[1] უმადოდ ჭამა, ციცქნა (ქობ. 686)

[2] ცეცქა (ქობ. 686)

[3] ცუდად, ულაზათოდ, უსუფთაოდ კეთება (ქობ.686)

[4] ჩაქლამვა (ძიერ მოხარშული ხორცისა); გატრეტა, ლპობა-გასკდომა (გადამწიფებისაგან) (ქობ. 686)

[5] ძალიან წვრილი, პატარა ნამსხვრევი, ნაცეცქი (ქობ. 686)

[6] გაცრეცა, გასკდომა, გაფხრეწა (სიძველისაგან); გასხმა ნაჭყაპურტისა (ქობ. 686)

[7] კრეჭა (წვრილი კბილებით)(ქობ.686)

[8] ციცქნა (ქობ. 686)

[9] ცმაცუნი, ცოტაოდენი ჭამა (ქობ. 686)

[10] ცუცქვა (ქობ. 686)

[11] ცერცეტი, ცუღლუტი (ქობ. 696)

[12] წინა კბილებით ღეჭვა, წიწკნა (ქობ. 698)

[13] ერთგვარი ჭამა, წკაპა-წკუპი, ჩქამის გაღება, ; ჩამწკრივება, ჩაწიკწიკება (ქობ. 698)

[14] დაჭდევება, დანაკუწება, დაკეპვა, წვრილად დაპობა (ქობ. 698)

[15] ხაოს სახვეწით მოშორება, დახვეწა, დასუფთვება, (ძაფისა); დაწკრიალება, განატიფება (ქობ. 698)

[16] წკავწკავი, ყეფა (ქობ. 698)

[17] წკავწკავი (ქობ. 698)

[18] დაწეწკვა, წვრილად დაკეპვა (ქობ. 699)

[19] გავსება, გატენვა (ქობ. 699)

[20] გაწკეპა, გამოწკეპა (ქობ. 699)

[21] გვრიჭინი (ძაფისა); ლამაზსიტყვაობა; კოხტაობა, სუფთაობა (ქობ. 699)

[22] კბილწვეტიანის ღიმილი, წვეტიანი კბილების კრეჭა (ქობ. 699)

[23] წიწკნა (ქობ. 699)

[24] წკავწკავი, წიწინი, წიკვინი, წვრილი ხმით გალობა (ქობ. 699)

[25] წკმუტუნი, ფრინველის წუხილი (ქობ.699)

[26] წამახული რამ, წვრილი, წვნიკი, წკიპი, ვიწრო (ქობ. 699)

[27] ნისკარტით ფხანა, ქექვა(ქობ. 693)

[28] ჭირვეულობა, ჭიჭყინა (ქობ. 693)

[29] გაძვალტყავებული (ქობ. 693)

[30] ბუზღუნა, უხასიათო (ქობ. 693)

[31] წუწუნი (ქობ. 693)

[32] წუნკალი (ქობ. 693)

[33] ღინღლის ბოლქვის გაცლა ქათმის კანისთვის (ქობ. 693)

ცხ: *ცხაკალი[1], ცხაკინი[2], ცხანტუა,[3] ცხარკალი[4], ცხაცხულუა[5], ცხუმინი[6], ცხურცხინი[7], ცხუცხუა[8]*

წყ: *წყანწყალი/ წყაწყალი[9], წყანწყუა[10], წყირტაფა[11], წყილატა[12], წყიტაფი[13], წყიწყინაფა[14], წყირწყინი[15], წყარწყალი[16]*

ჯგ: *ჯგაბალი[17], ჯგაბუა[18], ჯგანჯგუა[19], ჯგაჯგალი[20], ჯგარჯგალი[21], ჯგირჯგინი[22], ჯგუბურია[23]*

ჩქ: *ჩქარჩქალუა[24], ჩქაფალი[25], ჩქაჩქალი[26], ჩქაჩქუა[27], ჩქიჩქონუა[28], ჩქიჩქინი[29]*

---

[1] თქორი, მკენწლავი წვიმა (ქობ. 686)

[2] ხმელ-ხმელი კაცის ჯდომა (ქობ. 686)

[3] მსუბუქად გაჭრა, გაკაწვრა (ქობ. 686)

[4] კენწვლა, შხაპუნი (წვიმისა ლითონის ჭურჭელზე) (ქობ. 686)

[5] დაცხავება, დასვრეტა (ქობ. 686)

[6] ცხიკვება, შუშხუნი (ქობ. 686)

[7] შუშხუნი, ცუცხუნი, შიშინი, მაჭრის დუღილის ხმა, ცქრიალი (ქობ. 686)

[8] ფუცხუნა, ცუცხუნა; ცაცხანი (ქობ. 688)

[9] ჭიჭყინი (ქობ. 704)

[10] დაჭეჭყვა, წყენა, ტკენა, წყლის ჩადგომა დაშავებულ კანში (ქობ. 704)

[11] წყლით გაბერილის გასკდომა (ქობ. 705)

[12] ჩაყურჭება, სიმწიფისაგან ჩაშავება, გატრეტა (ქობ. 705)

[13] ყელჭირვებით დაავადებული ფრინველის ხველება (ქობ. 705)

[14] დაწყლიანება, დანოტივება (ქობ. 705)

[15] ჭირვეულობა, წუწუნი (ქობ. 705)

[16] ჭირვეულობა, ჭუჭყუნი (ქობ. 705)

[17] როშვა, უგვანი ლაპარაკი (ქობ. 736)

[18] უგვანი ჭამა ყბების ქნევით (ქობ. 736)

[19] ჯეჯგვა, უკანა კბილებით ღეჭვა, მსხვილად ფქვა (ქობ. 736)

[20] როშვა (ქობ. 736)

[21] ძაგძაგი, კბილის კბილზე ცემინება, ბაბანი; როშვა, რეჯგვა; მსხვილად ღერღვა (ქობ. 736)

[22] ტყავის ხმიანობა, ჭრაჭუნი; ჯგროდ სიარული, ჯგროდ ხმაური (ქობ. 737)

[23] დაჯირჯვლებული, ჩოფურა, დაკენკილსახიანი; ჯირჯვლებიანი, უხეშ ქსოვილი (ქობ. 737)

[24] მსხვილად დაღერღვა, დაჩეჩქვა (ქობ. 676)

[25] დიდპირას ლაპარაკი, მიამიტი ლაპარაკი (ქობ. 676)

[26] მიამიტი, უბირი ლაპარაკი; დაღერღვა, დაკაკლვა (ქობ. 676)

[27] ჩეჩქვა, დაჩეჩქვა (ქობ. 676)

[28] ჩიჩქნა, გადათხრა; უგვანი, განურჩეველი ჭამა (ქობ. 677)

[29] ღრეჭა, კბილების კრეჭა, ბალღის მიამიტი ღიმილი (ქობ. 677)

ჭკ: *ჭკიჭკინი[1], ჭკირჭკინი[2], ჭკანჭკუა[3], ჭკაპალი[4], ჭკარჭკალი[5], ჭკაჭკუა[6], ჭკორჭკოტი[7], ჭკუჭკა[8]*
ჯღ: *ჯღარკინი[9], ჯღირკინი[10], ჯღარჯღალი[11], ჯღაჯღალი[12],*
ჯღინჯღოლუა[13], ჯღირჯღინი[14], ჯაჯღალი[15], ჯღიაფი[16], ჯღონჯღი[17]
ჩხ: *ჩხარჩხალი[18], ჩხარკალი[19], ჩხაპალი[20], ჩხაპუა[21], ჩხაჩხუა[22],*
ჩხინკოლი[23], ჩხიორი[24], ჩხირკალი[25], ჩხიჩხუა[26], ჩხუპურუა[27]
ჭყ: *ჭყანჭყუა[28], ჭყაპალი[29], ჭყაპურელი[30], ჭყაჭყალი[31], ჭყირჭყინი[32], ჭყონჭყო[33], ჭყიმპოლუა[34],*

---

[1] კრეჭა, ღრეჭა (ქობ. 713)

[2] ჭრიალი, ღრჭიალი; ჭრაჭუნი; ჭრიჭინი; კრაჭუნი (ქობ. 712)

[3] ღეჭვა, კეპვა, დანაწევრება (ქობ. 712)

[4] ჭარტალი, ბალღის ტიტინზე იტყვიან (ქობ.712)

[5] მაგმაგი, კბილის კბილზე ცემინება (ქობ. 712)

[6] კეპვა, ღეჭვა, დაქუცმაცება (ქობ. 712)

[7] რიარია; ჩოჩქოლი (ქობ. 713)

[8] წვრილ-წვრილი ხილი, პანტა (ქობ. 713)

[9] გდება (ქობ. 742)

[10] მიზეზიანობა, შარიანობა; ბღენძვა, მაგვრა (ქობ. 743)

[11] წყლის მძლავრი დინება (ქობ. 742)

[12] ჯაჯღანი (ქობ. 742)

[13] სრესა, ჟღვლემა, უხეშად ზელა (ქობ. 743)

[14] ჯიჯღინი, ჯღავილი (ქობ. 743)

[15] ჯაჯღანი (ქობ. 736)

[16] ჯღვილი, ღნავილი (ქობ. 743)

[17]ძეგვი, ძნელად საპობი ხე (ქობ. 743)

[18] ჩხრიალი, ჩუჩხუნი, ჩხერანი (ქობ. 678)

[19] ჩხარუნი, რაჩხუნი (ქობ. 678)

[20] შხაპუნი, შხაპუნა წვიმა; ჩხრიალი (სითხისა ჭურჭელში) (ქობ. 678)

[21]შხაპვა, სხურება, პკურება, მორწყვა; დანამვა; ჩხაპნა (ქობ. 678)

[22] გაჩხაკუნება, ჩინჩხვლა, გაკვესა, გაკვრა (ქობ. 678)

[23] მსხვრევა, ლეწვა, ლაწალუწი (ქობ. 679)

[24]ჩხრიალი (ქობ. 679)

[25] გაჩხინკული, მიზეზიანი, შარიანი (ქობ. 679)

[26] ნაპერწკლების ყრა, ჩინჩხვლა; ციცხინი, ცუცხუნი (ქობ. 679)

[27]გამოყრა; კუკურის, კვირხლის გამოსხმა (ქობ. 680)

[28] ჭყლეტა, ჭეჭყვა (ქობ. 714)

[29] ჭყაპაჭყუპი (ქობ. 715)

[30] დაპურჭყნული (ქობ. 715)

[31]ჭაჭყანი (ქობ. 715)

[32] ჭიჭყინი, ჭირვეულობა (ქობ. 715)

[33] ჭენჭყო (ქობ. 716)

[34] დაპურჭყნა, დაჭყლეტა (ქობ. 715)

ჭყიაფი[1]*, ჭყინჭყოლი*[2]

ჟგ: *ჟგერთუა*[3]*, ჟგართაფი*[4]*, ჟგირთონი*[5]

ჟღ: *ჟღარჟღალი*[6]*, ჟღარტუა*[7]*, ჟღერტუა*[8]*, ჟღები*[9]*, ჟღაბუა*[10]*, ჟღარტალი*[11]

შქ: *შქიშქონი*[12]*, შქერთუა*[13]*, შქართალა*[14]*, შქირთონი*[15]*, შქიორი*[16]*, შქიროშქი*[17]*, შქირშქინი*[18]

ზგ: *ზგვინჩუა*[19]*, ზგვინჭუა*[20]*, ზგილატა*[21]*, ზგინჯინი*[22]*, ზგირჭფი*[23]*, ზგულეჩი*[24]*, ზგუმონჯუა*[25]*, ზგურიჭი*[26]

ზღ: ზღოდუა[27]*, ზღურზღული*[28]*, ზღონდუა*[29]

სხ: სხარსხალი[30], სხირსხინი[31]

---

[1] ჭყივილი; ყვირილი (ქობ. 715)

[2] ჭმუჭვნა (ქობ. 715)

[3] გაშოლტვა; მაგრად დაბერტყვა, დაფერთხვა, დალეწვა; გადაჭერა (მათრახისა)(ქობ. 566)

[4] ზღართანი; მოქნევის, დარტყმის, დაცემის ხმა (ქობ. 566)

[5] გლეჯა, ჯგლეთა (ქობ. 566)

[6] ჟღრიალი (ქობ. 568)

[7] უძალოდ ცემა (ქობ. 568)

[8] ბღერტვა, ბერტყვა (ქობ. 568)

[9] ჭენჭყობი, წყლიანი ადგილი (ქობ. 568)

[10] დღაბნა, ლუფხნა, ჯღაბნა (ქობ. 568)

[11] ფართხუნი, ფხაკუნი; უღონო, უმწეო მოქმედება (ქობ. 568)

[12] უშნო ჭმა ნაფშვენების მიმოყრით (ქობ. 667), ხმაურით ჭამა (ინფ.)

[13] გაშოლტვა, გადაჭრა (ქობ. 666)

[14] შხვართლა, მოქნილი (ქობ. 666)

[15] ბოჭვა, ღლეტა, შოვნა (ქობ. 667)

[16] შრიალი; შარი-შური (ქობ. 667)

[17] ხავრი, ფუფხი ჭრილობისა; მშრალი ჩალის ხმიანობა; ფხაწუნი ფუფხისა (ქობ. 667)

[18] შრიალი, შარიშური ხმელი ფოთლებისა (ქობ. 667)

[19] დიდი ლუკმებით ჭამა, გლეჯა (ქობ. 308)

[20] მოსხლეტით გაქცევა (ქობ. 308)

[21] სხლტომა (ქობ. 308)

[22] გაჯგიმულობა, მედიდური მიხრა-მოხვრა (ქობ. 308)

[23] პურჭყება, სხლტომა (ტუბიდან); წიტება (ფრინველისა)(ქობ. 308)

[24] ულო, გრეხილი შოლტი, ღვლეჩი (ქობ. 308)

[25] დაგრეხა, ჩაგრეხა, ჩაწვნა, აზელვა (ქობ. 308)

[26] სხლეტის, გამოსხლტომის ხმა (ქობ. 308)

[27] მუსრის გავლება, ამოხოცვა; გაწყდომა; უხვად ყრა; ყორის ამოყვანა, ზღუდვა (ქობ. 311)

[28] უხვად დინება ნაჟურისა (ქობ. 311)

[29] გაშოლტვა; ზღუდის შემოვლება, შემოღობვა (ქობ. 311)

[30] ტირილ-სხრიალი, სხივილი, სხმარტალი (ქობ. 599)

[31] სხივილი, წივილი (ქობ. 599)

ფონოსემანტიკური ფუძეების როგორც ანლაუტში, ასევე აუსლაუტში რეალიზებულია ორწევრა b/c+d (C+ვ) რიგის მიმდევრობა, ამ კომბინაციის შემცველი ფონოსტრუქტურები საკმაოდ პროდუქტიულია მეგრულში:

ხშული + ვ

დვ: *დვირინი*[1], *დვეზერია*[2], *დვენდვერია*[3], *დვირალი*[4], *დვიცალი*[5]

თვ: *თვითვალი*[6], *თვათვინი*[7], *თვართვალუა*[8], *თვიზალი*[9]

ტვ: *ტვეტვერე*[10], *ტვეფერია*[11], *ტვანტვალი*[12], *ტვინგალი*[13], *ტვირინი*[14], *ტვიფალი*[15], *ტვიცალი*[16]

გვ: *გვიგვინი*[17], *გვაგუა*[18], *გვაზალი*[19], *გვარგვაზუა*[20], *გვანგვალი*[21], *გვანჯუა*[22], *გვარგვათი*[23], *გვაჯაფი*[24], *გვიჯალი*[25], *გვირინი*[26], *გვაგვალი*[27], *გვიძალი*[28], *გვანდრა*[29], *გვახაფი*[30]

---

[1] თვინიერი გამოხედვა, დუმილი, ტრუნვა (ქობ. 240)

[2] ფუმფულა (ქობ. 315)

[3] უწყინარი, თვინიერი, უენო (ქობ. 240)

[4] გატრუნული (ქობ. 240)

[5] ტიტლიკანა, გლუვი (ქობ. 240)

[6] ფუმფულა, ფაფუკი, აფუებული (ქობ. 315)

[7] თიმთიმი, სითოთოვე; ძრაობა (ჭაობისა) (ქობ. 315)

[8] დაფუფქვა, ყვლეფა, წვა (სიცხის ან ყინვისგან) (ქობ. 315)

[9] ფუმფულა (ქობ. 315)

[10] უთქმელი, უწყინარი (ქობ. 601)

[11] დიდთავა, დიდშუბლა (ქობ. 601)

[12] პრუტუნი (ქობ. 601)

[13] უტვინო, განტვინული (ქობ. 602)

[14] გულუბრყვილო, უწყინარი იერი, ტრუნვა (ქობ. 602)

[15] დიდშუბლა, თავხოტორა (ქობ. 602)

[16] მელოტი, უთმო (ქობ. 602)

[17] გდება დიდის (ქობ. 113)

[18] გვემა, ბეგვა, ბეჟვა; ბეგვით გაჩიქვა, განმარცვლა; დიდი ლუკმებით ჭამა (ქობ. 113)

[19] მსხვილი, ზორბა, ღიპიანი (ქობ. 114)

[20] დახვევა, დაგორგვლა (ქობ. 114)

[21] გოგვა, გოგმანი (ქობ. 114)

[22] დაგვანჯვა (ქობ. 114)

[23] კორიანტელი, ორომტრიალი (ქობ. 114)

[24] დაგვაჯულის სიარული (ქობ. 115)

[25] თმაქოჩორა (ქობ. 116)

[26] გამოხედვა დიდრონი, ჟუჟუნა თვალებით (ქობ. 116)

[27] ბუგვა, წვა, ხრუკვა (ქობ. 113)

[28] დაბალი და ღიპიანი (ქობ. 116)

[29] მსუქანი, ნოყიერი (მიწა); ჩასუქებული, ბუთხუზა (ქობ. 114)

[30] ბაგუნი დოლზე, ბრაგვანი; არასწორი სროლა (ქობ. 115)

ქვ: *ქვაზალი*[1], *ქვათათია*[2], *ქვარქვალი*[3], *ქვარქვაში*[4], *ქვარხალი*[5], *ქვიქვალი*[6], *ქვინჯალი*[7]
კვ: *კვაზალი*[8], *კვაკვალი*[9], *კვამპუა*[10], *კვანკუა*[11], *კვარკვანტი*[12],
კვარკვაში[13], *კვარჩხალი*[14], *კვირზინი*[15]
ძვ: ძვაძვინი[16], ძვიგინი[17], ძვიძვინი[18], ძვაბალი[19]
ცვ: ცვათუა[20], ცვანდირუა[21], ცვაცვალი[22], ცვითინი[23]
წვ: *წვაწვალი*[24], *წვენგერე*[25], *წვაწუა*[26], *წვიწვინი*[27],
წვირთინი[28], *წვირინი*[29], *წვიწვაფა*[30]

---

[1] დაგვაჯული, ტანდაბალი, მაგრამ კოხტა (ქობ. 634)
[2] ტანმორჩილი (ქობ. 634)
[3] ციბრუტივით ბრუნვა, საქმეში მარდი (ქობ. 634)
[4] დაწკრიალება, ციბრუტივით ტრიალი (ქობ. 635)
[5] დუღილი, თუხთუხი, ხვანხვალი (ქობ. 635)
[6] პატარა და კოხტა(გოგონა); ფაშფაშა, ქოქომონიანი (კაბა) (ქობ. 635)
[7] დაგვაჯული (ქობ. 635)
[8] კოხტა სიარული, გოგმანი (ქობ. 358)
[9] ჩიჩინი, განუწყვეტელი, უთავბოლო ლაპარაკი (ქობ. 358)
[10] ბალღის ჭამა; პირმოკუმულად და წინა კბილებით ჭამა (ქობ. 358)
[11] ცმაცუნი პირისა, ცოხნა, კიკნა (ქობ. 358)
[12] გოგვა გოგმანი; ბზრიალ-ტრიალი; კორიანტელი, ბუქი (ქობ. 359)
[13] ბორქვნა (კვამლისა); კორიანტელი (მტვრისა); ღელვა, გრაგნა, ბრუნვა (ზღვისა) (ქობ. 359)
[14] წყლის ბრუნვა, ამოტრიალება და დუღილისას; ხელუკუღმა ტრიალი, მალაყი (ქობ. 359)
[15] უკმეხობა, ცუდმედიდობა (ქობ.361)
[16] რევა, რიალი, გაუთავებელი სიარული ბარგი-ბარხანით (ქობ. 691)
[17] ძუძგური (ქობ. 691)
[18] ზონზროხას, გაჩეჩილის იერი (ქობ. 691)
[19] ძუძგური (ქობ. 690)
[20] მომცვრევა; ცვარვა (ქობ. 683)
[21] წვრილად წათლა, წამახვა, გაფხავება (ქობ. 683)
[22] წვეთვა, წანწკარი; მარცვალ-მარცვალ, უღონოდ საუბარი (ქობ. 683)
[23] ფერმიხდილობა, უღონობა (ქობ. 683)
[24] კოხტაპრუწას ლაპარაკი (ქობ. 695)
[25] მაღალი, აწოწილი (ქობ. 696)
[26] კოხტად, ზედმიწევნით შესრულება (ქობ. 695)
[27] სინაზე (ქობ. 696)
[28] წვეტიანობა, სიმაღლე (ქობ. 696)
[29] ტანკენაროობა, სინაზე (ქობ. 696)
[30] წეწვა, გლეჯა (ქობ. 697)

ჯვ: ჯვაბუა[1], ჯვანჯვუა[2], ჯვარზალი[3], ჯვირსალი[4], ჯვირზალი[5], ჯვირჯვალი[6], ჯვიტინი[7]
ჩვ: ჩვაბარუა[8], ჩვაგინი[9], ჩვიჩვინი[10], ჩვარჩვალი[11],
ჩვანჩვალი[12], ჩვიპალი[13], ჩვირჩვალი[14]
ჭვ: ჭვიჭვინი[15], ჭვამაკუა[16], ჭვერგუა[17], ჭვახაფი[18], ჭვაჭვატუა[19],
ჭვარჭვალი[20], ჭვიჟუა[21], ჭვირთუა[22]
ნაპრალოვანი + ვ
ღვ: ღვაღვინი[23], ღვარღვანცი[24], ღვარჯალი[25], ღვეჟელი[26], ღვირთაფი[27],
ღვინჭკუა[28], ღვიღვინაფა[29]

---

[1] პირის გამოტენით ჭამა (ქობ. 738)
[2] უგვანო ჭამა პირგამოტენით, ცოხნა; ჩვრებით მოფენა, გამოტენვა (ქობ. 738)
[3] ზანზარი (ქობ. 738)
[4] უხეშნაკვთებიანი (ქობ. 739)
[5] უხეში, გამოჩორკნილი, გაუთლელი (ქობ. 739)
[6] უხეში, დაჯირჯვლებული, უხეშად ნაქსოვი, ჯვალო (ქობ. 739)
[7] დრუნჩა გამომეტყველება, განაწყენება (ქობ. 739)
[8] გადაყვლეფა, გატყავება; ღადვრა (ღაწვებისა)(ქობ. 672)
[9] უაზრო ჯდომა (ქობ. 672)
[10] ნაკვთების სირბილე... სიფაფუკე... (ქობ. 673)
[11] ცუდი წვა, რჩოლვა (ქობ. 673)
[12] დუდღუნი (ქობ. 673)
[13] უწყინარი სქელუა (ქობ. 673)
[14] გარუჯული, შავი... (ქობ. 673)
[15] ფეროვანება; ქონით გაპოხილის ბზინვა, დაბრაწულობა (ქობ. 709)
[16] კაწვრა (ქობ. 708)
[17] გადახტომა, ნახტომებით სვლა (ქობ. 709)
[18] მოულოდნელი და ხმაურიანი კოცნა (ქობ. 709)
[19] დაკუჭვა, დაგორგვლა, დაგუნდავება (ქობ. 709)
[20] წურწური, წვეთვა, წანწკარი; ხამხამი, ფახული; ციმციმი... (ქობ. 709)
[21] გალევა... ფხის გაცლა (ქობ. 709)
[22] დაჭვილთვა; დანასვრეტება; სწრაფად გაქცევა (ქობ. 709)
[23] ჩათბილვა, ნებივრად, განცხრომით წოლა თბილსა და ფაფუკ ქვეშაგებში (ქობ. 643)
[24] წყლის ღურღური ფხვიერი მიწის ფორებში, სადინარის ხვრეტა; ბრუნვა-ტრიალი (ქობ. 643)
[25] წყალში ლაღობა, ლაღლაღი; ძლიერ ნაკადში ბანა, რეცხვა (ქობ. 643)
[26] ღრიალი, ბღავილი, ტრიალ-სხმარტალი (ქობ. 644)
[27] ძლიერი, თავშეუკავებელი ფხანა (ქობ. 644)
[28] დაღმეჭა, დაჭკნობა, შეკუმშვა, გამაგრება, გაქვავება (ქობ. 644)
[29] ჩათბუნება, გაღვივება; გაჟიება, ჩაბუჟბუჟება (ქობ. 645)

ხვ: *ხვიფალი*[1], *ხვეხვინი*[2], *ხვიჩინი*[3], *ხვიჭინი*[4], *ხვინჯგალი*[5], *ხვიზინი*[6], *ხვენთქუა*[7]
ხვ: *ხვიფალი*[8], *ხვეხვინი*[9], *ხვიჩინი*[10], *ხვიჭინი*[11],
ხვინჯგალი[12], *ხვიზინი*[13], *ხვენთქუა*[14]
ყვ: *ყვაპალი*[15], *ყვაყვალი*[16], *ყვარყვალი*[17], *ყვანტუა*[18]
ჟვ: *ჟვიბინი*[19], *ჟვარჟვალი*[20], *ჟვენგუა*[21], *ჟვაპუა*[22],
ჟვირთალი[23], *ჟვატუა*[24], *ჟვინგალი*[25]
შვ: *შვაშვალი*[26], *შვაჭუა*[27], *შვაპუა*[28], *შვერთუა*[29],
შვაბალუა[30], *შვერღიე*[31], *შვენგუა*[32]

---

[1] ნესტოებდაბერილი, ცხვირგაბუშტული, გადღვრინული (ქობ. 726)

[2] დაფეხვილის სიარული, ბაჯბაჯი (ქობ. 726)

[3] ხალასი, ფართო ღიმილი; ციმციმი, ელვარება, ბადვრა (ქობ. 727)

[4] დამჭკნარის იერი (ქობ. 727)

[5] უხიაგო (ქობ. 726)

[6] ნასუქობა, გამოხედვა ჩასუქებულისა (ქობ. 726)

[7] ხეთქვა, ხლეჩა, ძლიერი დარტყმა (ქობ. 726)

[8] ნესტოებდაბერილი, ცხვირგაბუშტული, გადღვრინული (ქობ. 726)

[9] დაფეხვილის სიარული, ბაჯბაჯი (ქობ. 726)

[10] ხალასი, ფართო ღიმილი; ციმციმი, ელვარება, ბადვრა (ქობ. 727)

[11] დამჭკნარის იერი (ქობ. 727)

[12] უხიაგო (ქობ. 726)

[13] ნასუქობა, გამოხედვა ჩასუქებულისა (ქობ. 726)

[14] ხეთქვა, ხლეჩა, ძლიერი დარტყმა (ქობ. 726)

[15] ყელში ხშული ლაპარაკი, ყიყინი (ქობ. 650)

[16] ყრიყინი, მუცლით ლაპარაკი (ქობ. 650)

[17] ღვარღვარი ცრემლისა; ხის ეჟვანი, ღვარღვალი (ქობ. 650)

[18] გაჩქამება წყლისა ნაკლულ ჭურჭელში (ქობ. 650)

[19] შეშუპებულობა (ქობ. 566)

[20] წურწური, ჟინვა, ცრემლოობა (ქობ. 566)

[21] მარჯვედ ხტომა (ქობ. 566)

[22] გაჟღენთვა, დალტობა (ქობ. 566)

[23] აყლაყუდა, აწოწილი (ქობ. 566)

[24] ლტობა, ულაზათოდ ქმნა (ქობ. 566)

[25] მოქნილი (ქობ. 566)

[26] ახალამოწვერილი ყანის შრიალი, ღაღანი, ბიბინი; ტკბილი საუბარი, სიმრავლე ნაშიერთა (ქობ. 660)

[27] გასხეპა, განფოთვლა (ქობ. 660)

[28] დალტობა, გალუმპვა, გაჟღენთვა, შესრუტვა (ქობ. 660)

[29] კანის, ტყავის, ქერქის აქნა, აძრობა ზოლებად (ქობ. 660)

[30] გაყვლეფა, გატყავება; განქერქვა ხისა (ქობ. 660)

[31] გრძელფეხება, მოქნილი, მძლავრი ნახტომის მქონე (ქობ. 660)

[32] მძლავრად ხტომა (ქობ. ს660)

ზვ: *ზვარზვალი*[1], *ზვიზვინი*[2], *ზვირთუა*[3], *ზვედელუა*[4], *ზვირალი*[5]
სვ: *სვარაფი*[6], *სვართუა*[7], *სვასუა*[8], *სვასვინი*[9], *სვეტერია*[10], *სვირთინი*[11], *სვირინი*[12]
ღვ: *ღვაბალი*[13], *ღვაბუა*[14], *ღვანგუა*[15], *ღვარშუა*[16], *ღვინცინი*[17]

SC (S=რ) კანონიკური თანხმოვანთმიმდევრობაა მეგრულში: რგ: რგამუა[18], რგინჯუა[19], *რგუმოლი*[20]; რკ: *რკიპალი*[21]; რს: *რსიმინი*[22], რსაპუა[23]; რჟ: *რჟიმინი*[24], რქ: *რქამულუა*[25]; რღ: *რღაპუა*[26], *რღიმინი*[27]; რჩ: *რჩიფაფა*[28]...

აღნიშნულ მაგალითებში /რ/ ძირისეულია და, ამდენად, სტაბილურია. ქართული ნასესხობის შემთხვევაში, ამოსავალი CS > SC მეტათეზურად გარდაიქმნება: *სრიალი > რსიალი, ზრიალი > რზიალი, ჟრიალი >რჟიალი, შრიალი > რშიალი, ტრიალი > რტიალი, ხრიალი > რხიალი, წრიალი > რწიალი.* თანხმოვანთკომპლექსის წინა პოზიციაში კი, უმეტეს შემთხვევაში, განვითარებული ჩანს, ამიტომ არასტაბილურია და არასონორული კომპლექსის ვარიანტად განიხილება.

---

[1] ტირილი, ცრემლოობა; დენა წურწური (ქობ. 309)

[2] მზვაობრობა, გოროზი, კუშტი გამომეტყველება (ქობ. 309)

[3] გლეჯა, ზვირთცემა (ქობ. 309)

[4] ჭიმვა, წელვა, ჩამოგრძელება (ქობ.309)

[5] მზვაობარი, კუშტი გამომეტყველება (ქობ. 309)

[6] ტანმაღალის ნაზი, უხმაურო სვლა (ქობ. 591)

[7] დასერვა, გრძლად და წვრილად დაჭრა (ქობ. 591)

[8] სასოებით დალაგება (ქობ. 591)

[9] განაზება (ქობ. 591)

[10] ასვეტილი, გრძელი (ქობ. 591)

[11] სიგრძე, ჩმოგრძელებულობა (ქობ. 591)

[12] ნაზი მდუმარება, სინაზე (ქობ. 591)

[13] როყიო ლაპარაკი (ქობ. 653)

[14] ცუდად, ოღროჩოღრო ხვნა-ბარვა; უგვანო ჭამა ყბების ქნევით (ქობ. 653)

[15] უმადო ჭამა, ღბორძვა (ქობ. 654)

[16] უშნოდ, უზომოდ, უარშიოდ ჭამა (ქობ. 654)

[17] სიგამხდრე, სისუსტე (ქობ. 655)

[18] ტკვერით ჭამა (ქობ. 570)

[19] ხევა, ხლეჩა, ძირფესვიანად თხრა; გლეჯა, ძლიერი რელვა; ხეთქება; მოსკდომა... (ქობ. 570)

[20] ხრამუნი, ტკვერის ხმა (ქობ. 570)

[21] უკმეხი; კაპუეტის თვისებისა (ქობ. 573)

[22] სუსვა, მდუმარება (ქობ. 573)

[23] გამოძღომა, ცხიმიანი საკვებით ამოყორვამუცლისა (ქობ. 573)

[24] ავად ბრიალი, კვესება(თვალებისა), გახელებული ადამიანის გამოხედვა (ქობ. 573)

[25] ჩქარ-ჩქარი ჭამა; უკბილოს ჭამა (ქობ. 574)

[26] ყლაპვა, ნთქმა (ქობ. 574)

[27] დიდპირას ღიმილი, ღრიალი (ქობ. 574)

[28] ჩკვრა, ჩაცემა (დანისა), ძგერება, შესობა (ქობ. 575)

სამწევრა კომპლესი მიიღება ორწევრა კომპლექსზე a ან d რიგის თანხმოვანთა დამატებით: სამწევრა კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი:

CC+ვ

ტკვ: ტკვარტკვალი[1], ტკვარუა[2], ტკვაჩუა[3], ტკვარჩალი[4], ტკვინტკუა[5]
ტყვ: ტყვეპერია[6], ტყვაცუა, ტყვიცალი ტყვაზაფი[7], ტყვაჟაფი[8],
ტყვაპალი[9], ტყვიზინი[10], ტყვინტყვალი[11], ტყვიცუა[12], ტყვიცინი[13]
თქვ: თქვაფუა[14], თქვაშუა[15], თქვათქუა[16], თქვეთქუა[17], თქვართქვალი[18],
თქვარშალი[19], თქვეთქვი[20], თქითქინი[21], თქირთქონი[22], თქორუა[23],
თქუთქუა[24], თქულიში[25], თქურშინი[26]

---

[1] დანახშირება, წვა; წვის დროს ცეცხლის ხმაური, ტკაცატკუცი; მდუღარე ცრემლის ღვრა (ქობ. 603)

[2] ტკვერვა, ხვრა (ქობ. 603)

[3] დასტად დატკეცა; დაკეცვა, გოფრირება; სილებით ცემა (ქობ. 603)

[4] ტკარცალი; ფრთების შეხლის ხმა (ქობ. 603)

[5] ფხრეწა, წყვეტა (ძაფისა) (ქობ. 603)

[6] ლაყე; უფერო, უგემური (ქობ. 606)

[7] სროლა ტყვიისა (ქობ. 606)

[8] თოფის გასროლის ხმა, ჭახანი (ქობ. 606)

[9] ლაყლაყი (ქობ. 606)

[10] სქელუას ბღვერა (ქობ.606)

[11] უნიათო, პრუტუნა (ქობ. 606)

[12] ხარბად, დიდი ლუკმებით ყლაპვა; ჩაყოფა, ჩაკვრა ფეხისა (ქობ. 606)

[13] კანში ვერდატევა, სიმსუქნე; თვალების ბრიალი, კარკვლა; დაჟინებული მზერა(ქობ. 606)

[14] თქვეფა (ქობ. 321)

[15] თხლეშა, ცემა (ქობ. 322)

[16] თქვეფა (ქობ. 321)

[17] აქაფვა (ქობ. 322)

[18] ოხშივრის, ორთქლის ადენა; აფუფქვა (ქობ. 321)

[19] თქართქარი, თქეში, სიპზე წყლის დიდი ჭავლის დაცემის ხმა; მძლავრ ფრთათა ცემის ხმა; ტკარცალი, ფართქალი; ტლიკინი (ქობ. 321)

[20] ქაფი(ქობ. 322)

[21] თიმთიმი, უშნო სიმსუქნე (ქობ. 322)

[22] თითხნა (ქობ. 322)

[23] ნთქმა (ქობ. 322)

[24] თუთქვა (ქობ. 322)

[25] შლიგინი (ქობ. 322)

[26] წყლის თქრიალი, ჩხრიალი; მრავალთა სვლა, ტკარცალი; ფრინველთ ფრთხიალი (ქობ. 322)

დგვ: დგვაფუა[1], დგვარდგვალი[2], დგვეფინი[3]
დღვ: დღვაზუა[4], დღვანუა[5], დღვაფუა[6], დღვებინი[7], დღვებუა[8], დღვენდღუა[9], დღვიბალი[10], დღვიზინი[11], დღვირინი[12]
ძგვ: ძგვაბალი[13], ძგვანძგვალი[14], ძგვიბინი[15], ძგვინტინი[16], ძგვილაფი[17], ძგვიძგვინი[18]
ძღვ: ძღვანძღვილი[19], ძღვარალი[20] ძღვანძღვალი[21], ძღვარუა[22], ძღვიკინი[23], ძღვირალი[24], ძღვიბალი[25], ძღვაბალი[26]
ცხვ: ცხვაბარი[27], ცხვაცხვუა[28], ცხვირინი[29], ცხვიტალი[30], ცხვიკალი[31]

---

[1] დგვეფა, დგაფუნი, ზვირთცემის ხმა (ქობ. 239)
[2] წვა, დაგვა, ბუგვა (ქობ. 239)
[3] დგაფუნი, დგვეფა, ზვირთცემის ხმა; წყალდაყალ სვლა (ქობ. 239)
[4] მსხვილად წერა, დალაქავება, დღბნა (თოვლის) ფართოდ ყრა (ქობ. 265)
[5] ატალახება, ალუფხვა (ქობ. 265)
[6] დღვება, ლუფხვა (ქობ. 265)
[7] დგაფუნი, წყალდაწყალ სიარული (ქობ. 265)
[8] ათქვეფა, ადღვება (ქობ. 265)
[9] გალუმპვა (ქობ. 265)
[10] უფერული, დაბჟირებული, სახეშეშუპებული (ქობ. 265)
[11] ბღვერა (ქობ. 265)
[12] ბღვერა (ქობ. 265)
[13] ლასლასი, ძურწვა (ქობ. 689)
[14] ძუძგური (ქობ. 689)
[15] გაწბილებული, წუწკალი მზერა (ქობ. 690)
[16] გრძელცხვირას უკმეხი გამომეტყველება (ქობ. 690)
[17] ძგერება ნემსისა (ქობ. 690)
[18] მსუნაგი გამომეტყველება, სუნსული, ძლიერ შემცივნულის იერი (ქობ. 690)
[19] გალუმპული, გაწუწული (ქობ. 693)
[20] ცუდი ლაპარაკი (ქობ. 693)
[21] ძაძღანი (ქობ. 693)
[22] გაღვარვა; გაწბილებული სახით ჯდომა (ქობ. 693)
[23] სიმჭლევე (ქობ. 693)
[24] წვრილთვალა, გამხდარი, უსიამოვნო სახისა, გლახაკი (ქობ. 693)
[25] წუნკალი, თვალწვრილი (ქობ. 693)
[26] წუნკლის ლაპარაკი, სიარული (ქობ. 693)
[27] მოწადინება, თავგადაკლული შრომა, ფრჩხილების გლეჯით (ქობ. 687)
[28] ჩხვლეტა, წიწკნა, სუსხვა; წყლის შეპკურება (ქობ. 687)
[29] მკვირცხლი გამოხედვა (ქობ. 687)
[30] ცქვიტი, ცქაფი (ქობ. 687)
[31] გაძვალტყავებული (ქობ. 687)

ცქვ: *ცქვიცქვინი*[1], *ცქვირინი*[2], *ცქვანცქვალი*[3], *ცქვარაფი*[4], *ცქვაცქვალი*[5], *ცქვერუა*[6], *ცქვეცქვი*[7],

წკვ: *წკვირინი*[8], *წკვაპალი*[9], *წკვაპუა*[10], *წკვარწკვალი*[11], *წკვაფალი*[12], *წკვაწკვალი*[13], *წკვინტინი*[14], *წკვიპინი*[15], *წკვარაფი*[16]

წყვ: *წყვანწყუა*[17], *წყვატალი*[18], *წყვიტუა*[19], *წყვიტინი*[20], *წყვიწყვი*[21]

ჯგვ: *ჯგვაჯგვაფა*[22], *ჯგვიბინი*[23], *ჯგვილაფი*[24], *ჯგვირინი*[25], *ჯგვიჯგვინი*[26]

ჯღვ: *ჯღვანჯღვილი*[27], *ჯღვალიკუა*[28], *ჯღვაბუა*[29]

---

[1] შემცივნულის იერი (ქობ. 686)

[2] ყურდაცქვეტილი, გაფაციცებული, ცნობისმოყვარე მზერა (ქობ. 686)

[3] სუნსული (ქობ. 686)

[4] მსუბუქი, დაუზარელი, ჩუმი, მალული სვლა (ქობ. 686)

[5] დეფექტური ლაპარაკი უკბილო კაცისა (ქობ. 686)

[6] შველივით მალული, მარდი სვლა (ქობ. 686)

[7] ჩენჩო (ღომის თაველისა), ნაფცქვენი (პარკი ლობიოსი) (ქობ. 686)

[8] უკმეხობა (ქობ. 698)

[9] წუნკლად საუბარი(ქობ. 698)

[10] წინა კბილებით ღეჭვა (ქობ. 698)

[11] წურწური (ქობ. 698)

[12] წკავწკავი, წიწინი, წიკვინი (ქობ. 698)

[13] წკავწკავი, წიკვინი (ქობ. 698)

[14] უკმეხობა; გაწკეპვა (ულვაშისა) (ქობ. 698)

[15] უკმეხი გამომეტყველება (ქობ. 698)

[16] კუშტი სახით სიარული (ქობ. 698)

[17] გაწუწვა, გალუმპვა (ქობ. 705)

[18] წყლით ლაყლაყი, ჭანჭყარი (ქობ. 705)

[19] წყალში დურთვა (ქობ. 705)

[20] აწყლიანებული თვალებით მზერა (ქობ. 705)

[21] ჭინჭყლი, სველი (ქობ. 705)

[22] დაჯახება, გადაგდება (ქობ. 736)

[23] პირ-ყბაგამოტენილის მეტყველება (ქობ. 736)

[24] უხეში, დიდი ნემსით კერვა, ტაკება (ნემსისა) (ქობ. 736)

[25] გაფაციცებული, მსუნაგი მზერა (ქობ. 736)

[26] სიდიდე, სიმძლავრე, ბრგეს იერი (ქობ. 737)

[27] დაჭეჭყილი, დაჭყლეტილი (ქობ. 743)

[28] ბძარვა, კლანჭის ჩასობა (ქობ. 743)

[29] უხეშად ტაცება ხელისა, ჩაბღუჯვა (ქობ. 743)

ჟღვ: *ჟღვაბუა[1], ჟღვარუა[2], ჟღვებუა[3], ჟღვიჟღვალი[4], ჟღვარტალი[5], ჟღერტელია[6]*
ჩქვ: *ჩქვაჩქვალი[7], ჩქვეფინი[8], ჩქვიფალი[9], ჩქვირინი[10], ჩქვაფალი[11], ჩქვაჩქუა[12]*
ჩხვ: *ჩხვაპუა[13], ჩხვიაფი[14], ჩხვერკუა[15]*
ჭყვ: *ჭყვართალი[16], ჭყვარტალი[17], ჭყვანჭყვალი[18], ჭყვეპინი[19], ჭყვართინი[20], ჭყვიპინი[21]*
ჭკვ: *ჭკვაპალი[22], ჭკვიპინი[23], ჭკვაჭკვალი[24], ჭკვირინი[25], ჭკვაჭკვილი[26], ჭკვინჭკვი[27], ჭკვაჭკუა[28]*
შქვ: *შქვაშქვალი[29], შქვერთელია[30], შქვერთუა[31]*

---

[1] ხელის დავლება (ქობ. 568)

[2] დასველება, გალუმპვა (ქობ. 568)

[3] დასუსხვა, აბებრება (ქობ. 568)

[4] აჭარხლებული, დაოსებული (ქობ. 568)

[5] წუწაობა (ქობ. 568)

[6] ბღარტი; ჭყინტი, ნედლი, უმწიფარი (ქობ. 568)

[7] დაჩეჩქვა, დალეწვა; მაგრად ცემა (ქობ. 677)

[8] ჩქვეფა, ჩქაფა-ჩქუფით ლაპარაკი (ქობ. 677)

[9] ყბაჩა, ღიმილიანი (ქობ. 677)

[10] ყურდაცქვეტით, მოლოდინით მზერა (ქობ. 677)

[11]ყბაჩას ლაპარაკი, უკბილო ბებრის აღელვებული ლაპარაკი (ქობ. 677)

[12] დაჩეჩქვილი, დალეწვა; მაგრად ცემა (ქობ. 677)

[13] სახეში მოსხლეტით გარტყმა (ქობ. 678)

[14] ჩავილი, ხავილი (ქობ. 678)

[15] შემოღობვა ან ჩამტვრეული ღობის ამოვსება გამხმარი ტოტებით (ქობ. 678)

[16] მოქნილი მოძრაობა (ქობ. 715)

[17] შხეფება, ჭყაპაჭყუპი; სქელი მასის დუღილისას წარმოქმნილი ხმა; წუწაობა, ჭყუმპალაობა (ქობ. 715)

[18] ცხვირში ლაპარაკი, ყრიყინი (ქობ. 715)

[19] ჭყლაპუნი, წუწაობა (ქობ. 715)

[20] სიგრძივ წოლა, შოლტვა (ქობ. 715)

[21]ჭინჭყლი გამომეტყველება (ქობ. 715)

[22] ჩიფჩიფი, ბებრული ლაპარაკი (ქობ. 712)

[23] ხმაურით კოცნა (ქობ. 712)

[24] ბებრის საუბარი (ქობ. 712)

[25] გაფაციცებული მზერა, ლოდინი (ქობ. 712)

[26]დანაწევრებული, ფხვიერი (ქობ. 712)

[27] ღერღილის ხალასი მარცვლები; წვრილად დაფქვილი, დაღერღილი (ქობ. 712)

[28] მონათოხნის გათოხვა, თოხით გაფხვიერება; ვარსკვლავთ ციმციმი, ჟიკჟიკი (ქობ. 712)

[29] შრიალი, ღაღანი, ბიბინი; გემოზე ლაპარაკი, ღუღუნი (ქობ. 666)

[30] მაღალი, შხვართალა, მოქნილი (ქობ. 666)

[31] შოლტებად აცლა ქერქისა, განქერქვა; გაშოლტვა (ქობ. 666)

ზღვ: *ზღვარზღვალი*[1], *ზღვარუა*[2], *ზღვინდუა*[3], *ზღვენდერია*[4], *ზღვარალა*[5], *ზღვანდალი*[6]
სხვ: *სხვარსხვალი*[7], *სხვირთალი*[8]

მეგრულში /რ/, /ნ/ სონორების მეშვეობით ჩქამიერ თანხმოვანთა გასონორების ტენდენცია აისახა ორ-, სამ- და ოთხწევრა კონსონანტურ ჯგუფებში (გამყრელიძე, გუდავა 1981: 155-157):

S(რ)+CC, S(ნ)+CC:

რჯგ: *რჯგაბალი*[9], *რჯგიმინი*[10], რჯღ: *რჯღიმინი*[11], *რჯღიმუა*[12], რცხ: *რცხიმინი*[13], *რცხამულუა*[14], რსხ: *რსხიპუა*[15], *რსხიაფი*[16], რდგ: *რდგაბალი*[17], რტკ: *რტკაპალი*[18], *რტკუმოლი*[19], რტყ: *რტყაპალი*[20], რწკ: *რწკიმინი*[21], რთქ: *რთქაფუა*[22], რთხ: *რთხიფუა*[23]... ნთქ: *ნთქილიში*[24], ნძგ: *ნძგილუა*[25], *ნძგორუა*[26], ნჩქ: *ნჩქოლუა*[27], ნჩხ: *ნჩხილაფა*[28], ნძღ: *ნძღილუა*[29], ნჯგ: *ნჯგილუა*[30]...

[1] თავსხმა, კოკისპირული წვიმა (ქობ. 311)

[2] გაღვარვა, გალუმპვა (ქობ. 311)

[3] გაშოლტვა, გაწკეპვლა, გაწვნა (სილისა); კვრა (ისრისა); გადაჭერა (მათრახისა); (წყალში) გამოქნა წკეპლისა (ქობ. 311)

[4] მოქნილი, აშოლტილი (ქობ. 311)

[5] დიდწვიმიანობა, ზღვაოსნობა (ქობ. 311)

[6] მოქნილი, აშოლტილი (ქობ. 311)

[7] ციმციმი, ფუთფუთი; ძვლების ტეხა, სუსხური (დაბუჟებული კიდურისა) (ქობ. 599)

[8] შხვართი, მაღალი (ქობ. 599)

[9] უშნოდ, ფართოდ დაღებული პირით ლაპარაკი, ლაყბობა (ინფორმ.)

[10] ჯგიმვა, გამარჯვებულის იერი (ქობ. 756)

[11] სიჭროღე თვალებისა; ჭროღა თვალების ანთებული, გაბოროტებული მზერა (ქობ. 576)

[12] მორევა, არევა, ჩაკვრა (ქობ. 576)

[13] მკვირცხლი მზერა (ქობ. 575)

[14] დამფშხალვა, დაცხაება (ქობ. 575)

[15] დაჭიმვა, მოსხეპვა, მომართვა (ქობ. 574)

[16] სხივილი (ქობ. 574)

[17] ტლიკინი, ურცხვი ლაპარაკი (ქობ. 570)

[18] ტლიკინი, რატრატი, ურცხვი ლაპარაკი (ქობ. 574)

[19] ტკაცატკუცი, მტკვრევა (ქობ. 574)

[20] ტყაპატყუპი (ქობ. 574)

[21] უკმეხი გამოხედვა (ქობ. 576)

[22] თქვლეფა (ქობ. 571)

[23] თქვლეფა (ქობ. 571)

[24] მძლავრი დინება (ქობ. 523)

[25] ნაჭუჭიდან ამოგდება, დარჩევა (ქობ. 528)

[26] გამოხელვა (ბოსტნისა) (ქობ. 328)

[27] დამჯიღვა (ქობ. 528)

[28] რქენა, რქებით შეჯახება, ძგერება, შეხლა (ქობ. 528)

[29] ბუმბულის ბოლქვის ამოღება (ქობ. 328)

[30] დაჯგლეთა, ღონივრად დაზელა (ქობ. 528)

ოთხწევრა კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი:
ნდღვ: *ნდღვილუა*[1]*;* ნტყვ: *ნტყვილუა*[2]*, ნტკვ: ნტკვარუა*[3]*, ნჯგვ: ნჯგვილუა*[4]*, ნჯღვ: ნჯღვილუა*[5]*,* ნძგვ: *ნძგვირალი*[6]*, ნძგვალაფი*[7] *...*

/რ/, /ნ/ სონორები კომპლექსის ანლაუტში ხშირად განვითარებული ჩანს, ასეთ შემთხვევაში იგი არასტაბილურია და ფონოსემანტიკური ფუძე პარალელური, ფაკულტატიური ვარიანტის სახითაც არსებობს; ამიტომ მათი განხილვა *ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ა დ* უფრო მართებული ჩანს.

ფონოსემანტიკური ძირების ანლაუტში /რ/-ს შემცველი ოთხწევრა abcd მიმდევრობა არ გვხვდება. ინლაუტში კი ამ მიმდევრობის თავმოყრას სხვადასხვა ფაქტორი აპირობებს: ერთი მათგანია, როცა რედუპლიცირებულ ფუძეებში /რ/ სონორი (ასევე: *ლ, ნ*) ბაზისური ძირის სტრუქტურის აუსლაუტშია (დახურული მარცვლის შემთხვევა) და რედუპლიკატის ძირის ანლაუტურ თანხმოვანთან ან თანხმოვანკომპლექსთან თანხვედრაშია, რაც წარმოქმნის ab და abc რიგის ფონემათა ინლაუტურ მიმდევრობებს: *დგარდგალი, კვარკვალი, ქვარქვალი, ჯგარჯგალი, დგვარდგვალი, ტკვარტკვალი, თქვართქვალი,* და ა. შ.. ფონემათა განდასების პრინციპები ინლაუტში აბსოლუტურად შეესაბამება მეგრულისათვის დადგენილ ფონოტაქტიკურ წესებს.

ინლაუტში ასევე დასაშვებია ყველა ზემოჩამოთვლილი კომპლექსი, მათ შორის სონორიზებული, ცხადია, ფონოტაქტიკის წესები ყველგან დაცულია.

ზოგადად, მეგრულში, ad რიგის *ნვ-, რვ-* მიმდევრობა დაუშვებელია; ფონოსემანტიკურ ფუძეებთან ასევე იშვიათობაა აღნიშნული მიმდევრობის კონსონანტით გაშუალების შემთხვევები: ნCვ: *ნქვალაფი/ ნქველაფი*[8] *, ნჩვილუა, ნჯვილუა*[9]*,* რCვ - *რგვამალი*[10]*.*

მეგრულში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, ბგერწერითი დანიშნულება აქვთ არა მხოლოდ თანხმოვანთკომპლექსებს, არამედ ცალკეულ კონსონანტებს, როგორც ხშულებს, ისე ნაპრალოვნებს, მათგან აგებულ მოდელებს. ფუძეგაორკეცების შემთხვევაში იდენტურია ცალთანხმოვნიანი ანალუტები (ბ _ ბ, გ _ გ, დ _ დ, ზ _ ზ, თ _ თ, კ _ კ, პ _ პ, ჟ _ ჟ, ტ _ ტ, ფ _ ფ, ქ_ქ,ღ _ ღ, ყ _ ყ, შ _ შ, ჩ _ ჩ, ც _ ც, წ_წ, ჭ_ჭ, ძ_ ძ, ჯ_ჯ, ხ _ ხ); მთლიან ფუძეში მათი სინტაგმატური განლაგების პრინციპი ისეთივეა, როგორც კომპლექსების შემთხვევაში - იგი ეყრდნობა ბგერათა ჰომოგენურობას.

---

[1] ჩანთქმა; ნთქმა (ფაფისებრი საჭმლისა) (ქობ. 522)

[2] ნთქმა (ღომისა) (ქობ. 527)

[3] ტკვერვა, ტეხა (ქობ. 527)

[4] დამჯიღვა, მუშტებით ცემა (ქობ. 328)

[5] მჯიღით ცემა, დაჭუჭვა, უხეშად წავლება ხელისა (ქობ. 529)

[6] გაწბილებული; მოძუძგურე (ქობ. 328)

[7] გაწბილებული სვლა, ძუძგური (ქობ. 528)

[8] ბაჯბაჯი, თავდახრილი სიარული (ქობ. 527)

[9] მსხვილი ლუკმებით ჭამა; გაძღომა (ინფ.)

[10] გოგმანი (ქობ. 570)

კონსონანტური ბგერწერა ლაზურში

„ლაზურში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი მორფემის ფარგლებში შეიცავს ოთხ ელემენტს...“ (ქუთელია 2005: 287); კომპონენტთა მიმდევრობას თუ abcd-თი აღვნიშნავთ, მაშინ მიმდევრობაში ფონემათა განდასება შემდეგ სახეს მიიღებს:

a: მ ნ
b: [ბფპ[1]] დტთ ძწც ჯჭჩ ზს ჟშ
c: გკქ ღხყ
d: ვ

ფონემათა კომბინაცია მხოლოდ მიმდევრობითია და რომელიმე რიგის ფონემის გამოტოვება გულისხმობს შეერთებას მხოლოდ მომდევნო რიგიდან აღებულ ფონემასთან (შდრ. წესი მეგრულისათვის: გუდავა, გამყრელიძე 1981).

ზოგადად, ლაზურის ორწევრა კომპლექსები მოიცავს ჰომორგანული და დეცესიური მიმდევრობის SC სტრუქტურის თანხმოვანთკომპლექსებს, დეცესიური და აქცესიური მიმდევრობის CC სტრუქტურის ჯგუფებს; A და B სისტემის დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსებს და მათ ქვესისტემებს:

ქვესისტემა A		ქვესისტემა B	
ზგ	სქ || სკ	ზღ	სხ
[ჟგ]	შქ || შკ	[ჟღ]	შხ

CS, CC, SS სტრუქტურის არაკანონიკურ ჯგუფებს (ქუთელია 2005, 116). აღნიშნული ვრცელდება ფონოსემანტიკური ფუძეების ფონემურ შედგენილობაზეც როგორც ანლაუტური, ისე ინლაუტური პოზიციებისათვის.

„თანხმოვანთა კომბინირების თვალსაზრისით ლაზური ძირითადად დეცესიური წყობის ენაა“ (ქუთელია 2005, 335); A და B სისტემების ჰარმონიული კომპლექსები რეალიზებულია ფონოსემანტიკური ფუძეების როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტში.

ორწევრა CC და SC, SC კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი

ფონოსემანტიკური ფუძეების მიმდევრობაში დეცესიური რიგის პირველი კომპლექსი *(ბილაბიალური + ველარი)* რეალიზებული არ არის. CC კომპლექსი ჰომოგენურობის პრინციპს ეყრდნობა. კომპლექსი სტაბილურია ხოფურ-ჩხალურსა და ართაშენულში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში კი B სისტემის აბრუპტიული კომპლექსი A სისტემის კომპლექსში გადადის და შემდგომ საფეხურზე მარტივდება (ქუთელია 2005: 240).

[1] მეგრულში a რიგის სონორთან მომდევნო პოზიციაში ბილაბიალური სამეულები არ რეალიზდება, იშვიათობაა იგი ლაზურშიც.

CC:

დგ:[1] *ო-დგიალ-უ*[2], *ო-ბადგალ-უ*[3] ;

თქ: *ო-თუთქ-უ*[4], *ო-ფათქალ-უ / ფათქალ-ი*[5];

თხ: *ნო-თუთხინ-ე*[6], *ო-ფათხ-უ*,[7] *ოშა-თხაშ-ე*[8],

ო-ფუთხინ-უ / ო-ფუთხ-უ,[9] *ოშა-თხ-უ*[10];

ტყ[11]: *ტუტყული / ო-ტუტყულ-უ*[12], *ო-ტატყალ-უ*[13], *ო-ტატყ-უ*[14], *ო-ტყლიპ-უ*[15];

ტკ: *ო-ტკიალ-უ*[16], *გო-ტკებ-ელერი*[17], *ო-ტკაპ-უ*[18],

დოლო-ტკაპ-აფა[19], *მე-ტკოჩ-უ*[20], *ო-ვრატკ-უ*[21];

დღ[22]: ----------

[1]ფონემათმიმდევრობებში გამოყოფილია მორფემების ზოგი მიმდევრობა (ო--უ მასდარის მაწარმოებელი, პრევერბი, მიმღეობის მაწარმოებელი, სადერივაციო აფიქსები) ერთი მორფემის ფარგლებში რეალიზებული ძირეული კონსონანტური მიმდევრობის წარმოჩენის მიზნით.

[2] უაზრო ლაპარაკი (თანდ. 596)

[3] ფართხალი (თანდ. 589)

[4] თუთქვა (თანდ. 601)

[5] მაჯისცემა, პულსი; ფართხალი (თანდ. 771)

[6] ნატიტყნი; თხელი (თანდ. 576)

[7] ბერტყვა, ფერთხვა 1; დაფშვნა2 (თანდ. 662)

[8] საბერტყელა (თანდ. 675)

[9] ფრენა, გაფრენა (თანდ. 664)

[10] (ხოფ) „ბერტყვა“ (ქუთელია 2005: 227)

[11]ვიწურ-არქაბულში, ათინურსა და, მეტწილად, ხოფურშიც *ტყ > ტკ* გადასვლა გვაქვს (ქუთელია 2005:214; 227): *ოტყაპუ > ოტკაპუ* „ტყეპვა, გატყეპვა“ ხოფურში ფონოსემანტიკურ ვარიანტებად შეიძლება განვიხილოთ. ათინურში კომპლექსი მარტივდება - *ტყ > ტკ >ტ: ოტყოჩუ> ოტკოჩუ > ოტოჩუ* „გადაგდება“... კვლევის ადრეულ ეტაპზე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ლაზურ ენას *ტყ-* კომპლექსის შემცველი ჰარმონიული კომპლექსი არ ახასიათებდა (ნ. მარი, ა. ჩიქობავა, ს. ჟღენტი), აღნიშნულის საპირისპიროდ მიუთითებს *ტყ-* კომპლექსიანი ფონოსემანტიკური ფუძეების არსებობა.

[12] (ხოფ.) ადუღება, ადუღებული (თანდ. 761)

[13] ხარშვის დროს თუხთუხი (ხმაბაძვითი სიტყვა- ზმნა) (თანდ. 658); წყლის ტატყალი დუღილის დროს (ქუთელია 2005: 227).

[14] თუხთუხი (თანდ. 658)

[15] 1. ტლეკვა ენით; (ხოფ. არქ.) გატყეპვა (ქუთელია 2005: 227)

[16] უაზრო ტლიკინი, ჩქარი ლაპარაკი; ყრანტალი (თანდ. 659)

[17] გამხდარი, გაძვალტყავებული (თანდ. 165)

[18] ტყეპა, რტყმა (თანდ. 659)

[19] ჩაპერტყვა, ჩაცემა, ჩაპერტყილი... (თანდ. 210)

[20] გადაგდება, სროლა (თანდ. 460)

[21] დარტყმა, დაჯახება (თანდ. 597)

[22] ზოგადად, იშვიათად რეალიზებული კომპლექსია და ფონოსემანტიკურ ფუძეებთანაც მხოლოდ ოთხწევრა (ნ/მდღვ) და სამწევრა (ნ/მდღ) კომბინაციებში გვხვდება.

ძგ: *ბაძგალ-ა[1], ო-ბუძგინ-უ/ ო-ბუძგ-უ[2], ო-ლაძგ-უ[3], ო-ღიძგოლ-უ[4]*
ცქ: *ცქიპალ-ი[5], ცქიმოლ-აფ-ს[6], ცქირმონ-უ[7],*
წკ: *ო-ღაწკ-უ[8], გამა-ღრაწკაფ-ა[9], გო-ღაწკაფ-ა[10], მე-წკაპ-უ[11], ო-წკიალ-უ,[12] მე-წკ-უ[13]*
ძღ: *გო-ბუძღოლ-ერ-ი[14], ძღამბულ-ერ-ი// ნძღამბულ-ერ-ი[15]*
ცხ: *გო-ცხანკ-აფა[16], ო-ცხუკ-უ//ო-ცხუნკ-უ[17], ო-ფიცხოლ-უ[18],*
ო-ცხიალ-უ[19], ამა-ცხონტინ-აფა[20]
წყ: *ო-წყაპ-უ[21]*
ჯგ: *ო-ჯაჯგალ-უ, ო-ჯგიალ-უ-[22], ო-ჯიჯგილ-უ[23], ო-ჯაჯგ-უ[24], ჯგათ[25], გო-ჯაჯგ-ერ-ი[26]*

---

[1] აბურძგნულთმიანი, აბურდული (თანდ. 55)

[2] დაბუჟება; აბურძგვნა (თანდ. 592)

[3] ღეჭვა (თანდ.624)

[4] უხეიროდ ჭრა (თანდ. 671)

[5] ბზრიალა, სრიალა(?) (თანდ. 847)

[6] ციმციმებს (თნდ.685)

[7] ყრუდ ტკივილი (თანდ. 847)

[8] დაფხოჭვა, დაკაწვრა (თანდ. 670)

[9] გამოკაწვრა (თანდ. 82)

[10] გახაზვა, გახაზული (თანდ. 168)

[11] გადახტომა, გაქცევა (თანდ. 474)

[12] წკრიალი (თანდ. 689)

[13] „მოგლეჯა“ (ქუთელია 2005: 230)

[14] აჩეჩილ-აწეწილი, აჩეჩვა, აწეწვა (თანდ. 141)

[15] „ჩოფურა, ნაყვავილარი...დაჯღაბნილი“ (ქუთელია 2005: 228)

[16] მოკენკვება, მოკენკვა (თანდ. 174)

[17] დაჭმუჭვნა, ფორმის დაკარგვა, დაჭკნობ, მოღუნვა, მოკაკვა (თანდ. 642, 685)

[18] პატარ-პატარა ნაჭრებად დანაწევრება (თანდ. 663)

[19] ჩხრიალი (თანდ. 685)

[20] გადამხტარი, გადახტომით (თანდ. 847)

[21] შხეფა (თანდ. 692); „ლაზურის არცერთ კილოკავში, გარდა ხოფურისა, *წყ* კომპლექსი დადასტურებული არ არის“ (ქუთელია 2005, 230), ხოფურში *წყ* > *წკ* ხშირად დაუშვებელია (ქუთელია 2005: 230)... გარდაქმნის შედეგად ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში *წყ* >*წკ* გვექნება, ათინურში კი *წყ*>*წკ* >*წ*, თუმცა *წყ* კომპლექსის შენაცვლება *წკ*-თი ყოველთვის არ ხდება, ვინაიდან წყ კომპლექსი ფონოლოგიური ღირებულებისაა და არა წკ-ს ვარიანტი (ქუთელია 2005: 230-231).

[22] სირბილი; ჟრიალი (?) (თანდ. 706); „ჩქარი და ხმაურიანი სიარული, სირბილი ან რაიმე მოქმედება“ (ქუთელია 2005: 219)

[23] ძიძგილაობა; სიტყვების ურთიერთშეპასუხება (თანდ. 707)

[24] ჯეჯგვა (თანდ. 705) „ჯიჯგნა; ჯაჯგუფს - ჯიჯგნის“ (ქუთელია 2005:219). ნ. ქუთელიას მიერ მითითებულ განმარტებას ჩვენი ინფორმატორებიც ადასტურებენ.

[25] სილის გარტყმა, თოფის სროლის ხმა (თანდ. 894)

[26] დაჩეჩქვილი, დაჩეჩქვა (თანდ. 184)

ჩქ: *ო-ჩაჩქ-უ[1], ო-ჩაჩქალ-უ[2], ო-ჩიჩქოლ-უ[3]*

ჭკ: *ო-ჭკიალ-უ /ო-ჭკირალ-უ[4], ჭიჭკონ-ა[5], ო-ჭაჭკ-უ (არქ.) || ო-ჭიჭყ-უ (ხოფ.)[6]*

ჯღ: *ო-ჯღიმოშ-უ/ ო-ჯღიმ-უ[7], ბეჯღ-აფა[8], ო-ბეჯღ-უ[9], ო-ბეჯღინ-უ[10], ჯღირ-ერ-ი[11], ჯღალ-ერ-ი[12] პეჯღელ-ი[13], გო-ჯღაპ-უ[14], ო-ჯღიმოშ-უ // ო-ჯღიმ-უ[15]*

ჩხ[16]*: ჩხვარ-ელ-ი[17], ო-ნჩხვარ-უ[18], ო-ჩხირ-უ[19], ჩხაკალ-ე[20], გელა-ჩხანკ-აფა[21], ო-ჩხინკოლ-უ[22], ო-ჩხანტინ-უ[23], ო-ჩხატ-უ[24], ო-კლანჩხ-უ[25], ო-ჩხაპულ-ე[26], ო-ჩხაპ-უ[27], ო-ჩხიალ-უ (არქ. ხოფ) // ო-ნჩხიალ-უ (არქ.)[28], ო-ჩხანკ-უ (ხოფ)[29]*

---

[1] ჩეჩქვა (თანდ. 681)

[2] „კბილების კაწკაწი“ (ქუთელია 2005:219)

[3] (ხოფ) ხელის თითებით მიწის ჩიჩქნა (ქუთელია 2005:219)

[4] აჭრიალება (თანდ. 694)

[5] წიწკნია, წიწკანა (თანდ. 864)

[6] დაჩეჩქვა, დაჭეჭყვა (ქუთელია 2005: 221)

[7] დაჭმუჭვნა (თანდ. 707)

[8] ხმამაღლა ტირილი, ყვირილი, ხმამაღლა ტირის/ყვირის, ხმამაღლა ტირილ-ტირილით (თანდ. 60)

[9] (ათინ. ხოფ) „დაძახება“ (ქუთელია 2005:2013)

[10] (ვიწ-არქ. ხოფ.) გაჯავრება, ყვირილი, ღრიალი (ქუთელია 2005:2013)

[11] დამპალი (თანდ. 904)

[12] ჩხრიალით (?) (თანდ. 904)

[13] ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით (თანდ. 712)

[14] ადგილ-ადგილ თოვა (თანდ. 184)

[15] დაჭმუჭვნა (თანდ. 449; 707); ჯღიმერი/მჯღიმერი (ხოფ) დაჭმუჭვნილი (მაჭავარიანი 1965, 85; ქუთელია 2005: 231; 253)

[16] ათინურში აღნიშნული კომპლექსი არასტაბილურია და გარდაიქნება*: ჩხ>შხ,* ან პირიქით: *შხ >ჩხ*

[17] დალეწილი (თანდ. 843)

[18] ლეწვა, ცეხვა (თანდ. 641)

[19] მთელი ხმით ყვირილი (თანდ. 684)

[20] ლატანი, ჭოგრი თხილის ან ნიგვზის სარევად (თანდ. 842)

[21] ჩამოსმა, ჩამოკვრა, ჩამოკრული, კვესვა (თანდ. 99)

[22] ჩხრეკა (თანდ. 684) შდრ. ოხოშიშოლუ - ჩხრეკა; სახლის არევა (თანდ. 703)

[23] ბრჭყვიალი (თანდ. 683)

[24] ბრწყინვა (თანდ. 683)

[25] შუქის , სხივის მიმოფანტვა,აკიაფება (თანდ. 610)

[26] ჭინჭარი (თანდ.683), შდრ., მეგრ. *ჩხვაპ- /შხვაპ - : ჩხვაპუა/ შხვაპუა* "დასუსხვა"

[27] შხეფება, ჩქეფება (თანდ. 683)

[28] ჩხრიალი (ქუთელია 2005:233)

[29] ჩხაკუნი (ქუთელია 2005:233)

ჭყ: *ჭყაპ-ი[1], ჭონჭყოპ-ი// ჭოჭყოფ-ი[2], ნო-ჭყიპ-ე[3], გე-ჭყიპ-აფა[4],*
მე-პუჭყინ-უ[5], ო-ჭყიპ-უ[6], ო-ჭაჭყ-უ[7]

ლაზურში ჰარმონიულ ჯგუფებს აკუთვნებენ დეცესიური თანმიმდევრობის კომპლექსებს, რომლებიც წარმოიქმნებიან წინაენისმიერ სპირანტთა შეერთებით წინაველარულ და უკანაველარულ თანხმოვნებთან (ქუთელია 2005: 234). გ. მაჭავარიანი მათ საერთო-ქართველურ დონეზეც კი წარმოგვიდგენს და არქმევს „მეორე კლასის ჯგუფს“; იგი პირველთან მიმართებით მსგავსი სტრუქტურით ხასიათდება, ამიტომ მას გამოყოფენ როგორც ქვესისტემას (მაჭავარიანი 1965: 81). ამგვარ კომპლექსთა შემცველი ფუძეები ფონოსემანტიკურ მასალაში მწირია.

ძგ/ზგ: *ო-ძგიმოჭ-უ / ო-ზგიმოჭ-უ[8]; ჟგ: ო-ჟგურ-უ[9], მიმღ. გამა-ჟგურ-ერი[10]*

შქ: *ფუშქონ/ ო-ფუშქონ-უ[11], ო-შუშქ-უ[12];* შვ: *ო-ხაშკალ-უ[13]*

/ვ/-თანხმოვნიანი აქცესიური მიმდევრობის ორწევრიანი კომპლექსი ლაზურისათვის კანონიკურია. აღნიშნული ფონემა არ რელიზდება ლაბიალური რიგის ჩქამიერების შემდგომ და იშვიათია ლაბიოდენტალებისა და პრეალვეოლარების შემდეგაც; მიზეზი ახსნილია ფონემათა არტიკულაციური სიახლოვით, რომელიც აძნელებს კომპლექსის წარმოთქმას (ქუთელია, 2005: 189); ორწევრა C+ვ კომპლექსის სიმცირე ფონოსემანტიკურ ფუძეებშიც აშკარაა და წესი ამ შემთხვევაშიც დაცულია.

CS [C+ვ]

ჟვ: *ო-ჟვატ-უ[14], ო-ჟვარ-უ(1)[15], ო-ჟვარ-უ(2)[16], მე-ჟვატ-უ[17], ჟვატ-ერ-ი[18]*

ხვ: *ო-ხვატ-უ[19] , ოხველუ (ხოფ.)//ო-ხვალ-უ (ათინ. არქ. ვიწ.)[20]*

---

[1] დაუმწიფებელი (თანდ. 868)

[2] ჭაობიანი ადგილი (თანდ. 865)

[3] ნაჭყეპი, ნასრესი, ჭყლეტა (თანდ.582- 696)

[4] ჭყლეტა, წაჭყლეტა (თანდ. 117)

[5] წყლის შესხმა (თანდ. 450)

[6] ჭყლეტა (თანდ. 696)

[7] (ხოფ) „დაჭეჭყვა“ (თუნუქის): *ჭყიპერი* „დაჭეჭყილი“ - *ოჭაჭუ* (არქ) *ჭყ >ჭ ან ჭყ>ჭკ>ჭ*. შდრ. მეგრ ჭყანჭყუა, ჭყანჭყილი (ქუთელია 2005:234)

[8] დაგრეხა (თანდ. 686)

[9] „შებრაწვა, გახუხვა (პურის)“ (ქუთელია 2005:237)

[10] ცეცხლით დამწვარი (თანდ. 80)

[11] ფშვნა, დაფშვნილი (თანდ. 786)

[12] მოთუშვა, მოშუშვა (თანდ. 679)

[13] თუხთუხი, ძლიერი ხარშვა (თანდ. 697)

[14] ჟლეტა, ცემა (თანდ. 649)

[15] ქარის ძლიერი ქროლა (თანდ. 648)

[16] დაზორვა, წკეპლით ცემა (თანდ. 648)

[17] წყლის შესხმა (თანდ. 453)

[18] დაბეგვილი; ერთმანეთის მიყოლებით შეჯახება (თანდ.718, 860)

[19] ხვრა, ღრღნა, კვნეტა (თანდ. 698)

[20] „ხველება“ (ქუთელია 2005:200)

ღვ: *ო-ღვაკალ-უ*[1], *ო-ღველიკ-უ*[2], *ო-ღვანჭკ-უ //ო-ღვანჭ-უ*[3]
კვ: *გელა-კვანჩხ-უ*[4] , *გოლა-კვარტ-აფა*[5]; ზვ: *ო-ზვანწ-უ*[6]; *ყვ: ფაყვ-ა*[7]

SC და CS კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი და ა რ ა ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი

CS სტრუქტურის კომპლექსი ლაზურისათვის არაკანონიკურად ითვლება (შდრ. ქართული). გამონაკლისს შეადგენს C+S(რ)[8] და C+S(ლ) (ისევე, როგორც ლ+C) კომპლექსები (ქუთელია 2005, 205), თუმცა ფონოსემანტიკურ მოდელებში ორივე მათგანი სტაბილურია:
CS [C+ლ]
გლ: *ო-გლიჯ-უ*[9]
კლ: *ო-კლამპალ-უ*[10], *ო-კლდხ-უ*[11] *ამაკლანტა*[12],
ხლ: *ო-ხლაპ-უ*[13] *ამა-ხლანკ-უ*[14], *ხლუნჭკ-ი*[15]
ღლ: *ო-ღლუნწინ-უ*[16], *ო-ღლაპ-უ*[17], *ამა-ხლიპ-უ*[18], *მე-ღლინჭ-უ*[19]
ფლ: *ო-ფლატ-უ*[20]
თლ: *ო-თლახ-უ*[21]
ტლ: *ო-ტლაპინ-უ*[22]
ჟლ: *ო-ჟლიპ-უ*[23], *ო-ჟლიტ-უ/ ო-ჟლეტ-უ (ხოფ.) || ო-ჟლიპ-უ (არქ.)*[24]

---

[1] იხვის, ბატის ხმიანობა (თანდ. 670)

[2] „იკლაკნება“ (ქუთელია 2005: 199)

[3] კრეჭა (თანდ.670), „გაკრეჭვა“(ხოფ.) (ჩიქობავა 1929: 104/30)

[4] ჩაფშვნა, დაფშვნილი (თანდ. 95)

[5] ტორტმანით მოკუნტული (თანდ. 146)

[6] ხეტიალი (თანდ.599)

[7] (ხოფ) „თვალის დახამხამება“ (ქუთელია 2005: 195)

[8] თუმცა აქაც შეზღუდვები გვაქვს - ყველა ლოკალური რიგის თანხმოვანი /რ/ ფონემის წინა პოზიციაში კომბინაციას არ ქმნის (ქუთელია 2005: 176);

[9] (ხოფ. არქ.) „გლეჯა“ (ქუთელია 2005: 206)

[10] წყლის ხმიანობა დახურულ ჭურჭელში (თანდ. 610)

[11] კრუხინი (თანდ. 610)

[12] მუცელშეწეული (თანდ. 20)

[13] ხვლეპა (თანდ. 699)

[14] სწრაფად გახდომა (თანდ. 24)

[15] ქვიანი ადგილი; ნაპრალი; ჩავარდნილი უმზეო ადგილი (თანდ. 884)

[16] (ათინ.) „უხეირო ჭამის დროს გამოცემული ხმა“ (ქუთელია 2005: 207)

[17] (ხოფ). „ღრენა (ძაღლის)“ (ქუთელია 2005: 207)

[18] „ხვრეპა“ (ქუთელია 2005: 207)

[19] მოწყვეტა (თანდ. 464)

[20] (ხოფ.) „დაფლეთვა“ (ქუთელია 2005: 205)

[21] გაწუწვა (ძლიერ დასველება) (თანდ. 601)

[22] წყლის შენჯღრევა ჭურჭელში (თანდ. 660)

[23] გაჭყლეტა (თანდ. 649)

[24] გაჟლეტვა (დიუმეზილი 1967: 47; 26), გაჭყლეტა (თანდ. 649)

ზლ: *ზლაპუნ-ი[1], ო-ზლიპ-უ[2]*
შლ: *ო-შლოპ-უ[3], იე-შლიპ-უ[4], ო-შლოკინ-უ[5], შლაპ-უ[6],*

აღნიშნული ვითარება ლაზური ენის ფონოტაქტიკას აახლოვებს ქართულთან და აშორებს მეგრულთან, სადაც მსგავსი მიმდევრობა დაუშვებელია და ის სუპერირდება მეტათეზისით ან ანაპტიქსური ხმოვნის გამიჯვნით (საკითხისათვის იხ. გუდავა, გამყრელიძე 1981).

C+S(რ):

ბრ: *ო-ბრანგ-უ[7], ო-ბრონძგ-უ[8], ბრიალ-: ო-ბრიალონ-ი[9], ო-ბრიწაფ-უ[10], ო-ბრიწ-უ / ო-ბრუწ-უ[11] ბრანგალ-ი: ო-ბრანგალ-უ[12]*
ხრ: *გე-ხრაშ-ერ-ი[13], ხრიჩოლ-ი[14], ხრუტინ-ი[15]*
ღრ: *გამა-ღრაწკ-აფა[16] , ო-ღრიალ-უ[17], ო-ღრანწკილონ-ი[18]*
სრ: *მეკა-სრიალ-უ, ო-სრიალ-უ > ო-სიალ-უ[19]*
შრ: *ო-შრიალ-უ > ო-შიალ-უ[20]*
ზრ: *მემა-ზრაპ-უ > მემა-ზაპ-უ[21]*
კრ: *კრიალ-აფ-ს > კიალ-აფ-ს[22]*

ხოფურში ზრ-სრ-შრ კომპლექსები მარტივდება სონანტური ელემენტის დაკარგვით: ზრ > ზ, სრ > ს, შრ > შ (ქუთელია 2005: 183), ხოლო არქაბულსა და ვიწურში შენარჩუნებულია. აქაც იჩენს თავს სხვაობა მეგრულთან: მეგრულის ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით აღნიშნული მიმდევრობა არაკანონიკურია და კანონიკურად გარდაიქმნება ორი გზით - სუპერირდება ანაპტიქსური ხმოვნით ან რ-ს მეტათეზისით პირველი პოზიციისკენ რეგრესულად.

---

[1] ღეჭვა; ლოკვა; სრესა; დაღეჭილი; პიურე (თანდ. 286)

[2] ჭყლეტინება, ჭყლეტა (თანდ. 599)

[3] დასვრა (თანდ. 678)

[4] ამოსვრეტა, ასრუტვა (თანდ. 339)

[5] სლუკუნი (თანდ. 678)

[6] ჭამის ხმა (თანდ. 824)

[7] როშვა, უაზრო ლაპარაკი (თანდ. 591)

[8] ხეზე კაკუნი (თანდ. 592)

[9] საბრიალებელი (თანდ. 592)

[10] მოხევა, მოწყვეტა, მოგლეჯა, მოცილება, ჩამოშორება (თანდ. 592)

[11] ხევა, ფხრეწა (თანდ. 591-592)

[12] (ვიწ), ფეხების ბრახუნი (თანდ. 592), შდრ. ობარგალუ (არქ.)

[13] სწრაფად მომზადებული, სწარაფად მომზადება, გაკეთება (თანდ. 118)

[14] მძიმე ტვირთის თრევისას ღრჭიალა ხმის გამოცემა (თანდ. 888)

[15] (ხოფ. სარფ) „ხვრინვა“ (ქუთელია 2005:164;)შდრ. ოხურტინუ //ოხუტინუ „ხვრინვა, ხრუტუნი“ (თანდ. 704)

[16] გამოკაწვრა (თანდ. 82)

[17] ღრიალი (თანდ. 672)

[18] ზარი (თანდ. 672); ეტიმ. ღრანწკ- „წკრიალი“

[19] (ხოფ) „სრიალი“(ქუთელია 2005:183)

[20] „შიალი“ (ზღვის ხმაური) (ქუთელია 2005:183)

[21] (ხოფ) „მოხვედრა, მოცხობა“ (ქუთელია 2005:183)

[22] (ხოფ) „კაკანებს“ (ქუთელია 2005:182)

ლაზურში ნაზალები ხშულ და ნაპრალოვან თანხმოვნებთან შეერთებით ანლაუტში ქმნიან SC სტრუქტურის ჰომორგანულ და დეცესიურ ჯგუფებს. ამ კომპლექსთა სონანტური ელემენტი ძირეულიც შეიძლება იყოს და განვითარებულიც (ჟღენტი 1953: 91; კაჭარავა 1961); აღნიშნული ფონოსტრუქტურა ლაზურისათვის კანონიკურია და ქმნის მთელ სისტემას. ზოგადად, SC-ის რეალიზაცია და გარდაქმნათა წესები მნიშვნელოვანია ლაზური ფონოტაქტიკის თვალსაზრისით (ქუთელია 2005: 117). ბგერწერითი ფონოსტრუქტურებიც ამ ზოგადი წესების ფარგლებში რეალიზდება.

ლაზურში S+C კომპლექსი ინლაუტურია, S = /რ/, /ნ/, /მ/ სონორებს. საგულისხმოა, რამდენიმე ასპექტი:

1. მიმდევრობაში /რ/ ბგერა კი არ ვითარდება, არამედ იკარგება და ამ ენობრივი ტენდენციითა და მისი შედეგით განსხვავდება ლაზურის დიალექტური ფონეტიკური ვარიანტები ერთმანეთისაგან: ხოფურში *რ-სონორიანი* ვარიანტი არასტაბილურია და *რ-დაკარგული* ვარიანტის პარალელურად არსებობს (უმრავლეს შემთხვევაში იკარგება) მაშინ, როცა ვიწურსა და არქაბულში /რ/ სტაბილურია (შდრ. მეგრულის ვითარება, სადაც /რ/, ძირითადად, ვითარდება);

2. /მ/, /ნ/ ნაზალური სონორების ცალკეულ თანხმოვნებთან, ისე თანხმოვანთ-კომპლექსებთან თავმოყრის საფუძველი არის ამ ბგერათა განვითარების ის ძლიერი ტენდენცია, რომლითაც გამოირჩევა ლაზური (ქუთელია 2005: 184); კომპლექსებში სონორები მეტწილად ისტორიულად არის განვითარებული, მაგრამ ლაზური ენის სინქრონიული განვითარების ეტაპზე ისინი ფუძის ორგანულ ნაწილს შეადგენს და ფონოლოგიზირებულია არიან (შდრ. ქუთელია 2005: 133).

S(რ)+C[1]:

სონორი /რ/ ლოკალური რიგის ყველა წევრთან ქმნის მხოლოდ და მხოლოდ ორწევრა თანხმოვანთკომპლექსს (ქუთელია 2005: 160)[2]; ანუ სამწევრა *რ + ჰარმონიულ კომპლექსი,* რომელიც მეგრულისათვის კანონზომიერია და ჩვეულებრივ ხშირ მიმდევრობას წარმოადგენს, ლაზურში არ რეალიზდება.

სონორიანი კომპლექსი ლაზური ფონოსემანტიკური ფუძის ანლაუტში ძალზე იშვიათად გვხვდება, *მაგ. გამა(PRV)-რჩაკ-აფა, ამა(PRV)-რჩაკ-აფა;* ის მუდმივად რედუპლიცირებული ფუძის ინლაუტში, რედუპლიცირებულ ძირეულ მორფემათა საზღვარზე რეალიზდება:

რბ: *ბარბალ-ი*[3], *ბარბალ-უ*[4], *ო-ბარბალ-უ*[5], *ო-ბურბალ-უ*[6], *ბურბულ-უა*[7]

[1]ლაზურში მოცემული კომპლექსის ფონემატური ანალიზის შედეგად მიღებული ზოგადი დასკვნებისათვის იხ. ქუთელია 2005: 184-186)

[2] გამონაკლისს შეადგენს ლარინგალური რიგის ფონემა /ჰ/, რომელიც, ძირითადად, ანლაუტში ფუნქციონირებს და დისტრიბუციულად ძალიან არის შეზღუდული.

[3]უშნო ლაპარაკი (თანდ. 51)

[4] სიზმარში ლაპარაკი (თანდ. 51)

[5]„ყბედობა, ბოდვა, აბდაუბდა, ლაპარაკი“ (ქუთელია 2005: 161)

[6] (ხოფ. არქ) „ტრიალი“(ქუთელია 2005 : 161),

[7] ცეცხლის ბრიალი ბუხარში ან ღუმელში (თანდ. 69)

რგ: *ო-ბარგალ-უ*[1], *გურგულ-ამს*[2],
რქ: *ო-ქირქინ-უ*[3],
რხ: *ო-ხარხალ-უ*[4], *ო-ხირხინ-უ / ო-ხირხილ-უ*[5], *ო-ხორხოლ-უ*[6], *ო-ხურხულ-უ*[7],
რჭ: *ო-პურჭინ-უ*[8], *ო-კირჭოლ-უ*[9], *ო-ჭირჭილ-უ*,[10]
რდ: *პერდელ-ი*[11], *ო-დარდალ-უ*[12], *დარდალ-ა*[13], *ო-დარდალინ-უ*[14]
რთ: *ო-ფართალ-უ*[15], *ო-თართალ-უ*[16],
რჩ: *ო-ფურჩოლ-უ*[17], *ო-ქურჩოლ-უ*[18]
რფ: *ფარფალ-ი*[19], *ო-ფარფალ-უ*[20], *ო-ფირფიტ-უ*[21],
რპ: *პარპალ-აფა*[22], *პურპუჯ-ი*[23]
რტ: *ო-ჭირტოლ-უ// ო-ჭიტოლ-უ*[24] *ო-ღარტალ-უ*[25], *ო-ტარტალ-უ*[26], *ტირტირ-ი*[27]

---

[1] (ვიწ-არქ), „ბრაგუნი“, შდრ. ობრანგალუ (ხოფ. ვიწ) (ქუთელია 2005: 170)

[2] ქუხს (თანდ. 814)

[3] კისკისი (თანდ. 668)

[4] ხარხარი (თანდ. 696)

[5] კისკისი, ხიხვინი (თანდ.699)

[6] ერთმანეთში არევა, აღრევა (თანდ. 702)

[7] ხვრინვა (თანდ. 704)

[8] გაფუჭება (თანდ. 648)

[9] კრაჭუნი (თანდ. 610)

[10] წუწუნი (თანდ. 693)

[11] მსხვილფეხა საქონლის ბღავილი (თანდ. 711)

[12] უმიზნო მოლაპარაკე, უაზრო, უმიზნო ლაპარაკი (თანდ. 189)

[13] უაზრო, უმიზნო ლაპარაკი (თანდ. 189)

[14] კაკალი (თანდ. 593)(ეტიმ. კაკლის ჩხრიალს უკავშირდება ბერტყვისას)

[15] (ვიწ-არქ) –„რაიმეს კეთება ზერელედ“ (ქუთელია 2005 : 163)

[16] შეგროვება, შესიება (თანდ. 600)

[17] ჩურჩული (თანდ. 664)

[18] დაფშვნა (თანდ. 669)

[19] პეპელა (თანდ. 774)

[20] მნიშვნ.2. შუქის ციმციმი (თანდ. 662)

[21] სეირნობა, გართობა (თანდ. 663) შდრ. ქართ. ფარფატი

[22] საუბარი მოძრაობაში გაუჩერებლად (თანდ. 710)

[23] შესიება სხეულზე (თანდ. 717)

[24] შეხმატკბილებული ლაპარაკი (თანდ. 693), *ჭირტოლი* - ჩურჩული (თანდ. 862), *მეჭირტოლუ* - საუბარი, ლაპარაკი (თანდ. 478), *მჭირტოლუ* - ჭარტალი, ქაქანი, ძველი ამბების მოყოლა (თანდ. 560)

[25] ტიტინი ბავშვისა (თანდ. 670)

[26] ენის ტარტალი; ტიკტიკი (თანდ. 658)

[27] ტარატარი (ენისა), აბდაუბდა (თანდ. 756)

რკ: *ო-კარკალ-უ > ო-კაკალ-უ[1], ო-კორკოტ-უ(არქ) / ო-კუკურტ-უ//ო-კუკუტ-უ (ხოფ)[2], კერკელ-ი[3], ო-კერკელ-უ[4], ო-კირკოლ-უ[5],*

რზ: *ო-ზურზ-უ[6], გამა-ზურზ-აფა[7], გო-ზურზ-ერ-ი[8], ო-ბურზოლ-უ[9],*

რშ: *ო-შირშოლ-უ > ო-შიშოლ-უ[10], ო-შირშილ-უ,[11]*

რღ: *ღარღალ-ი[12], ო-ღირღოლ-უ (ხოფ.)[13] , ო-ღერღ-უ[14], ო-ღარღალ-უ[15], ღორღორ-ი[16]*

რწ: *ო-წურწოლ-უ[17], ო-წერწელ-უ[18], წორწოლ-ა[19],*

S(მ/ნ)+C[20]: ამ ტიპის მიმდევრობისათვის ორი შემთხვევა უნდა განვიხილოთ: 1. ძირის რედუპლიცირების ფაქტი, რომელმაც ხელი შეუწყო ნაზალური მიმდევრობის გაჩენას და 2. ნაზალების ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების შედეგად.

ნაზალური სონორი /ნ/ ლაბიალური რიგის ხშულებთან წინა პოზიციაში კომბინაციას არ ქმნის. ასეთი მცირე მანძილით დაშორებული აქცესიური ჯგუფები შეუთავსებელია ლაზური ფონოტაქტიკის თვალსაზრისით. ნბ-ნფ-ნპ მიმდევრობები ლაზურში, ფაქტობრივად, არ რეალიზდება. იშვიათია ინლაუტში (ქუთელია 2005: 138).

ნ+C:

ნც: *ო-ცინცონ-უ[21], გო-ცენცქ-უ // გო-ცინცქოლ-უ[22],*

---

[1] (ვიწ. ხოფ.) > ო-კაკალ-უ (ხოფ) „კაკანი“(ქუთელია 2005: 172)

[2] „წყალში რომ ფქვილს ჩაყრიან და აკორკოტდება“ (ქუთელია 2005: 171 კორკოლა (ხოფ. არქ) „1. ცხვრის ნაკელი შდრ. მეგრ. კირკოლი 2. ხუჭუჭი შდრ. მეგრ. კიროკილი“ (ქუთელია 2005: 171, კირკოლერი „დაგრეხილი“ (ქუთელია 2005: 172)

[3] „მრგვალი“(ქუთელია 2005: 172)

[4] ლაზურს სამზარეულოში ხის ან რკინის ჩამოსაკიდებელი (ხახვი, ნიორი, თევზი) (თანდ. 607)

[5] დაკლაკნვა (თანდ. 609)

[6] (ვიწ-არქ) „დაბუჟება“(ქუთელია 2005: 173)

[7] დაბუჟება (თანდ. 75)

[8] დახვავებული, დახვევა, დასევა (თანდ. 145)

[9] კამათი (თანდ. 592)

[10] ოშირშოლუ (ხოფ.) > ოშიშოლუ(არქ.) „არევ-დარევა“ (ქუთელია 2005: 173); მარტივდება პირველი კომპონენტის დაკარგვით (ქუთელია 2005: 173)

[11] რაკრაკი (თანდ. 676)

[12] (ხოფ) ლაპარაკი; ქუნთრუშა (თანდ. 809)

[13] ლაპარაკი (თანდ. 670)

[14]ღოღნა ძვლისა (თანდ. 670); (ვიწ) „ღრღნა“ (ქუთელია 2005: 175)

[15] ლაპარაკი (თანდ. 670)

[16] ბებერი (თანდ. 813)

[17] დასველება, წყალში ხელების ტყაპუნი (თანდ. 691)

[18] გაწუწვა (თანდ. 686)

[19] ბინძური (თანდ. 855)

[20] ლაზურში ზოგადად მოცემული კომპლექსის ფონემატური ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნებისათვის იხ. ქუთელია 2005: 156-160

[21] ხილის მხოლოდ გარსის შემოჭმა, გარშემოჭმული (თანდ. 845)

[22] ფანტელ-ფანტელ თოვა, მარცვალ-მარცვალ წვიმა (თანდ. 174)

ნჯ: *ო-ჯინჯოლ-უ*[1], *ჯუნჯურ-ი*[2], *ჯუნჯულ-ი*[3],
ნწ: *ო-წინწინ-უ*[4],
ნძ: *ო-ძანძალ-უ*[5],
ნზ: *ო-ზანზალ-უ,*[6]
ნთ: *ო-თანთალ-უ*[7],
ნდ: *ო-დუნდულ-უ*[8], *დუნდულ-ა*[9],
ნქ: *ო-ქუნქოლ-უ*[10],
ნკ: *ო-კანკალ-აფა*[11], *ოკანკონი*[12]
ნჭ: *ჭანჭახ-ი*[13], *მეჭინჭოლაფა*[14]
მ+C: *ო-ზიმზილ-უ*[15], *ჭიმჭიმ-ა*[16],
S(ნ)+C:
ნტ: *ო-ხვანტ-უ// ო-ხვატ-უ*[17], *ამა-ცხონტინ-აფა*[18], *ო-პუნტოლ-უ*[19]
ნჯ: *ო-ნჯახ-უ*[20], *ბენჯელ-ა*[21]
ნჩ: *მე-ნჩახ-უ*[22], *ო-ჩანჩ-უ*[23], *გელა-ნჩახ-აფა*[24], *ნო-ნჩეხვ-ი// ნო-ჩეხვ-ი*[25]

---

[1] ჯიჯგვნა (თანდ. 706)

[2] შტერი, სულელი (თანდ. 903)

[3] უთითო (თანდ. 903)

[4] გაზმორვა (თანდ. 688)

[5] ძანძალი (თანდ. 686)

[6] (არქ) „დაზანზარება“ (ქუთელია 2005:151)

[7] შენჯღრევა (თანდ. 600)

[8] თავისთვის ლაპარაკი, საუბარი (თანდ. 596)

[9] ზოზინა (თანდ. 229)

[10] ფეხით ჭყლეტა (თანდ. 669)

[11] კანაკალი, აკანკალებული (თანდ. 357, 605)

[12] საკაკუნებელი (თანდ. 606)

[13] „წყალ-ტალახი, წვიმის შემდეგ მიწა რომ ატალახიანდება“ (ქუთელია 2005: 148)

[14] დაბურდვა, დაპენტვა, დაბურდული (თანდ. 477)

[15] დინება (თანდ. 599)

[16] „(ხოფ) ბუზღუნა, ჭინჭყლი“ (ქუთელია 2005:129)

[17] ხვრა, ღრღნა, კვნეტა (თანდ. 698)

[18] შეხტომინება, შეხტომილი, შეხტომა (თანდ. 23)

[19] გაჩეჩვა, აფურტკნა“ ((ქუთელია 2005: 140)

[20] „დაბეჟვა, დაჯეჯგვა“ (ქუთელია 2005: 145

[21] „ბლაგვი“ შდრ. *ბეჯელა:* აია კოჩი *ბეჯელა* რენ „ეს კაცი ბრიყვია“ (ა. თანდილავა) (ქუთელია 2005: 145),

[22] დარტყმა, მირტყმა, ნარეკი, ნანჟღრევი, ნათხვლეფი, შედღვება, სადღვები, ათქვეფა, თქვლეფა, ნაყვა (თანდ. 447, 578, 616, 641)

[23] უადგილოდ ჩართვა ლაპარაკში; უაზრო ლაპარაკი (თანდ. 681)

[24] ჩამოკვრა (თანდ. 96)

[25] ნათხვლეფი (თანდ. 578)

ნჭ: *ხანჭენ-ი*[1], *ჭუნჭუ*[2]

ნც: *ო-რანცინ-უ*[3] , *ო-ცინც-უ*[4], *ო-ფანც-უ*[5]

ნწ: *ო-ნწირ-უ*[6], *ო-ზვანწ-უ*[7], *კაწანწელ-ა > კაწაწელ-ა// კატანწელ-ა*[8], *ო-წინწ-უ/ო-წონწ-უ*[9]

ნგ: *ო-ჩანგ-უ*[10], *ო-ბრანგ-უ*[11], *ო-ფანგარ-უ*[12], *ო-ცანგ-უ*[13], *ო-ძანგ-უ*[14], *ლანგან-ა*[15], *ო-წანგალ-უ*[16], *ო-დანგ-უ*[17], *ბანგალ-ი*[18], *ო-წინგილ-უ*[19].

ნკ: *ო-ნკაპინ-უ*[20], *გელა-ჩხანკ-აფა*[21], *ო-კანკ-უ*[22], *ო-ჭენკ-უ*[23], *გო-ცხანკ-აფა*[24]

ნძ[25]: *ნძანგ-უფ-ს*[26]

---

[1] მწვანეთვალება (თანდ. 872)

[2] (ათინ, ვიწ.) „ შიშველი“ (ქუთელია 2005: 148)

[3] რყევა; დამაყრუებელი ყვირილი (თანდ. 649)

[4] შალის ქსოვილის დაძენძვა; ბურკლების ამოსვლა (თანდ. 685)

[5] ნელი მირტყმა ხელისა (თანდ. 662)

[6] წივილი (თანდ. 643)

[7] ხეტიალი (თანდ.599)

[8] ხოფ. კაწაწელა - მაწანწალა, ძალიან გამხდარი, გაწნაკული (თანდ. 366) (ხოფ. არქ) კატანწელა (არქ) „ძალით გამხდარი, გაწნაკული“ (ქუთელია 2005: 143),

[9] გაწეწვა, წეწვა“, შდრ. ქართ. წეწვ-, მეგრ. წვიწვ-: წვიწვუნს „წეწვავს“, /ნ/ განვითარებულია (ქუთელია 2005: 144)

[10] ენის ბორძიკი (თანდ. 681)

[11] როშვა, უაზრო ლაპარაკი (თანდ. 591)

[12] დიდი კოცონის დანთება (თანდ. 662); შდრ. *დაჩხირი იფენგერუ* „ცეცხლი ბრიალებს“

[13] ცულით, ნამგლით ჭრა (თანდ. 684) შდრ, მეგრ. *მეცანგუ* „წაათალა“

[14] კენკვა, ძიძგნა (თანდ. 686)

[15] ხნიერი, მოხუცებული, დაბერებული, ლანგანა კოჩი (თანდ. 393)

[16] მეტალის ჟღერადობა (თანდ. 686)

[17]„ბასრი იარაღით ხის ამოკვეთა (დარტყმებით); ამ მოქმედებას თან სდევს ხმა (ქუთელია 2005: 148),

[18] (ხოფ). „გულისცემა“ (ჩიქობავა 1929: 463)

[19] ცალ ფეხზე ხტომა (თანდ. 688)

[20] სირბილი, გარბენა (თანდ. 638)

[21] ჩამოსმა, ჩამოკვრა, ჩამოკრული, კვესვა (თანდ. 99)

[22] „კაკუნი, ნაყვა“: ოკანკონი 1. საკაკუნებელი, სანაყი“; 2. ეჟვანი“ (ქუთელია 2005: 151)

[23] (ხოფ.) „ჯიჯღინი“(ქუთელია 2005: 151)

[24] მოკენკვება, მოკენკვა აკენკვა, კენკვა (თანდ. 174, 642, 685)

[25]„მძ- კომპლექსი ლაზურში უმნიშვნელო პარადიგმატული სიხშირით ხასიათდება, *ნძ-* - პირიქით. სავარაუდოა, რომ *ნდ-ნთ-ნტ-ნძ-ნძ-ნწ* მთელ რიგ შემთხვევაში ისტორიულად მიღებულია *მდ-მთ-მტ-მძ-მც-მწ* კომპლექსებისგან. ლოკალურ რიგთა იდენტიფიცირების შედეგად ვიღებთ ისეთ კონსონანტურ ჯგუფებს, რომელთა წარმოთქმა განხორციელდება საზიარო არტიკულაციის წესით“ (ქუთელია 2005: 142)

[26]/ნ/ განვითრებულია „კენკავს" (ქუთ.141)

S(მ)+C:
მპ: *მე-მპირ-უ*[1], *წკიმპოლ-უ*[2] , *წომპ-ა//წუმპ-ა*[3], *ო-წომპ-უ*[4], *ლომპუპ-ი*[5], *პუმპუ*[6]
მბ: *ტამბალ-ა*[7]
მქ: *ო-მქუმორ-უ / ო-მტკურ-უ*[8]
მკ: *ო-მკუს-უ*[9]
მჭ: *ო-მჭიხ-უ*[10]
მჩ: *ო-მჩახულ-ე*[11], *ო-მჩაკ-უ/ო-ნჩაკ-უ*[12]
მღ: *ო-მღორ-უ* > *ო-მღ-უ*[13], *მღ-უმ-ს (ვიწ. არქ.)//მღ-უფ-ს (ხოფ)*[14]

სამწევრა კომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი

SCC *(მ + ჰარმონიული კომპლექსი)* ლაზურში კანონიკურად ითვლება და ამგვარ სამწევრიან ჯგუფებში ჰარმონიული კომპლექსში მუდამ ძირეულია, ნაზალი კი ძირეულიც შეიძლება იყოს (მტკ: კლიმოვი 1964: 138) და განვითარებულიც; ანლაუტური ნაზალი ლაზურში ფუძის ორგანული ნაწილია და თანამედროვე ლაზურში ფონოლოგიზირებულია (ქუთელია 2005: 243).

[მ+CC]

მტკ: *ო-მტკეც-უ*[15], *ო-მტკურ-უ*[16]
მცქ > მსქ: *ო-მცქუმუნ-უ* (ხოფ. არქ.)[17] / *ო-მსქუმ-ლე / ო-მსქუმულ-უ*[18] (ვიწ. ათინ.); ვიწ.-არქ. მსკ: *ო-მსკუმულ-უ*

---

[1] ჩარტყმა (თანდ.439)

[2] ბზკენა (თანდ. 854)

[3] თავიდან ბოლომდე დასველება დიდ წვიმაში (თანდ. 855)

[4] „ძალიან დასველება, გაწუწვა“ (ქუთელია 2005: 112)

[5] ღორმუცელა (თანდ. 401)

[6] პატარა, ჯუჯა (თანდ. 717)

[7] დაბალ ადამიანზე იტყვიან (თანდ. 751)

[8] დანამცეცება, დაფქვა (არქ). (თანდ.630-631)

[9] (ათინ.) „კვნესა“, /მ/ განვითარებულია, შდრ. *ოკუსუ, ოკუსინუ* (ვიწ-არქ. ხოფ.) (ქუთელია 2005: 133), შდრ. მეგრ. კუს - ქართულ-ზანური ენობრივი ამოსავალია *კუს-* (ჩიქობავა 1938: 300; კლიმოვი 1964: 117-118).

[10] მუშტების ცემა (თანდ. 634)

[11] სადღვები (თანდ. 632), /მ/ განვითარებულია, შდრ. მეგრ. *ჩახუა* „დღვება“

[12] „ჩატენა“ (ძალიათ) ((ქუთელია 2005:. 129) შდრ. მეგრული ჩაკ- ძირი: ჩაკაფი, ჩაკალი რ.გ.

[13] *ომღუ* (ვიწ. არქ), ომღოუ, ომღორინუ (ხოფ) „ბღავილი“: მბღორამ (ვიწ. არქ.) „ვბღავი“, უნდა ყოფილიყო ბმღორამ - არაკანონიკური ბმღ მეტათეზისის საშუალებით იქცა კანონიკურ მბღ კომპლექსად; მოხდა S1 ნიშნის ინფიქსაცია“ (ქუთ. 137; 223); დეტალური ფონოლოგიური ანალიზისათვის იხ. ქუთელია 2005: 222-223

[14] „ღვივის“ (ცეცხლი) ქუთ. გვ.137; შდრ. მეგრ. *გო-ღვიღვინ-აფა*

[15] ტკეჩვა, დატკეჩვა, გატყავება, შეხეთქება, ტკეცება (თანდ. 629)

[16] (არქ.) დანამცეცება, დაფქვა (თანდ.630-631)

[17] ზღვაზე მზის სხივების კიაფი; წყალში თევზის ლაპლაპი (თანდ. 633)

[18] პრიალი, კიაფი, შუქის მოფენა, ლაპლაპი (თანდ. 629)

მწკ: *გო-წამწკილ-უ / გო-წამწკილ-აფა*[1]
მჭკ: *ო-ლამჭკ-უ*[2]
მჯგ[3]: *მე-მჯგალ-უ*[4]
მჩხ: *მჩხატ-უა*[5]
ნ+CC: ნაზალი /ნ/ ბილაბიალებთან კომბინაციაში დაუშვებელია (ქუთელია 2005: 258), სხვა შემთხვევაში რეალიზებულია:
ნშხ: *ქვანშხ-ა*[6]
ნდღ: *ნდღვარ-ა*[7], *ბუნდღოლ-ერ-ი*[8]
ნდგ: *გამა-ნდგაფ-ა*[9], *ო-ბანდგალ-უ*[10]
ნტკ: *მე-ნტკაბ-უ*[11], *ნტკვალ-/ო-ნტკვალ-უ/ ოკო-ნტკვალ-უ*[12]
ნთქ: *მო-ნქთალ-უ*[13], *მო-ნთქვ-აფა*,[14] *მო-ნთქომინ-უ*[15]
ნთხ: *მო-ნთხიმ-უ*[16]
ნცქ: *ო-ნცქიფინ-უ*[17], *გო-ცენცქ-უ || გო-ცინცქოლ-უ*[18], *ფუნცქულ-ი*[19]
ნძგ: *გე-ნძგილ-უ*[20], *ო-ნძგილ-უ*[21], *ო-ბრონძგ-უ*[22]
ნძღ: *ო-ბანძღ-უ*[23]

---

[1] წაწვეტება (თანდ. 177)

[2] ჟინჟღვლა (თანდ. 623)

[3] შდრ. „ზოგი არქაბელი ინფორმანტი დაჟინებით მოითხოვს ისეთ ფორმას, როგორიცაა *ომჯგინუ* (< *ოჯგინუ* „ჯობნება“*) ონჯგინუ-ს* ნაცვლად“ (ქუთელია 2005: 249)

[4] დამჯახებელი (თანდ. 442); დაჟეჟვა, მირტყმა (თანდ. 442)

[5] მოკამკამე, ბრჭყინავი (თანდ. 555)

[6] მბრწყინავი (თანდ. 798)

[7] ამღვრევა, მღვრიე (თანდ. 570)

[8] გაპუტული, პუტავს (თანდ. 69)

[9] გარტყმა, გარტყმული (თანდ. 78)

[10] *ობანდგალუ* (< *ობანგალუ* (ხოფ.) > *ობადგალუ* „ფართხალი, ფეთქვა (გულის)“ , *ნდგ* > *ნგ* სამწევრიანი კომპლექსის ასეთი გამარტივება კანონზომიერია ლაზურისათვის (ქუთელია 2005: 255)

[11] მიტკეპნა (თანდ. 446)

[12] პირის დაღება სხავადასხვა მიზეზით (თანდ. 583); სიგამხდრისაგან ლოყების ჩავარდნა/ჩაცვენა (თანდ. 616

[13] წყლის დაქცევა (თანდ. 513)

[14] ამოტივტივება, ამოტივტივებული (თანდ. 513)

[15] „(ხოფ.) ოდნავ შემხმარი“ (ქუთელია 2005: 255)

[16] მორტყმა, მოჯახუნება, მოჯახუნებული (თანდ. 512)

[17] აბურძგვლა (თანდ. 642)

[18] ფანტელ-ფანტელ თოვა, მარცვალ-მარცვალ წვიმა (თანდ. 174)

[19] „სიმინდის ფუჩეჩი“ (ქუთელია 2005: 255)

[20] ძიძგნა, კორტნა (თანდ. 103)

[21] კრიახი (თანდ. 642)

[22] ხეზე კაკუნი (თანდ. 592)

[23] იხ. *ობაძღუ* ნ-ს განვითრება დასაშვებია (ქუთელია 2005: 260)

ნტყ: *ტინტყილ-ი < ტიტყილ-ი*[1]
ნწკ: *ინწკილ-ი*[2], *ო-პენწკ-უ*[3], *პენწკ-ა*[4], *ნო-პინწკალ-ე*[5], *ო-ღანწკალ-უ*[6],
ნწყ: *ო-წონწყ-უ*[7]
ნცხ: *ო-ნცხუკ-უ*[8], *ო-ნცხანკ-უ*[9] , ნჩხ: *ო-ფუნჩხოლ-უ*[10]
ნჭკ: *ხონჭკალ-ი*[11], *ხლუნჭკ-ი*[12], *მო-ხენჭკ-უ*[13], *ხრენჭკ-უა*[14], *ო-ღვანჭკ-უ / ო-ღვაჭ-უ*[15], *პინჭკუ*[16]
ნჩქ: *ო-ხენჩელ-უ/ ო-ხენჩქელ-უ*[17]
ნჩხ: *ო-ნჩხალ-უ*[18], *გე-ნჩხილ-აფა*[19], *ო-კლანჩხ-უ*[20]
ნჯგ: *ო-ნჯგიუ // ო-ნჯღიმ-უ //ო-ნჯგიმოშ-უ*[21], *ო-ნჯგალ-უ*[22], *მე-ნჯგალ-აფა*[23], *ო-ნჯგიალ-უ*[24], *ჯანჯგულ-ა*[25]
ნჯღ: მე-ნჯღიმ-უ // ო-ნჯღიმ-უ[26], ნჯღილ-ი[27], ჯონჯღოლ-უ[28]

---

[1] „ძალიან თხელი, გაცვეთილი“ (ქუთელია 2005:260)

[2] პაწაწუნა (თანდ. 712)

[3] (ქართ.) *პენწკვა* (თანდ. 648) „წვრილად დაპობა ხისა“, *პინწკილი* „პატარა ჩამონატეხი ხის ნაჭრისა, ხიწვი“ (ქუთელია 2005: 255); შდრ. მეგრ. წკირი, ნოწკერი, ქართ. წკირი; აღნიშნული დაკავშირებისათვის იხ. ნადარეიშვილი 1974: 143 - 147

[4] პაწაწუნა (თანდ. 711-712) შდრ. (ხოფ.ვიწ.) „ნაპერწკალი“ (ქუთელია 2005:255)

[5] ნაპერწკალი (თანდ. 579)

[6] წკრიალი, რეკვა (თანდ. 670)

[7] „ძალიან დასველებ, გაწუწვა“(ქუთელია 2005: 261)

[8] დაჭმუჭვნა, ფორმის დაკარგვა, დაჭკნობ, მოღუნვა, მოკაკვა (თანდ. 642, 685)

[9] ონცხანკუ < ოცხანკუ (ქუთელია 2005: 261)

[10] დაფშვნა, დამცეცვა (თანდ. 664)

[11] მოწეული, მოწიფული (თანდ. 885)

[12] ქვიანი ადგილი; ნაპრალი; ჩავარდნილი უმზეო ადგილი (თანდ. 884)

[13] კბილების გადმოყრა სიცილისას (თანდ. 532)

[14] სიცილისას კბილების გამოჩენა (თანდ.888)

[15]კრეჭა (თანდ.670)

[16] ციცინათელა (თანდ. 713)

[17] სიცილისას კბილების გამოჩენა (თანდ.697)

[18] (ათინ. ხოფ. არქ.) „კაკლის დაბერტყვა“, შდრ. ონჩხალე „კაკლის საბერტყი ჯოხი, ჭოკი“ (ქუთელია 2005: 261)

[19] სარეკი, რეკვა, გამორეკვა (თანდ. 103)

[20] შუქის, სხივის მიმოფანტვა, აკიაფება (თანდ. 610)

[21] დაჭმუჭვნა (თანდ. 645-646)

[22] დაბეჟვა, დაჯეჯგვა (თანდ. 645)

[23] მირტყმევა, მოხვედრა, მირტყმული, წაკვრა, წარტყმა, მინარტყამი, დაბეგვა, დაბეგვილი (თანდ. 449, 579, 587)

[24] *ონჯგიალუ < ოჯგიალუ* (ხოფ. არქ) (ქუთელია 2005: 257, შდრ. *ოჯგიჲალე* - ჯირითი, სირბილი; ჟრიალი(?) (თანდ. 705)

[25] (ხოფ) „ბლაგვი“, ადარებს მეგრ. ჯაგულია, ეჯაგულერი ხამუ (ქუთელია 2005: 257); შდრ. ლაზ. *ჯანგარა// ჯანგული* - ბლაგვი დანა, ბლაგვი, ჩლუნგი (დანა ან ნაჯახი) (თანდ. 893)

[26] ჭყლეტა, ჭმუჭვნა (თანდ. 449)

[27] ჩუმი, ხმადაბლა (თანდ. 589)

[28] დაჭმუჭვნა (თანდ. 901) შდრ. მეგრ. *ჯღინჯღოლი*

CC-S [CC+ვ]- კანონიკური კომპლექსია, თუმცა ფონოსემანტიკური ფუძეების მცირე ნაწილში რეალიზდება.

ჩქვ: *ჩაჩქვ-ერ-ი*[1]

ჭკვ: *ო-ხოჭკვიდ-უ*[2]

ჭყვ: *ო-ჭყვი-უ*[3]

ჯგვ: *ჯაჯგვ-ერ-ი*[4]

ტკვ: *ოკ-ოტკვაცინ-უ*[5], *ტკვაც-აფა*[6]

ოთხწევრა კომპლექსები //ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი

„ლაზურისათვის კანონიკურია ოთხწევრიან თნხმოვანთკომპლექსთა სისტემა, რომლის ყველა წევრი შესაძლოა არ არის რეალიზებული, მაგრამ მარკირებულია ლაზური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით და შეესატყვისება ფონემათა შეერთების სტრუქტურულ კანონზომიერებას მოცემულ ენაში“. რიგების დარღვევა კონსონანტის ამოვარდნის დროს დაუშვებელია (ქუთელია 2005:286)

S-CC-S [ნ+CC+ვ]

ნჩხვ: *გელა-კვანჩხ-უ*[7], *ო-ნჩხვარ-უ*[8], *ო-ნჩხალ-უ*[9], *გე-ნჩხილ-აფა*[10]

ნჭკვ: *გე-ნჭკვად-უ*[11]

ნჭყვ: *ჭინჭყვალ-ა*[12]

ნტყვ: *ლანტყვ-ა*[13]

ნტკვ: *ო-კონტკვაცინ-უ /ოკო-მტკაცინ-უ / ო-ტკვაცინ-უ*[14]

ნდღვ: *ნდღვაბ-აფა//ო-ნდღვაბ-უ* [15], *ნ-დღვარ-აფა*[16]

ნჩხვ: *ო-ნჩხვარ-უ*[17], *გონო-ნჩხვარ-ე*[18]

---

[1] დაჩეჩქვილი (თანდ. 831); შდრ. *ოჩაჩქუ* - ჩეჩქვა (თანდ. 681)

[2] სილის უკურტყმა (თანდ. 702)

[3] ჭყივილი (თანდ. 696), შდრ. მეგრ. „ჭყიაფი” ამავე მნიშვნელობით

[4] (ხოფ. არქ) დაჩეჩქვილი, ძალით ჩატენა (თანდ. 894)

[5] ხელის ხელზე შემორტყმა (თანდ. 617)

[6] სკდომა, ფეთქვა, გამსკდარი, აფეთქებული, ხეთქვა (თანდ. 756)

[7] ჩაფშვნა, დაფშვნილი (თანდ. 95)

[8] ლეწვა, ცეხვა (თანდ. 641)

[9] რეკვა, ბერტყვა (თანდ. 641)

[10] სარეკი, რეკვა, გამორეკვა (თანდ. 103)

[11] ჩანჩქერი (თანდ. 103)

[12] ბავშვების აურზაური, დავიდარობა (თანდ. 862), 2. ჭიჭყინი (ბავშვების) (ქუთელია 2005: 261)

[13] შიმშილისაგან მუცელჩავარდნილი არსება (თანდ. 393)

[14] ხელის ხელზე შმოკვრა“ მტკვ < ნტკვ < ტკვ (ქუთელია 2005:290)

[15] ლაყება, ლაყე (თანდ. 570) (ხოფ. ვიწ-არქ) „გალაყება“ (ქუთელია 2005: 272), *ონდღვაბუ* (ხოფ) „დაღარვა, დასერვა“; ნ/ მ მონაცვლეობა ვიწურ-არქაბულში (ქუთელია 2005: 290)

[16] ამღვრევა, მღვრიე (თანდ. 570)

[17] *ჩხვარუა* „ცეხვა“, *ჩხვერე* - მცენარის სახელია მეგრულში (შედარებისათვის იხ. ქუთელია 2005: 290)

[18] დაჩეჩქვილი, გახურებული (თანდ. 159, 160)

მ+CC+ვ
მტკვ: *ო-მტკვაცინ-უ < ო-ტკვაცინ-უ*[1]*, მ-ტკვაცინ-უ*[2]
მჩხვ: *მე-მჩხვარ-უ*[3]*, ო-მჩხვარ-უ (ათინ.)*
მდღვ: *ო-მდღვაბ-უ*[4]*, ო-მდღვარ-უ (> ო-მდვარ-უ)*[5]

ძირითადი განსხვავება მეგრულსა და ლაზურს შორის აქ იჩენს სწორედ თავს. სონორიანი კომპლექსები მეგრელ-ლაზთა ერთიანობის პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს (მელიქიშვილი 1980:70; ქუთელია 2005:185)

მეგრულისაგან განსხვავებით, ლაზურის ორ-, სამ- ან ოთხწევრა მიმდევრობაში იშვიათად, მაგრამ მაინც, შეიძლება შეგვხვდეს ერთდროულად ორი სონორი (ქუთელია 2005:185), ამ იშვიათობის რამდენიმე შემთხვევა ბგერწერითი ფუძეებშიც ვლინდება:
S+S რვ: *ო-ვარვალ-ონი*[6]*, ვირვილი*[7]*, ვარვალი*[8]
S+C+S:
ნტრ: *მე-ნტრაც-უ*[9]*,*
ნთრ*: გო-ნთრაც-უ/ გო-ნთრაშ-უ*[10]
ნჟვ: *გოლო-ნჟვარ-აფა* [11]
ნქვ: *მო-ნქვ-აფა*[12]
ნჩვ: *ნო-ნჩვალ-უ*[13]
მბრ: *გო-მბრუწინ-უ*[14]

ლაზურში *გზ//მზ, გჟ//მჟ, ფს//მს, ფშ//მს* არაკანონიკურ მიმდევრობებს ადგენს; კომპლექსები დეცესიური და ჰომოგენურია მჟღერობა-სიყრუის მიხედვით, თუმცა არაკანონიკურია ლაზური ფონოტაქტიკის თვალსაზრისით და არ შეესაბამება ლაზურში ფონემათა დისტრიბუციის სტრუქტურულ მოდელს, რომელიც გამორიცხავს ანტერიორული რიგების ფონემათა შეერთებას ნებისმიერ მიმდევრობაში; ასევე დაუშვებელია ერთი და იმავე რიგის ფონემათა შეერთებანი (ქუთელია 2005: 304), რომელიც ფონოსემანტიკურ მოდელებშიც რეალიზდება:

---

[1](ხოფ. ვიწ-არქ) „აფეთქება“ მ განვითარებულია *მტკვ> ტკვ*. ამასთან ხოფურში *მტკვ//ნტკვ - ონტკვაცინუ*

[2] აფეთქება; ამფეთქებელი (თანდ. 438)

[3] ფშვნა-ტეხა (თანდ. 447)

[4] (ხოფ. ვიწ.) „გალაყება“ (ქუთელია 2005: 288)

[5] (ხოფ.) „დაღარვა, დასერვა“ (ქუთელია 2005: 288)

[6] საბარბაცო (?); საბერველი (თანდ. 597)

[7] ბრიალი (თანდ. 278)

[8] ბრჭყვიალი (თანდ. 275)

[9] მიწის ჩაშვავება, ჩაშვავებული, მეწყერი (თანდ. 446-447) // *ონტრეცინუ, ონტრუცუ* (ვიწ. არქ. ხოფ.) > *ონტუცუ* (ხოფ.) „დაშლა, მოშლა“: *კაია ქამენტრუცუ* „კლდე ჩამოიშალა“ (ქუთელია 2005: 283)

[10] ძალიან გაბერილი, გასივებული (თანდ. 156)

[11] მაღალი ბლაგვი საგნის ბალახ-ბულახით დაჟეჟვა, დაჟეჟილი (თანდ. 148)

[12] ამოტივტივება, ამოტივტივებული (თანდ. 513)

[13] მიშხეფება (თანდ. 578)

[14] (ხოფ.) აფეთქება, გასკდომა, გაგლეჯა (ქუთელია 2005: 282)

ბზ: *ო-ბზიტილინ-უ*[1], *ო-ბზიალონ-ი*[2];

ფშ: *გო-ფშიტილ-ერი*[3].

ლაზური ენის ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით ასევე დაუშვებელია ერთი და იმავე რიგიდან შერჩეული თანხმოვნების კომბინაცია, თუმცა bb – [*წინა სიბილანტს + ჰომორგანული ხშული*] არაკანონიკური *სთ, სტ* კომპლექსები დადასტურებულია საერთო-ქართველურ დონეზე მარკირებულიც (მაჭავარიანი 1965: 306) - სტვ||სთვ: *მესტვალუ*[4] // *მესთვალუ*.

თუ მსგავსი ფორმებისთვის აღნიშნულ პოზიციას CVC (დახურული მარცვლის) რედუპლიცირებული ძირების საზღვრად ჩავთვლით,[5] ფონემათა ამგვარი თანხვედრა ინლაუტში არც დანარჩენი ქართველური ენებისათვის იქნება უცხო.

აღნიშნულ მიმდევრობებს, ქართულისა და მეგრულის მსგავსად, ვერც ლაზურში ჩავთვლით ფონესთემებად იმავე პრინციპებიდან გამომდინარე, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ.

ლაზურში ფონესთემებად არ შეიძლება ჩაითვალოს:

1. ინლაუტური კომპლექსები, რომლებიც არ ქმნიან მონოლითურ კლასტერს სემური ერთიანობის თვალსაზრისით;

2. ფაკულტატური ვარიანტები, სამწევრა ან ოთხწევრა კომპლექსები, რომლებიც ყალიბდება სონორთა მიმატებით ან გამოკლებით; თუკი ამგვარი კომპლექსი ერთი დიალექტის ფარგლებში არ არის სტაბილური და სონორის კლება / მატება არ ცვლის სემანტიკურ ნიუანსს, ასეთ შემთხვევაში სემის მნიშვნელობა უკავშირდება მხოლოდ სტაბილურ კომპლექსს და არა სონორს. მაგრამ თუკი ვითარება განსხვავებულია დიალექტთა მიხედვით, ანუ რომელიმე დიალექტში სონორი კლასტერის შემადგენელი მყარი ელემენტია, რომელიც ასევე უკავშირდება მნიშვნელობას, მაშინ ის განიხილება ფონესთემად.

კონსონანტური ბგერწერა სვანურში

სვანურში თანხმოვანთა მიმდევრობები მხოლოდ ბალსზემოური მასალის საფუძველზეა შესწავლილი. ანალიზის დროს ამოსავლად აღებულია ორწევრა კომპლექსები, ვინაიდან ნებისმიერ ენაში სწორედ ორწევრა კომპლექსები ავლენენ უფრო სრულად თანხმოვანთა ურთიერთკომბინაციის შესაძლებლობებს. სტაბილურ ორწევრა მიმდევრობათა შექმნაში სვანურში არ მონაწილეობს /ჳ/ და /ჱ/ თანხმოვნები. ორწევრა მიმდევრობები კი სპირანტიზაციით ყალიბდება (ბაბლუანი 1985:98-99).

[1] წყლის შესხმა (თანდ. 591)

[2] საბზრიალებელი (ნიგვზით) (თანდ. 591)

[3] ყურებდაცქვეტილი, ყურების ცქვეტა (თანდ. 167)

[4] სრიალი, ტრიალი (თანდ. 457)

[5] ვინაიდან ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დერივაციული სუფიქსი ფუძის კუთვნილებაა და ამგვარი ფუძეები ფუნქციონირებენ როგორც დაუშლელნი. დაწვრილებით იხ. ამავე მონოგრაფიაში რედუპლიკაციისა და სუფიქსაციის საკითხებთან დაკავშირებით; გვ. 172-228; 229-266.

სვანურის სტაბილურ ორწევრა მიმდევრობებში უგამონაკლისოდ მოქმედებს ზ. ჯაფარიძის მიერ სალიტერატურო ქართულის კონსონანტური ჯგუფებისათვის დადგენილი წესი (იხ. ჯაფარიძე 1967:147), იგი ერთი მორფემის ფარგლებში ყოველგვარ კონსონანტურ ჯგუფს ეხება (ბაბლუანი 1985:100).

სვანურში დაუშვებლადაა მიჩნეული:

ა) სხვადასხვა აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური აქცესიური მიმდევრობები *(წინაენისმიერი + ბაგისმიერი, უკანაენისმიერი + წინაენისმიერი, უკანაენისმიერი + ბაგისმიერი).*

ბ) ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური აქცესიური მიმდევრობები *(წინაენისმიერი + წინაენისმიერი, უკანაენისმიერი + უკანაენისმიერი).*

მაგრამ დასაშვებადაა მიჩნეული ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები ის აქცესიური მიმდევრობები: *ყრუ სიბილანტი + წინაენისმიერი არაფშვინვიერი ხშულ-მსკდომები* (სდ, სტ, შდ, შტ). გარდა ამისა, დასაშვებია სხვადასხვა აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური დეცესიური მიმდევრობები *(ბაგისმიერი + უკანაენისმიერი, წინაენისმიერი + უკანაენისმიერი).*

არ დასტურდება *ბაგისმიერი + წინაენისმიერი* სახის სტაბილური დეცესიური მიმდევრობები.

სვანურში დადასტურებულ ორწევრა სტაბილურ მიმდევრობებს საფუძვლად ედება მკაცრი დისტრიბუციული შეზღუდვები, რაც განსაზღვრულია ჰარმონიულობა-არაჰარმონიულობისა და აქცესია-დეცესიის წესებით.

სვანურში დადასტურებული 36 სტაბილური მიმდევრობიდან დეცესიურია 32, 4 კი - აქცესიური. ცხადია, გარკვეული შეზღუდვები ედება როგორც დეცესიას, ისე აქცესიას. დეცესიური მიმდევრობები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: *წინაენისმიერი ჩქამიერი + უკანაენისმიერი ჩქამიერი.*

აქცესიური მიმდევრობები კი ძირითადად ასეთი სახისაა: *ყრუ სიბილანტი + წინაენისმიერი არაფშვინვიერი ხშულ-მსკდომი: სდ, სტ, შდ, შტ.*

რაც შეეხება ორწევრა კომპლექსთა ჰარმონიულობა-არაჰარმონიულობას, შეიძლება ითქვას, რომ სვანურში ჩქამიერთა სტაბილური ორწევრა მიმდევრობები მზარდი სონორობით უგამონაკლისოდ ჰარმონიულია, ხოლო კლებადი სონორობის მიმდევრობები უგამონაკლისოდ აჰარმონიული.

ჩქამიერთა სტაბილური სამწევრა და უფრო გრძელი მიმდევრობები, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც არ დადასტურებულა (ბაბლუანი, იქვე).

საგულისხმოა, რომ რომ ვ. თოფურიამ უფრო მოგვიანებით სვანური ენისათვის დეცესიური კომპლექსების არსებობა მიიჩნია ბუნებრივად (თოფურია 2002:98).

სვანურშიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული, ასევე სისინა და შიშინა თანხმოვნების მონაცვლეობა ქმნის *გგერწერით კონებს.* ხშირად ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მეორე ნაწილში თავკიდური თანხმოვნის მონაცვლედ გვევლინება ბაგისმიერი ბგერები (ბ _ ბ, გ _ გ, დ _ დ, ზ _ ზ, თ _ თ, კ _ კ, პ _ პ, ჟ _ ჟ, ტ _ ტ, ფ _ ფ, ღ _ ღ, ყ _ ყ, შ _ შ, ჩ _ ჩ, ც _ ც, ხ _ ხ), ხშირ შემთხვევაში კი პროგრესულ დისიმილაციასთანაც გვაქვს საქმე (თ _ თ > თ _ ფ, კ _ კ > კ _ პ, ყ _ ყ > ყ _ ჭ, ბ _ ბ > ბ _ დ, გ _ გ > გ _ ჰ, ფ _ ფ > ფ _ თ, ჟ _ ჟ > ჟ _ ყ...). გვხვდება, ასევე, მარცვლის შეცვლით გაორკეცების შემთხვევებიც (თ _ თხ, ჩ _ ჩხ, ც _ ცხ, წ _ წკ, ჯ _ ჯღ...). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რედუპლიცირებული ფუძეების პირველი ნაწილის აუსლაუტში გვაქვს *სონორი,* მეორე ნაწილის აუსლაუტში კი *ხშული* ან *სისინ-შიშინა ნაპრალოვანი*

თანხმოვნები (გაორკეცება ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით _ რ _ ტ, რ _ ც, რ _ შ). სვანურში დაფიქსირდა, ასევე, რამდენიმე ისეთი რედუპლიცირებული ფორმა, რომელშიც ორივე ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი -ლ- სონორია, პირველი ფუძის თავკიდური თანხმოვნები სხვადასხვა რიგისაა, მეორე ფუძის თანხმოვანი კი ყველგან ხშული -ბ- თანხმოვანია (ჟ ~ ბ, ს ~ ბ, შ ~ ბ, ხ ~ ბ).

ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი იწარმოება უაფიქსო, გაუფორმებელი ძირების გაორკეცებით მიღებულ გაორმარცვლიანებულ ფუძეებზე სხვადასხვა სუფიქსთა დართვით, რის მიხედვითაც შესაძლოა გამოიყოს როგორც ორწევრა და სამწევრა, ისე *ოთხწევრა* და *ხუთწევრა* სისტემებიც კი; თუმცა ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, სვანურისთვის არ არის დამახასიათებელი, ფონოტაქტიკის წესებს ეწინააღმდეგება და არც სისტემას არ ქმნის.

ფონემური შედგენილობის მიხედვით ანლაუტში შეიძლება იყოს როგორც ცალი თანხმოვანი, ისე კომპლექსი. ცალთანხმოვნიანის შემთხვევაში ფონემა შერჩეულია ნებისმიერი რიგიდან თუ სერიიდან (ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, გ, ქ, კ...), მათ შორისაა ზოგი სონორიც. ინლაუტში კი დასაშვებია ორწევრა ან სამწევრა მიმდევრობები. ამასთან, მიმდევრობაში პირველი კომპონენტი ყველგან სონორია, მომდევნოდ კი წარმოდგენილია სხვადასხვა რაგვაროვნების თანხმოვნები.

თანხმოვანთკომპლექსები // ფ ო ნ ე ს თ ე მ ე ბ ი ანლაუტში.

ფონოსემანტიკური ფუძის ანლაუტში მხოლოდ და მხოლოდ ორწევრა კომპლექსი დასტურდება _ *ჩქამიერი + ჩქამიერი,* ინლაუტში კი დასაშვებია სამწევრა და ოთხწევრა კომპლექსებიც, თუმცა ასეთი შემთხვევა ძალიან მცირე რაოდენობის ფონოსემანტიკურ ფუძეშია რეალიზებული

B რიგის კომპლექსები

ბღ: *ბღვ̄ლ/ბღვლ* „ბღავილი“, *ბღ̄ლ/ბღულ* „ბღუილი“...

ფხ: *ფხიკ* „ფხაკუნი“, *ფხურკუნ* „ფაკა-ფხუკი“, *ფხვრკვ̄ნ/ფხვრკვნ* „ფხაკუნი“, *ფხვრჭვ̄ნ/-ფხვრჭვნ* „ფხაჭუნი“...

პყ: *პყ̄ლი* „კიკინი, ბღავილი (თხისა)“...

დღ: *დღვ̄ლ/დღვლ* „ძლიერი დარტყმის შედეგად გამოცემული ხმა“, *დღილ-დღვლ* „მირტყმა-მორტყმის ძლიერი ხმა“, *დღ̄ლ/დღულ* „წველის დროს გამოცემული რძის მონოტონური ხმა“...

თხ: *თხვლ* „დაყვირება“, *თხურპ̄ნ/თხურპუნ* „თხუპუნი“, *თხვრპვ̄ნ/თხვრპვნ* „თხუპუნი“, *თხვრშვნ* „თხლაშანი“, *თხიკ* „ფაფის და მისთანა ნივთიერების დასხმის ხმა“, *თხისკ* „ნისკარტის ჩარტყმის ხმა“...

ტყ: *ტყიც* „გახსნის, გახევის, გაფხრეწის ხმა“, *ტყჭისგ* „ტკაცანი“, *ტყურსგ̄ნ/ტყურსგუნ* „ტკაცა-ტკუცი“, *ტყიპ* „ტყაპანი“, *ტყვრპვნ* „ტყაპა-ტყუპი“, *ტყ̄ლიპ* „წყალში, გუბეში... რაიმეს ჩავარდნის ხმა“, *ტყურფუნ/ტყურფ̄ნ* „ტკაცანი, სროლის ხმა“...

ძღ: *ძღვლ* „ძლიერი ხმა (მაგ. იარაღის გავარდნისა)“...

ცხ: *ცხვლ/ცხულ* „ცეცხლის, ცხიმის შიშხინი“, *ცხურკუნ* „ცხუკუნი“, *ცხვრპვნ* „წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (მაგ., ფაფეულისა)“...

წყ: წყიგ „წყლის წვეთვის ხმა“, *წყვრგვნ* „წანწკარი (წყლისა)“...

ჯღ: *ჯღაჭე* „ჟღავის“

ჩხ: *ჩხიკ, ჩხვრკვ̄ნ/ჩხვრკვნ* „ჩხაკუნი, ჩხაკა-ჩხუკი“, ჩხუტ, ჩხურტუნ „ხის ტოტების მტვრევის ხმა“, *ჩხვ̄ლ/ჩხვლ* „მსხვრევის ხმა“, *ჩხურმ̄ნ/ჩხურმუნ / ჩხვრმვ̄ნ/ჩხვრმვნ* „მსხვრევის ხმა“, *ჩხიფ* „წყლის გადასხმის ხმა“, *ჩხ̄ჭ* „ძროხის მოშარდვის ხმა“, *ჩხ̄რ/ჩხურ* „მოშარდვის

ხმა“, *ჩხურფუნ/ჩხურფუნ* „წყლის ძლიერი ჩუხჩუხი“, ჩხგრფგ̄ნ/ჩხგრფგნ „წყლის ძლიერი ჩუხჩუხი“...

ჭყ: *ჭყგ̄ლ/ჭყგლ* „ჭყივილი“, *ჭყურტუნ* „ჭუკჭუკი (მწყრისა)“, *ჭყგრმგ̄ნ/ჭყგრმგნ* „ჭყივილი, ხმაური“...

A რიგის კომპლექსები

დგ: *დგუ̂იბ* „დუგდუგი, ბაგაბუგი“, *დგულიბ* „დუგდუგი“, *დგურბუნ* „დუგდუგი, ბაგაბუგი“...

თქ: *თქგრშგნ* „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი“...

ტკ: *ტკუ̂იპ* „ტკაპანი“, *ტკიჩ* „ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“, *ტკგრჩგ̄ნ/ტკგრჩგნ* „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“, *ტკუ̂ირ* „ხმა, რომელსაც გამოსცემს ღორი კურკების ჭამისას“, *ტკუ̂იც* „დარტყმის ხმა“...

ძგ: *ძგგ̄ლ/ძგგლ* „ძლიერი სროლის ხმა“, *ძგუ̂იბ* „გლეჯა, წყვეტა“, *ძგურბუ̂ნ/ძგურბუნ* „რაიმეს გაგლეჯვის, გაწყვეტის ხმა“...

ცქ: *ცქგრტგნ* „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი“...

წკ: *წკგლ* „წკრიალი“, *წკუ̂ლ/წკულ* „წკმუტუნი“, *წკგლპგნ* „წკლაპუნი“...

ჯგ: *ჯგუ̂იბ* „მუჯლუგუნის გარტყმის ხმა“, *ჯგურბუნ* „რახუნი კარებზე მუშტების დარტყმით“...

ჩქ: *ჩქგრფგნ* „ძლიერი ჩუხჩუხი წყლისა“...

ჭკ: *ჭკგრპგნ* „კბილების კრაჭუნი“, *ჭკგლპგნ* „კრიჭინი“, *ჭკგლუ̂გნ* „ციმციმი (ვარსკვლავთა)“...

ზღ: *ზღუ̂იპ* „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა“

სტ: *სტულ* „გამაყრუებელი ხმა“, *სტგ̄ლ/სტგლ* „გამაყრუებელი ხმა“, *სტუ̂იფ* „თავში ჩარტყმის ხმა“...

სგ: *სგუ̂იჭ, სგურჭუნ* „იარაღის გასროლის ხმა“...

სყ: *სყიფ* „ძაღლის ძლიერი ყეფა კბილების კრაჭუნით“...

სხ: *სხგლ* „წყლის ხმაური, თქრიალი“...

შკ: *შკიფ/შკუ̂იფ* „ხმელი საგნის ჩარტყმის ხმა“, *შკურფუნ/შკგრფგნ* „ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის ჩარტყმის ხმა; კაკუნი“...

შხ: *შხგ̄ლ/შხგლ* „წყლის ხმაური, შხრიალი“, *შხიპ* „წკეპლის დარტყმის ხმა“, *შხგრპგნ* „წკეპლის გადაჭერის ხმა“...

შყ: *შყიბ/შყ̄იბ* „ჯახაჯუხი“, *შყურბუ̂ნ/შყურბუნ* „ბრაგუნი“...

შკ: *შკურფუნ*

ჟღ: *ჟღგლ* „ბავშვის გაბმული ტირილი; მოტირალ ქალთა ბღავილი“, *ჟღგრმგ̄ნ/ჟღგრმგნ* „ჟრიამული“, *ჟღიპ* „რაიმეს გაჭყლეტის ხმა“...

სვანურში ფონოსემანტიკური ფუძეების ანლაუტში ასევე დასტურდება სონორთა შემცველი შემდეგი ორწევრა კომპლექსები:

C+S(რ)

ბრ: *ბრახ, ბრიხ* „ბრახაბრუხი, ბრახვანი“

დრ: *დრიზ* „გარტყმის, დაცემის ხმა“

წრ: *წრუფ* „გოჭების მიერ ძუძუს მოწოვის ხმა“

ჯრ: *ჯრიბ* „ჯლაგუნით სიარულის ხმა“

ჩრ: *ჩრით* „მსუბუქად დავარდნის ხმა“

ღრ: *ღრიჭ* „ღრჭიალი, ღრაჭუნი“

ხრ: *ხრუკუ̂* „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“

C+S(ლ)

ფლ: *ფლიჩ* „მსუბუქად დავარდნის ხმა“

გლ: *გლიჯ* „გლეჯა, გლაჯუნი“
ქლ: *ქლიფ* „დამშეულის აჩქარება საჭმლის კეთების დროს“
კლ: *კლიჭ* „კბენის ხმა“, *კლიქ* „მჭრელი იარაღის ზედიზედ ჩარტყმის ხმა“
ჩლ: *ჩლითხ* „ჩლატაჩლუტი“
ყლ: *ყლიპ* „ყლაპვა“, ყლიფ „გარტყმის, გატეხვის ხმა“, *ყლიტ* „ყლაპვა დიდი ლუკმებით“
ჴლ: *ჴლიფ* „კბეჩის ხმა“
ხლ: ხლ+ე̄უ̄+ა „ხალხის ხმაური“
C+S(უ̄):
ჭუ̄: *ჭუ̄იხუ̄* „ორთა კოცნის ხმა“
ჟუ̄: *ჟუ̄იფ* „მუშტის გარტყმის ხმა“
ღუ̄: *ღუ̄იჭ* „ლაყბობა, ლიკლიკი, მითქმა-მოთქმა“
ყუ̄: *ყუ̄იგ* „ხმაური“...

გარდა ორწევრა მიმდევრობებისა, ფონოსემანტიკურ ექსპრესიულ ფუძეთა ანლაუტში დადასტურდა სამწევრა და ოთხწევრა მიმდევრობებიც, რომელთა ერთ-ერთი წევრი (ზოგჯერ ორიც) სონორია:
CSS = C +უ̄+S
S(რ): *ტუ̄რიმ* „მტვრევის ხმა“, *ხუ̄რიმ* „ხრამუნი“, *ხუ̄რიგ* „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“, *ხუ̄რიკვ* „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა ბავშვის მიერ“, *ხუ̄რიპ* „ხვრეპა“, *ხუ̄რიჭ* „თაგვის ხმა, რომელიც რაღაცას ხრავს“, თუ̄რის „გაიძვერული სიარული“, *ტუ̄რიმ* „მირტყმა-მორტყმის, მტვრევის ძლიერი ხმა“, *ღუ̄რიმ* „ხრამუნის ხმა“, *ყუ̄რიგ* „კაკუნის თანმიმდევრული ხმა“,
S(ლ): *ქუ̄ლიზ* „მსუქანი ქალის სიარული; ქუნქრუზი“, *გუ̄ლიბ* „სითხეში მძიმე საგნების ჩავარდნის ხმა“, *შუ̄ლიპ* „ჩარჭობის ხმა; ჭანჭრობში სიარულის ხმა“, *ღუ̄ლიჭ* „წკეპლის გადაჭერის ხმა“, *ყუ̄ლიჩ* „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“, *ყუ̄ლიფ* „თოფის სროლის ხმა“,
CC+S(უ̄)
ჩხუ̄იფ „მსხვრევის ხმა“, *წკუ̄იპ* „გაწყვეტის ხმა (მაგ., ძაფისა, რეზინისა...)“, *ჭკუ̄იპ* „ძაფის გაწყვეტის ხმა“, *ჯგუ̄იბ* „მუჯლუგუნის გარტყმის ხმა“, *თხუ̄იზ* 1. „გაძრომ-გამოძრომა“, 2. „რბილ რამეში ზედიზედ რაიმეს ჩარჭობის ხმა“, *შკუ̄იფ* „ხმელი საგნის თავში ჩარტყმის ხმა“, *შხუ̄იპ* „წკნელის გატყლაშუნების ხმა“, *შყუ̄იბ* „ჯახაჯუხი“, *ჭკუ̄იპ* „ძაფის გაწყვეტის ხმა“
CC+S(ლ)
თხლიპ „თანმიმდევრული ხმა ქალამნებით ტლაპოში სიარულის დროს“, *ჭკლ+ე̄უ̄+ა* „დიდი ხმაური“, *ჯგლ +ე̄უ̄+ა* „ხალხის ხმაური, ჯგრიალი“
CC+ S(უ̄)+S(ლ)
დღუ̄ლიბ „წყალში ჩავარდნის თანმიმდევრული ხმა“, *დგუ̄ლიბ* „დაგადუგი, დგაფუნი“

თანხმოვანთკომპლექსები ინლაუტში

საკითხის ანალიზისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ორი ასპექტი:
1. რედუპლიკაციით ძირთა საზღვარზე თავმოყრილი თანხმოვანთკომპლექსები;
2. ისტორიულად არარედუპლიცირებულ, -უნ/-უ̄ნ, -გნ/-გ̄ნ, ე̄ნ, -ე̄უ̄(ა)/-ეუ̄(ა) სუფიქსთა დართვით მიღებულ ფუძეთა ინლაუტში დადასტურებული თანხმოვანთკომპლექსები[1].

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ.250-266

რედუპლიკაციის პროცესის წარმართვაში მთავარი ადგილი სვანურშიც სონანტებს უჭირავთ. სვანურში ამ პროცესში ძირითადად -რ- სონორი ფიგურირებს, რომელიც ორწევრა და სამწევრა მიმდევრობებში ყველგან კომპლექსის ინლაუტში (ანუ მორფემათა ზღვარზე) არის წარმოდგენილი. იგი ზოგ ფუძეში ძირეულია (მაგ.: ბქ. *ტურმუნ* „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“, შდრ. *ტურიმ*; ბზ., ლშხ. *ღერჭენ*, ბქ., ლნტ. *ღერჭენ* „ღრჭიალი (თმისა)“, შდრ. *ღრიჭ; ხურმუნ* (ბქ.) „ხრამუნი“, შდრ. *ხრიმ...),* ზოგში კი აშკარად ფონეტიკური დანართია (მაგ.: ბქ. *მერტყენ* „უშნო ჭამა ხმის გამოცემით“, შდრ. მიტყ; ბქ. *სერტენ* „ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი“, შდრ. სიტ; ბქ. *შრთქენ* „წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით“, შდრ. შითქ...), რასაც, ვფიქრობთ, თავდაპირველი ფუძეების ჩვენებაც ადასტურებს. ერთი რამ კი ცხადია, ამოსავალ მარტივ ფუძეებში სონორის არსებობამ ხელი შეუწყო რედუპლიკაციის პროცესებს, შესაბამისად კი სუფიქსების გაჩენას[1].

ორწევრა ინლაუტური კომპლექსები:

SC : რბ: *ბერბენ* „ჭახანი, ბათქუნი, ბათქა-ბუთქი“, *გურბუნ* „რახრახი“...
რღ: *ღურღუნ* „ჩუხჩუხი (წყლისა)“, *ფერღენ* „კანკალი, ცახცახი“, *ცერღონ* „კანკალი, ცახცახი“
რტ:*ტერტენ* „რატრატი“, *ბერტენ* „ტორტმანით სიარული“
რკ: *კურკუნ* „კრუსუნი“
რჭ: *ყერჭენ* „გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი“
რჩ: *ყურჩუნ* „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“
რგ: *ბურგუნ* „ბრაგუნი, ხმაური“
რქ: *ჭერქენ* „ხმამაღალი სიცილი; ფრუტუნი“
რყ: *ყერყ-ონ* (ბზ.) „პირდაღებული ტირილი“...
მტ: *ტიმტ+ეუ+ა* „ბავშვების ჟრიამული“

იშვიათად სონორი + სონორი (რმ): *ღურმუნ* „ხრამუნი, ხმელი თივის ჭამის ხმა“.
სამწევრა ინლაუტური კომპლექსები:
SCC: 1. რ/ლ/მ/ნ + ხშული + ხშული
რთქ: *ბერთქენ* „ბათქუნი, ბათქა-ბუთქი“
რდგ: *დერდგენ* „დაგადუგი, დუგდუგი“
რწკ: *ღერწკენ* „ღრიჭინი“, *წურწკუნ* (უშგ.), *წურწკუნ* (ბქ., ქს.) „წკმუტუნი; წუწუნი“...
რჭკ: *ჭერჭკენ* „ჟრიამული, ხმაური“
ლჯგ: *ჯელჯგენ* „ჯაგაჯუგი“

2. რ/ნ + ხშული + ნაპრალოვანი
რტყ: *მერტყენ* „ხმაურით ჭამა“
რჟღ: *ჟერჟღენ* „ჟღარუნი“
რჩხ: *ფერჩხენ* „შრიალი, შარიშური (ქაღალდისა, ფოთლებისა...)“
რცხ: *ფერცხენ* „კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)“
რთხ: თერთხენ „თითხინი“
რჭყ: *ჭერჭყენ* „ჭიჭყინი, ჟრიამული“
ნჭყ: *ჭენჭყ+ონ+ა* „ხმაური (ბავშვებისა)"

[1]აღნიშნული საკითხის შესახებ დაწვრილებითი ანალიზი იხ. ამავე მონოგრაფიის გვ. 250-266.

3. რ + ნაპრალოვანი + ხშული

რსგ, *ტყურსგ̌ნ* „ტკაცატკუცი“

რსდ, *ფურსდ̌ნ* (ბქ., ლნტ.)/*ფურსტ-უნ* (ბქ.) „ჩურჩული“

ოთხწევრა ინლაუტური კომპლექსები:

SCCS: ამგვარ მიმდევრობებში ანლაუტშიც და აუსლაუტშიც თითქმის ყოველთვის დასტურდება სონორები, პირველ წევრად შესაძლოა იყოს მ, ნ, რ სონორები, მეოთხე წევრად კი /ჳ/ და /ლ/:

ლი-შუნშხ̌ე „ქსუტუნი“

ლი-რტყ̌ი „ყლაპვა“

ლი-მინჩხლ̈ჳ̌ი „დამსხვრევა“

ემპირიული მასალის ანალიზი ნათელყოფს, რომ სვანურის ფონოსემანტიკური ფუძეების ანლაუტში სონორები კონსონანტ(ებ)ის მომდევნოდ რეალიზდება: CS და CCS, დასაშვებია ორი სონორის მიმდევრობაც: CSS; ინლაუტში კი სონორი რეალიზებულია, როგორც კონსონანტის წინა პოზიციაში (SC), ისე მომდევნოდ (CS); ამასთან თნხმოვანთმიმდევრობაში სონორს უჭირავს უკიდურესი პოზიცია თავსა და ბოლოში: SCCS. რაოდენობრივად სვანურში აშკარად ჭარბობს ორწევრა SC და CC მიმდევრობების ფონოსემანტიკური მოდელები. რაც შეეხება ოთხწევრა ფონოსემანტიკურ მიმდევრობებს, ისინი სვანურში იშვიათად დასტურდება.

ფონოსემანტიკური ფუძეების ანლაუტური ფონესთემები

ორწევრა მიმდევრობები				სამწევრა მიმდევრობები		
CC				CCS		
ბღ	ძგ	ტკ	ჭკ	წკჳ̌	ჩხჳ̌	შჳლ
თხ	ცქ	შხ	სგ	ჭკჳ̌	თხჳ̌	თჳრ
ტყ	ჯგ	ჩქ	ჩხ	ჯგჳ̌	თხლ	ხჳრ
ფხ	ჩქ	ჟღ	სხ	დგჳ̌	ტჳრ	ქჳლ
ცხ	ჭკ	სხ	ზღ	დღჳ̌	ღჳლ	ხჳრ
ჩხ	წკ	დგ	სყ	შკჳ̌	ღჳრ	ტჳრ
ძღ	წყ	თქ	შკ	შხჳ̌	ყჳლ	ჭკჳ̌
დღ	თქ	ჭყ	პყ	შყჳ̌	ყჳრ	გჳლ

ფონოსემანტიკური ფუძეების ინლაუტური თანხმოვანთმიმდევრობები

ორწევრა მიმდევრობები						სამწევრა მიმდევრობები			ოთხწევრა მიმდევრობები
SC			CS			SCC			SCCS
რბ	რჭ	ღრ	ჟჳ̌	ჩლ	ჯრ	რთქ	რსგ	რჭყ	ნშხჳ̌
რღ	რჩ	ღჳ̌	ქლ	ჭჳ̌	ბრ	რდგ	რსდ	რჭკ	რტყჳ̌
რტ	რგ	ყჳ̌	წრ	ჯლ	დრ	რთხ	რჩხ	ლჯგ	ნჩხლ
რმ	რქ	ყლ	ხრ	ზღ	ფლ	რტყ	რცხ		
რკ		გლ	კლ	ჩრ		რჟღ	რწკ		

კონსონანტური ბგერწერა ქართველურ ენებში

ქართველური ენების კონსონანტურ მოდელებში თითქმის ყველა თანხმოვანია გამოყენებული ბგერწერისათვის. ფონემათმიმდევრობა განსაზღვრულია კონკრეტული ენის ფონოტაქტიკის წესით. მათი განლაგება სტრუქტურებში ჰომოგენურობის პრინციპს ემყარება. გვხვდება:

1) ცალთანხმოვნიანი კონსონანტური მოდელები ანუ მონოფონემებისგან შემდგარი სტრუქტურები;

2) თანხმოვანთკომპლექსიანი კონსონანტური მოდელები, რომელთაგან ბგერწერითი ღირებულება აქვთ მხოლოდ ფონესთემებს;

კომპლექსთა სიგრძე ენების მიხედვით განსხვავებულია: ქართული- {1 – 6/8}, მეგრული {1 – 4}, ლაზური {1 - 4}, სვანური {1 - 4}; ოთხწევრა მიმდევრობები სიხშირული თვალსაზრისით ძალიან ცოტაა.

ქართულში მარცვალთა აგების სონორობის პრინციპს იყენებს და ამიტომ ამ ენაში დასაშვებია ქართველურ ენათაგან ყველაზე გრძელი მიმდევრობა: *ბრდღვნ-, ფრცქვნ-, პრტყვნ-,* რომელიც CC სტრუქტურის ფუნქციური ელემენტების დამატებით კიდევ უფრო იზრდება. მეგრული კონსონანტთა ამგვარ სიგრძეს ვერ გუობს, ამიტომ მას მიჯნავს ანაპტიქსური ხმოვნით: *ბურდღონ-/-ინ-, ფურცქონ-/-ინ-, პურტყონ-/-ინ-...*

ქართ.	*ფრ-ცქ-ვ-ნ-*	*ფრ-თხ-ვ-ნ-*	*ბრ-დღ-ვ-ნ-*	*პრ-ტყ-ვ-ნ-*
მეგრ.	*ფურ- ცქ-ონ-*	*ფურ-თხ-ონ-*	*ბურ-დღ-ონ-*	*პურ-ტყ-ონ*
ქართ.	*დ-ი-დღ-ნ-*	*თ-ი-თხ-ნ-*	*ტ-ი-ტყ-ნ-ა*	
მეგრ.	*დღ-ი-[რ]-დღ-ონ*	*თხ-ი-[რ]-თხ-ონ*	*ტყ-ი-[რ]-ტყ-ონ*	

ქართველური ენების ფონოტაქტიკით დაშვებული ყველა თანხმოვანთკომპლექსის დადასტურება, ცხადია, არც ფონოსემანტიკური ფუძეებისთვის ხერხდება. ფონოსემანტიკურ სტრუქტურებში ფონემათა განაწილება-თავსებადობის საკითხები ქარველურ ენებში განსხვავებულია:

1. მეგრულისათვის თნხმოვანთკომპლექსი ერთდროულად დასაშვებია როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტში; ანუ ერთი ფუძის ფარგლებში კომპლექსთმონაცვლეობა მხოლოდ მეგრულისათვის დამახასიათებელი ნორმაა. ითვლება, რომ ამ ენაში ანლაუტური კომპლექსები რეგრესულად ასიმილაციით არის ჩამოყალიბებული (ყოფშიძე 1914: 07); სხვა ქართველურ ენებში რედუპლიცირებული ფუძის ანლაუტში კომპლექსი არ ვითარდება.

2. თუ ფონემათმიმდევრობის საკითხებს განვიხილავთ გუდავა-გამყრელიძის მიერ მეგრულისათვის დადგენილი ოთხწევრა abcd რიგის მიხედვით, ამ სქემას მისდევს არა მხოლოდ მეგრული, არამედ ლაზურიც მცირედი განსხვავებით: a = /რ/ /ნ/ - მეგრული; a = /მ//ნ/-ლაზური. ქართულსა და სვანურში /რ/, /ლ/ სონორების განაწილების წესი ერთნაირია,

ისინი პირველ პოზიციაზე არ დაჩნდებიან, ანლაუტში კონსონანტების შემდგომ რეალიზდებიან:

მეგრული[1]	ლაზური	ქართული	სვანური
რC	რC, Cრ	Cრ, Cლ	

2.1. *კონსონანტი + სონორი,* მეგრული ენის ფონოტაქტიკური წესების თანახმად, ანლაუტში დაუშვებელია, სხვა დანარჩენი ქართველური ენებისაგან განსხვავებით, ამიტომ აღნიშნული მიმდევრობა არც ფონოსემანტიკურ ფუძეებში გვხვდება; მიუხედავად იმისა, რომ იგი ლაზურშიც არაკანონიკურად ითვლება, ვიწურ-არქაბულის არაერთ მაგალითში დასტურდება, ხოფურში კომპლექსი მარტივდება სონორის დაკარგვის ხარჯზე. მეგრულისაგან განსხვავებით, სამწევრა - *რ + ჰარმონიული* კომპლექსი - ლაზურის ფონოსემანტიკური ფუძეების ანლაუტში არ გვხვდება, რადგან აღნიშნულ პოზიციაზე ორწევრა კომპლექსი დაუშვებელია.

3. ბილაბიალური /ბ/, /ფ/, /პ/ თანხმოვნები შესაბამის ჰომოგენურ წყვილთან (ბგ, ფქ, პკ) ქართველური ენების ფონოსემანტიკურ ფუძეებში არ რეალიზდება;

4. თუ მეგრულს ახასიათებს /ნ/, /რ/ სონორების და /ვ/ კონსონანტის განვითარება და, ხშირ შემთხვევაში სემანტიკის უცვლელად, რაც ფონეტიკური ვარიანტულობის საფუძველი ხდება, ლაზურს ახასიათებს დიალექტთა მიხედვით კომპლექსის გამარტივება რ-ს დაკარგვის ხარჯზე, მ/ნ სონორები კი ისტორიულად არის ჩამოყალიბებული და ენის კვლევის სინქრონიულ დონეზე ისინი ფონოლოგიზებულად ითვლება; ლაზურში ნ/მ სონორები თანხმოვანთკლასტერებში შემავალი მყარი ფონემებია და ქმნის ფონესთემებს მაშინ, როცა მეგრულში ისინი არც ისე სტაბილურია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება მეგრულსა და ლაზურს შორის სწორედ აქ იჩენს თავს. სონორიანი კომპლექსები მეგრელ-ლაზთა ერთიანობის პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს (მელიქიშვილი 1980: 70; ქუთელია 2005: 185)

5. ყველა ქართველურ ენაში მეტ-ნაკლებად გვაქვს პოზიციურად ანლაუტური არაკანონიკური ორწევრა ფონესთემები; აღნიშნულ კომპლექსთაგან სტრუქტურირებულ ფუძეთა უმრავლესობა სემანტიკურად ხმაბაძვითია და სამყაროში არსებული რეალური ხმებისადმი ფონეტიკური ინვენტარის მიმსგავსებას გულისხმობს.

ფონოსემანტიკური ანალიზისთვის დავასკვნით, რომ ქართველურ ენათა ფონოსემანტიკური ფუძეების კონსონანტური ანალიზისას გამოიყოფა:

1. ცალკეული ფონემები, რომელთა დიფერენცირებითა და სემანტიკური დონის უმცირეს ელემენტებთან, სემებთან, კავშირის დადგენით, ხერხდება იმ სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა, რომელსაც შეიცავს ფუძე.
2. ფონემათა ერთიანი კომპლექსები - ფონესთემები, რომელთაც ასევე უკავშირდება სემანტიკური კომპონენტ(ებ)ი. აქვე შევნიშნავთ, რომ ფონესთემებად ვერ ჩაითვლება მარცვალთა საზღვარი, მიუხედავად თავმოყრილ თანხმოვანთ- მიმდევრობის კანონიკურობისა.

ქართველური ენების ფონოსემანტიკურ ფუძეში გადმოცემული მნიშვნელობა ბგერწერის მიხედვით შეესაბამება ტ. გუდავას მიერ მეგრულისათვის დადგენილ კანონზომიერებებს (გუდავა, 1958):

მჟღერი	ფშვინვიერი	გლოტალიზებული	სპირანტები
დიდი, მსხვილი, მძიმე	შერბილებული, მცირე, არამკვეთრი, ზედაპირული, მსუბუქი, ჰაერში შესრულებული მოქმედება (მელიქიშვილი 1999: 83)	პატარას, მკვეთრს	უარყოფითი ემოცია

როგორც მაგალითებიდან გამოჩნდა, სისინ-შიშინობის დაპირისპირებაც ინტენსიურად არის გამოყენებული ქართულ ბგერწერით სისტემაში (მელიქიშვილი 1999: 83), აქაც ის მიმართება აისახება, რომელსაც მეგრულის მასალაზე დაყრდნობით ტ. გუდავამ მიაქცია ყურადღება:

სისინა	შიშინა
მაღალი ტონი, სიპატარავე, სიმსუბუქე	დაბალი ტონი, დიდი, უხეში, მძიმე

სისინ-შიშინობის ამ სინესთეზიურ კონებთან დაკავშირება არც სხვა ენებისთვის არის უცხო, როგორც რ. იაკობსონი მიუთითებს, ამერიკის ინდიელთა ენებში დაბალი პერიფერიული ხმოვნებისა და თანხმოვნების მონაცვლეობა მაღალ პერიფერიულთან იძლევა დიდი და მცირეს დაპირისპირების ასახვას (იაკობსონი 1983).

/რ/	/ლ/	/ნ/
მკვეთრი დინამიკა[2]	არამკვეთრი დინამიკა	დინამიკის მიხედვით ნეიტარლური

დ. ენ ჰოლისკისა და ნ. კახაძის მიერ ქართული „საუბრის მანერის“ გამომხატველი ექსპრესივების დეტალური ფონოსემანტიკური ანალიზის შედეგად დადგენილი თანხმოვანთა სიმბოლოები ორი ნიშნის მიხედვით ასე გამოიყურება (ჰოლისკი, კახაძე 1981: 189):

(ა) ფონაციის ტიპი

გლოტალიზებული ყრუ	მაღალი ტონი, უფრო პოზიტიური
მჟღერი	დაბალი ტონი, უფრო ნეგატიური

გ) არტიკულაციის ადგილი	
ბილაბიალური	რბილი, დაბალი ტონი
ველარული - უვულარული	მაღალი ტონი - დაბალი ტონი
ველარული სპირანტი	დაბალი, უფრო ნეგატიური

საინტერესო სურათს იძლევა ნ. კიზირიას მიერ ექსპერიმენტულად 14 ნიშნის მიხედვით დადგენილი ფონემური დიფერენციალური ნიშნების სემანტიკა[1], რომლებიც ემთხვევა სხვა ქართველურ ენების მონაცემებსაც:

ხმოვნები		
მჟღერები	ფშვინვიერი	აბრუბტივები
დაბალი, ნელი, დიდი, მუქი, ბლაგვი, ლამაზი, კარგი, ძლიერი, წრიული, მაგარი, ჩუმი	ნაზი, კარგი, ჩუმი, სუსტი, დაბალი, პატარა, წრიული, რბილი, ბლაგვი	მაღალი, უშნო, უხეში ძლიერი, ღია ფერის, მჭრელი, ხმამაღალი, წვრილი

ნაპრალოვნები

/ვ/- დაბალი, ლამაზი, ნელი, ნაზი, პატარა, სუსტი, მუქი, რბილი, ბლაგვი, ჩუმი, წვრილი;

/ზ/, /ს/ - ცივი, მაღალი, სწრაფი, ნაზი, წრიული, ღია ფერის, მაგარი, მჭრელი, წვრილი. ორ შემთხვევაში უპირისპირდებიან ერთმანეთს: /ზ/ - დიდი, ძლიერი, /ს/- პატარა, სუსტი;

/ჟ/, / შ/ - /ჟ/ - ძლიერი, მჭრელი, ხმამაღალი, ცივი, უხეში; / შ/ -სუსტი, ბლაგვი, ჩუმი, დაბალი კარგი, მუქი, რბილი;

/ზ/, /ს/ - სწრაფი, წვრილი ~ /ჟ/, /შ/ - ნელი, მსხვილი; საერთო - წრიული;

/ღ/,/ხ/ - საერთო: უშნო, უხეში, ძლიერი, მუქი, ცივი, მაგარი. /ღ/ - წრიული, დაბალი, ხმამაღალი ხ- კუთხოვანი, ცუდი, ბლაგვი;

ჟღ, შხ - ნელი, დიდი, მსხვილი;

სონორები

ყველას საერთო მახასიათებელია: კარგი, წრიული;

/მ/ - თბილი, მაღალი, ლამაზი, ნელი, დიდი, ძლიერი, მუქი, რბილი, ბლაგვი, ჩუმი, მსხვილი;

/ნ/ - ცივი, დაბალი, ლამაზი, ნელი, პატარა, სუსტი, რბილი, ბლაგვი, ჩუმი, წვრილი;

/რ/- ხშირად უპირისპირდება დანარჩენ სონორებს: ცივი, მაღალი, სწრაფი, უხეში, დიდი, ძლიერი, მუქი, მაგარი, ხმამაღალი, მსხვილი;

/ლ/ - თბილი, დაბალი, ლამაზი, ნელი, ნაზი, დიდი, სუსტი, რბილი, ბლაგვი, ჩუმი, მსხვილი.

(კიზირია 19982: 8-10).

[1] ექსპერიმენტი ჩატარებულია ცდისპირთა შეზღუდულ რაოდენობაზე, არ არის განსაზღვრული ასაკი და სქესი.

ვოკალური ბგერწერა

ქართველურ ენებში ბგერწერითი ყალიბები შედგება როგორც კონსონანტების, ასევე ვოკალებისგან და, ცხადია, ფუძის სემანტიკა ერთიან ვოკალურ-კონსონანტურ სტრუქტურას უკავშირდება; აღნიშნული სტრუქტურების დიფერენცირება ფონოლოგიურ ნიშნებად და მათი შესაბამისობის დადგენა ცალკეულ სემასთან, ფონოსემანტიკური ფუძის საერთო მნიშვნელობის დადგენას ემსახურება. ფუძეთა ფონოსემანტიკა ქართველურ ენებში ვოკალურ-კონსონანტურია.

ხმოვნების განდასება ფონოსემანტიკურ მოდელში რამდენიმე ფაქტორზე (წესსა და შეზრუდვაზე) ჩანს დამოკიდებული:

1. სინტაგმატურ სტრუქტურაში რაგვარობის მიხედვით განსხვავებულ კონსონანტთა მეზობლობა, ბგერათკომბინირების საკითხები;
2. რედუპლიკაციის პრინციპები;
3. სუფიქსაციის პრინციპები, რომლებიც აპირობებს ძირისეული ხმოვნის ცვლას.

აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, ფონოსემანტიკური მოდელში ნებისმიერი ფონემის (თუ მორფემის) განლაგება კონკრეტული ენობრივი სისტემის ფონო- და მორფოტაქტიკის კანონების შესაბამისია.

პლატონიდან მოყოლებული გარკვეულ ინტერესს იწვევს ხმოვანთა სიმბოლიკის საკითხის კვლევა ენათმეცნიერებაში. ფილოსოფოსი /ი/ ბგერას უკავშირებდა „მჭიდროს, ვიწროს, ნაზის, პატარას“ იდეის გადმოცემას. ზოგადად, ხმოვნების და მათთან დაკავშირებული იდეების განსაზღვრა ხდება ორი გზით: ექსპერიმენტის (სეპირი 1929; ცურუ, ფრიზი 1932; ბაინდურაშვილი 1971) და ბგერწერითი მოდელების დისტრიბუციული და სტატისტიკური ანალიზი, რომელიც ავლენს განსაზღვრული ხასიათის კანონზომიერებებს (პაჯეტი 1930; შასტენი 1964).

ე. სეპირის ექსპერიმენტის თანახმად, ხმოვანთა შკალაზე /ა/-სთან ახლოს განთავსებული ხმოვნები გამოხატავენ „დიდს“, მაშინ, როცა /ი/ ხმოვანთან ახლოს მდგარი ხმოვნები - მნიშვნელობას „პატარა“ (სეპირი 1929); /ი/ იწვევს პატარა საგნების ან არსებების წარმოდგენას, /ო/ და /ა/ - დიდებისას (ბონფანტე 1964: 355). რ. იაკობსონმა მოგვცა ხმოვანთსიმბოლიზმის სამწევრა, ე. სეპირის კლასიფიკაციისგან განსხვავებული, დაპირისპირება: /ა/ - ნეიტრალური, /ი/ - პატარა, /უ/- დიდი (იაკობსონი 1979).

ხმოვნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველური ენების ბგერწერითი შინაარსების გადმოცემისას. მათი მოდიფიცირებით ერთგვარ კონსონანტურ ყალიბში შესაძლებელია ახალი მნიშვნელობების მიღება. საინტერესოა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართველური ენების ხმოვანთა სისტემასთან დაკავშირებულ ფონეტიკურ სიმბოლიზმს, როგორ არის გადაწყვეტილი ხმოვანსა და სემანტიკას შორის ზოგადად ენებისათვის უნივერსალურად მიჩნეული /ა/ - „დიდი“, /ი/ - „პატარა“ მიმართებების საკითხი ქართველური ენების ფონოსიმბოლურ სისტემაში;

ვოკალური ბგერწერა ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში

ქართველური ენების ფონემატურ სისტემაში ვოკალებს აწეულობისა და რიგის მიხედვით ახასიათებენ. ვოკალური ბგერწერის შემთხვევაშიც საუბარია იმ ტერმინთა ფარგლებში, რომლებიც მათ ახასიათებს *რიგის, აწეულობისა* და *არტიკულაციის, ღიაობისა* და *ნაკლებად ღიაობის* მიხედვით. თოთოეული ნიშანი უკავშირდება სემანტიკურ კომპონენტებს.

ხმოვანთა რაოდენობა ქართულსა და ლაზურში თანაბარია, ხუთი ფონემით არის წარმოდგენილი, ხოლო მეგრულში მას ემატება მეექვსე, ნეიტრალური ხმოვანი.

რიგი / აწეულობა	წინა	უკანა	
	პალატალური	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
მაღალი	ი	ჶ	უ
საშუალო	ე		ო
დაბალი		ა	

ქართულსა და ზანური ჯგუფის ენების ბგერწერით ლექსიკაში ერთგვაროვან ბგერწერით ყალიბებში გვაქვს /ი/, /უ/ და /ა/ ხმოვნები, სწორედ ისინი ქმნიან გამოკვეთილ ბგერწერით ტიპებს.

ქართულსა და ლაზურში /ე/ და /ო/ ძალზედ იშვიათად არის გამოყენებული (როგორც შესაბამისი შინაარების ნაკლებ მკვეთრად გამომხატველები), მეგრულში კი იმავეს თქმა შეიძლება მხოლოდ /ო/-სა და /უ/-ზე; /ე/ კი მნიშვნელოვნად არის ჩართული მეგრული ფონოსემანტიკური ფუძეების სიტყვაწარმოების პროცესში[1]. აღნიშნული კონცეფცია ეხება რედუპლიცირებულ ფუძეებს, არარედუპლიცირებულ ფუძეებში კი უგამონაკლისოდ გვხვდება ყველა ხმოვანი.

სხვადასხვა კონსონანტური სტრუქტურის რედუპლიცირებული ბგერწერითი ფუძეები *იდენტურ და განსხვავებულხმოვნიანია;*

1. იდენტურხმოვნიანი ფუძეები

ა. CVCV ტიპი - ღია მარცვლის რედუპლიკაცია, V=V

ქართულის მონაცემები

ა~ა	ი~ი	უ~უ
ბაბა-ნ-ი	ბიბი-ნ-ი	ბუბუ-ნ-ი
ფაფა-ნ-ი	ფიფი-ნ-ი	ფუფუ-ნ-ი
პაპა-ნ-ი	პიპი-ნ-ი	პუპუ-ნ-ი
ღაღა-ნ-ი	ღიღი-ნ-ი	ღუღუ-ნ-ი

[1] საკითხისათვის იხ. შესაბამისი პარაგრაფი, ასევე: ქობალავა 1979; 1980; გერსამია 2003; კარტოზია და სხვ. 2010.

ყაყა-ნ-ი	ყიყი-ნ-ი	ყუყუ-ნ-ი
ზაზა-ნ-ი	ზიზი-ნ-ი	ზუზუ-ნ-ი
----------	წიწი-ნ-ი	წუწუ-ნ-ი

მეგრულში, ქართულისაგან განსხვავებით, მხოლოდ /ი/ ხმოვნიანი ვარიანტი დასტურდება, მნიშვნელობით ქართულისაგან განსხვავებულია: *ჟიჟინ-აფა* „გაჟიება“, *[გო]-შიშინ-აფა* „გასისინება“, *[გო]-ზიზინ-აფა* „გაზიზინება“, *სისინ-ი* „სუსვა, მდუმარება“, *ხიხინ-აფა* „გამოშრობა“, *ქიქინ-აფა* „პირის დაფჩენა; ღიაობა“, *ფიფინ-ი* „ფოფინი; ფხორვა; თრთოლვა“, *ტიტინ-აფა* „გავსება“, *ჭიჭინ-აფა* „წიფხვა, ჭაჭვა, გასკდომა, გასიება“[1]... სვანურსა და ლაზურში ამ ტიპის ფონოსემანტიკური ფუძეები არ გვაქვს. *სვანურში* დადასტურებული ერთადერთი იდენტურხმოვნიანი CVCV- სტრუქტურის ფუძე *წიწინ-* „წიწინი, წრიპინი“ ქართულიდან შეთვისებული ჩანს (მ. საღლიანი);

ლაზურშიც მწირად, მაგრამ მაინც დასტურდება ანალოგიური სტრუქტურის ფუძეები, თუმცა მათი უმრავლესობის მიღების საფუძველი /რ/ სონორის დაკარგვა ჩანს: ო-კუკულ-უ, *გო-ჯიჯილ-უ, ხუხული, ო-შაშალ-ინ-უ ო-ჭაჭალ-უ, ო-ჭიჭილ-ინ-უ.*

ბ. CVC-CVC ტიპი - დახურული მარცვლის რედუპლიკაცია:

ქართული ენის დიალექტების მონაცემები ცხადყოფს, რომ ამ ტიპის მოდელებში ქართულის ხუთივე ხმოვანი დასაშვებია, თუმცა სიხშირულად /ე/ ძალზე იშვიათია მარტივ რედუპლიკატებში:

ა~ა	ი~ი	ო~ო	უ~უ	ე~ე
ბაგბაგი	ბიჟბიჟი	ბოქბოქი	ბუტბუტი	რეცრეცი
კაწკაწი	ზიმზიმი	გოზგოზი	გურგური	ქევქევი
ლაწლაწი	კისკისი	ზორზორი	დუგდუგი	ქეცქეცი
ნარნარი	თიხთიხი	ლოშლოში	კურკური	
რაკრაკი	ლიგლიგი	ხორხორი	ლუკლუკი	
საქსაქი	ლივლივი	ქორქორი	ფუსფუსი	
ტარტარი	ხითხითი	ხორხოცი	ღუდღუდი	
ფარფარი			ჭუკჭუკი	

იშვიათია ასეთი მაგალითები სხვა ტიპის გაორმაგებაშიც (*ცენცერი, ქვერქვეტი, ყერყეტი, ტენტერი...).* მიიჩნევენ, რომ რედუპლიცირებული ფუძეები /ე/ გახმოვანებით ქართულში აგრეთვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ერთელიშვილი 1970:182).

ერთი და იმავე კონსონანტური სტრუქტურის ფარგლებში ხმოვანთა მონაცვლეობით მიღებული რედუპლიცირებული ფუძეები კი, ფაქტობრივ, არ შეიცავენ /ო/ ან /უ/ ხმოვნებს.

[1]ფუძეთა განმარტებები მოყვანილია ი. ქობალიას მეგრულის ლექსიკონიდან (2010).

ა~ა	ი~ი	უ~უ	ო~ო
ძაგძაგი	ძიგძიგი	ძუგძუგი	*(იშვიათად):*
რახრახი	რიხრიხი	რუხრუხი	როხროხი
რაკრაკი	რიკრიკი	რუკრუკი	
----------	ტიკტიკი	ტუკტუკი	

მეგრული

CVC-CVC			*C_nVC-C_nVC*	
ა~ა	ი~ი	უ~უ		
ზარზალი	ზირზინი	ზურზული	ჯგარჯგალი	ჯგირჯგინი[1]
ხარხალი	ხირხინი	—	წყარწყალი	წყირწყინი
ტარტალი	ტირტინი	—	ჭყარჭყალი	ჭყირჭყინი
დარდალი	დირდინი	—	ჯღირჯღინი	ჯღირჯღინი

რედუპლიცირებულ ფუძეების ორივე რედუპლიკატში /ე/ იშვიათად არის ჩართული: *კერკელი, გერგელი* „კოტრიალი, ტრიალი“.

ლაზურში ქართულისა და მეგრულის მსგავსი სისტემების აგება ვერ ხერხდება; ძალზე იშვიათია იდენტური კონსონანტური სტრუქტურის ფარგლებში ხმოვნის ცვლა და ამგვარად ახალი ფონოსემანტიკური ფუძეების წარმოქმნის შესაძლებლობა.

ა~ა	ი~ი ან უ~უ
ო-ვარვალ-ონ-ი / ვარვალ-ი	ო-ვირვილ-ონ-ი / ვირვილ-ი
ო-ტარტალ-უ	ტირტირ-ი
ო-ცაცხალ-უ	ო-ციცხილ-უ
ო-ღარღალ-უ	ო-ღურღულ-უ

ხმოვნებით განსხვავებული იდენტური თანხმოვანთკლასტერები მნიშვნელობით სხვაობს;

ზოგადად *CVC-CVC, C_nVC-C_nVC* სტრუქტურაში უფრო ხშირად რეალიზებული /ა/, /ი/ და /უ/ ხმოვნები; ამ თავისებურებით ლაზური უფრო ახლოს დგას ქართულთან:

ა ~ა	ი~ი	უ~უ	ო~ო	ე~ე
ო-ხარხალ-უ	ო-ჭირჭილ-უ,	ბურბულ-უა	ო-ხორხოლ-უ	ო-წერწელ-უ
ო-თანთალ-უ	ო-თირთინ-უ	ო-კუნკულ-უ	ო-ჯონჯღოლ-უ	ო-კერკელ-უ

[1] მეგრულშიც ნეიტრალური ხმოვანი დასავლური დიალექტისთვის არის დამახასიათებელი, მნიშვნელობას არ ცვლის და ასეთი მოდელი ფონეტიკურ ვარიანტად განიხილება.

ო-ძანძალ-უ	ო-შირშილ-უ	ნო-გურგულ-ე	ღორღორ-ი	ტერტელა
ო-ბარბალ-უ,	ო-ზიმზილ-უ	ჭურჭულ-ი	შორშოლ-ა	
ო-ჩაჩხალ-უ	გო-წინწინ-აფა	ო-ღუღულ-უ	წორწოლ-ა	
ო-ფანგარ-უ	ო-ფირფინ-უ	ჯუნჯურ-ი		
ო-ფარფალ-უ	ო-ქირქინ-უ			
ო-კარკალ-უ				
ო-ტატყალ-უ				

1. არაიდენტურხმოვნიანი ფუძეები.

აქაც განიხილავენ სხვადასხვა ფონოსემანტიკურ მოდელს; ქართველურ ენათა მონაცემები განსხვავებულ ვითარებას ასახავენ:

მაერთი ხმოვნით რედუპლიცირებული ძირები ქართულში

CVC-V_{link}-CVC:

ა~ა~უ: *ტაკ-ა-ტუკ-ი, ჩახ-ა-ჩუხ-ი, ჭახ-ა-ჭუხ-ი, რახ-ა-რუხ-ი, რაკ-ა-რუკ-ი, ფაც-ა-ფუც-ი*

ა~ი~უ: *ტაკ-ი-ტუკ-ი, --------- ჭახ-ი-ჭუხ-ი, რახ-ი-რუხ-ი, რაკ-ი-რუკ-ი, ფაც-ი-ფუც-ი...*

CVC_n-V_{link}-CVC_n ან C_nVC-V_{link}-C_nVC:

ა~ა~უ: *ბათქ-ა-ბუთქ-ი, თქარ-ა-თქურ-ი, ფართხ-ა-ფურთხ-ი...*

ა~ი~უ: *ბათქ-ი-ბუთქ-ი, თქარ-ი-თქურ-ი, ფართხ-ი-ფურთხი...*

მეგრულში მაერთხმოვნიანი სტრუქტურის ფუძეები არ დასტურდება, სამაგიეროდ საკმაოდ პროდუქტიულია რედუპლიცირებული ხმოვანმონაცვლე სტრუქტურები მაერთი ხმოვნის გარეშე როგორც დახურული, ისე ღია მარცვლის რედუპლიცირების შემთხვევაში:

ი~ო: *ხიხონ-ი, ხირხოლ-ი, კიკონ-ი, ჭიჭონ-ი, ციცონ-ი, ჭკიჭკონ-ი, ცქიცქონ-ი, ზირზოლ-ი, ტირტოლ-ი, ჯიჯონ-ი, ჯგიჯგონ-ი, ძირძონ-ი*

უ~ი: *ბურბინ-ი, ტურტინ-ი, დურდინ-ი, ხურხინ-ი, ზურზინ-ი, ჭურჭინ-ი, წურწინ-ი, ყურყინ-ი ღურღინ-ი, შურშინ-ი, ხურჩინ-ი*

უ ~ო: *პურპოლ-ი*

ლაზური:

ი~ო: *ო-ცინცონ-უ, ო-ჯინჯოლ-უ, ო-ღირღოლ-უ, ო-ჟირჟოლ-უ, ო-შირშოლ-უ, ო-ჯინჯოლ-უ*

უ~ო: *ო-ქუნქოლ-უ*

ხმოვნებთან დაკავშირებული სემანტიკა ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში განსხვავებული ჩანს. *ქართულსა და ლაზურში*, სადაც ბგერწერითად გამოიყენება /ი/~/უ/ დაპირისპირება, ხმაბაძვისა და ბგერწერის შემთხვევაში ერთნაირი სემანტიკური ნიშნები დაჩნდება (იხ. სქემა *ქართული და ლაზური ენებისათვის)*:

	ხ მ ა ბ ა ძ ვ ა	ბ გ ე რ წ ე რ ა
ი	მაღალი ტონი, „არადახშული მოქმედება“[1]	სინათლე, მაღლა მიმართული, ვიწრო, წვეტიანი, მაღალი, პატარა, ჟღერადი
უ	დაბალი ტონი, „დახშული მოქმედება“	ბნელი, დაბალი, რბილი მომრგვალებული, მოხრილი
ა	მაღალი, სრულხმოვანი ჟღერადობა, „ნეიტრალური მოქმედება“	ფართო, გაშლილი, ღია

მეგრულში ბგერწერითად დაპირისპირებული ჩანს ა~ი ხმოვნები, ამიტომ სქემაც განსხვავებულია:

	ხ მ ა ბ ა ძ ვ ა	ბ გ ე რ წ ე რ ა
ი	დაბალი ტონი	სინათლე, მაღლა მიმართული, ვიწრო, წვეტიანი, მაღალი, პატარა, ბნელი, დაბალი, მომრგვალებული, მოხრილი
ა	მაღალი ტონი, სრულხმოვანი ჟღერადობა, მაღალი ტონი	ფართო, გაშლილი, ნათელი, ღია

ქართულსა და *ლაზურში* /ი/, /უ/, /ა/ გამოკვეთილ ბგერწერით ტიპებს ქმნიან, ქართულში /ე/ ბგერწერითად ახლოს დგას /ი/-სთან, ხოლო /ო/ - /უ/-სთან.

მეგრულში კი გამოკვეთილ ბგერწერით ტიპებს ქმნის /ი/, /ა/ დაპირისპირება, /ე/ - ბგერწერითად ახლოს დგას /ა/-სთან, ხოლო /ო/ და /უ/ - /ი/-სთან.

ქართულისა და ლაზურის ბგერწერით ლექსიკაში ხშირად არის გამოყენებული /ი, უ, ა/ ხმოვნები, /ე, ო/ - იშვიათად, რადგან შესაბამის შინაარსებს ნაკლები სიმკვეთრით გამოსახავენ. მეგრულში კი ძირითადია /ა, ი/, სიხშირულად მოსდევს /უ/, ძალზე იშვიათია - /ე, ო/.

საგულისხმოა, რომ სხვა ენებში, რომლებშიც აღნიშნული ხმოვნითი დაპირისპირებები ბგერწერითად გამოიყენება, მათთან დაკავშირებული მნიშვნელობები მსგავსია ქართულში გამოვლენილი მნიშვნელობებისა; სხვადასხვა ენაში /ი/ ხმოვნის მეშვეობით სიპატარავის, სიმცირის გამოხატვაზე უთითებენ ე. სეპირი, ო. იესპერსენი, რ. იაკობსონი, ს. ულმანი;

ქართულის ვითარება სამეცნიერო ლიტერატურაში საინტერესოდ არის ახსნილი: ქართულში და, ზოგადად ქართველურ ენებში, „დიდ-პატარას“ დაპირისპირება ბგერათა ორივე კლასით (ხმოვნებით- თანხმოვნები) გადმოიცემა, /ა-ი/ - დაპირისპირება ხმოვნებში და *მჟღეროვა-სიყრუე* - თანხმოვნებში, პარალელიზმს გვიჩვენებს. /ი/-ს „სიმცირე-სიპატარავის“ შესახებ მსჯელობისას გამონაკლისად მოჰყავთ ქართული - „დიდი“ და ინგლისური - “big” (ულმანი 1963: 226; გამყრელიძე 1972: 36). „თანხმოვანთა ფონოსემანტიკური კავშირების გათვალისწინების შემთხვევაში ეს ლექსემები აღარ გვევლინება ბგერწერით ანომალიად: მჟღეროვა „*სიდიდის*“ სემანტიკას უკავშირდება, ხოლო /ი/ ხმოვნის გამოყენება ამ სიტყვებში

„*სიმაღლის*“ სემანტიკასთან უნდა იყოს დაავშირებული. „*სიდიდისა*“ და „*სიმაღლის*“ მნიშვნელობები ბუნებრივ სემანტიკურ კონას ქმნის: დიდი, როგორც წესი, იმავდროულად, მაღალიც არის. ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ /ი/ ხმოვანი ორ სემანტიკურ დაპირისპირებას ეთანადება: /ა/-სთან მიმართებაში „*დიდი - პატარას*“, ხოლო /უ/-სთან მიმართებაში - „*მაღალი - დაბალი*“ დაპირისპირებას. ასევე სიტყვა „*პატარაც*“ არ არის ბგერწერითი ანომალია, მასში „*სიმცირეს*“ გამოხატავენ მკვეთრები, ხოლო „*სიდაბლეს*“ - ხმოვანი /ა/“ (მელიქიშვილი 1999: 83).

ჩვენი ანალიზი და მსჯელობა ზემოთ შეეხებოდა ზოგადად ფონოსემანტიკურ სტრუქტურებში კონკრეტული ხმოვნების საკითხს. საგულისხმოა, რომ ამგვარი ხმოვნები წყვილდება რედუპლიცირებულ ფუძეებში, ის ხან მეორდება და იდენტურხმოვნიან ფუძეს ქმნის, ხან კი ბაზასა და რედუპლიკატში განსხვავებულია და განსხვავებულხმოვნიან ტიპს წარმოადგენს[1].

ზანური ჯგუფის ენებში მხოლოდ ორი ტიპი გამოიყოფა, განსხვავებით ქართულისა და სვანურისაგან, რომლებშიც მაერთხმოვნიანი რედუპლიკაციის ტიპში ერთდროულად სამი ხმოვანი დაჩნდება[2].

იდენტურხმოვნიანი:

ქართული: /ა-ა/, /ი-ი/, /უ-უ/, /ო-ო/, /ე-ე/

ლაზური: /ა-ა/; /ი-ი/, /უ-უ/, მცირე მაგალითი /ო-ო/, /ე-ე/

მეგრული[3]: /ა-ა/, /ი-ი/[4], ორიოდე მაგალითია /ე-ე/, /უ-უ/, /ო-ო/ - სისტემას ვერ ქმნის

არაიდენტურხმოვნიანი:

ქართული: /ა-ა-უ/, /ა-ი-უ/ - მხოლოდ მაერთი ხმოვნით[5]

ლაზური: /ი-ო/, /უ-ო/

მეგრული: /ი-ო/, /უ-ი/, /უ-ო/[6]

რაც შეეხება ბგერათკომბინაციების საკითხებს: „ქართულში ხმოვანი /ი/ მარტივ რედუპლიცირებულ ფუძეებში ყრუ თანხმოვნებს უერთდება და გადმოგვცემს მნიშვნელობას „პატარა, სუსტი“: *სისინებს, ტიტინებს, შიშინებს, წიწინებს.* ხმოვანი /უ/ მჟღერ თანხმოვნებთან გამოხატავს მნიშვნელობას „დიდი, ძლიერი“: *გუგუნებს, ბუბუნებს, ზუზუნებს.* ხმოვანი /ა/ ხშირად ნეიტრალური ჩანს: *ქაქანებს, კაკანებს, ბაბანებს, ყაყანებს, ჭაჭანებს, ტატანებს“* (ჭანიშვილი 1988). შდრ. ქართულში /ი/ უფრო კომბინირებს მკვეთრებთან, /უ/ - მჟღერებთან (მელიქიშვილი 1999: 84);

---

[1] რედუპლიცირებულ მოდელებსა და მათ ვოკალურ-კონსონანტურ სტრუქტურაზე იხ. ამავე მონოგრაფიაში შე საბამისის შინაარსის პარაგრაფი.

[2] დაწვრილებით იხ. რედუპლიკაციასთან.

[3] მეგრულში რედუპლიკაციად ვიხილავთ დიაქრონიულად სუფიქსაციით მიღებულ მოდელებს, ვინაიდან ისინი ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე ფუნქციონირებენ როგორც დაუშლელნი (იხ. ქობალავა 1979; შდრ. თოფურია 1979: 118; მელიქიშვილი 1999:86).

[4] მეგრულის დასავლურ დიალექტებში, განსაკუთრებით, სამურზაყანოულში, ი-ს ენაცვლება ნეიტრალური, მნიშვნელობა არ იცვლება, ამიტომ ვარიანტია..

[5] არაფონოსემანტიკური რედუპლიკაციის დროს სხვა ხმოვანთა დაპირისპირებაც აქტუალურია: /ი-უ/, /ო-ა/

[6] რედუპლიცირებულ ფუძეებში დაწყვილებულ ხმოვანთა სემანტიკა განსხვავებულია. იხ. რედუპლიკაციის ანალიზი ამავე მონოგრაფიაში.

შესაბამისად, ქართული ენა ხმოვანთა ემოციურ დატვირთვას არტიკულაციის ადგილის მიხედვით ანაწილებს ინდოევროპულ ენათაგან განსხვავებით, სადაც ემოციური დატვირთვა აწეულობის ნიშნით ხდება (ჭანიშვილი 1988).

ჩვენი დაკვირვებით, მეგრული კომბინირებისას „არ არჩევს“ ხმოვნებს კონსონანტების რაგვარობის შესაბამისად; ხმოვნების თანხმოვნებთან კომბინირების წესები ამ ენაში უფრო თავისუფალი ჩანს, ვინაიდან ხმოვნები /ი/ და /ა/ დასაშვებია როგორც მჟღერებთან *(გირგინი, გარგალი, კირკინი, კარკალი)*, ისე ყრუებთან, მათ შორის სპირანტებთან (*ხირხინი, ხარხალი, შირშინი, შარშალი);* დანარჩენი ხმოვნების გამოყენების არე შეზრუდულია. მეგრულში ერთსა და იმავე კონსონანტურ მოდელში ხმოვანთა ცვლით ახალ-ახალი სემანტიკები წარმოიქმნება; ამ ნიშანზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მეგრულზე, როგორც ქართველურ ენათა შორის ყველაზე სისტემურზე ფონოსემანტიკური დერივაციის თვალსაზრისით. ფონოსემანტიკურ ფუძეთა სიმრავლის მექანიზმის ასახსნელად აღნიშნული ენობრივი ფენომენი საკმაოდ ღირებული ჩანს.

დაბოლოს, საყურადღებოა დ. ენ ჰოლისკისა და ნ. კახაძის მიერ დადგენილი ხმოვანთა მნიშვნელობა, რომელიც მიღებულია ქართული „საუბრის მანერის აღმნიშვნელი ექსპრესივების“ ანალიზის შედეგად (ჰოლისკი, კახაძე 1981: 189-190):

ხმოვნები

/უ/	რბილი, დაბალი ტონი
/ი/	მაღალი ტონი, მაღალი ხმა
/ა/ და /ო/	მჟღერი, უფრო ნეგატიური

აღნიშნული მიმართებები რელევანტური ჩანს სხვა მნიშვნელობის ფუძეებთანაც.

ვოკალური ბგერწერა სვანურში

ქართველურ ენათა შორის ხმოვანთა ყველაზე რთული სისტემა, როგორც ცნობილია, სვანურშია წარმოდგენილი. სვანური ენის დიალექტები ხმოვანთა შედგენილობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ხმოვანთა რაოდენობა სვანური ენის დიალექტებში მერყეობს 9-დან 18-მდე. აქედან სვანურის ყველა დიალექტისათვის (მათ შორის ჩოლურულისათვის) საერთოა 6 ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, ჹ. აღნიშნული ხმოვნების გარდა, სხვადასხვა დიალექტებში დასტურდება აგრეთვე უმლაუტიანი და გრძელი _ ӓ, ӛ, ӟ, ӓ̄, ӛ̄, ӟ̄, ā, ē, ō, ӕ̄, ӯ, ჹ̄ ხმოვნები. ხმოვანთა ამ სიმრავლეს წარმოქმნის ყველა სხვა ნიშნით ერთნაირი ხმოვნების განსხვავება, ერთი მხრივ - სიგრძე-სიმოკლის, ხოლო, მეორე მხრივ - პალატალურობა-არაპალატალურობის (ე. ი. უმლაუტიანობა-უუმლაუტობის) მიხედვით. ბალსქვემოურსა და ლენტეხურს არ მოეპოვება მოკლე ხმოვნების საპირისპირო გრძელი კორელატები, ლაშხურს - არაპალატალურ ა, ო, უ ხმოვანთა საპირისპირო

პალატალური ჲ, ჶ, უ ხმოვნები, რაც შეეხება ბალსზემოურსა და ჩოლურულს, მათთვის ორივე ეს დაპირისპირება (გრძელი _ მოკლე და პალატალური _ არაპალატალური) არის დამახასიათებელი. ამრიგად, ხმოვან ფონემათა შედგენილობის მიხედვით ცალკეულ დიალექტებში ასეთ სურათს ვიღებთ:

ბალსქვემოური და ლენტეხური: ა, ე, ი, ო, უ, გ, ჲ, ჶ, ჳ.
ლაშხური: ა, ე, ი, ო, უ, გ, ჯ, ჴ, ჵ, ჶ, ჷ, ჸ.
ბალსზემოური და ჩოლურული: ა, ე, ი, ო, უ, გ, ჯ, ჴ, ჵ, ჶ, ჷ, ჸ, ჲ, ჯ, ჲ, ჶ, ჷ.

როგორც ვხედავთ, სვანური ენის დიალექტებში გამოიყოფა ვოკალიზმის სამი ქვესისტემა. პირველი მათგანი დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, მეორე _ ლაშხურში, ხოლო მესამე _ ბალსზემოურსა და ჩოლურულში.

სვანურ ხმოვანთა ოპოზიცია შეიძლება დახასიათდეს ოთხი არტიკულაციური დიფერენციალური ნიშნის მიხედვით: 1. ლოკალური რიგი, 2. ენის აწეულობა (ანუ ღიაობა) და 3. ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობა და 4. სიგრძე-სიმოკლე, თუმცა მეოთხე ნიშნის მიხედვით ხმოვნები ერთმანეთს მხოლოდ გრძელხმოვნიან დიალექტებში (ბალსზემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში) უპირისპირდებიან, უგრძელხმოვნო დიალექტებში (ბალსქვემოურსა და ლენტეხურში) კი ამ ნიშნის მიხედვით დაპირისპირებას ადგილი არა აქვს.

ხმოვანთა სისტემა ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, სქემატურად სამკუთხედით გამოიხატება, თუმცა სვანური ენის რთული ფონემური შედგენილობიდან გამომდინარე ბალსზემოური დიალექტის ხმოვანთა დაპირისპირებას ასახავს გ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი შემდეგი ხმოვანთა კუბი:



იმისი გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სქემაზე წარმოდგენილ ყოველ ფონემას მოეპოვება გრძელი კორელატი, რომელიც მისგან მხოლოდ ამ ნიშნის (ანუ სიგრძის) მიხედვით განსხვავდება, მაშინ, ალ. ონიანის აზრით, ეს სქემა ამომწურავად ასახავს როგორც ბალსზემოური დიალექტის, ისე ჩოლურული მეტყველების ხმოვან ფონემათა დაპირისპირებას [ონიანი, 1998:18]. იმ შემთხვევაში, თუ გრძელ კორელატებს გამოვრიცხავთ, მაშინ იგი ასევე ამომწურავად ასახავს ბალსქვემოური და ლენტეხური დიალექტების ხმოვანთა სისტემაში არსებულ ოპოზიციასაც [იქვე]. ერთადერთ გამონაკლისად ითვლება ლაშხური დიალექტი, რომლისთვისაც ეს სქემა არ გამოდგება, რადგანაც ლაშხურს არ მოეპოვება ამ სქემაზე წარმოდგენილ ხმოვანთა ერთი ნაწილი _ ჲ, ჶ, ჳ (აგრეთვე ჲ, ჶ, ჳ). აქედან გამომდინარე ლაშხური ვოკალიზმის პარადიგმატული დახასიათებისათვის საჭირო გახდა სხვაგვარი სქემის შემუშავება, კერძოდ:

სქემა 2

ენის აწეულობა	წინა რიგი		უკანა რიგი			
			არაბაგისმიერი		ბაგისმიერი	
	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი
მაღალი	ი	◌̄ი	გ	◌̄გ	უ	◌̄უ
დაბალი	ე	◌̄ე	ა	◌̄ა	ო	◌̄ო

ხმოვანთა ორკლასიანი სისტემის დაშვების შემთხვევაში ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტთათვის ეს სქემა, ალ. ონიანის აზრით, ასეთ სახეს მიიღებს:

სქემა 3

ენის აწეულობა	წინა რიგი		უკანა რიგი	
	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
მაღალი	ი	◌̈ი	გ	უ
საშუალო	ე	◌̈ე		ო
დაბალი	◌̈ა		ა	

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორკლასიან სისტემაში აწეულობის ორსაფეხურიანად წარმოდგენის შემთხვევაში ერთნაირად დახასიათდებოდა /ე/ და /◌̈ა/ _ ორი სხვადასხვა ხმოვანი (*წინა რიგის, დაბალი აწეულობის, არაბაგისმიერი ხმოვანი)* და მათი განმასხვავებელი დიფერენციალური ნიშანი ხელიდან გაქრებოდა, სწორედ ამან განაპირობა სამსაფეხურიანი სისტემის დაშვების აუცილებლობა, სადაც /◌̈ა/ და /ე/ ერთმანეთს ასევე აწეულობის მიხედვით უპირისპირდებიან: /◌̈ა/ უპირისპირდება ე-ს როგორც დაბალი აწეულობის ხმოვანი საშუალო აწეულობის ხმოვანს (ანუ ვიღებთ ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტთათვის ხმოვან ფონემათა ორკლასიან სამსაფეხურიან სისტემას). კლასები აქაც, ლაშხურის მსგავსად, ლოკალური რიგის (*წინა, შუა* და *უკანა*) მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს, ენის აწეულობის საფეხურები კი ამის საფუძველზე ორამდე შეამცირა ალ. ონიანმა და განხილული სქემის (იხ. სქემა 3) გაუმჯობესებული ვარიანტი წარმოგვიდგინა, რომელშიც ცარიელი უჯრები მინიმუმამდე დაიყვანა:

სქემა 4

ენის აწეულობა	წინა რიგი	შუა რიგი		უკანა რიგი	
		არაბაგისმიერი	ბაგისმიერი	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
მაღალი	ი		ჳ	გ	უ
დაბალი	ე	ა̈	ო̈	ა	ო

ბალსზემოური და ჩოლურული დიალექტების ხმოვანთა სისტემისათვის ამისი ანალოგიური სქემა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში:

სქემა 5

ენის აწეულობა	წინა რიგი		შუა რიგი				უკანა რიგი			
			არაბაგისმიერი		ბაგისმიერი		არაბაგისმიერი		ბაგისმიერი	
	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი	მოკლე	გრძელი
მაღალი	ი	ი̄			ჳ	ჳ̄	გ	გ̄	უ	უ̄
დაბალი	ე	ე̄	ა̈	ა̈̄	ო̈	ო̈̄	ა	ა̄	ო	ო̄

ძირითად ხმოვანთაგან (ა, ე, ი, ო, უ + გ) სვანურ ბგერწერით მოდელებში /ე/ ხმოვნის გარდა თითქმის ყველა ხმოვანი მონაწილეობს:

ა-ხმოვნიანი: *ლი-ლაპ-ლაპ-ი* (ლშხ., ჩოლ.) „ყბედობა“, *ლი-ფან-ფა̈ლ-ი* „კანკალი, ფამფალი“, *ლი-ყჳარ-ყჳა̈ც-ი* (ჩოლ.) „ბრწყინვა“, *ლი-ხარ-ხჳაც-ი* (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)“...

ი-ხმოვნიანი: *ბიტ-ბიტ* (ჩოლ.) „ბრუციანის აცა-ბაცა სიარული“, *გლიჯ-გლიჯ* (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა“; *ზიპ-ზიპ* „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“, *ხჳრიგ-ხჳრიგ* (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“...

ო-ხმოვნიანი: *ლი-როხ-როხ-ი* (ჩოლ.) „ქორის ხმაურობა, ჭყივილი“, *ლი-შოქ-შო̈ქ-ი* (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“...

უ-ხმოვნიანი: *გუგჳ-გუგჳ* (ჩოლ.) „დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“, *შჳლ-შჳლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შულ-შულ* (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა“, *ჭჳლ-ჭჳლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჭულ-ჭულ* (ბქ., ლნტ.) „წუილი (ქარისა)“, *ზურზუნ* (ლნტ.) „ზუზუნი“, *კურკჳნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კურკუნ (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი“, *ცურცუნ* (ბქ.) „ჩურჩული“...

გ-ხმოვნიანი: *ბგრბგნ* (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“, *კგლპგნ/კგრპგნ* (ბქ.) „წკლაპუნი“, *ბგც-ბგც* (ლხმ.) „ჩიფჩიფი“, *ყუტ-ყუტ* (ლშხ.) „ბაასი“, *შგლ-შგლ* (ბქ.) „გაბმული შრიალი“ და ა. შ.

ცხადია, ა, ე, ი, ო, უ, **გ** ხმოვნების პარალელურად გრძელხმოვნიან დიალექტებში აღნიშნულ ხმოვანთა გრძელი კორელატებიც ფიქსირდება.

ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში კი გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა:

1. ი ~ გ | ი ~ ი | ი ~ ა

ბითქ – ბითქ-ბითქ – ბითქ-ბათქ – ბურთქუნ – ბგრთქგნ „ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით“

ხჳრიმ – ხჳრიმ-ხჳრიმ –ხჳრიმ-ხჳრამ – ხურმუნ – ხგრმგ̄ნ „ხრამუნი“

ხჳრიპ –ხჳრიპ-ხჳრიპ – ხჳრიპ-ხჳრაპ – ხურპუნ „ხვრეპა“

ყჳლიჩ – ყჳლიჩ -ყჳლიჩ – ყჳლიჩ -ყჳლაჩ – ყურჩუნ „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“

შხიპ – შხიპ-შხიპ – შხიპ-შხაპ – შხგრპგნ „წკეპლის გადაჭერის ხმა“

წყიგ – წყიგ-წყიგ – წყიგ-წყაგ – წყგრგგნ „წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი“

ბიტყ – ბიტყ-ბიტყ –ბიტყ-ბატყ „მირტყმა-მორტყმის ხმა“ და სხვ.

2. უ ~ გ

თხურპუნ – თხგრპგნ „ხმაურით ჭამა; ხვრეპა“

ცურცხუნ – ცგრცხგნ „დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი“

ჭურჭყუნ – ჭგრჭყგ̄ნ/ჭგრჭყგნ „მომაბეზრებელი ტირილი; ჭიჭყინი“ და ა. შ.

ამ ხმოვანთა განაწილება დიალექტური დიფერენციაციის საფუძველია (ანუ მათ განაწილებას დიალექტური მრავალფეროვნება განსაზღვრავს).

აღნიშნულ ხმოვანთაგან სვანურის ბგერწერით ლექსიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება /ი, უ, გ/ ხმოვნები, /ა/ და /ო/ კი ნაკლები ინტენსიურობით და ისიც ძირითადად ქვემო სვანურ დიალექტებში (იხ. რედუპლიკაცია!). ეს ხმოვნები უმეტესად წყვილდება რედუპლიცირებულ ფუძეებში, ხან მეორდება და იდენტურხმოვნიან ფუძეს ქმნის, ხან კი ბაზასა და რედუპლიკანტში განსხვავებულია და განსხვავებულხმოვნიან ტიპს წარმოადგენს, შესაბამისად სვანურში იდენტურ და არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიცირებული ფუძეების რამდენიმე ტიპი გამოიყოფა:

იდენტურხმოვნიანი : უ ~ უ / ჳ̄ ~ ჳ̄ , გ ~ გ/გ̄ ~ გ̄, გ/გ̄ ~ გ/გ̄, ი ~ ი, ა/ā ~ /ă, ო ~ ო

არაიდენტურხმოვნიანი: ი ~ ა, ა ~ უ/ā ~ ჳ̄, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ

მაერთხმოვნიანი: ი ~ ი - ა/ă ~ ა, ი ~ ი — უ ~ უ

მაერთმარცვლიანი: გ/გ̄ ~ მა ~ გ/გ̄, უ/ჳ̄ ~ მა ~ უ/ჳ̄

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი~ა, ა~უ/ā ~ჳ̄, ა~ი, ი~უ, ი~გ) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა ი ~ ა ხმოვანმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები. ა~უ ხმოვანმონაცვლეობა კი, რომელიც ძალზე ხშირია ქართულში, იშვიათობაა სვანურში. ასევე იშვიათად გვხვდება ი~უ, ა~ი და ი~გ დაპირისპირება; საშუალო აწეულობის /ე _ ო/ ხმოვნები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ამ სახის ბგერითი შინაარსის გადმოსაცემად, რაც შეეხება იდენტურხმოვნიან რედუპლიკაციას, ორმაგდება /ა, ი, ო, უ, გ/ ხმოვნები, თუმცა /ა/ და /ო/ ხმოვნის რედუპლიკაცია მხოლოდ ქვემო სვანური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი და ისიც იშვიათად. როგორც მაერთხმოვნიანი (სადაც ოთხი ხმოვანი დაჩნდება), ისე

მაერთმარცვლიანი (/მა/-ს ჩართვით) რედუპლიკაციის ორივე ტიპი იდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციის ჯგუფში განვიხილეთ (იხ. სათანადო ადგილას!).

როგორც ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა აჩვენა, ბგერწერითად გამოყენებული უ˜გ სვანურში ხმაბაძვის შემთხვევაში გამოხატავს მაღალ ტონს, ხოლო, რაც შეეხება ი˜უ˜გ დაპირისპირებას, აქ /ი/ ხმოვანი /უ/ და /გ/ ხმოვნებთან შედარებით დაბალი ტონის მაჩვენებელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სვანურში არა მხოლოდ მაღალი - დაბალი აწეულობის ხმოვანთა კონტრასტული დაპირისპირება გვაქვს, არამედ მაღალი აწეულობის /ი -უ -გ/ ხმოვანთა დაპირისპირებაც.

ბგერათკომბინაციებში (ანუ ხმოვნების თანხმოვნებთან კომბინირებისას) სვანური თითქოს არ არჩევს ხმოვნებს კონსონანტების რაგვარობის მიხედვით, მაგალითად, ხმოვნები /უ/ და /გ/ დასაშვებია როგორც მჟღერებთან (ზურზუნ, შკურფუნ, ზგრზგნ, შკგრფგნ), ისე ყრუებთანაც (*ხურხუნ, ყურყუნ, ხგრხგნ, ყგრყგნ*), თუმცა ხშირად რომელიმე მათგანის (ან /უ/ ან /გ/ ხმოვნის) გამოყენების არე შეზღდულია (მაგ., გვაქვს *ჟგრჟღგნ,* მაგრამ არ გვაქვს *ჟურჟღუნ*, გვაქვს ჩხგრკგნ, მაგრამ არ გვაქვს *ჩხურკუნ* და პირიქით, გვაქვს *ხურჭკუნ*, მაგრამ არ გვაქვს *ხგრჭკგნ* და ა. შ.). ხმოვანი /ი/ დასაშვებია როგორც ყრუებთან, ისე მჟღერებთანაც. დანარჩენ ხმოვანთა გამოყენების არე კი სვანურშიც შეზღუდულია.

თავი მეორე

ბგერწერის პრინციპები ქართველურ ენებში

ფონეტიკურ სახესახვაობებს ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა განსხვავების უნარი შესწევთ. ბგერწერაში ახალი მნიშვნელობის წარმოსაქმნელად აქტიურად არის გამოყენებული ბ გ ე რ ი თ ი ა ლ ტ ე რ ნ ა ც ი ე ბ ი, რომელიც მოიცავს[1]:

1. ხმოვანთმონაცვლეობას;
2. თანხმოვანთმონაცვლეობას (მათ შორის სონორების მონაცვლეობას);
3. კომპლექსთმონაცვლეობას

და სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებს (სონორის განვითარება, სპირანტიზაცია, კონვერსია (თანხმოვანთა და თნხმოვაკომპლექსთა პოზიციების ურთიერთშენაცვლება).

„ბგერწერის პრინციპი სიტყვაწარმოების ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალებაა ქართულში, რასაც შედეგად მოჰყვება როგორც სრული სემანტიკური სხვაობა, ასევე მნიშვნელობის ცალკეული ნიუანსების გამოხატვა“ (ჯორბენაძე 1985: 22-23). იმავეს თქმა შეიძლება დანარჩენ ქართველურ ენებზეც. საინტერესოა, რა ენობრივ ინვენტარს, მექანიზმებს, პრინციპებს თუ წესებს იყენებს საანალიზო ენები მისთვის აუცილებელი სემანტიკის დასაფარად ან ექსპრესიულობის გამოსახატავად.

ქართველურ ენათა პოტენციალი ამ თვალსაზრისით განსხვავებული და დაბალანსებულია, რომელიმე ერთს უფრო მეტად ეკისრება მნიშვნელობათ განმასხვავებლის ფუნქცია, დანარჩენების ხვედრითი წილი კი შეიძლება ნაკლები აღმოჩნდეს ან საერთოდ ჩაითვალოს უმოქმედოდ (ჯორბენაძე 1985: 21).

ფონოლოგიური პრინციპები

ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა ქართულ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში

,,ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ გ. ახვლედიანს მოჰყავს პოზიციური და ისტორიული ბგერათმონაცვლეობის მაგალითები. მისი აზრით, ორივე ბგერათმონაცვლეობა ფონეტიკური ხასიათის მოვლენაა, მაგრამ ,,პირველი რიგის ბგერათმონაცვლეობა *(გალობს/გალოფს, წავიდა/წევიდა)* მხოლოდ ფონეტიკურია ანუ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური, მეორე რიგისა (კრება/კრეფა, სული/სუნი) – ფონოლოგიური“ (ახვლედიანი 1949: 243).

[1] ალტერნაციის ცნება ფუნქციურად უფრო ფართო დანიშნულებისაა, აბლაუტიც კი მის სახეობად განიხილება. ამ ცნების მიხედვით ბგერათმონაცვლეობის ენობრივი მოვლენა არ არის შეზღუდული ფონემათა რომელიმე კლასით. ალტერნაცია იმავე შინაგანი ფლექსიის გამოხატულებაა და გულისხმობს საერთო გენეზისისა და უპირატესად ერთი პარადიგმის წევრ ძირთა (ფუძეთა) მონაცვლეობას (არაბული 1997b: 95).

„უტოლფუნქციო სახესხვაობების სემანტიზაციის გზით მიღებული“ მიაჩნია გ. ახვლედიანს, აგრეთვე, თავკიდურ თანხმოვანთმონაცვლე ბგერადობის აღმნიშვნელი სიტყვები: *შრიალი - ჟრიალი - ჭრიალი.* რომელია მათგან ძირითადი, ავტორის აზრით, ძნელი დასადგენია.

ანალოგიურად აანალიზებს იგი ბგერადობის ურთიერთმონაცვლე ტერმინებს ჯგუფებში:
1. *კივილი - ჟივილი - სივილი - ყივილი - წივილი - ხივილი.*
2. *გუგუნი - ღუღუნი - ყუყუნი - წუწუნი - ჭუჭყუნი, ხუხუნი და ა.შ.* (ახვლედიანი 1949: 297).

გ. ახვლედიანი ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას ხედავს ფონოსემანტიკურ სიტყვებშიც,რადგან აქაც ფონეტიკური სახესხვაობები გამოყენებულ იქნა მნიშვნელობათა სადიფერენციაციოდ, მაგრამ გამოყენების პროცესით მაინც განსხვავებულია *კრებ- / კრეფ*-ისაგან, რადგან დაყრუება თუ გამჟღერება, როგორც წინა ნიმუშებში, პოზიციური არ შეიძლება ყოფილიყო, არამედ ფონოლოგიური; ,,ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის ,,კარნახით” უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია” (ახვლედიანი 1949: 296–297).

მაშასადამე, თუკი კომბინატორული ბგერათმონაცვლეობის სემანტიზაცია მეორეული მოვლენაა, ფონოსემანტიკურ სიტყვებშიც გადაბგერება საფუძველი ხდება სემანტიზაციისა. როგორც *კრება’ს* რაღაც დროიდან გააჩნდა რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობისაგან ერთგვარად ,,თავისუფალი” უტოლფუნქციო სახესხვაობა *კრეფა’ს* სახით, ბგერადობის აღმნიშვნელი სიტყვების თავკიდურა თანხმოვანთა მონაცვლე ამგვარი ,,თავისუფალი” ვარიანტებიც ტვირთულობდნენ ახალი აზრობრივი ელფერის, სემანტიკურად განსხვავებული ნიუანსის შემოტანას.

გაზიარებული აზრია, რომ ბგერათცვლილება გაუცნობიერებელი მოვლენაა. არაფონეტიკური ფსიქოლოგიური პროცესებიც, და, მათ შორის, ფონეტიკური მოვლენების სემანტიზაციაც არაცნობიერად, ჩვენდაუნებურად მიმდინარეობს, ამიტომ წინადადებაში წამყვანია აზრი, რომლის კარნახით მიმდინარეობს დიფერენციაცია (ახვლედიანი 1949: 296–297), უნდა ვიგულისხმოთ გაუცნობიერებელი სწრაფვა ლექსიკურ მნიშვნელობათა გამიჯვნისაკენ და არა, როგორც ინდივიდთა შორის შეთანხმება ფონეტიკურ სახესხვაობათა ლექსიკური განსხვავებულობის შესახებ.

რა უნდა მივიჩნიოთ ბგერათცვლილების მიზეზად: მრავალ შემთხვევაში ბგერათცვლილებაში და მეტადრე ბგერათცვლილების განმტკიცებაში, წამყვანი როლი ეკუთვნის სიტყვის ძირისა და ფორმის სემანტიზაციას (ახვლედიანი 1949: 254).

,,ზემოთ მოყვანილი ბგერადობის გამომხატველი ტერმინების თავკიდური თანხმოვნები *(კრიალი - ჭრიალი - ფრიალი)* შესაძლოა ერთურთისაგან დამოუკიდებელი წარმოშობისა იყვნენ“ (ახვლედიანი 1949: 298); ეს თვალსაზრისი საფუძველს არ არის მოკლებული და, თუ მას გავიზიარებთ, მაშინ ფონოსემანტიკური სიტყვები არ არიან ერთმანეთის მიმართ ფონეტიკური ვარიანტები და ისინი არასოდეს გამოიყენებოდნენ იდენტურად, როგორც მაგ.: *კრება* და *კრეფა,* თუმცა შემდეგ გაძნელდება ხმოვანთმონაცვლე ვარიანტების დამოუკიდებლად წარმოშობილ ერთეულებად მიჩნევა.

შესაძლებელია, რომ დამოწმებული ხმაბაძვითი ფუძეები ერთმანეთისაგან არ მომდინარეობდნენ და არც რომელიმე მათგანი იყოს აუცილებლად თანხმოვანთ-მონაცვლეობის შედეგი. ამ ფუძეთაგან ზოგი მაინც დამოუკიდებელი წარმომავლობისაა…

თითოეული მათგანი გამოხატავს ბგერადობას, სხვაობა ამ სემანტიკური კავშირის შიგნით იჩენს თავს: თითოეული ფუძე განსხვავებულ ბგერადობას გადმოგვცემს, რამდენადაც ხმაბაძვით ფუძეებთან გვაქვს საქმე... სიტყვებში ასახვას პოვებენ ის ხმები თუ ბგერები იმგვარად, რომლებსაც და როგორადაც აღიქვამენ მათ ადამიანები გარესამყაროდან. ამიტომ ხმაბაძვითი ფუძეები, უწინარეს ყოვლისა, აკუსტიკური აღქმის შედეგია, ხოლო აკუსტიკური აღქმის გამოვლინებას ამა თუ იმ ხმაბაძვითი სიტყვის სახით, კერძოდ, ის ბგერადობა ,,კვებავს'', რომელიც ადამიანის გარეშე არსებობს ობიექტურად (ერთელიშვილი 1970: 221).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელია ფონეტიკური ცვლილებანი ამ რიგისა *წყუედ - წყვედ- - წყვეტ-* და *კრებ- - კრეფ-* ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ ხმაბაძვით ფუძეებთან, „სემანტიზაციის საფუძველი მათ სხვადასხვა აქვთ". ამავე აზრისაა ავტორი სხვა პირველადი მასდარების *(კიკინი – წიწინი - სისინი - ზიზინი; კიკინი - ჭიჭინი -შიშინი - ჟიჟინი)* შესახებაც: „არც ჩანს, რომ ისინი მიღებული იყოს თანხმოვანთმონაცვლეობის შედეგად", რომ „ფონეტიკური სახესხვაობები გამოყენებულ იქნა ცნებათა დასაზუსტებლად, სადიფერენციაციოდ" (ერთელიშვილი 1970: 221 – 222). ,,ძ : ჩ : ჭ : ც : კ მონაცვლეობა თანხმოვანთა ალტერნაციის შედეგია (*ღრენს, ღრეჭს, ღრეჩს, ღრეცს...* ლექსემებში), რაც საფუძვლად უდევს ბგერწერის პრინციპის მიხედვით ბგერათქმნადობას. რაც შეეხება ჯ > ჭ ან ჯ > ჩ, ც > ჩ მონაცვლეობებს, ისინი დღესაც მოქმედ ფონეტიკურ პროცესებს განეკუთვნება.

ქართულში საკმაოდ გავრცელებულია თანხმოვანთა შემდეგი რიგის ალტერნაციები:

—	—	ტუნტული
—	—	კუნკული
ძუნძული	ცუნცული	წუნწული
ზუნზული	სუნსული	X

იგივე სისტემა შესაძლოა განსხვავებული გახმოვანებით იყოს წარმოდგენილი :

დანდალი	—	ტანტალი
—	ცანცალი	წანწალი
—	სანსალი	X
ღანღალი	ხანხალი	X
X	—	ყანყალი

(ჯორბენაძე 1998: 380).

უკანასკნელ სისტემაში შესაძლოა პირველი და მეორე სამეულის შევსება:
დანდალი - თანთალი - ტანტალი, ძანძალი - ცანცალი - წანწალი (შდრ., ღლონტი 1984).

კონტამინაციის საფუძველზე ხსნიან შემდეგ ფორმათა არსებობას: *ღანცალი, ღანტალი, ღანწალი, ყანწალი* და სხვა. *ღანღალი + ცანცალი > ღანცალი, ყანყალი + წანწალი > ყანწალი, ქუნქული + ცუნცული > ქუნცული...* არსებითად ამავე რიგისაა: *ბაბანი + ცანცალი > ბანცალი* და მისთ. (ჯორბენაძე 1998: 381).

ამგვარი სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, თუმცა კონტამინაციის გზით მათი მიღების შესაძლებლობა ეჭვს იწვევს (ერთეული შემთხვევის გარდა) და, თუკი მაინც ჩავთვლით დასაშვებად, აღმოჩნდება, რომ, ისევე, როგორც თანხმოვანთმონაცვლე ვარიანტები, ფონოსემანტიკური კონტამინირებული ფორმებიც ენამ გამოიყენა მნიშვნელობათა განსასხვავებლად, სადიფერენციაციოდ, თუმცა შეიძლება ამ ტიპის სიტყვებში თანხმოვანთმონაცვლეობაც ვიგულისხმოთ.

ფონოსემანტიკური სიტყვების დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები თავის დროზე ფონეტიკური პირობებით შექმნილი ვარიანტებია (ქობალავა 1980: 67).

ხმაბაძვითი სიტყვები გამოხატავენ მოქმედებას, რომელშიც აქცენტირებულია „არა იმდენად მოქმედება თავისთავად, რამდენადაც უფრო ის ფაქტი, რომ მოქმედება სრულდება გარკვეული ხმის თანხლებით“ (ქობალავა 1980: 69), სწორედ ამიტომ ამგვარი ტიპის სიტყვები მხოლოდ მნიშვნელობათა ნიუანსებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. *ჯიჯღინი - ჩიჩხინი - ჭიჭყინი* სწორედ ხმის რიტმს, ტონს, მოქმედებას და ტემპს განასხვავებს. ფონოსემანტიკური სიტყვა არ ასახელებს საგანს ან ნეიტრალურ მოქმედებას (მაგ.: სიარული, შდრ. *ძუნძული, ცუნცული, წუნწული* - სიარულის ექსპრესიულად მახასიათებელი ფონოსემანტიკური სიტყვები), ამიტომ გვგონია, რომ ეს ცნებები იდენტურია, სინონიმებია. იგივე შეიძლება ითქვას ფონოსემანტიკურ სიტყვათა სხვა ტიპის ლექსიკაზე (მაგ., ნათების გამოხატვა, საგანთა სიმეჩხრე–სიმჭიდროვე და ა. შ.). ფონოსემანტიკური სიტყვათა *ფონეტიკური ვარიანტები* აქაც ნიუანსური მნიშვნელობების გამოხატვას ტვირთულობენ, ზოგჯერ კი სალიტერატურო ენაში არსებული ამგვარი ლექსემები სხვადასხვა დიალექტურ წრეს განეკუთვნებიან. მაგ.

ჭაჭანი (ქართლ.) – ბევრი, განუწყვეტელი ლაპარაკი;

ჭიჭინი 1. (მოხ.) – გამალებული, გატაცებული და მოსაბეზრებელი ლაპარაკი;

ჭიჭინი 2. (ქართლ.) – ჭრიჭინი; გადატ. უსიამოვნო, მომაბეზრებელი ლაპარაკი, ჭიჭყინი;

ჭუჭუნი (გურ.; ქვ. იმერ.) – ნელი ტირილი ხმით, ბაასი, იგივე ,,ჭუკჭუკი“ (ღლონტი 1984), რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მოსაზრებას. ,,ადამიანს თავის საარტიკულაციო ორგანოებით არ შეუძლია ზუსტად და ადეკვატურად მოახდინოს გამოცემული ხმის დუბლირება და ამისთვის ყველა ენობრივ შესაძლებლობას იყენებს, ამასთან, ფონემათა შესაძლებელ რიცხვს (გაჩეჩილაძე 1972: 106). ყველა ენა ხომ ამ ბგერებს ,,ანაწევრებს თავისი საკუთარი ფონემატური მოდელის მიხედვით“ (ნებიერიძე 1991: 75).

ხმაბაძვა ადამიანის მეტყველებაში წარმოადგენს ბუნებაში არსებული სულიერისა და უსულო საგნების მოქმედებით გამოცემული ხმის შესატყვის სიტყვიერ ბგერით ფორმას, რომელიც მიღებულია ამ ბგერითი მოვლენის გამოსახვის გზით: იგი, როგორც ბგერითი მოვლენის გადმომცემი, გამოხატავს ხმის რიტმს, ტონს, მოქმედებას და სხვა (გაჩეჩილაძე 1972: 105).

ბ. ჯორბენაძე იხილავს რამდენიმე *სპონტანურ* და *კომბინატორულ* ბგერათცვლილებას, რომელსაც მნიშვნელობათა განსხვავების უნარი შესწევს (*ჟრიალი - შრიალი, სული - სუნი, კრებს - კრეფს, ლბობა - ლპობა).* ამ რიგს უმატებს თანხმოვანთმონაცვლეობის შემდეგ შემთხვევებს:

ჯ, ჩ, ჭ – *ჯაჯღანი* - ხმამაღალი უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი
ჭაჭყანი - ხმამაღალი უსიამოვნო ლაპარაკი
ჩაჩხანი - ხმაჩახლეჩილი უსიამოვნო ლაპარაკი
ბ, ფ, პ – *ბარდღუნი* - სიმებიან საკრავზე ხმაშეუწყობლად, დაკვრა
ფართხუნი - ფრთხიალი, შრიალი, ფრთების ცემის ხმა
პარტყუნი - ფრთხიალი, შრიალი, ფრთების ცემის ხმა

იქვე ამატებს ხმოვანთა და კომპლექსურ ბგერათცვლილებებს და მიუთითებს ბგერწერის პრინციპის მნიშვნელობაზე სიტყვაწარმოებისათვის ქართულში, რასაც შედეგად მოჰყვება როგორც სრული სემანტიკური სხვაობა, ასევე მნიშვნელობის ცალკეული ნიუანსების გამოხატვა. შდრ. ერთი მხრივ, *კიკინი, ქიქინი,* და მეორე მხრივ, *ჯაჯღანი, ჭაჭყანი, ჩიჩყინი“* (ჯორბენაძე 1985: 22-23).

აქედან გამომდინარე, ყურადღება მახვილდება იმ გადაბგერებაზე, რომელიც არ შეიძლება აიხსნა ბგერწერის საფუძველზე: ,,ფაკულტატიურად უნდა განისაზღვროს ის ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენებიან მნიშვნელობათა განმასხვავებელი დანიშნულებით“ (ჯორბენაძე 1985: 26).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბ. ჯორბენაძე *სლოკინი - სლუკუნის* დაპირისპირების წევრებს ფაკულტატივებად თვლის *(ო - უ* მონაცვლეობას მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში აქვს მოპოვებული მნიშვნელობათა განსხვავების ფუნქცია), შეიძლება ფაკულტატიურად ჩაითვალოს *გაგანი - ქაქანი - კაკანის* დაპირისპირებაც, თუკი თანხმოვანთმონაცვლე ფონოსემანტიკური სიტყვების ერთ-ერთ წყებას დამოუკიდებელი წარმოშობის მქონედ მივიჩნევთ, ისინი არც ფონეტიკური გზით მიღებული აღმოჩნდებიან და არც ფაკულტატიურ სფეროს განეკუთვნებიან.

ფონოსემანტიკურ სიტყვათა ამგვარი მკვეთრად გამიჯვნის შესაძლებლობა ეჭვს იწვევს ფაკულტატიურობის მხრივ. ფონოსემანტიკური ლექსიკა თვითონ არის ამ თვალსაზრისით არაძირითადი, ე. წ. ,,ფაკულტატიური“, ენის რთულ სისტემაში და, რადგან ყოველივე არაძირითადი, გამონაკლისი მოვლენა თუ საშუალება ენის შემოქმედებითი უნარის გამოვლინებაა, ენის პოტენციის წარმოდგენაა, ეს თითქოსდა არქაული ლექსიკა ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს ფაკულტუტიური ფონოლოგიის თვალსაზრისით.

ქართულ ფონოსემანტიკურ ფუძეებში ხმოვანთაგან დასტურდება ყველა, ამათგან /ე/ - იშვიათად, უმთავრესად გაორმაგებულ ფუძეებში, თუმცა რედუპლიცირებული ფუძეები /ე/ გახმოვანებით ქართულში გავრცელებული უნდა ყოფილიყო (ერთელიშვილი 1970: 182).

ხმოვანთმონაცვლეობა ფონოსემანტიკურ სიტყვებში თავისუფალი ჩანს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი ყველა ფუძესთან დაჩნდება. ხმოვანთმონაცვლეობის მიზეზი ყოველთვის ნათელი არ არის. სხვადასხვა გახმოვანების ფუძეები, როგორც წესი, ელფერის მიხედვით განსხვავებული მნიშვნელობას ავლენენ:

ა - ო: *ღანღალი - ღონღალი*
ა - უ: *ბარდღანი - ბურდღუნი*
ა - ე: *რაცრაცი - რეცრეცი*
ა - ი: *ჩხავილი - ჩხივილი*

ე - ი: *ქეცქეცი - ქიცქიცი*
ე - ო: *ფეთქვა - ფოთქვა*
ე - უ: *ტენტერი - ტუნტური*
ო - ი: *ხორხოცი - ხირხიცი*
ო - უ: *წოწნა - წუწნა*
ი - უ: *თითხნის - თუთხნის* (ერთელიშვილი 1970: 105 – 111).

ქართულში დასტურდება ფუძეები ორნაირი, სამნაირი, ოთხნაირი და იშვიათად ხუთნაირი გახმოვანებით. ,,თუ სხვადასხვა განზომილების ხმოვანთმონაცვლეობას ერთ სიბრტყეზე მოვაქცევდით, მაშინ ერთი და იმავე ფუძეების სხვადასხვაგვარად გახმოვანებული ვარიანტები ოთხგვარი აღმოჩნდებოდა: *ბრეგ - ბრიგ - ბრაგ- ბრუგ*" (ერთელიშვილი 1970: 111–112). შევნიშნავთ, რომ ამგვარი დაპირისპირება სხვადასხვახმოვნიანი ფუძეებისა ე - ი ხმოვანთმონაცვლე (ფუძედრეკადი) ფონოსემანტიკური ძირების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუმცა გაორმაგებულ ძირებსაც შესწევთ ამგვარი დაპირისპირების უნარი. მაგ. *ტენტერი - ტუნტური - ტონტორი, რეცრეცი – რაცრაცი - რიცრიცი, ჯაყჯაყი - ჯიყჯიყი -ჯუყჯუყი.* ზოგიერთ ფუძეს არ მოეპოვება ხმოვანთმონაცვლე ვარიანტები და ფონოსემანტიკურ ძირად მხოლოდ სემანტიკით ან თანხმოვანთმონაცვლე ვარიანტით ცხადდება (მაგ. კრუტუნი).

ფრ. ნაისერის აზრი, სიტყვის თანხმოვანთა „არტიკულაციური თამაშის" შესახებ (ნაისერი 1953: § 5) თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ხმოვნებზე. ფონოსემანტიკურ სიტყვებში ხმოვნებიც ამჟღავნებენ ,,თავისუფალ" მონაცვლეობას, სხვადასხვა რიგის ხმოვნების ეს ,,ექსპრესიული მონაცვლეობა" (შმიდტი 1962: 51), ხმოვნების შემთხვევაშიც არ შემოიფარგლება ქართულით და ქართველურ ენათა თავისებურებას გამოხატავს.

,,ამ ტიპის ხმოვანთმონაცვლეობისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა ექსპრესიული (ან სემანტიკური), ადვილი რომ იყოს დაზუსტება იმისა, თუ რა შეიძლება ვიგულისხმოთ ამ ტერმინის ქვეშ, ან სად არის საზღვარი ექსპრესიულ და არაექსპრესიულ ხმოვანთმონაცვლეობას შორის" (ერთელიშვილი 1970: 221 – 222).

ჩვენი აზრით, საინტერესო და კანონზომიერი ფაქტია, რომ მოძრაობისა და საუბრის მანერის აღმნიშვნელი ფუძეები ისევე განიცდიან ხმოვანთმონაცვლეობას, როგორც საკუთრივ ხმიანობის აღმნიშვნელი ძირები. იგივე შეიძლება ითქვას თანხმოვანთმონაცვლეობაზე.

სრულიად სხვადასხვა რიგის თანხმოვანთა შენაცვლესბა ახასიათებს, აგრეთვე, არაფონოსემანტიკურ ფუძეებს[1], ხმოვანთმონაცვლეობა რაიმე კანონზომიერებას არ გვიჩვენებს, თუმცა ფ. ერთელიშვილის დაკვირვებით, იგი დამახასიათებელია უპირატესად ისეთი ფუძეებისათვის, რომლებიც თანხმოვანთა კომპლექსებს შეიცავენ, ფუძისეული ხმოვანი კი მერყეობა უფრო სონანტების მეზობლობაში (რ, ნ, ლ) (ერთელიშვილი 1970: 114)...

ფონოსემანტიკურ სიტყვებში ხმოვანთმონაცვლეობა, ჩვეულებრივ, სრულ ლექსიკურ სხვაობას არ გვაძლევს *(ჭაჭყანი - ჭიჭყინი - ჭუჭყუნი),* ხშირად ნიუანსური სხვაობაც კი საეჭვოა *(კრაჭუნი - კრიჭინი - კრუჭუნი, ლაწუნი - ლიწინი).* ბგერათმონაცვლეობა

[1]ხმოვანთმონაცვლეობა გვხვდება, აგრეთვე, სახელურ ფუძეებში: *ხილი-ხულო, პანტა-პუნტა,* რაც არ არის ფონეტიკური ცვლილება და, პირველ რიგში, სემანტიკური ნიუანსების გამოხატვას ემსახურება, სემანტიზებული ფორმებია მსგავსად ფონოსემანტიკური სიტყვებისა.

ფონოსემანტიკურ სიტყვებში სწორედ ნიუანსური, ექსპრესიულ - კონოტატიური მნიშვნელობების გამოხატვას გულისხმობს, თუმცა, როცა მნიშვნელობის გადაწევის შედეგად ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკა სიარულის მანერას გამოხატავს, უკვე დგება დენოტატიური მნიშვნელობის ცვლის საკითხი. ზოგჯერ კი დაისმის კითხვა: სად მთავრდება კონოტატიური მნიშვნელობა და სად იწყება დენოტატიური.

ფონოსემანტიკური სიტყვების გადაბგერებული ვარიანტები არ არის ჩათვლილი ფაკულტატივებად, რადგან ბგერწერის პრინციპი სიტყვაწარმოების პროდუქტიულ საშუალებად მიიჩნევა (ჯორბენაძე 1985: 23); /ა : უ/ მონაცვლეობა ქართულში საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ მას მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქცია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში აქვს მოპოვებული. მაგ.: 1. *სლოკინი, სლუკუნი,* 2. *ცურავს, ცორავს.*

1. *სლოკინი* - ხორხისმიერი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმები, რომელთაც გამოსცემს ადამიანი (ან ცხოველი) დიაფრაგმის კრუნჩხვითი შეკუმშვის შედეგად სახმო სიმების ჩაკეტვის გამო.

სლუკუნი - გულამოსკვნილი, ხმამაღლა ტირილი, ნაწყვეტ - ნაწყვეტი სუნთქვითა და სპეციფიკური ბგერების გამოცემით.

2. *ცურავს* – წყლის ზედაპირზე, წყალში მოძრაობს (ფარფლების, ხელფეხის... მოსმით) *ცორავს* - გოგმანით, ლამაზად დადის... ლივლივებს ჰაერში, ირაოს აკეთებს (ჯორბენაძე 1985. 37).

როგორც ვხედავთ, ო-უ ხმოვანთმონაცვლეობამ იკისრა მნიშვნელობათაგანმასხვავებლის ფუნქცია, თუმცა ფონეტიკური ვარიანტების სემანტიზირებულ ფორმებში ,,მაინც ჩანს რაღაც საერთო“ (ჯორბენაძე 1985: 37). ბუნებრივია დაისმის კითხვა: რა არის „რაღაც საერთო“? დენოტატიური თუ კონოტატიური მნიშვნელობა? მოყვანილი მაგალითებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პირველ წყვილს, განმარტების მიხედვით, აერთიანებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ სპეციფიკური ხმის გამოცემა, თუმცა ერთ შემთხვევაში: *სლოკინი* (ფიზიოლოგიური მოვლენა), მეორე შემთხვევაში კი - ტირილი (რა თქმა უნდა, ფიზიოლოგიური, მაგრამ ემოციით გამოწვეული მოვლენა). მეორე წყვილისათვის საერთოა ლივლივით მოძრაობა: ა) ჰაერში ან ხმელეთზე; ბ) წყალზე ან წყალში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სიტყვაში სწორედ ნიუანსური, კონოტატიური მახასიათებელია შენარჩუნებული. სწორედ ამის ძალით არის, რომ არაფონოსემანტიკური სიტყვა ,,ცურვა“ ,,ცორვასთან“ მიმართებაში იძენს ფონოსემანტიკურობის, ექსპრესიულობის ელფერს, ალბათ, დაპირისპირებული წყვილის გამო.

თუ დენოტატიურ მნიშვნელობას აღვნიშნავთ D-თი და კონოტატიურს - K-თი, ეს წყვილები შემდეგ სახეს მიიღებენ:

სლოკინი (D_1K) - *სლუკუნი* (D_2K), თუ დავუშვებთ იმას, რომ ამ სიტყვებისთვის სწორედ D არის საერთო (ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმის გამოცემა), შემდეგ შეფარდებას მივიღებთ: *სლოკინი* (DK_1) - *სლუკუნი* (DK_2), სადაც K_1 არის სლოკინი ზოგადად, ხოლო K_2 – ტირილი. თუკი *ცურვა, ცორვა* სიტყვებს ცნება (D) ლივლივში გავაერთიანებთ, ხმელეთსა თუ წყალში მოძრაობა კონოტატიურ შეფასებას მიიღებს: *ლივლივი* D - *ცურვა* (DK_1), *ცორვა* (DK_2); თუკი მოძრაობას მივაწერთ დენოტატიურ მნიშვნელობას, მაშინ კონოტატიური - *ლივლივი*, მსუბუქად მოძრაობა აღმოჩნდება: მოძრაობა D - *ცურვა* (D_1K), *ცორვა* (D_2K), სადაც D_1 და D_2 განსხვავდება სივრცული ორიენტირების მიხედვით.

ვფიქრობთ, ბ. ჯორბენაძე სწორედ დენოტატიურ მნიშვნელობათა სხვაობებზე ამახვილებს

ყურადღებას, როცა ამ მაგალითებს ქართული ენის თვალსაზრისით ფაკულტატიურ საშუალებად თვლის და აღნიშნავს, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით ხელშესახებია დიალექტებში, სადაც მრავლადაა ამ რიგის დაპირისპირებანი: *ბლაყნა - ბლუყნა, ბარდღუნი - ბურდღუნი, ფეთქვა - ფოთქვა, ხორხნა - ხურხნა,* მიზეზს კი იმაში ხედავს, რომ დიალექტები შეუზღუდავად იყენებენ იმ ტენდენციას, რომლებიც ნაკლებად გავრცელებულია, ხოლო ზოგჯერ იკრძალება კიდეც სალიტერატურო ენაში, არადა, ამ თვალსაზრისით, ქართულ ენას, მართლაც მოეპოვება პრაქტიკულად ამოუწურავი შესაძლებლობანი - წერს ბ. ჯორბენაძე და ნიმუშად მოჰყავს ერთი ამოსავალი ფუძე ოთხგვარი გახმოვანებით: *ღრღნის, ღერღავს, ღორღნის, ღურღნის* (ჯორბენაძე 1985: 37–38).

ბგერათა ალტერნაცია და ფონოსემანტიკა მეგრულსა და ლაზურში

ბგერათა ალტერნაციის ანალიზისას აუცილებლად დგება *ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობისა* და *ფონეტიკური ვარიანტულობის* მიმართების საკითხი, ვინაიდან პირველი, მეორისგან განსხვავებით, აპირობებს სემანტიკურ ცვლილებებს.

ფონეტიკური ვარიანტულობა მოიცავს როგორც *ხმოვანთა* და *თანხმოვანთა*, ისე *კომპლექსთა მონაცვლეობის* თუ *ჩანაცვლების* (სუბსტიტუციის) საკითხებს უცვლელი სემანტიკის პირობებში; ამიტომ მისი კვალიფიცირება „თავისუფალ ბგერათმონაცვლეობად“ (ერთელიშვილი 1970: 111) მართებული ჩანს.

როგორც არაერთგზის შევნიშნეთ, ქართულისათვის ჯერ კიდევ გ. ახვლედიანმა გამიჯნა ერთმანეთისაგან *ფონეტიკური (გალობს - გალოფს, წავიდა - წევიდა)* და *ფონოლოგიური* ტიპის (*კრება - კრეფა)* ბგერათმონაცვლეობა. მან ანლაუტური თანხმოვნით განსხვავებული იდენტური ფონოსემანტიკური მოდელები (*ჟრიალი - ჭრიალი - შრიალი...),* რომლებიც არა ერთმანეთისაგან მომდინარედ, ან ერთმანეთის მიმართ ფონეტიკურ ვარიანტებად, არამედ იმთავითვე განსხვავებული მნიშვნელობების გამოსახატავად წარმოქმნილ ფუძეებად მიიჩნია (ახვლედიანი 1929: 297); ფონოსემანტიკური სიტყვების დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები თავის დროზე ფონეტიკური პირობებით შექმნილი ვარიანტებია (ქობალავა 1980: 67).

ვ ა რ ი ა ნ ტ ი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კონკრეტული ენობრივი ერთეულის სხვადასხვაგვაროვნება, რომელიც ენაში არსებულ ნორმას ემყარება და არსებობს სემანტიკური იდენტობის პირობებში[1]. სხვაგვარად, ორი ელემენტის მიმართება მათი თავისუფალი ვარირების პირობებში, კვალიფიცირდება ვარიანტულობად (როგოჟნიკოვა 1967: 151-163;

[1] ფუძის ვარიანტულობა გულისხმობს მისი გარეგანი მხარის ცვლას ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის გარეშე; ცვლილება შეიძლება ეხებოდეს ფონეტიკურ ან მორფოლოგიურ ინვენტარს (თეორიული საკითხებისათვის იხ. როგოჟნიკოვა 1967, ახმანოვა 1957).

ახმანოვა 1957:192); ეს ის შემთხვევაა, როცა რაიმე სახის სტრუქტურული (ფონეტიკური, მორფოლოგიური) ცვლილებები ფუძის ძირითად ან ნიუანსობრივ მნიშვნელობას ვერ ცვლის (გერსამია 2003: 22).

ფონოსემანტიკურ ფუძეთა ვარიანტულობის განხილვა დასაშვებია ენობრივი ანალიზის სხვადასხვა დონეზე, რაც შესაბამისად წარმოქმნის მის სხვადასხვა ტიპებს:

1. ფონეტიკური ვარიანტულობა;
2. მორფოლოგიური ვარიანტულობა[1];
3 დერივაციული ვარიანტულობა (როცა დერივაციული ელემენტები დესემანტიზებულია);
4. ლექსიკური ვარიანტულობა (რომელიც ლექსიკური სინონიმიის საკითხს უკავშირდება).
5. დიალექტური ვარიანტულობა.

მეგრულსა და ლაზურში ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეების დიდ ნაწილს მოეპოვება პარალელური ფორმები, რომელთა შორის სხვაობა ერთი ხმოვნის დონეზე დაჩნდება; მათ შორის თუნდაც ნიუანსობრივი სემანტიკური სხვაობის არარსებობაზე მიუთითებს სალექსიკონო განმარტებები; ამ სახის ბგერათმონაცვლეობას არა აქვს არც ფუნქციური ხასიათი. ფონოსტრუქტურებში არსებული სხვაობა ვერ ახდენს გავლენას სემანტიკაზე, მათი მნიშვნელობა ერთმანეთს სრულად ფარავს; ისინი არ განსხვავდებიან გავრცელების არეალით, არსებობენ ერთი დიალექტური სისტემის ფარგლებში, უფრო მეტიც, ერთი პირის მეტყველებაში; არ ჩანს რაიმე ტიპის სტილისტური სხვაობაც; ძნელდება ხმარების სიხშირის დადგენაც. ამიტომ მათი კვალიფიცირება „ფონეტიკურ ვარიანტებად“ არ უნდა იყოს აზრსმოკლებული (გერსამია 2003: 20).

1. *ხმოვანთა მონაცვლეობით[2] მიღებული ფონეტიკური ვარიანტები.*

ხმოვანთა მონაცვლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას ორი შემთხვევა უნდა გაირჩეს:

ა. როცა ხმოვანთა მონაცვლეობა (resp. ჩანაცვლება) არ უკავშირდება ფუძის სემანტიკურ ცვლილებებს და ვარირება ან არტიკულაციური ხასიათისაა, როცა ახლოს მდგომი ხმოვნები გადადიან ერთმანეთში, ან კომპლექსის სონორით გართულებით ან გამარტივებით მიიღება;

ბ. ხმოვანთმონაცვლეობა სემანტიკური ხასიათისაა; ძირეული მნიშვნელობის ცვლის საფუძველია.

მეგრულში ვარიანტებს ქმნიან წინა რიგის ხმოვნები, უფრო ხშირად ისინი ჩაენაცვლებიან ერთმანეთს: ა/ე, ა/ი, ე/ი, ა/ე/ი, შედარებით იშვიათია ი/ო, ი/ა/ო ჩანაცვლება.

---

[1] სახელის ფუძის ფუნქციური ვარიანტები კვალიფიცირდება მორფემულ ვარიანტებად (უთურგაიძე 1986: 74).

[2] ტერმინს ტრადიციული გაგებით ვიყენებთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ საანალიზო მაგალითები ასახავს თანხმოვანთა და ხმოვანთა ჩანაცვლებას ერთი და იმავე ფონეტიკური მოდელისა და სემანტიკის ფარგლებში, ამიტომ აღნიშნული მოვლენის სუბსტიტუციად განხილვა უფრო მართებულად მიგვაჩნია; ხმოვანთმონაცვლეობად კი შეიძლება განხილულიქნას რედუპლიკაციის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა: ბაზასა და რედუპლიკატში ხმოვნის მონაცვლეობა.

სქემა:[1]



ვარიანტებად უნდა განვიხილოთ ასევე /ი/ და /უ/ ხმოვნების დავიწროვების შედეგად მიღებული ნეიტრალურხმოვნიანი ფუძეები, რომელთა ფუნქციონირება შეზღუდულია დიალექტური არეალის მიხედვით; ზოგადად, ნეიტრალურხმოვნიანი ფუძეები დასავლური დიალექტების, განსაკუთრებით - სამურზაყანულის, კუთვნილებაა; ფონოსემანტიკურ ფუძეთა ანალიზი უჩვენებს, რომ ი > *ე*, უ > *ე* გარდაქმნა ყველა შემთხვევაში გატარებული არ არის, შესაბამისად /ი/ და /უ/ ხმოვნიანი ყველა ფუძე პარალელური ნეიტრალურხმოვნიანი ვარიანტით არ არის წარმოდგენილი:

ა/ე: *ბაზუა / ბეზუა* „მაგრად ცემა..., ბეზვა“ (ქობ. ქაჯ.), *ბათქუა / ბეთქუა* „ მაგრად ცემა, ბეთქვა, ბეგვა“ (ქობ. ქაჯ.), *გვახუა/გვეხუა* „ტენვა, კვესება; დურთვა“ (ქობ. ქაჯ.), *შვაპუა/ შვეპუა* „დალტობა, გალუმპვა, გაჭრენთვა, შესრუტვა“ (ქობ. ქაჯ.), *დგადგუა/ დგედგუა* „ცემა-ტყეპა; ტყაპუნი, კვრა“ (ქობ. ქაჯ.), *ტკატკუა / ტკეტკუა* „უმტკივნეულო ცემა, წათაქება, წამორტყმა“ (ქობ. ქაჯ.), *ფაშქუა/ ფეშქუა* „დაბუშტვა, გამოყრა“ (ქობ. ქაჯ.), *ჯგანჯგუა/ ჯგენჯგუა* „ლეწვა-დაქუცმაცება“ (ქობ. ქაჯ.), *ჯგაჯგუა/ ჯგეჯგუა* „ჯეჯგვა, უკანა კბილებით ღეჭვა, მსხვილად ფქვა“ (ქობ. ქაჯ.), *ჩხარჩხალი / ჩხერჩხელი* „ჩხრიალი, ჩუჩხუნი, ჩხერანი“ (ქობ. ქაჯ.)...

ა/ე/ი: *დღვაბუა / დღვებუა / დღვიბუა*[2] „ათქვეფა, ადღვება“ (ქობ.ქაჯ.); *თქვაფუა / თქვეფუა / თქვიფუა* „თქვეფა“(ქობ.ქაჯ.); *ჩხვაპუა / ჩხვეპუა / ჩხვიპუა* „სახეში მოსხლეტით გარტყმა; ცხვირ-პირში ცემა, შესხმა“ (ქობ. ქაჯ); *ჟღვაბუა / ჟღვებუა / ჟღვიბუა* „ხელის დავლება, დასუსხვა, აბებრება“ (ქობ. ქაჯ);

ე/ი: *ზღვენდუა / ზღვინდუა* „გაშოლტვა, გაწკეპვლა, გაწვნა...“ (ქობ. ქაჯ);

ა/ი: *ჭამბუა / ჭიმბუა* „კვრა, ტკეცა“ (ქობ. ქაჯ); *ბახუა / ბიხუა* „დიდ-დიდი ლუკმებით, მადიანად ჭამა... (ქობ. ქაჯ); *პახუა / პიხუა* „მადიანად ჭამა“ [პატარა ობიექტი] (ქობ. ქაჯ); *ჯვაბუა / ჯვიბუა* „პირის გამოტენით ჭამა“ (ქობ. ქაჯ);

ი/*ე*/ო: *თირხ-უა / თერხ-უა / თორხ-უა* „ღონივრად ჭამა, [...] თოხლაობა“ (ქობ. 316; 319)

ი/*ე*/ და ი/ა/ო: ამგვარი მონაცვლეობით მიღებულ ფუძეებში ძირის გახმოვანების

[1]აღნიშნული სქემა ასახავს ხმოვანთა ვარირების მიმართულებას. ამ პროცესში პრაქტიკულად არ მონაწილეობს /ო/ ხმოვანი, სამაგიეროდ ის ხშირად დაჩნდება რედუპლიცირებულ ფუძეებში და სემანტიკასაც ცვლის.

[2] ი-ხმოვნიანი ვარანტები ინფორმატორთა მიერ არის დადასტურებული (სამეგრელოს ექსპედიციის მასალები 2013-2015)

სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი, სემანტიკურად კონსონანტები ასახავენ რეალურ ხმებს: *დღი/ჷ რიზ-უა // დღი/ჷრაზ-უა // დღი/ჷროზ-უა* „დღლეზა“ (ქობ. 265); *თხი/ჷრიშ-უა // თხი/ჷრაშ-უა // თხი/ჷროშ-უა* „თხლეშა, ფხრეწა, გლეჯა“ (ქობ.322); *ტყი/ჷრიშ-უა // ტყი/ჷრაშ-უა* „დღლეზა, გლეჯა; ამ დროს გამოცემული ხმა“ (ქაჯ.)

ანალიზმა აჩვენა, რომ არასოდეს ვიწროვდება მასდარის მაწარმოებელი -უ-ა სუფიქსის შემადგენელი /უ/ ხმოვანი, მაშინ, როცა, უმრავლეს შემთხვევაში, დავიწროვებულია რედუპლიცირებული ფუძეების /ი/ და /უ/ ხმოვნები ბაზასა და რედუპლიკატში როგორც იდენტური, ასევე განსხვავებულხმოვნიანი რედუპლიკაციის დროს:

ი / ჷ: ტირტინი / ტურტინი / ტრჷტჷნი „რატრატი, ჩიჩინი“ (ქობ. 602); *დღირდღინი / დღურდღინი / დღჷრდღჷნი* „დუდღუნი, ბურდღუნი“ (ქობ.265); *თხირთხინი / თხურთხინი / თხჷრთხჷნი* „თხიპინი, თუხთუხი“ (ქობ. 322);

მეგრულში ბგერწერითი რედუპლიცირებული ფუძეების აუსლაუტში -VS ფონოსტრუქტურა სუფიქსად მხოლოდ დიაქრონიულ დონეზე გაიაზრება; ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე კი „ასეთი ფუძეები ფუნქციონირებენ როგორც დაუშლელნი“ (ქობალავა 1979). ამ დებულების დამატებით არგუმენტად შესაძლოა გამოდგეს ისტორიული სუფიქსისეული სრული ხმოვნის, დღეს უკვე ფუძის რედუპლიცირებული ნაწილის, ნეიტრალურ ხმოვანში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადასვლის ტენდენცია.

ლაზურში ხმოვანთა ალტერნაციით მიღებული ვარიანტები ძალიან ცოტაა: *ო-წინწ-უ* (ხოფ.) / *ო-წონწ-უ* (ვიწ. არქ.) „გაწეწვა, წეწვა“ (ქუთელია 2005: 144); *ოჟლიტუ / ოჟლეტუ* (ხოფ), *ოჟლიპუ* (არქ.) „გაჟლეტვა“ (დიუმეზილი 1967: 47/26); *ოჭაჭკუ* (არქ), *ოჭიჭყუ* (ხოფ.) „დაჭეჭყვა, დაჩეჩქვა“ (ქუთელია 2005: 221).

ხმოვანთა მონაცვლეობით მიღებული ფუძეები ყოველთვის არ არიან თავისუფალი ვარირების მიმართებაში; სალექსიკონო განმარტებების შედარებით ნათელს ხდის ორ ფუძეს შორის არსებულ ძირეულ ან ნიუანსობრივ სემანტიკურ სხვაობებს:

ჭკანჭკუა „ღეჭვა, კეპვა, დანაწევრება“ (ქობ. 712),
ჭკენჭკუა „მსხვილად ფქვა, ჭეჭკვა, კეპვა“ (ქობ. 712);

ტკაჩუა „შოლტის, ხელის შემოკვრა; ტკეცა, ტკაცანის გაღება“ (ქობ. 603),
ტკეჩუა „დატკეცვა, ტკეჩის დამზადება; ტკეცა“ (ქობ. 602);

წკაპუა „ერთგვარი ჭამა, წკაპა-წკუპი, ჩქამის გაღება; ჩამწკრივება, ჩაწიკწიკება“ (ქობ. 698)
წკეპუა „დაჭდევება, დანაკუწება, დაკეპვა, წვრილად დაპობა“ (ქობ.698);
წკიპუა „გაწკეპა, გამოწკეპა“ (ქობ.698).

თირსუა / თჷრსუა „დურთვა (თავისა მიწაში); ცემა, მიხლა“ (ქობ.316),
თორსუა „ახვავება, დიდთოვლობა, უხვად ყრა“ (ქობ.319);

კირტინი / კჷრტინი „გაუთავებელი, გამუდმებული საუბარი; ჩიჩინი“(ინფ.),
კირტონ-ი /კჷრტონი „კორტნა“ (ქობ.370)[1].

[1] სუფიქსის გახმოვანებასთან, ზოგადად, სუფიქსაციასთან დაკავშირებული საკითხები იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 238-243

თუმცა ამ ფუძეთა სემანტიკურ კომპონენტებად დაშლა იძლევა იდენტურ ან გადამკვეთ სემებს, რაც ბგერწერითი მოდელის კონსონანტურ სტრუქტურასთან დაკავშირებული სემანტიკით ჩანს შეპირობებული. ხმოვანთმონაცვლეობა სემანტიკური ხასიათისაა, თუმცა იდენტური ფუნქციური მოდელის ფარგლებში.

ფონოლოგიური ხმოვანთმონაცვლეობა მეგრულში

მეგრულში ექსპრესიული ზმნური თუ სახელზმნური ფუძეების ხმოვნის შეცვლას აპირობებს სხვადასხვაგვარად გახმოვანებულ სუფიქსთა დართვა, სემანტიკა იცვლება კონსონანტური „კარკასის“ შეუცვლელად; მონაცვლეობა ეხება /ა/, /ე/, /ი/ ხმოვნებს. აღნიშნულ მოვლენას არაფერი აქვს საერთო მეგრულში ფართოდ გავრცელებული ფუნქციური ხმოვანთმონაცვლეობის ანუ აბლაუტის ფაქტებთან (ქობალავა 1979: 108_3), ვინაიდან ის არ არის შეპირობებული ფონეტიკური ან მორფოლოგიური ფაქტორებით, არამედ მხოლოდ სემანტიკურია.

ამ ტიპის სემანტიკურ ხმოვანთმონაცვლეობას ყურადღება ჯერ კიდევ გ. როგავამ მიაქცია, მან ერთ-ერთ მოდელში ფუძისეული ხმოვნის ცვლის მიზეზად აფიქსური მორფემები მიიჩნია: *ტვინ-* სახელურ ძირზე დაყრდნობით გააანალიზა, როგორ წარმოიქმნებოდა ახალი ლექსემები ხმოვანთმონაცვლეობის საშუალებით: მეგრული *ტვინგალი* „სულელი“ ფორმისაგან იწარმოება ზმნური ფორმა *ო-ტვინგ-ინ-ან-ს* „ის სულელია“, ი/ა მონაცვლეობით წარმოიქმნება nomen actionis-ი „სიარულის“ ან „ლაპარაკის“ მნიშვნელობით და იმავე სემანტიკური კომპონენტები შენარჩუნებით. -ერე / -რე სუფიქსთა დართვით ი > ე’ში გადადის: *ტვენგ-ერე,* რომლისგანაც წარმოიქმნება კნინობითი *ტვენგერია* (როგავა 1942b: 626).

აღნიშნული ენობრივი ფენომენი მოგვიანებით სისტემის დონეზე აღიწერა და დადგინდა მიმართებები აფიქსსა და ფუძისეულ ხმოვანს შორის[1] (ქობალავა 1979), ფუძისეული ხმოვნის ცვლის კანონზომიერებები მეგრულის ბგერწერითი ფუძეებისათვის:

1. ფუძისეულ ხმოვნად დაჩნდება /ა/, თუ მას დაერთვის -ალ /-ლ სუფიქსი[2]:

R[/ა/...ალ/ლ]-NOM

გვაგვა-ლ-ი	*ქვაქვა-ლ-ი*	*კვაკვა-ლ-ი*
გვად-ალ-ი	*ქვათ-ალ-ი*	*კვატ-ალ-ი*
ძვაძვა-ლ-ი	*ცვაცვა-ლ-ი*	*წვაწვა-ლ-ი*

ამგვარი მოდელები ფუნქციურად მასდარებია, ბრუნებადი სახელი და უკავშირდება მოძრაობის სხვადასხვა სახეს; მათი განმარტებისას დენოტატი აღიწერება ნეიტრალური ექსიკით: „სიარული, ლაპარაკი“.

[1]ქობალავას მიერ დადგენილი კანონზომიერებები უკავშირდება ფუძისეული ხმოვნისა და აფიქსისი ერთდროულ ცვლას (ამიტომ დეტალურად განვიხილავთ აფიქსებთან)

[2]ღია და დახურული მარცვლის შემთხვევაში წარმოქმნილ სუფიქსებთან დაკავშირებით მსჯელობისათვის იხ. ამავე მონოგრაფიის გვ. 238-143.

2. თუ ფუძეში დაჩნდება /ი/ ხმოვანი და მას ასევე დაერთვის -ალ/-ლ სუფიქსი, ამგვარი მოდელი აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას, ფუნქციურად ზედსართავია ან მიმღეობა; სემანტიკურად სტატიკური ფორმებია. დასაშვებია -ალ სუფიქსის გამარტივება თანხმოვნური ელემენტის დაკარგვის ხარჯზე: *-ალ > ა ან -ლ* სუფიქსის მოკვეცა:

R[/ი/...ალ]-NOM / R[/ი/]-ა[ADJ]

გვიგვა-ლ-ი[1] */გვიგვ-ა*	*ქვიქვა-ლ-ი / ქვიქვ-ა*	*კვიკვა-ლ-ი*
გვიდ-ალ-ი /გვიდ-ა	*ქვით-ალ-ი*	*კვიტ-ალ-ი*
ძვიძვა-ლ-ი /ძვიძვ-ა	*ცვიცვა-ლ-ი/ცვიცვ-ა*	*წვიწვა-ლ-ი / წვიწვ-ა*

2.1 -რ-ია /რ-ე ან -ერ-ია / -ერ-ე/ -ე სუფიქსთა (ღია და დახურულმარცვლიანი ფუძეების შესაბამისად) დართვით კი ფუძის ხმოვნითი ელემენტი იცვლება: /ი/ > /ე/; ე-ხმოვნიანი ფუძეებიც სტატიკური ფორმებია და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ, რასაც ფუძეში ი-ხმოვნიანი მოდელები;

R[/ე/...ერ]-ია / -ე[ADJ]

გვეგვე-რ-ია /გვეგვე-რ-ე / გვეგვე	*ძვეძვე-რ-ია/ ძვეძვ-ია/ ძვეძვე-რ-ე / ძვეძვ-ე*
ქვექვე-რ-ია / ქვექვ-ია /ქვექვე-რ-ე / ქვექვ-ე	*ცვეცვე-რ-ია / ცვეცვე-რ-ე / ცვეცვ-ე*
კვეკვე-რ-ია / კვეკვ-ია / კვეკვე-რ-ე / კვეკვ-ე	*წვეწვე-რ-ია / წვეწვ-ია / წვეწვე-რ-ე / წვეწვ-ე*[2]
გვედ-ერ-ია/ გვედ-ერ-ე /გვედ-ე	*ჭვეპ-ერ-ია/ ჭვეპ-ერ-ე / ჭვეპ-ე*
ჩეკ-ერ-ია /ჩეკ-ერ-ე	*წკვეპ-ერ-ია / წკვეპ-ერ-ე /წკვეპ-ე*

3. თუ -ალ / -ლ სუფიქსის მომდევნოდ დაჩნდება მქონებლობის / ქონების აღმნიშვნელი -ა სუფიქსი, ფუძისეული ხმოვანი შეიცვლება /ა/-დ და ფუძის აუსლაუტში გვექნება -ალ-ა /-ლ-ა სუფიქსური მიმდევრობა, რომელიც დასაშვებია გამარტივდეს (*ალ-ა > ა)* და ამ სახით დაერთოს ძირს; ამგვარი ფუძეები აღნიშნავენ მოძრაობას, როგორც რაიმე საგნის ნიშან-თვისებას, მის მახასიათებელს:

R[/ა/...ალ]-ა[ADJ]

გვაგვა-ლ-ა / გვაგვ-ა[3]	*ქვაქვა-ლ-ა/ ქვაქვ-ა*	*კვაკვა-ლ-ა / კვაკვ-ა*
გვად-ალ-ა/ გვად-ა	*ქვათ-ალ-ა/ქვათ-ა*	*კვატ-ალ-ა*
ძვაძვა-ლ-ა/ ძვაძვ-ა	*ცვაცვა-ლ-ა/ცვაცვ-ა*	*წვაწვა-ლ-ა / წვაწვ-ა*

[1] შეიძლება დაგვეშვა, რომ ხმოვნითი ელემენტი სუფიქსურია, ხოლო დაკარგულად ჩაითვალოს ღია მარცვლის ხმოვანი მეორე რედუპლიკატში. დეტალურად იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 181-190

[2] საგულისხმოა, რომ 2 და 2.1. პარაგრაფის მაგალითები ერთმანეთის მიმართ მორფოლოგიურ ვარიანტებს წარმოადგენენ; მსჯელობისათვის იხ. მავე მონოგრაფიაში გვ. 181-190; 238-243.

[3] შდრ. ქართ. გვანგვალა, ბანცალა და ა. შ.

4. -ინ სუფიქსის დართვისას განირჩევა რამდენიმე შემთხვევა:

ა. ფუძისეული /ა/ ხმოვნით გამოხატავენ მოძრაობას;

ბ. ფუძისეული /ი/ ხმოვნით გამოხატავენ სტატიკას, უფრო ხშირად უკავშირდებიან სუბიექტის ნიშან-თვისებების (გარეგნული და შინაგანი სემანტიკური მახასიათებლების) გადმოცემას;

გ. ფუძისეული /უ/ ხმოვნით, რომლებიც ასევე გამოხატავენ ხმას /ხმიანობას, ან მოძრაობა-მოქმედებას და ამ მოძრაობა-მოქმედების შედეგად გამოცემულ ხმას.

ფუნქციურად სამივე მოდელი მასდარებია და ამდენად, ბრუნებადი სიტყვები. ამასთან (ა) და (ბ) შემთხვევები ერთმანეთის მიმართ მონაცვლეობენ იდენტური ფონომოდელების ფარგლებში, მაშინ, როცა /უ/-ხმოვნიანი ფუძეები სხვა ტიპის ფონოსტრუქტურას იყენებენ:

R[/ა/...ინ]-NOM	R[/ი/...ინ]-NOM	R[/ა/...ინ]-NOM	R[/ი/...ინ]-NOM
პარჭ-ინ-ი	*პირჭ-ინ-ი*	*პასქვ-ინ-ი*	*პისქვ-ინ-ი*
გვაჯ-ინ-ი	*გვიჯ-ინ-ი*	*ქვაქვ-ინ-ი*	*ქვიქვ-ინ-ი*
სარღ-ინ-ი	*სირღ-ინ-ი*	*დარგ-ინ-ი*	*დირგინ-ი*

R[/უ/...ინ]-NOM [MSD]: *პურჭ-ინ-ი, ქურჩ-ინ-ი, ხურჩ-ინ-ი, ღუმ-ინ-ი, ტუმ-ინ-ი, ტუტ-ინ-ი, წურწ-ინ-ი, ჭურჭ-ინ-ი, ტყუმ-ინ-ი, დღუმ-ინ-ი, თხუმ-ინ-ი...* მქონებლობის /ქონების აღმნიშვნელი -ა სუფიქსის დართვა ღნიშნულ ფორმებს აქცევს მიმღეობად, რომელიც სუბიექტის ნიშან-თვისების, ხმასთან დაკავშირებული სემანტიკური მახასიათებლით გამოირჩევა.

R[/უ/...ინ]-ა [ADJ]: *პურჭ-ინ-ა, ქურჩ-ინ-ა, ხურჩ-ინ-ა, ღუმ-ინ-ა, ტუმ-ინ-ა, ტუტ-ინ-ი, წურწ-ინ-ა, ჭურჭ-ინ-ა, ტყუმ-ინ-ა, დღუმ-ინ-ა, თხუმ-ინ-ა...*

1. ფუძეში ჩნდება /ი/ ხმოვანი მაშინაც, როცა მას დაერთვის -ონ / -ოლ სუფიქსები; გამოხატავს აქტივობას, მოქმედებას; ფუნქციურად მასდარებია; სემანტიკურად გამოხატავენ დინამიკას. ამგვარ ფუძეებზე მქონებლობის/ ქონების -ა-ს დართვა მათ ნიშნა-თვისების გამომხატველ მიმღეობებად აქცევს

R[/ი/...ონ]-NOM [MSD]	*R[/ი/...ონ]-ა[ADJ]*	*R[/ი/...ოლ]-NOM[MSD]*	*R[/ი/...ოლ]-ა[ADJ]*
ძირძ-ონ-ი[1]	*ძირძ-ონ-ა*	*სირს-ოლ-ი*	*სირს-ოლ-ა*
ღირღ-ონ-ი	*ღირღ-ონ-ა*	*ტირტ-ოლ-ი*	*ტირტ-ოლ-ა*
კირტ-ონ-ი	*კირტ-ონ-ა*	*ტინტ-ოლ-ი*	*ტინტ-ოლ-ა*

2. ფუძეში /უ/ ხმოვანი დაჩნდება მაშინ, როცა მას დაერთვის -ოლ / ორ სუფიქსები, ძირითადად უკავშირდება მოძრაობა-მოქმედებას და მასთან დაკავშირებულ ხმას; ფუნქციურად მასდარებია, როცა დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, ქონების/ მქონებლობის -ა სუფიქსის დართვისას მიმღეობაა, რომელიც სემანტიკურად გახაზავს სუბიქტის ნიშან-თვისებას, მახასიათებელს:

R[/უ/...ოლ]-NOM[MSD]	R[/უ/...ოლ]-ა[ADJ]
ყურტ-ოლ-ი	ყურტ-ოლ-ა
ტკუმ-ორ-ი	ტკუმ-ორ-ა
დგუმ-ორ-ი	დგუმ-ორ-ა

[1]ამ ტიპის ფუძეების ენის განვითარების სინქრონიული ეტაპისათვის რედუპლიკაციად განიხილება. მსჯელობისათვის იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 181-190.

როგორც მაგალითები უჩვენებს, ფუძისეული ხმოვნის ცვლა ფუძის სემანტიკურ ცვლას აპირობებს, ამიტომ ხმოვანთა ამგვარ მონაცვლეობას მართებულად ეწოდა „ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ხ მ ო ვ ა ნ თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა“ (ქობალავა 1980,107-108$_3$).

განსხვავებულხმოვნიანი ფუძეები ენაში გამოყენებულია განსხვავებული სემანტიკური ნიაუანსების გადმოსაცემად; შესაბამისად, ამგვარ ფუძეთა გრამატიკული შესაძლებლობებიც განსხვავებულია.

ზემოთ აღწერილი ფუძეების ანალიზისას ყოველთვის დგას ამოსავალი ხმოვნის საკითხი, რაც, ხშირ შემთხვევაში (ნეიტრალურის გარდა), რთული დასადგენია. აქვე შეიძლება დაისვას საკითხი ვარიანტების ფუნქციური განაწილებისათვის ენაში, აშკარაა, რომ ისინი ენობრივად ჭარბი არ არიან, ვინაიდან ისინი განსხვავდებიან სინტაქტიკური დისტრიბუციის, სემანტიკური თავსებადობის, მორფოლოგიური თუ დერივაციული (ზმნური და სახელური) მოდელების აგების პოტენციალის მიხედვით.

ფაქტია, რომ მეგრულში ხმოვანთა ალტერნაცია ფონოსემანტიკურ ფუძეთა წარმოქმნის მნიშვნელოვანი მექანიზმია.

2. თანხმოვანთა მონაცვლეობით მიღებული ვარიანტები.

თანხმოვანთა მონაცვლეობაში იგულიხმება არა ერთი სტრუქტურის ფარგლებში ჰომოგენურობის ნიშნით მონაცვლე თახმოვნები თუ თანხმოვანთკომპლექსები, არამედ ერთსა და იმავე პოზიციაში სხვადასხვა კონსონანტის გამოვლენა სრული, ან თუნდაც ნიუანსური, მნიშველობის ცვლის გარეშე[1].

მეგრულში ერთმანეთს ჩაანაცვლებენ ხშულები და/ ან სპირანტები; ზოგი მაგალითი დასაშვებია განვიხილოთ დეზაფრიკატიზაციის შემთხვევადაც, თუმცა ვარიანტებს შორის მიმართება არ არის ისტორიული, ისინი ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე თანაბრად ფუნქციონირებენ:

ბ/მ: *დღაბურუა/დღამურუა* „დღაბნა, თხუპნა“ (ქობ.264)

გ/დ: *ჟვენგუა/ჟვენდუა* „მარჯვედ ხტომა“ (ქობ. 566)

ბ/ფ: *დღვაბუა/ დღვაფუა* „ათქვეფა, ადღვება, ლუფხვა“ (ქობ. 265)

დ/თ: *დვეზერია/თვეზერია* „ქორფა, ფუმფულა“ (ქობ. 314)

ჟ/შ: *ჟვენგუა/შვენგუა* „მძლავრი ხტომა“ (ქობ. 566; 660)

ზ/ს: *გვარგვასი/გვარგვაზი* „ორომტრიალი, რევა, კორიანტელი, ზედახორა; ბორქვნა (ქობ.114)

ძ/ზ: *ძღვარილი/ ზღვარილი* „გაღვარული“ (ქობ.693), „გაღვარული, გალუმპული; დატბორილი“ (ქობ. 311);

ზღვარზღვალი / ძღვარძღვალი „თავსხმა, კოკისპირული წვიმა (ქობ. 311; 693),

ძ/ზ/ჟ:*ძღვარუა/ ზღვარუა/ ჟღვარუა* „გაღვარვა“ (ქობ. 568; 693)

ჯ/ჟ: *ჯღვაბუა/ ჟღვაბუა* „უხეშად ტაცება ხელისა, ჩაბღუჯვა“ (ქობ. 743; 568)

ზ/ჟ: *ტყვაზაფი / ტყვაჟაფი* „გასროლის ხმა, ჭახი“ (ქობ.606)

[1]თანხმოვანთა ან კომპლექსთა მონაცვლეობის საკითხები განხილულია ამავე მონოგრაფიაში ცალკე პარაგრაფის ფარგლებში, გვ. 266-272.

ბგერათა *არტიკულაციური ხასიათის მერყეობა,* რომელიც მაინც ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ჩანს ვარიანტების შექმნისას, ვიდრე რომელიმე ფონეტიკური მოვლენა, ერთი ფონემური რიგის ფარგლებში ხდება; დასაშვებია, რომ ამგვარი მონაცვლეობა ნიუანსობრივ სემანტიკას გამოხატავდეს, რომლის აღწერა და განსხვავებების ჩვენება სალექსიკონო განმარტებების ფარგლებში შეუძლებელია. მნიშვნელობათა ნიუანსობრივი სხვაობის გარჩევა კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკეთა არსებით ლინგვისტურ კომპეტენციას წარმოადგენს.

ლაზურში კომპლექსების გამარტივება დიალექტთა შორის არსებული სხვაობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ნიშანია (კარტოზია 2005, 36; ქუთელია 2005); ამგვარი ფუძეები ერთი ენობრივი სისტემის - ლაზურის - ფარგლებში არსებული *ფონეტიკური ვარიანტებია,* რომელთა გავრცელება ხშირად იზღუდება დიალექტთა მიხედვით. ამიტომ ამგვარ ფორმებთან მიმართებით აუცილებლად უნდა დაისვას ფუძეთა *ფონეტიკური* და *დიალექტური ვარიანტულობის* ერთმანეთთან მიმართების საკითხი. თუმცა დიალექტების შიგნით მინიმალური ფონეტიკური სხვაობა იდენტური სემანტიკის პირობებში ერთი ენობრივი სისტემის ფონეტიკურ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ.

1. *თანხმოვანთმონაცვლეობით* მიღებული ვარიანტები:

ძ/ზ: *ოძანძალუ* (ხოფ.) /*ოზანზალუ* (არქ.) „დაზანზარება“ (ქუთელია 2005: 151); დეზაფრიკატიზებული ვარიანტი იშვიათად რელიზდება (ქუთელია 2005:151);

წ/ტ: *(ხოფ) / კაწანწელა, კატანწელა* (არქ.) „ძალიან გამხდარი, გაწნაკული“ (ქუთელია 2005 : 143)

ჟ/ჯ: *გოხიჟორერი /გოხიჯორერი* (ხოფ) „მოტიტვლებული, ქვიანი ადგილი“ (თანდ. 183)

ც/შ: *გონთრაცუ / გონთრაშუ* (ხოფ) „ძალიან გაბერილი, გასივებული“ (თანდ. 156)

ბ/პ: *ოტკაბუ / ონტკაპუ* (ხოფ.) „ტკეპნა“ (ქუთელია 2005 :255).

შეცვლილია კომპლექსში შემავალი თანხმოვანი:

ძგ/ზგ: *ო-ძგიმოჭ-უ / ო-ზგიმოჭ-უ* „დაგრეხა“ (თანდ. 686) - დეზაფრიკატიზაციით; მცქ > მსქ: *ომცქუმუნუ* (ხოფ. არქ.) „ზღვაზე მზის სხივების კიაფი; წყალში თევზის ლაპლაპი“ (თანდ. 633)/ *ომსკუმულუ* (ვიწ. ათინ.) „პრიალი, კიაფი, შუქის მოფენა, ლაპლაპი“ (თანდ. 629); *მცქ-* ხოფურსა და არქაბულში დასტურდება, ვიწურსა და ათინურში ერთმანეთასაც ენაცვლება *მსქ / მსკ.* /მ/ სონორი ისტორიულად განვითარებული მონაცემია, რომელიც მიმდევრობის ფონოლოგიზებული წევრია.

2. *კომპლექსთა გამარტივებით* მიღებული ვარიანტები:

„ლაზურიკილოებისმიხედვითკონსონანტურიჯგუფებიგარკვეულიკანონზომიერებით რთულდება და მარტივდება კიდეც“ (ქუთელია 2005:223); წესი, რომელიც ნებისმიერი ტიპის ფუძისათვის მოქმედებს ლაზურში, რელევანტურია ფონოსემანტიკური ფუძეების შემთხვევაშიც: „ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო /ყ/ მთელ ლაზურში ვერ ძლებს. ხოფურ-ჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში ამოსავალი *ტყ, წყ, ჭყ* კომპლექსები *ტკ, წკ, ჭკ*-დ არის ცვლილი, ათინურ-ართაშენულში კი კომპლექსები გამარტივებულია მეორე წევრის დაკარგვით“ (კარტოზია 2005: 36):

ტყ || >ტკ: *ოტყაპუ* > || *ოტკაპუ* (ხოფ.) „ტყეპვა, გატყეპვა“ (ქუთელია 2005: 215)

ტყ > ||ტკ >||ტ: *ოტყოჩუ* > || *ოტკოჩუ* (ხოფ. ვიწ. არქ.) > *ოტოჩუ* (ათინ.) „გადაგდება“ (ქუთელია 2005: 215)

ნტკ > || ნტ >||ტ: *ონტკაბუ* (ვიწ.) || *ონტაბუ, ოტაბუ* „ტკეპნა“ (ათინ.) (ქუთელია 2005: 255)

ხოფურ-ჩხალურის ზოგ სიტყვაში გამოვლენილი ტყ, წყ, ჭყ კომპლექსები მეორეულია და მათი გაჩენა ქართულისა და მეგრულის გავლენას უნდა მიეწეროს (მარი 1910: XX; ჩიქობავა 1938: 90; 143-144) - აღნიშნული დებულება ქართველურ ენათმეცნიერებაში გაზიარებულია (კარტოზია 2005: 37).

ბღ > მბღ > || მღ > ||ღ: *ომბღორუ* (ათინ. ვიწ. არქ) || *ომღორუ, ოღორუ* (ხოფ.) „ბღავილი (ქუთელია 2005 : 223)

დგ > ნდგ > ნგ: *ობადგალუ* / > *ობანდგალუ* (ხოფ.) / > *ობანგალუ* „კანკალი“ (ქუთელია 2005: 213).

საყურადღებოა, რომ ბოლო ორ მაგალითში პირველ საფეხურზე ნაზალური სონორი ვითარდება, შემდგომ საფეხურზე კი ჰარმონიული კომპლექსი მარტივდება მისი პირველი კომპონენტის დაკარგვით. სამწევრიანი კომპლექსის ასეთი გამარტივება, როდესაც ნაზალური სონანტი იჭერს ჰარმონიული ჯგუფის პირველი კომპონენტის ადგილს, კანონზომიერია ლაზურისათვის (ქუთელია 2005: 255).

მეგრულისა და ლაზურის ფონოსემანტიკურ ფუძეებში ხშირად ვითარდება სონორი. მეგრულში ამგვარი ფორმები *ფონეტიკურ ვარიანტებს* ქმნიან, ხოლო ლაზურში ზოგჯერ დიალექტების მიხედვითაც განსხვავდებიან, პარალელურ ფორმათაგან რომელიმე დასაშვებია იყოს მხოლოდ ერთი დიალექტის კუთვნილება.

მეგრულში ფონეტიკურ ვარინტს ქმნის ხშულთა წინ განვითარებული /ნ/ სონორი და ხშულთა მომდევნოდ განვითარებული /ვ/ კონსონანტი:

ა. ვარიანტულობა ნ-ს განვითარებით:

დგილიში / ნდგილიში „შლიგინი, აქეთ-იქით სირბილი...“ (ქობ. 522); *დგორუა / ნდგორუა* „ლაფაობა. ლაფში გდება“ (ქობ. 522), *დღვილუა / ნდღვილუა* „ჩანთქმა, ჩაკვრა“ (ინფ.); *დღილიზუა* / ნდღილიზუა „დღლეზა“ (ინფ.); *ქვალაფი / ნქვალაფი* „ბაჯბაჯი, თავდახრილი სიარული“ (ქობ. 527); *ჩქოლუა / ნჩქოლუა* „დამჯიღვა“ (ქობ. 528); *ჩხილაფა / ნჩხილაფა* „ რქენა, მგერება, შეხლა...“ (ქობ. 528); *ძგილუა / ნძგილუა* „ნაჭუჭიდან ამოგდება, დარჩევა“ (ქობ. 528); *ძგვირალი / ნძგვირალი* (ქობ. 528); *ძვარაფი / ნძვარაფი* „სვლა ბილწი, ტანმძიმე არსებისა“ (ქობ. 528); *ჯგვირალი / ნჯგვირალი* „პირქუში“ (ქობ. 528); *ჯილიკი / ნჯილიკი* „ჯგლეთა, უხეშობა“ (ქობ. 529); *ჯღილიკი / ნჯღილიკი* „წყლის მღვრევა, ბობოქრობა“ (ქობ. 529); *დღურაფი / ნდღურაფი* „ღრუტუნი“ (ქობ. 522); *დვიდვინი / დვინდვინი* „თვინიერი, მდუმარე გამომეტყველება“ (ინფ); *კვარკვატი / კვარკვანტი:* „გოგვა, გოჰმანი; ბზრიალ-ტრიალი, კორიანტელი, როიალი“ (ქობ. 359), *დღვირინი / ნდღვირინი* „ბღვერა“ (ქაჯ. 381).

ბ. ვარიანტულობა ვ-ს განვითარებით:

ჯგაბუა / ჯგვაბუა „უგვანი ჭამა“ (ქობ. 736)*; ჯღალიკუა / ჯღვალიკუა* „ბძარვა, კლანჭის ჩასობა“ (ქობ. 742-43); *მეკარკაზუა / მეკვარკვაზუა* „დახვევა“ (ქობ.404); *ჯგიჯგალი / ჯგვიჯგვალი* „ჯმუხი, ჯიჯაგვი, მძლავრი, ძვალმსხვილი, ჩასხმული“ (ქობ. 737); *ჯგაჯგილი*

/ *ჯგვაჯგვილი*[1] „დაბეგვილი, ნაცემი: (ქობ. 736); *შქიშქალი* / *შქვიშქვალი* „სახეშეშუპებული“ (ქობ. 667), *შქერთუა/ შქვერთუა* „შოლტებად აცლა ქერქისა; გაშოლტვა“ (ქობ. 666), *ცანდირუა /ცვანდირუა* „წვრილად წათლა, წამახვა, გაფხავება“ (ქობ. 683)...

მასალით დადასტურებული ფაქტია, რომ მეგრულში ფუძის ანლაუტში განვითარებული /ნ/ სონორი ფონეტიკურ ვარიანტულობას გვაძლევს, ფუძის ინლაუტში კი მისი განვითარება ძირითადი მნიშვნელობის ცვლას იწვევს, შდრ. ერთმანეთს:

ქვათინი - ქვანთინი: კუდელს უქვათუანს „კუდს ათამაშებს“ - *წყარი იქვანთუ* „წყალი ირხევა (ტალღების რხევა); *ბაძღინი - ბანძღინი: მი-ო-ბაძღ-ან-ს* „მიდის გამხდარი“ - ი-ბანძღ-უ „შფოთავს; შფოთს ატეხს, ხლართავს“; *ბადალი - ბანდალი:* „ბოდიალი, აუჩქარებელი სიარული“ – „ბარბაცი, ტორტმანი...“ (ქობ. 56); *კაკუა - კანკუა:* „ ნაყვა, კოდვა, დაჭდევება...“ (ქობ. 352) – „ღეჭვა“ (ქობ. 353).

ზოგჯერ ვ-ს დართვასაც ფონოლოგიური ხასიათი აქვს, ოპოზიციური ცალები სემანტიკურად სხვაობს: *ჩხაპუა - ჩხვაპუა*: „შხაპვა, სხურება, პკურება...“ – „სახეში მოსხლეტით გარტყმა“ (ქობ. 678)*; ძგაბუა - ძგვაბუა:* „ღმურძვლა, უმადო ჭამა“ – „გდება, ჯდომა პატივაყრილისა“ (ქობ. 689); *ძგაძგალი - ძგვაძგვალი/ ძგვანძგვალი:* „ძაძღანი“ - „ძუძგური“ (ქობ.689)

მნიშვნელობათა დენოტატური განსხვავების მიუხედავად, კონოტატიური მნიშვნელობები გადამკვეთია; ამგვარი ფუძეების განსხვავებულობა ვლინდება განსხვავებული დერივაციული პოტენციალისა და ზმნური სტრუქტურების აგების პირობებში: ირთავენ განსხვავებულ ზმნისწინებს, აგებენ განსხვავებულ მორფომოდელებს.

ლაზურშიც სონორების განვითარება ფონეტიკური ვარიანტულობის საფუძველია, თუმცა ისინი ამ ენაში უფრო ფონოლოგიზებულია მეგრულთან შედარებით. პარალელური ვარიანტები ზოგჯერ დიალექტურადაც არის გადანაწილებული:

ა. ვარიანტულობა /ნ/-ს განვითარებით ან დაკარგვით:

ონჟვარუ (ხოფ.)/ *ოჟვარუ* (ვიწ. არქ) „ჟვერვა“ (ქუთელია 2005: 151); *ოჩხიალუ* (ხოფ.) / *ოჩხიალუ, ონჩხიალუ* (არქ.), „ჩხრიალი“ (ქუთელია 2005: 233); *ჭოჭყოპი/ ჭონჭყოპი, ჭოჭყი/ ჭონჭყი* „დაგუბებული წყალი, ჭაობი“ (ქუთელია 2005: 233); *ოჯგიალუ / ონჯგიალუ* (ხოფ. არქ.) „სირბილი“ (დიუმეზილი 1967: 130) (ქუთელია 2005: 257); *ოცხანკუ* (ხოფ), *ონცხაკუ / ონცხანკუ / ოცხანკუ* (ვიწ.არქ) „აკენკვა“ (ქუთელია 2005: 260); *ოჩხანტუ / ოჩხატუ* (ხოფ.) „ბრწყინვა“ (ქუთელია 2005: 233)[2];

ბ. ვარიანტულობა /მ/-ს განვითარებით ან მ/ნ ვარირებით:

ოტკვაცინუ/ ონტკვაცინუ / ომტკვაცინუ (ხოფ. არქ. ვიწ.) „სკდომა, აფეთქება“ (ქუთელია 2005: 290); *ძღაბულერი/ძღამბულერი, ნძღამბულერი* (ვიწ. არქ. ხოფ.) „ჩოფურა, ნაყვავილარი“ (ქუთელია 2005: 228); *ონჟვარუ* (ხოფ.), *ომჟვარუ /ოჟვარუ* (ვიწ. არქ.) (ქუთელია 2005: 151); *ომდღვალუ/ ონდღვალუ* (ხოფ) „დღვება“ (ქუთელია 2005: 288); *ომცალუ/ ონცალუ* (ხოფ) „ნაჭერ-ნაჭერ დაჭრა“ (ქუთელია 2005: 143); *მჯღიმერი/ ნჯღიმერი* (ხოფ.) „დაჭმუჭნული“

[1]-უა სუფიქსიანი მასდარის წარმოებისას წინამავალი /ვ/ იკარგება, რომელიც მიმღეობური ალ/-ერ სუფიქსით დართვისას აღდგება: *ჯგვაჯგვილი, ჯგვეჯგვერე...*

[2]შდრ. მეგრ. *ჩხანა* „მზე, დარი“, *ჩხანდუ* „გამოიდარებს, გამომზიანდება“

(ქუთელია 2005: 253)[1]. *ონდღვაბუ* (ხოფ. არქ. ვიწ.) „გალაყება“ (ქუთელია 2005: 272)[2], *ომტკაპუ* (არქ.) / *ონტკაბუ* (ვიწ.) / > *ონტაბუ* >|| *ოტაბუ* „ტკეპნა“ (ათინ.) *ნტკ* > *ნტ* > *ტ* კომპლექსთა გამარტივებით (ქუთელია 2005: 255).

სონორის განვითარება

ქართველური ენების ფონოსემანტიკური ძირებისა და/ან ფუძეების კონსტრუირებისას სონორების როლი მნიშვნელოვანია, რაც კარგად გამოჩნდა ფონოსემანტიკური ფუძეების თანხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური შედგენილობის ანალიზის დროს[3]

სონორთა საკითხი ფონოსემანტიკურ ფუძეებთან რამდენიმე ასპექტით არის განსახილველი:

1. სონორების განვითარება როგორც *ფონეტიკური* ან *დიალექტური ვარიანტულობის* წარმოქმნის საფუძველი;
2. სონორების განაწილება და ფუნქციები ფონოსემანტიკურ მოდელებში, პოზიციები, მარცვლის სტრუქტურირების საკითხები, რომლებიც უკავშირდება რედუპლიკაციისა და სუფიქსაციის პრობლემებს, შესაბამისად, მნიშვნელობათა ცვლას.

მეგრულისა და ლაზურის ფონოსემანტიკურ ფუძეებში /მ/, /ნ/, /რ/, /ლ/ სონორები და /ვ/ თანხმოვანი აქტიურად არის ჩართული ახალი ფონოსემანტიკური ფუძეების კონსტრუირებაში. მათი ადგილი ძირის სტრუქტურაში კანონიკურად არის განსაზღვრული. „ლაზურში დაუშვებელია /მ/, /ნ/, /რ/ სონორები თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში“ (ქუთელია 2005: 312), ისევე, როგორც მეგრულში. თუმცა ლაზურის მაგალითები მოწმობს, რომ სონორები გარკვეული დისტრუბუციული შეზღუდვებით თანხმოვნის მომდევნოდაც გვხვდება; ლაზურის ეს ვითარება ქრონოლოგიურად გვიანდელ პროდუქტად მიიჩნევა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 123). ლაზურში, საერთო-ზანურისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური მოდელი გარდაიქმნა მეორეული, საკუთრივ ლაზურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, რაც ბოლოკიდურ სონორ თანხმოვანთა წინ წარმოდგენილი ვოკალური ელემენტის დაკარგვაშიც გამოიხატა, ელემენტისა, რომელიც რიგ ფორმებში ისტორიულად მარცვლოვან ელემენტთა ხარჯზე წარმოიქმნა; *ჭუბური* > *ჭუბრი, კიბირი* > *კიბრი...* (ჟღენტი 1960: 48-50). ამგვარ ცვლილებათა შედეგად ლაზურში, მეგრულისაგან განსხვავებით, ისეთი ფონოლოგიური მოდელი ჩამოყალიბდა, რომელშიც დასაშვებია სონორი /რ/, /ლ/, /მ/, /ნ/ თანხმოვნების წარმოდგენა უშუალოდ ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ქუთელია 2005: 312),

---

[1] „*მჯღ* იშვიათად რეალიზებული კომპლექსია. ხოფურის სარფულ თქმაში დღეს ეს სიტყვა ნაზალის გარეშე არ წარმოითქმება“ (ქუთელია 2005: 253). თავდაპირველად მ-ს განვითარება ივარაუდება.

[2] მაგრამ მიმღეობაში /ნ/ არ დაჩნდება: *დღვაბერი* „გალაყებული“, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ /ნ/ განვითარებულია, შდრ. მეგრ. *დღვაბუა* , ლაზ. *ომდღვაბუ* (არქ. ვიწ.) „გალაყება“ (ქუთელია 2005: 288; 290); თუმცა მეგრულ ფორმას უნარი შესწევს ანლაუტში /ნ/-სონორი განივითაროს და წარმოქმნას ფონეტიკური ვარიანტი.

[3] იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ.71-144.

ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ლაზურის მიერ ნასესხებ ფორმებში C + რ / ლ / მ / ნ კომპლექსები, როგორც წესი, არ განიცდიან იმ ცვლილებებს, რომლებიც მეგრულისთვისაა დამახასიათებელი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 123); მეგრულში კი ნასესხებ სიტყვებში C + რ / ლ / მ / ნ კომპლექსები დაიძლევა სხვადასხვა ფონეტიკურ გარდაქმნებზე დაყრდნობით:

1. ჩქამიერ თანხმოვანსა და სონორ თანხმოვანს შორის ანაპტიქსური ხმოვნის გაჩენით;
2. კომპლექსში ჩქამიერი ან სონორი თანხმოვნის დაკარგვით;
3. მეტათეზისით (გამყრელიძე, გუდავა 1965: 122-123).

გ. ახვლედიანმა დაადგინა აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის ექვსი შესაძლებლობა: 1. გადასმა; 2. გასპირანტება ან გახმოვნება გასპირანტების გზით; 3. მარცვალთგასაყრის შექმნა; 4. ასიმილაცია; 5. კომპლექსში პირველი თანხმოვნის დაკარგვა; 6. წარმოთქმის მკაფიობა, რომელიც უკავშირდება მარცვალთგასაყრის შექმნას (ახვლედიანი 1949: 312; 351); როტაციზმისებრი პრინციპი დაემატა მოგვიანებით[1].

ცხადია, CS(რ) სტრუქტურის ჯგუფები არაკანონიკურია ზანური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, ყველა ასეთ ჯგუფში სონორი აქცესიურად მიემართება წინამავალ კომპლექსს, რაც ქმნის სუპერაციის ტენდენციის გაჩენის პირობას, თუმცა მეგრული და ლაზური სუპერაციის სხვადასხვა გზას მიმართავს, ამიტომ შედეგიც განსხვავებულია.

ლაზურში სონორი /რ/ ლოკალური რიგის ყველა წევრთან ქმნის მხოლოდ და მხოლოდ ორწევრა თანხმოვანთკომპლექსს (ქუთელია 2005: 160)[2] და ფონოსემანტიკურ ფუძეებთან კი შედარებით ხშირია. სამწევრა კომპლექსებში საერთოდ არ რეალიზდება, ანუ *რ + ჰარმონიულ კომპლექსი,* რომელიც მეგრულისათვის კანონზომიერია და ჩვეულებრივ ხშირ მიმდევრობას წარმოადგენს, ლაზურში მოსალოდნელი არ არის. /რ/ სონორი უმრავლეს შემთხვევაში ძირეულია და მისი განვითარების ტენდენცია მხოლოდ ნასესხებ ფუძეში შეიმჩნევა (ქუთელია 2005: 184-185). ამ იშვიათობის მაგალითია ბგერწერითი კომპლექსი *ნტრ: მენტრაცუ.* ძირითადი განსხვავება მეგრულსა და ლაზურს შორის აქ იჩენს სწორედ თავს. სონორიანი კომპლექსები მგრელ-ლაზთა ერთიანობის პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს (მელიქიშვილი 198: 70; ქუთელია 2005: 185).

S(რ)C მიმდევრობა ლაზური ფონოსემანტიკური ფუძის ანლაუტში თითო-ოროლა მაგალითით შემოიფარგლება *(გამა(PRV)-რჩაკ-აფა, ამა(PRV)-რჩაკ-აფა),* ის რეალიზებულია ან ძირეული მორფემის, ან რედუპლიცირებული ფუძის ინლაუტში, რედუპლიცირებული ძირების საზღვარზე.

/რ/ სონორის დისტრიბუციის თვალსაზრისით ლაზურის სინქრონიული ვითარება ერთდროულად ასახავს იმ ენობრივ სიტუაციას, რომელიც დამახასიათებელია ქართულისა და მეგრულისათვის, იგულისხმება /რ/ სონორის პოზიცია კონსონანტის წინ და მომდევნოდ მიმდევრობის კანონიკურობა-არაკანონიკურობის მიუხედავად, ლაზური ამგვარ კომპლექსთა გამარტივებას მიმართავს, როცა მეგრული სუპერაციისათვის /რ/ სონორის მეტათეზისს ან მიმდევრობის ანაპტიქსური ხმოვნით გამიჯვნას ირჩევს. შდრ:

[1] ქართ. /რ/ : მეგრ. გ/ქ შესატყვისობის საკითხი, იხ. გ. როგავა 1979

[2] გამონაკლისს შეადგენს ლარინგალური რიგის ფონემა /ჰ/, რომელიც ძირითადად, ანლაუტში ფუნქციონირებს და დისტრიბუციულად ძალიან არის შეზღუდული.

ქართული	*ლაზური*	*მეგრული*
შრიალ-ი	*ო-შრიალ-უ > ო-შიალ-უ*	*რშიალ-ი*
სრიალ-ი	*ო-სრიალ-უ > ო-სიალ-უ*	*რსიალ-ი*
ხროტინ-ი	*ხრუტინ-ი > ხუტინ-ი*	*ხირტინ-ი*
ბრაგ-უნ-ი	*ო-ბრანგ-ალ-უ*	*ბურგ-ონ-ი*

ამიტომ მეგრულის ფონოსემანტიკურ ფუძეებში /რ/ სონორი მუდმივად შენარჩუნებულია, მეტიც მისი დამატებით ფონოსტრუქტურაში იცვლება სიტყვის სემანტიკა ან სემანტიკური კომპონენტი, ამიტომ მისი ადგილი შედარებით მყარი და სტაბილურია, განსხვავებით ლაზურისგან, რომელშიც დიალექტთა მიხედვით გამარტივების ტენდენცია მატულობს; რაც იმას ნიშნავს, რომ ლაზურში სონორით განსხვავებული *ფონეტიკური* თუ *დიალექტური ვარიანტები* უფრო მოსალოდნელია, ვიდრე მეგრულში.

კომპლექსის გამარტივება მოსალოდნელია როგორც ინლაუტში - რედუპლიცირებული ფუძის შემთხვევაში, ასევე ანლაუტში - მარტივი ფუძეების შემთხვევაში:

რკ > კ: *ოკარკალუ* (ვიწ.), *ოკარკალუ* ||> *ოკაკალუ* (ხოფ.) „კაკანი“ (ქუთელია 2005: 171), შდრ. მეგრ. კარკალი.

რშ > შ: *ოშირშოლუ* (არქ) ||> *ოშიშოლუ* „არევ-დარევა“ (ქუთელია 2005: 173);

რხ > ხ: ოხირხინუ (ვიწ. არქ.), *ოხირხინუ* || > *ოხიხინუ* (ხოფ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი“ (ქუთელია 2005: 176); *ოხარხალუ* (ხოფ.)||> *ოხახალუ* „წყლის კარკალი“; რხ > ხ მარტივდება ხოფურის სარფულ თქმაში: *წკაი დიხახალუ* (ქუთელია 2005: 176);

რღ > ღ: *ღარღილი* //> *ღაღილი* (ხოფ.) (ქუთელია 2005 : 175);

საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ ხოფურში სონორიანი კომპლექსი არასტაბილურია და მარტივდება სონორის დაკარგვის ხარჯზე, როცა ვიწურ-არქაბულში იგი არსებითად შენარჩუნებულია. ერთადერთი განსხვავებული მაგალითი, როცა ფონოსემანტიკური ძირის სტრუქტურაში CS(რ) მიმდევრობა ანაპტიქსური ხმოვნით გაიმიჯნება[1], ასეთია: *ობრანგალუ* (ხოფ. ვიწ.) > *ობარგალუ* (არქ.) „ბრაგუნი (ფეხებით)“ (მარი 1910:131).

სრ >ს: *მეკა-სრიალ-უ, ოსრიალუ* > *ოსიალუ* (ხოფ.) „სრიალი“

შრ > შ: *ოშრიალუ* > *ოშიალუ* „შიალი (ზღვის ხმაური)“

ზრ >ზ: *მემაზრაპუ* > *მემაზაპუ* „მოხვედრა, მოცხობა“, შდრ მეგრ. ზაპუა „მოცხობა, ცემა“, (ქუთელია 2005: 183)

კრ > კ: *კრიალაფს* > *კიალაფს* „კაკანებს“ (ქუთელია 2005: 182)

ხრ > ხ: *ხრუტინი* > *ხუტინი* (ხოფ. სარფ) „ხვრინვა, ძილი“ (ქუთელია 2005: 164); აქაც იჩენს თავს სხვაობა მეგრულთან: მეგრულის ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით აღნიშნული მიმდევრობა არაკანონიკურია და კანონიკურად გარდაიქმნება ორი გზით

[1]განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ქუთელია 2005: 176;

სუპერირდება ანაპტიქსური ხმოვნით ან /რ/-ს მეტათეზისით პირველი პოზიციისკენ რეგრესულად.

როცა მეგრულისათვის საუბრობენ /რ/-სონორის განვითარებაზე, არსებითად მაგალითები მოჰყავთ ქართული და მეგრული ფუძეების შესატყვისობისათვის, ან მსჯელობა ეხება არა საკუთრივ მეგრულ ფორმაში განვითარებულ სონორის საკითხს, არამედ ნასესხობის თუ ენათა შორის შესაბამისობის შემთხვევაში ფუძეში /რ/-სონორის ჩართვის საკითხს (იხ. ი. ყიფშიძე, ს. ჟღენტი, კ. დანელია, გ. კარტოზია და სხვ.).

ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულში /რ/-სონორი ვითარდება არა მხოლოდ ნასესხებ, არამედ მეგრულისავე ფონოსემანტიკურ ფუძეებში, ამ სახით მიღებული პარალელური ფორმები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენს ან *ფონეტიკურ ვარიანტებს* (რადგან ორ ფუძეს შორის მიმართებისას მინიმალური სემური სხვაობის დადგენა პრაქტიკულად ვერ ხერხდება, ამაზე მიანიშნებს ერთგვაროვანი სალექსიკონო განმარტებები), ან *ახალ ფუძეს,* ვინაიდან /რ/-სონორი ფონოლოგიზებულია და არასონორიზებულ ფორმაზე მისი დართვა ახალი ფონოსემანტიკური ფუძის მიღების საშუალებაა, ამდენად ბგერწერის მექანიზმად უნდა ჩაითვალოს.

პირველი შემთხვევის მაგალითებია: *თქაფუა/რთქაფუა* „თქვლეფა“ შდრ. ქართ. *თქვეფა; ჩქაფალი / რჩქაფალი* „ლაპარაკის მანერა“; *ტკაპალი / რტკაპალი* „ლაპარაკის მანერა“; *კიაფი / რკიაფი* „კივილი“ შდრ. ქართ. კივ- /კივილ-; *ჩხიანს / რჩხიანს / რჩხვიანს* „ჩხავის“ შდრ. ქართ. ჩხავ- / ჩხავილ- ძირი; *ჯგაჯგალი / ჯგარჯგალი* „საუბრის მანერა, კანკალი“, *ჯგიჯგინი / ჯგირჯგინი* „საუბრის ან სიცილის მანერა“, *ცქაცქუა / ცქარცქუა* „დანაწევრება“, *ძღაკალი / ძღარკალი* „სიარულის მანერა“, *ტყატყუა / ტყარტყუა* „ტიტყინი“, *ზვირზვალი / ზვიზვალი* „მზვაობარი, კუშტი, გოროზი“ (ქობ. 309), წყაწყალი / *წყარწყალი* „ჭირვეულობა, ჭიჭყინი“ (ქობ. 705) ...

ანლაუტში რთული თანხმოვნითი კონსონანტიზმისაკენ მიდრეკილება ახასიათებს ქართულსა და მეგრულ-ლაზურს (მელიქიშვილი 2009: 53). როგორც ვარაუდობენ, „საერთოქართველურში თავკიდურ პოზიციაში /რ/ საერთოდ არ გვქონდა, ან მისი ფუნქციონირება ძალზე შეზღუდული იყო“... შეზღუდულობა კი სონორთა განაწილების ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და ამიტომ არ სჭირდება ცალკეულ ენებში სესხებისა და სუბსტრატული პროცესების მეშვეობით ახსნა (მელიქიშვილი 2009: 52-53). სინქრონიულ დონეზე ქართველურ ენებში /რ/ ხშირია ანლაუტში, მიზეზი ის არის, რომ „პირველ რიგში, იმოქმედა მარცვლის სტრუქტურის შეცვლამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ქართველურ, ისე ინდოევროპულ ენათა დიდ ნაწილში. როგორც ცნობილია, დახურული მარცვალი ღია მარცვლად იქცა ბევრ ინდოევროპულ ენაში. ქართველურ ენათაგან ამ პროცესს ადგილი აქვს ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. *მხოლოდ სვანური ინარჩუნებს საერთო-ქართველურ მიდრეკილებას დახურული მარცვლისკენ*“ (მელიქიშვილი 2009: 53).

ფონოსემანტიკურ ფუძეებში ინლაუტური რ-სონორის დაკარგვა თუ ჩართვა[1] აპირობებს არა მხოლოდ მნიშვნელობის, არამედ მარცვლის სტრუქტურის ცვლასაც: *ჩქაჩქალი* „მსხვილად დაღერღვა, დაჩეჩქვა“ (ქობ., 676), შდრ. *ჩქარჩქალი* „მიამიტი, უბირი ლაპარაკი;

[1]დაწვრილებით იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 181-190

დაღერღვა, დაკაკლვა“ (ქობ., 676); *ჭკიჭკინი* „კრეჭა, ღრეჭა“ (ქობ. 712), შდრ. *ჭკირჭკინი* „ჭრიალი, ღრჭიალი; ჭრაჭუნი; ჭრიჭინი, კრაჭუნი“ (ქობ. 712); *ჭკიჭკონი* „უსუფთაოდ ჭამა“ (ქობ. 713), შდრ. *ჭკირჭკონი* „ხმაურით ჭამა“ (ქობ. 712); *ჭკვაჭკვალი* „ბებრის ლაპარაკი“ (ქობ. 712), შდრ. *ჭკვარჭკვალი* „ჟიკჟიკი, ციმციმი“ (ქობ. 712) ...

სპირანტიზება

ბგერწერითი ფუძეების ფონემატურ სტრუქტურაში ხშულების მომდევნოდ სპირანტების ჩამოყალიბებას არა მხოლოდ უარყოფითი ემოცია შემოაქვს (ასათიანი 1979: 18), არამედ მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქციაც აკისრია; კომპლექსის აგების პრინციპი ჰომოგენურია:

ქართული:

დუდუნი - დუდღუნი, დადანი - დადღანი, ტატანი - ტატყანი, ტიტინი - ტიტყინი, ჟივილი - ჟღივილი, შუილი - შხუილი, შიშინი - შიშხინი, ჟრიალი - ჟღრიალი, ჟივილი - ჟღივილი...

მეგრული:

დირდინი -დღირდღინი, დუდინი - დღურდღინი, ჟილინი - ჟღილინი, ტუმინი -ტყუმინი, ძანძალი - ძღანძღალი, ტუტინი - ტყუტყინი, ჩაჩუა - ჩხაჩხუა, წიწინაფა - წყიწყინაფა, წიწონი - წყიწყონი, ცაკალი - ცხაკალი, ძაკალი - ძღაკალი, ცურცინი - ცხურცხინი, ჯირჯინი - ჯღირჯღინი, დვირინი - დღვირინი, შიშონი - შქიშქონი, ჩიჩონი - ჩქიჩქონი, შირშინი - შხირშხინი...

სვანური:

ტგრტგნ - ტგრტყგნ, ჟგრჟგნ - ჟგრჟღგნ, შგრშგნ - შგრშხგნ, ჩგრჩგნ - ჩგრჩხგნ, დგრდგნ - დგრდღგნ, ჭგრჭგნ - ჭგრჭკგნ, ფგრჩგნ - ფგრჩხგნ...

ლაზურში ამგვარი წყვილი მაგალითების დაძებნა გაჭირდა, *ოტატუ - ოტატყალუ ჩვენ მიერ მოძიებული ერთადერთი შემთხვევაა.*

მეორე მხრივ, აღნიშნულ ფორმათა ფონოსემანტიკური ხასიათი და სემანტიკური ღირებულება კარგად ჩანს ბგერწერით კონებში, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან კომპლექსში შემავალი მჟღერი და ყრუ სპირანტების მონაცვლეობით:

მეგრული: ჭკ / ჭყ: *ჭკირჭკინი - ჭყირჭყინი, ჭკაპალი - ჭყაპალი*[1],

ჯგ / ჯღ: *ჯგაბუა - ჯღაბუა, ჯგირჯგინი - ჯღირჯღინი,*

ძგ / ძღ: *ძგაძგალი - ძღაძღალი,*

ჟგ / ჟღ: *ჟგერთუა - ჟღერტუა, ჟგართალი - ჟღარტალი...*

კომპლექსთმონაცვლეობა აპირობებს არა მხოლოდ სემანტიკური ნიუანსის, არამედ ძირითადი მნიშვნელობის ცვლასაც: მეგრული: *ჭკირჭკინი* „ჭრაჭუნი“ - *ჭყირჭყინი* „ჭყიპინი“, *ჯგაბუა* „ჭამის მანერა“ - *ჯღაბუა* „ჯღაბნა“... სვანური: *ფგრჩგნ* „ფაჩუნი (მაგ. თაგვისა...)“ - *ფგრჩხგნ* „ქაღალდის შარი-შური, ხმა“; *ჩგრჩგნ* „ჩლიფინი, საუბრის მანერა“ - *ჩგრჩხგნ* „წყლის ხმაური“...

[1]*სვანურში* იშვიათობაა მსგავსი მაგალითები: ჭკ / ჭყ - *ჭგრჭყგნ - ჭგრჭკგნ*

მეტათეზისი

მეტათეზისი შეიძლება განვიხილოთ ორგვარი პერსპექტივიდან: 1. ქართული ფონოსტრუქტურის მეგრულისათვის მისაღებ კანონიკურ კომპლექსად გარდაქმნის გზად (ქართული > მეგრული: *ზრიალი > რზიალი, სრიალი > რსიალი, შრიალი > რშიალი...)* და 2. საკუთრივ ქართველური ენების დონეზე ბგერის გადასმა, როგორც ახალი სემანტიკის წარმოქმნის ან ფონეტიკური ვარიანტულობის საფუძველი.

ა. დავითიანი „უშუალო გადასმის“ ანუ *მეტათეზისის* მოვლენაზე საუბრობს სვანურში ისეთი ფონოსემანტიკური ფუძეებისათვის, როგორიცაა:

CSVC > CVSC: ბლიშჳ > ბილშჳ „მკერდგაღეღილი“
ყლიშჳ > ყილშჳ „ყელთეთრა (შავ ფერზე)“
ყლიპჳ > ყილპჳ „ყლაპია“
გლისჳ > გილსჳ “გლესია“

თუმცა არაფერს ამბობს წყვილად წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების სემანტიკაზე, არის თუ რა რაიმე ტიპის ნიუანსობრივი სხვაობა მათ შორის. მიზეზად დასახელებულია „ანლაუტის აქტიური მონაწილეობა“ (დავითიანი 2008: 325).

კონვერსია

ფონოსემანტიკურ ფუძეებში *კონვერსია* გულისხმობს ძირ(ებ)ის ანლაუტისა და ინლაუტის თანხმოვანთა და/ან თანხმოვანთკომპლექსთა *პოზიციების შენაცვლებას.* იგი სპეციფიკური ფონეტიკურ-ფონოლოგიური მოვლენა ჩანს და მეტ-ნაკლები სიხშირით დასტურდება ქართველურ ენებში. ა. დავითიანი ამგვარ მონაცვლეობას სვანურში ბგერწერის ხერხად თვლიდა და *ბგერათა სუბსტიტუციას უწოდებდა:* „სახოვან სიტყვათა ფუძეს ახასიათებს საკმაოდ მძლავრი სუბსტიტუცია, რასაც შინაარსობრივი სხვაობის ნიუანსი შეაქვს“

CVC : *ღიბ - ბიღ* „მუცელგაბეღილია“
გით - თიგ „კისერაწეულია“
$C_1C_2VC_3$-$C_3VC_1C_2$: *შტირ - რიშტ* „თვალებდაშტერებულია“,
შყირ - რიშყ „თვალებდაბრეცილია“ (დავითიანი 2008: 325).

მ. საღლიანის მოსაზრებით, სვანურის თანამედროვე ვითარება სხვა სურათს გვიჩვენებს, კერძოდ, *გით* და *თიგ* მნიშვნელობით განსხვავებულია. მართალია, ორივე დგომას გამოხატავს, მაგრამ მათ შორის სემანტიკური სხვაობა არის: *გით* „დგას თავაწეული, გაჭიმული“, *თიგ* „დგას გაჭიმული, თავაწეული, მაგრამ ფეხებდარჭობილი“ (შდრ. ლითგგნე „დარჭობა, ჩასობა“). ანალოგიური სხვაობაა ამ ორ მაგალითს შორისაც:

ყუიბ „დგას, ჩანს დიდთავა კაცი” - *ი-ყუიბანალ* „დგას, იყურება დიდთავა კაცი” - *ეს-ყუიბანალ* „მიდის დიდთავა კაცი”

ბიყუ „დგას, ჩანს ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული” - *ი-ბიყუანალ* „ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული იყურება” - *ეს-ბიყუანალ* „ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული მიდის”.

ა. დავითიანის მიერ მოყვანილი მაგალითები სემანტიკურად სხვაობს, ზოგი ფორმა ლახამულურია; მართალია, ლახამულური ბალსქვემოური დიალექტის კუთვნილებაა, მაგრამ საგრძნობლად განსხვავდება ბალსქვემოური დიალექტის დანარჩენი კილოკავებისგან (მ. საღლიანი).

ამგვარი მონაცვლეობა მნიშვნელობის სხვაობას იძლევა *მეგრულში*, ერთმანეთის მიმართ კონვერსიული ფორმები ფუნქციურად ზედსართავებია ან მასდარები, რომელთაგან იწარმოება შესაბამისი შინაარსის ზმნური ფორმები; დერივაციული პოტენციალი წყვილის წევრებისათვის არც თუ ისე თანაბარია, თუმცა ყველა მათგანი თავსდება სიტყვაწარმოების იმ მოდელში, რომელსაც მეგრულის წარმოქმნილ ფუძეებში სუფიქსაცია და ხმოვანთა ცვლა აპირობებს; ჰომოგენურობის პრინციპი ორივე შემთხვევისათვის შენარჩუნებულია ფუძის სტრუქტურაში:

	ფიზიონომია (ADJ)	მოძრაობა / ლაპარაკი (MSD)	ყურება/ ცქერა (MSD)
CVC:	*გიდ-ალ-ი* [5] - *დიგ-ალ-ი* [6]	-	*გიდ-ინ-ი* - *დიგ-ინ-ი*
	ტიკ-ალ-ი [7]- *კიტ-ალ-ი*[8]	-	*ტიკ-ინ-ი*[9] - *კიტ-ინ-ი*[10]
$C_1VC_2C_3$ - $C_2C_3VC_1$:	*გიღვ-ალ-ი*[11] - *ღვიგ-ალ-ი*[12],	*გაღვალი*[13] - *ღვაგალ-ი*[14]	*გიღვ-ინ-ი*[15] - *ღვიგ-ინ-ი*[16]

---

[1] შეიძლება დაგვეშვა, რომ ხმოვნითი ელემენტი სუფიქსურია, ხოლო დაკარგულად ჩითვალოს ღია მარცვლის ხმოვანი მეორე რედუპლიკატში. დეტალურად იხ. ამავე მონოგრაფიაში შესაბამის პარაგრაფთან

[2] საგულისხმოა, რომ 2 და 2.1. პარაგრაფის მაგალითები ერთმანეთის მიმართ მორფოლოგიურ ვარიანტებს წარმოადგენენ; მსჯელობისათვის იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 152-163.

[3] შდრ. ქართ. გვანგვალა, ბანცალა და ა. შ.

[4] ამ ტიპის ფუძეების ენის განვითარების სინქრონიული ეტაპისათვის რედუპლიკაციად განიხილება. იხ. ამავე მონოგრაფიაში შესაბამისი პარაგრაფი

[5] ღიპიანი, მუცელგამობერილი (ქობ. 116)

[6] მსხვილი, ღიპიანი, გამდგარი, გატიკული (ქობ. 241)

[7] გატიკული (ქობ. 602)

[8] შვერილიანი, ღიპიანი, გამობერილი (ქობ. 371)

[9] გატიკვა (ქობ. 602)

[10] მცირე გამობერილობა (უკიტანს - გამობერილი აქვს) (ქობ. 371)

[11] ბრიყვი, ყეყეჩი (ქობ. 63)

[12] ყვრიმალგამოწეული; ნიჩაბივით სახის მქონე; არაჯანმრთელი გამომეტყველებისა (ქობ. 654)

[13] ძუნძული (ქობ. 59)

[15] ბრიყვული გამომეტყველება (ქობ. 63)

[16] გაშტერებით ყურება, მზერა; ზორბა და ტლანქი ადამიანის ფიზიონომია (ინფ.)

$C_1VC_2C_3C_4$ – $C_2C_3C_4VC_1$:	*ბირდღ-ალ-ი*[17] – *რდღიბ-ალ-ი*[18]	*ბარდღ-ალ-ი*[19] – *რდღაბ-ალ-ი*[20]	*ბირდღ-ინ-ი*[21] – *რდღიბ-ინ-ი*[22]
	პიჭკვ-ალ-ი[23] – *ჭკვიპ-ალ-ი*[24]	*პაჭკვ-ალ-ი*[25] – *ჭკვაპ-ალ-ი*[26]	
	პირტყ-ალ-ი[27] – *რტყიპ-ალ-ი*[28]	*პარტყ-ალ-ი*[29] – *რტყაპ-ალ-ი*[30]	*პირტყ-ინ-ი*[31] – *რტყიპ-ინ-ი*[32]
	ბიტკ-ალ-ი [33]– *ტკიბ-ალ-ი*[34]	–	*ბიტკ-ინ-ი*[35] – *ტკიბ-ინ-ი*[36]
	–	*ბაძგ-ალ-ი*[37] – *ძგაბ-უ-ა*[38]	–
	–	*ცაქვ-ალ-ი*[39] – *ქვაც-ალ-ი*	*ციქვ-ინ-ი*[40] – *ქვიც-ინ-ი*

[17] ფოლხვი, უსუსური (ქობ. 63)

[18] უფერული, მქრქალი (ქსოვილი); ფერმკრთალი (ადამიანი) (ქობ. 570)

[19] ფართხუნი, ჩანჩალი, უილაჯო სიარული, უმწეო მტკიცება ბალღის გულუბრყვილო საუბარი (ქობ. 57)

[20] ბოხი ხმით აზრსმოკლებული ლაპარაკი (ინფ.)

[21] მიმდობი მზერა (ქობ. 63)

[22] უფერულობა, ფერწასულობა, უსიცოცხლო იერი (ქობ. 570)

[23] პატარა და ლამაზი ტუჩ-პირის მქონე (ინფ.)

[24] დამანჭული, უკბილო (ქობ. 712)

[25] ბალღური ტიტინი (ქობ. 562)

[26] ჩიფჩიფი, ბებრული ლაპარაკი (ქობ. 712)

[27] უსუსური, იმწეო, უფერული; დამყოლი, რბილი, ფაფუკი; მიამიტი, უწყინარი (გადატ.) (ქობ. 563)

[28] უფერული, პირქარცი (ქობ. 574)

[29] ფაფისმაგვარი მასის დუღილი; თუხთუხი; პარტუნი (ქობ. 562)

[30] ტყაპა-ტყუპი (ქობ. 574)

[31] სილბილე (ქსოვილისა; სიჩვილე (ბალღისა) (ქობ. 563)

[32] უფერული ადამიანი; დაჟინებითი ყურება, მზერა (ინფ.)

[33] მკვრივი, მჭიდროდ შეკრული; დაჭიმული (ქობ. 63)

[34] მკერდგანიერი, ჩაფსკვნილი (ქობ. 603)

[35] სიმკვრივე, სიმჭიდროვე, დაჭიმულობა (კანისა) (ქობ. 63)

[36] სიმკვრივე ხორცისა (ქობ. 603)

[37] ძგერა, ბაგაბუგი გულისა (ქობ. 59)

[38] ღმურძვლა, უმადო ჭამა (ქობ. 689); აღნიშნულ ფარმის დერივაციული შესაძლებლობა განსხვავებულია, თუმცა ძირებში ბგერათა და კომპლექსთა მონაცვლეობა გამოხატულია.

[39] ფეხმსუბუქი, მარდი, დაუზარელი სიარული (ქობ. 681)

[40] სიპატარავე, სიცქვიტე (ქობ. 684)

ერთეულ შემთხვევებში შენაცვლების პრინციპი შენარჩუნებულია, მაგრამ მონაცვლე ვარიანტების ფონემური ერთგვაროვნება ირღვევა - თანხმოვანკომპლექსში დაჩნდება იმავე რიგის ჰომორგანულად შესაბამისი კომპლექსი: ჩქ - შქ: *ფიშქვ-ინ-ი[1] - ჩქვიფ-ინ-ი[2], ფიშქვ-ალ-ი[3] - ჩქვიფ-ალ-ი[4], ფაშქვ-ალ-ი[5] - ჩქვაფ-ალ-ი[6].*

არც ქართულისათვის არის უცხო ამგვარი შენაცვლება[7]; მაგალითები იძებნება არა მხოლოდ სუფიქსდართულ, არამედ რედუპლიცირებულ ფორმებთანაც:

ფათქ-უნ-ი - თქაფ-უნ-ი *რაწკ-უნ-ი – წკარ-უნ-ი* *რაჩხ-უნ-ი – ჩხარ-უნ-ი* *რაჯგ-უნ-ი – ჯგარ-უნ-ი* *რაძგ-უნ-ი – ძგარ-უნ-ი* *რიწკ-ინ-ი – წკირ-ინ-ი*	*ქუჩ-ქუჩ-ი – ჩუქ-ჩუქ-ი* *კუჭ-კუჭ-ი – ჭუკ-ჭუკ-ი* *რუყ-რუყ-ი – ყურ-ყურ-ი* *ჩუფ-ჩუფ-ი – ფუჩ-ფუჩ-ი* *რატ-რატ-ი – ტარ-ტარ-ი*

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში კონვერსიის სტრუქტურული სახეა CVCn ~ CnVC, რომლისთვისაც დამახასიათებელია:

1. იდენტური ფონემური შედგენილობა;
2. განსხვავებული ფონემათმიმდევრობა: ძირის აუსლაუტისა და ანლაუტის თანხმოვნების ან თანხმოვნებისა და კომპლექსის კონვერსია;
3. კომპლექსის / ფონესთემის მყარი კომბინაცია.

როგორც ჩანს, ენა მაქსიმალურად იყენებს ყველა რესურსს, რომელიც დასაშვებია ამ ენაში მოქმედი კანონებით, რათა მოიცვას მნიშვნელობებს შორის მინიმალური ნიუანსობრივი სხვაობაც კი; წყვილში შემავალი ფუძეები განსხვავებული კონოტაციის მქონეა, მათ შორის მნიშვნელობის თვალსაზრისით აბსოლუტური მიმართება არ არის; ზოგჯერ შეფასებითი (დადებითი - უარყოფითი) მომენტიც აპირისპირებს მათ.

[1]აფუებულობა, გაფურჩქნულობა (ქობ. 627)
[2]ყბაჩას გამომეტყველება (ქობ. 677)
[3]აფუებული, ფუნთუშა, გაფურჩქნული (ქობ. 627)
[4] ყბაჩა, ღიმილიანი (ქობ. 677)
[5]ფუმფულას თამომწონე, დინჯი საუბარი (ქობ. 623)
[6] ყბაჩას ლაპარაკი, უკბილო ბებრის ემოციური ლაპარაკი (ქობ. 677)
[7] ლაზურში ერთადერთი შემთვევა დაიძებნა: *ო-წუპ-ინ-უ* „სტვენით მიმინოს ხმობა“ (თანდ. 691) - *ო-პუწ-ინ-უ* „ამრეზა, პრუწვა“ (თანდ. 648)

ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია ქართველურ ენებში

ძირის რედუპლიკაცია, სუფიქსაციასთან ერთად, ქართველური ენების ფონოსემანტიკური ლექსიკის წარმოქმნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ხერხია[1]. ფონოსემანტიკურ სიტყვათა დიდი ჯგუფი სწორედ ამ გზით არის ნაწარმოები. რედუპლიკაცია, სხვა ენათა მსგავსად, ქართველურ ენებშიც განგრძობითობისა და მრავალგზისობის, ობიექტთა და მოქმედებათა სიმრავლის გადმოსაცემად გამოიყენება.

რედუპლიკაციის ცნება, ზოგადად, გულისხმობს გაორკეცებას, განმეორებას; თუმცა იმ ფაქტზე, რომ რედუპლიცირების ინვენტართან ანუ რედუპლიკატებთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს, კარგად მიუთითებს ამ ცნების განსხვავებული განმარტებები:

რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ა (ლათ. Reduplicatio) არის:

- „მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი პ რ ო ც ე ს ი, რომელიც მიიღება ბგერის, მარცვლის, სიტყვის და სიტყვის ნაწილის განმეორებით“.
- „ხმოვნის ან მარცვლის გაორმაგება“; „ანლაუტის ან ანლაუტის მარცვლის გაორმაგება“ (გლ უკი 1993: 498).
- „ბგერითი სეგმენტის მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი განმეორება, ან სრულად, ან ხმოვნით / თანხმოვნით აბლაუტთან ერთად კომბინაციაში“ (ანდერსონი1998: 340).
- ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ - მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი სახეცვლილება სიტყვისა, რომელიც შეიცავს თავკიდური ბგერის ცვლილებას (ფონეტიკური რედუპლიკაცია), ძირის (მორფოლოგიური რედუპლიკაცია) ან მთლიანი სიტყვისა (განმეორება (ვინოგრადოვი & სახაროვიჩი 1995:98-99).
- ფ ო ნ ო-მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი მოვლენა, რომელიც გულისხმობს დასაწყისი სიტყვის განმეორებას (ნაწილობრივი რედუპლიკაცია) ან მთლიანი ძირის განმეორებას (სრული რედუპლიკაცია) (იარცევა 1998: 408).
- ძირის გაორკეცება: „რედუპლიკაციის წესით მიღებული ყოველი ფუძე ორი სეგმენტისაგან შემდგარი ერთეულია. ზღვარი სეგმენტებს შორის ხშირად წაშლილია, ან იმგვარად არის ხოლმე სახეცვლილი რომელიმე მათგანი (ან ორივე ერთად), რომ ფუძეებში ორი ძირის დანახვა საერთოდ ჭირს...“ (ერთელიშვილი 1970: 181).
- „სიტყვის ან ფუძის (ფუძე ზოგჯერ შეიძლება ემთხვეოდეს ძირს), უფრო იშვიათად, ფუძის ნაწილის გაორკეცება“ (სანიკიძე 1976: 35) .
- „...ამა თუ იმ ფუძის, მარცვლის, ძირის ან ძირის ნაწილის გაორკეცება“ (დათუკიშვილი 1990: 4).

ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში რედუპლიკაციის საკითხები გაორკეცებულ სეგმენტში მომხდარი ფონოლოგიური ცვლილებების კვალდაკვალ განიხილება (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ფ. ნაისერი, ს. ჟღენტი, ლ. სანიკიძე...), შესაბამისად, რედუპლიცირებულ ფორმათა საკლასიფიკაციო ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან:

[1] „ძირითადად ხმაბაძვითი სიტყვების საწარმოებლად გამოიყენება“ (ნებიერიძე 1999: 236); „ბევრი არახლეჩადი რედუპლიკატი წარმოადგენს ხმაბაძვით ფორმას“ (დათუკიშვილი 1990: 11)

1. *ფუძის რედუპლიკაცია*[1] (კლასიფიკაციის საფუძველია პოზიციური ხასიათის ფონოლოგიური პროცესები):
   - ფ უ ძ ე უ ც ვ ლ ე ლ ი და ფ უ ძ ე ც ვ ლ ი ლ ი (თოფურია 1979: 110; შანიძე 1955: 85-87; სანიკიძე 1976: 38; კიზირია 1980: 76).
2. *მარცვლის რედუპლიკაცია* (კლასიფიკაცია ემყარება მარცვლის სტრუქტურას და მასში განხორციელებულ ფონოლოგიურ ცვლილებებს):
   - ღ ი ა და დ ა ხ უ რ უ ლ ი მარცვლის რედუპლიკაცია (ნაისერი 1953; ჟღენტი 1960)
   - მარცვლის პოზიციური - ანლაუტის ან აუსლაუტის - ფონოლოგიური ცვლილებებით (გ. დეეტერსი, ფ. ნაისერი, ა. შანიძე, ს. ჟღენტი, ლ. სანიკიძე)
   - ს რ უ ლ ი და ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი რედუპლიკაცია: სრული - როდესაც ამოსავალი მარტივი ელემენტი (ფუძე, ძირი ან მარცვალი) ორკეცდება მთლიანად; ნაწილობრივი - ორკეცდება ამოსავალი ელემენტის რომელიმე ნაწილი (ჟღენტი 1960; დათუკიშვილი 1990: 10); სრული რედუპლიკაცია (Total reduplication) - ბგერის ან მარცვლის გაორკეცება; ნაწილობრივი რედუპლიკაცია (Partial Reduplication) - ანლაუტის ან აუსლაუტის მარცვლის გაორკეცება (გლუკი 1993: 498);
3. ხ ლ ე ჩ ა დ ი[2] და ა რ ა ხ ლ ე ჩ ა დ ი: სეგმენტებს შორის სინტაქსური დაკავშირების პოტენციის („და“ კავშირის ჩართვის შესაძლებლობის, მაკავშირებელი სიტყვის ჩართვის) მიხედვით. ხლეჩადი მოიცავს მხოლოდ სრული რედუპლიკაციის შემთხვევებს (*სამ-სამ-ი*)[3], არახლეჩადი კი როგორც სრული *(ბუტ-ბუტ-ი)*, ისე ნაწილობრივი რედუპლიკაციის (*ქაჩ-აჩ-ი)* შემთხვევებს (დათუკიშვილი 1990:10).

ამდენად, რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ა უნდა განვიხილოთ როგორც *ფონო-მორფოლოგიური* მოვლენა, რომელიც არის ფ უ ძ ი ს ან მ ი ს ი ს ე გ მ ე ნ ტ ი ს (*ბგერა, ძირი, მარცვალი) ფორმასთან დაკავშირებული მოვლენა* და ენებში ახალი ლექსიკური ერთეულის / *ახალი მნიშვნელობის წარმოქმნის* საფუძველი. *რედუპლიკაციას აქვს თავისი ფონოლოგია და მორფოლოგია* (რეიმი 2000).

რედუპლიცირებული ენობრივი ერთეულის ფონოლოგიური და მორფოლოგიური ანალიზი გულისხმობს ფორმობრივ ანალიზს, ამიტომ საკლასიფიკაციო ნიშნები, რომლებიც ადგენენ რედუპლიცირებულ ფორმათა ჯგუფებს, არსებითად ემყარება მოცემული ენობრივი დონეების ანალიზს (შესაბამისად, ტერმინებს) და ამ ანალიზის შედეგად მიღებულ წესებს.

---

[1]ფუძის რედუპლიკაცია შეიძლება გავიაზროთ როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულთა (= *ფუძეთა*), ასევე ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე ერთეულთა (= *ძირი, როცა ის არ ემთხვევა ფუძეს)* განმეორება, დუბლირება. შდრ. ერთი მხრივ, *ჯაგჯაგ-, ტიკტიკ-*... მეორე მხრივ: ასავალ-დასავალი, მითქმა-მოთქმა, ეკა-ბეკა... *ფუძის რედუპლიკაცია* და *რედუპლიცირებული ფუძე* ორი სხვადასხვა ტერმინია, პირველი გულისხმობს რედუპლიკაციას, როგორც პროცესს, ხოლო მეორე - ამ პროცესის შედეგად მიღებულ მორფოლოგიურ და ლექსიკურ ოდენობას. რედუპლიკატებად წარმოდგება როგორც ძირი, ასევე თავად ფუძე.

[2] იგივეა, რაც „ტოლადშერწყმული“.

[3]ფრ. ნაისერის მოსაზრებით, ამგვარი ფორმები სიტყვაწარმოებაშია განსახილველი, ან სინტაქსისა და სტილისტიკის სფეროს წარმოადგენს (ნაისერი1953); მაგრამ, რადგან „და“ კავშირით შეერთებული სიტყვები სინტაქსურ წყვილად არ განიხილება (ჩიქობავა 1930: 488), აღნიშნული თვალსაზრისი გაზიარებული არ არის (იხ. დათუკიშვილი 1990: 9).

რედუპლიცირებული ფორმების კლასიფიკაციისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს სეგმენტთა სახეს. ბგერწერის მორფოლოგიურ ინვენტარად უნდა იქნას მიჩნეული *ძირი, ფუძე, აფიქსი.* ხოლო ფონოლოგიურ - *მარცვალი. ძირის რედუპლიკაცია და სუფიქსაცია* მორფოლოგიური *ხერხებია*, ძირში ან მარცვალში მომხდარი ფონოლოგიური ცვლილებები კი რედუპლიცირების ფონოლოგიური გზაა.

ა. ძირის რედუპლიკაცია

ქართველურ ენებში ძირის სტრუქტურის გათვალისწინებით არსებითად რედუპლიკაციის ორი ჯგუფის გამოყოფა არის შესაძლებელი:

1. $(CVC)^2$ - ტიპი
2. $(CV)^2$ - ტიპი

ორივე შემთხვევაში თანხმოვანთა სიგრძე შეიძლება გაიზარდოს როგორც ძირის ანლაუტში, ისე აუსლაუტში: $(CnVC)^2$ / $(CVCn)^2$, $(CnV)^2$

თუ რედუპლიცირებით მიღებულ ფუძეში მომხდარ ფონოლოგიურ ცვლილებებს გავითვალისწინებთ, მაშინ კლასიფიკაცია შესაძლებელია ამ ნიშნის მიხედვითაც:

1. ფუძეცვლილი (*არაიდენტურხმოვნიანი, არაიდენტურთანხმოვნ(ებ)იანი ძირები)*
2. ფუძეუცვლელი (*იდენტურხმოვნიანი, იდენტურთანხმოვნ(ებ)იანი ძირები)*

ანუ სრული (ბაზა და რედუპლიკატი იდენტურია) და ნაწილობრივი (ბაზა და რედუპლიკატი განსხვავებული ფონემური შედგენილობისაა).

ბ. მარცვლის რედუპლიკაცია

ძირის სტრუქტურასთან პირდაპირ კავშირშია მარცვლის სტრუქტურის საკითხიც.

1. ღია მარცვლის გაორკეცება: $(CV)^2$
2. დახურული მარცვლის გაორკეცება: $(CVC)^2$

თანხმოვანთა სიგრძის გაზრდის შესაძლებლობა ეხება მარცვლის სტრუქტურასაც.

ქართველურ ენებში მარცვლის სტრუქტურას (ღია და დახურული მარცვლების დაპირისპირებას) ბგერწერითი ღირებულება უნდა მიენიჭოს: ღია მარცვლის გამეორება იძლევა გაგრძელებული, უწყვეტი ბგერისა და მოქმედების ეფექტს: *სისინი, ზიზინი, წიწინი, ღიღინი...;* დახურული მარცვლის გამეორება იძლევა მრავალგზისობის, განმეორებული მოქმედებების ეფექტს: *წიკწიკი, ჯაგჯაგი, ძიგძიგი...*

გ. აფიქსაცია

1. სუფიქსაცია $(CV) / (CV)^2 + CV_{SUF}$-; $(CVC) / (CVC)^2 + VC_{SUF}$-
2. ინფიქსაცია $(CVC)+V+(CVC)$-[1]

[1]სუფიქსაციის ზოგადი, უნივერსალური წესიდან გამომდინარე, „სიტყვის სტრუქტურა თანხმობაშია ძირისა და მარცვლის სტრუქტურასთან. ძირისა და სიტყვის სტრუქტურათა ურთიერთკავშირსა და ერთი კანონზომიერებით შეპირობებულობას მოწმობს ის, რომ თუ ენაში ძირის კანონიკურ ფორმას ღია მარცვალი (CV) წარმოადგენს, მაშინ აფიქსებსაც ასეთივე ფორმა აქვთ და შედეგობრივი ფორმა-სიტყვა - კვლავ ღია მარცვალთა შეერთების სახეს იღებს: CV-CV..., ხოლო თუ ენაში ძირის კანონიკურ ფორმას დახურული მარცვალი წარმოადგენს (CVC), მაშინ სუფიქსური მორფემის ფორმაც დახურული მარცვალია (-VC) და შედეგობრივი ფორმა-სიტყვაც დახურულ სტრუქტურას წარმოადგენს: CVC-VC... (მელიქიშვილი 1980: 59. სქ.)

ფონოსემანტიკური ფუძეები ქართველურ ენებში ნაწაროებია „ერთი და იმავე (ა-ხმოვნიანი) ძირებისაგან სუფიქსაციისა და რედუპლიკაციის განსხვავებულ საშუალებათა გამოყენებით:

ტყაპ-უნ-ი ტყაპ-ან-ი ტყაპ-ტყაპ-ი ტყაპ-ა-ტყუპ-ი
ლაწ-უნ-ი ლაწ-ან-ი ლაწ-ლაწ-ი ლაწ-ა-ლუწ-ი
რახ-უნ-ი რახვ-ან-ი რახ-რახ-ი რახ-ა-რუხ-ი...“ (ქობალავა 1980: 67)

ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია ქართულში

ქართველურ ენებში, ძირითადად, ფუძის გაორმაგებით მიღებული ფონოსემანტიკური ფორმები დასტურდება[1]. ქართული ენის დიალექტებში კი შეიძლება გასამმაგებული ძირებიც კი დაჩნდეს: *სირაბურაგირა* (გურ.) (ჯანაშია 2001: 146). მსგავსი გასამმაგებული ფუძეები ინფორმატორებმაც დაგვიდასტურეს, მაგ., *უწი-კუწი-პუწი (პუწი-უწი-კუწი, უწი-პუწი-მუწი)*[2].

„ზოგადად რედუპლიკაცია ქართველურ ენებში დიდ უმრავლეს შემთხვევაში ხმაბაძვითი წარმოშობისაა“ (ჟღენტი 1960: 169). რედუპლიკაციის საკითხებს ქართულში სხვადასხვა მკვლევარი (ა. შანიძე, ფ. ნაისერი, გ. დეეტერსი, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, ფ. ერთელიშვილი, ლ. სანიკიძე, ი. ქობალავა, ბ. ჯორბენაძე, ა. კიზირია, ა. არაბული, ქ. დათუკიშვილი...) სხვადასხვა ასპექტით იკვლევს, შესაბამისად, განსხვავებულია მათ მიერ მოცემული რედუპლიცირებულ ძირთა კლასიფიკაციები.

ქართულში შეიძლება დადასტურდეს ყველა ძირითადი ტიპის რედუპლიკაციის შემთხვევა:

1. ამოსავალი ძირის უცვლელად: *რახრახი, ტივტივი...*
2. თანხმოვნის (მაგ. სონანტის) მონაცვლეობით: *ბარბაცი, დანდალი...*
3. ხმოვნის მონაცვლეობით: *ბაკაბუკი, ჟივჟივი...*
4. ბგერათა დაკარგვით: *აჯაბაჯა (ბაჯბაჯი).*

ქართულში მრავლად დასტურდება ერთმანეთის პარალელურად რედუპლიკაციისა და აფიქსაციის გამოყენების მაგალითები: *ბაგბაგებს - ბეგს/ბეგვავს; კივკივებს - კივის, ჟივჟივებს - ჟივის...* „ზოგიერთ შემთხვევაში ზემოხსენებული ფორმები ლექსიკური მნიშვნელობით უპირისპირდებიან ერთმანეთს (*ბუტბუტებს - ებუტება*), სხვა შემთხვევაში დაპირისპირება სტილისტური (ექსპრესიული) ხასიათისაა (*კივკივებს - კივის*)“ (ჯორბენაძე *1980: 199).*

რედუპლიკაციის პრინციპი, რომელმაც თანდათანობით ბევრი ახალწარმოქმნილი ფუძეც ჩაითრია (მათ შორის ე. წ. ფონოსემანტიკური პრინციპით აგებული ფუძეები),

---

[1] ძირთა გაორმაგებით ან გასამმაგებით მიღებული ფონოსემანტიკური ფორმები გავრცელებულია სხვადასხვა ენაში. მაგ., გერმ. fick-fack, bim-bam-bum (პაული 1960: 220; მაიერთალერი 1977: 27-28).

[2] მას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ფუნქცია ეკისრება. სომხურში იგი აღმატებითი ხარისხის მისაღებად გამოიყენება (ჩიქობავა 1946: 95); იაპონურ ენაში ფუძის გაორმაგება გვაძლევს მრავლობით რიცხვს (ito - ადამიანი, Hito-bito - ხალხი) (გალკინა-ფედორუკი 1960: 220), აფრიკის აზიისა და ამერიკის უმწერლობო ენებში რედუპლიკაცია გამოყენებულია როგორც მრავლობითობის, ასევე პერმანენსივისა და იმპერატივის გრამატიკული ფუნქციის გამოსახატავად (ჯორბენაძე 1980: 203).

ფორმათწარმოების პრიმიტიული, თავდაპირველი საფეხურის უშუალო გამოძახილია (რეციდივია) შემდგომი პერიოდის ენობრივ ფორმაციებში... რედუპლიკაცია იმითაც არის ღირშესანიშნავი, რომ სწორედ მასშია ჩასახული აფიქსაციისა და აპოფონიის პრინციპები. მაგ., რედუპლიცირებული ფუძე *ლასლას-* მოქმედი ფორმა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც სათანადო აფიქსებით გაფორმდება: *ლასლას-ი, ლასლას-ებ-ს* და ა. შ. (ჯორბენაძე *1980: 203-204).*

გაორკეცების იმ შვიდ ტიპს შორის, რომელსაც ლ. სანიკიძე გამოყოფს[1], ფონოსემანტიკური სიტყვებისათვის სამია რელევანტური:

1. მარტივი ფუძეგაორკეცება;
2. გაორკეცება ხმოვნის შენაცვლებით;
3. მაერთხმოვნიანი გაორკეცება (ერთელიშვილი 1970: 78; სანიკიძე 1976: 35-79).

უფრო მსხვილი კლასიფიკატორის გათვალისწინებით ფონოსემანტიკურ ფუძეთა დაჯგუფება შესაძლებელია მარცვლის *ღიაობა-დახურულობის* მიხედვით, ხოლო ცვლილებების გათვალისწინებით, რედუპლიკაცია იქნება *სრული* ან *ნაწილობრივი.*

1. *ღია მარცვლის სრული რედუპლიკაცია*

ღია მარცვლის რედუპლიკაციით მიღებული ფუძეები ფონოსემანტიკურ ფძეებთან სუფიქსდართულად გვხვდება:[1]

CV-CV+Suf-Nom

ბაბა-ნ-ი	*ბიბი-ნ-ი*	*ბუბუ-ნ-ი*	*ფაფა-ნ-ი*	*ფიფი-ნ-ი*	*ფუფუ-ნ-ი*
დადა-ნ-ი	*დიდი-ნ-ი*	*დუდუ-ნ-ი*	*ღაღა-ნ-ი*	*ღიღი-ნ-ი*	*ღუღუ-ნ-ი*
პაპა-ნ-ი	*პიპი-ნ-ი*	-	*სასა-ნ-ი*	*სისი-ნ-ი*	-
გაგა-ნ-ი	*გიგი-ნ-ი*	*გუგუ-ნ-ი*	-	*შიში-ნ-ი*	*შუშუ-ნ-ი*
ქაქა-ნ-ი	*ქიქი-ნ-ი*	*ქუქუ-ნ-ი*	*ზაზა-ნ-ი*	*ზიზი-ნ-ი*	*ზუზუ-ნ-ი*
კაკა-ნ-ი	*კიკი-ნ-ი*	*კუკუ-ნ-ი*	*ჟაჟა-ნ-ი*	*ჟიჟი-ნ-ი*	*ჟუჟუ-ნ-ი*
ტატა-ნ-ი	*ტიტი-ნ-ი*	*ტუტუ-ნ-ი*	*ყაყა-ნ-ი*	*ყიყი-ნ-ი*	*ყუყუ-ნ-ი*

უნდა განვიხილოთ თუ არა ამავე პარადიგმის ფარგლებში შემდეგი მაგალითები:

ა ხმოვნით - *დადღანი, ტატყანი, ჭაჭყანი, ჯაჯღანი...*

უ ხმოვნით - *დუდღუნი, ტუტყუნი, ჭუჭყუნი, ჯუჯღუნი, შუშხუნი...*

ი ხმოვნით - *დიდღინი, ტიტყინი, ჭიჭყინი, ჯიჯღინი, შიშხინი...*

ზემოჩამოთვლილ მოდელებში პრობლემურია მეორე რედუპლიკატის აუსლაუტური ხმოვნისა და სუფიქსური ხმოვნის მიმართების საკითხი, რომლის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არსებობს:

1. CV-CVნ- სტრუქტურისათვის ამოსავალია CVნ-CVნ- და „ფუძისეული ხმოვნის ამოღების გამო წაშლილია გაორკეცების კვალი და წარმოშობით თხზული სახელი

[1] იხ. აგრეთვე: ფრ. ნაისერი 1953, ვ. თოფურია 1979, ა. შანიძე 1985, ა. არაბული, 1997ხ.

2. უკვე ლიტონს დაჰმსგავსებია: კა-კან-ი, ღა-ღან-ი, ყა-ყან-ი...“ (შანიძე 1980: 63); პირველადი მასდარების მხოლოდ ნაწილისათვის ამავე აზრს ავითარებს ფ. ნაისერიც, რასაც ადასტურებს მის მიერ მოყვანილი მაგალითები: წუწუნ- < *წუნწუნ-, სისინ- < *შინშინ- (ნაისერი 1953: 134-135);
3. CV-C-Vნ- სრულქტურაში რედუპლიცირებულია ღია მარცვალი, ხმოვნითი ელემენტი სუფიქსისეულია და არა მეორე მარცვლის აუსლაუტის ხმოვანი (ნაისერი 1953 : 134-135; სანიკიძე 1977: 60-61; დათუკიშვილი 1990: 64);
4. საანალიზო ფორმათა სტრუქტურად ენის განვითარების სინქრონიული დონისათვის უნდა განვიხილოთ CV+CV+C, სადაც სუფიქსი გახმოვანების გარეშე C სტრუქტურით არის წარმოდგენილი (ქობალავა 1980: 74-75).

აღნიშნულ საკითხებს დეტალურად, შესაბამისი კონტრარგუმენტების მოხმობით შევეხებით მეგრული და ლაზური ფონოსემანტიკური ტიპის ღია მარცვლის სრული რედუპლიკაციის ანალიზისას, ასევე სუფიქსაციის პრობლემებზე მსჯელობისას[1].

რაც შეეხება ღია მარცვლის ნაწილობრივი რედუპლიკაციის შემთხვევებს, ის ქართულის ფონოსემანტიკურ ფუძეებთან არ დასტურდება.

2.1. დახურული მარცვლის სრული რედუპლიკაცია

ა) *მარტივი გაორკეცება.* მარტივი ფუძის განმეორება, ერთი მხრივ, გამოხატავს მრავლობითობას, ინტენსივობა-მრავალგზისობას, მეორე მხრივ, განმეორების შედეგად ვიღებთ ახალ სიტყვას, იგი გვევლინება წარმოქმნის ფუნქციით[2]; მარტივი განმეორება განსაკუთრებით ხშირია ხმაბაძვით სიტყვებში, განსაკუთრებით, ზმნებში (სანიკიძე 1976: 39-40).

სხვადასხვაგვარია ხმოვანუცვლელი და ხმოვანცვლილი რედუპლიცირებული ფორმებით გამოხატული განმეორების ხასიათი. „გაორკეცებული ხმოვანუცვლელი ტიპის ფუძეები ინტენსივობასთან ერთად გამოხატავენ განმეორების ერთგვაროვნებას. შდრ. მაგ., *დგაფ-დგაფი, თქარ-თქარი, ლაწ-ლაწი, რაკ-რაკი, რახ-რახი, წკაპ-წკაპი, ჯახ-ჯახი* და მისთ. საწყისის როლში ისინი აწარმოებენ ზმნურ ფორმებს, რომელთა მნიშვნელობაში სწორედ ეს მომენტია აქცენტირებული“ (ქობალავა 1980: 70-71).

მარტივად გაორკეცებული ფუძეების ორივე სეგმენტი ფონემატური სტრუქტურით იდენტურია, შეერთება უმრავლეს შემთხვევაში უკავშიროა, იშვიათად შეიძლება დაჩნდეს მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი ხ მ ო ვ ა ნ ი[31]. რედუპლიცირებულ ფუძეში ხუთივე ხმოვანი დასტურდება:

ა˜ა: *ბაგბაგი, კაწკაწი, ლაწლაწი, ნარნარი, რაკრაკი, საქსაქი, ტარტარი, ფარფარი, ხარხარი...*

ი˜ი: *ბიჟბიჟი, ზიმზიმი, კისკისი, თიხთიხი, ლიგლიგი, ლივლივი, ხითხითი, ხირხირი ...*

ო˜ო: *ბოქბოქი, გოზგოზი, ზორზორი, ლოშლოში, ხორხორი, ქორქორი ...*

უ˜უ: *ბუტბუტი, გურგური, დუგდუგი, კურკური, ლუკლუკი, ფუსფუსი, ღუდღუდი, ჭუკჭუკი...*

ე˜ე: *რეცრეცი, ქევქევი, ქეცქეცი ...*

---

[1]იხ. ამავე მონოგრაფიაში სუფიქსაციისა და. რედუპლიკაციის საკითხები მეგრულსა და ლაზურში.

[2]ფ. ნაისერის მოსაზრებით რედუპლიკაცია ქართულ ექსპრესივებში აძლიერებს ექსპრესიას (ნაისერი 1953: 51), რასაც ვერ ეთნხმება დი ენ ჰოლისკი: „ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც მე მაქვს და სადაც არის ოპოზიცია მარტივ და რედუპლიცირებულ ზმნებს შორის, არ გვაძლევსს საკმაო მონაცემებს იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ ნათელი მოსაზრება ამ ფორმებით გამოხატული მნიშვნელობის შესახებ: *წივის - წივწივებს, წკავის - წკავწკავებს, ჟივის - ჟივჟივებს*“ (ჰოლისკი 2000, 155).

/ე/-ხმოვნიანი ძირები მარტივ რედუპლიკატებში იშვიათად გვხვდება, იშვიათია ასეთი მაგალითები სხვა ტიპის გაორმაგებაშიც *(ცენცერი, ქვერქვეტი, ყერყეტი, ტენტერი...)*. ზოგი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ რედუპლიცირებული ფუძეები /ე/ გახმოვანებით ქართულში აგრეთვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ერთელიშვილი1970: 182).

მარტივი ფუძეგაორკეცებისას „ხმაბაძვით (და ექსპრესიულ) ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში მოსალოდნელია უჩვეულო კომპლექსები“ (სანიკიძე 1976: 79)[1]. „ფუძის (თითოეული სეგმენტის) აუსლაუტში (ისევე, როგორც ანლაუტში) შეიძლება გვქონდეს... სხვადასხვა სიხშირით თითოეული თანხმოვანი (ჰ-ს გარდა). ეს ფაქტი ედება საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ძირების შეყრის მიჯნაზე ვიღებთ არა მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელ წყვილთანხმოვნიან კომპლექსებს, არამედ უფრო ხშირად ისეთ კომპლექსებს, რომლებიც მხოლოდ რედუპლიცირებული ძირების მიჯნაზეა ასატანი ქართულისათვის: *ყზ, ქთ, ხთ, პტ, კძ, ქც, კწ* და ა. შ. (ერთელიშვილი 1970: 181-182)[2]. „ამ მხრივ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ხმაბაძვით სიტყვებში თავკიდურისა და ბოლოკიდურის გაორკეცება უფრო იშვიათად ხდება“ (სანიკიძე 1976: 79); ჩანს ორკეცდება უპირატესად *ბად-* (CVC) ტიპის, უფრო იშვიათად CCVC ტიპის ძირები. მათი ერთი ნაწილი მხოლოდ რედუპლიცირებული ძირებისაგან შემდგარ ფუძეებშია შემონახული (თუ მხოლოდ გაორმაგებული სახით არსებობს!), ზოგ შემთხვევაში ადვილი მისაკვლევია, რომელი ძირია გაორკეცებული, სხვა შემთხვევაში ამის დადგენას სპეციალური ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიება სჭირდება. ხშირი არ არის მაგალითები, რომლებშიც გაორკეცების გამო სახელის ფუძე ზმნურ ფუძედ იქცეოდეს (თვალთვალი) (ერთელიშვილი 1970: 206)[3].

ამ ტიპის ლექსიკის გამიჯვნა *ფონოსემანტიკური სიტყვების შესწავლისათვის საჭიროდ მიგვაჩნია. რაც შეეხება სემანტიკურ* შინაარსობრივ ჯგუფებს, მარტივი გაორკეცებული ფუძით შეიძლება გამოიხატოს:

1. საკუთრივ ხმიანობა: *ბახბახი, ლიწლიწი, რუკრუკი .....*
2. საუბრის მანერა: *ლოშლოში, ტიკტიკი, ჭუკჭუკი.....*
3. მოძრაობის მანერა: *ლახლახი, ნარნარი, რეცრეცი.....*
4. სინათლის მოქმედება: *კამკამი, ლაპლაპი, გუზგუზი, ციმციმი, თიმთიმი ...*
5. სხვა სემანტიკა: *ცამცამი, სივსივი, *ჭიკჭიკი (ჩაჭიკჭიკება), *წიკწიკი (ჩაწიკწიკება* - ლამაზად და სწორად წერის მნიშვნელობით), *გასივსივება* (დანაყრების ან გასუქების მნიშვნელობით) და ა. შ.

2.2. დახურული მარცვლის ნაწილობრივი რედუპლიკაცია.

„ეს ის შემთხვევებია, როდესაც დახურული მარცვლის გაორკეცებისას დისიმილაციის ან სუბსტიტუციის შედეგად თანხმოვნის მონაცვლეობას აქვს ადგილი“ (ჟღენტი 1960: 171; იხ. აგრ. ნაისერი 1953: 58)

[1] დასაშვებია ისიც, რომ /ი/ შეიძლება ფუძისეული ხმოვანი იყოს. შდრ. *პუტუპუტუ, ლაილაი, რიარია...* მაერთი ხმოვნის არსებობა მარტივი გაორკეცების ფუძეებში აღნიშნულია ლ. სანიკიძის მიერ მოყვანილ მაგალითებში: *გაბარიბარება, დაშორიშორება* (სანიკიძე 1976: 48); *დურდურ-ი* (დურდურისა) 1. «უკაფიო წიგნის კითხვა» (საბა). 2. გაჯავრებული ხმადაბალი ბუზღუნი. *ყინცურის* მშვიდი დურდური უფრო გარკვევით ამოისმა ხევიდან (თ. მაღლაფ.). [სოფრომა] გატრიალდა დურდურით და სოფლისკენ წაჩლახუნდა (ლ. მრელ.).

[2] იხ. აგრეთვე: ნაისერი 1953: 74; სანიკიძე 1976: 48

[3] ასეთ მაგალითებად ჩაითვლება აგრეთვე: *ყელყელაობა, მოსულსულება, მოგულგულება, ახელხელება, ქუთქუთი...*

ა) გაორკეცება თანხმოვნის შენაცვლებით[1].

CVS_1-CVS_2 / $CnVS_1$- $CnVS_2$:

V=*ა: ტარტალი, ტანტალი, პარპალი, კარკალი, კანკალი, წანწალი, ჩანჩალი, დანდალი, გარგანი, ღარღალი, გარგალი, ქანქალი, ქანქარი, ზანზარი, ჯანჯალი, ხანხალი, პარპალი, ფარფალი, ხვარხვალი, ქვანქვალი, კვანკვალი, გვანგვალი, ღვანღვალი, ჩანჩხარი ...*

V=*ე: ტენტერი, კენკელა, ჭენჭყერი, ჩენჩერი ...*

V=*ი: ბირბილი, კირკილი, კვირკვილი, გინგილი, ცინცილი, ჭინჭილი, ჟინჟღილი, ქირქილი ... წინწილა, წინწკილა...*

V=*ო: დგონდგოლი, გორგონი, ჟონჟოლი, ჩორჩოლა, გონგოლა ...*

V=*უ: ჩურჩული, ცუნცული, ძუნძული, კუნკული, გურგული, ხურხული, ზუნზული, ზურზული, ტუნტური, ტუნტული, შურშული, წურწული, ქურქული, ღურღული... დუნდულა...*

CVS-CVC: *წერწეტი, კერკეტი, ცერცეტი, კირკიტი, ყურყუტი, კურკუმი, ქურქუმი, ყურყუმი, ღურღუმი, ფამფალი, ფიმფილი, ფარფატი ... ღირღიტა, წურწუმა...*

ბ) გაორკეცება ხმოვნის შენაცვლებით.

აღნიშნული ტიპი ქართულში მეტწილად სახელებში გვხვდება, თუმცა ხშირია ეს მოვლენა ფონოსემანტიკური ტიპის ლექსიკაში. ხმოვანმონაცვლე გაორკეცებული სახელის ფუძე ქართულში იხმარება „სიმრავლის აღსანიშნავად *(გორ-გური - გორები)* ან დამცირების გამოსახატავად (*ბიჭბუჭები* აგდებით ლაპარაკის დროს ითქმის)“ (შანიძე 1980: 150).

უცვლელი ხმოვანი რიტმულ განმეორებას გადმოგვცემს, ხოლო ხმოვნის ცვლა - არარიტმულ, ქაოსურ მრავალგზის მოქმედებას: *ტიკტიკი-ტაკატუკი, ჩახჩახი-ჩახაჩუხი, რაკრაკი-რაკარუკი* (მელიქიშვილი 1999: 85).

ა~უ ხმოვანმონაცვლეობის 110 შემთხვევას განიხილავს ფ. ერთელიშვილი შემდეგი ექვსი სტრუქტურული მოდელისათვის: *ბაგ-ა-ბუგ-* (CVC-V-CVC), *ჩხარ-ა-ჩხურ-* (CCVC-V-CCVC), *თხლაშ-ა-თხლუშ-* (CCCV-C-CCCVC), *რაწკ-ა-რუწკ-* (CVCC-V-CVCC), *პრაშტა-პრუშტ-* (CCVCC-V-CCVCC), *ბარტყ-ა-ბურტყ-* (CVCCC-V-CVCCC) ტიპის მოდელები (ერთელიშვილი 1970 : 78-81). ფონოსემანტიკურ სიტყვათა მარაგი ქართული ენის დიალექტების მაგალითზე შესაძლებელს ხდის ეს რიცხვი გაიზარდოს:

ა~უ ხმოვანმონაცვლე კომპოზიტთა პირველ სეგმენტზე დართული /ი/ ან /ა/ მაერთი ხმოვანი ხშირად ერთმანეთის პარალელურად გვხვდება: *ბახ-ა-ბუხ-/ ბახ-ი-ბუხ-, კაპ-ა-კუპ- / კაპ-ი-კუპ-, ლაწ-ა-ლუწ- / ლაწ-ი-ლუწ-* და ა. შ. შეერთება შეიძლება უკავშიროც იყოს. მაგ., (ფშ.) *ლაკლუკი, ფანცფუნცი, ღავღუვი,* (იმერ.) *წკაპწკუპი,* მთიულ. *თქაფთქუფი,* (მოხ.) *ჩქანჩქური.*

ი~ა ხმოვანმონაცვლე კომპოზიტები ქართულში მაერთ ხმოვნებს არ დაირთავენ. მაგ., *ყირყაჟი, ღიმღამი, კისკასი,* თუმცა გამონაკლისის სახით გვაქვს *რიბირაბო* (იმერ. რაჭ.), რაც რიჟრაჟს ნიშნავს[2] (ღლონტი 1984). შდრ. იმერ. *რიჯრაჯი.*

უთითებენ, რომ ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცებაში და ტეხილ გაორკეცებაში ხმოვნით გათიშულია ქართული ენისათვის უჩვეულო თანხმოვანთა ჯგუფები: *ფაცაფუცი,*

[1] სრულად მაგალითებისათვის იხ. დათუკიშვილი 1990: 83-84

[2] ძვ. ქართულში დასტურდება ფორმა *რიჟუ-რაჟუ* „დილაადრიანად, გარიჟრაჟზე“ (აბულაძე 1973: 347), შდრ., მეგრ. *ზიკუ-ზაკუ, კირუ-კარუ, ტირუ-ტარუ...*

ფაციფუცი (სანიკიძე 1976: 78), თუმცა ჩანს, რომ ხმოვნის დანიშნულება უჩვეულო თანხმოვანთა ჯგუფების გათიშვა არ უნდა იყოს, ვინაიდან მარტივ გაორკეცებაში ეს საშუალება არ გამოიყენება (მაგ., *ფაცფაცი, ცირციტი*). იდენტურ მაერთხმოვნიან ფორმებს ქმნიან ქართული ენისათვის დამახასიათებელი თანხმოვანთკომპლექსებიც *(ტრაშახრუში).*

ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ახსნა შეიძლება: ბგერათშეერთების მეორე წესის მიხედვით უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ჰეტერორგანული ბგერის წარმოთქმისას ორგანოები იცვლიან მდგომარეობას უმოკლესი გზით. განსხვავებულია სრულ ხმოვანთა ერთმანეთთან ისეთი შეერთება, როგორიცაა, მაგ., /აი/, /აე/, ან /ოი/, /ოუ/ და სხვა. მათ შორის გარდამავლობა მეტ-ნაკლებია. /აი/-ში მანძილი მეტია, ვიდრე /აე/-ში, /ოი/-ში მეტია, ვიდრე /უი/-ში. /აი/-ში ა-დან ი-მდე მეტი გზა აქვს გასავლელი ენას, ვიდრე /აე/-ში /ა/-დან /ე/-მდე (ახვლედიანი 1949: 101-102).

*ა-დან უ-მდე სამი ნიშნის გავლა უხდება ენას (აწულობა, რიგი, ლაბიალობა). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაერთებელი ხმოვანი (ა ან ი) აქ ა-დან უ-მდე გადასვლას უწყობს ხელს, ვინაიდან მათ შორის არსებული თანხმოვანთკომპლექსი (ზოგჯერ უჩვეულოც) რთული წარმოსათქმელი ხდება. შდრ. რახრახი, რახარუხი და არა *რახრუხი, ჭაჭყაჭუჭყი და არა *ჭაჭყჭუჭყი, თუმცა გამონაკლისი შემთხვევები მაინც ახსნას მოითხოვს.*

ქართულში /ი-ა/ ხმოვანმონაცვლე ფუძეებში მაერთებელი ხმოვანი არ ჩნდება, საგულისხმოა, რომ /ი/ და /ა/ არალაბიალური ხმოვნებია.

სავარაუდოა, რომ /ი-ა/ დაპირისპირება ადრე სამივე ქართველურ ენაში იყო გავრცელებული. ამის საფუძველს გვაძლევს დიალექტებში დამოწმებული ფორმები, სადაც იგი არც ისე იშვიათად გამოიყენება, როგორც სახელურ, ისევე ზმნურ ფუძეებში (ნაისერი 1953: 36). „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება როგორც /ი-ა/, ასევე /ა-უ/ ხმოვანმონაცვლე სიტყვები: *ბინდბანდი* (შდრ., *ბინდბუნდი), კისკასი, მტლაშამტლუში.*

დიალექტურ ფორმათაგან: *ღივღავი* (ქართლ.) „ღივღივი“, *ყირყაჟი* (იმერ.) „ხმაურობა, ყაყანი“, *ხიცხაცი* (იმერ.) „ხმაურობა, ჩხუბი“, *ჩიმჩამი* (რაჭ.) „ფიქრი, დაფიქრება“, *ციმცამი* (გურ.) „გაჩუმება, სულის გატრუნვა“, *რიბირაბო* (იმერ. რაჭ.) „რიჟრაჟი“ ... (ღლონტი 1984).

ენაში არსებულ ბგერებს აქვთ მიდრეკილება *„არტიკულაციური თამაშისადმი“* (ნაისერი 1953: §. 6). ხშირად მონოტონური, ერთგვაროვანი ხმიანობა ენაში სხვადასხვაგვარად გამოიხატება... ენამ შეიძლება ეს ხმაური განსხვავებული ხმოვნებით გადმოგვცეს. სხვადასხვა ენა ამ მხრივ სხვადასხვა ჩვენებას იძლევა. მაგ.

ქართ.	წიკწიკი	გერმ.	ticktack	რუს.	тик-так
	სისინი		gickgack		гагага
	კაკა-კუკი		klipklap		тук-тук

ადამიანური მისწრაფებაა - ყველაფერი სხვაგვარად თქვას. ზემოთ მოყვანილი ფორმები სწორედ ამ მისწრაფების გამოვლინებაა, თუმცა ეს ვერ იკისრებს სიტყვათა ცვლის ყველა შემთხვევის ახსნას (ფოჩხუა 1974: 31). „ენის შემოქმედებითი გონი მუდამ თამაშით გადადის ნივთიერიდან აზრისეულზე. რაიმე აბსტრაქტული გამოხატულების უკან მეტაფორა დგას, ყოველ მეტაფორაში კი *სიტყვათა თამაშია* შეზავებული. ასე ქმნის კაცობრიობა არსებულის საკუთარ გამოხატულებას, ასე აგებს ბუნების სამყაროს გვერდით მეორე, შეთხზულ სამყაროს“ (ჰაიაზინგა 1997: 15).

ბაგაბუგი, ჩხარაჩხური სწორედ ამ „თამაშის“ ნიადაგზე შექმნილი ფორმებია და არა ფონეტიკური ცვლილებით მიღებული. საწინააღმდეგო შემთხვევაში *ბაგ+ბაგ - ბაგ+ბუგ-* პროცესში უნდა ვიგულისხმოთ გამაშუალებელი საფეხური *ბაგბოგ-*. „ჩვეულებრივ არ ხდება ფართო ხმოვნის უშალო გადასვლა ვიწრო ხმოვანზე (ა-ი ან ა-უ), გარდამავალ საფეხურად ყოველთვის ივარაუდება /ე/ ან /ო/ ხმოვნები“ (ჯორბენაძე 1998: 270-271). ხმოვანთა ურთიერთგადასვლა შეიძლება ხდებოდეს უშუალოდ, სპონტანურად, რასაც სემანტიკური განსხვავების ფუნქცია შეიძლება დაეკისროს (*ჯაჯღანი - ჯიჯღინი - ჯუჯღუნი)* (ჯორბენაძე 1998: 114). სწორედ სემანტიკური ნიუანსებით განსხვავდებიან ხშირად სხვადასხვახმოვნიანი ფონოსემანტიკური ფუძეები.

ფაქტობრივად კი, /ი-ა/, /ა-უ/ კონტრასტულ დაპირისპირებათა თანამიმდევრულ რეალიზაციას წარმოადგენს ჰ. პაულის მიერ დადასტურებული გერმანული სამწევრიანი მოდელები *bim-bam-bum, piff-paff-puff.* bim ერთხელ გამოცემული ზარის ხმის აღსანიშნავად გამოიყენება, *bim-bam* ზარის ხმებისთვის, რომლებიც ტონის სიმაღლით იცვლებიან (დუდენი 1989). რატომ არ იხმარება ა/ი, ან უ/ი ხმოვანთმონაცვლეობა? სწორედ მრავლობითობის გაგება შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ისინი ზმნურ ფორმებს ვერ აწარმოებენ, თუმცა არსებობს გამონაკლისიც: *შარიშურობს, ჩამიჩუმობს, ფაციფუცობს, ფახიფუხობს....*

ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია მეგრულსა და ლაზურში

მეგრულში რთული ფუძის მარტივთა განმეორების გზით მიღებაზე ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე უთითებდა; ის მიანიშნებდა რედუპლიკაციის ორ განსხვავებულ ტიპზე, როცა განმეორების გზით მიღებულ ფუძეთა ორი რიგს გამოყოფდა:

1. *„წვი-წვინ-ი // სვი-სვინ-ი // კვი-კვინ-ი*
2. *ჭვარ-ჭვალ-ი //ჭურ-ჭულ-ი; გვი-გვილ-ი // ხვი-ხვილ-ი // კვი-კვილ-ი*“ (ყიფშიძე 1914: 0132).

რედუპლიკაციის საკითხი ზანური ჯგუფის ენებში შემდგომში არაერთი ქართველი მეცნიერის (ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, ლ. სანიკიძე) კვლევის ინტერესი გამხდარა. ვ. თოფურიასათვის ტიპებად კლასიფიცირებისას ამოსავალია ფუძეში მომხდარი ცვლილება, რომელზედაყრდნობითაცაიგებაოპოზიცია:„ფუძეუცვლელიდაფუძეცვლილიგაორკეცება“ (თოფურია 1979: 296-297); ცვლილებები ეხება: ა) ხმოვნებს ბაზასა და რედუპლიკატში - „გაორკეცებისას იცვლება ხმოვანი“ ; ბ) თანხმოვნის დაკარგვას რედუპლიცირებული ფუძის რომელიმე კომპონენტში; გ) რედუპლიკატებში /რ/-ს დისიმილაციას (თოფურია 1979: 296-297). ლ. სანიკიძე უფრო აკონკრეტებს ამ კლასიფიკაციას, თუმცა მათ არც სახეობრივად და არც ფუნქციურად ქართულისა და სვანურისაგან არ გამოყოფს (სანიკიძე 1977: 49); ს. ჟღენტის კლასიფიკაცია (ჟღენტი 1960) ემყარება მარცვალთა სტრუქტურას; ცალ-ცალკე განიხილება ღია და დახურული მარცვლების რედუპლიკაცია, შიდა საკლასიფიკაციო ნიშანი კი, წინამორბედთა მსგავსად, ფონოლოგიურ-ფონეტიკურია.

მეგრულსა და ლაზურში ფონოსემანტიკური ფუძეების დიდი უმრავლესობა რედუპლიკაციის ან სუფიქსაციის გზით არის წარმოქმნილი. ე. წ „შიშველი“, არაგრამატიკალიზებული ფუძეები ამ ენების ლექსიკურ სისტემას არ ახასიათებს. რედუპლიკაციის ყველა შემთხვევის გაერთიანება სავსებით დასაშვებია ორ ტიპში: ღ ი ა (CV[2]) და დ ა ხ უ რ უ ლ ი (CVC[2]) მარცვლის რედუპლიკაცია, ხოლო ფუძეში მომხდარი ცვლილებები ასევე შესაძლებელია აისახოს ტერმინებში: ს რ უ ლ ი და ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი რედუპლიკაცია.

ფონოსემანტიკურ ფუძეთათვის რედუპლიკაციას მეგრულსა და ლაზურში განვიხილავთ მარცვლის სტრუქტურასთან კავშირში და ფუძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით ვაქცევთ ორ საკლასიფიკაციო ტიპში:

1. *დახურული მარცვლის* რედუპლიკაციის *სრული* და *ნაწილობრივი* ტიპი;
2. *ღია მარცვლის* რედუპლიკაციის *სრული* და *ნაწილობრივი* ტიპი.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა რედუპლიცირებულ ფუძეს უკავშირდება და არა ცალკეულ რედუპლიკატებს, ამიტომ ამგვარი რედუპლიკაცია ლიტერატურაში შეფასებულია „უმნიშვნელობო ფუძეთა გაორკეცებად“ (თოფურია 1979: 296), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკატები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ მარცვლებს, მნიშვნელობას სრულად მოკლებულნი არ არიან: ბგერწერა, რომელიც ფონემის მნიშვნელობასთან კავშირს გულისხმობს, სამყაროში არსებულ ბუნებრივ აკუსტიკას ენობრივი ინვენტარის საშუალებით ასახავს; რედუპლიკაციას, თავის მხრივ, დამატებითი სემანტიკური ღირებულება ენიჭება, რაც მოქმედების *განმეორებადობას, ინტენსივობას, განგრძობითობას, დიურატიულობას, მრავალგზისობას* უკავშირდება (შდრ. *წკაპ-, წკაპ-წკაპ-, წკაპიწკუპ-, წკაპაწკუპ-)*

რედუპლიცირებული ფუძეების ანალიზამდე აუცილებელია რამდენიმე მეთოდოლოგიური საკითხის გათვალისწინებაც, ამას მოითხოვს, პირველ რიგში, სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული აზრთა სხვადასხვაობა რედუპლიცირებულ მარცვალთა ღიაობა-დახურულობის შესახებ, რომელსაც ებმის სუფიქსაციის საკითხებიც; ფონოსემანტიკურ რედუპლიცირებულ ფუძეთა ანალიზისას აუცილებელია გაიმიჯნოს *სინქრონიული* და *დიაქრონიული* ასპექტები, ვინაიდან ქართველურ ენებში ისტორიულად მარცვლის სტრუქტურის შეცვლა, ღია მარცვლების დახურლად ქცევა, რედუპლიცირებულ ძირებსაც ეხება, რაც ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურაში თავად მარცვლის სტრუქტურის სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ჩვენ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ დებულებას, რომ 1. „სიტყვაწარმოების დონეზე ამგვარი ფუძეები ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელნი“ (ქობალავა 1979: 112); 2. „რედუპლიცირებული ფორმის მქონე მედიალურ ზმნათა შემთხვევაში, მარტივი ძირი თანამედროვე ქართულში არაა დადასტურებული. როგორც უნდა იყოს ამ ფორმაციათა პროდუქტიულობა და რა მნიშვნელობასაც უნდა გამოხატავდეს ისინი, *რედუპლიკაცია, როგორც პროცესი,* დაიკარგდა და განხილული იქნა, როგორც დიაქრონიული კვლევის საგანი“ (ჰოლისკი 2000: 155)

1. *ღია მარცვალის სრული და ნაწილობრივი რედუპლიკაცია.*

„ღია მარცვლის სრული გაორკეცების ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია მეგრულისათვის“ (ჟღენტი 1960: 176), თუმცა სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი

სხვაგვარ სურათს იძლევა: ვ. თოფურიას პუბლიკაციაში (თოფურია 1979) ბგერწერითი თუ ხმაბაძვითი ფუძეების ძალზე მცირე ნაწილი შეტანილია მკვლევრის მიერ შედგენილი რედუპლიცირებულ ფუძეთა კლასიფიკატორის ორ ტიპში: „*ფუძეგაორკეცებულ ფუძეუცვლელებსა*“ და „*ფუძეცვლილებში*“ (თოფურია 1979: 296):

1. *გვაგვაფი* „ძლიერი ცემა, ბრაგვანი“, *ჯგვაჯგვაფი* „ჯახანი“;

2. *ძვაძვალი* „ძუნძული“, *გოღვიღვინაფა* „გაღვივება“, *სვისვინი* „მდუმარება“; ამათგან პირველი ითვლება „უმნიშვნელობო ფუძეთა გაორკეცებად“, ხოლო მეორე შემთხვევისათვის აღიწერება ფუძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილება: „ერთ-ერთი ფუძე კარგავს თანხმოვანს. სახელდობრ, პირველ ფუძეს არ უჩანს თანხმოვანი“ (თოფურია 1979: 296-297).

აღნიშნულ ენობრივ პრობლემაზე მსჯელობისას ს. ჟღენტი, ძირითადად, ვ. თოფურიას მაგალითებს ეყრდნობა; ჩამონათვალს რამდენიმე მაგალითით ავრცობს ლ. სანიკიძე (იხ. ჟღენტი 1960: 176-177, სანიკიძე 1977: 60-61). თუ მაგალითების მკვლევართა მიერ მოხმობილ ტიპს გავყვებით, გაირკვევა, რომ ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია მეგრულში და ფონოსემანტიკურ ფუძეთა სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

ა) ღია მარცვლის სრულ რედუპლიკაცია.

მეგრულში CV-CV მხოლოდ /ი/-ხმოვნიანი ვარიანტით არის წარმოდგენილი[1]; ქართულთან თანმხვედრი ფონემათმიმდევრობის მიუხედავად, მეგრულში მნიშვნელობა განსხვავებულია, რასაც მასდარებისგან ნაწარმოები ზმნების მნიშვნელობა უკეთ წარმოაჩენს:

CV^2-Suf-Nom(Msd):	Prv-R[CV^2-Suf-suf]-Msd	
*სი-სი-ნ-ი < *სი-სი-ინ-ი*	*გო-სისი-ნ-აფ-ა*	„გავსება, ავსება“
*ში-ში-ნ-ი < *ში-ში-ინ-ი*	*გო-შიში-ნ-აფ-ა*	„გაძღომა“
*ტი-ტი-ნ-ი <*ტი-ტი-ინ-ი*	*გო-ტი-ტი-ნ-აფ-ა*	„გავსება, გაბერვა“
*ჟი-ჟი-ნ-ი < *ჟი-ჟი-ინ-ი*	*გო-ჟი-ჟი-ნ-აფ-ა*	„გაჟღენთვა“
*ქი-ქი-ნ-ი < *ქი-ქი-ინ-ი*	*გო-ქი-ქი-ნ-აფ-ა*	„დაფჩენა პირისა, გაღება ფართოდ“
*ფი-ფი-ნ-ი <*ფი-ფი-ინ-ი*	*გო-ფი-ფი-ნ-აფ-ა*	„აფოფრვა, აშლა“
*ღი-ღი-ნ-ი <*ღი-ღი-ინ-ი*	*გო-ღი-ღი-ნ-აფ-ა*	„დათბობა, გამზეურება“
*ჭი-ჭი-ნ-ი <*ჭი-ჭი-ინ-ი*	*გო-ჭი-ჭი-ნ-აფ-ა*	„გაჭიჭინება“
*ცი-ცი-ნ-ი <*ცი-ცი-ინ-ი*	*გო-ცი-ცი-ნ-აფ-ა*	„გაცრეცა“
*წი-წი-ნ-ი <*წი-წი-ინ-ი*	*გო-წი-წი-ნ-აფ-ა*	„მომწიფდა“
*ჩი-ჩი-ნ-ი < *ჩი-ჩი-ნ-ი*	*გო-ჩი-ჩი-ნ-აფ-ა*	„გაშტერება, გასულელება“
*ხი-ხი-ნ-ი < *ხი-ხი-ნ-ი*	*გო-ხი-ხი-ნ-აფ-ა*	„გა[მო]შრობა“
*ყი-ყი-ნ-ი < *ყი-ყი-ინ-ი*	*გო-ყი-ყი-ნ-აფ-ა*	„ყურების, ცქერის მანერა“

CnV-CnV - მარცვლის თავკიდური კონსონანტური სტრუქტურის გართულების შემთხვევაში დასაშვებია ხმოვნითი ნაწილი წარმოდგენილი იყოს /ა/ და /ი/ ხმოვნებით:

[1] მალზე იშვიათია /ა/-ხმოვნიანი ვარიანტი: *ჭაჭა-ლ-ი* „ბევრის ერთად ლაპარაკი, ხმაური“, *ქაქალი* „ქროლვა“

CnV-CnV-Suf-Nom

„ხმა, ხმაური, ხმიანობა“	„მოძრაობის მანერა“	„ფიზიონომია, ყურება, გამოხედვა“
CnV^2-ფ- < *CnV^2 -აფ-	CnV^2-ლ- < *CnV^2 -ალ-	CnV^2-ნ- < *CnV^2-ინ-
გვა-გვა-ფ-ი	გვა-გვა-ლ-ი	გვი-გვი-ნ-ი
კვა-კვა-ფ-ი	კვა-კვა-ლ-ი	კვი-კვი-ნ-ი
ქვა-ქვა-ფ-ი	ქვა-ქვა-ლ-ი	ქვი-ქვი-ნ-ი
ძვა-ძვა-ფ-ი	ძვა-ძვა-ლ-ი	ძვი-ძვი-ნ-ი
-	ცვა-ცვა-ლ-ი	ცვი-ცვი-ნ-ი
დგა-დგა-ფ-ი	-	დგი-დგი-ნ-ი
ჯგა-ჯგა-ფ-ი	ჯგა-ჯგა-ლ-ი	ჯგი-ჯგი-ნ-ი
ჯგვა-ჯგვა-ფ-ი	ჯგვა-ჯგვა-ლ-ი	ჯგვი-ჯგვი-ნ-ი
ჩქვა-ჩქვა-ფ-ი	ჩქა-ჩქა-ლ-ი	ჩქი-ჩქი-ნ-ი

მსგავსი მრავალფეროვნებითა და სისტემურობით არ გამოირჩევა ლაზურის ფონოსემანტიკური ლექსიკა, სადაც ღია მარცვლის სრული რედუპლიკაციის დამადასტურებელი ორიოდე მაგალითი დადასტურდა:

ო-ჭა-ჭა-ლ-უ „ჭრაჭუნი“ (თანდ. 692)

ო-ღუ-ღუ-ლ-უ „ღუღუნი“ (თანდ. 673)

ზემოდასახელებულ ფუძეებში დგება რედუპლიკატისა და სუფიქსისეული ხმოვნის მიმართების საკითხი:

ლ. სანიკიძე ზემოჩამოთვლილი მეგრული ფორმებისათვის სხვაგვარ სეგმენტაციას გვთავაზობს, როცა ღია მარცვლის გაორკეცებით მიღებულ ფუძეებში განიხილავს ისეთ ფუძეებს, როგორებიცაა: *ყაყ-აფ-ი, ცაც-აფ-ი, ჭკაჭკ-უ-ა, გო-ჭკვაჭკ-უ-ა, თქათქ-უ-ა...* ხოლო საერთოდ დაუშლელად წარმოდეგენს ფუძეებს: *გვაგვაფი, ძვაძვაფი, ძვაძვალი...* (იხ. სანიკიძე 1977: 60-61); ამგვარი სეგმენტაციის კვალობაზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო ფორმებს, მართალია, ღია მარცვლის რედუპლიკაციად თვლის, თუმცა დაკარგულად მიაჩნია მეორე რედუპლიკატის ხმოვანი და არა სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი, განსხვავებით ვ. თოფურიასგან, რომელიც *ძვაძვალი* „ძუნძული“, *გოღვიღვინაფა* „გაღვივება“, *სვისვინი* „მდუმარება“ მაგალითებში პირველი ფუძის თანხმოვანს თვლის დაკარგულად (თოფურია 1979: 296-297):

ღვი-ღვინ- < *ღვინ-ღვინ-

სვი-სვინ- < *სვინ-სინ-

ძვა-ძვალ < ძვან-ძვალ < *ძვალ-ძვალ/ *ძვან-ძვან

ანუ ამოსავალში დახურული მარცვლების რედუპლიკაცია ივარაუდება.

ანალოგიურია მკვლევართა ნაწილის მოსაზრება ამავე ტიპის ფუძეებთან დაკავშირებით ქართულშიც: ამგვარ მოდელებში ივარაუდება არა ღია, არამედ დახურული მარცვლები შემდგომ საფეხურზე პირველი რედუპლიკატის შემადგენელი /-ნ/-ს დაკარგვით: *კაკან < *კანკან, ყიყინ < *ყინყინ...* (ა. შანიძე, ფ. ნაისერი, ლ. სანიკიძე);

რედუპლიცირებული მოდელები სინქრონიულ დონეზე ღია მარცვლის გაორკეცებად მიიჩნევა, თუმცა დაკარგულად ითვლება აუსლაუტის ხმოვანი მეორე რედუპლიკატში, რაც ძირის რედუპლიკაციას სტრუქტურულად CV-C-ს სახით წარმოადგენს; შესაბამისად, შენარჩუნებულად ითვლება სუფიქსისეული ხმოვანი: -VS (ფ. ნაისერი, ლ. სანიკიძე, ქ. დათუკიშვილი), ამიტომ რედუპლიცირებით მიღებული ფუძის სტრუქტურაა: CV-C-VS. აღნიშნული დებულების არგუმენტად მოყვანილია არარედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურაში სრულხმოვნიანი აფიქსის დართვის ფაქტი (*ჩაკ-უნ-ი, ტყაპ-უნ-ი, ჯახ-ან-ი, ჭახ-ან-ი...)* (იხ. დათუკიშვილი 1990: 64); ი. ქობალავა კი ამ ტიპის ქართული ფუძეებისთვის უშვებს ღია მარცვალს, /-ნ/ დაბოლოებას კი განიხილავს სუფიქსად, რომელიც გვევლინება VC *(-უნ, -ან, -ინ)* ტიპის მაწარმოებელთა ალომორფად ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან (ქობალავა 1980: 75)[1];

როგორც ვხედავთ, თვალსაზრისები განსხვავდა დიაქრონიული ასპექტის გათვალისწინებით, რამაც განსხვავებული ტიპის სეგმენტაცია და კვალიფიკაცია მოგვცა: 1. *ცაც-აფ-ი* , 2. *ცაცა-ფ-ი.* თუმცა ამგვარი მოდელების ღია მარცვლის გაორკეცებად მიჩნევა ეჭვგარეშეა მკვლევართა უმრავლესობისთვის.

ძნელი ასახსნელია, ფუძის რომელმა ნაწილმა დაკარგა / შეინარჩუნა ხმოვანი, რედუპლიკატმა თუ სუფიქსმა. ამ თვალსაზრისისთ ი. ქობალავას მიერ მოყვანილი არგუმენტები, უდავოდ, ანგარიშგასაწევი ჩანს:

1. რედუპლიკაციის დროს ბოლოკიდური /-ნ/ დახურული მარცვლის რედუპლიკაციის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია ან შეუცვლელად, ან დისიმილაციური ცვლილებით; ამდენად, საეჭვოა მისი დაკარგვის ალბათობა;
2. არ დასტურდება შემთხვევები, როდესაც რედუპლიცირებული ფუძის შიგნით ორ რედუპლიკატში უცვლელად შენარჩუნებულია /ნ/ სონორი, განსხვავებით /მ/ /რ/ სონორებისა და /ვ/ თანხმოვნისაგან; ცვლილებას განიცდის მეორე კომპონენტი, პირველში კი იგი სწორედაც რომ დაცულია: *ქან-ქარი, ზან-ზარი* (შანიძე 1973: 149; ერთელიშვილი 1970: 188-191); აუხსნელი რჩება, საანალიზო შემთხვევაში რას უნდა გამოეწვია /-ნ/ სონორის დაკარგვა რედუპლიცირებული მარცვლის პირველ რედუპლიკატში მაშინ, როცა „აღნიშნული პოზიცია ნ-სთვის იმდენად ბუნებრივია, რომ აქ იგი ჩნდება სხვა სონორთა ნაცვლადაც: *ზანზარი < ზარზარი*“ (ქობალავა 1980: 75);
3. საანალიზო ფუძეები „ხმაბაძვითი სიტყვებია, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებული არიან ხმიანობასთან, ამიტომ აქ ღია მარცვალიც ისეთივე ბუნებრივია, როგორც დახურული (*კა-კა-კა, ტა-ტა-ტა, გუ-გუ...*) (ქობალავა 1980: 75);

არარედუპლიცირებულ ფუძეებს დართული სუფიქსი, რომელიც სრული სახით არის წარმოდგენილი *(ბრახ-უნ-ი, ლაწ-ან-ი...)* საანალიზო შემთხვევის ანალოგად ვერ გამოდგება, რადგან აუსლაუტი კონსონანტურია და არ იქმნება ხმოვნის დაკარგვისათვის აუცილებელი ფონოლოგიური გარემო, როგორც ეს CVCV ტიპის - ღია მარცვლის რედუპლიკაცის შემთხვევაში გვაქვს.

[1]შდრ. აგრ. ფ. ერთელიშვილი 1977: 209, 293: - *კიკინ-, სისინ-* ტიპის ფუძეებში აუსლაუტის -ნ'ს დახურულმარცვლიანი გაორკეცებული ფუძის ანალოგიით წარმოქმნილად თვლის.

ქართული ენის მონაცემებზე დამყარებული მსჯელობა შესაძლებელია გავრცელდეს მეგრულის ფორმებზეც და არა მხოლოდ /-ნ/-ს, არამედ სხვა სუფიქსთა შემთხვევებზე - ანალოგიური ტიპის დერივაციული მოდელების პარადიგმებზეც, რომლებშიც სუფიქსი, ზოგჯერ კი რედუპლიკატი მარცვლების შემადგენელი ხმოვანი, იცვლება გარკვეული კანონზომიერებებით. ამდენად მეგრულ რედუპლიცირებულ ფორმებში -VC სტრუქტურის სუფიქსის მონაცვლე ვარიანტად დასაშვებია -C ტიპის სუფიქსი: *-აფ > -ფ, -ალ > -ლ, -ინ > -ნ, -ერ > -რ,* სუფიქსის -VC ტიპი სრულადაა შენარჩუნებული არარედუპლიცირებულ ფონოსემანტიკურ ფუძეებში[1].

საბოლოოდ დავასკვნით, რომ მეგრულისა და ლაზურის (ასევე ქართულის) საანალიზო მაგალითებში წარმოდგენილი სუფიქსის სტრუქტურაა C/S, ხოლო მისი ამოსავალი ვარიანტია VC/VS. გასაზიარებელი ჩანს დებულება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ტიპის ფუძეების მორფონოლოგიურ სტრუქტურად უნდა მივიჩნიოთ CV+CV+C/S (ქობალავა 1980: 74-75), დიაქრონიულად კი ვივარაუდოთ *CV+CV+VC/VS.

რაც შეეხება *ღია მარცვლის ნაწილობრივ რედუპლიკაციას,* CV+CV- მარცვლის სტრუქტურაში რედუპლიკატების ფონემური შედგენილობა განსხვავებული უნდა იყოს; ამგვარი რედუპლიკაცია ერთნაირი სტრუქტურით, თუმცა არაიდენტური ხმოვნითი ან თანხმოვნითი შედგენილობით ხასიათდება.

არის თუ არა ამ ტიპის რედუპლიკაციის მაგალითები მეგრულსა და ლაზურში? ზემოთ დასახელებული ღია მარცვლის გაორკეცებით მიღებული ფუძეები მეგრულში ფუნქციურად მასდარებია. ქართული ფუძეების მსგავსად მეგრულშიც /-ნ/ სუფიქსია გამოყოფილი, მაგრამ დონ-იან ვნებითში -ინ > -ონ-ით იცვლება: *[გო]-ხიხონ-დ-უ* „[გა]შრება“, *[გო]-ჭიჭონ-დ-უ*„[გა]-სკდება“, *[გო]-ფიფონ-დ-უ*„[გა]-იფოფრება“, *[გო]-შიშონ-დ-უ* „[გა]ძღება“, *[გო]-სისონ-დ-უ* „[გა]ჩუმდება“, *[გო]-ტიტონ-დ-უ* „[გა]ივსება, გაიბერება“... ვნებითებისგან ნაწარმოები მასდარშიც, რომელიც შეიცავს მოქმედების თვითგანცდის სემანტიკას, რედუპლიცირებული ფუძის მეორე რედუპლიკატში შეცვლილია ხმოვანი:

CV-C[V]-Suf-Nom				
სი-ს-ონ-ი	ცი-ც-ონ-ი	ჭი-ჭ-ონ-ი	კი-კ-ონ-ი	ყი-ყ-ონ-ი
ხი-ხ-ონ-ი	ჯი-ჯ-ონ-ი	ჩი-ჩ-ონ-ი	ში-შ-ონ-ი	ღი-ღ-ონ-ი

ჩვენი მსჯელობის კვალდაკვალ წესით უნდა გამოიყოს ოდენ /-ნ/ სუფიქსი ზემოთ დასახელებულ ფორმებშიც, თუმცა აქ მეორე რედუპლიკატის ხმოვნის დაკარგულად ჩათვლა უფრო ლოგიკური ჩანს, ვიდრე ალტერნაცია ი/ო: *სისონი < *სისი-ონი, ციცონი < *ციცი-ონი...*

2. *დახურული მარცვლის* რედუპლიკაციის *სრული* და *ნაწილობრივი* ტიპი

საზოგადოდ, მეგრულ ბგერწერით ფუძეებში ღია მარცვლის გაორკეცება თუ ნაკლებად პროდუქტიულია, საკმაოდ მრავალფეროვან სურათს იძლევა იმავე სტრუქტურის აუსლაუტში სონორით დახურული მარცვლები. საზოგადოდ, „მარცვალს ახასიათებს ბოლოკიდურისაკენ სონორობის ზრდის ტენდენცია... ამას მოწმობს მარცვლის უნივერსალური სტრუქტურა CV და ენაში CVC ტიპის მარცვალთა და ძირთა არსებობის შემთხვევაში CVS სტრუქტურის დომინანტური მდგომარეობა“ (მელიქიშვილი 2009: 90).

[1]დეტალურად იხ. ამავე მონოგრაფიაში სუფიქსაციასთან.

სრული რედუპლიკაცია დახურული მარცვლის შემთხვევაში შესაძლებელია გამოვსახოთ ჩანაწერით CVC-CVC, CnVC-CnVC[1], რომელშიც C=C, V=V; შესაძლებელია კონსონანტთა სიგრძე გაიზარდოს და იგი თანხმოვანთკომპლექსით იყოს წარმოდგენილი ასევე შეუცვლელად ბაზასა და რედუპლიკატში: თუმცა ამ ტიპის რედუპლიკაცია, ქართულისაგან განსხვავებით *(ბახ-ბახ-, რაკ-რაკ-, ტარ-ტარ-...),* მეგრულის ფონოსემანტიკურ ფუძეებს შორის ვერ დაიძებნა, ლაზურში კი რამდენიმე მაგალითი დადასტურდა:

გო-წინ-წინ-აფა[2] „გაზმორვა, გაზმორილი, გაზმორება“ (თანდ. 179);

ღორ-ღორ-ი „ბებერი“ (თანდ. 813);

ჭაპ-ჭაპ-არ-ა „გაცუდება თოფისა“ (თანდ. 858).

ნაწილობრივი რედუპლიკაცია დახურული მარცვლით კი ზანური ჯგუფის ენებისათვის ტიპობრივია, უფრო ხშირად მონაცვლეობენ სონორები (იშვიათად სონორი - ხშული), არც თუ იშვიათად - ხმოვნები.[3]

ყველაზე პროდუქტიულია CVS_1-CVS_2, სადაც $S_1 \neq S_2$; ანლაუტში დასაშვებია თანხმოვანთა კომპლექსად ჩამოყალიბება, ხმოვნური ნაწილი კი უცვლელია ანუ მოდელი *იდენტურხმოვნიანია:* V=V

CVC-CVC:

S=რ/ლ
V=ა-ა:
V=ი-ი:
ბარ-ბალ-ი[4] - ფარ-ფალ-ი - პარ-პალ-ი;
დარ-დალ-ი - თარ-თალ-ი - ტარ-ტალ-ი;
ზარ-ზალ-ი - სარ-სალ-ი ;
შარ-შალ-ი - ჟარ-ჟალ-ი;
ხარ-ხალ-ი - ღარ-ღალ-ი
წარ-წალ-ი

S=რ/ნ
V=ი-ი:
ბირ-ბინ-ი
დირ-დინ-ი - თირ-თინ-ი - ტირ-ტინ-ი;
ზირ-ზინი - სირ-სინ-ი ;
შირ-შინ-ი - ჟირ-ჟინ-ი;
ხირ-ხინ-ი - ღირ-ღინ-ი
ჭირ-ჭინ-ი

[1] თანხმოვანთკომპლექსები მარცვლის სტრუქტურის ანლაუტში ზანური ჯგუფის ენებიდან მხოლოდ მეგრულის ახასიათებს, მეორე მხრივ, იშვიათობაა CVCn-CVCn – თანხმოვანთკომპლექსი მარცვლის აუსლაუტში, რაც მეგრულს განასხვავებს სვანურისაგან.

[2] შდრ. მეგრულში ღია მარცვლით წარმოდგენილი *წიწინ-: გო-წი-წი-ნ-აფა* სხვა მნიშვნელობით.

[3] შდრ. ვ. თოფურია: ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცება ჩანს „არაა დამახასიათებელი ზანურისათვის“ (თოფურია 1979 : 296-297

[4] -ი სახელობითის ნიშანია, ჩამოთვლილი ფორმები ზოგადად მოქმედების, მოძრაობის, საუბრის, ჭამის მანერის, ემოციის გამომხატველი მასდარებია, რომლებშიც ასევე ასახულია თვით მოქმედების/მოძრაობის შედეგად გამოცემული ხმა.

CnVC-CnVC:

დგარ-დგალ-ი - თქარ-თქალ-ი - ტკარ-ტკალ-ი;	დგირ-დგინ-ი - თქირ-თქინ-ი - ტკირ-ტკინ-ი;
ჯგარ-ჯგალ-ი - ჩქარ-ჩქალ-ი; ჩხარ-ჩხალ-ი;	ჯგირ-ჯგინ-ი - ჩხირ-ჩხინ-ი;
გვარ-გვალ-ი - ქვარ-ქვალ-ი - კვარ-კვალ-ი;	-
ჯგარ-ჯგალ-ი - ჩქარ-ჩქალ-ი;	ჯგირ-ჯგინ-ი -
წკარ-წკალ-ი - წკვარ-წკვალ-ი	-
ჭვარ-ჭვალ-ი, ჩვარ-ჩვ-ალ-ი,	ჩვირ-ჩვინ-ი
ხვარ-ხვალ-ი - ღვარ-ღვალ-ი	-
დგვარ-დგვალ-ი - თქვარ-თქვალ-ი - ტკვარ-ტკვალ-ი	-
ჟვარ-ჟვალ-ი, ყვარ-ყვალ-ი	-
-	ჭკირ-ჭკინ-ი

V=ე-ე: CVC-CVC:
ჩერ-ჩელ-ი, კერ -კელ-ი, ხერ-ხელ-ი, ტერ-ტელ-ი, ჯერ-ჯელ-ი, ყერ-ყელ-ი.

CVC-CVC:
ჩირ-ჩინ-ი, ხირ-ხინ-ი, ჯირ-ჯინ-ი, ჭირ-ჭინ-ი ყირ-ყინ-ი

ფონოსემანტიკურ რედუპლიკაციაში მარცვლის აუსლაუტი ოდენ კონსონანტური არ არის, პირველი რედუპლიკატის სონორთა სხვა თანხმოვნების მონაცვლეობის შემთხვევებიც გვხვდება[2] : *კვარკვატი, კვარკვანტი, კვარკვაში, გვარგვაზი, კარკაცი, ხარხაცი, ქარქაში, ბარბა[ნ]ჩი, გარგა[ნ]ჩი, ხარხაში, ხორხოში.*

ლაზურისათვის CVS სტრუქტურის რედუპლიკატების სონორთა (იშვიათად ხშულთა) მონაცვლეობის საფუძვლად ითვლება დისიმილაცია (სანიკიძე 1977:67).

ლაზური:

			CVC-CVC:		
	ა ~ა	ი~ი	უ~უ	ო~ო	ე~ე
რ/ლ	*ო-ხარ-ხალ-უ[1],*	*ო-ჭირ-ჭილ-უ[2]*	*ბურ-ბულ-უა[3]*	*ო-ხორ-ხოლ-უ[4]*	*ო-წერ-წელ-უ[5]*
	ო-ბარ-ბალ-უ[6]	*ო-შირ-შილ-უ[7]*	*ო-გურ-გულ-ე[8]*	*შორ-შოლ-ა[9]*	*ო-კერ-კელ-უ[10]*

[1] ხარხარი (თანდ. 696); ხარხალერი „ადუღებული; მოსახარში, მოხარშვა“ (თანდ. 874; 696)
[2] წუწუნი (თანდ. 693)
[3] ცეცხლის ბრიალი ბუხარში ან ღუმელში (თანდ. 69)
[4] ერთმანეთში არევა, აღრევა (თანდ. 702)
[5] გაწუწვა (თანდ. 686)
[6] ყბედობა; ტრიალი (თანდ. 589); ბოდვა (ინფ.)
[7] რაკრაკი (თანდ. 676)
[8] ქუხილი (თანდ. 595)
[9] ჩანჩურა, ბინძური (თანდ. 824)
[10] ლაზურ სამზარეულოში ხის ან რკინის ჩამოსაკიდებელი (ხახვი, ნიორი, თევზი) (თანდ. 607)

	ო-ფარ-ფალ-უ[1]	*ო-ხირ-ხილ-უ*[2]	*ჭურ-ჭულ-ი*[3]	*წორ-წოლ-ა*[4]	ტერ-ტელ-ა[5]
	ო-კარ-კალ-უ[6]	*ტირ-ტირ-ი*[7]	*ო-კურ-კულ-უ*[8]	*ჩონ-ჩოლ-ა*[9]	
	დარ-დალ-ა[10]	*ვირ-ვილ-ი*[11]	*ო-ხურ-ხულ-უ*[12]		
	პარ-პალ-აფ-ა[13]	*ო-ფირ-ფილ-ონ-ი*[14]	*ღურ-ღულ-ი*[15]		
	ო-ტარ-ტალ-უ[16]				

ნ/ლ: ო-თან-თალ-უ[17], *ო-ძან-ძალ-უ,*[18] *ო-კუნ-კულ-უ,*[19] *ო-დუნ-დულ-უ,*[20] *ცუნ-ცულ-ერ-ი*[21]
რ/ნ: ო-ქირ-ქინ-უ,[22] *ო-თირ-თინ-უ*[23]
მ/ლ: ო-ზიმ-ზილ-უ[24]
ნ/რ: ჯუნ-ჯურ-ი[27]
რ/ტ: ფირ-ფიტ-ი, *ქურ-ქუტ-ეფე*[28]

არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაცია:

მეგრულში CVC-CVC / CnVC-CnVC რედუპლიცირებულ მოდელებში $V_1 \neq V_2$. უმრავლეს შემთხვევაში მონაცვლეობს /ი~ო/ და /უ ~ ი/, იშვიათად - /უ~ო/ ხმოვნები და მარცვლის აუსლაუტში სონორები.

[1] შუქის ციმციმი; აფერფლვა (თანდ. 662)
[2] კისკისი, ხიხვინი (თანდ.699)
[3] გალობა; ჭუკჭუკი (თანდ. 867)
[4] ბინძური (თანდ. 855)
[5] ჭრელი (თანდ. 754); შდრ. მეგრ. ტერტე < ტერტელია ამავე მნიშვნელობით
[6] კარკალაფა „კაკანი“ (თანდ. 362)
[7] ტარტარი (ენისა) აბდაუბდა (თანდ. 756)
[8] მუცლის ბუყბუყი (თანდ. 623)
[9] „В листве початка“; ჩონჩოლი > ჩონჩონი დისიმილაციით, იმავე მნიშვნელობით (მარი 1910: 211);
[10] უმიზნოდ მოლაპარაკე, უაზრო, უმიზნო ლაპარაკი (თანდ. 189)
[11] ბრიალი (თანდ. 278)
[12] ხვრინვა (თანდ. 704)
[13] საუბარი მოძრაობაში გაუჩერებლად (თანდ. 710)
[14] ბავშვთა სათამაშო (თანდ. 665)
[15] ქუხილი (თანდ. 814); ღურღულაფს „მუცელში ხმაური“ (მარი 1910: 202)
[16] ენის ტარტალი; ტიკტიკი (თანდ. 658)
[17] ბრჭყვიალი (თანდ. 275)
[18] შენჯღრევა (თანდ. 600)
[19] კვნესა (თანდ. 622)
[20] თავისთვის ლაპარაკი, საუბარი (თანდ. 596)
[21] ცქვიტი, მკვირცხლი (ბავშვი) (მარი 1910: 215)
[22] კისკისი (თანდ. 668)
[23] კანკალი, ძაგძაგი, თრთოლვა, აკანკალება, აჟრჟოლება (თანდ. 601)
[24] დინება (თანდ. 599)
[25] შტერი, სულელი (თანდ. 903)
[26] „ფირფიტა“ (სანიკიძე 1977: 67)
[27] „ნაქურჩლები“ (სანიკიძე 1977: 67)

რ/ლ: *ღირ-ღოლ-ი, თირ-თოლ-ი, გირ-გოლ-ი, ტირ-ტოლ-ი, ცირ-ცოლ-ი, შირ-შოლ-ი, ჟირ-ჟოლ-ი, სირ-სოლ-ი, წირ-წოლ-ი, ხირ-ხოლ-ი, ზირ-ზოლ-ი, ტკირ-ტკონ-ი, დგირ-დგონ-ი, თქირ-თქონ-ი, პურ-პოლ-ი, წყირ-წყოლ-ი...*

რ/ნ: *დირ-დონ-ი, თირ-თონ-ი, ტირ-ტონ-ი, ბურ-ბინ-ი, ტურ-ტინ-ი, დურ-დინ-ი, ხურ-ხინ-ი, ზურ-ზინ-ი, ჭურ-ჭინ-ი, წურ-წინ-ი, ყურ-ყინ-ი, ღურ-ღინ-ი, შურ-შინ-ი, ბურ-ბონ-ი..*

ნ/რ: *ზინ-ზორ-ი*

ნ/ლ: *ჯღინ-ჯღოლ-ი, ჭყინ-ჭყოლ-ი..*

ლაზური: CVC-CVC/CnVC-CnVC რედუპლიცირებულ მოდელებში $V_1 \neq V_2$. მონაცვლეობს /ა~ა/, /უ~უ/,/ ი~ო/ და /უ~ო/ ხმოვნები, ერთეულ შემთხვევაში /უ~ა/ და მარცვლის აუსლაუტში სონორები:

რ/ლ: ო-ღირ-ღოლ-უ[1], ო-ჟირ-ჟოლ-უ[2], ო-შირ-შოლ-უ[3], ო-ცირ-ცოლ-უ[4], ო-კირ-კოლ-უ[5], წირ-წოლ-ა[6], ო-წურ-წოლ-უ[7], ძინ-ძოლ-ა[8], [გო]ტურ-ტოლ-ერ-ი[9], ო-შურ-შოლ-უ[10], ო-ბურ-ბალ-უ[11]

ნ/ლ: ო-ჯინ-ჯოლ-უ[12], ო-ჭინ-ჭოლ-უ[13], ო-ქუნ-ქოლ-უ[14]

სონორი ორივე მარცვალში იდენტურია, თუმცა რედუპლიკაცია ნაწილობრივია ხმოვნის ალტერნაციის გამო ფორმაში: *ო-ცინ-ცონ-უ[15].*

ლაზურში საყურადღებოა ერთი გარემოება, რომ /რ/ სონორი, მეგრულისაგან განსხვავებით, რომელშიც იგი ვითარდება, უმეტეს შემთხვევაში იკარგება და ამ ენობრივი ტენდენციითა და მისი შედეგით განსხვავდება ლაზურის დიალექტური ფონეტიკური ვარიანტები ერთმანეთისაგან: ხოფურში *რ-სონორიანი* ვარიანტი არასტაბილურია და *რ-დაკარგული* ვარიანტის პარალელურად არსებობს მაშინ, როცა ვიწურსა და არქაბულში /რ/ სტაბილურია; აღნიშნული კანონზომიერება, ცხადია, მარცვლის სტრუქტურაშიც იძლევა ცვლილებებს, პირველი დახურულმარცვლიანი რედუპლიკატი იქცევა ღია მარცვლად, რომლის დახურულმარცვლიანი ვარიანტი რომელიმე სხვა დიალექტში არსებობს; ამიტომ რედუპლიცირებული ძირების ანალიზისას უდავოდ გასათვალისწინებელია აღნიშნული ფაქტორი:

---

[1] არევ-დარევა, აღრევა (თანდ. 671)

[2] არევ-დარევა (თანდ. 648)

[3] დანაგვიანება (თანდ. 676)

[4] კურკის გამოღება (თანდ. 684)

[5] დაკლაკნვა (თანდ. 609)

[6] გაწუწული (თანდ. 853)

[7] დასველება, წყალში ხელების ტყაპუნი (თანდ. 691)

[8] დაფხრეწილი (თანდ. 848)

[9] შებრაწული, შებრაწვა (თანდ. 166)

[10] თვალში ნაცრის შეყრა; ჩაფლობა (ფიქრში, საქმიანობაში) (თანდ. 679)

[11] ტრიალი (თანდ. 592)

[12] ჯიჯგვნა (თანდ. 706)

[13] ტეხა (თანდ. 693)

[14] ფეხით ჭყლეტა (თანდ. 669)

[15] ხილის მხოლოდ გარსის შემოჭმა, გარშემოჭმული (თანდ. 845)

ო-კუ-კულ-უ „კუნკული“ (თანდ.622). შდრ. ქართ. კუნკული;

ო-შა-შალ-ინ-უ „შრიალი“ (თანდ. 676), შდრ. მეგრ. შარ-შალ-ი „შრიალი“;

ო-ჭი-ჭილ-ინ-უ „ჭრიალი" (თანდ. 694), შდრ. მეგრ. *ჭირ-ჭინ-ი* იმავე მნიშვნელობით, დასაშვებია ამოსავალში დახურული მარცვალი ვივარაუდოთ: *ჭაჭალ- < *ჭარჭალ-;*

ო-ჭა-ჭალ-უ „ჭრაჭუნი“ (თანდ. 692), *ჭიჭილ- < *ჭირჭილ- (შდრ. მეგრ. ჭაჭალი* „ღრიანცელი“, რომელიც ღია მარცვლის გაორკეცებაა);

გო-ჯი-ჯილ-უ „კბილების გამოჩენით, ღრძილებამდე სიცილი“ (თანდ. 184), ო-ჯირჯოლ-უ || ო-ჟირჟოლ-უ „უკბილო ადამიანის მიერ ღრძილებით ჭამა“, სახელური წარმომავლობის ექსპრესიული ფუძეა, შდრ. *ჯირჯილ-ი* (ათინ.), *ღენჯგილი / ღინჯგილი / ღინჯილი* (ხოფ.) „ღრძილი“ (თანდ. 900)[1]. მაშასადამე, *ჯი-ჯილ- < ჯირ-ჯილ*-საგან მიღებულად უნდა ჩავთვალოთ.

ფონოსემანტიკურ ფუძეთა რედუპლიკაცია სვანურში

სვანური ფონოსემანტიკური ფუძეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაო ხშირია *უსუფიქსოდ -- მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით, ფუძის გაორკეცებითა და აფიქსაციით.*

გაორკეცების თითოეული სახე ლ. სანიკიძის ნაშრომში -- „რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში” -- ვრცლად არის წარმოდგენილი და გზადაგზა ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებზეც არის მსჯელობა, მაგრამ საკითხი მაინც შემდგომ გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში გამოვლინდა რედუპლიკაციის რამდენიმე სახე:

1. 1. ხმოვნის შეუცვლელად (ანუ მარტივი გაორკეცება)
1. 2. ხმოვნის მონაცვლეობით
2. 1. თანხმოვნის შეუცვლელად
2. 2. თანხმოვნის მონაცვლეობით

მარტივი (ფუძეუცვლელი) გაორკეცება, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საშუალებაა წარმოქმნისა. იგი ფართოდ არის გავრცელებული ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეებში და ამოსავალ ფუძეთა ბგერითი შედგენილობა სხვადასხვაგვარია.ფონოსემანტიკური სიტყვებისათვის უცხოა ბრუნვისფორმიანი, კავშირებიანი და ა. შ. ფუძის გაორკეცება. რაც შეეხება მარტივი ფუძის განმეორებას, იგი გამოხატავს როგორც მრავლობითობას, ინტენსივობა-მრავალგზისობას, ასევე გვევლინება წარმოქმნის ფუნქციითაც (სანიკიძე 1976:9-40).

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ ხმოვანუცვლელი და ხმოვანცვლილი რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურულ ყალიბებს.

[1] ეტიმოლოგიური ანალიზისათვის იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 522;

1. ხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე:

ა) CVC - CVC დახურული მარცვლის ნაწილობრივი რედუპლიკაცია

აღნიშნულ ფონემატურ სტრუქტურაში C შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი, თუმცა რედუპლიცირებული ფუძის ორივე ნაწილის ბოლოკიდური თანხმოვანი თითქმის ყოველთვის სონორია. ხმოვანი კი, ძირითადად, /უ/ და /გ/ ხმოვნებითაა წარმოდგენილი.

უ ~ უ // გ ~ გ:

ზურზუნ (ლნტ.) „ზუზუნი" / *ზგრზგნ* (ბქ.) „ზუზუნი; ბუზღუნი"; *კურკუნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კურკუნ* (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი", შდრ. ქართ. კურკური, *კგრკგნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „კისკისი"; *ღურღუნ* (ზს.) „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი", *ღგრღგნ* (ბქ.) „ბოხი ხმით საუბარი", შდრ. *ღურღუნ* (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"; *ყურყუნ* (ბქ.) „მუცლის ბუყბუყი", *ყგრყგნ* (ზს.) „ყაყანი; ყროყინი", *ჩურჩუნ* (ბქ.) „ჩურჩული", *ჩგრჩგნ* (ბქ.) „პატარა ბავშვის საუბარი", *ცურცუნ* (ბქ.) „ჩურჩული"…

გ ~ გ:

გგრგგნ (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"; *ჟგრჟღგნ* (ბზ., ლშხ.) / *ჟგრჟღგნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღარუნი"; *ტგრტგნ* (ბზ., ლშხ.) / *ტგრტგნ* (ბქ., ლნტ.) „რატრატი", *წგრწკგნ* (ბქ.) „გაბზარვის ხმა"...

ბ) CVSCnVS ტიპის რედუპლიკაცია, რომელიც გართულებულია ფუძეში თანხმოვანთა თავმოყრით[1], თუმცა V აქაც *უ ~ უ* და *გ ~ გ* ხმოვნებითაა წარმოდგენილი.

უ ~ უ // გ ~ გ:

ცურცხუნ (ბქ.) / *ცგრცხგნ* (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"; *ფურსდუნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდუნ* (ბქ., ლნტ.), *ფურსტუნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *წურწკუნ* (უშგ.), *წურწკუნ* (ბქ., ქს.) „წკმუტუნი; წუწუნი"; წგრწკგნ (ბქ.) „გაბზარვის ხმა"; *ჭურჭყუნ* (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი" / *ჭგრჭყგნ* (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭყგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი"; *ქუნქრუზ* (ჩოლ.) „პირფერობა, ლაქუცი"…

გ ~ გ:

ფგრჩხგნ (ბზ., ლშხ.), *ფგრჩხგნ* (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"; *ღგლწკგნ* (ბზ.) „ღრაჭუნი"; *ჩგრჩხგნ* (ბქ.) „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"; *ხგრგგნ* (ბზ., ლშხ.), *ხგრგგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ხრიგინი" და ა. შ.

გ) CCVCCVC ტიპის რედუპლიკაცია, რომელიც წარმოდგენილია ანლაუტში ჰარმონიული კომპლექსით და *უ ~ უ* და *გ ~ გ* ხმოვნებით:

უ ~ უ // გ ~ გ:

თხურპუნ (ბზ., ლშხ.), თხურპუნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „თუხთუხი; სრუტუნი", თხგრპგნ (ბქ.) „თუხთუხი; სრუტუნი", *შკურფუნ* (ბქ., ჩოლ.), *შკგრფგნ* (ბქ., ჩოლ.) „ხმაური, კაკუნი", *ფხურკუნ* (ჩოლ.), *ფხგრკგნ* (ბზ., ლშხ.), *ფხგრკგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ფხაკუნი"…

[1]აქ წარმოდგენილი ტიპი დაწვრილებით გაანალიზდება თანხმოვანთმონაცვლე რედუპლიცირებული ფუძეების განხილვისას.

უ ~ უ:

ჩხურმუნ (ბზ.), *ჩხურმუნ* (ბქ.) „ლაწალუწი; მსხვრევის ხმა", *ჩხურტუნ* (ბქ.) „ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში", *ცხურკუნ* (ბზ., ლშხ.), *ცხურკუნ* (ბქ., ლნტ.) „რაიმეს შეწვის ხმა", *ძგურბუნ* (ბქ.), *ძგურბუნ* (ჩოლ.) „გლეჯა"…

გ ~ გ:

თხგრშგნ (ბქ.) „თხლაშანი"; *ფხგრჭგნ* (ბზ., ლშხ.), *ფხგრჭგნ* (ბქ., ლნტ.) „ფხაჭუნი (თაგვისა...)"; *ჩხგრკგნ* (ბზ., ლშხ.), *ჩხგრკგნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ჩხაკაჩხუკი"; *ჩხგრმგნ* (ბზ.), *ჩხგრმგნ* (ბქ.) „ლაწალუწი; მსხვრევის ხმა"; *ცხგრპგნ* (ბქ.) „წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფეულისა...)"; *წკგლპგნ* (ბქ.) „წკლაპუნი"; *ჭყგრმგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჭყგრმგნ* (ბქ., ლნტ.) „ჭიჭყინი"...

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ მოდელებში (ა, ბ, გ) წარმოდგენილი ფუძეები სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე, ფ. ერთელიშვილი, რ. ჭკადუა...) რედუპლიცირებულ ფორმებადაა მიჩნეული, ბევრი მათგანის ასეთად მიჩნევა მათი რთული სტრუქტურიდან გამომდინარე თითქოს საეჭვოა, თუმცა აღნიშნული ფუძეების რეკონსტრუირება და შესაბამისად ამოსავალი მარტივი ძირების ჩვენება ამ ეჭვს შეძლებისდაგვარად აქარწყლებს.[1]

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ბოლოკიდური თანხმოვანი თითქმის ყველგან სონორია, რასაც ვერ ვიტყვით ქვემოთ მოცემულ რედუპლიკაციის რამდენიმე ტიპზე, სადაც ბოლოკიდური თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი.

დ) CVC-CVC და CnVC-CnVC დახურული მარცვლის სრული რედუპლიკაცია, რომელშიც უცვლელი ხმოვანი *(ი ~ ი, უ ~ უ* და *ე̄ ~ ე̄)* რიტმულ გამეორებას გადმოსცემს. გაორკეცებული ფუძეების ორივე სეგმენტი იდენტურია, შეერთება კი უკავშირო.

1. CVC- CVC დახურული მარცვლის სრული რედუპლიკაცია

ი ~ ი:

ბიგ-ბიგ (ჩოლ.) „დიდი კაცის უმიზნო სიარული"; *ბიტ-ბიტ* (ჩოლ.) „უსინათლო ადამიანის მოღრეცილი სიარული"; *ზიპ-ზიპ* (ბქ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული"; *კილ-კილ* (ზს., ქს.) „კივილი"; *კიტ-კიტ* (ჩოლ.) „უაზროდ სიარული"; *ლიფ-ლიფ* (ჩოლ.) „ალის ხმა"; *პიტ-პიტ* (ლშხ., ჩოლ.) „ქალის ან გოგოს ცანცარით სიარული; რატრატი"; პიუ̄-პიუ̄ (ლშხ., ჩოლ.) „უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი"; *რიტ-რიტ* (ჩოლ.) „უმიზნო სიარული"; *რიყ-რიყ* (ჩოლ.) „თავის კანტური სიარულისას"; *ტიუ̄-ტიუ̄* (ლშხ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული"; *ფიგ-ფიგ* (ლშხ., ჩოლ.) „სუსტი, გამხდარი ადამიანის სიარული"; *ყიტ-ყიტ* (ჩოლ.) „სითხით აუვსებელი ჭურჭლის შენჯღრევით გამოწვეული ხმა"; *ყლიპ-ყლიპ* (ჩოლ.) „ფართო ნაბიჯებით სწრაფი სიარული უსაქმური კაცისა"; *შიკ-შიკ* (ჩოლ.) „ბლუკუნი"; *ციგ-ციგ* (ბქ.) „ფეხის წვერების დარტყმით ჩქარი სიარული"…

უ ~ უ - ᲣᲬ ~ ᲣᲬ:

გულ-გულ (ბქ.) „ყმუილი"; *ყულ-ყულ* (ბქ.) „მანქანის ადგილიდან უცებ დაძვრის და გაქანების ხმა"; *ტულ-ტულ* (ბქ.) „დაძახება, ყვირილი"; *ღულ-ღულ* (ბქ.) „მანქანის ხმა"; *ყულ-ყულ* (ბქ., ქს., ჩოლ.), *ყუწულ-ყუწულ* (ბზ.) „გაბმული ყვირილი"; *ყუტ-ყუტ* (ლშხ.)[2] „ბაასი"; *ყუჭ-ყუჭ*

[1]აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით იხ. ქვემოთ.

[2]შდრ. ლშხ. *ლი-ყუტ-ყუტ-ი* „ბაასი".

(ჩოლ.) „სიხარულისგან ჩუმი სიცილი”; *ყუჯ-ყუჯ* (ჩოლ.) „დიდთავა ადამიანის სიარული, ჩუმჩუმად მოქმედება”; *შუ̄ლ-შუ̄ლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შულ-შულ* (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა”; *ჭიუ̄-ჭიუ̄* (ჩოლ.) „ჩიტებისა და ბავშვების ხმაური”; *ჭიხ-ჭიხ* (ბქ.) „ჭახ-ჭახი, ჭახანი; გარტყმის ხმა”; *ჭუ̄ლ-ჭუ̄ლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჭულ-ჭულ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „წუილი (ქარისა)”; *ხულ-ხულ* (ბქ.) „ხვრეპა (სითხისა)”; *ჴუფ-ჴუფ* (ბქ., ჩოლ.) „თანმიმდევრული ხმა (მაგ., ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის მოწოლით დენისა)”; *ჯიგ-ჯიგ* (ჩოლ.) „ცუდი ცხენის სიარული”; ჯიყ-ჯიყ (ლშხ., ჩოლ.) „ჯლოყინი, ბრიყვული სიცილი”...

2. CVCn-CVCn დახურული მარცვლის სრული რედუპლიკაცია:

ი ~ ი:

ბიგუ̄-ბიგუ̄ (ჩოლ.) „დარტყმის ხმა რბილ საგანზე, ბაგუნი, ხის იარაღის რტყმევა რაიმე საგანზე”, *ბიდღ-ბიდღ* (ბქ.) „ბურდღუნი”, *ზიტყ-ზიტყ* (ბქ.) „გაბუტული ქალის, ბავშვის სხეულის მოძრაობით სწრაფი სვლა”; *ჟიტყ-ჟიტყ* (ბქ.) „წყლის ტყლაშუნის ხმა (სათლში, ქვაბში...)”, *რისტ-რისტ* (ბქ.) „გალაწუნების ხმა”; *შითქ-შითქ* (ბქ.) „უხეშად, გაბრაზებულად გამოგვის ხმა; სიარული”, *ძიწკ-ძიწკ* (ბქ.) „რაიმეს გაბზარვის ხმა”, *ჭიტყ-ჭიტყ* (ბქ.) „თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა”, *ხიჭკ-ხიჭკ* (ბქ.) „რაიმეს კვნეტის ხმა”, *ჯიჭკ-ჯიჭკ* (ბქ.) „ძლიერი დარტყმის ხმა”...

უ ~ უ:

ბუგუ̄-ბუგუ̄ (ჩოლ.) „დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად”, *ხუკუ̄-ხუკუ̄* (ბქ.) „რაიმეს კვნეტის, ჭამის ხმა”…

3. CnVC - CnVC ტიპის რედუპლიკაცია

ი ~ ი:

გლიჯ-გლიჯ (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა”; *კლიჭ-კლიჭ* (ბქ.) „კბენა”; *ჟუ̄იფ-ჟუ̄იფ* (ბქ.) „მუშტის სახეში ჩარტყმის ხმა”; *ჟღიბ-ჟღიბ* (ბქ.) - ამავე მნიშვნელობით; *სყიფ-სყიფ* (ჩოლ.) „ძაღლის ძლიერი ყეფა კბილების ხრჭიალით”; *ქლიფ-ქლიფ* (ჩოლ.) „დამშეულის აჩქარება საჭმლის მზადების დროს”; *ყლიფ-ყლიფ* (ბქ.) „ძვლის და მისთ. გატეხვის ხმა”; *შხიპ-შხიპ* (ბქ.) „გაწკეპლვის ხმა”; *ჩხრ̄უ̄-ჩხრ̄უ̄* (ჩოლ.) „ძროხის მოშარდვის ხმა”; *ჴლიფ-ჴლიფ* (ბქ.) „უხეშად კბეჩის ხმა”...

უ ~ უ:

ბღულ-ბღულ (ბქ.) „ბღუილი”; *დღულ-დღულ* (ბქ.) „წველის დროს გამოცემული რძის ერთგვარი ხმა”; *სტულ-სტულ* (ბქ.) „გამაყრუებელი ხმა”; *ჩხურ-ჩხურ* (ჩოლ.), *ჩხურ-ჩხურ* (ბქ.) „პირუტყვის შარდვის ხმა”; ცხულ-ცხულ (ბქ.) „ცეცხლის წაკიდების ხმა; შეტრუსვა”; *წკულ-წკულ* (ბქ.) „წკმუილი”; *წრუფ-წრუფ* (ჩოლ.) „გოჭების მიერ ძუძუს წოვის ხმა”; *ხრუკ˹უ̄˺-ხრუკ˹უ̄˺* (ჩოლ.) „შაქრის ჭამა ბავშვის მიერ”…

4. CnVC˹C˺ - CnVC˹C˺ ტიპის რედუპლიკაცია

ი ~ ი:

სტუ̄იფ-სტუ̄იფ (ზს.)	„მსუბუქად გარტყმის ხმა”
ტკუ̄ირ-ტკუ̄ირ (ჩოლ.)	„ტკვერვა“
ტუ̄რიმ-ტუ̄რიმ (ბქ.)	„მტვრევის ხმა”

ქუ̂ლიზ-ქუ̂ლიზ (ბქ.), ქუ̂იზ-ქუ̂იზ (ჩოლ.)	„მსუქანი ქალის სიარული; ქუნქრუზი”
ჩხუ̂იფ-ჩხუ̂იფ (ბქ.)	„დარტყმის ან მტვრევის ხმა”
წკუ̂იპ-წკუ̂იპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა”
ჭკუ̂იპ-ჭკუ̂იპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა”
ხუ̂რიგ-ხუ̂რიგ (ბქ., ჩოლ.)	„შაქრის ხრამუნი“
ხუ̂რიკʳუ̂ˀ-ხუ̂რიკʳუ̂ˀ (ჩოლ.)	„ბავშვის მიერ შაქრის ხრამუნი“
ხუ̂რიმ-ხუ̂რიმ (ბქ.)	„ხრამუნი”
ხუ̂რიპ-ხუ̂რიპ (ზს.)	„ხვრეპა”
ხუ̂რიჭ-ხუ̂რიჭ (ბქ.)	„თაგვის ხმა, რომელიც რაღაცას ხრავს”
ჯგუ̂იბ-ჯგუ̂იბ (ბქ.)	„მუჯლუგუნის გარტყმის ხმა”...

უკავშირო ფუძეუცვლელი კომპოზიტები, სადაც არ გვაქვს უმნიშვნელობო მარცვალთა გაორკეცება[1]:

5. CVC-CVC ტიპის რედუპლიკაცია

ɡ ~ ɡ/ɡ̄ ~ ḡ:

ბგკ-ბგკ (ჩოლ.) „ბლუყუნით საუბარი”; *ბგლ-ბგლ* (ბქ.) „ხეთქვის ხმა”; *ბგც-ბგც* (ლხმ.) „ჩიფჩიფი”; *ზგლ-ზგლ* (ჩოლ.) „დასაშინებლად მამაკაცის მიერ ხმის გაღება”; *ჟგლ-ჟგლ* (ბქ.) „ბჟუილი; ხმა ყურში”; *სგლ-სგლ* (ბქ.) „სისინი”; *ღგლ-ღგლ* (ბქ.) „მისუსტებული ხმით ხრიალი”; *შგლ-შგლ* (ბქ.) „შრიალი; ხმა ყურში”; *წგლ-წგლ* (ბქ.) „წუილი”; *ხგლ-ხგლ* (ბქ.) „ხეების წაქცევის ხმა”...

6. CnVC-CnVC ტიპის რედუპლიკაცია

ɡ ~ ɡ/ɡ̄ ~ ḡ:

ბღგლ-ბღგლ (ბქ.) „ბღავილი”; *დღგლ-დღგლ* (ბქ.) „მუშტის ჩარტყმის ხმა”; *ჟღგლ-ჟღგლ* (ბქ.) „ტირილი, ბღავილი”; *შხგლ-შხგლ* (ბქ.) „წყლის ხმაური; შხრიალი”; *ჩხგლ-ჩხგლ* (ზს., ქს.) „ჭურჭლის მტვრევის ხმა; წყლის დაღვრის ხმა”; *ძგგლ-ძგგლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ძგგლ-ძგგლ* (ბქ., ლნტ.) „ძლიერი სროლის ხმა”; *წკგლ-წკგლ* (ბქ.) „წკრიალი”; *ჭყგლ-ჭყგლ* (ბქ.) „ყვირილი”...

7. C V C - C V C ტიპის რედუპლიკაცია (სხვადასხვა მარტივი ძირებისაგან შედგენილი)

ɡ ~ ɡ/ɡ̄ ~ ḡ:

ჟგლ-ბგლ (ბქ., ჩოლ.)	„დიდი ხმაური”
სგლ-ბგლ (ბქ.)	„სისინი (ქარისა)”
შგ̄ლ-ბგ̄ლ (ბზ., ლშხ.), *შგლ-ბგლ* (ბქ., ლნტ.)	„დიდი გაბმული ხმაურით რამის გაკეთება, შრიალი”
ხგ̄ლ-ბგ̄ლ (ლშხ.), *ხგლ-ბგლ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„დიდი ხმაური”...[30]

[1] ამოსავალი მარტივი ფუძეები ცნობილია (შდრ.: *ბგკ/ბეკ* „ენაბლუ“, *ბგლ* „ხეთქვის, ფხრეწის ხმა“; დღგლ „მუშტის ჩარტყმის ძლიერი ხმა“; *სგლ* „სისინი“; *შგლ* „შრიალი“ და სხვ.

სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორ-ორი ხმოვნის შემცველი რთული შედგენილობის რედუპლიცირებული ფუძეები:

ე) CVCCVC - CVCCVC სრული რედუპლიკაცია

ბგრტგნ-ბგრტგნ (ჩოლ.) „ტორტმან-ტორტმანით სიარული"; *ქგრგნ-ფგკგნ* (ჩოლ.) „გაწბილება, ლიქინი"…

ვ) CVCC-V-CVCC-V ნაწილობრივი რედუპლიკაცია (<*CVCC-VC-CVCC-VC)

ჟგრგნ-ფგრგ˹ნ˺ (ბქ., ჩოლ.) „უაზრო, ბრიყვული ქცევა და ლაპარაკი"; *ცგგგლ-ბგგგლ* (ჩოლ.) „მიდებ-მოდება, უსაფუძვლო საუბარი"; *ხგლდგ-ბგლდგ* (ჩოლ.) „დანგრევა ბავშვის ენაზე"; *ხგრტგ-პგრტგ* (ჩოლ.) „უაზროდ აჩქარებული, უაზროდ მოქმედი", შდრ. ბქ. *ხგრტგ-პგრტგ* „ნაყარნუყარი ნივთები, წვრილმანები"[1] ...

ზ) ქვემოსვანურ დიალექტებში დადასტურდა ა ~ ა და ო ~ ო ხმოვნის შემცველი CVC - CVC ტიპის რედუპლიცირებული ფორმებიც:

ა/ჳ ~ ა/ჴ:

ლი-დარ-დჳლ-ი (ჩოლ.) „დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი"; *ლი-კჳნ-კარ-ჳლ* (ჩოლ.) „გამხდარი დედაკაცის საქმიანობა კანკალით"; *ლი-ლაპ-ლაპ-ი* (ლშხ., ჩოლ.) „ყბედობა"; *ლი-პარ-პჳლ-ი* (ლშხ., ჩოლ.) „კრიალი, ლაპლაპი"; *ლი-პატ-პჳტ-ი* (ჩოლ.) „გამხდარი, ფეხშიშველი ხნიერი ქალის ლაპარაკი, სიარული"; *ლი-ფან-ფჳლ-ი* (ჩოლ.) „კანკალი, ფამფალი"; *ლი-ფჳლ-ფჳლ-ი* (ჩოლ.) „ალზე გავლება, ოდნავ შეტრუსვა"; *ლი-ქაუ̂-ქჳუ̂-ი* (ჩოლ.) „ქალის ქაქანი"; *ლი-ღად-ღჳდ-ი* (ლშხ., ჩოლ.) „ხმამაღლა ბევრი საუბარი; ღაღადება"; *ლი-ღაუ̂-ღაუ̂-ი* (ჩოლ.) „ცუდად მეტყველება"; *ლი-ყარ-ყჳლ-ი* (ჩოლ.) „ზარმაცი და მოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა"; *ლი-ყუ̂არ-ყუ̂ჳც-ი* (ჩოლ.) „ბრწყინვა"; *ლი-ხუ̂არ-ხუ̂აც-ი* (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)"...

ო ~ ო:

ლი-ბორ-ბოტ-ი (ჩოლ.) „დაბნეულობა"; *ლი-დორ-დოლ-ი* (ჩოლ.) „შედედება"; *ლი-როხ-როხ-ი* (ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჭყივილი"; *ლი-შოქ-შრქ-ი* (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი"; *ლი-ჩორ-ჩოტ-ი* (ჩოლ.) „წამოჩიტება" ...

ქვემოსვანურში იშვიათად, ასევე, შეიძლება შეგვხვდეს /ა/ და /ო/ ხმოვნის შემცველი მარტივი ფუძეების გაორკეცების შემთხვევები მასდარის მაწარმოებელი აფიქსების გარეშეც (ანუ შიშველი ფუძეების გაორკეცებით), მაგ.: *ჯაფ-ჯაფ* (ჩოლ.) „ზედმეტი ყეფა; ჩუხჩუხი (წყლისა)"; *ყუ̂არ-ყუ̂აც* (ჩოლ.) „ბრწყინვა"; *ხუ̂არ-ხუ̂აც* (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)"; *როხ-როხ* (ლშხ., ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჭყივილი"; *ბორ-ბოტ* (ჩოლ.) „დაბნეულობა" და ა. შ.

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში /ე/ ხმოვნის გარდა, თითქმის ყველა ხმოვანი *(ა, ი, ო, უ, გ)* ორმაგდება:

ა-ხმოვნიანი: *ლი-ლაპ-ლაპ-ი* (ლშხ., ჩოლ.) „ყბედობა"; *ლი-ფან-ფჳლ-ი* (ჩოლ.) „კანკალი, ფამფალი"; *ლი-ყუ̂არ-ყუ̂ჳც-ი* (ჩოლ.) „ბრწყინვა"; *ლი-ხუ̂არ-ხუ̂აც-ი* (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)"...

[1] აღნიშნული ფუძეების სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: *ხგლდ-გ-ბგლდ-გ, ხგრტ-გ-პგრტ-გ*. საანალიზო რედუპლიცირებული ფუძეების ინლაუტსა და აუსლაუტში გამოვლენილი *-გ-* ხმოვანი, ჩვენი აზრით, *-გნ-* სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს (შდრ., ერთი მხრივ, *ჟგრგნ-ფგრგ˹ნ˺* (ბქ., ჩოლ.) „უაზრო, ბრიყვული ქცევა და ლაპარაკი", *ქგრგნ-ფგკგნ* „გაწბილება, ლიქინი" და ა. შ., მეორე მხრივ კი, **ხგლდგნ-ბგლდგნ, *ხგრტგნ-პგრტგნ)* და მას მაერთ ხმოვნად ვერ მივიჩნევთ.

ი-ხმოვნიანი: *ბიტ-ბიტ* (ჩოლ.) „ბრუციანის აცა-ბაცა, მოღრეცილი სიარული”; *გლიჯ-გლიჯ* (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა”, *ზიპ-ზიპ* (ბქ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული”, *ხურიგ-ხურიგ* (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა” ...

ო-ხმოვნიანი: *ლი-როხ-როხ-ი* (ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჭყივილი”; *ლი-შოქ-შრქ-ი* (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი” ...

უ-ხმოვნიანი: *ბუგუ̂-ბუგუ̂* (ჩოლ.) „დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად”; შულ-შული (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შულ-შულ* (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა”; *ჭულ-ჭულ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჭულ-ჭულ* (ბქ., ლნტ.) „წუილი (ქარისა)”; ზურზუნ (ლნტ.) „ზუზუნი”; *კურკუ̄ნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კურკუნ* (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი”; *ცურცუნ* (ბქ.) „ჩურჩული”...

გ-ხმოვნიანი: *ბგრბგნ* (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი”; *ზგრზგნ* (ბქ.) „ზუზუნი; ბუზღუნი”; *თგრტგნ* (ბზ.), თგრტგნ (ბქ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი”; კგლპგნ|*კგრპგნ* (ბქ.) „წკლაპუნი”; *ბგც-ბგც* (ლხმ.) „ჩიფჩიფი”; *ყუტ-ყუტ* (ლშხ.) „ბაასი”; *შგლ-შგლ* „გაბმული შრიალი” ...

/ე/ ხმოვნის გაორმაგების შემთხვევები სვანურში არ შეგვხვედრია, როგორც აღვნიშნეთ, ის არც თუ იშვიათობაა ქართულის დიალექტებში (შდრ. ერთელიშვილი 1970:182); მისი დაშვება შესაძლებელია სვანურშიც.

2. ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე:

მარცვალი დახურულია, რედუპლიკაცია კი ნაწილობრივია.

სვანურში სხვადასხვა ხმოვნის *(ი ~ ა, ი ~ უ - ი ~ უ, ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ, გ ~ ი)* მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფონოსემანტიკური ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოვლინდა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ი~ა ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები.

ა) ი ~ ა[31]*:*

ბიგუ̂-ბაგუ̂ (ჩოლ.)	„ბაგუნი, რბილად მირტყმა-მორტყმა”
ბითქ-ბათქ (ზს.)	„ბათქაბუთქი”
ბიტყ-ბატყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა”
ბიყუ̂-ბაყუ̂ (ჩოლ.)	„რბილ საგანზე დარტყმის ყრუ ხმა”
ბიუ̂-ბა̆უ̂ (ბზ.), ბიუ̂-ბაუ̂ (ბქ.)	„აურზაური”
გუ̂ლიბ-გუ̂ლაბ (ბქ.)	„სითხეში მძიმე საგნების ზედიზედ ვარდნის ხმა”
დგუ̂იბ-დგუ̂აბ (ზს.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი; დაგადუგი”
დგუ̂ლიბ-დგუ̂ლაბ (ბქ.)	„ღრმა წყალში ან სითხეში მძიმე საგნის ჩავარდნის თანმიმდევრული ხმა”
დღუ̂ლიბ-დღუ̂ლაბ (ბქ.)	„წყალში ჩავარდნის თანმიმდევრული ხმა”

დღილ-დღალ (ჩოლ.)	„ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა”
ზიპ-ზაპ (ბქ.)	„დაცემის, ვარდნის ხმა”
ზიჴ-ზაჴ (ბქ.)	„დიდმუცლიანის სიარულის დროს გამოღებული ხმა”
ზღუიპ-ზღუაპ (ჩოლ.)	„წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა”
თურის-თურას (ბქ., ლნტ.)	„მელაკუდასებური სიარული”
თხიკ-თხაკ (ბქ.)	„წვეთის ზედიზედ მაგარ რამეზე დაცემის ხმა”
თხისკ-თხასკ (ბქ.)	1. „ჩანისკარტების ხმა”, 2. „წვეთის მაგარ რამეზე დაცემის ხმა”
თხლიპ-თხლაპ (ლხმ.)	„თანმიმდევრული ხმა ქალამნებით ტალახში სიარულის დროს”
თხუიზ-თხუაზ (ბქ.)	2. „გაძრომ-გამოძრომა”, 2. „რბილ რამეში ზედიზედ ჩარჭობის ხმა”
კლიქ-კლაქ (ბქ.)	„მჭრელი იარაღის ზედიზედ ჩარტყმის ხმა”
მიჭუ-მაჭუ (ჩოლ.)	„ცხვირ-პირში მირტყმა-მორტყმა”
ჟითქ-ჟათქ (ბქ.)	„გაშლილი საგნების ცემის ხმა”
ჟითხ-ჟათხ (ბქ.)	„სველი რამის ცემის თანმიმდევრული ხმა; სველი ფეხსაცმლიანის სიარულის ხმა”
ჟიტყ-ჟატყ (ბქ.)	„ტალღის მოტყლაშუნების ხმა”
რისტ-რასტ (ზს., ქს.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა; ხმელი რამის მკვრივზე ცემის თანმიმდევრული ხმა”
რიყ-რაყ (ბქ.)	„ცარიელ რამეში ჩაგდებული საგნის ხმა”
რიჭ-რაჭ (ბქ.)	„მითქმა-მოთქმა; ჭიკ-ჭიკი”
რიხ-რახ (ჩოლ.)	„ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა; რახარუხი”
რიჯგ-რაჯგ (ჩმხ.)	„მტკიცე ნაბიჯების თანმიმდევრული ხმა”
სგუიჭ-სგუაჭ (ბქ.)	„თოფის სროლის ან ხმელი საგნის მაგარზე დარტყმის თანმიმდევრული ხმა”
სიტ-სატ (ზს., ქს.)	„ლაწალუწი”
ტკუიც-ტკუაც (ჩოლ.)	„სახრის მირტყმა-მორტყმის ხმა”
ტურიმ-ტურამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა”
ტყიც-ტყაც (ბქ.)	„გაკერილი რამის გარღვევის თანმიმდევრული ხმა”
ფლიჩ-ფლაჩ (ჩოლ.)	„ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული”
ქულიზ-ქულაზ (ბქ.)	„მსუქანი ქალის სიარული”
ღიბ-ღაბ (ლხმ.)	„რამის გასრესის ხმა”
ღუიჭ-ღუაჭ (ჩმხ.)	„ლაყბობა, ლიკლიკი, კამათი, მითქმა-მოთქმა”
ღულიჭ-ღულაჭ (ჩოლ.)	„გაქნილი წკნელის გადაჭერ-გადმოჭერა”

ღურიმ-ღურამ (ჩგხ.)	„ხრამუნის ხმა”
ყუიგ-ყუაგ (ბქ.)	„ჩაკაკუნების თანმიმდევრული ხმა”
ყულიფ-ყულაფ (ბქ.)	„ორივე მხრიდან თოფის სროლის ხმა; ზედიზედ სროლის ხმა”
ყულიჩ-ყულაჩ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა”
ყურიგ-ყურაგ (ბქ.)	„კაკუნის თანმიმდევრული ხმა”
შითქ-შათქ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„დარტყმის ხმა”
შკუიფ-შკუაფ (ზს., ქს.)	„ხმელი საგნის თავში დარტყმის თანმიმდევრული ხმა”
შულიპ-შულაპ (ბქ., ჩოლ.)	„ჩასობა-ამოძრობის ხმა (ბქ.)”; „ჭანჭრობში სიარულის ხმა (ჩოლ.)”
შხიპ-შხაპ (ბქ.)	„წკნელის გატყლაშუნების ხმა”
შხუიპ-შხუაპ (ბქ.)	„წკნელის გატყლაშუნების ხმა”
შყიბ-შყაბ(ბზ.), შყიბ-შყაბ(ბქ.)	„ბრახაბრუხი; ჯახუნი, რახუნი, კაკუნი”
შყუიბ-შყუაბ (ბქ.)	„ჯახაჯუხი, თავების მიჯახუნება ერთმანეთზე”
ჩრით-ჩრათ (ბქ.)	„ჩლატაჩლუტი, ჩლატუნი”
ჩლითხ-ჩლათხ (ბქ.)	„ჩლატაჩლუტი”
ჩხიკ-ჩხაკ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი”
ციმ-ცამ (ჩოლ.)	„შიშისგან თვალების აქეთ-იქით ცეცება”
ძგუიბ-ძგუაბ (ზს.)	„გლაჯა-გლუჯი; რამის გაწყვეტის თანმიმდევრული ხმა”
წყიგ-წყაგ (ბქ., ჩოლ.)	„წყლის წვეთის დაცემის ხმა”
ჭიტყ-ჭატყ (ბქ.)	„გუბეში ფეხის ჩადგმის რიტმული ხმა”
ჭიფხ-ჭაფხ (ჩოლ.)	„კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით”
ჭუიხუ-ჭუახ (ბქ.)	„ერთმანეთის კოცნის ხმა”
ჭიხ-ჭახ (ბქ.)	„ჭახ-ჭახი”
ჭკუიპ-ჭკუაპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა”
ხურიგ-ხურაგ (ბქ.)	„ხრაგუნი”
ხურიმ-ხურამ (ბქ.)	„ხრამუნი”
ხურიჭ-ხურაჭ (ბქ.)	„⌜გა⌝კრეჭის თანმიმდევრული ხმა”
ჯრიბ-ჯრაბ (ჩგხ.)	„ჯლაგუნით სიარულის ხმა”...

ბ) *ა ~ უ/ა ~ უ*:

სხამ-სხუმ (ჩოლ.) „ბავშვების ერთდროული, სხვადასხვა ხმაზე ტირილი"; *ტამ-ტუმ* (ჩოლ.) „ბავშვების ტირილი ჩხუბის შემდეგ"; *ტან-ტუნ* (ლშხ.) „წივილ-კივილი"; *ფხაკ-ფხუკ* (ბქ.) „კაკუნი"; *ბრახ-ბრუხ* (ზს.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი"...

გ) *ა ~ ი:*

ბაჩხ-ბიჩხ (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; *ჟღაპ-ჟღიპ* (ბქ.) „გახეთქვის ხმა"; *ტურამ-ტურიმ* (ბქ.) „მტვრევა-მსხვრევა"; *ჭატყ-ჭიტყ* (ბქ., ჩოლ.) „თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა"; *ჭახ-ჭიხ* (ბქ.) „ჭახანი"...

ა ~ უ/ა ~ უ და *ა ~ ი* ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფონოსემანტიკური ფუძეები იშვიათად დასტურდება სვანურში

დ) *ი ~ უ:*

ბრიხ-ბრუხ (ზს.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი"; *დრიზ-დრუზ* (ბქ.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი; დარტყმის ხმა"; *თხირ-თხურ* (ბქ.) „ხეთქვის ხმა"; *ღრიწ-ღრუწ* (ბქ.) „ღრჭიალი"; *ყლიპ-ყლუპ* (ბქ.) „ყლაპვის ხმა"; *ყლიტ-ყლუტ* (ბქ.) „ყლაპვის ხმა"; *შხიპ-შხუპ* (ბქ.) „წკეპლის გატყლაშუნების ხმა"...

ე) *ი ~ გ:*

დღილ-დღგლ (ბქ.) „ცემის, დარტყმის ხმა"; *ჟღილ-ჟღგლ* (ბქ.) „ტირილის, ბღავილის ხმა"; *ჩხიკ-ჩხგკ* (ბქ.) „ჩხაკაჩხუკი, ჩხაკუნი"; *ჩხილ-ჩხგლ* (ბქ.) „მტვრევა-მსხვრევის ხმა"; *ძგილ-ძგგლ* (ბქ., ჩოლ.) „ძლიერი სროლის ხმა"...[1]

ხმოვანუცვლელ და ხმოვანთმონაცვლე რედუპლიცირებულ ყალიბებს შორის სემანტიკური სხვაობაც, რაღა თქმა უნდა, ხელშესახებია. ხმოვნის მონაცვლეობა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც თითქოს საგანთა უწესრიგო, არარეგულარულ, ქაოტურ სიმრავლეს ასახავს, ხოლო უცვლელი ხმოვანი რიტმულ, განგრძობით გამეორებას.

რა შეიძლება ითქვას *თანხმოვანუცვლელ* და *თანხმოვანშეცვლილ* რედუპლიცირებულ ფუძეებზე?

უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებულ ფუძეებს, რომელთა გავრცელებულობა სვანურში ხშირია, თუმცა უფრო გავრცელებულია სხვადასახვა თანხმოვნის მონაცვლეობით მიღებული რედუპლიცირებული ფორმები.

1. *1. თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძეები*

სვანურში თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძეები წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სტრუქტურული მოდელებით:

1. CVC – CVC
2. C nV C – CnVC
3. CVCn – CVCn
4. CVCV – CVCV (CVC+V+CVC+V < *CVC+VC+CVC+VC)

აღნიშნულ სტრუქტურულ მოდელებში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, არ ფიგურირებს სონორები, გაორკეცებული ფუძეების ორივე თანხმოვნითი სეგმენტი (ანლაუტ-აუსლაუტში) კი იდენტურია. დასტურდება ისეთი მოდელებიც, რომლებშიც

[1] როგორც საილუსტრაციო მასალის ანალიზმა აჩვენა, განხილული სტრუქტურული მოდელებიდან ერთგვარ სისტემას სვანურში მხოლოდ *ი ~ ა* ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები ქმნიან, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ სტრუქტურულ მოდელებზე, ვინაიდან მასალის სიმცირე ამის თქმის უფლებას არ იძლევა.

გაორკეცებული ფუძეების ანლაუტში ორი ან სამი თანხმოვანია წარმოდგენილი და, ასევე, გვხვდება ისეთი რედუპლიცირებული ფუძეები, რომელშიც აუსლაუტში ჰარმონიული კომპლექსები ფიგურირებენ (იხ. გ) დ) ე) ვ) და ზ) მოდელები).

ა) $CV_1C + CV_2C$ სტრუქტურაში $V_1 = V_2$

ბიტ-ბიტ (ჩოლ.) „უსინათლო ადამიანის მოღრეცილი სიარული"; *ლიფ-ლიფ* (ჩოლ.) „ალის ხმა"; *ზიპ-ზიპ* (ბქ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული"; *პიტ-პიტ* (ლშხ., ჩოლ.) „ქალის ან გოგოს ცანცარით სიარული; რატრატი"; *პიუ̆-პიუ̆* (ჩოლ.) „უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი"; *რიტ-რიტ* (ჩოლ.) „უმიზნო სიარული"; *რიყ-რიყ* (ჩოლ.) „თავის კანტური სიარულისას"; *ფიგ-ფიგ* (ლშხ., ჩოლ.) „სუსტი, გამხდარი ადამიანის სიარული"; *ყიტ-ყიტ* (ჩოლ.) „სითხით აუვსებელი ჭურჭლის შენჯღრევით გამოწვეული ხმა"; *შიკ-შიკ* (ჩოლ.) „ბლუკუნი"; *ციგ-ციგ* (ბქ.) „ფეხის წვერების დარტყმით ჩქარი სიარული"; *ჭიუ̆-ჭიუ̆* (ჩოლ.) „ჩიტებისა და ბავშვების ხმაური"; *ჭიხ-ჭიხ* (ბქ.) „ჭახ-ჭახი"; *ჯიგ-ჯიგ* (ჩოლ.) „ცუდი ცხენის სიარული"; *ჯიყ-ჯიყ* (ჩოლ.) „ჯლოყინი, ბრიყვული სიცილი"...

ბ) $CVS + CVS, S = S, V = V$:

გულ-გულ (ბქ.) „ყმუილი"; *ჟულ-ჟულ* (ბქ.) „მანქანის ადგილიდან უცებ დაძვრის და გაქანების ხმა"; *ტულ-ტულ* (ბქ.) „გაბმული, გამაყრუებელი ძახილი"; *ღულ-ღულ* (ბქ.) „მანქანის ხმა"; *ყულ-ყულ* (ზს., ქს., ჩოლ.) „გაბმული ყვირილი"; *ყუჭ-ყუჭ* (ჩოლ.) „სიხარულისგან ჩუმი სიცილი"; *ყუჯ-ყუჯ* (ჩოლ.) „დიდთავა ადამიანის სიარული, ჩუმჩუმად მოქმედება"; *შუ̄ლ-შუ̄ლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შულ-შულ* (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა"; *ჭუ̄ლ-ჭუ̄ლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჭულ-ჭულ* (ბქ., ლნტ.) „წუილი (ქარისა)"; *ხულ-ხულ* (ბქ.) „ხვრეპა (სითხისა)"...

გ) $CnVC + CnVC: Cn$ = ორწევრა კომპლექსი:

გლიჯ-გლიჯ (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა"; *სტულ-სტულ* (ბქ.) „გაბმული, გამაყრუებელი ძახილი"; *სყიფ-სყიფ* (ჩოლ.) „ძაღლის ძლიერი ყეფა კბილების ხრჭიალით"; *ტყიპ-ტყიპ* (ბქ.) „ტყაპანი"; *ქლიფ-ქლიფ* (ჩოლ.) „დამშეულის აჩქარება საჭმლის მზადების დროს"; *ყლიპ-ყლიპ* (ჩოლ.) „ფართო ნაბიჯებით სწრაფი სიარული დოყლაპია კაცისა"; *ჩხ̄უ̆-ჩხ̄უ̆* (ჩოლ.) „ძროხის მოშარდვის ხმა"; *ჩხუ̄რ-ჩხუ̄რ* (ჩოლ.), *ჩხურ-ჩხურ* (ბქ.) „პირუტყვის შარდვის ხმა"; *წრუფ-წრუფ* (ჩოლ.) „გოჭების მიერ ძუძუს წოვაზე იტყვიან"…

დ) $CnVC + CnVC, Cn$ = სამწევრა კომპლექსი:

ტკუ̄ირ-ტკუ̄ირ (ჩოლ.) „ხმა, რომელსაც გამოსცემს ღორი კურკების ჭამისას"; *ტუ̄რიმ-ტუ̄რიმ* (ბქ.) „დარტყმის ხმა"; *ქუ̄ლიზ-ქუ̄ლიზ* (ბქ.), *ქუ̄იზ-ქუ̄იზ* (ჩოლ.) „მსუქანი ქალის სიარული"; *ჭკუ̄იპ-ჭკუ̄იპ* (ბქ.) „ძაფის გაწყვეტის ხმა"; *ხუ̄რიგ-ხუ̄რიგ* (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა"; *ხუ̄რიმ-ხუ̄რიმ* (ბქ.) „შაქრის, ვაშლის, კიტრის და ა. შ. ჭამის დროს გამოცემული ხმა"...

ე) $CVCn + CVCn$ სტრუქტურაში $V_1 \neq V_2$

ბიტყ-ბატყ (ლშხ., ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგუ̄იბ-დგუ̄აბ (ზს., ქს.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"
ბითქ-ბათქ (ზს., ქს.)	„ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით"
სგუ̄იჭ-სგუ̄აჭ (ბქ.)	„ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა"
სიტ-სატ (ბქ., ჩოლ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი"

ტუ̂რიმ-ტუ̂რამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა”
ტყუ̂ისგ-ტყუ̂ასგ (ბქ.)	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ტყორცნის ხმა”
ღრიჭ-ღრაჭ (ზს., ქს.)	1. „ღრჭიალი (ფიცრისა, ქაღალდისა)”; 2. „ღრჭიალი (თმისა)”
ყუ̂ლიჩ-ყუ̂ლაჩ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა”
შკუ̂იფ-შკუ̂აფ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა”
შხიპ-შხაპ (ბქ.)	„წკეპლის გადაჭერის ხმა”
ჩხიკ-ჩხაკ (ზს., ქს.)	„ჩხაკაჩხუკი”
წყიგ-წყაგ (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი”
ხუ̂რიმ-ხუ̂რამ (ბქ.)	„ხრამუნი”
ხუ̂რიპ-ხუ̂რაპ (ბქ.)	„ხვრეპა”...

ვ) CVCn + CVCn, V = V

პიტყ-პიტყ (ბქ., ჩოლ.) „ტყლაშუნი”; *წიფხ-წიფხ* (ბქ., ჩოლ.) „თანაბარი ხმა წვიმის წვეთებისა”; *ჭიტყ-ჭიტყ* (ბქ.) „თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა”…

ზ) *ბუგუ̂-ბუგუ̂* (ჩოლ.) „დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად”; *ჩუხუ̂-ჩუხუ̂* (ზს.) „უაზრო საუბარი”…

თ) CnVC+ CnVC, V = V

სტუ̂იფ-სტუ̂იფ (ზს.)	„მსუბუქად გარტყმის ხმა”
ტკუ̂ირ-ტკუ̂ირ (ჩოლ.)	„ტკვერვა“
ტუ̂რიმ-ტუ̂რიმ (ბქ.)	„მტვრევის ხმა”
ქუ̂ლიზ-ქუ̂ლიზ (ბქ.), ქუ̂იზ-ქუ̂იზ (ჩოლ.)	„მსუქანი ქალის სიარული; ქუნქრუზი”
ჩხუ̂იფ-ჩხუ̂იფ (ბქ.)	„დარტყმის ან მტვრევის ხმა”
წკუ̂იპ-წკუ̂იპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა”
ჭკუ̂იპ-ჭკუ̂იპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა”
ხუ̂რიგ-ხუ̂რიგ (ბქ., ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა”
ხუ̂რიკˈუ̂ˀ-ხუ̂რიკˈუ̂ˀ (ჩოლ.)	„ბავშვის მიერ შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა ”
ხუ̂რიმ-ხუ̂რიმ (ბქ.)	„ხრამუნი”
ხუ̂რიპ-ხუ̂რიპ (ზს.)	„ხვრეპა”
ხუ̂რიჭ-ხუ̂რიჭ (ბქ.)	„თაგვის მიერ საგნის ხვრის ხმა”
ჯგუ̂იბ-ჯგუ̂იბ (ბქ.)	„მუჯლუგუნის გარტყმის ხმა”...

ი) $C_1V_1C_2V_2+C_1V_1C_2V_2$:

ბუგუ-ბუგუ (ბქ.)	„ხელის დარტყმით ცემის ხმა (ბავშვის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეული”
პუტუ-პუტუ (ბქ.)	„პუტუნი; ჩუმად ბუტბუტი”
ფუჩუ-ფუჩუ (ბქ.)	„ფაჩუნი”
ღუდუ-ღუდუ (ბქ.)	„გოჭის დაძახების ხმა”
ძუნუ-ძუნუ (ბქ.)	„ხბოს დაძახების ხმა”...

ბოლო სტრუქტურულ მოდელებში (ვ, ზ, თ, ი) თითო-ოროლა მაგალითი წარმოვადგინეთ, თუმცა არაა გამორიცხული მეტი მასალა დადასტურდეს.

საინტერესოა, ი) მოდელში წარმოდგენილი რედუპლიცირებული ფუძეების შემადგენელი კომპონენტების აუსლაუტში გამოვლენილი *-უ-* ხმოვანი ძირის კუთვნილებაა თუ რომელიმე მაწარმოებელი სუფიქსის ნაშთი?

CVCV+CVCV ტიპის რედუპლიცირებულ ფორმათა სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: CVC+V+CVC+V < *CVC+VC+CVC+VC. როგორც წარმოდგენილი სტრუქტურული მოდელიდან ჩანს, *-უ-* ხმოვანი არის რომელიღაცა მაწარმოებელი სუფიქსის ნაშთი და ეს სუფიქსი, ჩვენი დაკვირვებით, ზოგ საანალიზო რედუპლიკატში კნინობითის მაწარმოებელი *-ულ-* სუფიქსის ნაშთია (*ძუნ-უ* < *ძუნ-ულ* „პატარა ხბო (ზედმიწ. _ ხბო-უკა)”, *ღუდ-უ* < *ღუდ-ულ* „პატარა გოჭი (ზედმიწ. _ გოჭ-უკა)...”), ზოგში კი *-უნ-* სუფიქსისა[1] (*პუტ-უ* < ქართ. პუტ-უნ-ი, *ფუჩ-უ* < ქართ. ფაჩ-უნ-ი...). ეს კი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ აღნიშნული ხმოვანი ამა თუ იმ მაწარმოებელი სუფიქსის ნაშთად მივიჩნიოთ და არა მაერთ ხმოვნად. როგორც წესი, სვანურს ღიამარცვლიანი სტრუქტურები არ ახასიათებს.

რა თქმა უნდა, თანხმოვანუცვლელი რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურული მოდელები ამით არ ამოიწურება (იხ. ხმოვანთმონაცვლე და ხმოვანუცვლელი რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურული მოდელები!).

2. *2. თანხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე.*

სვანურში სხვადასხვა თანხმოვნის *(რ ~ ნ, ნ ~ ლ, რ ~ ლ, ს ~ გ, ჟ ~ გ, შ ~ გ, ხ ~ გ, რ ~ ტ და სხვ.)* მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფონოსემანტიკური ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია სონორთა მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები[2].

1. დახურული მარცვლის რედუპლიკაცია სონორ თანხმოვანთა *(რ ~ ნ და რ ~ ლ)* მონაცვლეობით:

ა) CVS+CVS - სრული რედუპლიკაცია

ბ) CVS+C⌜V⌝S - ნაწილობრივი რედუპლიკაცია

გ) CVS+ CnVS - ნაწილობრივი რედუპლიკაცია

[1] *-უნ-* სუფიქსი, როგორც ვიცით, მასდარის მაწარმოებელი სუფიქსია.

[2] თუმცა ამ უკანასკნელთ სხვა კვალიფიკაცია ეძლევათ, რაზეც სათანადო ადგილას გვექნება საუბარი.

რ ~ ნ:

ბგრ-ბგნ (ბქ., ჩოლ.) „მამაკაცის ენაბრგვილი ლაპარაკი; უხეში ლაპარაკი", შდრ. ქართ. (ფშ., ხევს.) ბუბუნი „ხარის ხმიანობა"; *გურ-გუნ* (ბქ.) „გრგვინვა; გუგუნი"; გგრ-გგნ (ბზ., ლშხ.) „გრგვინვა; გუგუნი"; ზურ-ზუნ (ლნტ.) „ზუზუნი; ზარი, ზრუნი"; ზგრ-ზგნ (ბზ., ლშხ.), ზგრ-ზგნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. *ზულ/ზულ* „ზმუილი"; „ზუზუნი; ბუზღუნი; ზანზარი"; ˹ლი-˺თურ-თუნ˹-ი˺ (ლხმ.) „თუხთუხი"; *ლი-თგრ-თგნ-ი* (ბქ.) „ენის მოჩლექით ლაპარაკი"; კურ-კუნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კურ-კუნ* (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი"; *კგრ-კგნ* (ბქ., ჩოლ.) „კისკისი; რაკუნი"; პგრ-პგნ (ლხმ.) „რატრატი, ლაქლაქი, ჩქარი ლაპარაკი; პარპალი"; ჟგრ-ჟგნ (ლხმ.) „ჟრიამული"; *ტგრ-ტგნ* (ბქ.), შდრ. *ლი-ტგრ-ტგნ-ი* და *ლი-ტგრეტ-ი* (ბქ.) „რატრატი, ლაქლაქი, ყბედობა"; *ფგრ-ფგნ* (ბქ.) „დაუკვირვებელი რატრატი; ჩიფჩიფი"; *ღურ-ღუნ* (ზს.) „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი"; *ღურ-ღუნ* (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"; *ღგრ-ღგნ* (ბქ.) „ბოხი ხმით საუბარი; ლუღლუღი; ხიხინი; ხმაჩახლეჩით საუბარი"; *ყურ-ყუნ* (ბქ.) „მუცლის ბუყბუყი"; *ყგრ-ყგნ* (ზს.), შდრ. *ლი-ყგრ-ყგნ-ი* (ზს.) „ყაყანი; ყროყინი; ყიყინი; ყავყავი"; *შგრ-შგნ* (ბქ., ჩოლ.), შდრ. *შგლ/შგლ* „შუილი"; *ჩურ-ჩუნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *ჩგრ-ჩგნ* (ბქ.) „პატარა ბავშვის საუბარი"; *ცურ-ცუნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *ხურ-ხუნ* (ბზ.) „კრუტუნი (კატისა)"; ხგრ-ხგნ (ბქ.), *ხგრ-ხგნ* (ლშხ.) „ხროტინი"...

რ ~ ლ:

ლი-ბგრ-ბლ-აუ̯-ი (ლშხ.) < ლი-ბგრ-ბგლ-აუ̯-ი, იგივეა, რაც ლი-ბგრ-ბგნ-ი (ბქ., ჩოლ.) „ბურდღუნი, როშვა"; გარ-გალ-ა (ლნტ.) < გარ-გარ-ა (ლშხ.) „ლაპარაკი"; ლი-დარ-დალ-ი (ლშხ.), ლი-დარ-და̃ლ-ი (ჩოლ.) „დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი; ტატყანი"; ლი-პარ-პა̃ლ-ი (ლშხ., ჩოლ.) „კრიალი, ლაპლაპი"; ლი-ტარ-ტალ-ი (ლშხ., ჩოლ.) „ტატყანი"; ღუ̃არ-ღუ̃ლ-ა (ლხმ.) < ღუ̃არ-ღუ̃ალ-ა, შდრ. ღგრ-ღგნ (ლხმ.) „ლუღლუღი" და ლი-ღგრ-ღგნ-ი (ბქ.) „ხიხინი"; ლი-ყარ-ყა̃ლ-ი (ჩოლ.) „ზარმაცი და მოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა"…

2. დახურული მარცვლის რედუპლიკაცია სონორ თანხმოვანთა (*რ ~ ნ)* მონაცვლეობითა და თავკიდურა თანხმოვნის შეცვლით:

ა) CVS +CVS

ბ) CVS+CnVS

რ ~ ნ:

გგრ-ჰგნ (ბზ., ლშხ.)	„როხროხი; გუგუნი"
˹ლი-˺თურ-თხუნ˹-ი˺ (ბქ.)	„თუხთუხი", შდრ. გურ. თუთხუნი „თუხთუხი"
˹ლი-˺თურ-ფუნ˹-ი˺ (ლხმ.)	„თუხთუხი"
თგრ-თხგნ (ბქ.)	„თითხინი"
კგრ-პგნ (ბქ.)	„წკლაპუნი"
ჟურ-ყუნ (ბქ.)	„ტყლაშუნი"
ყგრ-ჭგნ (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"
ჩგრ-ჩხგნ (ბქ.), შდრ. ჩხგლ „ჩხრიალი"	„ჩხარაჩხური; ჩხრიალი"

ცგრ-ცხგნ (გზ.), ცგრ-ცხგნ (გქ.), შდრ. ცხგლ/ცხგლ „შუშხუნი”	„შუშხუნი”
წურ-წკუნ (გზ.), წურ-წკუნ (გქ.), შდრ. წკულ/წკულ „წკმუტუნი”	„წკმუტუნი”
ჯურ-ჯღუნ (ჩგხ., ლხმ.)	„ჯუჯღუნი, ბუზღუნი”...

გ) CVS+CVS

ლ ~ ნ:

კგლ-ჰგნ (გქ., ჩოლ.)	„წკლაპუნი; ლიკლიკი”
გგლ-გგნ (გქ.)[32]	„ძუნძული”
გგლ-დგნ/ფგლ-თგნ (ლშხ.)	„ძონძებით შემოსილის მოძრაობა”
კგლ-კგნ (გქ., ჩოლ.)	„ლიკლიკი”
ფგლ-ფგნ (გქ.)	„ფამფალი, მოფამფალებული, დაძაბუნებული სიარული”
ფგლ-თგნ (გქ.)	„ფამფალი”...

ზემოთ წარმოდგენილი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მეორე ნაწილში თავკიდური თანხმოვნის მონაცვლედ გვევლინება ბაგისმიერი ბგერები (*ბ _ ბ, გ _ გ, დ _ დ, ზ _ ზ, თ _ თ, კ _ კ, პ _ პ, ჟ _ ჟ, ტ _ ტ, ფ _ ფ, ღ _ ღ, ყ _ ყ, შ _ შ, ჩ _ ჩ, ც _ ც, ხ _ ხ*), ხშირ შემთხვევაში კი პროგრესულ დისიმილაციასთანაც გვაქვს საქმე (*თ _ თ > თ _ ფ, კ _ კ > კ _ პ, ყ _ ყ > ყ _ ჭ, ბ _ ბ > ბ _ დ, გ _ გ > გ _ ჰ, ფ _ ფ > ფ _ თ, ჟ _ ჟ > ჟ _ ყ*...). გვხვდება, ასევე, მარცვლის შეცვლით გაორკეცების შემთხვევებიც (*თ _ თხ, ჩ _ ჩხ, ც _ ცხ, წ _ წკ, ჯ _ ჯღ*...).

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უკვე ითქვა, მსგავსი წარმოების ფორმები რედუპლიცირებულ ფუძეებადაა მიჩნეული, აუსლაუტისეული სეგმენტები კი სუფიქსებად და ჩვენ ამ თვალსაზრისს ვიზიარებთ, თუმცა არც სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამოვრიცხავთ (იხ. ქვემოთ!).

დ) CVS+ CVC

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რედუპლიცირებული ფუძეების პირველი ნაწილის აუსლაუტში გვაქვს *სონორი*, მეორე ნაწილის აუსლაუტში კი *ხშული* ან *სისინ-შიშინა ნაპრალოვანი თანხმოვნები* (გაორკეცება ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით[1] *_ რ _ ტ, რ _ ც, რ _ შ*):

ბორ-ბოტ/ლი-ბორ-ბოტ-ე (ლშხ., ჩოლ.)	„აზრის, გონების არევა; დაბნეულობა”
ბურ-ბუტ (ლშხ., ჩოლ.)	„ტრიალი; მზრუნველობა”
ზურ-ზუტ (ლშხ.)	„ტრიალი; მზრუნველობა”
კარ-კაც/ლი-კარ-კ'ა'ც-ე (გქ., ჩოლ.)	„კაკანი”
კან-კაც (ლნტ.)	„კაკანი”
ყარ-ყაშ[33] *(ზს., ლნტ., ჩოლ.)*	„აყალმაყალი, აურზაური”...

[1]მასალა ამოღებულია ლ. სანიკიძის ნაშრომიდან „რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში” (1999: 31-39).

მიუხედავად მასალის სიმცირისა (ვგულისხმობთ ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებს), ჩვენ ის მაინც შევიტანეთ ნაშრომში, როგორც განსხვავებული სტრუქტურის ფუძეები. ლ. სანიკიძის აზრით, აღნიშნულ ფორმებში ადგილი აქვს გაორკეცებას ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით (მაგ.: *რ _ რ > რ _ ტ, რ _ რ > რ _ ც, რ _ რ > რ _ შ...*), მაგრამ არ უჩვენებს ამოსავალ სავარაუდო ძირებს. საინტერესოა, რედუპლიცირებული ფუძეების შემადგენელი კომპონენტებიდან რომელია ამოსავალი? სანამ ამოსავალ სავარაუდო ძირებს არ მივაგნებთ, მანამდე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაჭირდება.

ე) CVC - CVC

სვანურში დაფიქსირდა რამდენიმე ისეთი რედუპლიცირებული ფორმა, რომელშიც ორივე ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი -ლ- სონორია, პირველი ფუძის თავკიდური თანხმოვნები სხვადასხვა რიგისაა, მეორე ფუძის თანხმოვანი კი ყველგან ხშული -ბ- თანხმოვანია (*ჟ ~ ბ, ს ~ ბ, შ ~ ბ, ხ ~ ბ*):

ჟგლ-ბგლ (ბქ.)	„დიდი ხმაური”
სგლ-ბგლ (ბქ.)	„სისინი (ქარისა)”
შგლ-ბგლ (ბზ., ლშხ.), შგლ-ბგლ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„დიდი ხმაურით რამის გაკეთება, გაბმული ხმაური, შრიალი”
ხგლ-ბგლ (ლშხ.), ხგლ-ბგლ (ბქ., ლნტ., ჩოლ.), შდრ., ჩოლ. ხგლ-ბილ „არაფრის გამო ხმაური”	„დიდი ხმაური”...

თუმცა კომპოზიტის შემადგენელი სეგმენტები სემანტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ფონოსემანტიკურ ლექსიკაში იშვიათობაა.

ზემოთ გაანალიზებული მოდელების პარალელურად სვანურში, ასევე, დასტურდება უფრო რთული შედგენილობის ფონოსემანტიკური ფორმებიც:

ა) ფუძეების ანლაუტში ხშირად თავს იყრის თანხმოვნები:

დგურბუნ (ბქ., ჩოლ.) „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“; *თხურპუნ* (ბზ., ლშხ.), *თხურპუნ* (ბქ., ლნტ, ჩოლ.) „თუხთუხი; სრუტუნი”; *ჟღვრმგნ* (ბზ., ლშხ.), *ჟღვრმგნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღავილი”; *ტყურსგუნ* (ბზ.), *ტყურსგუნ* (ბქ.) „ტკაცანი, ტკაცატკუცი”; *ტყურფუნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტყურფუნ* (ბქ., ლნტ.) „ტკაცანი, სროლის ხმა”; *შყურბუნ* (ბქ.) „ბრაგუნი”; *ჩხურმუნ* (ბზ.), *ჩხურმუნ* (ბქ.) „ლაწალუწი”; *ცხურკუნ* (ბქ.) „ცხუკუნი”; *ძგურბუნ* (ბზ.), *ძგურბუნ* (ბქ.) „გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა”; *ჭყურტუნ* (ბქ.) „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)”; *თქვრშგნ* (ლშხ., ჩოლ.) „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი”; *ტკვრცგნ* (ბქ., ჩოლ.) „ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი”; *ტკვრჩგნ* (ბქ., ჩოლ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა”; *ტყვრგგნ* (ლშხ., ჩოლ.) „ფეხშიშველა, მსუქანი ადამიანის სირბილი”; *ფხვრკვნ* (ბზ., ლშხ.), *ფხვრკვნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ფხაკუნი”; *ჩქვრფვნ/ლი-ჩქფვნ-ე* (ბქ.,შხ., ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)”; *ჩხვრფვნ* (ზს.), *ლი-ჩხფუნ-ე* (ბზ.), *ლი-ჩხფვნ-ე* (ბქ., ჩოლ.) „ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)”; *ცქვრტვნ* (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი”; *ცხვრპვნ* (ბქ.) „წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფეულისა...)”; *წკვლპვნ* (ბქ.) „წკლაპუნი”; *წყვრგვნ* (ბქ., ჩოლ.) „წანწკარი”; *ჭკვლპვნ* (ბქ.) „კრიჭინი”; *ჭკვრპვნ* (ბქ.) „კრაჭუნი”; *ჭყვრმგნ* (ბქ.) „ჭიჭყინი”...

ბ) თანხმოვანთა ჯგუფი გვხვდება ფუძეების აუსლაუტშიც:

ბურდღუნ (ზს.) „ბურდღუნი"; *ბურთქუნ* (ბზ.), *ბურთქუნ* (ბქ.), *ბგრთქვნ* (ბზ.), *ბგრთქვნ* (ბქ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი"; *დგრდგვნ* (ჩბხ.) „დაგადუგი"; *მგრტყვნ* (ბქ.) „უშნო ჭამა ხმის გამოცემით"; *ჟგრჟღვნ* (ბქ.) „ჟღარუნი"; *ტგრტყვნ* (ბზ.), ტგრტყვნ (ბქ.) „ტატყანი"; *ფურსდუნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდუნ* (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული"; *ფგრთქვნ* (ბზ.)/*ფგრთქვნ* (ბქ., ლნტ.) „ბაგაბუგი, ფრთქიალი"; *ფგრჩხვნ* (ბზ., ლშხ.), *ფგრჩხვნ* (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"; *ფგრცხვნ*/*ლი-ფგრცხვნ-ი* (ბქ.) „კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"; *ღგრწკვნ* (ბზ., ლშხ.), *ღგრწკვნ* (ბქ., ლნტ.) „ღრიჭინი, ღრჭიალი"; *შგრთქვნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით"; *შგრშხვნ* (ბზ., ლშხ.), *შგრშხვნ* (ბქ., ლნტ.) „შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"; *ჩგრჩხვნ* (ბქ.) „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"; *ცურცხუნ* (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"; *ცგრცხვნ* (ბქ.), *ცგრცხვნ* (ლშხ.) < **ცხგლცხვნ* „შუშხუნი; ფუცხუნი", შდრ. ქართ. (გურ.) *ცუცხუნი* „ფუცხუნი, ცაცხანი; გაღიზიანება"; *ძგრწკვნ* (ბქ.) „ღრჭიალი"; *წურწკუნ* (უშგ.), *წურწკუნ* (ბქ., ქს.) „წკმუტუნი; წუწუნი; წკავწკავი"; *წგრწკვნ* (ბქ.) „გაბზარვის ხმა"; *ჭგრჭკვნ* (ბზ.), *ჭგრჭკვნ* (ბქ.) „ჟრიამული, ხმაური; ჭიკჭიკი"; *ჭურჭყუნ* (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი"; *ჭგრჭყვნ* (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭყვნ* (ბქ., ლნტ.) „ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი"; *ჭგრჭვნ* (ბზ.), *ჭგრჭვნ* (ბქ.) „ჭიკჭიკი, ჭრიჭინი"; *ხურჯკუნ* (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა"; *ჯგლჯგვნ* (ბქ.), *ლი-ჯჯგვნ-ე* (ზს., ქს.) „ძუნძული, ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"...

ცხადია, აქაც იგივე პრობლემაა, ანუ გასარკვევია აუსლაუტში გამოვლენილი *-უნ/-უნ* და *-გნ/-ვნ* სეგმენტები წარმოშობით სუფიქსებია თუ უბრალოდ რედუპლიცირებული ფუძის ბოლო სეგმენტები.[1]

მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია

„მაერთხმოვნიანი" (ლ. სანიკიძე) / „მაერთებელ ხმოვნიანი" (ფ. ერთელიშვილი) რედუპლიკაციის შესახებაც ქართულ ენათმეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ამგვარი რედუპლიკაცია (შესაბამისად, ცნებაც[2]) ქართულისათვის ცალკე ტიპად გამოყო ფ. ერთელიშვილმა. ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ ოთხ ტიპში (*ბაგაბუგ-, ჩხარაჩხურ-, თხლაშათხლუშ-, რაწკარუწკ-*) *„ფუძეები ძირების გაორკეცების შედეგად არის მიღებული;* ფუძის პირველ მარცვალში /ა-/ ხმოვანი გვაქვს, ბოლო მარცვალში /-უ/. მარტივ ძირებს ერთმანეთთან აკავშირებს მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი ხ მ ო ვ ა ნ ი /ა/ და /ი/, უფრო ხშირად /ა/. დასტურდება *მაერთებელი ხმოვნის* მიხედვით ფუძეთა პარალელური ვარიანტები" (ერთელიშვილი 1970: 78). აღნიშნული თვალსაზრისი გაზიარებულია შემდგომი პერიოდის ნაშრომებშიც (იხ. სანიკიძე 1976: 36; ქობალავა 1980: 67).

ფ. ერთელიშვილის მიერ განხილული ოთხივე ტიპის ძირის სტრუქტურა დაიყვანება მარტივ CVC სტრუქტურაზე და ყველა შემთხვევა შეიძლება გაანალიზდეს როგორც

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ამავე მონოგრაფიაში შესაბამისი პარაგრაფი.
[2] „მაერთხმოვნიანი" (სანიკიძე 1976: 36)

მარტივი ძირის ან უფრო რთული ფონემატური სტრუქტურის მქონე CnVC / CVCn ძირის გაორკეცებად /ა/ და /ი/ ხმოვანთა ჩართვით; აღნიშნულ ხმოვნებს, ფაქტობრივად, აქვთ მ ა ე რ თ ი ს ფუნქცია:

CVC-*V*-CVC

CnVC-*V*-CnVC / CVCn-*V*-CVCn

ამ ტიპის რედუპლიკაციის ყველა შემთხვევა გულისხმობს კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტურ განმეორებას ძირის სტრუქტურაში ა/უ ხმოვანთა ალტერნაციით:

$C_1V_1C_2$-V-$C_1V_2C_2$:

ა -[ა]- უ	ა - [ი]- უ
ტაკ-ა-ტუკ-	ტაკ-ი-ტუკ-
ჭახ-ა-ჭუხ-	ჭახ-ი-ჭუხ-
ჩახ-ა-ჩუხ-	-------

ბაგაბუგი, ბაკაბუკი, ბაყაბუყი, ზაპაზუპი, კაკაკუკი, კაპაკუპი, ლაწალუწი, პაკაპუკი, ჟაპაჟუპი, რაკარუკი, რახარუხი, ფაჩაფუჩი, ღაჭაღუჭი, ჭახაჭუხი, ჯახაჯუხი... უფრო რთული კონსონანტური სტრუქტურით: *ბრაგაბრუგი, ჩხარაჩხური, თქარათქური, წკაპაწკუპი, ჟღარაჟღური, სხაპასხუპი, პრაკაპრუკი, ბათქაბუთქი, რაწკარუწკი, პარტყაპურტყი...* ზოგიერთი ფუძე ა-ს ნაცვლად ი-ხმოვანს ჩაირთავს: *ბათქიბუთქი, ბაკიბუკი, ბრაგიბრუგი, პაკიპუკი, პარტყიპურტყი, სხაპისხუპი, ტკაციტკუცი, ტყაპიტყუპი, ფართხიფურთხი, ფაჩიფუჩი, წკაპიწკუპი, ჭახიჭუხი, ჯახიჯუხი...* სტატისტიკით ამგვარი გაორკეცების 120-მდე ფუძე არსებობს ქართულში, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხმაბაძვითია (ერთელიშვილი 1970: 78).

საპირისპირო თვალსაზრისით „მაერთხმოვნიანი კომპოზიცია ქართულში საერთოდ არ არსებობს“ (დათუკიშვილი 1990: 44). ქ. დათუკიშვილი რედუპლიკაციის ამ სახეობას *რახა-რუხ-ი* ტიპს უწოდებს და მის მიერ შერჩეული საკლასიფიკაციო ნიშნით განიხილავს „ხლეჩადთა“ რიგში საპირისპიროდ *რახ-რახ-ი* ტიპისა, რომელიც „არახლეჩადია“; ანუ საანალიზო მოდელს ისეთ სტრუქტურად მიიჩნევს, რომლის შემადგენელ კომპონენტებს (resp. ფუძეებს) შორის „და“ კავშირის ჩასმა შესაძლებელია (დათუკიშვილი 1990: 42). ამ თვალსაზრისით საქმე გვაქვს არა *ძირის*, არამედ *ფუძის რედუპლიკაციასთან*. აქედან გამომდინარეობს, რომ ლექსიკური მნიშვნელობა უკავშირდება არა უკვე რედუპლიცირებულ ფუძეს, არამედ თავად რედუპლიკატებს; შესაბამისად, რედუპლიცირებული ფუძის პირველი კომპონენტის შემადგენლად ითვლება, ერთ შემთხვევაში, /ა/ *(ტკაცა-, ბათქა-, რახა-),* ხოლო მეორე შემთხვევაში - /ი/- ხმოვანი *(ტკაცი-, ბათქი-, რახი-);* ამიტომაც სეგმენტირების შემოთავაზებული ვარიანტია: *ტაკა-ტუკ-, ტაკი-ტუკ-; ბათქა-ბუთქ-, ბათქი-ბუთქ-; რახა-რუხ-, რახი-რუხ-...* არგუმენტი ენის დიაქრონიულ ანალიზს ეყრდნობა: ისტორიულად „ხმის გამომხატველ მარცვლებს დაერთო *სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსი -ა* და მივიღეთ ხმის აღმნიშვნელი სახელები: *ლაწ- > *ლაწ-ა, ბრახ- > *ბრახ-ა, ტკაც- > *ტკაცა,* რომლებიც შემდგომ გაორკეცდა“... ამასთან, „ფუძის გაორკეცება და ხმოვანმონაცვლეობა ერთდროულად უნდა მომხდარიყო“ (დათუკიშვილი 1990: 42). მაშასადამე, ინტერპოზიციური „-ა წარმოქმნის ელემენტია და არა კომპოზიციის მაერთი ხმოვანი“ (დათუკიშვილი 1990: 44). ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული /ი/ ხმოვნის მიმართაც, ისიც *წარმოქმნის ელემენტად* არის ჩათვლილი, *წარმოშობით* -

სახელობითი ბრუნვის ნიშნად (დათუკიშვილი 1990: 44). ამ დებულების მიხედვით ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები შემდეგ სახეს იღებს: *ხმოვანფუძინი+თანხმოვანფუძიანი* სახელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მსჯელობის კვალდაკვალ შესაძლებელია საანალიზო ტიპის ფუძეთა სხვადასხვაგვარი სეგმენტირება და კვალიფიცირება:

	/ი/- ხმოვნიანი ვარიანტი	/ა/- ხმოვნიანი ვარიანტი
(1)	ბათქ-ი-ბუთქ-ი ბათქ-NOM.SG.-ბუთქ-NOM.SG	ბათქ-ა-ბუთქ-ი ბათქ-DER_{SUF}-ბათქ-NOM.SG
(2)	ბათქ-ი-ბუთქ-ი ბათქ-V-ბუთქ-NOM.SG [V= „მაერთი ხმოვანი“]	ბათქ-ა-ბუთქ-ი ბათქ-V-ბუთქ-NOM.SG [V =„მაერთი ხმოვანი“]
(3)	ბათქი-ბუთქ-ი ბათქი-ბუთქ-NOM.SG	ბათქა-ბუთქ-ი ბათქა-ბუთქ-NOM.SG

რა შეიძლება ჩაითვალოს რედუპლიკანტად: *ფუძე* თუ *ძირი?* ამ საკითხის გარკვევას უკავშირდება ზოგადად *მაერთი ხმოვნის* არსებობა; იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჩნდება, თუკი რედუპლიცირებული სეგმენტი არის ძირი.

როგორია ვითარება სხვა ქართველური ენებში; თუკი საერთოდ დასტურდება სვანურში, მეგრულსა და ლაზურში მსგავსი მოდელები, რას იძლევა მათი შედარება როგორც სტუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით; ქმნიან თუ არა ისინი სისტემებს ქართული ენის მონაცემთა მსგავსად;

მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია სვანურში

სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (*ი ~ ა, ა ~ უ/ჳ ~ ჳ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ ე*) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფონოსემანტიკური ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიყოფა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ი ~ ა ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები (მაგ.: *ბიგუ̈-ბაგუ̈* (ჩოლ.) „ბაგუნი; რბილად მირტყმა-მორტყმის ხმა”; *ზღუ̈ი̯-ზღუ̈ა̯* (ჩოლ.) „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა”; *სიტ-სატ* (ზს.) „ლაწალუწი”; *რისტ-რასტ* (ზს.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა”; *ბიჩხ-ბაჩხ* (ბქ.) „გაშლილი ხელით გარტყმის ხმა” და ა. შ.), თუმცა CVCn-CVCn / CVC-CVC ტიპის სტრუქტურული მოდელების პარალელურად ძალზე ხშირად დასტურდება CVCn-V-CVCn-V ტიპის რედუპლიკაცია (ანუ ე. წ. *ვოკალური ალტერნაცია მაერთი ხმოვნით*).

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, მაერთ ხმოვნად წარმოდგენილია -ი- ხმოვანი, რომელიც სხვა ტიპის (CVC-V-CVC-V) რედუპლიკაციაშიც ამავე ფუნქციით გვევლინება. ვფიქრობთ, ამ ორ ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ მოდელში გამოვლენილი მაერთებელი -ი- წარმოშობით ერთი და იგივე არ არის და მას სხვადასხვა ფუნქცია აკისრია.

აქვე შევნიშნავთ, რომ სვანურში ფუძის გაორკეცებისას, ასევე, ხშირია ინტერკონსონანტურ პოზიციაში *მა-* მარცვლის ჩართვაც.

თვალსაჩინოებისათვის ცალ-ცალკე წარმოვადგენთ „მაერთხმოვნიან” და „მაერთმარცვლიან”[1] რედუპლიცირებულ მოდელებს და სვანურ მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით როგორც მაერთი ხმოვნის, ისე მაერთი მარცვლის ფუნქციისა და წარმომავლობის გარკვევას. ყურადღებას ვამახვილებთ სემანტიკურ მხარეზეც.

1. არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაცია / ვოკალური ალტერნაცია მაერთი ხმოვნით

1. $CV_1Cn\text{-}V_1\text{-}CV_2Cn\text{-}V_2$ ტიპის რედუპლიკაცია

ი ~ი - ა/ӕ ~ა _ ი ~ა/ӕ/ი ~ა:

ბითქ-ი-ბӕთქ-ა (ზს.), ბითქი-ბათქა (ჩოლ.)	„ბათქაბუთქი”
ბიჭკუ̂-ი-ბӕჭკუ̂-ა (ზს.)	„ტკაცატკუცი; სკდომა-ხეთქვა”
ბრიხ-ი-ბრახ-ა (ბქ.)	„ბრახაბრუხი; ბრახვანი”
თუ̂იგ-ი-თუ̂აგ-ა (ლხმ., ჩბხ.)	„გაძრომ-გამოძრომით სიარული”
ჰილტ-ი-ჰალტ-ა (ჩოლ.)	„უაზრო ლაპარაკი ბავშვის, ან დიდი ასაკის გამხდარი ქალის”
რისტ-ი-რასტ-ა (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა”
რიყ-ი-რӕყ-ა (ბზ.), რიყ-ი-რაყ-ა (ბქ.)	„რახარუხი”
რიჭ-ი-რӕჭ-ა (ბზ.), რიჭ-ი-რაჭ-ა (ბქ., ქს.)	„მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა; ჭრიჭინის მაგვარი საუბარი”
სგუ̂იჭ-ი-სგუ̂აჭ-ა (ბქ., ჩოლ.)	„ტყვიების სროლა მიჯრით”
სიტ-ი-სატ-ა (ბქ., ჩოლ.)	„ლაწალუწი”
ტყიგ-ი-ტყӕგ-ა (ბზ.), ტყიგ-ი-ტყაგა (ბქ.)	„ბლაყუნი”
ტყიპ-ი-ტყაპ-ა (ბქ.)	„ტყაპატყუპი; ტყაპანი”
ქუ̂იზ-ი-ქუ̂აზ-ა (ბქ.)	„გაძრომ-გამოძრომა ხალხში”
შკუ̂იფ-ი-შკუ̂აფ-ა (ზს., ქს.)	„ჯოხის დარტყმის ხმა; ბრახვანი”
ჭიფხ-ი-ჭაფხ-ა (ჩოლ.)	„კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით”
ჯიჯგ-ი-ჯაჯგ-ა (ლხმ.)	„ჯაჯგური”
ჯიჯკ-ი-ჯაჯკ-ა (ლხმ., ჩოლ.)[34]	„ჯაჯგური; გარტყმის ხმა”...

არაიდენტურხმოვნიან (*ი ~ა / ӕ*) რედუპლიცირებულ ფუძეებში წარმოდგენილი მაერთი ხმოვანი, ვფიქრობთ, მაერთებელი კავშირია, რომელიც დროთა განმავლობაში ფუძეს შეერწყა და თავდაპირველი მნიშვნელობაც ნელ-ნელა მიიჩქმალა. სავარაუდოდ, *ბითქიბӕთქა < ბითქ ი ბӕთქ˹ა˺, შკუ̂იფიშკუ̂აფა < შკუ̂იფ ი შკუ̂აფ˹ა˺, ჯიჯგიჯაჯგა < ჯიჯგ ი ჯაჯგ˹ა˺*... (შდრ.,

[1]ცნება „მაერთმარცვლიანი“ შემოვიღეთ „მაერთხმოვნიანის“ ანალოგიით.

აგრეთვე, ქართ. *ჩახ-ა-ჩუხ-ი < ჩახ და ჩუხ-ი, ჭახ-ა-ჭუხ-ი < ჭახ და ჭუხ-ი, ტაკ-ა-ტუკ-ი < ტაკ და ტუკ-ი* და ა. შ[1]). ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ფორმები, ძირითადად, ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი, რასაც აშკარად ლექსის ზომა (resp. რითმა) განაპირობებს. ვ. თოფურიას აზრით, ფუძეგანსხვავებული რთული შედგენილობის კომპოზიტები ან *ი* „და" კავშირიანია ან _ უკავშირო, თუმცა სვანურში, განსაკუთრებით პოეზიაში, საკმაოდ ბევრია ისეთი კომპოზიტებიც, სადაც *ი* „და" კავშირი იგულისხმება (შდრ. *მგლახ-მგჟალე* „მულახ-მუჟალი (ანუ მულახი და მუჟალი)", *წვირმი-იფარე*[2] „წვირმი-იფარი (ანუ წვირმი და იფარი)", *კალა-უშგულა* „კალა-უშგული (ანუ კალა და უშგული)", *უიცბილ-მაცბილ* „ვიცბილ-მაცბილი (ანუ ვიცბილი და მაცბილი)"... _ თოფურია 1979:113). ცხადია, საანალიზო ფუძეებში წარმოდგენილი მაერთი ხმოვანიც წარმოშობით მაერთებელი კავშირია, თუმცა დღევანდელი ვითარების მიხედვით, მას ეს ფუნქცია დაკარგული აქვს.

რაც შეეხება კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტის აბსოლუტურ ბოლოში (ანუ აუსლაუტში) დადასტურებულ -ა- ხმოვანს, იგი, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სვანურში განყენებულ (resp. აბსტრაქტულ) სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია (თოფურია 1967:213), რომელიც ბალსზემოურში წინამავალ /ე/-ს /ä/-დ აფართოებს (ქალდანი 1969:52); ქართულში კი -ა- მიჩნეულია საწყისის ნიშნად (შანიძე 1980:560), შესაბამისად კი, შდრ., ერთი მხრივ, სვან. *გ̈ათქა/გ̈ეთქა* „წყვეტა", *ხუ̈ჱ̈ტა/ხუ̈ეტა* „წყვეტა", *ჭკ̈აჭა/ჭკეჭა* „წყვეტა", *თხ̈არა/თხერა* „სკდომა", *გ̈აჭკუ̈ა/გ̈ეჭკუ̈ა* „წყვეტა", *კ̈და/კედა* „წყვეტა"... და, მეორე მხრივ, ქართ. *წყვეტა, ხეთქვა, გეგვა, გრეგვა, ღეჭვა, კრეჭა, ტყეპა*... თუმცა, ქართულ ფორმებში დადასტურებული -ა, შესაძლოა, *-ან* სუფიქსის ნაშთიც იყოს (შდრ. *გრაგვანი, ტყაპანი, გრახვანი* და ა. შ.), რასაც, ერთი შეხედვით, თითქოს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ხშირად სვანური რედუპლიცირებული ფუძეების მეორე ნაწილში უცვლელად არის დაცული ქართულისათვის ამოსავალი სავარაუდო ფუძეების ძირეული ფორმები, მაგ.: სვან. *ტყაპ-ა* (< ქართ. *ტყაპ-ან-ი*), სვან. *გრახ-ა* (< ქართ. *გრახ⌜ვ⌝-ან-ი*), სვან. *ჯაჯგ-ა* (< ქართ. *ჯაჯგ-ან-ი*) და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო კომპოზიტთა შემადგენელი სეგმენტები (*გ̈ითქ* და *გ̈ათქა, გ̈იჭკუ̈* და *გ̈აჭკუ̈ა/გ̈ეჭკუ̈ა, შკუ̈იფ* და *შკუ̈აფა* და ა. შ.) ერთდროულად თანაარსებობენ ენაში, პირველი მათგანი (*გ̈ითქ, გ̈იჭკუ̈, შკუ̈იფ*...) უმეტესად იდიომატურ გამოთქმებში გამოიყენება, მეორე (*გ̈ათქა, გ̈აჭკუ̈ა/გ̈ეჭკუ̈ა, შკუ̈აფა*...) კი დამოუკიდებლად,

---

[1] შდრ. *ფუძეგანსხვავებული რთული რიცხვითი სახელები*: ჲერუ̈ეშდიეშხუ „ოცდაერთი („ორ-ათ და ერთი"), ჲერუ̈ეშდისემი „ოცდასამი („ორ-ათ და სამ-ი"), ჲერუ̈ეშდიარა „ოცდარვა („ორ-ათ და რვა")... და, ასევე, *ი კავშირით შეერთებული ბრუნვისფორმიანი* (ვგულისხმობთ მიცემითი ბრუნვის უძველეს ნიშნად მიჩნეულ ნ-იან ფორმებს!) *გაორკეცებული ფუძეები გარემოების ან განაწილებითის ფუნქციით: თხუმნითხუმნ* „თავდაპირველად (ზედმიწ. _ თავ-ს და თავ-ს)", *დრეუ̈ნიდრეუ̈ნ* „დროდადრო (ზედმიწ. — დრო-ს და დრო-ს)", *მეზგანიმეზგან* „ოჯახდაოჯახ (ზედმიწ. _ მოსახლე-ს და მოსახლე-ს)", *ყორნიყორნ* „კარდაკარ (ზედმიწ. _ კარ-ს და კარ-ს)", *სოფნისოფელ* „სოფელ⌜და⌝სოფელ (ზედმიწ. _ *სოფელ*-ს და *სოფელ*-ს)", *გაჩნიგაჩარ* „ქვადაქვა (ზედმი. _ ქვა-ს და ქვა-ს)"... _ ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე).

[2] საანალიზო ფუძეები, როგორც ვ. თოფურია შენიშნავს, სვანური პოეზიიდანაა მითითებული, არაზუსტი ორთოგრაფიული დაწერილობაც, ალბათ, ამისი შედეგია (ანუ ლექსის ზომამ განაპირობა!). ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში წუ̈ირმი-იფარე-ს ნაცვლად უნდა ყოფილიყო *წუ̈ირმ-იფა̈რ* (< *წუ̈ირმი-ი-იფა̈რ*) „წვირმი და იფარი". გრძელხმოვნიან დიალექტებში მორფემათა ზღვარზე ორი იდენტური (*ი + ი*) ხმოვნის შერწყმის შედეგად საკომპენსაციოდ უნდა მიგვეღო გრძელი (ი) ხმოვანი, რაც პოეზიაში არ განხორციელდა.

როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეული. ამოსავალი, ცხადია, რედუპლიცირებული ფუძეების პირველი კომპონენტია, რომლის რედუპლიკაციის შედეგად ანუ კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებითა და რედუპლიკატებში *ი ~ ა* ხმოვანთა ალტერნაციით უნდა მიგვეღო *ჯერ ბითქ-ბ̈თქ, რისტ-რასტ, სიტ-სატ, ჯიჯკ-ჯაჯკ*... (შდრ., ასევე, *ბითქ ი ბათქ, რისტ ი რასტ, სიტ ი სატ, ჯიჯკ ი ჯაჯკ*..., რომელთა მართლწერასაც ინტონაცია განსაზღვრავს!), ხოლო შემდეგ ინტერპოზიციურად მაერთებელი კავშირის ჩართვით ზემოთ დასახელებული რედუპლიცირებული ფორმები, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ისინი, ძირითადად, სვანური ხალხური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი და ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში *ბითქ-ბ̈თქ, რისტ-რასტ, სიტ-სატ, ჯიჯკ-ჯაჯკ* და ა. შ. ფორმები გამოიყენება.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმატული ცხრილის სახით წარმოვადგენთ საანალიზო (ანუ „მაერთხმოვნიან") ფუძეთა ყველა შესაძლო, ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ, პარალელურ ვარიანტს სავარაუდო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

ბითქ	*ბითქ-ბითქ*	*ბითქ-ბ̈თქ*	*ბითქ-ი-ბ̈თქ-ა*	*ბურთქუნ*	*ბგრთქგნ*
ბიჭკუ̂	*ბიჭკუ̂-ბიჭკუ̂*	*ბიჭკუ̂-ბ̈ჭკუ̂*	*ბიჭკუ̂-ი-ბ̈ჭკუ̂-ა*	-	-
ბრიხ	*ბრიხ-ბრიხ*	*ბრიხ-ბრახ*	*ბრიხ-ი-ბრახ-ა*	-	-
თუ̂იგ	*თუ̂იგ-თუ̂იგ*	*თუ̂იგ-თუ̂აგ*	*თუ̂იგ-ი-თუ̂აგ-ა*	-	-
პილტ	*პილტ-პილტ*	*პილტ-პალტ*	*პილტ-ი-პალტ-ა*	-	-
რისტ	*რისტ-რისტ*	*რისტ-რასტ*	*რისტ-ი-რასტ-ა*	-	-
რიყ	*რიყ-რიყ*	*რიყ-რაყ*	*რიყ-ი-რ̈ყ-ა*	-	-
რიჭ	*რიჭ-რიჭ*	*რიჭ-რაჭ*	*რიჭ-ი-რაჭ-ა*	-	-
სგუ̂იჭ	*სგუ̂იჭ-სგუ̂იჭ*	*სგუ̂იჭ-სგუ̂აჭ*	*სგუ̂იჭ-ი-სგუ̂აჭ-ა*	*სგურჭუნ*	-
სიტ	*სიტ-სიტ*	*სიტ-სატ*	*სიტ-ი-სატ-ა*	-	*სგრტგნ*
ტყიგ	*ტყიგ-ტყიგ*	*ტყიგ-ტყაგ*	*ტყიგ-ი-ტყაგა*	-	-
ტყიპ	*ტყიპ-ტყიპ*	*ტყიპ-ტყაპ*	*ტყიპ-ი-ტყაპ-ა*	-	*ტყგრპგნ*
ქუ̂იზ	*ქუ̂იზ-ქუ̂იზ*	*ქუ̂იზ-ქუ̂აზ*	*ქუ̂იზ-ი-ქუ̂აზ-ა*	-	-
შკუ̂იფ	*შკუ̂იფ-შკუ̂იფ*	*შკუ̂იფ-შკუ̂აფ*	*შკუ̂იფ-ი-შკუ̂აფ-ა*	*შკურფუნ*	*შკგრფგნ*
ჭიფხ	*ჭიფხ-ჭიფხ*	*ჭიფხ-ჭაფხ*	*ჭიფხ-ი-ჭაფხ-ა*	-	-
ჯიჯგ	*ჯიჯგ-ჯიჯგ*	*ჯიჯგ-ჯაჯგ*	*ჯიჯგ-ი-ჯაჯგ-ა*	-	-
ჯიჯკ	*ჯიჯკ-ჯიჯკ*	*ჯიჯკ-ჯაჯკ*	*ჯიჯკ-ი-ჯაჯკ-ა*		*ჯგრჯკგნ*...

როგორც ცხრილიდან ჩანს, „მაერთხმოვნიან" ყველა ფუძეს მოეპოვება პარალელური ვარიანტი „შიშველი" ანუ გაუფორმებელი ფუძის სახით (*ბითქ, ბიჭკუ̂, ქუ̂იზ, ჭიფხ, ჯიჯკ*...), ასევე, მოეპოვება როგორც *ი ~ ა* ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული

[1]ჩვენი აზრით, ქართული რედუპლიცირებული ფუძეების მაერთი ხმოვანი *-ა- (ჩახაჩუხ-ი, ჭახაჭუხ-ი, ტაკატუკ-ი* და ა. შ), რომელიც დღეს უკვე ფუძესთან არის შეხორცებული, მაერთებელი და კავშირის ხმოვნითი ელემენტი უნდა იყოს. თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვის შემდეგ ხმოვანი ფუძეს შეერწყა და თავდაპირველი მნიშვნელობაც დაიკარგა. ვფიქრობთ, ამ აზრს სვანურის ჩვენებაც ამყარებს.

ვარიანტები მაერთი ხმოვნის გარეშე (*ბითქ-ბათქ, ბიჭკუ̂-ბაჭკუ̂, ჭიფხ-ჭაფხ...*), ისე პარალელური ფორმები იდენტური ხმოვნებით (*ბითქ-ბითქ, ბიჭკუ̂-ბიჭკუ̂, ჭიფხ-ჭიფხ...*), აგრეთვე მაერთი ხმოვნის გარეშე. ამ ტიპის ფუძეთა ერთ ნაწილს მოეპოვება *-უნ/-უ̄ნ* და *-გნ/-გ̄ნ-* სუფიქსებით გართულებული რედუპლიცირებული ფორმებიც, რომლებიც მიღებულია ამოსავალი „შიშველი" ფუძეებისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით, მაგ.: *ბითქ > ბურთქუნ/ბგრთქგნ, შკუ̂იფ > შკურფუნ, ჯიჭკ > ჯგრჭკგნ...* (დაუშვებელია: *ბითქინ ან ბუთქუნ, შკუ̂იფინ ან შკუ̂იფუნ, ჯიჭკუნ ან ჯიჭკგნ...*).

აქვე შევნიშნავთ, რომ ყველა სხვა რედუპლიცირებულ ფუძეში (ვგულისხმობთ რედუპლიცირებული ფუძის პირველ ნაწილს) ამოსავალი, თავდაპირველი ფუძე უცვლელადაა წარმოდგენილი. ცვლილებათა მთელი სპექტრი, როგორც ვნახეთ, *-უნ/-უ̄ნ* და *-გნ/-გ̄ნ-* სუფიქსიან რედუპლიცირებულ ფუძეებში ვლინდება.

რაღა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა ის სემანტიკური სხვაობაც, რაც „მაერთხმოვნიან" რედუპლიცირებულ ფუძეებსა და მის პარალელურ ვარიანტებს (resp. ბგერწერით რიგებს) შორის ვლინდება. ე. წ. „პირველადი მასდარები", როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი (არნ. ჩიქობავა, ა. დავითიანი, რ. ჭკადუა...), გადმოსცემენ სხვადასხვა სახის ხმიანობას, ანუ ეს არის ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას. ბუნებრივია, ერთგვარი სემანტიკური სხვაობა შეინიშნება დანარჩენ ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ პარალელურ ვარიანტებს შორისაც, კერძოდ:

1. *ბითქ-ბითქ, რისტ-რისტ, სგუ̂იჭ-სგუ̂იჭ, შკუ̂იფ-შკუ̂იფ, ჯიჯკ-ჯიჯკ* და ა. შ. ფორმები გამოხატავენ რაიმე თანმიმდევრულ, წყვეტილ მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას;

2. *ბითქ-ბა̈თქ, რისტ-რა̈სტ, სგუ̂იჭ-სგუ̂ა̈ჭ, შკუ̂იფ-შკუ̂ა̈ფ, ჯიჯკ-ჯა̈ჯკ* და სხვ. ფორმები ერთდროულად გამოხატავენ მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას;

3. *ბითქ-ი-ბა̈თქ-ა, რისტ-ი-რა̈სტ-ა, სგუ̂იჭ-ი-სგუ̂ა̈ჭ-ა, შკუ̂იფ-ი-შკუ̂ა̈ფ-ა, ჯიჯკ-ი-ჯა̈ჯკ-ა* და მისთ. ფორმები კი, როგორც უკვე ითქვა, სვანური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი და *ბითქ-ბა̈თქ* ტიპის ფორმათაგან თითქოს მხოლოდ ინტონაციურად განსხვავდებიან, თუმცა ამა თუ იმ მოქმედების შედეგად გამოცემული ჟღერადობის ხანგრძლივობაც ხელშესახებია, რასაც მაერთი *-ი-* უნდა განაპირობებდეს.

4. „მაერთხმოვნიან" რედუპლიცირებულ ფუძეთა ერთ ნაწილს, როგორც უკვე ითქვა, მოეპოვება *-უნ/-უ̄ნ* და *-გნ/-გ̄ნ-* სუფიქსებით გართულებული რედუპლიცირებული ფუძეებიც (*ბურთქუ̄ნ, სგურჭუ̄ნ, შკურფუ̄ნ, ბგრთქგ̄ნ, სგრტგ̄ნ, ტყგრპგ̄ნ, შკგრფგ̄ნ...*), რომლებიც სხვადასხვა სახის (სულიერის თუ უსულოს მიერ გამოცემულ) გაბმულ, განუწყვეტელ ხმიანობას გამოხატავენ.

2. $CV_1C\text{-}V_1\text{-}CV_2C\text{-}V_2$ ტიპის რედუპლიკაცია[1]

[1]შდრ., ასევე, *კიჭ-ი-მიჭ-ი* (ლშხ.) „მითქმა-მოთქმა", *რიზ-ი-მიზ-ი* (ლხმ.) „უთავბოლო ყბედობა" ფორმები (სანიკიძე 1977:29), სადაც მაერთი ი, ჩვენი აზრით, სახელობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს, თუმცა მსგავსი მაგალითები იშვიათობას წარმოადგენს სვანურში.

ი ~ ი _ უ ~უ:

ბილ-ი-ბულ-უ (ჩოლ.)	„ლუღლუღი, უაზრო საუბარი არმცოდნე ადამიანის”
ბირ-ი-ბურ-უ (ჩოლ.)	„სულელი ადამიანის ლაპარაკი”
კირ-ი-კურ-უ (ჩოლ.)	„უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი”
პირ-ი-პურ-უ (ჩოლ.)	„უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი”
პიწ-ი-პუწ-უ (ჩოლ.)	„პრანჭია გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი ხმით ლაპარაკი”
ჟირთხ-ი-ჟურთხ-უ (ჩოლ.)	„ენამოჩლექით ლაპარაკი”
ყირ-ი-ყურ-უ (ჩოლ.)	„სულელის ლაპარაკი”
ფირფ-ი-ფურფ-უ (ჩოლ.)	„უკბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპარაკი”
ფიჩ-ი-ფუჩ-უ (ლშხ., ლნტ., ჩოლ.)/ ფიჩ-ი-ფუჩ-ი (ლშხ.)	„ჩურჩული; ფაჩიფუჩი; ფაჩუნი”
ყირტ-ი-ყურტ-უ (ჩოლ.)	„ხმამაღლა როყიო საუბარი ერთმანეთში”
ჩირ-ი-ჩურ-უ (ჩოლ.)	„ენის ჩლიფინით ლაპარაკი”
ციც-ი-ფუც-უ/ციც-ი-ფუც-ი (ბქ.)[35]	„ფაცაფუცი, „ფაციფუცი”
ჭირ-ი-პურ-უ[36] *(ჩოლ.)*	„ქალების მითქმა-მოთქმა”...

არაიდენტური *ი ~უ* ხმოვანთმონაცვლეობა, ძირითადად, ქვემოსვანური დიალექტებისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. პირველი მოდელის ფორმათაგან განსხვავებით მათ არ აღმოაჩნდათ არც პარალელური ხმოვანთმონაცვლე ვარიანტები (მაგ.: *ბილ-ბულ, ბირ-ბურ, კირ-კურ, ჩირ-ჩურ...; ბილ-ბალ, ბირ-ბარ, კირ-კარ, ჩირ-ჩარ...*) მაერთი ხმოვნის გარეშე, არც იდენტურხმოვნიანი (*ბილ-ბილ, ბირ-ბირ, კირ-კირ, ჩირ-ჩირ* და ა. შ.) ვარიანტები და, არც „პირველად მასდარებად” წოდებული ე. წ. „შიშველი” (გაუფორმებელი) ფუძეები (**ბილ, *ბირ, *კირ, *ჩირ...*).

სემანტიკურად *ბილ-ი-ბულ-უ-ს* ტიპის რედუპლიცირებული ფუძეები, ძირითადად, მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია, თუმცა ზოგი მათგანი (*ფიჩ-ი-ფუჩ-უ/ფიჩ-ი-ფუჩ-ი, ციც-ი-ფუც-უ/ციც-ი-ფუც-ი*) ერთდროულად გამოხატავს რაიმე მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას.

საინტერესოა, რა განსხვავებაა პირველ (CVCn-V-CVCn-V) და მეორე (CVC-V-CVC-V) მოდელში წარმოდგენილ ფორმებს შორის და რა ფუნქცია აკისრია მაერთ ხმოვანს?

ჩვენი აზრით, პირველ მოდელში (CVCn-V-CVCn-V) *ი*-ს ფუნქცია სავსებით ნათელია, იგი, როგორც უკვე ითქვა, მაერთებელი კავშირია[1].რაც შეეხება მეორე მოდელში (CVC-V-CVC-V) წარმოდგენილ *ი*-ს, ვფიქრობთ, წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია და დღეს უკვე

[1]ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, რედუპლიკაციის პროცესებში გადამწყვეტი როლი ინტონაციასაც უნდა ეკისრებოდეს, თუმცა ექსპერიმენტული ფონეტიკის აპარატურით შესწავლის გარეშე ამ საკითხზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება.

მოიაზრება რედუპლიცირებული ძირების მაერთ ხმოვნად. ვინაიდან ქართულში გვაქვს *ფაციფუცი, ფაჩიფუჩი* და სხვ. ფორმები, სადაც *ი* აშკარად სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ეს საშუალებას იძლევა სვანური საანალიზო ფორმების *ი*-ც სახელობითი ბრუნვის ნიშნად მივიჩნიოთ. დაბრკოლებას ქმნის რედუპლიცირებული ფუძის მეორე ნაწილის აბსოლუტურ ბოლოში (ანუ აუსლაუტში) გამოვლენილი *-უ* ხმოვანი, რომელიც, შესაძლოა, მაერთი ხმოვნის ანალოგიით გაჩენილადაც მივიჩნიოთ, თუმცა *-უ* ხმოვნიანი ფორმების (*-ფუჩუ, -ფუცუ)* პარალელურად *-ი* ხმოვნიანი (ლშხ. *-ფუჩი,* ბქ. *-ფუცი*) ფორმების არსებობა გვავარაუდებინებს, რომ აუსლაუტისეული *-უ* ხმოვანი სწორედ *-ი* ხმოვნისაგან მომდინარედ ჩავთვალოთ. ვფიქრობთ, იგი იმავე ფუძის წინამავალმა ხმოვანმა (*-უ*შ) დაიმსგავსა[1].

მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია ქართველურ ენებში

1.1. *სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი*:

საანალიზო მოდელი წარმოადგენს ხმოვანმონაცვლე ანუ არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციის ტიპს. ქ ა რ თ უ ლ შ ი ერთმანეთს უპირისპირდება ძირისეული /ა/ და /უ/ ხმოვნები, აღნიშნული მონაცვლეობა ამ ენაში ძალზე ინტენსიურად არის გამოყენებული, ფაქტობრივად, ქმნის მთელ სისტემას მაშინ, როცა მ ე გ რ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ორიოდე მაგალითი მოჰყავს ვ. თოფურიას: *კირუ-კარუ* „სალოცავი ნამცხვარი“, *ზიკუ-ზაკუ* „საქანელა“ (თოფურია 1979: 118); ამ ჩამონათვალს მოგვინებით დაემატა რამდენიმე მაგალითი: *ჩიმ[უ]-ჩამუ* „ჩამიჩუმი“, *ფიჩუ-ფაჩუ* „უგერგილო“, *სხიუ-სხაუ* „წვრილ-წვრილი“, *ბირდღუ-ბარდღუ* „ბავშვის მოფერება“ (resp.ბარდღუნია), *ტირ[უ]-ტარუ* „ჭორიკნობა“, *პინტი-პანტუ // პიტ[უ]-პატუ* „ყოველგვარი წვრილმანი“, *ღიუ-ღაუ //ღივ-ღავი //ღიმ-ღამი* „რიჟრაჟი“, *ტირკუნ-ტარკუნი* „ტლიკინი“, *იწი-აწა* „მოწიწებით“, *ჭკიპ-ჭკაპი* „ხმაურით ჭამა“, *ძიგ-ძაგვი* „უშნოდ სიარული“ (არონია 2010: 42). რამდენიმე მაგალითი სახელდება ასევე ლ ა ზ უ რ ი ს ა თ ვ ი ს: *ჭაკა-ჭუკა* „ჭრელაჭრულა“, *კრანქ-კრუნქ* „საცეხველის ხმის მიბაძვა“, *ბრიწუ-ბრაწუ* „ბრიწუ-ბრაწუ“ (resp.ფხრეწის ხმა), *ყვილი-ყვალა* „ძვალი“, *ქჩინი-ქჩვანი* „ბებერ-ბებერი“, *მჭიფე-მჭუფე* „წვრილმანი“ (არონია 2010: 44); ამ მონაცემებს უნდა დაემატოს მაგალითები ალი თანდილავას „ლაზურის ლექსიკონიდან“ (2013) *ბაგაბუგა* „ბაგაბუგი“ (გვ.46), *ბარაბურა* „კარტოფილი“ (გვ. 51) *ღალაღულა* „არეული, მოუწესრიგებელი“ (გვ. 808) *ღაჭაღუჭუ* „ერთხმად, ერთდროულად ყველას ლაპარაკი“ (გვ. 809) ჭაკაჭუკა „ჭრელი, ჯაჭვა, ჯაჭვედა“ (გვ. 857) *წკარაწუკურუ* „რაც ხელში მოგხვდება ყველაფერი“ (გვ. 850) *ხვიტი-ხვატა* „ნაირნაირი, ჭრელჭრელი“ (გვ. 882).

---

[1] *ი ~ უ* ხმოვანთმონაცვლეობის ერთადერთი მაგალითი - *ფიჩიფუჩუ* „ჩურჩული“ აქვს მოხმობილი თავის ნაშრომში „რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში“ ლ. სანიკიძეს და შესადარებლად უთითებს ქართულ (კუთხურ) ფორმას - *ფუჩ-უნ-ი* (1977: 28), როგორც ჩანს, მკვლევარს სვანური საანალიზო ლექსემის ბოლოკიდური -უ- ქართული -უნ- სუფიქსის ნაშთად მიაჩნდა, თუმცა ახსნას არ იძლევა. ვინაიდან ქართულში *ფაციფუცი, ფაჩიფუჩი* და ა. შ. ფორმები დასტურდება, ადვილი შესაძლებელია *ფიჩიფუჩუ* და მისთ. ფორმები ქართულიდან შემოსულად ვივარაუდოთ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით და არა *ფუჩ-უნ-ი-ს* ტიპის ფორმებისაგან. ამ შემთხვევაში სვანური რედუპლიცირებული ფუძეების ინტერპოზიციაში გამოვლენილი -ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ნიშნად მიჩნევა უფრო მართებულად მიგვაჩნია.

როგორც ვნახეთ, რედუპლიკაციის ეს ტიპი ახასიათებს ს ვ ა ნ უ რ ს: *ტყიგი-ტყაგა* „ბლაყუნი“, *ბითქი-ბჳთქა* (ზს.) „ბათქაბუთქი“, *ბიჭკუი-ბჳჭკუა* (ზს.) „სკდომა-ხეთქვა“, *პილტი-პალტა* (ჩოლ.) „უაზრო ლაპარაკი ბავშვის, ან დიდი ასაკის გამხდარი ქალის“, *შკუიფი-შკუაფა* (ზს., ქს.) „ჯოხის დარტყმის ხმა“, *რიყი-რჳყა* (ბზ.), *რიყი-რაყა* (ბქ.) „რახარუხი“, *ჭიფხი-ჭაფხა* (ჩოლ.) „კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით“... ლაშხური და ჩოლურული თქმებისათვის დამახასითებელი ფორმები: *ბილი-ბულუ* (ჩოლ.) „არმცოდნე ადამიანის ლუღლუღი, უაზრო საუბარი“, *ბირ-ი-ბურ-უ* (ჩოლ.) „კრეტინის ლაპარაკი“, *პირი-პურუ //კირი-კურუ* (ჩოლ.) „უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი“, *პიწი-პუწუ* (ჩოლ.) „განებივრებული გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი ლაპარაკი“, *ფირფი-ფურფუ* (ჩოლ.) „უკბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპარაკი“, *ფიჩი-ფუჩუ* (ლშხ., ჩოლ.) „ჩურჩული“, *ფიცქ-ი-ფუცქ-უ* (ჩოლ.) „განებივრებული გოგო“... (მ. საღლიანი)

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული ქართველურ ენების მონაცემთა ზედაპირული შედარებით ვიღებთ შემდეგ სურათს:

ქართ.	ა-უ	ა-ა-უ-*ი:	ბათქა-ბუთქი	კნაწა-კნუწი	რახა-რუხი	ჩახა-ჩუხი	ჭახა-ჭუხი
		ა-ი-უ-*ი:	ბათქი-ბუთქი	კნაწი-კნუწი,	----------	----------	ჭახი-ჭუხი
მეგრ.	ი-ა	ი-უ-ა-უ	ზიკუ-ზაკუ	კირუ-კარუ	ტირუ-ტარუ	პიტ[უ]-პატუ	ფიჩუ-ფაჩუ
ლაზ.	ა-უ	ა-ა-უ-ა	ჭაკა-ჭუკა	კრანქ-კრუნქ			
	ი-ა	ი-უ-ა-უ	ბრიწუ-ბრაწუ				
სვან.	ი-ა	ი-ი-ა-ა:	ბითქი-ბჳთქა	რიყი-რჳყა	ჭიფხი-ჭაფხა	ტყიგი-ტყაგა	პილტი-პალტა
	ი-უ	ი-ი-უ-უ	ბირი-ბურუ	პირი-პურუ	პიწი-პუწუ	ყირი-ყურუ	ფიჩი-ფუჩუ

ცხრილიდან ჩანს, რომ ქართველურ ენებში რედუპლიცირებულ ფუძეებში ხმოვნური კონტრასტი ერთგვაროვანი არ არის; ასეთი შემთხვევისთვის ისმის კითხვა: საერთოდ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ქართველურ ენათა ეს მონაცემები ერთ პარადიგმაში განვიხილოთ?

სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით რამდენად იდენტურია მეგრულისა და ლაზურის თუნდაც ძალზე მწირი მასალა ქართულ და სვანურ ენებში დადასტურებული მოდელებისა.

მეგრულში ორივე რედუპლიკატი და თავისთავად რედუპლიცირებული ფუძეც ბოლოვდება უ-ზე. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში იკვეცება როგორც პირველი, ისე მეორე სეგმენტის /უ/, რაც მეგრულისათვის დამახასიათებელი /ი/ და /უ/ ხმოვანთა დავიწროვების წესით უნდა აიხსნას: ი/უ > ჷ > Ø: *ჩიმ-ჩამუ < ჩიმუ-ჩამუ, პიტ-პატუ < პიტუ-პატუ, ტირ-ტარუ < ტირუ-ტარუ*... (კარტოზია და სხვ. 2011: 480). სრული ანუ /უ/-ხმოვნიანი ფორმები სემანტიკურად ასახავენ ორი დასრულებული მოქმედების ზედიზედ განმეორებას მოძრაობის მიმართულების ცვლით, ანუ თითოეული რედუპლიკატი შეიცავს ფ ი ნ ი ტ უ რ ო ბ ი ს გაგებას, მაშინ, როცა უ-ს გარეშე, ნეიტრალური ხმოვნით ან ნულით წარმოდგენილი ფორმებს იგივე მნიშვნელობა ენიჭებათ მთლიანი, რედუპლიცირებული ფუძისათვის: *ჩიმ-ჩამ(უ/ჷ/Ø), პიტ-პატ(უ/ჷ/Ø), ტირ-ტარ(უ/ჷ/Ø)*...

მეგრულის ეს კონკრეტული შემთხვევა სხვა ქართველურ ენებში დადასტურებული ასევე *არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციის* ტიპის ანალოგიურია, მხოლოდ *მაერთი ხმოვნის* გარეშე. შდრ.:

ს ვ ა ნ უ რ ი (ლაშხური და ჩოლურული)

ბირი-ბურუ (ჩოლ.) „სულელის ლაპარაკი“

პირი-პურუ //კირ-ი-კურ-უ (ჩოლ.) „უაზრო, ჩქარი, გაუთვებელი ლაპარაკი“

პიწი-პუწუ (ჩოლ.) „ნებიერი გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი ხმით ლაპარაკი“

ფირფი-ფურფუ (ჩოლ.) „უკბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპარაკი“;

ფიჩი-ფუჩუ (ლშხ., ჩოლ.) „ჩურჩული“

ფიცქი-ფუცქუ (ჩოლ.) „განებივრებული გოგო“

ქ ა რ თ უ ლ ი:

ფანცი-ფუნცი[1] - „კაბაკუბა, ჩასაცმელები“ (ქეგლ). შდრ., *ფანცი* „ფარჩა - ერთგვარი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი“

ფერი-ფური „ფერი“ (ქეგლ)

კაბა-კუბა „კაბები, ქალის ტანსაცმელი საერთოდ“ (ქეგლ)

წაღა-წუღა „დაბალყელიანი წაღა“ (ქეგლ)

ხარა-ხურა „ძველი, გამოუსადეგარი ნივთები; ნაყარ-ნუყარი“ (ქეგლ)

ფარჩა-ფურჩა „ნაირნაირი ფარჩა; ფარჩეული“ (ქეგლ)

ჭრელა-ჭრულა „იგივეა, რაც ჭრელ-ჭრელი“. შდრ., *ჭრელჭრელი* „მრავალი ჭრელი; სხვადასხვა ფერისა, ნაირფერი“ (ქეგლ).

ჭია-ჭუა „ჭიები, ჭიაღუა“ (ქეგლ)

ლ ა ზ უ რ ი:

ბრიწუ-ბრაწუ „ფხრეწა“

ღაჭა-ღუჭუ „ერთხმად, ერთდროულად ყველას ლაპარაკი“

წაკარა-წუკურუ „რაც ხელში მოგხვდება ყველაფერი“

ყვილი-ყვალა „ძვალი“

ხვიტი-ხვატა „რაც ხელში მოგხვდება ყველაფერი“

ქჩინი-ქჩვანი „ბებერ-ბებერი“

მჭიფე-მჭუფე „წვრილმანი“

ღალა-ღულა „არეული, მოუწესრიგებელი“

ჭაკა-ჭუკა „ჭრელი, ჯაჭვა, ჯაჭვედა“

ბარა-ბურა „კარტოფილი“

ლაზურის მაგალითებიც არასისტემურობას ავლენს. ზემოგანხილულთაგან შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმეს მიჩნევა ფონოსემანტიკურ ფუძედ: *ბრიწუ-ბრაწუ, ღაჭა-ღუჭუ* (შდრ. მეგრ *ღა/იუჭი: იღაუჭუნა), წაკარა-წუკურუ* ... აქვე შესაძლებელია საუბარი არა მაერთ ხმოვნებზე, არამედ რედუპლიკაციის დროს ს ი ნ ჰ ა რ მ ო ნ ი ზ მ ი ს მოვლენაზე, სვანურის მაგალითები კი ამის პირდაპირი დასტურია.

[1] ანალოგიური წარმოებისთვის შდრ. მეგრ. *პინტი-პანტუ* „ყოველდღიური წვრილმანი“, *პინტი* „უვარგისი ნაჭერი“ (კარტოზია და სხვ. 2011: 460)

მეგრულისა და სვანურის მაგალითები *ხმოვნის ალტერნაციით* მიღებული *ფონოსემანტიკური მნიშვნელობის მქონე უ-ხმოვნიან* ფ უ ძ ე თ ა ს რ უ ლ ი რედუპლიკაციის ნიმუშებია; ლაზურის ერთადერთი მაგალითიც (*ბრიწუ-ბრაწუ*) ამავე პარადიგმაში თავსდება[1], დანარჩენი კი ბგერწერით მოდელებს არ წარმოადგენს, არამედ დუბლირებულ არამოტივირებულ ფუძეებს. ანალოგიური ვითარებაა ქართულის პარადიგმაშიც: აქ წარმოდგენილია როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელები, რომლებიც არ განეკუთვნება ფონოსემანტიკური ლექსიკის ტიპს. აუსლაუტის ხმოვნებიც განსხვავებულია: ინტერპოზიციაში /ი/ და /უ/ ხმოვნების გამოყოფა შეუძლებელია: /ა/-ფუძისეულია, /ი/-სახელობითის ნიშანი. აქედან გამომდინარე, მეგრულის ზემოთ მოხმობილ მაგალითებში ინტერპოზიციურ უ/ჳ- ხმოვანს ვერ მივიჩნევთ ქართული /ა/ და /ი/-ს ან სვანური /ი/-ს ფუნქციურ ფარდად - *მაერთ ხმოვნად.*[2]

მაშასადამე, მაერთხმოვნიან რედუპლიკაციაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ ორ ქართველურ ენაში: ქ ა რ თ უ ლ ს ა და ს ვ ა ნ უ რ შ ი.

ქართულში ორი ტიპის მოდელი გვაქვს. ფუძისეული ხმოვნები ერთგვარი რჩება ძირის რედუპლიკაციის ორივე შემთხვევაში, განსხვავება მაერთ ხმოვანშია:

ქართ.	ა-უ	ა-ა-უ-*ი:	ბათქ-ა-ბუთქ-	კნაწ-ა-კნუწ-	ტკაც-ა-ტკუც	ჭახ-ა-ჭუხ-
		ა-ი-უ-*ი:	ბათქ-ი-ბუთქ-	კნაწ-ი-კნუწ-	ტკაცი-ტკუც	ჭახ-ი-ჭუხ-

თუმცა ფუნქციურ-სემანტიკური სხვაობა -ა- და -ი- მაერთხმვნიან ფუძეებს შორის რთული ასახსნელია.

მაერთხმოვნიანი რედუპლიცირებული მოდელების ანალიზისას იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება:

1. ინტერპოზიციაში /ა/-ხმოვნიან ყველა ფუძეს პარალელური /ი/-ხმოვნიანი ვარიანტი არა აქვს (მაგალითისათვის იხ. ცხრილი), ამ უკანასკნელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია;
2. აღნიშნულ ფუძეებს არა აქვთ ვარიანტები სტრუქტურაში იდენტური ხმოვნებით: *რახარახ-, *ლაწალაწ-, *ბათქაბათქ-[3]...
3. აღნიშნულ ფუძეებს საერთოდ არა აქვთ პარალელური ხმოვანმონაცვლე ვარიანტები მაერთი ხმოვნის გარეშე: **ბაგ-ბუგ-, *ტკაც-ტკუც-, *ბათქ-ბუთქ-...*
4. უგამონაკლისოდ ყველა ფუძეს არა აქვს პარალელური ფორმები სტრუქტურაში;
5. იდენტური ხმოვნებით მაერთი ხმოვნის გარეშე: დასაშვებია: - *ბაგ-ბაგ-, ბაყ-ბაყ-, რაკ-რაკ-, რახ-რახ, კაპ-კაპ-, ჭახ-ჭახ-, ჩქაფ-ჩქაფ-, ლაწ-ლაწ-, თქარ-თქარ-, ჯახ-*

[1] ლაზ. *ბრიწელი/ ბრიწეი/ ბრაწელი* „დაფხრეწილი“ (თანდილავა 2013: 67); *ობრიწუ* „ხევა, ფხრეწა“; *ობრიწაფუ* „მოხევა, მოწყვეტა, მოცილება, ჩამოშორება“ (იგივე, გვ. 592).

[2] მეგრულში ეს არის ბოლოკიდური პოზიცია, რომელიც არასტაბილურია: ი/უ > ჳ > Ø: ტირ-ტარ, ჩიმ-ჩამ. ქართულისა და მეგრულის მონაცემთა სხვადასხვაგავარობას ამტკიცებს მეგრულში არასტაბილური ინტერპოზიციისა და ბოლოკიდური პოზიციის გამომხატველი მაგალითი: *ღიუ-ღაუ // ღივ-ღავი // ღიმ-ღამი* „რიჟრაჟი“; რედუპლიკაციის რიგის შეცვლაც პოზიციურ არამდგრადობაზე მიანიშნებს, რაც, ზოგადად, ქართულის მონაცემებს არ ახასიათებთ: ტარუ-ტირუ (კარტოზია და სხვ. 2011: 460)

[3] აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ საანალიზო ფორმებში ფუძის გაორკეცება და ხმოვანმონაცვლეობა ერთდროულად უნდა მომხდარიყო (დათუკიშვილი 1990: 42).

*ჯახ-, მაგრამ დაუშვებელია: - *ბათქ-ბათქ-, *კნატ-კნატ-, *ტკაც-ტკაც-, *ღრაჭ-ღრაჭ-, *თხლაშ-თხლაშ, *ფხაკ-ფხაკ-, *პაკ-პაკ, *სხაპ-სხაპ-, *წკლაპ-წკლაპ-, *ჩხარ-ჩხარ-, *ჭრაჭ-ჭრაჭ-...*

6. ფუძეთა უმრავლესობას აქვს პარალელური ვარიანტები „შიშველი“ ანუ ლექსიკალიზების შემდგომი საფეხურის აფიქსით გაუფორმებელი ფუძის სახით: *ბათქ-, ლაწ-, ჩხაკ-, ტკაც-, ბახ-, რახ-...*
7. მხოლოდ პირველი, /ა/-ხმოვნიან რედუპლიკატი, დაირთავს *-უნ* ან *-ან* სუფიქსს, როცა /უ/-ხმოვნიანი, რიგით მეორე, რედუპლიკატი არასოდეს ირთავს მათ (იხ. ცხრილი):

ქართ.	ა-უ	ა-ა-უ-*ი:	ბათქ-ა-ბუთქ-	კნაწ-ა-კნუწ-	ტკაც-ა-ტკუც-	ჭახ-ა-ჭუხ-
		ა-ი-უ-*ი:	ბათქ-ი-ბუთქ-	კნაწ-ი-კნუწ-	ტკაცი-ტკუც-	ჭახ-ი-ჭუხ-
		ა-უ	----------	----------	ტკაც-ტკუც-	ჭახ-ჭუხ-
		ა-ა	----------	----------	ტკაც-ტკაც-	ჭახ-ჭახ-
	/ა/	-უნ/-ან	ბათქ-უნ/-ან-	კნაწ-უნ-	ტკაც-უნ/-ან-	ჭახ-უნ/-ან-

8. CVC-V-CVC ტიპის ფუძეებისაგან ზმნის პირიანი ფორმები არ იწარმოება (ქობალავა 1980: 71)[1]. (დაუშვებელია: **რახარუხობს, *არახარუხებს)*; ისინი არ წამოადგენენ „პირველად მასდარებს“ (ჩიქობავა 1942: 218-219), არამედ ამა თუ იმ ხმების გამომხატველი აბსტრაქტულ სახელებს (დათუკიშვილი 1990: 42), რომელთაგან ზმნური ფორმები არ იწაროება[2].

წარმოების თვალსაზრისით პროდუქტიულია რედუპლიცირებული ფუძის პირველი კომპონენტი, სწორედ ის არის წარმოდგენილი სხვადასხვა მორფოსტრუქტურული მოდელით: *შიშველი ფუძით, სადერივაციო ან ფლექსიური სუფიქსით.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო მოდელებში ინტერპოზიციური /ა/ დიაქრონიულად წარმოქმნის ელემენტად მიიჩნევა, ხოლო /ი/ - ფლექსიურ სუფიქსად, ბრუნვის ნიშნად (დათუკიშვილი 1990: 44); თითქოს ლოგიკური ჩანს თვალსაზრისი, რომ რედუპლიკატები ერთ დროს ერთგვაროვანი და ერთჯერადი მოქმედების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ფუძეები ყოფილიყო: **ტკაცა, *ბათქა, *ლაწა...* და მას ახალი სემანტიკა ჰქონოდა თუნდაც „შიშველი“[3] ფუძეებისგან განსხვავებით, მაგრამ ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე ძალზე იშვიათია როგორც მარტივი /-ა/[4], ისე /ი/-სუფიქსიანი

[1] ზმნურ ფორმას ზოგადად ვერ აწარმოებენ ფუძემონაცვლე რდუპლიცირებული სახელები, მაგრამ ზოგჯერ მაინც თუ გვხვდება მსგავსი წარმოება, ნაირფეროვნების სემანტიკა რამდენადმე იჩრდილება: *ბაქიბუქობს* (=ტრაბახობს), *ფაცაფუცობს* (=აჩქარებით საქმიანობს) (ქობალავა 1980: 71 სქ.)

[2] ჩვეულებრივ, მასდარი იწარმოება ზმნისგან: *გრიალებს - გრიალი, კისკისებს - კისკისი...* თუმცა ზმნური ფორმებისთვის ამოსავალი თავად ბგერწერითი შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეულებია, ამ შემთხვევაში „თვით ზმნა ჩანს მასდარისაგან ნაწარმოები... და ეს ხდება იმიტომ, რომ ამ *პირველადს სახელებს* უკვე აქვთ ის მნიშვნელობა, რომელთა გამოსახატავადაც მასდარი იწარმოება... მსგავსი სახელები *მდგომარეობა-მოქმედების აღმნიშვნელი პირველი სახელებია* ანუ პირველადი მასდარებია“ (ჩიქობავა 1942: 218-219). ისინი არ წამოადგენენ ნაზმნარ სახელებს, არამედ „პირველად სახელებს“ || „პირველად მასდარებს“; მათგან იწარმოება თავად ზმნა, ხოლო ზმნისგან ნაწარმოები მასდარი პირველადი სახელის ომოფორმას წარმოადგენს: *გრიალი* (პირველადი მასდარი) - *გრიალებს* (ზმნა) - *გრიალი* (მასდარი) (ჩიქობავა 1942: 218-219).

[3] გრამატიკულად გაუფორმებელი ანუ ძირის სტრუქტურით წარმოდგენილი

[1] ა/ე: *ტყაპა/ტყეპა, ჩხარა/ჩხერა, *ჟღარა/ჟღერა, *ფათქა/ფეთქა, *თქარა/თქერა...*

ფუძეები;[1] მათი სრულ პარადიგმებად პოსტულირება მხოლოდ თეორიულად არის დასაშვები, მაშინ, როცა „შიშველი“ ფუძეები ისევ რეალიზებულია; ამავე დროს, საკმაოდ პროდუქტიულია მარტივი ძირისგან ლექსიკალიზების შემდგომ საფეხურზე სუფიქსაციით მიღებული ოდენობებიც, რომელთაც უსუფიქსო პარადიგმისგან, წარმოების გარდა, განარჩევს სემანტიკა:

ბათქ-	ბათქ-ი[37]*	ბათქ-უნ-ი	ბათქ-ან-ი
ტკაც-	*ტკაც-ი	ტკაც-უნ-ი	ტკაც-ან-ი
წკაპ-	*წკაპ-ი	წკაპ-უნ-ი	წკაპ-ან-ი
ჭყაპ-	*ჭყაპ-ი[38]	ჭყაპ-უნ-ი	*ჭყაპ-ან-ი
თხლაშ-	*თხლაშ-ი	თხლაშ-უნ-ი	თხლაშ-ან-ი
ბრახ-	*ბრახ-ი	ბრახ-უნ-ი	ბრახ[ვ]-ან-ი
ღრაჭ-	*ღრაჭ-ი	ღრაჭ-უნ-ი	*ღრაჭ-ან-ი
ტლაშ-	*ტლაშ-ი	ტლაშ-უნ-ი	*ტლაშ-ან-ი
ტყლაშ-	*ტყლაშ-ი	ტყლაშ-უნ-ი	ტყლაშ-ან-ი
რახ-	*რახ-ი	რახ-უნ-ი	რახ[ვ]-ან-ი
ტყაპ-	*ტყაპ-ი	ტყაპ-უნ-ი	ტყაპ-ან-ი
ლაწ-	*ლაწ-ი	ლაწ-უნ-ი	ტყაპ-ან-ი

„შიშველი“ ფუძეები ზედმიწევნით ასახავენ ბუნებრივ აკუსტიკას; მათი პიველადობა ეჭვს არ იწვევს, ლექსიკალიზება (ფუძის წარმოქმნა) მხოლოდ შემდგომი საფეხური ჩანს. ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ა-ფუძიანი სახელების „გაქრობის“ მიზეზთა ძიება, პირველ რიგში, სვამს საკითხს, რამდენად შეიძლება ყოფილიყო ინტერპოზიციური /-ა/ დერივაციული სუფიქსი[2] ან ინტერპოზიციური /-ი/ ბრუნვის ნიშანი; ხომ არ გაჩნდნენ ისინი თავიდანვე მაერთის ფუნქციით?

---

[1]აუსლაუტის /-ა/ ფუნქციური ელემენტია, საწყისის მაწარმოებელია ან აბლაუტის შედეგად მიღებულ აორისტის ფორმებში მესამე პირის ნიშანია მხოლობით რიცხვში: *ტყაპ- - ტყეპ-ა(MSD): გა-ტყე/იპა (AOR.S3.SG.) ბათქ- - ბეთქ-ვ-ა (MSD): ბეთქა: მი-ბეთქ-ა (AOR.S3.SG.); ლაწ- - ლეწ-ვ-ა: და-ლეწ-ა (AOR.S3.SG.); ტკაც- - ტკეც-ა (MSD): ს-ტკიც-ა (AOR.S3.SG.), თხლაშ- - თხლეშ-ა (MSD): თხლიშ-ა (AOR.S3.SG.)...*

[2] „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (ჯორბენაძე და სხვ. 1988) -ა სუფიქსის ცამეტი სხვადასხვა ფუნქცია არის დასახელებული (გვ.11-20), მათ შორის ერთადერთი განსაზღვრება ახსენებს ხმაბაძვით ძირზე დართული -ა-ს ფუნქციას, თუმცა სხვა მნიშველობით: „-ა სუფიქსმა შეიძლება გამოხატოს რაიმე თვისების მქონებლობა: *ბარბაცა, ბრიალა* (ის, რისთვისაც დამახასიათებელია ბარბაცი, ბრიალი...)“ (იგივე, გვ.14). არც ა. შანიძის „წარმოქმნილ სახელთა კლასიფიკაცია“ გვაუწყებს რაიმეს -ა-ს სადერივაციო აფიქსად მიჩნევის შესახებ ისეთ მაგალითებში, როგორებიცაა: **ბათქ-ა, *ლაწ-ა, *ტკაც-ა.* -ა სუფიქსს ვერც საწყისის მაწარმოებლად მივიჩნევთ, ვინაიდან ამგვარი სახელებისაგან მოქმედების აღმნიშვნელი ფორმები ან *-უნ* სუფიქსის დართვის შემდეგ იწარმოება: *ბათქუნი - ბათქუნებს/ბათქუნობს* (ქეგლ), *ლაწუნი - ლაწუნობს* (ქეგლ), *ტკაცუნი - ტკაცუნობს* (ქეგლ)... ან იდენტურხმოვნიანი ძირების რედუპლიცირების შემდგომ: *ბაგბაგი - ბაგბაგებს* (ქეგლ), *ლაწლაწი - ლაწლაწებს* (ქეგლ), *რახრახი - რახრახებს* (ქეგლ)... -ა საწყისის მაწარმოებლად მაშინ დაჩნდება, როცა აღნიშნული ძირები გადაიქცევა მოქმედების გამომხატველ სახელად; ამგვარი ფუძის სემანტიკური მოდელი იქნება: *მოქმედება + თანმხლები ხმა.* შდრ., ერთი მხრივ, *ტყაპ-, ტყაპატყუპი, ტყაპიტყუპი,* მეორე მხრივ, *ა>ე* აბლაუტით მიღებული *ტყეპა* „სახელი ტყეპს ზმნის მოქმედებისა, – ცემა (ხელით)“ (ქეგლ): *გა-ტყიპ-ა.AOR. S3.SG / მი-ტყეპ-ა.AOR. S3.SG* „ცემა“. *ტყაპუნი: ტყაპუნებს, ატყაპუნებს* „მოქმედება ხმის გამოცემით“.

საკითხის გადასაწყვეტად ს ვ ა ნ უ რ ი ენის მონაცემთა ანალიზი და ქართულთან შედარება ნაწილობრივ ხსნის პრობლემას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სვანურში რედუპლიკაციის *მაერთხმოვნიანი ტიპი* საკმაოდ გავრცელებული ჩანს და იგი პარადიგმას ქმნის გაუფორმებელ, მაერთი ხმოვნების გარეშე რედუპლიცირებულ და სუფიქსაციის გზით მიღებულ ფუძეთა გვერდით:

რისტ	----------	რისტ-რასტ	რისტ-ი-რასტ-ა	
ჭკუიპ	ჭკუიპ-ჭკუიპ	ჭკუიპ-ჭკუაპ	ჭკუიპ-ი-ჭკუაპ-ა	
ჭიხ	ჭიხ-ჭიხ	ჭიხ-ჭახ	----	ჭჷრხ-ჷნ
ბითქ	ბითქ-ბითქ	ბითქ-ბათქ	ბითქ-ი-ბათქ-ა	ბურთქ-უნ
ღრიჭ	ღრიჭ-ღრიჭ	ღრიჭ-ღრაჭ	ღრიჭ-ი-ღრაჭ-ა	ღურჭ-უნ
შკუიფ	შკუიფ-შკუიფ	შკუიფ-შკუაფ	შკუიფ-ი-შკუაფ-ა	შკურფ-უნ
ჩხიკ	ჩხიკ-ჩხიკ	ჩხიკ-ჩხაკ	ჩხიკ-ი-ჩხაკ-ა	ჩხჷრკჷნ

საანალიზო მოდელებში, ქართულისაგან განსხვავებით, *მაერთ ხმოვნად* მხოლოდ /ი/ არის წარმოდგენილი, ხოლო ძირის სტრუქტურებში /ი-ა/ ხმოვნები უპირისპირდებიან ერთმანეთს:

ბითქ-ი-ბათქ-ა (ზს.) „ბათქაბუთქი“
ბიჭკუ -ი-ბაჭკუ-ა (ზს.) „სკდომა-ხეთქვა“
პილტ-ი-პალტ-ა (ჩოლ.) „უაზრო ლაპარაკი ბავშვის, ან დიდი ასაკის გამხდარი ქალის“
რისტ-ი-რასტ-ა (ბქ.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“
რიყ-ი-რაყ-ა (ბზ.), *რიყ-ი-რაყ-ა* (ბქ.) „რახარუხი“
რიჭ-ი-რაჭ-ა (ზს., ქს.) „მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა“
სიტ-ი-სატ-ა (ბქ.) „ლაწალუწი“
შკუიფ-ი-შკუაფ-ა (ზს., ქს.) „ჯოხის დარტყმის ხმა; ბრახვანი“
ჭიფხ-ი-ჭაფხ-ა (ჩოლ.) „კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით“
ჯიჯგ-ი-ჯაჯგ-ა (ლხმ.) „ჯაჯგური“
ჯიჯკ-ი-ჯაჯკ-ა (ლხმ.) „ჯაჯგური; გარტყმის ხმა“ და სხვ.

აღნიშნულ ფუძეებში *ძირისა და აფიქსის ხმოვნები ერთმანეთთან თანხმობაშია*, ფუძის სტრუქტურაში წარმოდგენილია /ი-ი-ა-ა/ ხმოვანთა მიმდევრობა; რიგით მეორე *მაერთი ხმოვანია, ფუნქციურად მაერთებელი კავშირი.* როგორც უკვე აღინიშნა, აუსლაუტის /-ა/, ძირითადად, ძველი სვანური პოეზიის ენაში დაჩნდება და რითმის ზომით არის განპირობებული, ჩვეულებრივ მეტყველებაში კი უმეტესად მოკვეცილია.

თუ სვანურის მაერთი ხმოვანი სემანტიკურად „და“ კავშირის ფარდია, ასევე დასაშვებია ქართულის „მაერთი ხმოვნებისთვისაც“ მაერთის ფუნქციის მინიჭება. მაერთ /ა/ მოვანს „და“ კავშირის ფარდად თვლის ა. კიზირია და გამორიცხავს მის სიტყვაწარმოებით ფუნქციას (კიზირია 1981: 78;) ვარაუდია, რომ ქართულის რედუპლიცირებული ფუძეში მაერთი ხმოვანი /ა/ სწორედ „და“ კავშირის ნაშთია, რედუპლიცირებული ფუძის ამოსავალში „და“-თი შეერთებული კომპოზიტები უნდა გვქონოდა. თანხმოვნის გაცვეთამ კი მხოლოდ

ხმოვნითი ელემენტის დარჩენა და ფუძესთან შეზრდა გამოიწვია[1]. თუმცა ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ამავე პოზიციაში მაერთის ფუნქციით, /ა/-ს გარდა, დაჩნდება /ი/ ხმოვანიც; ამ ფორმებს შორის სემანტიკური მიმართების საკითხი დასადგენია.

ჩვენი აზრით, ქართულის არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციის ამ ტიპში /ა/ ან /ი/ ხმოვანი იმთავითვე მაერთის ფუნქციისა უნდა ყოფილიყო. მათი გაჩენა მარტივ CVC სტრუქტურის ძირებს შორის განპირობებული ჩანს სემანტიკით, რათა გამოეხატა *მოძრაობის მიმართულების ცვლა;* საგულისხმოა, რომ ქართულში მაერთის გარეშე შეერთებული არაიდენტურხმოვნიანი ფუძეები (**ჯაგ-ჯუგ-, *რაკ-რუკ-, *რახ-რუხ-*..) არ დასტურდება. სვანურში კი ორივე მოდელი გვაქვს - მაერთი ხმოვნის გარეშე და მაერთი ხმოვნითაც. თუკი ეს უკანასკნელი პოეზიის ენისთვისაა დამახასიათებელი, მაშინ მაერთი ხმოვნის გარეშე წარმოდგენილი ფორმები უფრო ახალი ჩანს, რადგან პოეზიის ენაში შენარჩუნებულია სვანურის ძველი ვითარება.

ამასთან სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ ამ მოდელებში რედუპლიკაცია და ხმოვნის ალტერნაცია ერთდროულად უნდა მომხდარიყო (დათუკიშვილი 1990: 42), იმავდროულად უნდა გაჩენილიყო მაერთი ხმოვანიც.

მსჯელობის შესაბამისად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. მაერთხმოვნიანი მოდელები ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულსა და სვანურში დასტურდება.
2. მაერთხმოვნიანი რედუპლიცირებული ფუძეების ზოგადი სტრუქტურაა CVC-V-CVC; ფუძის შემადგენელი ძირები ორივე ენაში *დახურული მარცვლით* არის წარმოდგენილი და CVC სტრუქტურისაა.
3. ქართულში *მაერთ ხმოვნად* წარმოდგენილია /ა/ და /ი/ ხმოვნები, სვანურში მხოლოდ -/ი/.
4. მაერთხმოვნიან რედუპლიცირებულ ფუძეში ერთმანეთს უპირისპირდება: ქართულში /ა-უ/, სვანურში - /ი-ა/ ხმოვნები.
5. ფუძის აუსლაუტი ქართულში ფუნქციურ ელემენტს - სახელობითის ნიშანს ირთავს, სვანური კი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, აუსლაუტის /-ა/ ხმოვანი მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება და რითმის ზომით არის შეპირობებული.
6. *მაერთი ხმოვნები* ფუნქციურად მაერთებელი „და“ კავშირის ფუნქციისაა და იდენტური სემანტიკის ორი გაუფორმებელი ანუ „შიშველი“ ფონოსემატიკური ფუძის/ძირის შესაერთებლად გამოიყენება.
7. ხმოვანთა დაპირისპირებით გადმოცემულია მოქმედების განმეორება მოძრაობის მიმართულების ცვლით.
8. მაერთი ელემენტები არაიდენტურხმოვნიან რედუპლიკაციასთან ერთად იმთავითვე უნდა გაჩენილიყო სემანტიკის კარნახით.

[1]აღნიშნული თვალსაზრისი გამორიცხავს ა-ს სადერვაციო აფიქსად მიჩნევას.

მაერთმარცვლიანი რედუპლიკაცია სვანურში

CnVS და CVS სტრუქტურათა დუბლირებითა (resp. კონსონანტური და ვოკალური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) და ინტერპოზიციურად *-მა-* მარცვლის ჩართვით ვიღებთ CnVS + CV + CnVS და CVS + CV + CVS სტრუქტურის რედუპლიცირებულ ფუძეებს[1]:

გ/ჳ ~ მა ~ გ/ჳ:

ბჟჳლ-მა-ბჟჳლ (ბზ., ლშხ.), *ბჟგლ-მა-ბჟგლ* (ბქ., ლნტ.) „განუწყვეტლივ ზუზუნი, ბზუილი, ჟიჟინი, ბჟუილ-ბჟუილი"; *ბღჳლ-მა-ბღჳლ* (ბზ., ლშხ.), *ბღგლ-მა-ბღგლ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „განუწყვეტელი ბღავილი"; *გჳლ-მა-გჳლ* (ჩოლ.) „გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური"; *დღგლ-მა-დღგლ* (ბქ., ჩოლ.) „ხევის ერთიმეორეზე მიყოლებული ხმა; ფხრეწის მრავალგზისი ხმა; ხელის გარტყმის ხმა"; *ზჳლ-მა-ზჳლ* (ჩოლ.) „ზუზუნი"; *თხგლ-მა-თხგლ* (ჩოლ.) „გაბმული სიცილი, ხითხითი"; *ჟღგლ-მა-ჟღჳლ* (ბზ.), *ჟღგლ-მა-ჟღგლ* (ბქ.), *ჟღჳლ-მა-ჟღჳლ* (ლშხ., ჩოლ.) „ბავშვის გაბმული ტირილი; მოთქმა (თავმოყრილი ხალხისა)"; *ჟგლ-მა-ჟჳლ* (ბზ.), *ჟგლ-მა-ჟგლ* (ბქ.), *ჟჳლ-მა-ჟჳლ* (ჩოლ.) „გაბმული ხმაური ყურებში"; *სგლ-მა-სგლ* (ზს., ლნტ.), *სჳლ-მა-სჳლ* (ლშხ.) „სისინი (ქარისა, ტყვიისა, გველისა,...)"; *ყგრ-მა-ყგრ* (ბქ.) „ყვირილი"; ცხგლ-მა-ცხგლ (ბქ.) „შიშხინი მწვადისა"; *ძგჳლ-მა-ძგჳლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ძგგლ-მა-ძგგლ* (ბქ., ლნტ.) „ძლიერი სროლის ხმა"; *ჭყჳლ-მა-ჭყჳლ* (ბზ.), *ჭყგლ-მა-ჭყგლ* (ბქ., ჩოლ.) „ჭყავილი, ჭყვირილი"; *ხჳლ-მა-ხჳლ* (ბზ., ჩოლ.), *ხგლ-მა-ხგლ* (ბქ.) „რახარუხი"...

ი ~ მა ~ ი:

დრიზ-მა-დრიზ (ბქ.), *დრიზ-მა̈-დრიზ* (ლხმ.) „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა"; *დჷრიმ-მა̈-დჷრიმ* (ლხმ.) „ბრაგვანი"; *კილ-მა̈-კილ* (ზს., ლნტ.), *კილ-მა-კილ* (ლშხ., ჩოლ.) „წივილ-კივილი"…

უ/ჳ ~ მა ~ უ/ჳ:

ბღჳლ-მა-ბღჳლ (ჩოლ.) „განუწყვეტელი ბღავილი"; *გჳლ-მა-გჳლ* (ბზ., ლშხ.), *გულ-მა-გულ* (ბქ., ლნტ.) „გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური; *ზულ-მა-ზულ* (ბქ.), *ზჳლ-მა-ზჳლ* (ჩოლ.) „ზუზუნი"; *ჟულ-მა-ჟულ* (ზს.) „ხმაური (ხალხისა, ქარისა...), ქარბუქის ზუზუნი"; *ტულ-მა-ტულ* (ბქ.) „გაბმული ყვირილი"; ღჳლ-მა-ღჳლ (ბზ., ლშხ.), *ღულ-მა-ღულ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ღმუილი"; *ყჳლ-მა-ყჳლ* (ბზ., ლშხ.), *ყულ-მა-ყულ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „გაბმული ყვირილი"; შულ-მა-შულ (ბქ.), შჳლ-მა-შჳლ (ჩოლ.) „ქშინვა"; *ჭულ-მა-ჭულ* (ბქ.) „ჭუილ-წუილი"; *ხულ-მა-ხულ* (ჩბხ.) „რახარუხი"...

წარმოდგენილ სტრუქტურულ მოდელებში რედუპლიცირებული ფუძეების აუსლაუტისეული თანხმოვანი ყველგან სონორია, რაც, ალბათ, მაერთი მარცვლის თანხმოვნითმა (ე. წ. სონორულმა) ელემენტმა მ-მ განაპირობა (ანუ დაიმსგავსა). უნდა ითქვას ისიც, რომ მაერთი მარცვლის ხმოვანი უმეტესად უუმლაუტო ა ხმოვნით არის წარმოდგენილი, რედუპლიცირებული ფუძეების ხმოვნები კი *უ/ჳ* და *გ/ჳ*-ა.

მაერთი მარცვლის ხმოვანი უმლაუტიანი აღმოჩნდა რამდენიმე ფორმაში _ *კილმა̈კილ* „კივილი", *დრიზმა̈დრიზ* „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა", დჷრიმმა̈დჷრიმ „ბრაგვანი", რომელთა შემადგენელი კომპონენტების ძირეული ხმოვანია /ი/. საინტერესოა რამ გამოიწვია აღნიშნული ხმოვნის უმლაუტი, როცა ზემოთ წარმოდგენილ ფუძეთა უმეტესობაში მაერთი მარცვლის ხმოვანი არაპალატალურია?

[1] 1. $C_1 C_2 V_1 S_3 + CV + C_1 C_2 V_2 S_3$, სადაც $C_1 = C_1, C_2 \neq C_2, S_3 = S_3, V_1 = V_2$, 2. $C_1 V_1 S_2 + CV + C_1 V_2 S_2$, სადაც $C_1 = C_1, S_2 = S_2, V_1 = V_2$.

ჩვენი დაკვირვებით: როდესაც კომპოზიტის შემადგენელი ძირები ფონოსემანტიკურია, ფუძეებში კი *უ/უ* და *გ/გ* ხმოვნებია წარმოდგენილი და მაერთად *-მა-* მარცვალი გვევლინება, ამ შემთხვევაში მაერთი მარცვლის ხმოვანი უმეტესად მოკლე ხმოვანია, არაფონოსემანტიკური ძირების შემთხვევაში კი კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტი (ანუ მაერთი მარცვალი) ა/ა ხმოვნით არის წარმოდგენილი (მაგ.: *ხილმახილ* „ხილეული", *გუიზმაგუიზ* „კვირტიანი თხილის ტოტების კონა", *ბიღუმაბიღუ* „ყოველგვარი მტვერი, ნაგავი; ნაგვეულობა", *ტიშმატიშ* „ტილეულობა" და ა. შ.), თუმცა მიზეზი ამ შემთხვევაში არაფონოსემანტიკური ძირები კი არ უნდა იყოს, რადგანაც უმლაუტიანი *-მა-* ფონოსემანტიკურ ფუძეებშიც დადასტურდა (შდრ. *კილმაკილ* „კივილი" , *დრიზმადრიზ* „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა", *დურიმმადურიმ* „ბრაგვანი"), არამედ სწორედ საანალიზო ფუძეებში გამოვლენილი მოკლე ი ხმოვანი, რომელსაც უნდა გამოეწვია ა ხმოვნის უმლაუტი. ზემოთ წარმოდგენილ *გ/გ* და *უ/უ* ხმოვნისშემცვლელ ფუძეებში კი უმლაუტის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს.

სვანურში, როგორც ირკვევა, ძალზე ხშირია *-მა-* მარცვლის ჩართვა ფუძის გაორკეცებისას, რაც, ვ. თოფურიას ვარაუდით (1979: 291), საწარმოებელი თავსართი შეიძლება იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენადაც ვიცით, აღნიშნული მარცვლის შესახებ სხვა არაფერია ნათქვამი. ცხადია, ვიზიარებთ იმ აზრს, რომ *-მა-* ნამდვილად საწარმოებელი თავსართია, თუმცა უნდა აიხსნას, რა ფუნქცია აკისრია მას გაორკეცებულ ფუძეებში და როგორია მისი წარმომავლობა.

მსგავსი ფორმების არსებობა სვანურში აუცილებლად გაგვახსენებს, უპირველეს ყოვლისა, ქართულ - *წარამარა, ხათრიმათრი, ხურდამურდა, გიჟმაჟი, კუჭმაჭი, ქოხმახი* და ა. შ. ფორმებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიღებულია თავკიდური თანხმოვნის ან მარცვლის (თანხმოვან-ხმოვნის) შენაცვლებით, რაღა თქმა უნდა, მსგავსი წარმოების რედუპლიცირებული ფუძეები სვანურშიც გვხვდება (შდრ.: დელემელე (ლშხ.) „ავადმყოფის უგრძნობლად ყოფნა", *ჯაყალმაყალ*[1] (ზს.), *ჯაყაუმაყაუ* (ლხმ., ჩბხ.) „შეშინება (გეშინია-მეშინია-ს ტიპის)", *ცაქუამაქუა* (ლშხ.) „ჭორაობა, ერთი ამბავი, მითქმა-მოთქმა (გითხარი-მითხარი-ს ტიპის)", *ხულდუბულდუ* (ზს.) „ხურდამურდა", *ჯექარმექარ* „ჭორაობა, მითქმა-მოთქმა (*გითხარი-მითხარი*-ს ტიპის)" და ა. შ., თუმცა მახვილი თვალი იმ დიდ განსხვავებასაც დაინახავს, რაც ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ *კილ-მა-კილ, ტულ-მა-ტულ, გულ-მა-გულ...* ტიპის ფუძეებსა და შესადარებლად მოყვანილ ქართულ-სვანურ ფორმებს შორის ვლინდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი *-მა-* მარცვლის შემცველ სვანურ

[1] ცაქუამაქუა და ჯაყალმაყალ ტიპის ფორმებში თავკიდურ თანხმოვანთა თუ მარცვალთა მონაცვლეობა სავსებით ნათელია, რასაც ამოსავალი მარტივი ფუძეების არსებობაც ადასტურებს (შდრ. სვან. *მაყალ/მაყაუ* „შიში" და *მაქუა* „მითხრას" მნიშვნელობით, ეს უკანასკნელი ხშირად იხმარება წყევლის ფორმულებში (მაგ.: *შაუოლუ ჯაქუა*! (ბქ.) „დაწყევლილი იყავი (ზედმიწ. - *შავ-ი-მც გ-ე-თქვ-ა-ს*!)!" და ა. შ.). ზოგი საანალიზო კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტების (მაგ.: დელემელე...) პირველადი მნიშვნელობა კი დღემდე გაურკვეველია, ამიტომ ძნელია ვისაუბროთ თავკიდურ თანხმოვანთა ან მარცვალთა მონაცვლეობაზე. ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა დიფერენცირება ქართულშიც სავსებით შესაძლებელია. ჩვენი აზრით, ქართ. *გიჟ-მაჟ-ი, ქოხ-მახ-ი... < *გიჟ-მა-გიჟ-ი, *ქოხ-მა-ქოხ-ი* ფორმებისაგან, ხოლო *ხათრიმათრი, ხურდამურდა...* ფორმებში აშკარად თავკიდურ თანხმოვანთა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, რასაც *ხათრი, ხურდა...* ფორმათა არსებობაც უჭერს მხარს). რაც შეეხება *წარამარა* ფორმას, მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა უცნობია, ამიტომ გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

რედუპლიცირებულ ფორმებს ვერ მივიჩნევთ გაორკეცების იმ ტიპად, რაც ქართულშიც და სვანურშიც გვაქვს (კერძოდ, გაორკეცება დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით _ შდრ. ერთი მხრივ, ქართ.-სვან. *ხათრიმათრი, ხურდამურდა...*, ჯაყალმაყალ, ცაქუმაქუმა... და, მეორე მხრივ, სვან. *„ბჟგლ-მა-ბჟგლ, გგლ-მა-გგლ, ბღულ-მა-ბღულ* და ა. შ.). როგორც ვხედავთ, სვანურში რედუპლიცირებული ფუძის ორივე სეგმენტის თავკიდური თანხმოვნები იდენტურია, *-მა-* კი მაერთად გვევლინება; ამოსავალი მარტივი ფუძეებიც ცნობილია, რომელთა გამოყენება სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულ *უ-ზარ-მა-ზარ, უ-ჩინ-მა-ჩინ, უ-სწორ-მა-სწორ-ო* (შდრ. ასევე, სვანური *უ-ჭირ-მა-ჭირ-დ* „უწვალებლად (ზედმიწ. _ *უ-ჭირ-ვ-ებ-ლ-ად-მა-ჭირ-ვ-ებ-ლ-ად)”, უ-ღლ-ა-მა-ღლ-ად* „მოუცდელად, ლოდინის გარეშე”... ფორმებიც _ იხ. ქვემოთ!) და ა. შ. ფორმებში მაერთის ფუნქციით გამოვლენილი *-მა-* სწორედ სვანური საანალიზო *-მა-* მარცვლის იდენტური აღმოჩნდეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა დღემდე არც ქართულში ყოფილა[1].

ვინაიდან *-მა-* მარცვალი არაფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებშიც ვლინდება სვანურში, აქედან გამომდინარე, უნდა გაირკვეს, სად რა ფუნქცია და სემანტიკა აკისრია, საკითხის უკეთ გასარკვევად კი პარადიგმის სახით წარმოვადგენთ *-მა-* მარცვლის შემცველ არაფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებს:

პარადიგმა I

ნეიტრალური ლექსიკური ერთეულები (კრებითი სახელების ფუნქციით)	
ბიღუ-მა̈-ბიღუ (ბქ.)	„ყოველგვარი მტვერი, ნაგავი; ნაგვეულობა”
გუიზ-მა̈-გუიზ (ზს.)	„კვირტიანი თხილის ტოტების კონა; კონეულობა”
ტიშ-მა̈-ტიშ (ბქ.)	„ტილეულობა”
ღვნ-მა-ღვნ (ბქ.)	„დღესასწაულები”
შედ-მა-კუედ (ზს., ლშხ.), *შედ-მა̈-კუედ* (ლნტ.), *შედ-მა-შედ* (ლშხ., ჩოლ.)	„ჯამ-ჭურჭელი; ჭურჭლეულობა”
ხილ-მა̈-ხილ (ზს.), *ხილ-მა-ხილ (ქს.)*	„ხილეული, ხილეულობა”
ჯიდ-მა-ჯიდ (ჩოლ.)	„მისატან-მოსატანი; შემოწირულობა”...

პარადიგმა II

ნეიტრალური ლექსიკური ერთეულები (ვითარებითი ზმნისართების ფუნქციით[39])	
უ-გნ-ა-მა-გნ-ად (ბქ., ჩოლ.)	„ადრიანად, დილაუთენია”
უ-ღლა-მა-ღლა-დ (ზს., ქს.)	„მოუცდელად; ლოდინის გარეშე”
უ̄-ზნ-ა-მა̄-ზნ-ად (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *უ-ზნ-ა-მა-ზნ-ად* (ბქ., ლნტ.)	„მიუსვლელად, წაუსვლელად”
უ̄-ქუ̄-ა-მა̄-ქუ̄-ად (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *უ-ქუ̄-ა-მა-ქუ̄-ად* (ბქ.)	„უთქმელად; მოულოდნელად, უცაბედად”
უ-ცხ-ა-მა-ცხ-ად (ბქ.)	„გაუზრდელად”
უ-ცხიდ-ა-მა-ცხიდ-ად (ბქ.)	„დაუწუნებლად”
უ-წს-ა-მა-წს-ად (ბქ.)	„დაუპატიჟებლად”
უ-ჭირ-მა-ჭირ-დ (ბქ.)	„უწვალებლად, გაურჯელად”
უ-ხალ-მა-ხალ-დ (ბქ.)	„უცოდინრად”
უ-ჯგრ-ა-მა-ჯგრ-ად (ბქ.)	„უკურთხებლად”...

[1]ჩვენი ვარაუდით, აღნიშნულ მარცვალს ქართველურ ენებში სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, თუმცა მეგრულ-ლაზურში მისი კვალი არ ჩანს, ქართულში კი ნაშთის სახით არის შემორჩენილი.

ვფიქრობთ, პირველ პარადიგმაში მოცემულ მასალაში *-მა-* მარცვალი კრებითობას გამოხატავს და ქართული *-ობა-* სუფიქსის ტოლფარდია (შდრ. ქართ. *ხილეულობა, ტკბილეულობა, ჭურჭლეულობა* და ა. შ.), რაც შეეხება მეორე პარადიგმაში წარმოდგენილ მასალას, იქ *-მა-* აშკარად მაწარმოებელი აფიქსია, თუმცა გასარკვევია რისი მაწარმოებელია და რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს მას რედუპლიცირებულ ფუძეებში.

პრეფიქსი *მა-* სვანურში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფუნქციით დასტურდება, კერძოდ:

1. აწარმოებს განყენებულ (ე. წ. აბსტრაქტულ) სახელებს _ *მა-ლატ* „სიყვარული", *მა-ხალ* „ცოდნა; ეშმაკობა", *მა-ყალ* „შიში", *მა̈-ზიგ/მა-ზიგ* „ტკივილი; სნეულება", *მა-მჭირ/მა-მა̈ჭირ* „სიზარმაცე", *მა-ჟარ* „მოწყენა", *მა̈-გიდ* „ძილი" და სხვ.

2. *მა-* საშუალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი თავსართია _ *მა̈-შა̈დ/მა̈-შედ* „მაშველი", *მა-ჟოღ/მა-ჟოღუ̈* „გამძღოლი", *მა-ჯა̈დ/მა-ჯედ/მა-ჯად* „მოსავალი", *მა-ზუ̈ა̈ბ/მა-ზუ̈აბ/მა-ზუ̈ებ* „წყარო (ზედმიწ. _ ამომსვლელი, ამომავალი)", *მა-შა̈ნ/მა-შან* „ნაყოფი, რაც ასხია)" და მისთ. (თოფურია 1967: 212-215).

ვფიქრობთ, *უ-ჭირ-მა-ჭირ-დ* ტიპის ფუძეებში (შდრ., ასევე, ჩოლ. *ტიხ-მა-ტიხ* „ნათხოვარი ნივთების დაბრუნება (ზედმიწ. _ ბრუნება-მობრუნება)", ბქ. *გუჟიმატახ*, ჩოლ. *გუჟიმატიხ* „გულძმარვა (ზედმიწ. _ გულ-ზე ამობრუნება, მაბრუნება)"...) და, შესაბამისად, *კილ-მა-კილ* ფორმებში მაერთად გამოვლენილი *-მა-* გენეტიკურად საშუალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი უნდა იყოს, თუმცა *კილ-მა-კილ, ტულ-მა-ტულ, დრიზ-მა̈-დრიზ* და ა. შ. რედუპლიცირებულ ფორმათა მეორე სეგმენტი _ *მა-კილ, მა-ტულ, მა̈-დრიზ*, როგორც ცალკე აღებული ლექსიკური ერთეული, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, სვანურში არ გამოიყენება.[1]

ჩვენი ვარაუდით, *-მა-* მარცვალი, რომელიც ინტერკონსონანტურ პოზიციაში ჩნდება გვევლინება სვანურში და რომლის კვალი ქართულ არაფონოსემანტიკურ ფორმებშიც არცთუ ისე იშვიათად ჩანს, მარედუპლიცირებელი (ანუ „ფუძეთგამყარი") აფიქსი უნდა იყოს, მისი ჩართვა რედუპლიცირებულ ძირებს შორის, ცხადია, სემანტიკურ ცვლილებასაც იწვევს (შდრ., ერთი მხრივ, *კილ-კილ* „კივილი (ზედმიწ. _ *კივ-ილ-კივ-ილ-ი*)", *გჳლ-გჳლ* „ყმუილი (ზედმიწ. _ ყმუილ-ყმუილი)", *დრიზ-დრიზ* „ხელის გარტყმის ხმა (ზედმიწ. _ *დრუზ-ვ-ა-დრუზ-ვ-ა*)"... და, მეორე მხრივ, *კილ-მა̈-კილ* „წივილ-კივილი", *გჳლ-მა-გჳლ* „ყმუილი", *დრიზ-მა̈-დრიზ* „ხელის გარტყმის ხმა" და სხვ.), მისი საშუალებით მრავალგზისი და, ასევე გაბმული ხმიანობა გადმოიცემა (სემანტიკური ცვლილების შესახებ იხ. ქვემოთ).

---

[1]სვანური ენის დიალექტებში *კილ-მა-კილ, წკულ-მა-წკულ, გუ̈ლ-ნა-გუ̈ლ* და ა. შ. ფორმების პარალელურად დაფიქსირდა *კილ-ნა-კჳლ* (ჩოლ.) „წივილ-კივილი (ზედმიწ. — კივ-ილ-ი ნა-კივ-ლ-არ-ი)", *წკულ-ნა-წკუ̈ლ* (ჩოლ.) „წკმუილი (ზედმიწ. _ წკმუილ-ი-ნა-წკმუილ-არ-ი)", *გუ̈ლ-ნა-გუ̈ლ* (ჩოლ.) „ყმუილი (ზედმიწ. _ ყმუილი ნაყმუილარი)"... ტიპის ფორმები, სადაც *-ნა-* წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსია. ამ ფორმების არსებობამ კი გვავარაუდებინა მარცვლისეულ *მ/ნ* (ე. წ. სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, რაც ძალზე გავრცელებული ფონეტიკური პროცესია სვანურში (შდრ. *უნბილ/უმბილ* „უნებლიე", *ანბაჳ̈/ამბაჳ̈* „ამბავი"...), თუმცა *-მა-* მარცვლიანი არაფონოსემანტიკური ფორმებისა და, ამასთანავე, *მა̈-შედ, მა-ჯა̈დ*... ტიპის მიმღეობური ფორმების არსებობამ, ეს ვარაუდი ეჭვქვეშ დააყენა.

მაერთმარცვლიანი რედუპლიცირებული ფუძეების პარალელური ვარიანტები:

ბჟგლ	*ბჟგლ-ბჟგლ*	*ბჟგლ-მა-ბჟგლ*	-
ბღგლ	*ბღგლ-ბღგლ*	*ბღგლ-მა-ბღგლ*	-
ბღულ	*ბღულ-ბღულ*	*ბღულ-მა-ბღულ*	-
გულ	*გულ-გულ*	*გულ-მა-გულ*	-
გგლ	*გგლ-გგლ*	*გგლ-მა-გგლ*	-
დრიზ	*დრიზ-დრიზ*	*დრიზ-მა-დრიზ*	-
დურიმ	*დურიმ-დურიმ*	*დურიმ-მა-დურიმ*	-
დღგლ	*დღგლ-დღგლ*	*დღგლ-მა-დღგლ*	-
ზულ	*ზულ-ზულ*	*ზულ-მა-ზულ*	-
ზგლ	*ზგლ-ზგლ*	*ზგლ-მა-ზგლ*	-
თხგლ	*თხგლ-თხგლ*	*თხგლ-მა-თხგლ*	-
კილ	*კილ-კილ*	*კილ-მა-კილ*	-
ჟულ	*ჟულ-ჟულ*	*ჟულ-მა-ჟულ*	-
ჟღგლ	*ჟღგლ-ჟღგლ*	*ჟღგლ-მა-ჟღგლ*	-
ჟგლ	*ჟგლ-ჟგლ*	*ჟგლ-მა-ჟგლ*	-
სგლ	*სგლ-სგლ*	*სგლ-მა-სგლ*	-
ტულ	*ტულ-ტულ*	*ტულ-მა-ტულ*	-
ღულ	*ღულ-ღულ*	*ღულ-მა-ღულ*	*ღურმუნ*
ყულ	*ყულ-ყულ*	*ყულ-მა-ყულ*	-
ყგრ	*ყგრ-ყგრ*	*ყგრ-მა-ყგრ*	-
შულ	*შულ-შულ*	*შულ-მა-შულ*	-
ცხგლ	*ცხგლ-ცხგლ*	*ცხგლ-მა-ცხგლ*	-
ძგგლ	*ძგგლ-ძგგლ*	*ძგგლ-მა-ძგგლ*	-
ჭულ	*ჭულ-ჭულ*	*ჭულ-მა-ჭულ*	-
ჭყგლ	*ჭყგლ-ჭყგლ*	*ჭყგლ-მა-ჭყგლ*	*ჭყგრმგნ*
ხულ	*ხულ-ხულ*	*ხულ-მა-ხულ*	-
ხგლ	*ხგლ-ხგლ*	*ხგლ-მა-ხგლ*	-

მაერთმარცვლიან ყველა რედუპლიცირებულ ფუძეს გააჩნია *მარტივი* (ე. წ. *შიშველი) ფუძე (ბჟგლ, ბღგლ, ზგლ, ხგლ...)* და პარალელურად იდენტურხმოვნიანი, მარტივი სტრუქტურის მქონე ვარიანტები (*ბჟგლ-ბჟგლ, ძგგლ-ძგგლ, ჭყგლ-ჭყგლ...*). რაც შეეხება *-უნ/-უნ* და *-გნ/-გნ-* სუფიქსებით ნაწარმოებ რედუპლიცირებულ ფორმებს, წარმოდგენილი მოდელიდანაც ნათლად ჩანს, რომ ისინი იშვიათად იწარმოებიან (*ჟღგრმ-გნ, ღურმ-უნ, ჭყგრმ-გნ*).

რა თქმა უნდა, ზემოთ წარმოდგენილ პარალელურ ვარიანტებს შორის სემანტიკური სხვაობაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად თვალშისაცემია:

1. *კილ-კილ, გგლ-გგლ, დრიზ-დრიზ* და ა. შ. ფორმები გამოხატავენ რაიმე თანმიმდევრულ, წყვეტილ მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას; ეს მოქმედება კი, ერთი შეხედვით, თითქოს ერთჯერად მოქმედებას მოგვაგონებს.

2. რაც შეეხება *კილ-მ̈-კილ, გჳლ-მა-გჳლ, დრიზ-მ̈-დრიზ* და მისთ. ფორმებს, ისინი ერთდროულად გამოხატავენ მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას. *კილ-კილ* ტიპის ფორმათაგან განსხვავებით, *-მ̈-* მარცვლიანი რედუპლიცირებული ფორმები მრავალჯერად ანუ მრავალგზის, უწყვეტ მოქმედებას გამოხატავენ[1].

სვანური ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ რედუპლიცირებულ ფუძეებში შეერთება უმეტესად უკავშიროა, თუმცა გამონაკლისები მაინც იჩენს თავს და უკავშირო ფუძეგაორკეცებული ფორმების პარალელურად „მაერთხმოვნიანი" ვოკალური ალტერნაციაც დასტურდება და „მაერთმარცვლიანიც" სხვადასხვა ფუნქციით. მაერთ ხმოვნად წარმოდგენილ *-ი-*ს, რომელიც ორ განსხვავებულ სტრუქტურულ მოდელში დაჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში აერთიანებს დახურული მარცვლით წარმოდგენილი დუბლირებული (ანუ კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) ძირის სტრუქტურებს (*ფიც-ი-ფუც-უ, ფირფ-ი-ფურფ-უ, ყირტ-ი-ყურტ-უ...; ბითქ-ი-ბ̈თქ-ა, ძგუიბ-ი-ძგუ̈ბ-ა, ჯიჯგ-ი-ჯაჯგ-ა...*), მას მაინც სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა, კერძოდ: ერთ შემთხვევაში *-ი-*ს მივიჩნევთ სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მეორე შემთხვევაში კი, საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით, მაერთებელ კავშირად, რომელიც ფუძეს შეერწყა და თანდათანობით დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა.

უნდა ითქვას ისიც, რომ საანალიზო სტრუქტურულ მოდელებში (ვგულისხმობთ ზემოთ წარმოდგენილ სამივე სტრუქტურულ მოდელს, ე. ი. *-ი-* ხმოვნითა და *-მა-* მარცვლით ნაწარმოებ ფორმებს) ერთი მეორეს არ ცვლის, ანუ *-მა-* მარცვალს არ შეიძლება ჩაენაცვლოს მაერთი *-ი-* და, პირიქით, მაერთ *-ი-*ს არ ჩაენაცვლება *-მა-* მარცვალი (დაუშვებელია *ბჟგლ-მა-ბჟგლ* ფორმის ნაცვლად *ბჟგლ-ი-ბჟგლ-ა* ან *ყირტ-ი-ყურტ-უ-ს* ნაცვლად *ყირტ-მა-ყურტ-უ* და მისთ.), არც ორ სხვადასხვა სტრუქტურულ მოდელში მაერთ ხმოვნად გამოვლენილი *-ი-* ენაცვლება ერთმანეთს ანუ ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ცხადია, „მაერთხმოვნიან" და „მაერთმარცვლიან" რედუპლიცირებულ ფუძეებს შორის სემანტიკური სხვაობაც ხელშესახებია და ამ სემანტიკურ სხვაობას სწორედ მაერთი *-ი-* და *-მა-* იწვევენ, რომელთა მეშვეობით ახალი ბგერწერითი რიგები ჩამოყალიბდა სვანურში.

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (*ი ~ ა, ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ*) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფონოსემანტიკური ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა *ი ~ ა* ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები. როგორც ი. მელიქიშვილი მიუთითებდა, „მეგრულსა და სვანურში /*ი – ა*/ კონტრასტი არის გამოყენე-

[1]ჩვენ მიერ განხილულ ყველა ტიპის რედუპლიცირებულ ფორმათა გამოყენებას ხშირად კონტექსტიც განსაზღვრავს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი, ძირითადად, მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში გამოიყენება: *კილ-ˈკილˈ ენკიდ* „დაიკივლა (ზედმიწ. _ *კივ-ილ-კივ-ილ-ი აიღო*)", მაგრამ *ჩუ ხოგ კილ-მ̈-კილ* „ერთი ამბავი აქვს, გაჰკივის (ზედმიწ. _ *ქე უ-დგ-ა-ს წივილ-კივილი)"; დრიზ-ˈდრიზˈ ახღანე* „დაარტყა (ზედმიწ. _ *დრუზ-ვ-ა-დრუზ-ვ-ა გაადინა*)", მაგრამ *ჩუ ხოგხ დრიზ-მ̈-დრიზ* „აქვთ ერთი ამბავი, ჩხუბობენ მუშტებით (ზედმიწ. _ *ქე უ-დგ-ა-თ დრუზ-ვ-ა)*"; *სგუიჭ-ˈსგუიჭˈ ენკიდ* „გასროლის ხმა მოისმა (ზედმიწ. _ ჭახანი აიღო)", მაგრამ *ჩუ ხოგ სგუიჭ-სგუ̈ჭ* „ისვრის განუწყვეტლივ (ზედმიწ. _ *ქე უ-დგ-ა-ს ჭახან-ჭახანი)*" და ა. შ. ცხადია, ფორმათა სპონტანური ჩანაცვლება ერთგვარ დისონანსს შეიტანს სვანურ ფონოსემანტიკურ სისტემაში, ამიტომ კონტექსტის გათვალისწინება ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ბული ევროპულ ენათა მსგავსად და ქართულისაგან განსხვავებით" (მელიქიშვილი 1999: 86). *ა ~ უ* ხმოვანთმონაცვლეობა კი, რომელიც ძალზე ხშირია ქართულში, იშვიათობაა სვანურში. ასევე, იშვიათად გვხვდება *ი ~ უ, ა ~ ი* და *ი ~ გ* დაპირისპირება. რაც შეეხება საშუალო აწეულობის */ე – ო/* ხმოვნებს, ისინი, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ამ სახის ბგერითი შინაარსის გადმოსაცემად, ამიტომ ი. მელიქიშვილი აყალიბებს წესს, რომელსაც, სავარაუდოდ, უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს: „თუ არარეგულარული მოქმედება/ხმიანობის გადმოსაცემად ენაში ხმოვნითი ალტერნაცია არის გამოყენებული, ეს პირველ რიგში მაღალი _ დაბალი აწეულობის ხმოვანთა მაქსიმალურად კონტრასტული დაპირისპირება იქნება (*ი ~ ა, უ ~ ა*)" (იქვე).

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში არა მხოლოდ მაღალი _ დაბალი აწეულობის ხმოვანთა კონტრასტული დაპირისპირება გვაქვს, არამედ მაღალი აწეულობის */ი – უ – გ/* ხმოვანთა დაპირისპირებაც (ი ~ უ, ი ~ გ).

რედუპლიცირებულ ფუძეთა უმეტესი ნაწილი კავშირის გარეშეა წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც უკავშირო ფუძეგაორკეცებული ფორმების პარალელურად „მაერთხმოვნიანი" ვოკალური ალტერნაციაც დასტურდება და *მაერთმარცვლიანიც* სხვადასხვა ფუნქციით.

ფონოსემანტიკურ ფუძეთა აფიქსაცია ქართველურ ენებში

რედუპლიკაციასთან ერთად აფიქსაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფონოსემანტიკური ფუძეების შენებაში, აღნიშნული საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, გაანალიზებულია ქართული და მეგრული ენების მონაცემებზე დაყრდნობით. ქართველური ენების ფონოსემანტიკურ ფუძეთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს ამ ტიპის ლექსიკასთან დაკავშირებით ვიმსჯელოთ აფიქსაციის სხვადასხვა ტიპზე: სუფიქსაციასა და ინფიქსაციაზე.

1. სუფიქსაცია: $(CV) / (CV)^2 + VC_{Suf}$-; $(CVC) / (CVC)^2 + VC_{Suf}$-

2. ინფიქსაცია: $(CVC)+V_{Inf}+(CVC)$-

აღნიშნული ელემენტები დერივანტებია, რომლებიც ფუძის ლექსიკალიზებაში მონაწილეობენ; ფუძე კი დიაქრონიული მონაცემია, რომელიც ქართველური ენების განვითარების სინქრონიულ დონეზე დაუშლელად ფუნქციონირებს, ვინაიდან სწორედ მას უკავშირდება ლექსიკური მნიშვნელობა; რაც შეეხება დერივაციულ აფიქსებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სემანტიკის (ქონების, დანიშნულების, სადაურობის...) წარმოქმნაში, უკავშირდება, ამ ფუძეებს გარეთ რჩება; ზემოთ მოყვანილ ფორმულებს გარეთ იწყება გრამატიკალიზებაც - ფუნქციური ელემენტების დართვა;

ფონოსემანტიკურ ძირებს დართული აფიქსების სტრუქტურაა: -S, -V-, -VS, CVC *(-მან)*; სუფიქსაციის ზოგადი, უნივერსალური წესიდან გამომდინარე, „სიტყვის სტრუქტურა თანხმობაშია ძირისა და მარცვლის სტრუქტურასთან. ძირისა და სიტყვის სტრუქტურათა ურთიერთკავშირსა და ერთი კანონზომიერებით შეპირობებულობას მოწმობს ის, რომ თუ ენაში ძირის კანონიკურ ფორმას ღია მარცვალი (CV) წარმოადგენს, მაშინ აფიქსებსაც ასეთივე ფორმა აქვთ და შედეგობრივი ფორმა-სიტყვა კვლავ ღია მარცვალთა შეერთების

სახეს იღებს: CV-CV..., ხოლო თუ ენაში ძირის კანონიკურ ფორმას დახურული მარცვალი წარმოადგენს (CVC), მაშინ სუფიქსური მორფემის ფორმაც დახურული მარცვალია (-VC) და შედეგობრივი ფორმა-სიტყვაც დახურულ სტრუქტურას წარმოადგენს: CVC-VC... (მელიქიშვილი 1980: 59. სქ.); აღნიშნული კანონზომიერება ამოსავალია ჩვენი ანალიზისას.

ღია მარცვლის შემთხვევაში S < *VS-საგან, როგორც ეს ქართული და მეგრული ენების ფონოსემანტიკურ ძირთა რედუპლიკაციაზე მსჯელობისას გამოჩნდა და ითვლება VC სტრუქტურის ალომორფად (ი. ქობალავა); -V- - მაერთი ხმოვანია, რომელიც დაჩნდება დახურულმარცვლიანი ძირების რედუპლიკაციისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ფუნქციაა ბაზისა და რედუპლიკატის გადაბმა.

რაც შეეხება -V+VC სტრუქტურის *-ი-ალ* დაბოლოებას, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი დერივანტია ქართული ფონოსემანტიკური ფუძეებისთვის და მეგრულსა და ლაზურშიც გვხვდება, ჩვენი კვლევით სხვაგვარი ინტერპრეტაცია ეძლევა.

ფონოსემანტიკურ სიტყვათა სუფიქსური წარმოება ქართულში

ქართულში ფონოსემანტიკურ სიტყვათა გარკვეული ნაწილი იწარმოება ერთმარცვლიან ფუძეზე VC სტრუქტურის *-ან, -უნ ,-ინ* სუფიქსთა დართვით:

1. *-ან* სუფიქსი ძირს იმ შემთხვევაში დაერთვის, როცა ფუძეში გვაქვს /ა/ ხმოვანი (ფ. ერთელიშვილი, ი. ქობალავა, ქ. დათუკიშვილი...): *ბრაგვ-ან-ი, ზღართ-ან-ი, ლაწ-ან-ი, ტკაც-ან-ი, ბრახვ-ან-ი, ტყაპ-ან-ი, ჭყაპ-ან-ი, წკაპ-ან-ი, ჩახ-ან-ი, ფხაკ-ან-ი, თქაფ-ან-ი, თხლაშ-ან-ი, ტყლაშ-ან-ი, ფხაჭ-ან-ი, ღრაჭ-ან-ი, ტლაშ-ან-ი ... „/ა/ ხმოვნიანი ძირებისაგან* -ან სუფიქსიანი წარმოება შედარებით ახალი ჩანს და აღნიშნული ტიპის ყველა ძირს ეს ფორმა არ განუვითარებია“ (ქობალავა1980: 70); ამგვარი ფორმები ჩვეულებრივ გამოხატავენ ერთჯერად, შეწყვეტილ, მომენტობრივ მოქმედებას, რომელიც უკავშირდება დაცემის, დაღვრის, რაიმეში ჩავარდნის და მისთ. ხმას.

2. *-უნ* სუფიქსი გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ფუძეში დაჩნდება /უ/ ან /ა/ ხმოვანი[1] (გ. დეეტერსი, ბ. ფოჩხუა, ი. ქობალავა, ქ. დათუკიშვილი...): *ბაგ-უნ-ი, ბათქ-უნ-ი, ლაწ-უნ-ი, შლაგ-უნ-ი, ხათქ-უნ-ი, ხრაშ-უნ-ი, დგაფ-უნ-ი, ჯახ-უნ-ი, რაკ-უნ-ი... ბუხ-უნ-ი, ბურტყ-უნ-ი, პურტყუ-ნ-ი, ჩხუტ-უნ-ი, ღრუტ-უნ-ი, ფრუტ-უნ-ი, კრუტ-უნ-ი, ჭყაპ-უნ-ი, ჩხაკ-უნ-ი, ხრაგ-უნ-ი, ხრამ-უნ-ი, ხრაშ-უნ-ი*[2]*...* „ასეთი სახელები, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ გაბმულ ხმას (შესაბამისად მისი გამომწვევი მოქმედების დიურატიულობას“ (ქობალავა 1980: 69); ამგვარი ფორმები ორმაგ მოქმედებას გამოხატავენ: ცემა, დარტყმა, მტვრევა, გასროლა, რისამე გადაადგილება, სიარული, ჭამა, რისამე მოძრაობა თანმხლები ხმით; შედარებით იშვიათად აღნიშნავენ სპეციფიკური მანერით შესრულებულ მოქმედებას, რომელშიც ხმის გამოცემა აქცენტირებული არ არის: *ბლაყ-უნ-ი, გლას-უნ-ი, პაჭ-უნ-ი, პრატ-უნ-ი, ბაჩ-უნ-ი, ჩლახ-უნ-ი* (ქობალავა 1980: 68).

---

[1]გამონაკლისად შეიძლება დავასახელოთ ხევს. *ჭიქუნ-* იხ. *ჭიქვინებს /ჭიქუნებს, ჭიქუნ* იცის (ჭინჭარაული 2005).

[2] -ან//-უნ მონაცვლეობა არ გვაქვს მოქმედების სახელებთან, რომლებიც ხმას არ გამოსცემენ. აქ შემოვა ასევე სახელისაგან ნაწარმოები ზმნები: *ბაჩუნი, ბზაკუნი, ბლატუნი, ზაზუნი, პაჭუნი, თათუნი, ლაჯუნი, ლაყუნი* (ქობალავა 1980: 7).

3. *-ინ* სუფიქსი ძირს დაერთვის მაშინ, როცა ფუძეში გვაქვს /ი/ (ი. ქობალავა, ქ. დათუკიშვილი), *ბრიგ-ინ-ი, შლიგ-ინ-ი, ჯლიგ-ინ-ი, ხრიგ-ინ-ი, ლიწ-ინ-ი, შხიფ-ინ-ი, რიწკ-ინ-ი, ჭყიპ-ინ-ი, წრიპ-ინ-ი, ტლიკ-ინ-ი, ჭყვიტ-ინ-ი, ხრიგ-ინ-ი...* იშვითად /ო/ ხმოვანი (გ. დეეტერსი, ი. ქობალავა, რ. აბაშია...): *ზოზ-ინ-ი, სლოკ-ინ-ი, პოტ-ინ-ი, ჭყლოპ-ინ-ი, ხროტ-ინ-ი, ქლოშ-ინ-ი, ქოშ-ინ-ი, ბოყ-ინ-ი, სლოკ-ინ-ი, ყროყ-ინ-ი, ხროტ-ინ-ი, ჯლოყ-ინ-ი...* აღნიშნული ფორმებიც ორმაგი სემანტიკისაა, ისინი ერთდროულად გამოხატავენ მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად გამოწვეული ხმას, რომელიც განმეორებადი და მრავალჯერადია.

4. ბ. ფოჩხუა ასახელებს აგრეთვე *-ურ* დაბოლოებიან „პირველად საწყისებს": *ბჟუტ-ურ-ი, ჯაჯგ-ურ-ი* (ფოჩხუა 1974: 99). მაგალითებს დავამატებთ: *პანტ-ურ-ი, ფაფხ-ურ-ი.* სუფიქსის ასიმილაციით (-ურ <-უნ) მიღებულად მიგვაჩნია შემდეგი ფორმები: *ჩუჩხ-ურ-ი < ჩუჩხ-უნ-ი, ჭუჭყ-ურ-ი < ჭუჭყ-უნ-ი, ჯუჯღ-უნ-ი < ჯუჯღ-უნ-ი...*

ვინაიდან ღია მარცვლის რედუპლიკაციაზე მსჯელობისას ამოსავლად მივიჩნიეთ ი. ქობალავას თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, „განხილული ფუძეებისათვის სავსებით შესაძლებელია ამოსავლად ღია მარცვლების დაშვება. შესაბამისად, *-ნ* დაბოლოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაწარმოებელი, რომელიც გვევლინება VC (*-უნ, -ან, -ინ*) ტიპის მაწარმოებელ ალომორფად ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან. მაშასადამე, აღნიშნული ტიპის ფუძეთა მორფონოლოგიური სტრუქტურა... შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც CV+CV+C" (ქობალავა 1980: 75), ამიტომ სახელთა ტიპში ოდენ -C (< *VC) სტრუქტურის სუფიქსი გამოვყავით:

*-უნ > -ნ: *გუგუ-ნ-ი, დუდუ-ნ-ი, ზუზუ-ნ-ი, კუკუ-ნ-ი ...*

*-ან > -ნ: *ქაქა-ნ-ი, კაკა-ნ-ი, ჭაჭა-ნ-ი ...*

*-ინ > -ნ: *კიკი-ნ-ი, ჭიჭი-ნ-ი, ჭიჭყი-ნ-ი, სისი-ნ-ი, ტიტი-ნ-ი, ციცი-ნ-ი, ხიხი-ნ-ი ...*

როგორც რედუპლიკაციაზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, *კაკანი, ყიყინი* - ტიპის ფონოსემანტიკური სიტყვები მიღებულია დახურული მარცვლების გაორკეცებით, რომლის შედეგადაც პირველი კომპონენტის ბოლოკიდური /ნ/ იკარგება, ე. ი. ამოსავალში უნდა ვივარაუდოთ კაკან- < *კანკან- გადასვლა (იხ. შანიძე 1930: 63, ნაისერი 1953: 134-135, თოფურია 1979: 296-297, ერთელიშვილი 1970: 209, სანიკიძე 1977: 60-61).

ქართული ფუძეების მეგრულის მასალასთან შედარება-შეპირისპირება ამგვარ ინტერპრეტაციის დასაშვებს ხდის, თუმცა მხოლოდ ფუძეთა გარკვეული ნაწილისათვის, კერძოდ, იმ ნაწილისათვის, რომლებშიც ქართული მასალის შესაბამის მეგრულ ფუძეებში ძირი დახურული მარცვლით არის წარმოდგენილი:

ქართული	მეგრული	ქართული	მეგრული
დიდღინ-ი	*დღირ-დღინ-ი*	*დუდღუნ-ი*	*დღურ-დღინ-ი*
ტიტყინ-ი	*ტყირ-ტყინ-ი*	*ტუტყუნ-ი*	*ტყურ-ტყინ-ი*
ჩიჩხინ-ი	*ჩხირ-ჩხინ-ი*	*ჩუჩხუნ-ი*	*ჩხურ-ჩხინ-ი*
თითხინ-ი	*თხირ-თხინ-ი*	-	*თხურ-თხინ-ი*
ჯიჯღინ-ი	*ჯღირ-ჯღინ-ი*	*ჯუჯღუნ-ი*	-
ჭიჭყინ-ი	*ჭყირ-ჭყინ-ი*	*ჭუჭყუნ-ი*	-

ამავე რიგისად უნდა ჩავთვალოთ სხვა ფორმებიც, რომელთა აუსლაუტში ფუძისეული ხმოვნის შესაბამისად სხვა სონორი დაჩნდება:

ქართული	მეგრული
დადღან-ი	დღარ-დღალ-ი
ტატყან-ი	ტყარ-ტყალ-ი
ჩაჩხან-ი	ჩხარ-ჩხალ-ი
თათხან-ი	თხარ-თხალ-ი
ჯაჯღან-ი	ჯღარ-ჯღალ-ი
ჭაჭყან-ი	ჭყარ-ჭყალ-ი

5. ფონოსემანტიკური ფუძეების ერთი რიგი იწარმოება *-ირ, -არ, -ურ, -ალ, -ილ, -ულ* სუფიქსებით; აღნიშნული მიმდევრობები საკმაოდ ხშირად გვხვდება ფონოსემანტიკურ ორმარცვლიან რედუპლიცირებულ ფუძეებში და სუფიქსების შთაბეჭდილებას გვიქმნიან, არადა რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტია, ან მათი ანალოგიით გაჩენილი სუფიქსები; ზოგადად, ამგვარ ფუძეთა რაოდენობა შეზღუდულია რედუპლიცირებულ ფუძეებთან შედარებით (ერთელიშვილი 1970: 209):

-ირ: კიპ-ირ-ი, ჭყაჭ-ირ-ი, გამ-ირ-ი...

-არ: ხვანც-არ-ი, ფოთ-არ-ი, თოთხ-არ-ი ...

-ურ: ბუზ-ურ-ი, ბუკ-ურ-ი, დღუზ-ურ-ი, კანჭ-ურ-ი, პანტ-ურ-ი, ცმაკ-ურ-ი...

-ილ: ხვინჭ-ილ-ი, კიზ-ილ-ი, ხინკ-ილ-ი, ჭიტ-ილ-ი...

-ალ: კანტ-ალ-ი, პანჭყ-ალ-ი, ჭარტ-ალ-ი, წანკ-ალ-ი, ღანტ-ალ-ი...

-ულ: ჭურღ-ულ-ი, ფუჟ-ულ-ი, ფურჩ-ულ-ი, ფუტკ-ულ-ი...

6. ცალკე უნდა გამოიყოს -ილ სუფიქსიანი ფონოსემანტიკური ფუძეები, ვინაიდან მათი ზმნური ფორმები მასდარის სუფიქსიან ფორმას არ ემყარება, ამ თვალსაზრისით ისინი „პირველად მასდარებს“ წარმოადგენენ; საყურადღებო ფაქტია, რომ ფონოსემანტიკურ ფუძეებთან -ილ სუფუქსიანი მასდარების ზმნურ ფორმებს სუფიქსისეული /ლ/ ელემენტი მყოფადისა და თურმეობითის ფორმებთან შენარჩუნებული აქვს:

R̄[R+SUF]-NOM	V(PRS)	V(FUT)	V(AOR)	V(PRF)
ჭყივ-ილ-ი	ჭყივ-ი-ს	ი-ჭყი/ავ-ლ-ებ-ს	ი-ჭყი/ავ-ლ-ა	უ-ჭყივ-ლ-ი-ა
კივ-ილ-ი	კივ-ი-ს	ი-კივ-ლ-ებ-ს	ი-კივ-ლ-ა	უ-კივ-ლ-ი-ა
წივ-ილ-ი	წივ-ი-ს	ი-წივ-ლ-ებ-ს	ი-წივ-ლ-ა	უ-წივ-ლ-ი-ა
ჟივ-ილ-ი	ჟივ-ი-ს	ი-ჟივ-ლ-ებ-ს	ი-ჟივ-ლ-ა	უ-ჟივ-ლ-ი-ა
წუ-ილ-ი	წუ-ი-ს	ი-წუ-ილ-ებ-ს	ი-წუ-ილ-ა	*უ-წუ-ილ-ი-ა[1]
ბზუ-ილ-ი	ბზუ-ი-ს	ი-ბზუ-ილ-ებ-ს	ი-ბზუ-ილ-ა	*უ-ბზუ-ილ-ი-ა
ყმუ-ილ-ი	ყმუ-ი-ს	ი-ყმუ-ილ-ებ-ს	ი-ყმუ-ილ-ა	*უ-ყმუ-ილ-ი-ა
შხუ-ილ-ი	შხუ-ი-ს	*ი-შხუ-ილ-ებ-ს	ი-შხუ-ილ-ა	*უ-შხუ-ილ-ი-ა
ღმუ-ილ-ი	ღმუ-ი-ს	ი-ღმუ-ილ-ებ-ს	ი-ღმუ-ილ-ა	*უ-ღმუ-ილ-ი-ა

მყოფადში და აორისტში ზოგჯერ ასეთი ფუძეებში გვაქვს *ილ >ვლ* გადასვლა: *ი-[ხუ-ვ-ლ]-ებ-ს - ი-[ხუ-ვ-ლ]-ა - უ-[ხუ-ვ-ლ]-ი-ა, ი-[ყმუ-ვ-ლ]-ებ-ს - ი-[ყმუ-ვ-ლ]-ა - უ-[ყმუ-ვ -ლ]-*

[1]მოცემული ცხრილი პარადიგმის გათვალისწინებით შეივსო და ვარსკვლავით აღინიშნა ფორმები, რომელთა დადასტურება ლექსიკონებსა და კორპუსებში ვერ ხერხდება. ფორმები, რომლებიც ვერ დადასტურდა ქეგლ-ის ტომებში, შევსებულია „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის“ მიხედვით (იხ. გოგოლაშვილი და სხვ. 1989).

ი-ა, ი-[ზმუ-ვ-ლ]-ებ-ს - ი-[ზმუ-ვ-ლ]-ა - უ-[ზმუ-ვ -ლ]-ი-ა, ი-[ღმუ-ვ-ლ]-ებ-ს - ი-[ღმუ-ვ-ლ]-ა - უ-[ღმუ-ვ-ლ]-ი-ა[1]*.* სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ფაქტის შესახებ შენიშნულია: „ზმნებს, რომელთაც *-უვ* მოუდით ფუძის ბოლოს, აწმყოს წრეში ხმოვანთა შორის მოქცეული /ვ/ ეკარგებათ, მყოფადის წრეში კი /ლ/-ს წინ /ვ/ აღუდგებათ“ (ჭუმბურიძე 1986: 118). ისეთ ზმნათა რიცხვი, რომელთაც მყოფადსა და აორისტში, ასევე ინცეპტივში[2] ფუძეში /ვ/ უჩნდებათ, ძალზე მცირეა. /ვ/ თანხმოვნის დაკარგვას ლაბიალური /უ/ ხმოვანი აპირობებს: ამ ზმნათა უმრავლესობაში „ინტერვოკალურ პოზიციაში თუ ერთ-ერთი ვოკალი ლაბიალურია, /ვ/ იკარგება“ (ჰოლისკი 2000: 109)[3]; აღნიშნული კანონზომიერება ამოსავალი ფორმის აღდგენის საშუალებას იძლევა.

ზემოთ ჩამოთვლილ პარადიგმატულ მაგალითებს შდრ. ამავე წარმოების ნეიტრალური ფუძეები, რომლებშიც მასდარის -ილ მაწარმოებელი უღლების პარადიგმაში უკვალოდ ქრება:

დუმილი - დუმს - და-დუმდება - და-დუმდა - დადუმებულა;

ტირილი - ტირის- იტირებს - იტირა - უტირია;

წუხილი - წუხს - იწუხებს - იწუხა - უწუხია...

-ილ სუფიქსიანი მასდარები უძველეს ფორმებადაა მიჩნეული და რაოდენობრივად არცთუ მრავალრიცხოვანია. ეს საწყისები უკვე არსებითებად ქცეულან (შანიძე 1980: 563-565; დეეტერსი 1930: 409).

მ. სუხიშვილის თვალსაზრისით, *-ილ* სუფიქსის განსხვავებული სტატუსი[4] ზმნის ფუძის სემანტიკითაა განპირობებული. ამოსავალში ის მასუბსტანტივებელი ელემენტი ჩანს, რომელიც ზმნიდან სახელებს აწარმოებს და ახალ ტრანსპოზიციურ მნიშვნელობას, ჩვენს შემთხვევაში, სახელის ზოგად მნიშვნელობას - საგნობრიობას - იძენს. გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა სახელად ქცევა სუბიექტურ ინტენციას ამჟღავნებს, სუბიექტის მდგომარეობის, თვისების ნომინაცია - გასახელებაა: *დუმილი, წუხილი* სუბიექტის დუმილია, სუბიექტის წუხილია, ასევე *ყივილი, ღმუილი...* (სუხიშვილი 1998: 173).

-ილ სუფიქსიან ფორმებს დ. ენ ჰოლისკი „ი-სუფიქსიან ბაზისურ მედიალურ ზმნებს“ უწოდებს და მასდარულ კონსტრუქციას შემდეგნაირად შლის: *ზმნის ძირი + -ილ სუფიქსი +ი (სახელობითის ნიშანი)* (ჰოლისკი 2000: 100);

ფონოსემანტიკური სუფიქსიანი ფუძეებისგან თითქმის უგამონაკლისოდ იწარმოება ზედსართაული ფორმები *-ა* სუფიქსის დართვით და ფუძისეული ხმოვნის *უცვლელად:*

R-NOM	R-ADJ
ხრაშ+უნ-ი	*ხრაშ+უნ-ა*
წრიპ+ინ-ი	*წრიპ+ინ-ა*
ჯუჯღ+უნ-ი	*ჯუჯღ+უნ-ა*
ქაქა+ნ-ი	*ქაქა+ნ-ა*
ხვანც+არ-ი	*ხვანც+არ-ა*

[1]კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია ფონოსემანტიკური ფუძე, რომელიც ძირთან ერთად შედგება დერივატებისაგან, ფრჩხილს გარეთ კი ფუნქციური ელემენტებია..

[2] ტერმინისათვის იხ. ჰოლისკი 2000: 50

[3] თუმცა არსებობს ზოგი გამონაკლისიც (იხ. ჰოლისკი 2000: 109, სქ.70)

[4]იგულისხმება -ილ სუფიქსის უნარი, ზმნათა ერთ წყებაზე დართვით (გარდაუვალ სტატიკურ ზმნებზე) წარმოქმნას ნაზმნარი არსებითი სახელები - მასდარები (დუმილი, ტირილი), სხვა ზმნებთან (გარდამავალ დინამიკურ ზმნებთან) კი - ნაზმნარი ზედსართავი სახელები - მიმდეობები (დაჭრილი, გაშლილი) (სუხიშვილი 1998: 172-173).

ჭარტ+ალ-ი	*ჭარტ+ალ-ა*
შხუ+ილ-ი	*შხუ+ილ-ა*
შრი+ალ-ი	*შრი+ალ-ა*

ან სუფიქსისეული ხმოვნის *შენაცვლებით* (მხოლოდ *-უნ* სუფიქსის შემთხვევაში): *ლაწ+ან-ი - ლაწ+უნ-ა, ბრახვ-ან-ი - ბრახ+უნ-ა, წკაპ-ან-ი - წკაპ+უნ-ა....*

/ა/-ხმოვნიან სახელთა შესაბამისი /ე/-ხმოვნიანი ზმნების დიდი ნაწილი სერიების მიხედვით ხმოვანს იცვლის და აბლაუტურია: *თხლეშ-/ თხლიშ-, კრეჭ-/ კრიჭ, ტკეც-/ ტკიც-* ... ამის საფუძველზე ნავარაუდევია აბლაუტი /ე-ი-ა/: *თხლაშ-, ტკაც-*, ხოლო /უ/-ხმოვნიანი ფუძეებისათვის - /ე-ა-უ/: *ლეწ-, ლაწა-ლუწ-ი,* თუმცა ე/ი-ს გარდა, სხვა სახის მონაცვლეობა სუსტად არის გამოხატული (შანიძე 1973: 567); ი. ქობალავას მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ე/ა და მით უფრო, ა/უ მონაცვლეობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სიტყვაწარმოებითი საშუალება და არა როგორც საკუთრივ აბლაუტი (ქობალავა 1980: 68)[1] .

-უნ სუფიქსიანი ფონოსემანტიკური სახელებისათვის ამოსავლად /ე/-ხმოვნიანი ზმნური ძირები ივარაუდება. თუკი ასეთი ამოსავალი არ იძებნება, ნაგულისხმევია, რომ იგი დაიკარგა (შანიძე 1973: 566), თუმცა ამ რიგში გვაქვს სახელური ძირებისაგან ან უშუალოდ ხმაბაძვითი ფუძეებისაგან ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ცალკე შეიძლება არც გვხვდებოდეს (შდრ. *თქეში* „დიდი წვიმა“ - *თქაშ-უნ-ი, თქაშა-თქუში; წკლაპ: წკლაპ-უნ-ი, წკლაპა-წკლუპი*) (ქობალავა 1980: 68); არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, /ა/-ხმოვნიანი ძირები შეიძლება გააზრებულ იქნან /ე/-ხმოვნიანი ზმნური ძირებისაგან დამოუკიდებლადაც: *ბრაგა-ბრუგი > ბრაგუნი, თხლაშა-თხლუში > თხლაშუნი* (ერთელიშვილი 1970: 105); თუმცა ასეთი დაშვების მიუხედავად, რედუპლიცირებული ძირების /ა/-ხმოვნიან რედუპლიკატსა და შესაბამის /ე/-ხმოვნიან ზმნურ ძირებს შორის კავშირეს გვერდს ვერ ავუვლით მათი ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსების გამო (ქობალავა 1980: 68).

რაც შეეხება ფონოსემანტიკურ ფუძეთა სუფიქსების ეტიმოლოგიას, სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ამ ტიპის სიტყვათა წარმოდგენამ აჩვენა, რომ ძირითადია VC სტრუქტურა, V=ა, ო, უ, ხოლო C=ნ, ლ, რ;

ს. ჯანაშიას ანალიზის ობიექტი იყო *-ან, -უნ* სუფიქსები და მათი შემცველი სხვა რთული *ი-ან, -ო-ან, -უ-ან, ი-ონ, -ოვ-ან, -ევ-ან* სუფიქსები როგორც სალიტერატურო ქართულის, ისე ქართული დიალექტებისა და მეგრულ-ლაზურის მონაცემთა მიხედვით. -ან სუფიქსის უძველეს ფუნქციად იგი თვლიდა მნიშვნელობათა (თვისების ქონა, წარმოშობა - სადაურობა, ტოპონიმიკის ჩვენება, კნინობითობა) შორის კრებითობისა და მრავლობითობის გამოხატვას (ჯანაშია 1937: 210 – 211). *-ან* სუფიქსის ძირითადი ფუნქციის ,,ასეთი გაგება თეორიულადაა შესაძლებელი, მასთან მეტად საინტერესო დებულებაა, ოღონდ გულისხმობს ზოგი არსებითი ხასიათის საკითხის გადაწყვეტას, - პირველ რიგში, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის გენეტური ურთიერთობის საკითხის გარკვევას. მასთან, თუნდაც რომ დავსახოთ კრებითობა *-ან* სუფიქსის ძირითად ფუნქციად, ძნელი იქნებოდა ამ ფუნქციის მიჩნევა პირვანდელ ფუნქციად: ასეთი რამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე შეიძლებოდა მას ჰქონოდა“ (ჩიქობავა 1942: 117).

[1] შდრ. ფოგტი 1961:12

-ინ, -უნ საერთოქართველურ სუფიქსებად არის მიჩნეული. რ. აბაშიას დაკვირვებით,-*უნ* და -*ინ* სუფიქსებს, რომლებიც ქართულში ძირითადად ექსპრესიული, ფონოსემანტიკური ხასიათის მასდარულ ფორმებს აწარმოებენ, ზანურსა (როგორც მეგრულში, ისე ლაზურში) და სვანურში ასეთივე ფუნქციის მქონე -*ინ* და -*ენ* სუფიქსები შეესატყვისებათ.

კანონზომიერი სუფიქსური შესატყვისობის სათანადო მაგალითებია:

ქართ. *ბუზღ - უნ - ი* მეგრ. *ბუჟღ - ინ - ი* სვან. *ლი - ბგრზღ - გნ - ი*

ქართ. *ბურდღ - ინ - ი* ჭან. *ბურდღ - ინ - ი* სვან. *ლი - ბგრდ -გნ - ი...*

ავტორის აზრით, *-უნ, -ინ* მონაცვლეობა ქართულში კომბინატორულ-პოზიციური ფაქტორებით აიხსნება (აბაშია 1999: 11 – 13).

არნ. ჩიქობავას მიხედვით, *-უ+ნ, -უ+ლ, -ი+ნ* სუფიქსები რთული შედგენილობისა ჩანს (ჩიქობავა 1942: 219); სხვა თვალსაზრისით, -ალ, -ილ, -ულ, -ან, -ინ, -უნ, -არ, -ირ, -ურ, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება პირველად საწყისებში და მეტწილად ამის გამო სუფიქსების შთაბეჭდილებას გვიქმნიან, წარმომავლობით რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტები ან მათი ანალოგიით გაჩენილი სუფიქსებია (ერთელიშვილი 1970: 209, 293).

რთული შედგენილობის მქონედ თვლის -ან, -უნ სუფიქსებს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე 1980: 216); ასეთივედ თვლიან მას ა. არაბული, რომელიც -ნ სუფიქსს გარკვეული ინტენსივობის (ექსპრესიის) გამოხატვის ფუნქციას აკისრებს (არაბული 1999: 6) და ი. ქობალავა, რომლის აზრითაც, /ა/ შეიძლება იგივე მაწარმოებელი იყოს, რომელიც გვაქვს საწყისის ფორმებში (წერა, მუშაობა, ხატვა), რასაც სარწმუნოდ ხდის შემდეგი ფორმების პარალელური არსებობა: ბრაგვა, ბრახვა, ზღართა... „რაც შეეხება /-ნ/-ს, იგი მონაწილეობს (ხმოვანთან ერთად ან მის გარეშე) ხმის აღმნიშვნელ სახელთან ყველა ტიპის წარმოებაში“ (ქობალავა 1980: 70, სქ. 13). ამგვარი ფუძეებისთვის სავსებით შესაძლებელია ამოსავლად ღია მარცვლების დაშვება, შესაბამისად, -ნ დაბოლოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაწარმოებელი, რომელიც გვევლინება VC (-უნ, -ან, -ინ) ტიპის მაწარმოებელთა ალომორფად ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან (ქობალავა 1980: 75).

საინტერესოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი -ილ სუფიქსთან დაკავშირებით: ,,ამ ტიპის მასდარში (იგულისხმება -ილ სუფიქსიანი მასდარები) -ლ უნდა იყოს საწარმოებელი; წინამავალი -ი მთელი რიგ მაგალითებში აწმყოს ფუძის საწარმოებელია; იქ კი, სადაც აწმყოს ფუძეში -ი არ გაგვაჩნია, იგი მასდართა ანალოგიითაა მიღებული, სადაც -ი აწმყოს ფუძითაა გამართლებული ანდა ზმნის ფუძეს აწმყოში გააჩნდა -ი და დაეკარგა. მასდარმა კი შემოგვინახა ეს ფუძისეული -ი" (ჩიქობავა 1942: 222).

ფონოსემანტიკურ ძირებს დართული და ახალი ფუძეების / მნიშვნელობების წარმოქმნისთვის რელევანტური სუფიქსების წარმომავლობა და შედგენილობა ჩვენთვის ჯერჯერობით ნათელი არ არის, თუმცა VS სტრუქტურის სუფიქსთა გვერდით მათი მონაცვლე -S სტრუქტურის სუფიქსის არსებობა ყველა ქართველური ენის ფონოსემანტიკურ ფუძეებში მასალობრივად დადასტურებული ფაქტია.

ამასთან, თუკი ამოსავალშივე ვივარაუდებთ ფონოსემანტიკურ ფორმებში -ა, -უ, -ი - ხმოვნიან ფუძეებს და გავითვალისწინებთ ფუძისეული ხმოვნის მიერ აფიქსისეულის ტემბრის განსაზღვრის ფაქტს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ბ. ჯორბენაძე, ფ. ერთელიშვილი, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული...), მაშინ აუცილებელი აღარ იქნება -ან, -უნ, -ინ სუფიქსთა ქრონოლოგიური მიმართების დადგენა (გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ამ სუფიქსთა რთული შედგენილობა).

-მან სუფიქსიანი ფონოსემანტიკური მასდარები

ცალკე მსჯელობას მოითხოვს CVC სტრუქტურის -მან სუფიქსიანი ფონოსემანტიკური მასდარები, რომლებიც დასტურდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებში:

ტორტმან-ი (ტორტმანისა)	1. უსწორმასწორო, აცა-ბაცა სიარული, – ბარბაცი 2. გადატ. რხევა, ღელვა. 3. გადატ. ყოყმანი, მერყეობ ა(ქეგლ VI)[2];
ყოყმან-ი (ყოყმანისა)	«სიტყვის თქმა არ ენებოს და ზაროზდეს» (საბა); მერყეობა, ჭოჭმანი; ორჭოფობა (ქეგლ VII);
გოგმანი (გოგმანისა)	1. გოგვით სიარული. 2. ძვ. «სანდომი ჩქარი როკვა» (საბა) (ქეგლ II);
ჭოჭმანი (ჭოჭმანისა)	გადაუწყვეტლობა მოქმედებაში, - მერყეობა, ყოყმანი (ქეგლ VIII);
ჯოჯმანი (ლეჩხ.)	ბარბაცი, ბანცალი;
ქოშიმანი (ფშ.)	ჭოჭმანი. ყოყმანი, მოუსვენროზა (ი. ქეშ.; ქეგლ);
დოდმანი	1. ზოზინი, აუჩქარებლობა. 2. ზოზინა, აუჩქარებელი კაცი;
თოთხმანი–	ჩქაროზა, ფაცხაფუცხი (ჭინჭარაული 2005);
ზოზმანი (იმერ.)	ზოზინი, ზაზუნი, მძიმედ და ნელა სიარული (ვ. ბერ.) (ღლონტი 1984).

აქედან *გოგმანი* (საგოგმანები), *ჭოჭმანი* (საჭოჭმანები) გვხვდება "ვეფხისტყაოსანში": (რუსთაველი 2008: 9), ხოლო დანარჩენი ფორმები დიალექტურია.

-მან სუფიქსი ქართულში დაერთვის არაფონოსემანტიკურ სახელებს: *წვრილმანი, მსხვილმანი, ძველმანი, ლამაზმანი, ჯღანმანი, შავგვრემანი, თავყურმანი* და ა. შ.[1] დასტურდება ნასესხებ ლექსიკაშიც, ყველაზე ხშირად სპარსულ ნასესხობებში: სპარ., *პაემანი, ფარმანი, ქამანი...* არაბ., *თარჯიმანი, შაბიამანი...* თურქ. *შამანი...* ჰოლანდ., *შტურმანი, ფლაგმანი* (ქეგლ). ფაქტია, რომ -მან სუფიქსი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა წარმომავლობისა და დანიშნულებისაა.

ნ. მარის აზრით, -მან სუფიქსი ქართულში გამოიყენება განყენებული მნიშვნელობების გადმოსაცემად. ქართულში იგივე -მან/-ვან ჩნდება დაბოლოების თვისებით, რომელიც ზედსართავებს კრებით მნიშვნელობებს ანიჭებს: *წვრილ-მან-ი, დიდრ-ვან-ი, მსხვილ-მან-ი* (მარი 1935: 18).

ა. შანიძის აზრით, წვრილ-მალ' ში[2] გვაქვს გაორკეცება დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით (*გიჟმაჟი, ქოხმახი, კუჭმაჭი* ტიპისა) ან დისიმილაციით: *წვრილმანი, ძველმანი* და *მსხვილმანი* (აქაც დისიმილაციაა, მოსალოდნელი იყო: *ძველ-მალი, მსხვილ-მალი*) გაორკეცების შემდეგ ორივეს არსებითის მნიშვნელობა აქვს მიღებული, კერძოდ, ,,წვრილმალ"- ისაგან *საწვრილმალო* არის ნაწარმოები. ,,ამ გარემოების გაუთვალისწინებლად შეიძლება კაცმა დაიჯეროს, თითქოს ,,წვრილმანის" მეორე ნაწილს რაიმე კავშირი ჰქონდეს სომხურ მან-თან (შანიძე 1980: 151-152).

[1] ნ. მარი აღნიშნულ სუფიქსზე სქოლიოში მსჯელობს მან- სომხურ მორფემასთან დაკავშირებით („მანუკ" - ვაჟიშვილი) (მარი 1935: 18))

[2] „მრავალნი ქუაბ-საქუაბენი და სხვანი მრავალნი წვრილმალნი ჭურჭელნი" (ლაბეჭინის სახარების მინაწერი)

ივარაუდება, რომ *წვრილ-მან-ი, მსხვილ-მან-ი, ძველ-მან-ი* ფორმებში პოვნიერი სუფიქსი–მორფემოიდი -მან, რომელიც დაერთვის ზედსართავ სახელებს და გამოხატავს რაიმე ნიშან–თვისების მქონებლობას, მიღებულია -ოვან-ისაგან ფონეტიკური გარდაქმნის გზით, *ძველ-ოვან-ი > *ძველ-ვან-ი > ძველ-მან–ი* (ვ /მ თანხმოვანთა სუბსტიტუციით) (ჯორბენაძე და სხვ. 1988: 284, 349)[1].

/-მ/ დისიმილაციის ნიადაგზე გაჩენილი მიაჩნია ფ. ერთელიშვილს რედუპლიცირებულ ძირებში: *კირკიმალი, სურსუმალი, ქირჩიმალი, ღირტიმალი, ღრიჭიმალი, ღურღუმალი, ჭურჭუმალი...* მაგ., *ღურღური > ღურღუმ > ღურღუმ-ალ...* შდრ., *ღურღუმალი, ყურჭუმალი* და *ღურღუმი, ყურჭუმი.* ავტორის აზრით, ,,როგორც ჩანს, გაორკეცებულ ძირებს ემატებათ /-ალ/ მარცვალი, რომელიც აქ სუფიქსის დანიშნულებას ასრულებს. *ჭიპჭიპალ (გამოჭიპჭიპალება)* - იგივეა, რაც *გამოჭიატება* (იმერ. ცხად.) > *ჭიჭიპალა* - ძლიერ პატარა ჭუჭრუტანა, იგივეა, რაც *ჭიტა* (იმერ. ცხად.)'' (ერთელიშვილი 1970: 289-291).

როგორც ვხედავთ, საკმაოა როგორც საკვლევი მასალის მოცულობა (დიალექტებისა და ლექსიკონების საფუძველზე შესაძლოა მისი გაზრდა), ასევე გამოთქმული თვალსაზრისებისა. კვლევას ართულებს ისიც, რომ *გლიჯინი - გლიჯიმალი, ყურყუმი - ყურყუმალი* ტიპის ფუძეები მრავლად მოიპოვება *კოწმაწი, ქიჩმაჩი* ფუძეთა გვერდით, რომლებიც წარმოიქმნებიან მარცვალთა შენაცვლებით. რთულია, აგრეთვე, სახელური ფუძის -მან-ისა და ფონოსემანტიკური ტიპის მასდარებზე დართული -მან-ის იგივეობის დადგენა. თუ ისინი იდენტურია, შეიძლება დავუშვათ, რომ -ოვან / -ვან / -მან / -მალ სუფიქსები ალომორფებია ან დიალექტური ვარიანტები.

გასათვალისწინებელია და საინტერესო შემდეგი გარემოებანი:

-ან სუფიქსი დაერთვის ფონოსემანტიკურ ფუძეებს, რომელთაც ფუძეში აქვთ /ა/ (ფ. ერთელიშვილი, ი. ქობალავა, ქ. დათუკიშვილი...), /ო/-ხმოვნიან ფონოსემანტიკურ სიტყვებს -ან სუფიქსი არ დაერთვის (ისინი დაირთავენ -ინ-ს), გამონაკლისია ამ მხრივ გოგმანი, ჯოჯმანი, ყოყმანი ტიპის სახელები, რაც მრავალ კითხვას ბადებს: რატომ უნდა გაჩენილიყო /ო/-ხმოვნიან ძირებთან -ან სუფიქსი და არა -ინ?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ –ან სუფიქსთან /მ/ სონორის გაჩენა რაღაც წესის დარღვევის ერთგვარი კომპენსაციაა (შდრ., მარცვალთა შენაცვლებისას გაორკეცებულ ძირებში სწორედ /მ/ სონორი ჩნდება).

საინტერესოა, აგრეთვე ის, რომ -მან სუფიქსი სხვა გახმოვანების ფუძეებს არ დაერთვის, თუ არ გავითვალისწინებთ სახელებს. ო-ფუძიანი ფონოსემანტიკური, ხმაბაძვითი ტიპის სიტყვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში დავადასტურეთ: *ღოღან-ი* (გურ.) 1. ღუღუნი, ღუღუნა. "ღოღანი მტრედი მეჩოვა"(ა. რლ., გურ.); 2. ახოვანი, ტანადი და დინჯი მოძრაობის კაცი; ღოღან–ი მტრედ–ი „დიდი მტრედი" (გ. შარაშ.) (ღლონტი 1984).

---

[1] ,,-ოვ-ან სუფიქსი არა მარტო აწარმოებს არსებით სახელთა ფუძეს, არამედ გვხვდება ვითარებით ზედსართავ სახელებთან. გვაქვს *ეკალ-: ეკალ-ოვან-ი* და მეორე მხრივ, *პატარა -პატვრანი (პატარ-ოვან-ი)* (ცხადაძე 1984: 358). სიმრავლის აღნიშვნის გარდა -ოვან სუფიქსი ძვ. ქართული ტექსტებში მქონეობას აღნიშნავს: ოქროვანი, *მიწოვანი, კეთროვანი;* ავტორის აზრით, -ოვან სუფიქსი შეიძლება ასე დაიშალოს: -ოვ-ა-ნ. –ოვ ელემენტი ზმნებში გამოყენებული იგივე -ოვ ნიშანი უნდა იყოს, რაც ძველ ქართულში იშვიათად ხმარებულ ზმნებში გვაქვს: *პეროვინ, ცრემლოვინ, მაღლოვინ,* შდრ. *ცრემლოვა* (= ცრემლიანობა, ცრემლის ღვრა, აქედან ცრემლოვანი = ცრემლიანი) (ცხადაძე 1981: 101).

უპრიანი იქნება, აგრეთვე, გავიხსენოთ /ვ/ სონანტის შემცველი *ბრაგვანი, ბრახვანი,* ფახვანი ტიპის ფონოსემანტიკური სიტყვები, რომლებიც ვ სონანტს კარგავენ სხვა გახმოვანების მქონე აფიქსის შემთხვევაში (*ბრაგვანი - ბრიგინი - ბრაგუნი, ბრახვანი - ბრიხინი - ბრახუნი, ფახვანი - ფახუნი...)* თუმცა ეს გარემოება -ვან-ს სუფიქსად არ მიგვაჩნევინებს (შდრ., აგრეთვე: *ბორტყვა – ბორტყიალი, ხოხვა – ხოხიალი*); /მ/ სონორი იკარგება -მან სუფიქსიან სახელებში, როდესაც ისინი სხვა აფიქსს დაირთავენ: *ზოზმანი – ზოზინი, დოდგმანი – დოდინი, ჭოჭმანი – ჭოჭინი* და ა. შ.

ამგვარ ფორმათა პარალელური ხმარება გვიჩვენებს, რომ ისინი საკუთრივ ქართულია და არა ნასესხები, ამასთანავე, ყველა ფუძეში დასტურდება /ო/ ხმოვანი, ნ/ლ მონაცვლეობა კი ვერ დავადასტურეთ (არ არის *გოგმალი, *ყოყმალი, *ჭოჭმალი), რაც შეიმჩნევა სახელურ ძირებში: *წვრილმალი / წვრილმანი, მსხვილმანი / მსხვილმალი, გვრემანი / გვრემალი...*

ჩვენთვის საინტერესო ფუძეებიდან ზოგიერთს პარალელურ ფორმებად აქვთ /ა/ სუფიქსიანი მასდარები: /ვ/ სონანტით *გოგმანი - გოგვა, ზოზმანი - ზოზღნა* („ამბის ვერ გაბედვით თქმა“ - საბა). საფიქრებელია, რომ -მან სუფიქსიანი ფორმები გვიანდელია და ამ ტიპის მასდარებისაგან არის მიღებული. სწორედ ამიტომ მათ არ მოეპოვებათ (ან იშვიათად მოეპოვებათ) ბგერწერითი ვარიანტები.

-მან სუფიქსის ნასესხობა ძნელი სავარაუდებელია, გასათვალისწინებელია აგრეთვე ის, რომ -მან სუფიქსს ზოგჯერ ფუნქცია თითქოს დაკარგული აქვს. მაგ., თავყურმანი- (თავყურმანისა) საუბ. თავ-ყური; თავი და სახე. თავყურმანი მტკივა (ქეგლ IV).

ფონოსემანტიკურ სიტყვათა სუფიქსური წარმოება მეგრულსა და ლაზურში

მეგრულში ფონოსემანტიკურ ძირებზე დერივაციულ სუფიქსთა დართვა მნიშვნელოვანი მექანიზმია ახალი მნიშვნელობის მქონე მოდელების მისაღებად. მეგრულსა და ლაზურში სუფიქსაცია სიტყვაწარმოების ხერხია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეგრულში სუფიქსაცია ძირეული ხმოვნის ალტერნაციას მიბმული პროცესია. სუფიქსაცია და ხმოვნის ალტერნაცია ერთდროულად აპირობებს არსებით სემანტიკურ ცვლილებებს: დენოტატი იცვლება, კონოტაციური მნიშვნელობები ნარჩუნდება, რაც უდავოდ, უცვლელ კონსონანტურ სტრუქტურას და მასთან მიბმულ სემანტიკას უკავშირდება;

სუფიქსი დაერთვის როგორც რედუპლიცირებულ , ისე არარედუპლიცირებულ ფუძეებს.

არარედუპლიცირებულ ფუძეთა ფონემური სტრუქტურა საკმაოდ ერთფეროვანია, ამოსავალია CVC ტიპის ხმოვანმონაცვლე ძირები, კონსონანტი ძირის ანლაუტში ან აუსლაუტში შეიძლება გართულდეს; სუფიქსები აწარმოებენ მასდარებს და ზედსართავთა ფუძეებს;

VC სტრუქტურის ყველა სუფიქსის ანალიზის დროს შეიძლება დადგეს ოდენკონსონანტური სუფიქსის საკითხი; -ინ, -ალ და -აფ სუფიქსები -ნ (<*-ინ), -ლ (< *-ალ). -ფ (< *-აფ) ალომორფებითაა წარმოდგენილი ღია მარცვლის რედუპლიკაციის დროს.[1]

[1]იხ. ამავე მონოგრაფიაში ღია მარცვლის რედუპლიკაცია , გვ. 181-190.

-ინ /-ნ სუფიქსი:

-ინ სუფიქსს დაირთავენ /ი/ ხმოვნიანი ძირები, შედეგად კი მიიღება მოქმედების ან მდგომარეობის სახელები, რომლებიც სემანტიკურად ცქერას, მზერას, ყურებას, გამოხედვას უკავშირდებიან (ქობალავა 1979: 109); ზმნის აწმყო დრო -ან თემატური სუფიქსის დართვით აწარმოებენ, ხოლო /-ინ/ ფუძეში შემავალი ელემენტია: *რიფ-ინ-ი, ძიკ-ინ-ი, გვიდ-ინ-ი, ქვიჩ-ინ-ი, კვიტ-ინ-ი, ტვინგ-ინ-ი, ძღვიბ-ინ-ი, რინტ-ინ-ი, ჩქვიფ-ინ-ი, ჯირღ-ინ-ი, ლიგვ-ინ-ი, ქვაც-ინი, ცხვანტ-ინ-ი, ტვირ-ინ-ი, ღიჯგ-ინ-ი, ძღვირ-ინ-ი, ძგვირ-ინ-ი, ჩირქ-ინ-ი, ჩვიგ-ინ-ი ... სვისვი-ნ-ი, გვიგვი-ნ-ი, ქვიქვი-ნ-ი, კვიკვი-ნ-ი...*

ლაპარაკის, საუბრის მანერის აღმნიშვნელ ლექსემებში -ინ სუფიქსთან ზოგჯერ /უ/ ხმოვანი დასტურდება ფუძეში: *ბურდღ-ინ-ი, დღუმ-ინ-ი, პურტყ-ინ-ი, პუტ-ინ-ი, ტუმ-ინ-ი, ტუტ-ინ-ი, ბუღ-ინ-ი, ფუჟღ-ინ-ი, ჩუღ-ინ-ი, ბუჯგ-ინ-ი, ჩუჩ-ინ-ი, დღუმ-ინ-ი, ძღუმ-ინ-ი*[1]... ან კიდევ /ე/ ხმოვანი: *ჩერქ-ინ-ი, წკვეპ-ინ-ი, ჩქვეფ-ინ-ი...* თუმცა მათგან ნაწარმოები ზმნური ფორმები განსხვავებული მორფომოდელისაა:

შდრ: PRS: ბურდღ+ინ-უნ[2]-ს კოჩი „ბურდღუნებს კაცი“,

AOR: [ქ]-ი-ბურდღ+ინ-უ/გ კოჩქ „იბურდღუნა კაცმა“

და

PRS: ი-წკვეპ-უ ოსური „პრანჭიაობს ქალი“;

AOR: იწკვეპ-უ/გ ოსურქ „იპრანჭა ქალმა“[3]

აღნიშნული მასდარები ზედსართაულ ფორმებს - ა სუფიქსის დართვით აწარმოებენ ფუძისეული ფორმის შეუცვლელად: პურტყ-ინ-ა, ტუტ-ინ-ა, ტუმ-ინ-ა, პუტ-ინ-ა, ბუღ-ინ-ა, ფუშქ-ინ-ა, ბუჯგ-ინ-ა, ჩუღ-ინ-ა...

/ე/-ხმოვნიან ფუძეებს -ინ სუფიქსი ჩამოშორდებათ უღლების პარადიგმაში პირველებისგან განსხვავებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ -ინ სუფიქსის ფუნქცია მასდარის წარმოებაა და არა დერივაციული მოდელის წარმოქმნაში მონაწილეობა.

ზოგჯერ კი /ი/-ხმოვნიან ფუძეში -ინ სუფიქსის ნაცვლად დაჩნდება -ონ: *ჩირქ-ონ-ი, დირგ-ონ-ი, ტირკ-ონ-ი...*

-ალ/-ლ სუფიქსი:

-ალ სუფიქსითა და /-ა/ ხმოვნით გაფორმებული ძირებისაგან ნაწარმოები სახელები გამოხატავენ მოძრაობას: ლაპარაკს, სიარულს ან, ზოგადად, ნებისმიერი სხეულის მოძრაობას, რომელიც გადატანით შეიძლება უკავშირდებოდეს პირველ ორ მნიშვნელობას, მასში ჩანს მოქმედების ესა თუ ის კონკრეტული სახე (ქობალავა 1979, 111): *გად-ალ-ი, გარჩ-ალ-ი , გატ-ალ-ი, გაქვ-ალ-ი, გაღ-ალ-ი, გაჩვ-ალ-ი, გახ-ალ-ი, გაჯ-ალ-ი, პარკ-ალ-ი, ტარკ-ალ-ი , ტვანგ-ალ-ი, ტარღ-ალ-ი, ღაფ-ალ-ი , ჭკვაპ-ალ-ი, გვად-ალ-ი, გად-ალ-ი, გარჩ-ალ-ი, ღვაშქ-ალ-ი, ქვაჩ-ალ-ი, კვატ-ალ-ი... -ლ: სვასვა-ლ-ი, გვაგვა-ლ-ი, კვაკვა-ლ-ი, ქვაქვა-ლ-ი...* ზემოაღნიშნული სემანტიკის ფორმები ზოგჯერ -ან სუფიქსითაც დაჩნდება: *გვად-ინ-ი, კვატ-ინ-ი, გატ-ინ-ი, ძაგვ-ინ-ი, ქვათ-ინ-ი, კვანწ-ინ-ი... სვასვ-ინ-ი, გვაგვ-ინ-ი, კვაკვ-ინ-ი,*

[1]-ინ სუფიქსიან ფუძეებში ასევე იშვიათად დაჩნდება /ე/ ხმოვანი, რომელიც ფუძის განსხვავებულ სემანტიკას ანიჭებს -ან სუფიქსიანი /ა/, /უ/ ხმოვნებისაგან განსხვავებით: *ქვეჩინი - ქვაჩინი, კვეტინი -კვატინი...*

[2]აწმყოს თემატური ნიშანია

[3] ომოფორმათა გარჩევა სინტაქსურად არის შესაძლებელი. ჩვენი აზრით, გარკვეულ როლს თამაშობს მახვილიც, რომელიც ჩვენი სპეციალურ კვლევის საგანია და მას ამჯერად არ შევეხებით.

ქვაქვ-ინ-ი... ზმნური ფორმის წარმოებისას -ალ/-ლ სუფიქსი ფუძეში შედის, დერივაციული ელემენტია, უღლების პარადიგმაში არ იკარგება, -ინ/-ნ კი მხოლოდ მასდარს ერთვის:

კვატ-ალ-ი: მი-კვატ+ალ (PRS), *მიდე-კვატ+ალ* (AOR), *მიდუ-კვატ+ალ-ინ* (PRF)…

კვატ-ინ-ი: მი-ო-კვატ-ან-ს (PRS), *მიდა-კვატ-უ* (AOR), *მიდუ-კვატ-უ* (PRF)…

-ორ: *ტკუმ-ორ-ი, დგუმ-ორ-ი, გუდ-ორ-ი, ხუტ-ორ-ი, კუმპ-ორ-ი, კუჭ-ორ-ი, კუტ-ორ-ი, ხინტკ-ორ-ი, ხიჭ-ორ-ი, ხუშტ-ორ-ი, კი[ნ]ტ-ორ-ი, სკუპ-ორ-ი, ხუპ-ორ-ი, ჩიკ-ორ-ი..* ამგვარი ფუძეები გამოხატავენ არერთგვაროვანი და განმეორებადი მოქმედების შედეგად გამოცემულ მოგუდულ, დახშულ ხმას; ამგვარი სემანტიკა ფუძისეულ /ო/ და სუფიქსისეულ /უ/ ფონემებს უკავშირდება.

-ოლ: *ყირჭ-ოლ-ი, კირჭ-ოლ-ი, ხინკ-ოლ-ი, პირტ-ოლ-ი, ყურტ-ოლ-ი, ჯირღ-ოლ-ი, ჩირქ-ოლ-ი, სირღ-ოლ-ი, რგუმ-ოლ-ი, რქუმ-ოლ-ი, ცრუმ-ოლ-ი, რთხიფ-ოლ-ი ...*

-ონ: *კირტ-ონ-ი, გირდ-ონ-ი, რიჩ-ონ-ი, რის-ონ-ი, ხიჭ-ონ-ი, ჩირქ-ონ-ი, თირხ-ონ-ი, თირქ-ონ-ი, ჩვიგ-ონ-ი, ტირკ-ონ-ი* (შდრ. ქართ. *ტლიკ-*), *ტკიჩ-ონ-ი, ბურღ-ონ-ი* (შდრ. ქართ. *ბურღ-*), *ლირჯგ-ონ-ი, გირჯ-ონ-ი, გიძ-ონ-ი, ცხიკ-ონ-ი, კიჭ-ონ-ი...*

ზედსართავები იწარმოება -ალ-ა > -ა ან ერ-ი-ა > ე-რე > ე სუფიქსებით, ამგვარი ფორმები სემანტიკურად დიდად არ სხვაობს ერთმანეთისგან და გამოხატავს სუბიექტის ფიზიონომიას, ანატომიას, აღნაგობას, გარეგნულ ან შინაგან მახასიათებლებს,

შესაძლებლობებს; განსხვავებული სუფიქსებით ნაწარმოებ ფორმათა განაწილება უფრო დიალექტური ჩანს.

-ალ სუფიქსიან ფუძეებში ა/ი მონაცვლეობით მიიღება ლექსემები, რომლებიც სემანტიკურად ადამიანს ახასიათებს გარეგანი ნიშნების ან შინაგანი თვისებების მიხედვით. *ბიტ-ალ-ი / ბიტ-ა, ბიღვ-ალ-ი /ბიღვა, დირგ-ალ-ი /დირგ-ა, რინტ-ალ-ი/ რინტ-ა, რიფ-ალ-ი / რიფ-ა, რიღ-ალ-ი / რიღა, სირღ-ალ-ი / სირღ-ა, ტირკ-ალ-ი /ტირკ-ა, ფიჟვ-ალ-ი / ფიჟვ-ა, ფიშქვ-ალ-ი / ფიშქვ-ა, ფიჩ-ალ-ი / ფიჩ-ა, ჩვიგ-ალ-ი / ჩვიგ-ა, ჩირქ-ალ-ი / ჩირქ-ა, ჩქვიფ-ალ-ი / ჩქვიფ-ა, ძღვირ-ალ-ი / ძღვირ-ა, წკვიპ-ალ-ი / წკვიპ-ა, ჯირღ-ალ-ი / ჯირღ-ა...*

-ერე ან -ერ-ია სუფიქსების დართვით ძირეული ხმოვანი იცვლება: ი > ე (როგავა 1942: 626), როგორც ჩანს, გავლენას ახდენს სუფიქსისეული /ე/ ხმოვანი (ქობალავა 1979: 110); -ერე/-ერია სუფიქსდართული სახელები -ალ/-ა სუფიქსიანებისაგან სემანტიკურად არ სხვაობს; ფუნქციურად ისინიც ზედსართავებია. ფონეტიკურად კი /ე/ ხმოვნის შემცველი აფიქსის დართვა ფუძისეული ხმოვნის ცვლას იწვევს.

ამგვარი დერივაციული ვარიანტები პარადიგმების მთელ სისტემას ქმნიან მეგრულის ფონოსემანტიკურ ფუძეებში: *ბეხვ-ერ-ია / ბეხვ-ერ-ე / ბეხვ-ე, ბეთქ-ერ-ია / ბეთქ-ერ-ე , ფეშქ-ერ-ია / ფეშქ-ერ-ე / ფეშქ-ე, დღვეზ-ერ-ია / დღვეზ-ერ-ე...* თუ ფუძე /რ/ სონორიანია, სუფიქსი -ერე დისიმილირდება ლ-დ: *დერგელე / დერგელია, ჯერღელე /ჯერღელია, რეფელე / რეფელია, სერღელე / სერღელია, ჯერღელე / ჯერღელია...*

სუფიქსაცია ხმოვნის ალტერნაციასთან ერთად ახალი დერივაციული რიგების მიღების საუკეთესო საშუალებაა მეგრულში, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე პარადიგმის მაგალითზე:

ჩVრქ-:		
ჩარქ-ალ-ი	MSD	სიარულის მანერა
ჩირქ-ინ-ი	MSD	,,გახევება'' (ელიავა 1997, 349)[1]
ჩირქ-ალ-ი/ ჩირქ-ა *ჩერქ-ელ-ია/ ჩერქელ-ე/ ჩერქე*	ADJ	ადამიანის ფიზიონომიური მახასიათებელი
სVნგვ- :		
სანგვ-ალ-ი	MSD	სიარულის ან ლაპარაკის მანერა[2].
სანგვ-ილ-ი	ADJ	,,გამოკეტილი, გადატ. დაწყევლილი'' (ელიავა 1997: 283).
სინგვ-ინ-ი	MSD	გაშტერებით, მიჩერებით ყურება, ან გამოხედვა
სინგვ-ალ-ი / სენგვ-ერე/ერია	ADJ	ადამიანის ფიზიონომიური მახასიათებელი
ჩქვVფ-		
ჩქვაფ-ალ-ი	MSD	საუბრის მანერა
ჩქვიფ-ინ-ი	MSD	ყურების, ცქერის, გამოხედვის მანერა
ჩქვაფ-აფ-ი	MSD	მოქმედების შედეგად გამოცემული ხმა
ჩქვიფ-ალ-ი/ ჩქვიფ-ა *ჩქვეფ-ერე/ერია/ე*	ADJ	ადამიანის ფიზიონომიური მახასიათებელი
ჭკვVპ-		
ჭკვიპ-ინ-ი	MSD	ყურება, ცქერის, გამოხედვის მანერა
ჭკვაპ-ალ-ი	MSD	საუბრის მანერა
ჭკვაპ-აფ-ი	MSD	მოქმედების შედეგად გამოცემული ხმა
ჭკვიპ-ალ-ი / ჭკვეპ-ერია	ADJ	ადამიანის ფიზიონომიური მახასიათებელი
რVს-:		
რის-ინ-ი	MSD	ყურება, ცქერის, გამოხედვის მანერა
რას-ალ-ი	MSD	საუბრის მანერა
რის-აფ-ი	MSD	მოქმედების შედეგად გამოცემული ხმა
რის-ალ-ი / რეს-ელე / -ელია	ADJ	ადამიანის ფიზიონომიური მახასიათებელი

ზოგადად, უნდა გაირჩეს მასდარის მაწარმოებელი სუფიქსები დერივაციული სუფიქსებისგან, რომლებიც უღლების პარადიგმებში არ იკარგება და როგორც ფუძის შემადგენელი ნაწილი მთელ პარადიგმას გასდევს. -აფ /-ფ სუფიქსი სემანტიკურად ხმასთან, ხმიანობასთან დაკავშირებული სახელებია: *ბახვა-აფ-ი, ბათქ-აფ-ი, რახვ-აფ-ი, ჭკვაპ-აფ-ი, ჩქვაფ-აფ-ი, ბანჭ-აფ-ი, ზეპ-აფ-ი, რაგვ-აფ-ი, გვაგვა-ფ-ი...* ისინი ზმნურ ფორმებს ორგანულად

[1] ი. ყიფშიძის ლექსიკონში სხვაგვარად გაფორმებული მასდარები დასტურდება: *ჩირქ-ინ-აფ-ა, ჩირქ-ონ-ი, ჩირქ-ონ-უ-ა* (ყიფშიძე 1914: 365).

[2] სიარულის აღმნიშვნელი მასდარი სხვა ფორმითაც დასტურდება: *სანგვ-აფ-ი.*

[3] -ან თემატური ნიშანია აწმყოს ფუძეში

ვერ აწარმოებენ, იშველიებენ ზმნას: *ბათქაფი აყარებაფუ* „ბათქანი გაადენინა“, თუმცა ზოგჯერ გამოხატულებით ემთხვევიან მასდარის მაწარმოებელ -აფ სუფიქსს, რომელიც მოძრაობის გამომხატველ ძირებს ერთვის და ამით -ინ სუფიქსიანის მორფოლოგიური ვარიანტი ჩანს: სანგვ-ინ-ი / სანგვ-აფ-ი - მიო-სანგვ-ან[3]-ს, ჩარქ-ინ-ი / ჩარქ-აფ-ი - მიო-ჩარქ-ან-ს...

სემანტიკური გადასვლები მეტწილად ხდება მოძრაობის (ფართო გაგებით) და ხმის/ხმიანობის აღმნიშვნელ სემანტიკურ ფუძეებში. გარკვეული კანონზომიერებებით, თითქმის უგამონაკლისოდ, ყველა მათგანისაგან იწარმოება ადამიანის გარეგანი თუ შინაგანი თვისებების აღმნიშვნელი ზედსართაული თუ მასდარული ფორმები; მოვლენას აქვს სისტემის სახე და მოიცავს შემდეგ ძირითად კანონზომიერებებს, იგი ლინგვისტთა მიერ შეფასებულია, როგორც „ექსპრესიული ხმოვანთმონაცვლეობა“ (ჰ. ფოგტი, კ. შმიდტი) „სემანტიკური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა“ (იხ. ქობალავა 1979; გერსამია 20003; კარტოზია და სხვ. 2010).

ლაზურში ფონოსემანტიკურ ფუძეთა ამგვარი სისტემურობა არ ჩანს, თუმცა ლექსიკონებში აღწერილი თუ ჩვენ მიერ ემპირიულად მოპოვებული მასალა ფონოსემანტიკური ფუძეების მაწაროებლად დერივაციული სუფიქსების არსებობას ცხადყოფს; ვინაიდან ლაზურში მასდარის წარმოება ორგვარია, კონფიქსური და სუფიქსური, სუფიქსიან ფონოსემანტიკურ ფორმებში აფიქსთა მიმდევრობა ასე გამოიყურება MSD1-R̄[R+SUF]-MSD1, {PRV}[1]-R̄[R+SUF]-MSD1:

-ინ სუფიქსი:

ო-პაც-ინ-უ, ო-ბოდ-ინ-უ, ო-ტლაპ-ინ-უ, ო-ღუმ-ინ-უ, ო-ჩხანტ-ინ-უ, ო-ბუღ-ინ-უ, ო-კრუნტ-ინ-უ, ო-კუს-ინ-უ, ო-პუწ-ინ-უ, ო-პურჭ-ინ-უ, ო-რანც-ინ-უ, ო-ღირ-ინ-უ, ო-ღლუნხ-ინ-უ, ო-შლოკ-ინ-უ, ო-წუმ-ინ-უ, ო-წკუმ-ინ-უ, ო-წუპ-ინ-უ, ო-წიპ-ინ-უ, ო-ხურტ-ინ-უ //ო-ხუტ-ინ-უ, ო-ბუძგ-ინ-უ, ო-ნცქიფ-ინ-უ, ო-ხურ-ინ-უ, ო-ბუღ-ინ-უ... -ინ სუფიქსთან ერთად ფუძეში /ე/ ხმოვნის გარდა, ყველა ხმოვანი დაჩნდება; ამგვარი ფორმები გამოხატავენ მოძრაობას და ამ მოძრაობის შედეგად გამოცემულ ხმებს.

ლაზურში მცირე -ან, -უნ სუფიქსიან ფონოსემანტიკურ ფუძეთა რიცხვი: *ო-კარღ-ან-უ, ო-რახ-უნ-უ, ო-წუწ-ონ-უ,* შდრ. ქართ. წუწ-ნ-ა.

-ალ სუფიქსი:

ო-ხატ-ალ-უ, ო-ბარგ-ალ-უ, ო-ღარტ-ალ-უ, ო-ბადგ-ალ-უ, ო-ბანდ-ალ-უ, ო-ფაცხ-ალ-უ, ო-ჩხაპ-ალ-უ, ო-რანწკ-ალ-უ, ო-ტატყ-ალ-უ, ო-ხაშკ-ალ-უ, ო-ღანწკ-ალ-უ, ო-ღარკ-ალ-უ, ო-ღვაკ-ალ-უ, ო-ცაცხ-ალ-უ, ო-წანგ-ალ-უ, ო-ფათქ-ალ-უ, ო-ბანგ-ალ-უ, ო-ბრანგ-ალ-უ (ვიწ) ... -ალ სუფიქსიან მასდარებთან ფუძეში მხოლოდ /ა/ ხმოვანი დაჩნდება, სემანტიკურად გამოხატავენ მოძრაობას ან ასახავენ გარკვეული მოქმედებების შედეგად გამოცემულ ხმებს.

-ელ სუფიქსი:

-ელ სუფიქსის დართვისას ფუძეში /ე/ ხმოვანი დაჩნდება, ამგვარი ფორმები ცოცხალ არსებათა მიერ გამოცემულ ხმებს გამოხატავენ - პეჯღ-ელ-ი, პერდ-ელ-ი, ო-პეტ-ელ-უ... ან სიცილის მანერას: *ო-ხენჩ-ელ-უ / ო-ხენჩქ-ელ-უ;* მაგალითები შეზღუდულია.

-ოლ სუფიქსი:

-ოლ სუფიქსის დართვისას ფუძეში /უ/, იშვიათად - /ი/ ხმოვანი დაჩნდება; სემანტიკურად გამოიხატება ხმის თანხლება / ხმა: *ო-გიჯ-ოლ-უ / ო-გურჯ-ოლ-უ, ო-ჭირტ-ოლ-უ / ო-ჭიტ-ოლ-უ, ო-კირჭ-ოლ-უ, ო-ღუმ-ოლ-უ, ო-ფურჩ-ოლ-უ, ო-ღუმ-ოლ-უ, ო-ბუზ-ოლ-უ,*

[1] ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ასე აღვნიშნავთ ყველა ფუნქციურ პრეფიქსს და, ვინაიდან ის არ არის ჩვენი კვლევის საგანი, ანალიზისას არ ვშლით.

ო-ბზუტ-ოლ-უ... დაშლა, დაქუცმაცება, ჭრა: *ო-ჩხინკ-ოლ-უ, ო-ფუნჩხ-ოლ-უ, ო-ქურჩ-ოლ-უ, ო-ქინჩ-ოლ-უ, ო-ქურც-ოლ-უ, ო-ფიცხ-ოლ-უ, ო-ფურჩ-ოლ-უ, ო-ღიძგ-ოლ-უ,* ან სხვა სახის მოქმედებას: *ო-წიპ-ოლ-უ* (ბწკენა)… იშვიათად -ოლ > -ულ: *ო-ფუცხ-ოლ-უ > ო-ფუცხ-ულ-უ, ო-ტუტყ-ულ-უ.*

-ორ სუფიქსი: *ო-ხუტ-ორ-უ, ო-ხუჭ-ორ-უ, ო-ხიჯ-ორ-უ*

სუფიქსით ნაწარმოები ფუძე ახალ სადერივაციო სუფიქსს ირთავს, ძირითადად ისეთს, რომელიც აღნიშნავს დანიშნულებას; წარმოქმნილი ფუძე სახელია: *ო-რანწკ-ილ-ონ-ი* „ეჟვანი“ (თანდ. 649), *ო-ღრანწკ-ილ-ონ-ი* „ზარი“ (თანდ. 672), *ო-რაკ-ალ-ონ-ი* „სარეკელა“ (თანდ. 649), *ო-ჩხაპ-ინ-ონ-ი* „სათამაშო წყლის შესასხურებელი (დიდგულასაგან კეთდება)“ (თანდ. 683), გე-ჩაჩხ-ალ-ონ-ი „ჩანჩქერი; ბზრიალა“ (თანდ. 113-114), *ო-ტკვაც-ინ-ონ-ი* „ასაფეთქებელი“(თანდ. 659)... ან ირთავს მასდარის -აფ მაწარმოებელს: *ო-ღუმ-ინ-აფ-უ, მე-ტკვაც-ინ-აფ-ა, გე-ტკვაც-ინ-აფ-ა, ეშა-ხუტ-ონ-აფ-ა, მეი-ო-ტკომ-ალ-აფ-ა, დო-ღირ-ინ-აფ-ა, გოწა-მწკილ-აფ-ა,* შდრ. *გოწამწკილუ ... ო-ბურბალ-ონ-ი* „სატრიალებელი, ბავშვთა სათამაშო საბრუნებელი“ (თანდ. 592), *ო-ფირფილ-ონ-ი* „ბავშვთა სათამაშო“ (თანდ. 665), *ო-ფარფალ-ონ-ი* „ფერფლი“ (თანდ. 662)...

სხვაგვარად უნდა დავსვათ საკითხი ქართულ-ლაზური $C_1VC_1C_2$ და მეგრული $C_1C_2VC_1C_2$ სტრუქტურის ძირებზე დერივაციული სუფიქსის დართვის შესახებ; -ნ სუფიქსით ნაწარმოებია ქართული ფუძეების შესაბამისი მეგრული ფუძეების სუფიქსი გახმოვანებულია (-ონ), ხოლო მეგრული ფორმის ანლაუტში უკანაენისმიერი ხშულის დამატებით კომპლექსი ასიმილაციურად არის ჩამოყალიბებული (ყიფშიძე 1914: 07)

მეგრ.	*ცქიცქ-ონ-ი*	*წკიწკ-ონ-ი*	*ჭკიჭკ-ონ-ი*
ქართ.	*ციცქ-ნ-ა*	*წიწკ-ნ-ა*	-
მეგრ.	*ძგიძგ-ონ-ი*	*ჯგიჯგ-ონ-ი*	*ჩქიჩქ-ონ-ი*
ქართ.	*ძიძგ-ნ-ა*	*ჯიჯგ-ნ-ა*	*ჩიჩქ-ნ-ა*

აღნიშნული შესაბამისობები ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ ჩათვლილია კანონზომიერ ფონოლოგიურ შესატყვისად ქართულსა და მეგრულში და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000)

ქართულის მსგავსად, ლაზურშიც ამგვარ მოდელთა ანლაუტი მარტივთანხმოვნიანია; ზემოდასახელებული ქართული და მეგრული ფორმების კვალდაკვალ $C_1VC_1C_2$ სტრუქტურის ძირები უნდა გამოიყოს, რომელსაც ერთვის მალექსიკალიზებელი -ალ, -ილ სუფიქსები: *ო-ჩაჩხ+ალ-უ* „რაკრაკი“ (თანდ. 681), შდრ. ქართ. ჩაჩხ-[1] „ჩაჩხვა“; *ო-ჯაჯგ+ალ-უ* „ღუმელში ცეცხლის გვარგვალი“ (თანდ. 705), შდრ. ქართ. ჯეჯგ- „ჯეჯგვა“; *ო-ტატყ+ალ-უ* „ხარშვის დროს თუხთუხი“ (თანდ. 658), შდრ. ქართ. ტეტყ- „ტეტყვა“; *ო-ჯიჯგ-ილ-უ* „ძიძგილაობა; სიტყვებით ურთიერთშეპასუხება“ (თანდ. 707) ქართ. ძიძგ-ილ-.

$C_1C_2VC_1C_2$ სტრუქტურის ფუძეებზე VC სტრუქტურის დართვა საშუალებას იძლევა სინქრონიულ დონეზე მათი ღია მარცვლის რედუპლიკაციად ინტერპრეტირებისთვის სინქრონიულ დონეზე, თუკი ძირეული და სუფიქსური ხმოვანი იდენტურია - V =V, ხოლო სუფიქსი C სტრქტურისაა: $C_1C_2V\text{-}C_1C_2V\text{-}C$: *ძგა-ძგა-ლ-ი, ჯგი-ჯგი-ნ-ი ...*

[1]ქართული ფორმებისგან სემანტიკური გადაწევით

-ი-ალ დაბოლოებიანი ფონოსემანტიკური ფუძეები ქართველურ ენებში

გიორგი ახვლედიანი ამოსავალი ვარიანტების დაძებნას ცდილობს „ბგერადობის სახესხვაობებისათვის“ და სხვა მოდელებთან ერთად CS+VVC- სტრუქტურის, -იალ დაბოლოებიანი, 11 ფუძის[1] ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობს: *ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-, წრიალ-, გრიალ-, კრიალ-, ღრიალ-, ხრიალ-, ყრიალ-* ფუძეები მას ერთმანეთისაგან მომდინარედ მიაჩნია: დასაშვებად თვლის, რომ ისინი მარტივ ხშულთა აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის გზით იყოს მიღებული. გ. ახვლედიანის აზრით, კრიალი ორგვარი გზით რეალიზდა:

1. სისინათა რიგი: *კრიალი > წრიალი > სრიალი > ზრიალი;*
2. შიშინათა რიგი: *კრიალი > ჭრიალი > სრიალი > ჟრიალი*[2].

ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნა: „ბგერათმონაცვლეობა არაა პოზიციურად წარმოქმნილი... აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის „კარნახით“ უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია... წმინდა მექანიკური ფონეტიკური პროცესი ენას გამოუყენებია აზრობრივად. ამ შემთხვევაში წამყვანია აზრი და არა ფიზიოლოგია“ (ახვლედიანი 1949: 297). მაშასადამე, ბგერათმონაცვლეობას აქვს სემანტიკური და არა ფონეტიკური საფუძველი; ამგვარად, წარმოიქმნება არა ფონეტიკური ვარიანტები, არამედ ახალი მნიშვნელობის ფუძეები.

გ. ახვლედიანის მიერ შერჩეული -იალ დაბოლოებიანი ფუძეების მნიშვნელობა უკავშირდება სხვადასხვა ტიპის ხმას, ფუძეები ორმარცვლიანია:

ზრიალი	საზარელი მრავალჴმიანობა
სრიალი	Взлет шумом, стрела, пуля
ჟრიალი	მრავალთ-ეჟუანთ ჴმა
შრიალი	მაჴვლის ჴელზე წასმის ჴმა
ჭრიალი	კართა და ურემთა ხმიანობა
გრიალი	წისქვილის ჴმაჲ
კრიალი	კულის (ხის სასმისი) ჴმაჲ
ღრიალი	უკაფიო ყვირილი
ხრიალი	ჩამოცვენის ჴმა
ყრიალი	მწერთ კაფიობა

-იალ დაბოლოებიანი ფონოსემანტიკური ფუძეები ყველაზე დიდი რაოდენობა ქართულშია (სალიტერატურო ენასა და დადიალექტებში), მაგალითები დასტურდება მეგრულსა და ლაზურშიც; სვანურში ამ დაბოლოებას, ჩვენი აზრით, სხვა მიმდევრობა შეესაბამება, რაზეც ქვემოთ, სვანური ფუძეების ანალიზისას გვექნება მსჯელობა.

---

[1] გ. ახვლედიანს მოჰყავს სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში დადასტურებული -იალ სუფიქსიანი ფუძეები

[2] თანამედროვე ქართულში ზოგი ამ სიტყვათაგან ხმაბაძვითად აღარ აღიქმება და სხვა ბგერწერით შინაარსს გამოხატავს: კერძოდ, *წრიალი* - მოძრაობის ერთი ტიპია, *კრიალი* - სინათლის ეფექტის ერთი სახეობა (მელიქიშვილი 1999: 80).

ქართული:

C-იალ	*CS-იალ*		*CCS-იალ*	*Cn*
ციალი	*ბრიალი*	*ტრიალი*	*დგრიალი*	*ბრდღვიალი*
ყიალი	*ფრიალი*	*ჭრიალი*	*თქრიალი*	*ბდღვრიალი*
რიალი	*პრიალი*	*ქრიალი*	*წკრიალი*	*ბრჭყვიალი*
ღიალი	*ღრიალი*	*ხრიალი*	*ჟღრიალი*	*ბჟღვრიალი*
კიალი	*კრიალი*	*ჟრიალი*	*ჩხრიალი*	*კრჩხიალი*
წიალი	*წრიალი*	*სრიალი*	*ზღრიალი*	*ტყრშიალი*
	გრიალი	*შრიალი*	*შხრიალი*	

ზემოდასახელებული ფუძის ოდენკონსონანტური ანლაუტის გარდა, კომპლექსი ყველა მაგალითში სონორიზებულია. CVC ფონემატური სტრუქტურა ფუძეებს სამმარცვლიანს ხდის; ფუძისეულ ხმოვნად დაჩნდება /ო/ ან /ი/:

ბოდიალი	*ტორღიალი*	*ტყრიშიალი*[1]	*ტრუალი*
ზოზიალი	*კოტრიალი*	*ზირზიალი*	*ღრუალი*
კოწიალი	*ფორთხიალი*	*კირჩხიალი*	*ჟრუალი*
სოსიალი	*ბღოტიალი*	*თირთიალი*	*ბრუალი*
ფოჟიალი	*კონწიალი*	*ტირტიალი*	*ბურუალი*
ტორიალი	*ღონწიალი*	*ცირციალი*	*ბრუსიალი*
სორიალი	*პრონწიალი*	*ხინდრიალი*	*ბრუტიალი*
ხოხიალი	*ღონციალი*	*ხირხიალი*	
ყოყიალი	*ტოტყიალი*	*ყვირიალი*	
ჩოჩიალი	*ტროკიალი*	*შრიდიალი*	
ქოწიალი	*ფორიალი*	*ტრიშიალი*	
სორიალი	*ფოჟიალი*	*კრიხიალი*	
წოწიალი	*ხორიალი*	*ზირზიალი*	

მეგრულში ფუძეები ნასესხები ჩანს და ამ ენის ფონოტაქტიკის წესის შესაბამისად გარდაქმნილი, სპირანტთა შემდგომი /რ/ მეტათეზისურად ანლაუტისკენ არის გადასმული: *რსიალი / რსიოლი* < სრიალი „სრიალი“: *ი-რსიალ* „სრიალებს“, დუც *მა-რსიოლ-უ* „თავბრუ დაეხვა“, *რშიალი* < *შრიალი* „შრიალი“, *რჟიალი* < *ჟრიალი* „ჟრიალი“, *რზიალი* < *ზრიალი* „ზრიალი“, *რხიალი* < *ხრიალი* „ხრიალი“.

ლაზურის ფონემატური სტრუქტურით ანლაუტში /Cრ/ მიმდევრობა ფუძეების ნაწილში შენარჩუნებულია, ნაწილში კი მარტივდება სწორედ სონორის დაკარგვის ხარჯზე; ფუძეები მხოლოდ ორმარცვლიანია:

ო-დგიალ-უ	უაზრო ლაპარაკი (თანდ. 596)
ო-ტკიალ-უ	უაზრო ტლიკინი, ჩქარი ლაპარაკი; ყრანტალი (თანდ. 659)
ო-ცხიალ-უ	ჩხრიალი (თანდ. 685)
ო-ღრიალ-უ	ღრიალი (თანდ. 672)
ო-შიალ-უ	შრიალი (თანდ. 677)
ო-წკიალ-უ	წკრიალი (თანდ. 689)
ო-ჭიალ-უ	ჭრიალი, აჭრიალება (თანდ. 693)

[1]მაგალითებისათვის იხ: ერთელიშვილი 1970: 222; ღლონტი 1984; ჭინჭარაული 2005.

ო-ხიალ-უ	სრიალი, ხრიალი (?) (თანდ. 699)
ო-ჯგიალ-უ	სირბილი; ჟრიალი (?) (თანდ. 706)
გე-ჩხიალ-აფა	ჩაჩხრიალება (თანდ. 114)
ო-ნწკიალ-ონი	ეჟვანი, ზარი (თანდ. 689)
მეკა-სრიალ-უ/ მე-სიალ-აფა	გადასრიალება (თანდ. 432)
ო-ბზიალ-ონი	საბზრიალებელი (ნიგვზით) (თანდ. 591)
ო-ბრიალ-ონი	საბრიალებელი (თანდ. 592)
ო-ჟიალ-ონი//ო-ჟიალ-უ	განმარტების გარეშე (თანდ. 648)
ო-წკიალ-ონი / ო-ნწკიალ-ონი	ეჟვანი, ზარი (თანდ. 689)
ცქიალ-ი	ვერცხლის ღილებიანი ძაფი მიკერებეული კაბის სახელოზე იდაყვამდე (თანდ. 846)

მეგრულსა და ლაზურში *-იალ* დაბოლოებიან ფორმათა სიმცირე თუ არის, ქართულსა და მის დიალექტებში 200-ზე მეტი ფუძე აღვწერეთ[1]. მათი სტრუქტურა და ხმოვნითი შედგენილობა ერთგვაროვანი არ არის, ისევე როგორც ერთგვაროვანი არაა ხმოვნითი მიმდევრობა დაბოლოებაში.

1. ორმარცვლიანი ფუძეების სტრუქტურა წარმოდგენილია C ან Cn კონსონანტური სტრუქტურით, Cn-ში ერთ-ერთი ძირითადი ტიპია CS / CnS, S=რ; ფუძეში მხოლოდ *-იალ* დაბოლოების შემადგენელი *-ი-ა* ხმოვნებია წარმოდგენილი;
2. სამმარცვლიანი ფუძეების სტრუქტურაა CVC / CnVC / CVCn, ძირისეული ხმოვანია /ო/, იშვიათად - /ი/;
3. ფუძეთა ნაწილში *-იალ > -უალ* გადასვლა დასტურდება: *ტრ-იალ-ი - ტრ-უალი, ღრ-იალ-ი - ღრ-უ-ალ-ი, ჟრ-იალ-ი > ჟრ-უ-ალ-ი, ბრ-ი-ალ-ი - ბრ-უ-ალ-ი...*

სად გადის ზღვარი ძირსა და სუფიქსს შორის? არის თუ არა *-იალ* მიმდევრობა ერთიანი სუფიქსი თუ რთული სტრუქტურისაა და მისი შემდგომი დაშლა შესაძლებელია? არის თუ არა ჩავარდნილი ხმოვნებს შორის თანხმოვანი ან სონორი ბგერა? ლინგვისტურ ლიტერატურაში *-იალ* მიმდევრობის ერთ სუფიქსად გააზრება საეჭვოდ მიიჩნევა და სამართლიანადაც, ვინაიდან VVS სტრუქტურის სუფიქსი ქართველური ენებისათვის კანონიკური არ არის.

ფ. ერთელიშვილის აზრით, *-იალ* დაბოლოებიანი ფუძეებისთვის ისტორიულად პირველადია რედუპლიცირებული ფორმები, როცა ხშული და სონორი ბგერები გამიჯნულია ხმოვნით: *ბრიალ < *ბირ-ალ < *ბირბალ- < ბარბალ-*, სადაც *-ი-ალ* მიმდევრობა იშლება, ამოსავალში CVC-CVC სტრუქტურა ივარაუდება, /ი/ პირველი მარცვლის ხმოვნად მიიჩნევა, *-ალ* კი მეორე რედუპლიკატის სეგმენტად, რომელსაც დაკარგული აქვს ანლაუტის თანხმოვანი; ხოლო *-იალ* მიმდევრობის სუფიქსად გააზრიანების შემდეგ იგი გადატანილ იქნა მარტივ ძირებზედაც. შდრ. *ეტრფის - ტრფიალი, აქოთებს - ქოთიალი...* (ერთელიშვილი 1970 : 212-223).

რას უნდა გამოეწვია მრავალფეროვანი და საფეხურებრივად რთული ფონოლოგიური გარდაქმნები რედუპლიკაციიდან მარტივ ფუძემდე, ფ. ერთელიშვილს ახსნილი არა აქვს. ცხადია, „რედუპლიკაციის პრინციპი შეუდარებლივ უფრო ძველია, ვიდრე აფიქსაციის

[1] სალექსიკონო ერთეულები ამოღებულია ქეგლ-იდან და სხვადასხვა დიალექტური ლექსიკონიდან.

პრინციპი“ (ჯორბენაძე 1980:198) და, ამავე დროს, ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე ერთმანეთის პარალელურად ერთი და იმავე საყრდენი თანხმოვნებისაგან შედგენილი რედუპლიცირებული და მარტივფუძინი, სუფიქსებით ლექსიკალიზებული ფუძეების არსებობის ფაქტი, აუცილებლობით არ გულისხმობს მათს ერთიმეორისგან მომდინარეობას, ისინი საერთოდ დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ[1], მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია ფონოსემანტიკურ ფუძეებზე, „სემანტიკის კარნახით“ ახალი ფუძეების წარმოსაქმნელად ყველა ენობრივი მექანიზმის გამოყენებაზე;

დამატებითი არგუმენტი, რომლითაც ფ. ერთელიშვილი თავის მოსაზრებას ამყარებს, ქართული მასალის მეგრულისა და სვანურის ფუძეებთან შედარებას ეფუძნება: *-იალ* დაბოლოებიანი ქართული პირველადი მასდარების შესაბამისად სვანურსა და მეგრულში ჩათვლილია გაორკეცებული ფორმები: ქართ. *ზრიალ-, გრიალ-* ... მეგრ. *ზირზოლ-, გურგულ-* ... სვან. *ზგრზგნ, გგრგგნ* და ა.შ. (ერთელიშვილი 1970: 217); საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საორჭოფოა შემდეგი არგუმენტების გათვალისწინებით:

1. როცა მეგრულში დასახელებული ფორმების გვერდით არსებობს ისეთი ფორმები, როგორიცაა *ზირზინ-, ზარზალ-, გირგინ-, გირგოლ-*, ხოლო ქართულში ამგვარივე სტრუქტურის *ზანზარ-ი,* აუხსნელია, რატომ უნდა შეესაბამებოდეს მაინცდამაინც ავტორის მიერ შერჩეული ფორმები *-იალ* დაბოლოებიან ფუძეებს, როცა ამავე დროს, მეგრულში (ასევე ლაზურშიც) არსებობს მეტათეზურად ჩამოყალიბებული იდენტური სტრუქტურის ფუძეები: *რგიალი, რზიალი...*

2. *-იალ* დაბოლოებიან ფორმებს რედუპლიცირებული ფუძეებისაგან განასხვავებს სემანტიკა: თუ პირველი აღნიშნავს *მბრუნავ, განმეორებად, უწყვეტ, ერთგვარ, წრიულ მოძრაობას + ამ მოძრაობის შედეგად გამოცემულ ხმას, ნათებას*; რედუპლიცირებული ფუძის სემანტიკა განსხვავებულია: *ზედიზედ განმეორებული ერთგვარი* (იდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციისას) *ან განსხვავებული მოქმედება, რომელსაც* ზოგჯერ ემატება *ამ მოქმედების შედეგად გამოცემული ხმა.* რამდენად დასაშვებია ქართული და მეგრული ფუძეების ამგვარი განსხვავებული სემანტიკის პირობებში მათ ურთიერთშესაბამისობაზე საუბარი?[2]

3. ამასთან, *-იალ* დართული კომპლექსები ფონესთემებია, რომლებიც ბუნებაში რეალურად არსებული აკუსტიკის ფონოლოგიურ ეკვივალენტებს

[1] შდრ. ბ. ჯორბენაძე 1980: 201-202: „...რედუპლიკაცია, აფიქსაცია და აპოფონია თანამიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე: მათი თანაარსებობა გამორიცხავს ასეთ კვალიფიკაციას. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ წარმოების ყველა ხსენებული პრინციპი ერთი და იმავე ქრონოლოგიური ფორმაციის წარმონაქმნია, მაგრამ ნაირსახოვანი წარმომავლობა ხელს არ უშლის მათ გამოყენებულ იქნენ ერთ ენობრივ სისტემაში. ის ფაქტი, რომ რედუპლიკაცია, აფიქსაცია და აპოფონია სხვა დროის წარმონაქმნია, დოკუმენტურად ამჟამად ვერ დამტკიცდება, ამიტომაც მათი პირველადობა-შემდგომობის განსაზღვრა მხოლოდ ლოგიკურად მისაღები (არაწინააღმდეგობრივი) მსჯელობით ხდება შესაძლებელი... რედუპლიკაცია, ისევე, როგორც სხვადასხვა ფუძეთა ერთ ფორმაში შერწყმა, არის თავდაპირველი, ყველაზე მარტივი ხერხი ფორმათწარმოებისა, უშუალო (და არა აფიქსაციისა და აპოფონიის მსგავსად აბსტრაჰირებული) რეალიზება ენობრივი ნატურალიზმისა. რედუპლიკაციას (დავაზუსტოთ: საერთოდ, ფუძეთშეერთებას) მივყავართ აფიქსაციისაკენ, როცა ენობრივ ფორმაში კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ელემენტებს ენაცვლება აბსტრაჰირებული ეკვივალენტები“.

[2] შდრ. ფ. ერთელიშვილი ამ ფუძეთა მსგავს სემანტიკაზე საუბრობს (ერთელიშვილი 1970: 218), მართალია, *ბრიალი* და *ბარბალი* ორივე ცეცხლის ნათებას უკავშირდება, თუმცა აქ წამყვანია ის „აზრი, რომლის კარნახითაც“ (გ. ახვლედიანი) საჭირო გახდა ენაში ახალი ფუძის წარმოქმნა.

წარმოადგენენ *(შრ, სრ, ჟრ, ჭრ, წრ)* და ნაკლებ სავარაუდოა ამოსავალ ფორმაში მათ შორის ხმოვნის არსებობა;

4. როცა ქართულშივე არსებობს ერთმანეთის პარალელურად *ხოხვა - ხოხიალი, ჩოჩვა - ჩოჩიალი, ბოდვა - ბოდიალი, ტორვა - ტორიალი, ღოღვა - ღოღიალი, ჟღერა - ჟღრიალი, თქერა - თქრიალი, ჩხერა - ჩხრიალი*[1]..., რამდენად აუცილებელია მათი რედუპლიცირებული ფორმებიდან მომდინარეობის მტკიცება?

5. „რ-ს შემცველ მასდარებში უმარტივესი *რიალი* ფორმა ლოგიკურად უნდა გამორიცხავდეს ნაყარი ფუძეების არსებობას... არათუ დაბოლოება *-იალ-ი*, არამედ მთელი სიტყვა *რიალი* გამოდის ამ მოდელის მასდართა მოუცილებელ კომპონენტად[2]... ის ფაქტი, რომ *რ* სონორია, საკმარისი არ არის ზემოჩამოთვლილი შემთხვევების ასახსნელად“ (აფრიდონიძე 1993: 100-101);

6. *-იალ* დაბოლოების მსგავსია ანლაუტური მიმდევრობები სიტყვებში: *კიაფ-ი, წიაქ-ი, ზიაქ-ი, კრიახ-ი, ქიატ-ი, ქიაქ-ი, ქიანც-ი, ფრიატ-ი, ფრიაკ-ი, კიანთ-ი, ტკიაც-ი, დრიაშ-ი, წრიაპ-ი, წრიაკ-ი, წრიახ-ი, წიოკ-ი, ხრიოკ-ი... -იაფ, -ოაქ, -იახ, -იოკ, -იაც, -იაშ, -იაქ* და ა. შ. მიმდევრობები *-იალ* დაბოლოების პარადიგმატული მონაცვლეები ჩანს; ამავე რიგშია *-უალ* დაბოლოებაც: *ბრ-უ-ალ-ი, ყრ-უ-ალ-ი, ბურ-უ-ალ-ი, ღრ-უ-ალ-ი, ჟრ-უ-ალ-ი, ჟღ-უ-ალ-ი, ტრ-უ-ალ-ი*[3]...

7. ერთმანეთის პარალელურად CS და CVS (ხმოვნით გამიჯნული) სტრუქტურის ისეთ ფორმათა არსებობა, როგორიცაა *სრიალ- - სორიალ-, ბრიალ- - ბორიალ-, გრიალ- - გორიალ-, ცოციალი – ცოცვა, ტოტყიალი – ტოტყვა, ძრომიალი – ძრომა, პორტყიალი – პორტყვა, ხოხიალი – ხოხვა, ფხოჭიალი – ფხოჭნა, ბჟღვიალი – ბჟღვინვა... ასევე* სემანტიკით უნდა იყოს „ნაკარნახევი“ განსხვავებული მნიშვნელობების აღსაწერად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფ. ერთელიშვილს *-იალ* დაბოლოებიანი პირველადი მასდარების ერთი ჯგუფი, მათი სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე (*თანხმოვანი + სონანტი რ + იალ*) და, აგრეთვე, ამ ფუძეთა ისტორიის გათვალისწინებით, მიაჩნდა რედუპლიცირებულ ფორმებად (ერთელიშვილი 1970:213), თუმცა *-იალ* დაბოლოებიან როგორც ორმარცვლიან, ისე სამმარცვლიან ფუძეთა დიდი ნაწილი ამ სისტემის გარეთ რჩება მიმდევრობაში /რ/ სონორის არარსებობის გამო.

შეიძლება დაგვეშვა, რომ /ი/ ხმოვანი ძირისეულია და არა სუფიქსისეული, მით უმეტეს, რომ არსებობს *-იალ*-ს მონაცვლე *-უალ* მიმდევრობა, ასევე V-VS დაბოლოება *-უ-ილ*, რომელშიც /უ/ ძირისეულია, *-ილ* კი მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი: შდრ. *შუ-ილ- - შივ-ილ-, შხუ-ილ- - შხივ-ილ-, წუ-ილ- - წივ-ილ-, ყუ-ილ- - ყივ-ილ-, ჟუ-ილ- - ჟივ-ი -...* ანალოგიური წარმოებისაა მეგრული ფორმები: *წი-აფ-ი* „წივილი“, *ჟღი-აფ-ი*

[1] შდრ. ბ. ჯორბენაძე ყურადღებას ამახვილებს ამგვარ „საყრდენ ელემენტზე“, როცა საუბროს *-იალ* დაბოლოებიანი ფორმების გვერდით იმავე კონსონანტების რიგისაგან შემდგარ სხვაგვარი წარმოების ფუძეებზე: *ბრ-იალ-ი - ბრ-უნ-ავ-ს, პრ-იალ-ი - პარპალი* და ა. შ. (ჯორბენაძე 1980:200)

[2] შდრ. ჰოლისკი 2000: 102: „არსებობს რამდენიმე ფორმალური მოდელი, რომელიც ახასიათებს ექსპრესიული ზმნების უმეტესობას. ექსპრესივები ხშირად ბოლოვდება -/რ/იალ სუფიქსზე“

[3] სუფიქსის სტრუქტურაში ხმოვნის ცვლა (*შდრ.- ან, -ინ, უნ*) სემანტიკურ ცვლილებებს იწვევს; იალ/-უალ სავარაუდოდ, მხოლოდ ელფერის ცვლას აპირობებს, თუმცა ამ შემთხვევისთვის მნიშვნელოვანია ი/ა მონაცვლეობის საკითხი, რაც ამ მიმდევრობის სტაბილურობის საკითხს სხვაგვარად აყენებს.

ჟღივილი“, ყი-აფ-ი „ყივილი“, *რკი-აფ-ი* „კივილი“, *რსხი-აფ-ი* „სხივილი“, *რჩხვი-აფ-ი* „ჩხივილი“... თუმცა სამმარცვლიან ფუძეებთან უკვე გაჭირდება ამგვარი დაშვება და /ი/ ხმოვნის ძირისეულად გააზრება, რადგან დაირღვევა ფუძეში მარცვლის კანონიკური სტრუქტურისა და სუფიქსის შესაბამისობის საკითხი: CVC+VC ან CV+CV.

-ი-ალ დაბოლოებიანი ფონოსემანტიკური ფორმები დამოუკიდებლად წარმოქმნილად ჩავთვალოთ და ამას შეიძლება აპირობებდეს სემანტიკა, ახალი მნიშვნელობების წარმოსაქმნელად ლექსიკალიზების ახალ საშუალებათა გამოყენება, შემდგომ კი ანალოგიის გზით მისი რეალიზაციის არის გაფართოება.

ფონოსემანტიკური ლექსიკის ძირეული ფორმით გამოყენება ქართულში

ქართულ წერილობით ძეგლებსა და დიალექტებში დასტურდება სუფიქსაციისა[1] და რედუპლიკაციის გარეშე, ძირეული ფორმით გამოყენებული ფონოსემანტიკური ფუძეები, ეს ფორმები სახელზმნურია და გაფორმებულია ბრუნვის ნიშნით (*-ი*) ან ხმოვანფუძიანია (მაგ. *ბრაგვა*). მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება; ხშირად გვხვდება ,,ვეფხისტყაოსნში” რედუპლიცირებულ და აფიქსაციის გზით წარმოქმნილ ფუძეთა გვერდით. მაგ.,

> ,,იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა *ტკაცისა*”(რუსთაველი 2008: 218, 816),
> ,,მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა *ჩხარია*”(რუსთაველი 2008: 31, 91);

ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ბ. ჯორბენაძე ვარაუდობს, რომ შესაძლებელია არსებულიყო **ლაწა* **ლაწუ* ფორმები, მათ დაერთვოდა /-ნ/ ფორმანტი და მოქმედების მრავალჯერადობას გამოხატავდა, ისევე, როგორც რედუპლიცირებული ძირები (ჯორბენაძე 1980: 215 – 216).

ი. ქობალავას აზრით, /ა/ შეიძლება იგივე მაწარმოებელი იყოს, რომელიც გვაქვს საწყისის ფორმებში (*წერა, მუშაობა, ხატვა)*, რასაც სარწმუნოდ ხდის პარალელურად ასეთი ფორმების არსებობა: *ბრაგვა (ბრაგვა გამცვივდა მიწაზე* - ვას. ბარნ.), *ბრახვა (ხონჩაზე ბრახვა მოადინა* - თ. რაზ), *პარტყა, ზღართა* და მისთ. შდრ., აჭარ. *ბეყვა* შეიძახა, *გვეხა* გაადენინა (ქობალავა 1980: 70, სქ.13).

-ნ სუფიქსის მრავლობითობის ფორმანტთან ერთობას ვარაუდობს ა. არაბულიც. მისი აზრით, ნართანიან ფორმათა მასდარული წარმოებების დაცილება სხვა ტიპის სუფიქსური მასდარებისაგან გაჭირდებოდა. ,,ეს წარმოება *(წკარნი, ჯახნი* ტიპისა) შინაარსობრივად და ფუნქციურად იგივეა, რაც *ჯახანი* (შდრ. *ჯახუნი, ჯახა-ჯუხი*), მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ *ტკაცნი* ტიპის წარმოებების მნიშვნელობა მხოლობითია, სინტაქსური ძალა აშკარა მრავლობითისაა. *ჯახნ* იქნეს რქისანი; ისმნეს *წკარნი*“ (არაბული 1999: 6).

თუ ავტორთა დამაჯერებელ ვარაუდებს ვირწმუნებთ, შემდეგ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი; რომელია პირველადი: მარტივ ბოლოთანხმოვნიან ფუძეზე *-ნ* სუფიქსის დართვა (*ლაწნი*), თუ ბოლოხმოვნიან ფუძეს *(ლაწა, ლუწი)* დაერთო *-ნ* და შემდეგ დაიკარგა სუფიქსური ხმოვნები?

[1] ვგულისხმობთ - ან, - უნ, -ინ... სუფიქსებს.

Შ. ნიჟარაძეს ხმოვანთა რედუქციის მაგალითებად მოჰყავს ფონოსემანტიკური გამოთქმები: *ბრაგნი შეიძახა, გვეხა გააყრევინა* ,,გვახუნი მოიღო“ (ნიჟარაძე 1975: 113).

ფაქტია, რომ ამ ფორმებს *-უნ* სუფიქსიან ნაზმნარი სახელებიდან მიღებულად თვლის, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ეს ფორმები გაჩენილიყო დამოუკიდებლად, რაზეც ,,გვეხა” ზმნური ძირიც მიგვითითებს. დიალექტებში და ძველ წერილობით ძეგლებში ერთმანეთის გვერდით არსებული, განსხვავებული ფორმები ფონოსემანტიკური სიტყვებისა უშვებს შესაძლებლობას, რომ ერთი არ იყოს აუცილებლად მეორის შედეგად მიღებული (შდრ.: *ჩხარი, ჩხერა, ჩხერება, ჩხარუნი, ჩხარუნება* - ,,ვეფხისტყაოსანი”). ცხადია, რომ მათი სხვადასხვა გახმოვანებითა და სხვადასხვა ფორმით ხმარება ცვლის ნიუანსურ ელფერს და ხშირად მას სტილისტური დანიშნულება აქვს.

თუკი ვივარაუდებთ, რომ ფონოსემანტიკურ სიტყვათა მარტივი ბოლოხმოვნიანი ფუძეები *(ლაწა, ლაწუ)* დაირთავდა სუფიქსს *(ლაწანი, ლაწუნი)*, ხოლო თანხმოვნიანი ფუძის შემთხვევაში რჩებოდა *ლაწანი (წკარნი, ღვარნი)*, ასახსნელი დარჩება *ლიწინი, ტკიცინი* ფორმათა არსებობა ენაში. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ირკვევა, რომ მხოლოდ *-ნ* სუფიქსით ან მხოლოდ ფუძით, /ი/ ფუძიანი ფონოსემანტიკური ფორმები არ დასტურდება, არ არის **ტკიცი, *ლიწი...* და ა. შ.

,,თუკი ამგვარ სისტემათა მასდარებში (იგულისხმება *რიკინი, ლიწინი* ტიპის მასდარები) ფუძე /ი/-გახმოვანებითაა წარმოდგენილი, ამოსავალში ფუძედრეკადი ზმნა უნდა ვიგულვოთ: თუ ახლა არ დასტურდება რომელიმე მათგანში ფუძის დრეკა, ისტორიულად უნდა ვიგულისხმოთ მისი არსებობა. ასე რომ, ამის მიხედვით უნდა გვქონოდა. აწმყო: *ლეწს*, ნამყო ძირითადი **ლიწა, რეკს-/*რიკა* ფლექსიური მონაცვლეობა (ჯორბენაძე 1980: 210).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოს შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ კომპოზიტებში /ა/, /ი/ ხმოვნები მაერთის ფუნქციით არ იყოს გაჩენილი, არამედ გაორმაგებისას წარმოდგენილი იყო *ტკაცი, ტკაცა* ფუძეები /ა/, /ი/ სუფიქსური ელემენტით, თუმცა ამგვარ დაშვებას არაერთი წინააღმდეგობა ახლავს[1].

ფონოსემანტიკურ სიტყვათა სუფიქსური წარმოება სვანურში

სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაო ხშირია *უსუფიქსოდ - მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძეებით, ფუძის გაორკეცებით და სუფიქსაციით:*

ა) -უნ/-უნ

ბურდღ-უნ (ზს.) „ბურდღუნი“; *ბურთქ-უნ* (ბზ.), *ბურთქ-უნ* (ბქ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით”; *გურგ-უნ* (ბქ.) „გრგვინვა; გუგუნი”; *დგურბ-უნ* (ზს., ქს.) „დუგდუგი; ბაგაბუგი”; *დგურბ-უნ* (ბქ., ჩოლ.) „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“; *ზურზ-უნ* (ლნტ.) „ზუზუნი; ზარი, ზრუნი”; *თხურპ-უნ* (ბზ., ლშხ.), *თხურპ-უნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „თუხთუხი; სრუტუნი”; *კურკ-უნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კურკ-უნ* (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი”, შდრ. ქართ. კურკური; *ჟურყ-უნ* (ბქ.) „ტყლაშუნი”; *სგურჭ-უნ* (ბქ.) „ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა”; *ტურმ-უნ* (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა”; *ტყურსგ-უნ* (ბზ.), *ტყურსგ-უნ* (ბქ.) „ტკაცანი, ტკაცატკუცი; თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ტყორცნის ხმა”; *ტყურფ-უნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.),

[1] იხ. ამავე მონოგრაფიაში პარაგრაფი მაერთხმოვნიანი რედუპლიკაციის შესახებ, გვ. 215-223.

ტყურფ-უნ (ბქ., ლნტ.) „ტკაცანი, სროლის ხმა"; *ფურსდ-უნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდ-უნ* (ბქ., ლნტ.), *ფურსტ-უნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *ფხურკუნ* (ჩოლ.) „ფხაკუნი"; *ღურღ-უნ* (ზს.) „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი"; *ღურღ-უნ* (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"; *ყურფ-უნ* (ზს.) „ძვლების მსხვრევის ხმა; ტკაცატკუცი"; *ყურყ-უნ* (ბქ.) „მუცლის ბუყბუყი"; *ყურჩ-უნ* (ბქ.) „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"; *შკურფ-უნ* (ბქ., ჩოლ.) „ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა; კაკუნი"; *შყურბ-უნ* (ბქ.) „ბრაგუნი"; *ჩურჩ-უნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *ჩხურმ-ჳნ* (ბზ.), *ჩხურმ-უნ* (ბქ.) „ლაწალუწი"; *ჩხურტ-უნ* (ბქ.) „ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში"; *ცურც-უნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *ცურცხუნ* (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"; *ცხურკ-ჳნ* (ბზ., ლშხ.), *ცხურკ-უნ* (ბქ., ლნტ.) „რაიმეს შეწვის ხმა; ცხუკუნი"; *ძგურბ-ჳნ* (ბზ.), *ძგურბ-უნ* (ბქ.) „გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა"; *წურწკ-ჳნ* (ბზ.), *წურწკ-უნ* (ბქ., ქს.), შდრ. *წკულ/წკულ* „წკმუტუნი", „წკმუტუნი; წუწუნი"; *ჭყურტ-უნ* (ბქ.) „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"; *ჭურჭყ-უნ* (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი"; ხურმ-უნ (ბქ.) „ხრამუნი"; *ხურპ-უნ* (ბქ.) „ხვრეპა"; *ხურჭკ-უნ* (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა"; *ხურხ-ჳნ* (ბზ.) „კრუტუნი (კატისა)"; *ჯურჯღ-უნ* (ჩბხ., ლხმ.) „ჯუჯღუნი, ბუზღუნი"...

ბ) -ჳნ/-ჷნ

ბგლბ-ჳნ (ბქ.), შდრ. ჩბხ., ლხმ. *ბგლ-ბგნ* „დაძონძილი, ძონძებით სიარული", შდრ. *ბგლ* „ხევის, ფხრეწის ხმა", „ძუნძული"; *ბგლდ-ჳნ/ფგლთ-ჳნ* (ლშხ.) „ძონძებით შემოსილის მოძრაობა"; *ბგრბ-ჳნ* (ბქ., ჩოლ.), შდრ. *ლი-ბგრ-ბლ-აუ̯-ი* (ლშხ.) < *ლი-ბგრ-ბგლ-აუ̯-ი,* იგივეა, რაც *ლი-ბგრ-ბგნ-ი* (ბქ., ჩოლ.); „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"; უხეში ლაპარაკი; ბურდღუნი, როშვა", შდრ. ქართ. (ფშ., ხევს.) *ბუბუნი* „ხარის ხმიანობა"; *ბგრთქ-ჳნ* (ბზ.), *ბგრთქ-ჳნ* (ბქ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით"; *გგრგ-ჳნ* (ბზ., ლშხ.) „გრგვინვა; გუგუნი"; *დგრდგ-ჳნ* (ჩბხ.) „დაგადუგი, დუგდუგი", შდრ. ქართ. *დუდუნი* „დაბალი ხმით დაუნაწევრებელი ბგერების გამოცემა, ყრუ და წყნარი ხმიანობა, ბუტბუტი"; *ზგრზ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ზგრზ-ჳნ* (ბქ., ჩოლ.), შდრ. *ზუ̯ლ/ზულ* „ზმუილი", „ზუზუნი; ბუზღუნი; ზანზარი"; *თქგრშ-ჳნ* (ლშხ., ჩოლ.) „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი"; *თხგრპ-ჳნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „თხუპუნი"; *თხგრშ-ჳნ* (ბქ.) „თხლაშანი"; *თგრთხ-ჳნ* (ბქ.) „თითხინი"; *კგლკ-ჳნ* (ბქ., ჩოლ.) „ლიკლიკი"; *კგლპ-ჳნ* (ბქ., ჩოლ.) „წკლაპუნი; ლიკლიკი"; *კგრკ-ჳნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „კისკისი"; *კგრპ-ჳნ* (ბქ.) „წკლაპუნი"; *მგრტყ-ჳნ* (ბქ.) „უშნო ჭამა ხმის გამოცემით"; *პგრპ-ჳნ* (ლხმ.) „რატრატი, ლაქლაქი, ჩქარი ლაპარაკი, ყბედობა; პარპალი"; *ჟღგრმ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ჟღგრმ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღავილი"; *ჟგრჟღ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ჟგრჟღ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღარუნი"; *ჟგრჯ-ჳნ* (ლხმ.) „ჟრიამული"; *სგრტ-ჳნ* (ბქ.), *სგრტ-ჷნ* (ლშხ., ბქ.) „ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი"; *ტკგრჩ-ჷნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტკგრჩ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"; *ტკგრც-ჳნ* (ბქ., ჩოლ.) „ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი"; *ტყგრგ-ჳნ* (ლშხ., ჩოლ.) „ფეხშიშველა, მსუქანი ადამიანის სირბილი"; *ტგრტ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ტგრტ-ჳნ* (ბქ., ლნტ.), შდრ. *ლი-ტგრ-ტგნ-ი* და *ლი-ტგრეტ-ი* (ბქ.) „რატრატი, ლაქლაქი, ყბედობა"; *ტგრტყ-ჷნ* (ბზ.), *ტგრტყ-ჳნ* (ბქ.) „ტატყანი"; *ფხგრკ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ფხგრკ-ჳნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ფხაკუნი"; *ფხგრჭ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ფხგრჭ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „ფხაჭუნი (თაგვისა...)"; *ფგლთ-ჳნ* (ბქ.) „ფამფალი"; *ფგლფ-ჳნ* (ბქ.) „ფამფალი, მოფამფალებული, დამაბუნებული სიარული"; *ფგრთქ-ჷნ* (ბზ.)/*ფგრთქ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „ბაგაბუგი, ფრთქიალი"; *ფგრფგ-ნ* (ბქ.) „დაუკვირვებელი რატრატი; ჩიფჩიფი"; *ფგრჩხ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ფგრჩხ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"; *ფგრცხ-ჳნ/ლი-ფგრცხ-ჳნ-ი* (ბქ.) „კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"; *ღგლწკ-ჳნ* (ბზ.) „ღრაჭუნი"; *ღგრწკ-ჷნ* (ბზ., ლშხ.), *ღგრწკ-ჳნ* (ბქ., ლნტ.) „ღრიჭინი, ღრჭიალი"; *ღგრღ-ჳნ* (ბქ.) „ბოხი ხმით საუბარი; ლუღლუღი; ხიხინი; ხმაჩახლეჩით საუბარი"; *ყგრფ-ჳნ* (ზს.) „ძვლების მსხვრევის ხმა; ტკაცატკუცი"; *ყგრყ-ჳნ* (ზს.), შდრ. *ლი-ყგრ-ყგნ-ი* (ზს.) „ყაყანი; ყროყინი; ყიყინი; ყავყავი"; ყგრჭ-ჷნ (ჩოლ.) „გრძელკისერა ადამიანის უადგილო

სიცილი”; *შკვრფ-ვნ* (ბქ.), *შკვრფ-ვ̄ნ* (ლშხ., ჩოლ.) „ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა; კაკუნი”; *შხვრპ-ვნ* (ბქ.) „წკეპლის გადაჭერის ხმა”; *შვრთქ-ვნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით”; *შვრშ-ვნ* (ბქ., ჩოლ.), შდრ. *შვლ/შვლ* „შუილი”, „შუილი”; *შვრშხ-ვ̄ნ* (ბზ., ლშხ.), *შვრშხ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)”; *ჩქვრფ-ვნ/ლი-ჩქფვნ-ე* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)”; *ჩვრჩ-ვნ* (ბქ.) „პატარა ბავშვის საუბარი”; *ჩვრჩხ-ვნ* (ბქ.), შდრ. *ჩხვლ* „ჩხრიალი”, „ჩხარაჩხური; ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)”; *ჩხვრკ-ვ̄ნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჩხვრკ-ვნ* (ბქ.) „ჩხაკაჩხუკი”; *ჩხვრმ-ვ̄ნ* (ბზ.), *ჩხვრმ-ვნ* (ბქ.) „ლაწალუწი; მსხვრევის ხმა”; *ჩხვრფ-ვნ* (ზს.), *ლი-ჩხფუნ-ე* (ბზ.), *ლი-ჩხფვნ-ე* (ბქ., ჩოლ.) „ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)”; *ცქვრტ-ვნ* (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი”; *ცხვრპ-ვნ* (ბქ.) „წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფეულისა...)”; *ცვრცხ-ვნ* (ბქ.), *ცვრცხ-ვ̄ნ* (ლშხ.) < **ცხვლცხვნ,* შდრ. *ცხვ̄ლ/ცხვლ* „შუშხუნი”, „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი”, შდრ. ქართ. (გურ.) *ცუცხუნი* „ფუცხუნი, ცაცხანი; გაღიზიანება”; *ძვრწკ-ვნ* (ბქ.) „ღრჭიალი”; *წკვლპ-ვნ* (ბქ.) „წკლაპუნი”; *წვრწკ-ვნ* (ბქ.) „გაბზარვის ხმა”; *წყვრგ-ვნ* (ბქ., ჩოლ.) „წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი”, შდრ. მეგრ. *წყურგვინ; ჭყვრმ-ვ̄ნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჭყვრმ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ჭიჭყინი”; *წვრწკ-ვნ* (ბქ.) „გაბზარვის ხმა”; *ჭკვლპ-ვნ* (ბქ.) „კრიჭინი”; *ჭკვრპ-ვნ* (ბქ.) „კრაჭუნი”; *ჭყვრმ-ვნ* (ბქ.) „ჭიჭყინი”; *ჭვრჭკ-ვ̄ნ* (ბზ.), *ჭვრჭკ-ვნ* (ბქ.) „ჟრიამული, ხმაური; ჭიკჭიკი”; *ჭვრჭყ-ვ̄ნ* (ბზ., ლშხ.), *ჭვრჭყ-ვნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი”; *ჭვრჭ-ვ̄ნ* (ბზ.), *ჭვრჭ-ვნ* (ბქ.) „ჭიკჭიკი, ჭრიჭინი”; *ხვრგ-ვ̄ნ* (ბზ., ლშხ.), *ხვრგ-ვნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ხრიგინი”; *ხვრმ-ვ̄ნ* (ლშხ., ჩოლ.) „ხრამუნი”; *ხვრხ-ვნ* (ბქ.), *ხვრხ-ვნ* (ლშხ.) „ხროტინი”; *ჯვლჯგ-ვნ* (ბქ.), *ლი-ჯჯგვნ-ე* (ზს., ქს.) „ძუნძული, ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)”...

გ) -ინ/-ინ

კვრკ-ინ (ჩოლ.) „კისკისი”; *ფვრღ-ინ* (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი”; *ყვრყ-ინ* (ბზ.) „პირდაღებული ტირილი”; *ჩვრჩხ-ინ* (ბზ.) „ჩხარუნი”; „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)”; *ცვრღ-ინ* (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი”; *ცვრცხ-ინ* (ბზ., ჩოლ.) „დუღილი, ფუცხუნი”...

დ) -ეუ̂/-ე̄უ̂

ტ-ე̄უ̂-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტ-ეუ̂-ა* (ბქ.), *ტ-ჳ̆უ̂-ა* (უშგ.) „აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი”; *ტიმტ-ეუ̂-ა* (ბქ.) „აურზაური, აყალმაყალი”; *ფვც-ე̄უ̂-ა* (ბზ., ლშხ.), *ფვც-ეუ̂-ა* (ბქ., ლნტ.) „ფუთფუთი (ფრინველებისა, ჭიაღუებისა)”; *ჭიმჭკ-ე̄/ეუ̂-ა* (ჩოლ.) „ხმაური (ბავშვებისა)”; *ჭკლ-ე̄უ̂-ა* (ლშხ.) „ხმაური (დიდი)”; *ჭვნჭყ-ე̄უ̂-ა* (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)”; *ჯგლ-ე̄უ̂-ა* (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)”; *ხლ-ე̄უ̂-ა* (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)”; *ჯვნჯღ-ე̄უ̂-ა* (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)”...

სვანური *-შუნ/-უნ* და *-ვნ/-ვ̄ნ* სუფიქსიანი ლექსიკური ერთეულების შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით (ლ. სანიკიძე, რ. ჭკადუა) დასტურდება საენათმეცნიერო ლიტერატურაში, *-ინ/-ინ* და *-ეუ̂/-ე̄უ̂* სუფიქსიანი ფონოსემანტიკური ფორმების შესახებ კი დღემდე არაფერია ნათქვამი.

იმისათვის, რომ ფონოსემანტიკური ექსპრესიული ფუძეების აუსლაუტში წარმოდგენილი სეგმენტების (*-შუნ/-უნ, -ვნ/-ვ̄ნ, -ინ/-ინ, -ეუ̂/-ე̄უ̂*) ფუნქცია და წარმომავლობა გაირკვეს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამოსავალი მარტივი ფუძეების გამოვლენა და ანალიზი.

როგორც უკვე ითქვა, სვანურში საკმაო ხშირია ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულების *უსუფიქსოდ _ მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით* გამოყენების შემთხვევები. მათ გამოყენებას სვანურში სისტემური ხასიათი აქვს, ახასიათებთ ფუძის გაუფორმებლობა, რაც მათ არქაულობაზე მეტყველებს და ამგვარი ფუძეებიც ენათმეცნიერთა მიერ მიჩნეუ-

ლია *პირველად მასდარებად*[1] (არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, ა. დავითიანი...):

ბითქ (ზს., ქს.) „ბათქაბუთქი"; *ბიტყ* (ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; *დგუ̂იბ* (ბქ., ჩოლ.) „დუგდუგი; ბაგაბუგი"; *დგუ̂ლიბ* (ბქ.) „დუგდუგი"; *ზღუ̂იპ* (ჩოლ.) „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა"; *თხიპ* (ბქ.) „ბლანტი სითხის დასხმის ხმა, თხაპანი"; *რისტ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა"; *ტკიჩ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ჯოხის, ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"; *ტკუ̂იპ* (ბქ.) „ტკაპანი"; *ტუ̂რიმ* (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"; ტყუ̂იფ (ბქ.) „ხელის გარტყმის ხმა"; *ფლიჩ* (ბქ., ჩოლ.) „ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული"; *ღრიჭ* (ზს., ქს.) „ღრჭიალი, ღრიჭინი"; *ყუ̂ლიჩ* (ბქ.) „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"; *შკუ̂იფ* (ბქ.) „ჯოხის დარტყმის ხმა, კაკუნი"; *ჩხიკ* (ზს., ქს.) „ჩხაკაჩხუკი, რაიმე ნივთის დავარდნის ხმა"; ჩხუ̂იფ (ბქ.) „მსხვრევის ხმა"; *წყიგ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი"; *ჭიხ* (ზს.) „ჭახ-ჭახი, ჭახანი; გარტყმის ხმა"; *ჭკუ̂იპ* (ბქ.) „ძაფის გაწყვეტის ხმა"; *ხუ̂რიმ* (ბქ.) „ხრამუნი"; *ხუ̂რიპ* (ზს., ლშხ., ჩოლ.) „ხვრეპა"...

უნდა ითქვას ისიც, რომ *უსუფიქსოდ _ მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით* წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკის უმეტესი ნაწილი შემონახულია იდიომატურ გამოთქმებში (მაგ.: გუ̂იდ აშ *დგუ̂იბ ენკიდ* (ბქ.) „გულმა დაიგუგუნა („გულ-მა ასე ბაგაბუგი აიღო")", ღუ̂ინა̈ლს *ხუ̂რიპ ახღანე* (ბქ.) „ღვინო ხვრეპით დალია („*ღვინო-ს ხვრეპა* გაადინა")", ბეფშუ̂ს *ჭიხ ახღანე* (ბქ.) „ბავშვს გაარტყა („*ბავშვ-ს ჭახან*-ი გაადინა")" და მრავ. სხვ.), თუმცა ისინი ხშირად ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულებიც (მაგ.: *იმემ ხუ̂რიმ ჯარ?* (ბქ.) „რას ახრამუნებ („რისი *ხრამ*-უნ-ი გაქვს?")?", *მოლემ ღრიჭ მესმიუ̂* (ბქ.) „რაღაცის ღრჭიალი მესმოდა", *ჩხიკ ესერ ახსგმა* (ბქ.) „ჩხაკუნი გავიგონეო („*ჩხაკ*-უნ-ი-ო ⌜მო⌝-*სმ*-ენ-ი-ა")" და ა. შ.) ანუ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ე. წ. „პირველადი მასდარები" გარკვეულ ზმნებთან კომბინაციაში ექსპრესიული შინაარსის მოქმედებას გამოხატავენ (ჭკადუა 2013:237).

მიუხედავად იმისა, რომ *უსუფიქსო _ მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძეები* დიდ როლს ასრულებენ რედუპლიკაციაში, კერძოდ კი ხმოვნის მონაცვლეობით ფუძის გაორკეცებაში (შდრ. *ი ~ ა, ა ~ უ, ი ~ უ* ...), მათ ყოველთვის არ ძალუძთ *უ* და *გ* ხმოვნის შემცველი (ანუ *დგურბუნ, ტურშუნ, ბგრთქვნ, ღგრჭვნ*... ტიპის) ფუძეების წარმოება; ერთგვაროვან ბგერით ყალიბებს ან *უ*-ხმოვნიანი რედუპლიცირებული ფუძე აკლიათ, ან *გ*-ხმოვნიანი (იხ. მოდელი 1. *ი ~ უ ~ გ*). აქვე დავსძენთ, რომ არც ყველა *უ* და *გ*-ხმოვნის შემცველ ფორმებს გააჩნიათ *მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძეები* (მაგ. შდრ. *ცურცუ̂ნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ცურცუნ* (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული", მაგრამ არ დასტურდება _ *ცირცუ̂; ცხურკუ̂ნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ცხურკუნ* „შიშხინი; რაიმეს შეწვის ხმა", მაგრამ არ მოგვეპოვება _ *ცხირკუ̂* და ა. შ.).[2]

ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა:

1. ი ~ უ ~ გ | ი ~ ი | ი ~ ა

ბიტყ (ლშხ., ჩოლ.)	*ბიტყ-ბიტყ* (ლშხ., ჩოლ.)	*ბიტყ-ბატყ* (ლშხ., ჩოლ.)	–	–	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგუ̂იბ (ზს., ქს.)	დგუ̂იბ-დგუ̂იბ (ზს., ქს.)	დგუ̂იბ-დგუ̂აბ (ზს., ქს.)	დგურბუნ (ზს., ქს.)	–	„დუგდუგი; ბაგაბუგი"

[1]ამ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში „სახელურ-ზმნურ" ფუძეებსაც უწოდებენ (იხ. დავითიანი 2008: 315-331).

[2]აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იხ. ქვემოთ!

ბითქ (ზს., ქს.)	*ბითქ-ბითქ* (ზს., ქს.)	*ბითქ-ბათქ* (ზს., ქს.)	*ბურთქუნ* (ბქ.)	*ბგრთქგნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით”
სგუიჭ (ბქ.)	*სგუიჭ-სგუიჭ* (ბქ.)	*სგუიჭ-სგუაჭ* (ბქ.)	*სგურჭუნ* (ბქ.)	–	„ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა”
სიტ (ბქ., ჩოლ.)	*სიტ-სიტ* (ბქ., ჩოლ.)	*სიტ-სატ* (ბქ., ჩოლ.)	–	*სგრტგნ (ბქ.), სგრტგნ* (ლშხ., ბქ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი”
ტურიმ (ბქ.)	*ტურიმ-ტურიმ* (ბქ.)	*ტურიმ-ტურამ* (ბქ.)	*ტურმუნ* (ბქ.)	–	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა”
ტყუისგ (ბქ.)	*ტყუისგ-ტყუისგ* (ბქ.)	*ტყუისგ-ტყუასგ* (ბქ.)	*ტყურსგუნ* (ბქ.)	–	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა”
ღრიჭ (ზს., ქს.)	*ღრიჭ-ღრიჭ* (ზს., ქს.)	*ღრიჭ-ღრაჭ* (ზს., ქს.)	*ღურჭუნ*ˁ (ბქ.)	*ღგრჭგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ღგრჭგნ* (ბქ., ლნტ.)	1. „ღრჭიალი (ფიცრისა, ქაღალდისა)”; 2. „ღრჭიალი (თმისა)”
ყულიჩ (ბქ.)	*ყულიჩ-ყულიჩ* (ბქ.)	*ყულიჩ-ყულაჩ* (ბქ.)	*ყურჩუნ* (ბქ.)	–	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა”
შკუიფ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	*შკუიფ-შკუიფ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	*შკუიფ-შკუაფ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	*შკურფუნ* (ბქ.)	*შკგრფგნ* (ბქ.), *შკგრფგნ* (ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა”
შხიპ (ბქ.)	*შხიპ-შხიპ* (ბქ.)	*შხიპ-შხაპ* (ბქ.)	–	*შხგრპგნ*	„წკეპლის გადაჭერის ხმა”
ჩხიკ (ზს., ქს.)	*ჩხიკ-ჩხიკ* (ზს., ქს.)	*ჩხიკ-ჩხაკ* (ზს., ქს.)	–	*ჩხგრკგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჩხგრკგნ* (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი”
წყიგ (ბქ.)	*წყიგ-წყიგ* (ბქ.)	*წყიგ-წყაგ* (ბქ.)	–	*წყგრგგნ* (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი”
ხურიმ (ბქ.)	*ხურიმ-ხურიმ* (ბქ.)	*ხურიმ-ხურამ* (ბქ.)	*ხურმუნ* (ბქ.)	*ხგრმგნ* (ლშხ., ჩოლ.)	„ხრამუნი”
ხურიპ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	*ხურიპ-ხურიპ* (ბქ.)	*ხურიპ-ხურაპ* (ბქ.)	*ხურპუნ* (ბქ.)	–	„ხვრეპა”...

შენიშვნა: ჩვენი დაკვირვებით, ისეთ მარტივ ფუძეებს, როგორიცაა *ბრიხ* (ზს.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი”, *დრიზ* (ბქ.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი; დარტყმის ხმა” და მისთ., გაორკეცებისას კომპოზიტის მეორე ნაწილში *-უ-* ხმოვანი ენაცვლება (შდრ. *ბრიხ-ბრუხ* და *დრიზ-დრუზ)* და საპირისპირო ფორმებს (ანუ *-უ-* და *-გ-*ხმოვნის შემცველს) ან საერთოდ ვერ აწარმოებს, ან იშვიათად და ისიც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

2. *უ ~ გ*[1]

თხურპუნ (ბქ., ჩოლ.)	„თხუპუნი”	*თხგრპგნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„თხუპუნი”
კურკუნ (ბქ.)	„კრუსუნი”	*კგრკგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კგრკგნ* (ბქ., ლნტ.), *ქგრკგნ* (ლნტ., ჩოლ.)	„კისკისი”

[1] ზოგჯერ *-უ-* და *-გ-* ხმოვნიან ფორმებს შორის სემანტიკურ სხვაობასაც აქვს ადგილი, რაც თავისთავად აისახა ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში (შდრ., ერთი მხრივ, *კურკუნ* (ბქ.) „კრუსუნი“ და, მეორე მხრივ, *კგრკგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კგრკგნ* (ბქ., ლნტ.), *ქგრკგნ* (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი“ და ა. შ.).

ღურღულ (ზს., ჩოლ.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი”	*ღგრღგნ* (ბქ., ჩოლ.), შდრ. ლშხ. *ლი-ღურ-ღულ-აუ-ი* „ბურდღუნი”	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი; ბურდღუნი”
ყურფულ (ზს.)	„ძვლების მსხვრევის ხმა”	*ყგრფგნ* (ზს.)	„ძვლების მსხვრევის ხმა”
ყურყულ (ბქ.)	„მუცლის ბუყბუყი”	*ყგრყგნ* (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი”
ჩხურმულ (ბზ.), *ჩხურმულ* (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა”	*ჩხგრმგნ* (ბზ.), *ჩხგრმგნ* (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა”
ჩხურფულ (ზს.)	„ჩუჩხჩუხი (წყლისა)”	*ჩხგრფგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჩხგრფგნ* (ბქ., ლნტ.)	„ჩუჩხჩუხი (წყლისა)”
ცურცხულ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი”	*ცგრცხგნ* (ჩოლ.)	„დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი”
წურწკულ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *წურწკულ* (ბქ., ლნტ.)	„წკმუტუნი”	*წგრწკგნ* (ბქ.)	„გაბზარვის ხმა”
ჭურჭყულ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი”	*ჭგრჭყგნ* (ბზ.), *ჭგრჭყგნ* (ბქ.)	„ჭიჭყინი” ...

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ბგერწერითად გამოყენებული *უ ~ გ* სვანურში ხმაბაძვის შემთხვევაში გამოხატავს მაღალ ტონს, ხოლო, რაც შეეხება *ი ~ უ ~ გ* დაპირისპირებას, აქ *ი* ხმოვანი *უ* და *გ* ხმოვნებთან შედარებით დაბალი ტონის მაჩვენებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ /*ი*/ ხმოვნის მეშვეობით სიპატარავის, სიმცირის გამოხატვაზე (ე. სეპირი, ო. იესპერსენი, რ. იაკობსონი...), რასაც, ვფიქრობთ, სვანურ მასალაზე დაკვირვებაც ცხადყოფს (საღლიანი 2014:183).

სვანურში *ი ~ უ ~ გ* და *უ ~ გ* დაპირისპირების პარალელურად ხშირად დასტურდება როგორც *-უნ/-ულ*, ისე *-გნ/-გლ* სუფიქსიანი რედუპლიცირებული ფუძეები პარალელური ვარიანტების გარეშე (მაგ.: გვაქვს *ბგრბგნ*, მაგრამ არ გვაქვს *ბურბულ*, გვაქვს *ფურსდუნ*, მაგრამ არ გვაქვს *ფგრსდგნ* და ა. შ.):

-უნ/-ულ:

კურკუნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კურკულ* (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი”, *მურღუნ* (ბზ., ლშხ.), *მურღულ* (ბქ., ლნტ.) „ბუზღუნი”, *ფურსდუნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდულ* (ბქ., ლნტ.), *ფურსტულ* (ბქ.) „ჩურჩული”, *ცურცუნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ცურცულ* (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული”, *ცხურკუნ* (ბზ., ლშხ.), *ცხურკულ* (ბქ., ლნტ.) „რაიმეს შეწვის ხმა”...

-გნ/-გლ:

ბგრბგნ (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი”, *ზგრზგნ* (ბქ.) „ზრიალი”, ***კგრკგნ*** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კგრკგნ* (ბქ., ლნტ.), *ქგრკგნ* (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი”, *ჟგრჟღგნ* (ბზ., ლშხ.), *ჟგრჟღგნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღარუნი”, *ტგრტგნ* (ბზ., ლშხ.), *ტგრტგნ* (ბქ., ლნტ.) „რატრატი”, *ღგლწკგნ* (ბზ.) „ღრაჭუნი”, *ჩგრჩხგნ* (ბქ.) „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)”, *წგრპგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *წგრპგნ* (ბქ., ლნტ.) „წრიპინი”, *წგრწკგნ* (ბქ.) „გაბზარვის ხმა”...

ვინაიდან ბგერწერითი ყალიბები ყველაზე უფრო გამოკვეთილად რედუპლიცირებულ ფუძეებში ვლინდება, აქედან გამომდინარე თავის დროზე შევეცადეთ დაწვრილებით შეგვესწავლა რედუპლიკაციის ყველა სახე სვანურში (1. ხმოვნის შეუცვლელად

რედუპლიცირებული ფუძე; 2. ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე; 3. თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე და 4. თანხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე), და წარმოგვედგინა ფონოსემანტიკური და გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი[1], თუმცა *-ურ/-ურ, -ენ/-ენ, -ინ/-ინ* და *-ეჟ/-ეჟ* სეგმენტიანი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულების შესახებ საგანგებო მსჯელობა დღემდე არ გვქონია.

საინტერესოა, ზემოთ წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულების აუსლაუტში გამოვლენილი *-ურ/-ურ* და *-ენ/-ენ* წარმოშობით სუფიქსებია თუ უბრალოდ რედუპლიცირებული ფუძის ბოლო სეგმენტები?

მიუხედავად იმისა, რომ ა) და ბ) მოდელებში (იხ. ზემოთ!) წარმოდგენილი ფუძეები სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე, ფ. ერთელიშვილი, რ. ჭკადუა...) რედუპლიცირებულ ფორმებადაა მიჩნეული, აუსლაუტისეული სეგმენტები კი „სუფიქსოიდებად", ბევრი მათგანის რედუპლიცირებულ ფორმებად მიჩნევა მათი რთული სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე თითქოს საეჭვოა, თუმცა აღნიშნული ფუძეების რეკონსტრუირება და შესაბამისად ამოსავალი მარტივი ძირების ჩვენება ამ ეჭვს შეძლებისდაგვარად აქარწყლებს.[2]

ჩვენი აზრით, როდესაც რედუპლიცირებულ ფუძეებად მიჩნეული ფორმების პარალელურად ამოსავალი სავარაუდო ფუძეებიც (მაგ.: *წკურ/წკურ, ზურ/ზურ, შენ/შენ, რისტ, სიტ, ბრიგურ, ტკიჩ, დგუიბ* და ა. შ.) დასტურდება, ამ შემთხვევაში შედარებით ადვილი მისახვედრია აუსლაუტისეული სეგმენტების წარმომავლობა, ამიტომ სასურველია შეძლებისდაგვარად ყველა სავარაუდო ამოსავალი მარტივი ფუძის გამოვლენა.[3] აღსანიშნავია ისიც, რომ *-ურ/-ურ* და *-ენ/-ენ* სუფიქსიანი ფორმების პარალელურად *ლი _ ი* მოდელით ნაწარმოები საწყისებიც (მაგ.: *ლი-ზურ-ი* „ზმუილი", *ლი-შენ-ი* „შუილი", *ლი-წკურ-ი* „წკმუტუნი"...) გვაქვს, რომლებიც, ბუნებრივია, რომ უფრო გავრცელებულია სვანურში და ზმნური სემანტიკაც უფრო მეტად აქვთ (ჭკადუა 2007:113). ამოსავალი მარტივი ფუძეები უცვლელი სახით სწორედ ამ პარალელურ საწყისებში გვხვდება (შდრ. *ზურ, შენ, წკურ*...), საანალიზო რედუპლიცირებულ ფუძეებში კი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებია მომხდარი.

-ურ/-ურ და *-ენ/-ენ* სეგმენტიანი რთული სტრუქტურის ფუძეები (*ჭურჭყურ* (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი", *ხურჭკურ* (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა"; *ჟგრჟღგრ* (ბქ.) „ჟღარუნი", *ცგრცხგრ* (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი", *ჭგრჭყგრ* (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭყგრ* (ბქ., ლნტ.) „ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი" და ა. შ.), რომლებიც სავარაუდოდ რედუპლიკაციის გზით მიღებულად არის მიჩნეული, *სიტყვაწარმოების დონეზე ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები* და შესაბამისად რედუპლიკაციაც დაჩრდილულია. სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ბურ+თქურ, ტყურ+ფურ, ტგრ+ტყგრ, ცგრ+ცხგრ, წურ+წკურ, ჭგრ+ჭყგრ, ჯგლ+ჯგგლ და ა. შ., თუმცა საანალიზო ფუძეების მეორე სეგმენტის აუსლაუტში ბალსზემოურში, ლაშხურსა

[1]დაწვრილებით იხ. საღლიანი 2014 : 175-198.
[2] აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით იხ. ქვემოთ!
[3]აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იხ. ქვემოთ.

და ჩოლურულში გამოვლენილი გრძელი ხმოვნები ამგვარ სტრუქტურულ დაყოფას დაბრკოლებას უქმნის.

როგორც სვანური მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში სხვა ქართველური ენებისათვის სავარაუდო სონორი ყველა *-უნ/-ენ* და *-ენ/-ენ* დაბოლოებიანი ფუძის ძირეულ ნაწილში ფიგურირებს (შდრ.: *თხურპუნ* (ბზ., ლშხ.), *თხურპენ* (ბქ., ლნტ.) „თუხთუხი; სრუტუნი", *ჟღერმენ* (ბზ., ლშხ.), *ჟღერმენ* (ბქ., ლნტ.) „ჟღავილი", *ტკვრჩენ* (ბქ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა", *შყურბუნ* (ბქ.) „ბრაგუნი", *ჩხურმუნ* (ბზ.), *ჩხურმენ* (ბქ.) „ლაწალუწი"...), რაც, ერთი შეხედვით, თითქოს ამყარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს ქართულსა და მეგრულში თანხმოვნის დაკარგვისა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სვანურში ამოსავალ მარტივ ფუძეებში სონორი ყოველთვის არ ჩანს[1].

იმისათვის, რომ ფონოსემანტიკური ექსპრესიული ფუძეების აუსლაუტში წარმოდგენილი სეგმენტების (*-უნ/-ენ, -ენ/-ენ*) წარმომავლობა გაირკვეს, აუცილებელია ამოსავალი *მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძეების* ჩვენება. ხშირად ამ ფუძეების, ანუ, როგორც არნ. ჩიქობავა უწოდებდა (ჩიქობავა 1950:075), „პირველადი მასდარების" გამოვლენა არ ხერხდება, რაც გვავარაუდებინებს, რომ ზოგი ფორმა დაკარგულია, ზოგიც შესაძლოა საერთოდ არ იყოს წარმოქმნილი[2], თუმცა საქმის ნამდვილი ვითარების გასარკვევად შესაძლებელია სავარაუდო ფუძეების ხელოვნურად აღდგენა, რაც მთლიანი ქრონოლოგიური სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, უაფიქსო, გაუფორმებელი ძირებიდან (მაგ.: *ბრიგუ̈/ბრიგ, ბიჩხ, ზიპ, ტუ̈რიმ, ღრიჭ, ჩხიკ, ჯიჯგ...*) გაორკეცებით უნდა მიგვეღო გაორმარცვლიანებული ფუძეები, რომელთაც დაერთო (*-უნ/-უნ, -ენ/-ენ*) სუფიქსები. კიდევ ერთი სონანტის დართვას უნდა გამოეწვია რედუპლიცირებული ფუძის მეორე სეგმენტის სონანტის ჩავარდნა, ერთმანეთის მეზობლობაში მოხვედრილი ორი ერთნაირი ხმოვანი კი ერთმანეთს შეერწყა და აღნიშნული ბოლოსართის ხმოვანი დაგრძელდა: *ზიპ → *ზერ-პერ → *ზერ-პერ-ენ →* ზერ-პენ (ჭკადუა 2007:113; 2013:238). ვფიქრობთ, ეს ვარაუდი აუსლაუტისეული ხმოვნის სიგრძის დადგენის ერთ-ერთი ოპტიმალური საშუალებაა, თუმცა არც სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამოვრიცხავთ.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, სვანურში ა̈, ო̈, უ̈, ე̈, ი̈, უ̈ ხმოვანთა უმლაუტების წარმოშობას განსაზღვრული ფონეტიკური საფუძველი აქვს _ ეს არის *ე*-ნისა და განსაკუთრებით კი *ი*-ნის გავლენა (შანიძე 1957:324-325), მაგრამ სვანურში ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გვხვდება მოულოდნელი უმლაუტის შემთხვევები, რომელიც არ ემორჩილება სვანური უმლაუტებისათვის დღემდე დადგენილ რაიმე კანონზომიერებას (მაგ.: *ა̈ბრეგ* (შდრ. აბრა̈გ) „აბრაგი", *ა̈რა̈ყ/ა̈ჱრაყ* „არაყი", *ქა̈რა̈ხს* „ყანწი, ქარახსი" და მისთ., საღლიანი 2005:74-75), ასევე არ ჩანს თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში (+ ჩოლურულ მე

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ

[2] *შენიშვნა:* ამოსავალი მარტივი _ *სენ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *სენ* (ბქ., ლნტ.) „სისინი (ქარისა, გველისა...)" (რედუპლიკაციით *სენ-სენ; შდრ. ლი-სენ-ი*), *შენ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შენ* (ბქ., ლნტ.) „შიშინი" (რედუპლიკაციით *შენ-შენ; შდრ. ლი-შენ-ი*), *ხენ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ხენ* (ბქ., ლნტ.) „ხროტინი, ხიხინი" (რედუპლიკაციით *ხენ-ხენ*; შდრ. *ლი-ხენ-ი*) და ა. შ. ფორმები ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, რადგან ისინი არა ქართული *სისინი, შიშინი, ხიხინი*... ფორმების შესატყვისია, არამედ *სივილი, შუილი/შხუილი, ხუილი*... ფორმებისა და მათგან სუფიქსიანი ფორმები არ იწარმოება.

ტყველებაში) ზოგიერთ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ამისი მიზეზი, შესაძლოა, დაკარგული სახელობითი ბრუნვის ნიშანიც იყოს, რომელსაც, როგორც ჩანს, უმლუტის გამოწვევის გარდა, ხმოვნის დაგრძელებაც შეუძლია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სვანურში ხშირია შემთხვევები, როდესაც ფუძისეული (ან თანდებულისეული) ი ხმოვანი წინამავალი ხმოვნის გავლენით ხმოვნობას კარგავს, თვითონ *იოტად* იქცევა და შემდეგ გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს (მაგ.: *ბ̄რახ/ბ̄ჯრახ* „ბაირაღი"...) (ჟღენტი 1949:75; საღლიანი 2005:88). თუკი ამგვარ ინტერპრეტაციას დავუშვებთ, მაშინ ორმარცვლიანი ფუძეების აუსლაუტში დადასტურებული მარცვლები *-უნ/-უნ* და *-გნ/-გნ*, ქართულის მსგავსად (იხ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, 1970, გვ. 209), წარმომავლობით რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტებად, ან მათი ანალოგიით გაჩენილად უნდა მივიჩნიოთ.

თვალსაჩინოებისათვის დაწვრილებით წარმოვადგენთ საანალიზო ფუძეთა სავარაუდო ფონეტიკურ ტრანსფორმაციას დიდძალი მასალის საფუძველზე:

–	*ბურთქუნ* (ბზ.,ლშხ.)/ *ბურთქუნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი"	**ბუითქ → *ბუირთქ → *ბურთქ → *ბურთქურ → *ბურ-თქურ-უნ → ბურ-თქ-უნ*
ბითქ (ხს., ქს.)	*ბგრთქგნ* (ბზ., ჩოლ.)/ *ბგრთქგნ* (ბქ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი"	*ბითქ → *ბირთქ → *ბგრთქ → *ბგრ-თქგრ → *ბგრ-თქგრ-გნ → ბგრ-თქ-გნ*
დგუიბ/დგულიბ (ბქ.)	*დგურბუნ* (ბქ., ჩოლ.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"	*დგუიბ → *დგუირბ → *დგურბ → *დგურ-ბურ → *დგურ-ბურ-უნ → დგურ-ბ-უნ*
–	*დგრდგგნ* (ჩბხ.)	„დაგადუგი"	**დიდგ → *დირდგ → *დგრდგ → *დგრ-დგგრ → *დგრ-დგგრ-გნ → დგრ-დგ-გნ*
–	*თგრტგნ* (ბზ.) *თგრტგნ* (ბქ., ჩოლ.)	„ჭიხვინი, ხვიხვინი: ფრუტუნი"	**თიტ → *თირტ → *თგრტ → *თგრ-ტგრ → *თგრ-ტგრ-გნ → თგრ-ტ-გნ*
შდრ. ბქ. *კლეპ*	*კგლპგნ/კგრპგნ* (ბქ.)	„წკლაპუნი"	**კილპ → *კგლპ → *კგლ-პგლ → *კგლ-პგლ-გნ → კგლ-პ-გნ*
მიტყ (ბქ.)	*მგრტყგნ* (ბქ.)	„უშნო ჭამა ხმის გამოცემით"	მიტყ → *მირტყ → *მგრტყ → *მგრ-ტყგრ → *მგრ-ტყგრ-გნ → მგრ-ტყ-გნ
–	*ჟღგრჟღგნ* (ბზ.)	„ჟღარუნი"	**ჟღიჟღ → *ჟღირჟღ → *ჟღგრჟღ → *ჟღგრ-ჟღგრ → *ჟღგრ-ჟღგრ-გნ → ჟღგრ-ჟღ-გნ*
–	*ჟგრჟღგნ* (ბქ.)	„ჟღარუნი"	**ჟიჟღ → *ჟირჟღ → *ჟგრჟღ → *ჟგრ-ჟღგრ → *ჟგრ-ჟღგრ-გნ → ჟგრ-ჟღ-გნ*
სიტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	*სგრტგნ (ბზ.), სგრტგნ* (ბქ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი: ლაწალაწი"	*სიტ → *სირტ → *სგრტ → *სგრ-ტგრ → *სგრ-ტგრ-გნ → სგრ-ტ-გნ*
ტურიმ (ბქ.)	*ტურმუნ* (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, მტვრევის ძლიერი ხმა"	*ტურიმ → *ტუირმ → *ტურმ → *ტურ-მურ → *ტურ-მურ-უნ → ტურ-მ-უნ*
ტყუისგ (ბქ.)	*ტყურსგუნ* (ბქ.)	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა"	*ტყუისგ → *ტყუირსგ → *ტყურსგ → *ტყურ-სგურ → *ტყურ-სგურ-უნ → ტყურ-სგ-უნ*
–	*ტგრკგნ* (ბქ.)	„ჩქარი სირბილით გამოწვეული ხმაური"	**ტირკ → *ტგრკ → *ტგრ-კგრ → *ტგრ-კგრ-გნ → ტგრ-კ-გნ*

–	*ტგრტყგნ (ბზ.), ტგრტყგნ* (ბქ.)	„ტატყანი”	**ტიტყ → *ტირტყ → *ტგრტყ → *ტგრ-ტყგრ → *ტგრ-ტყგრ-გნ → ტგრ-ტყ-გნ*
შდრ. (ბქ.) ფაშტუ „ჩურჩული”	*ფურსდუნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდუნ* (ბქ., ლნტ.) | *ფურსტუნ* (ბქ.)	„ჩურჩული”	**ფუისდ → *ფუირსდ → *ფურსდ → *ფურ-სდურ → *ფურ-სდურ-უნ → ფურ-სდ-უნ*
–	*ფგრთქგნ (ბზ.)/ფგრთქგნ (ბქ., ლნტ.)*	„ბაგაბუგი; ფრთქიალი”	**ფითქ → *ფირთქ → *ფგრთქ → *ფგრ-თქგრ → *ფგრ-თქგრ-გნ → ფგრ-თქ-გნ*
–	*ფგრჩხგნ* (ბზ., ლშხ.), *ფგრჩხგნ* (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)”	**ფიჩხ → *ფირჩხ → *ფგრჩხ → *ფგრ-ჩხგრ → *ფგრ-ჩხგრ-გნ → ფგრ-ჩხ-გნ*
ფიცხ[ჲ] (ბქ.)	*ფგრცხგნ* (ბზ., ლშხ.), *ფგრცხგნ* (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)”	*ფიცხ → *ფირცხ → *ფგრცხ → *ფგრ-ცხგრ → *ფგრ-ცხგრ-გნ → ფგრ-ცხ-გნ*
–	*ღურჭუნ* (ზს., ქს.)	„ღრჭიალი (ფიცრისა, ქაღალდისა)”	**ღუიჭ → *ღუირჭ → *ღურჭ → *ღურ-ჭურ → *ღურ-ჭურ-უნ → ღურ-ჭ-უნ*
ღრიჭ (ზს., ქს.)	*ღგრჭგნ* (ბზ., ლშხ.), *ღგრჭგნ* (ბქ., ლნტ.)	„ღრჭიალი (თმისა)”	**ღრიჭ → *ღირჭ → *ღგრჭ → *ღგრ-ჭგრ → *ღგრ-ჭგრ-გნ → ღგრ-ჭ-გნ*
ღიწკ (ბქ.)	*ღგრწკგნ* (ბზ., ლშხ.), *ღგრწკგნ* (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი”	**ღიწკ → *ღირწკ → *ღგრწკ → *ღგრ-წკგრ → *ღგრ-წკგრ-გნ → ღგრ-წკ-გნ*
ყულიჩ (ბქ.)	*ყურჩუნ* (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა”	*ყულიჩ → *ყურიჩ → *ყურჩ → *ყურ-ჩურ → *ყურ-ჩურ-უნ → ყურ-ჩ-უნ*
–	*ყგრჭგნ* (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი”	**ყიჭ → *ყირჭ → *ყგრჭ → *ყგრ-ჭგრ → *ყგრ-ჭგრ-გნ → ყგრ-ჭ-გნ*
შკუიფ (ზს., ქს.)	*შკურფუნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა”	*შკუიფ → *შკუირფ → *შკურფ → *შკურ-ფურ → *შკურ-ფურ-უნ → შკურ-ფ-უნ*
შკიფ (ზს., ქს.)	*შკგრფგნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა”	*შკიფ → *შკირფ → *შკგრფ → *შკგრ-ფგრ → *შკგრ-ფგრ-გნ → შკგრ-ფ-გნ*
შითქ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	*შგრთქგნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით”	*შითქ → *შირთქ → *შგრთქ → *შგრ-თქგრ → *შგრ-თქგრ-გნ → შგრ-თქ-გნ*
–	შგრშხგნ (ბზ., ლშხ.), შგრშხგნ (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)”	**შიშხ → *შირშხ → *შგრშხ → *შგრ-შხგრ → *შგრ-შხგრ-გნ → შგრ-შხ-გნ*
ჩხიკ (ზს., ქს.)	ჩხგრკგნ (ბზ., ლშხ.), ჩხგრკგნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჩხაკაჩხუკი”	*ჩხიკ → *ჩხირკ → *ჩხგრკ → * ჩხგრ-კგრ → * ჩხგრ-კგრ-გნ → ჩხგრ-კ-გნ*
ჩხუიტ	ჩხურტუნ (ბქ.)	„ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში”	*ჩხუიტ → *ჩხუირტ → *ჩხურტ → *ჩხურ-ტურ → *ჩხურ-ტურ-უნ → ჩხურ-ტ-უნ*
–	ჩგრჩხგნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)”	**ჩიჩხ → *ჩირჩხ → *ჩგრჩხ → *ჩგრ-ჩხგრ → *ჩგრ-ჩხგრ → *ჩგრ-ჩხგრ-გნ → ჩგრ-ჩხ-გნ*
–	ცგრცხგნ (ბქ.)	„ფუცხუნი”	**ციცხ → *ცირცხ → *ცგრცხ → *ცგრ-ცხგრ → *ცგრ-ცხგრ-გნ → ცგრ-ცხ-გნ*

ძგუიბ (ბქ., ჩოლ.)	*ძგურბუნ* (ბქ.), *ძგურბუნ* (ჩოლ.)	„გლეჯა”	ძგუიბ → *ძგუირბ → ძგურბ → *ძგურ-ბურ → *ძგურ-ბურ-უნ → ძგურბ-უნ
ძიწკ (ბქ.)	*ძგრწკვნ* (ბქ.)	„ღრჭიალი”	ძიწკ → *ძირწკ → *ძგრწკ → *ძგრ-წკგრ → *ძგრ-წკგრ-ვნ → ძგრწკ-ვნ
შდრ. წკუ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), წკულ (ბქ., ლნტ.), შდრ. ბქ. წ̆წკუ̆ „წკმუტუნი”	*წურწკუ̄ნ (უშგ.)*, წურწკუნ (ბქ., ქს.)	„წკმუტუნი;წუწუნი”	*წუ̆იწკ → *წუ̆ირწკ → *წურწკ → *წურ-წკურ → *წურ-წკურ-უნ → წურ-წკ-უ̄ნ
წყოგ (ბქ., ჩოლ.)	წყგრგვნ (ბქ., ჩოლ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი”	წყოგ → *წყირგ → *წყგრგ → *წყგრ-გგრ → *წყგრ-გგრ-ვნ → წყგრ-გ-ვნ
–	წგრპვ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), წგრპვნ (ბქ., ლნტ.)	„წრიპინი”	*წირპ → *წგრპ → *წგრ-პგრ → *წგრ-პგრ-ვნ → წგრ-პ-ვ̄ნ
–	წგრწკვნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა”	*წიწკ → *წირწკ → *წგრწკ → *წგრ-წკგრ → *წგრ-წკგრ-ვნ → წგ-წკ-ვნ
–	ჯურჯყუნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი;ჯუჯყუნი”	*ჯუ̆იჯყ → *ჯუ̆ირჯყ → *ჯურჯყ → *ჯურ-ჯყურ → *ჯურ-ჯყურ-უნ → ჯურ-ჯყ-უნ
შდრ. ზს., ჩოლ. *ჰექ*	ჰგრქვ̄ნ (ბზ., ჩოლ.), ჰგრქვნ (ბქ.)	„ხმაური (ქალისა), ხმამაცლა ჩხუბი”	*ჰიქ → *ჰირქ → *ჰგრქ → *ჰგრ-ქგრ → *ჰგრ-ქგრ-ვნ → ჰგრ-ქ-ვ̄ნ
–	ჰგრჰკვნ (ბქ.)	„ჟრიამული, ხმაური”	*ჰიჰკ → *ჰირჰკ → *ჰგრჰკ → *ჰგრ-ჰკგრ → *ჰგრ-ჰკგრ-ვნ → ჰგრ-ჰკ-ვნ
–	ჰგრჰყვ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჰგრჰყვნ (ბქ., ლნტ.)	„ხმაური, ჟრიამული, ჰიჰყინი”	*ჰიჰყ → *ჰირჰყ → *ჰგრჰყ → *ჰგრ-ჰყგრ → *ჰგრ-ჰყგრ-ვნ → ჰგრ-ჰყ-ვ̄ნ
შდრ. ბქ. *ჰგრეჭა* „ხმაური”	ჰგრჰვ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჰგრჰვნ (ბზ.)	„ჰიკჰიკი, ჭრიჭინი”	*ჰიჰ → *ჰირჰ → *ჰგრჰ → *ჰგრ-ჰგრ → *ჰგრ-ჰგრ-ვნ → ჰგრ-ჰ-ვ̄ნ
ხუ̆რიმ (ბქ.)	*ხურმუნ* (ბქ.)	„ხრამუნი”	ხუ̆რიმ → *ხრუ̆იმ → *ხრუმ → *ხურმ → *ხურ-მურ → *ხურ-მურ-უნ → ხურ-მ-უნ
ხუ̆რიპ/ხუ̆ლიპ (ბქ.)	*ხურპუნ* (ბქ.)	„ხვრეპა”	ხუ̆რიპ → *ხრუ̆იპ → *ხრუპ → *ხურპ → *ხურ-პურ → *ხურ-პურ-უნ → ხურ-პ-უნ
ხუ̆იჭკ (ბქ.)	*ხურჭკუნ* (ბქ.)	„ჭამის დროს გამოცემული ხმა”	ხუ̆იჭკ → *ხუ̆ირჭკ → *ხურჭკ → *ხურ-ჭკურ → *ხურ-ჭკურ-უნ → ხურ-ჭკ-უნ
ჯიჯგ (ბქ., ჩოლ.)	*ჯგლჯგგნ* (ბქ.), *ლი-ჯჯგგნ-ე* (ზს., ქს.)	„ძუნძული , ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)”	*ჯიჯგ → *ჯილჯგ→ *ჯგლჯგ → *ჯგლ-ჯგგლ → *ჯგლ-ჯგგლ-ვნ → ჯგლ-ჯგ-ვნ...

როგორც საანალიზო ფუძეთა ფონეტიკურმა ტრანსფორმაციამ აჩვენა, -უ̄ნ/-უნ და -ვ̄ნ/-ვნ სუფიქსიანმა ხმაბაძვითმა ლექსიკურმა ერთეულებმა საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე საკმაოდ გრძელი ქრონოლოგიური გზა განვლეს (*ბითქ → *ბირთქ → *ბგრთქ → *ბგრ+თქგრ → *ბგრ+თქგრ+ვნ → ბგრ+თქ+ვ̄ნ; წყოგ → *წყირგ → *წყგრგ → *წყგრ+გგრ → *წყგრ+გგრ+ვნ → წყგრ+გ+ვნ; ხუ̆რიმ → *ხრუ̆იმ → *ხრუმ → *ხურმ → *ხურ+მურ → *ხურ+მურ+უნ → ხურ+მ+უნ; ჯიჯგ → *ჯილჯგ → *ჯგლჯგ → *ჯგლ+ჯგგლ → *ჯგლ+ჯგგლ+ვნ → ჯგლ+ჯგ+ვნ* და მისთ.). ჩვენ მიერ წარმოდგენილი რამდენიმე საფეხურიდან ენაში რეალიზდება მხოლოდ ორი ფორმა _ ამოსავალი მარტივი ფუძე (ბითქ,

წყიგ, ხურიმ, ჯიჯგ...)[1] და ამ მარტივი ფუძის გაორკეცებით მიღებული გაორმარცვლიანებული ფორმები (*ბგრთქგნ, წყგრგგნ, ხურმუნ, ჯგლჯგგნ...*), რომლებიც, როგორც აქ წარმოდგენილი სტრუქტურული მოდელებიდან ჩანს, მიღებულია სამმარცვლიანი ფუძეებისგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (პალატალიზება-დეპალატალიზება, ბგერათა გადასმა, გაჩენა და ა. შ.) გავლით. გაორკეცებულ _ **ბგრთქგრ, *წყგრგგრ, *ხურმურ, *ჯგლჯგგლ...* ფუძეებზე -VC სუფიქსის დართვის შედეგად უნდა მიგვეღო გასამმარცვლიანებული ფუძეები (**ბგრთქგრგნ, *წყგრგგრგნ, *ხურმურუნ, *ჯგლჯგგლგნ...*), რომლებიც ენაში ვერ დამკვიდრდა სვანური ენის ფონოტაქტიკის წესებიდან გამომდინარე. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, „ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლაშხურ დიალექტებს ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია ახასიათებთ _ მარცვალთა რაოდენობის შემცირება მახვილის გავლენის შედეგად. ხშირად ეს ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ უცხო და საკუთარი წარმომავლობის სამმარცვლიან ფუძეებს ეს დიალექტები ორმარცვლიანად წარმოგვიდგენენ (ჟღენტი, 1949:111). ს. ჟღენტის ეს თეზა, ცხადია, ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაზეც ვრცელდება.

ვინაიდან ამოსავალი მარტივი ძირების საერთოქართველურ დონეზე რეკონსტრუირება და საფუძვლიანი დიაქრონიული ანალიზი ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, ამიტომ ძალზე რთულია გადაჭრით იმისი მტკიცება, რომ ამ ფუძეთა ერთ ნაწილში გამოვლენილი უ̂ კომპლექსი, რომელიც ზოგჯერ გახლეჩილია (მაგ., შდრ. ერთი მხრივ, *დგუ̂იბ, ტყუ̂ისგ, შკუ̂იფ, ჩხუ̂იტ, ძგუ̂იბ, ხუ̂იჭკ...* და, მეორე მხრივ, *დგულიბ, ტურიმ, ყულიჩ, ხურიმ, ხურიპ/ხულიპ...*) ამა თუ იმ სონანტით, უ̂'ს პალატალიზებულ ვარიანტად მივიჩნიოთ, რედუპლიცირებულ ფორმათა უ კი დეპალატალიზაციის შედეგად მიღებულად. *დგულიბ, ტურიმ, ყულიჩ, ხურიმ, ხურიპ/ხულიპ...* უნდა მომდინარეობდეს **დგლუ̂იბ, *ტრუ̂იმ, *ყლუ̂იჩ, *ხრუ̂იმ, *ხრუ̂იპ/*ხლუ̂იპ* ფორმათაგან, რომელთა არსებობა სვანურში რეალურად არ დასტურდება. სონანტი უ̂, რომელიც უ̂ი კომპლექსის თანხმოვნით ელემენტად მივიჩნიეთ, ანლაუტში თავმოყრილი თანხმოვნების (*დგლ, ტრუ̂, ყლუ̂, ხრუ̂, ხლუ̂...*) გასათიშად გამოიყენა ენამ (ანუ თანხმოვანთგამყარი ბგერის როლში მოგვევლინა). საგულისხმოა ისიც, რომ რედუპლიცირებული *დგურბუნ, ტყურსგუნ, შკურფუნ, ჩხურტუნ, ძგურბუნ, ხურჭკუნ* და ა. შ. ფორმები მიღებულია უ̂ სონანტის შემცველი თავდაპირველი ფუძეებისაგან, ხოლო *სგრტგნ, ფგრცხგნ, ღგრჭგნ, ღგლწკგნ, ჯგლჯგგნ* და მისთ. არაბაგისმიერი ვიწრო ი ხმოვნიანი ისეთი მარტივი ძირებისაგან, როგორიცაა: *სიტ, ფიცხ, ღრიჭ, ჯიჯგ* და სხვ.[2]

სვანურში, როგორც ცნობილია, ხშირია უ ხმოვნის უმლუტის შემთხვევები, რაც უმეტესად გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით ან მომდევნო პოზიციაში მყოფი პალატალური ხმოვნის ზეგავლენით, აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავუშვათ თავდაპირველი სავარაუდო **დგუბ-ი, *ტყუსგ-ი, *შკუფ-ი, *ჩხუტ-ი, *ძგუბ-ი, *ხუჭკ-ი...* ფორმებისაგან პალატალიზაციით _ *დგუ̂იბ, ტყუ̂ისგ, შკუ̂იფ, ჩხუ̂იტ, ძგუ̂იბ, ხუ̂იჭკ* ფორმათა მიღება და შემდგომ ამ პალატალურ ფორმათაგან დეპალატალიზაციით *დგურბუნ, ტყურსგუნ, შკურფუნ, ჩხურტუნ, ძგურბუნ, ხურჭკუნ...* ფორმათა მომდინარეობა. რაც შეეხება *ი* ხმოვნიან მარტივ (*სიტ, ფიცხ, ღრიჭ, ჯიჯგ*) ძირებს, ვფიქრობთ, ამ ფორმებში სონანტი უ̂ დაიკარგა, ვიწრო ი ხმოვანი კი გ-ში გადავიდა, რამაც გამოიწვია ორი რიგის _ უ-ხმოვნიანი და გ-ხმოვნიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულების ჩამოყალიბება ენაში.

[1] და ისიც არა ყოველთვის, რასაც ჩვენ მიერ ხელოვნურად აღდგენილი ფორმებიც ადასტურებენ.

[2] ვფიქრობთ, საკითხი უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

აქვე შევნიშნავთ, რომ **ბგრთქგრ, *წყგრგგრ, *ხურმურ, *ჯგლჯგგლ...* ტიპის რედუპლიცირებული ფორმები, რომლებიც დღეს უცხოა სვანურისათვის, ჩვეულებრივია ქართულისათვის (შდრ.: *ბურბურ, გურგურ, დურდურ, ზურზურ, კურკურ, ტურტურ, ღურღურ, ტუნტურ* და ა. შ.), თუმცა მათ, მიუხედავად ფორმობრივი დამთხვევისა, ვერ მივიჩნევთ ქართულიდან შემოსულად, ვინაიდან სვანურში ქართულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმართულიყო რედუპლიკაციის პროცესი, ამ პროცესის წარმართვაში კი მთავარი ადგილი სამივე ქართველურ ენაში სონანტებს უჭირავთ (ჭკადუა 2013:239). ქართულ ფორმებში დადასტურებული აუსლაუტისეული *-ურ*, რომელიც სუფიქსის შთაბეჭდილებას ტოვებს, ფ. ერთელიშვილის აზრით, რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტია წარმომავლობით (1970:209). შესაბამისად, ვერც სვანურ **ბგრთქგრ, *წყგრგგრ, *ხურმურ, *ჯგლჯგგლ...* ტიპის ფორმათა ბოლო სეგმენტებს მივიჩნევთ სუფიქსებად.

საანალიზო ფუძეების სეგმენტაცია და სავარაუდო თავდაპირველი ფუძეების[1] ჩვენება შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ, რომ *-უნ/-უნ* და *-ენ/-ენ* საანალიზო ფუძეებში სუფიქსია და არა ძირეული მასალის კუთვნილება. მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ე. წ. „პირველადი მასდარები" (შდრ. *ჩხიკ, ბრიგ, ღრიჭ, ტურიმ...*) და მარტივი გაორკეცების შედეგად წარმოქმნილი ფუძეებიც (*ჩხიკ-ჩხაკ, ბრიგ-ბრაგ, ღრიჭ-ღრაჭ, ტურიმ-ტურამ...*), რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე, „პირველად მასდარებად" მოიხსენიებენ (ფ. ერთელიშვილი), ყოველგვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე არიან წარმოდგენილი. ცხადია, ზემოთ დასახელებულ (*-უნ/-უნ* და *-ენ/-ენ* სეგმენტების მქონე) ფორმებში სუფიქსაციასთან გვაქვს საქმე, სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძე კი, როგორც უკვე ითქვა, განაპირობა რედუპლიცირებული ფუძის აუსლაუტისეული თანხმოვნის დაკარგვამ და მორფემათა ზღვარზე ორი იდენტური (*უ + უ, ე + ე*) ხმოვნის შერწყმამ (ანუ გვაქვს კომბინატორული სიგრძე).

ნათქვამია ისიც, რომ რედუპლიკაციის პროცესის წარმართვაში მთავარი ადგილი სონანტებს უჭირავთ. სვანურში ამ პროცესში ძირითადად *-რ-* სონორი ფიგურირებს, იგი ზოგ ფუძეში ძირეულია (მაგ.: ბქ. *ტურმუნ* „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა", შდრ. *ტურიმ*; ბზ., ლშხ. *ღერჭენ*, ბქ., ლნტ. *ღერჭენ* „ღრჭიალი (თმისა)", შდრ. *ღრიჭ*; *ხურმუნ* (ბქ.) „ხრამუნი", შდრ. *ხურიმ* ...), ზოგში კი აშკარად ფონეტიკური დანართია (მაგ.: ბქ. *მერტყენ* „უშნო ჭამა ხმის გამოცემით", შდრ. *მიტყ*; ბქ. *სერტენ* „ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი", შდრ. *სიტ*; ბქ. *შერთქენ* „წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით", შდრ. *შითქ...*), რასაც, ვფიქრობთ, თავდაპირველი ფუძეების ჩვენებაც ადასტურებს. ერთი რამ კი ცხადია, ამოსავალ მარტივ ფუძეებში სონორის არსებობამ ხელი შეუწყო რედუპლიკაციის პროცესებს, შესაბამისად კი სუფიქსების გაჩენას.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მოდელი (1.), სადაც *-უნ/-უნ* და *-ენ/-ენ* სუფიქსიანი ლექსიკური ერთეულების სავარაუდო ფონეტიკური ტრანსფორმაციაა მოცემული, ნაკლულია. რაში გამოიხატება ეს ნაკლულობა? როგორც ითქვა, *-უნ/-უნ* და *-ენ/-ენ* სუფიქსიანი ფუძეების ამოსავალი *მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძეები* ყოველთვის არ ჩანს,

[1] აღნიშნული ფორმები, როგორც ზემოთ ითქვა, გვხვდება ძირითადად იდიომატური გამოთქმების პირველ კომპონენტად და, ისინი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „პირველად მასდარებად" იწოდებიან (ჩიქობავა 1950:075). მათგან უნდა იყოს ნაწარმოები ზემოთ წარმოდგენილი ხმაბაძვითი სიტყვების (*ტურშუნ, ბურგუნ, ფგრცხენ, ჯგლჯგგენ* და ა. შ.) უმეტესი ნაწილი, თვითონ კი, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეულები, იშვიათად გვხვდება.

ამიტომ აუცილებელი გახდა სავარაუდო ამოსავალი ძირების ხელოვნურად აღდგენა. ყველა ფუძეს არ მოეპოვება პარალელური ფორმა, მაგალითად, გვაქვს დგურბუნ, *ყურჩუნ, ხურმუნ*..., მაგრამ არ გვაქვს *დგგრბგნ, ყგრჩგნ, ხგრმგნ*[1] ..., გვაქვს *ფგრცხგნ, ჩგრჩხგნ, ჯგლჯგგნ*..., მაგრამ არ გვაქვს *ფურცხუნ, ჩურჩხუნ, ჯულჯგუნ*. ამასთანავე, გვაქვს *ბითქ-ბათქ, დგუიბ-დგუაბ, ტურიმ-ტურამ, ძგუიბ-ძგუაბ*..., მაგრამ არ მოგვეპოვება *დგრდგგნ, თურთხუნ, წგრწკგნ* და ა. შ. ფორმათა სხვადასხვა ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ვარიანტები.

ჩვენი დაკვირვებით, *-უნ/-უნ* და *-გნ/-გნ* სუფიქსები გვხვდება ძირითადად ონომატოპოეტურ სიტყვებში, კერძოდ, *მოქმედებისა* და *მდგომარეობის* გამომხატველ, *ხმის* აღმნიშვნელ სახელებში და ა. შ.[2] ამ სახელთა ფუძეები, როგორც სავარაუდო თავდაპირველი ფუძეების ანალიზმა აჩვენა, ნაწარმოებია *ი*-ხმოვნიანი ძირებისაგან, ხმოვანთმონაცვლეობის, სუფიქსაციისა და რედუპლიკაციის (შდრ. *ბითქ, ბითქ-ბათქ, ბითქ-ბითქ, ბითქი-ბათქა, ბურთქუნ, ბგრთქგნ; კილ, კილ-კილ, კილ-მა-კილ; ტკიჩ, ტკიჩ-ტკაჩ, ტკიჩ-ტკიჩ, ტკიჩი-ტკა-ჩა, ტკგრჩგნ; ჩხიკ, ჩხიკ-ჩხაკ, ჩხიკ-ჩხიკ, ჩხიკი-ჩხაკა, ჩხგრკგნ; ძგუიბ, ძგუიბ-ძგუაბ, ძგუიბ-ძგუიბ, ძგუიბი-ძგუაბა, ძგურბუნ; ხურიმ, ხურიმ-ხურამ, ხურიმ-ხურიმ, ხურმუნ*...) სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით. ქართულში კი, როგორც ცნობილია, ხმაბაძვით სახელთა ფუძეები იწარმოება ერთი და იმავე (*ა*-ხმოვნიანი) ძირებისაგან (*ტყაპ-უნ-ი, ტყაპ-ან-ი, ტყაპ-ტყაპ-ი, ტყაპ-ა-ტყუპ-ი; ლაწ-უნ-ი, ლაწ-ან-ი, ლაწ-ლაწ-ი, ლაწ-ა-ლუწ-ი*...) (ქობალავა 1980:67). ერთი შეხედვით ქართული *ა* ხმოვნის შესატყვისად სვანურში თითქოს *ი* ხმოვანი ჩანს, თუმცა ქართულ-სვანურ ხმაბაძვით ფუძეთა შედარებით ირკვევა, რომ *ა*-ხმოვნიანი ძირები, რომლებიც ქართულში რედუპლიცირებული ფუძის პირველ კომპონენტად არის წარმოდგენილი, სვანურში რედუპლიცირებული ფუძის მეორე კომპონენტად დასტურდება, რაც გამორიცხავს ქართულ-სვანურ ხმოვანთშესატყვისობას. ცხადია, სვანურში რედუპლიკაციის წესებიც განსხვავებულია.

-უნ/-უნ და *-გნ/-გნ* სუფიქსიანი სახელები, როგორც უკვე ითქვა, ძირითადად აღნიშნავენ ხმას (შესაბამისად ამ ხმის გამომწვევი მოქმედების *დიურატიულობას, განგრძობითობას*), რომელიც ახლავს ამა თუ იმ სახის მოქმედებას (ცემას, დარტყმას, მტვრევას, მსხვრევას, სროლას, სიარულს, ჭამას და სხვ.) გარკვეული ხმის თანხლებით. ეს სახელები, თავის მხრივ, წარმოადგენენ „პირველად მასდარებს", რომელთაგან იწარმოება ახალი ზმნური ფორმები, ზოგჯერ რამდენადმე შეცვლილი სემანტიკით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ეს სემანტიკური ცვლილება ხელშესახებია არა მხოლოდ დიალექტების დონეზე, არამედ ერთი დიალექტის ფარგლებში, კილოკავების დონეზეც კი.

ვფიქრობთ, *-უნ/-უნ* და *-გნ/-გნ* სუფიქსით ნაწარმოები სახელები შედარებით ახალი წარმოქმნილია სვანურში ამოსავალი მარტივი ფუძეების რედუპლიკაციითა და შემდგომ სუფიქსაციით, რასაც თავდაპირველი შიშველი ფუძეების არსებობაც ადასტურებს.

-გნ/-გნ დაბოლოებიანი ფუძეების პარალელურად სვანურში შეგვხვდა რამდენიმე *-ინ* სეგმენტიანი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეული:

> *კგრკინ* (ჩოლ.), შდრ. ზს. *კგრკგნ*, ლშხ., ჩოლ. *კგრკგნ*, ლნტ. *კგრკგნ* „კისკისი"; *ფგრღინ* (ჩოლ.), შდრ. ბქ. *ფგრღგნ*, ჩოლ. *ფგრღგნ* „კანკალი, ცახცახი"; *ყგრყინ* (ბზ.), შდრ. ზს. *ყგრყგნ* „პირდაღებული ტირილი"; *ცგრღინ* (ჩოლ.), შდრ. *ცგრღგნ* „კანკალი, ცახცახი"; *ცგრცხინ* (ბზ., ჩოლ.), შდრ. ბქ. *ფ/ცურც'ხ'უნ/ცგრცხგნ* „დუღილი, ფუცხუნი"...

---

[1] ეს ფორმა ცალკე არ გვხვდება, მაგრამ რედუპლიცირებული ფორმის პირველ ნაწილში დასტურდება (შდრ. *ხგრმგნ-ტურმუნ* (ბზ.), *ხგრმგნ-ტურმუნ* (ბქ.) „დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა).
[2] ნეიტრალურ ფორმებში ეს სუფიქსები არ შეგვხვედრია.

რომელთა სტრუქტურული შედგენილობა და სავარაუდო ფონეტიკური ტრანსფორმაცია თითქმის იგივეა, რაც *-უნ/-უნ* და *-ენ/-ენ* დაბოლოებიანი ფუძეებისა, თუმცა *-ან* სუფიქსის დართვა *გ*-თი გახმოვანებულ ძირებთან, ჩვენი აზრით, უჩვეულოა.

საინტერესოა, *-ან* სეგმენტიანი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები ახალი გაჩენილია სვანურში თუ არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე? ცხადია, ორივე შესაძლებლობის დაშვება შეიძლება, თუმცა მასალის სიმცირე საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

-ან დაბოლოებიანი ლექსიკური ერთეულები, როგორც მოცემული პარადიგმიდან გამოჩნდა, სისტემას არ ქმნიან სვანურში; ისინი არც ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება. თუ ჩავთვლით, რომ ეს ფორმები ახალი დამკვიდრებულია სვანურში ქართული _ *ყროყ-ინ-ი, ყიყ-ინ-ი, ჭიხვ-ინ-ი, კიკ-ინ-ი* და ა. შ. ფორმათა ანალოგიით, მაშინ სვანურის მოვლენას არქაიზმად ვერ მივიჩნევთ და შესაძლოა ფონეტიკური პროცესები თანდათან უფრო შორს წავიდეს (ანუ ძირეული *გ* → *ი* გადავიდეს), შესაბამისად კი მივიღოთ _ *კირკინ, ფირღინ, ყირყინ, ცირღინ, ფირცხინ*, თუმცა ვერც იმ ფაქტს გამოვრიცხავთ, რომ სვანურმა სწორედ უძველესი საერთოქართველური *-ინ* დაბოლოება შემოინახა ნაშთის სახით.

სვანურში ასევე გამოვლინდა *-ენ(ა)/-ენ(ა)* სუფიქსიანი რამდენიმე ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული:

ხლ+ენ+ა (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)"

ჯგლ+ენ+ა[1] (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)"

ჭენჭყ+ენ+ა (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)"

ჭიმჭკ+ე/ენ+ა (ჩოლ.) „ხმაური (ბავშვებისა)"

ჭკლ+ენ+ა (ლშხ.) „ხმაური (დიდი)"

ტ+ენ+ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტ+ენ+ა* (ბქ.), *ტ+ან+ა* (უშგ.) „აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი"

ტიმტ+ენ+ა (ბქ.) „აურზაური, აყალმაყალი"

ფგც+ენ+ა (ბზ., ლშხ.), *ფგც+ენ+ა* (ბქ., ლნტ.) „ფუთფუთი (ფრინველებისა, ჭიაღუებისა)"[2]

ჯგნჯღ+ენ+ა (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)"...

რომლებიც, შესაძლოა, ქართული *ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-*, წრიალ-, გრიალ-, კრიალ- ... ტიპისა იყოს, თუმცა სტრუქტურული შედგენილობით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (შდრ. ქართ. CS+VVC და სვან. CS+VCV, CCS+VCV, CVC-CC+VCV, CVSCC+ VCV, C+VCV, CVSC+VCV, CVC+VCV, CVSCC+VCV).

ჩვენი აზრით, სვანური *-ენ(ა)/-ენ(ა)* სუფიქსის ქართულ *-იალ* სუფიქსთან ფონეტიკური დაკავშირება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. საანალიზო სუფიქსთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართ. *-იალ* > სვან. **-იან > *-იელ > *-ელ* > ენ (?). რაც შეეხება ბოლოკიდურ *-ა*'ს, იგი განყენებულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია სვანურში (შდრ.: *ხენეტა* „წყვეტა", *ჭკეჟა* „წყვეტა", *თხერა* „სკდომა", *ბეჭკენა* „წყვეტა", *კედა* „წყვეტა" და ა. შ.)[3]

---

[1] შდრ. ლეჩხ. „*ჯგრ-იალ-ი*".

[2] შდრ. *ფგცენ* (ბქ.), *ფგცენა* (ლხმ.) „ფუსფუსა".

[3] როგორც არაერთგზის აღინიშნა, ფ. ერთელიშვილს *-იალ* დაბოლოებიანი პირველადი მასდარების ერთი ჯგუფი, მათი სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე (თანხმოვანი + სონანტი *რ* + *იალ*) და, აგრეთვე, ამ ფუძეთა ისტორიის გათვალისწინებით, რედუპლიცირებულ ფორმებად მიაჩნდა (1970:213), თუმცა სვანური ფორმების რედუპლიცირებულ ფორმებად მიჩნევა მათი რთული სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

სვანურში ასევე დადასტურდა რთული შედგენილობის CVSCVS – CVSCVS / CVSCnVS – CVSCnVS / CnVSCVS – CnVSCVS ტიპის რედუპლიცირებული ფორმები *-ულ/-ულ* და *-ენ/-ენ* დაბოლოებით:

ზერზენ-ფერზენ (ბზ.) „კანკალი, ზანზარი შიშისაგან"; *თერთხენ-ფერთხენ* (ბქ.), *თერთხენ-ფერთხენ* (ლშხ., ჩოლ.) „თითხნა"; *სერტენ-ჰერტენ* (ბქ.), *სერტენ-ჰერტენ* (ჩოლ.) „ქალის გამაყრუებელი ჩხუბი; ხმაური"; *ტურშულ-ბურგულ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტურშულ-ბურგულ* (ბქ.) „რახარუხი;რახუნი"; *ტერშენ-ბერგენ* (ჩოლ.) „რახარუხი; რახუნი"; *ჩხერკენ-ფხერკენ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჩხერკენ-ფხერკენ* (ბქ., ლნტ.) „ჩხაკაჩხუკი"; *ცურცულ-ფურცულ* (ბქ.) „ჩურჩული; ჭორაობა"; *ხერმენ-ტურმულ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ხერმენ-ტურმულ* (ბქ., ლნტ.) „დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა"; *ხერტენ-ჰერტენ* (ბქ.) „ხროტინი; ხვრინვა"...

მათი ერთი ნაწილი მიღებულია თავკიდურ თანხმოვანთა ალტერნაციით: *თერთხენ-ფერთხენ (თ/ფ), სერტენ-ჰერტენ (ს/ჰ), ხერტენ-ჰერტენ (ხ/ჰ)*[1], ხოლო მეორე ნაწილი ორი სხვადასხვა ხმაბაძვითი ფუძის შერწყმით (ანუ კონტამინაციით): *ზერზენ* „ზანზარი" _ ფერზენ „კანკალი, ზანზარი", ტურშულ „რახუნი" _ ბურგულ „ბრაგაბრუგი, რახუნი", ჩხერკენ „ჩხაკუნი" _ *ფხერკენ* „ფხაკუნი", *ცურცულ* „ჩურჩული" _ *ფურცულ* „ჩურჩული", *ხერმენ* „ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა" _ *ტურმულ* „დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა"), თუმცა *ზერზენ _ ფერზენ, ცურცულ _ ფურცულ* ფორმები მხოლოდ სტრუქტურულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სემანტიკურად კი თითქმის იდენტურნი არიან.

როგორც მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი იწარმოება უაფიქსო, გაუფორმებელი ძირების გაორკეცებით მიღებულ გაორმარცვლიანებულ ფუძეებზე *-ულ/-ულ, -ენ/-ენ* და *-ინ/-ინ* სუფიქსთა დართვით[2]:

1. *-ულ/-ულ* სუფიქსი დასტურდება იმ შემთხვევაში, როცა ფუძეში გვაქვს -უ- ხმოვანი: *ბურთქ-ულ* (ბზ., ლშხ.)/*ბურთქ-ულ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი", *ფურსდ-ულ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდ-ულ* (ბქ., ლნტ.)/*ფურსტ-ულ* (ბქ.) „ჩურჩული", *წურწკ-ულ* (უშგ.), *წურწკ-ულ* (ბქ., ქს.) „წკმუტუნი;წუწუნი"...

2. *-ენ/-ენ* სუფიქსი დაერთვის *-ე/-ე* ხმოვნის შემცველ ფუძეებს: *თერტ-ენ* (ბზ.), *თერტ-ენ* (ბქ., ჩოლ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი: ფრუტუნი", *ფერჩხ-ენ* (ბზ., ლშხ.), *ფერჩხ-ენ* (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)", *ფერცხ-ენ* (ბზ., ლშხ.), *ფერცხ-ენ* (ბქ.) „კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"...

3. რაც შეეხება *-ინ* სუფიქსს, იგი დაერთვის *-ე/-ე* ხმოვნის შემცველ ფუძეებს: *კერკ-ინ* (ჩოლ.) „კისკისი", *ფერღ-ინ* (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი", *ყერყ-ინ* (ბზ.) „პირდაღებული ტირილი"...

4. რაც შეეხება *-ენუ(ა)/-ენუ(ა)* სუფიქსს, ის დაერთვის სხვადასხვა სტრუქტურის (CS+VCV, CCS+VCV, CVCCC+VCV, CVSCC+VCV, C+VCV, CVSC+VCV, CVC+VCV, CVSCC+VCV) ფორმებს.

-ულ/-ულ და *-ენ/-ენ* სუფიქსიანი სახელებისა და შესაბამისად მათი საწყისი, თავდაპირველი ფუძეების სტრუქტურული მოდელები ზოგადად შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

C V C; C C V C; C V C C; C C C V C; C V C C C + SUF; C C V C C+ SUF; C C V C C+ SUF; CVSC+ SUF – CVSC+ SUF; CVSCC+ SUF – CVSCC+ SUF; CCVSC+ SUF – CCVSC+ SUF; CS+ SUF+V; CCS+ SUF+V; CVCCC+ SUF+V; CVSCC+ SUF+V; C+ SUF+V; CVSC+ SUF+V; CVC+ SUF+V; CVSCC+ SUF+V.

---

[1] ამოსავალია რედუპლიცირებულ ფორმათა პირველი კომპონენტები: *თერთხენ, სერტენ, ხერტენ.*

[2] სავარაუდო ძირ-ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაციის შესახებ იხ. ზემოთ!

ფონემური შედგენილობის მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

როდესაც ანლაუტში თითო თანხმოვანია, ეს თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი (*ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, გ, ქ, კ...*), მათ შორის ზოგი სონორიც კი. აუსლაუტში კი ამ შემთხვევაში ორწევრა ან სამწევრა მიმდევრობები გვხვდება, რომელთა შედგენილობა ასეთია:

ორწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტი ყველგან სონორია, მეორე კომპონენტად კი ჩქამიერი თანხმოვნები დასტურდება (*რბ, რღ, რტ, რმ, რკ, რჭ, რჩ, რგ, რქ...*), იშვიათად სონორი + სონორი (*რმ).*

სამწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტიც მუდამ *სონორია + ჩქამიერი + ჩქამიერი* თანხმოვნები (*რთქ, რდგ, რთხ, რტყ, რჟღ, რსგ, რსდ, რჩხ, რცხ, რწკ, რჭყ, რჭკ, ლჯგ).*

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანლაუტში ორწევრა ჯგუფი დასტურდება _ *ჩქამიერი + ჩქამიერი*, აუსლაუტში კი ამ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისების გარდა (რსგ) მუდამ ორწევრა მიმდევრობები გვხვდება _ *ჩქამიერი + ჩქამიერი (დგ, ტყ, შკ, ჩხ, ძგ, წყ...).*

-ურ/-ულ დაბოლოებიან სახელებში ძირეული ხმოვანი ყოველთვის ბაგისმიერი *უ* ხმოვანია, *-ენ/-ენ-* დაბოლოებიან სახელებში ნეიტრალური *ე*, ხოლო *-ინ/-ინ* დაბოლოებიან სახელებში ძირეულ ხმოვნად ყველგან ნეიტრალური *ე* დასტურდება.

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სვანურს ფონოსემანტიკურ ფუძეებში მეგრულის მსგავსად, კომპლექსის გამეორება არ ახასიათებს (შდრ. ქართ. CVCC > მეგრ. CCVCC > სვან. CVCC)[1]. ის, რაც მას ქართულისაგან განასხვავებს, ისაა, რომ *სვანურში ღია მარცვალი განხილულ მასალაში არ დასტურდება*, თუმცა, თუ /რ/ სონორის მეორეულობას დავუშვებთ, მაშინ სვანურშიც სავსებით შესაძლებელი გახდება ამოსავალი ღია მარცვლების დაშვება.

ფონოსემანტიკური მოდელები მეგრულში[2]

ფონოსემანტიკური მოდელი რთული წარმონაქმნია და მთლიანი ფუძის ანალიზს გულისხმობს; ფონოსემანტიკური ფუძე არსებობს კონბინირებულად ყველა ენობრივი კანონზომიერებისა თუ წესის გათვალისწიებით და სემანტიკა მთლიან, ინტეგრალურ კომპონენტს უკავშირდება და არა ცალკეული ენობრივი დონის სეგმენტს.

წესებში, ძირითადად, ვგულისხმობთ ფონეტიკა-ფონოლოგიისა და მორფონოლოგიის ენობრივ კანონზომიერებებს, რომლებიც საფუძვლად ედება ბ გ ე რ წ ე რ ა ს.

1. ფონემათა სინტაგმატიკა, კომბინატორული ბგერათმონაცვლეობა (ხმოვანთა, თანხმოვანთა, კომპლექსთა/ ფონესთემათა); ფონოლოგიური პროცესები (ბგერის ჩართვა, მეტათეზისი, კონვერსია);
2. რედუპლიკაცია (სრული, ნაწილობრივი); აფიქსაცია (ინფიქსაცია, სუფიქსაცია)

[1] ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა ბალსზემოურში - *ჟღგრჟღგნ* „ჟღარუნი“.

[2] ბგერწერის ენობრივი მექანიზმები თითოეული ქართველური ენისათვის მონონგრაფიის ცალკეულ პარაგრაფებში დეტალურად არის გაანალიზებული; აქ კი წარმოვადგენთ ერთი ფონსემანტიკური მოდელიდან მეორე მოდელში გადასვლის რამდენიმე პრინციპს ქართულისა და სხვა დანარჩენი ქართველური ენისათვის.

ტ. გუდავას თეზისში (გუდავა 1958) გაანალიზებულია მეგრული ბგერწერითი მოდელების ორი ტიპი:

1. $C_1C_2VC_1C_2(+VS_{Suf.})$-:				
გ-ქ-კ:	გვაგვ(+ა ლ)-	ქვაქვ(+ალ)	კვაკვ(+ალ)-	„სიარული სხვადასხვა მანერით“
		-		
ძ-ც-წ:	ძვიძვ(+ალ)-	ცვიცვ(+ალ)-	წვიწვ(+ალ)-	„ფიზიონომია“
	ძგიძგ(+ონ)-	ცქიცქ(+ონ)-	წკიწკ(+ონ)-	„ჭამის მანერა“
	ჯგიჯგ+ონ-	ჩქიჩქ+ონ-	ჭკიჭკ+ონ-	
2. $CCVC(+VS_{Suf})$-:				
ჯ-ჩ-ჭ:	*გვიჯ(+ინ)*-	*ქვიჩ(+ინ)*-	*კვიჭ(+ინ)*-	„ფიზიონომია“
				(გუდავა 1958,15-16).

ტ. გუდავა მეგრულის პირველ ტიპს უპირისპირებს ქართულ მასალაც, რაც იძლევა ორი ენობრივი მონაცემის შედარების საშუალებას როგორც ფონემათა სტრუქტურის, ისე სემანტიკის დონეზე:

$C_1VC_1C_2$ $(+S_{Suf})$-:

ძიძგ(+ნ)-	ციცქ(+ნ)-	წიწკ(+ნ)-
ჯიჯგ(+ნ)-	ჩიჩქ(+ნ)-	ჭიჭკ(+ნ)-

$CVCC_1$- ხმოვნის მომდევნო თანხმოვანი იმეორებს ხმოვნის წინა თანხმოვანს უკანაენისმიერი ხშულის დამატებით. ეს არის რეგრესული დისტანციური სრული ასიმილაციის შემთხვევა (ყიფშიძე 2014: 07). ძირითადი თანხმოვნის ცვალბადობა მჟღერობა, ფშვინვიერობა, გლოტალიზებულობისა და სისინ-შიშინობის (თუ სიბილნტია) მიხედვით გვაძლევს სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვათა კონებს, რომლებიც ერთმანეთისაგნ ემოციური ელფერით განსხვავდება.

მაშასადამე, სადაც ქართული ფონოსემანტიკური მოდელი ანლაუტში ცალი თანხმოვნით არის წარმოდგენილი, მეგრული ავითარებს კომპლექსს უკანაენისმიერი ხშული კონსონანტის დამატებით, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შემთხვევა და ერთი წესია.

ქართველური ენების ფონოსემანტიკური მოდელები ერთდროულად ეფუძნება თანხმოვნით და ხმოვნით ბგერწერას, სემანტიკური სხვაობები სწორედ ამგვარ კომბინაციებს და მათ მონაცვლეობას ეყრდნობა. ფონოსემანტიკური მოდელების ანალიზის მთავარი მიზანია ბგერწერის პრინციპების გათვალისწინებით ქართველურ ენებში ახალი მოდელების აგების პოტენციალის ჩვენება და ამ მიმართებათათვის გარკვეული წესების დადგენა როგორც ცალკეული ენების შიდა სტრუქტურებისთვის, ისე მათი შესაბამისობისთვის სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით.

[მ ო დ ე ლ ი 1]:

ქართული :	$C_1VC_1C_2$-	ძიძგ-	ციცქ-	წიწკ-	ჯიჯგ-	ჩიჩქ-	ჭიჭკ-	
ლაზური:	$C_1VC_1C_2$-	-----	------	-----	ჯაჯგ-	-----	-----	
მეგრული:	$C_1C_2VC_1C_2$	ძგიძგ-	ცქიცქ-	წკიწკ-	ჯგიჯგ-	ჩქიჩქ-	ჭკიჭკ-	
	V= ი, ა	ძგაძგ-	ცქაცქ-	წკაწკ-	ჯგაჯგ-	ჩქაჩქ-	ჭკაჭკ-	„დანაწევრება“

ქართული მოდელების ფონოსტრუქტურაში /გ/ /ქ/ /კ/ უკანაენისმისერი ხშულები მხოლოდ ინლაუტურად ქმნიან კომპლექსს შესაბამის ჰომორგანულ წყვილთან მეგრულისგან განსხვავებით, რომელშიც კომპლექსის ჩამოყალიბება ასიმილაციურად ანლაუტშიც ივარაუდება და კანონზომირია (ყიფშიძე 1914: 07). აღნიშნული ფაქტი ჩათვლილია მეგრულსა და ქართულს შორის კანონზომიერი ფონემათშესატყვისობის არსებობის ერთ-ერთ კრიტერიუმად (მაჭავარიანი 1965), ამიტომ ამ ტიპის ლექსემათა დიდი რაოდენობა შესულია ფენრიხი-სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (2001). ი. მელიქიშვილის მოსაზრებით კი, ერთი ენიდან მეორეში ბგერწერით სიტყვათა კონიდან ერთ-ერთის სესხების შემთხვევაში ამ სიტყვას უკვე მსესხებელი ენის ნიადაგზე შესაძლებელია გაუჩნდეს კორელატები სისინა და შიშინა გაბგერებით და ვიღებთ ბგერათშესატყვისობის ილუზიას (მელიქიშვილი 2000).

არც სვანურსა ახასიათებს კომპლექსის განმეორება, აქაც ანლაუტი ცალთანხმოვნიანია:

სვანური:	ცურცხუნ	ჩურჩხუნ / ჩგრჩხგნ	ჭურჭყუნ/ ჭგრჭყგნ
მეგრული:	ცხირცხინ-ი	ჩხირჩხინ-ი /ჩხგრჩხგნ	ჭყირჭყინ-ი / ჭყგრჭყგნ

ლაზურშიც ანალოგიური ვითარებაა; დასკვნა:

> *წესი 1: ქართულისა და სვანურის, ასევე ლაზურის $C_1VC_1C_2$ ბგერწერითი სტრუქტურის შესაბამისად მეგრულის ანლაუტში ასიმილაციურად ვითარდება იდენტური სტრუქტურის ჰომოგენური ჰარმონიული კომპლექსი: $C_1C_2VC_1C_2$; ხმოვნითი ელემენტი უცვლელია.*

მეგრულში ზემოდასახელებული ყველა მოდელი შეიძლება შეიცვალოს ან გართულდეს
ა) ვოკალური ალტერნაციით ან
ბ) /რ/, /ნ/ სონორების ან /ვ/ თანხმოვნის დართვით;

ფონოსტრუქტურის გართულებასთან ერთად იცვლება სემანტიკაც; ბგერათმიმდევრობის სიგრძე სონორის ჩართვისას იზრდება[1]; მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოდელები მეგრულში საკმაოდ პროდუქტიულია, მიღებული ბგერწერითი პარადიგმები სემანტიკური დაპირისპირების თვალსაზრისით ყოველთვის არ არის სრული:

[1]ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმა წარმოდგენილია სუფიქსის გარეშე. თუმცა შემდეგი მოდელების ანალიზი არ იძლევა საშუალებას სუფიქსაციას გვერდი ავუაროთ. აქვე უნდა დაისვას რედუპლიკაციის საკითხი, რომელიც პირდაპირ ებმის მარცვლის სტრუქტურის და მარცვალთა საზღვრის საკითხებს. სიტყვაში ძირისა და სუფიქსის მიმართების საკითხი განისაზღვრება ორივე სტრუქტურით. ანალიზისას ვემყარებით ი. მელიქიშვილის მიერ დადგენილ კანონზომიერებას (მელიქიშვილი 1980: 59. სქ.).

მეგრული: [მოდელი 1.1.] – [მოდელი 1+S/C]

$C_1C_2VC_1C_2$	ძგიძგ-	ცქიცქ-	წკიწკ-	ჯგიჯგ-	ჩქიჩქ-	ჭკიჭკ-
$C_1C_2SVC_1C_2$	----------	ცქირცქ-	----------	ჯგირჯგ-	ჩქირჩქ-	ჭკირჭკ-
$C_1C_2C_3VC_1C_2C_3$	ძგვაძგვ-	ცქვაცქვ-	წკვაწკვ-	ჯგვაჯგვ-	ჩქვაჩქვ-	ჭკვაჭკვ-

/რ/-სონორიანი ფუძეები მხოლოდ ნიუანსობრივ მნიშვნელობას ცვლიან, როცა /ვ/-ს დამატებით ძირითადი სემანტიკა იცვლება. საგულისხმოა, რომ პირველ შემთხვევაში მარცვლის სტრუქტურაც იცვლება.

[მოდელი 1.2.]-ში წამყვანი ფუნქცია ხმოვანთა ალტერნაციას ენიჭება, ხმოვანთმონაცვლეობით მიღებული ფუძეები სემანტიკურად განსხვავებულია:

მეგრული: [მოდელი 1.2.] = [მოდელი 1 + ხმოვანთა ალტერნაციით (V_1/ V_2 = ი/ ა)]

$C_1C_2VC_1C_2$	ძგაძგ-	ცქაცქ-	----------	ჯგაჯგ-	ჩქაჩქ-	ჭკაჭკ-
	----------	----------	----------	ჯგარჯგ-	ჩქარჩქ-	----------

[მ ო დ ე ლი 1] და [მ ო დ ე ლ ი 1 + S] მეგრულში კომპლექსთმონაცვლეობით მიღებული ფონოსემანტიკური ფუძეების ნიმუშებია.

> *წესი 2: მეგრულისა და ქართულის იდენტური კონსონანტური სრუქტურის მოდელში /რ/ სონორით ან /ვ/ თანხმოვნით კომპლექსის გართულება ან/და ამავე მოდელებში ხმოვანთა მონაცვლეობა მეგრულში ახალი მნიშვნელობის მქონე ბგერწერითი ფუძეების წარმოქმნას აპირობებს.*

ნიმუშისათვის საანალიზოდ შერჩეული *აფრიკატი + უკანაენისმიერი ველარული ხშული* კომპლექსებისგან შემდგარი მაგალითების მსგავსი შესაძლებლობები ვლინდება სხვა ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნების (*ნაპრალოვნების*) მიხედვით კომპლექსთმონაცვლეობის შემთხვევაშიც:

	ხშულები	*ნაპრალოვნები*
ქართული:	*დადღანი - თათხანი - ტატყანი* *დიდღინი - თითხინი - ტიტყინი* *დუდღუნი - ---------- - ტუტყუნი*	*სისხინი - შიშხინი* *---------- - შუშხუნი*
მეგრული:	*დღარდღალი - თხართხალი - ტყართყალი* *დღირდღინი - თხირთხინი - ტყირტყინი* *დღირდღონი - თხირთხონი - ტყირტყონი*	*სხირსხინი - შხირშხინი* *სხარსხალი - ---------*

[მ ო დ ე ლ ი 2]: [$C_1V_1C_1V_1$+S], რომელიც $C_1C_2VC_1C_2$ კომპლექსის გამარტივებულ სახედ შეიძლება ჩავთვალოთ. ქართულში იდენტური ვოკალურ-კონსონანტური სტრუქტურა მეგრულში სუფიქსური ხმოვნის განსხვავებული ვარიანტით წარმოგვიდგება:

ქართული:	-	ციცინ-	წიწინ-	-	ჩიჩინ-	ჭიჭინ-
მეგრული:	ძიძონ-	ციცონ-	წიწონ-	ჯიჯონ-	ჩიჩონ-	ჭიჭონ-

ქართულში ეს მოდელი საკმაოდ პროდუქტიულია და თითქმის ყველა კონსონანტს, ყველა ხშულსა და ნაპრალოვანს აქვს უნარი მოგვცეს სემანტიკური კონტრასტი მიმდევრობაში ხმოვნის უცვლელად:

ხშულები	*ნაპრალოვნები*
ბ-ფ-პ - ბიბინი - ფიფინი - პიპინი	*ზ-ს* - ზიზინი - სისინი
დ-თ-ტ - დიდინი - თითინი - ტიტინი	*ჟ-შ* - ჟიჟინი - შიშინი
გ -ქ-კ - გაგანი - ქაქანი - კაკანი	*ღ-ხ* - ღიღინი - ხიხინი

ქართულის მოდელებს აქვთ ი/ა/უ ხმოვნების ალტერნაციის შესაძლებლობაც: *ბაბან- / ბიბინ- / ბუბუნ-, პაპან- / პიპინ- / პუპუნ-*... ქართულში ეს მოდელი საკმაოდ პროდუქტიულია; მეგრულში იდენტური სტრუქტურა მხოლოდ /ი/-ხმოვნიანია; ანალიზი აჩვენებს, რომ ერთი კონსონანტური სტრუქტურის ფარგლებში ხმოვნითი ალტერნაცია მეგრულის ფონოსემანტიკური ფუძეებისთვის არ არის დამახასიათებელი, თუმცა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ღია მარცვლის რედუპლკაციისას დონიანი ვნებითის წარმოების შემთხვევაში იცვლება მეორე ხმოვანი:

R-NOM	R-MSD	R-PASS-AOR.S3.SG.
ჟიჟინ-ი[1]	ჟიჟინ-აფა[4]	ჟიჟონ-დ-უ
შიშინ-ი[2]	შიშინ-აფა	შიშონ-დ-უ
ზიზინ-ი[3]	ზიზინ-აფა	ზიზონ-დ-უ

ამავე მოდელში კონსონანტის მომდევნოდ ვ- სონორის დართვით ახალი სემანტიკური გადასვლები გვაქვს : *სისინი > სვისვინი, წიწინი > წვიწვინი, ციცინი > ცვიცვინი*... წყვილის მეორე წევრი უკავშირდება „გარეგნობას, ფიზიონომიას...“, სუფიქსთან მონაცვლეობა კი ცვლის ფუნქციას და სემანტიკასაც: *წვიწვინი > წვიწვალი / წვეწვერია*[5].

[მ ო დ ე ლ ი 2.1.] = [მ ო დ ე ლ ი 2+S]: - *მეგრულში* ამ მოდელს წინამავალი მოდელისაგან განასხვავებს /რ-/ სონორი, რომლის დართვის შემდეგ მარცვალი დახურული ხდება; ამ მოდელში თითქმის უგამონაკლისოდ შეიძლება ჩავსვათ ყველა ხშული და ნაპრალოვანი ბგერა და მას დაუკავშირდება ახალი სემანტიკა. ამგვარი შესაძლებლობა კი საანალიზო ფონოლოგიური მოდელის პროდუქტიულობაზე მეტყველებს მეგრულში. რ/ლ და ნ/ლ სონორთა მონაცვლეობა თავისთავად დაჩნდება რ-ს „ჩართვის“ შემდგომ:

C_1VS-C_1VS:	ხშულები			ნაპრალოვნები	
	დირ-დინ-	თირ-თინ-	ტირ-ტინ-		
	----------	ცირ-ცინ-	წირ-წინ-	ზირ-ზინ-	სირ-სინ-
	ჯირ-ჯინ-	ჩირ-ჩინ-	ჭირ-ჭინ-	ჟირ-ჟინ-	შირ-შინ-
	გირ-გინ-	ქირ-ქინ-	[ყირ-ყინ-]	ღირ-ღინ-	ხირ-ხინ-

[1] წყარიშ გოჟიჟინაფილი რე „წყლით არის გაჟღენთილი“

[2] სხვანაირი მასდარი - კიკინი - კიკინუა მუს მიშაკიკინანქ „რას ჩასჩიჩინებ“

[3] გოშიშინაფილი რე „მაძღარია, დანაყრებულია“

[4] კუჩხეფი ზიზინაფილი აფუდუ „ფეხები გასიებული ჰქონდა“

[5] დაწვრილებით იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 152-162; 238-243.

ამავე მოდელში სონორების მონაცვლეობაც ახალ სემატიკურ გადასვლას იძლევა:

რ/ლ:	დარ-დალ-	თარ-თალ-	ტარ-ტალ-
	ჯარ-ჯალ-	ჩარ-ჩალ-	----------
ნ/ლ :	დან-დალ-	თან-თალ-	ტან-ტალ-
	ძან-ძალ-	ცან-ცალ-	წან-წალ-

მეგრულში ახალი მნიშვნელობები ირწარმოება ასევე ამავე მოდელის ფარგლებში ვოკალური ალტერნაციითა და სუფიქსის მონაცვლეობით:

ა~ა	ი~ი	ი~ო	უ~ი	უ~უ (*იშვიათად*)
ზარ-ზალ-	ზირ-ზინ-	ზირ-ზოლ-	ზურ-ზინ-	ზურ-ზულ-
ხარ-ხალ-	ხირ-ხინ-	ხირ-ხოლ-	ხურ-ხინ-	-
ტარ-ტალ-	ტირ-ტინ-	ტირ-ტოლ-	ტურ-ტინ-	-

იშვიათად მონაცვლეობს ამავე მოდელში ე~ე ხმოვანი:

ჟერჟელი „ბრწყინვა“ - *იჟერჟელ* „წითლად კიაფობს, ბრწყინავს“

ჩერჩელი „თრევა“ - *ოჩერჩელუანს, მიდაჩერჩელუ* „წაათრევს“

ხერხელი „რახრახი“- *ოხერხელუანს, მიდახერხელუ* „წაარახრახებს“

მეგრულში ხშულების ადგილზე კომპონენტის მეორე წევრად ასევე შეიძლება აღმოჩნდეს ამავე რიგის ნაპრალოვნები /ღ/ /ხ/ /ყ/ ან ამ ნაპრალოვნებისგან შემდგარი კომპლექსები და სონორების ჩართვით, ხმოვანთა და სონორთა ალტერნაციის შედეგად მივიღოთ სემანტიკური გადასვლები: *ძღიძღონი, წყიწყონი,* უფრო ხშირად კი /რ/ სონორის ჩართვით: *ძღირძღონ- ან ძღირძღინ-, ჩხირჩხინ-, ჭყირჭყინ-* და ა. შ.

ფუძეთა ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ მათი ფონემური კონსტრუირების, არამედ დეკონსტრუირების პროცესებსა და შედეგებზე, ვინაიდან კონსონანტურ კომპლექსთა დაშლით შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელობის ფუძეთა მიღება:

თხირთხინი:	თირთინი	ხირხინი
ტყირტყინი:	ტირტინი	ყირყინი
ჯღირჯღინი:	ჯირჯინი	ღირღინი
ჩხირჩხინი:	ჩირჩინი	ხირხინი
ჭყირჭყინი:	ჭირჭინი	ყირყინი

საპირისპირო პერსპექტივიდან ბგერათკომპლექსიანი ფუძეები ცალთანხმოვნიან სტრუქტურათა კონტამინირების შედეგადაც შეგვიძლია განვიხილოთ.

> *წესი 3: მეგრულში CCVC-CCVS სტრუქტურის ფუძეებში ჰარმონიული თანხმოვანთკომპლექსი შეიძლება დაიშალოს და გამარტივდეს ხშულ ან ნაპრალოვან ბგერათა შემცველ ფონოსტრუქტურებად, რის შედეგადაც მიიღება ახალი მნიშვნელობები.*

კონტამინაციის საფუძველზე ხსნიან შემდეგ ფორმათა არსებობას ქართულში: *ღანცალი, ღანტალი, ღანწალი, ყანწალი* და სხვა. *ღანღალი + ცანცალი > ღანცალი, ყანყალი + წანწალი > ყანწალი, ქუნქული + ცუნცული > ქუნცული... არსებითად ამავე რიგისაა: ბაბანი + ცანცალი > ბანცალი* და მისთ. (ჯორბენაძე 1998: 381).

ამგვარი გადასვლები აჩვენებს, რომ მეგრულში ბგერწერა სიტყვაწარმოების საკმაოდ პროდუქტიული საშუალებაა; მეგრული ახალი მნიშვნელობების „თხზვისთვის“ იყენებს ყველა ენობრივი მექანიზმს, რომელიც დაშვებულია ამ ენის ფონეტიკა-ფონოლოგიისა და მორფონოლოგიის სისტემიდან გამომდინარე კანონზომიერებებით.

თავი მესამე

ფონოსემანტიკურ ფუძეთა მორფოლოგიური თავისებურებანი

ზოგადი მორფოლოგიური დახასიათება

ფონოსემანტიკურ ლექსიკას საკუთარი გრამატიკული ყალიბები აქვს მეტყველების ნაწილების - სახელისა და ზმნის - მიხედვით; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზმნათა უღლების პარადიგმები. ფონოსემანტიკურ ფორმათა წარმოებაში დაჩნდება ისეთი თავისებურებანიც, როგორებიცაა: 1. *„პირველადი მასდარები", ქართულში - ბრიალი, გუგუნი, ჭიხვინი, ჭახჭახი...* (არნ. ჩიქობავა), 2. *საკუთრივ მასდარები (ბრიალება, გუგუნება, ჭიხვინება, ჭახჭახება...*), 3. მასდართა პარალელური ფორმები, რომელთა შორის ზოგჯერ უდავოა სემანტიკური განსხვავება, ზოგჯერ, განმარტების მიხედვითაც კი, ძნელი წარმოსაჩენია მნიშვნელობათა სხვაობა.

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა ყალიბები, ძირითადად, საშუალი გვარის ზმნებითაა წარმოდგენილი. მათი დიდი ნაწილი ქართულისათვის განხილული აქვს დ. ენ ჰოლისკის მონოგრაფიაში „ასპექტი და მედიალური ზმნები"; მორფოლოგიური, დერივაციული და სემანტიკური ფაქტორების გათვალისწინებით გამოყოფილი აქვს მედიალურ ზმნათა ცხრა კლასი; მათ შორისაა *ხმაურის (სისინებ-), ნათების (გიზგიზებ-)* და *ადგილზე მოძრაობისა (კანკალებ-)* , ასევე ამ მნიშვნელობათა ურთიერთგადაკვეთით მიღებული ექსპრესივების კლასები, რომლებიც ქმნიან „ბაზისურ მედიალურ ზმნათა" ჯგუფს (ჰოლისკი 2000: 101; 124-133).

ფონოსემანტიკურ ფუძეებში ბუნებრივი კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის შეიძლება რეალიზებული იყოს ბგერათკომპლექსით, მაგ. *ჭრრ...* (კარის ჭრიალი), *ფრრ...* (ჩიტის ფრთხიალი), *ბრრ...* (ცეცხლის ბრიალი), რომლებიც ბგერწერითი ღირებულების არალექსიკალიზებული ძირებია; ამგვარი კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ძირების მარტივი თუ რედუპლიცირებული მონაცემები მორფოლოგიურად შეიძლება გაფორმდეს სინქრონიულ დონეზე დესემანტიზებული *-ინ, -იალ, -უნ...* სუფიქსებით - *ბრ-იალ-ი, ჭრ-იალ-ი , ფრ-იალ-ი, ჭრაჭ-უნ-ი, ჭრიჭ-ინ-ი...*, ხოლო შემდეგ თემის ნიშნით აწმყოში: *ბრიალ-ებ-ს, ჭრიალ-ებ-ს, ფრიალ-ებ-ს, ჭრაჭუნ-ებ-ს, ჭრიჭინ-ებ-ს...* .

მორფოლოგიური თავისებურება წარმოჩნდება ზმნისწინიან ფორმათა ლემატიზებით აწმყოში, მყოფადის წარმოებით, დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის გამოხატვით, რომელიც დიაქრონიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული გრამატიკული დროის აღნიშვნის ბინარულ სისტემასთან[1]*, უღლების ნაკლული პარადიგმებით და ძირითად მწკრივთა შევსების წესებით; ქცევის ფორმათა წარმოებით, სტატიკურობისა და დინამიკურობის განსაზღვრით, მადინამიკურებელი ფუნქციით, რომელიც პირველადი კაუზაციის ფორმით გადმოიცემა.*

[1]იგულისხმება ასპექტური ოპოზიცია

-ებ /-ობ თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობა ქართულ ფონოსემანტიკურ ფუძეებში

ენათმეცნიერთა ნაშრომებში *-ებ/-ობ* სუფიქსთა მონაცვლეობის სხვადასხვა მხარეა განხილული (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ნ. მარი, გ. დეეტერსი, დ. ენ ჰოლისკი, ბ. ჯორბენაძე, ლ. ნოზაძე, ჰ. ფოგტი, ბ. ცხადაძე, ი. ქობალავა, მ. მაჭავარიანი, შ. აფრიდონიძე, რ. საღინაძე...).

ქართულში *-ებ /-ობ* ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, სულერთია ის თემის ნიშანია, თუ აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელი. გაზიარებული აზრია, რომ *-ობ* სუფიქსი *-ებ-* ისაგან უნდა იყოს მიღებული (ნ. მარი, ვ. თოფურია).

„ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ -ებ აწმყოს ფუძის მაწარმოებელი თემის ნიშანი დამოწმებულია სტატიკურ (ე. წ. "საშუალი გვარის") ზმნათა ერთ ნაწილში, უპირატესად: ა) ფუძეგაორკეცებულებში: *ღიღინ-ებ-ს, ციმციმ-ებ-ს, გუგუნე-ებ-ს, კაკან-ებ-ს...* ბ) *-იალ* სუფიქსიანებში: *გრიალ-ებ-ს, ბრიალ-ებ-ს, შრიალ-ებ-ს, ჭრიალ-ებ-ს...*

შენიშნულია აგრეთვე, რომ ზოგ დიალექტში *-ებ–*ის ნაცვლად ხსენებულ ზმნებში გამოიყენება -ობ: *ღიღინ-ობ-ს, ბრიალ-ობ-ს...* მიზეზი ამისა შესაბამისი მოქმედებითთან მიმართებაა: *ათამაშ-ებ-ს — თამაშ-ობ-ს* ტიპის მიმართებაზე გადადის *ა-ღიღინ-ებ-ს — ღიღინ-ობ-ს* (ჯორბენაძე და სხვ. 1988: 123).

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ძვ. ქართულში პირველადი მასდარების -ებ ფორმანტით გართულების შემთხვევები. გ. დეეტერსის მიხედვით, *-იალ* ფორმანტი ჩნდება ძირისა და აწმყოს თემის ნიშანს *-ებ* სუფიქსს შორის, მაგ. *კრჩხიალებაი* (დეეტერსი 1930: 68). შემჩნეულია, რომ ძველ ქართულში *-იალ* დაბოლოებას მასდარში ერთვის *-ებ-ა/-ობ-ა* სუფიქსები: *ტრფიალება/ტრფიალობა, წრტიალება, ბრკიალება...,* რომელიც აწმყოში აღგვადგენინებს *ტრფიალებს/ტრფიალობს, კრჩხიალებს, ბრკიალებს* ზმნის პირიელ ფორმებს (ცხადაძე 1984: 127).

ანალოგიური წარმოება ახასიათებდა როგორც *-იალ* სუფიქსიან ფონოსემანტიკურ ფორმებს, ისე ფუძის გაორკეცებით წარმოქმნილებსა და *-ან, -ინ, -უნ* სუფიქსებით დაბოლოებულებს: *დურდური — დურდურება, ჭაჭანი — ჭაჭანება, გოხინი — გოხინება, ჩხაპუნი — ჩხაპუნება...*

ხშირად *-ებ-ა* ფორმანტი დაერთვის გაუფორმებელ, უსუფიქსო ფუძეს, მაგ; *ზახება, ქუხება* (ასეა განმარტებული სიტყვა ,,ქუხილი'' ილ. აბულაძის ლექსიკონში). *-ებ-ა* სუფიქსი დაჩნდება, აგრეთვე, ე-ფუძიან ზმნურ ფორმებთან, რომლებიც ი. ქობალავას დაკვირვებით, აღნიშნავენ ხმის გამომწვევ მოქმედებას (ქობალავა 1980: 68) მაგ.: *თქერება, ჩხერება.* ეს სიტყვები *-ებ-ა* სუფიქსის ძალით თითქოს ისეთივე ნაზმნარი ფონოსემანტიკურ სახელებია, როგორიც *თქარუნი, ჩხარუნი*, ოღონდ ფუძისეული ხმოვნის შეუცვლელად (შდრ., შანიძე 1980: 566).

ა. შანიძის აზრით, საწყისი ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის. იგი ერთია ორივე გვარისათვის:



ამასთან, საწყისის ფორმები მოქმედებითსა და საშუალში უფრო მეტადაა განსხვავებული, როგორც ამას ა. შანიძის მაგალითები გვიჩვენებს. *ბრუნება - ბრუნვა, გორება - გორვა, ცურება - ცურვა, ფეთქება - ფეთქვა, დუღება - დუღილი და სხვა (ვადუღებ - დუღება - დუღს - დუღილი), თუმცა ზემოხსენებულ ფუძეთაგან (ჭიკჭიკი, ჭიხვინი, კაკანი)* მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებისათვის ასახელებს შემდეგ საწყისებს: *აჭიკჭიკება, აკაკანება, აჭიხვინება* (შანიძე 1980: 564 – 565). შდრ., არნ. ჩიქობავა: ,,მასდარი არ განასხვავებს გვარებს. ვნებითი მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაშია გარჩეული; მოქმედ. *ტეხა*, ვნებ. *ტყდომა*, მოქმედ. *ხეთქა*, ვნებ. *სკდომა*… ამისდა მიუხედავად, არა იშვიათად - კონტექსტის შესაბამისად - გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარისთვისაც, სასუბიექტო შინაარსის გადმოსაცემად (ჩიქობავა 1950: 075).

შეიძლება ვიფიქრით, რომ ზოგჯერ *-ებ-ა* სუფიქსი პირველად მასდარებში სწორედ მოქმედებითი გვარის მაჩვენებელია, თუმცა შემდეგ მაგალითებში გაძნელდება *-ება-ს*, როგორიც მოქმედებითი გვარის მაწარმოებლის გამოყოფა. მაგ., *კამკამება* (კამკამებისა) ,,ძვ. იხ. *კამკამი*, ფიგურ. *ვარსკვლავნი*... [მეფისძის] კამკამებასა გაეცვიფრებინა" (საბა) (ქეგლი IV); *ბრჭყვიალება* ,,(ბრჭყვიალებისა) ბრწყინვა, ბზინვა, ბრჭყვიალი. იაგუნდის შუქი აქვს და ბრილიანტის *ბრჭყვიალება* (ნ. ლორთქ.). ფიგურ. ყოველი ფრაზაო. ჭილაძის ნაწარმოებში სახიერი სურათია. ეს სურათები ბრჭყვიალებით კი არ გვჭრიან თვალს, არამედ სიზუსტით და *ფერადოვნებით* (ლიტ.საქ.). მდაბიოღირებულებს *ცრუბრჭყვიალებამ* მოსტაცა თვალი (ლიტ. საქ.)" (ქეგლი II).

ანგარიშგასაწევია კიდევ ერთი გარემოება: მასდარი, როგორც ზმნისაგან ნაწარმოები სახელი, დაირთავს იმავე წინდებულებს, რომელსაც იგუებს სათანადო ზმნა: კეთება, გაკეთება, შეკეთება, გადაკეთება (ჩიქობავა 1950: 075). პრევერბის დართვის შესაძლებლობა პირველად მასდარებს ანდა მათგან ნაწარმოებ ზმნებს მეტად შეზღუდული აქვს (ჩიქობავა 1942: 219).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენამ სხვა ზმნურ ფორმათა ანალოგიით აწარმოა ფონოსემანტიკური ფუძეების მასდარები I სერიის ზმნურ ფორმათაგან, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ზმნური ზმნისწინიანი ფორმებით მოხერხდა სემანტიკის ზუსტი გამოხატვა. შდრ., *ბრახუნი - ბრახუნებს - *ბრახუნება, აბრახუნებს - დაბრახუნება* (და არ *დაბრახუნი*...). ზმნისწინიანი ფორმა სწორედ ,,მეორადი მასდარისაგან" იწარმოება და არა „პირველადი მასდარისაგან", სახელისაგან, რომელიც საფუძვლად ედება ზმნურ ფორმას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ,,მთელ რიგ შემთხვევებში ნასახელარი ზმნური ფორმებით გადმოცემული მოქმედება ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე შესაბამისი ი- ხმოვნიანი ზმნებით გადმოცემული მოქმედება (ქობალავა 1980: 59 – 60). შესაძლებელია, ფონოსემანტიკური სიტყვების ზმნური საწყისები მოქმედების ინტენსივობის გადმოცემის საშუალებაა გაუფორმებელ *(ჩხარი)*, პირველად მასდართა *(ჩხარუნი)* და ზმნურ ფორმათა (*ჩხერა*) გვერდით. I სერიის საფუძველზე მიღებული საწყისი, თითქოს მეტ ინტენსივობას, სიძლიერეს ანიჭებს სიტყვას. შდრ., *ჩხარი- ჩხარუნი - ჩხარუნება.*

არნ. ჩიქობავა წერს: მასდარი ზმნის ფორმებისაგან არ იწარმოება. თვით ზმნა ჩანს მასდარისაგან ნაწარმოები. იქვე მოჰყავს მაგალითები:

საწარმოებელი სახელი:	ნასახელარი ზმნა:	ნაზმნარი სახელი(მასდარი):
გრიალი	გრიალებს	გრიალი
ჭრიალი	ჭრიალებს	ჭრიალი
ფრიალი	ფრიალებს	ფრიალი
კანკალი	კანკალებს	კანკალი

და დაასკვნის: მასდარი და ის სახელი, რომლისგანაც ზმნა ვაწარმოეთ, ერთი და იგივე აღმოჩნდა, ე. ი. მასდარი ამგვარი ზმნებისაგან არ იწარმოება. მასდარის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ზმნა იქნა ნაწარმოები (ჩიქობავა 1942: 218 – 219).

ენა ერთ სისტემაში ცდილობდა *-ებ* აფიქსიანი ფორმებით გაემიჯნა პირველადი მასდარები (ანუ სახელები, რომლებიც ზმნებს ედებოდა საფუძვლად) და ზმნებისაგან ნაწარმოები მასდარები (resp. ნაზმნარი სახელები). *-ებ სუფიქსი სწორედ ზმნური ფორმებიდან გადმოყოლილი ნიშანია (შდრ., თეთრი - ათეთრებს - გათეთრება*).

თუკი ლექსიკონებში დამოწმებულ ფორმებს არნ. ჩიქობავას მიერ მოცემულ სისტემაში ჩავსვამთ, შემდეგ ფორმებს მივიღებთ:

საწარმოებელი სახელი:	ნასახელარი ზმნა:	ნაზმნარი სახელი (მასდარი):
ბრიალი	ბრიალებს	ბრიალება
ყივილი	ყივილებს	ყივილება
კამკამი	კამკამებს	კამკამება
ფოფინი	ფოფინებს	ფოფინება

მაშასადამე, სახელი და ნაზმნარი სახელი (პირველადი მასდარი და ნაზმნარი სახელი) ფორმობრივად გაიმიჯნა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დენოტატიური მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევიან. ამგვარ სიტყვებში ასევე შეიძლება მოხდეს სემანტიკური გადაწევა. მაგ., *ფუფუნი* და *ფუფუნება* (ამ შემთხვევაში დაისმის საკითხი *-ებ-ა* სუფიქსის მაწარმოებლად გააზრებისა).

გაჭირდება *ზახება, თქერება* ტიპის სიტყვების ამ სისტემაში ჩასმა. ფუძისეულ, გაუფორმებელ ძირზე *(ზახი, ტკაცი...) -ებ-ა* სუფიქსის დართვა მას თითქოს სრულუფლებიან მასდარის მაწარმოებლად ხდის.

-ებ-ა, -ობ-ა სუფიქსიანი მასდარები თანამედროვე ქართულის დიალექტებშიც ხშირად დასტურდება (*ბღატება, კარკალება, ჟერება...)*

დ. ენ ჰოლინსკი ამჩნევს -ებ/-ობ თემის ნიშანთა მონაცვლეობას, მაგრამ არ უთითებს ამ მონაცვლეობის სემანტიკურ საფუძველს.

,,ამ თვალსაზრისით შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს სუბიექტის სულიერებას: -ობ თემის ნიშანი ცოცხალ მეტყველებაში იჩენს მიდრეკილებას აღნიშნოს სულიერი არსება. შდრ.: *წისქვილი ჩუჩუნებს, თაგვი ჩუჩუნობს, ბორბალი ტრიალებს, დიასახლისი ტრიალობს”* (მაჭავარიანი 1989: 320).

ძნელია რაიმე კანონზომიერების დანახვა სულიერ და უსულო საგანთა მიხედვით *-ებ/-ობ* თემის ნიშნებთან დაკავშირებით, მათი მონაცვლეობა ხშირად რომ დიალექტურ და სალიტერატურო ნორმებს გამიჯნავს, ადვილი შესამჩნევია. *გუგუნებს - გუგუნობს, ტრიალებს*

- *ტრიალობს* თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, სულიერია თუ არა საგანი, მაშინ, როცა აკრძალული, მიუღებელი ფორმაა *აგუგუნობს, ატრიალობს.*

ერთ სისტემაში ენა ცდილობს თემის ნიშნებით განასხვავოს გვარის ეს ორი ფორმა. ,,ამის გათვალისწინებით ადვილად აიხსნება, თუ რატომ ხდება ზოგიერთ საშუალო ფორმაში *-ებ/-ობ* გადასვლა. *აგუგუნებს - გუგუნებს*, მაგრამ აშკარაა ასეთი შეფარდების ტენდენცია (განსაკუთრებით დიალექტებში): *აგუგუნებს - გუგუნობს.* მოხდა სისტემის გათანაბრება'' (ჯორბენაძე 1988: 185).

დ. ენ ჰოლისკი: ,,კანკალებ ტიპის ზმნა *-ებ* ან *-ობ* სუფიქსით გვხვდება აწმყოში, კერძოდ *ფორიალებს / ფორიალობს, წრიალებს / წრიალობს*". მისი ინფორმანტები ორივე სუფიქსით ასახელებენ 12 მედიალურ ზმნას, რომლებიც შეიძლება ორივე სუფიქსით ვიხმაროთ (ეს აღნიშნულია შესაბამის სიებში). იქვე შენიშნავს, რომ *-ებ/-ობ* მონაცვლეობა აღნიშნული აქვს ნოზაძეს (1974: 37) და ფოგტს (1971: 142), რომლებიც ამბობენ, რომ „განსხვავება ორ სუფიქსს შორის ძველ ქართულში არ იყო" (ჰოლისკი 2000: 123).

დ. ენ ჰოლისკის აზრით, თანამედროვე ქართული ენა უპირატესობას ანიჭებს *-ობ* სუფიქსის ხმარებას. ბევრ შემთხვევაში, სადაც ჩხენკელის ლექსიკონი იძლევა *-ებ/-ობ* სუფიქსთა მონაცვლეობის ვარიანტებს. მაგ. *ბორიალებს / ბორიალობს,* მისი ინფორმანტები დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ ერთ ფორმას - *ბორიალობს,* სხვა შემთხვევაში, სადაც ჩხენკელი მხოლოდ ერთ რომელიმე სუფიქსიან ფორმას იძლევა, მისი ინფორმანტები მოითხოვენ მეორეს (ჰოლისკი 2000: 123).

ლ. ნოზაძის აზრით, თუ აწმყოში ფორმებს სუფიქსებად აქვს *-ებ, -ენ,* ისინი უცვლელად რჩება მყოფადის ფორმებშიაც. ყველა სხვა შემთხვევაში მყოფადში გვაქვს -ებ სუფიქსი მაშინაც, როცა აწმყოსა და მყოფადის ფორმათა დაპირისპირება ემყარება *ი-, უ-* პრეფიქსებს და მაშინაც, როცა იგი აწმყოს უხმოვნო და მყოფადის ... პრეფიქსიანი ფორმების მიხედვით ხდება. მაგ., *რგებს – არგებს, სწყინს– აწყენს, შრიალებს – იშრიალებს, სტვენს– ისტვენს, რქენს – ურქენს... შდრ.: კოცნის – აკოცებს, სჯობნის – აჯობებს, ტირის – იტირებს, მეფობს– იმეფებს, სწამლობს – უწამლებს...*

ძველ ქართულში პარალელურად არსებულ ფორმებს შორის: *სადილობს / ისადილებს, სამხრობს / ისამხრებს, მრუშობს / იმრუშებს...* აწმყოს სუფიქსების მიხედვით სხვაობა მეორეულია. *-ობ* სუფიქსი *-ებ*-ისაგან მიღებულად მიიჩნევა (ჩიქობავა 1925).

ის ჩამოთვლის აგრეთვე ძველსა და ახალ ქართულში *-ებ/-ობ* სუფიქსთა მონაცვლეობის სხვა შემთხვევებს, მათ შორის ფონოსემანტიკურ ზმნებსაც: *ჭიკჭიკებს / ჭიკჭიკობს, კისკისებს / კისკისობს, კანკალებს / კანკალობს* და ა. შ.

უნდა შევეხოთ ნორმის საკითხს, რომელიც ისმის პირველად მასდარებისაგან ნაწარმოებ ზმნებში თემატური *-ებ* და *-ობ* სუფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით. შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება მათს განაწილებაში ზმნის სტრუქტურის მიხედვით:

1. ფუძისეული ხმოვნის გამეორებისას (ა--ა, ი--ი, უ--უ) ზმნის ფუძეს აწარმოებს *-ებ* თემის ნიშანი: *ბაბანებს, ფართხალებს, სისინებს, ჩლიფინებს, გუგუნებს, გრუხუნებს...*

2. შერეულხმოვნიანი ზმნური ფუძეების თემას *-ობ* სუფიქსი აწარმოებს: *ბრახუნობს, რაკუნობს, ფათურობს...*

3. იგივე ითქმის *„-ია + თანხმოვანი"* მოდელის მასდარისაგან ზმნის წარმოების შესახებ, როცა თანხმოვანი სონორი არ არის: *კიაფობს, წიოკობს, კრიახობს...*

4. *-იალ* ელემენტიანი მასდარისაგან ნაწარმოებ ზმნებში:

ა) ზმნები CC ძირის სტრუქტურით დაირთავენ *ებ* სუფიქსს: *სრიალებს, ტრიალებს, წრიალებს...*

გ) ხმოვანფუძიანი ან ზმნისწინდართული ფორმები *-ობ* სუფიქსს დაირთავს: *ბოდიალობს, ხეტიალობს... დაბორიალობს, დაყიალობს...* გამონაკლისს წარმოადგენს ა-ა თანამიმდევრობისა და ნ-ზე ფუძეგათავებული მასდარისაგან ნაწარმოები ზმნები, რომლებიც არც ერთ სუფიქსს არ დაირთავენ. ეს მასდარებია: *ტყაპანი, ბრაგვანი, ბრახვანი* და სხვ. საკომპენსაციოდ ეს მასდარები სპეციფიკურ ზმნებთან შეხამებაში ქმნიან ფრაზეოლოგიზმებს: *ბრაგვანი (ბრახვანი, ტყაპანი) მოადინა, გასძვრა.* უსრული ასპექტის ფორმები (აწმყო, ნამყო უსრული) ამ ზმნებს აკლია (აფრიდონიძე 1993: 103).

რ. საღინაძე *-ობ* სუფიქსიან ზმნათა ფორმებისა და ნორმირების შესახებ წერს: ზოგჯერ *-ობ* გაჩენილია ფონეტიკურ ნიადაგზე და მითითებულია დიალექტური ფორმები: *უშვებს / უშობს, გამოუშვებს / გამოუშობს, ასწრებს / ასწრობს, აძღებს / აძღობს, აწებს / აწობს, დაითვრება / დაითრობა, ბიბინებს / ბიბინობს, კუნტრუშებს / კუნტრუშობს, ჭიკჭიკებს / ჭიკჭიკობს, აპირებს / აპირობს...*

ხშირად *-ობ* სუფიქსით არის გაფორმებული საშუალი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფი, მეტწილად ა)ფუძეგაორკეცებულები: *კისკისებს / კისკისობს, ლაქლაქებს / ლაქლაქობს, ტიტინებს / ტიტინობს, ჩიფჩიფებს / ჩიფჩიფობს, ჩუხჩუხებს / ჩუხჩუხობს.*

გ) *-იალ* სუფიქსიანები: *ტრიალებს / ტრიალობს, წრიალებს / წრიალობს, ღრიალებს / ღრიალობს, ფრიალებს / ფრიალობს, ბრჭყვიალებს / ბრჭყვიალობს...* (საღინაძე 2013: 177).

ქართული ენის განმარტების ლექსიკონში ძალიან ხშირ შემთხვევაში ორივე ფორმა არის წარმოდგენილი, მაგალითად: *დაწანწალებს / დაწანწალობს, კრიახებს / კრიახობს, ფარფაშებს / ფარფაშობს, ფარფატებს / ფარფატობს, ჭუჭყუნებს / ჭუჭყუნობს…* ზოგჯერ მხოლოდ *-ობ* სუფიქსიანი ვარიანტია მოცემული, თუმცა განმარტებისას *-ებ* თემისნიშნიანი ზმნებია გამოყენებული:

ფხაჭუნობ-ს „(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) კუთხ. (იმერ.) გრდუვ. სტატ. იხ. აფხაჭუნებს. დარკილულ (ჭიისაგან დაჭმულ) კარადაში თაგვი ფხაჭუნობს (ვ. ლორთქ.)" (ქეგლ VII).

ჩაჩხანობ-ს „(იყენ. *იჩაჩხანა, უჩაჩხანია*) საუბ. გრდუვ. სტატ. *ჯაჯღანებს, ჭაჭყანებს.* [ბრიგადირი] ყველას თავ-თავის საქმეს უჩენდა, ჩაჩხანობდა (ს. იორამ.))" (ქეგლ VIII).

ხორხოცობ-ს „(იყენ. იხორხოცა, უხორხოცია) გრდუვ. სტატ. ხმაურიანად იცინის (ბევრი). ხორხოცობდნენ ბიჭები მთელი გზის მანძილზე (ა. ბელ.) (ქეგლ VIII).

ხშირად მითითებულია, რომ ლექსემა კუთხურია, ფიგურალურია ან გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაგ.,

ღრიალებს „გადატ. ხმამაღლა ტირის, - ბღავის. ლიზას საფლავზედ საშინლად ღრიალებდა... მხოლოდ მამა (ეკ. გაბ.).

ფარფატებ-ს „(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ფარფატით, ფრთების ნელი რხევით ფრინავს...|| ფიგურ. მას დიდება..., ვის თვალებშიც შიშის ლანდი არასოდეს ფარფატებდა! (გ. აბაშ.).ნაციხარებზე ფარფატებს ღამე (გ. ლეონ.)(ქეგლ VII), მხოლოდ იშვიათადაა შენიშნული, რომ რომელიმე ფორმა უფრო მართებულია. მაგ., *დალაყუნობ-ს* (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. დინამ. იგივეა, რაც უფრო მართებული *დალაყუნებს.* უსაქმოდ დალაყუნობდა. ტურისტებივით დავლაყუნობთ შვრიის ყანაში და ფეხით ვთელავთ თავთუხებს თურმე (მ. ფოცხ.)" (ქეგლ III).

შესაბამისად, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ფონოსემანტიკურ სიტყვათა არასწორ ფორმებად უფრო ხშირად მიჩნეულია *-ეფ/ოფ*, იშვიათად კი - */-ობ/* სუფიქსური ვარიანტი, ზოგჯერ *-ობ* სუფიქსიან მართებულ ფორმათა გვერდით. მაგალითად, არასწორია: *დალაყუნობს, დაწანწალეფს, ჭიჭყინეფს, ხორხოცოფს*, სწორი ფორმებია: *დალაყუნებს, დაწანწალებს, ჭიჭყინებს, ხორხოცობს...*, ზოგჯერ ორივე ფორმა ერთად, *ფამფალეფს* და *ფამფალობს* არასწორი ზმნური ფორმები *ფამფალებს* მართებული ფორმის საპირისპიროდ. დალაყუნობს ლექსემისათვის შეადარეთ შ. ფრიდონიძე: შერეულხმოვნიანი ზმნური ფუძეების თემას *-ობ* სუფიქსი აწარმოებს: *ბრახუნობს, რაკუნობს, ფათურობს...* (აფრიდონიძე 1993: 103).

ბარბაცობს ფორმა ქეგლში არ დასტურდება, შესაბამისად, ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც არასწორ ფორმადაა მიჩნეული ბარბაცებს მართებული ფორმის საპირიპისპიროდ.

მრავლად დასტურდება *-ობ* სუფიქსიანი ზმნური ფორმები თუ მასდარები ძვ. ქართული ენის პროზაულ თუ პოეტურ ძეგლებში, დავიმოწმებთ მაგალითებს "ვეფხისტყაოსნიდან":

„ამას ზედა მოიხედნეს, ხევით ესმა *ჩხაპუნება*".

„რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმით აბჯართა *ჩხერება*".

ეს ლექსემები ლექსიკონებში განმარტებულია შესაბამის პირველად მასდართა გვერდით, ქეგლში ზოგჯერ მითითებულია, რომ ეს ძველი ფორმაა.

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში" ხშირად *-ობ/-ოფ* თემისნიშნიანი მაგალითები არის დამოწმებული:

ბლაგუნი „(გურ.) უხეიროდ სიარული „უგლაგარძათ *დაბლაგუნოფს*";

ბოჭიალი „(იმერ.). 1. ნელა სიარული. „გამოუჩქარე პაწა, რავა შენი სიცოცხლე დაბოჭიალოფ";

კვარხალი „(ლეჩხ. ზ-იმერ.) დუღილის დაწყება ნ. ხვარხვალი "თუ შეთბობა გინდა, რას ადუღებდი წყალს, ხო ხედავ, კვარხალობს?" (ღლონტი 1984). შდრ.: *კვარხალობ-ს* (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში), კუთხ. (ზ-იმერ.) გრდუვ. სტატ. დუღილს იწყებს (წყალი) (ქეგლი IV).

ხორხოზი „(გურ.) ბოხი ხმით ლაპარაკი *ხორხოზ–ი* ხმა, გრგვინვა *ხორხოზოფს* საზარლად ყვირის (ღლონტი 1984). შდრ., *ხორხოზობ-ს* (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) კუთხ. (გურ. იმერ.) გრდუვ. სტატ. უწესრიგოდ ხმაურობს. დაბლა მთის ძირში მოგროვილიყვნენ ძაღლები და ხორხოზობდნენ (აკაკი)" (ქეგლი VIII).

-ობ/-ოფ თემისნიშნიანი მაგალითები ხშირია, აგრეთვე, ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონებში.

მთიულური: *დატანტალობს, დაწუნწულობს, დოდინობს, როჭიკობს, ფოფინობს, ღარალაობს* (კაიშაური 1967).

მესხური: *ბადბადობს, ბინდრიშობს, ბლადუნობს, ბლაჩუნობს, ბორბოქობს, დადანობს, დადღანობს, დათლახუნობს, დაფშუკურობს, დღლაძუნობს, თუთხუნობს, რუგრუგობს, ფორხილობს, ფხაჭურობს, ჯიჯინობს, შუშხუნობს, ჩუქჩუქობენ, ჩუჩუნობს* (ფეიქრიშვილი 1992).

იმერული: *მაშმაშობს, რიკინობს, ფუშფუშობს, ჩოხრიკობს...* (ქავთარაძე 1974).

ინგილოური: *გურგუროვად, ზიმზიმოვად, კანწუნოვად, კარკაროვად, ჟიჟინოვად, ქაცქაცოვად, წიწინოვად...* (ღამბაშიძე 1988).

ჯავახური: *ბახუნომს, ბეჯარაომს, ბლიყინომ, ტორიალომს...* (ზედგინიძე 2014).

მრავლად დავადასტურეთ მსგავსი ფორმები ინტერნეტგვერდებზე, *-ობ* სუფიქსიანი *ა-უ* ხმოვანმონაცვლე ფორმებიც კი (*ბაგაბუგობს, თქარქთქურობს, რაკარუკობს, ხარახურობს,*

გიჟმაჟობს, რიჟრაჟობს... და არა *ბაგაბუგებს, თქარათქურებს* და ა. შ.) მაშინ , როცა მსგავსი ფორმები ლექსიკონებში არაა დადასტურებული. შდრ. ქეგლი: *რიჟრაჟებ-ს* (იყენ. *ირიჟრაჟა, ურიჟრაჟნია*); გრდუვ. სტატ. *რიჟრაჟი* დგება,- *რიჟრაჟდება. რიჟრაჟებს,* შდრ.: *ბაგაბუგი* ტიპის სახელები ზმნურ ფორმებს ვერ აწარმოებენ. ი. ქობალავას ასახელებს აგრეთვე *ბრაგვანი, ფახვანი, ხათქანი...* ტიპის ფუძეებს, რომელთაც ზმნურ ფორმათა წარმოების უნარი არა აქვთ და ამისათვის მეშველ ფორმებს იყენებენ *(ბრაგვანი მოიღო, ფახვანი გაადინა)* (ქობალავა 1980: 70).

მსგავს ფორმათა დამოწმება მოხერხდა, აგრეთვე, ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში: *ფახაფუხი (ფახაფუხობს), ფახიფუხი (ფახიფუხობს)...*

ამგვარად, *-ობ* თემის ნიშანი, რომელიც შედარებით გვიანდელი წარმოშობის უნდა იყოს, საკმაოდ პროდუქტიულია ქართულში, ხშირად დასტურდება თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებშიც და, თავისთავად, არსებობას განაგრძობს დიალექტური ლექსიკური ერთეულების სახით.

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა აწმყო მეგრულსა და ლაზურში

აწმყოს სტრუქტურულად რთული ფუძე აქვს, რადგან დაირთავს თემის ნიშანს. აწმყოს ფუძეს ემყარება I სერიის მწკრივები. ზმნური ფორმები I-სა და II სერიაში თემის ნიშნის დართვა-დაურთველობით უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს წესი, ცხადია, ფონოსემანტიკურ ანუ ბგერწერით ლექსიკაზეც ვრცელდება. ფონოსემანტიკური ლექსიკა შეიძლება იყოს როგორც მარტივფუძიანი, ასევე რთულფუძიანი (ფუძეგაორკეცებული), სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის - *ხმიანობის, ხმაურის, სიარულის, სმის, ჭამის, ცემის*..... აღმნიშვნელი[1].

ქართველურ ენებში ფონოსემანტიკური ლექსიკა აწმყოს ფუძის საწარმოებლად გამოკვეთილად ირჩევს ცალკეულ თემის ნიშანს. ქართულში, როგორც აღინიშნა, ეს არის *-ებ/ობ,* მეგრულში *-ან, უნ/ -გ(ნ),* ლაზურში *-აფ, -უფ, -უმ, -ამ* სუფიქსები[2].

„მეტად ფართოდაა გავრცელებული მეგრულ-ჭანურში საშუალი გვარის ზმნათა წარმოება *-ან* სუფიქსით; ტიპის მხრივ ეს ისეთი ზმნებია, რომელთაც ქართულში ან *-ებ, -ობ* სუფიქსი ექნებოდათ, ან კიდევ *-ი* მაწარმოებელი“ (კარტოზია და სხვ. 2010: 256). ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, ფონოსემანტიკური ლექსიკა საშუალი გვარის ზმნათა ერთი

---

[1] ქართული, მეგრული და სვანური ენების მასალის მიხედვით ამ ტიპის ზმნათა სემანტიკური ჯგუფები გამოყოფილი და გაანალიზებულია ი. მელიქიშვილის, ი. ქობალავას, დ. ენ ჰოლისკის, ტ. გუდავას, ნ. კახაძის, ნ. მამისეიშვილის, რ. გერსამიას, მ. საღლიანის, ა. ლიპარტელიანის და სხვათა ნაშრომებში (მონოგრაფიაში აღნიშნული საკითხი განხილულია სათანადო ადგილას).

[2] ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეული ლაზურში აწმყოს მწკრივში შეიძლება უთემისნიშნოდაც დადასტურდეს: *ხირხინი "ჭიხვინი", უხირხინს* „უჭიხვინებს“, „*-ინ* აქ აწმყოს ფუძის მაწარმოებელი არ არის“ (ქირია და სხვ., 2015: 407). „მეგრულში უთემისნიშნო ზმნებს გამოყოფს ი. ყიფშიძე და მათ რ კლასს უწოდებს (ი. ყიფშიძე, 1914: 061). ამგვარ ზმნებს შორის შეიძლება დასახელდეს ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულებიც; მაგალითად, *ქოუმბარც* (ხუბ. 266,6) „უბერავს“, რომელმაც, როგორც ჩანს, გვიან განივითარა *-ან* თემისნიშნიანი პარალელური ფორმა: შდრ: *ქოუმბარ-ან-ც* „უბერავს“ (მაგალითი დამოწმებულია მ. მარგველაშვილის სტატიის მიხედვით, იხ. მარგველაშვილი 1988: 197). ასეთივე ვითარებაა სვანურშიც. იქ ჩვეულებრივი მოვლენაა აწმყოს ფუძის წარმოდგენა უთემისნიშნოდ; შდრ. სვან. *თჳრტჳნ „ჭიხვინი" > თჳრტნი* „ჭიხვინებს“, *ხჳრტჳნ* „ხროტინი“ > *ხჳრტნი* „ხროტინებს“. მაშასადამე, სვანურში აწმყოში ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები უთემისნიშნოდ დასტურდება. მსჯელობა იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 284-295

ნაწილია. მეგრულში დადასტურებული *-ან* თემის ნიშანი ქართულში გამოყენებულ სხვადასხვა თემის ნიშანს ეტოლება სემანტიკურად, თუმცა, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „აწმყოს ფუძის მაწარმოებლად მეგრულში ორი სხვადასხვა წარმომავლობის *-ან* სუფიქსი გვაქვს, რომელთაგან ერთი ქართული -ებ-ის შესატყვისია“ (ჩიქობავა 1936: 133; ქირია 2000: 82). ფონოსემანტიკურ ლექსიკასთან დადასტურებული „ქართული *-ებ* ფუნქციურად მეგრული *-ან*-ის შესაბამისი მორფემაა“ (ჩიქობავა 1936: 166; ნათაძე 1959: 135; მარგველაშვილი 1988: 191). *„ლაპარაკის“, „სიარულის“* აღმნიშვნელი საწყისები და ზმნური ფუძეები *-ალ* სუფიქსითაა გაფორმებული, რომელიც უკვე ფუძის კუთვნილებაა. „სიტყვაწარმოების დონეზე ისინი ფუნქციონირებენ..., როგორც დაუშლელი ფუძეები“ (ქობალავა 1979: 112):

ბარჩალი „მხიარული, გაშლილი, ლაღი ლაპარაკი“ (ელიავა 1997: 28); „ხალისიანი ლაპარაკი“ (ქაჯაია 2001, 224) > *ბარჩალ-ან-ს* „ლაღად, ხალისიანად ლაპარაკობს“; *ბარდღალი* „გაურკვევლად ლაპარაკი“ (ბავშვის ლაპარაკზე იტყვიან) > *ბარდღალ-ან-ს* „გაურკვევლად ლაპარაკობს“; *ბატალი* „როშვა; ყველაფრის დაუფიქრებლად თქმა“ (ქაჯაია 2001: 226) > *ბატალ-ან-ს* „როშავს“; *კვაკვალი* „როშვა, განუწყვეტლივ ლაპარაკი“ (ჭარაია 1997: 77) > *კვაკვალ-ან-ს* „როშავს, ლაპარაკობს განუწყვეტლივ“; *რაქვალი* „ხმამაღლა განუწყვეტლივ ჩხუბი“ > *რაქვალ-ან-ს* „ხმამაღლა განუწყვეტლივ ჩხუბობს“[1] ; *რაკვალი* „ხმამაღლა განუწყვეტლივ ჩხუბი წვრილი ხმით“ > *რაკვალ-ან-ს* „ხმამაღლა განუწყვეტლივ ჩხუბობს წვრილი ხმით“ ; *რსხაპალი* „ტარტალი (ენის)"> *რსხაპალ-ან-ს* „ატარტალებს (ენას)"*;* *ჩვაგალი* „სისულელის ლაპარაკი“ > *ჩვაგალ-ან-ს* „სისულელეს ლაპარაკობს“;*ღარღალი* „მომაბეზრებლად ლაპარაკი“ > *ღარღალ-ან-ს* „მომაბეზრებლად ლაპარაკობს“; ღაფალი „ხმამაღალი ლაპარაკი“ > ღაფალ-ან-ს „ხმამაღლა ლაპარაკობს“; *ყაყალი* „ყაყანი“ (ჭარაია 1997: 144) > *ყაყალ-ან-ს* „ყაყანებს“; *ჩვარჩვალი* „უშნო ლაპარაკი“ (ჭარაია 1997: 156) > *ჩვარჩვალ-ან-ს* „უშნოდ ლაპარაკობს“; *ჭყაჭყალი* „ჭაჭყანი, ჭიჭყინი, ტატყანი“ (ჭარაია 1997: 173) > *ჭყაჭყალ-ან-ს* „ჭაჭყანებს, ჭიჭყინებს, ტატყანებს“.

„სიარულის“ აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებში ფუძეში შემავალი *-ალ* სუფიქსის ადგილი აწმყოში შეიძლება დაიკავოს თემის ნიშანმა; მაგალითად, შდრ:

გილეჩარქ-ალ-უ/გ // მიჩარქ-ალ-უ და მიოჩარქ-ან-ს „ბანდალობს, ბანდალით დადის“;

გილეცაკ-ალ-უ/გ // მიცაკ-ალ-უ და მი-ო-ცაკ-ან-ს „მსუბუქად დადის“ (ლომთათიძე 1997: 131).

ამ პროცესის გამომხატველი სხვა ზმნური ფუძეებიც შეიძლება დასახელდეს:

გილეჩაკ-ალ-უ/გ // მიჩაკ-ალ-უ > გილაჩაკ-ან-ს „ბარბაცით დადის“;

გილერანტ-ალ-უ/გ // მირანტ-ალ-უ > გილარანტ-ან-ს „უთავბოლოდ დადის".

-ან თემის ნიშანი სხვა სემანტიკის ზმნებთანაც დასტურდება; თემის ნიშნის წინ ძირს მიხორცებული *-ინ* სუფიქსი იჩენს თავს[2]: *სირღინი > ისირღინ-ან-ს, ცირქინი > იცქირქინ-ან-ს, კვიზინი > იკვიზინ-ან-ს.*

-უნ თემის ნიშანი საკმაოდ პროდუქტიულია მეგრულში: *-უნ < -უმ* (დანელია 2006: 147); იგი შეიძლება *-გნ* ფონეტიკური ვარიაციითაც დადასტურდეს, განსაკუთრებით დასავლურ არეალში. *-უნ/-გნ* სუფიქსი მოუდის როგორც პირველად, ასევე ნასახელარ გარდამავალ

[1] პირველი პირის ზმნური ფორმები შეიძლება გამარტივდეს -ან თემის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილისა და -ქ სუფიქსის დაკარგვის შედეგად: *ვრაქვალ-ან-ქ* > ვრაქვალ-ა „ხმამაღლა განუწყვეტლივ ვჩხუბობ“;

[2] *-ინ* სუფიქსი აწმყოს ფუძის მაწარმოებლად არ მიიჩნევა, რადგან „ამგვარი ფორმები აწმყოს საწარმოებლად ახალ თემის ნიშანს დაირთავენ“ (კარტოზია და სხვ. 2010: 258);

ზმნებს (ნათაძე 1959: 130-131; მარგველაშვილი 1988: 189) და საშუალი გვარის ზმნებს. იგი მეგრულში ქართული *-ავ* სუფიქსის შესატყვისად დასტურდება, თუმცა საშუალი გვარის ზმნებთან *-უნ/-გნ* თემის ნიშნის ხმარების არე ქართულ *-ავ* თემის ნიშანთან შედარებით გაფართოებულია. ეს ნიშანი მოუდის მთელ რიგ ისეთ ზმნებსაც, რომლებიც ქართულში *-ებ* და *-ობ* თემატურ სუფიქსებს იყენებენ. კერძოდ, იგი გამოყენებულია იმ საშუალი გვარის ზმნებთან, რომელთაც ამოსავლად პირველადი მასდარი[1] აქვთ: *ხურხინი* „ხიხინი“ > *ხურხინ-გნ-ს* „ხიხინებს“; *ბურდღინი* „ბურდღუნი“ > *ბურდღინ-უნ-ს* > „ბურდღუნებს“; *წურწინი* „წრიპინი“ > *წურწინ-გნ-ს* „წრიპინებს“; *კიჟინი* „კიჟინი“ > *კიჟინ-უნ-ს* „კიჟინებს“; *ფურცქინი* „ჩურჩული“ > *ფურცქინ-უნ-ს* „ჩურჩულებს“ (კარტოზია და სხვ. 2010 : 255).

-უნ სუფიქსით გაფორმებული სხვადასხვა ჯგუფის ფონოსემანტიკური ლექსიკა ფართოდ არის გავრცელებული მეგრულში: *ბურხინი „ბუხუნი“ > ბურხინ-უნ-ს „ბუხუნებს“; დირდინი „ბუბუნა ხმით გაუთავებლად ლაპარაკი“ > დირდინ-უნ-ს „ბუბუნა ხმით გაუთავებლად ლაპარაკობს“; დუდინი „ბუბუნი“ > დუდინ-უნ-ს* „ბუბუნებს“; *პუტინი „გაურკვევლად ლაპარაკი" > პუტინ-უნ-ს* „გაურკვევლად ლაპარაკობს“; *პურჭინი* „უსაგნოდ ლაპარაკი" > *პურჭინ-უნ-ს* „უსაგნოდ ლაპარაკობს“; *ტუტინი > ტუტინ-უნ-ს* „მონოტონურად ხმადაბლა ლაპარაკი“; *ყირყინი „ყროყინი“ > ყირყინ-უნ-ს* „ყროყინებს“; *ყურჭინი* „უსიამოვნო ხმაური (მუცლის)“ > *ყურჭინ-უნ-ს* „უსიამოვნოდ ხმაურობს (მუცელი)“; *ძგიძგონი* „ძიძგნა“ > *ძგიძგონ-უნ-ს* „ძიძგნის“; *ცქიცქონი* „ციცქნა“ > *ცქიცქონ-უნ-ს* „ციცქნის“; *წკიწკონი* „წიწკნა“ > *წკიწკონ-უნ-ს* „წიწკნის“.

აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ლაზური *-უნ //-ნ, -უმ, -უფ* სუფიქსიანი ზმნები, მათ შორის ფონოსემანტიკური ჯგუფისაც, ქართული *-ავ* თემისნიშნიან წარმოებასაც შეიძლება ეხამებოდეს/ეფარდებოდეს; კერძოდ, „ჭან. *სტვინ-უფ-ს //სტვინ-უმ-ს,* მეგრ. *რშვინ-უნ-ს - სტვინ-ავ* -ს (შდრ. „*ვსტვინევდ*“) (ნათაძე 1959: 133).

-უ თემის ნიშანი იშვიათია მეგრულში. იგი დასტურდება *სიარულის* აღმნიშვნელი ზმნების ერთ ჯგუფთან, რომელთა ძირი გართულებულია *-ალ, -ელ, -ოლ, -ონ* სუფიქსებით. ხმოვნითი ნაწილაკის დართვისას აღდგება პირის ნიშანი *-ნ*[2] . *-უ* თემის ნიშანი *-ავ*-ისაგან მომდინარედ მიიჩნევა. მას განვითარების ასეთი გზა უნდა გაევლო: *-ავ > -ოვ > -ოუ > -უ*. ის ფუნქციური ეკვივალენტია რამდენიმე ქართული თემის ნიშნისა, მათ შორისაა *-ებ* და *-ობ* სუფიქსები (დაწვრ. იხ. მარგველაშვილი 1988 : 197).

ზმნური ფორმა აწმყოში *სიარულის* აღმნიშვნელ ზმნებთან შესაძლებელია იყოს უზმნისწინო და ზმნისწინიანიც:

> *გახვალი* „მსუქანი ადამიანის სიარული, იტყვიან ბავშვზეც“ > *ი-გახვალუ-(ნ) // მი-გახვალუ(ნ)* „მსუქანი ადამიანი მიდის“; *დირგონი* „ხმაურით სირბილი“ > *ი-დირგონუ-(ნ) // მი-დირგონუ(ნ)* „ხმაურით მირბის“; *კვაკვალი* „კოხტა ადამიანის სიარული, იტყვიან ბავშვზეც“ > *ი-კვაკვალუ-(ნ) // მი-კვაკვალუ(ნ)* „კოხტა ადამიანი მიდის"; *რანტალი* „უმიზნოდ, უთავბოლოდ სიარული“ > *ი-რანტალუ-(ნ) // მი-რანტალუ(ნ)* „უმიზნოდ, უთავბოლოდ

[1] მასდართა პარალელურ ფორმებს და მათ მორფოლოგიურ აგებულებას გავიხილავთ ცალკე.

[2] ამ ტიპის ზმნებში რომ *-უ* არის თემის ნიშანი და არა *-უნ*, ამას ადასტურებს I და II პირის ზმნური ფორმები: *მი-ვ-ჩაკალ-უ-ქ* „მივბარბაცებ“, *მი-ჩაკალ-უ-ქ* „მიბარბაცებ“. *-უ* სუფიქსი ისტორიული ხოლმეობითის ნიშნადაც განიხილება მეგრულში *ი--უ* მოდელით ნაწარმოებ ზმნებში. ამ საკითხზე მსჯელობა მოცემულია მონოგრაფიის 309-310 გვერდებზე.

მიდის"; *რაჟალი* „უმიზნოდ, უთავბოლოდ სიარული" > *ი-რაჟალუ-(ნ)* || *მი-რაჟალუ(ნ)* „უმიზნოდ, უთავბოლოდ მიდის"; *რსიალი* „ტრიალი" > *ი-რსიალუ-(ნ)* „ტრიალებს" || *გილე-რსიალუ(ნ)* „და-ტრიალებს"; *რსიოლი* „წრეზე სრიალი" > *ი-რსიოლუ-(ნ)* „წრეზე სრიალებს"|| *გილე-რსიოლუ(ნ)* „წრეზე დასრიალებს"; *სარსალი* „სრიალი" > ი-სარსალუ *(ნ)* „სრიალებს" || *მი-სარსალუ(ნ)* „მისრიალებს"; *სერგელი* „თრევა" > *ი-სერგელუ-(ნ)* „ეთრევა" || *მი-სერგელუ(ნ)* „მიეთრევა"; *ტირკონი* „ხმაურით სირბილი" > *ი-ტირკონუ-(ნ)* || *მი-ტირკონუ(ნ)* „ხმაურით მირბის"; *ფარფალი* „ფარფატი" > *ი-ფარფალუ-(ნ)* „ფარფატებს" > *მი-ფარფალუ(ნ)* „მიფარფატებს"; *ფაჟვალი* „დიდი წონის ადამიანის სიარული" > *ი-ფაჟვალუ (ნ)* || *მი-ფაჟვალუ(ნ)* „დიდი წონის ადამიანი მიდის"; *ჩაკალი* „ბარბაცი" > *ი-ჩაკალუ-(ნ)* "ბარბაცებს" || *მი-ჩაკალუ(ნ)* „მიბარბაცებს"; *ჩარქალი* „ბარბაცი" > *ი-ჩარქალუ-(ნ)* "ბარბაცებს" || *მი-ჩარქალუ(ნ)* „მიბარბაცებს"; *ძვაძვალი* „ძუნძული" > *ი-ძვაძვალუ-(ნ)* „ძუნძულებს" || *მი-ძვაძვალუ(ნ)* „მიძუნძულებს"; *ცქვაცქვალი* „ცუნცული" > *ი-ცქვაცქვალუ-ნ* „ცუნცულებს" || *მი-ცქვაცქვალუ(ნ)* „მიცუნცულებს"; *ხერკელი* „გორაობა" > *ი-ხერკელუ-(ნ)* "გორაობს" || *მი-ხერკელუ(ნ)* (*მიგორაობს";

ლ ა ზ უ რ შ ი ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეებთან აწმყოში დასტურდება *-ამ, -აფ, -უფ, უმ* თემატური სუფიქსები. მეგრული *-ან,* ჭანური *-ამ* || *-აფ* სუფიქსების ნათესაობა ქართულის თემის ნიშნებთან აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ნათაძე 1959: 135); კერძოდ, „-ამ || -აფ ქართულ *-ებ* სუფიქსს შეესატყვისება" (ჩიქობავა 1936: 132); ამავე წესით, *-ან* სუფიქსი სახეცვლილი *-ამ* იქნებოდა, ქართულიდან ნასესხები, ანდა: *-ებ* სუფიქსის ბადალი (ჩიქობავა 1936: 133).

-ამ /-აფ: ამაპაცუ „მიტყლეპება (ტალახის)" > *ამოპაც-აფ-ს:* „ატყლეპებს (ტალახს)" (თანდ. 21);
ბანგალი „ბარბაცი" > *ბანგალ-აფ-ს* „ ბარბაცებს" (თანდ. 50);
ბადგალი „ფრთხიალი" > *ბადგალ-აფ-ს* „ ფრთხიალებს" (თანდ. 16);
ბანდალი „ბარბაცი, ბანცალი" > *ბანდალ-აფ-ს* „ ბარბაცებს",(თანდ. 50);
ბარბალაფა „ბორძიკით სიარული ბავშვისა"; *ბარბალ-აფ-ს* ბორძიკით დადის (თანდ. 51);
ბარბალი „უშნო ლაპარაკი" > *ბარბალ-აფ-ს* „უშნოდ ლაპარაკობს" (თანდ. 51);
გეჩხიალუ „ჩაჩხრიალება" > *გეჩხიალ-აფ-ს* „ჩამოჩხრიალებს" (თანდ. 114);
გურგული „ქუხილი" > *გურგულ-ამ-ს* „ქუხს" (თანდ. 185)
დარდალი „ უაზრო, უმიზნო ლაპარაკი" > *დარდალ-აფ-ს* „უაზროდ ლაპარაკობს" (თანდ. 189);
ობეჯღელუ „ხმამაღლა ტირილი/ყვირილი" > *ბეჯღ-აფ-ს*[1] „ ხმამაღლა ტირის/ყვირის"(თანდ. 60);
კრუხინი „კრიახი" > *კროხ-ამ-ს* (ჩიქ.II, 2,11) „კრიახობს" (კრუხის ხმიანობა) (თანდ. 384);
ოკარკალუ „კაკანი" > *კარკალ-ამ-ს* „კაკანებს" (თანდ. 606), შდრ. მეგრ. *კარკალ-ან-ს*;
ოპეტელუ „კიკინი" (თხის) > *პეტელ-აფ-ს* „კიკინებს" (თანდ.648);
ოტატყალუ „თუხთუხი (ხარშვის დროს)" > *ტატყალ-აფ-ს* „თუხთუხებს" (კარტ.15_{1-2}) (თანდ. 658);
ოღუღულუ „ ღუღუნი" > *ღუღულ-აფ-ს* „ღუღუნებს" (თანდ.673);

ლაზურში -ამ/-აფ თემისნიშნიანი ზმნური ფუძეები შეიძლება პარალელურადაც დადასტურდეს: *ნოგურგულე* „ ქუხს" (თანდ. 576) > *ღურღულ-აფ-ს* || *გურგულ-ამ-ს* „ქუხს" (თანდ. 814);

[1]აფ თემის ნიშნიან ზმნურ ფუძეებთან ზოგჯერ პარალელური -უფ თემისნიშნიანი წარმოებაც დასტურდება: *ბეჯღ-უფ-ს* „ხმამაღლა ტირის/ყვირის"(თანდ. 60).

ლაზურში *-ამ* თემის ნიშანი იჩენს გამარტივების ტენდენციას ზმნის III პირის ფორმაში; ლაზურის ათინურ კილოში „ს > ჲ გარდაქმნა ხდება აწმყოს ფორმებში. კერძოდ, თემატური ნიშნის *-ამ, -ემ, -უმ, -ომ* მომდევნოდ წარმოიქმნება *-მს* თანხმოვანთმიმდევრობა, რაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას *-ს* მორფემის ფუნქციონირებისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, ხდება ამ კომპლექსის დაშლა, ანუ იკარგება /მ/ თანხმოვანი და თემატური ნიშნის ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება პირის ნიშანი, რომლის იოტიზაცია ხდება“ (ქირია და სხვ. 2015: 266): *ხირხინ-ამ-ს > ხირხინ-აჲ „ჭიხვინებს“ ; მღორ-ამ-ს > მღორ-აჲ „ბღავის“; პეტელ-ამ-ს > პეტელ-აჲ „კიკინებს“; კრი-ამ-ს > კრი-აჲ „კნავის“* (ჩიქ. II, 26- 29) (ქირია და სხვ. 2015: 266).

-უფ თემის ნიშანი დასტურდება სხვადასხვა სემანტიკის ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეებთან აწმყოში: *ოტანკუ* „კაკუნი“ > *ტანკ-უფ-ს* „ აკაკუნებს“ (თანდ. 658); *ობუნდღოლუ* „ბდღვნა, გაპუტვა (ფრინველის)“, > *ბუნდღოლ-უფ-ს* „პუტავს“ (თანდ. 692), *ოდაგუ* > *დაგ-უფ-ს „შეშას ჭრის დიდ ნაწილებად“, ოწუწონუ* "წრუპვა" > *წუწონ-უფ-ს „წრუპავს“ ოკიკონუ "კიკნა" > კიკონ-უფ-ს „კიკნის“, ოციცქოლუ „ციცქნა" > ციცქოლ-უფ-ს* „ციცქნის“, *ოციცონუ „ციცქნა" > ციცონ-უფ-ს* „ციცქნის“, *ოხლიპუ „ხვრეპა > ხლიპ-უფ-ს* „ხვრეპს“, *ოყლიპუ* „ყურყუმალაობა“ > *ყლიპ-უფ-ს* „ყურყუმალაობს“[1].

თემის ნიშანი -უმ: *ოკლჲხუ -კრუხინი > კლიახ-უმ-ს* „კროხინებს“ (ჩიქობავა 1936: 5) (თანდ. 610); *ოტკაპუ - ტყეპა, რტყმა > დოტკაპ-უმ-ს* „დატყეპავს“ (ჩიქობავა 1936: 62) (თანდ. 659).

ქართულ-ზანურ[2] თემატურ სუფიქსთა ურთიერთშეფარდების შედეგად ისმის კითხვა: „მორფოლოგიურ ეკვივალენტებთან გვაქვს საქმე თუ მატერიალურ იგივეობასთან?“ (ნათაძე 1959: 141). „-უმ ||-უფ||-უნ თემის ნიშანთა ერთობა ეჭვს არ იწვევს, რაც დასტურდება მათი მონაცვლეობით მეგრულსა და ჭანურს შორის და აგრეთვე ჭანურის კილოებს შორის“ (ნათაძე 1959: 141). მეგრულსა და ლაზურში დადასტურებული თემატური სუფიქსები ქართულის სათანადო სუფიქსების ტრანსფორმაციით ჩანს მიღებული. ეს თემატური სუფიქსები მასალობრივადაც დიდად არ არიან განსხვავებული.[3]

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა აწმყო სვანურში

თანამედროვე სვანურში აწმყოს მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებად გამოყოფილია *-ე, -ი, -ა* და *-Ø* სუფიქსები, რომელთა წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ ქართველ ენათმეცნიერთა მიერ (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ალ. ონიანი, გ. მაჭავარიანი, ნ. ნათაძე, მ. სუხიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნოზაძე, რ, ჭკადუა...) არაერთი საყურადღებო თვალსაზრისია გამოთქმული.

აღნიშნული სუფიქსების გამოყოფა დაკავშირებულია ვ. თოფურიას სახელთან, რომელმაც მათ *,,თემისეული ბოლოსართები”* უწოდა (თოფურია 1967:71). მან აწმყოს

[1] ლაზეთის ლინგვისტური ექსპედიციის მასალები, თურქეთი, 2014

[2] ნ. ნათაძის მიერ გამოყენებული ტერმინია სპეციალურად ქართველურ ენებში თემის ნიშნების ეტიმოლოგიურ-სტრუქტურული ანალიზისათვის მიძღვნილ სტატიაში; იგულისხმება ქართულთან მეგრულისა და ლაზურის მონაცემების მიმართება (იხ. ნათაძე 1959 : 129-149).

[3] ქართველურ ენებში თემატურ სუფიქსთა მასალობრივ იგივეობაზე მსჯელობა ვრცლად იხ. ჩიქობავა 1936; ნათაძე 1959; მარგველაშვილი 1988; კარტოზია და სხვ. 2010; ქირია და სხვ. 2015.

მწკრივის ძირითად ნიშნად მიიჩნია -ი, ხოლო -ე < ა + ი სუფიქსის კონტრაქციით მიღებულად (მაგ. აკრ-ე < აკრა + -ი „აღებს"; გგემ < *გგამ + -ი „დგამს" - თოფურია 2002: 181).

ვ. თოფურიას ეს მოსაზრება გაიზიარა შემდგომ არნ. ჩიქობავამ თავის ნაშრომში _ „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში" და იქვე დასძინა, რომ „... -ე და -ი სუფიქსები სხვადასხვა წარმომავლობისაც რომ აღმოჩნდეს, -ი სუფიქსის ხვედრი წონა სვანური ზმნის აწმყოს წარმოებისას გაცილებით დიდია ქართული ანალოგიური სუფიქსის ხვედრ წონასთან *(მკ-ი-ს, ჴსნ-ი-ს...)* შედარებით. სწორედ ამ *-ი* სუფიქსიან ზმნებში უნდა იყოს დაცული, მისი აზრით, სვანური ხოლმეობითი ისევე, როგორც ქართულ *მკ-ი-ს*-ში გვაქვს გააწმყოებული ხოლმეობითი" (ჩიქობავა 1948: 102-103).

მოგვიანებით მოქმედებითი გვარის ზმნათა მოდელებში *(ა- _ -ი/ე)* არსებული სუფიქსების შესახებ მსჯელობა წარმოადგინა გ. მაჭავარიანმა და, ვ. თოფურიას მსგავსად, მანაც ეს სუფიქსები თემის ნიშნებად მიიჩნია. იგი აწმყოს ფუძის მაწარმოებელ -ე სუფიქსს ქართულის -ებ თემის ნიშანს უკავშირებს, ხოლო -ი-ს ქართულის -ი-ს (მაჭავარიანი 1988:103).

აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებს ქართველურ ენებში *თემატურ სუფიქსებად მიიჩნევდა ნ. ნათაძეც (1959: 139-140), თუმცა აწმყოს ფუძის მაწარმოებლად გამოყოფილი: -ემ, -ალ, -ელ, -ერ, -ეშგ, -ესგ, -ისგ* (ბზ. *-ესგი*) ელემენტები, და, ასევე, *-ინ, -ენ* და *-უნ* სუფიქსები, მისი აზრით, თემის ნიშნები არ არის სვანურში.

პრეფიქსებთან ერთად სახელის „გასაზმნავებელ" საშუალებად თვლის -ი, -ე სუფიქსებს ზ. ჭუმბურიძეც (ჭუმბურიძე 1981: 154), ხოლო ზმნური სიტყვაწარმოების ერთ-ერთ გზად ოდენ სუფიქსურ წარმოებას მიიჩნევს ბ. ჯორბენაძე და თემის ნიშანთა განაწილებას გარკვეულ კანონზომიერებას უძებნის, რაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს წმინდა ფორმობრივი, სხვა შემთხვევაში კი - სემანტიკურიც. იქ, სადაც ეს კანონზომიერება არ ჩანს, ვარაუდობს მის ადრინდელ არსებობას (ჯორბენაძე 1988: 175-186).

ალ. ონიანი -ე და -ი სუფიქსებს აწმყოს მწკრივის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებს უწოდებს და საჭიროდ მიიჩნევს, მათთვის ცალ-ცალკე სახელწოდებათა შემუშავებას, კერძოდ, *-ე ალომორფიანი, -ი ალომორფიანი, -ა ალომორფიანი* და *ნულოვანალომორფიანი* ზმნები (ონიანი 1998: 153; 157); ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად კი მიაჩნია ამ ალომორფთა განაწილების წესების დადგენა (იქვე: 155), თუმცა ფონოსემანტიკურ მასალაზე, ჩვენი დაკვირვებით, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ალომორფთა განაწილების წესები, მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ნაკლებად ვრცელდება.

ცხადია, აწმყოს ფუძის საწარმოებლად *ოდენ სუფიქსური წარმოების* გარდა სვანურში *პრეფიქს-სუფიქსური წარმოებაც* დასტურდება, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული, მაშინ, როცა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, *პრეფიქსაცია ქართული ენის მორფოლოგიის ერთ-ერთი უძველესი დამახასიათებელი პრინციპია* (არნ. ჩიქობავა). ამ მხრივ გამონაკლისს არ უნდა ქმნიდეს სვანური და განსაკუთრებით ისეთი სიძველის ზმნები, როგორიცაა ე. წ. მედიოაქტივები, უძველეს ქართულში პრეფიქსული წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ტიპის ზმნებისთვისაც (ნოზაძე 2008:85). იქ, სადაც არ გვაქვს პრეფიქსი, მეორეულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. პრეფიქსულ ხმოვანთა განსაკუთრებული სიხშირე კი, ლ. ნოზაძის აზრით, იმაზე უნდა

მიუთითებდეს, რომ „ქართულ-კოლხურისაგან განსხვავებით ისტორიულად სვანურში არ ჩამოყალიბებულა თემატურ სუფიქსთა ერთიანი სისტემა” (იქვე: 117).

ჩვენ ლ. ნოზაძის ამ თვალსაზრისს ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ სვანურში ზემოთ აღნიშნულ სუფიქსთა თემატურ ნიშნებად მიჩნევა საკამათოა. ისინი დღევანდელი ვითარების მიხედვით აწმყოს ფუძის მაწარმოებელი ელემენტებია და არა თემატური ნიშნები[1]. ვფიქრობთ, სვანურმა სწორედ თავდაპირველი ვითარება შეინარჩუნა (ანუ ვერ მოასწრო *თემატურ სუფიქსთა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება*). არც ის არის გამორიცხული, რომ სვანურმა დროთა განმავლობაში შეძლოს თემის ნიშნების დართვა ნასესხები, ე. წ. ფონოსემანტიკური მასალის ზეგავლენით (შდრ., მაგ.: *ყიყნ-ე* (ქს.), *ყიყინ-ე* (ლნტ.) < ქართ. „ყიყინებს”, *ფათურ-ე* (ქს.) < ქართ. „ფათურობს (*ფათურებს)”, *კიკნ-ე* (ქს.), *კიკინ-ე* (ლნტ.) < ქართ. „კიკინებს”, *ჭიხჳინ-ე* (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. „ჭიხვინებს”, *კრიახ-ე* (ქს.) < ქართ. „კრიახებს/კრიახობს”, *ყროყინ-ე* (ქს.) < ქართ. „ყროყინებს/ყროყინობს”, *შფოთ-ე* (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. „შფოთავს (*შფოთებს)” და მრავ. სხვ.). ეს ტენდენცია დამახასიათებელია, ძირითადად, ქვემო სვანური დიალექტებისათვის და ამ მოვლენას ვერ ვუწოდებთ არქაულ მოვლენას. აქ წარმოდგენილი მასალის ერთ ნაწილში -ე ხმოვნის ქართული -ებ სუფიქსისაგან მომდინარეობა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა საკუთრივ სვანურ მასალაში, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ჭირს აწმყოსეული ბოლოსართების თემატურ ნიშნებად მიჩნევა.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ აწმყოს ფუძის (კერძოდ, *ოდენხმოვანსუფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი ზმნების) წარმოება სხვადასხვა ფონოსემანტიკური (ხმიანობის, ხმაურის, სვლა/სიარულის, სმის, ჭამის, ცემის, ყურების, ბუნების მოვლენების...)* ჯგუფების მიხედვით და გზადაგზა წარმოვადგინოთ ჩვენეული ინტერპრეტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ოდენხმოვანსუფიქსიანი ზმნები აწმყოში, ფორმის თვალსაზრისით, რამდენიმე სტრუქტურულ მოდელს ქმნიან სვანურში:

1. ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ე სუფიქსი

ბეკრ-ე (ზს., ლნტ.) „ბლუკუნებს”, *ყოჰ-ე* (ბქ.) „კრიახობს”, *ჟჳნტ-ე* (ბზ.), *ჟჳნტ-ე* (ბქ.) „ტირის განუწყვეტლივ”, *ტრელ-ე* (ბქ.) „მხიარულობს”, *ჰჳბ-ე* (ბზ.), *ჰებ-ე* (ბქ.) „ქშენს, სულს ღაფავს”, *შუნჳფ-ე* (ჩოლ.) „ქშენს”, *განტყრრ-ე* (ბზ.), *განტყორ-ე* (ლნტ.) „ბურტყუნებს, ბუზღუნებს”, *ყუედლ-ე* (ბქ.) „ბურტყუნით იმეორებს”, *ჯჳნჩ-ე* (ბქ.) „უთვბოლოდ, უაზროდ მიზეზობს”, ჭყიპინ-ე (ლშხ., ჩოლ.) „ჭყიპინებს”, *ჭახუ-ე* (ზს., ქს.) „ტაშს უკრავს”, *ჭჳნჭყ-ე* (ბზ.), *ჭჳნჭყ-ე* (ლნტ.) „ჭყიპინებს (ბავშვი)”, *ჩქჳრ-ე* (ბქ.) „დაღლილობისგან ოხშივარი ასდის, ცხიმს აფრქვევს”, *ყროჭინ-ე* (ქს.) „მხიარულობს”, *ყარყაშ-ე* (ქს.) „ტლიკინებს”, *ყიყნ-ე* (ქს.) „ყიყინებს”, *ყარყშ-ე* (ბზ.) „ჩხუბობს, იღრინება”, *კასბ-ე* (ბქ.) „ტლიკინებს”, *ღჳჯ-ე* (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ტლიკინებს”, *ღიჯნ-ე* (ლშხ., ჩოლ.) „ჯიჯღინებს”, *ქეშლ-ე* (ჩოლ.) „ქოშინებს”, *ბურდღუნ-ე* (ლშხ., ჩოლ.) „ბურდღუნებს”, *ფათურ-ე* (ლშხ., ჩოლ.) „ფათურობს”, *პჳჭუ-ე* (ბზ.), *პაჭუ-ე* (ლნტ.) „ლაქლაქებს”, *კარკჳც-ე* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კარკც-ე* (ბქ.), *კარკჳც-ე* (ლნტ.) „კაკანებს”, *კაჩხუ-ე* (ლშხ., ლნტ.) „კოჭლობს”, *კუეთხ-ე*

[1]აღნიშნულ ფუძეთა დიაქრონიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია გადაჭრით იმისი თქმა, რომ ეს სუფიქსები თემატური ნიშნებია.

(ბზ.), *კუ̄ეთხ-ე* „წვეთავს; ყრის", *ჰე̄ნდრ-ე* (ბზ.), *ჰა̈ნდუ̄რ-ე* (ბქ.) „წვეთავს", *წ̌ვფხა̄რ-ე* (ბზ.), *წიფხარ-ე* (ბქ.), *წ̌ვფხ-ე* (ლნტ.) „ჟინჟღლავს", *ზგრზნ-ე* (ლშხ., ჩოლ.) „ბუზღუნებს", *დუდღუნ-ე* (ლშხ., ჩოლ.) „დუდუღუნებს", *ხგ̄რს-ე* (ბზ.), *ხგრს-ე* „ქშენს, ქსუტუნებს (გაციებისგან)", *წ̌ე̄ქუ̄-ე* (ბზ.), *წ̌ექუ̄-ე* (ბქ., ლნტ.) „წვეთავს", *ხოშენთქ-ე* (ბქ., ლნტ.) „სცემს რაიმე ნივთით გამეტებით", ხოჯენჭკ-ე (ბქ.) „სცემს მუშტებით გამეტებით", *ხოტკენჩ-ე* (ბქ.) „მაგრად სცემს, ხმის გამოცემით", *დანდღრ̄რ-ე* (ბზ.), *დანდღორ-ე* (ქს.) „დუდღუნებს", *დუნდღუ̄-ე* (ბქ.) „დუდღუნებს", *ზეპრ-ე* (ბქ.) „ჯუჯღუნებს, ბუზღუნებს", *ქანქრუშ-ე* (ჩოლ.) „კუნტრუშებს", *ზანკუ̄-ე* (ბქ.) „კუნტრუშებს", *კაკან-ე* (ლშხ., ჩოლ.) „კაკანებს", *კან/მკ-ე* (ბქ.) „ცქმუტავს, დახტის", *კგრ-ე* (ბზ.) „ბრწყინავს, კრიალებს", *ფხაკუნ-ე* (ქს.) „ფხაკუნობს", *ფათურ-ე* (ქს.) „ფათურობს", *ყროჭინ-ე* (ლშხ., ჩოლ.) „მხიარულობს", *ყუ̄ედლ-ე* (ბქ.) „ბურტყუნებს[1], *შუშპრ-ე* (ბქ.) „ცეკვავს", *თართხუ̄ლ-ე* (ზს.) „თოვს დიდი და წვიმანარევი ფანტელებით"...

2. *ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ი სუფიქსი*

ტუ̄ლ-ი (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტულ-ი* (ბქ., ლნტ.) „იძახის", *ფგრჩლაუ̄-ი* (ბზ., ლნტ.), *ფორჩლა̈უ̄-ი* (ბქ., ლშხ.) „ჩურჩულებს", *ფურსტუ̄ნ-ი* (ბქ., ლნტ.) „ჩუჩრჩულებს", *ღგ̄ლ-ი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ღგლ-ი* (ბქ., ლნტ.) „იღრინება", *კი̄ლ-ი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კილ-ი* (ბქ., ლნტ.) „კივის", *ფხგრკნ-ი* (ზს.) „ფხაკურობს", *ჭგრქნ-ი* (ზს.) „ჭიხვინებს", *პყე̄ლ-ი* (ბზ.) „კიკინებს", *ჟღგ̄ლ-ი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჟღგლ-ი* (ბქ., ლნტ.) „ბღავის, ჟღავის", *მგრტყნ-ი* (ბქ.) „ხმაურით ჭამს", *პაუ̄პა̈უ̄-ი* (ლშხ., ჩოლ.), *პაუ̄პაუ̄-ი* (ლნტ.) „ბევრს ლაპარაკობს", *პგრტლა̈უ̄-ი* (ლნტ.), *პგრტლაუ̄-ი* (ლშხ., ჩოლ.) „პრუტუნებს, წიკვინებს", *პგრჭლა̈უ̄-ი* (ბზ.) „შეუსვენებლივ ლაპარაკობს, წიკვინებს", *ჯგრჩნ-ი* (ლნტ.) „ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობს", *პგრჭნ-ი* (ზს.) „შეუსვენებლივ ლაპარაკობს, წიკვინებს", *ლიუ̄ლიუ̄-ი* (ლშხ., ჩოლ.), *ლაუ̄ლაუ̄-ი* (ლშხ., ჩოლ.) "ბევრს ლაპარაკობს", *შოქშოქ-ი* (ლხმ.) "ბევრს ლაპარაკობს", *თგრტნ-ი* (ზს.) "ფრუტუნებს", *ზგრზნ-ი* (ბქ., ლნტ.) „ბუზღუნებს; ზუზუნებს", *კგრკნ-ი* (ზს., ქს.) „კისკისებს", *ზგ̄ლ-ი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ზგლ-ი* (ბქ., ლნტ.) „ზმუის, ნერვებისმომშლელად, შეუჩერებლივ ტირის", *ზუ̄ლ-ი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ზულ-ი* (ბქ., ლნტ.) „ზმუის", *დურდღუ̄ნ-ი* (ზს.) „დუდღუნებს", *განტყუ̄ლ-ი* (ქს.) „ბურტყუნებს", *გგრყლა̈უ̄-ი* (ბზ.) „როყიოდ ლაპარაკობს", *ხგრტნ-ი* (ზს., ქს.) „ხროტინებს", *გგრტყლაუ̄-ი* (ლშხ.) „ბურტყუნებს", *განტყორ-ი* (ლნტ.) „ბურტყუნებს, ბუზღუნებს", *სგ̄ლი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *სგლი* (ბქ., ლნტ.) „სისინებს, სივის", *ხგრგნ-ი* (ბქ.) „ხრიგინებს", *შგ̄ლ-ი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შგლ-ი* (ბქ., ლნტ.) „შიშინებს", *გურზუ̄ნ-ი* (ბქ.) „უკმაყოფილოდ ბუზღუნებს", *ბგ̄რგნ-ი* (ბზ.), *ბგრგნ-ი* (ბქ.) „ბრაგუნობს", *გურტყუ̄ნ-ი* (ზს.) „ბურტყუნებს", *გგრზეკ-ი* (ბქ.) „ბუზღუნებს, ჩხუბობს", *გუ̄რჰუ̄ნ-ი* (ბზ.), *გგრჰნ-ი* (ბქ.) „ხარხარებს", *თგრთნ-ი* (ბქ.) „თლიფინებს, ჩლიფინებს", *თგრყნ-ი* (ბქ.) „ხითხითებს", *სტუ̄რ-ი* (ბზ.) „სტვენს", *ჟღგ̄ლ-ი* (ბზ.), *ჟღგლ-ი* (ბქ.) „ჟღავის", *სტულ-ი* (ბქ.) „სტვენს", *სგრტნ-ი* (ზს.) „ყვირის, გაჰკივის", *სტგ̄ლ-ი* (ბზ.), *სტგლ-ი* (ბქ.) „ყვირის", *ფშუ̄ლ-ი* (ბზ.) „ფშუის", *ტყგრსგნ-ი* (ზს.) „ტკაცუნობს", *შანგუ̄ლ-ი* (ლნტ.) „დუდღუნებს, გაუგებრად საუბრობს", *უ̄ე̄ლ-ი* (ბზ.) „ბღავის", *დარდა̄ლ-ი* (ჩოლ.) „ბღავის", *ფგრჩხნ-ი* (ბქ.) „შრაშუნებს", *გგრენთ-ი* (ბქ.) „უაზროდ დახეტიალობს", *ტორტყაუ̄-ი* (ჩოლ.) „დადის ბავშვი ტალახში", *სხგრპლა̈უ̄-ი* (ჩოლ.) „ბილწი ენით ლაპარაკობს", *ფგნჩლეუ̄-ი* (ბქ.) „წყნარად დადის", *ყგლყნ-ი* (ბქ.) „ყანყალებს", *ყგრთნ-ი* (ბქ.) „ხარხარებს, ტირის უშნოდ", *ჩხგრუ̄შტ-ი* (ბქ.) „ჭიკჭიკებს", *ჭგრჭნ-ი* (ზს.) „ჭიკჭიკებს", დარდა̄ლ-ი (ჩოლ.) „უთავბოლოდ ლაპარაკობს", *გგ̄ლ-ი* (ჩოლ., ლშხ.) „გუგუნებს", *ჟუ̄ლ-ი* (ჩოლ., ლშხ.) „ჟღარუნებს"...[2]

[1] შდრ. ლხმ. *ყედუ̄ლა* „გრძლად გალობა (ფრინველთა), სტვენა, გრძლად თქმა, გაბმით მღერა".

[2] სვანურში მედიოაქტივ ზმნათა ეს წყება აწმყოს ჯგუფში *ი-* პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი.

3. *ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ა სუფიქსი*

ხაჩ-ა (ზს., ქს.) „ეცინება"; *ხაშტრაუ̃-ა* (ბზ.), *ხა̃შტირ-ა* (ბქ.), *ხაშტერაუ̃-ა* (ლნტ.) „მიშტერებულია"; *ხაციცაუ̃-ა* (ჩოლ.) „მიშტერებულია"; *ხაბინჯღ-ა* (ჩოლ.) „პატარა ბიჭი ზის, დგას"; *ხაყუ̃ინყუ̃-ა* (ლშხ.) „ზის დიდი ადამიანი უსაქმურად"; *ხაბრ̃ნყუ̃-ა* (ლშხ.) „ზის დიდი ადამიანი უსაქმურად"; *ხაბრ̃ნჩხ-ა* (ჩოლ.) „დიდი აღნაგობის ქალი გაჩაჩხული ზის"; *ხაბრ̃ნგ-ა* (ჩოლ.) „უაზროდ დგას"; *ხაგღან-ა* (ბქ.) „მიკედლებულია ვიღაცაზე, არ შორდება; ჩაციებულია, არ ეშვება"; *ხაბრანჯღ-ა* (ლნტ.), *ხაბრა̃ნჯღ-ა* (ლშხ., ჩოლ.) „პატარა აღნაგობის კაცი ან ქალი დაგორებული წევს"; *ხათხარმ-ა* (ბქ.), *ხათხა̃რმ-ა* (ლშხ., ჩოლ.) „ალაგ-ალაგ დევს (მაგ. თოვლი...)"; *ხათქლიფ-ა* (ჩოლ.) „სისხლი ანთხევია"; *ხათხარკ-ა* (ბქ.) „ოდნავ ასხია, აკვრია"; *ხათხრ̃ნწ-ა* (ჩოლ.) „სქლად და უწესრიგოდ აცხია, უსვია"; *ხაკგრფხან-ა* (ბქ.) „მაგრად აქვს შემოკრული"; *ხამ̃ნთხ-ა* (ლშხ., ჩოლ.) „მიყრილ-მოყრილია (მაგ. თივა და მისთ.)"; *ხაპინჭყ-ა* (ქს.) „ფეხებგაფარჩხული დგას; აპარჭყია"; *ხატუ̃ს-ა* (ბზ.) „ოდნავ ბჟუტავს; აბადია"; *ხაფრ̃ნფ-ა* (ჩოლ.) „მაღალი, ულვაშა კაცი უშნოდ წამოგორებულია"; *ხა̃ლერშ-ა* (ბქ.) „გართხმულია, დაფენილია"; *ხაკუნკუ̃-ა* (ლნტ.) „ჩაცუცქულია; ჩაკუზულია"...

4. მეოთხე მოდელად გამოიყოფა *ნულსუფიქსიანი* წარმოება (*ი- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ფუძეს შეხორცებული -ა̃ლ/-ა̃ლ/-ა̃ლ/-ალ/-იე̃ლ/-იელ...* ელემენტები)

ი-ღრა̃ლ (ბზ.), *ი-ღრა̃ლ* (ლშხ.), *ი-ღრა/ა̃ლ* (ბქ.), *ი-ღარალ* (ლნტ.) „მღერის"; *ი-ბრიჯ̃ლ* (ლშხ.) „მღერის"; *ი-ლჭა̃ლ* (ბზ.), *ი-ლჭა/ა̃ლ* (ბქ.), *ი-რჭა̃ლ* (ლშხ., ჩოლ.), *ი-რეჭა̃ლ* (ლნტ.) „მოთქვამს, ტირის"; *ი-ცინგლაუ̃ალ* (ბქ.) „დადის, დაეხეტება ფეხის წვერებით", *ი-ბლრ̃უ̃ანა̃ლ* (ბზ.), *ი-ბლიუ̃ანალ* (ბქ.), *ი-ბლიუ̃იელ* (ლშხ.) „გაოცებული, დაბნეული იყურება"; *ი-ყუ̃ირანა/ა̃ლ* (ბქ.) „უაზროდ, უდარდელად იყურება"; *ი-ყა̃რჲე̃ლ* (ბზ.), *ი-ყარე/ალ* (ბქ.) „ჩხუბობს"; *ი-გუ̃ირანალ* (ბქ.) „უქუდოდ, უთავსაფროდ დადის"; *ი-თუ̃ე̃დიე̃ლ* (ბზ.), *ი-თოდა̃ლ* (ბქ.), *ი-თრ̃დიელ* (ლშხ.), *ი-თუ̃ედიელ* (ლნტ.) „აქეთ-იქით დადის, უქმად დაყიალობს"; *ი-ტყინგოლა̃ლ* (ლნტ.) „მსუქანი ქალი დიდის"; *ი-გუ̃ირანა̃ლ* (ლხმ.) „მელოტი კაცი დაიარება"; *ი-რიჭუ̃ანალ* (ბქ.) „ყურებდაცქვეტილი იყურება აქეთ-იქით"; ი-დრ̃ნდა̃ლ (ბზ.), *ი-დრ̃ნდალ* (ბქ.) „მსუქანი ქალი ნელა დადის"; *ი-ტყლიგა̃ლ/ი-ტყლიგანა̃ლ* (ბზ.), *ი-ტყიგანალ* (ბქ.) „ტიტველი დადის"; *ი-კანკუნალ* (ბქ.) „მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლით ძლივს დაიარება"; *ი-თგრანა̃ლ* (ბზ.), *ი-თგრანალ* (ბქ.) „დაეთრევა"; *ი-შგრ̃უ̃ანა̃ლ* (ბზ.) „იბღვირება"; *ი-შიუ̃ანალ* (ბქ.) „შავთვალწარბა იბღვირება"; *ი-სუ̃იტანალ* (ბქ.) „იბღვირება, იბუტება"; *ი-თიღუ̃ანალ* (ბქ.) „იბღვირება"; *ი-ლუ̃ნგრინა̃ლ* (ჩოლ.) „ფუქსავატობს"...[1]

[1] აწმყოში გამოყენებული *ი-* პრეფიქსიანი ყალიბის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს; იხ.: ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1981; კ. გაგუა, საშუალი გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში, იკე, XXVII, თბ., 1988; ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 2008; რ. ჭკადუა, *ი-* პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბ., 2015. მიჩნეულია, რომ *ი-* პრეფიქსი აწმყოს ფორმებში, ძველი ქართულის მსგავსად, დამახასიათებელია მედიოაქტიური ზმნებისათვის სვანურში (ნოზაძე 2008:94), თუმცა *იღრ̃ლ, ირეჭ̃ლ, იყ̃რჲე̃ლ* და ა. შ. ტიპის ზმნებში გვაქვს სუბიექტის მიზანმიუმართავი მოქმედება, რამაც გამოხატულება ჰპოვა ხმოვანპრეფიქსში (ჭკადუა 2015:261).

5. მეხუთე მოდელად შესაძლოა გამოიყოს *მარტივი ფუძე ყოველგვარი აფიქსური გაფორმების გარეშე*, რომელთა რაოდენობა სვანურში დიალექტ-კილოკავთა მიხედვით საგრძნობლად დიდია:

კუ̂ეც (ზს., ქს.) „კვნესის"; *ზეკ* (ბქ.) „იჭინთება"; *ზეკ* (ლნტ.) „იმადლება, წუწუნებს უშნო ხმით"; *კუ̂ეშ* (ბქ.) „ახველებს"; *კეჩ* (ჩოლ.) „ახველებს"; *შდეკუ̂* (ზს.), *შტეკუ̂* (ლნტ.) „სლოკინებს"; *თხლეპ* (ბზ.) „სლოკინებს ტირილის მერე"; *ხლეპ* (ჩოლ.) „სლოკინებს ტირილის მერე"; *ბრეხ* (ბქ.) „ხმამაღლა ახველებს"; *ყუ̂იყუ̂/მიყუ̂* (ბქ.) „ზის ასაკოვანი და დიდი აღნაგობის ადამიანი უსაქმურად"; *სუ̂იბ* (ბზ.) „ცეკვავს"; *სიპ* (ზს., ქს.) „ტრიალებს"; *ჰეუ̂* (ბქ.) „ყეფს"; *ბიყუ̂* (ზს., ლნტ.) „დგას უშნოდ, ჩანს"; *თიგ* (ზს.) „დგას, დარჭობილია ერთ ადგილას"; *ჩრით* (ბქ., ლნტ.) „უშნოდ ზის"; *შუ̂ეპ* (ზს.) „სტვენს"; *ჭექ* (ბქ., ლნტ.) „ხმამაღლა, უშნოდ გაჰკივის"; *კაჩ* (ზს., ქს.) „აღმართულია, დგას"; *ყუ̂იბ* (ბქ.) „დიდთავა კაცი დგას, ჩანს"; *პრიტ* (ბქ.) „უშნოყურება დგას"; *ფრიგ* (ზს.) „დგას ერთ ადგილას გაშეშებული"; *კედ* (ზს., ქს.) „წყვეტს, ჟლეტს"; *გლიგ* (ბქ.) „ბრიყვულად დგას"; *გლიდ* (ბქ.) „უშნოდ აღმართულია"; *კლიკ* (ბქ.) „გონებამახვილურად, ჭკვიანად დგას"; *ბრიგ* (ზს., ლნტ.) „მყარად, გაუნძრევლად დგას"; *ყუყ* (ზს.) „ზის, აგდია" და მრავ. სხვ., რომელთაც პარალელურად *პრეფიქს-სუფიქსური* და *ოდენ პრეფიქსური* აწმყოს ფორმებიც ეწარმოებათ (მაგ.: *კუ̂ეც _ ი-კუ̂ცალ* „კვნესის"; *ზეკ _ ი-ზეკალ* „იჭინთება"; *კუ̂ეშ _ ი-კუ̂შალ* „ახველებს" (შდრ., ასევე, *ხ-ა̈-კუ̂შუნ-ე* „ახველებს"); *შდეკუ̂ _ ი-შდკუ̂ალ* „სლოკინებს" (შდრ., ასევე, *ხ-ა̈-შდკუნ-ე* „ასლოკინებს"); *ჰეუ̂ _ ი-ჰეუ̂* „ყეფს"; *ყუ̂იბ _ ი-ყუ̂იბანალ* „დგას"; *გლიგ _ ა̈-გლიგან-ე* „ბრიყვულად დგას"; *პრიტ _ ი-პრიტანალ* „ყურებაბარტყუნით დგას; ცელქობს, უხეშობს" (შდრ., ასევე, *ა̈-პრიტან-ე* „ცელქობს, უხეშობს") და ა. შ.).

მარტივი, გაუფორმებელი, ე. წ. შიშველი ფუძეები *ერთჯერად (წყვეტილ) მოქმედებაზე* მიუთითებენ, *პრეფიქს-სუფიქსური და ოდენ პრეფიქსური აწმყოს ფორმები კი მრავალჯერად (/მრავალგზის, უწყვეტ) მოქმედებაზე.*

ხ-ა̈-კუ̂შუნ-ე (ეჯას „მას") _ *ი-კუ̂შალ (ეჯი* „ის"); *ხ-ა-ქშალუ̂ნ-ე (ეჯას* „მას") _ *ი-ქშელ (ეჯი* „ის")... ოპოზიციური წყვილების შესახებ მსჯელობა არის წარმოდგენილი რ. ჭკადუას ნაშრომში „*ი-* პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში" (2015:261). მისი აზრით, ქართულის *ა-* პრეფიქსიანი (ყალიბის მიხედვით მოქმედებითი გვარის), ერთვალენტიანი *(ა-ხველებს, ა-ბოყინებს)* ზმნების სვანური შესატყვისების ორგვარი წარმოება საინტერესო ფაქტს წარმოადგენს და დასძენს, რომ „სვანურის ფორმით კაუზატიურ *(ხ-ა-კუ̂შუნ-ე* (მას)) ტიპის ლექსემებში, სემანტიკური ირიბი ობიექტი, მდგომარეობის განმცდელ სუბიექტად არის გაგებული, ისევე როგორც ქართულში _ „ახველებს (მას)", ხოლო *ი-კუ̂შელ (ეჯა)* _ „იხველება (ის)" ტიპის ზმნები შედარებული აქვს ძვ. ქართულის *ი-კუ̂ელის, ი-კუ̂ელების* ტიპის ზმნებთან (იქვე:261).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. მაჭავარიანი აწმყოს ფუძის მაწარმოებელ *-ე* სუფიქსს ქართულ *-ებ-* სუფიქსს უკავშირებს, ხოლო *-ი-*ს ქართულის *-ი-* სუფიქსს (შდრ. ქართ. *მკ-ი-ს, ხსნ-ი-ს, ჭრ-ი-ს, ყრ-ი-ს* და ა. შ. _ მაჭავარიანი 1988: 103). *-ე* სუფიქსის ქართული *-ებ-* სუფიქსისაგან მომდინარეობა, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებული არ არის, რასაც შედარებით ახალი ნასესხები ფორმებიც (მაგ.: *აკრ-ე < *აკარ-ე < *აკარ-ებ-ს "კარებს აღებს"; ზგრზნ-ე < *ზურზნ-ე < *ზურზუნ-ე < *ზუზუნ-ე < ზუზუნ-ებ-ს; კიკნ-ე _ კიკინ-ებ-ს; ყიყნ-ე _ ყიყინ-ებ-ს; ყროყინ-ე _ ყროყინ-ებ-ს; კრიახ-ე _ კრიახ-ებ-ს; ჭყიპინ-ე _ ჭყიპინ-ებ-ს; დუდღუნ-ე _ დუდღუნ-ებ-ს* და სხვ.) ადასტურებენ. რაც შეეხება სვანური

-ი სუფიქსის ქართული -ი სუფიქსისაგან მომდინარეობას, ეს საკითხი საკამათოა. ჩვენი აზრით, -ი სუფიქსიანი ფორმების ერთი ნაწილი მომდინარეობს ქართული შესაბამისი -ი სუფიქსიანი ფორმებისაგან: *კ̃ილ-ი/კილ-ი* ← ქართ. *კივ-ი-ს; ზ̃ილ-ი/ზილ-ი* < ქართ. *ზმუ-ი-ს; სჷლი/სჷლი* < ქართ. *სივ-ი-ს; შჷლი/შჷლი* < ქართ. *შუ-ი-ს; ღ̃ილ-ი/ღილ-ი* < ქართ. ღმუ-ი-ს; *ჟღჷლ-ი/ჟღჷლ-ი* < ქართ. *ბღავის, ჟღავის"* და ა. შ., რაც შეეხება დანარჩენ *-ი* სუფიქსიან აწმყოს ფორმებს, იქ *-ი* სუფიქსის წარმომავლობა გასარკვევია, რისთვისაც აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის ფუძეთა სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზი.

ცხადია, *ოდენსუფიქსური წარმოების* პარალელურად სვანურში აწმყოს ფუძის საწარმოებლად დასტურდება *პრეფიქს-სუფიქსური წარმოების* რამდენიმე მოდელიც. ესენია:

1. *ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ე სუფიქსი*

ა-ფხკჳნ-ე (შდრ. *ფხაკუნ-ე*) „ფხაკუნობს; *ა̃-კუ̃ეთხ-ე* (შდრ. *კუ̃ეთხ-ე*) „წვეთავს; ყრის"; *ა-პალტ-ე* (შდრ. *პალტ-ე*) „ქოთქოთებს; *ა-შუნშხუ̃-ე* (შდრ. *შუნშხუ̃-ე*) „სრუტუნებს"; *ა-წაკტ-ე* (შდრ. *წაკტ-ე*) „კაპასობს"; *ა-ზანკუ̃-ე* (შდრ. *ზანკუ̃-ე*) „კუნტრუშებს; *ა-კ̃ჭუ̃-ე* (შდრ. *კ̃ჭუ̃-ე*) „ბევრს ლაპარაკობს"; *ა-კასბ-ე* (შდრ. *კასბ-ე*) „ლაყბობს, ტლიკინებს"; *ა-უჩხ-ე* (შდრ. *უჩხ-ე*) „წვიმს"; *ა-შდუ-ე* (შდრ. *შდუ-ე*) „წვიმს"; *ა̃-წ̃ქუ̃-ე/ა-წქუ̃-ე* (შდრ. *წ̃ქუ̃-ე/წქუ̃-ე*) „წვეთავს"; *ა̃-წ̃ღფხა̃რ-ე/ა̃-წიფხარ-ე* (შდრ. *წ̃ღფხა̃რ-ე/წიფხარ-ე*) „ჟინჟღლავს"; *ა-ხ̃რს-ე* (შდრ. *ხ̃რს-ე*) „ძლივს სუნთქავს გაციებისაგან"...

ოპოზიციური წყვილის პირველი წევრი ანუ *პრეფიქს-სუფიქსური წარმოების (ა-კუ̃შურ-ე/ა-კუ̃შურ-ე, ა̃-წ̃ღფხა̃რ-ე/ა̃-წიფხარ-ე, ა̃-წ̃ქუ̃-ე/ა-წქუ̃-ე* და ა. შ.) ზმნები საანალიზო ლექსემებში *მრავალჯერად (/მრავალგზის, უწყვეტ) მოქმედებაზე მიუთითებენ, ოდენსუფიქსური კი _ ერთჯერად (წყვეტილ) მოქმედებაზე.*

კასბ-ე, წაკტ-ე, ხ̃რს-ე, წ̃ღფხა̃რ-ე/წიფხარ-ე, წ̃ქუ̃-ე/წქუ̃-ე... ტიპის ზმნები საშუალი გვარის (აბსოლიტურ-გარდაუვალი) ზმნებია. რაც შეეხება *ა-კასბ-ე, ა-წაკტ-ე, ა-ხ̃რს-ე, ა̃-წ̃ღფხა̃რ-ე/ა̃-წიფხარ-ე, ა̃-წ̃ქუ̃-ე/ა-წქუ̃-ე*... ზმნებს, ისინიც ფორმით ერთპირიან ზმნებად აღიქმება, თუმცა შინაარსით თითქოს ორპირიანობის გაგებას შეიცავენ. თუ მათ ორპირიანობას დავუშვებთ, მაშინ აღნიშნული ზმნებს არა საშუალი გვარის ერთპირიან ზმნებად უნდა მივიჩნიოთ, არამედ საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებად (!). ცხადია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსტრუქციას, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს.

იგივე შეიძლება ითქვას ქვემოთ წარმოდგენილ ოპოზიციურ წყვილებზეც.

2. *ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ი სუფიქსი:*

ა-მგრტყგნ-ი (შდრ. მგრტყნ-ი) „ხმაურით ჭამს"; *ა-ფხგრკგნ-ი (შდრ. ფხგრკნ-ი)* „ფხაკურობს"; *ა-კგრკინ-ი* (შდრ. *კგრკნ-ი*) „კისკისებს"; *ა-ჩგრჩინ-ი* (შდრ. *ჩგრჩნ-ი*) „ჩრიფინებს"; *ა-ფგრჩხგნ-ი* (შდრ. *ფგრჩხნ-ი)* „შრაშუნებს"; *ა-ფგრჩხგნ-ი* (შდრ. *ფგრჩხნ-ი*) „შრაშუნებს"; *ა̃-პინსლა̃უ̃-ი* (შდრ. *პინსლა̃უ̃-ი*) „თოვს (წვრილად)"; *ა̃-ფინთლა̃უ̃-ი* (შდრ. *ფგნთლეუ̃-ი*) „თოვს (მსხვილად, ხვავრიელად)"; *ა-ყგრთგნ-ი* (შდრ. *ყგრთნ-ი*) „ხარხარებს, ტირის უშნოდ"; *ა-ჩხგრუ̃უ̃შტ-ი* (შდრ. *ჩხგრუ̃უ̃შტ-ი)* „ჭიკჭიკებს"; *ა-ბურყუნ-ი* (შდრ. *ბურყუნ-ი*) „ბუტბუტებს"...

თუმცა პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ფორმათა უმრავლესობას, ჩვენი დაკვირვებით, ოდენ სუფიქსიანი აწმყოს ფორმები არ მოეპოვებათ:

ა-რღუნ-ე (შდრ. *ლი-რღუნ-ე* „ნჯღრევა" და არა **რღუნ-ე)* „ანჯღრევს"; *ა-რკუნ-ე* (შდრ. *ლი-რკუნ-ე* „კანკალი" და არა **რკუნ-ე)* „კანკალებს"; *ა-ჯგჯგგნ-ე* (შდრ. *ლი-ჯჯგგნ-ე* „კანკალი" და არა **ჯჯგგნ-ე)* „კანკალებს"; *ა-ჟყუნ-ე* (შდრ. *ლი-ჟყუნ-ე* „ნჯღრევა" და არა **ჟყუნ-ე)* „კარაქს ხდის ნჯღრევით"; *ა-ტკრნც-ე* (შდრ. *ლი-ტკრნც-ე* „გატენვა" და არა **ტკრნც-ე)* „ტენის, პირამდე ავსებს ჭურჭელს"; *ა-ტრნკუნ-ე* (შდრ. *ლი-ტრნკუნ-ე* „მსუქანი, უშნო აღნაგობის ქალის ლაპარკი" და არა **ტრნკუნ-ე)* „მსუქანი, უშნო აღნაგობის ქალი ლაპარაკობს" (შდრ. ქართ. ტრაკუნობს); *ა-ტლმფუნ-ე* (შდრ. *ლი-ტლმფუნ-ე* „დედაკაცის მიერ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკი, ტყუილების თქმა" და არა **ტლმფუნ-ე)* „ლაპარაკობს, ცრუობს დედაკაცი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით"; ა-ფრნწკუ-ე (შდრ. *ლი-ფრნწკუ-ე* „ფრთხილად შენჯღრევა, გაღვიძება" და არა **ფრნწკუ-ე)* „მძინარეს ფრთხილად ანძრევს, რომ გააღვიძოს"; *ა-პლნტუნ-ე* (შდრ. *ლი-პლნტუნ-ე* „ლაქლაქი" და არა *პლნტუნ-ე) „ლაქლაქებს"; *ა-ყრნჭუნ-ე* (შდრ. *ლი-ყრნჭუნ-ე* „მაღალი, გრძელკისერა ადამიანის ლაპარაკი" და არა **ყრნჭუნ-ე)* „მაღალი, გრძელკისერა ადამიანი ლაპარაკობს"...; *ა-ჯჯუნწლ-ი* (შდრ. *ლი-ჯჯუნწლ-ი* „შენჯღრევა, გაღვიძება" და არა **ჯჯუნწლ-ი*) „ანჯღრევს, აღვიძებს"; *ა-ყანყლაუ-ი* (შდრ. *ლი-ყანყლაუ-ი* „დიდი ლუკმებით უშნოდ ჭამა, ყლაპვა" და არა **ყანყლაუ-ი*) „დიდი ლუკმებით უშნოდ ჭამს, ყლაპავს"; *ა-ღგრმნ-ი* (შდრ. *ლი-ღგრმნ-ი* „ცრემლების ღვარღვარი" და არა *ღგრმნ-ი) „ცრემლებს აღვარღვარებს"; ა-შკფგწლ-ი/ა-*შკფგწლ-ი* (შდრ. *ლი-შკფგწლ-ი/ლი-შკფგწლ-ი* „კაკუნი, ხმაური" და არა **შკფგწლ-ი*) „აკაკუნებს, ხმაურობს"; *ა-წურწალ-ი* (შდრ. *ლი-წურწალ-ი* „მწვადის შეწვა, შიშხინი" და არა **წურწალ-ი)* „მწვადს წვავს, აშიშხინებს" და სხვ.

მათი ეკვივალენტი ზმნები თანამედროვე ქართულში, როგორც უკვე ვნახეთ, უმეტესად უპრეფიქსო ფორმებს წარმოგვიდგენენ.

აწმყოს ფუძის საწარმოებლად, შესაძლოა, დადასტურდეს შემდეგი ტიპის მოდელებიც:

3. *ი- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ე სუფიქსი*

ი-ყუბ-ე[1] (შდრ. *ლი-ყუბ-ე* „დიდი ლუკმებით ჭამა, ტენვა") „იტენის, ჭამს დიდი ლუკმებით"; *ი-ჭუბ-ე* (შდრ. *ლი-ჭუბ-ე* „დიდი ლუკმებით ჭამა, ტენვა") „იტენის, ჭამს დიდი ლუკმებით"; *ი-პჭყ-ე* (შდრ. *ლი-პჭყ-ე* „პატარა გოგოს კალთაში ჩასმა; გაპარჭყვა") „პატარა გოგოს ისვამს კალთაში; იპარჭყავს"; *ი-ქუნც-ე/ი-ქუნც-ე* (შდრ. *ლი-ქუნც-ე/ლი-ქუნც-ე* „მოხიკვა, შეგროვება") „ხიკავს, აგროვებს"; *ი-ღენჯურ-ე/ი-ღენჯურ-ე* (შდრ. *ლი-ღენჯურ-ე/ლი-ღენჯურ-ე* „ხრვა ძვლისა"...) „იხრავს ძვალს..."); *ი-გენჯურ-ე* (შდრ. *ლი-გენჯურ-ე* „ხრვა ძვლისა, ვაშლისა"...) „იხრავს ძვალს, ვაშლს..."; *ი-ღუძ-ე* (შდრ. *ლი-ღუძ-ე* „ხარბად სმა ღვინისა"...) „ხარბად სვამს ღვინოს..."; *ი-პწკ-ე* (შდრ. *ლი-პწკ-ე* „მოციცქნა, მოხევა") „ა/იციცქნის, ახევს"; *ი-ძენძურ-ე* (შდრ. *ლი-ძენძურ-ე* „მოგლეჯვა, მოხევა") „იგლეჯს, იხლეჩს, იხევს"; *ი-ყრჲნჭნ-ე* (შდრ. *ლი-ყრჲნჭნ-ე* „ყლურწვა") „ყლურწავს" და სხვ.

4. *ი- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ი სუფიქსი*

ი-პპგნ-ი (შდრ. *ლი-პპგნ-ი* „გაბრაზება, მეტისმეტი სიბრაზისაგან გასიება") „ბრაზდება, მეტისმეტი სიბრაზისაგან სივდება"; *ი-შლგნ-ი* (შდრ. *ლი-შლგნ-ე* „ზედმეტი ჭამა-სმისაგან გასკდომა, გაძღომა") „ზედმეტი ჭამა-სმისაგან სკდება, ძღება"; *ი-ზკგნ-ი* (შდრ. *ლი-ზკგნ-ე* „გავსება, გატენვა") „ივსება, იტენება პირთამდე"; *ი-ტტგნ-ი* (შდრ. *ლი-ტტგნ-ე* „გავსება, გატენვა") „ივსება, იტენება პირთამდე"; *ი-ქრგნ-ი* (შდრ. *ლი-ქრგნ-ე* „გაწბილება, სირცხვილისაგან გაწითლება")

[1]ამ მოდელში წარმოდგენილი ზმნები ორპირიანი მედიოაქტიური ზმნებია.

„წბილდება, სირცხვილისაგან წითლდება"; *ი-ქრშტნ-ი* (შდრ. *ლი-ქრშტნ-ე* „შიშისაგან გაფანტვა ცხვრისა"...) „შიშისაგან იფანტება ცხვარი..."); *ი-პანტ-ი* (შდრ. *ლი-პანტ-ე* „გაფანტვა, მიმოფანტვა") „იფანტება"; *ი-ქშჰგნ-ი* (შდრ. *ლი-ქშჰგნ-ე* „გაფერმკრთალება") „ფერმკრთალდება"; *ი-ფჯგგნ-ი* (შდრ. *ლი-ფჯგგნ-ე* „გაშეშება") „შეშდება"; *ი-კთხგნ-ი* (შდრ. *ლი-კთხგნ-ე* „უცაბედი გარდაცვალება, სულის ამოხდა") „უცებ კვდება"; *ი-ყგგნ-ი* (შდრ. *ლი-ყგგნ-ე* „გაყინვა") „იყინება" და ა. შ.

5. *ა-/ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ე სუფიქსი*

ა-მიჭუან-ე (შდრ. *ლი-მიჭუან-ე/ლი-მიჭუან-ალ* „უკმაყოფილოდ, ტუჩების მოპრუწვით ყურება") „უკმაყოფილოდ, ტუჩების მოპრუწვით იყურება"; *ა-გლიდან-ე* (შდრ. *ლი-გგლდგნ-ე/ლი-გლიდანალ* „უშნოდ აღმართული ადამიანის ყურება; სიარული") „უშნოდ აღმართული ადამიანი იყურება, დადის"; *ა-კლიკან-ე* (შდრ. *ლი-კლიკან-ალ* „გონებამახვილურად, ჭკვიანურად დგომა") „გონებამახვილურად, ჭკვიანურად დგას"; *ა-ბიყუან-ე* (შდრ. *ლი-გგლდგნ-ე/ლი-ბიყუანალ* „გაბუტული დგომა") „გაბუტულად დგას"; *ა-რიჭუან-ე* (შდრ. *ლი-რიჭუან-ე/ლი-რიჭუანალ* „ყურებდაცქვეტილი დგომა; ფხიზლად ყურება") „ყურებდაცქვეტილი დგას; ფხიზლად იყურება"; *ა-ბღუირან-ე* (შდრ. *ლი-ბღუირან-ე/ლი-ბღუირანალ* „დაბღვერვა") „იბღვირება"; *ა-შუირან-ე* (შდრ. *ლი-შუირან-ე/ლი-შუირანალ* „ბღვერა უშნო, ელამი თვალებით") „იბღვირება უშნო, ელამი თვალებით"; *ა-მიჩუან-ე* (შდრ. *ლი-მიჩუან-ე/ლი-მიჩუანალ* „უშნო, ფართო სახის კაცის ყურების მანერა") „უშნო, ფართო სახის კაცი იყურება" და მისთ.

ჩოლურულში აღნიშნული მოდელით იწარმოება ლაპარკის აღმნიშვნელი ზმნებიც. მაგ.,

ა-ბლანყუნ-ე (შდრ. *ლი-ბლანყუნ-ე* „მსუქანი ადამიანის ნელი საუბარი") „მსუქანი ადამიანი ნელა, ხმადაბლა საუბრობს"; *ა-ბანჯღუნ-ე* (შდრ. *ლი-ბანჯღუნ-ე* „პატარა ბიჭის ან პატარა ტანის მამაკაცის საუბარი") „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი საუბრობს"; *ა-ბრანჩხუნ-ე* (შდრ. *ლი-ბრანჩხუნ-ე* „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალის უხეში საუბარი") „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალი უხეშად საუბრობს"; *ა-განგუნ-ე* (შდრ. *ლი-განგუნ-ე* „მოზრდილი და უშნო ადამიანის საუბარი") „მოზრდილი და უშნო ადამიანი საუბრობს"; *ა-გლამბუნ-ე* (შდრ. *ლი-გლამბუნ-ე* „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანის უშნო საუბარი") „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ საუბრობს" და ა. შ.

6. მეექვსე მოდელად შეიძლება წარმოვადგინოთ *ნულსუფიქსიან* წარმოებად მიჩნეული (იხ. ზემოთ მე-4 მოდელი!) მოდელი, რომელიც ოდენპრეფიქსური წარმოებისაა (*ი პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ფუძეს შეხორცებული -ჴლ/-ალ/-ლ/-ალ/-იელ/-იელ... ელემენტები*)

ი-ღრჴლ (ბზ.), *ი-ღრლ* (ლშხ.), *ი-ღრა/ალ* (ბქ.), *ი-ღარალ* (ლნტ.) „მღერის"; *ი-ბრილ* (ლშხ.) „მღერის"; *ი-ცინგლაუალ* (ბქ.) „დადის, დაეხეტება ფეხის წვერებით"; *ი-ბლიუანალ* (ბქ.) „გაოცებული, დაბნეული იყურება"; *ი-შანგუნჴლ* (ბზ.) „მაღალი ადამიანი გრძელი ნაბიჯებით დადის"; *ი-გუირანალ* (ბქ.) „უქუდოდ, უთავსაფროდ დადის"; *ი-გუირანჴლ* (ლხმ.) „მელოტი კაცი დაიარება"; *ი-რიჭუანალ* (ბქ.) „ყურებდაცქვეტილი იყურება აქეთ-იქით"; *ი-კანკუნალ* (ბქ.) „მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლით ძლივს დაიარება"; *ი-თგრანჴლ* (ბზ.), *ი-თგრანალ* (ბქ.) „დაეთრევა"; *ი-შიუანალ* (ბქ.) „შავთვალწარბა იბღვირება"; *ი-ძანძუნჴლ* (ლხმ.) „დაძონძაობს"; *ი-ყუიბანალ* „დიდთავა დგას, დაიარება, იყურება"; *ი-თურიჩანალ* (ბქ.) „მეტისმეტად გრძელი კაბით დაიარება"; *ი-ყიტანალ* (ბქ.) „თავაწეული იყურება აქეთ-იქით"; *ი-რიქანალ* (ბქ.) „ცანცარებს, იპრანჭება"; *ი-რკუანლ* (ჩოლ.) „თვალების ცეცებით დაიარება"; *ი-რუჭონალ/ი-*

რუჭანწლ (ჩოლ.) „უსირცხოდ, უშიშრად, ყურებდაცქვეტილი დაიარება"; *ი-რსგლატჲელ* (ჩოლ.) „დანაშაულზე უხერხულად საუბრობს"; *ი-სუიტანალ* (ბქ.) „იბღვირება, იბუტება"; *ი-განგუნწლ* (ჩოლ., ლშხ.) „მოზრდილი და უშნო ადამიანი დადის"; *ი-ბრანჩხუნწლ* (ჩოლ., ლშხ.) „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალი უხეშად დადის"; *ი-ბლანყუნწლ* (ჩოლ., ლშხ.) „მსუქანი ადამიანი ნელა, ზოზინით დადის"; *ი-ბანჯღუნწლ* (ჩოლ., ლშხ.) „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი დადის"; *ი-გლამბუნწლ* (ჩოლ., ლშხ.) „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ დადის" და მრავ. სხვ.[1]

7. მეშვიდე მოდელად შესაძლოა გამოვყოთ "*ჭამის*" აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რომელთა სტრუქტურული შედგენილობა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: *ი-პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ფუძეს შეხორცებული -ალ/-ალ/-ალ/-ულ/-იელ/-ინ/-აუ/-ან... ელემენტები + საწყისის მაწარმოებელი ი სუფიქსი*

ი-ყლენტ-ალ-ი (შდრ. *ლი-ყლენტ-ალ-ი* „დიდი ლუკმებით უხეშად ყლაპვა") „დიდ ლუკმებს უხეშად ყლაპავს"; *ი-ქლენთ-ალ-ი* (შდრ. *ლი-ქლენთ-ალ-ი* „დიდი ლუკმებით უხეშად ყლაპვა ქონიანი ხორცისა; თქვლეფა") „უხეშად ყლაპავს ქონიანი ხორცის დიდ ლუკმებს; თქვლეფს"; *ი-ძგემბ-ულ-ი* (შდრ. *ლი-ძგემბ-ულ-ი* „მიწიანად, ამოგლეჯვით ჭამა, ძოვა") „მიწიანად, ამოგლეჯვით ჭამს, ძოვს"; *ი-ჯენგ-ულ-ი* (შდრ. *ლი-ჯენგ-ულ-ი* „მიწიანად, ამოგლეჯვით ჭამა, ძოვა ახლადამოწვერილი ბალახისა") „მიწიანად, ამოგლეჯვით ჭამს, ძოვს ახლადამოწვერილ ბალახს"; *ი-ბენგ-ულ-ი* (შდრ. *ლი-ბენგ-ულ-ი* „დიდი ტანის საქონლის მიერ მიწაზე დაყრილი თივის ღერების ჭამა, შეგროვება") „დიდი ტანის საქონელი მიწაზე დაყრილ თივის ღერებს ჭამს, აგროვებს"; *ი-ყანყლ-აუ-ი* (შდრ. *ლი-ყანყლ-აუ-ი* „დიდი ლუკმებით უშნოდ ჭამა, ყლაპვა") „დიდი ლუკმებით უშნოდ ჭამს, ყლაპავს"; *ი-ჯშდ-ან-ი* (შდრ. *ლი-ჯშდ-ან-ი* „ღრღნა, ხრვა") „ღრღნის, ხრავს"; *ი-ქუნც-ალ-ი* (შდრ. *ლი-ქუნც-ალ-ი* „კენკვა") „კენკავს"; *ი-ყლემპ-ალ-ი* (შდრ. *ლი-ყლემპ-ალ-ი* „ბევრის ჩქარ-ჩქარა ჭამა, ყლაპვა დიდი ლუკმების") „ბევრს ჭამს, ყლაპავს ჩქარ-ჩქარა დიდ ლუკმებს"; *ი-პამპლ-აუ-ი* (შდრ. *ლი-პამპლ-აუ-ი* „ჩქარ-ჩქარა ჭამა რბილი საჭმლისა, რომელსაც დაღეჭვა არ სჭირდება") „ჩქარ-ჩქარა ჭამს რბილ საჭმელს"; *ი-კოკნ-აუ-ი* (შდრ. *ლი-კოკნ-აუ-ი* „პატარა ლუკმებით ჭამა,ˇწაˇკიკნა") „პატარა ლუკმებით ცოტას ჭამს, კიკნის"; *ი-თხენსკ-ალ-ი* (შდრ. *ლი-თხენსკ-ალ-ი* „კენკვა; ფრინველის ჭამა") „კენკავს, ჭამს ფრინველი" და ა. შ.

აღნიშნული წარმოება, ფონოსემანტიკური ლექსიკის მრავალრიცხოვან ჯგუფთაგან, მხოლოდ "*ჭამის*" აღმნიშვნელი ლექსიკისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა არაფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებსაც მოეპოვებათ მსგავსი წარმოება (შდრ.: *ი-ბრგშტ-გნ-ი* „ზედმეტი ჯავრისაგან იბერება, სივდება სახეზე"; *ი-ბჯღ-გრ-ი* „იხლიჩება ბიჭი"; *ი-გლგფ-გნ-ი* „უტყვი და უშიშარი ხდება"; *ი-შგრთქ-ინ-ი* „მეტისმეტად სუქდება, სივდება ქალი" და სხვ.).

---

[1] *ლი- _ -ე* პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (მაგ.: *ლი-ბლანყუნ-ე, ლი-ბანჯღუნ-ე, ლი-განგუნ-ე* და ა. შ.) მასდარები ჩოლურულსა და ლაშხურში, როგორც მე-5 მოდელიდან ჩანს, ლაპარაკის აღმნიშვნელი მასდარებია და აწმყოს *ა- _ -ე* ყალიბით აწარმოებენ. *ლი- _ -ალ/-ალ* პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (მაგ.: *ლი-ბლანყუნწლ, ლი-ბანჯღუნწლ, ლი-განგუნწლ* და სხვ.) მასდარები კი სიარულის აღმნიშვნელია და აწმყოს აწარმოებენ *ი-* პრეფიქსით. როგორც ჩანს *-ალ/-ალ* სუფიქსს შემოაქვს სიარულის სემანტიკა, თუმცა აღნიშნული სუფიქსი დღევანდელი ვითარების მიხედვით ფუძესაა შეხორცებული და მისი მნიშვნელობა თითქმის მიჩქმალულია სვანური ენის ყველა დიალექტში. უნდა ითქვას ისიც, რომ ძირეული მასალა ორივე შემთხვევაში (შდრ. ერთი მხრივ, *ლი-ბლანყუნ-ე* "მსუქანი ადამიანის ნელი საუბარი" და, მეორე მხრივ, *ლი-ბლანყუნწლ* "მსუქანი ადამიანის ნელი და უშნო სიარული") ერთი და იგივეა.

როგორც მრავალფეროვან სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები აწმყოში *უთემისნიშნოდ* დასტურდება. რაც შეეხება მეექვსე მოდელად გამოყოფილ *ი-გუ̈ირანა/ლ, ი-შანგუნ̈ა̈ლ, ი-თგრანა̈ლ* და ა. შ. ტიპის ფორმათა წარმოებას, ამ ტიპის მასალაში აუსლაუტში წარმოდგენილი *-ალ/-ა̈ლ/-ა̈ლ/-ულ/-იელ/-იე̈ლ/-ან/-აუ̈/-ა̈ნ...* სუფიქსები, რომლებიც დღეს უკვე ფუძის კუთვნილებაა, *მოქმედების მრავალგზისობაზე, განმეორებადობაზე (ჩვეულებითობა-ზოგადობაზე)* მიუთითებენ. აღნიშნულ ფორმებში "უშუალოდ მოძრაობის ინფორმაციის გადმომცემი ელემენტი არ ჩანს, მაგრამ მორფოლოგიურ სტრუქტურაში შემავალი კომპონენტები ფუნქციის მიხედვით ისე არის შეხამებული ერთმანეთთან, რომ მთლიანობაში გადმოცემულია *მოძრაობა, მოძრავი საგნის დახასიათება* და ამ დახასიათებაზეა დამოკიდებული მოძრაობის მანერა" (ჭკადუა 2015:234).

საანალიზო ფორმებში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ზმნური ძირის მომდევნოდ, აუსლაუტის წინ გამოვლენილი *-ურ/-ულ/-უნ...* ელემენტები, რომლებსაც ზმნის ფუძის მაწარმოებლად *(მაზმნავებლად)* მიიჩნევენ, ისინი, მსგავსად *-ალ/-ა̈ლ/-ა̈ლ/-იე̈ლ...* სუფიქსებისა, დღეს უკვე ფუძეს არიან შეხორცებული, და რაც მნიშვნელოვანია, ეს ელემენტები აწმყოს მწკრივის მაწარმოებელი ნიშნები არ არის, ისინი შესაბამის მასდარებშიც დასტურდება და როგორც *მყოფადის წრის მწკრივებში*, ასევე *მეორე და მესამე სერიის მწკრივებშიც* დაჩნდებიან.

განხილული მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სვანური აწმყოს ფუძის საწარმოებლად თემის ნიშნებს არ იყენებს. აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსების შესახებ კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის განხილვამ აჩვენა, სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს. ჩვენი აზრით, ეს თვალსაზრისები, განსაკუთრებით კი აღნიშნული სუფიქსების *თემატურ ნიშნებად* მიჩნევა, საკამათოა.

როგორც ჩანს, აწმყოს ფუძის ჩამოყალიბება დღესაც მიმდინარეობს სვანურში სხვადასხვა მორფოლოგიურ ელემენტთა გამოყენებით. ვფიქრობთ, ეს პროცესი უჩვეულო არ არის, ვინაიდან, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავდა, აწმყოს ფუძის ჩამოყალიბება პერმანენტული პროცესია, რომელიც მეტნაკლები მოდიფიკაციებით დღესაც იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში. ამ მოვლენაზე კი მეტყველებს *ხმარულ-ობ-ს, ხდილ-ობ-ს, ჩუქ-ნ-ი-ს* ტიპის ფორმათა წარმოქმნა და სწორედ ამ მხრივ იქცევს ყურადღებას თემის ნიშანთა განაწილების საკითხიც, რაც კერძო სახეა ენაში მოქმედი დეტერმინიზმის პრინციპისა (ჯორბენაძე 1988:175).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, თემის ნიშანთა სხვადასხვაგვარი განმარტებიდან უფრო გავრცელებულია და დამკვიდრებულია განსაზღვრა, რომ თემის ნიშანია ის ფორმანტი (resp. სუფიქსი), რომელიც აწარმოებს I სერიის ფუძეს [და, ამდენად, ჩამოსცილდება მას II სერიაში (შანიძე 1980: 387-388)]. თემის ნიშანი, ასევე, თავს იჩენს იმ პარადიგმებშიც, რომლებიც I სერიის (კერძოდ, აწმყოს) ფუძეს ეყრდნობა: *მო-მ-ი-კლ-ავ-ს, გა-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა* [I შედეგობითი (ჯორბენაძე 1988: 175)].

რაც შეეხება სვანურს, იგი თემატური სუფიქსებით ქართველურ ენებს შორის ყველაზე ღარიბად ითვლება (ნათაძე 1959: 144). ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი აწმყოს ფუძის მაწარმოებელ *-ე, -ი, -ა* და *-0* სუფიქსებზე, რომელთა თემატურ ნიშნებად მიჩნევა, რიგი საკითხებიდან გამომდინარე, საკამათოა, და საკითხი უფრო საფუძვლიან შესწავლას

მოითხოვს. გარდა აღნიშნული სუფიქსებისა, სვანურში გამოიყოფა: *-ემ, -ალ, -ელ, -ერ, -ეშგ, -ესგ, -ისგ (ბზ. -ესგი)* ელემენტები (იხ. ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა, ზმნა, თბ., 1967) და, აგრეთვე: *-ინ, -ენ* და *-უნ* სუფიქსები (II და III სერიის ფორმებში), თუმცა, როგორც ნ. ნათაძე მიუთითებს, „მათ ფუნქციას ამა თუ იმ ნაკვთის წარმოება არ შეადგენს" (ნათაძე 1959: 145). ეს სუფიქსები აწმყოს ფუძეშივე გამოყენებული მაწარმოებლებია, რომლებიც ენამ შემდგომ აწმყოს ერთ-ერთ ვარიანტს _ მყოფადს მიამაგრა. *-უნ-ა, -ინ-ა* სუფიქსები, რომლებიც თურმეობითი I-ის მაწარმოებლებად ითვლება, აგრეთვე აწმყოს არ მოწყდება. ყოველივე აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული სუფიქსები თემის ნიშნებს არ წარმოადგენენ სვანურში (იქვე). ცხადია, ვერც ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებში ზმნური ძირის მომდევნოდ წარმოდგენილ *-ურ/-ულ/-უნ,-ალ/-ა̈ლ/-ა̈ლ/-იელ...* ელემენტებს მივიჩნევთ თემატურ ნიშნებად[1].

აწმყოს ფუძის მაწარმოებელი მორფოლოგიური ერთეულების სქემა:

ოდენ სუფიქსური წარმოება	ოდენ პრეფიქსური წარმოება	პრეფიქს-სუფიქსური წარმოება
-ე	ი-	ა- _ -ე
-ი		ა- _ -ი
-ა		ა̈- _ -ე
-Ø		ი- _ -ე
		ი- _ -ი

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მასდარი მეგრულსა და ლაზურში

ფონოსემანტიკური ლექსიკისთვის დამახასიათებელია ე.წ. „პირველადი მასდარები" - სახელები, რომლებიც ზმნებს ედება საფუძვლად. ტერმინი „პირველადი მასდარი" ეკუთვნის არნ. ჩიქობავას. „თავისთავად ასეთი საწყისები მდგომარეობა-მოქმედების აღმნიშვნელი სახელებია" (კარტოზია და სხვ. 2010: 279). „ამათ მასდარის სუფიქსები არ დაერთვის, ე.ი. მასდარი არ ეწარმოებათ, რადგან თავად ეს სუფიქსები [-ინ, -ალ, -ოლ... დაერთვიან ზმნურ ძირს და] შინაარსით გადმოსცემენ მოქმედება-მდგომარეობას" (დანელია 2006: 166). მეგრულში *„პირველადი მასდარების"* მაგალითებია: *ჭირხინი* „ჭიხვინი"; *ხირტინი* „ხროტინი"; *ჭირჭინი* „ჭრიჭინი", *ჭკირჭკინი* „ჭრიალი", *ზურზინი* „ზრიალი", *კარკალი* „კაკანი", *ბარჩალი* „მასლაათი; დინჯად საუბარი", *ბადალი* „უაზროდ ლაპარაკი"; *დარგალი* „შემაწუხებლად ლაპარაკი", *ტარკალი* „გაუთავებლად ლაპარაკი"...

---

[1] სვანურში აწმყოს ფუძის უთემისნიშნოდ წარმოდგენა რომ ჩვეულებრივი მოვლენაა, ამაზე მეორეული მასდარებიც მიუთითებენ. მაგ.: *თჳრტჳნ* „ჭიხვინი" _ *თჳრტნ-ი* „ჭიხვინებს"; *ხჳრტჳნ* „ხროტინი" _ *ხჳრტნ-ი* „ხროტინებს"; *ჭჳრჭჳნ* „ჭრიჭინი" _ *ჭჳრჭნ-ი* „ჭრიჭინებს"; *ბჳრთქჳნ* „ფეხების ბაკუნი" _ *ბჳრთქნ-ი* „ფეხებს აბაკუნებს"; კჳრკჳნ „კისკისი" _ კჳრკნ-ი „კისკისებს"; *სჳრტჳნ* „ყვირილი, ხმაური" _ *სჳრტნ-ი* „ყვირის, ხმაურობს"; *ყჳრყჳნ* „ყროყინი" _ *ყჳრყნ-ი* „ყროყინებს"; *ბჳრგჳნ* „ბრაგუნი" _ *ბჳრგნ-ი* „ბრაგუნობს"; *ხჳრტჳნ* „ხროტინი" _ ხჳრტნ-ი „ხროტინებს"; გჳრჰჳნ „სიცილი, როხროხი" _ გჳრჰნ-ი „იცინის, როხროხებს"; პჳრჭჳნ „რატრატი, ტლიკინი" _ *პჳრჭნ-ი* „რატრატებს, ტლიკინებს"; *ბურყუნ* „ზურგსუკან ლაპარაკი, ბუტბუტი" _ *ბურყუნ-ი* „ზურგსუკან ლაპარაკობს, ბუტბუტებს"; ბჳრთქჳნ „ფეხების ბაკუნი" _ *ბჳრთქნ-ი* „ფეხებს აბაკუნებს" და მრავ. სხვ.

ზმნურ ფორმათა საწარმოებლად აწმყოში ასეთი საწყისების ფუძეს დაერთვის თემის ნიშანი: *ჭირხინ-ი > ჭირხინ-უნ-ს* „ჭიხვინი“ > „ჭიხვინებს“, *ხირტინი > ხირტინ-უნ-ს* „ხროტინი“ > „ხროტინებს“, *„ჭირჭინი > ჭირჭინ-უნ-ს* „ჭრიჭინი“ > „ჭრიჭინებს“; *ჭკირჭკინ-ი > ჭკირჭკინ-უნ-ს* „ჭრიალი“ > „ჭრიალებს“; *ზურზინ-ი > ზურზინ-უნ-ს* „ზრიალი“ > „ზრიალებს“; *კარკალ-ი > კარკალ-ან-ს* „კაკანი“ > „კაკანებს“; *ბარჩალ-ი > ბარჩალ-ან-ს* „მასლაათი/ დინჯად საუბარი“ > „მასლაათობს/ დინჯად საუბრობს“; *ბადალ-ი > ბადალ-ან-ს* „უაზროდ ლაპარაკი“ > „უაზროდ ლაპარაკობს“ და სხვა.

ფონოსემანტიკურ ლექსემებში „მასდარის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ზმნა იქნა ნაწარმოები” (ჩიქობავა 1942: 218-219); არნ. ჩიქობავას განმარტებით, ფონოსემანტიკური ლექსიკის „პირველადი მასდარები“ და მასდარები (იგივე სახელზმნები) ფორმობრივად ემთხვევა ერთმანეთს: ქართ. *ჭრიალი* (საწარმოებელი სახელი) - *ჭრიალებს* (ნასახელარი ზმნა) - *ჭრიალი* (ნაზმნარი სახელი, იგივე მასდარი). სწორედ ამიტომ შემოიღო ავტორმა ტერმინი *„პირველადი მასდარი“* და განასხვავა იგი *მასდარისაგან* - ზმნისგან მომდინარე სახელისაგან; ამით ხაზი გაუსვა ამ ტიპის ლექსიკის ერთ-ერთ თავისებურებასაც.

„პირველადი მასდარებისა“ და *მასდარების* ფორმობრივი გამიჯვნა შესაძლებელია, თუკი ნაზმნარ სახელს თემის ნიშანს შევუნარჩუნებთ და მასდარის მაწარმოებელს დავურთავთ; კერძოდ, *ჭრიალი - ჭრიალ-ებ-ა, ბრიალი - ბრიალ-ებ-ა , ჭიხვინი - ჭიხვინ-ებ-ა.*

მასდართა ე.წ. „დაპირისპირების“ მოდელი დასტურდება მეგრულშიც. „პირველადი მასდარები“ წარმოდგენილია ფუძის შემადგენლობაში შესული *-ალ, -ონ, -ინ* სუფიქსებით, ხოლო ზმნისგან მომდინარე მასდარებს დაერთვის სპეციალური მაწარმოებლები *-უ-ა, -აფ-ა.* შდრ: მასდართა პარალელური ფორმები: *კვაკვ-ალ-ი : კვაკვ+ალ-უ-ა* „როშვა, განუწყვეტლივ ლაპარაკი“ (ჭარაია 1997:77); *რაკვ-ალ-ი : რაკვ+ალ-უ-ა; რსხაპ-ალ-ი : რსხაპ+ალ-უ-ა; რაქვ-ალ-ი : რაქვ+ალ-უ-ა „როშვა“; ჩვაგ-ალ-ი : ჩვაგ+ალ-უ-ა* „სისულელის ლაპარაკი“; *ღარღ-ალ-ი : ღარღ+ალ-უ-ა; ღაფ-ალ-ი : ღაფალ-უ-ა* „ხმამაღალი ლაპარაკი“ ; *ყაყ-ალ-ი : ყაყალ-უ-ა „ყაყანი“ (ჭარაია 1997:144); ცქიცქ-ონ-ი : ცქიცქონ-უ-ა „ციცქნა“ ; ძგიძგ-ონ-ი : ძგიძგონ-უ-ა „ძიძგნა“; ზაკ-ინ-ი : ზაკა-აფ-ა* [1]*; რაგვ-ინ-ი: რაგვ-აფ-ა; კვაზ-ინ-ი : კვაზ-აფ-ა.*

როგორც აღინიშნა, „პირველად მასდარებში“ წარმოდგენილი *-ალ, -ინ, -ონ* სუფიქსები ფუძეში შედის; ისინი, როგორც სიტყვაწარმოებითი ელემენტები, დესემანტიზებულია. „როგორც ქართულში, ისე მეგრულ-ჭანურში გვაქვს რიგი სუფიქსები, რომლებიც ზმნის პირიელ ფორმებში არ გვხვდება და წარმოდგენილია მასდარში ან მიმღეობაში. ამ სუფიქსთა მჭიდრო კავშირი თემის ნიშნებად ხმარებულ სუფიქსებთან, როგორც ცნობილია, ეჭვს არ იწვევს“ (ნათაძე 1959: 139), თუმცა „საზოგადოდ მეგრულ მასდარში გამოყენებულ სუფიქსთა დიდი აღრევა გვაქვს, რაც აძნელებს აწმყოში და მასდარში გამოყენებულ სუფიქსთა შორის მიმართების დადგენას. მიუხედავად ამისა, კანონზომიერება მაინც შეიმჩნევა: 1. *-უნ* ნიშნის შესატყვისად მასდარში გვაქვს *-უა*[2]*; 2. -ან* სუფიქსის შესატყვისია მასდარში უფრო ხშირად *-აფ-ა*“ (ნათაძე 1959:140).

---

[1] *-აფ-ა* სუფიქსით დაბოლოებულ მასდარებს შესაძლებელია ჰქონდეთ გასუბსტანტივებული პარალელური ფორმები: *ზაკ-აფ-ა / ზაკ-აფ-ი* „რწევით სიარული“, *რაგვ-აფ-ა /რაგვ-აფ-ი* „დაჯახება რაიმე მყარ სხეულთან“, *კვაზ-აფ-ა / კვაზ-აფ-ი* „სიარულით კოხტაობა“.

[2] *-უა* დაბოლოება მასდარის მაწარმოებლად დასტურდება ლაზურის ხოფურ-ჩხალურ კილოშიც, მსგავსად მეგრულისთვის დამახასიათებელი წარმოებისა. შდრ: ერთი მხრივ, *ბახუა* მეგრულსა და ლაზურში, ხოლო, მეორე მხრივ, *ობახუ* „ცემა“ ლაზურის სხვა კილოებში - ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში (თანამედროვე მეგრულისა და ლაზურის ხოფურ-ჩხალური კილოს ისტორიული ერთიანობის შესახებ დაწვრ. იხ. კარტოზია 2005).

რაც შეეხება მასდარების (სახელზმნების) მაწარმოებელ *-უ-ა* და *-აფ-ა* სუფიქსებს, მათი მორფოლოგიური კვალიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: *-უ-ა* სუფიქსის ბოლოკიდური *-ა* „ქართულიდანაა შესული მეგრულში“ (დანელია 2006:165), ხოლო *-უ-*, არნ. ჩიქობავას კვალიფიკაციით, ჭანური მასდარისაა (ჩიქობავა 1942:241). *-უ*, ტ. გუდავას აზრით, *-ავ* სუფიქსისაგან მომდინარეობს. მას *-ავ* > *-ოვ* ტრანსფორმაციის გზა უნდა გაევლო, სანამ თემატური სუფიქსის ნაშთად იქცეოდა (ტ. გუდავა). აღნიშნული ფორმანტის კვალიფიკაციის ტ. გუდავასეულ თვალსაზრისს იზიარებს კ. დანელია, თუმცა *-უ* სუფიქსის მიღების სხვა გზას ხედავს: „ძნელი წარმოსადგენია, რომ ადგილობრივ მაწარმოებელ *უ*-ს დართვოდა შემდეგში ნასესხები *-ა*, ე. ი. გვქონდეს მასდარის მრჩობლი წარმოება. უფრო საფიქრებელია, რომ *-უ* იყოს თემატური ნიშნის ხმოვნითი ელემენტი, *-უნ* სუფიქსის ნაშთი“ (დანელია 2006: 165). „*-აფ-ა* საკმაოდ ხშირია საწყისთა აუსლაუტში. გვაქვს იმ ზმნათა საწყისებში, რომელთა I სერიასაც ქართული *-ებ* თემის ნიშნის კანონზომიერი მეგრული შესატყვისი *-აფ* (<*აბ) თემის ნიშანი აწარმოებს. პირიან ფორმებში გვაქვს *-ან* ალომორფი, მაგრამ საწყისთა აუსლაუტში ყოველთვის *-აფ* დასტურდება (კარტოზია და სხვ. 2010: 276). მასდარისეული *-აფ* სუფიქსის თემისნიშნისეულ *-ან* ფორმანტად ქცევა ფონოლოგიურად შეპირობებულია: „მასდარში /ფ/ თანხმოვანი ხმონვნებს შორის ექცევა და უცვლელად რჩება..., ხოლო აწმყოს მხოლობითი რიცხვის I, II და III პირში ეს *-ფ* იქცევა *-ნ*’დ /-ს/ და /-ქ/ სუფიქსების წინ (ნათაძე 1959: 143).

მაშასადამე, ენის მისწრაფებაა გამიჯნოს ერთმანეთისაგან „პირველადი მასდარები“ და მასდარები (სახელზმნები) ფორმალურად და, რამდენადმე, სემანტიკურადაც. ქართულში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევებში დაისმის *-ებ-ა* სუფიქსის მაწარმოებლად გააზრების საკითხი; რაც შეეხება მეგრულს, „პირველადი მასდარები“ და მასდარები ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განსხვავდნენ ერთმანეთისაგან:

1. *ერთი ძირის სხვადასხვა სემანტიკის ზმნების წარმოებით*:

ლექსიკონში დადასტურებული განმარტების მიხედვით, *ზაკინი ი-* პრეფიქსით ნაწარმოებ ზმნას უდევს საფუძვლად, ხოლო *ზაკაფი* - ზმნისწინით ნაწარმოებ ფორმას:

ზაკ-ინ-ი - რყევა, რწევა, ჯაყჯაყი > *იზაკუ(ნ)* - ირწევა, ირყევა (ქობ. 307);

ზაკ-აფ-ი - რწევა-რწევით სვლა > *მიოზაკანს* - მიირწევა (ქობ. 307);

2. *სხვადასხვა სუბიექტის ხმიანობის აღნიშვნით*:

რაგვ-ინ-ი - რჩოლა, რქენა, დაჯახება (ქობ. 569) საქონლისა;

რაგვ-აფ-ა - დაჯახება, შეტაკება, შეხლა (ქობ. 569) მძიმე საგნის, მაგ., მანქანისა[1].

3. *თავად მოქმედებისა და მოქმედების თანმხლები ხმის დიფერენციაციით* (გერსამია 2004: 59, 66-70):

გათქ-ალ-ი „მოძრაობა“ (გადაადგილება);

გათქ-აფ-ი / გათქ-აფ-ა „ხმა“ (ხმაური);

გათქ-უ-ა „ცემა“, „კვრა“[2].

---

[1]ენა ცდილობს ზოგჯერ თავად მასდარებიც განასხვავოს. განსაკუთრებით ეს ეხება „ცემის//გალახვის“ აღმნიშვნელ ხმაბაძვით ზმნურ ფორმათაგან მომდინარე მასდარებს; კერძოდ, „უ-ა სუფიქსიანები გამოხატავენ მოქმედებას თავისთავად - *თქვაშ-უ-ა*“ (გერსამია 2004: 15), -აფ სუფიქსით ნაწარმოები კი „მოქმედების თანმხლებ ხმას - *თქვაშ-აფ-ი*“ (გერსამია 2004: 15). აფ-ა და აფ-ი სუფიქსების პარალელურ ფორმათა შესახებ მსჯელობა იხ. წინა გვერდის სქოლიოში.

[2] ამგვარი დერივაციული (შესაბამისად, სემანტიკური) გადასვლები უგამონაკლისოდ დასტურდება იმ შემთხვევაში, თუკი ფონოსემანტიკური ფუძე ხმის / ხმიანობის აღმნიშვნელია (რ. გერსამია)

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი სემანტიკური დიფერენციაცია ნებისმიერ ფონოსემანტიკურ ფუძესთან არ დასტურდება; ასეთია მაგ. მეტყველების, მოძრაობის... აღმნიშვნელი: *კვაკვალ-ი : კვაკვალ-უ-ა* : „როშვა, განუწყვეტლივ ლაპარაკი“ (ჭარაია 1997: 77); *ჩვაგალ-ი : ჩვაგალ-უ-ა* „სისულელის ლაპარაკი“ ; *ღაფალ-ი : ღაფალ-უ-ა* „ხმამაღალი ლაპარაკი“, *ყაყალ-ი : ყაყალ-უ-ა* „ყაყანი“ (ჭარაია 1997: 144); *ცქიცქონ-ი : ცქიცქონ-უ-ა* „ციცქნა“ ; *ძგიძგონ-ი : ძგიძგონ-უ-ა* „ძიძგნა“...

ზოგჯერ აფიქსური მორფემით განსხვავებული ერთი და იგივე ძირები სემანტიკურად ემთხვევა ერთმანეთს, რაც წარმოქმნის საერთო ძირისა და სინონიმური აფიქსების მქონე ფუძეებს. რომელთა ხარჯზეც მეგრულის ზმნური სინონიმური რიგები იზრდება სხვადასხვა მოქმედების აღმნიშვნელ მასდართა მიმართება ასეთ ენობრივ სურათს იძლევა:

ბატინი - ბატუა, ბარჯინი - ბარჯუა, ბაწკინი - ბაწკუა (მოძრაობა-სიარული),
ბირზინი - ბირზინუა, ბირსინი - ბირსინუა, ჩვიპინი - ჩვიპინუა (ყურება-ცქერა),
დღუმინი - დღუმინუა, ღვეჟელი - ღვეჟელუა (მეტყველება-ლაპარაკი),
პასკვინი -პასკუა, ჩვაპინი - ჩვაპუა (ჯდომა) (გერსამია 2006: 140)

ლ ა ზ უ რ შ ი მასდარის წარმოება ორ განსხვავებულ მოდელში თავსდება: საწყისს აწარმოებს *ო-უ* კონფიქსი, თუ ზმნური ფუძე უზმნისწინოა, ხოლო ზმნისწინის დართვისას რჩება მხოლოდ *-უ* სუფიქსი; პარალელური ფორმები წარმოდგენილია კონფიქსური, ოდენსუფიქსური თუ *-აფ-ა* სუფიქსიანი წარმოებით:

ამა-ხლაპ-უ | ამახლაპ-აფ-ა - „შეხვლეპა“ (თანდ. 24)
ამა-პაც-უ / ამაპაც-აფ-ა / დოპაც-აფ-ა „მიტყეპება“ (თანდ. 21; 219);
გამა-ზურზ-უ / გამაზურზ-აფ-ა „დაბუჟება“ (თანდ. 75);
გე-ჩხიალ-უ / გეჩხიალ-აფა „ჩაჩხრიალება“ ჩხრიალ-ი (ჩხრიალისა) ხმაბაძვ. 1. სწრაფად ჩადენის ხმა (ნაკადულისა...) (თანდ.114);
გო-კიკონ-უ / გოკიკონ-აფ-ა „დაკონკება“ (თანდ. 144);
გოლა-კვარტ-უ / გოლაკვარტ-აფ-ა „მოკუნტული სიარული ტორტმანით“ (თანდ. 146);
გო-ღირღილ-უ / გოღირღილ-აფ-ა „ღრენა“ (თანდ.168);
გო-წინწინ-უ /გო-წინწინ-აფ-ა „გაზმორვა“ (თანდ. 179);
გო-ტკვაცინ-უ „შემოტყლაშუნება, შემორტყმა“ (თანდ. 166) / *გოტკვაცინ-აფ-ა* „გარტყმა“ (თანდ.165);
გო-შანთ-უ / გოშანთ-აფ-ა „უაზროდ გახდომა, დარეტიანება“ (თანდ. 171)
გო-ჭაჭ-უ / გოჭაჭ-აფ-ა „შემოჭეჭყვა“ (თანდ.181);
დოღირინ-უ / დოღირინ-აფ-ა „დაღრენა“ (თანდ. 222);
ეშა-ძანგ-უ „ამოკორტნა“ / ეშაძანგ-აფ-ა „დაძიძგვნა“ (თანდ. 263)
მე-ტკვაცინ-უ / მეტკვაცინ-აფ-ა „დაძგერება“ (თანდ. 460)
მე-ძიცინ-უ / მეძიცინ-აფ-ა „დაცინვა“ (თანდ. 474)
მე-ჭინჭოლ-უ / მეჭინჭოლ-აფ-ა „დაბურდვა, დაპენტვა“ (თანდ. 477)
მო-ზურზ-უ „დაბუჟება“ / *მოზურზ-აფ-ა* „დასიება“ (თანდ. 497)
მო-ჟაფუცხოლ-უ / მოჟაფუცხოლ-აფ-ა „გადაჩიჩქნა“ (თანდ. 518)
მო-ფუცხოლ-უ / მოფუცხოლ-აფ-ა „ჩიჩქნა, ფოცხვა, მოჩიჩქნა“ (თანდ. 522)

მო-ხირხიტ-უ / მოხირხიტ-აფ-ა „მოღუნვა, მოკაკვა“ (თანდ. 533)

ო-ბრიწ-უ / ობრიწ-აფ-უ „ხევა, ფხრეწა“ (თანდ. 59)

ოკო-ჟვარ-უ „დალეწვა (ქარისგან)“ / *გოლანჟვარ-აფ-ა* „მაღალი ბალახბულახის ბლაგვი საგნით დაჟეჟვა“ (თანდ.148), შდრ: მეგრ, ჟვარუა;

ო-ჭყიპ-უ / გეჭყიპ-უ „ჭყლეტა“ (თანდ. 696) / *გეჭყიპ-აფა*, ჭყლეტა“ (თანდ.117).

მოხლიპ-აფ-ა „მოხვლეპა“ / *ო-ხლაპ-უ* „ხვლეპა“ (თანდ. 699);

ო-ლალ-აფ-უ / ო-ლალ-უ „ყეფინება“ (თანდ. 623);

მეტანკ-აფ-ა / *მეტანკ-უ* „მიკაკუნება“ (თანდ. 459) / *ო-ტანკ-უ* „კაკუნი“ (თანდ. 658);

ლაზურში ფონოსემანტიკური მასდარის ფუძე, მეგრულის მსგავსად, სხვადასხვა *დერივატით* ფორმდება, რის გამოც ერთმანეთის პარალელურად ერთი და იმავე ფონოსემანტიკური ძირის სხვადასხვაგვარად ლექსიკალიზებული ფუძეები და სხვადასხვაგვარად გაფორმებული მასდარები დასტურდება, ამიტომ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ფონოსემანტიკური მასდარი განსხვავებული აფიქსებით არის წარმოდგენილი:

ბანგ+ალ-ი, ბანგ+ალ-აფ-ა „ტორტმანი, ბარბაცი“ (თანდ. 50);

ბარბ+ალ-ი, ბარბ+ალ-აფ-ა „ ბორძიკით სიარული ბავშვისა“ (თანდ. 50)

გე-ხარხ+ალ-ი „სწრაფად ადუღება, ხმაურიანი მოხარშვა“ (თანდ. 117) / *ო-ხარხ+ალ-უ „მოხარშვა“* (თანდ. 696)

ო-შაშალ+ინ-უ „შრიალი“ (თანდ. 676), *ო-ჩარჩ+ალ-უ* „შრიალი“ (თანდ. 681);

ო-ჟ+იალ+ონ-ი | ო-ჟ+იალ-უ [1] (თანდ. 649)

გო-ცენცქ-უ / გო-ცინცქ+ოლ-უ „ფანტელ-ფანტელ თოვა, მარცვალ-მარცვალ წვიმა“ (თანდ. 174);

ო-ბგარ-უ „ტირილი“ / ო-ბგარ+ინ-უ „ტირილი“ (თანდ. 590);

ო-ბეჯღ-უ „ხმამაღალი ყვირილი“ (ჩიქობავა 1936:5) (თანდ. 590) / *პეჯღ+ელ-ი* „ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით“; შდრ: მეგრ. ბერჯღელი (თანდ. 712);

ო-გურგულ-ე „ქუხილი“ (თანდ. 595) / *ო-ხონც+ინ-უ* „ქუხილი, გრგვინვა“ (თანდ. 700) / *ღურღ+ულ-ი* „ქუხილი“ (თანდ. 814);

ო-კუს-უ / ო-კუს+ინ-უ „კვნესა“ (თანდ. 623);

ო-ძიც+ინ-უ „გაცინება“ | ო-ძიც-უ „გაღიმება, გაცინება“ (თანდ. 686);

ტკვაც-აფ-ა „სკდომა“ / *ტკაც+ინ-ი* „სკდომა, ფეთქვა“ / *ტკვაც+ომ+ილ-უ / ო-ტკვაც+ინ-უ* „სკდომა, ხეთქვა“ (თანდ. 756) */ო-ტკვაც-უ* „ ხეთქვა, სკდომა, აფეთქება“ (თანდ. 659);

ო-ფუთხ+ინ-უ / ო-ფუთხ-უ „ ფრენა, გაფრენა“ (თანდ. 664);

ო-ძიც+ინ-უ „გაცინება“ / *ო-ძიც-უ* „გაღიმება, გაცინება“ (თანდ. 686);

ო-ტატყალ-უ „ხარშვის დროს თუხთუხი“ (კარტ. ლტ. გვ.15$_{1-2}$) (თანდ. 658) შდრ. *ო-ტატ-უ* „დატიტყვნა“ (თანდ. 658) / *ო-ტატყ-უ* „თუხთუხი“ (თანდ. 658);

ო-ტუტყულ-უ (ხოფ.) / *ტუტყ-ულ-ი* „ადუღება“ (თანდ. 761), შდრ: მეგრ. *ტუტყინი, ტყურტყინი;*

ო-შ+იალ-აფ-უ „შრიალება“ / *ო-შ+იალ-უ* „შრიალი“ (თანდ. 677);

[1]აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ა. თანდილავას ლექსიკონში შეტანილია განმარტებების გარეშე.

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მასდარი სვანურში

საწყისი (resp. მასდარი) ზმნისაგან (იშვიათად აგრეთვე სახელისაგან) ნაწარმოები სიტყვაა, რომელსაც მოეპოვება საკუთარი მაწარმოებლები, წარმომქმნელი მორფოლოგიური ერთეულები. ამ მორფოლოგიურ ერთეულთა საშუალებით თანამედროვე სვანურში დასტურდება მასდარის რამდენიმე სახე, კერძოდ:

1. *უსუფიქსოდ _ მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით წარმოდგენილი მასდარები*, რომელთა გამოყენებას სვანურში სისტემური ხასიათი აქვს. მათ ახასიათებთ ფუძის გაუფორმებლობა, რაც მათ არქაულობაზე მეტყველებს და ისინი ენათმეცნიერთა მიერ კვალიფიცირებულია *პირველად მასდარებად*[1] (არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, ა. დავითიანი, რ. ჭკადუა, მ. საღლიანი...):

> *ბითქ* (ზს., ქს.) „ბათქაბუთქი"; *ბიტყ* (ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; *ზღუიპ* (ჩოლ.) „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა"; *რისტ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა"; *ტკიჩ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ჯოხის, ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"; *ტკუიპ* (ბქ.) „ტკაპანი"; *ტურიმ* (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"; *ტყუიფ* (ბქ.) „ხელის გარტყმის ხმა"; *ღრიჭ* (ზს., ქს.) „ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული"; *ყულიჩ* (ბქ.) „ღრჭიალი, ღრიჭინი"; *შკუიფ* (ბქ.) „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"; *ჩხუიფ* (ბქ.) „მსხვრევის ხმა"; *წყიგ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი"; *ჭიხ* (ზს.) „ჭახჭახი, ჭახანი; გარტყმის ხმა"; *ჭკუიპ* (ბქ.) „ძაფის გაწყვეტის ხმა"; *ხურიმ* (ბქ.) "ხრამუნი"; *ხურიპ* (ზს., ლშხ., ჩოლ.) „ხვრეპა"...

ამ ტიპის მასდარები, ძირითადად, დამახასიათებელია ფონოსემანტიკური ლექსიკისათვის და მათი უმეტესი ნაწილი შემონახულია იდიომატურ გამოთქმებში (მაგ.: *გუიდ აშ დგუიბ ენკიდ* (ბქ.) „გულმა დაიგუგუნა („*გულ-მა* ასე ბაგაბუგი აიღო")", *ღუინაწლს ხურიპ ახღანე* (ბქ.) „ღვინო ხვრეპით დალია („*ღვინო-ს ხვრეპა* გაადინა")", *ბეფშუს ჭიხ ახღანე* (ბქ.) „ბავშვს გაარტყა („*ბავშვ-ს ჭახან*-ი გაადინა")" და მრავ. სხვ.), თუმცა ისინი ხშირად ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულებიც (მაგ.: *იმემ ხურიმ ჯარ?* (ბქ.) „რას ახრამუნებ („რისი *ხრამ*-უნ-ი გაქვს?")?", *მოლემ ღრიჭ მესმოუ* (ბქ.) „რაღაცის ღრჭიალი მესმოდა", *ჩხიკ ესერ ახსგმა* (ბქ.) „ჩხაკუნი გავიგონეო („*ჩხაკ*-უნ-ი-ო ⌜მო⌝-*სმ*-ენ-ი-ა")" და ა. შ. _ საღლიანი 2015:164) ანუ ე. წ. "პირველადი მასდარები" გარკვეულ ზმნებთან კომბინაციაში ექსპრესიული შინაარსის მოქმედებას გამოხატავენ (ჭკადუა 2013:237).

2. *-უნ/-უნ, -ენ/-ენ, -ინ/-ინ* და *-ეუ/-ეუ* სუფიქსიანი მასდარები, ასევე, ძირითადად, ფონოსემანტიკური ლექსიკისთვისაა დამახასიათებელი[2].

---

[1] ამ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში „სახელურ-ზმნურ" ფუძეებსაც უწოდებენ (იხ. ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იკე, XXXVI, თბ., 2008, გვ. 315-331).

[2] *-უნ/-უნ* და *-ენ/-ენ* სეგმენტიანი რთული სტრუქტურის ფუძეები (*ჭურჭყუნ* (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი", ხურჭკუნ (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა"; *ჟგრჟღენ* (ბქ.) „ჟღარუნი", *ცგრცხენ* (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი", *ჭგრჭყენ* (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭყენ* (ბქ., ლნტ.) „ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი" და ა. შ.), რომლებიც სავარაუდოდ რედუპლიკაციის გზით მიღებულად არის მიჩნეული, *სიტყვაწარმოების დონეზე ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები* და შესაბამისად რედუპლიკაციაც დაჩრდილულია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ. საღლიანი 2015:158-184.

ა) *-უნ/-ულ:* *დგურბ-უნ* (ბქ., ჩოლ.) „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"; *ზურზ-უნ* (ლნტ.) „ზუზუნი; ზარი, ზრუნი"; *თხურპ-უნ* (ბზ., ლშხ.), *თხურპ-უნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „თუხთუხი; სრუტუნი"; *კურკ-უნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კურკ-უნ* (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი"; *ჟურყ-უნ* (ბქ.) „ტყლაშუნი"; *სგურჭ-უნ* (ბქ.) „ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა"; *ტურმ-უნ* (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"; *ტყურსგ-უნ* (ბზ.), *ტყურსგ-უნ* (ბქ.) „ტკაცანი, ტკაცატკუცი; თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ტყორცნის ხმა"; *ტყურფ-უნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტყურფ-უნ* (ბქ., ლნტ.) „ტკაცანი, სროლის ხმა"; *ფურსდ-უნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდ-უნ* (ბქ., ლნტ.), *ფურსტ-უნ* (ბქ.) „ჩურჩული"; *ღურღ-უნ* (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"; ყურყ-უნ (ბქ.) „მუცლის ბუყბუყი"; *შყურგ-უნ* (ბქ.) „ბრაგუნი"; *ჩხურმ-უნ* (ბზ.), *ჩხურმ-უნ* (ბქ.) „ლაწალუწი"; *ჩხურტ-უნ* (ბქ.) „ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში"; *ცურცხუნ* (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"; *ძგურბ-უნ* (ბზ.), *ძგურბ-უნ* (ბქ.) „˹გა˺გლეჯის, გაწყვეტის ხმა (მაგ., თოკისა, ძაფისა...)"; *წურწკ-უნ* (ბზ.), *წურწკ-უნ* (ბქ., ქს.), შდრ. *წკულ/წკულ* „წკმუტუნი; წუწუნი"; *ჭურჭყ-უნ* (ბქ.) „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"; *ხურჭკ-უნ* (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა"; *ხურხ-უნ* (ბზ.) „კრუტუნი (კატისა)"; *ჯურჯღ-უნ* (ჩბხ., ლხმ.) „ჯუჯღუნი, ბუზღუნი"...

ბ) *-ვნ/-ვნ:* *ბგრთქ-ვნ* (ბზ.), *ბგრთქ-ვნ* (ბქ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით"; *ზგრზ-ვნ* (ბზ., ლშხ.) *ზგრზ-ვნ* (ბქ., ჩოლ.) „ზუზუნი; ბუზღუნი; ზანზარი"; *თქგრშ-ვნ* (ლშხ., ჩოლ.) „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი"; *თხგრპ-ვნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „თხუპუნი"; *კვლკ-ვნ* (ბქ., ჩოლ.) „ლიკლიკი"; *მგრტყ-ვნ* (ბქ.) „უშნო ჭამა ხმის გამოცემით"; *ჟღგრმ-ვნ* (ბზ., ლშხ.), *ჟღგრმ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღავილი"; *ჟგრჟღ-ვნ* (ბზ., ლშხ.), *ჟგრჟღ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღარუნი"; *ტკგრჩ-ვნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტკგრჩ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"; *ტყგრგ-ვნ* (ლშხ., ჩოლ.) „ფეხშიშველა, მსუქანი ადამიანის სირბილი"; *ტგრტყ-ვნ* (ბზ.), *ტგრტყ-ვნ* (ბქ.) „ტატყანი"; *ფხგრკ-ვნ* (ბზ., ლშხ.), *ფხგრკ-ვნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ფხაკუნი"; *ფხგრჭ-ვნ* (ბზ., ლშხ.), *ფხგრჭ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ფხაჭუნი (თაგვისა...)"; *ფგრთქ-ვნ* (ბზ.)/*ფგრთქ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ბაგაბუგი, ფრთქიალი"; *ფგრჩხ-ვნ* (ბზ., ლშხ.), *ფგრჩხ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"; *ღგრწკ-ვნ* (ბზ., ლშხ.), *ღგრწკ-ვნ* (ბქ., ლნტ.) „ღრიჭინი, ღრჭიალი"; *ყგრჭ-ვნ* (ჩოლ.) „გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"; *შგრთქ-ვნ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით"; *შგრშხ-ვნ* (ბზ., ლშხ.), (ბქ., ლნტ.) „შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"; *ცქგრტ-ვნ* (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"; *ძგრწკ-ვნ* (ბქ.) „ღრჭიალი"; *წგრწკ-ვნ* (ბქ.) „გაბზარვის ხმა"; *ჯგლჯგ-ვნ* (ბქ.), *ლი-ჯჯგვნ-ე* (ზს., ქს.) „ძუნძული, ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"...

გ) *-ინ/-ონ:* *კგრკ-ინ* (ჩოლ.) „კისკისი"; *ფგრღ-ონ* (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი"; ყგრყ-ინ (ბზ.) „პირდაღებული ტირილი"; *ჩგრჩხ-ინ* (ბზ.) „ჩხარუნი"; „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"; *ცგრღ-ონ* (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი"; *ცგრცხ-ინ* (ბზ., ჩოლ.) „დუღილი, ფუცხუნი"...

დ) *-ეუ̂/-ეუ̂:* *ტიმტ-ეუ̂-ა* (ბქ.) „აურზაური, აყალმაყალი"; *ფგც-ეუ̂-ა* (ბზ., ლშხ.), *ფგც-ეუ̂-ა* (ბქ., ლნტ.) „ფუთფუთი (ფრინველებისა, ჭიაღუებისა)"; *ჭიმჭკ-ე/ეუ̂-ა* (ჩოლ.) „ხმაური (ბავშვებისა)"; *ჭკლ-ეუ̂-ა* (ლშხ.) "ხმაური (დიდი)"; *ჭგნჭყ-ეუ̂-ა* (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)"; ჯგლ-ეუ̂-ა (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)"; *ხლ-ეუ̂-ა* (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)"; *ჯგნჯღ-ეუ̂-ა* (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)"...

3) -ა სუფიქსით ნაწარმოები მასდარები: *ტყაც-ა* (ბზ.), *ტყეც-ა* (ბქ.) „რღვევა”; *დღელ-ა* (ბქ.) „გლეჯა”; *ბაჭკუ-ა* (ბზ., ლნტ.), *ბეჭკუ-ა* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „სკდომა”; *ძგუბა-ა* (ბზ., ლნტ.), *ძგუებ-ა* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „გლეჯა”; *თხერ-ა* (ზს., ქს.) „სკდომა”; *ცქუეფ-ა* “ხეთქვა, წყდომა”; *ხაპ-ა* (ბზ., ლნტ.), *ხეპ-ა* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ხეთქვა”..., თუმცა მსგავსი წარმოება ფონოსემანტიკური ლექსიკისათვის ნაკლებ დამახასიათებელია. აღნიშნული სუფიქსი, როგორც ცნობილია, საერთოქართველური სუფიქსია და ძირითადად ფუძედრეკად ზმნათაგან ნაწარმოებ საწყისთათვის არის დამახასიათებელი (ჭკადუა 2005: 323). ვ. თოფურია, -ა სუფიქსიან მასდარებს, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, განყენებულ *მა-* პრეფიქსიან სახელებს უტოლებს (თოფურია 1967: 213), მათ სუბსტანტიურ ხასიათზე მიუთითებენ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი და ბ. ჯორბენაძე (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 210; ჯორბენაძე 1980: 136), ა. არაბულის თვალსაზრისით კი, -ა სუფიქსი ისტორიულად მასუბსტანტივებელ -ა ელემენტს უკავშირდება (არაბული 2001: 85).

როგორც რ. ჭკადუა შენიშნავს, საერთოქართველურ -ა სუფიქსისს ხშირად ენაცვლება სვანურში ქართულიდან შემოსული, აბსტრაქტულ ცნებათა მაწარმოებელი *ობ-ა* სუფიქსი (ჭკადუა:იქვე), შესაბამისად კი ერთ-ერთ მოდელად შესაძლოა გამოვყოთ *-ობ* სუფიქსიანი მასდარებიც.

4. *-ობ* სუფიქსიანი მასდარები: *შდაბ-ობ* (ბზ.) „˹ამო˺წყვეტა”; *ცუერ-ობ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „˹მი˺ტოვება”; *ხუეტ-ობ* (ზს.), *ხეტ-ობ* (ლხმ., ქს.) „˹ამო˺წყვეტა”; *ჭკეჟ-ობ* „˹ამო˺წყვეტა”; *მაადარ-ობ* (ბქ.) „შიმშილობა”; *დრრ-ობ* (ბზ.), *დირ-ობ* (ბქ.) „პურობის, სადილობის დრო”; *გახუ-ობ* (ზს.) „დიდი ყინვების ან დიდი გვალვების დრო” და ა. შ.

აღნიშნული მასდარული ფორმები დიდი რაოდენობით დასტურდება სვანურში და ისინი თავისთავად გულისხმობენ ზოგადად რაღაცის დროს (იხ. საღლიანი 2015: 30-57), თუმცა მსგავსი წარმოება ფონოსემანტიკური ლექსიკისათვის არ არის დამახასიათებელი.

ზემოთ წარმოდგენილი მოდელების პარალელურად სვანურში დასტურდება პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები საწყისებიც. საწყისის მორფემის ვარიანტებად კი მიჩნეულია *ლი _ ე, ლი _ ი, ლი-*. მათი განაწილების წესების დადგენა, ალ. ონიანის აზრით, შესაძლებელია აწმყოს მწკრივის ფორმებიდან ამოსვლით (ონიანი 1998: 262).

მეხუთე მოდელად წარმოვადგენთ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ ფონოსემანტიკური ლექსიკის შემცველ საწყისებს, რომელიც თავის მხრივ ქვეჯგუფებად დაიყოფა.

5. *ლი _ ე, ლი _ ი, ლი- პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები საწყისები*:

ა) *ლი _ ე: ლი-რღუნ-ე* „ნჯღრევა” (შდრ.[1] *ა-რღუნ-ე* „ანჯღრევს”); *ლი-რკუნ-ე* „კანკალი” (შდრ. *ა-რკუნ-ე* „კანკალებს”); *ლი-ჯჯგგნ-ე* „კანკალი” (შდრ. *ა-ჯჯგგნ-ე* „კანკალებს”); *ლი-ტრანკუნ-ე* „მსუქანი, უშნო აღნაგობის ქალის ლაპარკი” (შდრ. *ა-ტრანკუნ-ე* „მსუქანი, უშნო აღნაგობის ქალი ლაპარაკობს; ტრაკუნობს”); *ლი-ტლანმფუნ-ე* „დედაკაცის მიერ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკი, ტყუილების თქმა” (შდრ. *ა-ტლანმფუნ-ე* „ლაპარაკობს, ცრუობს დედაკაცი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით”); *ლი-ფრონწკუ-ე* “ფრთხილად შენჯღრევა, გაღვიძება” (შდრ. *ა-ფრონწკუ-ე* „მძინარეს ფრთხილად ანძრევს, რომ გააღვიძოს”); *ლი-ყრანჭუნ-ე* „მაღალი, გრძელკისერა ადამიანის ლაპარაკი” (შდრ. *ა-ყრანჭუნ-ე* „მაღალი,

[1] შესადარებლად მოგვყავს აწმყოს ფორმები, ვინაიდან *ლი- _ -ე* ალომორფი წარმოდგენილია იმ ზმნათა საწყისებში, რომელთაც აწმყოს მწკრივის ნიშნად *-ე, -ა* სუფიქსები აქვთ (ონიანი 1998: 263), თუმცა, როგორც ფონოსემანტიკურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ეს წესი ყოველთვის არ მოქმედებს და ხშირად ბალანსი ირღვევა.

გრძელკისერა ადამიანი ლაპარაკობს"); *ლი-ღენჯურ-ე/ლი-ღენჯურ-ე* „ხრვა ძვლისა..." (შდრ. *ი-ღენჯურ-ე/ი-ღენჯურ-ე* „იხრავს ძვალს..."); *ლი-გენჯურ-ე* „ხრვა ძვლისა, ვაშლისა..." (შდრ. *ი-გენჯურ-ე* „იხრავს ძვალს, ვაშლს..."); *ლი-ღვრტინ-ე* „რაიმე საქმის გამო ყელის თხრა საყვედურებით" (შდრ. *ი-ღვრტინ-ე* „რაიმე საქმის გამო ყელს ითხრის საყვედურებით"); *ლი-ღუშ-ე* „ხარბად სმა ღვინისა..." (შდრ. *ი-ღუშ-ე* „ხარბად სვამს ღვინოს..."); *ლი-ჟილყ-ე* „მსუქანი კაცის ხტომა, ვარდნა" (შდრ. *ი-ჟილყ-ე* „მსუქანი კაცი ხტება, ვარდება"); *ლი-ყრჲჯნ-ე* „ყლურწვა" (შდრ. *ი-ყრჲჯნ-ე* „ყლურწავს"); *ლი-ძენძურ-ე* „მოგლეჯვა, მოხევა" (შდრ. *ი-ძენძურ-ე* „იგლეჯს, იხლეჩს, იხევს"); *ლი-ჰწკ-ე* „მოციცქნვა, მოხევა" (შდრ. *ი-ჰწკ-ე* „აციცქნის, ახევს") და სხვ.

ბ) *ლი _ ი: ლი-ყანყლაუ̈-ი* „დიდი ლუკმებით უშნოდ ჭამა, ყლაპვა" (შდრ. *ა-ყანყლაუ̈-ი* „დიდი ლუკმებით უშნოდ ჭამს, ყლაპავს"); *ლი-ღვრმა̈ნ-ი* „ცრემლების ღვარღვარი" (შდრ. ა-ღვრმა̈ნ-ი „ცრემლებს აღვარღვარებს"); *ლი-შკფგნა̈ლ-ი/ლი-შკფგნა̈ლ-ი* „კაკუნი, ხმაური" (შდრ. *ა-შკფგნა̈ლ-ი/ა-შკფგნა̈ლ-ი* „აკაკუნებს, ხმაურობს"); *ლი-წურწალ-ი* „მწვადის შეწვა, შიშხინი" (შდრ. *ა-წურწალ-ი* „მწვადს წვავს, აშიშხინებს"); *ლი-ყლენტა̈ლ-ი* „დიდი ლუკმებით უხეშად ყლაპვა" (შდრ. *ი-ყლენტა̈ლ-ი* „დიდ ლუკმებს უხეშად ყლაპავს"); *ლი-ქლენთა̈ლ-ი* „დიდი ლუკმებით უხეშად ყლაპვა ქონიანი ხორცისა; თქვლეფა" (შდრ. *ი-ქლენთა̈ლ-ი* „უხეშად ყლაპავს ქონიანი ხორცის დიდ ლუკმებს; თქვლეფს"); *ლი-ძგემბულ-ი* „მიწიანად, ამოგლეჯვით ჭამა, ძოვა" (შდრ. *ი-ძგემბულ-ი* „მიწიანად, ამოგლეჯვით ჭამს, ძოვს"); *ლი-ბენგულ-ი* „დიდი ტანის საქონლის მიერ მიწაზე დაყრილი თივის ღერების ჭამა, შეგროვება" (შდრ. *ი-ბენგულ-ი* „დიდი ტანის საქონელი მიწაზე დაყრილ თივის ღერებს ჭამს, აგროვებს"); *ლი-ჴშდა̈ნ-ი* „ღრღნა, ხრვა" (შდრ. *ი-ჴშდა̈ნ-ი* „ღრღნის, ხრავს"); *ლი-პამპლ-აუ̈-ი* „ჩქარ-ჩქარა ჭამა რბილი საჭმლისა, რომელსაც დაღეჭვა არ სჭირდება" (შდრ. ი-პამპლ-აუ̈-ი „ჩქარ-ჩქარა ჭამს რბილ საჭმელს"); *ლი-კოკნ-აუ̈-ი* „პატარა ლუკმებით ჭამა, ˹წა˺კიკნა" (შდრ. *ი-კოკნ-აუ̈-ი* „პატარა ლუკმებით ცოტას ჭამს, კიკნის"); *ლი-თხენსკ-ა̈ლ-ი* „კენკვა; ფრინველის ჭამა" (შდრ. *ი-თხენსკ-ა̈ლ-ი* „კენკავს, ჭამს ფრინველი") და ა. შ.

ლი _ ი ალომორფით იწარმოება იმ ზმნათა საწყისი, რომელთა მოქმედებითი გვარის აწმყო -ი ალომორფიანია (ონიანი 1998: 264).

გ) *ლი-: ლი-ღრა̈ლ/ლი-ღრა̈ლ/ლი-ღრა/ა̈ლ* „მღერა" (შდრ. *ი-ღრა̈ლ/ი-ღრა̈ლ/იღრა/ა̈ლ* „მღერის"); *ლი-იბრია̈ლ* "მღერა" (შდრ. *ი-ბრია̈ლ* „მღერის"); *ლი-ლჭა̈ლ/ლი-რჭა̈ლ/ლი-რეჭა̈ლ* „მოთქმით ტირილი" (შდრ. *ი-ლჭა/ა̈ლ/ი-რჭა̈ლ/ი-რეჭა̈ლ* „მოთქვამს, ტირის"); *ლი-ციწგლაუ̈ალ* „ფეხის წვერებით სიარული; ხეტიალი" (შდრ. *ი-ციწგლაუ̈ალ* „ფეხის წვერებით დადის; დახეტიალობს"); *ლი-ბლრ̈უანწ̈ლ/ლი-ბლიუ̈ანალ/ლი-ბლრ̈უიელ* „გაოცებული, დაბნეული ყურება" (შდრ. *ი-ბლრ̈უანწ̈ლ/ი-ბლიუ̈ანალ/ი-ბლრ̈უიელ* „გაოცებული, დაბნეული იყურება"); *ლი-ყუ̈ირ-ანა/ა̈ლ* „უაზროდ, უდარდელად ყურება" (შდრ. *ი-ყუ̈ირ-ანა/ა̈ლ* „უაზროდ, უდარდელად იყურება"); *ლი-ყ̈რჲელ/ლი-ყარე/ალ* „ჩხუბი" (შდრ. ი-ყ̈რჲელ/ი-ყარე/ალ „ჩხუბობს"); *ლი-გუ̈ირანალ* „უქუდოდ, უთავსაფროდ ყოფნა, სიარული" (შდრ. *ი-გუ̈ირანალ* „უქუდოდ, უთავსაფროდ დადის"); *ლი-თუ̈ედიელ/ლი-თოდა̈ლ/ლი-თრ̈დიელ/ლი-თუ̈ედიელ* „აქეთ-იქით სიარული, უქმად ყიალი" (შდრ. *ი-თუ̈ედიელ/ი-თოდა̈ლ/ი-თრ̈დიელ/ი-თუ̈ედიელ* "აქეთ-იქით დადის, უქმად დაყიალობს"); *ლი-ტყინგოლა̈ლ* „მსუქანი ქალის სიარული" (შდრ. *ი-ტყინგოლა̈ლ* „მსუქანი ქალი დიდის"); *ლი-რიჭუ̈ანალ* „ყურებდაცქვეტილი აქეთ-იქით ყურება" (შდრ. *ი-რიჭუ̈ანალ* „ყურებდაცქვეტილი იყურება აქეთ-იქით"); *ლი-დრ̈ნდა̈ლ/ლი-დონდალ* „მსუქანი ქალის ნელი სიარული" (შდრ.

ი-დრნდაწლ/ი-დონდალ „მსუქანი ქალი ნელა დადის”); *ლი-ტყლიგაწლ/ლი-ტყიგანაწლ/ლი-ტყიგანალ* „ტიტველი სიარული” (შდრ. *ი-ტყლიგაწლ/ი-ტყიგანაწლ/ი-ტყიგანალ* „ტიტველი დადის”); *ლი-კანკუნალ* „მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლით ძლივს სიარული” (შდრ. ი-კანკუნალ „მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლით ძლივს დაიარება”); *ლი-თგრანაწლ/ლი-თგრანალ* „თრევა” (შდრ. *ი-თგრანაწლ/ი-თგრანალ* „დაეთრევა”); *ლი-შგრუანაწლ* „ბღვერა” (შდრ. *ი-შგრუანაწლ* “იბღვირება”); *ლი-შიუანალ* „შავთვალწარბა ადამიანის ბღვერა, ყურების მანერა” (შდრ. *ი-შიუანალ* „შავთვალწარბა იბღვირება, იყურება”); *ლი-სუიტანალ* „ბღვერა, ბუტიაობა” (შდრ. *ი-სუიტანალ* „იბღვირება, იბუტება”) და მრავ. სხვ.

ლი- ალომორფი არის, ერთი მხრივ, *ნულოვანალომორფიანი* აწმყოს შესაბამისი საწყისის მაწარმოებელი, ხოლო, მეორე მხრივ, *_ ვნებითი გვარის* ნებისმიერი საწყისისა (ონიანი 1998: 264). მისი გამოყენება მასდარის მაწარმოებელ პრეფიქსად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, სხვა მაწარმოებლებთან შედარებით, გაცილებით უფრო ხშირია (ჭკადუა 2005: 323).

სვანურში დასტურდება, აგრეთვე, *მა-ლატ* „სიყვარული”, *მა̈-სისგ* „სიძულვილი”, *მა-ყალ* „შიში”, *მა̈-ზიგ/მა-ზიგ* „სენი, ტკივილი”, *მა̈-ღუ̈რა/მა-ღუ̈რა* „ფიცი”, *მა-ლრნა* „წყენა”, *მა-ტკლაბ* „სიძუნწე” და ა. შ. ტიპის ფორმები, რომლებიც მიჩნეულია განყენებულ (ე. წ. აბსტრაქტულ) სახელებად და არა _ საწყისებად (თოფურია 1967: 212, 213; ონიანი 1998:264).

უსუფიქსოდ _ მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით წარმოდგენილი მასდარებიდან (მაგ.: *ბითქ, სგუ̈იჭ, სიტ, ტყიპ, შკუ̈იფ, ჯიჭკ...*) იწარმოება როგორც *-უ̈ნ/-უ̈ნ* და *-ე̄ნ/-ენ* სუფიქსიანი (მაგ.: *ბურთქ-უ̈ნ, სგურჭ-უ̈ნ, შკურფ-უ̈ნ...; ბერთქ-ე̄ნ, სერტ-ენ, ტყერპ-ენ, შკერფ-ენ...*), ისე *ლი _ ე, ლი _ ი, ლი-* პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები საწყისებიც (მაგ.: *ლი-ბერთქენ-ი, ლი-სგურჭუ̈ნ-ი, ლი-სერტენ-ი, ლი-ტყერპენ-ი, ლი-შკერფენ-ი...*). *-ა* სუფიქსით ნაწარმოებ მასდარებს (*ტყა̈ც-ა, ბა̈ჭკუ̈-ა, ძგუ̈ა̈ბ-ა, ცქუ̈ეფ-ა, ხა̈პ-ა...*) არ მოეპოვებათ *-უ̈ნ/-უ̈ნ, -ე̄ნ/-ენ, -ი̄ნ/-ინ* სუფიქსიანი კორელატები, სამაგიეროდ ეწარმოებათ *ლი-* პრეფიქსით ნაწარმოები საწყისები (*ლი-ტყეც, ლი-ბეჭკუ̈, ლი-ძგუ̈ებ, ლი-ცქუ̈ეფ, ლი-ხეპ...*). რაც შეეხება *-ეუ̈/-ე̄უ̈* სუფიქსიან მასდარებს, რომლებიც სისტემას არ ქმნიან სვანურში, მათ მასდარის მაწარმოებელი არც ერთი სხვა აფიქსი არ დაერთვით; მოქმედება-მდგომარეობის შინაარსს სწორედ თავად ეს სუფიქსები გადმოსცემენ და ისინი, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, შესაძლოა, ქართული *ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-, წრიალ-, გრიალ-, კრიალ-* ... ტიპისა იყოს (საღლიანი 2015: 180).

საწყისის (resp. მასდარის) მაწარმოებელი მორფოლოგიური ერთეულების სქემა:

უსუფიქსო _ მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძე	ოდენსუფიქსური წარმოება	პრეფიქს-სუფიქსური წარმოება	ო დ ე ნ პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი წარმოება
-0-	-უ̈ნ/-უ̈ნ	ლი _ ე	ლი-
	-ე̄ნ/-ენ	ლი _ ი	
	-ი̄ნ/-ინ		
	-ე̄უ̈/-ეუ̈		
	-ა		
	-ობ		

ფონოსემანტიკური ზმნის ასპექტი და მოქმედების სახეები[1]

ასპექტი ქართველურ ენებში ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ძველ ქართულში ასპექტის გაგება ზმნურ ნაკვთებს, შესაბამისად, უღლების კატეგორიას მჭიდროდ უკავშირდება. ენის განვითარების ისტორია ადასტურებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ასპექტი დიაქრონიულად და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, ვიდრე სინქრონიულ დონეზე. ძველ ქართულში ზმნური სისტემისთვის ნიშანდობლივია დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის დაპირისპირება. თანამედროვე ეტაპზე ქართველურ ენებში ასპექტის გამოხატვის ჩამოყალიბებული სისტემა არსებობს სრული და უსრული სახეების მიხედვით, რომელთა გარჩევა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების დაპირისპირებით ხდება[2]. ამ წესს მიჰყვებიან დინამიკური გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. სრული და უსრული ასპექტის გარჩევა დროულ, კერძოდ, აწმყო-მყოფადის მიხედვით დაპირისპირებასთანაც არის დაკავშირებული: *წერს* (აწმყო, უსრული ასპექტი) - *და-წერს* (მყოფადი, სრული ასპექტი)[3]. ზოგადად ასპექტის კატეგორია მოქმედების რაგვარობას გამოხატავს; კერძოდ, მოქმედება დასრულებულია თუ დაუსრულებელი, უწყვეტი თუ წყვეტილი, განგრძობითი, დიურატიული თუ წერტილოვანი, მომენტობრივი. „თანამედროვე ქართველური ენებისთვის ისტორიულად ამოსავალია ასპექტის გამოხატვის ის სისტემა, რომელიც ძველ ქართულში დასტურდება. „[ძველ ქართულში] ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით პრევერბი თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს. ძირითადია დაპირისპირება არა სრულსა და უსრულ ასპექტს შორის, არამედ მომენტობრივსა და დიურატიულ ასპექტს შორის“ (მაჭავარიანი 1974: 140). *ი-* პრეფიქსიანი მედიოაქტიური ზმნები ძველ ქართულში ასპექტის მიხედვით დაპირისპირებულ ფორმებს წარმოაჩენენ I-სა და II სერიაში: *ი-სტუენს* (აწმყო) - *ი-სტჯნა* (ნამყო ძირითადი, [იგივე აორისტი]) (ნოზაძე 1974: 36). თანამედროვე ქართულში „I სერიის უწყვეტელი გამოხატავს განგრძობილ ასპექტს, II სერიის წყვეტილი - მომენტობრივს, მაგრამ ეს დაპირისპირება დღევანდელ ქართულში უკვე მკრთალია“ (ჭუმბურიძე 1986: 28).

თანამედროვე ქართული ენის მოდელის მიხედვით მედიალური ზმნები უასპექტოა, რადგან სრული ასპექტის საწარმოებლად ზმნისწინი გამოიყენება: „ზმნათა ერთ წყებაში ასპექტის დეფექტურობა იმით არის გამოწვეული, რომ ისინი ზმნისწინს საზოგადოდ არ დაირთავენ, მეორე წყება კი ზმნისწინს დაირთავს, მაგრამ ამით სრული ასპექტის გაგებას ვერ იძენს. ზმნისწინი მხოლოდ მიმართულებას აღნიშნავს“ (შანიძე 1973: 265-266). შდრ: *ქაქანებს - მი-ქაქანებს*[4]. ზ. ჭუმბურიძეს უფრო მართებულად მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში საუბარი იყოს *ასპექტის დეფექტურობაზე,* რომლის დროსაც ზმნას მოეპოვება მხოლოდ ერთი ასპექტი და აკლია საოპოზიციო ფორმა. ა. შანიძისეულ უ ა ს პ ე ქ ტ ო ზმნებს ზ. ჭუმბურიძე უწოდებს ა ს პ ე ქ ტ ნ ა კ ლ ზმნებს. „ყველა ზმნა არ იცვლება ასპექტის მიხედვით, მაგრამ ყოველი ზმნური ფორმა ეკუთვნის რომელიმე ასპექტს“[5] .

[1]ქართული „მოქმედების სახე“ ფარდია ტერმინებისა: გერმ. Aktionsart, რუს. „способ действия” (საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. ჭუმბურიძე 1986: 30-35).

[2]ლაზური, ასპექტის გადმოცემის თვალსაზრისით, გვიჩვენებს როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ვითარებას, იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 309-310

[3]დაწვრ. იხ. შანიძე 1973: 269-289.

[4]მედიალურ და განსაკუთრებით ფონოსემანტიკური ჯგუფის ზმნებთან ზმნისწინის ფუნქციის შესახებ მსჯელობა იხ. მონოგრაფიის 383 - 388 გვერდებზე.

[5]თ. ზურაბიშვილი, ასპექტის გამოხატვის საშუალებანი ქართულში, 1963, გვ. 41-45; ვიმოწმებთ ზ. ჭუმბურიძის ნაშრომის მიხედვით, 1986 : 25.

დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბებამდე ზმნების ფორმაცვალებადობა ხდებოდა ორწევრა სისტემით, ანუ ასპექტური ოპოზიციით, რაც „უწინარესობასა“ და „შემდგომობას“ - განგრძობითობისა და წყვეტილის ენობრივ ასახვას გულისხმობდა. ადამიანი აზროვნების ადრეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, კმაყოფილდებოდა *სტატიკის, მდგომარეობის* კონსტატაციით, რაც ნიშნავდა ენობრივად გაუდიფერენცირებელი დენადობის - დიურატიულობისა და მომენტობრიობის აღწერას. დიაქრონიული მონაცემებით ცნობილია, რომ აწმყო-მყოფადი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „განგრძობით“ ანუ „დიურატიულ“ ასპექტს უწოდებენ, ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში *„სტატიკისა და დინამიკის მკვეთრი, ფორმალური დაპირისპირების ნიადაგზე მადინამიკურებელი, მააქტივებელი სუფიქსების, -ავ, -ოვ, -ებ, -ობ..., დართვის შედეგად* წარმოიქმნა დროთა სამწევროვანი სისტემა დრო-კილოთა მთელი თავისი თანმიმდევრული რიგებით“ (მელიქიშვილი 2014:48). მომენტობრივი მოიცავდა უკვე მომხდარს, მახსოვრობაში აღბეჭდილს, რაც თავისთავად წარსულს გულისხმობს, ხოლო დიურატივი იმას, რაც განგრძობითია, ჩვეულებითია (ე.წ. „ზოგადი აწმყო“), განუსაზღვრელი, გაუდიფერენცირებელი მდინარებაა, რომელიც შეიცავს უშუალოდ აღქმადს, იმას, რაც ახლაცაა და იმასაც, რასაც დასასრული არა აქვს, ე.ი. მომავალშიცაა შესაძლებელი. არნ. ჩიქობავას აზრით, „ზმნის უღვლილების დასაწყის ეტაპებზე გარდამავალი ზმნის ორი ასპექტი გაირჩეოდა (განგრძობითი და ერთბაშა) და ორი „ნაკვთი“ გვქონდა: ხოლმეობითი და ნამყო ძირითადი. ნამყო ძირითადი ხოლმეობითს უპირისპირდებოდა ასპექტის მიხედვით. ხოლმეობითი ასრულებდა იმ როლს, რაც შემდეგში აწმყოს დაეკისრა; ამიტომაა, რომ ძველ ქართულში ე.წ. II ხოლმეობითის ფორმები გადმონაშთის სახით აწმყოსაც გამოხატავენ და მომავალსაც. ხოლმეობითი აწმყოს ჩამოყალიბების შემდეგაც კარგა ხანს გამოდიოდა აწმყოს მონაცვლედ: „ერთი მეორის გვერდით არსებობდა არქაული და მერმინდელი ნაკვთები თავ-თავისი ფუნქციით” (ჩიქობავა 1948: 80). ძველ ქართულში თითოეულ ნაკვთთან მხოლოდ ერთი ასპექტის გაგება იყო დაკავშირებული, მაგალითად, ორივე სახის წყვეტილი (*ვკეცე, და-ვკეცე* - ნ. ძირითადი) სრული ასპექტისა იყო. „ასპექტები ნაკვთების მიხედვით ასე იყო განაწილებული: I ჯგუფის ნაკვთები განგრძობითი (უწყვეტელი) ასპექტისა იყო, II ჯგუფის ნაკვთები (გარდა ხოლმეობითისა), წყვეტილ (მომენტობრივ) ასპექტს გამოხატავდა. ხოლმეობითი (პერმანსივი), მიუხედავად იმისა, რომ თავისი ფუძით აორისტის ჯგუფს ეკუთვნოდა, ასპექტის თვალსზრისით პირველი ჯგუფის დრო-კილოებს ეკედლებოდა“ (მაჭავარიანი 1974:23). აღნიშნული მსჯელობის მიხედვით I და II სერიის მწკრივები ძველ ქართულში შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

I ჯგუფი - განგრძობითი ასპექტი
აწმყო, ნ. უსრული (ახ. ქართ. უწყვეტელი), I კავშირებითი

II ჯგუფი - მომენტობრივი ასპექტი
ნ. ძირითადი (ახ. ქართ. წყვეტილი), II კავშირებითი
ხოლმეობითი - განგრძობითი ასპექტი (იხ. I ჯგუფი)

ზმნური ფორმების განვითარების პირველ ეტაპზე მომენტობრივი ასპექტი მარტივი R-Ø თემით (ფუძით) უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, დიურატივი მასთან ოპოზიციას -*ი* სუფიქსით ქმნიდა. დინამიკური ფორმების თანდათან განვითარებასთან ერთად ოპოზიცია წყვეტილი ასპექტის ფორმაშიც უნდა გამოხატულიყო -*ევ* > -*ე* სუფიქსით. -*ი* სუფიქსი ნამდვილად დიურატიული ასპექტის მარკერი ჩანს, რომელმაც იტვირთა ახლანდელი დროის შინაარსის გადმოცემა, მაგრამ ვერ შეძლო დინამიკური პროცესის გამოხატვა; ამიტომაც ამ ზმნებს არნ. ჩიქობავა „(უგვარო) სტატიკურ ზმნებს" უწოდებს და ძველ ქართულში იგი ძირითადად ხოლმეობითის შინაარსს გადმოსცემს. საბოლოოდ ამ მარტივთემიანმა დიურატივის (ძვ. „II ხოლმეობითის") ფორმამ ვერ შეძლო ახლანდელი დროისათვის დამახასიათებელი დინამიკის, მოქმედების პროცესის გამოხატვა; ამისათვის საჭირო გახდა *წყვეტილი ასპექტის მარტივი, სტატიკური თემისათვის მადინამიკურებელი ნიშნების* დართვა, რომელთაგან დღეს სალიტერატურო ენაში შემოგვრჩა -*ებ*, -*ობ*, -*ავ*, -*ამ*. I სერიის რთული თემისგან შემდგომ ეტაპებზე წარმოიშვა წარსულის დინამიკური, ინტენსიური მოქმედების გამომხატველი ე.წ. „აწმყოს ხოლმეობითის" (სინამდვილეში კი ნამყოს ხოლმეობითის) -ოდ/-დ მაინტენსივებელი ფორმანტებით გაძლიერებული თემა. ხოლო, რაც შეეხება დ ი უ რ ა ტ ი ვ ი ს ა გ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე -ი მარკერს, ძველსა და ახალ ქართულში გაფორმებულია მთელი რიგი ზმნების აწმყოს თემა; მათ შორის ფონოსემანტიკურისაც, როგორებიცაა: *წივის, კივის* და სხვა. ასეთ შემთხვევაში აწმყო-წყვეტილის ფორმებს შორის დაპირისპირება იქნება -*ი* / -*ე* სუფიქსური მარკერების მიხედვით: *ვწივ-ი - ვიწივლ-ე, ვკივ-ი - ვიკივლ-ე* და ა.შ. [1]. მას შემდეგ, „რაც ჩამოყალიბდა „აწმყოს", ანუ I სერიის, რთულთემიანი ჯგუფი თავისი განშტოებებით და სემანტიკური ნიუანსებით, უძველესი ფორმა ჭარბი აღმოჩნდა და სალიტერატურო ენაში თანდათან დაიკარგა" (მელიქიშვილი 2014 : 51-52). „აწმყო-წყვეტილის მორფოლოგიურად ოპოზიციური თემები" ნულოვანი ნიშნითა და -*ე* სუფიქსით გადმოიცა (მელიქიშვილი, იქვე : 52). ფონოსემანტიკურ ზმნათა დიდი ნაწილი ამ ყალიბს იყენებს:

ვბზრიალებ-Ø – ვიბზრიალ-ე, ვბუბუნებ-Ø – ვიბუბუნ-ე,
ვბუყბუყებ-Ø – ვიბუყბუყ-ე, ვგრუხუნებ-Ø – ვიგრუხუნ-ე,
ვზლუქუნებ-Ø – ვიზლუქუნ-ე, ვზრიალებ-Ø – ვიზრიალ-ე,
ვკანკალებ-Ø – ვიკანკალ-ე, ვლაქლაქებ-Ø – ვილაქლაქ-ე,
ვტიტინებ-Ø – ვიტიტინ-ე, ვფაციფუცობ-Ø – ვიფაციფუც-ე,
ვწუწუნებ-Ø – ვიწუწუნ-ე, ვშარიშურობ-Ø – ვიშარიშურ-ე …

რაც შეეხება გ ა ნ გ რ ძ ო ბ ი თ ო ბ ა ს ა და მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს ო ბ ა ს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ისტორიულად ხოლმეობითის ძირითადი ფუნქცია განგრძობითი, დიურატიული, ხაზოვანი ასპექტის გამოხატვა იყო. მის ძირითად ფუნქციას უკავშირდება მეორე ფუნქცია - განმეორებითი, მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა (დეეტერსი 1930: 112; შანიძე 1973: 216: 218). „ის, რაც მუდმივია, ჩვეულებრივ ხდება, მეორდება კიდეც, მრავალგზისია. რამდენადაც დინამიკური ზმნა ამის შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლმეობითს შეეძლო ეტვირთა და იტვირთა კიდეც მრავალგზისობა, როგორც თანმხლები ფუნქცია" (მაჭავარიანი 1974: 124). ეს ორი ოდენობა - *განგრძობითობა* და

[1]-*ი* სუფიქსის წარმომავლობის შესახებ დაწვრილებითი მსჯელობა იხ. ჩიქობავა 1948, §16; მელიქიშვილი 2014: 51-52.

მრავალგზისობა იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ მათი განცალკევება ვერ ხერხდება. ძველ ქართულში *ზოგადი აწმყო* ხოლმეობითს ემთხვეოდა თავისი ფუნქციით. „ჩვეულებრივი“ აწმყო, ნამყო უსრული და I კავშირებითიც ხაზოვანი, განგრძობითი მოქმედების გამოხატვის თვალსაზრისით ხოლმეობითს ემსგავსებოდნენ, თუმცა, იმავდროულად, განსხვავდებოდნენ მისგან და ხოლმეობითისთვის დამახასიათებელ მუდმივობას, მით უმეტეს, მრავალგზისობას არ გამოხატავდნენ. *აწწნებდა* (ნ. უსრული) მხოლოდ განგრძობით მოქმედებას გამოხატავდა, ხოლო *აწწნებდის* - პირველ რიგში მოქმედების შეუწყვეტლობას, დიურატიულობას, ხოლო შემდგომ, ამა თუ იმ ზომით, მრავალგზისობასაც. თანამედროვე ქართულში, მას შემდეგ, რაც ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება მოიშალა, უწყვეტელსა და მის ზმნისწინიან ვარიანტს - ხოლმეობით-შედეგობითს, განგრძობითობასთან ერთად, კონტექსტის მიხედვით, მრავალგზისობის გამოხატვაც შეუძლია. ძველ ქართულში ხოლმეობითს საგანგებო მორფოლოგიური ნიშანი მოეპოვებოდა და სპეციალურ მწკრივს ქმნიდა. მაშასადამე, იგი ცალკე გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენდა“ (ჭუმბურიძე 1986: 33), ამიტომაც აკაკი შანიძე *უსრული ასპექტისა და მრავალგზისობის* კატეგორიებს განასხვავებდა ერთმანეთისაგან (შანიძე 1953: 273). „ახალ სალიტერატურო ქართულში ხოლმეობითს საკუთარი ნიშანი დაკარგული აქვს..., [მას] ცალკე გრამატიკულ კატეგორიად ვეღარ მივიჩნევთ, იგი ასპექტის სემანტიკური სახესხვაობაა“ (ჭუმბურიძე 1986: 33).

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს იმასთან დაკავშირებით, ძველ ქართულში რა სახის ასპექტს გამოხატავდა ნამყო ძირითადი. „აორისტი ასპექტის თვალსაზრისით [რომ] უპირისპირდებოდა ხოლმეობითისა და აწმყოს წრის ნაკვთებს, ეს ცხადია, მაგრამ რა ხასიათისა იყო ეს დაპირისპირება, კონკრეტულად რა ასპექტურ შინაარსს შეიცავდა ნამყო ძირითადის ფუძე, ამის ზუსტად დადგენა ამჟამად ჭირს“ (მაჭავარიანი 1974: 125). გ. დეეტერსის აზრით, აორისტი სრულ ასპექტს გამოხატავდა (დეეტერსი 1930: 136-139). აკ. შანიძე ეთანხმება ნ. ძირითადის ამგვარ კვალიფიკაციას და აღნიშნავს: „[იგი] სრული სახის გამომხატველი დროა“ (შანიძე 1973: 274-276). არნ. ჩიქობავას ნამყო ძირითადის ფუნქციად ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წერტილებრივი, ერთბაშა, მომენტობრივი მოქმედების გამოხატვა მიაჩნია (ჩიქობავა 1948: 72-80, 111). ხოლმეობითის ასპექტი „იმდენად იმპერფექტული არაა, ...რამდენად განგრძობითი, დიურატიული, ხაზოვანი“ (ჩიქობავა 1948: 79). რამდენადაც წყვეტილი ყოველთვის არ უდრის სრულს, დამატებით მსჯელობას მოითხოვს თეზა წყვეტილის მწკრივის (აკ. შანიძის ტერმინოლოგიით) სრულობის შესახებ[1].

თანამედროვე ქართულში მოცემული *თქვა, უბრძანა, ჰკითხა* და ა. შ. ზმნების მიხედვით ძველი ქართული აორისტი, პრევერბიანი და უპრევერბო ფორმებით, სრული სახის ნაკვთი იყო. თანამედროვე ქართულის კრიტერიუმებით, აორისტის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან; კერძოდ, *ააშენა* ფორმა გამოხატავს ბოლომდე მიყვანილ, შეწყვეტილ, ერთგზის მოქმედებას; ყოველივე ამის გათვალისწინებით, იგი მომენტობრივია, წერტილოვანია, რადგან მოქმედება დამთავრდა, წერტილი დაესვა; მასთან შეპირისპირებით, *აშენა* ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეწყდა ისე, რომ ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. იგი *უსრული წყვეტილია* და ფუნქციურად მრავალგზისი მოქმედების შეთავსებაც შეუძლია. გ. მაჭავარიანის აზრით, *თქვა* ტიპის ზმნურ ფორმათა დახასიათება არ შეიძლება სრული ან უსრული ასპექტის მიხედვით. „ამ ზმნებისთვის დამახასიათებელია

[1] დეტალურად ამ პრობლემისათვის იხ. მაჭავარიანი 1974.

ერთბაში, მომენტური, წყვეტილი, ამასთანავე, ერთგზისი შინაარსი“ (მაჭავარიანი 1974:126).

მ ე გ რ უ ლ ი სინქრონიულ დონეზე ასპექტს, ძირითადად, გამოხატავს ზმნისწინის საშუალებით და ამით მეგრულის ვითარება ემთხვევა ახალი ქართულისას[1]; *ლაზურიც* ასპექტის გადმოცემის თვალსაზრისით ემსგავსება ახალ ქართულსა და მეგრულს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ლაზურში ეს სისტემა არ არის ძირითადი (ჩიქობავა 1936: 119). ზმნისწინის მაპერფექტივებელი ფუნქცია ამ ენაში მკაფიოდ არ ჩანს, ამ თვალსაზრისით უპირატესობა არქაულ საფეხურს ენიჭება და ლაზური მყოფადის გადმოსაცემად II კავშირებითს იყენებს (ჩიქობავა 1944: 114). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით შეიძლება აღინიშნოს, რომ მ ე გ რ უ ლ ს ა და ლ ა ზ უ რ შ ი[2] თავდაპირველად ასპექტის გამოხატვის ძველი ქართულისებური სისტემა მოქმედებდა; შესაბამისად, აორისტი გამოხატავდა ერთგზის მოქმედებას. ამის საპირისპიროდ, აწმყო, მისგან ნაწარმოები მწკრივებით, და ხოლმეობითი დიურატიული ასპექტის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ხოლმეობითი მეგრულსა და ლაზურში დღეს არ დასტურდება, თუმცა „ხოლმეობითის ნაკვთი აწმყოს ფუნქციით დღემდე შემონახულია ზანური[3] პოტენციალისის ფორმებში: *ი-შვ-ე-ნ „ისმება“, ი-ჭკომ-ე-ნ* „იჭმება“ და სხვა“ (ჩიქობავა 1937: 100-101; მაჭავარიანი 1974: 136). „ზანური -ე სუფიქსი ქართული ხოლმეობითის -ი სუფიქსის ფონეტიკური ეკვივალენტია“ (ჩიქობავა1937a: 102).

ხოლმეობითის (resp. განგრძობითი ასპექტის) მაწარმოებელად ქართველურ ენებში მიჩნეულია -ი სუფიქსი, რომელიც დამახასიათებელია ქართულისა და სვანურისთვის, ხოლო ზანურში მას კანონზომიერად -ე სუფიქსი შეესაბამება.[4] სვანურში -ი-ს პარალელურად დადასტურებული -ა სუფიქსი აჩენს ვარაუდს, რომ -ა-ც წარმოშობით განგრძობითი ასპექტის მაწარმოებელია (მაჭავარიანი 1952 :58). „სვანური -ა სუფიქსის ზუსტ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ შესატყვისს წარმოადგენს ზანური -უ სუფიქსი (<- *ო), მაგ., მეგრ. *ი-თას-უ-(ნ)* „ითესება“, ჭან.-მეგრ. *ჩოდ-უ-ნ* „სცალია“ (მაჭავარიანი 1952: 59). დიაქრონიული ვითარების გათვალისწინებით, ქართველურ ენებში, როგორც ჩანს, „ხოლმეობითის (resp. განგრძობითი ასპექტის) ორი მაწარმოებელი გვქონდა: -ი (=ზან. -ე) და -ა (=ზან.*-ო > უ). -ა სუფიქსი უკვე ძველ სალიტერატურო ქართულში სრულიად განდევნილი იყო -ი-ს მიერ (შემოგვრჩა დგ-ა-ს ზმნაში!), სვანურსა და ზანურში (ამ უკანაკნელში -ა > ო > უ) იგი დღესაც ცოცხალია და სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება“ (მაჭავარიანი 1952 : 59).

ფონოსემანტიკური ზმნები მეგრულში პოტენციალისის ფორმებს სისტემურად ვერ აწარმოებენ. ზოგიერთი სემანტიკური ჯგუფის ზმნა შეზღუდულად ირგებს ამ მოდელს, ასეთია მაგალითად, *ყურების (გამოხედვის), გამომეტყველების, გარეგნობის (ფიზიონომიის)* აღმნიშვნელი: *აწკვირინ-ე;* სხვა ჯგუფებიდანაც მცირე რაოდენობის ზმნები დაირთავენ -ე სუფიქსს; კერძოდ, *სიარულის აღმნიშვნელი: აბერდღინ-ე, აპრანწკინ-ე, აქვექვინ-ე... ლაპარაკის* აღმნიშვნელი: *ადარგალ-ე, ადღუმინ-ე, არითინ-ე, ატუტინ-ე... ჭამის (ღეჭვის),*

---

[1]მსჯელობა სრული და უსრული ასპექტის შესახებ მეგრულში იხ. ყიფშიძე 1914 : 032, 0107; ხოლო მეგრულსა და ლაზურში იხ. ჭუმბურიძე 1986: 35-41

[2]გ. მაჭავარიანის ტერმინით, *ჭანურში.*

[3] აქ ზანურში მხოლოდ მეგრული იგულისხმება; მაგალითებიც მეგრულის მიხედვითაა დამოწმებული, რადგან ლაზურს პოტენციალისის ფორმა დამოუკიდებლად არ მოეპოვება, პასივთან საზიარო აქვს და მხოლოდ კონტექსტი განარჩევს.

[4]იხ. მეგრული პოტენციალისის ფორმები და მსჯელობა წინა აბზაცში, ასევე: ჩიქობავა 1937; მაჭავარიანი 1952: .58).

სმის აღმნიშვნელი: *ა-დგუმორ-ე, ა-ძგაძგ-ე, ა-ყურწ-ე, ა-ხუჭორ-ე* და სხვა. აღნიშნული და სხვა ფონოსემანტიკური ზმნური ფორმები აწმყოს ფუძეზე -უ სუფიქსს დაირთავენ, რომელსაც სინქრონიულ დონეზე თემატური ნიშნის კვალიფიკაცია აქვს[1], დიაქრონიულად კი -უ სუფიქსი განგრძობითი ასპექტის მაწარმოებელი იყო.

ცნობილია, რომ საშუალი გვარის, მათ შორის ფონოსემანტიკურ ზმნებს, მყოფადი ორგვარად ეწარმოებათ: ქართულში *ი-... -ებ* ცირკუმფიქსიან ფორმაზე ზმნისწინის დამატებით: *ი-წუწუნ-ებ-ს - წა-ი-წუწუნ-ებ-ს*[2] . ზმნისწინიანი ფორმა სხვა სემანტიკისაა[3]. „არსებობს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება მოფადის ორ ფორმას შორის. მყოფადი ი-...-ე ცირკუმფიქსით ასპექტურად დიურატიულია. იგი აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე დროის ერთი წერტილი; მაშინ როცა ზმნისწინიანი მყოფადი... ასპექტურად წერტილოვანია“ (ჰოლისკი 2000: 89)[4]. მეგრულში დიურატიული (განგრძობითი) ასპექტის გადმოსაცემად მორფოლოგიურად *ი-... -ებ* ცირკუმფიქსის ფარდია *ი-...-უ* კონფიქსი, ხოლო ლაზურში ოდენ ი- პრეფიქსი:

დიურატიული: მეგრ. *ი-ბარბანჩ-უ "ბრიალებს", ი-ცხვანტალ-უ "ცმუკავს", ი-ტანტალ-უ "ტანტალებს", ი-რსიოლ-უ "სრიალებს"; ლაზ. ი-ბურბალს* „ბრუნავს“;

წერტილოვანი: მეგრ. *დ-ი-ბარბანჩ-უ "იბრიალა", დ-ი-ცხვანტალ-უ "იცმუკა", დ-ი-ტანტალ-უ "იტანტალა", დ-ი-რსიოლ-უ "ისრიალა (მობრუნდა)"; ლაზ. ი-ბურბალ-უ "იბრუნა".*

ზოგადად, აწმყოს ფორმები განგრძობითია, აორისტისა - წერტილოვანი.

ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის აწმყო-მყოფადის წარმოება ქართულში

ენაში ყველაზე გავრცელებული და პროდუქტიულია *სიარულის (მოძრაობა-გადაადგილების)* აღმნიშვნელი ზმნური ფუძეები, რადგან მოძრაობა სულიერი არსების, განსაკუთრებით ადამიანის, ბუნებრივი და მნიშვნელოვანი აქტივობის გამომხატველია. მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები სემანტიკურად მრავალფეროვანია, იმის მიხედვით, სუბიექტის აღმნიშვნელი სახელი ადამიანთა კლასს განეკუთვნება თუ არაადამიანთას (ცხოველი, ფრინველი, ქვეწარმავალი, მწერი...), რა სახის მოძრაობა სრულდება, ლოკაციურად სად სრულდება და როგორია მთქმელის დამოკიდებულება მოძრავი საგნის მიმართ. „როგორც მოსალოდნელი იყო, მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა გადაადგილება ხმელეთზე..., რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკუთარი ძალითა და ნებით გადაადგილება მყარ ზედაპირზე“ (ქობალავა 2014). *სვლა, სიარული* მოძრაობის ნეიტრალური სახეა - *მიდის, მივიდა, მისულა.* მისი სემანტიკური ვარიაციები რეალიზდება ექსპრესიული, ფონოსემანტიკური ლექსიკის სახით, რომელთა

[1]იხ. მსჯელობა ფონოსემანტიკურ ზმნათა აწმყოს ფუძის წარმოების შესახებ მონოგრაფიის 280-284 გვერდებზე

[2]იხ. დაწვრ. მსჯელობა ჰოლისკი 2000:89.

[3]მსჯელობა იხ. ამავე მონოგრაფიის 311- 313, 383 - 388 გვერდებზე.

[4] „ტერმინები „დიურატიული“ და „წერტილოვანი“ და მათი გამოყენება ქართულში განხილულია შრომაში: ჰოლისკი 1981 (ჰოლისკი 2000 : 89).

„პირველადი მასდარებიც“ ჩვეულებრივ გაფორმებულია ბგერწერითი ლექსიკისთვის დამახასიათებელი სუფიქსებით ან რედუპლიცირებულია. ფონოსემანტიკური ლექსიკის გამომსახველობით ძალას შესწევს უნარი წარმოაჩინოს *სუბიექტის ვინაობა* (კაცი მიდის, ნაკადული მიჩუხჩუხებს, ჩიტი მიფრინავს, დათვი მიძუნძულებს...), სუბიექტის გადაადგილების *ვერტიკალური მდგომარეობა*[1] (გამართულად მიდის თუ მოხრილად), *გადაადგილების ტემპი* (ნელა მიდის თუ ჩქარა), *ნაბიჯების რიტმული მონაცვლეობა* (ბარბაცით მიდის, რხევით, რყევით თუ სხვაგვარად). ამგვარი ლექსემები მრავლად დასტურდება ქართულსა და მეგრულში; ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია მეგრული. მაშინაც კი, როცა ქართული აღწერითად გადმოსცემს სუბიექტის გადაადგილებას, მეგრულში ორგანული წარმოების ზმნური ფუძე იჩენს თავს: ქართ. *ყინჩად მიდის* - მეგრ. *მიყინჩინანს.*

სიარულის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ლექსიკა თავისებურებას ავლენს ზმნისწინისა და ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის მიმართების თვალსაზრისითაც აწმყოსა და მყოფადში. ცნობილია, რომ მედიალური ზმნები, რომელთა შემადგენლობაში მოიაზრება ფონოსემანტიკური ლექსიკა, მყოფადს არ აწარმოებენ ზმნისწინით. ზმნისწინი ამ ტიპის ზმნურ ფორმებში სიტყვაწარმოებითი დანიშნულებისაა. ამ თვალსაზრისით რამდენიმე თავისებურება შეიძლება გამოიყოს, მათ შორისაა *ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა ლემატიზაციის საკითხი აწმყოში*[2], *ზმნისწინიანი ფორმების თავისებურება მყოფადში.*

ფონოსემანტიკური ზმნები, საშუალი გვარისთვის დამახასიათებელი თვისების თანახმად, მწკრივნაკლები არიან. სინქრონიულ დონეზე მათ საკუთარი წარმოების მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები მოეპოვებათ:

ბანცალებს - ბანცალებდა - ბანცალებდეს; ჯაყჯაყებს - ჯაყჯაყებდა-ჯაყჯაყებდეს.

რაკრაკებს - რაკრაკებდა - რაკრაკებდეს; ჩხრიალებს - ჩხრიალებდა - ჩხრიალებდეს.

ამგვარ ზმნურ ფორმებს, არნ. ჩიქობავას ტერმინით, *„პირველადი მასდარი“* ეწარმოებათ[3]. მოცემული ზმნებისთვის ასეთია *ბანცალი, ჯაყჯაყი, რაკრაკი, ჩხრიალი.* ლემატიზებასთან დაკავშირებული პრობლემა თავს იჩენს ზმნისწინიან *ფორმებთან აწმყოს წრეში: მი-რაკრაკებს - მი-რაკრაკებდა - მი-რაკრაკებდეს.* როგორც ჩანს, მასდარში ამ ზმნების ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა იდენტურია, გამიჯვნა ზმნურ ფორმებში ხდება; ზმნისწინიანი მასდარული ფორმა *მიბანცალებს, მირაკრაკებს* ტიპის ზმნებისათვის არ დასტურდება არცერთ ქართველურ ენაში. როგორც აღვნიშნეთ, მედიალური ზმნები ზმნისწინს ნაკლებად დაირთავენ. ცხადია, აქ ზმნისწინს ახალი სემანტიკური ნიუანსი შემოაქვს, ზმნურ ფუძეს მნიშვნელობას უცვლის და ახალ ლექსიკურ ერთეულს წარმოქმნის. ზმნისწინი ასეთ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი ფუნქციითაა დატვირთული და არა გრამატიკულით [4].

რაკრაკი წყლის ხმაურს აღნიშნავს, შესაბამისად, აწმყოს წრეში მოცემული ზმნური ფორმები - *რაკრაკებს - რაკრაკებდა - რაკრაკებდეს* - წყლის ხმაურის რეალიზებაა პირიანი ფორმებით ახლანდელსა და წარსულ დროში; *მი-* ზმნისწინდართული ფორმა - *მი-რაკრაკებს* უკვე აღნიშნავს წყლის მოძრაობას, გადაადგილებას დენადობისთვის დამახასიათებელი

[1] ამ და სხვა შემთხვევაში სუბიექტად იგულისხმება მხოლოდ ადამიანი.

[2] დეტალურად იხ. ლომია 2016 : 5, 26-27

[3] *„პირველადი მასდარებისა“* და *მასდარების* შესახებ მსჯელობა იხ. 274 -280 გვერდებზე.

[4] ცნობილია ზმნისწინის რამდენიმე ფუნქცია; მათ შორის ერთ-ერთი ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოებაა. დეტალურად იხ. შანიძე 1973: 239-240; 248-249.

ხმაურის თანხლებით. ცხადია, ეს მნიშვნელობა *მი-* ზმნისწინმა შემოიტანა, რომელიც აკონკრეტებს მოძრაობის მიმართულებას აქედან იქით (შდრ: *მო-რაკრაკებს* - მიმართულება იქიდან აქეთ). „ცნობილია, რომ ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქცია მიმართულების აღნიშვნაა. ეს ფუნქცია მოჰყვება იმ დროიდან, როცა იგი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სიტყვა იყო - ზმნისართს წარმოადგენდა“ (ჭუმბურიძე 1986:16). ზმნისწინს რაკი მორფოლოგიური დატვირთვა არა აქვს, საწყისში არ გადაჰყვება, ამიტომაც ამგვარ ფორმათა ლემად ან ისევ *რაკრაკი* უნდა მივიჩნიოთ, ან უნდა აღვნიშნოთ, რომ ზმნისწინიან ფონოსემანტიკურ ფორმებში ლემა, ფაქტობრივად, არ გამოიყოფა.

რაც შეეხება *ზმნისწინიანი მ ყ ო ფ ა დ ი ს ფორმებს,* სხვადასხვა თემატური ჯგუფის ფონოსემანტიკური ფუძის ზმნები მყოფადისა და მყოფადის წრის მწკრივთა საწარმოებლად ქართულში წა- ან გა- ზმნისწინებს დაირთავს. „იმ მყოფადზე დამატებით, რომელიც ჩვენ მედიალურ ზმნათა განმსაზღვრელად მივიჩნიეთ - *ი-...-ებ* ცირკუმფიქსიანი მყოფადი, [მათ] აქვთ აგრეთვე *მეორე მყოფადი, ზუსტი მყოფადი*, რომელიც იწარმოება *(ი-...-ებ)* ცირკუმფიქსიანი მყოფადისაგან [ზმნისწინის დამატებით]“ (ჰოლისკი 2000: 3, 89) ავტორს მიაჩნია, რომ ამ ფორმებში ზმნისწინებს შემოაქვთ ერთგვარი *ზერელობა, ზედაპირულობა* (ჰოლისკი 2000: 3). ფონოსემანტიკურ ზმნებთან ნაკლებად პროდუქტიულია გა- ზმნისწინი, ხოლო მეტად პროდუქტიულია წა- ზმნისწინი. წა- ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავენ ორმაგ მოქმედებას: *სიარული + ზმნური ფუძით გადმოცემული მოქმედების თანხლება;* თითოეულ ზმნურ ფორმას მოეპოვება ზმნისწინიანი მასდარი. მასდარიდან ამოსვლით წარმოვადგენთ მყოფადის ფორმებს:

> *გა-ზმნისწინიანი ფორმები: გასრიალება : გა-სრიალდება; გაცუნცულება: გა-ცუნცულდება; გაჯლიგინება: გა-ჯლიგინდება; გახოხება: გა-ხოხდება*
>
> *წა- ზმნისწინიანი ფორმები: წა-ბარბაცება: წა-ბარბაცდება „ბარბაცით წავა“; წა-გზრიალება: წა-გზრიალდება „გზრიალით წავა“; წა-გრუხუნება: წა-გრუხუნდება „გრუხუნით წავა“; წა-ლაქლაქება: წა-ლაქლაქდება „ლაქლაქით წავა“; წა-ლიკლიკება: წა-ლიკლიკდება „ლიკლიკით წავა“; წა-სრიალება: წა-სრიალდება „სრიალით წავა“ ; წა-ჩუხჩუხება: წა-ჩუხჩუხდება „ჩუხჩუხით წავა“; წა-რაკრაკება : წა-რაკრაკდება „რაკრაკით წავა“; წა-ჟღარუნება: წა-ჟღარუნდება „ჟღარუნით წავა“; წა-ჟივჟივება: წა-ჟივჟივდება „ჟივჟივით წავა“; წა-როხროხება: წა-როხროხდება „როხროხით წავა“; წა-სისინება: წა-სისინდება „სისინით წავა“; წა-სლუკუნება: წა-სლუკუნდება „სლუკუნით წავა“; წა-წკმუტუნება: წა-წკმუტუნდება „წკმუტუნით წავა“; წა-შხუილება: წა-შხუილდება „შხუილით წავა“; წა-ჯაყჯაყება: წა-ჯაყჯაყდება, „ჯაყჯაყით წავა“;*

გა- და წა- ზმნისწინიანი მყოფადის ფორმები დონიანი ვნებითებია. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რამდენად შეიძლება მედიალური ზმნების აწმყოს წრის პარადიგმის გაგრძელებად ჩაითვალოს იმავე ფუძისგან ნაწარმოები ზმნისწინიანი დონიანი ვნებითის ფორმები?

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულ ენაში სინქრონიულ დონეზე მყოფადი იწარმოება აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის დართვით. საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს, ხოლო მეორე ნაწილი დაირთავს, მაგრამ ზმნური ფუძე დროში არ იცვლება, რადგან ზმნისწინი ამ ტიპის ზმნებთან სხვა

ფუნქციითაა გამოყენებული[1]. მედიალურ ზმნათათვის შემუშავებული ეს წესი ვრცელდება ფონოსემანტიკურ ლექსიკაზეც. საშუალი გვარის ფორმათა უღლებას ართულებს ის, რომ „მათ საკუთარი ფორმები არ გააჩნიათ აწმყოს ქვესერიის გარეთ“ (შანიძე 1973:304), რის გამოც უნდა „ისესხონ“ ნაკლული ფორმები იმავე ლექსიკური ძირის აქტიური ან პასიური ზმნისგან; შესაბამისად, საშუალი ზმნები წარმოდგენილია მედიოქატივებად და მედიოპასივებად (შანიძე 1973: 304). იხილავს რა აკაკი შანიძის თვალსაზრისს მედიალურ ზმნათა შესახებ, დ.ე.ჰოლისკი აღნიშნავს: „მედიოპასიურ ზმნათა შორის ამგვარი სესხება არ ატარებს რეგულარულ ხასიათს... მედიოპასიური ზმნები ფორმებს ძირითადად *ი-ნიანი* ან *ე-ნიანი* ვნებითებისგან სესხულობენ... ასეთი ზმნები ზოგჯერ მიმართავენ *დონიან* ვნებითს აწმყოს წრის გარეთ“ (ჰოლისკი 2000: 36-37). სხვა ავტორებიც, კ. ჩხენკელი, ჰ. ფოგტი, არნ. ჩიქობავა, ეხებიან საშუალი გვარის ზმნურ ფორმათა უღლების პარადიგმის შევსების საკითხს. კ. ჩხენკელის აზრით, საშუალი გვარის ზმნები უფრო ხშირად დონიანი ვნებითებისგან სესხულობენ ნაკლულ ფორმებს (ჩხენკელი 1958: I, გაკვეთილები 28, 29). დონიან ფორმათა საშუალებით სესხების თვალსაზრისს იზიარებენ ჰ. ფოგტიც (ფოგტი 1971: 133-134) და არნ. ჩიქობავაც (ჩიქობავა 1950: I, 71-73).

ზემოდასახელებულ ავტორთაგან განსხვავებით, ლ. ნოზაძე არ ეთანხმება მედიოპასიურ ზმნათა ნაკლული პარადიგმების პასივთაგან შევსების საკითხს. პასივის ფორმებს განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები და საკუთარი ფორმები აქვთ ყველა მწკრივში. აწმყო - დუღს, მყოფადი - იდუღებს, ერთი მხრივ, აწმყო - დუღდება, მყოფადი - ადუღდება, მეორე მხრივ (ნოზაძე 1974: 27). დ. ენ ჰოლისკი ეთანხმება ლ. ნოზაძის თვალსაზრისს და მიაჩნია, რომ *დონიანი* ვნებითები არ არის მედიალურ ზმნათა პარადიგმების ნაწილი (ჰოლისკი 1980; ჰოლისკი 2000: 43).

ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის აწმყო-მყოფადის წარმოება მეგრულში

ტრადიციული მოსაზრების მიხედვით, მეგრულის ორი ტიპის მყოფადიდან *(მყოფადუსრული და მყოფადსრული),* მყოფადსრული აწმყოს ზნისწინის დართვით უპირისპირდება. ითვლება, რომ ზმნისწინიანი მყოფადი სრულასპექტიანია და ამ მხრივ ვითარება სრულიად ქართულის მსგავსია (ჭუმბურიძე 1986:135)[2].

ბოლოდროინდელ კვლევებში მითითებულია, რომ აღნიშნული პოზიცია ცალსახა თუ უალტერნატივო არ არის და ზმნისწინით მარკირება-არამარკირებულობა არ არის აწმყო-მყოფადის გარჩევის მყარი საფუძველი, რადგან როგორც ზმნისწინიან, ასევე უზმნისწინო ფორმას შეიძლება ჰქონდეს როგორც აწმყოს, ისე მყოფადის გაგება, რაც იმას ნიშნავს, რომ აწმყო შეიძლება იყოს ზმნისწინით მარკირებული, ისევე, როგორც დასაშვებია მყოფადის უზმნისწინო წარმოება (გოგოლაშვილი 1988: 87-89; ქირია და სხვ. 2015). როგორც ჩანს, აწმყო-მყოფადის გარჩევის ფორმალური სისტემა ერთგვაროვნად არ მუშაობს. ზ. ჭუმბურიძის

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე მსჯელობისათვის იხ. შანიძე 1973

[2] ი. ყიფშიძე აწმყოში მარტივ და ზმნისწინიან ფორმებს მხოლოდ ასპექტით დაპირისპირებულად თვლის (ყიფშიძე 1914: 059)

მოსაზრებით, ზმნისწინით მარკირებული ან არამარკირებული ფუძეები შეცავენ მყოფადის გაგებას, ისინი მწკრივის მიხედვით პოლისემიურად უნდა ვცნოთ: ახლანდელი დრო თუ არის, უნდა მივაკუთვნოთ აწმყოს, მაგრამ თუ მომავალია - მაშინ მყოფადს (ჭუმბურიძე 1986: 91). საკლასიფიკაციოდ შერჩეულია სემანტიკური პრინციპი: მნიშვნელობა, აწმყო-მყოფადის გაგება, ზუსტდება კონტექსტით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პრინციპის გათვალისწინებით ირღვევა აწმყო-მყოფადის ნაკვთთა გამოყოფის ფორმობრივი საფუძველი (იხ. გოგოლაშვილი 1988: 96) და არსებობს „გამოსავალიც“, რომლის მიხედვითაც ყველა ზმნისწინიანი ფორმა შეიძლება მოვათავსოთ მყოფადში, ხოლო უზმნისწინო - აწმყოში (იხ. შანიძე 1973: 275) (მიუხედავად სემანტიკური საფუძვლისა) და საკითხის გადაწყვეტაც ლოგიკურად მიიჩნევა (ქირია და სხვ. 2015: 444), ჩვენ მაინც მართებულად მიგვაჩნია მყოფადში უზმნისწინო, ხოლო აწმყოში ზმნისწინიანი ფორმების დარჩენა შესაბამისად უზმნისწინოსა და ზმნისწინიანის პარალელურად (ყოველ შემთხვევაში მეგრულში), ვინაიდან აღნიშნული საკითხი არ უკავშირება მხოლოდ ერთი, დროის კატეგორიის - აწმყო-მყოფადის - გამოხატვას, არამედ სხვა სემანტიკურ ნიშნებს, რომლებიც ებმის ლექსიკური ასპექტის სხვადასხვა სახეს, მაგალითად, „მომავალში შესასრულებელი მოქმედება განგრძობითიც შეიძლება იყოს და მომენტობრივიც... მომავალში შეიძლება გაირჩეოდეს სრული და უსრული ასპექტი“ (ჭუმბურიძე 1986: 95); მეორე მხრივ, ოდენ ფორმობრივი პირინციპის დაცვის შემთხვევაში, ჩვენ მოგვიწევს ყველა იმ კონტექსტის და, შესაბამისად ენობრივი ფაქტის, უგულებელყოფა, რომელშიც უზმნისწინო ფორმა მყოფადს გამოხატავს, ან პირიქით, ზმნისწინიანი - აწმყოს.

მეგრულს, ქართულთან შედარებით, მყოფადის გამოხატვის უფრო მრავალფეროვანი სისტემა აქვს და იგი მხოლოდ ზმნისწინს არ იყენებს აწმყოსთან დასაპირისპირებლად; სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული პრინციპებიდან (მარგველაშვილი 1980, ჭუმბურიძე 1986) ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მტკიცებითი *ქო-* ნაწილაკის დართვას, რომელსაც ხშირად მაასპექტირებელი ფუნქცია აქვს.

ერთი მხრივ, *ზმნისწინი* და *უზმნისწინო* და, მეორე მხრივ, *ქო- ნაწილაკიანი* და *უნაწილაკო* ოპოზიციური ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეები განსხვავდებიან დ რ ო ი ს (ახლანდელი - მომავალი), ა ს პ ე ქ ტ ი ს (სრული - უსრული), მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს, ზოგჯერ - ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ის (დინამიკური ზმნების შემთხვევაში) თვალსაზრისით, ან ამ ფორმატებს შესწევთ უნარი *ცვალონ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა* და, ამდენად, ჰქონდეთ დ ე რ ი ვ ა ც ი უ ლ ი ფუნქცია. საგულისხმოა, რომ დერივაციის დროს სხვა ფუნქციები იჩრდილება, ვინაიდან „ლექსიკური მნიშვნელობა ზმნასთან განუყრელად არის დაკავშირებული ყველა დროსა და კილოში, ყოველგვარ ფორმაში... ამიტომ ზმნა ცდილობს ყოველთვის შეინარჩუნოს ზმნისწინი...“ (ჭუმბურიძე 1986: 97).

მეგრულში ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეების აწმყო-მყოფადის ოპოზიციის გამოსაყოფად დაშვებული ყველა მორფლოგიური პრინციპი შესაძლოა გაანალიზდეს შემდეგი სამი ძირითადი ზმნური სემანტიკური კლასის ფარგლებში:

1. ხ მ ი ს / ხ მ ი ა ნ ო ბ ი ს მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს ბგერადობის (მათ შორის სამეტყველოსა და არასამეტყველოს), ბუნების მოვლენების ან *მოქმედება + ხმა* (ცემა, საკვების დამუშავება) სემანტიკას;

1. მ ო ძ რ ა ო ბ ი ს სემანტიკა (დ ი ნ ა მ ი კ ა) - იგულისხმება მოძრაობა-გადაადგილების, ადგილზე მოძრაობის, *სინათლის / ცეცხლის მოძრაობა + ნათების* გადამკვეთი მნიშვნელობები;

2. ს ტ ა ტ ი კ უ რ ო ბ ი ს გამომხატველი ზმნური ფუძეები, რომლებიც მოიცავს არსებობა-მყოფობის, გარეგნული იერის (ფიზიონომია-ანატომიის), გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების, ემოციის გამომხატველ ზმნებს.

დასაშვებია, რომ მოცემულ სემანტიკურ კლასიფიკაციაზე დამყარებით დახასიათდეს ის მორფოლოგიური კატეგორიები, რომლებიც ზმნური ფორმის მორფოლოგიურ მოდელში მარკირებულია შესაბამისი მორფემებით ან მორფემათა კომბინაციებით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასაშვებია სემანტიკური ჯგუფების ფარგლებში აღიწეროს ის რეპრეზენტატორები, რომლებიც კონკრეტული ჯგუფისთვის საერთოა და ემსახურება გრამატიკული მნიშვნელობების გადმოცემას.

ამჯერად მხოლოდ აწმყო-მყოფადის წარმოებას შევეხებით მეგრულის ფონოსემანტიკურ ფუძეებთან:

ა) ხ მ ი ს / ხ მ ი ა ნ ო ბ ი ს ლექსიკური მნიშვნელობა:

1. *ქო- ნაწილაკიანი მყოფადი:*

მეგრულში ფონოსემანტიკური ფუძეების მყოფადი იწარმოება *მტკიცებითი ქო-ნაწილაკით* ან მის გარეშე; პარალელური უნაწილაკო წარმოება აწმყოსთან მორფოლოგიურ ომონიმიას ქმნის. ამგვარი ფორმათა ფორმალური და სემანტიკური მახასიათებლებია:

ა) სემანტიკურად აღნიშნავენ ხმას/ ხმიანობას ან მეტყველებას;

ბ) მასდარის სუფიქსები: -აფ-ა/აფ-ი[1], -ალ-ი, -ონ-ი, იშვიათად - -უ-ა,

გ) თემის ნიშნები აწმყოსა და მყოფადში: -ან, -უნ;

დ) აორისტში ნაწილაკიანი და უნაწილაკო ფორმები ერთმანეთის პარალელურად რეალიზდება;

ე) მყოფადისა და აორისტის ფორმები სრული ასპექტისაა;

ვ) ზმნით გამოხატული მოქმედება აწმყოში დიურატიულია, მყოფადსა და აორისტში - წერტილოვანი.

მასდარი	აწმყო R-Thm-S3.Sg.Prs	მყოფადი Aff-R-Thm-S3.Sg.Fut	აორისტი R-Thm-S3.Sg.Aor / Aff-R-Thm-S3.Sg.Aor
რკი-აფ-ი	რკი-ან-ს	ქო-რკი-ან-ს	რკიუ / ქო-რკი-უ
რჩხვი-აფ-ი	რჩხვი-ან-ს	ქო-რჩხვი-ან-ს	რჩხვი-უ /ქო-რჩხვი-უ
ყი-აფ-ი	ყი-ან-ს	ქო-ყი-ან-ს	ყი-უ / ქო-ყი-უ
ღი-აფ-ი	ღი-ან-ს	ქო- ღი-ან-ს	ღი-უ /ქო-ღი-უ
ბარჩ+ალ-ი	ბარჩალ-ან-ს	ქო-ბარჩალ-ან-ს	ბარჩალ-უ /ქო-ბარჩალ-უ

[1] -ი სახელობითის სუფიქსური მარკერია.

კარკალ-ი	კარკალ-ან-ს	ქო-კარკალ-ან-ს	კარკალ-უ/ქო-კარკალ-უ
რაკვ+ალ-ი	რაკვალ-ან-ს	ქო-რაკვალ-ან-ს	რაკვალ-უ/ქო-რაკვალ-უ
რას+ალ-ი	რასალ-ან-ს	ქო-რასალ-ან-ს	რასალუ/ქო-რასალ-უ
ღი+ონ-ი	ღიონ-უნ-ს	ქო-ღიონ-უნ-ს	ღიონ-უ/ ქო-ღიონ-უ
ჩი+ონ-ი	ჩიონ-უნ-ს	ქო-ჩიონ-უნ-ს	ჩიონ-უ/ ქო-ჩიონუ
ლალ-უ-ა / ლალ-აფ-ი	ლალ-უნ-ს	ქო-ლალ-უნ-ს	ლალ-უ / ქო-ლალ-უ

ქო- ნაწილაკის დართვით მყოფადში ზოგჯერ იცვლება მნიშვნელობა; წყვილში პირველი ფორმა აღნიშნავს მოქმედებას ხმის თანხლებით. მაგ. „ცემას“, მეორე - „კვრას, გარტყმას“: *ბათქუნს - ქო-ბათქუნს, გვახ-უნ-ს - ქო-გვახ-უნ-ს, ღირწკინ-უნ-ს - ქო-ღირწკინ-უნ-ს, ჩუჩინ-უნ-ს - ქო-ჩუჩინ-უნ-ს... ბაზ-უნ-ს - ქო-ბაზ-უნ-ს, კვაკ-უნ-ს - ქო-კვაკ-უნ-ს...* ამგვარი წყვილები ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედებების ოპოზიციას ადგენენ; *ქო-ნაწილაკიანი* ფორმები ერთგზის, წერტილოვან მოქმედებას გამოხატავენ.

2. *ზმნისწინიანი მყოფადი:*

მყოფადი იწარმოება აწმყოს ფუძეზე გო- ზმნისწინის დართვით (იშვიათად დო- ზმნისწინით), თუმცა სემანტიკური ნიუანსის ცვლით; ერთმანეთს უპირისპირდება სრული და უსრულასპექტიანი ფორმები, რომელთა სემანტიკა ერთგზისობა - მრავალგზისობას, დიურატიულობა - მომენტობრიობას უკავშირდება[1]:

განგრძობითი, მრავალგზისი	მომენტობრივი, ერთგზისი	განგრძობითი, მრავალგზისი	მომენტობრივი, ერთგზისი
R-Thm-S3.Sg.Prs	PRV-R-Thm-S3.Sg.Fut	R-Thm-S3.Sg.Prs	PRV-R-Thm-S3.Sg.Fut
ბათქ-უნ-ს	გო-ბათქ-უნ-ს	ღი-ან-ს	გო-ღი-ან-ს,
გურგინ-უნ-ს	გო-გურგინ-უნ-ს	რკი-ან-ს	გო-რკი-ან-ს
ვალ-უნ-ს	გო-ვალ-უნ-ს	წი-ან-ს	გო-წი-ან-ს
ღირწკინ-უნ-ს	გო-ღირწკინ-უნ-ს	რჩხვი-ან-ს	გო-რჩხვი-ან-ს
ჩიონ-უნ-ს	გო-ჩიონ-უნ-ს	რსხი-ანს-ს	გო-რსხი-ან-ს

ზმნისწინიანი ფორმების მასდარში ზმნისწინის შენარჩუნება ზოგჯერ მისაღები ჩანს: მყოფადი: *გოღიანს - გოღიაფი, გორკიანს - გორკიაფი...* შდრ., აწმყოს ფორმები: *ღიანს - ღიაფი; რკიანს-რკიაფი...* ზმნისწინი ამოსავალი ფორმაში ზმნური მნიშვნელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

იმ შემთხვევაში, თუკი ხმა/ხმიანობა მოქმედების თანმხლებია, ანუ ზმნური ფორმები

[1]ზმნისწინებს მეგრულში ლოკაციის ან ტოპოლოგიის ჩვენების ფუნქციაც აქვთ, გო- ზმნისწინის დართვით ამავე მოდელში იცვლება არა მხოლოდ დრო და ასპექტი, არამედ ნიუანსური მნიშვნელობა: *ცქიცქონ-უნ-ს - გო-ცქიცქონ-უნ-ს* „გარშემო ციცქნა“, *ჯგიჯგონ-უნ-ს - გო-ჯგიჯგონ-უნ-ს* „გარშემო ჯიჯგნა“...

ორმაგი მნიშვნელობისაა, ერთდროულად გამოხატავს *მოქმედებას + ხმას*, მყოფადი დო-ზმნისწინით იწარმოება: *ბაზუნს - დო-ბაზ-უნ-ს, კვაკუნს - დო-კვაკ-უნ-ს, ბათქუნს - დო-ბათქ-უნ-ს*... ყველა მათგანის მნიშვნელობაა *„ცემა + ხმა“;* ამავე რიგისაა საკვების დამუშავებასთან (*ჭამა, ღეჭვა, ღრღნა, ხვრა*) დაკავშირებულ ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეები, ასევე ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი *-ან* თემისნიშნიანი ზმნები:

აწმყო	მყოფადი	აორისტი
R-Thm-S3.Sg. Prs	PRV-R-Thm-S3.Sg. Fut	R-Thm-S3.Sg.Aor / PRV-R-Thm-S3.Sg.Aor
ღანჭკ-უნ-ს	დო-ღანჭკ-უნ-ს	ღანჭკ-უ/ დო-ღანჭკ-უ
ჭკანჭკ-უნ-ს	დო-ჭკანჭკ-უნ-ს	ჭკანჭკ-უ / დო-ჭკანჭკ-უ
ცქანცქ-უნ-ს	დო-ცქანცქ-უნ-ს	ცქანცქ-უ / დო-ცქანცქ-უ
ღირღონ-უნ-ს	დო-ღირღონ-უნ-ს	ღირღონ-უ / დო-ღირღონ-უ
ჭიჭონ-უნ-ს	დო-ჭიჭონ-უნ-ს	ჭიჭონ-უ / დო-ჭიჭონ-უ
ჯგიჯგონ-უნ-ს	დო- ჯგიჯგონ-უნ-ს	ჯგიჯგონ-უ / დო-ჯგიჯგონ-უ
ზღვარზღვალ-ან-ს	დო-ზღვარზღვალ-ან-ს	ზღვარზღვალ-უ / დო-ზღვარზღვალ-უ
ციზ-ან-ს	დო-ციზ-ან-ს	ციზ-უ / დო-ციზ-უ

ხშირად ერთი და იმავე ფუძისგან წარმოქმნილი მყოფადის გო- და დო- ზმნისწინიანი წერტილოვანი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედების გამოხატვით: *გო-ბათქუნს* „იბუთქებს“ - *დო-ბათქუნ-ს* „დაბეთქავს“, *გო-რკიანს* „იკივლებს“ - *დორკიანს* „დაიტირებს (კივილით)“...

სამეცნიერო ლიტერატურაში მყოფადის ფორმად მიჩნეულია მი-ო-R-ან-ს[1] (PRV-V_{Prf}-R-THM-S3.SG.PRS) მორფომოდელის ზმნები, რომლებიც აწმყოსთან *-უნ / -ან* თემის ნიშნის მონაცვლეობით იწარმოება: *გურგინ-უნ-ს* „გრგვინავს“ - *მი-ო-გურგინ-ან-ს* „მიაგრგვინვებს“... (ჭუმბურიძე 1986: 144); მი-ო-R-ან-ს მორფოლოგიური ზმნური მოდელი ნამდვილად მყოფადის ფორმაა, მაგრამ იგი უპირისპირდება არა აწმყოს *-უნ* თემისნიშნიან ფორმებს, არამედ ომოფორმას ქმნის მასთან; ამასთან მათ მყოფადის პარალელური ფორმები მოეპოვებათ *ქი- (<ქო)* ნაწილაკის დართვით: *ქი-მი-ო-ჭყი-ან-ს, ქი-მი-ო-წი-ან-ს*... აორისტი: *მი-ო-ჭყი-უ / ქი-მი-ო-ჭყი-უ*... ამგვარი ფორმები ერთგზისი, მომენტობრივი მოქმედების, ზოგჯერ კი ოდნაობის სემანტიკას გამოხატავს: *მი-ო-ჭყი-ან-ს* „მიაჭყივლებს“, *მი-ო-წი-ან-ს* „მიაწივლებს“, *მი-ო-ყი-ან-ს* „მიაყივლებს“, *მი-ო-რკი-ან-ს* „მიაკივლებს“, *მი-ო-რჩხვი-ან-ს* „მიაჩხავლებს“... თავისებურების არსი ზმნისწინთან ერთად მიმდევრობაში ო- ხმოვანი პრეფიქსის გაჩენაში მდგომარეობს, რომელიც, ჩვენი აზრით, ინცეპტივის, მოქმედების დაწყების გამომხატველი უფრო ჩანს, ვიდრე ნეიტრალური ვერსიისა (რასაც მორფემათა ანალიზის ფორმალური წესის დაცვა ითხოვს); ამავე მოდელით გადმოცემულია ოდნაობითობის სემანტიკაც[2].

[1] *მი-* ზმნისწინისათვის ამოსავალია *მე-* ზმნისწინი *(მე- > მი-): მი-ორკიანს < მე-ორკიანს...*

[2] საყურადღებოა, რომ მი-ო-R-ან-ს კონსტრუქციას აწმყოს საწარმოებლად იყენებს მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნური ფორმები. იხ. შემდგომი მსჯელობა.

მნიშვნელოვანია, რომ ამავე მოდელში ზმნისწინთა პარადიგმატული ჩანაცვლებით *მი-* ზმნისწინის ადგილას დაჩნდება *გი- (<გე-)* ზმნისწინი[1]; ამგვარ ფორმათა შეპირირსპირება იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მყოფადის საანალიზო მოდელში *მი-* ერთადერთი არ არის და რელევანტურია ზმნისწინის დერივაციული ფუნქცია და არ მყოფადის წარმოება, ვინაიდან ზმნისწინიანია აწმყოც; *გი- (<გე-)* ზმნისწინი ზედაპირზე განხორციელებულ მოქმედებას მიანიშნებს და არა ზედაპირისკენ მიმართულს (ი. ქობალავა); ხმოვანი პრეფიქსით კი საზედაო სიტუაცია აღინიშნება:

აწმყო	მყოფადი
PRV-V_{Prf}-R-Thm-S3.SG.PRS	PRV-V_{Prf} -R-Thm-S3.SG(FUT) / Aff-V_{Prf} -R-Thm-S3.SG(FUT)
მი-ო-რკი-ან-ს	მი-ო-რკი-ან-ს/ ქი-მი-ო-რკი-ან-ს
მი-ო-ღირწკინ-ან-ს	მი-ო-ღირწკინ-ან-ს/ქი-მი-ო-ღირწკინ-ან-ს
მი-ო-რჩხვი-ან-ს	მი-ო-რჩხვი-ან-ს/ ქი-მი-ო-რჩხვი-ან-ს

შდრ.

აწმყო	მყოფადი
PRV- V_{Prf}-R-Thm-S3.SG.PRS	PRV- V_{Prf} -R-Thm-S3.SG.PRS/ Aff-V_{Prf} -R-Thm-S3.SG(FUT)
გი-ო-რკი-ან-ს	გი-ო-რკი-ან-ს/ ქი-გი-ო-რკი-ან-ს
გი-ო-ღირწკინ-ან-ს	გი-ო-ღირწკინ-ან-ს / ქი-გი-ო-ღირწკინ-ან-ს
გი-ო-რჩხვი-ან-ს	გი-ო-რჩხვი-ან-ს/ქი-გი-ო-რჩხვი-ან-ს

ქო- ნაწილაკიანი და *გო-, დო-* ზმნისწინებიან ფორმათა აწმყო ფორმობრივად ერთმანეთს ემთხვევა[2]:

	აწმყო	მყოფადი
(1)	გურგინ-უნ-ს	ქო-გურგინ-უნ-ს გო-გურგინ-უნ-ს
(2)	ჭყი-ან-ს	ქო-ჭყი-ან-ს გო-ჭყი-ან-ს
(3)	ღვარ-ან-ს	ქო-ღვარ-ან-ს გო-ღვარ-ან-ს

ზმნისწინიანი ფორმები აწმყონაკლულად შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი აწმყოს განგრძობით ფორმას მყოფადის ფორმებისათვის საზიაროდ არ ჩავთვლით და ომონიმიის საკითხს არ გავიზიარებთ. ზ. ჭუმბურიძე იმგვარ ზმნებს, რომელთაც საერთო აქვთ აწმყო,

[1]სემანტიკურად შეზღუდულია ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზოგ ფორმასთან: *გიოგურგინანს, *გიოვალანს, თუმცა სავსებით დასაშვებია ნეიტრალურ ფორმებთან: *გი-ო-ჭვენ-ს* „აწვიმს“, *გი-ო-თუნ-ს* „ათოვს“... მეგრული ო- და ქართ. ა- საზედაოს ნიშანი ჩანს.

[2]შდრ. ჭუმბურიძე 1986: 144

ხოლო მყოფადში გარჩეულნი არიან სხვადასხვა ზმნისწინით, „ერთი ფუძიდან ნაყარ“ ზმნებს უწოდებს (ჭუმბურიძე 1986: 95).

მეგრულში ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მასდარი ზმნისწინით იშვიათად არის გარჩეული (*მე-რკია[ფი], მე-წია[ფი]*... შდრ. ნეიტრალური *მე-რაგადი*), რადგან ამოსავალია პირველადი მასდარები (სახელები): *გურგინი* „გრგვინვა“, *რკიაფი* „კივილი“, *წიაფი* „წივილი“... ასეთ შემთხვევაში მასდარშიც შენარჩუნებულია მოქმედების ერთგზისობისა და წერტილოვანების სემანტიკა.

ბ) მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ლექსიკური მნიშვნელობა:

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხნის შენიშნულია, რომ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ზმნებში ზმნისწინი აწმყოშივე დაჩნდება და ამდენად, აღნიშნული ენობრივი პრინციპი აწმყო-მყოფადის დასაპირისპირებლად ვერ გამოდგება. სემანტიკურად ნეიტრალური *მე-ურ-ს* „მი-დი-ს „ზმნის შესაბამისი ყველა ფონოსემანტიკური თუ ექსპრესიული ფორმა აწმყოშივე ზმნისწინიანია, იგი უჩვენებს მოძრაობის მიმართულებას, გეზს და დეიქტურ ორიენტაციას, თუმცა ოპოზიცია *მე-ურს - მო-ურ-ს* „მიდის - მოდის“ (*პირველი პირიდან - პირველი პირისკენ)* მეგრულში მხოლოდ ნეიტრალურ ფორმას აქვს, ექსპრესიული ზმნური ფუძეები *მე-, მო-* ზმნისწინებით ვერ იწარმოება (თუ არ ჩავთვლით ორმაგი მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებს: *ნეიტრ. მე-რაგადანს: მე-რასალანს, მე-ღარღალანს... მო-რასალანს, მო-ღარღალანს...)*; ფონოსემანტიკურ ფუძეებთან *მი-* ზმნისწინია გამოყენებული: *მი-ცვაცვალუ* „მი-ცუნცულებს“ ან „მო-ცუნცულებს“; კონტექსტში გეზი და ზმნური ფორმის დეიქტუროზა დგინდება სხვა ლინგვისტური პარამეტრებით, მათ შორის ზმნისართების დართვით: *მიცვაცვალუ აშო* „მოცუნცულებს აქეთ“ - *მიცვაცვალუ იშო* „მიცუნცულებს იქით“ (ი. ქობალავა).

მ ო ძ რ ა ო ბ ა - გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ზმნების თავისებურებები აწმყო-მყოფადის წარმოებისას:

1. მოძრაობა-გადაადგილების ზმნების აწმყოსა და მყოფადში პარალელური ფუძეებია წარმოდგენილი: *ხმოვანპრეფიქსიანი* და *უხმოვანპრეფიქსო;*

2. პარალელური ფორმების მასდარი გარჩეულია: უხმოვანპრეფიქსო ფორმა ნაწარმოებია ფუძეში შემავალი დერივაციული -ალ სუფიქსით;

3. აწმყო-მყოფადის დასაპირისპირებლად გამოიყენება ზმნისწინთა ოპოზიცია *მარტივი - რთული:*

აწმყო		მყოფადი	
მი-ო-ცვაცვ-ან-ს	მი-ცვაცვალ-უ/გ(ნ)	მიდა-ცვაცვ-ან-ს	მიდე-ცვაცვალ-უ(ნ)
მი-ო-სვასვ-ან-ს	მი-სვასვალ-უ/გ(ნ)	მიდა-სვასვ-ან-ს	მიდე-სვასვალ-უ(ნ)
მი-ო-ბათქ-ან-ს	მი-ბათქალ-უ/გ(ნ)	მიდა-ბათქ-ანს	მიდე-ბათქალ-უ(ნ)
მი-ო-კვაზ-ან-ს	მი-კვაზალ-უ/გ(ნ)	მიდა-კვაზანს	მიდე-კვაზალ-უ(ნ)
მი-ო-ქვაქვ-ან-ს	მი-ქვაქვალ-უ/გ(ნ)	მიდა-ქვაქვანს	მიდე-ქვაქვალ-უ(ნ)
მი-ო-ქვაც-ან-ს	მი-ქვაცალ-უ/გ(ნ)	მიდა-ქვაცანს	მიდე-ქვაცალ-უ(ნ)
მი-ო-ძგვაბ-ან-ს	მი-ძგვაბალ-უ/გნ)	მიდა-ძგვაბ-ან-ს	მიდე-ძგვაბალ-უ(ნ)

4. მყოფადში ო-პრეფიქსიანი ფორმები ზმნისწინის გარეშეც შეიძლება იყოს წარმოდგენილი: მაგ. დიო აშო ქუმურს და უკული მუშ გემოშა *ო-სვასვანს* (ინფ.) ანალოგირად: *ო-კვაზანს / ო-ცვაცვანს / ო-ქვაქვანს... „ჯერ აქ მოვა და მერე თავის გემოზე წავა“*; მეგრულში მყოფადის ამგვარი ფორმები განგრძობითი და უსრულასპექტიანი ჩანს.

5. აწმყოს მი-ო-R-ან-ს მოდელზე *ქო-* ნაწილაკის დართვით მიღებული მყოფადი ახალ მნიშვნელობას შეიცავს - ზმნური ფორმა სრულ ასპექტთან ერთად *მიზნამდე მიღწევას, მიზანთან მიახლოებას* აღნიშნავს:

აწმყო	მყოფადი
მი-ო-ცვაცვ-ან-ს მი-ცვაცვალ-უ(ნ)	*ქი-მი-ო-ცვაცვ-ან-ს (< *ქო-მე-ო-ცვაცვ-ან-ს),* *ქი-მი-ცვაცვალ-უ-უ(ნ)*
მი-ო-სვასვ-ან-ს მი-სვასვალ-უ(ნ)	*ქი-მი-ო-სვასვ-ან-ს (< *ქო-მე-ო-სვასვ-ან-ს),* *ქი-მი-სვასვალ-უ-უ(ნ)*

4. მოძრაობა-გადადგილების ზმნებთან *ქო-* ნაწილაკი *მა-* ზმნისწინთან ერთად აწმყოშივე შეიძლება დაჩნდეს: მევოჯინიო, ამარ *ქუ-მა-სვასვანს (< *ქო-მა-სვასვანს < *ქო-მა-ა-სვასვანს < *ქო-მო-ო-სვასვან-ს)*[1] „გავიხედე, აგერ მოდის“; *ქუ-მა-ცვაცვანს, ქუ-მა-ბათქანს, ქუ-მა-ტვანგანს, ქუ-მა-ჩვანგანს... მა- ~ მი-* ზმნისწინებით დაპირისპირებული ფორმები დეიქტურად განსხვავებული ჩანს: *მა-ცვაცვანს (< *მო-ო-ცვაცვანს) ~ მი-ო-ცვაცვანს, მა-სვასვანს (<*მო-ო-სვასვანს) ~ მი-ო-სვასვანს...*

5. მოძრაობა-გადადგილების ზმნების აწმყო-მყოფადში ფუძისეული ხმოვანი შეცვლილია - ა/ე: - თუ ფუძე დერივაციულ -ალ სუფიქსზე ბოლოვდება, ძირში /ა/ ხმოვანი დაჩნდება, მაგრამ თუ ამ სუფიქსის გარეშეა წარმოდენილი, მაშინ ძირი /ე/-ხმოვნიანია: *მი-ბეთქ-უ/ე - მიდე-ბეთქ-უ/ე (შდრ., მი-ბათქალ-უ/ე - მიდე-ბათქალ-უ/ე), მი-კვეზ-უ/ე - მიდე-კვეზ-უ/ე (შდრ., მი-კვეზ-უ/ე - მიდე-კვეზ-უ/ე), მი-ქვექვ-უ/ე - მიდე-ქვექვ-უ/ე (მი-ქვაქვალ- მიდე-ქვაქვალ)...* ამასთან ამგვარი ფორმების მყოფადი და აორისტი ომონიმურია[2].

ა დ გ ი ლ ზ ე მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ზმნები აწმყოს ი-პრეფიქსით აწარმოებენ, მყოფადს კი ქ-, ქი- (<* ქო-) ნაწილაკით ან მის გარეშე: *ი-ბანდალ - ი-ბანდალ/ქ-ი-ბანდალ (<*ქო-ი-ბანდალ), ი-წარწალ - ქ-ი-წარწალ, ი-ცანცალ - ი-ცანცალ / ქ-ი-ცანცალ...* ასეთივე წარმოებით ხასიათდება *მოძრაობა+ნათების* აღმნიშვნელი ზმნური ფორმებიც: „ცეცხლის ნათება“ - *ი-ბარბანჩ - ქ-ი-ბარბანჩ, იგარგანჩ - ქ-ი-გარგანჩ...* „შუქის კიაფი, ნათება“: *იჭვარჭვალ- ქ-ი-ჭვარჭვალ, იჟერჟელ - ქ-ი-ჟერჟელ...* გამონაკლისი ჩანს -ან თემისნიშნიანი *ჭვიტანს - ქო-ჭვიტანს* „ჭიატობს, ციმციმებს“

გ) ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზმნების ლექსიკური მნიშვნელობა მოიცავს არსებობა-მყოფობის ფორმებს, თუმცა აღნიშნულ სემანტიკურ ველში ფონოსემანტიკური ტიპის ფუძეები არ დასტურდება; ნეიტრალური ფუძეებს კი მყოფადი არ ეწარმოებათ, მათი აწმყო კი გე-ზმნისწინიანია და ზედაპირზე ყოფნას, არსებობას გამოხატავს: *გე-ბათქუ, გე-ტვანგუ, გე-კვაკვ-უ(ნ), გე-ბახუ, გე-ქვაქვუ...* „ზის, დევს/ძევს“.

[1] ოო > აა > ა ფონეტიკური გარდაქმნისათვის იხ. კარტოზია და სხვ. 2010: 56.

[2]შესაძლოა გარჩეული იყოს მახვილით (საკითხისათვის იხ. ქირია და სხვ. 2015: 463).

მეგრულში სტატიკურ ფორმებად არის მიჩნეული ადამიანის გარეგნობის, ფიზიონომიის, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების აღმნიშვნელი ი/ო პრეფიქსიანი ზმნური ფორმები, რომლებიც ი-/ო- პრეფიქსიანია I და II სერიის ყველა მწკრივში : *ი/ო-სვისვინანს, ი/ო-გვიჯინანს, ი/ო-ცვიცვინანს, ი/ო-ბითქინანს...* ამგვარი აწმყოს ფუძის მყარი მორფომოდელია: ი/ო-R+ინ-Thm-

ამგვარ ზმნურ ფუძეთა ძირითადი მორფოლოგიური მახასიათებლებია:

1. მასდარი *-ინ* სუფიქსიანია, რომელიც დერივაციული ფუძეში შემავალი ელემენტია;
2. აწმყო *-ან* თემისნიშნიანია;
3. ი/ო- პრეფიქსები სტატიკურობის გამომხატველი ჩანს;
4. აწმყოს ფორმები ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია მხოლოდ ხმოვანი ი/ო პრეფიქსით ან ქ- (<*ქა- <*ქო-) ნაწილაკით:

   (ა) ო-სვისვინანს // ქ-ა-სვისვინანს (< ქა-ა-სვისვინანს < *ქო-ო-სვისვინანს)

   (ბ) ი-სვისვინანს //ქ-ი-სვისვინანს (< *ქო-ი-სვისვინანს)
5. ამგვარი ზმნური ფორმები მყოფადს ვერ აწარმოებენ (შეროზია 1996:188)
6. სამაგიეროდ, მყოფადი ეწარმოება ამგვარ ზმნურ ფუძეთა დონიანი ვნებითის ფორმებს (აწმყო - მყოფადი: *სინგვონდუ - გოსინგვონდუ, ტვინგონდუ - გოტვინგონდუ, სისონდუ - გოსისონდუ...* შდრ. ქართ. *შტერდება* ტიპი); ამგვარ ფორმაში სტატიკა პროცესის სახითაა წარმოდგენილი.

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფუძეთა გვარისა და ქცევის საკითხები

1. *სტატიკურობა-დინამიკურობის რაობისათვის.* სტატიკურობა-დინამიკურობა ქართველურ ენათა ფონოსემანტიკური ზმნის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. არნ. ჩიქობავა ერთმანეთისაგან განასხვავებდა მდგომარეობისა და პროცესის აღნიშვნას და ამის მიხედვით გამოყოფდა სტატიკურ და დინამიკურ ზმნებს. დინამიკურობა-სტატიკურობის ამგვარი კვალიფიკაცია ძირითადად გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა მეტ-ნაკლებად განსხვავებული მიდგომაც გვხვდება. პირველ რიგში, ეს ეხება მდგომარეობის ცნების შეფასებას და, შესაბამისად, სტატიკურობისა და მდგომარეობის ცნებათა ურთიერთმიმართებას. აკ. შანიძე სტატიკურ ზმნას ვნებითი გვარის ნაირსახეობად განიხილავს (შანიძე 1953; 1973), თუმცა სტატიკური ვნებითებისა და მედიოპასივების მსგავსებასაც უსვამს ხაზს: „უახლეს ქართულს აქვს ერთგვარი ტენდენცია, სტატიკურთა ფარგლებში მოაქციოს ისეთი ზმნებიც, რომლებიც ტიპობრივად მედიოპასივია“ (შანიძე 1973: 300-301). გ. მაჭავარიანი ე.წ. საშუალი გვარის ზმნათა სტატიკურ ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას (მაჭავარიანი 1974: 122); ნ. ნათაძე განიხილავს საშუალი გვარის სტატიკურ ზმნებს (ნათაძე 1959: 130). ზ. ჭუმბურიძე „მოქმედების სახის“ მიხედვით აერთიანებს სტატიკურ ვნებითებს და მედიოპასიურ ზმნებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მათ შორის მნიშვნელოვან სხვაობას ქმნის მწკრივთა წარმოება, კერძოდ, წარსული დროის გადმოსაცემად უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივთა მონაცვლეობა (ჭუმბურიძე 1968: 41).

ბ. ჯორბენაძე, ბ. გიგინეიშვილი შინაარსობლივად აიგივებდნენ მდგომარეობისა და სტატიკურობის ცნებებს. ბ. ჯორბენაძე სტატიკურ ზმნებად თვლიდა ე. წ. საშუალი გვარის

ზმნებსა და სტატიკურ ვნებითებს (ჯორბენაძე 1975: 34), ხოლო ბ. გიგნეიშვილისთვის სტატიკური იყო ე. წ. საშუალი გვარის ზმნათა ნაწილი, უპირატესად მედიოპასივები და სტატიკური ვნებითები. მისი აზრით, სტატიკურობის ცნების განსაზღვრისას საყრდენი უნდა იყოს სემანტიკური კრიტერიუმი (გიგინეიშვილი 1987: 88); გ. კლიმოვის აზრით, სტატიკურ ზმნებში ჩანს მდგომარეობის სემანტიკა (კლიმოვი 1977); რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს მ. მაჭავარიანი, რომლის მიხედვით, სტატიკურობა აერთიანებს მდგომარეობასაც და პროცესსაც (მაჭავარიანი 1981).

მდგომარეობის ცნების განსაზღვრას დიდი ხნის წინ მიაქციეს გრამატიკოსებმა ყურადღება. მასზე მსჯელობა მოცემულია ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში. საკითხის შესწავლის ისტორია ვრცლად არის მიმოხილული მ. სუხიშვილის მონოგრაფიაში „სტატიკური ზმნები ქართულში" (თბ., 1976), კერძოდ, ავტორი წარმოაჩენს ი. ქართველიშვილის (1809), დ. ყიფიანის (1882), დ. ჩუბინაშვილის (1887), ა. ქუთათელაძის (1888), პ. კვიცარიძის (1888), თ. ჟორდანიას (1889) თვალსაზრისებს და დაასკვნის, რომ „ზმნათა ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულების გამოყოფა ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში სემანტიკურ პრინციპებს ემყარებოდა, ამიტომაც ვერ იმიჯნებოდა გარდამავლობა, სტატიკურობა-დინამიკურობა, გვარი" (სუხიშვილი 1976: 8). ნ. ლოლაძის საკანდიდატო დისერტაციაში, წინამორბედ ავტორთა ნაშრომების გათვალისწინებით, საფუძვლიანად არის მიმოხილული სტატიკურობის რაობა, განსაზღვრულია სტატიკურობის კატეგორია, დახასიათებულია სტატიკურ ზმნათა შემადგენლობა, სტატიკური და დინამიკური ზმნები გარდამავლობის მიხედვით. ნაშრომში მოცემულია სტატიკურ ზმნათა ფორმობრივი და სემანტიკური კლასიფიკაცია ქართველური ენების მასალაზე[1].

2. *ზმნურ ფორმათა მადინამიკურებელი საშუალებები და ქცევის საკითხი.* უღლების თავისებურებას ზმნის გვარი განაპირობებს. „უღვლილების ტიპების ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი სწორედ ზმნის გვარის ფორმებია" (ჯორბენაძე 1975: 108). ნიშანდობლივია, რომ ამგვარი განსხვავება თავს იჩენს არა მარტო მაშინ, როცა გვარის ფორმები გრამატიკული მოდელით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ მაშინაც, როცა ფუნქციური განსხვავება დასტურდება. ზმნის გვარის მორფოლოგიური ბუნება ვლინდება არა მარტო შესაბამისი მოდელებით, არამედ უღვლილების სახეებითაც (ჯორბენაძე 1975: 108).

სტატიკური ფორმების დინამიკურად გადაქცევის ერთ-ერთი საშუალება ზმნისწინის დართვაა; ამ გზით მიღებული დინამიკური ფორმა ფაქტობრივად მოქმედებითი გვარის ფუნქციის მატარებელია. სახელის ფუძისაგან დინამიკური ზმნის საწარმოებლად გარდაქცევითობის შინაარსის *ა-*პრეფიქსი გამოიყენება, რომელიც *-ებ* თემისნიშნიან აწმყოს ფუძეს ემატება. *„ა + ფუძე + სუფიქსი* მოდელი... გარდაუვალი ფუძეებისაგან გარდამავალი (მოქმედებითი გვარის) ზმნების წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა თანამედროვე ქართულში" (ჯორბენაძე 1975: 111). საშუალ ფორმათა უმრავლესობა პირველადი უგვარო ზმნებია, რომლებიც გვარის ფორმებად მოქმედებითისა და ვნებითის ჩამოყალიბების შედეგად გაფორმდნენ. ფუნქციურად მოქმედებითიცა და საშუალიც ერთურთის მიმართ კონვერსიულ ფორმებს წარმოადგენენ: *ა-წუხებს ის მას - წუხს ის, შდრ: ა-წუხებს ის მას - წუხდება ის* (ჯორბენაძე 1975: 128).

[1]დაწვრილებით იხ. ლოლაძე 1995.

ფონოსემანტიკური ფუძეები, მათ შორის რედუპლიცირებული და *-იალ* სუფიქსიანიც, მოქმედებითი და საშუალი გვარის ფორმათა ურთიერთმიმართების ზემოხსენებულ ყალიბს იმეორებს:

ა-გუგუნ-ებ-ს ის მას - გუგუნ-ებ-ს ის; ა-რაკრაკ-ებ-ს ის მას - რაკრაკ-ებ-ს ის;

ა-ცახცახ-ებ-ს ის მას - ცახცახ-ებ-ს ის; ა-კანკალ-ებ-ს ის მას - კანკალ-ებ-ს ის;

ა-ფრიალ-ებ-ს ის მას - ფრიალ-ებ-ს ის; ა-ბრიალ-ებ-ს ის მას - ბრიალ-ებ-ს ის;

ა-შრიალ-ებ-ს ის მას - შრიალ-ებ-ს ის; ა-ჭრიალ-ებ-ს ის მას - ჭრიალ-ებ-ს ის...

„აქ გასათვალისწინებელია, რომ მოქმედებითი გვარის ის ზმნები, რომელთაც შესაბამისი საშუალი ფორმა შეესატყვისება, ჩვეულებრივ ამ საშუალი ფორმისგან არის ნაწარმოები“ (ჯორბენაძე 1975: 128). *წუხს - აწუხებს, დუღს - ადუღებს* ფორმათა მოდელს იმეორებს *გუგუნებს - აგუგუნებს, ჭრიალებს - აჭრიალებს, ფრიალებს - აფრიალებს* ტიპის ზმნები. „პირველადი აქ სწორედ „საშუალი“ ფორმებია. სხვა შემთხვევაში კი მოქმედებითიცა და საშუალიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწარმოება“ (ჯორბენაძე 1975: 128).

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა თავისებურება განპირობებულია შესაბამისი ფუძის პასივის უქონლობით. „არის ერთი ნაწილი მედიოაქტიური ზმნებისა (ძირითადად, რედუპლიცირებული), რომლებსაც მხოლოდ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმა მოეპოვებათ, ვნებითი კი - არა: *აბაბანებს - ბაბანებს, აზანზარებს - ზანზარებს, აქაქანებს-ქაქანებს, აღაღანებს-ღაღანებს, ახარხარებს - ხარხარებს, აბიბინებს - ბიბინებს, აჭრიჭინებს - ჭრიჭინებს, აგუგუნებს - გუგუნებს, ატიტინებს - ტიტინებს...“* (ჯორბენაძე 1975: 183); როგორც აღინიშნა, არ დასტურდება ამ ტიპის ზმნათა დონიანი ვნებითის ფორმები, კერძოდ, **ბაბანდება, *ღაღანდება, *ბრიალდება, *ჭრიალდება* და მისთ., განსხვავებით *წუხდება* ფორმისაგან. თუმცა მოქმედებითი გვარის *-იალ* სუფიქსიან ზოგ ფუძეს შესაბამისი დონიანი ვნებითის წარმოების უნარი შესწევს: *აბრიალებს - აბრიალდება, აჭრიალებს - აჭრიალდება, აკრიალებს - აკრიალდება, აწკრიალებს - აწკრიალდება, აშრიალებს - ა-შრიალდება, ასრიალებს - ასრიალდება, აპრიალებს - აპრიალდება...*

ამ ტიპის ფორმების ერთი თავისებურებაც უნდა აღინიშნოს: შესაბამისი მოქმედებითი მათ მხოლოდ საარვისო ქცევისა აქვთ: *ა-ბაბანებს, ა-ზანზარებს, ა-გუგუნებს. ..* მათი სათავისო ქცევის ფორმა *ი-ბაბანებს, ი-ზანზარებს, ი-გუგუნებს* ახალ ქართულში მხოლოდ „საშუალი“ ფორმების პარადიგმებად გამოიყენება. ამავე ზმნების სასხვისო ქცევის ფორმები *უ-ბაბანებს, უ-ზანზარებს, უ-გუგუნებს, უ-ფრიალებს...* შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც საშუალი, ასევე ძირითადად მოქმედებითი გვარის ფუნქციით, ე. ი. *ზანზარებს - უზანზარებს, ფრიალებს - უფრიალებს* ერთმანეთის მიმართ ისევე წარმოადგენენ საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებს, როგორც *აზანზარებს - უ-ზანზარებს, ა-ფრიალებს - უ-ფრიალებს.*

აწმყოში ამოსავალი ფორმა ერთია - *კანკალებს, ზანზარებს, ფრიალებს...* მათგან ნაწარმოები ფორმები *ა-კანკალებს, ა-ზანზარებს, ა-ფრიალებს - უ-კანკალებს, უ-ზანზარებს, უ-ფრიალებს* მოქმედებითი გვარისად არის მიჩნეული და საინტერესოა როგორც ქცევის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები.

ზანზარებს, ფრიალებს ტიპის ფორმები *III სერიაში უღლებისას სასხვისო ქცევის ფორმებით ივსებენ პარადიგმებს*. „I თურმებითი უნდა ყოფილიყო *უზანზარებია, უფრიალებია,* მაგრამ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმებისგან გასარჩევად საშუალ ფორმებში -ებ სუფიქსის ადგილს ზოგჯერ ფორმანტი -ნ- იკავებს; ჩვეულებრივ კი ამ სუფიქსის გარეშე გამოიყენება: *(და)-უზანზარ-ებ-ია - უზანზარ-ნ-ია // უზანზარია* (შანიძე 1973: 490-492; ჯორბენაძე 1975: 183-184)[1]. ქართულში მადინამიკურებელი ფუნქციის ა- პრეფიქსი ნეიტრალური ქცევის ნიშნადაც მიიჩნევა, რადგან ქცევის ნიშანთა სამწევრა სისტემაში სწორედ ამ ნიშნით უპირისპირდება სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებს.

მეგრულშიც დასტურდება *ა+ფუძე+სუფიქსი* გარდამავალი ზმნის მოდელი ქართულიდან შესულ ზმნურ ფორმებში: *ა-რჩელ-ენ-ს* - ათეთრებს, *ა-კეთ-ენ-ს* - აკეთებს, *ა-ნათ-ენ-ს* - ა-ნათებს. ა- პრეფიქსი ნასესხობაა ქართულიდან (კარტოზია 2008:94) და მოცემულ მოდელში საარვისო ქცევის ფორმანტად არ მიიჩნევა სხვა წარმოშობისა და სხვაგვარი ფუნქციის გამო (ჩიქობავა 1936: 110; დანელია 2006: 143; მაჭავარიანი 2002: 97). უნდა აღინიშნოს, რომ *ა + ფუძე + სუფიქსი*-თ წარმოდგენილი გრამატიკული მოდელი ფონოსემატიკურ ზმნურ ფუძეებთან არ დასტურდება. მეგრულში ნეიტრალური ქცევა ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი (ჩიქობავა 1936: 110; კარტოზია 2008: 94). ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, გარდაუვალ ზმნებს ქცევა ან საერთოდ არ მოეპოვებათ, ან კიდევ ნაკლული სისტემით არიან წარმოდგენილი და მხოლოდ ნეიტრალურ და საობიექტო, ანუ საარვისო და სახვისო, ქცევის ფორმებს წარმოადგენენ.

ცალკეული ფონოსემანტიკური ზმნები, რომელთა ფუძე სავარაუდოდ ქართულთან საერთოა, იმეორებენ საარვისო და სასხვისო ქცევის იმ მოდელს, რომელიც ქართულში Ø და უ- პრეფიქსებით რეალიზდება აწმყოს წრის ზმნებში:

Ø -ჭირხინუნს - უ-ჭირხინუნს (შდრ: Ø -ჭიხვინებს - უ-ჭიხვინებს),
Ø -რწკინუნს - უ-რწკინუნს (შდრ: Ø -ბრწყინავს - უ-ბრწყინავს),
Ø-წირწინუნს - უ-წირწინუნს (შდრ: Ø-წრიპინებს - უ-წრიპინებს),
Ø-ტირტინუნს - უ-ტირტინუნს (შდრ: Ø-ტიტინებს - უ-ტიტინებს),
Ø-რკიანს - უ-რკიანს (შდრ: Ø-კივის- უ-კივის),
Ø- ბურდღინუნს - უ-ბურდღინუნს (შდრ: Ø -ბურდღუნებს - უ-ბურდღუნებს),
Ø-ღვარანს - უ-ღვარანს (შდრ: Ø-ყვირის - უ-ყვირის),
Ø-ცანცალანს - უ-ცანცალანს (შდრ: Ø-კანკალებს - უ-კანკალებს).

ქართულში დადასტურებული მადინამიკურებელი ა- პრეფიქსის ფარდია მეგრულში ო- პრეფიქსი. ორივეგან აღნიშნული პრეფიქსები ნეიტრალური ქცევის ნიშნად მიიჩნევა, თუმცა უფრო მართებულია კაუზატივის მაწარმოებლად მიჩნევა, რადგან კაუზატივი მეგრულსა და ლაზურში ო- პრეფიქსის გარეშე არ იწარმოება (მაჭავარიანი 2002: 97; დანელია 2006: 143; შდრ: ა- პრეფიქსის ფუნქცია ქართულში ე. წ. პირველად კაუზატივებთან, როგორც ჩვეულებრივი ტიპის, ასევე, ფონოსემანტიკური ლექსიკის ზმნურ ფორმებთან: *ა-ცმევს, ა-ჭმევს, ა-კანკალებს, ა-ცემინებს, ა-მცხიკვებს* და სხვა). „კაუზატივის წარმოებაში ყოველთვის მონაწილეობდნენ პრეფიქსები, ჩვეულებრივ, ზანური (= მეგრულ-ლაზური) ო- (ქართ. ა-)“ (მაჭავარიანი 1988:95). „კაუზატივის წარმოების თვალსაზრისით ზანური

[1]-ნ სუფიქსის ბუნებისათვის იხ. ივ. ქავთარაძე 1955.

(= მეგრულ-ლაზური) სავსებით ემთხვევა ქართულს როგორც ტიპოლოგიურად, ისე მატერიალურადაც“ (ჩიქობავა 1936: 160).

სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრულისთვის ცალ-ცალკე განიხილება კონტაქტისა და კაუზატივის კატეგორიები. კაუზატივად მხოლოდ კონტაქტის ფორმა მოიაზრება (დანელია 2006: 143-144; ქირია 1989: 6; 12). როგორც კაუზატივი, ასევე კონტაქტი არ არის ოდენ მორფოლოგიური კატეგორია, იგი ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლებითაც გამოირჩევა. ამგვარი მახასიათებლის საფუძველზე კაუზატივად მიიჩნევა ის ორპირიანი გარდამავალი ზმნები, რომლებშიც მოქმედების ფაქტიურ შემსრულებლად პირდაპირი ობიექტი გვევლინება (ციხელაშვილი 1999: 14-15).

მეგრულში ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეებისგან ნაწარმოები აქტივები წარმოადგენენ პირველად კაუზატივებს[1]:

ჭირხინუნს - ო-ჭირხინუანს (შდრ: ჭიხვინებს - ა-ჭიხვინებს),
წირწინუნს - ო-წირწინუანს (შდრ: წრიპინებს - ა-წრიპინებს),
ტირტინუნს - ო-ტირტინუანს (შდრ: ტიტინებს - ა-ტიტინებს),
ბურდღინუნს - ო-ბურდღინუანს (შდრ: ბურდღუნებს - ა-ბურდღუნებს),
ცანცალანს - ო-ცანცალუანს (შდრ: კანკალებს - ა-კანკალებს) და სხვა.

მეგრულში კაუზატივი მხოლოდ გარდამავალი ზმნაა. *ო-ჭირხინუანს „ა-ჭიხვინებს“, ო-წირწინუანს „ა-წრიპინებს“* ოდენ სემანტიკური კაუზატივებია, ხოლო კონტაქტის მიხედვით – უშუალო[2]. „პირველად კაუზატივებს, სადაც არ ხდება კაუზატიური ფუნქციის გრამატიზაცია, შეიძლება ოდენ ფუნქციური (სემანტიკური) კაუზატივებიც ვუწოდოთ“ (ჯორბენაძე 1975:57).

-უ-ან დაბოლოება მეტად გავრცელებული სუფიქსია აწმყოს ფორმებთან. იგი ახასიათებს ყველა კაუზატივს და იმ ფორმებსაც, რომელთაც კაუზატივის გაგება არა აქვთ. -უ-ან რთული სუფიქსია: -ან თემის ნიშანია, -უ-ს მორფოლოგიური კვალიფიკაციისა და ეტიმოლოგიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი თვალსაზრისები არსებობს: გ. როგავას -უ სუფიქსი -ევ-ისაგან მომდინარედ მიაჩნდა ფონეტიკური ტრანსფორმაციის შემდეგი საფეხურის გათვალიწინებით: -*ევ > -*ო > -უ (როგავა 1945: 651). გ. მაჭავარიანისთვის წინააღმდეგობრივია ფონეტიკური ცვლილების -*ევ > -*ო საფეხური; მისი აზრით, -უ-ს მისაღებად -*ო საფეხურის გავლა აუცილებელია, ოღონდ -*ო შეიძლება მომდინარეობდეს არა -*ევ, არამედ -*ოვ სუფიქსისაგან (მაჭავარიანი 1988:95). გ. დეეტერსისა და ტ. გუდავას ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად გამოთქმული თვალსაზრისების გაერთიანება შესაძლებელია, რომლის თანახმად, -უ < *-ავ-ისაგან (დეეტერსი 1930: 211; გუდავა 1984: 75). ნ. ნათაძის აზრით, -უ-ს წარმომავლობა შემდეგნაირად ჩაიწერება: -უ < -*Vვ. *Vვ სეგმენტის შემადგენელ ნაწილად ნებისმიერი ხმოვანი ივარაუდება. სინქრონიულ დონეზე არსებული -უ-ს მიღების გზა დიაქრონიულად ორგვარად განიხილება: ერთი, გადმოყოლილია კაუზატიური ფორმისთვის საყრდენად გამოყენებული მასდარიდან; მეორე, -ვ თანხმოვნიანი თემატური სუფიქსის ნაშთია (ნათაძე 1959:144). -უ-ს წარმომავლობის საკითხს ბოლო პერიოდში შეეხო ჭ. ქირია, რომელმაც იგი მეგრულში გავრცელებული -უნ || -უმ თემის ნიშანთა

[1]თუმცა ამგვარ ფორმათაგან სტანდარტული კაუზატივიც იწარმოება: *ოჭირხინაფუანს, ოწირწინაფუანს, ორკიაფუანს, ოწიაფუანს, ოლალაფუანს, ოღვარაფუანს, ობურდღინაფუანს* და სხვ.

[2] ჭ. ქირიას აზრით, ამ ზმნებს კაუზატივებად თვლიან აწმყოში მათი დაბოლოების გამო (ქირია 1989: 99).

ხმოვნით ნაწილად მიიჩნია (ქირია 1989 : 114); როგორც ჩანს, -უ სუფიქსის ფუნქცია თანდათან დაიჩრდილა და ფუძეს შეუხორცდა, რამაც ხელი შეუწყო ახალი -ან თემატური სუფიქსის გაჩენას (ქირია 1989: 114). მიუხედავად ფუნქციის არარსებობისა თუ აფიქსის დესემანტიზებისა, -უ-ან აფიქსთა მიმდევრობა კაუზატივის ერთ-ერთ მაწარმოებლადაა მიჩნეული (როგავა 1945: 651; მაჭავარიანი 1988: 95; ნათაძე 1959: 138).

ამრიგად, ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა წყვილები ქცევისა და სერიის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება გადანაწილდეს მეგრულში:

ჭირხინუნს - უ-ჭირხინუნს („ჭიხვინებს-უ-ჭიხვინებს“; საარვ.- სახვ. ქცევა, I სერია);

ო-ჭირხინუანს - უ-ჭირხინუაფუ („აჭიხვინებს - უჭიხვინებია“; საარვ.- სასხვ. ქცევა, III სერია).

ლ ა ზ უ რ შ ი -ინ სუფიქსი დასტურდება მეგრული *-ოვ > -უ სუფიქსის ნაცვლად: *ვოტიბ-უ-ანქ - ვოტუბინ-ამ „ვათბობ“* (მარი 1910: 191). როგორც ჩანს, ლაზურშიც იყო *-ოვ > -უ სუფიქსი, მაგრამ დაიკარგა (მაჭავარიანი 1988: 98). „-ინ დღესაც გვხვდება ჭანურში (=ლაზურში) აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსის ფუნქციით“ (ჩიქობავა 1936; მაჭავარიანი 1988: 99, სქ.), მათ შორის *საარვისო და სასხვისო ქცევის ფონოსემანტიკურ ზმნებთანაც აწმყოში: წიპ-ინ-ს* „წივის“, *უ-ხირხ-ინ-ს* „უჭიხვინებს“ და სხვა. ზოგჯერ ლაზურის ზმნურ ფორმებში კაუზატიურ ფორმათა საწარმოებლად სპეციალური სუფიქსი არ ჩანს; გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მის მაგივრობას თითქოს -ამ (ხოფ. -აფ) თემის ნიშანი ასრულებს“ (მარი 1910: 137). ზანური -აფ სუფიქსი ქართული -ებ სუფიქსის ზუსტ მორფოლოგიურ-ფონეტიკურ ეკვივალენტად განიხილება. ეს მოვლენა კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ დიაქრონიულ ვითარებას: „კაუზატივის მაწარმოებლები ხომ ისტორიულად იგივე თემის ნიშნებია“ (მაჭავარიანი 1988: 98). „კაუზატივის სუფიქსები აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსებიდან (თემის ნიშნებიდან) უნდა მომდინარეობდნენ“ (მაჭავარიანი 1988 : 98).

ქართული მადინამიკურებელი ა-ებ აფიქსის შესატყვისია მეგრულში ო-ან, ლაზურში ო-ამ (ჩიქობავა 1936: 131). ო-ამ, ო-ან წარმოება ზანურში (=მეგრულ-ლაზურში) არ ჩანს ისეთი პროდუქტიული, როგორიც მისი ეკვივალენტი ა-ებ ქართულში (მაჭავარიანი 1988: 98). მეგრულში ო-ან-ის პარალელურად გაჩნდა ქართულიდან შესული ა-ენ აფიქსი, რომელიც, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად არის პროდუქტიული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფონოსემანტიკური ლექსიკა ო- -უ+ან კომფიქსიან ყალიბს იყენებს; უმთავრესად ხმაბაძვითი ლექსიკა გამოიყენება ფუძედ: *ო-ჭირხინ-უ+ან-ს* „აჭიხვინებს“, *ო-კარკალ-უ+ან-ს* „აკაკანებს“, *ო-კარკაც-უ+ან-ს* „აკისკისებს“, *ო-პეტელ-უ+ან-ს* „აკიკინებს“ (=აბღავლებს), *ო-წიაფ-უ+ან-ს* „აწივლებს“, *ო-ჯღიაფ-უ+ან-ს* „აჯღავლებს“, *ო-კუსაფ-უ+ან-ს* „აკვნესებს“ და სხვა. „ზანური კაუზატივის სუფიქსები წარმოშობით იგივე თემის ნიშნებია, რომელთა ფუნქცია იყო აწმყოს ფუძის (resp. მოქმედებითი გვარის) წარმოქმნა“ (ჩიქობავა 1936; მაჭავარიანი 1988:99). ლაზურში პირველადი კაუზაციის სემანტიკა ფონოსემანტიკურ ზმნებთან შესაძლებელია მხოლოდ თემის ნიშანმაც შემოიტანოს; მაგალითად, *ხვათქ-უფ-ს* „აჯანჯღარებს“, *ტანკ-უფ-ს* „აკაკუნებს“[1], *ამოპაც-აფ-ს* „ატყეპებს (ტალახს)“[2] (თურქ. ლაზეთი, ექსპედიციის მასალები, 2014).

[1]შდრ: მეგრულის პარალელური ფორმები: *ხაკ-ინ-ი | ხაკ-აფ-ა* „კაკუნი“ - *უ-ხაკ-ინ-უ-ან-ს | უ-ხაკ-უ-ან-ს* „აკაკუნებს“;

[2] შდრ: მეგრ. *მიკმატყატყ-უ-ან-ს* „ატყეპებს (ტალახს)“.

ფონოსემანტიკური ზმნების უღლების თავისებურებები ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში

ი- პრეფიქსის რაობის საკითხი. ფონოსემანტიკური ზმნური ფორმებიც უღლებისას ავლენენ იმ თავისებურებებს, რომლებიც საერთოდ საშუალი გვარის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი - მწკრივთა წარმოების ნაკლული პარადიგმები მოეპოვებათ; იმის მიხედვით, მოქმედებითი გვარის ფორმებისგან ივსებენ პარადიგმებს თუ ვნებითისგან, განარჩევენ მედიოაქტივებს და მედიოპასივებს (შანიძე 1973: 304; ჯორბენაძე 1975: 178). ფონოსემანტიკურ რედუპლიცირებულ ზმნურ ფუძეებს საკუთარი წარმოების ფორმები მოეპოვებათ აწმყოს წრეში: აწმყოში, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში. უღვლილებისას ამ ტიპის მედიოაქტიურ ზმნებს მყოფადის წრისა და II სერიის ფორმათა საწარმოებლად „ენაცვლება მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის მოდელით ნაწარმოები (მაგრამ გარდაუვალი) ფორმები (შანიძე 1973: 498-500; ჯორბენაძე 1975: 183):

ბაბანებს –ი-ბაბანებს – ი-ბაბანა, ბიბინებს – ი-ბიბინებს – ი-ბიბინა,
გუგუნებს – ი-გუგუნებს – ი-გუგუნა, ზანზარებს –ი-ზანზარებს – ი-ზანზარა,
ქაქანებს – ი-ქაქანებს – ი-ქაქანა, ღაღანებს – ი-ღაღანებს – ი-ღაღანა,
ხარხარებს –ი-ხარხარებს –ი-ხარხარა, ჭრიჭინებს –ი-ჭრიჭინებს – ი-ჭრიჭინა,
ტიტინებს – ი-ტიტინებს –ი-ტიტინა, ჯაჯღანებს – ი-ჯაჯღანებს – ი-ჯაჯღანა

ამგვარი ყალიბი დამახასიათებელია -იალ სუფიქსიანი ფორმებისთვისაც:

ბრიალებს – ი-ბრიალებს – ი-ბრიალა, ფრიალებს – ი-ფრიალებს – ი-ფრიალა,
პრიალებს – ი-პრიალებს – ი-პრიალა, ტრიალებს – ი-ტრიალებს – ი-ტრიალა,
წრიალებს – ი-წრიალებს – ი-წრიალა, ჭრიალებს – ი-ჭრიალებს – ი-ჭრიალა,
ხრიალებს – ი-ხრიალებს – ი-ხრიალა, ზრიალებს – ი-ზრიალებს – ი-ზრიალა,
კრიალებს – ი-კრიალებს – ი-კრიალა...

„ყველა ეს ჩანაცვლებული ზმნა მხოლოდ ფორმით არის მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის კუთვნილება, გაგება გარდამავალი (resp. მოქმედებითი გვარის) ზმნისა. მას არა აქვს. ეს ჩანს თუნდაც იმით, რომ უმრავლესი მათგანი: *იბიბინებს, იღაღადებს, იხარხარებს, იგუგუნებს...* ერთპირიანი და, ამდენად, გარდაუვალი ფორმებია“ (ჯორბენაძე 1975: 183). აღსანიშნავია, რომ მყოფადის წრისა და II სერიის მწკრივთა *ი-* პრეფიქსიან ფორმებს პარალელური ზმნისწინიანი ფორმებიც მოეპოვებათ.

„*ზანზარებს, ფრიალებს* ტიპის ზმნები პარადიგმებში იყენებენ როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმებს (სხვაგვარად: მოქმედებითისა და ვნებითის მოდელებს“) (ჯორბენაძე 1975: 185).

დიაქრონიულად *ი-* პრეფიქსის არსებობის დადასტურებისა და, შესაბამისად, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ძველი ქართულის მონაცემების განხილვა. ძველი ქართული ენის ძეგლების შესწავლამ წარმოაჩინა „ჭრელი“ სურათი: ერთი მხრივ, აწმყოს წრეშივე დასტურდება *ი-* პრეფიქსიანი ფორმები *(ი-სიძავს - ი-სიძვა, ი-ცინის - ი-ცინა, ი-ბუდებს - და-ი-ბუდა...* ამგვარ ზმნურ ფორმათა ჩამონათვალი იხ. ნოზაძე

1974: 34), ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ქართულისებური ვითარებაა, აწმყოს წრის ფორმები უთავსართოდაა წარმოდგენილი და „I და II სერიის ფორმათა დაპირისპირება ი- პრეფიქსის მიხედვით (*მეფობს - იმეფა, ტირს - იტირა, გლოვს - იგლოვა*) გვაქვს ძველ ქართულშივე“ (ნოზაძე 1974: 33). ზოგადად დინამიკური პროცესების გათვალისწინება ენაში შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ამ საკითხთან დაკავშირებით: „უძველეს ქართულში პრეფიქსული წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამ ტიპის ზმნებისთვისაც“ (ნოზაძე 1974: 38). სხვა ადგილას ლ. ნოზაძე „უძველესი ქართულის“ სინონიმად „ძველისძველ ქართულს“ (ნოზაძე 1974: 36) იყენებს და ამით განასხვავებს ქრონოლოგიურად ძველ ქართულსა და ადრეული პერიოდის ქართულს. „არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, ძველისძველ ქართულში, ი- პრეფიქსი საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა[1] აწმყოს წრის ფორმებისთვისაც. უნდა გვქონოდა ერთგვარად ნაწარმოები ზმნური ფორმები დრო-კილოთა ორსავე ჯგუფში. განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს აწმყოსა და ნამყო ძირითადის წყებაში მედიოაქტივ ზმნებთან (დრტჟნავს - ი-დრტჟნა) წარმოქმნილი უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე. *მედიოაქტივ ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში მეორეული ჩანს, მიღებული ი- პრეფიქსიანი ფორმებისგან ხმოვნის დაკარგვის შედეგად“ (ნოზაძე 1974: 36-37); როგორც ჩანს, „პრეფიქსაცია ქართული ენის უძველესი დამახასიათებელი პრინციპია“* (ჩიქობავა 1959).

იმღერის, ინანის ტიპის ზმნებში ი- პრეფიქსის დაკარგვის ფაქტი შენიშნული აქვს ი. ქავთარაძესაც. უძველესი ხანის ქართულში იგი ი- პრეფიქსის არსებობას შესაძლებლად თვლის სხვა ჯგუფის ზმნებშიც (ე. წ. verbum sentiendi) (ქავთარაძე 1954:274).

„მედიოაქტივის“ ქვეჯგუფის „ნაკლულ“ ფორმათა შევსების შესახებ ა. შანიძისა და ბ. ჯორბენაძის ზემოხსენებული თვალსაზრისები ფაქტობრივად ავსებენ ერთმანეთს. ამ საკითხთან, კერძოდ, ი- პრეფიქსის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება; „ისმის კითხვა: მყოფად-წყვეტილის ი- პრეფიქსიანი ფორმები მართლაც აქტივის „სათავისო ქცევის“ ფორმებისაგანაა ნასესხები, თუ ეს სუბიექტის სფეროში მიმდინარე პროცესის, სუბიექტისკენ მიმართული თვითმოქმედების, ანუ რეფლექსივის გამომხატველი ი- პრეფიქსია, რომელიც R-ებ-ი სტრუქტურის ერთპირიან ზმნებშიც ამავე ფუნქციას ასრულებს? თანაც, ეს პრეფიქსი ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულის რამდენიმე პარადიგმაში აწმყოს ფორმებშიცაა სისტემურად დადასტურებული (*ილოცავს, იტყვის, ისმენს, იძახის, იღვწის, იჩქარის, იღვიძებს, იძინებს),* რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტიპის ზმნებს ის აწმყოშიც ჰქონდათ და დაეკარგათ და თუ ასეა, ეს საკუთარი ფორმებია და არა ნასესხები (მელიქიშვილი 2014: 62-63)[2].

ისტორიულად აწმყოს ი- პრეფიქსიანი ფორმების პირველადობის დასამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა აქვს უმწერლობო ქართველური ენების - მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მონაცემებს.

[1]იგულისხმება მედიოაქტიური ზმნები.

[2]დ. მელიქიშვილი ავრცობს ლ. ნოზაძის მიერ წარმოდგენილ სიას და 50-მდე ზმნას ასახელებს, რომელთაც ძვ. ქართულში ი- პრეფიქსი დაერთვოდათ აწმყოში (იხ. მელიქიშვილი 2001: №3 პარადიგმის ნაწილი: *იკვეხის, ისწრაფვის, იღვწის, იღიმის, იჩქარის, იმღერის, იურვის...* და №10 პარადიგმა მთლიანად, 50-მდე ზმნა: *იბანაკებს, იბოდიშებს, იბუდებს, იგვიანებს, იძინებს, იღვიძებს, ივაკებს, ითენებს, იზამთრებს, იმორცხვებს* და *სხვა* (იხ. მელიქიშვილი 2001).

მ ე გ რ უ ლ შ ი მედიოაქტივი ზმნების უღლების სამი მოდელი დასტურდება:

1. ორივე სერიაში ი- პრეფიქსიანები - *იცინის - იცინა* ტიპის წარმოება;

2. აწმყოს ჯგუფში - უპრეფიქსო წარმოება, ნამყო ძირითადისაში - ი-პრეფიქსიანი: *მეფობს - იმეფა* ტიპი. „ეს წარმოება ძირითადია ქართულისთვის. მეგრულში იგი ძირითადად ქართულიდან ნასესხებ ფუძეებში გვხვდება“ (ნოზაძე 1974: 43); შდრ: მეგრ. მეფენს - ი-მეფენს;

3. ორივე სერიაში უპრეფიქსო წარმოება -„ძველი ქართულის *მეფობს - ჰმეფა* ტიპის წარმოება“ (ნოზაძე 1974: 44).

ფონოსემანტიკური ლექსიკა უღლებისას მედიოაქტივებისთვის დამახასიათებელ სამივე ტიპის მოდელს იყენებს:

I ტიპის მოდელში ერთიანდება -ან თემისნიშნიანი ზმნების ნაწილი: *ი-ბურჯანს - ი-ბურჯუ „წრიალებს - იწრიალა“, ი-შონთანს - ი-შონთუ „შფოთავს - იშფოთა“...*

II ტიპის მოდელშიც -ან თემისნიშნიანი ზმნები დასტურდება: *ზარზალანს - დიზარზალუ „ზანზარებს - იზანზარა“, ცანცალანს - დიცანცალუ „ცახცახებს - იცახცახა“, ფარფალანს - დიფარფალუ „ფრიალებს - იფრიალა“...*

III ტიპის მოდელში გვხვდება -უნ და -უ თემისნიშნიანები: *ხურხინუნს - ხურხინუ „ხვრინავს - იხვრინა“, ბურდღინუნს - ბურდღინუ „ბურდღუნებს - იბურდღუნა“, წურწინუნს - წურწინუ „წიწინებს - იწიწინა“, ტუტინუნს - ტუტინუ „ტიტინებს-იტიტინა“, ცურცინუნს - ცურცინუ, თირთინუნს - თირთინუ „ჩლიფინებს -იჩლიფინა“, ჩუღინუნს- ჩუღინუ „სისულელეს ლაპარაკობს - სისულელე ილაპარაკა“.* სამივე ტიპის მოდელში გაერთიანებული ზმნები პარალელურ ზმნისწინიან ფორმებს იჩენენ 1-ლ სერიაში მყოფადის წრისა და მე-2 სერიის მწკრივთა წარმოებისას: *ზარზალანს - დიზარზალუანს - დიზარზალუ „ზრიალებს - დაზრიალდება - დაზრიალდა“, ხურხინუნს - დიხურხინუანს - დიხურხინუ*[1] *„ხვრინავს - იხვრინებს - იხვრინა“...*

ლ ა ზ უ რ შ ი ც I-II სერიაში მედიოაქტივ ზმნათა უღლების სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: 1. I-II სერიაში ი- პრეფიქსიანი: *ი-ბურბალს - ი-ბურბალუ* „ბრუნავს-იბრუნა“, *ინქორს - ინქორუ* „ამთქნარებს - დაამთქნარა“, *დივალამს - დივალუ* „ელავს-იელვა“ (I მოდელი); 2. I სერიაში Ø, II სერიაში - ი- (II მოდელი), შდრ: თანამედროვე ქართულისთვის დამახასიათებელი *მეფობს - იმეფა* ტიპი: *მღორაფს - დიმღორუ* „ბღავის - დაიბღავლა“, ყიაფს - დიყიუ „ყივის - დაიყივლა“, *ღირინს - დიღირინუ* „ღრენს - დაიღრინა“, *სტვინუფს - დისტვინუ* „სტვენს - დაისტვინა“, *წიაფს - დიწიუ* „წივის - დაიწივლა“. III მოდელს ქმნის ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ძველ ქართულში *მეფობს - ჰმეფა* ზმნურ ფორმათა შეფარდებას იმეორებს და ორივე სერიაში ნულოვანი თავსართით ხასიათდება: *პეტელაფს - პეტელუ „ბღავის-იბღავლა“, ხიხინაფს - ხიხინუ "ჭიხვინებს - იჭიხვინა“, კარკალაფს - კარკალუ „კაკანებს-იკაკანა“, მღორაფს - მღორუ „ბღავის-იბღავლა“, კუსაფს - დოკუსუ „კვნესის - იკვნესა“, ვალუფს - გომვალუ „ელავს - იელვა“.*

[1] ზმნისწინს ცალკეულ შემთხვევაში შემოაქვს ოდნაობითის სემანტიკა. შდრ: მეგრული და ქართული ფორმები: *მიოხურხინანს - წაიხვრინებს*

ფონოსემანტიკური ზმნების უღლების თავისებურებები სვანურში

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმებს სვანურში, მსგავსად სხვა ქართველური ენებისა, მწკრივთა წარმოების ნაკლული პარადიგმები მოეპოვებათ. მათ ახასიათებთ ყველა ის თავისებურება, რაც ზოგადად საშუალი გვარის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი საკუთარი ფუძით ვერ ახერხებენ ყველა დრო-კილოს წარმოებას, ნაკლული ფორმების შევსება კი ხდება სათანადო გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმების ხარჯზე (ანუ ეს ზმნებიც შეიწყობენ ბრუნვაცვალებად სუბიექტს). ამგვარ ზმნებს კი, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, მედიოაქტიურ ზმნებს უწოდებენ [მაგ., *კივის ის _ იკივლა მან, მეფობს ის _ იმეფა მან, დუღს ის _ იდუღა მან* და სხვ. (თოფურია 1931: 117; გაგუა 1976: 197)].

ნაშრომში განხილული იქნება ფონოსემანტიკური ტიპის მედიოაქტივ ზმნათა უღლების თავისებურებანი და წარმოდგენილი იქნება ამ ზმნათა უღლების პარადიგმები I და II სერიაში.

სვანურში, მსგავსად თანამედროვე ქართულისა (და განსხვავებით მეგრულისაგან), მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ორი მოდელი დასტურდება:

1. მედიოაქტივ ზმნათა ერთი წყება აწმყოს ჯგუფში *ი-* პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი (ანუ უპრეფიქსო წარმოება გვაქვს), ნამყოძირითადის და მყოფადის წრისა კი ი- პრეფიქსიან ფუძეს ემყარება (ქართ. *მეფობს _იმეფა ტიპისა);*

2. მედიოაქტივ ზმნათა ერთი წყება აწმყოშივე ი- პრეფიქსიანია, რომელთა ეკვივალენტი ზმნები თანამედროვე ქართულში უპრეფიქსო ფორმებს გვიჩვენებს. ნამყოძირითადის და მყოფადის წრისა კი ამ მოდელშიც *ი-* პრეფიქსიან ფუძეს ემყარება (ნოზაძე 2008:85-87).

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ფონოსემანტიკური ლექსიკა უღლებისას ორივე ტიპის მოდელს იყენებს.

თვალსაჩინოებისათვის კი პარადიგმების სახით ცალ-ცალკე წარმოვადგენთ მედიოქტივ ზმნათა წარმოების მოდელებს ფონოსემანტიკურ მასალაზე დაყრდნობით:

I მოდელის ზმნათა უღლების პარადიგმები

აწმყო	*მყოფადიუსრული*	*ნამყოძირითადი*
ბურტყუ̈ნი „ბურტყუნებს”	*ი-ბურტყუნნი* „იბურტყუნებს”	*ლუ̈-ჲ-ბურტყუნე* „დაიბურტყუნა”
ბგრთქნი „ბრაგუნობს”	*ი-ბგრთქნნი* „იბრაგუნებს”	*ლუ̈-ჲ-ბგრთქნე* „დაიბრაგუნა”
გა̈რგლი „ლაპარაკობს”	*ი-გგრგა̈ლნი* „ილაპარაკებს”	*ლუ̈-ჲ-გგრგლე* „⌜და⌝ ილაპარაკა”
გუ̈ლი „ყმუის”	*ი-გუ̈ლინი* „იყმუვლებს”	*ლუ̈-ჲ-გუ̈რლ* „დაიყმუვლა”
გგრხნი „ხორხოცებს; უშნოდ იცინის”	*ი-გგრხგნნი* „იხორხოცებს; უშნოდ იცინებს”	*ლუ̈-ჲ-გგრხგნე* „იხორხოცა; უშნოდ გაიცინა”

ზული „ზმუის”	*ი-ზულინი* „იზმუილებს”	*ლა̈-ი-ზულ* „დაიზმუილა”
თგრთნი „თლიფინებს”	*ი-თგრთგნნი* „ითლიფინებს”	*ლა̈-ი-თგრთგნე* „ითლიფინა”
კ̄ლი „კივის”	*ი-კ̄ლინი* „იკივლებს”	*ლა̈-ი-კ̄ლე* „დაიკივლა”
კუ̄ც „კვნესის”	*ი-კუ̄ცინი* „იკვნესებს”	*ლა̈-ი-კუ̄ც* „დაიკვნესა”
კუ̄თხე „წვეთავს (სახურავიდან გამდნარი თოვლი; წვიმის წვეთი; მწიფე ხილი ცვივა...”	*ი-კუ̄თხნი* „იწვეთებს სახურავიდან გამდნარი თოვლი; წვიმის წვეთი; მწიფე ხილი დაცვივა...”	*ლა̈-ი-კუ̄თხე* „იწვეთა სახურავიდან გამდნარმა თოვლმა; წვიმის წვეთი; მწიფე ხილი დაცვივდა...”
კგ̄რე „ბრწყინავს”	*ი-კგ̄რინი* „იბრწყინებს”	*ლა̈-ი-კგ̄რე* „იბრწყინა”
ჟღგ̄ლი „ჟღავის”	*ი-ჟღგ̄ლინი* „იჟღავლებს”	*ლა̈-ი-ჟღგ̄ლე* „დაიჟღავლა”
ქეშლე „ცეტოობს”	*ი-ქშელნი* „იცეტებს”	*ლა̈-ი-ქეშლე* „იცეტა”
ღგრჭნი „ღრიჭინებს”	*ი-ღგრჭინნი* „იღრიჭინებს”	*ლა̈-ი-ღგრჭინე* „დაიღრიჭინა”
ღგ̄ლი „ღრენს”	*ი-ღგ̄ლინი* „იღრენს”	*ლა̈-ი-ღგ̄ლე* „დაიღრინა”
ყული „ბღავის”	*ი-ყულინი* „იბღავლებს”	*ლა̈-ი-ყულე* „დაიბღავლა”
შუ̄პ „სტვენს”	*ი-შუ̄პნი* „ისტვენს”	*ლა̈-ი-შუ̄პ* „დაისტვინა”
წ̄ქუ̄ „წვეთავს”	*ი-წ̄ქუ̄ნი* „იწვეთებს”	*ლა̈-ი-წ̄ქუ̄* „იწვეთა”
წკული „წკმუტუნებს”	*ი-წკულინი* „იწკმუტუნებს”	*ლა̈-ი-წკულე* „დაიწკმუტუნა”
წგფხა̄რე „ცრის”	*ი-წიფხა̄რნი* „იწვიმებს”	*ლა̈-ი-წიფხა̄რე* „იწვიმა”
ჭყგ̄ლი „ჭყივის”	*ი-ჭყგ̄ლინი* „იჭყივლებს”	*ლა̈-ი-ჭყგ̄ლე* „დაიჭყავლა”
ჭგრჭნი „ჭრიჭინებს”	*ი-ჭგრჭინნი* „იჭრიჭინებს”	*ლა̈-ი/ნ-ჭგრჭინე* „დაიჭრიჭინა”
ხგრსე „სრუტუნებს, გაციებისგან ძლივს სუნთქავს”	*ი-ხგრსინნი* „ისრუტუნებს”	*ლა̈-ი-ხგრსე* „ისრუტუნა”
ჴეშდე „ყეფს”	*ი-ჴშდინი* „იყეფებს”	*ლა̈-ი-ჴეშდე* „დაიყეფა”
ჰ̄ბე „ქენთელებს”	*ი-ჰ̄ბინი* „იქენთელებს”	*ლა̈-ი-ჰ̄ბე* „იქენთელა” და ა. შ.

II მოდელის ზმნათა უღლების პარადიგმები

აწმყო	*მყოფადიუსრული*	*ნამყოძირითადი*
ი-კლი „კოჭლობს”	*ი-კლუნი* „იკოჭლებს”	*ლა̈-ი-კილ* „იკოჭლა”

ი-ღრაჴლ „მღერის”	*ი-ღრაჴლნი* „იმღერებს”	*ლაჴ-ჲ-ღირაჴლე*[1] „იმღერა”
ი-ბრიაჴლ „მღერის”	*ი-ბრიაჴლნი* „იმღერებს”	*ლა-ჲ-ბრიაჴლე* „იმღერა”
ი-ლჭაჴლ „მოთქვამს, ტირის”	*ი-ლჭაჴლნი* „იტირებს”	*ლაჴ-ჲ-ლეჭაჴლე*[2] „იტირა”
ი-შდრაჴლ „თამაშობს”	*ი-შდრაჴლნი* „ითამაშებს”	*ლაჴ-ჲ-შდირაჴლე*[3] „წაითამაშა”
ი-ცინგლაჟალ „დადის, დაეხეტება ფეხის წვერებით; დაცანცარებს”	*ი-ცინგლაჟალნი* „ივლის; იცანცარებს”	*ლაჴ-ჲ-ცინგლაჟალე* „იარა; ⌜წა⌝ იცანცარა”
ი-გჟირანალ „თავშიშველი დაიარება, იყურება”	*ი-გჟირანალნი* „თავშიშველი ივლის, იყურებოდეს იქნება”	*ლაჴ-ჲ-გჟირანალე* „თავშიშველმა იარა, იყურა, გამოჩნდა”
ი-შიჟანალ „შავთვალწარბა იბღვირება”	*ი-შიჟანალნი* „შავთვალწარბა იბღვირებოდეს იქნება”	*ლაჴ-ჲ-შიჟანალე* „შავთვალწარბამ დაიბღვირა”
ი-თგრანჴლ „დაეთრევა”	*ი-თგრანჴლნი* „დაეთრეოდეს იქნება”	*ლაჴ-ჲ-თგრანჴლე* „ბევრი იარა”
ი-თიღჟანალ „იბღვირება”	*ი-თიღჟანალნი* „იბღვირებოდეს იქნება”	*ლაჴ-ჲ-თიღჟანალე* „წაიბღვერა”
ი-თჟედიელ „აქეთ-იქით დადის, უქმად დაყიალობს”	*ი-თჟედიელნი* „აქეთ-იქით ივლის, უქმად დაყიალობდეს იქნება”	*ლაჴ-ჲ-თჟედიელე* „აქეთ-იქით იარა უქმად ”
ი-ქეიფ „ქეიფობს”	*ი-ქეიფნი* „იქეიფებს”	*ლაჴ-ჲ-ქეიფე* „⌜წა⌝იქეიფა”
ი-ტყლიგაჴლ/ი-ტყიგანჴლ „ტიტველი დადის”	ი-ტყლიგაჴლნი/ი-ტყიგანჴლნი „ტიტველი ივლის”	*ლაჴ-ჲ-ტყლიგაჴლე/ლაჴ-ჲ-ტყიგანჴლე* „ტიტველი იარა”
ი-სჟიტანალ „იბღვირება, იბუტება”	*ი-სჟიტანალნი* „იბღვირებოდეს, იბუტებოდეს იქნება”	*ლაჴ-ჲ-სჟიტანალე* „⌜წა⌝ იბღვერა, ⌜წა⌝იბუტა”
ი-ღოღელ „ღოღავს”	*ი-ღოღელნი* „იღოღებს”	*ლაჴ-ჲ-ღოღალე* „იღოღა”
ი-ყარე/ალ „ჩხუბობს”	*ი-ყარე/ალნი* „იჩხუბებს”	*ლაჴ-ჲ-ყარალე* „⌜წა⌝იჩხუბა”
ი-კანკჟნალ „დაპაკუნობს (პაკიპუკით დადის)”	*ი-კანკჟნალნი* „იპაკუნებს”	*ლაჴ-ჲ-კანკჟნალე* „იპაკუნა” და მრავ. სხვ.

[1] შდრ. ბქ. *ლე-ღირალე/ლე-ნ-ღირალე/ლაჴ-ნ-ღრალე* „⌜წა⌝იმღერა“.
[2] შდრ. ბქ. *ლე-ნ-ლეჭალე* „იტირა (მოთქმით)“.
[3] შდრ. ბქ. *ლაჴ-ჲ-შდირალ/ე/ლაჴ-ნ-შდირალ/ე* და ჩოლ. *ლე-ჲ-შტირაჴლე* „⌜წა⌝ითამაშა“.

როგორც ფონოსემანტიკურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, მედიოაქტიური ზმნები აწმყოში, ძირითადად, ორი ტიპისაა: 1. ი- პრეფიქსიანი (*ი-კლი, ი-კუ̈ჩხი, ი-ღრალ, ი-ყარალ...*) და, 2. უპრეფიქსო (*კ̄ლი, ყუ̈ლი, კუ̈ეც, შდეკუ̈...*), მყოფადუსრული სვანურის ყველა დიალექტში *ი-* პრეფიქსითაა წარმოდგენილი (*ი-ჩკუ̈ლინი, ი-კანკუ̈ნალნი, ი-ლჭ̆ლნი, ი-ღ̄ლინი...*), თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს ლაშხური დიალექტი, სადაც ი- პრეფიქსიანთა პარალელურად უპრეფიქსო მედიოაქტივი ზმნებიც დასტურდება: *ყუ̈ლნი* „იბღავლებს", *კ̄ლნი* „იკივლებს", *ზუ̈ლნი* „იზმუვლებს", *შდუ̈ჩნი* „ითოვს"... (გაგუა 1976: 198). რაც შეეხება ნამყოძირითადს, აქ ყველა დიალექტისათვის, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, *ლ̆ა-ჲ-/ლა-ჲ/ლე-ჲ* ყალიბიანი (*ლ̆ა-ჲ-ყუ̈ლე, ლ̆ა-ჲ-ჭეშდე, ლ̆ა-ჲ-ქეიფე, ლ̆ა-ჲ-კანკუ̈ნალე, ლე-ჲ-ღირალე, ლე-ჲ-ლეჭალე...*) ფორმებია ნაჩვენები.

ნამყოძირითადში გამოვლენილი *ჲ*-ის წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ნ. ანდღულაძე, მ. ქალდანი, დ. მელიქიშვილი, მ. საღლიანი). ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, */-ჲ-/* ქცევის ნიშნისეული ხმოვნების ნარედუქციალია (შანიძე 1925: 224), რასაც არ ეთანხმება მ. ქალდანი (1959: 96-99). მან დიდძალი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისა და გულდასმით შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ „უირიბობიექტო ლა-პრევერბიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი შემონახულია დღემდე მთელ სვანურში, ოღონდ არა მარტო *ლ*'ს, არამედ მისი ბგერინაცვლის *ჲ*'სა და *ნ*'ს სახით". როგორც ავტორი შენიშნავს, *ჲ* S_2 პირის ნიშნის *ლ*'ს პალატალიზაციის (resp. დარბილების) შედეგი ჩანს, რომელიც „გვხვდება ლენტეხურში, ბალსზემოურში, ბალსქვემოურის ბეჩოურ, ცხუმარულ, ფარულ, ლახამულურ კილოკავებსა და ლაშხურისა და ჩუბეხეურის ზოგ თქმაში" (ქალდანი 1979: 209-210).

მიუხედავად იმისა, რომ მას, აკ. შანიძის მსგასად, */-ჲ-/* ქცევის ნიშნისეული ხმოვნების ნარედუქციალად არ მიაჩნდა, *ლ̆ა-ჲ-გგრგლე* ტიპის ფორმებს მაინც სათავისო ქცევის ფორმებად მიიჩნევდა. ამ ტიპის ზმნებში, მისი აზრით, *ლა-/ლ̆ა-/ლე-* წინდებულისეული ხმოვნის უმლაუტის გამომწვევი უნდა ყოფილიყო სათავისო ქცევის *-ი- ნიშანი, რომელიც მთლიანად რედუცირებულია, ხოლო როგორც /ლ-/, ასევე მისი პოზიციური ვარიანტები /ჲ-/* და */ნ-/* ხმოვანთგამყარის როლსაც ასრულებდნენ (ქალდანი 1979: 212).[1]

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც მედიოაქტივების შინაარსის გადმომცემი ზმნები დრონაკლია, ნაკლული ფორმების შევსება კი ხდება სწორედ სათანადო გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმების ხარჯზე (*რაგდ-ი* „ლაპარაკობს", *ი-რგ̄დ-ნ-ი* „ილაპარაკებს": ორივე გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევაა (თოფურია 1931: 117).[2]

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ *ლ̆ა-ჲ-გგრგლე* ტიპის ფორმების პარალელურად ნამყოძირითადში *ეს-/ას-* პრევერბიანი ფორმებიც დასტურდება:

ეს-ბურტყუნე „დაიბურტყუნა"; *ეს-ბგრთქნე* „დაიბრაგუნა"; *ეს-გგრგლე* „˹და˺ილაპარაკა"; *ეს-გუ̈რლ* „დაიყმუვლა"; *ეს-გგრხგნე* „იხორხოცა; უშნოდ გაიცინა"; *ეს-ზუ̈რლ* „დაიზმუილა"; *ეს-თგრთგნე* „ითლიფინა"; *ეს-კ̄რლ* „დაიკივლა"; *ეს-კუ̈ეც* „დაიკვნესა"; *ეს-კ̄გრე* „იბრწყინა"; *ეს-ჟღილ* „დაიჟღავლა"; *ეს-ქეშლე* „იცეტა"; *ეს-ღირალე* „˹წა˺იმღერა";

[1]აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი ანალიზისათვის იხ. საღლიანი 2013: 142-169.

[2]ამგვარი თავისებური წარმოების ზმნები დიდი რაოდენობით დასტურდება სვანურში (იხ. საღლიანი 2011).

ეს-ღგრჭინე „დაიღრიჭინა”; *ეს-ღგლე* „დაიღრინა”; *ეს-ყულე* „დაიბღავლა”; *ეს-შუეპ* „დაისტვინა”; *ეს-წუქუე* „იწვეთა”; *ეს-წკულე* „დაიწკმუტუნა”; *ეს-წიფხარე* „იწვიმა”; *ეს-ტუილ* „დაიძახა”; *ას-ტულე* „დაიძახა”; *ეს-ჭყრლ* „დაიჭყავლა”; *ეს-ჭგრჭინე* „დაიჭრიჭინა”; *ეს-ჯეშდე* „დაიყეფა” და სხვ[1].

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნამყოძირითადში გამოვლენილი *ლა-/ლა̈-/ლე-* პრევერბი ოდნაობის, სიმცირის გამომხატველია და მნიშვნელობით უდრის ქართულ *წა-ს. ეს-/ას-* პრევერბიანი ფორმები ერთჯერად დასრულებულ მოქმედებას გამოხატავენ, ხოლო, რაც შეეხება ედ-/ა̈დ- პრევერბიანებს, ისინიც ერთჯერად მოქმედებას გამოხატავენ, თუმცა ნაკლებ პროდუქტიული არიან სვანური ენის დიალექტებში.

.

[1]იშვიათად კი *ედ-/ა̈დ-* და *ან-/ენ-* პრევერბიანი ფორებიც ეწარმოებათ, მაგ.: *ად-ბურტყუნე* „დაიბურტყუნა”; *ა̈/ედ-ღირალე* „⌜წა⌝იმღერა”; *ა̈/ედ-ბგრთქნე* „დაიბრაგუნა”; *ან-წგფხარე* „⌜წა⌝მოწვიმა”; *ან-შდუე* „⌜წა⌝მოთოვა”; *ან-თართხულე* „⌜წა⌝მოთოვა მსხვილი და წვიმანარევი ფანტელებით”; თუმცა ისინი სისტემას არ ქმნიან სვანურში.

ნაწილი მეორე

ფონოსემანტიკურ ფუძეთა სემანტიკური ასპექტები

ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია

ენობრივი ფაქტების სისტემატიზაცია თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სიტყვა ყოველთვის არის წევრი რაღაც სიმრავლისა: კლასის, ქვეკლასის, ჯგუფის, რიგის. მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები სემანტიკურ ველებად ერთიანდებიან, ამ „სისტემაში თითოეული წევრის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი მიმართებით მთელ სტრუქტურასთან“ (აბულაძე 1986: 4)

ენები, მათ შორის ქართველურიც, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფონოსემანტიკურ ფუძეთა არა მხოლოდ რაოდენობის, არამედ თვისობრიობის მიხედვით; ეს სხვაობა დაჩნდება ენის როგორც მაკრო, ისე მიკროსისტემებში. ფონოსემანტიკური ლექსემის ერთ ენაში გადმოცემული სემანტიკა მეორე ენაში შეიძლება არ არსებობდეს ან სხვა ტიპის, არაფონოსემატიკური ფუძით იყოს ანალოგიური მნიშვნელობა გადმოცემული[1]; განსხვავებულია ენები ფონოსემანტიკურ ლექსემასთან დაკავშირებული დიაქრონიული ასპექტებით, სტრუქტურული და სემანტიკური ცვლილებებით, დიალექტური სახესხვაობებით.

ფონოსემანტიკური ლექსიკური ბაზის კლასიფიკაციას საფუძვლად შეიძლება დაედოს ბ გ ე რ ა დ ო ბ ა, ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა და მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტ სიძნელეს ვხვდებით იმის გამო, რომ ენები განსხვავდებიან ფონოსემანტიკურ ფუძეთა შედგენილობით, განსხვავებულია, აგრეთვე, ქვესისტემებად გამოყოფილი სემანტიკური კლასებიც (შდრ. კუდაიბერგენოვი 1957: 32-35; ვორონინი 1982: 44-46).

ფონოსემანტიკური ლექსიკის ანალიზი მოიცავს როგორც საკუთრივ ხმაბაძვის, ასევე, ზოგადად, ბგერათსიმბოლიზმისა თუ სინესთეზიის საკითხების ანალიზს; *საკუთრივ ხმაბაძვასა* და *სხვა სახის ბგერწერას* შორის „მკვეთრი ზღვარის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციონალური თვალსაზრისით“ (ი. მელიქიშვილი). ამ ტიპის ზმნები გამოხატავენს აღქმის მთლიანობას, მოლაპარაკის ფსიქოლოგიურ რეაქციას საგანთა გამორჩეული თავისებურებების მიმართ, ამიტომ ხშირია ამ ზმნათა მნიშვნელობების გადაკვეთა (დ. ენ ჰოლისკი).

ქართველურ ენებში ამგვარი ზმნების დიდი კლასი არსებობს[2], მათი საერთო ანალიზის შედეგად დასაშვებია ოთხი ძირითადი სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა:

1. საკუთრივ ხმაბაძვა ანუ ხმიანობა, სხვადასხვა სახის ხმიერების გამოხატვა (ი. მელიქიშვილი);
2. დინამიკურობის - მოძრაობისა და მოქმედების (ი. მელიქიშვილი), მათ შორის, გადაადგილებისა (ი. ქობალავა) და ადგილზე მოძრაობის (დ. ენ ჰოლისკი, ნ. კახაძე) ამსახველი ლექსიკა;
3. ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას (დ. ენ ჰოლისკი, ი. მელიქიშვილი);
4. სტატიკურობის - ფიზიონომიის, ყურების, გამოხედვის, გონებრივი მდგომარეობის - აღმნიშვნელი ლექსიკა (ი. ქობალავა)

---

[1] მაგ. ყირგიზულში ფიქსირდება ვარსკვლავის ჩამოვარდნის მოქმედების აღმნიშვნელი ლექსემა iapp, ეს სიტყვა ნიშნავს ტალღის მოძრაობასაც (კუდაიბერგენოვი 1957: 29).

[2]ფონოსემანტიკურ ფუძეთა სემანტიკურ კლასიფიკაციისათვის იხ. მელიქიშვილი 1999, ჰოლისკი, კახაძე 1988.

თითოეული სემანტიკური კლასის შიგნით ჯგუფების გამოყოფა ეფუძნება *სემანტიკური დიფერენციალის მეთოდს* (ჩარლზ ოსგუდი), სემანტიკურ კომპონენტებად დაშლასა და ამის საფუძველზე დენოტატიური და კონოტატიური მნიშვნელობების გამოყოფას. ზემოხსენებული კლასიფიკაცია ქართველური ენებისათვის ზოგადტიპოლოგიურ ხასიათს ატარებს და ერთნაირად მისაღებია როგორც ქართული, ასევე სვანური, მეგრული და ლაზური ენების ფონოსემანტიკური ლექსიკური ბაზის სრულად აღწერისა და კლასიფიცირებისათვის.

ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები ქართულში

მნიშვნელობათა თვალსაზრისით ქართულში ფონოსემანტიკურ ლექსემათა სხვადასხვა ჯგუფებს გამოყოფენ (ფოჩხუა 1974: 77-78; მელიქიშვილი 1999: 79-80). როცა ბ. ფოჩხუა ამგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს (*ადამიანის სამეტყველო და არასამეტყველო ბგერადობა, ცხოველთა ხმიანობის მიბაძვა და აღნიშვნა, დარტყმის, დაცემის ხმა, ადგილის მონაცვლეობის, სიარულის დროს გამოცემული ხმა, სტიქიურ მოვლენათა ხმიანობა...*), იქვე მიუთითებს, რომ ამგვარი დაჯგუფების შემეცნებითი ღირებულება შეზღუდულია. ჯერ ერთი, ერთიანი საკლასიფიკაციო ნიშანი არა ჩანს, მეორე, ფონოსემანტიკურ სიტყვათა მთელი ფონდი უნაშთოდ არ ნაწილდება ჩამოთვლილ ჯგუფებში და ბოლოს, ესა თუ ის სიტყვა შესაძლებელია რამდენსამე ჯგუფში მოექცეს (ფოჩხუა 1974: 78). ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგ., *კრიალი* აღნიშნავს როგორც ბზინვას, ასევე სხვადასხვა ხმიანობას (ქეგლი IV), *სისინი* გამოცემული ხმიანობაცაა და სიმსუქნეც (ქეგლი VI).... ვინაიდან ფონოსემანტიკა მნიშვნელობისა და ბგერის ორგანულ კავშირს გულისხმობს, თითქოს ბგერადობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს სემანტიკური ერთგვაროვნება უნდა ახასიათებდეს, მაგრამ „ჯერჯერობით ამის დამარწმუნებელი შედეგი არ მოუცია ხმაბაძვის გამომხატველ ფუძეთა მიმოხილვას“ (ფოჩხუა 1974: 78).

ბ. ფოჩხუასა და გ. რამიშვილს მოჰყავთ მრავალი მაგალითი, რომელშიც ფონეტიკური ინვენტარი ქართულია და ერთგვარი, მნიშვნელობები კი - განსხვავებული (ფოჩხუა 1974: 78; რამიშვილი 2000: 66). გ. რამიშვილს მიაჩნია, რომ ბგერითი ორგანიზაციიდან ამოსვლით არ შეიძლება ასეთ ლექსიკურ ერთეულთა შორის საერთოს დანახვა (მაგ., *წიკწიკი* - ხმიანობა და ოპტიკური შთაბეჭდილება). ავტორი თვლის, რომ საკუთრივ ლექსიკოლოგიური პოზიციიდან ფონოსემანტიკური ფუძეების დაჯგუფების პრინციპის პოვნა უფრო ახლოს იქნებოდა ზოგი ავტორის მცდელობასთან, რა თქმა უნდა, მათ ამის საშუალებას მისცემდა საგნობრივი საზომი, აგრეთვე, სინონიმია. საჭიროა ამ ტიპის სიტყვების შედარება სხვა ენებთან ლექსიკოლოგიურად და სემანტიკურად. ის გულისხმობს ენათა შედარებას იმის მიხედვით, თუ რის ხმიანობას გამოხატავს ესა თუ ის ხმაბაძვა (მაგ., ქართულში *კიკინებს თხა*, რუსულში, როგორც თხა, ისე ცხვარი) (რამიშვილი 2000: 66)[1].

[1]უფრო ვრცლად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ გ. რამიშვილი წიგნში “ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით“: “ქართულში *სისინებს გატი, გველი, ყიყინებს ბაყაყი*, რუსულში *шипит гвелло* და *батя*, მაგრამ *квакает* მხოლოდ *ბაყაყი*, ბატისა და ბაყაყის ხმის გაერთიანება (*квакает гусь*) რუსულისათვის აკრძალული სენატიკური კომბინაციაა, და, ამდენად, დაუშვებელი სიტუაცია იქნება“(რამიშვილი 1995: 108)

„აკრძალული სემანტიკური კომბინაციებისა“ და „ცალსახა მიმართებების“ მხრივ საინტერესოა ენათა შესწავლა დიაქრონიული ასპექტით და სხვადასხვა დიალექტების მონაცემთა თვალსაზრისით; მაგ., ქართულში *ყიყინი* აღნიშნავდა, როგორც ბატის, ასევე გველის ხმიანობას. *ყეფა* გამოხატავდა ძაღლისა და ბულბულის ხმას (სულხან-საბა 1993). სიტყვა *დაკამკამება*, რაც ქართულის ბევრ დიალექტში „გასუფთავებას, დაწკრიალებას“ ნიშნავს, მთის კილოების მიხედვით აკაკი შანიძის მიერ განმარტებულია: „დახამხამება, რუხრუხი - მუცლის ღურღული“ (შანიძე 1984).

ამგვარი ფაქტები თავისთავად დასვამს ფონოსემანტიკურ სიტყვათა პოლისემიისა და ომონიმიის პრობლემას. საინტერესო აღმოჩნდება, აგრეთვე, ამგვარი კვლევა ენობრივ აბსტრაქციებთან მიმართებით, რაზედაც გ. რამიშვილი საუბრობს „საგანთან დაცილების ხაზით“ (რამიშვილი 1995: 107)[1].

გ. რამიშვილის მიერ შემოთავაზებული კვლევის მეთოდით მოხერხდებოდა „გავმიჯნოდით როგორც უზოგადეს შინაარსობრივ ჯგუფებს, ისე ფონეტიკურ-კრიტერიუმებს და საკუთრივ მნიშვნელობის პრინციპი დაგვეძებნა, რითაც ზღვარს გავავლებდით ენობრივსა და საგნობრივს შორის... ეს საკუთრივ ქართული პრინციპის დაძებნას გაგვიადვილებდა“ (რამიშვილი 1995: 67).

ქართულში ფონოსემანტიკურ სიტყვათა ლექსიკურ–სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ჩვენ შევარჩიეთ შემდეგი ზოგად ჯგუფები: (1) ა დ ა მ ი ა ნ ი ს სემანტიკური კლასი და (2) ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა სემანტიკური კლასი; ეს უკანასკნელი მოიცავს ქვეკლასს ც ო ც ხ ა ლ ი - ა რ ა ც ო ც ხ ა ლ ი. მსხვილი კლასიფიკატორის ფარგლებში გამოიყოფა *ბგერადობის, მოძრაობის, სტატიკის,* ან ამ მნიშვნელობების *გადამკვეთი ფუძეები.*

(1) ა დ ა მ ი ა ნ ი ს სემანტიკური კლასი:

1. ლაპარაკის - სამეტყველო ბგერადობის, საუბრის აღმნიშვნელი ლექსიკა.

სამეტყველო ბგერადობის, საუბრის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში მეტად მრავალფეროვანია. სალიტერატურო ენასა და დიალექტებში შეიძლება გამოვყოთ მისი რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

1.1. ხმამაღალი ლაპარაკი: *დოგდოგი, ზაყზაყი, ლიგლიგი, ყირყაჟი, ყაყანი, ჭყვიტინი, როხროხი, ხორხოლი, ჯაჯღანი, ჯიმჯიმი...*

1.2 ხმადაბალი ლაპარაკი, ჩურჩული: *ბუტბუტი, პუტუნი, ლუკლუკი, ფუჩფუჩი, ტურტური, ჩიფჩიფი, ჩუქჩუქი, ჯუმჯუმი...*

1.3. წვრილი ხმით ლაპარაკი: *ტატყანი, წიკვინი, წრიპინი, ჭაჭყანი, ჭყვიტინი, წაწკანი, ჭყლოპინი...*

1.4. ბოხი ხმით ლაპარაკი: *ბაგბაგი, დოგდოგი, როხროხი, რახრახი, ხორხორი, ხორხოზი, ხროხინი...*

1.5. სასიამოვნო, ტკბილი საუბარი: *კურკური, კუსკუსი, ლუკლუკი, პუჭკური, ჭუჭუნი, ჭუკჭუკი, ჭურღული...*

1.6. არასასიამოვნო, მომაბეზრებელი ლაპარაკი: *დვარდვალი, ტიტყინი, ყატყატი, ჭაჭანი ჭაჭყანი, ჯიჯგინი, ჯოგჯოგი...*

1.7. უკმაყოფილო, გაურკვეველი ლაპარაკი: *ბუზღუნი, ბურდღული, დუდღუნი, ღაჯური, წუწუნი, ჭუჭყუნი, ჯიყჯიყი...*

[1]აბსტრაქტული და კონკრეტულ-ინდივიდუალური კლასიფიკაციების შესახებ შდრ., კასირერი 1983: 217-218.

1.8. უთავბოლო, უშნოდ ლაპარაკი: *დვარდვალი, პრუტუნი, რატარუტი, როყროყი, საქსაქი, ტარტარი, ყრანტალი, ჭარტალი...*

2. *არასამეტყველო ბგერადობა*

2.1. ყვირილი, კივილი, ხმაური: *ზირზილი, შეჭეხნა, ღრიალი, ფრიათი, კივილ-წივილი, ყაპყაპი, რუზრუზი, ტყრიშიალი, ცაცხანი, ცუცხუნი, ჭყივილი, ხორხორი, ხოხორობა, ჯალჯაღი...*

2.2. სიცილის და ტირილის გამოხატვა:

2.2.1. *კასკასი, კუჭკუჭი, ვითვითი, რიკრიკი, ფრუტუნი, ძროხინი, ხარხარი, ხითხითი, ხირხიცი, ჯაჩხაჩი, ხირხიტი, ხინდრიკი...*

2.2.2. *ზლუქუნი, ზურზღული, სხრიალი, სლუკსლუკი, ფლიკვინი, ღვარღვალი, ღრიალი, ღნავილი, წლუკუნი, ჩხავილი, ჯღავილი, ქვირქვილი, ხოჩხოჩი...*

2.3. ჭამის და სმის ამსახველი ლექსიკა:

2.3.1. ჭამა: *ბლაყნა, კმაკნვა, კოშვრა, კრახუნი, ჟაჟუნი, ყლაჭანი, წკლაპუნი, ჭლაპუნი, ხაპუნი, ხატკუნი, ხლაპუნი, თქაფ-თქუფი, ხრამახრუმი...*

2.3.2. სმა: *გლანჯვა, წრუტვა, ხვლეპა/ხვრეპა, ცქნაფვა, თრაქვა, ტრუნჯვა, ტყლურჭვა, ჭყურტვა, ხუხვა, ხუნხვლა, წრუპ-წრუპი...*

2.4. ძილის დროს გამოცემული ხმიანობა: *სურსუმალი, ფშვინვა, შრუტუნი, ფშმუილი, ფშრუტუნი, ხვარხვალი, ხრიალი, ხრუტუნი...*

2.5. კვნესის და სუნთქვის ხმა: *კნასა-კნუსი, კრუსუნი, კუნკული, კუსუნი, სრინვა, ფშვენა, ფშუილი, ფშუკუნი, ქურქული, ქურუხი, ხრიალი, ხიხინი...*

2.6. ლექსემები, რომლებიც ადამიანის სიმღერასა და ცეკვას აღნიშნავენ: *ჟერნება ღიღინი, ღუღუნი, წინწილი, გვანგვალი, ნარნარი...*

3. *მოძრაობისა და მოქმედების ამსახველი ლექსიკა.*

მოძრაობის ამსახველი ლექსიკა ქართულში ისევე, როგორც სამეტყველო ბგერადობის ლექსიკური მარაგი მეტად მრავალფეროვანია. როგორც ნ. ლოლაძე აღნიშნავს, მოძრაობის ზმნათა სემანტიკური ანალიზის პირველი ცდა ეკუთვნის ლ. თამარაშვილს. მისი ნაშრომი „გადაადგილების მნიშვნელობის მქონე ქართულ სიტყვათა ლექსიკონის აღწერა“ 1975 წელს გამოქვეყნდა მართვის სისტემის ინსტიტუტის შრომებში (თამარაშვილი 1975). ამ ნაშრომში მოძრაობის ზმნები აღწერილია სემანტიკური მამრავლების მეთოდის გამოყენებით, რომელიც იმ დროისათვის სემანტიკის ფორმალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მეთოდი იყო და ენის მანქანური დამუშავების მიზანს ემსახურებოდა. სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს: *სვლა* - 1. გადაადგილება, 2. მყარ ზედაპირზე, 3. რითიმე (ფეხი, თვალი, ბორბალი), 4. პერიოდულად, *რბენა* 1. გადაადგილება, 2. მყარ ზედაპირზე, 3. ფეხებით, 4. ორივე ფეხი ერთდროულად ზედაპირსაა მოცილებული, 5. პერიოდულად; *ხოხვა* 1. გადაადგილება, 2. მყარ ზედაპირზე, 3. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში; *ცურვა* 1. გადაადგილება, 2. წყალში (ნ. ლოლაძე 2015).

რ. ქურდაძე მოძრაობის ზმნებში ცალკე გამოყოფს გადაადგილების სემანტიკის ზმნებს. ანალიზი ემყარება ქართული ენის დიალექტურ მასალას; მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნათა კლასიფიკაციის საფუძველია სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც ადგენენ შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებს:

1. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მიმართულების ჩვენებით;
2. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრაობის მანერის ჩენებით;
3. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრავი საგნისადმი გარკვეული დამოკიდებულების გამოვლენით;
4. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები სავალი (სამოძრაო) ადგილის ზედაპირის გათვალისწინებით (ქურდაძე 2011:30–31).

ნ. ლოლაძე მოძრაობის, კერძოდ, გადაადგილების ზმნათა კლასიფიკაციებისას ემყარება კოგნიტიური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიას და ლ. ტალმის შრომებზე დაყრდნობით გამოყოფს შემდეგ სემანტიკურ კატეგორიებს:

„ფ ი გ უ რ ა (მოძრავი ობიექტი): ინდივიდუალური თუ ჯგუფური; *ტიპი* - ადამიანი, ცხოველი, ფრინველი და ა.შ. *პოზა* - პოზის ცვლილება მიმართულების დაწყების ან დასრულების დროს.

ფ ო ნ ი (რომელზედაც ფიგურა გადაადგილდება): *წყარო* - საწყისი მდებარეობა; *მიზანი* - ფინალური მდებარეობა; *მიჯნა* - მდებარეობა მიმართულების გასწვრივ, დაბრკოლების გადალახვა; *გარემო, ნიადაგი:* მდელო, მდინარე. *არამყარი გარემო*: ჰაერი, ნისლი, შტორმი/ქარბუქი, წყვდიადი და მისთ.

გ ზ ა (path)[1] (ფიგურის ტრაექტორია): *მოძრაობის მიმართულება* - წინ, ზევით; *დეიქსისი* -მიმართულება მთქმელის პოზიციიდან ამოსვლით; *კონტური* - წრიული გზა, ზიგზაგი და მისთ.

მ ა ნ ე რ ა[2] (ხერხი, მანერა, რომლითაც სრულდება მოძრაობა): *გადაადგილების სახეობა,* რომლითაც სრულდება გადაადგილება (სიარული, სირბილი, ხტომა, ცურვა, ფრენა); სიმძლავრე, სიჩქარის ხარისხი; გადაადგილების საშუალება - ცხოველით, ავტომობილით, თვითმფრინავით.

მ ი ზ ე ზ ი: რა იწვევს მოძრაობას“ (ლოლაძე 2015)

მნიშვნელოვანია მოძრაობისას სუბიექტის სივრცულ ლოკალიზება, გადაადგილებისას როგორ მდგომარეობა აქვს სუბიექტს: ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური; ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაადგილებისას გარჩეულია შემდეგი ძირითადი მოდელები: სიარულის, სირბილის, ხტომის. თითოეულში გამოყოფილია სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტი:

1. სიარული:
გადაადგილების ტემპი (ჩქარი - ნელი);
ნაბიჯების სიდიდე (დიდი -მოკლე ნაბიჯებით გადაადგილება);
ენერგიულობის ხარისხი;
უმიზნო მოძრაობა;
სიამოვნების მიღებით გადაადგილება;
გლუვ ზედაპირზე გადაადგილება;
წონასწორობის დარღვევა;
ფეხის სპეციფიკური მოძრაობით გადაადგილება;
მოძრაობა ხმის გამოცემა თანხლებით;

[1]ნ. ლოლაძის შენიშვნით, ვინაიდან ტერმინი „გეზი“ ემთხვევა ა. შანიძის ტერმინს „გზა“ - მიმართულების აღმნიშვნელ გრამატიკულ ტერმინს, ის არჩევს path სიტყვის ქართულ შესატყვისს, რომელიც კონკრეტული სემანტიკური კატეგორიის აღმნიშვნელია (ლოლაძე 2015).

[2]შდრ. ი. ქობალავა „მანერულ ზმნებს“ იყენებს ნეიტრალური სემანტიკის ფორმათა საპირისპიროდ, სინესთეზიური და ბგერწერითი შინაარსების გამომხატველი ფორმებისათვის.

2. სირბილი: გადაადგილების ტემპი (ჩქარი - ნელი);

3. ხტუნვა;

4. მთელი ტანით გადაადგილება ხმელეთზე – მიფოფხავს, მიღოღავს (ნ. ლოლაძე).

სალიტერატურო ენასა და დიალექტებში დადასტურებული მოძრაობის აღმნიშვნელი მრავალი ლექსიკურ-სემანტიკური ფუძე ჩვენ დავაჯგუფეთ სხვადასხვა სემანტიკურ რიგებად; ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად ავიღეთ *ადამიანი - არაადამიანი :*

3.1. სიარული:

3.1.1. ნელა, მჩატედ სიარული: *გუნგრუცი, ზაზუნი, ზოზინი, ლასლასი, ფოჟიალი, ფოფიალი, ღოღიალი, ღოჭიალი...*

3.1.2. ჩქარა სიარული: *კუნკული, თხაფთხაფი, ტინტილი, ფუცფუცი, ქუნცული, ძანძალი, ცხაკუნი, ხუსხუსი...*

3.1.3. ხმაურით სიარული: *ბრახუნი, გლაჯუნი, რიხრიხი, ტრიხინი, ძლაგუნი, წათხლაშუნება...*

3.1.4. ლამაზად, მოხდენილად სიარული: *გვანგვალი, კვანკვალი, ცვარცვალი, ქვანქვალი, კუსკუსი, ნარნარი, ქევქევი, წიწინი...*

3.1.5. უშნოდ სიარული: *ბლაყუნი, გლაჯუნი, დღლაზუნი, სკვაჯუნი, ძლაყუნი, თლახუნი, ჩლახუნი, ჯლაყუნი, ჯიყჯიყი...*

3.1.6. უსაქმოდ სიარული, ხეტიალი: *დრიაში, ტენტერი, ტოტყიალი, ტრაკუნი, ტროკიალი, ქენტერი, ყანყალი, წანწალი, ჯანჯალი...*

3. 2. სირბილი: *დღუზური, თახთახი, ციქციქი, ცუხცუხი, წიარი, შლიგინი, ძუგძუგი, ჯირგილი, ჯლიგინი...*

3. 3. ხტომა: *ბურხალი, ცინკალი, კუნტრუში, კოწიაწი, ტმუკვა, ფხლაკვნა, ჯინდრიკი...*

3.4. რხევა, ტრიალი, ფრიალი: *კორწიალი, ზანუქი, თამთამი, თახთახი, ლავლავი, ლღვევა, სოსიალი, სროპიალი, ტმაკუნი, ყინტაროობა, წანწარი, ფრიტინი, ხვანხვალი...*

3.5. სრიალი, ქანაობა: *წუალი, სოსიალი, ცორიალი, ტორიალი, ტროკიალი, ყუნტალი, ფანფალი, ქანქალი, ღოჭიალი, ყუნტალი, ჭიმჭიმი...*

3.6. ცურვა, ტივტივი: *ლივლივი, ტოპიალი, ტყამპალი, ტყაპუნი, ჭვერვა, ღვანღვალი, ცოკიალი, ცორიალი, ჭყამპალი...*

ადამიანის სხვადასხვა მოქმედება:

3.7. თამაში: *ბღლარძუნი, კრუჭუნაობა, კუკუმალობია, კუკურაკობა, ჭაკუნობია, ხვინიკი, ხვინტრიცი, წიწკაობა...*

3.8. მუშაობა (კერვა, ქსოვა, თოხნა, ბარვა...): *ლაყუნი, მოჭუპვნა/მოჭყუპვა, მურმალი, პონჭვა, ცუცუნი, ფუცფუცი, წრიპწრიპი, ხლართვა, ფოხიალი, ქრისინი, ფორჩიხი, ფურთუხი, ფურცუხი ცახუნი, ჯღანვა...*

3.9. კითხვა და წერა: *გნატვა, დღაბნა, კანკვლა, ტრატრუ, ჯლიყინი, ჯლოყინი, დურდური, ჩაბულბულება, ჩარაკრაკება, ჩაწიკწიკება, გადაღადღადება...*

3.10. გაბრაზების და მოფერების, ალერსის გამოხატვა: *ბასკუნი, კეკვა, გარისინება, ბლაგვა, ტახუნი, ტოლიკი, ჩხუნკალი, ჩხუტური, წატიალება, ჯიკვინი, თათუნი, გლასუნი, გურგული, ხაფიფი, ტლოშნა...*

3.11. ცემა, ბრძოლა, ჭიდაობა...: *ბაჟუნი, ბინიკი, ბღლარძუნი, ზაპუნი, ჟაპუნი, ცენცხვლა, ძეძგვა, ძაგუნი, ჩხუნკალი, ცხუნება, ჯაჯგური, შიგიში, ხაცური, წეწვა-გლეჯა, ტიკავ-ტიკავი...*

3.12. გაჩუმება, დაფიქრება, ლოდინი: *ზურზუტი, ზუტვა, ჩიმჩამი, ციმცამი, ღირღიტი, ყუნტული, ყურყუტი, ძგუტური, ძუძგური...*

3.13. ცქერა, თვალების ხამხამი: *დღაშვა, პრაწვა, კუსვა, კირკიტი, ღირღიტი, ციმცამი, ციცქინი, ტრინჯვა, ფახური, ცმაკუნი, წაპწაპი, ფრაციფრუცი...*

3.14. თრთოლა, კანკალი: ბაბანი, ბაგბაგი, ბარძგალი, ზურზური, თათანი, თახთახი, თითქინი, თიკთიკი, თოთინი, კარკალი, კვარკვალი, ცახცახი, ცირციტი, ციფციფი, ძიგძიგი, ძოძგინი...

(2) ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა სემანტიკური კლასი

ც ხ ო ვ ე ლ თ ა, ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა და მ წ ე რ თ ა მოძრაობისა და ხმიანობის სემანტიკური რიგები:

1. ხმიანობა: *კარკაცი, ტკვარცალი, ჩხავილი, ყარყარი, პყავილი, როყინი, წიაქი, კივკივი, წივწივი, ყვიტინი, ფრუტუნი, ღმუთუნი, ბუხბუხი, ყურყული, წრუწუნი...*

2. ჭამა, სმა: *სვლეპა, დღვლეფა, ხრუპუნი, გაკრაწუნება, ხიწნა, ჯიჯგნა, კრახა-კრუხი, ჩქლაფა-ჩქლუფი, ხაპა-ხუპი, ხრამა-ხრუმი...*

3. მოძრაობა, ფრენა, ცურვა: *ბულრაობა, თახთახი, კოტიზი, კუნტრუში, ლახლახი, სუნსული, ფართხუნი, ფრთხიალი, ფუფუნი, ქავქავი, ჯაგჯაგი, ჩაქჩაქი, ხვანცალი, ხირხიტი...*

4. კბენა, ბრძოლა, ჩხუბი: *კამპვა, კლაპუნი, ტიკება, ძიძგილი, ხორხოცი...*

ა რ ა ც ო ც ხ ა ლ ი ს ა გ ნ ი ს მოძრაობისა და ხმიანობის სემანტიკური რიგები:

1. ბუნების მოვლენებით გამოწვეული ხმაური: *გურგული, ჟუჟუნი, გრიალი, დგრიალი, თქიშინი, ტკრციალი, ტრიშინი, ქირქილი, ძიძგინი, ხუხუნი, წკარწკარი...*

2. წყლის (წყაროს, მდინარის, ზღვის...) ხმიანობა: *თქრიალი, კირკილი, ძიძგინი, რაკრაკი, ჩხრიალი, ძანძაღი, ძანჯაყი, წანწკალი, წკვარწკვალი...*

3. სინათლისა და ცეცხლის მოძრაობის გამოხატვა: *ბარბალი, ლაპლაპი, პარპალი, ცამცამი, ჩახჩახი, ჟიკჟიკი, ცრიალი, ბჟღრიალი...*

4. მუსიკალურ ინსტრუმენტთა ხმაური: *პიპინი, პიტინი, პრიწინი, წრიპინი, ტყრიალი, ზუზუნი, ჭუჭყუნი, ბრახაბრუხი...*

5. იარაღის მიერ გამოცემული ხმა: *გუგუნი, დგრიალი, ბახბახი, თათხუნი, ქუხილი, ღმუილი, ბათქა-ბუთქი, ჭახაჭუხი...*

6. დარტყმის, დაცემის, გახევის, სკდომის, მტვრევის ხმა: *დგვლეფა, რეჯგვა, ტკაცანი, ტკლეცა, ტლაშანი, ტყრიალი, ფხრიწინი, წკრიალი, ჭექა, ხლეწა...*

7. საგანთა განლაგების როგოროობა (ოპტიკური შთაბეჭდილება - გ. რამიშვილი): *თამთამი, თიმთიმი, ცამცამი, *წიკწიკი (ჩაწიკწიკება), ბუჟბუჟი(ჩაბუჟბუჟება)* და ა. შ.

ფონოსემანტიკური ლექსემები სხვა სემანტიკური ნიშნებითაც შეიძლება დაჯგუფდეს. მაგ. ფერი, ზომა, ასაკი და სხვა... ცალკე შეიძლება, აგრეთვე, ფიზიონომიური და გენდერული ლექსიკის გამოყოფა ან აღნიშნულ სისტემებში მოცემული ლექსემების გენდერული სხვაობებით დანაწილება. ყურადღება უნდა მივაქციოთ, აგრეთვე, ისეთ ფონოსემანტიკურ კომპოზიტებს, რომლებშიც განსხვავებული სემანტიკური მახასიათებლებია გადმოცემული. ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს, აგრეთვე, ბავშვთა ხმიანობა (ჟივილი, სხავილი, სხრიალი ჯაჯანი, ჭყროპინი...) ან მათთან დაკავშირებული ლექსიკა: *ვავა, სიასია, ბაჭიტა, ჭიჭიტა, ჭიტა, ბაჩუნი, ბურჭალი, პატპატი, ტიტინი, ტიკტიკი, ფოფინი, კირკლი, ფუფუა, ხიჭაპაჭუაი, კიწავი, კროჭინი, ტუსტუსი, ფოფინი, ქაფქაფი...* მსგავსი ტიპის ლექსემები ზოგჯერ მოხუცი ადამიანის ქმედებას გამოხატავს, ამიტომ შესაძლებელია ასევე ასაკობრივი დაჯგუფების ერთერთ ქვეჯგუფად მოხუცთა ლექსიკა ვივარაუდოთ.

ფონოსემანტიკურ ლექსემათა ნიუანსური დაჯგუფების ამგვარი მეთოდი საშუალებას მოგვცემს დაიძებნოს საკუთრივ მნიშვნელობის პრინციპი, რითაც მოხერხდება ზღვარის გავლება ენობრივსა და საგნობრივს შორის.

ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები მეგრულში

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მესამე ტომს ერთვის მასდართა ათი სემანტიკური რიგი, რომლებშიც ლექსემათა გაერთიანების საფუძველი საერთო დენოტატია, რიგში შემავალ ერთეულებს განსხვავებული კონოტაცია აქვთ, ამიტომ ლექსიკოგრაფი მათ *სინონიმურ რიგებს* უწოდებს (ქაჯაია 2002: 633-656):

	სინონიმური რიგები	სტატისტიკა (რაოდენობრივი მონაცემი)
1.	ყურების (გამოხედის), გამომეტყველების, სახის (ფუზიონომიის)	118
2.	მეტყველების(ლაპარაკის)	93
3.	ჭამის (ყლაპვის)	97
4.	სმის (დალევის)	43
5.	სიარულის (გადაადგილების, მოძრაობის)	287
6.	ჯდომის (დავარდნის, დაცემის)	50
7.	გადახტომა-გადმოხტომის (გადაფრენის)	30
8.	სიცილის	31
9.	ჭრის (კვეთის, ჩეხვის)	51
10.	გარტყმის (ცემის)	130

სინონიმურ რიგებში შემავალ ლექსემათა უმრავლესობა ფონოსემანტიკური მასდარია, რომელთაგან სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნური ფუძეები განსხვავებულ ენობრივ

(მორფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, დერივაციულ) პრინციპებზე დაყრდნობით იწარმოება;

ლექსიკურ მნიშვნელობას აქვს სტრუქტურა. ფონოსემანტიკურ ფუძეთა კლასიფიკაცია ეყრდნობა ორ ლინგვისტურ ოპერაციას: სემებად დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ ა ს ა და საერთო და გადამკვეთი სემების მიხედვით ი დ ე ნ ტ ი ფ ი ც ი რ ე ბ ა ს; სემანტიკური დიფერენციალური ნიშნები ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურით არის შეპირობებული (ვასილევი 1967: 29). ლექსემათა სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებად ანუ ს ე მ ე ბ ა დ დაშლა სემანტიკური ანალიზის მეთოდს ემყარება, სწორედ ამ სახით არის შესაძლებელი მნიშვნელობის სეგმენტირება, სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა და ამის საფუძველზე სემანტიკური ველებიდან მიკროსტრუქტურების, სემანტიკური კატეგორიების, გამოყოფა[1].

მეგრულის ფონოსემანტიკური ლექსიკა შეიძლება გაერთიანდეს იმ ოთხ სემანტიკურ ველში, რომელიც ზემოთ უკვე გამოვყავით ზოგადი კლასიფიკაციის დროს:

1. *ხმა/ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა*, რომელშიც შედის „საკუთრივ ხმაბაძვითთა“ რიგიც;
   1.1. სამეტყველო და არასამეტყველო ხმიანობა;
2. *სტატიკურობა*
   2.1. ადამიანის გარეგნული მახასიათებლები: ფიზიონომია (პირისახე ადამიანისა), ანატომია-აღნაგობა;
   2.2. ადამიანის შინაგანი თვისებები;
   2.3. გონებრივი მდგომარეობა-შესაძლებლობები;
3. *მოძრაობა (დინამიკა)*
   3.1. მოძრაობა-გადაადგილება;
   3.2. ადგილზე მოძრაობა;
   3.3. წრიული მოძრაობა;
   3.4. ტრანსფერული ზმნები;
4. *გადამკვეთი მნიშვნელობები;*

ეს უკანასკნელი მოიცავს მნიშვნელობათა იმ ტიპს, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას: *მოქმედება+ხმა* (მოქმედება = ცემა / კვრა, საკვების დამუშავება: ჭამა, ღეჭვა, ყლაპვა, სმა...) *მოძრაობა+ხმა/ ხმიანობა, მოძრაობა+ნათება, მოძრაობა+ნათება+ხმა.*

თითოეული სემანტიკური ველის ფარგლებში დასაშვებია ცალ-ცალკე აღიწეროს ადამიანთა და არაადამიანთა - სულიერთა და უსულოთა - კლასები; ამგვარი ფუძეები ძირითადად მოიცავს მასდარებს, მათგან ნაწარმოებ ზმნურ ფუძეებს ან მიმღეობებს. ცხადია, დასაშვებია, ო. ქაჯაიას მიერ შემოთავაზებული ათი სემანტიკური რიგი ზემოაღნიშნული საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვითაც გადანაწილდეს.

1. ხმა / ხმიანობის აღმნიშვნელი ფუძეები

აღნიშნული სემანტიკური ველი მოიცავს:

1. *სხვადასხვა სულიერ არსებათა* - ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა, ქვეწარმავალთა, მწერთა - *მიერ გამოცემული ხმას, ხმიანობას;*

[1] მეგრულში სინონიმური რიგების აღწერა-დახასიათებისათვის იხ. გერსამია 2003

2. სულიერ არსებათა და უსულო საგანთა *მოძრაობა-მოქმედებით გამოწვეული ხმას, ხმიანობას;*

ამ ორი სემანტიკური ველის დიფერენცირება ასევე დასაშვებია ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო და ა რ ა ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო ბგერადობად; პირველში იგულისხმება ლ ა პ ა რ ა კ ი ს, ს ა უ ბ რ ი ს აღმნიშვნელი მასდარები და მათგან ნაწარმოები ზმნური ფუძეებისგან აგებული რიგები, ხოლო მეორეში ს ი ც ი ლ ი ს, ტ ი რ ი ლ ი ს, მათ შორის კ ი ვ ი ლ ი ს, ცხოველთა, ფრინველთა, ქვეწარმავალთა, მწერთა ხ მ ი ა ნ ო ბ ი ს გამომხატველი ლექსიკა.

1. სულიერ არსებათა და უსულო საგანთა ხ მ ა , ხ მ ა უ რ ი, ხ მ ი ა ნ ო ბ ა :

ს უ ლ ი ე რ ი: *კუხაფი* „კრუხვა, კრუხუნი“ (ქობ. 377), *კუთაფი* „კუთვა, ფრინველის წუხილი“ (ქობ. 375), *ყიაფი / ღიაფი* „ყივილი“ (ქობ. 655), *ყიონი / ღიონი* „ყივილი“ (ქობ. 655), *ჭვიტაფი* „ფრინველის ძახილი...“ (ქობ. 709), *კარკალი* „კაკანი, კრიახი“ (ქობ. 354), *ჭირხინი* „ჭიხვინი“ (ქობ. 711), *ჭურჭული* „ჭიკჭიკი...“ (ქობ. 714), *კირკინი* „ფრინველის კრინვა, კრიკინი, კრინი“ (ქობ. 370), *სირსინი* „სისინი“ (ინფ.), *პეტელი* „კიკინი (თხისა)“ (ქობ. 562), *ყურყინი* „გვრემა, ყურყურა, ბუყბუყი“ (ქობ. 652), *შურშინი* „შარიშური“ (ინფ.), *შუშინი* „ფშვინვა, წყნარი, მშვიდი სუნთქვა“ (ქობ. 665), *წურწინი* „წრუწუნი, წრუპუნი“ (ქობ. 703), *კუმინი* „კრუსუნი, კრუტუნი“ (ქობ. 375), *ხირხინი* „ხიხინი, ხვრინვა,ხრიალი“ (ქობ. 728), *ცხაკაფი* „მცირე ხველის ხმა“ (ინფ.), *ფარზაფი* „ძლიერი ხველის ხმა“ (ინფ. შდრ. *ფარზუა* „ძლიერი ხველა“ (ქობ. 622)...

უ ს უ ლ ო: *შირშინი* „შიშინი, ფშვინვა“ (ქობ. 661), *ტყვაცაფი* „...სკდომის ხმა“ (ქობ. 606), *გვაგვაფი* „ბრაგვანი, ბაგუნი; სროლის, ცემის ხმა“ (ქობ 113), *რახვაფი* „რახარუხი, ბრახუნი, რახუნი“ (ქობ. 570), *ტკაჩაფი* „ტკაცანი, ხმა, გამოწვეული რისამე წვით, მტვრევით, შოლტის, ხელის შემოკვრით“ (ქობ. 602), *გათქაფი „ცემის ხმა“ (ინფ. შდრ. ქობ. 55),* *გვახაფი* „ბაგუნი დოლზე, ბრაგვანი“ (ქობ. 115), *ჯგვაჯგვაფი* „ბრაგვანი, ჯახანი“ (ქობ. 736), *კვაკვაფი* „რაკუნი, კაკუნი, რაკარუკი“ (ქობ. 358), *რაბადი* „რახარუხი, თქარათქური, როხროხი...“ (ქობ. 569), *რაკვაფი* „გარაკუნება“ (ქობ.569), *რაკუტი* „...რაკუნი, რაკა-რუკი“ (ქობ.569), *რანწკალი* „წკარუნი ეჟვნისა“ (ქობ.569), *რასქვაფი* „რაკუნი, უროს ცემის ხმა“ (ქობ.569), *ბურწინი* „ზარბაზნის გასროლის ხმა“ (ქობ.70), *ჭუმინი* „გატყორცნილი ჭურვის ხმა“ (ქობ. 714), *ჭურჭინი* „გატყორცნილი საგნის ხმიანობა; სტვენა-ქროლა“ (ქობ. 714), *სურსხინი, სხურსხინი* „ სხრიალი; შხუილი“ (ქაჯ. II: 619)...

ს უ ლ ი ე რ ი / უ ს უ ლ ო : *ზირზინი* „ბზუილი, ზუზუნი“ (ქობ. 310), *ზუმინი* „ზმუილი“ (ქობ. 311), *ღუმინი* „ღმუილი, მოწრუებული ხმა“ (ქობ. 647), *წუმინი* „წივილი, წუილი“ (ქობ. 701), *წიაფი* „წივილი, წიაქი; წუილი (ყურისა)“ (ქობ. 696)...

ხმა შეიძლება ახლდეს რაიმე ტიპის მოქმედებას: *მოძრაობა+ხმა, მოძრაობა+ნათება+ხმა, მოქმედება +ხმა,* ამგვარ ფუძეებს ორმაგ მოქმედებად განვიხილავთ და ცალკე სემანტიკურ ჯგუფად ვთვლით (მსჯელობა იხ. ქვემოთ).

ლაპარაკის ლექსიკა მეგრულში საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს; მნიშვნელობის ანალიზი ავლენს იმ სემანტიკურ ნიშნებს (კომპონენტებს), რომლებიც საფუძვლად ედება სემანტიკური კატეგორიების გამოყოფას და ამდენად, ერთი სემანტიკური რიგის ფარგლებში მიკრორიგების აგებას: *ხმის ტემბრი (მაღალი-დაბალი), სიჩქარის ხარისხი და ინტენსივობა (ჩქარი-ნელი), მეტყველების მიზნობრიობა* და შეფასება

(სისულელე - სიჭკვიანე, სასიამოვნო - მომაბეზრებელი, თვითშეფასება), გაუმართავი მეტყველება, სუბიექტის სიმრავლე.

(ა) ხ მ ი ს ტ ე მ ბ რ ი:

ხმამაღლა, მაღალი ხმის ტემბრით ლაპარაკი: ბურხინი „ხმამაღლა, რიხით ლაპარაკი, - ბრუხუნი“ (ქაჯ. I: 271), *რაფალი* „როხროხა, ქვის მტეხი ხმით ლაპარაკი, ყეფა“ (ქობ.569), *რასალი* „მჭახე ხმით ლაპარაკი, ყეფა, ყვირილი“ (ქობ.569), *რაქვალი* „რახრახი ქვის მტეხი ხმით, მონოტონურად ლაპარაკი“ (ქობ.569), *რასქვაფი, რასქუა* „ჩარაკუნება, მრეკავი ხმით ლაპარაკი“ (ქობ.569), *რასქვალი* „მკვეთრი ხმით ლაპარაკი...“ (ქობ.569), *ღანჩალი* „ღონიერი, ენერგიული, რიხიანი ლაპარაკი, ხმაური“ (ქობ. 641)...

მკვეთრი ხმით ლაპარაკი: წკვაწკვალი „წკავწკავი; წიკვინი“ (ქობ.699), *წკვაპალი* „წვრილი ხმით უკმეხი ლაპარაკი“ (ინფ. შდრ. ქობ.699), *ჭაფალი „წიწინი“* (ქობ.707), *წკვაფალი* „წკავწკავი, წიწინი, წიკვინი“ (ქობ.699), *ჭკვაპალი* „ჩიფჩიფი, ბებრული ლაპარაკი“, *შდრ. ჭკვაპაფი* „წკლაპუნი (პირისა)...“ (ქობ.569)...

დაბალი ხმის ტემბრით ან ბოხი ხმით სუბარი: ბურდღინი „ლუღლუღი, ბურდღუნი, ბრდღვინვა“ (ქობ. 69), *დღუმინი* „დუდღუნი“ (ქობ. 265), *დღურდღინი* „დუდღუნი, ბურდღუნი“ (ქობ. 265), *ღანძგალი* „ბუძღუნი, ჭირვეულობა“ (ქობ.641), *ღვარქალი* „ხმამაღალი საუბარი“ (ინფ. შდრ. ქობ.643), *ღირთაფი* „ღრიალი... ბდღვინვა“ (ქობ.645), *ღირღინი* „დაბალ ხმაზე საუბარი, ღუღუნი“ (ინფ. შდრ. ქობ.645), *ღვაღვალი* „ღაღანი, ხავერდოვანი ხმით ლაპარაკი“ (ქობ. 643)...

ჩურჩული: ჩურჩინი „ჩურჩული, მითქმა-მოთქმა“ (ქობ.676), *ცურცინი „დაბალ ხმაზე საუბარი, ჩურჩული“* (შდრ. ქობ.685)...

(ბ) მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა და ს ი ჩ ქ ა რ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი:

გაბმული, გაუჩერებელი, სწრაფი, ინტენსიური, განმეორებადი: რსხაპალი „სხაპასხუპი, რატრატი“ (ქობ. 574), დარგალი „უხეში, ურცხვი ლაპარაკი და ქცევა...“ (ქობ. 235), *დარღალი „ურცხვი ქცევა, ტიტლიკანა სიარული“* (ქობ. 235), *დერღაფი* „ტლიკინი ენისა; ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი“ (ქობ. 235), *მანდარი „ნინას უმანდარუანს* - ჩქარა და ბევრს ლაპარაკობს“ *(ინფ.), მარმალი „ნინას უმარმალუანს* - სწრაფად ლაპარაკობს“, *შდრ.* „... ცქრიალი, სწრაფი მოქმედება“ (ქობ. 390), *პარპალი* „... ჭარტალი“ (ქობ. 562), *პურპოლი* „ჩქარი და ინტესიური ქცევა და ლაპარაკი“ (ინფ. შდრ. ქობ. 565), *რდგაბალი* „ტლიკინი, ურცხვი ლაპარაკი“ (ქობ. 570), *ტანტალი* „ტანტალი, რატრატი“ (ქობ. 600), *ტარკალი „ტლიკინი...“* (ქობ. 600), *ტინტოლი* „რატრატი, ტარტარი: *ნინას უტინტოლუანს* - ენას ატარტარებს“ *(ინფ.), კვაკვალი* „ჩიჩინი, განუწყვეტელი, უთავბოლო ლაპარაკი, განუწყვეტელი მითქმა-მოთქმა“ (ქობ. 358), პარკალი *„ნინაშ პარკალი* - ენის რატრატი“ (ინფ.), *ტუტინი „პუტუნი, ტუტუნი“* (ქობ. 605), ღარღალი „უთავბოლო საუბარი“ (ქობ. 642), *ჯგაჯგალი „როშვა“* (ქობ. 358), *ძგაძგალი* „ძაძღანი“ (ქობ. 689). „გაუთავებელი, ჭირვეული ლაპარაკი“ (ქობ. 689), *წკაწკალი* „წვრილი ხმით, განმეორებითი ლაპარაკი“ (ინფ.), შდრ. „წკავწკავი“ (ქობ. 699), *ცქაცქალი* „დაბალი ხმით, ინტენსიურად ლაპარაკი“ (ინფ.) *ჩქაჩქალი „მიამიტი, უბირი ლაპარაკი, დაღერღვა, დაკალკვა“* (ქობ. 676)...

(გ) მეტყველების მ ი ზ ნ ო ბ რ ი ო ბ ა (უმიზნობა) და (თვით) შ ე ფ ა ს ე ბ ა:

დაუფიქრებელი და უმიზნო ლაპარაკი: ბარდღალი „უმწეო ბალღის გულუბრყვილო საუბარი“ (ქობ. 56), *ბუდინი / ბუტინი* „დუდუნი, აბდაუბდა ლაპარაკი“ (ქობ. 68), *პანტალი* „პრუტუნი, ბოდიალი“ (ქობ. 561), *პუტინი* „ბჟუტური, აბდაუბდას ლაპარაკი“ (ინფ. შდრ. ქობ. 565), *ჟვატალი* „ბჟუტური, როშვა...“ (ქაჯ. II: 498; შდრ. ქობ. 566), *ჟვარქალი* „ბჟუტური, როშვა;

უჭკუო, დაუფიქრებელი ლაპარაკი“ (ქაჯ. II: 498); *ჩვანგალი* „ბოდიალი, უაზრო ლაპარაკი“ (ქობ. 672), *ჯგაბალი* „როშვა, უგვანო ლაპარაკი“ (ქობ. 736), *ფაჩალი* „წინდაუხედავი, დაუფიქრებელი ლაპარაკი“ (ქობ. 624), *ბუღინი/ ბუღერი* „ბუქვა, გაზვიადება, ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკი“ (ქობ.70) *ბეღინი* „ბაქიობა, ტრაბახი“ (ქობ. 61), *ტოხაფი* „...ტყლაშუნი (ენისა), ბაქიობა“ (ქობ. 604), *დორღაფი* „ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი; სიტყვამრავლობა“ (ქობ. 248), *ლოღაფი* „ბრტყელი ლაპარაკი“ (ქობ. 383), *ბურღონი* „ტრაბახი, თავის ქება“ (ინფ.), *ბურღინი* „ბუქვა; სიტყვის ბუქის დაღენება“ (ქობ.70),...

სასიამოვნო ლაპარაკი: ბარჩალი „გემრიელად, ფართოდ, გულღიად ლაპარაკი“ *(ინფ.), სვასვალი* „ნაზად საუბარი“ (ქობ.591), *ფაშქალი* „სქელუას თავმომწონე, დინჯი საუბარი“ (ქობ. 623), *ბაჩალი* „გულუბრყვილო, აუჩქარებელი საუბარი“ (ქობ. 59), *ღაღალი* „ღაღანი, ხავერდოვანი ხმით ლაპარაკი“ (ქობ. 642), *ჭკვაპალი*[1] „ჩიფჩიფი, ბებრული ლაპარაკი“ (ქობ. 712)...

(ე) მეტყველი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ს ი მ რ ა ვ ლ ე:

ტკარჩალი „ბევრის ერთად ლაპარაკი, სიცილი ან მოძრაობა“ *(ინფ.),* „ტკარცალი“ (ქობ. 602), *ტკარტკალი* „ბევრის ლაპარაკი ან მოძრაობა“ (ინფ.), *ყაყალი* „ყაყანი, აყალმაყალი; ყიყინი“ (ქობ. 649)

(ვ) გ ა უ მ ა რ თ ა ვ ი, დეფექტური მეტყველება:

ბუღინი „ენაბრგვილობა, ბლუყუნი" (ქობ. 70), *ბურდინი* „ენაბლუობა, ბჟუტური“ (ქობ. 69), *ბურდღინი* „ლუღლუღი...“ (ქობ. 69), *ჭვაჭვალი* „ერთგვარი დეფექტუერი მეტყველება მომუწული პირით; კოხტაპრუწას ლაპარაკი“ (ქობ. 709) ...

არასამეტყველო ხმიანობაში იგულისხმება ე მ ო ც ი ი ს (ს ი ც ი ლ ი ს ა და ტ ი რ ი ლ ი ს) აღმნიშვნელ ფუძეები, აგრეთვე უსულო საგანთა და სულიერ არსებათა მიერ გამოცემული ხ მ ი ს , ხ მ აუ რ ი ს, ხ მ ი ა ნ ო ბი ს აღმნიშვნელი ლექსიკა. მნიშვნელობის სტრუქტურირების შედეგად გამოიყოფა შემდეგი სემანტიკური კატეგორიები: ხმის ტ ე მ ბ რ ი ან ხმის ს ი მ ა ღ ლ ე - ხმადაბალი ან ხმამაღალი სიცილი:

ხმადაბალი: ქირქინი „ქირქილი, ქილიკი, სიცილი“(ქობ. 637), *ცირცინი* „დაბალ ხმაზე სიცილი“ (ინფ.), *ცირქინი* „უადგილო სიცილი“ (ინფ. შდრ. ქობ. 684)... ხმამაღალი: *კარკაცი* „ტკარცალი, ხმამაღალი სიცილ-კისკისი“ (ქობ. 355), *ხორხოში* „ხორხოცი, ხარხარი“ (ქობ. 731), *ხარხაში* „ხარხარი, ხორხოცი“ (ქობ. 718)...

დასახელებული ფუძეები *ინტენსიურ, განმეორებად* მოქმედებაზე მიუთითებს; სიცილის აღმნიშვნელი ლექსემებში ზოგჯერ აქცენტირებულია *სახის გამომეტყველება, მიმიკა, გაცინების სტილი, მანერა;*

დადებითი კონოტაციისაა: ხიფინი „ბალღის ღიმილი, გულღია ღიმილი მთელი სახით“ (ინფ.), შდრ.: *„ალალი ღიმილი“* (ქობ. 729), *ხვიჩინი „ხალასი, ფართო ღიმილი...“ (*ქობ. 727)...

უარყოფითი კონოტაციისაა: ხიჭინი „ღიჭინი, კრეჭა“ (ქობ. 729), *ხიჩინი* „სიცილი კბილების ჩენით“ (ქაჯ.III: 563), *ღვინჯგინი* „ღრეჭა“ (ქობ. 644)...

სიცილი კბილების ჩენით: ჯგიჯგინი „ღრეჯა, უშვერი ღიმილი“ (ქობ. 737), *ჩქიჩქინი* „ღრეჭა, კბილების კრეჭა, ბალღის მიამიტი ღიმილი“ (ქობ. 677), *ძგიძგინი* „კბილების კრეჭა, ნაძალადევი ნაძალადევი ღიმილი“ (ქობ. 690), *ჭკიჭკინი* „კრეჭა, ღრეჭა“ (ქობ. 713), *რიფინი* „დიდ კბილთა ჩენა“ (ქობ. 572) ...

[1] თუ მიემართება ბავშვს დადებითი კონოტაციისაა, თუ მოხუცს - უარყოფითისა

ამ რიგის მასდარებისგან იწარმოება *სტატიკური* ზმნური ფორმები, რომლებიც ღიმილის, სიცილის დროს სახის მანერის ნაირგვაროვნებაზე მიუთითებს: *ო/ი-ხიფინანს, ო/ი-ხიჭინანს, ო/ი-ღვინჯგინანს, ო/ი-ჯგიჯგინანს, ო/ი-ჩქიჩქინანს, ო/ი-ძგიძგინანს* და ა. შ.

ტ ი რ ი ლ ი ს სემანტიკურ რიგში ლექსემათა დიფერენცირება შესაძლებელია შემდეგ სემანტიკურ კატეგორიებად:

(ა) ხ მ ი ს გ რ ძ ლ ი ო ბ ა (გაბმული, უწყვეტი ხმა), (ბ) ხ მ ი ს ს ი მ ა ღ ლ ე (დაბალი-მაღალი ტონი) :

დაბალი ტონი	მაღალი ტონი	დაბალი ტონი	მაღალი ტონი
ჯღიაფი	ჭყიაფი	ჯღარჯღალი	ჭყაჭყალი
ჩხვიაფი	სხიაფი	ჯღირჯღინი	ჭყირჭყინი
ღიაფი	წიაფი	ძღირძღინი	წყირწყინი

ჯღიაფი „ჯღავილი, ღნავილი“ (ქობ. 743) - ჭყიაფი „ჭყივილი, ჭყვირილი“ (ქობ. 715); *ჩხვიაფი „ჩხავილი, ხავილი*“ (ქობ. 678) - *სხიაფი* „სხივილი“(ქობ. 599); *ღვეჟელი* „ღრიალი, ბღავილი, ტირილ-სხმარტალი (უპირატესად ბალღისა)“ (ქობ.644); *ჯღარჯღალი* „ჭირვეულობა, ჯიჯღინი“ (ინფ. შდრ. ქობ. 742) - *ჭყაჭყალი* „ჭაჭყანი“ (ქობ. 715); *ჯღირჯღინი* „ჯიჯღინი, ჯღავილი“ (ქობ. 743) - *ჭყირჭყინი* „ჭიჭყინი, ჭირვეულობა“ (ქობ. 714); *ძღირძღინი* „ჭირვეულობა, ჭიჭყინი“ (ქობ. 693) - *წყირწყინი* „ჭირვეულობა, წუწუნი“ (ქობ. 705), *ზულაფი* „ზლუქუნი“ (ქობ. 311), *ღიაფი* „გაბმული, ხმამაღლი ტირილი ან ყვირილი“ (ინფ.), „ღნავილი“ (ქობ. 645)...

(გ) სუბიექტის ს ი მ რ ა ვ ლ ე:

სხარსხალი „ტირილ-სხრიალი, სხივილი, სხმარტალი“ (ქობ. 599)...

(დ) ც რ ე მ ლ ი ს ღვრა:

ღვარღვალი „ღვარღვარი, ცრემლოობა“ (ქობ. 643), *ყვარყვალი ყვარყვალი* „ღვარღვარი ცრემლისა“ (ქობ. 650), *ტყვარცალი* „მსხვილ-მსხვილი ცრემლის ღვრა, ღაპაღუპი...“ (ქობ. 606).

2. სტატიკურობის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ფუძეები

ქართველურ ენებში *დინამიკურობას* ანუ მოქმედებას, როგორც დროში მიმდინარე პროცესს უპირისპირდება ს ტ ა ტ ი კ უ რ ო ბ ა ანუ უძრაობა, როგორც ერთ მდგომარეობაში მყოფობა. სტატიკური ზმნები წარმოდგენილია

1. სტანდარტული მდებარეობა-მდგომარეობის აღმნიშვნელი – *გე-რე* „დგას“ (გე-რინა „დგომა“), *ხე / გე-ხე* „ზის“ (გე-ხუნა „ჯდომა“), *ჯანუ* „წევს“ (დო-ნჯირა „წოლა“) - ზმნათა შესაბამისი ფონოსემანტიკური ფორმებით (მასდარებითა და ზმნებით), რომლებიც, ძირითადად, *გე-* ზმნისწინის დართვით იწარმოება; თუმცა ამგვარ ფორმათ რაოდენობა მცირეა.

2. სტანდარტული *იჯინე* „იყურება, იცქირება“ (*ჯინა* „ყურება, ცქერა, გამოხედვა“), *გიმიჯინე* „გამოიყურება“ (*მეჯინა / გოჯინა* „გარეგნობა“) - ზმნების გვერდით კი არსებობს მრავალრიცხოვან სიტყვათა კლასი, რომელიც თავისი შინაარსით ფონოსემანტიკურია და აღწერს ადამიანის (სუბიექტის) *გარეგნულ მახასიათებლებს და შინაგან თვისებებს,* გონებრივი მდგომარეობა-შესაძლებლობების შეფასებით (განმსაზღვრელ) ლექსიკას. ამგვარი ფორმები სტატიკურია სემანტიკური თვალსაზრისით (დინამიკის / მოძრაობის

საპირისპიროდ) და მხოლოდ გარკვეული წრის ზმნისწინთა დართვის შემთხვევაში იცვლის სემანტიკას - გადადის დინამიკაში და გამოხატავს ორმაგ მოქმედებას: მოძრაობას[1].

ადამიანის ფიზიონომია გულისხმობს მის ანატომია-აღნაგობას, გარეგნულ მახასიათებლებს - რომელიმე ორგანოზე აქცენტირებას; ამგვარი ფუძეები შესაძლებელია გადმოიცეს როგორც მასდარებით, ისე მიმღეობებით; თუ მასდარი -ინ სუფიქსიანია, ნიშან-თვისების გამომხატველი ფორმა -ალ > -ა || -ერ-ია / -ერ-ე / -ე სუფიქსიანია, სემანტიკური კომპონენტები გადამკვეთია.

ს ა ხ ე, თ ვ ა ლ ე ბ ი:

ბიდინი ,,აბდლური გამომეტყველება" (ქობ. 62); *ბირჯინი* ,,გულუბრყვილო, მიამიტი ყურება" (ქაჯ. I, 240), *ბირდინი* „გამოლენჩებული მზერა" (ქობ. 63), *ბირდღინი* „მიმნდობი მზერა უსუარისა" (ქობ. 63), *ბირინი* „მზერა უბირისა, გაოგნებულისა" (ქობ. 63), ბირჯინი „თვინიერი, უწყინარი, არცხარი გამოხედვა სახენათელი კაცისა" (ქობ. 63), *ბიტინი* „უაზრო, უბირი გამოხედვა" (ქობ. 63), ,,უდარდელი, უნაღვლო ყურება" (ქაჯ. I, 246), *ბიყვინი* „ბრიყვული გამომეტყველება" (ქობ. 63), *გვირინი* „გამოხედვა დიდრონი, ჟუჟუნა თვალებით" (ქობ. 116), *დვირინი* „თვინიერი გამოხედვა, დუმილი, ტრუნვა" (ქობ. 240); ,,გამოშტერებული ყურება" (ქაჯ. I, 458), თიკინი „თმამი, მედიდური, თავმომწონე იერი" (ქობ. 315), *პირჭინი* „ფართოდ გახელა, პრაწვა თვალებისა; წიმვა, წინტვა (გულისა)" (ქობ.563); ,,პრაწვა, ჭყეტა (თვალისა)" (ქაჯ.II, 486), *რინჯინი* „დიდთავას გამოყეყეჩებული ყურება" (ქაჯ. II, 526), *რდღიბინი* „უფერულობა, ფერწასულობა, უსიცოცხლო იერი" (ქობ. 570), *რიჟინი* „თვალების ბრიალი, ხელის გამოხედვა" (ქობ. 572), *რსხიმინი/ რცხიმინი* „მკვირცხლი მზერა" (ქობ. 575), ,,ბრიალი" (ქაჯ. II, 557), *რწკიმინი* „უკმეხი გამოხედვა" (ქობ. 576), *რჯგიმინი* „ჯგიმვა, გამარჯვებულის იერი" (ქობ. 576); ,,ამაყად ყურება, ბრექიობა, ბღლენძა, ჭიმვა" (ქაჯ. II, 565), *რჯღიმინი* „სიჭროღე თვალებისა; ჭროღათვალებას ანთებული, გაბოროტებული მზერა" (ქობ. 576), *ღვირთინი* „ბღვერა, ღუშვა, კუშტი მზერა"(ქობ.645), ღვიბინი "ღაბაბიანი, ჩაღუდღუდებული კაცის ნებიერი იერი" (ქობ. 644), *ღვენძგერე* „ლოყებჩაცვენილი და კბილებდაკრეჭილი; ჭირვეული, მიზეზიანი" (ქობ. 644), ძღვირინი „წვრილთავალას უამური მზერა" (ქობ. 693) *ნჩვირინი* „განაწყენებული გამომეტყველება"(ქობ. 673), *ძგვირინი* „გაწბილებული გამოხედვა" (ქობ. 690)...

ტ უ ჩ ე ბ ი/ ც ხ ვ ი რ ი:

სიპინი „შეუვალი, უემოციო გამომეტყველება, სიგრძე ცხვირისა" (ქობ.593), *ჯვიტინი* „დრუნჩას გამომეტყველება, განაწყენებულობა" (ქობ. 739), *ჯვირინი* „მომლოდინე, დაზაბული მზერა" (ქობ. 739), *ცვინგინი* „გრძელცხვირას დაჟინებული მზერა" (ინფ.), *ცხვირინი* „გამხდარი სახით, გამკვეთილი ცხვირით" (ინფ.), „მკვირცხლი გამოხედვა" (ქობ. 687), *ძღვირინი* „წვრილთვალას უამური მზერა" (ქობ. 693), „ამგვარი მზერისას ცხვირის კონტური იკვეთება" (ინფ.), *ძგვირინი* „გაწბილებული გამოხედვა, ძუძგური" (ქობ. 690), *ძღვიბინი* „წუნკლის მზერა" (ქობ. 693), *ძგვიძგვინი* ,,მსუნაგობა, ძუძგური, სუნსული, სხვისი ხელისშემყურეობა" (ქობ. 690); ,,ცხვირგრძელი პიროვნების უშნოდ ყურება და ყურყუტი" (ქაჯ.III, 380), *წკვიპინი* „უკმეხი გამომეტყველება" (ქობ. 699), *წკვიპალი* (ზედს.) „ტუჩწვრილი და ნიკაპწამახული, უკმეხი, წვნიკი" (ქობ. 699); ,,წვრილი სახის (ცხვირ-პირის) მქონე პიროვნება (ქალი, კაცი). გადატ. ამპარტავანი; ხეპრე" (ქაჯ. III, 430), *პიპინი* „დუმილი;

[1]დეტალურად იხ. ამავე მონოგრაფიაში, გვ. 383-388.

ტუჩების მოკუმვა განაზებით" (ქობ. 563); ,,ნაზობა, კოხტაობა; ტუჩშეკვრით ჩუმად ყოფნა" (დ. ფიფია) (ქაჯ. II, 484), *ძგვინტინი* „გრძელცხვირას უკმეხი გამომაეტყველება" (ქობ.690), ჯგვატა(ლია) (ზედს.) „ბუტია; დრუნჩა" (ქობ.736)...

კ ბ ი ლ ე ბ ი:

რისინი „დიდი და მაგარი კბილების ჩენა, ღიმილი (ელვარება მაგარი კბილებისა)" (ქობ. 572) - *რისალი* „კბილებგადმოყრილი; დიდი, მაგარი, მოელვარე კბილების მქონე" (ქობ. 572), *რიჩინი* „კრეჭა, კბილთ ჩენა" (ქობ. 572) - *რიჩალი* „ეშვიანი, კბილჩენია" (ქობ. 572), *წკვიწკვინი* „წვრილი კბილების ჩენა, უკმეხი გამომეტყველება" (ქობ.699), *ჭკვეპერია* ,,დაღმეჭილი, უკბილო ბებერი" (ქობ.712), *ჭკვიპალი* „დამანჭული, უკბილო" (ქობ.712), *ჭკიჭკალი* (ზედს.) „კრეჭია, ღრეჭია; ღრიჭოიანი, ღია" (ქობ.713); ,,დაფჩენილი; კბილებჩენილი; ღრეჭია" (ქაჯ. III, 483), *ღვინწკალი* (ზედს.) „წვრილკბილა, დაჩიავებული" (ქობ.726), *ჯგვეჯგვერე* (ზედს.) „უშნო (მსხვილი) ტუჩ-პირის მქონე პიროვნება" (ქაჯ. III, 602)...

თ ა ვ ი/ თ მ ა :

ტვირალი (ზედს.) „თავმოტვლეპილი, თავხოტორა, თავშეუღინღლავი" (ქობ. 602), *ტვიფალი* (ზედს.) „დიდშუბა, თავხოტორა" (ქობ. 602); *რი[ნ]გვინი* „დიდია, დიდთავაა, ხისთავიანია" (ქობ. 572); ,,გამოყეყეჩებული ყურება", *ირიგვინანს* ,,იტყვიან დიდთავას გამოყეყეჩებულ ყურებაზე" (ქაჯ. II, 526), *ტკვიჩინი* „დიდშუბლას იერი" (ქობ.602), *ტვიცალი* (ზედს.) „მელოტი, უთმო" (ქობ.602), ...

ტ ა ნ ი ს აღნაგობა:

მ ა ღ ა ლ ი - დ ა ბ ა ლ ი: *თინგინი* „სიმაღლე, სიდიდე" ((ქობ. 315), *ჭყვერთელე* „აშოლტილი, მაღალი, გრძელი, მოქნილი" (ქობ.715), *სვიტალი* „ასვეტილი" (ქობ 592), *სირღალი* (ზედს.) „ტანმაღალი, აწოწილი" (ქობ. 593), *სვირინი/ სვირალი/ სვერელია* „ჩამოქნილი, ტანმაღალი" (ქობ.591); ,,მაღალი" (ქაჯ. II, 593), *სვიტინი / სვიტალი /სვეტერია* „ჩამოქნილი, ტანმაღალი" (ქობ.591); ,,მაღალი" (ქაჯ. II, 593), *ზღვინდინი* „მოქნილი, აშოლტილი" (ქობ. 311), *ჟვირთალი* (ზედს.) „აყლაყუდა, აწოწილი" (ქობ. 567), *შქვერთელია / შქვირთლი* (ზედს.) „მაღალი, აშოლტილი" (ქობ. 666, 667), *ჩენგერია* (ზედს.) „მაღალი და გამოჩორკნილი, ტლანქი" (ქობ. 671)...

პ ა ტ ა რ ა /დ ა ბ ა ლ ი + მ ს უ ქ ა ნ ი: *პიხვინი* „აფუებულობა" (ქობ.564); *ქვინჯინი/ ქვენჯერია* (ზედს.) „დაგვაჯული" (ქობ.635); ,,დაბალი და ჩაფსკვნილი, ჯმუხი" (ქაჯ.III, 139), *გვინჯღალი* (ზედს.) „გაბღენძილი ჩია; დაგვაჯული" (ქობ. 116).

მსუქანი - განხდარი:

მ ს უ ქ ა ნ ი: *გვიდალი* (ზედს.) „ჩასუქებული" (ქობ. 116), *გიდალი* (ზედს.) „ღიპიანი, მუცელგაბერილი" (ქობ. 116), *გვიზალი* (ზედს.) „ჩასუქებული, ღიპიანი"(ქობ. 116), *გვიზინი* „ღიპიანობა, ჩამრგვალებულობა" (ქობ. 116), *ფიხვინი* „აფუებულობა, სიფაფუკე" (ქობ. 627), *ტირკვინი* „ბალღის სიმსუქნე" (ქობ. 602), *ღვეზერე / ღვეზერია* (ზედს.) „ჩაფსკვნილი, სქელუა" (ქობ. 644), *ფიშქვინი* „აფუებულობა, გაფურჩქნულობა" (ქობ. 626), *ფიღვალი* „ღბუა, აბუზული" (ქობ. 627), *ძვიძვინი* „ზონზროხას, გაჩეჩილის იერი" (ქობ.691); ,,გაბერილი; გაფუყულად [გამო]ჩენა, გამოხედვა" (ქაჯ. III, 386), *ხვეხვერია* (ზედს.) „გაფუებული, ნასუქი" (ქობ.726), *ხვირალი* (ზედს.) „დიდი და მრგვალი რამ, ჩაგოდრებული" (ქობ.726), *ტიღვალი* (ზედს.) „მკვრივი, ჩაფსკვნილი" (ქობ. 602)...

გ ა მ ხ დ ა რ ი: *ძღინკალი* (ზედს.) „ძალიან გამხდარი, მჭლე“ (ქობ.693), *ძღვიკინი* „სიმჭლევე“ (ქობ.693), *ძღოკორია* (ზედს.) „გაძვალტყავებული“ (ქობ. 693), *წვირინი* „ტანკენაროობა, სინაზე“ (ქობ.696), *წვირალი* (ზედს.) „ტანკენარი, წერწეტი“ (ქობ. 696), *ძღვიკალი* (ზედს.) ,,პატარა ტანისა, ტანმორჩილი“ (ქაჯ. III, 396), *წირკინი* „... კოპწიაობა, გაკნაჭულობა...“ (ქობ. 697), *წიორა* (ზედს.) „წერწეტა“ (ქობ.697), *ჩხირკალი* (ზედს.) „გაჩხინკული“ (ქობ. 679), *ბიძღალი* (ზედს.) „გაძვალტყავებული, ხმელი (კაცი)“ (ქობ. 64)...

ბ რ გ ე: *გვიჯინი* ,,ქოჩრიანობა” (ქობ. 116); ,,ბრგედ და კოხტად გამო[ი]ყურება (ქაჯ. I, 324), გვირხალი (ზედს.) „ზორბა, ჯმუხი“ (ქობ. 116), *ხვინთქინი* „სიდიდე, მოდღლეზილობა“ (ქობ.726), *ხვინთქალი* (ზედს.) „თავგასიებული; მოდღლეზილი, გათქვირებული“ (ქობ.726); ,,ძლიერ მსხვილი, ვეებერთელა, ზორბა” (ქაჯ. III, 549), *ჯგვეჯგვერე* „ბრგე“ (ქობ.736); ,,ზონრზოხა... (ქაჯ. III, 602), *ჯგვიჯგვალი* (ზედს.) „ჯმუხი, ჯიჯაგვი, მძლავრი, მძვალმსხვილი, ჩასხმული (კაცი)” (ქობ.737), ,,დიდი, უშნო პირისახის ძლიერი ადამიანი, ჩაფსკვნილი“ (ქაჯ. III, 603), *ტკიბალი* (ზედს.) „მკერდგანიერი, ჩფსკვნილი“ (ქობ. 602...

მკვრივი, დაჭიმული:

ბირსინი „სხეულის სიმკვრივე, მკერდგაშლილობა“ (ქობ. 63), *სკვინჭინი* „...შეკრული, მკვრივი“ (ქობ. 595), *სკვინჩალი* (ზედს.) „ჩაფსკვნილი, მკვრივი“ (ქობ. 595), *სქვანჩარია* (ზედს.) „ჩაფსკვნილი, ენერგიული“ (ქობ. 598), *ტკიჩალი* (ზედს.) „გადატკეცილი, ტანმკრივი, მკერდგანიერი, დაჭიმული, ჩაფსკვნილი“ (ქობ. 603), *ტკიბინი* „სიმკვრივე ხორცისა“ (ქობ. 602), *პისკვინი/ პისქვინი* „სიმკვრივე; კარგ ფერ-ხორცზე ყოფნა“ (ქობ.563); ,,ბუთხუზა” (ქაჯ. II, 486), *გვიგვალი* „მკვრივი, ბრგე“ (ქობ. 116), *გვიხალი* (ზედს.) „დიდი, ბუხუნა, ტანმკვრივი“ (ქობ. 116)...

ადამიანის შინაგანი თვისება, განწყობა, გონებრივი მდგომარეობა-შესაძლებლობა:

ფიღვინი, ფიღვინი ,,ფუყვა, ბუზვა” (ქობ. 627), *ყვიყვინი* „მოწყენილი, უმზეო მზერა, დაღონება” (ქობ. 651), ,,უმწეოდ ყურება; მობუზული, მოწყენილის მზერა; ნაზად ხედვა” (ქაჯ. III, 211), *სვისვალი* (ზედს.) „ნაზი, გასუსული, უენო“ (ქობ. 592), *წვიწვალი* „კოხტა, კოპწია“ (ქობ. 696), *ფინთა(ლი)* (ზედს.) „ფეთიანი, მფრთხალი“ (ქობ. 626), *ტვინგერე* (ზედს.) „ჩლუნგი, ბოთე“ (ქობ. 601), *ტვენტვერე/ ტვენტვერია* „უთქმელი, წყნარი“ (ქობ. 601); ,,უტვინო, უჭკუო; მოსულელო; შტერი” (ქაჯ. III, 23)...

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფორმისგან, თითქმის უგამონაკლისოდ იწარმოება ზედსართაული ფორმები სემანტიკური კომპონენტების შენარჩუნებით.

ზოგჯერ მასდარში რეფერენტი გარჩეული არ არის, ამ ინფორმაციას იძლევა ზმნური მორფოლოგიური მოდელი, ამიტომაც არის სალექსიკონო განმარტებები განსხვავებული, შდრ.,

სვირთინი „სიგრძე, ჩამოგრძელებულობა“ (ქობ. 591): *ოსვირთინანს* / ისვირთინანს (სტატიკ.) „უშნოდ აწოწილია, მაღალია“, *უსვირათანს ჩხვინდი* „ცხვირი ჩამოგრძელებული აქვს“ (ქობ. 591);

სიპინი „შეუვალი, უემოციო გამოკმეტყველება; სიგრძე ცხვირისა“ (ქობ. 593): ოსიპინანს / ისიპინანს (სტატიკ.) ,,ვინც აყაყულია; აყაყულის დგომა” (ქაჯ. II, 600), *უსიპანს ჩხვინდი* „გრძელი ცხვირი აქვს“ (ქობ. 593).

გვირინი „გამოხედვა დიდრონი, ჟუჟუნა თვალებით“ (ქობ. 118): *ი-გვირინანს/ ო-გვირინანს* (სტატ.) „დიდთვალებას გამოხედვა“ - *უგვირანს თოლი* „უჟუჟუნებს თვალი“

ფიფინი „...ფრიალი (თმისა)... ფოფვრა“ (ქობ.627), *ი-ფიფინანს / ო-ფიფინანს* „აფოფრილია“ - *უფიფანს წარი* „უფრიალებს წარბი“.

3. დინამიკურობის - მოძრაობისა და მოქმედების - აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ლექსიკა

3.1. *მოძრაობის მასდარები და ზმნები.*

მეგრული გამოირჩევა მოძრაობის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ზმნური ფუძეების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით[1]. მოძრაობა ფართო გაგებით გულისხმობს დინამიურობას, სივრცეში საწყისი და დასასრული წერტილების / პუნქტების დაშვებას, მოქმედების დროში მიმდინარეობას. აღნიშნული კლასი მოიცავს მოძრაობის ისეთ ტიპებს, რომლებიც ნეიტრალურია „დამატებითი მოქმედებით“ მარკირების თვალსაზრისით; აღნიშნულ სემანტიკურ ველში შედის *მოძრაობა-გადაადგილების (სვლის/ სიარულის, სირბილის), ადგილზე მოძრაობის (ხტომის), წრიული მოძრაობის*[2] და *ტრანსფერული შინაარსის (წაღება-წაყვანის)* აღმნიშვნელი დინამიკური ზმნებიც, რომლებიც ორმაგი მოქმედებისა ჩანს და ძირითად მნიშვნელობაზე ზმნისწინის დართვით ოწარმოება; მსხვილ საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია სემანტიკური დაპირისპირება *სულიერი - უსულო* ანუ მოძრაობის სუბიექტი ცოცხალი არსებაა თუ არაცოცხალი, საკუთარი ძალით გადაადგილება შეუძლია თუ სხვისი დახმარებით.

მეგრულში მოძრაობის სამი ძირითადი სახიდან - ხმელეთზე *სიარული, ფრენა, ცურვა* - ფონოსემანტიკურ ფუძეთა მრავალფეროვნება მხოლოდ პირველს ახასიათებს.

მოძრაობის ველში გამოვყავით შემდეგი სემანტიკური კატეგორიები:

სუბიექტის სივრცული მდგომარეობა _ გადაადგილებისას ვერტიკალურ მდგომარეობაშია საგანი თუ ჰორიზონტალურში (სიარული, სირბილი, ხტომა _ ხოხვა);

ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაადგილებისას გაირჩევა შემდეგი სემანტიკური კომპონენტები:

1. *გადაადგილების ტემპი* (ჩქარი - ნელი);
2. *გადაადგილების ინტენსივობა* (სიარული - სირბილი, ხტუნვა ან ხტუნვით გადაადგილება);
3. *ნაბიჯების ზომა* (გრძელი და მოკლე ნაბიჯები);
4. *ენერგიულობის ხარისხი* (აქტიური - პასიური);
5. *მოძრაობის მიზანდასახულობა* (მიზანდასახული და უმიზნო), *სიამოვნების მიღებით გადაადგილება;*
6. *წრფივი და წრიული* მოძრაობა;
7. *წონასწორობის დარღვევა*
8. *ფიგურა - მოძრავი ობიექტი* (ინდივიდუალური და ჯგუფური მოძრაობა);
9. *იმ სამოძრაო ზედაპირის სახეან ხარისხი,* რომელზედაც ფიგურა გადაადგილდება ან გადალახავს დაბრკოლებას (გლუვი ან უხეში, სწორი ან არასწორი ზედაპირი);
10. *გზა* (path): ფიგურის მოძრაობის ტრაექტორია;
11. *მოძრავი სუბიექტის მანერა* (ფეხის სპეციფიკური მოძრაობით გადაადგილება; სიარულის შეზღუდული უნარი);

---

[1] მოძრაობის აღმნიშვნელი მასდარებისა და ზმნური ფორმების ვრცელი ანალიზისათვის იხ. გერსამია 2003

[2] ძირითადად, ქართულიდან შეთვისებულ ზმნურ ფორმებში: *რზიალი* „ზრიალი“, *რსიალი* „სრიალი“...

მოძრაობის სემანტიკურ კლასში შემოდის აგრეთვე *ორმაგი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები,* რომლებშიც მოძრაობის კომპონენტი საერთოდ იკარგება და მის ფუნქციას ასრულებენ ფუძეში შემავალი ზმნისწინები [ი. ქობალავა]; ამგვარ ზმნათა სემანტიკურ კომპონენტში გამოიყოფა *მოძრავი სუბიექტი (ხასიათი, შინაგანი და გარეგანი მახასიათებლები).* ასეთი ზმნები მეგრულში სემანტიკურად უკავშირდება როგორც დინამიკას (სვლა: *მი-ბათქალ, გილე-ბათქალ... გადა-ხტომა: გეგნი-ბათქალ, გეგნი-ჟგართალ, გეგნი-კვაზალ...),* ისე სტატიკას (გე-ხე „ზის“: *გე-ბათქუ, გე-ბაზუ, გე-კვაკუ...*)

სემანტიკური დიფერენციალური მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს მოძრაობის ზმნები დავაჯგუფოთ სემანტიკურ კატეგორიებად და ამ კლასიფიკაციის შიგნით გამოვყოთ ცალკეული სემანტიკური კომპონენტები; თუმცა ზმნური ფუძე მნიშვნელობის გაცილებით რთულ ჯაჭვს წარმოადგენს და მისი სტრუქტურირებით დასაშვებია სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა, სემანტიკურ კომპონენტთა, მიღება. ერთი ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია პირობითია და იგივე ფუძე სხვა კომპონენტის მიხედვით სხვა სემანტიკურ კატეგორიაში შეიძლება აღმოჩნდეს.

1. *მოძრავი სუბიექტის ენერგიულობის ხარისხი,* რომელიც თავად მოძრაობის ინტენსიურობას (პასიური - აქტიური) აპირობებს:

პ ა ს ი უ რ ი: *გადუა (მიობადანს)* „უძალო, ღონემიხდილი სიარული; შეუძლებლობით ნელი და ზანტი სიარული (ქაჯ. I, 211), *გარდღუა (მიობარღანს)* „ბორდღვა, ფორთხვა, ძლივს სიარული“ (ქაჯ. I, 221; 235), *გაგაფი (მიოგაგანს)* „ლასლასი, ძლივს სიარული, უღონო სიარული“ (ქაჯ. I, 278), *ფარკალი* (მიფარკალ) „ძლივძლივობით სიარული, სიგამხდრისაგან ან დაღლილობისგან ძალაგამოლეულის სიარული“ (ინფ.), *ღანღალი (მი-ღანღალ)* „ცოცხალმკვდარი, ძლივძლივობით სიარული...“ (ქაჯ. I, 335), *ღვანკუა (გილეღვენკუ)* „ძლივს სიარული, ლასლასი...“ (ქაჯ. I, 335), ძღვაბალი (მიძღვაბალ) „პატარის ძლივს სიარული“ (ქაჯ. I, 338), *ძღ(ვ)აკალი (მიძღ(ვ)აკალ, მიოძღ(ვ)აკანს)* „სუსტი აღნაგობის სუბიექტის ძლივს სიარული“ (ინფ.), *ჯღარკალი (მიჯღარკალ, მიოჯღარკანს)* „ღონემიხდილის სიარული“ (ინფ.).

ა ქ ტ ი უ რ ი კომპონენტის შემცველი ფორმების დიდი ნაწილი ზმნისწინების დართვით იწარმოება სხვა აქტიური მოქმედების გამომხატველ ფუძეებზე; ასეთი შეიძება იყოს: *მოძრაობა მიმართულების გარეშე, ადგილზე მოძრაობა:*

მასდარი		ზმნის აწმყო		
ადგილზე მოძრაობა	მოძრაობა-გადაადგილება მიმართულების ჩვენების გარეშე	„მიდის“	„დადის“	ადილზე მოძრაობა
ტაჯალი	გილა-ტაჯალი	მი-ტაჯალ	გილე-ტაჯალ	ი-ტაჯალ
მარმალი	გილა-მარმალი	მი-მარმალ	გილე-ტაჯალ	ი-მარმალ
რქალუა	გილა-რქალუა	მი-რქალ;	გილე-რქალ	ი-რქალ
რაჟალი	გილა-რაჟლი	მი-რაჟალ	გილე-რაჟალ	ი-რაჟალ
რა□ვალი	გილა-რა□ვალი	მი-რა□ვალ	გილე-რა□ვალ	ი-რაყვალ
თირთოლი	გილა-თირთოლი	მი-თირთოლ	გილე-თირთოლ	ი-თირთოლ
დანდალი	გილა-დანდალი	მი-დანდალ	გილე-დანდალ	ი-დანდალ
ცხვანტალი	გილა-ცხვანტალი	მი-ცხვანტალ	გილე-ცხვანტალ	ი-ცხვანტალ
თარხალი	გილა-თარხალი	მი-თარხალ	გილე-თარხალ	ი-თარხალ

ამავე სემანტიკურ კომპონენტებს შეიცავს *გილა-* ზმნისწინდართული ორმაგი მოქმედების აღმნიშვნელი მასდარები და შესაბამისი ზმნური ფორმები, თუკი ძირეული (ამოსავალი) ფუძის სემანტიკა აღნიშნული ნიშნით არის მარკირებული:

გილა-ჟუმინი (გილეჟუმინ, მიჟუმინ) „შხუილი, ქროლვა, აქეთ-იქით სირბილი“ (ქობ. 131), *გილა-ტირკონი (გილეტირკონ, მიტირკონ)* „კუნტრუში, სირბილი“ (ქობ. 133), *გილა-ბიორი (გილებიორ, მიბიორ)* „ბორიალი, ფრიალ-ფრიალით სიარული“ (ქობ. 125), *გილა-ბურინი (გილებურინ, მიბურინ)* „ბორიალი, ბზრიალ-ტრიალი, აქეთ-იქით გრიალი“ (ქობ. 126), *გილა-ნქილუა*[1]*/ გილა-ნქილინი* „ღონივრად სიარული, შლიგინი, ჯლიგინი“ (ქობ. 130), *გილა-ჭვირგუა*[2] ...

2. *წონასწორობის დარღვევით გადაადგილება:*

განგალი (გილაგანგანს, მიოგანგანს, მიგანგალ) „სისუსტის გამო ქანაობით სიარული, ბარბაცი“ (ქაჯ. I, 286); *გილაბანცალი (გილებანცალ, მიბანცალ)* „ბარბაცი, ტორტმანი (ქაჯ. I, 217), *ბანდალი (გილებანდალ, მიბანდალ)* „ბანდალი, ბანცალი, ტორტმანი, ბარბაცი“ (ქაჯ. I, 216), *გილაჩაკალი (გილაჩაკანს, მიჩაკალ*[3]*)* „ბარბაცით, ჩაქჩაქით სიარული“ (ქაჯ. I, 336), *გილჩანგალი (გილეჩანგალ, მიჩანგალ)* „ბარბაცით იქით-აქეთ სიარული“ (ქაჯ. II, 336), *გილაჩარქალი (გილეჩარქალ, მიჩარქალ)* „რყევა-რყევით, ბარბაცით სიარლი (ელიავა 1997: 155), ბრანცუა / ბრანცალუა „ბრაცუნი, მთვრალი კაცის უხეირო, ბარბაცით სირული“ (ქაჯ. II, 260)

აღნიშნული სემა უკავშირდება სემანტიკურ კომპონენტს *ნაბიჯის სტილი: არეული სიარული.*

3. *მოძრაობის ტემპი, მოძრაობის სიჩქარე:* სემანტიკური კომპონენტები *ნელი - ჩქარი,* გადამკვეთი აღმოჩნდა ენერგიულობის ხარისხის აღმნიშვნელ სემებთან *პასიური-აქტიური,* ამიტომ ამგვარი ფორმები შეიძლება დახასიათდნენ კომბინირებულად ორივე ნიშნის მიხედვით: *ნელი, პასიური - ჩქარი, აქტიური.*

4. *ნაბიჯების ტიპი: მოკლე/პატარა - გრძელი/დიდი ნაბიჯები; ფეხისწვერზე სიარული; მძლავრი და მყარი ნაბიჯებით სიარული*; მწყობრი - არეული ნაბიჯი ფეხის ნაწილზე მითითება მოძრაობის პროცესში:

ბიწკინი „ფეხის წვერზე სიარული, ფრთხილად სიარული“ (ქაჯ. I, 247), *ბაწკუა/ბაწკაფი* „ფეხაკრეფით, კოხტად (კოპწიად) სიარული“ (ქაჯ. I, 230), *ბაცაფი/ბაცუა* „ფეხაკრეფით, ნელი ნაბიჯით სიარული; ბეცება; ფეხაკრეფით სიარული, ჩუმად ფეხისწვერებზე მიპარვა; ცუნცული“ (ქაჯ. I, 229; ჭარაია 1997: 40), *ბაჯგალი* „გაჩაჩხული, გალაჯული სიარული, ფეხშიშელა სიარული“ (ქობ. 59)

მოკლე/პატარა/მსუბუქი ნაბიჯები:

გილაცხაკუა „მოკლე და ჩქარი ნაბიჯებით სიარული“ (ქაჯ. I, 337), *პახვალი* „პატარა

---

[1] გაჲთოციის ვირეფქ ირდიხაშე დო *მიწქილუნა* ოჭკომალიშა (ხუბ.85$_{35}$) „გამოცვივდნენ ვირები ყველა მხრიდან მიიწევენ (=სწრაფად, ენერგიულად მიიწევენ) საკვებისკენ“ .

[2] ქაძირუ... კოჩი გეხე ართი რაშის დო ქარი ცალო *ქუმოჭვირგუნსგნი* (ხუბ. 27$_{34}$) „ანახა... კაცი ზის ერთ რაშზე და მოქრის (=ჩქარა მოდის)“, შდრ. ჭვირგუა „სრბოლა გასროლილი ჭვილთის სისწრაფით“ (ქობ. 709).

[3] *მიოჩაკანს, მიოჩარქანს, მიოჩანგანს* ზმნური ფორმები სხვა მნიშვნელობას უკავშირდება, სემანტიკური კომპონენტი ნაბიჯის სტილთან არის დაკავშირებული.

ტანის სუბიექტის კოხტად, პატარა ნაბიჯებით სიარული“ (ინფ.)[1], *გაძალი (გილეგაძალ)* „პატარა და გამხდარი აღნაგობის სუბიექტის პატარა და სწრაფი ნაბიჯებით სიარული“ (ინფ. შდრ. ქობ. 82), *ცაქვალი* „ფეხმსუბუქი, მარდი, დაუზარელი სიარული...“ (ქობ. 681), *ქვაცალი* „ბალღის მსუბუქი სიარული, დაუზარელი სიარული“ (ქობ. 635); *ცანდალი* „... კინკილი, მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით, მარდად სიარული“ (ქობ. 681); *ცანტალი* „ბალღის ფეხმსუბუქი სიარული“ (ქობ. 681), *ცარქაფი* „მსუბუქი, წეროსებრი სვლა“ (ქობ. 681), *ცაღვალი* „ყრმის ფეხმსუბუქი, მარდი სიარული“ (ქობ. 681)

დიდი/გრძელი/მყარი/ მძიმე ნაბიჯები:

გილაჯარგუა „დიდი ნაბიჯებით სიარული, დალაჯვა, ხეტიალი“ (ქაჯ. I, 339), *გილაცვანთაფი* „ბაჯბაჯით სიარული“ (ქაჯ. I, 336), *ბატუა* „ბოტვა, დიდი ნაბიჯებით სიარული“ (ქაჯ. I, 226), *ბაჯგაფი/ბაჯგუა* „მძლავრი და მყარი ნაბიჯებით სიარული, *მიობაჯგანს* - მყარი ნაბიჯებით მიდის“ (ქაჯ. I, 231; 232), *ბასქაფი* „დარდიმანდის მძიმე-მძიმედ სიარული“ (ქობ. 58)

მწყობრი - არეული:

გილასვარაფი „დალაგებულად, მწყობრად სიარული“ (ქაჯ. I, 333), შდრ.: *ჩვართაფი/ გილაჩვართაფი* „ფეხმრუდის სიარული“ (ქაჯ. I, 336), *ფეხვინი* (ქაჯ. I, 334) / *ფახვალი* (ქობ. 624) „დაფეხვილის სიარული“; *ცექვინი (მიცექუ)* „კოჭლობა, ნაბიჯების სიმწყობრის დარღვევა“ (ინფ.), *ბაძღალი* „ჩლატუნი, ულაზათოდ სიარული“ (ქაჯ. I, 229);

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სემანტიკური კომპონენტის „არეული“ შემცველია ყველა ის ლექსემა, რომელიც წონასწორობის დარღვევით გადაადგილების გულისხმობს.

5. ხტომა-ხტომით, ასკინკილით გადაადგილება:

ცაკალი „კინკილით სვლა, ბაკიბუკი“ (ქობ. 680); „გამხდარი სუბიექტის სწრაფი ნაბიჯებით სვლა“ (ინფ.), *ცეცვინი* „ცქმუტვა, სკუპ-სკუპით სიარული; ცალფეხას ხტუნვა“ (ქობ.683), *ცაცვალი* „ციყვივით სკუპ-სკუპით სიარული ბალღისა“ (ქობ. 681)

6. *მოძრავი სუბიექტის ფიზიკური რაგვაროვნება (აღნაგობა)*: გამხდარი - მსუქანი, სუსტი - ძლიერი, დიდი - პატარა, მაღალი - დაბალი...

პატარა + გამხდარი:

ბარძღალი „პატარა ტანის კაცის (ბავშვის) სიარული“ (ქაჯ. I, 225), *ბაძღვაფა* „პატარა ტანის, უშნო შესახედაობის სიარული“ (ქაჯ. I, 230), *ქვაცალი* „ბლღის მსუბუქი სიარული, დაუზარელი სიარული“ (ქობ. 635), „ტანით პატარას ცუნცულით სიარული (სირბილი)“ (ქაჯ. I, 335), *ცაქვალი / გილაცაქვალი* „პატარას კოხტად სირბილი“ (ქაჯ. I, 337) / „დაბალი და გამხდარი სუბიექტის მარდი სვლა“ (ინფ.), *ცქვაცქვალი / გილაცქვაცქვალი* „ცუნცული“ (ქაჯ. I, 337), *ქვაქვალი* (+ ლამაზად, კოხტად), *ძაკალი* „სუსტი ადამიანის სიარული“[2] (ინფ.), *ცანდალი* „ციდას, ციცქნას სიარული...“ (ქობ. 681)...

დიდი + მსუქანი:

ბახვალი „მსუქნის სიარული...“ (ქობ. 59), *ბაცვალი* „ძუნძული“ (ქობ. 58), *გილაჯვატუა* „მძიმედ სიარული, აჩაბაჩად სვლა“ (ქაჯ. I, 339), *ბაცვალი/* გილაბაცვალი „მსუქანი ადამიანის სირბილი, ბაყბაყს რომ გამოსცემს ისე; ბლაყუნი“ (ქაჯ. I, 228; 329), *ბახვალი, გვაზალი*

[1]შდრ. *პახვალი* „მარდი, დაუზარელი სიარული“ (ქობ. 562).

[2]შდრ. *ძაკა* „სუსტი, გაძვალტყავებული...“ (ქობ. 688); *ძაკალი* „ძუძგური, სუნსული; პატივაყრილის სიარული“ (ქობ. 688)

„ღიპიანის, ზორბას სვლა“ (ქობ. 114), (ინფ.,)*ფაჟვალი* „მსუქანი, გაბერილი, ფოლხვი ადამიანის მძიმედ სიარული“[1] (ინფ.), *ძაჲვალი* „...უპატიო სიარული, ძუნძული“ (ქობ. 689), *ძვაძვალი* „ძუნძული, ჩანჩალი“ (ქობ. 691),

პატარა/დაბალი + მსუქანი:

განჩ(ვ)ალი „სქელუას მშვიდი სიარული...“ (ქობ. 56), *გადალი/ გადუა* „მსუქნის, მუცელგაბერილი ბავშვის სირბილი“ (ქაჯ. I, 280), *გვა(ნ)გვალი* „მსუქანი პიროვნების (ბავშვი, ქალი, კაცი), კოხტა მოხდენილი სიარული, გოგმანი; მოკლე ნაბიჯებით სვლა დაბალი, ჩამრგვალებული ადამიანისა“ (ქაჯ. I, 318), *გვადალი* „დაბლისა და მსუქნის ნელა, ლამაზად სირბილი, გვანგვალი (ქაჯ. I, 317), *ძაგვალი/ გილაძაგვალი* „ძუნძული“ (ელიავა 1997: 358), „ძუნძულით სიარული (რბენა) იქით-აქეთ“ (ქაჯ. I, 337)[2]...

მაღალი + გამხდარი:

გილაზღვანდალი „მოქნილი, მაღალი და გამხდარი ადამიანის სიარული“[3] (ინფ), *შხვართალი* „მოქნილი, მაღალი, გამხდარი სუბიექტის სიარული“[4] (ინფ), *წიორი* „წერწეტი სიარული“ (ქობ. 697), *წარკაფი* „მაღალკანჭიანის სიარული; წეროსებრი სიარული“ (ქობ. 694), *სარღალი* „ყიალი აწოწილისა“ (ქობ. 584)

ფონოსემანტიკური ფუძეები წარმოადგენს სემათა საკმაოდ რთულ ჯაჭვს, რომელთა შორის დომინანტური შეიძლება აღმოჩნდეს ერთი ან ორი; მაგ., მოძრაობა-გადაადგილების ფონოსემანტიკურ ფუძეებში მოძრაობის სემანტიკური მოდელები სემათა შემდეგ კომბინაციებს გვაძლევს: [სუბიექტის ტიპი + მოძრაობის მახასიათებლები]; კონკრეტულად:

ა. *გამხდარი სუბიექტი + სწრაფი, ენერგიული, აქტიური მოძრაობა*
განხდარი სუბიექტი + ნელი, პასიური მოძრაობა

ბ. *მსუქანი სუბიექტი + სწრაფი, ენერგიული, აქტიური მოძრაობა*
მსუქანი სუბიექტი + ნელი, ზანტი, დუნე, პასიური მოძრაობა

3.2. მოქმედების მასდარები და ზმნები.

აღნიშნული სემანტიკური ველი ყველაზე მრავალფეროვანია სემანტიკური თვალსაზრისით და მოიცავს ზოგადად მოძრაობასთან, მოქმედებასთან დაკავშირებულ მასდარებსა და შესაბამის ზმნურ ფორმებს; სემანტიკური ველები დომინანტი ლექსემის მნიშვნელობის მიხედვით აიგება:

1. *ცემის/კვრის აღმნიშვნელი ლექსიკა*
2. *საკვების დამუშავებასთან (ჭამა, ღეჭვა, ხვრა, ღრღნა) დაკავშირებული ლექსიკა*[5]
3. *სმა/ დალევის აღმნიშვნელი ლექსიკა*
4. *ბუნების მოვლენათა და სტიქიათა (ჰაერის, წყლის, ცეცხლის/სინათლის) მოქმედება-ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა*

[1] შდრ. *ფაჟვალა* „ფოლხვი, ხალვათი, გაბერილი“ (ქობ. 622)

[2] შდრ. ყიფშიძე 183, 17_{22}: მოიზოჯჯ პატეწიცალო, *მიდაძაგვეჯ*ოღორიცალო „მობრძანდი ბატონივით, *წაძუნძულდი (=წაეთრიე)* ძაღლივით“; *ძაგვაფი* „ძურწვა“ (ქობ. 688)

[3] შდრ. *ზღვანდალა* „შოლტივით მოქნილი“; ზღვანდალი „შლტისებრი მოქნილობა“ (ქობ. 311)

[4] შდრ. *შხვართალა* „შხვართი, მოქნილი“ (ქობ. 668)

[5] აღნიშნული ორი ჯგუფის სრული აღწერისა და დახასიათებისათვის იხ. გერსამია 2003

თუკი ამგვარი ფუძეები ერთდროულად გამოხატავენ მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას: *მოქმედება+ხმა, მოძრაობა+ხმა/ხმიანობა, მოძრაობა+ნათება, მოძრაობა+ნათება+ხმა*, მაშინ ისინი განიხილება ფონოსემანტიკურ ფუძეთა გადამკვეთი მნიშვნელობების ტიპში.

1. ცემის, კვრის ლექსემებთან დაკავშირებულ ფორმათა მნიშვნელობის ანალიზის შედეგად გამოვყავით შემდეგი სემანტიკური კატეგორიები:

ა. მოქმედების რაგვარობა (ძლიერი - არაძლიერი);

ბ. მოქმედების გზისობა (ერთგზისი-მრავალგზისი), ინტენსივობა, სიჩქარე;

გ. მოქმედების ლოკალიზება (ზემოქმედების ადგილზე მითითება);

დ. მოძრაობის ტრაექტორია;

ე. ინსტრუმენტის ხასიათი;

ვ. მოქმედების თანმხლები ხმა.

ძ ლ ი ე რ ი ცემა: *ბაგუა, ბაზუა, ბაკუა, ბათქუა, ბანჭუა, ბახუა, გვაგვუა, დგადგუა, დირგუა, ზეპუა, ზენჭუა, თქვაშუა, ლეკუა, ჟგერთუა, რასკუა, შიმბუა, რუმფუა, ხვენთქუა...* აღნიშნულ სემანტიკურ კომპონენტზე ხშირად უთითებს სალექსიკონო განმარტებები:

ბაგუა/ბეგუა „ბეგვა, მაგრად ცემა, დაჟეჟვა“ (ქაჯ. I, 210), *ბაზუა/ბეზუა* „მაგრად ცემა“ (ელიავა1997: 27), *ბაკუა* „მაგრად ცემა, დარტყმა“ (ქაჯ. I, 214), *გვაგუა/გვეგუა* „დაბეგვა, მაგრად ცემა; გვემა“ (ქაჯ. I, 316; 320), *დგადგუა/დგედგუა* „ბრეგვა, ბრიგვა, მაგრად ცემა...“ (ქაჯ. I, 451), *ჯგვაჯგუა/ჯგვეჯგუა* „მაგრად ცემა“ (კილანავა 1998: 28), *თქვაშუა/თქვეშუა* „ძლიერი დარტყმა, თხლეშა“ (ელიავა 1997: 175; ქაჯ. I, 71), *ზეპუა* „მაგრად ცემა“ (ყიფშიძე 1914: 236; კილანავა 1997: 8), *რეგვუა* „მაგრად (გამეტებით) ცემა, რეგვა, ჟეჟვა“ (ქაჯ. II, 518), *ჟგერთუა* „2. მაგრად, გამეტებით ცემა, - თხლეშა, ჟეჟვა“ (ქაჯ. II, 496), *რუმბუა* „მაგრად ცემა“ (ქაჯ. II,543)...

ა რ ა ძ ლ ი ე რ ი ცემა: *ბარტყუა, პარტყუა, თქათქუა, ტკატკუა, ჟღერტუა, ტატუა, ტვარუა, ტვეფუა...*

ბარტყუა „რბილად გარტყმა, პერტყვა ხელისა“ (ქაჯ. I, 223), *ტვარუა* „წამორტყმა, წათაქება“ (ქობ. 601), *ცხაკუა* „უძალო დარტყმა, მოცაცუნება“ (ელიავა 1997: 357), *ბარტყუა* „რბილად გარტყმა; პერტყვა (ხელისა)“ (ქაჯ. I, 223), პარტყუა/პერტყუა „პერტყვა; დარტყმა (მსუბუქად)“ (ქაჯ.II, 477; 481)...

აღნიშნულ სემანტიკურ ველში გამოიყოფა ლექსემათა რიგი, რომელშიც გააქტიურებულია დამატებითი სემანტიკური კომპონენტი - ეთითება მოქმედების ადგილზე, მოქმედების გავრცელების არეალზე, რაც ხშირად ებმის მოძრაობის ტრაექტორიასაც: *ჩხვაპუა/ჩხვეპუა* „ხელუკუღმა გარტყმა სახეში“ (ელიავა 1997: 251), *ჩანთუა/ ჩანთაფი* „პანღურის ამოკვრა“[1], „დიდი ტორის ჩაფარება (თავში)... (ქობ. 670)

მოქმედების ინსტრუმენტი განსხვავებულია რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მიხედვით, ის შეიძლება იყოს ბლაგვი, მახვილი, ელასტიური: *რასკუა „ჯოხის ჩარტყმა“* (ქაჯ. II, 511), *რეფგ არგუნი* (ხუბ.231_{27}) „ჰკრა ნაჯახი“, *სქინჩგ ლეკური* (ხუბ.184_{24}) „ჰკრა ლეკური“, *დოჯგვაჯგუ ქუათუ* (ქხს. 302_{13}) „დაჯეჯგვა ქვით“... *ტვეფაფი* "ударить твердим предметом о что-либо хрупкое и пустое" (ყიფშიძე 1914: 328), „მსხვილი რისამე დარტყმა“ (ჭარაია 1997: 129)... ლექსიკონთა

[1]...ართი კოჩი ხოლო ქგმოთხოზგ ირემც, *პაღურც ქუჩანთუანც* (ხუბ.185_{37}) „ერთი კაცი კიდევ მოსდევა ირემს, პანღურს ამოჰკრავს“

მიხედვით მაგარი საგნით ცემას აღნიშნავს აგრეთვე: *ზუმპუა* (ქაჯ. I, 27), *ნასქუა* (ქაჯ. II, 365), *ნაცხუა* (ქაჯ. II, 372), *რეხუა* (ქაჯ. II, 520), *სკვაჭუა/სკვეჭუა* (ქაჯ. II, 607), *სქვეჭუა* (ქაჯ. II, 623), რაჟუა (ქაჯ. II, 511)... ზოგჯერ ელასტიური ინსტრუმენტის (წკნელის, წკეპლის, მათრახის, ისრის, კუდის, შოლტის) მოძრაობას ახლავს ხმა (*შხუილი, ტყლაშუნი*), რაც ასევე ჩანს სალექსიკონო განმარტებებში: *ზღვინდუა* „1.ზღვინდით (შოლტით, წკეპლით) მაგარი ცემა, გაშოლტვა, გაწკეპვლა“ (ქაჯ. II, 31), *ჭყვინდუა: ჭყვინდ მართახი* (ხუბ.161$_{17}$) „ჰკრა მათრახი“...

ხშირად ინსტრუმენტად გვევლინება *ხელი, ფეხი* ან მისი რომელიმე ნაწილი (თითი, მტევანი, ხელისგული, წიხლი): ზენჭუა „ხელით მაგრად ცემა“ (ელიავა 1997: 165); *ჩხვეპუა* „სახეში გაშლილი ხელის მტევნის ჩარტყმა“ (კილანავა 1997:23), *ჩანთუა* „...ჩაკვრა, ჩაცემა წიხლისა“ (ქობ. 670);

ცემის აღმნიშვნელ მოქმედებათა მასდარები ძირითადად -უ-ა სუფიქსით იწარმოება, ზოგჯერ ამგვარ მასდართა -აფ სუფიქსიანი წარმოებაც გვხვდება; სემანტიკურად პირველები უფრო მოქმედებას აღნიშნავენ, მეორეები კი მოქმედებას თანმხლები ხმით: *ჭიმბუა - ჭიმბაფი, ჟიფუა - ჟიფაფი, ბათქუა- ბათქაფი, გვაგვუა - გვაგვაფი, დგადგუა - დგადგაფი, ზღვინდუა- ზღვინდაფი, რახუა - რახვაფი...* საგულისხმოა, რომ -აფ ფუძიანებს ზმნური ფორმების ორგანული წარმოება არა აქვთ, ისინი სხვა დამხმარე ზმნებს იშველიებენ ზმნური სემანტიკის გადმოსაცემად, ისეთებს, როგორებიცაა: *გოუტუ* „გაუშვა“, *აყარებაფუუ* „გაადენინა“: *ბათქაფი აყარებაფუ /გოუტუ... ან გვაგვაფია დო..., ბათქაფია დო...* „ბათქუნიო და...“

2. საკვების დამუშავებასთან *(ჭამა, ღეჭვა; ხვრა, ღრღნა)* დაკავშირებული ლექსიკა[1].

ამ ჯგუფში ცალ-ცალკე სემანტიკური ჯგუფები შეიძლება გამოვყოთ, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკვეთრი ზღვარის გავლება გაჭირდება; კატეგორიები და კომპონენტები თითქმის გადამკვეთია;

ა. *მოქმედების რაგვარობა, რომელიც გულისხმობს სუბიექტის, მოქმედი პირის ქცევის ხასიათს (ლაზათიანად/ გემრიელად - ულაზათოდ /უგემურად);*

ბ. სამოქმედო ობიექტის რაგვარობა (მაგარი - რბილი, მკვრივი - თხევადი);

გ. ობიექტის მოცულობა (ბევრი - ცოტა, დიდ - პატარა);

დ. მოქმედების ტემპი (ჩქარი - ნელი);

ე. მოქმედების ინსტრუმენტი (ძირითადი (პირის ღრუს ორგანოები) და დამხმარე (ხელი, თათები, თითები, ტორები, ხელი) ორგანოები);

ვ. მოქმედების თანმხლები ხმა.

ფუძეების მნიშვნელობა სემათა კომბინაციებს წარმოადგენს, რასაც სალექსიკონო განმარტებები მოწმობს; ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმე ფონოსემანტიკურ ფუძეს შესაბამისი სალექიკონო განმარტებებით საკვების დამუშავების მრავალრიცხოვანი სემანტიკური ველიდან:

ჭ ა მ ა : *რთქიფუა* „ქვლეფა“ (ყიფშიძე 1914: 305; ჭარაია 1997: 117); *ნთქერუა/ნთქორუა* „გათქრომა, გატყრომა, ბევრის ჭამა“ (ჭარაია 1997:103), *ბახუა* „დიდ-დიდი ლუკმებით, მადიანად ჭამა...“ (ქობ. 59), *ყაყუა/ღაღუა* „სულმოუთქმელად, უზოგველად ჭამს ან სვამს, ნთქავს“ (ელიავა 1997:331), *ყვაბუა/ღვაბუა* „ტკბილად ჭამა“ (ელიავა 1997: 194), *ტიკუა* „უშნოდ რბილ რისამე

[1]ჭამის აღმნიშვნელი სინონიმური რიგის სტრუქტურული დაყოფისა და სემანტიკური მიმართებების დეტალური ანალიზისათვის იხ. გერსამია 2002

ჭამასაც ჰქვია მეგრულად“ (ჭარაია 1914: 129), *ტყოლუა* „საჭმლის ულამაზოდ ჭმა, თქვლეფა, ზედმეტად გაძღომა“ (ელიავა 1997: 251), *სქინჩუა* „მაგარი საჭმლის ენერგიულად ჭამა; გადასანსვლა“ (ქაჯ. II, 625), *ჯვაბუა/ჯვიბუა* „ხარბად ჭამა, შესანსვლა“ (ელიავა 1997: 394), *ჟვაბუა* „ხარბად ჭამა“ (ქაჯ. II,497); *სირღუა* „ბლომად და მადიანად ჭამა“ (ქაჯ. II, 602), *ნტკორუა* (ქაჯ. II, 402), *ნტყოლუა* „თხელი საჭმლის ხარბად ჭამა“, *ჩქიჩქონუა* „ხმაურით, ხარბად ჭამა“ (ქაჯ. II, 310), *ძგიძგონუა* „ძიძგნა“ (ელიავა 1997: 359), *ცქიცქონუა* „ციცქნა, ცოტ-ცოტა ჭამა“ (ჭარაია 1997: 161, ელიავა 1997: 355), *წკიწკონუა* „წიწკნა“ (ელიავა 1997: 369), *ხიჭონუა* „კბეჩა, წინა კბილებით ჭამა, ხრამუნი“ (ქობ. 729), *ხიჩონუა* „მადიანად ჭამა, კბილებით ხლეჩა (ხილეულისა)“ (ქობ. 729), *ხლიპუა* „ხვრეპა“ (ქობ. 729)...

ღ ე ჭ ვ ა: *ძგაძგუა* „მაგარი ობიექტის ძლივ-ძლივობით უგულო ღეჭვა; წვრილად დაქუმაცება“ (ინფ.), *ჯგაჯგუა* „მსხვილად დაქუცმაცება, ღეჭვა დიდი და მაგარი ობიექტისა“(ინფ.), ძგაბუა „უგემურად ჭმა, ლოღნა“ (ჭარაია 1997: 162), *ლანძგუა* „ლოღნა“ (ჭარაია 1997: 85), ლაგუა „ღეჭვა, ლოღნა, ჭამა“ (ქაჯ. II,178)...

ღ რ ღ ნ ა / ხ ვ რ ა/ კ ვ ნ ე ტ ა: *ხიტონი/ ხიტონუა* „საკვების დაქუცმაცება თითების და კბილების დახმარებით“ (ინფ.), „ხვრა, ღრღნა, ტკვერვა“ (ქობ 728), *ხუტორი/ ხუტორუა* „ხრაშუნი, ხვრემა, ხრაშა-ხრუშით ჭამა, ჭამის დროს პირის ხმიანობა“ (ჭარაია 1997: 182), *ტკუმორი/ ტკუმორუა* „ტკვერვა, კვნეტა, ხვრა“ (ინფ. 603), *დგუმორი/ დგუმორუა* „რისამე მაგრის ჩაკვრეხა, კვნეტის დროს გამოცემული ხმა“ (ქაჯ. I, 454), *გუმორი* „ტკვერა, ხმაურით ჭამა“ (ქაჯ. I, 412), *გუდორუა* „ტკვერა, ხვრა; ხრამუნით ჭამა“ (ქაჯ. I, 411), *გირგონუა/ გირგოლუა* „ღრღნა, ხვრა, ხუხნა“ (ქაჯ. I, 363), *რგუმოლი, რგუმონი, რგუმოლუა* „ხრამუნი, კვნეტა“ (ქაჯ. II, 516), *რქუმოლუა* „ხვრა, ღრღნა; უშნოდ და ხარბად ჭამა“ (ქაჯ. II, 545), *კუმპორუა* „მაგარი საჭმლის კვნეტით ჭამა“ (ქაჯ. II, 166), *კუჭორუა / კუტორუა* „კვნეტა, კვნეტით ჭამა“ (ქაჯ. II, 171, 173)...

3. *სმა/ დალევის აღმნიშვნელი* ფონოსემანტიკური ფუძეები შედარებით მცირეა მეგრულში; სემანტიკური ანალიზი იძლევა შემდეგ კატეგორიებს:

ა. მოქმედების ინტენსივობა, სიჩქარე;

ბ. ობიექტის მოცულობა, რაოდენობა;

გ. მოქმედი სუბიექტის ქცევის მანერა;

გ. მოქმედება ხმის თანხლებით.

ყაყუა „...ყაყვა, კისრის წაგრძელებით სმა“ (ქობ. 650), *ღუზუა* „ბლომად სმა“ (ქობ. 647), *ყირზუა* „ბლომად, ხარბად სმა ღვინისა, გალეშვა“ (ქობ. 651), *გურგუა* „დიდი ყლუპებით, ბევრის სმა...“ (ქობ. 228), გურჯუა „დიდი ყლუპებით, ხარბად სმა, გლურჯვა“ (ქობ.231), *ხუხუა* „ხუხვა“ (ქობ. 733), *ყურწუა* „ყურწვა“ (ქობ. 652), *ცვაცუა* „ ცოტ-ცოტა შესმა სასმელისა“ (ქაჯ. III, 347), *წრუპუა* „წრუპვა“ (ქობ. 700), *წურწუა* „ყლურწვა, წრუპვა“ (ქობ.703), *ხვიპუა* „ხვრეპა“ (ქობ. 726), *ლუმპუა* „დიდი ყლუპებით სმა, წყლით გაბერვა“ (ქობ. 383), *ლურწუა* „ყლურწვა“ (ქობ. 383), *ღუფუა* „2. დალევა, სულმოუთქმელად შესმა დიდი რაოდენობით სასმელისა“ (ქაჯ. III, 202)...

4. ბუნების მოვლენათა და სტიქიათა (ჰაერის, წყლის, ცეცხლის/სინათლის) მოქმედება-ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა, რომელიც შეიცავს გადამკვეთ - ორმაგი ან სამმაგი მნიშვნელობების გაგებას:

მოქმედება+ხმიანობა:

ჰაერის/ქარის ქროლვა, ქროლვის დროს ხმიანობა:

ჟუმინი/ჟუფინი „შხუილი, შლიგინი, ქროლვა (ქარისა)“ (ქობ.568), *ჭუმინი* „შხუილი;

ქროლვა...“ (ქობ. 714), *ზუმინი* „ზმუილი“ (ქობ.310), *წუმინი* „წივილი, წუილი“ (ქობ. 701), შირშინი „შიშინი, ფშვინვა“ (ქობ. 661), წურწინი „...წრუპუნი“ (ქობ.703)...

წყლის მოძრაობა + ხმიანობა:

ჩხარჩხალი „ჩხრიალი, ჩუხჩუხი, ჩხერანი“ (ქობ. 678), *წკარწკალი* „წკანწკარი“, *გვარგვალი* „ძლიერი დუღილი, თუხთუხი, ჩუხჩუხი“ (ქობ. 114), *ღვანთინი* „წყლის რხევა“ (ქობ. 654), *ყვანტუა* „გაჩქამება წყლისა ნაკლულ ჭურჭელში“ (ქობ. 650), *ქურჩინი, ქურჩინაფა* „თქრიალი, წყლის უზომო ღვრა“ (ქობ. 640), *ქუმინი* „წყლის დინება“ (ქობ. 639), ქუმინაფა „უხვად ღვრა“ (ქობ.639), *გუმინი* „წყლის დინების ყრუ ხმა“ (ინფ.), *ღუმინი* „...წყლის დინება ხშულ სივრცეში“ (ქობ. 647), *ქვანთინი* „ტალღის რხევა, ნჩქერევა, ჩქეფა; ტბორად დგომა“ (ქობ. 634), *ღვარღვანცი* „წყლის ღურღური ფხვიერი მიწის ფორებში“ (ქობ. 643), *ჭვარჭვალი* „წურწური, წვეთვა, წანწკარი“ (ქობ. 709), *კარკალი* „...წმინდა, ანკარა, მარჩხი წყლის დენა, რაკრაკი“ (ქობ. 355) ... წ ვ ი მ ი ს მოძრაობა და ხმიანობა: *ზღვარზღვალი/ ძღვარძღვალი* „თავსხმა, კოკისპირული წვიმა“, *ზღურზღული* „უხვად დინება ნაჟურისა“ (ქობ. 311), *ჯღარჯღალი* „წყლის მძლავრი დინება (ლარიდან)“ (ქობ. 742), ცხაკალი „თქორი; მკენწლავი წვიმა“ (ქობ.686) ... ც რ ე მ ლ ი ს დენა/ ღვრა: *ღვარღვალი* „ღვარღვარი, ცრემლოობა“ (ქობ. 643), *ყვარყვალი* „ღვარღვარი ცრემლისა“ (ქობ. 650)...

მოძრაობა+ხმა+ნათება: ცეცხლის, სინათლის მოძრაობა:

ბარბანჩი „გიზგიზი, გზნება“ (ქობ.56), *ბარჩხალი* „ბარჩხალი“ (ქობ.57), *ბურბინი* „მობრიალე ცეცხლის ხმიანობა“ (ქობ. 69), *ბურბოლი* „ბრიალი, გიზგიზი ცეცხლისა“ (ქობ. 69), *გარგანჩი* „ბრიალი, გიზგიზი, გზნება..“ (ქობ. 77), *გარგანჯი* „ბრიალი, გუზგუზი“ (ქობ. 77), *ვარვალი* „ვარვარი; ლაპლაპი; ელვარება“ (ქობ. 305), *ფარფალი* „...ლიცლიცი ალისა“ (ქობ.622), *ვარკალი* „კრიალი, ბრკიალი, ელვარება, ვარაყის ციმციმი, სარკესავით პრიალი“ (ქობ. 305), *რწკინუა* „ბრწყინვა, ბრჭყვიალი, ბზინვა“ (ქობ. 576), *ჭვარჭვალი* „...ციმციმი“ (ქობ. 709), *თართალი* „ვარვარი; თრთოლა დიდი მხურვალებისგან“ (ქობ. 313), დარდალი „გიზგიზი, გურგური, თრთოლა მხურვალებისგან“ (ქობ. 235), *ჭვიტაფი* „...ბჟუტვა“ (ქობ. 709), *ციცინი* „ციმციმი“ (ქობ. 684)...

იმ ტიპის ლექსიკაში, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას, რომელსაც მოძრაობასთან ერთად ახლავს ხმა/ხმაური, ჭირს მოძრაობის მიბაძვისა და ხმის მიბაძვის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ანუ მოძრაობა-მოქმედებისა და ხმა/ხმაურის ცალ-ცალკე ანალიზი, ვინაიდან ერთი მეორის თანმდევია.

ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები ლაზურში

ლაზური ენის ფონოსემანტიკური ლექსიკის კლასიფიკაცია არსებითად არ სხვაობს სხვა ქართველური ენების მონაცემთა კლასიფიკაციისგან, განსხვავებას ქმნის ამ ენაში ფონოსემანტიკურ ფუძეთა რაოდენობრივი მონაცემები: ლაზურში ხმაბაძვითი და ბგერწერითი ლექსიკა ისეთი სიმრავლითა და სისტემურობით არ გამოირჩევა, როგორც თუნდაც მასთან ლექსიკურად ყველაზე ახლოს მდგარი მეგრული ენის ლექსიკური ფონდი.

1. საკუთრივ ხმაბაძვა ანუ ხმიანობა, სხვადასხვა სახის ხმიერების გამოხატვა.

შიდა საკლასიფიკაციო ნიშნად შეიძლება შერჩეული იქნას დაპირისპირება *სულიერი - უსულო,* ანუ სულიერ არსებათა მიერ გამოცემული ხმა/ხმიანობა და უსულო საგანთა მიერ გამოცემული ხმა. ამასთან პირველის კლასიფიცირება შესაძლებელია ბიოლოგიური სახეობების მიხედვით: *ადამიანის, ცხოველთა, ფრინველთა, მწერების ხმიანობა:*

ს უ ლ ი ე რ ი ა რ ს ე ბ ე ბ ი: *გეწუპინუ* „მიმინოს მოსახმობი ხმა“ (თანდ. 115), *კარკალაფა / ოკარკალუ* „კაკანი“ (თანდ. 362), *ოკაკანუ* „აკაკანება; კაკანი“ (თანდ. 604), *ოკარღანუ* „კაკანი“ (თანდ. 606), *კიკილიკი* „ყიყლიყო“ (თანდ. 376), *ოპეტელუ* „ თხის კიკინი“ (თანდ. 712), *პერდელი* „მსხვილფეხა საქონლის ბღავილი“ (თანდ. 711), *ოკირკინუ* „იხვის ხმინობა“ (თანდ. 609), *ოღვაკალუ* „იხვის, ბატის ხმიანობა“ (თანდ. 670), *ონძგილუ* „კრიახი“(თანდ. 642), *ოღუღულუ* „ღუღუნი“ (თანდ. 673), *ოღრიალუ* „ღრიალი“ (თანდ. 672), *ოცხიალუ* „ჩხრიალი“ (თანდ.685)...

უ ს უ ლ ო ს ა გ ნ ე ბ ი: *ოკურკულუ* „მუცლის ბუყბუყი“ (თანდ. 623), *ოშიალუ* „შრიალი“ (თანდ. 677), *ორანწკალუ / ოღანწკალუ* „წკრიალი, რეკვა“ (თანდ. 720), *ოღარკალუ* „რკინის, საზოგადოდ მეტალის ხმიანობა“ (თანდ. 670), *ოწანგალუ* „მეტალის ჟღერადობა“ (თანდ. 686), *ოღუმინაფუ* „ყვირილი; ცეცხლის ხმიანობა“ (თანდ. 672), *მოწოპინუ / მეწუფინუ* „კოცნის ხმა“ (თანდ. 476; 530), *ოკირჭოლუ* „კრაჭუნი“(თანდ. 610), *ტკვაცაფა* „სკდომა“(თანდ.756), *ტკაცინი* „სკდომა, ფეთქვა“ (თანდ.756)...

ემოციის გამომხატველი ლექსიკა (სიცილი, ტირილი):

ტ ი რ ი ლ ი: *ბეჯღაფა/ ობეჯღუ* „ხმამაღლა ტირილი, ყვირილი” (თანდ. 590), *პეჯღელი* ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით (თანდ. 712), *ოშლოკინუ* - სლუკუნი (თანდ. 678)...

ს ი ც ი ლ ი : *გოჯიჯილუ* „კბილების გამოჩენით ღრძილებამდე სიცილი“ (თანდ. 184), *მოხეჩელუ* „კბილების გამოჩენა, გაღიმება“ (თანდ. 532), *ხრენჭკუა* „სიცილისას კბილების გამოჩენა“ (თანდ. 888), *ოტაკუ* „ღრეჭა, კრეჭა“ (თანდ. 658), *ოქირქინუ* „კისკისი“ (თანდ. 668), *ოხარხალუ* „ხარხარი“ (თანდ. 696), *ოხენჩელუ / ოხენჩქელუ* „სიცილისას კბილების გამოჩენა“ (თანდ. 697), *ოხირხინუ / ოხირხილუ* „კისკისი, ხიხვინი“ (თანდ. 699)...

ზემოჩამოთვლილი არასამეტყველო ბგერადობის გვერდით გამოიყოფა სამეტყველო ბგერადობის აღმნიშვნელი სემანტიკური ველი:

ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკა:

გადგალაფს „ბოდავს“ (თანდ. 16), *გარგალი* „უშნო ლაპარაკი“ (თანდ. 51), *გარგალუ* „სიზმარში ლაპარაკი“ (თანდ. 51), *დარდალი* „უაზრო, უმიზნო ლაპარაკი“ (თანდ. 189), *პარპალაფა* „საუბარი მოძრაობაში გაუჩერებლად“ (თანდ. 710), *ტირტირი* „ტარატარი (ენისა), აბდაუბდა“ (თანდ. 756), *ღაჭაღუჭუ* „ერთხმად, ერთდროულად ყველას ლაპარაკი“ (თანდ. 809), *ობომბულუ* „ხმადაბლა ბურტყუნი“ (თანდ. 591), *ობრანგუ* „როშვა, უაზრო ლაპარაკი“ (თანდ. 591), *ოდგიალუ* „უაზრო ლაპარაკი“ (თანდ. 596), *ოტარტალუ* „ენის ტარტალი; ტიკტიკი“ (თანდ. 658), *ოტკიალუ* „უაზრო ტლიკინი, ჩქარი ლაპარაკი; ყრანტალი“ (თანდ. 659), *ოჭირტოლუ/ოჭიტოლუ* „შეხმატკბილებული ლაპარაკი“ (თანდ. 693), *ოღარტალუ* „ტიტინი ბავშვისა“ (თანდ. 670)...

აღნიშნული ლექსიკა შესაძლებელია დახასიათდეს სხვა საკლასიფიკაციო სემანტიკური ნიშნების მიხედვითაც: *ხმის სიმაღლე, ინტენსივობა, განმეორებადობა, განგრძობითობა, დიურატიულობა....*

2. სტატიკურობის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ფუძეები

ლაზურში სტატიკური ზმნები წარმოდგენილია სტანდარტული მდებარეობა-მდგომარეობის აღმნიშვნელი – *რენ, ხენ, ძილ-* „წოლა“, *ძინ, დგინ [გე-რენ* ,,დგას”, *-ხვენა* ,,ჯდომა”, *- ნ/ჯირა* ,,წოლა”, *-ძვენა* ,,დება”, დგ-ვენა ,,დგმა, დგომა”] და მისთ. ზმნათა ფორმებით. ამ სტანდარტული ზმნების გვერდით არსებობს სიტყვათა გარკვეული კლასი (მასდარები, ზმნები, ზედსართაული შინაარსის სიტყვები), რომლებიც თავისი შინაარსით ბგერწერითია და მიუთითებს სუბიექტის *რაგვაროზაზე [ფიზიონომია-გარეგნობა], ხასიათზე, სულიერ მდგომარეობაზე, შესაძლებლობებზე...*

1. *გარეგანი მახასიათებლები*:

   ა დ ა მ ი ა ნ ი : *ბაძგალა* „აბურძგნულთმიანი, აბურდული“ (თანდ. 55), *ბუძგინერი* „დაბუჟული, აბურძგვნილი“ (თანდ. 72), *ამაკლანტა* „მუცელშეწეული“ (თანდ. 20), *გამარჩაკერი* „თვალებაბრიალებული“ (თანდ. 80), *გობუძღოლერი* „აჩეჩილ-აწეწილი“ (თანდ. 141), *გოჩონჩერი* „აწეწილი, აჩეჩილი, აბურძგნული“ (თანდ. 173), *გოკირკოლერი, გოკირკოლუ* „დაკულულება“ (თანდ. 145), *გილაზგიმოჭერი* „ცხვირაპრეხილი“, *გონთრაცუ/ გონთრაშუ* „ძალიან გაბერილი, გასივებული“ (თანდ. 156), *გოტკებელერი* „გამხდარი, გაძვალტყავებული“ (თანდ. 165), *გოფშიტილერი* „ყურებდაცქვეტილი“ (თანდ. 167), *გოჩონჩერი* „აწეწილი, აჩეჩილი, აბურძგნული“ (თანდ. 173), *დუნდულა* „ზოზინა“ (თანდ. 229), *ეჯუჯი-მეჯუჯი* „პატარა, დაბალი, უშნო ვიღაცა“ (თანდ. 272), *კაწაწელა* „მაწანწალა, ძალიან გამხდარი, გაწნაკული“ (თანდ. 366), *ლანტყვა* „შიმშილისაგან მუცელჩავარდნილი არსება“ (თანდ. 393), *ტამბალა* „დაბალ ადამიანზე იტყვიან“ (თანდ. 751), *ტაფალა* „დაბალტანიანი კაცი“ (თანდ. 752), *ტუნტუხი* „ფუმფულა და სქელი“ (თანდ. 760), *ღორღორი* „ბებერი“ (თანდ. 813), *ხანჭენი* „მწვანეთვალება“ (თანდ. 872), *ხოკნიჭი* „მეტად ბებერი“ (თანდ. 885), *მეტალაწერი* „მოუვლელი“ (თანდ. 458), *შორშოლა* „ჩანჩურა, ბინძური“ (თანდ. 824), *წორწოლა* „ბინძური“ (თანდ. 855)...

   ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ ი: *ღორღელა* „დიდი აგებულების საქონელი“ (თანდ. 813), *ხულაწაპა* „ძალიან გამხდარი, მშრალი საქონელი“ (თანდ. 889)...

2. *შინაგანი მახასიათებლები:*

   ბუდალა „ჩერჩეტი“(თანდ. 67), *ლანგერი* „ჭკუადაკარგული“ (თანდ. 393), *ტეტეჩი* „სუსტი ხასიათის ადამიანი“ (თანდ. 754), *ჯანჯალა* „უტვინო; უვარგისი“ (თანდ. 893), *ჯანჯალა კოჩი* „მოუქნელი კაცი“ (თანდ. 893), *ჯუნჯური* „შტერი, სულელი“ (თანდ. 903), *ობოდინუ* „ბოდიალა“ (თანდ. 591), *გოფშიტილერი* „ყურებდაცქვეტილი“ < *გოფშიტილუ* „ყურების ცქვეტა“ (თანდ. 167), *გოშანთერი* „დარეტიანებული“ (თანდ. 171), *ლომპუპი* „ღორმუცელა“ (თანდ. 401)...

აღნიშნულ კლასში შედის მიმღეობური ფორმები, სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა საგნის [ობიექტის თუ სუბიექტის] თვისება, ხასიათი...

თითოეული ფუძე შესაძლებელია დალაგდეს სხვა სემანტიკური ნიშნების მიხედვითაც: *ზომა-სიმაღლის (მაღალი - დაბალი), წონის (სიგამხდრე - სიმსუქნის), სხეულის კონკრეტულ ორგანოებზე* მითითების მიხედვით.

3. დინამიკურობის - მოძრაობისა და მოქმედების - აღმნიშვნელი ფუძეები

3.1. *მოძრაობის* (გადაადგილება, ადგილზე მოძრაობა) *მასდარები/ზმნები*

მოძრაობა-გადაადგილების ველში შეიძლება შემოვიდეს ყველა ტიპი, რომელიც სივრცეში გადაადგილებას აღნიშნავს: ო ლ უ *სიარული (ასევე: ხოხვა/ცოცვა, ხტომა),* ო ფ უ თ ხ უ *ფრენა*, ო ნ ჩ უ რ უ / ონჩირუ / ონჩირუ / ომჩვირუ (არქ.) *ცურვა*... ლაზურში ამათგან ფონოსემანტიკურ ფუძეთა მრავალფეროვნებით მხოლოდ სვლის / სიარულის აღმნიშვნელი ფუძეები ხასიათდება, ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელ ლექსიკაში ფონოსემანტიკური ფუძეები იშვიათია. ლაზურში ლექსიკურად ნეიტრალური ფორმაა *ოლუ* „წასვლა“ (თანდ. 625), შდრ. მეგრ. *ულა* „სვლა“ მასდარი:

გარგალაფა „ბორძიკით სიარული ბავშვისა“ (თანდ. 51), *გოლაკვარტაფა / გოლაკვარტუ* „მოკუნტული სიარული ტორტმანით“ (თანდ. 146), *ოხოტკვაცინუ* „გასკდომამდე სირბილი, გაქცევა“ (თანდ. 702), *ოჯგიჲალე* „ჯირითი, სირბილი; ჟრიალი“ (თანდ. 705), *ოჯგიალუ* „სირბილი; ჟრიალი“ (თანდ. 706), *ოზვანწუ* „ხეტიალი“ (თანდ. 599), *ონკაპინუ* „სირბილი, გარბენა“ (თანდ. 638), *ოტოიკუ* „ხეტიალი, ხტუნვა“ (თანდ. 658), *მეფათქალუ* „ფრენით მისვლა“ (თანდ. 461) (შდრ. ოფათქალუ „ფეთქვა; ფართხალი“: თანდ. 662), *გოლაკვარტაფა* „მოკუნტული სიარული ტორტმანით“ (თანდ.146) ...

ადგილზე მოძრაობა:

<u>*ხტომა/ხტუნვა:*</u> *მეფორდიკუ / მეფორდიკაფა* „წაბორძიკება“(თანდ. 462), *მოწატარიკუ* „ადგილზე ხტომა“ (თანდ. 528), *ოწინგილუ* „ცალ ფეხზე ხტომა“ (თანდ. 688), *ოღლაპუ* „შეხტომა“ (თანდ. 671), *მეღლაპაფა / მეღლაპუ* „მიხტომა“ (თანდ. 464), მეწკაპუ „გადახტომა, გაქცევა“ (თანდ. 474), *ოცხონტუ* „გადახტომა“ (თანდ. 847), *ოტოიკუ* „ხეტიალი, ხტუნვა“ (თანდ. 660)...

<u>*გარბაცი, კანკალი:*</u> *განდალაფა* „ბარბაცი, ბანცალი“ (თანდ. 50), *განგალი* „ბაგა-ბუგი, გულისცემა“ (თანდ. 50), *განგალაფა* „ბარბაცი“(თანდ. 50), *თირთინაფა* „თრთოლება“(თანდ. 300), *ოთირთინუ* „კანკალი, ძაგძაგი, თრთოლვა, აკანკალება, აჟრჟოლება“ (თანდ. 601), *კანკალაფა / ოკანკალუ* „კანკალი“(თანდ. 357, 605), *ჯელაგინუ* „კანკალი“ (თანდ. 896), *ოთანთალუ* „შენჯღრევა“ (თანდ. 600), *ოხოთირთინუ* „შერთოლება, კანკალი“ (თანდ. 700), *ობადგალუ* „ფართხალი“ (თანდ. 589), *ძანძალი* „ზანზარი“ (თანდ. 848), *ოძანძალუ* „ძანძალი“ (თანდ. 686), *ობანდალუ* „ბანდალი“(თანდ. 589)...

ვინაიდან ჩამოთვლილი ლექსიკა განსხვავებული სემანტიკური ინფორმაციის შემცველია, მათი დაჯგუფება დასაშვები ცალკეული სემანტიკური მახასიათებლების მიხედვითაც, როგორებიცაა: *მოძრაობის ტემპი / ინტენსივობა, ემოციურ მდგომარეობა, ძირითადი მამოძრავებელი უნარები (სიარული, სირბილი, ხტომა და ა.შ.)...*

3.2. მოქმედების აღმნიშვნელი მასდარები/ზმნები:

1. *საკვების დამუშავება (ჭამა, ღეჭვა, ხვრა, ღრღნა):*

გენძგილუ „ძიძგნა; კორტნა“ (თანდ. 115) , *გოლუღონუ* „ღეჭვა“ (თანდ. 103), *ოხატალუ* „კვნეტა“ (თანდ. 696), *ოხვატუ* „ხვრა, ღრღნა, კვნეტა“ (თანდ. 698), *ოხუტორუ* „ღრღნა“ (თანდ. 705), *ცინცონუ* „ხილის მხოლოდ გარსის შემოჭმა“ (თანდ. 845), *ოგანგუ* „ბლაგვი კბილების ღეჭვა“ (თანდ. 593), *ოლაღუნუ* „ღეჭვა“ (თანდ. 623,624), *ოლაძგუ* „ღეჭვა“ (თანდ.624), *ოლონტკუ/*

ოლონტუ „დიდხანს ხმაურიანი ჭამა, წკლაპუნით“ (თანდ.625), *ომქუმორუ / ომტკურუ* (არქ.) „დანამცეცება, დაფქვა“ (თანდ. 630-631), *გოცხანკუ* „მოკენკვა“ (თანდ. 174), *ოღერღუ* „ღოღნა ძვლის“ (თანდ. 670), *ოძანგუ* „კენკვა, ძიძგნა“ (თანდ. 686), *ოკიკონუ* „კენკვა“ (თანდ. 609), *ოჯინჯოლუ* „ჯიჯგნა“ (თანდ. 706)...

2. *სმა/ დალევის აღმნიშვნელი ლექსიკა: ჲე-შლიპუ* „ამოსვრეტა, ასრუტვა“ (თანდ. 339), *ოხლაპუ* „ხვლეპა“ (თანდ. 699)...

3. *ცემის/კვრის აღმნიშვნელი სემანტიკური ველი:*

ც ე მ ა : *ობახუ* „გალახვა“ (თანდ. 590), *ბახაფა* „ცემა“ (თანდ. 55), *გეფაცინუ* „ხელის წარტყმით მოფერება“ (თანდ. 110)/ *ოფანცუ* „ნელა მირტყმა ხელისა“ (თანდ. 662), *ოპაცუ* „ტყეპება“ (თანდ. 646) *გოლანჭვარაფა* „მაღალი ბლაგვი საგნის ბალახ-ბულახით დაჭეჭვა“ (თანდ. 148), *გონჯახაფა* „დაბეჭვა“ (თანდ. 162), *გოტკვაცინაფა* „გარტყმა, შემოტყლაშუნება, შემორტყმა“ (თანდ. 165. 166) *გოჭაფხუ* „დარტყმა, შემორტყმა“ (თანდ. 181), *გოჯაჯგუ* „დაჩეჩქვა“ (თანდ.184), *ოჩაჩქუ* „ჩეჩქვა“ (თანდ. 681), *მენჩახუ* „დარტყმა,მირტყმა“ (თანდ. 447), *ნჯგალაფა* „დაბეგვა“ (თანდ. 115); *ოჯაჯგუ* „ჯეჯგვა“ (თანდ. 705), *ჯოტალუ* „დარტყმა“ (თანდ. 901), *ოზაპუ* „ტყეპა“ (თანდ. 598), *ომჭიხუ* „მუშტების ცემა“ (თანდ. 634), *ონჯგალუ* „დაბეჭვა, დაჯეჯგვა“ (თანდ. 645), *ოჟვარუ* „დაზორვა, წკეპლით ცემა“ (თანდ. 648), *ორაგადუ* „მაგრად ცემა“ (თანდ. 649)...

ამგვარი ლექსიკა ხშირად ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას, ამიტომ მათ აქვთ გ ა დ ა მ კ ვ ე თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ე ბ ი, რომელთა რაოდენობა სამიც შეიძლება იყოს:

ა. *მოძრაობა +ხმა;*

ბ. *მოძრაობა+ნათება;*

გ. *მოძრაობა+ნათება +ხმა.*

4. *ბუნების მოვლენათა და სტიქიათა (ჰაერის, წყლის, ცეცხლის/სინათლის) მოქმედება-ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა*

4.1. წყლის მოძრაობა/ ხმა:

ოშირშილუ „რაკრაკი“ (თანდ.676), *ოჩაჩხალუ* „რაკრაკი“ (თანდ. 681), *ოჩხანკუ* „ჩხრიალი“ (თანდ. 681), *ამაპურცინუ* „პირში დაგუბებული წყლის შესხურება“ (თანდ. 21), *ოცხიალუ* „ჩხრიალი“ (თანდ. 685), *გოწყაპუ* „დაპკურება“ (თანდ. 181), *მენჩვალაფა* „მიშხეფება, მენჩვალერი მისხეფებული“ (თანდ.447), *მეპუჭყინუ* „წყლის შესხმა“ (თანდ. 450), *მეჟვატუ* „წყლის შესხმა“ (თანდ. 450), *მეჩხაპაფა* „მიშხეფება მეჩხაპერი, მეჩხაპუ“ (თანდ. 473), *მენჩხალუ* „გარეცხვა, ჩამობანა“ (თანდ. 473), *ნონჩვალუ* „მიშხეფება“ (თანდ. 578), *წომპა / წუმპა* „თავიდან ბოლომდე დასველება დიდ წვიმაში“ (თანდ. 855), *ობზიტილინუ* „წყლის შესხმა“ (თანდ. 591), *ოზიმზილუ* „დინება“ (თანდ. 599), ოთლახუ „გაწუწვა (ძლიერ დასველება)“ (თანდ. 601), *ოკლამპალუ* „წყლის ხმიანობა დახურულ წურჭელში“ (თანდ. 610), *ოლამჭკუ* „ჟინჟღვლა“ (თანდ. 623), *ოტლაპინუ* „წყლის შენჯღრევა ჭურჭელში“ (თანდ. 660), *ოჩხაპალუ* „ჭყუმპალაობა“ (თანდ. 683), *ოჩხაპუ* „შხეფება, ჩქეფება“ (თანდ.683), *ოცხაპუ* „შეშხეფება“ (თანდ. 685), *ოწერწელუ* „გაწუწვა“ (თანდ. 686), *ოწურწოლუ* „დასველება, წყალში ხელების ტყაპუნი“ (თანდ. 691), *ოწურაკუ* „ძალიან დასველება; წუმპვა, მაგრად დასველება“

(თანდ. 691), *ოწყაპუ* „შხეფა“ (თანდ. 692), *ოხვანტუ* „შენჯღრევა წყლის, ტოტის“ (თანდ. 698), *მოცხაპუ* „მოშხეფება“ (თანდ. 685), *მოწაპაფუ* „მოწვეთინება“ (თანდ. 528), *მოწაპუ* „მოწვეთა“ (თანდ. 528)...

4.2. *ცეცხლის/ სინათლის მოძრაობა : მოძრაობა+ნათება ან მოძრაობა+ნათება +ხმა*

ბურბულუა „ცეცხლის ბრიალი ბუხარში ან ღუმელში“ (თანდ. 69), *ვარვალი* „ბრჭყვიალი“ (თანდ. 275), *ვირვილი*[2] „ბრიალი“ (თანდ. 278), *მჩხატუა* „მოკამკამე, ბრჭყინავი“ (თანდ. 555), *„ნოპინწკალე* ნაპერწკალი“ (თანდ. 578), *ნოცინცხალე* „ნაპერწკალი“ (თანდ. 582), *ფაგარა* „დიდი ცეცხლი შდრ. ქართ, თაკარა“ (თანდ. 771), *ქვანშხა* „მბრწყინავი“ (თანდ. 798), *ოკლანჩხუ* „შუქის, სხივის მიმოფანტვა, აკიაფება“ (თანდ. 610), *ომსქუმლე* „პრიალი, კიაფი, შუქის მოფენა, ლაპლაპი“ (თანდ. 629), *ომცქუმუნუ* „ზღვაზე მზის სხივების კიაფი; წყალში თევზის ლაპლაპი“ (თანდ. 633), *ომსქუმულუ* „პრიალი, კიაფი, შუქის მოფენა, ლაპლაპი“ (თანდ. 629), *ორანდუ* „ბრწყინვალება, გაპრიალება“ (თანდ. 649), *ორუთუ // ორუთინუ* „პრიალი, კრიალი“ (თანდ. 652), *ოფალურუ* „ცეცხლის წაკიდება, აალება“ (თანდ. 662), *ოფანგარუ* „დიდი კოცონის დანთება“ (თანდ. 662), *ოფარფალუ*[2] „შუქის ციმციმი“ (თანდ. 662), *ორუთუ // ორუთინუ* „პრიალი, კრიალი“ (თანდ. 670), *ოღუმინაფუ* „ყვირილი; ცეცხლის ხმიანობა“ (თანდ. 672), ოღუმოლუ „უხმოდ წვა“ (თანდ. 673), *ოღუმინუ / ღუმინი* „ცეცხლის გრგვინვა“ (თანდ. 673), *ოჩხატუ* „ბრწყინვა“ (თანდ.683), *ოჩხანტინუ* „ბრჭყვიალი“ (თანდ. 683), *ოცქიმოლუ* „ციმციმი“: *ღიქ ცქიმოლაფს* „კარაქი ციმციმებს“ (თანდ. 685), *ოჯაჯგალუ* „ღუმელში ცეცხლის გვარგვალი“ (თანდ. 705)...

ანალიზი ცხადყოფს, რომ მეგრულთან შედარებით ლაზურში ფონოსემანტიკური ლექსიკა უფრო მწირად და სისტემის გარეშე არის წარმოდგენილი[1], რაც სვამს საკითხს ამ ენაში ზოგადად ამგვარი ლექსიკის არსებობისა და შემდგომი დაკარგვის შესახებ, ან საერთოდ ლაზური ენის განვითარების ისტორიის მანძილზე სისტემის ჩამოუყალიბებლობის შესახებ.

ფონოსემანტიკური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები სვანურში

სვანურში ფონოსემანტიკური ლექსიკა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად[2], პირობითად ოთხ ძირითად სემანტიკურ ჯგუფად იყოფა[3]:

1. საკუთრივ ხმაბაძვითი ლექსიკა (ანუ სხვადასხვა სახის ხმიანობის გამოხატვა), რომელიც თავის მხრივ შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფად დაიყოს:

[1]რაც ასევე დაადასტურა 2013-2015 წლებში სამეცნიერო პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა ექსპედიციებმა განსაკუთრებით თურქეთში, ისტორიულ ლაზეთში.

[2] ქართულში, როგორც ცნობილია, ოთხი ძირითადი სემანტიკური ჯგუფია გამოყოფილი (იხ. მელიქიშვილი 1999).
[3]ცხადია, თითოეულ ჯგუფში მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვეჯგუფებიც იქნება წარმოდგენილი.

ა) ხმები, რომლებიც მოქმედების თანმხლებ ხმას გამოხატავენ:

ბგრბგნ (ბზ., ჩოლ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი"
ბგრთქნ/ბურთქუნ (ბზ., ჩოლ.), *ბგრთქნ/ბურთქუნ* (ბქ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი"
გურბუნ (ბზ., ლშხ.), *გურბუნ* (ბქ., ლნტ.)	„რახრახი"
თხურპუნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *თხურპუნ* (ბქ., ლნტ.)	„თუხთუხი; სრუტუნი"
ჟგრჟღგნ (ბქ.)	„ჟღარუნი"
სგრტგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *სგრტგნ* (ბქ., ლნტ.)	„ჭახანი, ლაწა-ლუწი, ჭახჭახი; ქალის მჭექარე ხმა"
ტკგრცგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტკგრცგნ* (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი"
ტურშუნ (ბზ.), *ტურშუნ* (ბქ.)	„ლაწალუწი"
ტყურსგუნ (ბზ.), *ტყურსგუნ* (ბქ.)	„ტკაცანი, ტკაცატკუცი"
ტყურფუნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტყურფუნ* (ბქ., ლნტ.)	„ტკაცანი, სროლის ხმა"
ფგრჩხგნ (ბზ., ლშხ.), *ფგრჩხგნ* (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"
ღურმუნ (ბქ.)	„ხრამუნი, ხმელი თივის ჭამის ხმა"
ღურპუნ (ჩბხ., ლხმ.)	„ცეცხლმოკიდებული ფისის წვეთებად დაცემის ხმა"
ღურჯგუნ (ჩბხ., ლხმ.)	„მსხვრევის ხმა"
ღგრბგნ (ლხმ.)	„რაიმეს გასრესის ხმა"
ღგრწკგნ (ბზ., ლშხ.), *ღგრწკგნ* (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი"
ღგრწგნ (ბქ.), *ღგრწგნ* (ლშხ.)	„ჭრიალი"
ღგრჭგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ღგრჭგნ* (ბქ., ლნტ.)	„ღრჭიალი, ღრიჭინი"
ღგრჯგნ (ბქ.)	„რაიმეს ⌜და⌝ფშვნის ხმა"
ყგრფგნ (ზს., ჩოლ.), *ყურფუნ* (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა)"
შყურბუნ (ბქ.)	„ბრაგუნი"
შგრგგნ (ჩოლ.)	„შლიგინით სიარული"
შგრშხგნ (ბზ., ლშხ.), *შგრშხგნ* (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"

შგრშგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *შგრშგნ* (ბქ., ლნტ.)	„შრიალი"
ჩხურმუნ (ბზ.), *ჩხურმუნ* (ბქ.)	„ლაწალუწი; ჩხარუნი"
ცხურკუნ (ბქ.)	„ცხუკუნი"
ცგრცხგნ (ბქ.)	„დუღილი, ფუცხუნი (მაგ. მჟავეულისა)"
ძგურბუნ (ბზ., ჩოლ.), *ძგურბუნ* (ბქ.)	„გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა"
ძგრწკგნ (ბქ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი"
წგრწკგნ (ბქ.)	„წკრიალი (მაგ. საათისა)"
ჭგრხგნ (ბზ., ლშხ.), *ჭგრხგნ* (ბქ., ლნტ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი"
ხგრგგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ხგრგგნ* (ბქ.), *ხურგუნ* (ლნტ.)	„ხრამუნი"
ხგრგგნ (ბზ., ლშხ.), *ხგრგგნ* (ბქ.), *ხურგუნ* (ლნტ.)	„ხრიგინი (ავეჯისა)“
ხგრჰგნ (ბზ.)	„ხრამუნი"
ჯგრჭკგნ (ბქ.)	„ჯოხით ან კეტებით ცემა-ტყეპა"
ჰგლდგნ (ბქ.)	„ზანზარი, ქანაობა (მაგ. ხიდისა)" და მისთ.

ბ) მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

ბურდღუნ (ზს.)	„ბურდღუნი"
ბგრბგნ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"
ბ/ზგრზგნ (ბქ.), *ზურზუნ* (ლხმ.)	„ბზუილი"
თგრტგნ (ზს., ქს.)	„ჭიხვინი, ფრუტუნი"
თგრყგნ (ლშხ.), *თგრყგნ* (ბქ., ჩოლ.)	„კისკისი"
კურკუნ (ბქ.)[1]	„კრუსუნი"
კგრკგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კგრკგნ (ბქ., ლნტ.), *ქგრკგნ* (ლნტ., ჩოლ.)	„კისკისი"
ლი-წირუელ-ი (ბქ.)	„ჩიტების წრიპინი, ჭიკჭიკი"
მურღუნ (ბზ., ლშხ.), *მურღუნ* (ბქ., ლნტ.)	„ბუზღუნი"
ჟღგრმგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჟღგრმგნ* (ბქ., ლნტ.)	„ჟღავილი"
ჟგრჟგნ (ლხმ.)	„ჟრიამული"
სგრტგნ (ბზ., ლშხ.), *სგრტგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ქალის გამაყრუებელი, მჭექარე ხმა"

ტგრტყგნ (ბზ.), *ტგრტყგნ* (ბქ.) „ტატყანი"

ტგრტგნ (ბზ., ლშხ.), *ტგრტგნ* (ბქ., ლნტ.) „რატრატი"

ფურსდუნ (ბზ., ლშხ.), *ფურსდუნ* (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული"

ფგრფგნ (ბქ.) „უაზრო რატრატი"

ღუარღულა (ლხმ.) „ლუღლუღი, ძლივს ლაპარაკი (მაგ. შემცივნებული ადამიანისა)"

ღგლ-მა-ღგლ (ბქ.) „ღრენა, ღრიალი"

ღგლჯგგნ (ბქ.) „ღოჯებიანი ადამიანის ჯიყჯიყი, ჯიჯღინი"

ღგრღგნ (ბქ.) „ლუღლუღი"

ღგღგ (ბქ., ლნტ.) „ძლივს გასაგონი ხმა"

ყგრყგნ (ბზ., ლშხ.), *ყგრყგნ* (ბქ., ლნტ.) „ყიყინი"

ცურცუნ (ბზ., ლშხ.), *ცურცუნ* (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული"

ცქგრტგნ (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"

წიწინ (ბზ.) „წიწინი, წრიპინი"

წგრპგნ (ზს.) „წიწინი, წრიპინი"

წგრწგნ (ბქ.), *წგრწგნ* (ლშხ., ჩოლ.) „წრიპინი ბარტყებისა"

ჭკგლპგნ (ბქ.) „კრიჭინი"

ჭკგრპგნ (ბქ.) „კრაჭუნი"

ჭოჭქა (ბქ.) „გარეული ფრინველის (მაგ. შურთხის) კაკანი"

ჭყურტუნ (ბქ., ჩოლ.) „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"

ჭყურტგნ (ჩოლ.) „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"

ჭყგრმგნ (ბქ.) „ჭიჭყინი"

ჭგრქგნ (ბზ., ლშხ.), *ჭგრქგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ჭიხვინი"

ჭგრჭყგნ (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭყგნ* (ბქ., ლნტ.) „ჭიჭყინი"

ჭგრჭგნ (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭგნ* (ბქ., ლნტ.) „ჭრიჭინი, ჭიკჭიკი"

ხურხუნ (ბზ., ლშხ.), *ხურხუნ* (ბქ.) „კრუტუნი (კატისა)"

ხურხუნ (ჩოლ.) „ადამიანის სუნთქვა"

ხგრტგნ (ბქ., ჩოლ.) „ხროტინი"

ხგრხგნ (ბქ.) „ხიხინი"

ჴგრზგნ (ბქ.) „ყრუ ხმაურობა შინაგანად, უსიამოვნების გამოსავლენად"

ჯურჯღუნ (ბქ.) „ჯუჯღუნი, ბუზღუნი"

ჯღეჷა (ბქ.) „ბავშვების ლაზღანდაროზა, მასხროზა"

ჯგრდღგნ (ბქ.) „ჯადღუნი, უშნო საუბარი"

ჰგლგგნ (ბქ.) „უშნო ლაქლაქი, ყბედობა“

ჰგრგგნ (ზს.), *ჰგრგგნ* (ბზ., ლშხ.) „ხარხარი, ხმამაღლა სიცილი; ზლუქუნი, ხმამაღლა მოთქმა-ტირილი (ჭირისუფლისა)" და სხვ.

გ) წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

დგურბუნ/ლი-დგუბუნ-ე/დგულიბ-დგულიბ (ბქ.), *დგურბუნ* (ჩოლ.) „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"

თქურფუნ (ბქ., ჩოლ.) „თქრიალი, დგაფუნი (წყლისა, სისხლისა...)"

კურკუნ (ჩოლ.) „წანწკარი (წყლისა)"

ჟურთქუნ (ბქ.) „კლდეებიდან მომავალი წყლების ხმაური"

ღურღუნ (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"

ჩქგრფგნ/ლი-ჩქფგნ-ე (ბქ., ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"

ჩხგრფგნ (ზს., ჩოლ.), *ლი-ჩხფუნ-ე* (ბზ.), *ლი-ჩხფგნ-ე (ბქ.)* „ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"

ჩხიფ-ჩხაფ (ბქ.) „წყლის გადასხმის ხმა"

ჩგრჩხგნ (ბქ.) „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"

წურქჷნ (ბზ.) „წანწკარი"

წყგრგგნ (ბქ., ჩოლ.) „წანწკარი", შდრ. მეგრ. წყურგვინ

ჴურფუნ/ლი-ჴ'ჷ'ფუნ-ე (ზს., ჩოლ.) „ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"

ჴურჴუნ (ბქ., ჩოლ.) „დუღილისნაირი ჩუხჩუხი (წყლისა)"

ჴჷიფ-ჴჷიფ (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"

ლი-დგჷირბლაჷ-ი (ბქ.) „წყლის დგაფუნი"

ლი-თქრგნ-ე (ბქ.)	„თქრიალით, ღვარად დენა (წყლისა, სისხლისა)"
ლი-სხვლინ-ე (ბქ.)	„თქეში, ძლიერი წვიმა; თქრიალი, ღვარად დენა (წყლისა, სისხლისა)"
ლი-შხრგნ-ე (ბქ.)	„წყლის ძლიერი დენა"
ლი-შხვლ-ი (ბქ.), *ლი-შხვლ-ი* (ლშხ., ჩოლ.)	„შხაპუნი; შხუილი (წყლისა)" და ა. შ.

შიდა საკლასიფიკაციო სემანტიკურ ნიშნად, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, შერჩეულია ოპოზიცია *სულიერი (ადამიანის, ცხოველისა და ფრინველის ბგერადობა)* და *უსულო (არაცოცხალი საგნის ბგერადობა).*

სულიერ არსებათა ხმიანობა:

ა დ ა მ ი ა ნ ი: სგრტგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *სგრტგნ* (ბქ., ლნტ.) „ქალის მჭექარე ხმა"; *შგრგგნ* (ჩოლ.) „შლიგინით სიარული"; *ბურდღუნ* (ზს.) „ბურდღუნი"; *ბგრბგნ* (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"; *თგრყგნ* (ლშხ.), *თგრყგნ* (ბქ., ჩოლ.) „კისკისი"; *კურკუნ* (ბქ.) „კრუსუნი"; *კგრკგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კგრკგნ* (ბქ., ლნტ.), *ქგრკგნ* (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი"; *მურღუნ* (ბზ., ლშხ.), *მურღუნ* (ბქ., ლნტ.) „ბუზღუნი"; *ჟღგრმგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ჟღგრმგნ* (ბქ., ლნტ.) „ჟღავილი"; *ჟგრჟგნ* (ლხმ.) „ჟრიამული"; *სგრტგნ* (ბზ., ლშხ.), *სგრტგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ქალის გამაყრუებელი, მჭექარე ხმა"; *ტგრტყგნ* (ბზ.), *ტგრტყგნ* (ბქ.) „ტატყანი"; *ტგრტგნ* (ბზ., ლშხ.), *ტგრტგნ* (ბქ., ლნტ.) „რატრატი"; *ფურსდუნ* (ბზ., ლშხ.), *ფურსდუნ* (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული"; *ფგრფგნ* (ბქ.) „უაზრო რატრატი"; *ყგრყგნ* (ბზ., ლშხ.), *ყგრყგნ* (ბქ., ლნტ.) „ყიყინი"; *ცურცუნ* (ბზ., ლშხ.), *ცურცუნ* (ბქ., ლნტ.) ჩურჩული"; *ცქგრტგნ* (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"; *ჭყგრმგნ* (ბქ.) „ჭიჭყინი"; *ჭგრჭყგნ* (ბზ., ლშხ.), *ჭგრჭყგნ* (ბქ., ლნტ.) „ჭიჭყინი"; *ხურხუნ* (ჩოლ.) „ადამიანის სუნთქვა"; *ხგრტგნ* (ბქ., ჩოლ.) „ხროტინი"; *ხგრხგნ* (ბქ.) „ხიხინი"; *ჯგრზგნ* (ბქ.) „ყრუ ხმაურობა შინაგანად, უსიამოვნების გამოსავლენად"; *ჯურჯღუნ* (ბქ.) „ჯუჯღუნი"; *ჯგრდღგნ* (ბქ.) „ჯადღუნი, უშნო საუბარი"; *ჩგრჩგნ* (ბქ.) „ბავშვის ტიტინი; ბურდღუნი"...[1]

ც ხ ო ვ ე ლ ი: შგრგგნ (ჩოლ.) „შლიგინით სიარული"; *თგრტგნ* (ზს., ქს.) „ჭიხვინი, ფრუტუნი"; *ყგრყგნ* (ბზ., ლშხ.), *ყგრყგნ* (ბქ., ლნტ.) „ყიყინი"; *ჭგრქგნ* (ბზ., ლშხ.), *ჭგრქგნ* (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ჭიხვინი"; *ხურხუნ* (ბზ., ლშხ.), *ხურხუნ* (ბქ.) „კრუტუნი (კატისა)"; *ლიზული* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ლიზული* (ბქ., ლნტ.) „ზმუილი (ძროხისა)"; *ლიბღული/ლიბღგლი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ლიბღული* (ბქ., ლნტ.) „ბღავილი, ბღუილი (მსხვილფეხა საქონლისა)"; *ლიბღგლი* (ბზ., ლშხ.), *ლიბღელი* (ბქ., ლნტ.) „ბღავილი (ცხვრისა, თხისა..., გადატ. ბავშვისა)"; *ლიპყგლი* (ლშხ., ჩოლ.) „კაკანი, ბღავილი (თხისა)"; *ლიყრთი/ე* (ჩოლ.) „კრიახი (დედალი, კრუხი ქათმისა)"; *ლიყოხე* (ბქ.) „კრიახი (დედალი, კრუხი ქათმისა)"; *ლიგული* (ბზ., ლშხ.), *ლიგული* (ბქ., ლნტ.)

[1]წარმოდგენილი ლექსიკა შეიძლება დახასიათდეს გენდერული თვალსაზრისითაც (მაგ.: *სგრტგნ, სგრტგნ გამოიყენება მხოლოდ ქალის მჭექარე ხმის აღსანიშნავად, ბგრბგნ ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკის აღსანიშნავად, ჩგრჩგნ ბავშვის ტიტინის ან უკბილო მოხუცის ჩიფჩიფის გამოსახატავად* და ა. შ.).

„ყმუილი (მგლისა)", *წგრწგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *წგრწგნ* (ბქ., ლნტ.), *წგლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *წგლ* (ბქ., ლნტ.) „წივილი თაგვისა"...

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი: ბ/*ზგრზგნ* (ბქ.), *ზურზუნ* (ლხმ.) „ბზუილი"; *წიწინ* (ბზ.) „წიწინი, წრიპინი ჩიტისა (შდრ. ქართ. (ფშ., მოხ.) წიწინ-ი „ჭივჭავის ხმა; ბევრი ლაპარაკი წვრილი ხმით")"; *წგრპგნ* (ზს.) „წიწინი, წრიპინი (ჩიტისა)"; *წგრწგნ* (ბქ.), *წგრწგნ* (ლშხ., ჩოლ.) „წრიპინი ბარტყებისა"; *ჭყურტუნ* (ბქ., ჩოლ.), *ჭყურტგნ* (ჩოლ.) „ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"; *ლიყგლალ* (ბქ.) „ყივილი (მამლისა)"; *ლიყოხე* (ბქ.) კრიახი (კრუხისა)"; *ლიჩხგრუ̄შტი* (ბქ.) „ჩხართვის ხმიანობა"; *ლიკარკა̄ცე* (ლშხ., ჩოლ.) „კაკანი[1] (ფრინველთა)", *ლი-წირუ̄-ელ-ი/ლი-წგრუ̄-ელ-ი* (ზს.) „გალობა; წრიპინი (ჩიტისა)"; *ლიჭრია̄ხე*[2] (ლშხ.) „კრიახი (ფრინველისა)"...

მ წ ე რ ი: *ლიწუ̄ლი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ლიწული* (ბქ., ლნტ.) „წუილი"; *ლიბზუ̄ლი* (ბზ.) „ბზუილი"; *ბჟგლმაბჟგლ* (ბზ.), *ბჟგლმაბჟგლ* (ბქ., ლნტ.) „ბზუილი, ზუზუნი, ჟიჟინი"; *ლიბ/ზგრზგნი* (ბქ.) „ბზუილი, წუილი"; *ზურზუნ* (ლხმ.) „ბზუილი"...

ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ა ლ ი: *ლისგლი* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ლისგლი* (ბქ., ლნტ.), *სგლ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.) , *სგლ* (ბქ., ლნტ.) „სისინი გველისა"...

სულიერ არსებათა კლასიფიცირება, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, შესაძლებელია ბიოლოგიური სახეობების, - *ადამიანის, ცხოველის, ფრინველის, მწერისა და ქვეწარმავლის*, - ხმიანობის მიხედვით.

უ ს უ ლ ო ს ა გ ა ნ თ ა ხ მ ი ა ნ ო ბ ა: *ლიყურჭლაუ̄ი* (ლშხ., ჩოლ.) „ბუყბუყი (მუცლისა)"; *შგრშგნ/შგრშაუ̄* (ჩოლ.) „შრიალი (ფოთლების, ქაღალდის)"; *ლიჩხრუნე* (ბქ., ჩოლ.) „ჩხრიალი, მოშარდვა"; *ბგრბგნ* (ბზ., ჩოლ.) „ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი"; *ტკგრცგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტკგრცგნ* (ბქ.) „ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი"; *ტურშუ̄ნ* (ბზ.), *ტურშუნ* (ბქ.) „ლაწალუწი"; *ტყურფუ̄ნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტყურფუნ* (ბქ., ლნტ.) „ტკაცანი, სროლის ხმა"; *ყგრფგნ* (ზს., ჩოლ.), *ყურფუნ* (ბქ.) „ტკაცანი (ძვლისა)"; *შგრშხგნ* (ბზ., ლშხ.), *შგრშხგნ* (ბქ., ლნტ.) „შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"; *ცგრცხგნ* (ბქ.) „დუღილი, ფუცხუნი (მაგ. მჟავეულისა)"; *ძგურბუ̄ნ* (ბზ., ჩოლ.), *ძგურბუნ* (ბქ.) „გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა"; *ძგრწკგნ* (ბქ.) „ღრიჭინი, ღრჭიალი"; *წგრწკგნ* (ბქ.) „წკრიალი (მაგ. საათისა)"; *ხგრგგნ* (ბზ., ლშხ.), *ხგრგგნ* (ბქ.), *ხურგუ̄ნ* (ლნტ.) „ხრიგინი (ავეჯისა)"; *პლიჩ* (ბქ.) „კოცნის ხმა"...

წარმოდგენილი ლექსიკა შეიძლება დახასიათდეს ისეთი საკლასიფიკაციო სემანტიკური ნიშნების მიხედვითაც, როგორიცაა: *ხმის სიმაღლე, ინტენსივობა, განმეორებადობა, განგრძობითობა, დიურატიულობა* და ა. შ.

[1] გადატ. ქალის კისკისი.
[2] შდრ. ქართ. (იმერ., გურ.) *ჭრიახ-ი*.

2) სინათლისა და ცეცხლის ნათება-მოძრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ლი-დღგუ̄-ე (ბქ.)	„ბრდღვიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-კგრ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ლი-კგრ-ე* (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, კაშკაში; ნაირფერად ელვარება, ბზინვარება"
ლი-კრუ̄-ე (ჩოლ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, კაშკაში; ნაირფერად ელვარება, ბზინვარება"
ლი-კგუ̄-ე (ბზ., ლშხ.), *ლი-კგუ̄-ე* (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-რკგნ-ე (ზს.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-რსგნ-ე (ბქ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-რფგნ-ე (ზს., ქს.)	„ციმციმი (თამაში შუქისა)"
ლი-ტგლტგნ-ე (ბქ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-ფარფა̄ლ-ი (ჩოლ.)	„ბრიალი, აალება (ცეცხლისა)"
ლი-ღაუ̄-ღა̄უ̄-ი (ჩოლ.)	„ნაღვერდლისფრად ციმციმი"
ლი-ღუ̄ზ-ე (ბზ., ლშხ.), *ლი-ღუზ-ე* (ბქ., ლნტ.)	„გუზგუზი, ცეცხლის ალის ხმაური, გიზგიზი, ბრიალი"
ლი-ღგლუ̄გნ-ე (ბქ.)	„ხასხასი (ჯეჯილისა, ბალახისა...)"
ლი-ღგუ̄-ე (ბზ., ლშხ.), *ლი-ღგუ̄-ე* (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-ყუ̄არყუ̄ა̄ც-ი (ჩოლ.)	„ხორცის ნახარშში ქონის ბუშტულების ციმციმი"
ლი-ჭკრუ̄რნ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)	„ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი"
ჭკგლუ̄გ/უნ (ბქ.)	„ციმციმი (ვარსკვლავთა)"
ლი-ჭკგუ̄-ე (ბზ., ლშხ.), *ლი-ჭკგუ̄-ე* (ბქ., ლნტ.)	„ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი, კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-ჯღგუ̄-ე (ბზ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა" და მისთ.

3) დინამიკურობის _ მოძრაობისა და მოქმედების _ ამსახველი ლექსიკა:

ლი-ბგრცა̈ნ-ძელ (ბზ., ჩოლ.), *ლი-ბგრცან-ალ* (ბქ.)	„ბანცალი"
ბგრგვნ (ბქ., *ჩოლ.)/ლი-ბგრგან-ალ* (ბქ.)	„ბანცალი"
ლი-ბგრძგვნ-ე (ლშხ.), *ლი-ბგრძგვნ-ე* (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ლი-გიწწ-ალ (ბქ.)	„მაღალი, მთვრალი კაცის ქანაობა, ბარბაცი"
ლი-ზანკუნ-ალ (ბქ.)	„ქანაობა, რწევა"
ლი-კვლკვნ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„სიცივისგან კანკალი"
ლი-რკუნ-ე (ზს., ქს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"
ლი-რსგნ-ე (ლშხ.,ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ლი-ტრრნტ-ე (ლშხ.,ჩოლ.)	„ტორტმანი"
ლი-ფსგგნ-ე (ზს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"
ფვრცხვნ / *ლი-ფვრცხვნ-ი* (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"
ფვრღვნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ფვრღვნ* (ბქ.), *ლი-ფვრღვნ-ე* (ზს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"
ღუ̈ალბაც (ლშხ.)	„ძაგძაგი, კანკალი"
ლი-ცანგუნ-ალ (ბქ.)	„ცუნცული"
ლი-ცვრღრნ-ე (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ლი-ჰამბუნ-ალ (ბქ.)	„ადგილზე ქანაობა"
ჯინდრიკ (ჩოლ.)	„ძუნძული"
ჯულჯუნ (ბქ.)	„ძუნძული"
ჯვლგვნ (ბქ.)	„ჯაგჯაგი"
ჯვლჯგვნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.), *ლი-ჯჯგვნ-ე* (ზს., ქს.)	„ძუნძული, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)" და სხვ.

მოძრაობა-გადაადგილების ველში შემოდის მოძრაობის ყველა სახე, რომელიც სივრცეში გადაადგილებას აღნიშნავს (*სვლა, სიარული, ფრენა, ცურვა* და მათ შორის *სუბიექტის ერთ ადგილზე მოძრაობის ამსახველი ლექსიკაც*).

1. *სვლისა და სიარულის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:*[1]

ლიზელჳლ (ბზ.), *ლიზელჳლ* (ბქ., ლნტ.), *ლიზელჳლ* (ლშხ., ჩოლ.) „სიარული"; *ლიბიჭყანალ/ლიპიჭყანალ* (ბქ.) „უშნოდ, გაფარჩხულად სიარული (ქალისა, ბავშვისა)"; *ლიქულიზჳლ/ლიქურზჳნჲელ* (ბზ.), *ლიქურზანალ/ლიქირმოზალ* (ბქ.) „სწრაფი სიარული"; *ქურზუნ* (ზს., ლშხ.), *კურზუნ* (ქს.) „სწრაფი გაძრომ-გამოძრომა, სწრაფი სიარული"; *ლიკჷკანჳლ* (ბქ.), *ლიკიკანალ* (ბქ.), *ლიკჷკანჳლ* (ჩოლ.) „ახალგაზრდა, მეტიჩარა, გამხდარი გოგოს მეტიჩრულად, გამართულად სიარული"; *ლიშჳნგუნჳლ/* ლიშჳნგუნე (ბზ.), *ლიშანგუნა/ჳლ/ლიშანგუნე* (ბქ., ლნტ.), *ლიშჳნგუნჳლ* (ლშხ., ჩოლ.) „სიარული (უხეში, მაღალი ადამიანისა ან ცხოველისა)"; *ლიბანდუნალ* (ბქ.) „ბოდიალი, ნელი სიარული"; *ლისგრბჷთე* (ბზ.) „წინდაუკან სიარული"; *ლიდრჷმანჳლ* (ბზ.), *ლიდურიმანალ* (ბქ.) „სიარული (ზორბა კაცისა)"; *ლიცინგლაუალ* (ბქ.) „პატარა ტანის, გამხდარი ქალის ფეხის წვერებზე, ფრთხილი სიარული"; *ლიპილტყე* (ჩოლ.) „პატარა ქალის ხტომა"; *ლიჟჷრეუი* (ჩოლ.) „თავგზააბნეული სიარული"; *ლიკუჩხიელ* (ბზ.), *ლიკუჩხელ/ლიკუჩხალ* (ბქ.), *ლიკუჩხიელ* (ლშხ.) „ხტუნაობა"; *ლიჰიმბორ-ალ* (ბქ.), *ლიჰიმბორჳლ* (ლხმ.) „ლასლასით სიარული"; *ჯჷრდღჷნ* (ლხმ.) „ახმახი და ტლანქი ადამიანის მოძრაობა, სიარული"; *ლიკჳრჩხ/ლიკჳრჩხჳლ* (ბზ.), *ლიკარჩხალ* (ბქ.)„ცოცვა"; *ლიფრრცხჳლ* (ბზ.), *ლიფორცხალ* (ბქ.) „ცოცვა"; *ლიბობღალ* (ბქ.) „ხოხვა"; *ლისკნე* (ზს.), *ლისკნალ* (ბქ.) „ხტომა"; *ლიკუფხალ* (ბქ.) „ხტუნაობა"; *ლიპილტყე* (ჩოლ.) „პატარა ქალის ხტომა"; *ლიქურქუანალ*[2] (ბქ.) „დაბალი და მსუქანი ქალის მოძრაობა"; *ლიზიპზიპი* (ლშხ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე, დონდლო სიარული"; *ლიპატპჳტი* (ჩოლ.) „გამხდარი, ფეხშიშველი ხნიერი ქალის ლაპარაკი, სიარული"; *თქგრშჷნ* (ლშხ., ჩოლ.) „ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი"; *ლიჭუმე* (ბზ.), ლიჭომ (ლშხ.), *ლიჭუემ* (ლნტ.) „სირბილი"; *ქგრქჷნ* (ბზ.) „სირბილი"; *ლიქინე/ლიქინალ* (ბქ.) „სირბილი"; *ძღგრკჷნ* (ჩოლ.) „გამხდარი ადამიანის სირბილი", *ტგრკჷნ/ლიტგრკანალ* (ბქ.) „სირბილი ხმის გამოცემით, გამეტებით" და მრავ. სხვ.

აღნიშნული ზმნები გამოხატავენ ძირითადად ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაადგილებას_*სიარულს(ლიქულიზჳლ/ლიქურზჳნჲელ,ლიცინგლაუალ,ლიდრჷმანჳლ...), სირბილს (ლიქინალ, ძღგრკჷნ, ტგრკჷნ/ლიტგრკანალ...), ხტომა/ხტუნაობას (ლიკუჩხელ/ ლიკუჩხალ, ლისკნალ, ლიკუფხალ...)*, სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტებით:

(1) *გადაადგილების ტემპი (ჩქარი: ლიქულიზჳლ/ლიქურზჳნჲელ, კურზუნ, ტგრკჷნ, ძღგრკჷნ...*; ნელი: *ლიჰიმბორჳლ, ლიბანდუნალ, ლიზიპზიპი...);*

(2) ენერგიულობის ხარისხი (ლიდრჷმანჳლ, ლიბანდუნალ, ლიჰიმბორჳლ, ლიქურზანალ/ლიქირმოზალ...);

(3) *უმიზნო მოძრაობა (ლისირგლაუალ, ლიდრნდაჳლ, ლისრჷგანჳლ…*), რომელიც

[1]აქ შემოდის *ხოხვის, ცოცვისა* და *ხტომის* აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიც.
[2]აღნიშნული ლექსემა, ძირითადად, დედალი ქათმის სიარულის აღმნიშვნელია, გადატანით კი ქალის სიარულის მანერულობაზეც მიანიშნებენ.

სპეციალურ ლიტერატურაში *ემოციური ელფერის* მიხედვით დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად (ჭკადუა 2015:34-235):

ა. *მოძრავი საგნის (სუბიექტის) გარეგნული ნიშნების მიხედვით დახასიათება*

ბ. *სუბიექტის ჩაცმულობაზე მითითება*

გ. *სუბიექტისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გადმომცემი ლექსემები*

დ. *სუბიექტისადმი სიბრალულის, თანაგრძნობის გამოხატვა.*

(4) *გლუვ ზედაპირზე გადაადგილება (ლიჩრხ̆ალ/ლიჩრახალ, ლისოლა̈ლ/-ლისიოლალ, ლიქიმფოლალ...)*

(5) *წონასწორობის დარღვევა (ლიბგრცა̈ნდე̄ლ/ლიბგრცანელ, ლიტირონტალ, ლიგინწალ...)*

(6) *სიარულის მანერა (ლიკგკანა̈ლ/ლიკიკანალ/ლიკგკანა̈ლ, ლისრგგანა̈ლ, ლიშა̈ნგუნ-ა̆ლ, ლიბგჯღანა/ა̈ლ...*) და მისთ.[1]

2. ადგილზე მოძრაობის ამსახველი ლექსიკა:

ლიბგრცა̈ნდე̄ლ (ბზ.), *ლიბგრცანელ* (ბქ.) „ბარბაცი”, *ლიტუ̄რე̄ნტ ʳინ⁷ა̆ლ* (ბზ.), *ლიტრონტალ* (ბქ.), *ლიტრრნტე* (ლშხ., ჩოლ.) „ტორტმანი”; *ლიჰამბუნალ* (ბქ.) „ადგილზე ქანაობა”; *ლიპგჭ/ტყანა̈ლ* (ლშხ.) „ბარბაცი”, *ლიგინწალ* (ბქ.) „მაღალი, მთვრალი კაცის ქანაობა, ბარბაცი”; *ლიზანკუნალ* (ბქ.) „ქანაობა, რწევა”...

3. ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ფუძეები:

ლიპერ (ზს., ქს.) „ʳა⁷ფრენა, ʳა⁷ხტომა”; *ლიპრრიელ* (ბზ.), *ლიპრელ* (ბქ.), *ლიპერდელ* (ლშხ.), *ლიპერიელ* (ლნტ.) „ფრენა”; *ლიცროუ̄ა̆ლ* (ბზ.), *ლიცროუ̄ა̈ლ* (ბქ.), *ლიცუ̄რაუ̄ა̈ლ/ლიცუ̄რაუ̄ʳეʳ* (ლშხ.), *ლიცურაუ̄ა̈ლ* (ლნტ.) „ცურვა”; *ლილცუ̄ზა̆ლ* (ბზ.), *ლილცუზალ* (ლშხ.) „ცურვა”; *ლიქნალ* (ბქ.) „ცურვა”; *ლიპგრტყანალ/ლიტყგრპანალ* (ბქ.) „ფრინველის ფრენა ან ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით”[2]; *ლიტყუპნაუ̄ლ* (ჩოლ.) „ფრინველის ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით”; *ლიღუტნაუ̄ლ* (ჩოლ.) „ფრინველის ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით”; *ლიპიოლა̈ლ* (ჩოლ.) „ზედაპირზე მჩატედ ცურვა”...

ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ფუძეები, სვლისა და სიარულის აღმნიშვნელ ზმნებთან შედარებით, სვანურში ნაკლებად დასტურდება.

[1] ხშირად ერთი და იგივე ზმნა, სხვა ქართველურ ენათა მსგასად (ლოლაძე 2015), სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება (მაგ.: *იბანდუნალ* „ნელა დადის, მოძრაობს“ მიუთითებს როგორც გადაადგილების ტემპს, ისე ენერგიულობის ხარისხსაც), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი ზმნის მნიშვნელობა რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება.

[2] გადატ. ადამიანის *ფრენასა* და *ცურვასაც* გამოხატავს.

4) *ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას:*

ბითქ-ბათქ (ზს., ქს.)	„ბათქაბუთქი (თოფის, დამბაჩის და მისთ. ზედიზედ სროლის ხმა"
ბიჩხ-ბაჩხ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
ბგრბგნ (ბზ.)	„ბათქუნი"
ბგრთქგნ (ზს., ქს.)	„ბათქუნი"
ბიტყ-ბატყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგურბუნ (ბქ., ჩოლ.)	„დუგდუგი"
დგუიბ-დგუაბ (ბქ.)	„დუგდუგი"
დღილ-დღალ (ჩოლ.)	„ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა"
თქგრშგნ (ლშხ., ჩოლ.)	„ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი"
ლი-პლაჩუნ-ე (ჩოლ.)	„კოცნა ხმის გამოცემით"
ჟიტყ-ჟატყ (ბქ.)	„ტალღის ტყლაშუნის ხმა"
რისტ-რასტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
რიხ-რახ (ჩოლ.)	„ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა"
ტკიჩ-ტკაჩ (ზს.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
ტკგრჩგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *ტკგრჩგნ* (ბქ.)	„ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"
ტყიპ-ტყაპ (ბქ.)	„ტყაპატყუპი (ზედიზედ დარტყმის ან დაცემის ხმა, ხშირი ტყაპუნი"
ტურიმ-ტურამ (ბქ., ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"
ტყუისგ-ტყუასგ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი"
ფხიკ-ფხაკ (ბქ., ჩოლ.)	„ფხაკუნი, ფხაკაფხუკი"
ფხგრკგნ (ბზ., ლშხ.), *ფხგრკგნ* (ბქ., ლნტ.)	„ფხაკუნი"
ფგრცხგნ (ზს., ქს.)	„ფაცი-ფუცი"
ღულიჭ-ღულაჭ (ჩოლ.)	„გაქნილი წკნელის გადაჭერ-გადმოჭერა"
ყუისგ-ყუასგ (ზს.)	„სროლის ხმა, ჭახანი"

შყრბ-შყაბ (ბზ.), *შყიბ-შყაბ* (ბქ., ჩოლ.)	„ჯახაჯუხი"
ჩხიკ-ჩხაკ (ზს., ჩოლ.)	„ჩხაკაჩხუკი"
ჭიხ-ჭახ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი, ჭახაჭუხი"
ჯუფ-ჯუფ (ბქ., ჩოლ.)	„თანმიმდევრული ხმა (მაგ., ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის მოწოლით დენისა)" და ა. შ.
ღუ̈ლიჭ-ღუ̈ლაჭ (ჩოლ.)	„გაქნილი წკნელის გადაჭერ-გადმოჭერა"
ყუისგ-ყუასგ (ზს.)	„სროლის ხმა, ჭახანი"
შყრბ-შყაბ (ბზ.), *შყიბ-შყაბ* (ბქ., ჩოლ.)	„ჯახაჯუხი"
ჩხიკ-ჩხაკ (ზს., ჩოლ.)	„ჩხაკაჩხუკი"
ჭიხ-ჭახ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი, ჭახაჭუხი"
ჯუფ-ჯუფ (ბქ., ჩოლ.)	„თანმიმდევრული ხმა (მაგ., ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის მოწოლით დენისა)" და ა. შ.

აღნიშნული ჯგუფი, სემანტიკური თვალსაზრისით, ყველაზე მრავალფეროვანია და მოიცავს ზოგადად მოძრაობის ყველა იმ ტიპს, რომელსაც ახლავს *ხმა/ხმაური*. ამ კატეგორიაში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, ერთიანდება:

ა. საკვების დამუშავებასთან (ჭამა, ღეჭვა, ხვრა, ღრღნა) დაკავშირებული ლექსიკა

ბ. სმა/დალევის აღმნიშვნელი ლექსიკა

გ. ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკა

დ. ემოციის (სიცილის, ტირილის) გამომხატველი ლექსიკა

ე. ცემის/კვრის აღმნიშვნელი ლექსიკა

ვ. ბუნების მოვლენათა და სტიქიათა (ჰაერის, წყლის, ცეცხლის/სინათლის) მოქმედება-ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა

1. საკვების დამუშავება (ჭამა, ღეჭვა, ხვრა, ღრღნა):

ლიგგრზინე (ბქ.) „უშნოდ ღეჭვა მაგარი საჭმლისა"; *ლიკანკლაუ̈ი* (ლშხ.) „პირის ჩქარი მოძრაობით ჭამა"; *ლიკუკუ̈ე* (ბქ.) „სასიამოვნო, წყნარი, კოხტა ჭამა, კიკნა"; *ლიმანტყლაუ̈ი* (ლშხ.) „უხეში, ხმაურიანი ჭამა"; *მიტყ-მიტყ* (ბქ.) „უხეში, ხმაურიანი ჭამა"; *ლიყანყლა̈უ̈ი* (ბზ.) „უშნოდ ყლაპვა"; *ლიყლენტა̈ლი* (ბქ.) „დიდი ლუკმებით ყლაპვა, ჭამა"; *ლილურქუ̈ინე* (ბქ.) „ღეჭვა, ჭამა", *ლიქანქლაუ̈ი* (ჩოლ.) „სწრაფად ყლაპვა"; *ლიფთუ̈ი* (ზს.) „ყლაპვა დიდი ლუკმებით და ხარბად", *ლილძგენე* (ბქ.) „ღეჭვა"...

2. სმა/დალევის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ლიგუ̈ლიბი (ბქ.) „დიდი ყლუპებით დალევა (წყლისა, სასმლისა...)"; ლიყგლწე/ ლიყრიაწინე (ლშხ.) „ყლურწვა"; ლითხულიპი (ბზ.) „ხვრეპა"; ლიხუ̈ლიპი (ზს.) „სვლეპა, ხვრეპა"...; ლიუწინე (ლშხ.) „უცებ გადაკვრა, დალევა"; ლიხუ̈რიპი (ბქ.) „ხვრეპა"; ლიხრიასინე (ლშხ.) „დიდი ყლუპებით (ხმაურით) დალევა"; ლიხუ̈ლი (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ლიხული (ბქ., ლნტ.) „ხვრეპა"; ლითხულიპი (ბზ.) „ხვრეპა"; ლიწუხუ̈ე (ბზ., ლშხ.) „ხვრეპა"...

3. ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკა:

გ̈ირგლა (ბზ.), *გარგლა* (ლშხ.), *გარგალა* (ლნტ.) „ლაპარაკი"; *რაგ̈დ* (ბქ.) „ლაპარაკი"; *ლიბგრბგნი/ბგრბგნ* (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"; პიუ̂-პიუ̂ (ლშხ., ჩოლ.) „უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი"; *ლიდარდ̈ლი* (ჩოლ.) „დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი"; რიჭ/რიჭი-რაჭა (ზს., ქს.) „გაუთავებელი ლაპარაკი; აყალმაყალი, მითქმა-მოთქმა"; *ლიშყგრბლ̈უ̂ი* (ბზ.) „დაუფიქრებელი ლაპარაკი"; *ლიფრნფლე̄უ̂ი* (ჩოლ.) „დაუფიქრებელი ლაპარაკი"; ლიყარყ̈ლი (ჩოლ.) „ზარმაცი და მოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა"; *ლიბან̈ჯღული/ლიბან̈ჯღული/ლიბან̈ჯღუნე* (ლშხ.) „უხეში ლაპარაკი", *ლიკასბე* (ბქ.) „ტლიკინი, ენის ტარტარი"...

4. ემოციის (სიცილის, ტირილის) გამომხატველი ლექსიკა:

ა) სიცილის გამომხატველი ლექსიკა:

ლრცუ̂ნ̈ლ (ბზ.), *ლიცუ̂ნა/ ̈ალ* (ბქ.), *ლრცუ̂ნ̈ლ* (ლშხ., ჩოლ.), *ლინცუ̂ნ̈ლ* (ლნტ.) „სიცილი"; *ლიქრზან̈ლ* (ბზ.) „სიცილი"; *ლიღრტე̄უ̂ი* (ლშხ.) „სიცილი"; *ყგრჭგნ* (ჩოლ.) „გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"; *ცქგრტგნ* (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"; *თხგლმათხგლ* (ჩოლ.) „გაბმული სიცილი"; *კგრკგნ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.), *კგრკგნ* (ბქ., ლნტ.), *ქგრკგნ* (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი", *ლიმურქუ̂ანალ* (ბქ.) „ღიმილი", *გგრხგნ* (ბქ.) „ხმამაღალი სიცილი, როხროხი"...

ბ) ტირილის გამომხატველი ლექსიკა:

ლიგუ̂ნი (ზს., ლშხ., ჩოლ.), *ლიგუ̂ ̈ნი* (ლნტ.) „ტირილი"; *ღურღუნ* (ზს.) „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი"; *ჭურჭყუნ* (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი"; *ლიჟღგლი* (ზს.) „ბავშვის ხმამაღალი ტირილი"; *ლილჭ ̈ლ (ბზ.), ლილჭა/ ̈ალ* (ბქ.), *ლირჭ ̈ლ* (ლშხ.), *ლირეჭ ̈ლ* (ლნტ.) „მოთქმა, დატირება"; *ლიჟგნტე* (ბზ.), *ლიჟგნტე* (ბქ.) „ბავშვის მომაბეზრებელი, გაბმული ტირილი"; *ლიჩულყუნ̈ლი* (ბზ.) „გულაჩუყებული ტირილი"; *ლიწურწკუნი* (ბზ.), *ლიწურწკუნი* (ბქ.) „ჩუმად, წკმუტუნით ტირილი", *ლიყთგნე* (ბქ.) „ჭირისუფლის ტირილი", *ლიჯრნჩე* (ბზ.) „გულამოსკვნილი ტირილი", *ლიყინცლაუ̂ი* (ჩოლ.) „ტირილი მსხვილი ცრემლებით"...

5. ცემის/კვრის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ბიჩხ-ბაჩხ (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; ბიტყ-ბატყ (ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; დღილ-დღალ (ჩოლ.) „ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა"; რისტ-რასტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; რიხ-რახ (ჩოლ.) „ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა"; ტკიჩ-ტკაჩ (ზს.) „მირტყმა-მორტყმის ხმა"; ტკგრჩგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტკგრჩგნ (ბქ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"; ტყიპ-ტყაპ (ბქ.) „ტყაპატყუპი (ზედიზედ დარტყმის ან დაცემის ხმა, ხშირი ტყაპუნი"; ღუ̂ლიჭ-ღუ̂ლაჭ (ჩოლ.) „გაქნილი წკნელის გადაჭერ-გადმოჭერა"; ლიტყცი (ზს., ლშხ.), ლიტყ ̈ცი (ლნტ.) „დარტყმა"; ლიყერ (ზს., ლშხ.) „ცემა, დარტყმა"; ლიშკ⌜უ⌝ფი (ზს.), ლიშკფი (ლშხ.), ლიშკუ̂ ̈ფი (ლნტ.) „დახეთქება, დარტყმა, ჩაკაკუნება"; ლიტყე̄მბე (ბზ.) „ცემა, გალახვა"; ლიღუ̂ლი, ლიღუ̂ ̈ლჲელ (ლშხ.) „დარტყმა"; ლიტყუ̂ფი (ზს.) „გაშლილი ხელის გარტყმა"; ლისტი (ზს.) „სილის გაწვნა"; ლირასტი (ლნტ.) „გაშლილი ხელის გარტყმა"; ლიშხპი (ბქ.) „წნელის, მათრახის დარტყმა"...

6. ბუნების მოვლენათა და სტიქიათა (ჰაერის, წყლის, ცეცხლის/სინათლის) მოქმედება-ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

ა) ჭექა-ქუხილის აღმნიშვნელი ლექსიკა:

გურჰუნ (ბზ., ლშხ.), გურხუნ (ბზ.), გურჰუნ/გურხუნ (ბქ.), გურხუნ (ლნტ.) „გრგვინვა"; ლიგურხუნი (ზს., ლნტ.) „გრგვინვა"; ლირხუნ̆ალ (ბზ.), ლირხუნალ (ბქ.) „გრგვინვა, ჭექაქუხილი"; ჭგრხგნ (ბზ.), ჭგრხგნ (ბქ.) „ქუხილი"; ლიჰლ̆ალ (ბზ.), ლიჰლალ (ბქ.), ლიელუე (ლშხ.) „ელვა"...

ბ) წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

დგურბუნ|ლი-დგუბუნ-ე|დგულიბ-დგულიბ (ბქ.), დგურბუნ (ჩოლ.) „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"; კურკუნ (ჩოლ.) „წანწკარი (წყლისა)"; ჟურთქუნ (ბქ.) „კლდეებიდან მომავალი წყლების ხმაური"; ჩხგრფგნ (ზს., ჩოლ.), ლი-ჩხფუნ-ე (ბზ.), ლი-ჩხფგნ-ე (ბქ.) „ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"; წურქუნ (ბზ.) „წანწკარი წყლისა"; წყგრგგნ (ბქ., ჩოლ.) „წანწკარი"; ჯუიფ-ჯუიფ (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)"...

გ) ცეცხლის/სინათლის მოძრაობის ამსახველი ლექსიკა:

ლი-რფგნ-ე (ზს., ქს.) „ციმციმი (თამაში შუქისა)"; ლი-ფარფ̆ალ-ი (ჩოლ.) „ბრიალი, აალება (ცეცხლისა)"; ლი-ღაუ̆-ღა̆უ̆-ი (ჩოლ.) „ნაღვერდლისფრად ციმციმი"; ლი-ღუზ̆-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ღუზ-ე (ბქ., ლნტ.) „გუზგუზი, ცეცხლის ალის ხმაური, გიზგიზი, ბრიალი"; ლი-ჭკიუ̆ნ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი"; ლი-ჭკგუ̆-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ჭკგუ̆-ე (ბქ., ლნტ.) „ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი, კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"; ლი-ღურეკ-ი (ბზ.) „ლაპლაპი"; ლიდაღჩე (ბქ.) „კიაფი, ციაგი შუქისა"; ლიდღმე (ბზ.) „კიაფი, ციაგი შუქისა"; ლი-ღგუ̆-ე (ბზ.), ლი-ღგუ̆-ე (ბქ.) „ბრწყინვა"; ლი-ტგლტგნ-ე (ბქ.) „ბრწყინვა, ბრჭყვიალი"...

4. სტატიკურობის _ ფიზიონომიის, ყურების, გამოხედვის, მენტალური მდგომარეობის, _ აღმნიშვნელი ლექსიკა.

სვანურშიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, დინამიკურობას ანუ მოქმედებას, როგორც დროში მიმდინარე პროცესს უპირისპირდება სტატიკურობა ანუ უძრაობა, როგორც ერთ მდგომარეობაში მყოფობა. სტატიკური ზმნები, როგორც სვანური მასალის კვლევამ აჩვენა, წარმოდგენილია სტანდარტული მდებარეობა-მდგომარეობის აღმნიშვნელი _ ლიყუნ̆ალ (ბზ.), ლიყუნ̆ა̆ლ (ბქ., ლნტ.), ლიყუნალ (ბქ.), ლიყუნ̆ალ (ლშხ.) „⌜და⌝წოლა", ლიყურე (ბქ.) „წოლა", ლიგნე|გენა[1] „დგომა", ლისგურე (ზს., ლშხ.), ლისკურე (ლნტ., ჩოლ.) „ჯდომა", ლიდი/ლიდეს̆გი (ბზ.), ლიდისგ (ბქ.) „დება", ლიგემ (ზს., ქს.) „დგმა, დადგმა" და სხვ. ზმნათა ფორმებით. ამ სტანდარტული ზმნების გვერდით არსებობს მრავალრიცხოვან სიტყვათა კლასი, რომელიც თავისი შინაარსით ფონოსემანტიკურია და მიუთითებს *სუბიექტის რაგვარობაზე (ფიზიონომია-გარეგნობა), ხასიათზე, ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე.*

[1]ეს ორი ფორმა ერთმანეთს უპირისპირდება როგორც მასდარი და აბსტრაქტული სახელი. ცხადია, ლიგნე უფრო გავრცელებული ფორმაა და ხშირი გამოყენებისაა, გენა კი გარკვეულ კონტექსტში იხმარება და მიემართება მხოლოდ ადამიანს (მაგ. გენა დემე ხარ (ბქ.) „მუდამ საქმეშია, დასვენების საშუალება არა აქვს (ზედმიწ. _ დგმა არა აქვს)".

1. გარეგანი მახასიათებლები:

ა დ ა მ ი ა ნ ი: ლგბძღვნე (ბქ.) „გაწეწილი, აბურდული, აბურძგნულთმიანი”, ლაღურიმანა (ბქ.) „ფართო, უშნო სახის (უმეტესად ქალი)”, მიტულჳ (ბქ.) „უშნო სახის მამაკაცი”, მიჩულჳ (ბქ.) „უშნო პირისახის მამაკაცი”, წკუირჳ (ბქ.) „წვრილთვალება”, ლგჩანჩურე (ბქ.) „უშნოდ ჩაცმული; აჩაჩულ-დაჩაჩული”, თიღულჳ (ბქ.) „უშნოდ დაბღვერილი ადამიანი”, ბჳდღუდჳ (ბქ.) „ბრდღვიალა პირისახის”, კგდბეზილ (ბქ.) „დაბალი და ღიპიანი კაცი”, ჩგჩგნილ (ბქ.) „ძალიან დაბალი, ჩია”, შდჳკდჳ (ბქ.) „დიდი ზომის, უშნო გარეგნობის, ტლანქი ადამიანი”, ბრანჯალჳ (ბქ.) „მხარბეჭიანი ვაჟკაცი”, გიქსგ (ბქ.) „მაღალი და გამხდარი ქალი”, სხუჳპდჳ (ბქ.) „ლამაზწარბებიანი”, კითლჳ (ბქ.) „მაღალი და გამხდარი ადამიანი; თავაწეული”, ლგტყგრბელე (ბქ.) „ჭორფლიანი”, დურჳწდჳ (ბქ.) „აყლაყუდა”, გგბრჳ (ბქ.) „უკბილო”, ყუიბლჳ (ბქ.) „დიდთავა კაცი”, ჩხუინდჳ (ბქ.) „უშნო ცხვირიანი ადამიანი”, ბოდღორჳ (ბქ.) „ნათელი სახის, ლამაზი ადამიანი”, ჩხორკჳ (ბქ.) „ზედმეტად გამხდარი, გაჩხიკინებული”, მარღიად/მარღად (ლშხ., ჩოლ.) „თეთრი პირისახის ადამიანი” და მისთ.

ადამიანის გარეგანი მახასიათებლები შესაძლოა ორ ჯგუფად დაიყოს:

ა. უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვები (მაგ.: თიღულჳ, ყუიბლჳ, სხუჳპდჳ, ჩხუინდჳ, დურჳწდჳ...), რომელთა რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია, და

ბ. დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვები (მაგ.: ბჳდღუდჳ, ბრანჯალჳ, ბოდღორჳ, მარღიად/მარღად...).

ცხადია, აღნიშნული ლექსიკური ერთეულები დახასიათდება გენდერული თვალსაზრისითაც[1].

ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ ი: ჩხორკჳ (ბქ.) „ზედმეტად გამხდარი, გაჩხიკინებული საქონელი (გამოიყენება როგორც ადამიანის, ისე ცხოველის სიგამხდრის გამოსახატავადაც)”, ლუჰორყე (ბქ.) „შიმშილისგან მუცელგაბრტყელებული, უშნო ცხოველი”, ლგპტყგნე (ბქ.) „გაძვალტყავებული ქათამი”, ლუხონკე (ბქ.) „სიგამხდრისგან მოკაკული საქონელი”, წიოტია (ბქ.) „გამხდარი ქათამი”, ლგხგუნე (ბზ.), ლგხგგნე (ბქ.) „გაძვალტყავებული საქონელი”, ლგგგრგილაუე (ბზ.) „გაძვალტყავებული საქონელი”, ბეხრეკ (ბზ., ქს.) „გაძვალტყავებული (ცხენი)”, გგრგგჭ (ლხმ.) „გაძვალტყავებული (ცხენი)”, გორგან (ლხმ.) „გაძვალტყავებული (ცხენი)”...

თ ვ ი ს ე ბ ა: ჰ/ხერყლდჳნ (ბქ.) „ღორმუცელა”, უჩფანთუირ (ბქ.) „ფეთხუმი”, უჩქმირ (ბქ.) „ფეთხუმი”, კასბჳ/კაპჳ/ყარსბჳ (ბქ.) „ენაგრძელი, ბევრი ლაყბობის მოყვარული”, ჭგრჭყნჳ (ბქ.) „ჭიჭყინა“, სგრტნჳ (ბქ.) „მჭექარე ხმით მოჩხუბარი”, მეღჭკე/მექშდე/ლგკაპე (ბქ.) „ენატლიკინა, ბევრი ლაპარაკის მოყვარული”, წოლკჳ (ბქ.) „სუსნია”, ტგრხნდა (ბზ.), ტგხნჳ (ბქ.) „ენატანია, დამსმენი”, ტურხულდა (ბზ.) „ენატანია, დამსმენი”, ტურღულ (ჩოლ.) „ენატანია, დამსმენი”, მანძღუილიან (ლხმ.) „ენატანია, დამსმენი”, მგფეთალი (ლშხ.) „ენატანია, დამსმენი”, ნინდ მერსკე (ზს.) „ენატლიკინა”, ურაკაკა (ბქ.) „ქვეყნის ამომგდები, ენატლიკინა, დამსმენი (ქალი)”...

[1]იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 407-415

2. ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების, ნიშან-თვისებების, ხასიათის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ყირყონჯჳ (ბქ.) „რქიანი, რეგვენი”, ფორგჳ (ბქ.) „დაბდური”, ბალაყანტჳირ (ბქ.) „რეგვენი, უდარდელი”, ლუბჟურე (ბქ.) „დაბნეული”, ლგჟორე (ბქ.) „დარეტიანებული”, ლგსრყე (ბზ.), ლუსოყე (ბქ.) „გიჟი, სულელი”, ტენტერ, ტენტეშ (უშგ., ლშხ.) „რეგვენი, სულელი”, მითრულ (ლშხ.) „გიჟი, გადარეული”, კგრგკ (ბქ.) „გონებაჩლუნგი, დებილი”, ლუფტჳრე (ზს.) „უჭკუო”, უბრედ (ბზ.), ჳობრედ (ჩოლ.) „ჩერჩეტი; გამოლენჩებული”, დგბჟგ (ზს.), დგბჟი (ლხმ.) „გამოლენჩებული, უსიცოცხლო, მოუქნელი ადამიანი”, ჩამჳირ (ლხმ.) „მოუქნელი ადამიანი”, ჩჳიტ (ბზ.) „უტვინო”, თგნჩ (ბქ.) „მშიშარა, არაფრის მაქნისი ადამიანი”, ჭარჭალიკ (ჩოლ.) „უსმინარი”...

აღნიშნულ კლასში შედის როგორც მიმღეობური, ისე ზედსართაული ფორმები და ისინი გადმოსცემენ საგნის (ობიექტის თუ სუბიექტის) თვისებას, ხასიათს და ა. შ.

ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები შესაძლოა დაჯგუფდეს სხვა სემანტიკური ნიშნების მიხედვითაც: ზომა-წონის, სიმაღლის, სიგამხდრე-სიმსუქნის, სხეულის კონკრეტულ ორგანოებზე მითითების მიხედვით.

ა) ზომა-წონა: ჳითმათჳრ (ბქ.) „დიდი აღნაგობის ადამიანი”, დოდღობჳჲ (ბზ.), დოდღობჳ (ბქ.) „დიდი აღნაგობის, ტანადი ადამიანი”, ბათქიაჲ (ლშხ.) „დიდი აღნაგობის, ტანადი ადამიანი”, ბრანჯალჳ (ბქ.) „მხარბეჭიანი ადამიანი”, ხორგიაჲ (ლშხ.) „ზორბა, დიდი”, ხოშაჳსახჳიშ (ბქ.) „უზარმაზარი”, ძჳძგიჳჲ (ბზ.) „უზარმაზარი”, ყრჳმიჳჲ (ბზ.) „უზარმაზარი აღნაგობის”...

ბ) სიმაღლე: ფანგალჳჲ (ბზ.), ფანგალჳ (ბქ.) „ბრგე, მაღალი, ტანხმელი ადამიანი”, დჳრჳწჲჳ (ბქ.) „ზედმეტად მაღალი”, გიქსგ (ბქ.) „მაღალი, გამხდარი და ზედმეტად გამართული ბეჭებში”, ყრანგალჳ (ბქ.) „უშნო გარეგნობის მაღალი ადამიანი”, გჳანჰალჳ (ბქ.) „მაღალი, მსუქანი, დიდი გარეგნობის ადამიანი”, ფრჳჯიჳჲ (ბზ., ლნტ.), ფრჳჯიჳ (ბქ.) „მაღალი ტანის, ზორბა ადამიანი”, ლუდუწე (ბქ.) „მეტისმეტად მაღალი, გაწელილი”, ცხიპლაჲ (ჩოლ.) „მაღალი, მოქნილი ადამიანი”...

გ) სიდაბლე: ჩჳჩიაჲ|ჩიჩიჳჲ (ბზ.), ჩჳჩჲჳ (ბქ.) „დაბალი ტანის ადამიანი”, ჩგჩგნილ (ბქ.) „ჩია ტანის ადამიანი”, ჩგბგტილ (ბქ.), ჩგბგტ (ლნტ.) „მეტისმეტად დაბალი ადამიანი”, ჩოჩბირა (ბზ.) „დაბალი, ჩია ტანის ადამიანი”, ქჳჳქჳიჳ˹ჲ˺ (ბზ.), ქჳჳქჳიჳილ (ბქ.) „დაბალი და მსუქანი ადამიანი”, ჩუხჳ (ზს.) „ჩია ტანის ადამიანი”, ჩგბგნილ „დაბალი, ჩია ტანის ადამიანი”, ჩათარაჲ (ლშხ.) „დაბალი და სქელი კაცი”, ფირხიილ|ფრიხიილ (ბქ.) „დაბალი ტანის კაცი”...

დ) სიგამხდრე: ლგჩხკგნე (ზს., ქს.) „გამხდარი, გაძვალტყავებული”, ლგჩხჳრკე (ბზ.) „გაჩხიკინებული”, ლუჰორყე (ბქ.) „გაძვალტყავებული, მუცელგაბრტყელებული”, ჩხინკორჳ (ბქ.) „გაჩხიკინებული”, ჩხორკჳ (ბქ.) „გამხდარი, გაძვალტყავებული”, დჳცმულ (ბზ.), დაცმულ (ლშხ., ჩოლ.) „სუსტი, გამხდარი”, წიოტია (ბქ.) „მეტისმეტად გამხდარი”, ლგხგუნე (ბზ.), ლგხგგნე (ბქ.) „გაძვალტყავებული საქონელი”,...

ე) სიმსუქნე: ზჳტყიჳ (ბქ.) „მსუქანი და უშნო გარეგნობის ადამიანი”, ფჳფიჳჲ (ლშხ., ჩოლ.) „მსუქანი, ფაშფაშა”, ზამპალჳ (ბქ.) „მსუქანი და უშნო გარეგნობის ადამიანი”, ზიპლჳ (ბქ.) „მსუქანი ქალი”, ტკუიცაჲ (ჩოლ.) „მსუქანი (გოგონა, ჩიტი, ქათამი...)”, ღიბაჲ (ჩოლ.) „მსუქანი”, ბაყუიაჲ (ჩოლ.) „მსუქანი”, ჯიჯაჲ (ჩოლ.) „მსუქანი და დაბალი კაცი”, ზანტყალჳ (ბქ.) „უშნოდ გასუქებული ქალი”...

ვ) სხეულის კონკრეტული ორგანოები: ჩხუინდა (ბქ.) „დიდცხვირა", ზონკა (ბქ.) „კუზიანი", პილოჩაი (ბზ.), პილოჩა (ბქ.) „დიდტუჩა", ჭყირუა (ბქ.) „ჭრელთვალება", შუირა (ბქ.) „ელამი, უშნოთვალება", სუიმპა (ბქ.) „სახემოღრეცილი", კოკარ (ბზ.) „ელამი", შხიულა (ბქ.) „შავთვალწარბა", ბრიტალ (ლშხ.) „ელამი", პრიტა (ბქ.) „პარტყუნაყურება", შყიუარ (ბზ.) „ელამი", ყუიბლა (ბქ.) „დიდთავა", შგშგიუ (ჩოლ.) „ელამი", სუიღუ (ზს.), სუიღურა (ლხმ.) „ელამი", სრიბ (ზს.) „ელამი", პილუარდაი (ბზ.), პილუარდა (ბქ.), პილუარდაი|პილოტაი (ლშხ.), პილოჩა (ლნტ.) „დიდტუჩა, ლაშებიანი", ჩორთა (ბქ.) „მოღრეცილფეხება", პირჩა (ბქ.) „დიდტუჩება", ჯადაი|ჯადარაი (ბზ.), ჯადრა|ჯადარა|ჯადა (ბქ.), ჯადაი (ლშხ.), ჯადრა (ლნტ.) „დიდმუცელა, ღიპიანი", ბიბრანდაი (ბზ.) „ელამი", აშუორბლიან (უშგ.) „დიდთავადა" ა. შ.

როგორც ფონოსემანტიკურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურშიც დომინანტურია ოთხი დიდი სემანტიკური ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ ქვეჯგუფებად იყოფა. აღნიშნული ჯგუფების გამოყოფა კი ეფუძვნება საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილ ჩარლზ ოსგუდის სემანტიკური დიფერენციაციის მეთოდს. ცხადია, აღნიშნული ჯგუფები, ქართულის მსგავსად, ვერც სვანურში ამოწურავენ ბგერწერითი ლექსიკის ძალზე მდიდარ შესაძლებლობებს.

ზმნისწინით წარმოქმნილი მოძრაობის ლექსიკა ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა სემანტიკური დახასიათება მოძრაობის მანერისა და საგნის ფორმის მიხედვით ძალზე საინტერესო ენობრივ სურათს იძლევა[1]. სამეცნიერო სტატიებში მოცემული სალიტერატურო თუ დიალექტური ფორმები ძირითადად ბგერწერითი ლექსიკის აღმნიშვნელია, რომელთაც მოძრაობის მიმართულებას ზმნისწინი ანიჭებს. „მოძრაობის მედიალური ზმნები ძირითადად გვხვდება პრევერბთა იმ ფართო წრესთან ერთად, რომელსაც აქვს მიმართულების აღნიშვნის მნიშვნელობა" (ჰოლისკი 2000 : 52)[2].

და- ზმნისწინით გადმოიცემა გაურკვეველი მიმართულება, მი-, იშვიათად წა- ზმნისწინით კი - გარკვეული: აქიდან იქით. „ქართულ ენასა და დიალექტებში ძალზე ხშირია მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც უსაქმო, უთავბოლო, ზანტ მოძრაობას, ბორიალს აღნიშნავენ. ასეთი ზმნები სალიტერატურო ენაშიც გვაქვს; მაგ., დაბორიალობს, დაყიალობს, დახეტიალობს. ამგვარი ზმნების სიხშირით განსაკუთრებით დიალექტები გამოირჩევა; კერძოდ, ქართლურში ვხვდებით შემდეგ ფორმებს: და-ფშაკუნობს - უთავბოლოდ, უსაქმოდ დადის; და-ყერყეტებს - და-ჩერჩეტებს; და-ყუნცულობს[3] - დადის და ლაზღანდარობს, მი-ლაღუნებს - ზანტად მიდის, მიხეტიალობს; მი-ყერყეტობს - მიყიალებს, დაეხეტება (თ.ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ.,1981)" (ქურდაძე 2011:28-29)[4]. ასეთი სემანტიკის ზმნები ავტორს დადასტურებული აქვს ზემო იმერულშიც: „და-ბროსიალოფს

[1] აღნიშნული საკითხის დეტალური ანალიზისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში იხ. ქურდაძე 2011:27-31; ასევე: ლოლაძე 2015

[2] აწმყოს ფუძიანი მედიალური ზმნები, რომლებიც ზმნისწინის დართვით მოძრაობას გამოხატავენ, დ. ენ ჰოლისკის განხილული აქვს დასახელებული მონოგრაფიის III თავში, 1.3. და 1.4. პარაგრაფებში, გვ. 119-127..

[3] აღნიშნული ზმნური ერთეული ორმაგი მოქმედების გამომხატველია; შდრ: *მე-* და *გილა-* ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები მეგრულში.

[4] მაგალითები დამოწმებულია რ. ქურდაძის მითითებული სტატიის მიხედვით.

- დაბორიალობს; და-დორგიზობს - უაზროდ, უთავბოლოდ დადის; და-ღონწიალოფს - დაღონღიალობს, დაეხეტება; წა-კუნკრუხდება - წაჩერჩეტდება (ქ. ძოწენიძე 1974); და-რიკინოფს - უთავბოლოდ, უგზოუკვლოდ დადის, დაეხეტება (პ. გაჩეჩილაძე 1976) (ქურდაძე 2011:29).

მი- ზმნისწინით არის გაფორმებული გარკვეული ხმიანობის აღმნიშვნელი ზმნური ერთეულები, რომლებიც აღნიშნულ ხმიანობას სიარულთან (გადაადგილებასთან) ერთად გამოხატავენ: *მი-ბზუის, მი-გრიალებს, მი-ლაპარაკობს, მი-ღრიალებს, მი-ჩხრიალებს, მი-რახრახებს* და სხვა. დიალექტებს აქვთ ბარგით გადაადგილების შესაძლებლობის ჩვენებაც: მი-იხიბაკვის - ხიბაკით, ბარგი-ბარხანით მიდის (შ. ნიჟარაძე); შესაძლებელია მოძრავი საგნის თვისების გამოხატვაც: მი-იფხორება (ქურდაძე 2011: 29).

მ ე გ რ უ ლ შ ი მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები სტრუქტურისა და სემანტიკის მიხედვით ორ განსხვავებულ ფორმას გვიჩვენებენ აწმყოში. ერთი, ი-პრეფიქსიანი[1], ხოლო მეორე მე- პრეფიქსიანი, რომელიც ფონეტიკური ტრანსფორმაციით, სრული რეგრესული ასიმილაციით, მი- ვარიანტს იძლევა; მაგალითად, *სერგელი* „თრევით სიარული“ - *ი-სერგელ-უ(ნ)* „ეთრევა“, სიტყვასიტყვით: *თრეობს - *მი-სერგელუ(ნ)* „მიეთრევა“ (თრევით მიდის).

სიარულის მნიშვნელობა შემოაქვს მე- ზმნისწინს, რომლის ფონეტიკური გარდასახვა მი- ვარიანტად შემდეგი პროცესების გათვალისწინებით ხდება: **მე-ისერგელუ(ნ) > მი-ისერგელუ(ნ)* -(1) > *მისერგელუ(ნ)* (2). მეგრულ სასაუბრო მეტყველებაში ფონეტიკური პროცესის ორივე საფეხურის ((1) და (2)) ფორმები დასტურდება. აღმოსავლურ არეალში, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცხოა ერთგვარ ხმოვანთა შერწყმა, მით უმეტეს მორფემათა საზღვარზე, ცალხმოვნიანი, ფონეტიკური პროცესის მეორე საფეხურზე მიღებული ფორმაც (იხ. (2)) ბუნებრივია. ორივე ფორმისთვის - ი-ნიანისა და მე-/მი-ზმნისწინიანისთვის - ამოსავალი ერთია - „პირველადი მასდარი“. სხვადასხვა ზომის, ფორმის ადამიანთა და არაადამიანთა (ცხოველების, წყლის...) გადაადგილების მაგალითები მოცემულია „პირველადი მასდარიდან“ ამოსვლით:

*ბრანცალი - ი-ბრანცალუ(ნ) - მი-ბრანცალუ(ნ) (<მი-იბრანცალუ(ნ) < *მე-იბრანცალუ(ნ))*
*ბახვალი - ი-ბახვალუ (ნ) - მი-ბახვალუ(ნ) (<მი-იბახვალუ(ნ) < *მე-იბახვალუ(ნ))*
*განთხალი - ი-განთხალუ(ნ) - მი-განთხალუ(ნ) < მი-იგანთხალუ(ნ) < *მე-იგანთხალუ(ნ)*
*დანდალი - ი-დანდალუ(ნ) - მიდანდალუ(ნ) < მი-იდანდალუ(ნ) *მე-იდანდალუ(ნ))*
*დირგონი - ი-დირგონუ(ნ) - მიდირგონუ(ნ)< მი-იდირგონუ(ნ) *მე-იდირგონუ(ნ))*
*ზილოკი - ი-ზილოკუ(ნ) - მიზილოკუ(ნ) < მი-იზილოკუ(ნ) <*მე-იზილოკუ(ნ))*
*მარმალი - ი-მარმალუ(ნ) - მიმარმალუ(ნ) მი-იმარმალუ(ნ) *მე-იმარმალუ(ნ))*
*რაჟალი - ი-რაჟალუ(ნ)- მი-რაჟალუ(ნ) (<მი-ირაჟალუ(ნ)<*მე-ირაჟალუ(ნ))*

[1]ამგვარ ზმნურ ფორმებში ი- პრეფიქსის რაობის შესახებ მსჯელობა იხ. მონოგრაფიის327 - 329 გვერდებზე. ცალკეული ზმნები, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, გამონაკლისის სახით ი- 'ს ნაცვლად ო-პრეფიქსს დაირთავენ აწმყოში; მაგალითად, ვალაფი - ო-ვალ-ან-ს (ქაჯაია, ტ. II, 2002); ლანდიცალო მი-ოვალანს (ო. კვარაცხელია) „ლანდივით გაელვებით მიდის“. ზოგჯერ ო- პრეფიქსიანი ფორმა დაჩნდება, როგორც ი-ნიანის პარალელური ფორმა: სარღალი/ სარღინი - ი-სირღინანს/ო-სარღანს (ქაჯაია, ტ. II, 2002) - მი-(ი)-სირღინანს/მი-ოსარღანს „უშნოდ აწოწილი კაცი მიდის“; ზოგჯერ აწმყოში მხოლოდ მე- პრეფიქსიანი ფორმები დასტურდება და ი- პრეფიქსიანი წარმოება ჩავარდნილია: ქურცუა/ქუცუა „(გა)ქუსვლა“ - მე-ქურც-უნ-ს/მე-ქუც-უნ-ს *„მიქუსლავს“; ქექუა „სწრაფად, მსუბუქად სიარული, ხტომა“ - მე-ქექ-უნ-ს „სწრაფად, მსუბუქად მიდის, მიხტის“.

ტირკონი - ი-ტირკონუ(ნ)- მიტირკონუ(ნ) (<მი-იტირკონუ(ნ) < მიტირკონუ(ნ))
*ფაჟვალი - ი-ფაჟვალუ(ნ) - მი-ფაჟვალუ(ნ) (< მიიფაჟვალუ(ნ) < *მე-იფაჟვალუ(ნ))*
*ჩაკალი - ი-ჩაკალუ(ნ) - მი-ჩაკალუ(ნ) (< მიიჩაკალუ(ნ) < *მე-იჩაკალუ(ნ))*
*ძვაძვალი - ი-ძვაძვალუ(ნ)- მი-ძვაძვალუ(ნ) (<მიიძვაძვალუ(ნ) < * მეიძვაძვალუ(ნ))*
*ხერკელი - ი-ხერკელუ(ნ) - მი-ხერკელუ(ნ) (< მიიხერკელუ(ნ) <*მე-იხერკელუ(ნ))*
*ხარხანჩი - ი-ხარხანჩუ(ნ) - მიხარხანჩუ(ნ) (<მიიხარხანჩუ(ნ) < * მე-იხარხანჩუ(ნ))*
*გორგოთი - ი-გორგოთუ(ნ)- მიგორგოთუ(ნ) (<მიიგორგოთუ(ნ) <*მეიგორგოთუ(ნ))*
*კარკაცი - ი-კარკაცუ(ნ) - მიკარკაცუ(ნ) (<მიიკარკანცუ(ნ) < *მეიკარკაცუ(ნ))* [1].

აწმყოში თავისებურებას გვიჩვენებს ლაპარაკის გამომხატველი ზმნური ფორმებიც. უფრო ზუსტად, ლაპარაკის ან ფრინველის, ცხოველის და სხვათა ხმიანობის გამომხატველი ფუძეები მე- ზმნისწინის საშუალებით დატვირთულია სიარულის სემანტიკითაც. ერთ ზმნურ ფორმაში ორივე შინაარსია ჩადებული.

ბურხინი „ბუხუნი“ - ბურხინ-უნ-ს „ბუხუნებს“ შდრ: მებურხინუნს „მიდის და ბუხუნებს“, სიტყვასიტყვით: *„მიბუხუნებს“.

რაქვალი „ლაპარაკი (მომაბეზრებლად)“- *რაქვალ-ან-ს* „ლაპარაკობს (მომაბეზრებლად)“-- *მე-რაქვალ-ან-ს* „მიდის და ლაპარაკობს (მომაბეზრებლად)“

რაკვალი „წვრილ ხმაზე ჩხუბი (გაუთავებლად)“ - *რაკვალ-ან-ს* „წვრილ ხმაზე ჩხუბობს (გაუთავებლად)“- *მე-რაკვალ-ან-ს* „მიდის და წვრილ ხმაზე ჩხუბობს“

ტუტინი „დაბალ ხმაზე მომაბეზრებლად ლაპარაკი“- *ტუტინ-უნ-ს* „დაბალ ხმაზე მომაბეზრებლად ლაპარაკობს“-- *მე-ტუტინ-უნ-ს* „მიდის და ლაპარაკობს მომაბეზრებლად დაბალ ხმაზე“

ბერჯღელი „ბღავილი“ - *ბერჯღელ-ანს* „ბღავის“ - *მე-ბერჯღელ-ან-ს* „მიდის და ბღავის“; „*მიბღავის“

პეტელი „კიკინი“ - *პეტელ-ან-ს* „კიკინებს“ - *მე-პეტელ-ან-ს* „მიდის და კიკინებს“, „*მიკიკინებს“

წია „წივილი“ - წიანს „წივის“- *მე-წი-ან-ს* „მიდის და წივის“, სიტყვასიტყვით: „*მიწივის“.

ჭყია „ჭყივილი“ - ჭყი-ან-ს „ჭყივის“ შდრ: *მეჭყიანს* „მიდის და ჭყივის“, სიტყვასიტყვით: „*მიჭყივის“

„მე- ზმნისწინი გამოხატავს მოძრაობა-გადაადგილების მიმართულებას. მას შეიძლება ვუწოდოთ *„მიმართულებითი ზმნისწინი“* (ქობალავა 2014).

დერივაციული ფუნქციითაა დატვირთული გილა- ზმნისწინიც მეგრულში ფონოსემანტიკური ჯგუფის ზმნებთან[2] და „სემანტიკურად მიუთითებს ისეთ სიარულზე, რომელსაც ახლავს რაიმე სხვა სახის მოქმედება. გამოიყოფა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი: *სიარული + ლაპარაკი, სიარული + სიცილი, სიარული + სინათლის მოძრაობა ან ეფექტი, სიარული + ხმაური ან ხმიანობა, სიარული + სხვადასხვა მნიშვნელობის მოქმედებანი.* ამგვარი ზმნები გამოხატავენ სიარულის ამა თუ იმ სახესხვაობას, რასაც ამოსავალი ფორმის სემანტიკა განაპირობებს“ (გერსამია 2004: 19). ამ ტიპის ფორმები აწმყოში S3 პირის ნიშნად ზოგჯერ -ს სუფიქსს დაირთავენ, ზოგჯერ კი აწმყოს ფუძეს -ნ ბოლოსართით აფორმებენ;

[1] მეგრ. კარკაცი აღნიშნავს როგორც ადამიანის მიერ გამოცემულ ხმას (=სიცილს), ასევე წყლის დენადობის ხმას. საინტერესოა სუბიექტის მიხედვით ომოფორმათა განსხვავების ფორმობრივი საფუძველი: მეკარკაცანს „მიდის და თან იცინის“ (ითქმის ადამიანზე; გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას წყალზეც, თუმცა მაშინ სუბიექტი დასახელებული უნდა იყოს: წყარი მეკარკაცანს „წყალი მიჩუხჩუხებს“; საკუთრივ წყლის დენადობაზე ითქმის: მიკარკაცუ(ნ) „მიჩუხჩუხებს“.
[2] მეგრულში ორმაგი მნიშვნელობის ზმნების დეტალური ანალიზისათვის იხ. გერსამია 2003; გერსამია 2006

-ს სუფიქსიანები ცალკეულ შემთხვევებში (არა ყოველთვის!) გარკვეულ კონტექსტში ავლენენ ობიექტის გაჩენის ტენდენციას, როგორც ეს მედიალური ზმნებისთვის არის დამახასიათებელი. კერძოდ, ლაპარაკის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკურად ნეიტრალური ზმნა გილარაგადანს „დადის და ლაპარაკობს“/*„დალაპარაკობს“ - მთელი დღა რე გილარაგადანს „მთელი დღეა დადის და ლაპარაკობს“; გილარაგადანს თე ამბეს „დადის და ლაპარაკობს ამ ამბავს“/*„დალაპარაკობს ამ ამბავს“ - მთელი დღა რე გილარაგადანს თე ამბეს „მთელი დღეა დადის და ლაპარაკობს ამ ამბავს“. -ნ სუფიქსიანები მყარად ინარჩუნებენ ერთპირიანობას, რადგან, ვფიქრობთ, ამგვარ ფორმათა სუბიექტური პირი მოძრაობის თანმხლები მოქმედების განმცდელია სემანტიკურად.

ცალკეულ სემანტიკურ ჯგუფებთან, სადაც ეს შესაძლებელია, წარმოვადგენთ პარალელურ ფორმებს, თუმცა ორი ფორმიდან, ბუნებრიობისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ერთს ენიჭება უპირატესობა.

სიარული + ლაპარაკი :

გილაბურდღინი - გილაბურდღინუნს, გილაბუდინი - გილაბუდინუნს, გილარაქვალი - გილარაქვალანს, გილაძგაძგალი - გილაძგაძგალანს, გილაჯგარჯგალი - გილეჯგარჯგალუ(ნ) || გილაჯგარჯგალანს...

სიარული + სიცილი :

გილაძიცინი - გილეძიცანს, გილაქირქინი - გილექირქინანს, გილაცირქინი - გილეცირქინანს, გილახორხოში - გილეხორხოშუ(ნ) || გილახორხოშანს...

სიარული + სინათლის მოძრაობა ან ეფექტი :

გილავალუა - გილავალანს, გილარწკინუა - გილარწკინუნს, გილავარვალი - გილევარვალუ(ნ), გილაჟერჟელი - გილეჟერჟელუ(ნ)..

სიარული + ხმაური ან ხმიანობა :

გილაბურგონი - გილებურგონუ(ნ), გილარაბადი - გილერაბადუ(ნ), გილაჭუმინი - გილეჭუმინუ(ნ), გილაღუმინი - გილეღუმინუ(ნ)..

სიარული + სხვადასხვა მნიშვნელობის მოქმედებანი :

გილაფარზუა (ფარზუა „ძლიერი ხველება“) - *გილაფარზუნს, გილაჩიონი* (ჩიონი „ცემინება“) *გილაჩიონუნს, გილახუტორი*[1] (ხუტორი „კვნეტა“) - *გილეხუტორუ(ნ)...*

სიარული + ყურება (პირისახის გამომეტყველება, სახის ფიზიონომიის აღნიშვნა):

გილაბიღვინი-გილებიღვინანს, გილაბირძღინი - გილებირძღინანს, გილაბირდინი - გილებირდინანს, გილამირსინი - გილემირსინანს, გილაჩვიგინი - გილეჩვიგინანს, გილარიჟინი - გილერიჟინანს, გილარინტინი - გილერინტინანს, გილარისხვინი - გილერისხვინანს, გილაღვითინი - გილეღვითინანს.

[1]ამ სემანტიკის ლექსიკური ერთეულები ცალკე, კერძოდ, სიარული + ჭამა (ყლაპვა, კბეჩა) ჯგუფშია განხილული.

სიარული + ჭამა (ყლაპვა, კბეჩა):

გილადგუმორი - გილედგუმორუ(ნ) || გილადგუმორუნს, გილაგირჯონი - გილეგირჯონუ(ნ) || გილაგირჯონუნს, გილაზვირთუა - გილეზვირთუ(ნ) || გილაზვირთუნს, გილათქვაფუა - გილეთქვაფუ(ნ) || გილათქვაფუნს, გილალაგუა - გილელაგუ(ნ) || გილალაგუნს, გილანქილუა - გილანქილუნს, გილახუმორი - გილახუმორუნს, გილაქირქოლი - გილაქირქოლუნს, გილაშიშონი - გილაშიშონუნს, გილარიჩონი - გილარიჩონუნს, გილაყირტუა - გილაყირტუნს, გილაც(ქ)იცქონი - გილაც(ქ)იცქონუნს, გილაჯგაბუა - გილაჯგაბუნს, გილაჯგიჯგონუა - გილაჯგიჯგონუნს, გილაჯვაბუა -გილაჯვაბუნს, გილახუჭორუა - გილახუჭორუნს, გილაჯიჯონუა - გილაჯიჯონუნს.

სიარული + სმა (დალევა) [1]:

გილაგურჯუა - გილაგურჯუნს, გილაყაყუა - გილაყაყუნს [2], გილაღუ(რ)წუა - გილაღუ(რ)წუნს, გილაღუფუა - გილაღუფუნს, გილაწრუპუა -გილაწრუპუნს, გილაწურწუა - გილაწურწუნს...

სიარული (გადაადგილება) + გადახტომა-გადმოხტომა, სწრაფი მოძრაობის ეფექტი

გილაბურინი-გილებურინუ(ნ), გილადურინი - გილედურინუ(ნ), გილაჟვენდუა - გილეჟვენდუ(ნ), გილაქენჩუა -გილექენჩუ(ნ), გილაჟუმინუა - გილეჟუმინუ(ნ), გილატურინუა -გილეტურინუ(ნ), გილაქენჩუა - გილექენჩუ(ნ), გილაღვენდუა - გილეღვენდუ(ნ), გილაცხუბოკუა - გილეცხუბოკუ(ნ), გილახვერთქუა - გილეხვერთქუ(ნ), გილახურთქინუა - გილეხურთქინუ(ნ)...

სიარული (გადაადგილება) + ჩაცმულობა

გილაჩვახალი - გილეჩვახალუ(ნ), გილაჩანთალი - გილეჩანთალუ(ნ), გილაჟგართალი - გილეჟგართალუ(ნ), გილატვირინი - გილეტვირინანს...

სიარული (გადაადგილება) + გარეგნობა

გილაბარსალი - გილებარსალუ(ნ), გილაგირგოლი - გილეგირგოლუ(ნ), გილაკვაკვალი - გილეკვაკვალუ(ნ), გილაკორკოლი - გილეკორკოლუ(ნ), გილაკვეხინი - გილეკვეხუ(ნ), გილაპეხვინი - გილეპეხუ(ნ), გილაპირჭინი - გილეპირჭინანს, გილარიგვინი - გილერიგვინანს.

მე- და გილა- ზმნისწინიანი ფორმები ორმაგ მოქმედებას აღნიშნავენ და ამ თვისებით ემსგავსებიან ერთმანეთს; მათ შორის განსხვავება ის არის, რომ მე- ზმნისწინი კონკრეტულ მიმართულებას აღნიშნავს, ხოლო გილა- უმისამართოს. შდრ., მე-ბურხინუნს „მიბუხუნებს“ და გილა-ბურხინუნს „დაბუხუნებს“. მე- და სხვა ამგვარი ფუნქციის ზმნისწინები „უპირისპირდებიან გილა- ზმნისწინს, რომელიც ზმნიზედის ან წინადადებაში სპეციალური ლოკატიური ბრუნვის ნიშნით გაფორმებული წევრის გარეშე აღნიშნავს უმისამართო მოძრაობას, ხეტიალს: შდრ. მე-ურს „მიდის“, მო-ურს „მოდის“, მაგრამ გილ-ურს „აქეთ-იქით დადის, დაეხეტება“ (ქობალავა 2014).

[1] მეგრულში სმის აღმნიშვნელი ზმნური ფუძეები სემანტიკურად ნაკლებად გუობენ გილა- ზმნისწინს, უფრო მეტად გე- ზმნისწინთან ერთად გვხვდება: გე-დაცუნს „სულმოუთქმელად დალევს“, გე-ღუზუნს „ბევრს დალევს“, გე-ხუხუნს „გადაჭკრავს“, გე-ხუპუნს „შეწრუპავს“ და სხვა.

[2] მეგრ. მასდარი - ყაყუა - თანაბრად აღნიშნავს სმისა და ჭამის მნიშვნელობებს; ზმნურ ფორმას კონკრეტულ მნიშვნელობას ზმნისწინი ანიჭებს: დო-ყაყუ, დო-შაშუ „ბევრი შეჭამა“, *დო-იყაყუ > დი-იყაყუ, „ბევრი დალია, გაიჭყიპა = დათვრა, გე-ყაყუ - ბევრი დალია.

ლ ა ზ უ რ შ ი ამგვარი სემანტიკის ზმნისწინიანი ზმნური ფორმების ორგანული წარმოება არ დასტურდება. სიარულის თანმხლები მოქმედება გადმოიცემა აღწერითად, თუმცა, როგორც ჩანს, ლაზურში ამ მოვლენას სისტემური სახე არა აქვს, რადგან ვერ ეხამება მეგრულის მონაცემებს და, შესაბამისად, რაოდენობრივადაც ვერ უტოლდება; სხვადასხვა ინფორმატორი სხვადასხვანაირად აღწერს ამგვარ „ორმაგ“ მოქმედებას; უფრო მეტიც, შეიძლება ერთისთვის საერთოდ არ იყოს ბუნებრივი და მეორემ, შესაძლებელია, თუნდაც აღწერითად გადმოსცეს იგი. მაგალითები:

(1) მეგრ. *მერაქვალანს* - "მიდის და ჩხუბობს ხმამაღლა" - ლაზ. *ოკობუთენ ნულუნ. ნულუნ დო ზოი ხომათენ ოკობუნ* (ინფ.); *ოკოკიდერ–ოკოკიდერ ნულუნ. ჰემ ნულუნ დო ჰემ ოკობუნ* „ჩხუბით მიდის – მიდის და თან ჩხუბობს ხმამაღლა (ინფ.);

(2) მეგრ. *მეტუტინუნს* - „მიდის და ტიტინებს“ - ცალკეული ინფორმატორის ცნობით, ლაზურში არ დასტურდება; ზოგიერთი აღწერითად გადმოსცემს: *ღაღალერ–ღაღალერ ნულუნ (ბარბალეი ნულუნ)* ტიტინებს და ისე მიდის ანუ სიტყვასიტყვით – *მიტიტინებს (ინფ.);

(3) მეგრ. *მეჭყიანს* - "მიდის და ჭყივის"- ლაზ. *ოჭყიუთენ ნულუნ. ნულუნ დო ჭყიუფს - ჭყივილით მიდის,* ე. ი. "მიდის და თან ჭყივის" (ინფ.); *ჭყვიელ–ჭყვიელი ნულუნ* -„ჭყივილ-ჭყივილით მიდის“ (ინფ.);

(4) მეგრ. *მეწიანს* - "მიდის და წივის" - ლაზ. *ოწიუთენ ნულუნ. ნულუნ დო წიუფს* (ინფ.); წივილით მიდის, ე. ი. "მიდის და თან წივის". *წიელ–წიელი ნულუნ. ჰემ ნულუნ დო ჰემ წიაფს* (ინფ.).

ზმნისწინით წარმოქმნილი მოძრაობის ლექსიკა სვანურში

როგორც აღინიშნა, ფონოსემანტიკური ლექსიკა ზმნისწინისა და ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის მიმართების თვალსაზრისით მეტად საინტერესო თავისებურებას ავლენს. ეს თავისებურება კი განპირობებულია, ძირითადად, აწმყოში ზმნისწინის დართვით, რომელსაც შემოაქვს როგორც სიარულის, ისე ყურებისა და ლაპარაკის სემანტიკა. სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ე. წ. უმიზნო მოძრაობის (გადაადგილების) _ დახეტიალობს, დაბორიალობს, დაბანცალობს, დაბლაყუნობს, დათარეშობს, დაღიღინებს, დაბზუის და ა. შ. აღმნიშვნელ ზმნებზე, რომლებიც ყურადღებას იქცევენ იმის მიხედვით, თუ როგორ გამოხატავენ ისინი მოძრაობას, კერძოდ, რა სახის მოძრაობა (მაგ.: უსაქმო, უთავბოლო, ზანტი მოძრაობა, ბორიალი...) სრულდება, როგორ სრულდება და როგორია მთქმელის დამოკიდებულება მოძრავი საგნის მიმართ (ქურდაძე 2011:27). ქართულში ამგვარ ზმნებს მეტწილად და-ზმნისწინი დაერთვით (ა. შანიძე, დ. მელიქიშვილი, ნ. ჭუმბურიძე...), ხოლო მეგრულში მე-, მი-, გილა/გილე ზმნისწინები (ი. ქობალავა).

სვანურში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მსგავსი სემანტიკის (ანუ უმიზნო მოძრაობის მანერის აღმნიშვნელი) ზმნები ზმნისწინის დართვას არ საჭიროებენ (ჭკა„დუა 2015:233), მათი სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

პირის ნიშანი + ი ხმოვან-პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + -ელ/-ურ/ -ულ ელემენტები + Ǝლ/-იƎლ სუფიქსი (იქვე).

ი- პრეფიქსი მოძრაობის მანერის აღმნიშვნელ ზმნებში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად (შდრ. ქართ. *ი-გრიხება, ი-ზლაზნება, ი-კვანწება, ი-არება, ი-ბღოტება, ი-ბრიქება, ი-ღვედება, ი-ბობღება, ი-კვლანწება, ი-მანჭება..., მეგრ. ი-სერგელუნ, ი-ძვაძვალუნ, ი-დირგონუნ, ი-ფაჟვალუნ, ი-ხერკელუნ...),* განსაკუთრებით ხშირად დასტურდება სვანურშიც (მაგ.*: ი-დიდანალ, ი-კიკანალ, ი-კუნკუ̈ლ, ი-ბრიჯანალ, ი-თიგანალ, ი-ბანდუნალ, ი-ბგრცანალ, ი-ხგრკანალ, ი-სირგლაუ̈ალ, ი-ფამფუნ̈ლ, ი-გრანგალ, ი-თგრანლ̈/ი-თგრანალ, ი-ბზენკულლ̈, ი-შ̈ნგუნლ̈...).* ამ ჯგუფის ზმნათა სემანტიკა სუბიექტის გარდა სხვა პირის გაგებას არ შეიცავს, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო საგრძნობია უკუქცევითობა (ღვინაძე 1989:25).

საანალიზო ზმნათა ძირითად მნიშვნელობას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, უნდა წარმოადგენდეს სუბიექტის მოძრაობის გამოხატვა, რომელიც უმიზნო მოქმედების პროცესშია, თუმცა ის გადაადგილდება და ამ გადაადგილებას მრავალგზისობისა და ინტენსიურობის ელფერი ახლავს. შესაძლოა ისიც, რომ ამ სტრუქტურული მოდელით გადმოიცეს ზოგადი, სუბიექტისათვის დამახასიათებელი მოძრაობის მანერა და არა პროცესი, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე, მაგ.: კაუ̈ქა იბანდუნ̈ლ "ეზოში დაბოდიალობს", მაგრამ ნამჩოშ̈ ქა უ̈ედდ გარ იბანდუნ̈ლ "სიბერისგან ძლივს დადის, დაბოდიალობს" და ა. შ. (ჭკადუა 2015:233-234).

ცხადია, მსგავსი მაგალითების მოხმობა სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით უხვად შეიძლება და, როგორც ზემოთ წარმოდგენილი აწმყოს მოდელების განხილვისას გამო-ჩნდა, *ი-* პრეფიქსი მოძრაობის მანერის გამომხატველი ზმნების გარდა, ასევე, დასტურდება ჭამის, საუბრის, ყურებისა და ლაპარაკის აღმნიშვნელ ზმნებშიც (იხ. ქვემოთ!).

სპეციალურ ლიტერატურაში სემანტიკურად ახლოს მდგომი, უმიზნო მოძრაობის (ან "გამიზნული უმოქმედობის") აღმნიშვნელი ზმნები ემოციური ელფერის მიხედვით დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად (ჭკადუა 2015: 234-235):

1. მოძრავი საგნის (სუბიექტის) გარეგნული ნიშნების მიხედვით დახასიათება

ი-კოჩ-ა̈ლ (ბზ.) „მაღალი კაცი დაიარება"

ი-სირგლაუ̈-ალ (ბქ.), ი-სგრგლაუ̈-ალ (ლნტ.) „მაღალი და სუსტი ადამიანი ბორძიკით დადის"

ი-დრ̃ნდ-ა̈ლ (ბზ.), ი-დონდ-ალ (ბქ.) „მსუქანი ადამიანი ზანტად დაიარება"

ი-კუ̈ნკუ̈-ა̈ლ (ბზ.) „პატარა ტანის ადამიანი მოკუნტული დადის"

ი-ბონჯღ-ა̃ლ (ლშხ., ჩოლ.) „გამხდარი, პატარა კაცი ძლივს დადის"

ი-ბგჯღან-ა/ა̈ლ (ლნტ.) „მსუქანი ადამიანი ფეხებმოგრეხილი უშნოდ დადის"

ი-ბზენკულ-ა̃ლ (ბზ.) „წელში მოხრილი დადის"

ი-ზონკალ (ბქ.) „იკაკვება, იკუზება, წელში მოხრილი დადის"

ი-ფამფუნ-ალ (ბქ.) „დიდი აღნაგობის ადამიანი უხეშად, ფომფლედ დადის, საქმიანობს"

ი-შ̃ნგუნ-ა̈ლ (ბზ.) „მაღალი ადამიანი გრძელი ნაბიჯებით დადის"

ი-სრგან-ა̃ლ (ჩოლ.) „გამხდარი, გაჩხიკინებული ადამიანი ამაყად დადის"

ი-ცა̃ნგუნ-ა̈ლ (ბზ.), ი-ცანგუნ-ა/ა̈ლ (ბქ.) „დაცუნცულებს (ბავშვი და ტანად პატარა)"...

2. სუბიექტის ჩაცმულობაზე მითითება

ი-ფრინქ-იელ (ჩოლ.) „გაღეღილი ტანსაცმლით დადის”

ი-შყიმბოლ-ჴლ (ბზ.) „უქუდოდ დაიარება”

ი-ტყინგლაუ̈-ალ (ბქ.), იტყგან-ა/ჴალ (ლნტ.) „შილიფად ჩაცმული დადის”

ი-ჩანთხუნ-ალ (ბქ., ლნტ.) „დიდი ზომის ფეხსაცმლით დადის”

ი-გუ̈ირან-ალ (ბქ.) „უქუდოდ, უთავსაფროდ დადის”

ი-ბლიშან-ჴალ (ბქ.) „მოუწესრიგებელი ტანსაცმლით დადის”

ი-თურიჩან-ალ (ბქ.) „მეტისმეტად გრძელი ტანსაცმლით დადის”

ი-ქრნქი-ჴალ (ჩოლ.) „შიშველი ფეხებით ძლივს დადის”

ი-ფლგჩან-ჴალ (ლხმ.) „რბილი ფეხსაცმლით დაიარება”...

3. სუბიექტისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გადმომცემი ლექსემები

ი-თგრან-ჴლ (ბზ.), ი-თგრან-ალ (ბქ., ლნტ.), ი-თგრან-ჴლ (ლშხ., ჩოლ.) „დაეთრევა”

ი-ბლრ̃ყ-იელ (ლშხ., ჩოლ.) „უსაქმოდ დაყურყუტებს”

ი-ბრგტყ-ან-ჴლ (ჩოლ.) „უშნოდ დაიარება”

ი-გრანგ-ალ (ბქ.) „დაეთრევა, დახეტიალობს”

ი-გუ̈რემფ-იელ (ჩოლ.) „კარდაკარ დადის უსაქმურად”

ი-კუ̈არუნ-ჴლ (ბზ.), ი-კუ̈არუნ-ალ (ბქ., ლნტ.), ი-კუ̈არუნ-ჴლ (ლშხ., ჩოლ.) „დაეთრევა, დახეტიალობს”

ი-შყრაგ-ალ (ბქ.) „დაეთრევა, დახეტიალობს; უსაქმუროობს”

ი-ძანძ-უნ-ჴლ (ლხმ.) „დაძონძაობს”...

4. სუბიექტისადმი სიბრალულის, თანაგრძნობის გამოხატვა

ი-ჭგდ-ან-ჴლ (ბზ.), ი-ჭგდან-ა/ჴალ (ლნტ.) „კედელ-კედელ ძლივს დაიარება”

ი-ზგსდ-ან-ალ (ბქ.) „ხან სად წამოწვება და ხან სად”

ი-ბულ-ალ (ბქ.) „ძლივს დადის, დაბობღავს”

ი-ჭრრტ-ჴლ (ლშხ., ჩოლ.) „სიგამხდრისგან ძლივს დადის”

ი-ჰორყ-ალ (ბქ.) „მეტისმეტი სიგამხდრისგან ძლივს დადის (მაგ. საქონელი)”

ი-ჩხორკ-ალ (ბქ.) „მეტისმეტი სიგამხდრისგან ძლივს დადის”

ი-ჰამბუნ-ალ (ბქ.) „ავადმყოფობისაგან დაუძლურებული ძლივს დადის”

ი-ბრც-ჴლ (ლშხ., ჩოლ.) „ნელა, საცოდავად დადის”

ი-ყოყაუ̈-ჴლ (ლშხ., ჩოლ.) „ბევრი სიარულისაგან ძლივს დაათრევს ფეხებს”...[1]

ამ ზმნური ლექსემების საერთო მახასიათებელს უნდა წარმოადგენდეს მოძრაობა-გადაადგილების შინაარსი, ხოლო მადიფერენცირებელს _ მოძრავი სუბიექტის დახასიათება და მოლაპარაკის ემოციური დამოკიდებულება სუბიექტისადმი (იქვე).

სვანურ მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც მოძრაობა-გადაადგილების (და არა მხოლოდ

[1]ვინაიდან მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკური აღწერა მანერის მიხედვით დიდძალ მასალას მოიცავს სვანურში, აქედან გამომდინარე შევეცადეთ მაქსიმალურად შეგვევსო ზემოთ აღნიშნული ჯგუფები სვანურის დიალექტური მონაცემებით.

მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი, არამედ ფიზიონომიის, ყურება/ხედვის, საუბრის და ა. შ.) ზმნები მარტივ ეს-/ას- (ე-, ო- და ა-), ად-/ათ- (ალომორფები: ა̈-(ე-), ო-, ა-, ა̈თ-(ეთ-), ოთ-, ათ-, ა̈დ-(ედ-), ად-), ან- (ალომორფები: ა-, ა̈- (ე-), ო-, ან-, ა̈ნ- (ენ-), ონ-) და ლა-(ალომორფები: ლა-, ლა̈-, ლა̄-, ლა̈̄-, ლო-, ლო̈-, ლე-) ზმნისწინთა დართვით აწარმოებენ აწმყოს ფორმებს (აგრეთვე, მყოფადის, წყვეტილისა და მესამე სერიის ფორმებსაც კი). ამ ზმნისწინებს კი შემოაქვთ როგორც სიარულის, ისე ყურებისა და ლაპარაკის სემანტიკა.

ხშირად ერთი და იგივე სემანტიკის ზმნა აწმყოში ერთდროულად ასახავს ადამიანის (ქალის, კაცის, ბავშვის, მოხუცის) ფიზიონომიას + (დგომა-)ყურებას და + სიარულის მანერას (მაგალითები იხ. ზემოთ!) ანუ ერთ ზმნაში არის ასახული როგორც მანერულობა, ასევე ფიზიონომიაც. ცხადია, მთავარი ამ შემთხვევაში ფიზიონომიის გამომხატველი პირველადი მასდარია (ანუ ძირითადი სემანტიკური ბირთვი), რომელსაც ი- პრეფიქსის დართვა ყურების/ხედვის სემანტიკას ანიჭებს, ეს-/ას ზმნისწინის დართვით კი შეუძლია სიარულის მნიშვნელობაც მიენიჭოს; ზოგჯერ კი, შესაძლოა, დაემატოს ადამიანის ქცევისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანიც (მაგ.: ცუღლუტობა, კაპასობა, *ბუტიაობა...*). აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ აწმყოში ფორმისა და შინაარსის მიხედვით განსხვავებული სამნაირი და ორნაირი ფორმა დასტურდება, რომელთათვისაც ამოსავალი (ანუ საყრდენი) ძირი ერთია, თუმცა ფორმათა ერთ ნაწილს საფუძვლად უდევს მარტივი, ე. წ. შიშველი ფუძეები (ყუ̈იბ, ბიყუ̈, მიჩუ̈, გუ̈ირ, პრიტ, კიკ, ბიჩხ...), ხოლო მეორე ნაწილს ლი- პრეფიქსით ნაწარმოები მასდარები (ლი-შიუ̈ანალ, ლი-შუ̈ირანალ, ლი-სირგლაუ̈ალ, ლი-ცინგლაუ̈ალ, *ლი-დიდანალ...*).

აწმყოს სამივე ფორმისათვის სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახისაა:

1. ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი), 2. ი- პრეფიქსიანი აწმყოს ფორმა, 3. ეს-ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა

ყუ̈იბ „დგას, ჩანს დიდთავა კაცი" _ ი-ყუ̈იბანალ „დგას, იყურება დიდთავა კაცი" _ ეს-ყუ̈იბანალ „მიდის დიდთავა კაცი"

ბიყუ̈ „დგას, ჩანს ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული" _ ი-ბიყუ̈ანალ „ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული იყურება" _ ეს-ბიყუ̈ანალ „ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული მიდის"

მიჩუ̈ „უშნო სახის მამაკაცი დგას, ჩანს" _ ი-მიჩუ̈ანალ „უშნო სახის მამაკაცი იყურება" _ ეს-მიჩუ̈ანალ „უშნო სახის მამაკაცი მიდის"

გუ̈ირ „თავშიშველი კაცი ან ქალი დგას, ჩანს" _ ი-გუ̈ირანალ „თავშიშველი კაცი ან ქალი იყურება, დგას" _ ეს-გუ̈ირანალ _ „თავშიშველი კაცი ან ქალი მიდის"

პრიტ „დიდყურება ბიჭი დგას, ჩანს" _ ი-პრიტანალ „დიდყურება ბიჭი იყურება, დგას; ცუღლუტობს" _ ეს-პრიტანალ „დიდყურება ბიჭი მიდის, მიცუღლუტობს"

გლიბ „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ დგას, ჩანს" _ ი-გლა̄მბუნა̄ლ „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ იყურება" _ ეს-გლა̄მბუნა̄ლ-ი „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ მიდის"

კიკ „ახალგაზრდა გამხდარი გოგო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად დგას, ჩანს" _ ი-კიკანალ ახალგაზრდა გამხდარი გოგო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად დგას, დადის" _ ეს-კიკანალ „ახალგაზრდა გამხდარი გოგო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად მიდის, მიკაკუნობს"

ბიჩხ „გაფარჩხულად, უშნოდ დგას, ჩანს" _ ი-ბიჩხანალ „გაფარჩხულად, უშნოდ დადის" _ ეს-ბიჩხანალ „გაფარჩხულად, უშნოდ მიაბოტებს" და ა. შ.,

თუმცა ი- პრეფიქსიან და ეს- ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა უმეტესობას მარტივი, ე. წ. შიშველი ფუძეები არ ეწარმოება, სტრუქტურულად კი ასეთი სახით წარმოგვიდგებიან: 1. ი- პრეფიქსიანი აწმყოს ფორმა, 2. ეს- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა

ი-შიუანალ „შავთვალწარბა უშნო სახის მამაკაცი გაბრაზებული იყურება” _ ეს-შიუანალ „შავთვალწარბა უშნო სახის მამაკაცი გაბრაზებული მიდის”

ი-შუირანალ „ელამი, უშნოთვალება ადამიანი გაბრაზებული იყურება” _ *ეს-შუირანალ* „ელამი, უშნოთვალება ადამიანი გაბრაზებული მიდის”

ი-ციწგლაუალ „გამხდარი, პატარა ტანის ახალგაზრდა გოგო დადის” _ *ეს-ციწგლაუალ* „გამხდარი, პატარა ტანის ახალგაზრდა გოგო მიდის”

ი-დიდანალ „მედიდურად დადის, დგას, იყურება; მედიდურობს” _ *ეს-დიდანალ* „მედიდურად მიდის; *მიდიდურობს”

ი-ბანჯღუნალ „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ დადის, დაბაჯბაჯებს” _ *ეს-ბანჯღუნალ-ი* „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ მიდის, მიბაჯბაჯებს”

ი-სირგლაუალ „უმიზნოდ, უშნოდ, ფეხების ბანცალით დადის” _ *ეს-სირგლაუალ* „უმიზნოდ, უშნოდ, ფეხების ბანცალით მიდის”

ი-ბრანჩხუნალ „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალი უშნოდ დადის, დაბაჯბაჯებს” _ *ეს-ბრანჩხუნალ-ი* „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალი უშნოდ მიდის, მიბაჯბაჯებს”

ი-პიტყანალ „გამხდარი გოგო ან ბიჭი ცანცარებს, ცუდად იქცევა” _ *ეს-პგტყანალ* „გამხდარი გოგო ან ბიჭი მიცანცარებს”

ი-ბლანყუნალ „მსუქანი, ზონზროხა კაცი დიდი ნაბიჯებით დადის, დაბლაყუნობს” _ *ეს-ბლანყუნალ-ი* „მსუქანი, ზონზროხა კაცი დიდი ნაბიჯებით მიდის, მიბლაყუნობს”

ი-დანდუნალ „მსუქანი ქალი ან კაცი მოძრაობს; ზონზროხობს” _ *ეს-დანდუნალ* „მსუქანი ქალი ან კაცი მიდის; მიზონზროხებს”

ი-განგუნალ „მოზრდილი ტანის[1], მაღალი და უშნო ადამიანი დადის, დაგანგალობს” _ *ეს-განგუნალ-ი* „მოზრდილი ტანის, მაღალი და უშნო ადამიანი მიდის, მიგანგალობს”

ი-პგტყანალ „გამხდარი გოგო ან ბიჭი ცანცარებს, ცუდად იქცევა” _ ეს-პგტყანე „გამხდარი, ფეხშიშველა გოგო ან ბიჭი მიდის ცანცარით; მიცანცარებს”

ი-პგჭყანალ „მეტისმეტად გამხდარი გოგო ფეხების პარჭყვით დადის” _ *ეს-პგჭყანე* „მეტისმეტად გამხდარი გოგო ფეხების პარჭყვით მიდის; მიიპარჭყება”

ი-ღგრღანალ „დიდმუცელა პატარა ბიჭი დადის, დაგორავს” _ *ეს-ღგრღიალ-ი* „დიდმუცელა პატარა ბიჭი მიდის; მიგორავს”

ი-ღურღუანალ „ჩუხჩუხებს” _ *ეს-ღურღუიალ-ი* „მიჩუხჩუხებს”

ი-ყგრყანალ „დიდმუცელა პატარა ბიჭი ბლაყუნით დადის” _ *ეს-ყგრყიალ-ი* „დიდმუცელა პატარა ბიჭი ბლაყუნით მიდის; მიბლაყუნობს”

ი-ყანყუნალ „მოზრდილი კაცი ჩქარა, მაგრამ მოშვებით, ფომფლედ დადის” _ *ეს-ყანყალი/ეს-ყანყუნალ-ი* (ჩოლ.) „მოზრდილი კაცი სწრაფად, მაგრამ მოშვებით, ფომფლედ მიდის”

ი-ძანძუნალ „გამხდარი ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით დადის; დაძონძაობს” _ *ეს-ძანძალი/ეს-ძანძუნალ-ი* „გამხდარი ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით მიდის; მიძონძაობს”

ი-წანწუნალ „დაწანწალობს” _ *ეს-წანწალი* „მიწანწალებს”

[1] მეტისმეტად გამხდარი ადამიანის სიარულზეც ამბობენ.

ი-ჭგჭანწლ „პატარა ბიჭი უშნოდ მიდის; მიიგრიხება” _ *ეს-ჭგჭანე* „პატარა ბიჭი მიდის”
ი-ჭგრჭგნწლ „კოხტად, მაგრამ ხმაურით, ჭრიალით დადის” _ *ეს-ჭგრჭიალი* (ჩოლ.) „კოხტად, მაგრამ ხმაურით, ჭრიალით მიდის; მიჭრიალებს” და მრავ. სხვ.[1]

ას- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები დადასტურდა ლენტეხურშიც, თუმცა ისინი სისტემას არ ქმნიან:

ას-განჯღუნწალ-ი (შდრ. *ი-განჯღუნწალ* „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ დადის, დაბაჯბაჯებს”) „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ მიდის, მიბაჯბაჯებს”
ას-განგუნწალ-ი (შდრ. *ი-განგუნწალ* „მოზრდილი ტანის, მაღალი და უშნო ადამიანი დადის, დაგანგალობს“) „მოზრდილი ტანის, მაღალი და უშნო ადამიანი მიდის, მიგანგალობს”
ას-პგტყანწალ-ი (შდრ. *ი-პგტყანწალ* „დაცანცარებს, დაპარტყუნობს ბავშვი ან გამხდარი ქალი”) „მიცანცარებს, მიპარტყუნობს ბავშვი ან გამხდარი ქალი”
ას-ძანძწალ-ი (შდრ. *ი-ძანძუნწალ* „დაძუნძულებს; დაძონძაობს”) „მიძუნძულებს; მიძონძაობს”
ას-ღურღუჲწალ-ი (შდრ. *ი-ღურღუჲელ* „ჩუხჩუხებს წყალი”) „მიჩუხჩუხებს წყალი”...

ქვემოსვანურ დიალექტებს უჭირთ *პირველადი (ე. წ. შიშველი) ფუძეების* წარმოება, რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურ დიალექტებზე, მითუმეტეს ბალსქვემოურზე, სადაც პირველადი მასდარები დიდი რაოდენობით დასტურდება. ამასთანავე, ლენტეხურს უჭირს ზმნისწინიანი აწმყოს ფორმების წარმოება, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აწარმოებს.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურ დიალექტებს შორის, წარმოების თვალსაზრისით, განსხვავებული სურათი იხატება (ვგულისხმობთ ზემოთ დასახელებულ ფორმებს), კერძოდ, *ი-* პრეფიქსიანი ფორმები *-ეს* ზმნისწინის დართვისას ბალსქვემოურში აწმყოს ფუძის მაწარმოებელ ამა თუ იმ სუფიქსს არ დაირთავენ (შდრ. ერთი მხრივ, *ი-პიტყანალ, ი-დანდუნალ, ი-სირგლაუალ...* და, მეორე მხრივ, *ეს-პგტყანალ, ეს-დანდუნალ, ეს-სირგლაუალ...*), ლაშხურ-ჩოლურულში (+ ლენტეხურში) კი ყველა ზმნისწინიან ფორმაში *-ი* ან *-ე* სუფიქსი დასტურდება (*ეს-ღურღუიალ-ი, ეს-წანწალ-ი, ას-ძანძალ-ი, ეს-პგჭყან-ე, ეს-პგტყან-ე...)*, თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, *-უნ/-უნ* და *-ინ/-ინ* სუფიქსიანი *ლაპარაკისა* და *სიცილის* აღმნიშვნელი აწმყოს ფორმები (*ბურყუნ-ი, ტგრტნ-ი, ჭგრჭკნ-ი, გგრჰნ-ი, კგრკნ-ი, თგრტნ-ი* და ა. შ.) ბალსქვემოურში *-ეს* ზმნისწინის დართვისას, ქვემოსვანური დიალექტების მსგავსად, აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსს დაირთავენ, თუმცა ეს სუფიქსიც განსხვავეუბლია (ბალსქვემოური *-ი-*ს დაირთავს, ქვემო სვანური დიალექტები კი _ *ე-*ს). მაგ.:

ლაპარაკი + სიარული:

ბურყუნ „ბურტყუნი, ბუტბუტი” _ *ბურყუნ-ი* „ბურტყუნებს, ბუტბუტებს” _ *ეს-ბურყუნ-ი* „მიბურტყუნობს, მიბუტბუტობს”, *ტგრტგნ* „რატრატი” _ *ტგრტნ-ი* „რატრატებს” _ *ეს-ტგრტგნ-ი* „მირატრატებს”, *ჭგრჭკგნ* „ჭიკჭიკი; ხმამაღალი ლაპარაკი” _ *ჭგრჭკნ-ი* „ჭიკჭიკებს; ხმამაღლა საუბრობს” _ *ეს-ჭგრჭკგნ-ი* „მიჭიკჭიკობს; ხმამაღლა მისაუბრობს”, *ჭგრჭგნ* „ჭრიჭინი; ბევრი საუბარი” _ *ჭგრჭნ-ი* „ჭრიჭინებს; ბევრს ლაპარაკობს” _ *ეს-ჭგრჭგნ-ი* „მიჭრიჭინობს, მისაუბრობს” (შდრ. ლშხ., ჩოლ. *ეს-ჭგრჭგნ-ე*, ლნტ. *ას-ჭგრჭგნ-ე*)...

[1]აღნიშნულ ზმნათა ზუსტი ქართული ეკვივალენტების მოძებნა მათი სემანტიკიდან გამომდინარე შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელი ხდება აღწერითად თარგმნა.

სიცილი + სიარული:

გვრჰვნ „ხმამაღალი სიცილი” _ *გვრჰნ-ი* „ხმამაღალა იცინის” _ *ეს-გვრჰვნ-ი* „მიდის იცინის ხმამაღლა” (შდრ. ლშხ., ჩოლ. *ეს-გვრხვნ-ე, ლნტ. ჲს-გვრხვნ-ე*)

კვრკვნ „კისკისი” _ *კვრკნ-ი* „კისკისებს” _ *ეს-კვრკვნ-ი* „მიკისკისობს” (შდრ. ლშხ., ჩოლ. *ეს-კვრკვნ-ე), თვრტვნ* „ფრუტუნი; ჩუმად, ფარულად ხითხითი” _ *თვრტნ-ი* „ფრუტუნებს; ჩუმად, ფარულად ხითხითებს” _ *ეს-თვრტვნ-ი* „მიფრუტუნობს; მიხითხითებს”... *ბურყუნ-ი, ტვრტნ-ი, ჭვრჭკნ-ი, ჭვრჭნ-ი...; გვრჰნ-ი, კვრკნ-ი, თვრტნ-ი...*

ამ ფორმებზე *-ეს* ზმნისწინის დართვას, როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან გამოჩნდა, შემოაქვს სიარულის მნიშვნელობა ანუ სემანტიკურად ეს ფორმები მიუთითებენ ისეთ სიარულზე, რომელსაც თან ახლავს, ერთი მხრივ, *ლაპარაკი*, მეორე მხრივ კი, *სიცილი*.

მოძრაობა-გადაადგილების მიმართულება შემოაქვს ასევე აწმყოს ფუძეზე *ან-/ჲნ-* ზმნისწინის დართვას. აქ, შესაძლოა, გამოიყოს რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

ყურება (პირისახის გამომეტყველება) + სიარული:

ჲნ-ჭუიფანალ „გაბრაზებული სახით მოდის” (შდრ. *ი-ჭუიფანალ* „გაბრაზებული სახით იყურება”), *ჲნ-გუირანალ* „თავშიშველი კაცი ან ქალი მოდის” (შდრ. *ი-გუირანალ* „თავშიშველია; უქუდოდ, უთავსაფროდ არის, იყურება”), *ჲნ-მიჩუანალ* „უშნო სახის მამაკაცი მოდის” (შდრ. *ი-მიჩუანალ* „უშნო სახის მამაკაცი იყურება”), *ან-გვლდვნე* „უშნო გარეგნობის, დონდლო მამაკაცი თავის კანტურით მოდის; მობლაყუნობს” (შდრ. *ა-გვლდვნ-ე* „უშნოდ აკანტურებს თავს”), *ჲნ-სხუირანალ* „დაბღვერილი მოდის” (შდრ. *ი-სხუირანალ* „იბღვირება”), *ჲნ-სხუიპანალ* „მოქნილი, მოხდენილი ახალგაზრდა ტანის რხევით და თვალ-წარბის შეჭმუხნით უტიფრად მოდის” (შდრ. *ი-სხუიპანალ* „იბღვირება, იჭმუხნება, მეტიჩროს...”), *ჲნ-ღურიმანალ* „უშნო პირისახის ადამიანი მოდის” (შდრ. *ი-ღურიმანალ* „იბღვირება, უშნო, ფართო სახის გამომეტყველებით იყურება”)...

გარეგნობა + მოძრაობა (+ ჩაცმულობა) + სიარული:

ან-ჩგლთხვნე „დიდი ზომის ფეხსაცმლით უშნოდ მოდის, მოჩრათუნობს” (შდრ. *ი-ჩანთხუნალ* „დიდი ზომის ფეხსაცმლით უშნოდ დადის, დაჩრათუნობს”), *ჲნ-კიკანალ* „მაღალქუსლიანებით, მეტიჩრულად მოდის, მოპაკუნობს” (შდრ. *ი-კიკანალ* „მაღალქუსლიანებით, მეტიჩრულად დადის, დაპაკუნობს, მოძრაობს”), *ჲნ-თურიჩანალ* „გრძელი კაბის თრევით მოდის” (შდრ. *ი-თურიჩანალ* „მეტისმეტად გრძელი კაბით დადის, მოძრაობს”)...

გარეგნობა + სიარული (+ ადგილზე მოძრაობა):

ჲნ-დანდუნალ „მოდანდალობს” (შდრ. *ი-დანდუნალ* „დანდალებს”), *ჲნ-ჩგრჩანალ*[1] „პატარა ბავში მოჩანჩალობს” (შდრ. *ი-ჩგრჩანალ* „პატარა ბავშვი დადის, დაჩანჩალებს”), *ჲნ-კულიზანე* „მეტიჩრულად, ტანის პრანჭვა-გრეხით მოდის” (შდრ. *ი-კულიზანალ* „მეტიჩრულად, ტანის პრანჭვა-გრეხით დადის; მოძრაობს”), *ჲნ-სირგლაუალ* „უშნოდ, ტანის გრეხით, თრევით მოდის” (შდრ. *ი-სირგლაუალ* „უშნოდ, ტანის გრეხით, თრევით დადის”), *ჲნ-პიჭყანალ*

[1] დასტურდება ლენტეხურშიც.

„მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი მოდის" (შდრ. *ი-პიჭყანალ* „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი დაიარება") და მრავ. სხვ.

ან- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები დადასტურდა ა. ლიპარტელიანის "სვანურ-ქართულ ლექსიკონშიც (ჩოლურული კილო)". ცხადია, სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფები აქაც გამოიყოფა:

გარეგნობა + მოძრაობა (+ ჩაცმულობა) + სიარული:

ან-ბანბ̃ლი „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი მოდის; გაცვეთილი ტანსაცმლით მოდის; ბანჯგვლიანი კაცი მოდის" (შდრ. *ბანბ̃ლ-ი/ბამბ̃ლ-ი* „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი დაძონძილი ტანსაცმლით დაიარება"), *ან-დანდ̃ალი* „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი მოდის; გაცვეთილი ტანსაცმლით მოდის; ბანჯგვლიანი კაცი მოდის" (შდრ. *დანდ̃ლ-ი* „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი დაძონძილი ტანსაცმლით დაიარება"), *ან-ბანძ̃ალი* „პატარა ტანის ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით მოდის" (შდრ. *ბანძ̃ლ-ი* „პატარა ტანის ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით დაიარება"), *ან-ბანჯღ̃ალი* „ფეხშიშველა პატარა ბიჭი ან კაცი ჩქარა მოდის" (შდრ. *ბანჯღ̃ლ-ი* "ფეხშიშველა პატარა ბიჭი ან კაცი ჩქარა დადის"), *ან-ჟგთხანე* „ცუდად ჩაცმული დიდი ტანის კაცი მოდის" (შდრ. *ჟანთხ̃ლ-ი* „ცუდად ჩაცმული დიდი ტანის კაცი დადის")...

გარეგნობა + სიარული:

ან-ბგრბიალი „მსუქანი ბიჭი (ან ბანჯგვლიანი მსუქანი ლეკვი) ჩქარა მოდის" (შდრ. *ბარბ̃ლ-ი* „მსუქანი ბიჭი (ან ბანჯგვლიანი მსუქანი ლეკვი) ჩქარა დადის"), *ან-ბგჯღანე* „პატარა ბიჭი ან პატარა აღნაგობის სუსტი კაცი მოდის" (შდრ. *ბანჯღ̃ლ-ი* „პატარა ბიჭი ან პატარა აღნაგობის სუსტი კაცი დაიარება"), *ან-გურგუ̃იალი* „მსუქანი ქალი მოდის, მოგორავს"[1], *ან-გოგაუ̃ი* „ქუსლებით მოდის; მოგოგმანებს" (შდრ. *გოგაუ̃-ი* „ქუსლებით დადის; დაგოგმანებს"), *ან-დგრიალი* „მსუქანი ქალი (ან ძროხა) მოდის დარდიმანდულად" (შდრ. *ი-დგრანბ̃ლ* „მსუქანი ქალი (ან ძროხა) დადის დარდიმანდულად")[2], *ან-კურკუ̃იალი* „ოხტა, მარჯვე ბიჭი მოდის" (შდრ. *ი-კურკუ̃ანბ̃ლ* „კოხტა, მარჯვე ბიჭი დადის"), *ან-კუკუ̃ანე* „ახალგაზრდა ლამაზი ბიჭი ან ქალი მოდის" (შდრ. *ი-კუკუ̃ანბ̃ლ* „ახალგაზრდა ლამაზი ბიჭი ან ქალი დადის"), *ან-პანპ̃ალი* „მოუქნელი, მაღალი, ახალგაზრდა (ბიჭი ან გოგო) უაზროდ, უდარდელად მოდის" (შდრ. *პანპ̃ლ-ი*[3] „მოუქნელი, მაღალი, ახალგაზრდა (ბიჭი ან გოგო) უაზროდ, უდარდელად დადის"), *ან-პგჭყანე*[4] „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი მოდის" (შდრ. *ი-პგჭყანბ̃ლ* „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი დადის; *დაპარჭყაობს"), *ან-პგყანე* „პატარა კაცი ამაყად მოდის; პატარა ბიჭი უფროსი მამაკაცივით მოდის" (შდრ. *ი-პგყანბ̃ლ* „პატარა კაცი ამაყად დადის; პატარა ბიჭი უფროსი მამაკაცივით დადის"), *ან-პუჭანე* „პატარა ტანის ქალი სახემოჭმუხნული მოდის" (შდრ. *ი-პუჭანბ̃ლ* „პატარა ტანის ქალი სახემოჭმუხნული დადის")[5] და ა. შ.

[1] აწმყოს სხვა ფორმა არ ეწარმოება.
[2] აქვს სხვა მნიშვნელობაც, მაგ., „წველისას რძე მოდის თქრიალით, შხრიალით".
[3] მსუქან ხორცზეც ამბობენ, მაგ., *ლელუ̃ ეშ პანპ̃ალი* „ხორცი თანთალებს".
[4] შდრ. ლნტ. *ან-პგჭყან-ე* და *ან-პგჭყანალ-ი* „მოიპარჭყება".
[5] *სახის გამომეტყველება + სიარული.*

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან გამოჩნდა, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების მანერა უკავშირდება *ადამიანის* (ან *ცხოველის*) ამა თუ იმ ორგანოს (*ნაბიჯს, კიდურებს, სახის ნაკვთებს* და მისთ.), თუმცა ძალზე ხშირად მოძრაობის გამომხატველი ზმნები *უსაქმო, უთავბოლო, ზანტ მოძრაობას, ბორიალსაც* აღნიშნავენ, და, ასევე, აქცენტი კეთდება ადამიანის *ჩაცმულობაზეც*.

რაც შეეხება *წყლის* (ან ზოგადად *სითხის*) დინების აღმნიშვნელ ზმნებს, რომელთა მოძრაობა გარკვეულ ხმიანობასთან არის დაკავშირებული, მათ ან- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმების გარდა, სხვა ფორმები არ უდასტურდებათ:

> *ან-გგრიალი* „გრიალით მოდის (მაგ., ღელე)", *ან-ჩხგფნე* „მოჩქეფს, მოჩუხჩუხებს", *ან-სკურნე* „მორაკრაკებს", *ან-წყგგნე* „მოწანწკარებს", *ან-თქგშნე* „ძლიერი თქეშით მოდის", *ან-თქგრნე* „მოთქრიალებს, ასხამს (წყალი ან სისხლი)", *ან-სხგლინე* „მოთქრიალებს (წყალი ან სისხლი)", *ან-დგგრნე* „მოთქრიალებს (სისხლი ან ტალახიანი წყალი)" და ა. შ.

თუმცა იშვიათად შესაძლოა *ეს-* ზმნისწინიანი ფორმებიც დაფიქსირდეს, მაგ.: *ეს-ჩხგფნე* „მოჩქეფს, მოჩუხჩუხებს", *ეს-თქგრნე* „მითქრიალებს", *ეს-თქგშნე* „მიჩქეფს, თქეშით მიდის"...

ეს-/ას- და *ან-/ან-* ზმნისწინიანმა მოძრაობის აღმნიშვნელმა ზმნებმა შესაძლებელია გვიჩვენოს ადამიანის (ან ზოგადად მოძრავი საგნის) მოძრაობის ინტენსივობა მისი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე:

> *ეს-სირგლაჟალ* „უმიზნოდ, უშნოდ, ფეხების ბანცალით მიდის"; *ეს-გგრცანალ* „მიბანცალებს"; *ეს-სორმალ* "მილასლასებს"; *ეს-წანწალ-ი* „მიწანწალებს"; *ეს-ჩხორკალ* „მილასლასებს მეტისმეტად გამხდარი ადამიანი"; ეს-დანდუნალ „მიდანდალებს"; *ან-დანდუნალ* „მოდანდალობს"; *ან-ჩგრჩანალ* „პატარა ბავში მოჩანჩალობს"; *ან-კუკუნე* „ახალგაზრდა ლამაზი ბიჭი ან ქალი მოხდენილად მოდის" და ა. შ.

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც (*ეს-/ას-* და *ან-/ან-*) ზმნისწინებს ახალი სემანტიკური ნიუანსი შემოაქვთ (ანუ გამოხატავენ მიმართულ მოძრაობას: *იქით* ან *აქეთ*). ამ ზმნისწინებს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვთ და არა გრამატიკული. ცხადია, ამ მოვლენას სვანურში არქაიზმად ვერ ჩავთვლით, ის უფრო ინოვაციის ელფერს ატარებს.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, საანალიზო ლექსიკურ ერთეულებს ეწარმოებათ მეორე სერიის, კერძოდ, წყვეტილის ფორმებიც, სადაც ინარჩუნებენ მათ თავდაპირველ, ძირითად მნიშვნელობას, კერძოდ, *ყურების*/ხედვის *(გამოჩენის)* სემანტიკას, თუმცა საგრძნობლად ჭირს ქართულად ზუსტი სემანტიკის გადმოცემა. მაგ.:

ეს-ყუბანალ-ე | ე/ად-ყუბანალ-ე | ლე-ა-ყუბანალ-ე „დიდთავა კაცი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წაიდიდთავა)", მაგრამ *ან/ენ-ყუბანალ-ე | ან/ენ-ყუბანალ-დ-ა* „დიდთავა კაცი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წამოიდიდთავა, *წამოიმართა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)", ამ შემთხვევაში უკვე *ან-/ენ-* ზმნისწინს გამოჩენასთან ერთად *სიარულის სემანტიკაც* შემოაქვს.

ეს-ბიყუანალ-ე|ე/ად-ბიყუანალ-ე|ლე-ა-ბიყუანალ-ე „ლოყებბუთხუზა ბიჭი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წაიბუტა, *წაიბუთხუზა)", მაგრამ *ან/ენ-ბიყუანალ-ე | ან/ენ-ბიყუანალ-დ-ა* „ლოყებბუთხუზა ბიჭი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წამოიბუტა, *წამოიბუთხუზა ანუ

ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)“, *ჳნ-/ენ-* ზმნისწინს გამოჩენასთან ერთად სიარულის სემანტიკაც შემოაქვს.

ეს-მიჩუანალ-ე | ე/ჳდ-მიჩუანალ-ე | ლჳ/ლე-ჲ-მიჩუანალ-ე „უშნო სახის მამაკაცი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წაიუშნოვა)”, მაგრამ *ჳნ/ენ-მიჩუანალ-ე | ჳნ/ენ-მიჩუანალ-დ-ა* „უშნო სახის მამაკაცი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წამოუშნოვდა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)”, *ჳნ-/ენ-* ზმნისწინს აქაც შემოაქვს უშნო პირისახის მამაკაცის სიარულის სემანტიკა.

ეს-შუირანალ-ე | ე/ჳდ-შუირანალ-ე | ლჳ/ლე-ჲ-შუირანალ-ე „ელამი, უშნო თვალებით გაბრაზებული გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წაიელამა)”, მაგრამ *ჳნ/ენ-შუირანალ-ე | ჳნ/ენ-შუირანალ-დ-ა* „ელამი, უშნო თვალებით გაბრაზებული გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წაიელამა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)”, ცხადია, *ჳნ-/ენ-* ზმნისწინს აქაც სიარულის სემანტიკა შემოაქვს ადამიანის გარეგნული მახასიათებლების შენარჩუნებით.

ეს-შიუანალ-ე | ე/ჳდ-შიუანალ-ე | ლჳ/ლე-ჲ-შუინალ-ე „შავთვალწარბა, უშნო პირისახის ადამიანი გამოჩნდა (ზედმიწ. _ *წაიუშნოვა, *წაიშავთვალწარბა)”, მაგრამ *ჳნ/ენ-შიუანალ-ე| ჳნ/ენ-შიუანალ-დ-ა* „შავთვალწარბა, უშნო პირისახის ადამიანი გამოჩნდა (ზედმიწ. _ წამოუშნოვდა, *წამოშავთვალწარბდა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)” სიარულის სემანტიკის შემოტანით.

ეს-სუიტანალ-ე|ე/ჳდ-სუიტანალ-ე „გაბრაზებული, დაბღვერილი სახით გამოჩნდა ქალი (ზედმიწ. _ *წაიბღვერა)”, მაგრამ *„ჳნ/ენ-სუიტანალ-ე | ჳნ/ენ-სუიტანალ-დ-ა* „გაბრაზებული, დაბღვერილი სახით გამოჩნდა ქალი (ზედმიწ. _ *წამობღვერდა ანუ გაბრაზებული, დაბღვერილი სახით წამოვიდა ქალი)” სიარულის სემანტიკის შემოტანით და ა. შ.

სხვადასხვა ზმნისწინთა დართვა სემანტიკას უცვლის აღნიშნულ ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა მათი თავდაპირველი მნიშვნელობა ანუ ადამიანის გარეგნული მახასიათებლების მიხედვით დახასიათება ყველა ფორმაში ნარჩუნდება. ძნელია სიტყვასიტყვით იმ სემანტიკის გადმოცემა ქართულად, რაც თითოეულ ამ ფორმაში დევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანულ ზმნურ ფორმებს ხშირად ენაცვლება *აღწერითი (პერიფრასტული)* ფორმები იმ შემთხვევაში, როცა სიარულის სემანტიკის გადმოცემა ხდება საჭირო (მაგ.: *ლჳყუიბანალშუ ანჯად* „დიდი თავის გამოჩენით მოვიდა”; *ლჳბიყუანალშუ ანჯად* „გაბუტვით, ლოყებგამობერვით მოვიდა”; *ლჳმიჩუანალშუ ანჯად* „უშნო სახით, გამოხედვით მოვიდა”; *ლჳშუირანალშუ ანჯად* „თვალების წაელმებით, დაბღვერით მოვიდა”; *ლჳშიუანალშუ ანჯად* „შავთვალწარბა, უშნო ადამიანი დაბღვერით, უშნო გამომეტყველებით მოვიდა” და სხვ.). ორივე შემთხვევაში (ანუ *ორგანული და აღწერითი ფორმების* არსებობის შემთხვევაში) მთავარი მთქმელის ემოციური განწყობაა, მისი ემოციური მიდგომა მეორე ადამიანის მიმართ და ხშირად სწორედ ეს ემოცია განსაზღვრავს ამა თუ იმ ფორმის არსებობას ენაში.

ზმნისწინთა განაწილებას კი გარკვეული კანონზომიერებანი (ან ფორმობრივი ან სემანტიკური) უნდა დაეძებნოს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სწორედ სემანტიკური კანონზომიერება უფრო გვაქვს, ვიდრე ფორმობრივი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მორფოლოგიური ფორმანტებიც განსაზღვრავენ სიტყვის სემანტიკას.

„ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში

ქართულ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საკუთრივ ხმაბაძვითი ფუძეები ჟღერადობითა და აგებულებით არ განსხვავდება არახმაბაძვითი ფუძეებისაგან, ფონოსემანტიკური კავშირები ხშირად აქაც ჩანს. ბ. ფოჩხუას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: *ჩაწიკწიკება* ხმაბაძვით ფუძეს შეიცავს, *წიკწიკი* ისეთი ხმიანობაა, რომელსაც საათის მექანიზმი გამოსცემს მუშაობის დროს, მაგრამ „წვრილი ასოებით ლამაზად და მჭიდროდ დაწერის“ აღმნიშვნელი ფუძეც ამგვარადვე ჟღერს - *ჩააწიკწიკებს, ჩაწიკწიკებული* (ფოჩხუა 1974: 79).

ბ. ფოჩხუას „ჩაჭიკჭიკებული ნაწერიც“ დასანახს შეეხება და არა გასაგონს, ამიტომ ამ შემთხვევებში ხმაბაძვაზე ვერ ვილაპარაკებთ. მას საილუსტრაციოდ მოჰყავს აგრეთვე ისეთი ომონიმური ფუძეები, რომლებიც სინათლის მოვლენებთან და ცეცხლის ნათებასთან ერთად აღნიშნავენ, აგრეთვე, „ხმიანობას“: *ბღვრიალი* -1. „ღრიალი“, 2. „ძლიერი ნათება“. *კარკარა*– გამჭვირვალე, *კარკარი* - „რაკრაკი“, *ბჟუტური* „უთავბოლო ლაპარაკი“, *ბჟუტავს*, „ძლივს ანთია“ და დაასკვნის: ამგვარი სიტყვები საკმაოდ ბევრია და მათ გვერდს ვერ ავუხვევთ. მათი დროული აღრიცხვა და წარმომავლობის გათვალისწინება მნიშვნელოვანი სამუშაოა (ფოჩხუა 1974: 79-80).

ვ. ვუნდტის აზრით, როდესაც ბგერითი წარმოდგენები გადადის გრძნობით ხატში, მიიღება „ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“ - არაგანზრახული ასოციაცია უშუალოდ აღმოცენებული ბუნებრივი გრძნობითი ელფერისაგან (ემოციური ტონებისაგან) ანუ „ემოციებზე დამყარებული ბუნებრივი ასოციაციები“ (ვუნდტი 1911: 348-349). ქართულში ფონოსემანტიკურმა ფუძემ შეიძლება აღნიშნოს როგორც ხმიანობა, ასევე მოძრაობის მანერა ან გამოხატოს ისეთი სემანტიკა, როგორიცაა ჭურჭლის ავსება, მსუქნად ან სუსტად ყოფნა, სიმეჩხრე-სიმჭიდროვე, სისუფთავე და ა.შ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ფონოსემანტიკური ფუძე გამოხატავს სხვადასხვა სულიერის ან სულიერისა და უსულო საგნის მიერ გამოცემულ ხმას:

რიკრიკი 1. მგალობელ ფრინველთა ჭიკჭიკი, – რაკრაკი. 2. წყლის, ნაკადულის... ხმაური.

სისინი 1. გველის, ბატის..., მიერ გამოცემული ხმა, სივილი. 2. ქარის, ნიავის და მისთ. ქროლის ხმა. 3. «ს» ბგერის გაბმულად წარმოთქმა (ვისიმე დასაძახებლად, ბავშვის გასაყუჩებლად და სხვ.) (ქეგლი VI).

2. გამოცემულ ხმას და ლაპარაკის ან მოძრაობის მანერას:

კავკავი 1. წკავწკავი 2. კანკალი.

კავკავ-ი (კავკავისა) 1. სიცივისაგან კანკალი. 2. ძაღლის ლეკვის უღონო ხმიანობა, – წკავწკავი. 2. წეროს ძახილი. ეს სიტყვა, ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან ერთად გამოიყენება გადატ. ადამიანისაგან ვინმეს ლანძღვა-გინება, ყავყავი (ქეგლი IV).

ჟრიალი 1. იგივეა, რაც ჟივილი 2. იგივეა, რაც ჟღარუნი 3. იგივეა, რაც ჟრჟოლა (ქეგლი VI).

3. სინათლის მოძრაობას და ხმიანობას ან მოძრაობის ტიპს:

ჩახჩახ-ი[2] (ჩახჩახისა) 1. ჩხრიალი, ხმაური. 2. იგივეა, რაც ჭ ა ხ ჭ ა ხ ი, ელვარება

ცქრიალი 1. ცქვიტი, მარდი, მოხდენილი მოძრაობა. 2. სუფთად ყოფნა || ციმციმი,

კამკამი, კიაფი (ქეგლი VIII).

აქაც დასტურდება ისეთი სემანტიკური სხვაობა, როგორიც ხშირია ქართული ენის დიალექტებში. მაგ. *ბლადუნი* (გურ. იმერ. მესხ.) – 1. უძალოდ სიარული. 2. უგზო–უკვლოდ სიარული. 3. გზაარეული, ზანტი სიარული, ხეტიალი. 4. უაზრო ლაპარაკი, როშვა.
ბლადაბლუდი (ქართლ.) უაზრო ლაპარაკი (ღლონტი 1984).

ფონოსემანტიკური სიტყვებისათვის მნიშვნელობის გადაწევა თუ ერთი ფუძით ორი მნიშვნელობის გამოხატვა დამახასიათებელია ქართული ენისათვის სინქრონიულსა თუ დიაქრონიულ დონეზე. დი ენ ჰოლისკის აზრით, ხმიანობის, სინათლის ნაირსახეობის და ადგილზე მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები „გამოხატავენ აღქმის მთლიანობას, მოლაპარაკის ფსიქოლოგიურ რეაქციას საგანთა გამორჩეული თვისებების მიმართ, ამიტომ ხშირია ამ ზმნათა მნიშვნელობების გადაკვეთა: *ბაბანებს, ციმციმებს, გიზგიზებს* და მისთ. გამოხატავენ არა მარტო სინათლეს, არამედ, მოძრაობასაც... მსგავსი მოვლენა სხვა ენებსაც ახასიათებს“ (მაჭავარიანი 1989: 320).

ამ პოლივალენტობის მიზეზს იმაში ხედავენ, რომ გარემომცველ მრავალფეროვან სამყაროს ადამიანი თავდაპირველად გამოხატავდა მცირერიცხოვანი მიმემებით, ამიტომ ერთსა და იმავე მიბაძვას აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. ს. კუდაიბერგენოვი თვლის, რომ ფონოსემანტიკურ სიტყვათა მრავალმნიშვნელიანობის მიზეზი მათ მსგავსებაშია, რისი საფუძველიც მნიშვნელობათა გადატანა შეიძლება იყოს. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს მაგალითი, სადაც ამგვარ სიტყვათა მნიშვნელობები მიდიან კონკრეტულიდან აბსტრაქტული გაგებისაკენ (კუდაიბერგენოვი 1957). ასეთი განსხვავებული შეხედულებები სადავოს ხდის ენაში ფონოსემანტიკურ სიტყვათა ომონიმურობა-პოლისემიურობის საკითხს.

ბ. ფოჩხუა სწორად შენიშნავს, რომ ამგვარი სიტყვები საკმაოდ ბევრია და მათი სრული აღრიცხვა და წარმომავლობის გათვალისწინება - მნიშვნელოვანი სამუშაოა, უკვე დღესვე შეიძლება დავუკავშიროთ ეს მოვლენა ე.წ. „ბგერითი ჟესტების” საკითხს (ფოჩხუა 1974: 80-81). ცოცხალი შთაბეჭდილება წარმოქმნის საარტიკულაციო ორგანოთა რეფლექსებზე დაფუძნებულ მოძრაობას, ამგვარი წარმოშობის ბგერადობა, შეიძლება, გარეგნულად ხმაბაძვას, ბგერით ჟესტს წააგავდეს, მაგრამ აქ ობიექტური ბგერის მიბაძვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ თანმხლებ ბგერადობასთან, რომელიც წარმოიქმნა საარტიკულაციო ორგანოთა გამომხატველობითი მოძრაობის შედეგად, მისი აზრით, ბგერითი ჟესტების კარგი ნიმუშებია საარტიკულაციო ორგანოთა და მათ მიერ შესრულებული სამეტყველო თუ სხვა მოძრაობათა სახელები (ვუნდტი 1911: 345-346, 348).

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, რომ საქმე ეხება გარკვეული ბგერადობის ასოციაციების გარკვეულ ემოციასთან კავშირს, ფონეტიკურ სიმბოლიზმს, ესაა კერძო გამოვლენა სინესთეზიის მოვლენისა ფიზიოლოგია-ფსიქოლოგიაში. სინესთეზია, თანაშეგრძნება, ესაა შეგრძნების გაჩენა არა მხოლოდ იმ გრძნობითს ორგანოში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს გამღიზიანებელი, არამედ რომელიმე სხვაშიც. ასეთია, მაგ., ე. წ. ფერადი სმენა, როდესაც ეჩვენებათ, რომ ყოველი მუსიკალური ბგერა თითქოს გარკვეული ფერის მქონეა.

ქართული ენის დიალექტურმა ლექსიკამ საშუალება მოგვცა ბ. ფოჩხუას მიერ მოყვანილი მაგალითების სია მნიშვნელოვნად გაგვეზარდა: *აბულბულება, აგურგურება, ათუნთულება,*

აპრიალება, ახარხარება, გაბარბალება, გაბიზინება, გაზიზინება, გათანთალება, გაპიპინება, გასანსალება, გასისინება, გასივსივება, გასუნსულება, გასურსუმალება, გატანტალება, გაშტიალება, გაციცინება, გაცინცილება, გაჭიკჭიკება, შემოჭვანჭვარიქება, შეჭიკჭიკება, შეჭიჭინება, ჩაკუწკუწება, ჩაკუჭკუჭება, ჩაკაჭკაჭება, ჩარიჩხინება, ჩაჭიკჭიკება, ჩაჭიპჭიპება, ჩაწიკწიკება..

ამგვარი ლექსიკის შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ ზმნისწინები ზოგჯერ ახალი მნიშვნელობის მასდარებს აწარმოებენ, მაშინ, როცა „პრევერბის დართვის შესაძლებლობა პირველად მასდარებს ანდა მათგან ნაწარმოებ ზმნებს მეტად შეზღუდული აქვს“ (ჩიქობავა 1942: 219). და თუკი ეს ზმნისწინი მაინც დაერთვის, „სრული ასპექტის გაგებას ვერ ანიჭებს... ეს ზმნისწინები მოქმედებითი გვარის ზმნებშიც ზოგჯერ მხოლოდ მიმართულებას გვიჩვენებენ: *მიაგორებს, მოაგორებს, დააგორებს...*“ (ჭუმბურიძე 1986: 25-26).

სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენებულმა ზმნისწინებმა შესაძლოა გამოხატონ ერთი ან ორი მოქმედების ორი ან მეტი ნაირსახეობა, წარმოქმნან ანტონიმები ან „ლექსიკურად სრულად განსხვავებული ერთმანეთთან დაუკავშირებელი, სავსებით სხვადასხვა სემანტიკური სისტემის ფორმები: *ააგო, წააგო, დააგო, მიაგო*“ (ჯორბენაძე 1985: 48).

აღნიშნულ ფუნქციათაგან რომელი ეკისრება ზემოთ მოყვანილ ზმნისწინებს, მათი სემანტიკის დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ ვეცდებით დავაზუსტოთ; ერთი რამ კი თავიდანვე შეიძლება შევნიშნოთ: *ჩაჭიკჭიკება* მასდარში, რომელიც გამოხატავს ფრინველის ხმიანობას, *ჩა-* ზმნისწინი ნიუანსურად განსხვავებული სემანტიკით უკავშირდება ჭიკჭიკს, ხოლო *ჩაჭიკჭიკება* (იგივეა, რაც ჩ ა წ ი კ წ ი კ ე ბ უ ლ ი. წვრილი ასოებით, მჭიდროდ და ლამაზად (ზედმიყოლებით) ნაწერი (ქეგლი VIII); მასდარში *ჩა-* ზმნისწინი სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას აწარმოებს, თუკი არ დავუშვებთ იმას, რომ პირველადი მასდარი *ჭიკჭიკი* თავად გამოხატავდა იმავე ან სხვა მსგავს მოქმედებას.

განვიხილოთ ეს ფუძეები ცალ-ცალკე; *გასისინება (2)* ქეგლ-ში განმარტებულია: (გასისინებისა) კუთხ. (იმერ.) სახელი გ ა ს ი ს ი ნ დ ე ბ ა ზმნის მოქმედებისა, – ძალიან გაძღომა და გაბერვა (საჭმლით) (ქეგლი II). ლეჩხუმურში, იმერულსა და გურულში იხმარება, აგრეთვე, სიტყვა *გაზიზინება* იმავე მნიშვნელობით. ამ ფუძემ შეიძლება რაიმეს ავსებაც გამოხატოს. მაგ.: სიმინდის ნალიები თავამდეა *გაზიზინებული* (ღლონტი 1984), ქართლურში კი გამოიყენება ამ სიტყვის ო-ფუძიანი ვარიანტი, *გასოსინება* „საქონლის ძალიან გასუქება“ (ღლონტი 1984).

ი. ყიფშიძემ ერთმანეთს შეუპირისპირა ქართ. *სისინ-* და მეგრ. *შიშინ-*. *გოშიშინაფა* - ძლიერ გაძღომა, сильно падаться, ср. гр. *გასისინება* (ყიფშიძე 1994: 561). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა **სისინ-* არქეტიპი, მანვე დასვა სისინ- ფუძისა და **სი-* ძირის ურთიერთმიმართების საკითხი, შეუპირისპირა რა ერთმანეთს ქართული *სივ-*, მეგრ. *შინ-* და სვან. *შინ-* „გასივება, გასუქების“ მნიშვნელობით და სისინ **სივ* ძირისაგან ნაწარმოებად მიიჩნია (კლიმოვი 1985: 357).

ს. ჟღენტის აზრით, „მეგრ. გოზიზინაფა, „ჭურჭლის ზედმეტად გავსება რაიმე სითხით“ (მსუქანზედაც იტყვიან) გურულშიც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. *გაზიზინება* ნიშნავს გავსებას, საქონლის ძალზე გაძღომაზეც იტყვიან *გავაზიზინე ძროხაო* (ჟღენტი 1965: 39).

ფ. ერთელიშვილის აზრით, *ზინზლ-* – *ზინზილ-* (გაზანზლვა) საწყისის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ძლიერ გაძღომა“, რაც უნდა უკავშირდებოდეს ფუძეს *ზინზილ-*, რომლის

ვარიანტი *ზიზინ-* შემორჩენილი გვაქვს მიმღეობაში *გაზიზინებული* „ძალიან გავსებული, გატენილი, გამძღარი, გასუქებული (ქეგლი, II) (ერთელიშვილი 1970: 224-225). *ზიზინს* სხვა მნიშვნელობა აქვს: ლეჩხ. მოთქმა-ტირილი (ღლონტი 1984).

გ. კლიმოვის თვალსაზრისი, რომ *სისინი* სივ-/ *სი ძირის რედუპლიკაციის გზით შეიძლება იყოს მიღებული, ეჭვის შეტანის საბაბს არ იძლევა, ფუძის გაორმაგება დამახასიათებელი ჩანს ქართულისათვის. ქართლ. *გასივსივება* სიტყვის მაგალითზე უნდა ვივარაუდოთ, რომ სემანტიკური გადახრის წყალობით სიტყვამ ანტონიმური მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ქართულში იგი დასუსტებას, ძალიან გახდომას ნიშნავს. *გასივსივებული* (მთიულ.) „გამხდარი, სუსტი“ (კაიშაური 1965). შდრ., *გასასანატება* (ქართლ.) „მისუსტება, ავადმყოფობით განაზება“ (ღლონტი 1984).

შესაძლებელი ჩანს ე-ხმოვნიანი ზმნური ფუძეების *ხეხვა, ზეზვა, ბეზვა (გახეხვა, გაზეზვა, გაბეზვა)* დაპირისპირება *სისინი, ზიზინი, ბიზინი* მასდარებთან, ამასთან, *ზეზვა* და *ბეზვა* დარტყმის, ცემის მნიშვნელობითაც იხმარება იმერულში (შდრ. მეგრ. ბაზუა), ე-ფუძიანი ძირებისაგან ისევე იწარმოება *გასესვა, გაზეზვა* ფორმები, როგორც *გასისინება, გაზიზინება* ერთნაირი მნიშვნელობით, ხოლო დარტყმისა და ცემის სემანტიკით ნაწარმოები მასდარებია *მიბეზვა, მობეზვა*. ამ შემთხვევაში ზმნისწინიანი ფუძეები ერთმანეთს არ დაემთხვევა, რასაც ვერ ვიტყვით *ჩაწიკწიკება, გასისინება* ფორმებზე, რომელთაც ორი მნიშვნელობა აქვს პირველად მასდართა მსგავსად *(წიკწიკი, სისინი). სისინ-* მასდარს რომ ზმნისწინის გარეშე შეუძლია გავსების, გასუქების სემანტიკის გამოხატვა, კარგად ჩანს იქედან, რომ ეს სახელზმნა ძირეული ფორმით იხმარება. მაგ., იმერ. *სისინი გაუდის* - გამაძღარია ან გასუქებულია. *სისინი გაუდის, სისინი გააქვს* (ქარს...) (ქეგლ, VI).

ინგილოურში დასტურდება *გასისინევა, სისინოვა, სუსუნოვა* ფორმები და ნიშნავს „ძლიერი სურვილით შეპყრობას“ (ღამბაშიძე 1988), შდრ. ქიზ. *სასანი, გასასანება*, „ძლიერი ნდომა“ (მენთეშაშვილი 1943). შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ფუძეთა *გასისინება* ფუძესთან დაკავშირება, ვფიქრობთ, რომ ინგილოურსა და ქიზიყურში დადასტურებული სემანტიკა ამ სიტყვებისა სისინ- /სასან- /სუსუნ- ფუძეთა კიდევ ერთ მნიშვნელობას გადმოგვცემს, რაც სემანტიკური გადახრის შედეგი შეიძლება იყოს. ბგერათმონაცვლეობა სწორედ ამ ფუძეთა ფონოსემანტიკურობაზე, ბგერწერითობაზე მიგვანიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის საკუთრივ ხმაბაძვა ანუ ხმიანობა.

ჩანს, რომ ზმნისწინებმა მოგვიანებით იტვირთეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობების წარმოება (შდრ., *ციმციმი, პილპილი*), მაშინ, როცა პირველად მასდართა სემანტიკა გაბუნდოვანდა და მათ მხოლოდ პირველადი მნიშვნელობების გამოხატვა დაეკისრა. შდრ. ხევსურულში იხმარება *ცამცამ-* ფუძე უზმნისწინოდ: წინ სურა მიდგას *ცამცამი* (ჭინჭარაული 1960).

დროთა ვითარებაში პირველად მასდართა სემანტიკურმა სხვაობამ და ზმნისწინზე სიტყვათწარმოებითი ფუნქციის დაკისრებამ გამოიწვია ის, რომ *გაზიზინება, გასისინება* ტიპის მასდარები უზმნისწინოდ აღარ იხმარება, და ლექსიკონებშიც იშვიათადაა დამოწმებული ამ ფორმით. „განსაკუთრებულად იშვიათია საწყისის ხმარება უზმნისწინოდ, ე. ი. უსრული ასპექტის ფორმით, თუკი ზმნისწინს თვალსაჩინო შინაარსობრივი ნიუანსები ახლავს“ (ჭუმბურიძე 1986: 26). ნ. ჭანიშვილი მსგავსი ტიპის სიტყვებზე წერს: ჩვენ მიერ გამოკვლეული სიტყვათჯგუფების ერთი რიგი

ხმაბაძვითად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ისინი სხვა სემანტიკას გამოხატავენ, სახელდობრ, ერთი მდგომარეობის თვისებას, მოქმედებას და ა. შ. შესაძლებელია, ეს სიტყვები წარმომავლობით ხმაბაძვითი იყო, მოგვიანებით კი შეიცვალა მათი სემანტიკა. ავიღოთ, მაგალითად სიტყვა *გრიალი,* ეს სიტყვა გადმოსცემს მკვეთრ, ძლიერ ხმაურს, ხმიანობას. თბილისურ მეტყველებაში, ე. წ. თბილისურ სლენგში ეს სიტყვა სრულიად სხვა მნიშვნელობით, ბანკეტის, დღესასწაულის მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად, ზმნური ფორმა *ვიგრიალეთ* ნიშნავს „დიდებულად აღვნიშნეთ, ვიზეიმეთ". იგივე ზმნა გამოიყენება წასვლის, გასეირნების მნიშვნელობით. მაგალითად, *გავგრიალდეთ* ნიშნავს „მოდი, წავიდეთ" (ჭანიშვილი 1988, 174).

ზმნისწინით იხმარება, აგრეთვე, *ჩაბულბულება, გადაბულბულება, ჩაკაჭკაჭება, ჩაკიჭკიჭება* ფორმები „სწრაფად ან უაზროდ წაკითხვის ან მოყოლის" მნიშვნელობით; *ჩაკიჭკიჭება, ჩაწიკწიკება, ჩაკიწკიწება* „წვრილი და ლამაზი ასოებით წერას" ნიშნავს, გამოხატავს, აგრეთვე, ლამაზად და მჭიდროდ ჩარიგებულ საგნებს, ერთმანეთზე მიჯრილ ნივთებს; ამ მნიშვნელობისაა, აგრეთვე, *ჩარიწკინება, ჩარიჩხინება*. ძალიან წვრილად დახვეული თმების ან მავთულის აღსანიშნავად იხმარება *ჩაკუწკუწება, ჩაკუწკუწებული* (ქსნის ხეობა) (ღლონტი 1984); ზმნისწინების მიერ ახალი მნიშვნელობის გამოხატვის უნარი უდავოა. საფიქრებელია, რომ პირველად მასდარებს ამოსავალშივე ჰქონდა ეს ნიუანსური მნიშვნელობა.

გ. გვანცელაძე ნასახელარ ზმნებში ასახელებს *აბულბულდება, ჩააბულბულებს* ზმნებს (გვანცელაძე 2000: 27). *მობულბულება* მასდარი (გურ.) „მოკეთების, მოცოცხლების, მოსულიერების" მნიშვნელობითაც იხმარება (ღლონტი 1984), მესხურ დიალექტში კი *აბულბულებს* ნიშნავს: 1. სწავლობს, კითხულობს, 2. სინათლე უნთია არასაჭიროებისამებრ: „ტყვილა რათ *აბულბულამ* ლამპებს"(ფეიქრიშვილი 1992). მაშასადამე, *აბულბულებს* ზმნას ომონიმური და პოლისემიური მნიშვნელობები მოეპოვება, ერთმანეთის მიმართ სინონიმებია *ჩაჭიკჭიკება, ჩაკაჭკაჭება, ჩაჭუკჭუკება*... ფორმები, როგორც კითხვის ასევე წერის მნიშვნელობით. ეს ფორმები შესაძლებლობას გვაძლევს დავუშვათ, რომ *აბულბულება, ჩაბულბულება* ნაწარმოები იყოს არა სახელისაგან, არამედ მასდარისაგან, *ბულ-* ძირი ფონოსემანტიკური ნიუანსების გამოსაყენებლად თავისუფლად შეიძლებოდა გაჩენილიყო ქართულ ნიადაგზე, ისევე, როგორც *კიჭკიჭი* „ლამაზად და სწორად წერის" აღსანიშნავად, აქედან გამომდინარე, დასაშვებია, არც *ჩაკაჭკაჭება/ჩაკიჭკიჭება* იყოს მიღებული *კაჭკაჭისაგან,* შეძლება მისთვის ამოსავალი სწორედ ამ მარცვლებით გამოცემული ხმიანობაა, რომელიც სინესთეზიის საშუალებით ახდენს თვალით დასანახ საგანთა როგორობის აღწერას.

მსგავსი ტიპის სიტყვებში ხანდახან ადვილია ამოსავალი მნიშვნელობის პოვნა. მაგ., გურ. *მიჭიპჭიპება* ნიშნავს „დაწაფებას, რაიმე საქმის დაჟინებით კეთებას": ჩემი ბაღანე ძაან *მიეჭიპჭიპა* სტავლას (ღლონტი 1984); პირველადი მასდარი *ჭიპჭიპი* (გურ.) კი ნიშნავს „კვრა, მიკვრას"(ღლონტი 1984).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: პირველადი მასდარები, რომლებიც ფონოსემანტიკური საშუალებით ხმიანობას, მოძრაობას, ნათებას ან სხვა სემანტიკას გამოხატავენ, საფუძველშივე ატარებდნენ პოლისემიურ მნიშვნელობებს: პირველად მასდართა ერთ-ერთი მნიშვნელობის გაბუნდოვანება-დაკარგვის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზმნისწინები ლექსიკურად სრულიად ახალ მნიშვნელობებს აწარმოებენ, ვინაიდან აღარ ხერხდება ფონოსემანტიკურ მასდართა ფუძისეული გამოყენება.

ნასესხებ ფუძეთა საკითხი ფონოსემანტიკურ ლექსიკაში

ფონოსემანტიკური ლექსიკის გამოსახატავად ენა იყენებს ფონემათა შესაძლებელ რიცხვს, ბგერწერით ყალიბებს, წარმოების მრავალგვარობას და ნასესხებ ფუძეებს. თუ გავითვალისწინებთ ბგერათა სიმბოლურ მნიშვნელობებს, ნასესხებ სიტყვათა გამოყენება, თითქოს, მოულოდნელი უნდა იყოს, თუმცა უცხო წარმომავლობის ფუძეები არცთუ იშვიათად გვხვდება ქართული ენის მდიდარ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში. ჩვენი განხილვის საგანია როგორც სალიტერატურო ენის, ასევე დიალექტებში დადასტურებული ფონოსემანტიკური სიტყვები, რომლებიც, ან მთლიანად ნასესხებია, ანდა იყენებენ უცხო ფუძეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი ფუძის უცხო წარმომავლობა საეჭვოდაა მიჩნეული.

ცნობილია, რომ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში ტიპოლოგიური მსგავსება მჟღავნდება როგორც მონათესავე, ასევე სხვადასხვა სისტემის ენებს შორის. დასტურდება ერთგვარი ფუძეები ერთგვარი მნიშვნელობებით. ინგლ. totter, ხმერული (კამბოჯის ენა) totre:t-totrout, ქართ. ტორტმანი (ლელ 1990), თუმცა მსგავსი ფუძეების არსებობა არ ნიშნავს ასეთ სიტყვათა უცილობლად ერთი ენიდან მეორეში შესვლასა და სესხებას. „ისინი დამოუკიდებელ, კონკრეტულ ენათა ენათშემოქმედების ნაყოფიც შეიძლება იყოს“ (ბურჭულაძე 1990: 19).

მ. ანდრონიკაშვილი წერს: „ყოველი სიტყვა შემოწმებას მოითხოვს ფონეტიკური შეპირისპირების გზით ამოსავლად მიჩნეულ ფორმასთან შესადარებელ ენათა ისტორიული ფონეტიკის, ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიის გამოყენებით, რომ არაფერი ვთქვათ, ტიპოლოგიური დამთხვევების შესახებ ონომატოპოეტური, ექსპრესიული და სიმბოლიკური ლექსიკის სფეროში“(ანდრონიკაშვილი 1966: 10).

ფონოსემანტიკური ლექსიკის შემთხვევაში ხშირია ნასესხები ფუძის ტრანსფორმაცია, ალ. ჭინჭარაულის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ხდება მისი „მოშინაურება“, ყოველივე ამის გამო ძნელდება უცხო წარმოშობის და საკუთრივ ქართული ლექსიკის გამიჯვნა, რაც ზოგი ფუძის ნასესხობას საეჭვოს ხდის და, ამდენად, ვარაუდის დონეზე რჩება ენათმეცნიერულ ლიტერატურაში. მაგალითისათვის განვიხილავთ რამდენიმე ფონოსემანტიკური ტიპის ფუძეს და, შესაბამისად, მეცნიერთა განსხვავებულ შეხედულებებს:

მ. ანდრონიკაშვილის აზრით, *ძუნძული* („სვლისა და სირბილის საშუალი“- საბას განმარტებით) მომდინარეობს ოსური სიტყვიდან tynʒyn- „სწრაფვა, აჩქარება“ (ანდრონიკაშვილი 1966:126). ფ. ერთელიშვილი თვლის, რომ ძუნძულის ნასესხებ სიტყვად დასახვა გაუმართლებელია, დაბრკოლებები არა მხოლოდ ფონეტიკურ-სემანტიკური ხასიათისაა, გასათვალისწინებელია, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ სიარულის გამომხატველი ასეთი ფუძეები სტრუქტურულადაც, სემანტიკურადაც, ქართულ „სამყაროს“ განეკუთვნება და უაღრესად გავრცელებულია. *ძუნძული, შდრ., ცუნცული, სუნსული, წუნწული, ტუნტული, კუნკული* (ერთელიშვილი 1970: 191).

ი. მელიქიშვილის აზრით, ფონოსემანტიკური ხასიათის ლექსიკის გამოვლენის ერთ-ერთი საშუალებაა ბგერწერითი რიგების არსებობა (მელიქიშვილი 1999: 81), თუმცა ავტორს მიაჩნია, აგრეთვე, რომ „ერთი ენიდან მეორეში ბგერწერით სიტყვათა კონიდან ერთ-ერთის სესხების შემთხვევაში ამ სიტყვას უკვე მსესხებელი ენის ნიადაგზე შესაძლებელია გაუჩნდეს კორელატები სისინა და შიშინა გაბგერებით“ (მელიქიშვილი

1980: 53). გასათვალისწინებელია ისიც, რომ დი ენ ჰოლისკის აზრით, ბგერწერითი ყალიბები ქართულში ადრე უფრო პროდუქტიული და მრავალფეროვანი იყო (ჰოლისკი 2000: 129; 148).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აკავშირებენ, აგრეთვე, ქართ. *გზ/გუზ (გზება, გუზგუზი)* ძირებს ოსურთან. გ. ახვლედიანის აზრით, არ არის გამორიცხული, სარისკო შესაძლებლობა, რომ g̨yz ელემენტი ირანული ფუძე იყოს (ახვლედიანი 1960: 209). მ. ანდრონიკაშვილი წერს: ძნელია თქმა *გუზ- (გზება)* ფუძე ქართულში დაცული ძველი ოსური (ალანური) ფორმაა ოს. g̨yz-ისა თუ ქართულიდან ოსურშია შეთვისებული. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის კავშირი აშკარაა (ანდრონიკაშვილი 1966: 4).

სპარსულად *ხᾱშხა¯ᾱ* „ყაყაჩოს“ და „ყაყაჩოს თესლს“ ნიშნავს, ქართულში *ხაშხაში* იხმარება როგორც ყაყაჩოს, ასევე „წითლად ელვარების“ აღსანიშნავად. *ხაშხაში* იგივეა, რაც *ღაჟღაჟა.* [ლუარსაბს ჰქონდა] წითელი, თურაშაული ვაშლსავით *ხაშხაშა* ლოყები (ქეგლი, VIII). საბას განმარტებით, *ხაშხაში* სხვათა ენაა, ქართულად ყაყაჩორა ჰრქვან (სულხან-საბა 1993). ბგერწერის ნიადაგზე ჩანს მიღებული ფშ. *ღაშღაში*, იგ. რაც ღაჟღაჟა და ქართული *ღაჟღაჟი* 1. წითლად ელვარება, ბრწყინვა. 2. ფურცელთ ფერადობა (საბა). 3. ქართ. კახ. იგ. *ხაშხაში.* გეწყინათ ჩემი სიტყვა, ვარდო წითელო და შენც, ღაჟღაჯო (ვ. ბარნ.) (ქეგლი VIII). *ხაჩხაჩა* (კახ. თუშ.). იგივეა, რაც ხასხასა (ქეგლი VIII; ღლონტი 1984). *გახაჩხაჩებული//გახასხასებული (*იმერ.) სუფთას ნიშნავს (ქეგლი, VIII), *ხასხასი* კი ქეგლში განმარტებულია, როგორც „1. ცინცხალი ფერის გამოცემა, კრიალი (მწვანედ...). [ფითრი] ნახევრად დამტვრეულ-დაძაბუნებულ მსხალს ქორის ბუდესავით ასხმია და მწვანედ ხასხასი გააქვს (თ. რაზიკ.). 2. იგივეა, რაც ხასხასა. ველი ხასხასი მდელოთი იყო დაფენილი (ვ. ბარნ.)“ (ქეგლი VIII). საინტერესოა ამ ფორმათა (*გახაჩხაჩებული// გახასხასებული*) პარალელური გამოყენება, ვინაიდან *ხასხასი* ხავსის გვერდით აქვს მოთავსებული მ. ანდრონიკაშვილს და ოსური xos/xwasa „თივა, წამალი“ სიტყვისაგან მომდინარედ მიაჩნია.[1] თუ დაკავშირება სწორია, უნდა ვივარაუდოთ, რომ პარალელურად ამ ორი ფორმის ერთად ხმარება მსგავსმა სემანტიკამ განაპირობა.

ჯანჯალი [სპარ. ჯანჯალ] საუბ. „ყველაფერზე რომ ფეხს ითრევს, გადაუწყვეტელი, ჭირვეული, ჭინჭყლი“. ქართული *გაჯანჯალება* იმეორებს სპარსული ფუძის სემანტიკას და ნიშნავს გაჭიანურებას, აგრეთვე ნელ სირბილს (ქეგლი VIII). საბას მიხედვით *ჯანჯალი* „ცხენის ავი სვლაა“ (სულხან-საბა 1993). გურ. ჯანჯალი „ჩანჩალს, უსაქმოდ ხეტიალს, ყიალს და ფეხმთრევს, ახირებულს, ჭირვეულს ნიშნავს“ (ღლონტი 1984). *ჯანჯალი*'საგან უნდა იყოს მიღებული ბგერწერითი ვარიანტი *ჩანჩალი* (ჩანჩალისა) „ფეხის ათრევით, უღონოდ სიარული“ (ქეგლი VIII), შდრ., *ჩანჩრუკი, ჩინჩილი, ჩინჩრიკი, ჩიქჩიქი, ჩაფჩაფი, ჩაქჩაქი...* ლექსემები მსგავსი სემანტიკით. *ჭანჭალი* ამ მნიშვნელობით ქართულში არ დასტურდება.

სპარსულიდან ნასესხები მიაჩნია ნ. მარს ფონოსემანტიკური ფუძე *ქევქევი,* „ადამიანისა და ცხოველთა მოძრაობის ხმა“ (მარი 1966: 217). სულხან-საბას მიხედვით ქევქევი „ცხენის მოქუსვლაა“. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით - „ცხენი ფაფხვა დეზებითა“. შდრ. *ფაფხუა* - „ქევქევი, ცხენის ხედნა ზედა მჯდომისაგან“ (ჩუბინაშვილი 1961). ქეგლ-ი *ქევქევის* მეორე

[1]ინგილოურში *ხასხასოვაჲ* „ფართხალს“ ნიშნავს*ღამბაშიძე, 1988*, ამგვარი პოლისემიურობა ხასხასის ნასესხობას საცილობელს ხდის.

მნიშვნელობასაც ადასტურებს, თუმცა გადატანით ქევქევ-ი (ქევქევისა) 1. ცხენის მიქუსვლ-მოქუსვლა (საბა). მხედრები ქევქევით მოაჯირითებდნენ ცხენებს (კ. გამს.). 2. გადატ. ნელი, წყნარი, კოხტა, აუჩქარებელი სიარული (ადამიანისა) (ქეგლ-ი VII).

საინტერესოა ამ ფუძის სესხება ქართულში, ვინაიდან ე-ფუძიანი ფონოსემანტიკური ძირები იშვიათად დასტურდება, თუმცა ფ. ერთელიშვილის აზრით, „რედუპლიცირებული ფუძეები /ე/ გახმოვანებით ქართულში აგრეთვე გავრცელებული უნდა ყოფილიყო“ (ერთელიშვილი 1970: 182).

სპარსული ფუძე ქაф იხმარება ქართულში ქაფის, დორბლის, დუჟის... მნიშვნელობით, გაორკეცებული ქაფქაფი „ძლიერ დუღილს“ ნიშნავს (ქეგლი VII). ეს ფუძე დასტურდება ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში: *ქაფი, კაპი* “პერი, პერული, пена“ (ჩუბინაშვილი 1961). დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, *ქაფქაფი* „ფოფინით დუღილია“ (ჩუბინაშვილი 1984), სულხან-საბა წერს: (უხმ.) „ქაფი სხვათა ენაა, ქართულად პერი ჰქვიან” (სულხან საბა 1993), ქაფის შესატყვისია აგრეთვე ქართული პერი (ქეგლი, VI). საერთოქართველურმა ფუძემ (ქართ. *პერ-*, მეგრ. *პანჯ-*, სვან. *პერ-* ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 370-371) ვერ შექმნა ფონოსემანტიკური ტიპის სიტყვა *პერპერი, თუმცა აჭარულში არსებობს სიტყვა პეპეცი“ სქელი, ზედმეტი ხარშვით შესქელებული საჭმელი“ (შ. ნიჟ.) (ღლონტი 1984), რომელიც, შეიძლება პერ- სახელური ფუძისაგან იყოს მიღებული.

ინგილოური ჯარჯარი / ხარხარ, ხარხაროვაჲ რ. ღამბაშიძის მიხედვით აზერბაიჯანული ფუძეა და „წყლის ხმაურს, ჩხრიალს“ ნიშნავს, აქ აშკარად ხმაბაძვითი ფუძის სესხებაა, რაც ტიპოლოგიურად ქართ. ხარხარს, „ხმამაღალ სიცილს“ ემთხვევა;[1]

ინგილ. *ბასაბას* ფუძე კი აზერ. ბას- ძირისაგან არის მიღებული გაორკეცების გზით. აზერ. ბას „კამათი, კინკლაობა, ჩხუბი“. ინგილ. ბასაბას „წყვეტა, ჩხუბი, თავპირისმტვრევა“ (ღამბაშიძე 1988). ამ ტიპის ფუძეთა მსგავსება სხვადასხვა ენაში მათ ნასესხობას ზოგჯერ საცილობელს ხდის.

პანტ- ფუძის შესახებ დავამატებთ მხოლოდ ერთს: თუკი პანტა ნასესხებია ბერძნულიდან - „ყველგან, ყველა მიმართულებით“ და მისი პანტა-პუნტასთან დაკავშირება მართებულია, ჩანს, რომ ენამ უცხო ფუძის გააორმაგა ხმოვანთმონაცვლეობით. შდრ., *პანტა-პუნტი, ფანტა-ფუნტი...*, თუმცა *პანტა//პაშტას* დიალექტური მნიშვნელობები რაიმეს გადაჭრით მტკიცებას აძნელებს. არაბ. *სარსარ* „ბევრი ლაპარაკი“ ნასესხები მიაჩნია ლ. ავალიანს. შდრ., ქართ. სალიტერატურო სარსალი „ენის აქეთ-იქეთ მალი-მალ ტრიალი“, გადატ. ენის ტარტარი, ყბედობა, დაბეზღება (ქეგლ.); იმერ. დიალ. *სარსალი* „ენის სარსალი“ (ავალიანი 2001: 24). ქართლ. *სარსარიკა* „ჭორიკანა, ყბედ ქალს“ აღნიშნავს (ღლონტი 1984); იმერულში დასტურდება ი-ფუძიანი ვარიანტი სირსილი (შდრ. ასირსილებს ენას), „გაცივების გამო კისერში ღიტინის, სუნთქვის გაძნელება“, სუსური (იმერ.) კი არის „იარაღის ხუმრობით დაღერება“ (ღლონტი 1984), საფიქრებელია, რომ სესხების შემდეგ ფუძეს გაუჩნდა გადაბგერებული ხმოვანთმონაცვლე ვარიანტი.

---

[1]ხარხარი „ბრიყული სიცილი“, „ხარხარი არს მაღალი და უშვერი სიცილი, უშვერი და ხმამაღალი სიცილი“ (სულხან-საბა 1993), ხარხარი ch’arch’ar (ვხარხარებ) ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით არის: „ხმამაღლად სიცილი, хохотать“ (ჩუბინაშვილი 1961).

იშვიათია ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსემების სესხება, თუმცა ზოგჯერ შეიძლება ნასესხებმა ფუძემ ახალი ხმაბაძვა გააჩინოს. ბ. ფოჩხუა შენიშნავს, რომ სიტყვა *ჩივჩავ* (სპ.) ქართულად იქნა გადმოღებული ბეღურის აღსანიშნავად - *ჭივჭავი.* ამის მიხედვით კი ახალი ხმაბაძვა შეიქმნა. ჭივ! ჭავ! იქავ ბეღურები დაჭყივიან (შ. არაგვ.) (ფოჩხუა 1974: 126). სულხან - საბა *ჭივჭავ-, ჭივჭივ-, ჭავჭავ-* ფუძეებს განმარტავს: „(ფრინ.) ბეღურა“ (სულხან საბა 1993). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით ჭივჭავი არის „სახელი ჩიტთა ხმიანობისაგან მათისა დარქმეული“, чижик დადასტურებული აქვს, აგრეთვე ჟივავი „ჭივჭავის“ მნიშვნელობით (ჩუბინაშვილი 1961). თუკი *ჭივჭავი* ნასესხები ფუძეა, გამოდის, რომ ამ ფუძის კორელატებია: *ჭივჭივი, ჭავჭავი,* თუმცა გაჭირდება *ჭივჭავ-* და *ჭივილ-* ფუძეთა დაკავშირება. *ჭივილი* ფუძე აღნიშნავს ხმიანობას და ნათებას (სულხან-საბა 1993); გურულში ის ასეა განმარტებული: „მკვეთრი ფერით მიღებული შთაბეჭდილება“ (ღლონტი 1984). ჭივილ-ი (ჭივილისა) წვრილ ფრინველთა ხმიანობა, ჭივის ძახილი; ჟღურტული. ბაღში მოისმის... ფრინველთა ჭივილი, ჭიკჭიკი, ჭრინვა (მ. ჯავახ.) (ქეგლი VIII). *ჭივჭივებ-ს* (იყენ. იჭივჭივა, უჭივჭივია) გრდუვ. სტატ. ჭივის იძახის (წვრილი ფრინველი). [ბეღურა] აბურძგნულა, ჭივჭავებს, დახტის (ს. მგალობ.)“ (ქეგლი VIII). *ჩივჩავ- /ჭივჭავ-* ფუძეთა განსხვავებული ბგერწერითობა და ქართულ დიალექტებში არსებული ხმოვანთმონაცვლე და თანხმოვანთმონაცვლე ვარიანტები სემანტიკური თუ ტიპოლოგიური სხვაობებით სპარსული ფუძის ნასესხობას საეჭვოს ხდის.

დასასრულ: უცხო ფუძეთა ფორმირებისა და ევოლუციის პროცესში ქართული ენის ფონოსემანტიკურ სიტყვათა მიხედვით შემდეგი მოვლენები დასტურდება:

1. გაორკეცებული ფუძის სესხება (სპ. ხაშხაში, ჯანჯალი, ჭივჭავი, აზ. ჯარჯარი, არაბ. სარსალი). 2. სახელური ან ზმნური ფუძის სესხება და გაორმაგება.

ნასესხები ფუძე ფონოლოგიურად ტრანსფორმირებულია, შეცვლილია ამოსავალი ფორმის პირვანდელი სახე:

1. მარტივი რედუპლიცირებულია ხმოვნის უცვლელად (სპ. ქაფ, ქართ. ქაფქაფი) ან ხმოვანთა ცვლით (ბერძნ. პანტა, ქართ. პანტა-პუნტი).

3. ნასესხები ფუძე მორგებულია ფონოსემანტიკურ ფუძეთა ყალიბს (თურქ. ბასტონ “ჯოხი”, ქართლ., მესხ. ბასტუნი, ჩაბასტუნება).

4. ბგერწერითი ყალიბების საფუძველზე გაჩენილია ფონეტიკური ვარიანტები: (ხაშხაში, ხაჩხაჩი, ღაშღაში, ღაჟღაჟი).

5. ნასესხერბი ფუძე სემანტიკური გადაწეულია ან ერთი ფუძით სხვადასხვა მნიშვნელობა გამოიხატება (სპ. ჯანჯალი „გადაუწყვეტელი, ჭირვეული, ჭინჭყლი“, ქართ. ჯანჯალი 1. „გაჭიანურება“, 2. „ნელი სირბილი“; სპ. ხაშხაშ „ყაყაჩო“, ქართ. ხაშხაში 1. წითლად ელვარება 2. „კრიალი სისუფთავისგან“).

ფონოსემანტიკური ლექსიკის გენდერლინგვისტური ასპექტები ქართველურ ენებში[1]

გენდერი ანუ სოციალური სქესი დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებით განიხილება ფართო ფსიქოლოგიურ თუ კულტურულ კონტექსტში. გენდერი განსხვავებულია როგორც გრამატიკული, ასევე ბიოლოგიური სქესისაგან და ასახავს პიროვნების ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს, მემკვიდრეობით მიღებული ლინგვისტური სისტემის შედეგს, რომელსაც საფუძვლად ტრადიციულობა, ეროვნულობა ედება – ინდივიდის ცნობიერება ემყარება მისივე მშობლიური ენის კონცეპტუალურ თავისებურებებს.

გენდერი ენაში წარმოაჩენს, რომ ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ბიოლოგიური სქესი, არამედ კულტურული ფასეულობანი (კალერტი 2012, კონელი 2013, ბრაუნი 2013), იგი სწავლობს ქალურ და მამაკაცურ სამეტყველო სტერეოტიპებს (ლექსიკას, სინტაქსურ კონსტრუქციებს, წინადადებათა მოდალობებს...), იკვლევს ლექსიკურ–სემანტიკურ მოდელებს, რომლებიც თავად ასახავენ მიმართებებს ცნებებთან „მამაკაცურობა“ და „ქალურობა.“ ქართული ენის ენციკლოპედიური ლექსიკონი გენდერს განმარტავს, როგორც სოციალური სქესი, რომელიც ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. „აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს“ (ქე 2008; შდრ., ახმანოვა 1966).

გენდერული თვალსაზრისით მეტნაკლებად საინტერესოა ყველა ენა, ისეთებიც კი, რომლებშიც არაა გარჩეული გრამატიკული სქესი. სამაგიეროდ, ასეთ ენებში მკაფიოდაა გამოხატული მამაკაცური („მასკულინური“) და ქალური („ფემინური“) სტერეოტიპები[2].

ქართველურ ენებში გრამატიკული სქესი არ გვაქვს, ბიოლოგიური სქესი კი რეალიზებულია ლექსიკისა და სემანტიკის დონეზე:

მამაკაცი - დედაკაცი (ქართ.) : *კოჩი - ოსური* (მეგრ.) : *კოჩი - ჩილი* (ლაზ.) : *მარე/ღუაჟმარე - ზურალ* (სვან.);

მამალი - დედალი (ქართ.) : *მუმული - დადული* (მეგრ.) : *მამული - დადულე* (ლაზ.): *მამილ - დად* (სვან.);

ვაჟი - ქალი, ბიჭი - გოგო (ქართ.) : *ძღაბი - ბოში* (მეგრ.) : *კულანი - ბერე* (ლაზ.): *ნაღუჟურ/ჭყინტ - დინა* (სვან.).

ცნობილია, რომ საკითხი კიდევ უფრო შორს მიდის სვანურში და-ძმის აღმნიშვნელ ტერმინებში: *დაჩუირ* „და ძმისთვის“, *უიდილ* „და დისთვის“, და *ჯიმილ* „ძმა დისთვის“, *მუხუბე* „ძმა ძმისთვის“, ამგვარ სემანტიკურ მიმართებათა ანალოგი სხვა ქართველურ ენებში არ გვაქვს.

---

[1] გამოქვეყნებულია სამეცნიერო პუბლიკაციად: იხ. გერსამია და სხვ. 2013

[2] აღნიშნულ საკითხს ბოლო პერიოდში რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ძველსა და ახალ ქართულში (ქურდაძე 2002, კიკვიძე 2010, ომიაძე 2010, ჩაჩანიძე 2011), მაგრამ დანარჩენი ქართველური ენებისათვის ამ კუთხით პრობლემა ნაკვლევი არ არის.

ქართველური ენების, განსაკუთრებით - სვანურისა და ზოგ შემთხვევაში მეგრულის, ფონოსემანტიკურ მასალაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, რომ სემანტიკურ ნიშნებს დავამატოთ გენდერული მახასიათებლებიც, რომლებიც ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზეა რეალიზებული

ლექსიკურ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში არსებობს ისეთი ლექსემები, რომლებიც უმთავრესად ქალს ან მამაკაცს (მოხუცს ან ბავშვს) მიემართება და იშვიათად ხდება მათი ჩანაცვლება:

გვანგვალ-ი (ლეჩხ.) კარგად, ლამაზად, მოკლე ნაბიჯებით სიარული დაბალი, ჩამრგვალებული ადამიანისა. «ხვალ გეყოლება იმისთანა გ ვ ა ნ გ ვ ა ლ ა რძალი» (მ. ალავ., 1); ქალის შნოიანი სიარული, მოკლე ნაბიჯით სვლა. ნ. ქვანქვალი (მ. ჩიქ.). (ღლონტი 1984: 151).

ზივზივ-ი (თუშ.) სინაზე, კოხტაობა ქალისა (პ. ხუბ.) (ღლონტი 1984: 232).

ჟერნება (ფშ.) რამდენიმე კაცის ერთად ხმამაღლა მღერა (თ. რაზიკ., » ივერია«, N 135, 1900; ი. ჭყონ.) (ღლონტი 1984: 446).

სხინჭილ-ი (ლეჩხ.) გადაჭარბებული და სწრაფი ლაპარაკი ქალიშვილისა; ს ხ ი ნ ჭ ი ლ ო ბ ს თამამად და სწრაფად ლაპარაკობს (მ. ალავ., 2) (ღლონტი 1984: 503).

ქევქევ-ი (ქართლ.) - ნელა და კოპწიად სიარული ქალისა (ღლონტი 1984: 565).

ქვირქვილ-ი (იმერ.) - ტირილი, ქვითინი, მოქვირქვილე ქალები, ზარში დაქირავებული ქალები, რომლებიც ხმადაბლა ტირიან, ქვირქვილობენ, რომ გამოიყოლიონ ისინიც, ვისაც ტირილი არ ეხერხებათ (ვ.ბერ.) (ღლონტი 1984: 569).

ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონები ხშირად არ უთითებენ ამა თუ იმ ლექსიკის მიმართებას „ქალთან“ თუ „კაცთან“, მაგრამ ინფორმატორებთან მათი გადამოწმება საშუალებას იძლევა, რათა ამ კუთხით დაზუსტდეს მათი მნიშვნელობა. სწორედ ასეთი ლექსემაა *გადატკვარცალება* (იმერ.) - გადაკისკისება, გულიანი სიცილი. „ეს რო უთხარი სონიას, ერთი გ ა დ ე ი ტ კ ვ ა რ ც ა ლ ა : - ბეჩა, იმას რავა წავყობიო“ (ი. ქავთ.) (ღლონტი 1984: 110).

ფონოსემანტიკური კავშირებით გადმოცემული მოქმედებათა ნიუანსები საგნობრივი მახასიათებლები და გენდერული სხვაობები ხშირად კარგად ჩანს მიმღეობურ ფორმებშიც:

დუნდრუც-ი (გურ.) მ ო დ უ ნ დ რ უ ც უ ლ- ი ულაზათოდ მოყვანილი, დიდი, უხეში ტანისა; უფრო ქალზე იტყვიან (გ. შარაშ.); დ უ ნ დ რ უ ც ა სქელი, უშნო ადამიანი, უფრო ქალზე იტყვიან. რა დ უ ნ დ რ უ ც ა პატარძალი მეიყვანეო (ს. მენთეშ., დამ.) (ღლონტი 1984: 214).

ბაჯაჯღანა (ქართლ., ქიზიყ., ლეჩხ.) უსახური, დაბალი ტანისა (კირიონი); დაბალი, სქელი და უშნო ადამიანი (ს.მენთეშ.); ჯუჯა კაცი (მ. ალავ.) (ღლონტი 1984: 66).

ფაშფაშ-ა - მსუქანი, შნოიანი (ითქმის ქალზე) (ქეგლ).

საველე სამუშაოების დროს რესპონდენტები ხშირად ადასტურებენ, რომ ფონოსემანტიკური ლექსიკის დიდი ნაწილი გულისხმობს ძირითადი მნიშვნელობის მიმართებას ქალურობასა და მამაკაცურობასთან, ანუ გენდერულ მარკერებთან.

ლექსიკონთა განმარტებით:

1. *სვესვერე, სვესვერია, სვისვალი, სვისვა* - ზედსართავი სახელის სხვადასხვა სუფიქსური ვარიანტია და ამგვარად მეგრულში გარეგნული იერის ერთ-ერთი სახე გადმოიცემა, კერძოდ, იგი აღნიშნავს „დინჯს, მშვიდს; ნაზს“ (ქაჯ. 2002: 593), „ნაზი, უთქმელი“, „გასუსული, უენო“ (ქობ. 590; 592), ზმნური ფორმაა *ოსვისვინანს*, ანუ ნაზად, მშვიდად გამოიყურება. *სვასვალანს (სვასვალი)* - ამგვარად ლაპარაკობს, *მიოსვასვანს (სვასვინი*) - ამგვარი, ამ ტიპის არსება დადის. რესპონდენტთა პასუხების კვლევის სტატისტიკური ანალიზი უჩვენებს, რომ აღნიშნული ლექსემები მეგრულში მხოლოდ ქ ა ლ ს მიემართება.
2. *ფეშქ[ვ]ერე / ფეშქ[ვ]ერია* „პუტკუნა; ვარდივით გადაშლილი და ლამაზი“ (ქაჯაია). „ფუნთუშა, აფუებული“ (ქობ. 625) / *ფიშქ[ვ]ალი/ ფიშქ[ვ]ა* - სუფიქსური ვარიანტებია და გარეგნობა გადმოიცემა. ზმნური ფორმები: *ოფიშქ[ვ]ინანს* - ამგვარი იერით გამოხედვა, ფიზიონომიის აღმნიშვნელი ზმნაა, *ფაშქ[ვ]ალანს* - ლაპარაკია, *გილაფაშქ[ვ]ანს* - სიარულია, „დადის“. გამოკითხვით ყველა ფორმა მიემართება ბ ა ვ შ ვ ს და ქ ა ლ ს.
3. *ყირზალი* „ბუდიდან ამოვარდნილი თვალები; თვალებგადმოკარკლული, გაყვიზინებული *(კაცი)*, ამავე სიტყვის სუფიქსური ვარიანტია *ყერზელია; ყირზინი* „ყვიზინი, დაჟინებული მზერა, დიდთვალება, თვალებდაწითლებული კ ა ც ი ს ა, კარკვლა თვალებისა“ (ქობ. 651); ჩვენთვის საგულისხმოა ამ ფუძესთან დაკავშირებული კიდევ ერთი მასდარი *ყირზუა* „ბლომად, ხარბად სმა ღვინისა, გალეშვა“, შესაბამისი ზმნური ფორმებით: *ყირზუნს* „თვრება“ და *ოყირზუანს* „ათრობს“, ვინაიდან ქართულ (ქართველურ) კულტურაში [და]თროზის პროცესი მამაკაცთანაა დაკავშირებული, ყირზ-ძირის შემცველი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა რესპოდენტებში (სოციუმში) ასოციაციურად მამაკაცის ქცევის თავისებურებებს უკავშირდება. გამოკითხვისას იმავე რეზულტატის მქონე აღმოჩნდა სიტყვა *ღირზალი* „ამრეზილი, უხეში, ახმახი“ (ქობ. 645) / *ღერზელე* „მხნე, რიხიანი, ახმახი“ (ქობ. 642), *ღერზელი* „ბრაზიანი, გაღიზიანებული“ (ქობ. 642), *ღირზინი* „ამრეზილობა, ღრენა; მრისხანე გამომეტყველება“, *ღირზუა* „ბლომად სმა“ (ქობ. 645). ინფორმატორები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ აღნიშნული ლექსემები მიემართება მხოლოდ მამაკაცს.
4. *პისკ/ქვალი, პესკ/ქვერია, პისკ/ქვა, პესკ/ქვერე* - „მკვრივი, პუსქუნა“ (ქობ. 563), *პისქვინი* მასდარი *ოპისქვინანს* ზმნისა „სიმკვრივე; კარგ ფერხორცზე ყოფნა (ღვანწკეფი *უპისქვანს* ლოყებდაბუშტულია, კარგ ფერზეა, მოსუქებულია)“ (ქობ. 563). გამოკითხვით უკავშირდება ქალს და ბავშვს, მხოლოდ ბავშვებში არ განირჩევა ბიჭი და გოგო. *გილაპასკვანს/მიოპასქვანს* - პუსქუნა, მკვრივი ქ ა ლ ი ან ბ ა ვ შ ვი დადის, *პასქვალანს* - ამგვარი ტიპაჟი ლაპარაკობს. გამოკითხულთაგან არცერთი პირი არ უთითებს, რომ *პასკ/ქვ*- ფუძისგან ნაწარმოები რომელიმე მასდარული თუ ზმნური ფუძე მიემართებოდეს მამაკაცს.
5. *ყარჭალი* - ლექსიკონთა მიხედვით: „ყანწალი, ყელმაღალი ყმაწვილის ყიალი“, მიმღეობური *ყარჭალა* „ყელმაღალი, აწოწილი ყმაწვილი“ (ქობ. 649), სუფიქსური ვარიანტები: *ყირჭა, ყერჭელია* „ყელმაღალი“ (ქობ. 651), ზმნური ფორმა *გილეყარჭალუ* „სიარულს“ აღნიშნავს, ხოლო ასევე ზმნური ფორმა *ყარჭალანს* - „ლაპარაკობს“, ორივე მიემართება ყ მ ა წ ვ ი ლ მ ა მ ა კ ა ც ს, ამ შემთხვევაში გარჩეულია არა მხოლოდ გენდერული მახასიათებელი, არამედ ასაკობრივიც. ამ მხრივ საინტერესო ჩანს შედარება ლექსემასთან *ჭკვაპალი* „ჩიფჩიფი, ბებრული ლაპარაკი“ (ქობ. 712), საუბრის

აღმნიშვნელი მოცემული ლექსემა, გამოკითხვის მიხედვით, მიემართება ქალს, ბავშვს, მოხუცს; ის არ ითქმის ახალგაზრდა მ ა მ ა კ ა ც ზ ე, ბ ა ვ შ ვ ე ბ ს ა და მ ო ხ უ ც ე ბ შ ი კი არასოდეს დიფერენცირდება გ ო გ ო ნ ა / ვ ა ჟ ი, ქ ა ლ ი /კ ა ც ი ნიშნების მიხედვით.

სვანური ენის დიალექტური მონაცემები კი სავსებით განსხვავებულ შედეგებს გვიჩვენებენ სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით[1]. ვარლამ თოფურიასა და მაქსიმე ქალდანის, კარპეზ დონდუასა და ბესარიონ ნიჟარაძის სვანურის ლექსიკონებში იშვიათად თუ არის ასახული გენდერული მიმართებები ფონოსემანტიკურ ლექსიკაში, რასაც ვერ ვიტყვით ასლან ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონზე (ჩოლურული კილო)“ (1994), რომელშიც მსგავსი ფორმები საკმაოდ ხშირია, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი, ჩოლურული მეტყველების გარდა, მთელ სისტემას ქმნიან სვანური ენის სხვა დიალექტებშიც, განსაკუთრებით კი ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში, რაც საველე პირობებში მოძიებული მასალითაც დადასტურდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანურში ქალურობისა და მამაკაცურობის გამომხატველი განსხვავებული ზმნური ფორმების არსებობას უფრო უფროსი ასაკის ინფორმატორები ადასტურებენ. ზოგჯერ ერთი და იგივე ლექსემა სხვადასხვაგვარად განიმარტება როგორც დიალექტების მიხედვით, ასევე თვით ერთი სოფლის ინფორმატორთა მიერაც, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია ფონოსემანტიკური ლექსიკისათვის.

სვანურშიც, მეგრულის მსგავსად, ბგერწერითი ვარიანტების არსებობას ძირითადად სუბიექტის გარეგნული მახასიათებლები აპირობებენ, ამგვარი ლექსემები კი აღნიშნავენ მეტყველების არა ცალკეულ შთბეჭდილებებს, არამედ შეგრძნებათა მთელ სურათს. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში კარგად ჩანს, რომ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში სუბიექტის როგორობა (სიდიდე - სიპატარავე, სიმსუქნე - სისუსტე, ქალურობა - მამაკაცურობა, ახალგაზრდობა - სიბერე,სილამაზე - სიმახინჯე...) ხშირად გადმოცემულია ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტებით, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთი შინაარსისაა, ანუ ქცევის რაგვაროობა მსგავსია (ცუდად ლაპარაკს ან ცუდად სიარულს გამოხატავენ), თუმცა სუბიექტის მიხედვით განსხვავებები იმდენად არსებითი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გაჭირდეს მათი ჩანაცვლება:[2]

1. კ ა ც ი :

აყუიყუანე (ჩოლ.) „ზის მსუქანი, კრეტინი კ ა ც ი უშნო გამომეტყველებით“, შდრ. ბქ. *აყულყუნე* იმავე მნიშვნელობით;

ა̈მიჩუანე (ბზ.,)/ ა̈მიჩუანე (ბქ.) „დიდტუჩებიანი კ ა ც ი უშნოდ, ბრიყვულად იყურება“;

აჟანთხუნე (ჩოლ.) „დიდი ტანის, კრეტინი, ბოროტი კ ა ც ი ულაზათოდ ლაპარაკობს“ (ლიპარტელიანი 1994: 28);

აყანყლაუი (ლშხ.) „კ ა ც ი დიდი ლუკმებით, ჩქარ-ჩქარა ჭამს, ყლაპავს“

2. ქ ა ლ ი:

ანტყგანე (ჩოლ.) „მსუქანი, ფეხშიშველა ქ ა ლ ი მოდის“ (პარტელიანი 1994: 26) (შდრ. ბზ. *ა̈ტყრგანე* , (ბქ.) *ა̈ტყიგანე* „შილიფად ჩაცმულია“);

ანრგსტანე (ჩოლ.) „მსუქანი, დიდი აღნაგობის ქ ა ლ ი უდარდელად მოდის“ (ლიპარტელიანი 1994: 26);

[1]საგანგებოდ გენდერთან მიმართებით საკითხის კვლევა არ განხორციელებულა, თუმცა გენდერისა და ფონოსემანტიკური ფუძეების მიმართებაზე გარკვეული დაკვირვებები ჰქონდა პროფესორ მიხეილ ქურდიანს.
[2] მასალა გადამოწმებულია საველე ლინგვისტური მუშაობის დროს ცალკეულ ინფორმატორებთან.

ანზგლტყგნე (ბქ.) „მსუქანი ქ ა ლ ი უშნოდ, დონდლოდ, სხეულის მოძრაობით მოდის“;

იბიჭყანალ (ბქ.) „გამხდარი ქ ა ლ ი თავხედურად, უშნოდ დადის“;

3. ბ ი ჭ ი:

ანჰგყანე (ჩოლ.) „პატარა ბ ი ჭ ი უფროსივით უდიერად მოდის“ (ლიპარტელიანი 1994: 26);

იღიტანალ (ბქ.) „ახალგაზრდა ბ ი ჭ ი მეტიჩრულად, გამომწვევად დადის“;

4. გ ო გ ო:

ანკგლკგნე (ბქ.) „პატარა, გონებამახვილი გ ო გ ო მოლიკლიკებს, მოგორავს“;

ანჰგჭყანე (ჩოლ.) „პატარა გ ო გ ო უმადურად მოდის“ (ლიპარტელიანი 1994:25);

იკიკანალ (ბქ.) „ახალგაზრდა, მეტიჩარა გ ო გ ო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად დადის“;

აპრგჭე (ლშხ.) „ახალგაზრდა, მეტიჩარა გ ო გ ო ნაზად ცოტას ჭამს“;

აკლანწუნე (ჩოლ.) „ავი, გამხდარი გ ო გ ო უშნოდ ლაპარაკობს“ (ლიპარტელიანი 1994:17);

5. მ ო ხ უ ც ი:

იჩრითჩრითი (ლშხ.) „მოხუცი ქ ა ლ ი ფეხების თრევით ულაზათოდ დადის“;

ანკულკუნე (ბქ.) „მოხუცი ქ ა ლ ი ჩქარა მოდის, მოკუნკულებს“;

6. ბ ა ვ შ ვ ი:

ანგშრიდანე (ბქ.) „ზედმეტად მსუქანი ბ ა ვ შ ვ ი (ბ ი ჭ ი) მოდის, მოგორავს“;

ანკულკუნე (ბქ.) „ ბ ა ვ შ ვ ი (გ ო გ ო) ჩქარა მოდის“;

აკგლჭგნე (ბქ.) „პ ა ტ ა რ ა ბ ა ვ შ ვ ი იკრიჭება“ (ინფ.) .

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ფონოსემანტიკური კავშირებით გადმოცემული მოქმედებათა ნიუანსები და საგნობრივი მახასიათებლები ძალზე ხშირად თავს იჩენს მიმღეობურ ფორმებშიც:

მგშხირ (ბქ.) „ღია და დიდი სახის ქ ა ლ ი“ ,

მგშყირ (ბქ.) „უშნოდ თვალებდაჭყეტილი კ ა ც ი ან ბ ი ჭი“;

მგკლიჭ (ბქ.) „კბილებკრეჭია ბ ა ვ შ ვ ი (უფრო გ ო გ ო ნ ა, თუმცა ლამაზ ბიჭუნაზეც შეიძლება ითქვას“,

ჰშიჰში მარე (ლხმ.) „არამაღალი, მსხვილი აღნაგობის კ ა ც ი“ ,

გშრიდა ბეფშ (ბქ.) „მეტისმეტად მსუქანი ბ ა ვ შ ვ ი (ბ ი ჭ ი)“,

მგპიტყ მარე (ლხმ.) „პატარა ტანის, მსუბუქი, სწრაფი, ამჩატებული კ ა ც ი“,

კშრიტა ბეფშ (ლხმ.) „პატარა, ტანსავსე ბ ა ვ შ ვ ი (ბ ი ჭ ი)“ და ა. შ.

მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სვანურში განსხვავებულია ქალების, კაცების, მოხუცების, ბავშვების როგორც საუბრის, ასევე სიარულის, ჭამა-სმის, გამოხედვის, მიხვრა-მოხვრის, აღნაგობის, გამოხედვის, ქცევის მანერული ლექსიკა, რომლებიც სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტისგან შედგება; „ქალურობა“ და „მამაკაცურობა“ შესაძლოა იყოს შეფასებითი, თუმცა მას რეგულარული სახე აქვს, ამიტომ *სვანური ფონოსემანტიკური მოდელებისთვის გენდერის აღნიშვნა ერთგვარ სემანტიკურ მარკერადაც შეიძლება ჩაითვალოს.*

ზოგადად, სუბიექტთან მიმართების საკითხი, სხვა სუბიექტთან *ჩაუნაცვლებლობა,* ხშირად არ არის აბსოლუტური და სოციუმის შეფასებით დამოკიდებულებას უკავშირდება, რაც ნაკარნახევია გარკვეული სოციოკულტურული კონტექსტით, ამიტომაც ემყარება ფრაზებს, რომლებიც რაიმე მოქმედების შეფასების ეთიკურ დაშვებას ან დაუშვებლობას გულისხმობს რომელიმე სქესისათვის, რაც განპირობებულია „ქალურობისა“ და „მამაკაცურობის“ მიმართ სოციუმის ენობრივად რეალიზებული სტერეოტიპული მსოფლმხედველობით. ის, რაც ქალისთვის უარყოფითი კონოტაციით არის გადმოცემული, მამაკაცისთვის მიუღებელია, ანუ ის, რაც მამრთან ასოცირდება, არ გამოიყენება მდედრისთვის და პირიქით, თუმცა იშვიათად გამოყენების შემთხვევაში სვანური უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ხშირად აღწერით წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, ანუ იყენებს ე. წ. აღწერით (პერიფრასტულ) კონსტრუქციებს და კონსტრუქციაში შინაარსის დონეზე მიმართავს სუბიექტის ფიზიონომიის, აღნაგობის აღწერილობას. მაგ., შდრ. ერთი მხრივ, ბქ. *იბიჭყანალ* „გამხდარი ქ ა ლ ი, ან პატარა გამხდარი გ ო გ ო თავხედურად დადის“, ბქ. *იციცანალ* „ახალგაზრდა გოგო კეკლუცობს, თვალებს ურცხვად ნაბავს, ბიჭებს ეპრანჭება“ და, მეორე მხრივ, *იმჟი დინოლშალ იბიჭყანალ* „როგორ გ ო გ ო ს ა ვით დადის (იგულისხმება ბ ი ჭ ი)“, *იმემ დინოლშალ ხ̌ციცანე?* „რა გ ო გ ო ე ბ ი ვით კეკლუცობ (იგულისხმება ახალგაზრდა ბ ი ჭ ი, რომელსაც ქალური მანერები აქვს)“? და ა. შ.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკა გენდერთან მიმართების თვალსაზრისით გამორჩეულია სხვა ქართველური ენებისაგან.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფაქტი, ამ ენის სხვადასხვა დიელქტთა ფონოსემანტიკური ლექსიკა განარჩევს არა მხოლოდ „ქალურობასა“ და „კაცურობას“, ანუ განსხვავებული სქესის ადამიანთათვის დამახასიათებელ ქცევის მანერებსა თუ ფიზიონომიას, არამედ ცხოველებსა და ფრინველებში დედალ - მამალის ხმიანობას, სიარულს, სმა-ჭამისა და ქცევის როგორობას და ა. შ.: *იდოდაშ̌ალ* (ჩოლ., ლიპარტელიანი 1994: 119), *იქურქშანალ* (ბქ.), *იქურქშანიელ* (ბზ.) *„დედალი ქათამი* დადის, დაცინვით ქალზეც იტყვიან“; *იდიდანალ* (ბქ.) *„მამალი* მედიდურად დადის“ ; *ზული* (ბქ.) *„ძროხა* ბღავის“, *ბღული* (ბქ.) „ხარი ბღავის“ (თოფურია, ქალდანი 2000: 160).

რამდენად შეიძლება მჟღერობა-სიყრუის მიხედვით ფონოლოგიურმა სხვაობამ მოგვცეს სემანტიკურად გენდერული დაპირისპირება. რამდენად უკავშირდება ფონემის ან ფონესთემების მნიშვნელობა „ქალურობასა“ და „კაცურობას“; სვანურის მასალის ანალიზით გამოიკვეთა, რომ ფონოსემანტიკურ ლექსემათა სტრუქტურულ მოდელებში მკვეთრი ფონემები გამოიყენება როგორც ქალის, ასევე კაცის მოქმედების გამოსახატავად, ქალის მოქმედების გამომხატველ ლექსემათა სტრუქტურაში ხშირია მარტივი /ჭ/ და /ტ/ აბრუბტივები ან უკანაენისმიერი ხშული /ყ/ თანხმოვნიანი /ჭყ/ და /ტყ/ ფონესთემები, მაშინ, როცა მამაკაცის მოქმედების გამომხატველი ფონოსემანტიკური ლექსემების სტრუქტურაში ჭარბობს მარტივი უკანაენისმიერი ხშული /ყ/ თანხმოვანი, ან მკვეთრი /პ/ თანხმოვნით გართულებული ჰარმონიული კომპლექსი /პყ/; მჟღერთაგან მამაკაცს

უკავშრდება /ჯღ/ და /ძღ/, ხოლო ფშვინვიერთაგან აგებულ მასალაში „ქალურობა“ და მამაკაცურობა“ გარჩეული არ არის, /თხ/ კომპლექსისაგან შედგენილი მაგალითები ეხება როგორც ქალს, ასევე კაცს. აქვე შევნიშნავთ, რომ ჰარმონიული კომპლექსები ხშირად გახლეჩილია ნეიტრალური /გ/ ან /ი/ ხმოვნებით, შედეგად ვიღებთ თანმიმდევრობას / პგყ/, /პიყ/, /ძიღ/ და. ა.შ

ქ ა ლ ი: *ანპგჭყანე* (ჩოლ.) „გამხდარი ქ ა ლ ი მოდის უდიერად, პატარა გ ო გ ო უმადურად მოდის“ (ლიპარტელიანი 1994: 25); *ანტყგანე* (ჩოლ.) „მსუქანი, ფეხშიშველა ქ ა ლ ი მოდის“ (ლიპარტელიანი 1994: 26); *აპრგჭე* (ლშხ.) „ახალგაზრდა, მეტიჩარა გ ო გ ო ნაზად ცოტას ჭამს“; *ჳმიჭუანე* (ბზ.) „დიდტუჩებიანი ქ ა ლ ი უკმაყოფილოდ იყურება“;

კ ა ც ი: *ანპგყანე* (ჩოლ.) „პატარა კ ა ც ი ამაყად მოდის, პატარა ბ ი ჭ ი უფროსივით მოდის უდიერად“ (ლიპარტელიანი 1994: 26); *იპიყაუ̄ლ* (ჩოლ.) „პატარა კ ა ც ი ან ბ ა ვ შ ვ ი იბღინძება, იმუქრება, ძლიერად აჩენს თავს“ (ლიპარტელიანი 1994: 131); *ჳპყირანე* (ბქ.) „თვალებგადმოკარკლული ბ ი ჭ ი უშნოდ იყურება“; *აყუიყუანე* (ჩოლ.) „ზის მსუქანი კრეტინი კ ა ც ი უშნო გამომეტყველებით“;

კ ა ც ი: მჟღერი /ძღ/ კომპლექსით: *ანძღგლკნე* (ბქ., ჩოლ.) „გამხდარი, ცუდი გარეგნობის კ ა ც ი მოდის; *იძიღუანალ* (ბქ.) „სქელწარბა, უშნო სახის კაცის იბღვირება“;

მჟღერი /ჯღ/ კომპლექსით: *იბგ̄ჯღანა̄ლ* (ჩოლ.) „პატარა ბ ი ჭ ი გაფარჩხულად დადის“ (ლიპარტელიანი 1994: 116); *იბჯღე* (ჩოლ.) „კალთაში ისვამს პატარა ბ ი ჭ ს, ან პატარა ტანის კ ა ც ს“ (ლიპარტელიანი 1994: 116);

კ ა ც ი: ფშვინვიერი /თხ/ კომპლექსით: *აჟა̄ნთხუნე* (ჩოლ.) „დიდი ტანის, კრეტინი, ბოროტი კ ა ც ი ულაზათოდ ლაპარაკობს“ (ლიპარტელიანი 1994: 28); *იჟგ̄თხანა̄ლ* (ჩოლ.) „დიდი ტანის კ ა ც ი ცუდად ჩაცმული დაიარება“ (ლიპარტელიანი 1994: 133);

ქ ა ლ ი: ფშვინვიერი /თხ/ კომპლექსით: *ანსგლთხგნე* (ბქ.) „გამხდარი გოგო გრძელი კაბის თრევით მოდის“; *ითხორმა̄ლ* (ბზ.), *ითხ̄რმა̄ლ* (ჩოლ.) „გამხდარი, მაღალი, გრძელკაბიანი ქ ა ლ ი დადის“ (ლიპარტელიანი 1994: 124), შდრ. ბქ. *ითხორმალ* „სიგამხდრისგან მაღალი, გრძელფეხება ქ ა ლ ი უშნოდ დადის“ და სხვ.

ის, რაც მორფოლოგიური კატეგორიებით არ სხვაობს ქართველურ ენებში, დიალექტებში ფონოსემანტიკური საშუალებებით განსხვავდა, ბგერწერითმა ვარიანტებმა იტვირთეს ქალის, კაცისა და ბავშვის, უკეთ, ქალურობისა და მამაკაცურობის განსხვავება, გენდერული ლინგვისტიკა კი სწორედ ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს შეისწავლის.

ქართველურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში არსებული ამგვარი აქტიური პროცესების დაფიქსირება და კვლევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ავლენს საზოგადოებაში სოციალური და კულტურული ფასეულობების ცვლას და გენდერლინგვისტიკაში მიღებულ ახალ მონაცემებს, მიგვითითებს გზას ენობრივი ქმნადობის ღრმა და იდუმალი სფეროსკენ, რომლის ანალიზი ლინგვისტური კვლევის ტრადიციული მეთოდების ფარგლებში შეუძლებელია .

სვანურ და მეგრულ ფონოსემანტიკურ ფუძეთა ფორმობრივი და სემანტიკური შესაბამისობის ცხრილი

სვანური ენის მასალა		მეგრული ენის მასალა	
ლი-ბანდუნალ	„ნელი სიარული“	ბანდალი	„ბარბაცი, ტორტმანი, უილაჯო, უღონო სიარული; ბოდიალი; ბჟუტური“ (ქობ. 56)
ბგრბგნ (ბზ., ჩოლ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი”	ბურბინი	„ბუტბუტი, ბუბუნი; მობრიალე ცეცხლის ხმიანობა; ღამურების ხმიანობა“ (ქობ. 69)
ბურდღუნ (ზს.) ბგრდღგნ (ბქ.)	„ბურდღუნი”	ბურდღინი	„ლუღლუღი, ბურდღუნი, ბრდღინვა“ (ქობ. 69)
ლი-ბგრძგგნ-ე (ლშხ.), ლი-ბგრძგგნ-ე (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი”	ბაძგალი	„ძგერა, ბაგა-ბუგი (გულისა)“(ქობ. 59)
ლგ-ბძღგნე (ბქ.)	„გაწეწილი, აბურდული, აბურძგნულთმიანი”	ბეძღერია/ ბეძღე	„...გაძვალტყავებული; შარიანი, ფიცხი, ჩია“ (ქობ. 61)
გურჰუნ (ბზ., ლშხ.), გურხუნ (ბზ.), გურჰუნ/გურხუნ (ბქ.), გურხუნ (ლნტ.)	„ბრგვინვა”	გურგინუა	„ბრგვინვა, ქუხილი...“ (ქობ. 228)
ან-გუირანალ	„თავშიშველი კაცი ან ქალი მოდის”	გვირალი / გვირა	„თვალლამაზი, თვალჟუჟუნა; დიდრონთვალება, უძიროთვალება“ (ქობ. 116)
		გვირინი	„გამოხედვა დიდრონი, ჟუჟუნა თვალებით“ (ქობ. 117)
ლი-დანდუნალ	„დანდალი“	დანდალი	„ბზრიალი, ტრიალი; ...ურცხვი ლაპარაკი, ქცევა, ტანტალი“ (ქობ. 234)

ი-დონდ-ჴლ (ბზ.), ი-დონდ-ალ (ბქ.)	„მსუქანი ადამიანი ზანტად დაიარება”	დვანდვალი	„მსუქანი, ფუმფულა ადამიანის სიარული“, შდრ. დვენდვერია „უწყინარი, თვინიერი, უენო“ (ქობ. 240)
ლი-ზამპუნალ	„მსუქანი ადამიანის სიარულის მანერა“	ზემპერია	„მსუქანი, დიდი აღნაგობის ადამიანი“
ბ/ზგრზგნ (ბქ.), ზურზუნ (ლხმ.)	„ბზუილი”	ზირზინი	„ზრზინვა, ზრზენა; ბზუილი, ზუზუნი; რია-რია“ (ქობ. 310)
თქგრშგნ (ლშხ., ჩოლ.)	„ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი”	თქარშალი	„თქეში, ძლიერი წვიმის ხმიანობა“ (ქობ. 321)
		თქორშა	„თქეში“(ქობ. 322)
ლი-თხუ̈ლიპი (ბზ.)	„ხვრეპა”;	ხვიპუა	„ხვრეპა“ (ქობ. 727)
ლი-კუ̈იკუ̈ანალ	„კოხტა სიარული“	კვაკვალი	„პატარა სუბიექტის კოხტა სიარული“
		კვიკვალი	„პატარა და კოხტა“
კურკუნ (ჩოლ.)	„წანწკარი (წყლისა)”	კარკალი	„... წმინდა, ანკარა, მარჩი წყლის დენა, რაკრაკი“ (ქობ. 355)
ლი-პგრტყანალ/ ლი-ტყგრპანალ (ბქ.)	„ფრინველის ფრენა ან ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით”	პარტყალი	„ფაფისმაგვარი მასის დუღილი; თუხთუხი; მიამიტი ლაპარაკი, ჭყლოპინი (ბალღისა); პარტყუნი (ყურებისა)“ (ქობ.562)
ჟგრჟღგნ (ბქ.)	„ჟღარუნი”	ჟღირჟღინი	„ჟღრიალი, ჟღარუნი“ (ქობ. 569)
ჟგრჟგნ(ლხმ.)	„ჟრიამული”	ჟირჟინი	„ზიმზიმი, ელვარება; ჟრიამული, ჟივჟივი; ბჟუილი (ყურისა), ჟრუანტელი“ (ქობ.568)
ი-სირგლაუ̈-ალ (ბქ.), ი-სგრგლაუ̈-ალ (ლნტ.)	„მაღალი და სუსტი ადამიანი ბორძიკით დადის”	სარგალი, სერგელი	„თრევა, ყიალი, ხოხვა“ (ქობ. 583/ 590)

სირღა̈	„ცუდი ხასიათის, ჯიუტი; მოღრეცილი“	სირღალი/ სირღა	„ტანმაღლი, აწოწილი“ (ქობ. 693)
ტგრკგნ/ ლიტგრკანალ (ბქ.)	„სირბილი ხმის გამოცემით, გამეტებით”	ტარკალი	„ტლიკინი, ურცხვობა“ (ქობ. 600)
		ტირკონი	„მრავლის ერთად ხმაურით სირბილი“
ტგრტყგნ (ბზ.), ტგრტყგნ (ბქ.)	„ტატყანი”	ტყირტყინი	„ტატყანი, დუდღუნი“ (ქობ.606)
ტგრტგნ (ბზ., ლშხ.) ტგრტგნ (ბქ., ლნტ.)	„რატრატი”	ტირტინი	„რატრატი, ჩიჩინი“ (ქობ.602)
ტკგრცგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტკგრცგნ (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა…), ტკაცატკუცი”	ტკაცუა	„ტკაცანი, ტკეცა, გაპობა“(ქობ. 602)
ტკგრჩგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტკგრჩგნ (ბქ.)	„ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა”	ტკაჩაფი ტკაჩუა	„ტკაცანი; ტკეცა; ხმელი შეშის წვით, ყინულის განპობით გამოწვეული ხმა...“(ქობ. 602)
			შოლტის , ხელის შემოკვრა; ტკეცა, ტკაცანის გაღება“ (ქობ.602)
ლი-ფანყუნალ	„მსუქანი და უშნო გარეგნობის ადამიანის სიარულის მანერა“	ფაღვინი	„რბილად, მსუბუქად დება რისამე; გაფუყულის ჯდომა“ (ქობ. 623)
ლი-ფარფა̈ლ-ი (ჩოლ.)	„ბრიალი, აალება (ცეცხლისა)”	ფარფალი	„ფარფატი, ფრიალი, ლიცლიცი (ალისა)...“ (ქობ. 622)
ლი-ფგრცხგნ-ი (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)”	ფურცხოლი	„ფუცხუნი, ფხაკუნი“ (ქობ. 631)
ლი-ქურქუ̈ანალ (ბქ.)	„დაბალი და მსუქანი ქალის მოძრაობა”	ქვარქვალი ქვაქავალი	„ციბრუტივით მბრუნავი, საქმეში მარდი“ (ქობ. 634)
			„ცუნცული, დაუზარელი საქმიანობა, მოხდენილი, სწრაფი სიარული“ (ქობ. 635)

ღუარღულა (ლხმ.)	„ლუღლუღი, ძლივს ლაპარაკი (მაგ. შემცივნებული ადამიანისა)"	ღვარღვალი	ღვარღვარი, ცრემლოობა (ქობ. 643)
ღგლჯგგნ (ბქ.)	„ღოჯებიანი ადამიანის ჯიყჯიყი, ჯიჯღინი"	ღინჯგინი	„ღრეჯა ღრძილების ჩენით" (ქობ. 645)
ღგრღგნ (ბქ.)	„ლუღლუღი"	ღირღინი	„ღრჭიალი, ღირღიტი (ურმისა); ღიღინი" (ქობ. 645)
ღგრწკგნ (ბზ., ლშხ.), ღგრწკგნ (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი"	ღირწკინი	„ჭრიალი, ღრჭიალი, ღრჭენა (კბილებისა)" (ქობ. 646)
ლი-ყარყალი (ჩოლ.)	„ზარმაცი და მოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა"	ყარყალი	„ყელყარყალა, მაღალყელიანი, უჭაჭო, უყურო სურ; ყანყალი, გულისრევის შეგრძნება" (ქობ. 649)
ლი-ყურჭლაუი (ლშხ., ჩოლ.)	„ბუყბუყი (მუცლისა)"	ყურჭინი	„ყურყური, ბუყბუყი წყლისა დახშულ სივრცეში" (ქობ.652)
ლი-ყგლწე/ ლი-ყლგწე/ ლი-ყრიაწინე (ლშხ.)	„ყლურწვა"	ყურწუა	„ყლურწვა" (ქობ. 652)
ყგრყგნ (ბზ., ლშხ.) ყგრყგნ (ბქ., ლნტ.)	„ყიყინი"	ყირყინი	„ყრიყინი, ჭირვეულობა, წუწუნი, ყელმტკივანი კაცის ლაპარაკი; ყროყინი" (ქობ. 651)
ყგრჭგნ (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"	ყარჭალი ყირჭინი	„ყანწალი, ყელმაღალი ყმაწვილის ყიალი" (ქობ. 649)
			„ყელის მოღერება. კისრის წაგრძელება" (ქობ. 651)

შგრშგნ/შგრშაჳ (ჩოლ.) შგრშჳნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შგრშგნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი (ფოთლების, ქაღალდის)"	შირშინი	„შიშინი, ფშვინვა" (ქობ.661)
შგრშხჳნ (ბზ., ლშხ.), შგრშხგნ (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"	შხირშხინი შხურშხინი	„შიშხინი" (ქობ. 668)
ლგ-ჩანჩურე (ბქ.)	„უშნოდ ჩაცმული; აჩაჩულ-დაჩაჩული"	ჩანჩულია	„ჩანჩურა"(ქობ. 670)
ლი-ჩუირანალ	„უშნო პირისახის ადამიანის ყურება"	ჩვირინი	„განაწყენებული გამომეტყველება" (ქობ. 673)
ჩგრჩხგნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"	ჩხარჩხალი	„ჩხრიალი, ჩუხჩუხი, ჩერანი" (ქობ. 678)
ჩხუინდაჲ (ბქ.)	"უშნო ცხვირიანი ადამიანი"	ჩხვინდამი	„ცხვირა, დიდცხვირა, წვეტიანი, ჭვინტიანი" (ქობ. 678)
ჩხორკაჲ (ბქ.) ლგჩხკგნე (ზს., ქს.)	„ზედმეტად გამხდარი, გაჩხიკინებული, გაძვალტყავებული"	ჩხირკალი	„გაჩხიკული, მიზეზიანი, შარიანი" (ქობ. 679)
ჩხგრკგნ	„ჩხაკაჩხუკი"	ჩხაკაფი	„ჩხაკუნი"
		ჩხირკაფი ჩხირკინი	„წვალება, ჩიჩხინი"
ლი-ცანგუნ-ალ (ბქ.)	„ცუნცული"	ცანგალი	„ცანცარი, კინკილი, კანჭმაღლის სიარული" (ქობ. 681)
ცურცუნ (ბზ., ლშხ.) ცურცუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული"	ცურცინი	„ჩლიფინი, ჰაერის წვრილ ნაკადად გამოდინება" (ქობ.685), „ჩურჩული"

ცგრცხგნ (ბქ.)	„დუღილი, ფუცხუნი (მაგ. მჟავეულისა)”	ცხურცხინ-ი	„შუშხუნი, ცუცხუნი, შიშინი, მაჭრის დუღილის ხმა, ცქრიალი“ (ქობ. 688)
ცხურკუნ (ბქ.)	„ცხუკუნი”	ცხირაკა	„გახმობა; გაფიცხება; გაფშეკა, დაცხრეკა“ (ქობ. 687)
ლი-ძგუ̈ირანალ	„უშნო პირისახის ადამიანის ყურება“	ძგვირინი	„გაწბილებული გამოხედვა, ძუძგური“ (ქობ. 690)
ლი-ძღუ̈ირანალ	„უშნო პირისახის ადამიანის ყურება“	ძღვირინი	„წვრილთვალას უამური მზერა“ (ქობ. 693)
წგრწგნ (ბქ.), წგრწგნ (ლშხ., ჩოლ.)	„წრიპინი ბარტყებისა”	წირწინი	„წივილ-კივილი, წიწინი“ ((ქობ. 697)
წგრწკგნ (ბქ.)	„წკრიალი (მაგ. საათისა)”	წკირწკინი	„კბილწვეტიანის ღიმილი, ჭვეტიანი კბილების კრეჭა“ (ქობ.699)
წკუ̈ირა̈ (ბქ.)	„წვრილთვალება”	წკვირალი / წკვირა	„უკმეხი, გაუცინარი, წარბშეკრული“ (ქობ. 699)
ლი-წკუ̈ირანალ	„წვრილთვალება ადამიანის ყურების მანერა“	წკვირინი	„უკმეხობა“ (ქობ. 699)
ჭგრჭკგნ	„ჭიკჭიკი; ხმამაღალი ლაპარაკი”	ჭირჭინი	„ჭრიჭინი; ჟღურტული, ჟრიამული; წვრილი ხმით გაუთავებელი ლაპარაკი“ (ქობ. 711)
ჭგრჭყგნ (ბზ., ლშხ.) ჭგრჭყგნ (ბქ., ლნტ.) ჭურჭყუნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი, ჭიჭყინი”	ჭყირჭყინი	„ჭიჭყინი, ჭირვეულობა“ (ქობ. 715)
ჭგრჭგნ (ბზ., ლშხ.) ჭგრჭგნ (ბქ., ლნტ.)	„ჭრიჭინი, ჭიკჭიკი”	ჭირჭინი	„ჭრიჭინი; ჟღურტული, ჟრიამული; წვრილი ხმით გაუთავებელი ლაპარაკი“ (ქობ. 711)
ჭგრხგნ (ბზ., ლშხ.), ჭგრხგნ (ბქ., ლნტ.)	„„ქუხილი,ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი”	ჭირხინი	„ჭიხვინი“(ქობ. 711)

ხვრტვნ (ბქ., ჩოლ.)	„ხროტინი	ხირტინი	„ხროტინი, ხრტინვა, ხრიალი“ (ქობ. 728)
ხვრხვნ (ბქ.)	„ხიხინი”	ხირხინი	„ხიხინი, ხვრინვა, ხრიალი“ (ქობ. 728)
ჯურჯღუნ (ბქ	„ჯუჯღუნი, ბუზღუნი”	ჯღირჯღინი	„ჯიჯღინი, ჯღვალი“ (ქობ. 743)

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშია 1997 - რ. აბაშია, მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. *გიორგი როგავას (საიუბილეო კრებული).* თბილისი: ქართული ენა, 1997: 28-39.

აბაშია 1999 – რ. აბაშია, სუფიქსური შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში, II. *არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი: ქართული ენა, 1999: 7-8.*

აბაშია 2000 – რ. აბაშია, საერთო-ქართველური ლექსიკიდან, 6/7, *არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,* 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი: ქართული ენა, 2000: 7-10.

აბულაძე 1973 - აბულაძე ი. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი.* თბილისი: მეცნიერება, 1973.

აბულაძე 1986 - ლ. აბულაძე, დროის სემანტიკური ველის შესახებ. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,* XXV. თბილისი: მეცნიერება, 1986: 3-11.

ავალიანი 2001 - ლ. ავალიანი, რამდენიმე არაბული ნასესხობის შესახებ ქართული ენის იმერულ და რაჭულ დიალექტებში. *ქუთაისური საუბრები, VIII. სიმპოზიუმის მასალები,* ქუთაისი: ქსუს გამომცემლობა, 2001: 23-24.

ალნერი & ზლატევი 2010 – Ahlner, F. & Zlatev, J. Cross-modal iconicity: A cognitive semiotic approach to sound symbolism. *Signs Systems Studies* 38, ¼, 2010: 298-348.

ალოტი 1995 – Allott, R. Sound Symbolism. *Language in the Würm Glaciation,* ed. by Udo L. Figge. Bochum: Brockmeyer, 1995: 15-38.

ანდერსონი 1998 – Anderson, *E. R. A Grammar of Iconism.* Madison, NJ: Fairleigh Dickinson University Press, 1998.

ანდრონიკაშვილი 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1966.

არაბული 1997a - ა. არაბული, სახელურ და ზმნურ ფუძეთა ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის. *ეტიმოლოგიური ძიებანი,* 6. თბილისი, 1997: 7-19.

არაბული 1997b - ა. არაბული, *სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში.* სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1997.

არაბული 1999 - ა. არაბული, ერთი ტიპის სახელზმნური წარმოებისათვის ქართულში. *XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები* (ახალციხე, 5-6 ნოემბერი, 1999). თბილისი, 1999: 6.

არონია 1999 - ი. არონია, ხმოვანმონაცვლეობა მეგრულის რედუპლიცირებულ ფუძეებში. *XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები* (ახალციხე, 5-6 ნოემბერი, 1999). თბილისი,, 1999: 8.

არონია 2010 – ი. არონია, *კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში.* თბილისი: უნივერსალი, 2010.

არუთინოვა 1988 – Арутюнова Н. Д. *Типы языковых значении.* Moskva: Русский язык, 1988.

ასათიანი 2012 - ი. ასათიანი, *ლაზური ლექსიკონი (ზმნური ძირ-ფუძეები).* თბილისი: არტანუჯი, 2012.

ასათიანი 1979 - რ. ასათიანი, ფონეტიკური სიმბოლიზმისათვის. *ჯევანმარდი,* თბილისი, 1979: 15-20.

აფრიდონიძე 1993 – შ. აფრიდონიძე, ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები *ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წ. 10. თბილისი: ქართული ენა, 1993: 92-103.

ახვლედიანი 1949 - გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1949.

ახვლედიანი 1960 – Ахведиани Г. С. *Сборник избранных работ по осетинскому языку*. Тбилиси: Изд-во Тбилисского государственного университета, 1960.

ახვლედიანი, კინწურაშვილი 2007 - ც. ახვლედიანი, მ. კინწურაშვილი, ფონოსემანტიკისა და ქვეცნობიერის უხილავი კავშირები. *საენათმეცნიერო ძიებანი,* XXV, 2007: 23-30.

ახმანოვა 1957 - Ахманова О. С. *Очерки по общей и русской лескикологии*. Москва: Советская энциклопедия, 1957.

ახმანოვა 1966 - Ахманова О. С. *Словарь лингвистических терминов*. Москва: Советская энциклопедия, 1966.

ბაბლუანი 1985 – ლ. ბაბლუანი, სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანლთმიმდევრობანი სვანურსა და ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXIII. თბილისი: მეცნიერება, 1985: 254-261.

ბაბლუანი 1985 – ლ. ბაბლუანი, ჩქამიერ თანხმოვანთა მიმდევრობები სვანურ ენაში. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია,* 1, თბილისი: მეცნიერება, 1985: 108-109.

ბაზელი 1937 -- Bazell, C. E. Notes on synchronic grammar. (ii) The phono-semantic parallel. *English Studies* XIX, 1937: 204-207.

ბაინდურაშვილი 1971 - ა. ბაინდურაშვილი, *სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1971.

ბენტლი & ვარონი 1933 – Bentley, M. & Varon, E. J. An Accessory Study of 'Phonetic Symbolism.' *American Journal of Psychology* 45, 1933: 76-86.

ბერიძე 1986 - ვ. ბერიძე, *სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა*. თბილისი: მეცნიერება, 1986.

ბლენჩი 2013 – Blench, R. Mwaghavul Expressives. *Selected papers from the 6th BICCL,* ed. by H. Tourneux. Köln: Rudiger Köppe, 2013: 53-75.

ბლუმფილდი 1968 - Блумфилд Л. *Язык*. Москва: Прогресс, 1968.

ბლუმფილდი 1891 – Bloomfield, M. On Adaptation of Suffixes in Congeneric Classes of Substantives. *American Journal of Philology* 12, 1891: 1-29.

ბლუმფილდი 1893 – Bloomfield, M. On the Origin of So-Called Root Determinatives. *Indogermanische Forschungen* 4, 1893: 66-78.

ბლუმფილდი 1895 – Bloomfield, M. On Assimilation and Adaptation in Congeneric Classes of Words. *American Journal of Philology* 16, 1895: 409-434.

ბოლინჯერი 1950 - Bolinger, D. Rime, Assonance and Morpheme Analysis. *Word* 6, 1950: 117-136.

ბოლინჯერი 1963 – Bolinger, D. The Uniqueness of the Word. *Lingua* 2, 1963: 113-136.

ბონფანტე 1964 - Бонфанте Дж., Позиция неолингвистики. в кн: Звегинцев В. А., *История языкознания XIX и XX веков в очерках и излечениях,* ч. I: Москва: Просвещение, 1964: 302-323.

ბრანდენშტაინი 1970 -- von Brandenstein, C. G. Some New Aspects of Australian Aboriginal Language. L*inguistic trends in Australia: papers presented to the A.I.A.S. Linguistics Group May 1968,* ed. by D. C. Laycock. Canberra: Australian Institute of Aboriginal Studies, 1970: 75-95.

ბრაუნი 2013 – von Braun, Ch. [Hrsg.]. *Gender@Wissen. Ein Handbuch der Gender-Theorien*. Köln; Weimar; Wien: Böhlau, 2013.

ბრეგაძე 1999 – ლ. ბრეგაძე, *ქართული ჟარგონის ლექსიკონი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1999.

ბრედინი 1996 – Bredin, H. Onomatopoeia as a Figure and a Linguistic Principle. *New Literary History* 27/3, 1996: 555-569.

ბრუშლინსკი 1967 - Брушлинский А. В. Воображение и познание. *Вопросы философии,* № 11, 1967: 12-17.

ბროსი 1965 – Brosses, C. de.*Traité de la formation mécanique des lnguages et des principes physiques de l'Étymologie.* Paris: Saillant, Vincent & Desaint, 1765.

ბურჭულაძე 1990 - გ. ბურჭულაძე, "ლაპარაკის", "ხმაურის" აღმნიშვნელი ერთი წყების ლექსემათა თაობაზე ქართულში. *ეტიმოლოგიური ძიებანი.* 1990: 21-31.

ბურჭულაძე 1991 – გ. ბურჭულაძე, ღვარ-სეგმენტიანი "წყლის", "სითხის" აღმნიშვნელი ზოგი ლექსემის თაობაზე ქართულში. *XII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები* (გორი, 21-23 ნოემბერი, 1991). თბილისი, 1991: 13.

გაბელენცი 1891 -- Gabelentz, G. C. von der (1891). Die Sprachwissenschaft: *Ihre Aufgaben, Methoden und bisherige Ergebnisse. Leipzig*: Weiger.

გაგუა 1976 – კლ. გაგუა, *დრონაკლი ზმნები სვანურში.* თბილისი: მეცნიერება, 1976.

გალკინა-ფედორუკი 1957 – Галкина-Федорук, Е.М. О форме и содержании в языке. *Мышление и язык.* Москва: Госполиздат, 1957: 352-407.

გალპერინი 1974 - Гальперин И. Р., *Информативность единиц языка.* Москва: Высшая школа, 1974.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში.* თბილისი: მეცნიერება, 1965.

გამყრელიძე 1972 – Гамкрелидзе Т. В. К проблеме «произвольности»языкового знака. *Вопросы Языкознания,* № 6. 1972: 33-39.

გამყრელიძე 2000 - თ. გამყრელიძე. *რჩეული ქართველოლოგიური შრომები.* თბილისი: თსუ-სა და სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედ. ინსტიტუტის გამომცემლობა, 2000.

გაჩეჩილაძე 1972 - ო. გაჩეჩილაძე, ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია,* N 2, 1972: 105-112.

გელენიძე 1974 – ლ. გელენიძე, *ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით).* თბილისი: მეცნიერება, 1974.

გერსამია 2001 - რ. გერსამია, ცემის აღმნიშვნელი სინონიმების სემანტიკა მეგრულში, *ენათმეცნიერების საკითხები,* 4. თბილისი, 2001: 30-49.

გერსამია 2002 - რ. გერსამია, სიარულის აღმნიშვნელი ზნისწინიანი ლექსემები მეგრულში, *XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები.* თბილისი, 2002: 30-31.

გერსამია 2002 - რ. გერსამია, ჭამის აღმნიშვნელ ლექსემათა სინონიმური რიგი მეგრულში, *საენათმეცნიერო ძიებანი, XII.* თბილისი, 2002: 71-85.

გერსამია 2003 - რ. გერსამია, სემანტიკური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა მეგრულში, *ენათმეცნიერების საკითხები*, 1. თბილისი, 2003: 58-72.

გერსამია 2004 - რ. გერსამია, *ლექსიკური სინონიმია მეგრულში,* ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი [დისერტაცია - 2003].

გერსამია 2006 - რ. გერსამია, სისტემატური განმეორებადი მოქმედების გადმოცემა გილა- ზმნისწინის საშუალებით მეგრულში, *საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXII.* თბილისი, 2006: 80-85.

გერსამია, ლომია 2010 - რ. გერსამია, მ. ლომია, იოსებ ყიფშიძის „мегрельско-русский словарь" და მისი მნიშვნელობა თანამედროვე კვლევებისთვის, *ლექსიკოგრაფთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები,* ბათუმი 2010.

გერსამია 2012 - რ. გერსამია, ბგერწერითი ლექსიკა მეგრულ ფოლკლორულ მასალაში და მისი ქართულ ენაზე თარგმნის სპეციფიკა: *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები,* ტ. XII. თბილისი 2012: 92-100;

გერსამია 2013 - რ. გერსამია, ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი. *ქართველოლოგია,* 5. თბილისი: ილიას სხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013: 88-95.

გერსამია და სხვ. 2013 - რ. გერსამია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი. ფონოსემანტიკური ლექსიკის გენდერლინგვისტური ასპექტები ქართველურ ენებში. *კავკასიოლოგიური ძიებანი,* 5. თბილისი, 2013: 33-43

გერსამია 2014a - რ. გერსამია, ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია მეგრულსა და ლაზურში. *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, სამეცნიერო სესიის მასალები,* XXVI, თბილისი, 2014: 34-37.

გერსამია 2014b - რ. გერსამია, მაერთხმოვნიანი ანუ ინფიქსური რედუპლიკაცია ქართველურ ენებში: არნ. *ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 73-ე სამეცნიერო სესიის მასალები.* თბილისი, 2014: 27-29.

გერსამია, კიკვიძე, ლომია 2014 - Герсамиа Р., Киквидзе З., Ломиа М., Иконизм в переводной лексикографии. *Сборник научных трудов «Специальный и художественный перевод: теория, методология, практика».* Киев: АграрМедия Груп, 2014: 114-117.

გერსამია 2015 - რ. გერსამია, ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია მეგრულსა და ლაზურში: *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, სამეცნიერო სესიის მასალები, XXVI.* თბილისი, 2015: 34-37

გვანცელაძე 2000 - გ. გვანცელაძე, ქართულ ნასახელარ ზმნათა ერთი ჯგუფის თავისებურებათა საკითხისათვის. *არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები.* თბილისი: ქართული ენა, 2000: 27-28.

გიგლემიანი 2006 - ლ. გიგლემიანი, *ჰიდროლექსიკა ქართულში.* ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია და ავტორეფერატი. თბილისი, 2006.

გლუკი 1993 - *Metzler Lexikon Sprache,* Herausgegeben von Helmut Glük, Verlag J. B. Metzler, Stuttgart-Weimar, 1993.

გოგოლაშვილი 1988 - გ. გოგოლაშვილი, *ქართული ზმნის უღვლილების სისტემა.* თბილისი, მეცნიერება, 1988.

გოგოლაშვილი და სხვ. 1989 - გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, ლ. შენგელია. *ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი.* თბილისი: მეცნიერება, 1989.

გოლუბი 1986 - Голуб И. Б. *Стилистика современного русского языка.* Москва: Высщая школа, 1986.

გორდეზიანი 1985 - რ. გორდეზიანი, *წინარეგერძნული და ქართველური.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1985.

გიგინეიშვილი 1987 - ბ. გიგინეიშვილი, ძველი ქართული ენის გრამატიკიდან. *მრავალთავი,* ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. XIV თბილისი, 1987: 80-94.

გუდავა 1958 – ტ. გუდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები*. თბილისი, 1958: 15-16

გუდავა, გამყრელიძე 1981 [2000] - ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში: *თსუს კრებული "აკაკი შანიძეს"*, 1981: 202-243 [თ. გამყრელიძე, *რჩეული ქართველოლოგიური შრომები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2000: 151-199].

გუდავა 1984 - ტ. გუდავა, -უან დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივებში. *საენათმეცნიერო კრებული*, ტ. I, თბილისი, 1984: 72-77.

დათუკიშვილი 1990 - ქ. დათუკიშვილი, *რედუპლიკაცია ქართულში*. ფილოლოგიის მეცნიერებათა სამცენიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 1990.

დავითიანი 2008 – ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,* XXXVI, თბილისი, 2008: 315-331. [ხელნაწერი - 1949, ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი].

დანელია 2006 - კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი. *კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა*. თბილისი: უნივერსალი, 2006.

დეეტერსი 1926 - Deeters G. Armenish und Südkaukasisch. Ein Beitrag zur Frage der Sprachmischung. *Caucasica* 3: 37-82 & 4: 1-164

დეეტერსი 1930 - Deeters, G. *Das khartvelische* Verbum. Leipzig: Kommissionsverlag von Markert und Petters, 1930.

დიუმეზილი 1967 – Dumézil G. *Documents anatoliens sur les langues et les traditions du Caucase.*Vol. 4, *Récits lazes endialecte d'Arhavi (parler de Senkoy).* Paris: Presses Universitaires de France, 1967.

დიურანი 1961 – Durand, M. Les impressif en Vietnamien, ėtude prėliminaire. *Bulletin de la Sociėtė des Ėtudes Indochinoises,* n.s. 36/1, 1961: 5-50.

დიფლოთი 1972 – Diffloth, G. Notes on expressive meaning. *Papers from the 8th Regional Meeting.* Chicago: Chicago Linguistic Society, 1972: 440-447.

დიფლოთი 1976 – Diffloth, G. Expressives in Semai. *Austroasiatic Studies, Oceanic Linguistics Special Publication* 13, 1976: 249–264.

დიფლოთი 1979 – Diffloth, G. Expressive phonology and prosaic phonology in Mon-Khmer. *Studies in Tai and Mon-Khmer Phonetics and Phonology in Honour of Eugénie J. A. Henderson.* Bangkok: Chulalongkorn University Press, 1979: 49-59.

დოლიძე 1989 – ნ. დოლიძე, *ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის „კრატილოსი"*. თბილისი: ლოგოსი, 1989.

დონდუა 2001 – კ. დონდუა, *სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონი*, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

დოუკი 1935 – Doke, C. M. *Bantu Linguistic Terminology*. London: Longmans, 1935.

დუდენი ???1989 - Duden, *Deutsches Universal-Wörterbuch*. Dudenverlag, Mannheim, Leipzig, Wien, Zürich: Duden, 1989.

ებერჰარდტი 1940 – Eberhardt, M. A Study of Phonetic Symbolism of Deaf Children. *Psychological Monograph* 52, 1940: 23-42.

ელიავა 1997 - გ. ელიავა, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. მარტვილი-თბილისი: ინტელექტი, 1997.

ერთელიშვილი 1970 – ფ. ერთელიშვილი, *ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბილისი*: თსუ გამომცემლობა, 1970.

ერთელიშვილი 1980 - ფ. *ერთელიშვილი, სახელური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980.

ენათმეცნიერების ლექსიკონი 2002 - *Lexikon der Sprachwissenschaft,* Herausgegeben von Hadmond Bußmann. Stuttgart: Kröner, 2002.

